ResearchGate

See discussions, stats, and author profiles for this publication at: https://www.researchgate.net/publication/301593107

Latin Legal Termonology

Research · April 2016

DOI: 10.13140/RG.2.1.1617.9607

CITATIONS
0

READS
334

5 authors, including:

Ekaterine Kobakhidze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
27 PUBLICATIONS **0** CITATIONS

SEE PROFILE

Some of the authors of this publication are also working on these related projects:

the Etruscans in Classical Literature View project

The Etruscan Cult Terminology View project

All content following this page was uploaded by Ekaterine Kobakhidze on 23 April 2016.

The user has requested enhancement of the downloaded file.

ლევან ალექსიძე, იამზე გაგუა, მაია დანელია,
ეკატერინე კოზახიძე, ნინო რუხაძე

ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია

გამომცემლობა **მერიადიანი**
2015



წიგნი იბეჭდება
საქართველოს პრეზიდენტის
ხელშეწყობით

აღნიშნული პროექტი განხორციელდა
შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში
მოპოვებული გრანტის №11/30 მეშვეობით

აღნიშნული პროექტი განხორციელდა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაზაზე

რედაქტორი: იამზე გაგუა

რეცენზენტები: ნანა ტონია
დავით გოსტოღანაშვილი

გარეკანის დიზაინი და დაკაბადონება: ალექსანდრე ჯიქურიძე

© ლევან ალექსიძე, იამზე გაგუა, მაია დანელია, ეკატერინე კობახიძე, ნინო რუხაძე, 2015

ISBN

შინაარსი

შესავალი 10

I ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია 27

II ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები 411

III რომაელი იურისტები და კანონმდებლები 631

IV დანართი 650

Summary 667

შემოკლებების ნუსხა

ა.შ. – ასე შემდეგ
აგრ. – აგრეთვე
ანტ. – ანტონიმი
არაბ. – არაბული
არქ. – არქაული
ას. – ასევე
ახ. წ. – ახალი წელთაღრიცხვით
ბერძნ. – ბერძნული
ბიზ. – ბიზანტიური
ბუნ. – ბუნებრივი
განს. – განსაკუთრებული
გერმ. – გერმანული
გვ. – გვერდი
და სხვ. – და სხვა
დაახლ. – დაახლოებით
დამ. – დამატებითი
ეკლ. – ეკლესია
ეკონ. – ეკონომიკური
თავდაპ. – თავდაპირველად
თან. – თანამედროვე
იმპ. – იმპერია
იტ. – იტალიური
იურ. – იურიდიული
იუსტინ. – იუსტინიანე I, იუსტინიანუსი
იხ. – იხილე
კ. – კუნძული
კან. – კანონი
კათ. – კათოლიკური
კერძ. სამ. –კერძო სამართალი
კლას. – კლასიკური (პერიოდის)
კოდ. – კოდექსი
კონსტ. – კონსტიტუცია
მაგ. – მაგალითად
მდ. – მდინარე
მემკვ. – მემკვიდრეობით
მეურვ. – მეურვეობის
მონათ. – მონათმფლობელური
მრ. რ. – მრავლობითი რიცხვი
მხ. რ. – მხოლობითი რიცხვი
ოფიც. – ოფიციალური
ოჯ. – ოჯახის
პოლიტ. – პოლიტიკური
პროფ. – პროფესიული
რ. – რომი
რევ. – რევოლუციური
რელიგ. – რელიგიური
რესპ. – რესპუბლიკა
რომ. – რომაული
რომ. იმპ. – რომის იმპერია
რომ. სამ. – რომაული სამართალი
საბჭ. – საბჭოთა
საზოგ. – საზოგადოებრივი
საიმპ. – საიმპერატორო
საკულტ. – საკულტო
სამ. – სამართლის
სამოქ. – სამოქალაქო
სამხ. – სამხედრო
საპ. – საპირისპირო
საპრ. – საპროცესო
საქ. – საქართველო
საშ. ლათ. – საშუალო (შუასაუკუნეების) ლათინური
სახ. – სახელმწიფო
სახ. კომ. – სახელმწიფო კომიტეტი
საზ. – საზოგადოებრივი
სინ. – სინონიმი
სისხლ. – სისხლის
სისხლ. სამ. – სისხლის სამართლის
სკო – საქართველოს კომისართა საბჭო
სოც. – სოციალისტური
სოციალ. – სოციალური
სრ – სოციალისტური რესპუბლიკა
სქ. – სქოლიო(ები)
სხვ. – სხვა
ტექნ. – ტექნიკური
უ. ყ. – უპირველეს ყოვლისა
ფაქტ. – ფაქტობრივი
ფრ. – ფრაგმენტი
ფრანგ. – ფრანგული
ქართ. – ქართული
ქორწ. – ქორწინების
შდრ. – შეადარე

შემ. – შემოკლებული
შესაძ. – შესაძლოა
შმდ. – შემდგომი
ცაკ – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
ძირ. – ძირითადი
ძვ.წ. – ძველი წელთაღრიცხვით (ჩვენს წელთაღრიცხვამდე)

A. G. – Aulus Gelius
con. – coniunctivus კონიუნკტივი
cons. suff. – consul suffectus (სხვის ნაცვლად) არჩეული კონსული
CJ – Codex Iustinianus
CIC – Corpus Iuris Civilis
Cic. – Cicero – ციცერონი
Dig. – Digestae – დიგესტები
fut. – futurum – ფუტურუმი
imp. – imperativus – იმპერატივუსი
impf. – imperfectum იმპერფექტუმი
if – in fine – ბოლოს
ind. – indicativus – ინდიკატივუსი
inf. – infinitivus – ინფინიტივი
Liv. – Livius – ლივიუსი
part. – participium – პარტიციპიუმი
plusquamperf. – plusquamperfectum პლუსკვამპერფექტუმი
praes. – praesens – პრეზენსი
pr. – principium – დასაწყისი
pl. – pluralis – მრავლობითი რიცხვი
sc. – scilicet – იგულისხმება
sestertius – სესტერციუსი (რომაული ფული)
sg. – singularis – მხოლობითი რიცხვი
sup. – supinum – სუპინუმი
Tac. – Tacitus – ტაციტუსი
Quint. – Quintilianus – კვინტილიანუსი

წყაროების შემოკლებები

აქტები 1921-1978 – საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული 1921-1978, თბილისი, თსუ, 1983.

აქტი 1918 – 1918 წლის 26 მაისის „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, გიორგი პაპუაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბათუმი 2009.

დიდი სჯ. – დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მომზადეს კ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, გ. დოლაკიძემ, გ. ნინუამ. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1975.

მცირე სჯ. – მცირე სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1972.

სამართ. ბატ. დავ. – სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, მეცნიერება, თბილისი 1964.

ქრონ. კრ. – საქართველოს სსრ კანონი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921-1940 წწ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1959.

ქსძ – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. 8 ტომი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1965-1985.

პირობითი ნიშნები

* – ტერმინის ტრანსკრიფცია კლასიკური ლათინურის მიხედვით
I. – ტერმინის მნიშვნელობა რომის სამართალში
II. – ტერმინის მნიშვნელობა მოქმედ კანონმდებლობაში
III. – ტერმინის პირველად დადასტურების შემთხვევა ქართულ სამართლებრივ სივრცეში
→ – იხილე

გამოყენებული ლიტერატურა

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი (ავტ.: ლ. ალექსიძე (რედ.), ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ.), თბილისი 2005.
- დიდი სჯულის კანონი (1975): გამოსაცემად მოამზადეს კ. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, გ. დოლაკიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- იურიდიული ლექსიკონი, ლ. დანელიშვილი, მ. მესხიშვილი (რედ.: გ. ნადარეიშვილი, ლ. ჭანტურია), თბილისი 2006.
- მცირე სჯულის კანონი (1972): გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- სამართალი ბატონიშვილის დავითისა (1964): ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, „მეცნიერება“, თბილისი.
- საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია (1926): იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა, ტფილისი.
- საქართველოს სსრ კანონთა წიგნი, 7 ტომად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, ტ. 1 – 1987, ტ. 2 – 1987, ტ. 3 – 1988, ტ. 4 – 1987, ტ. 5 – 1988, ტ. 6 – 1989, ტ. 7 – 1989.

- საქართველოს სსრ კანონი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული 1921-1940 წწ. (1959): სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული 1921-1978 (1983): თსუ, თბილისი.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (1949): სახელგამი, თბილისი.
- საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) (1986): გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი.
- საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მიღებულია საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის მიერ 1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ 1984 წლის 7 იანვრის, 1986 წლის 5 ივლისის, 1989 წლის 18 ნოემბრის, 1990 წლის 20 მარტის და 18 აგვისტოს, საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14, 15, 22 ნოემბრის, 11, 28 დეკემბრის, 1991 წლის 29 იანვრის, 27, 28 თებერვლისა და 20 მარტის კანონებით შეტანილი ცვლილებებით და დამატებით, თბილისი, 1991 წლის მარტი. გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი 1991.
- საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (1924): ტფილისი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა.
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი (1928 წ. რედაქციით) (ცვლილებებით 1944 წ. მარტის 1-მდე (1944): საქ. სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი.
- საქართველოს სსრ. სისხლის სამართლის კოდექსი, 1928 წ. რედაქციით, ცვლილებით 1954 წ. 1-ლ ნოემბრამდე (1954): სახელგამი, თბილისი.
- საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი, 1924 წლის რედაქციით (1924): ტფილისი.
- საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი (1924): ტფილისი.
- საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი, ლევან ბეჟაშვილი, თამარ ჩხაიძე, შოთა თარხნიშვილი, თბილისი 2008.
- ქართული სამართლის ძეგლები (1965-1985): ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, 8 ტომი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.
- ქართული სამართლის ძეგლები (1970): ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
- ქორწინებისა, ოჯახისა და მეურვეობის კანონთა კოდექსი (1926): ტფილისი.
- 1918 წლის 26 მაისის „აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია (2009): გიორგი პაპუაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბათუმი.

- A Dictionary of Law (Oxford Paperback Reference), Oxford University Press; 7 edition, 2013.
- Berger A., Encyclopedic Dictionary of Roman Law, Vol. 43, Part II (Clark: The LawBook Exchange, LTD, 1953).
- Black's Law Dictionary, Thomson West, 10 edition, 2014.
- Bouviers Law Dictionary and Concise Encyclopedia William S Hein & Co; 4 edition, 1984.

- Dictionario jurídico, Dykinson, S.L., 2011.
- Dictionnaire du vocabulaire juridique 2014, Lexis Nexis, 2013.
- Du Cange, Glossarium Mediae et Infimae Latinitatis, I Band, Graz 1954.
- Fachwörterbuch Einführung in die Rechtswissenschaften, Facultas; Auflage: 1, 2009.
- Fachwörterbuch Recht Deutsch-Russisch, Jourist, I, 2008.
- Fellmeth A. X., Horwitz M., Guide to Latin in international Law, Oxford 2009.
- Garner's Dictionary of Legal Usage, Oxford University Press; 3 edition, 2011.
- Gray J., Lawyers' Latin, London 2002.
- Juristisches Wörterbuch: Für Studium und Ausbildung, Vahlen; Auflage: 15., neubearbeitete Auflage, 2012.
- Langenscheidt Fachwörterbuch Kompakt Recht Englisch: In Kooperation mit Alpmann Schmidt, Englisch-Deutsch/Deutsch-Englisch (Langenscheidt Fachwörterbücher Kompakt), Langenscheidt Fachverlag; Auflage: 2. aktualisierte und erweiterte Auflage, 2009.
- Legal Terms für Juristen – Fachwörterbuch Englisch-Deutsch, Hemmer-Wüst; Auflage: 1, 2011.
- Lexique des termes juridiques 2014, Educa Books, 2013.
- Lexique juridique : Expressions latines, Lexis Nexis, 2010.
- Merriam-Webster's Dictionary of Law, Merriam Webster, 2011.
- Praxiswörterbuch Europarecht, Springer, Vienna 2008.
- Vocabulaire juridique, Presses Universitaires de France – PUF, 2014.
- Wörterbuch der Rechts- und Wirtschaftssprache Teil I: Französisch-Deutsch, C.H.Beck; Auflage: 6., neubearbeitete und erweiterte Auflage, 2007.
- Wörterbuch Recht und Wirtschaft, Band I: Spanisch-Deutsch, C.H.Beck; Auflage: 6, 2013.
- Wörterbuch Recht und Wirtschaft, Band II: Deutsch-Französisch, C.H.Beck; Auflage: 7., neubearbeitete und erweiterte Auflage, 2012.
- Бартошек М., Римское право, Москва 1989.
- Латинская юридическая фразеология, составитель проф. Б. С. Никифоров, Москва 1979.

წინასიტყვაობა

ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია რომის სამართლის წიაღში ჩამოყალიბდა.

რომის სამართალი შეიცავს კლასიფიკაციის საკმაოდ სრულ მოდელს, რომელიც, არსებითად, მოიცავს სამართლებრივი ფორმების ძირითად ნაწილს. მართალია, საუკუნეების განმავლობაში ცივილიზაციის განვითარებასთან და სხვადასხვა ცვლილებებთან ერთად ხდებოდა სამართლის ფორმების გამრავალფეროვნება, მაგრამ, არსებითად, რომაულმა კლასიფიკაციამ დღემდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ თანამედროვე ევროპული ქვეყნების ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლის იურიდიული ტერმინოლოგია, ძირითადად, რომაული სამართლის მიერ გამომუშავებული ფორმულებითა და ცნებებით საზრდოობს. დღესაც რომის სამართლის საფუძვლების ღრმა ცოდნის გარეშე შეუძლებელია მაღალი დონის პროფესიონალი იურისტის ჩამოყალიბება.

ამ საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისა და სტუდენტების წინაშე ხშირად დგას პრობლემა, როგორ უნდა დაიწეროს და ითარგმნოს ესა თუ ის ლათინური იურიდიული ტერმინი ან ფრაზეოლოგიური გამონათქვამი. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ლათინური იურიდიული ტერმინების თარგმნისას უზუსტობები, საჭიროა არა მხოლოდ იურისპრუდენციის, არამედ ლათინური ენის, როგორც იურიდიული სატერმინოლოგიო ენის, სათანადო ცოდნა.

ჯერჯერობით ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ მონოგრაფიული სახის ნაშრომი, რომელიც ამომწურავად დააკმაყოფილებდა საზოგადოების ინტერესს.

ამჟამად არსებული რამდენიმე საცნობარო ხასიათის წიგნი მცირე მოცულობის და ფაქტობრივი თუ ტერმინოლოგიური სახის უზუსტობების გამო ვერ შეესაბამება იმ სტუდენტთა და სპეციალისტთა მოთხოვნილებებს, რომელთაც იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენება უხდებათ სწავლისა თუ კვლევის პროცესში.

ნაშრომი „ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია“ წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით 2012-2014 წლებში დაფინანსებული პროექტის (ხელმძღვანელი: პროფ. ლევან ალექსიძე) საფუძველზე შექმნილ გამოკვლევას, რომელიც მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე.

პროექტით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელი იყო ინტერდისციპლინური კვლევის განხორციელება, რისთვისაც პროექტში ჩართულნი იყვნენ როგორც სამართალმცოდნეები (პროფ. ლევან ალექსიძე, ასისტ. პროფ. ნინო რუხაძე), ისე ფილოლოგები – ლათინური ენის სპეციალისტები (ასოც. პროფ. იამზე გაგუა, ასოც. პროფ. ეკატერინე კობახიძე, მეცნიერი-მკვლევარი მაია დანელია).

ტერმინოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით გამართული, მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველი, აკადემიურად შესრულებული ნაშრომის შექმნა და გამოცემა, რომელიც შეიცავს არა მარტო ლათინური ტერმინის თარგმანს, განმარტებას, ქართულ ეკვივალენტებს, არამედ ასევე ინფორმაციას პირველწყაროს შესახებ, ლემის მნიშვნელობას რომის სამართალსა და მოქმედ კანონმდებლობაში, ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადრეულ დადასტურებას, გარკვეული თვალსაზრისით სიახლეა ქართულ მეცნიერებაში.

შესავალი

ნაშრომი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: წინასიტყვაობა; შესავალი; I. ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია; II. ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები; III. რომაელი იურისტები და კანონმდებლები; IV. დანართი.

ნაშრომის ძირითად ნაწილში – ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია – წარმოდგენილია ლათინურ იურიდიულ ტერმინთა განმარტება და წარმომავლობის ისტორია. ტერმინის წაკითხვისას უზუსტობების თავიდან ასაცილებლად ლათინურ ტერმინს ახლავს ტრანსკრიფცია (როგორც კლასიკური, ასევე შუასაუკუნეების პერიოდის). ტერმინს მისადაგებული აქვს ქართული ეკვივალენტი. საჭიროებისამებრ დამოწმებულია ტერმინის პირველწყარო (რომაელი ავტორები, იურიდიული ტექსტები). მოცემულია ტერმინის რომის სამართალსა და ქართულ სამართლებრივ აქტებსა და წყაროებში დადასტურების შესახებ ინფორმაცია. თუ ტერმინი გამოიყენება თანამედროვე კანონმდებლობაში, მითითებულია შესაბამისი აქტი და მუხლი.

იმისთვის, რომ ნათლად წარმოვსახოთ ნაშრომის სტრუქტურა და ის პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში, მოვიყვანთ კონკრეტულ ნიმუშებს:

ნიმუში 1

codex, -dicis [კო´დექს „დაფა“] კოდექსი

I. წიგნად აკინძული, ცვილით დაფარული ხის ფირფიტები ან პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილები. c. accepti et expensi შემოსავლისა და გასავლის წიგნი.

II. საკანონმდებლო აქტი, რომელშიც გაერთიანებულია და სისტემატიზირებულია ერთგვაროვან სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (2011).

III. „ხოლო კოდიკოჲ არს სახელი ჰრომაული და ეწოდების გუჯარსა განვრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათმე პირთა და სჯულის-დებათასა და ესეცა მრავალ წიგნებად არს განყოფილ სიმრავლისათჳს, რომლისა წიგნებისა ნაწილები და თავები ფერად-ფერადთა მიზეზთათჳს წარმოიტყჳს“ (დიდი სჯ. სქ. 137)

ნიმუში 2

constitutio [*კონსტიტუ´ტიო/კონსტიტუ´ციო „დადგენილება, ნორმა, წესი“] კონსტიტუცია

I. დადგენილება, ნორმა, კანონი. როგორც ჩანს, უკვე რესპუბლიკის ხანაში არსებობდა კონსტიტუციები (მაგ: c. Rutiliana)

II. სახელმწიფოს ძირითადი და უზენაესი იურიდიული ძალის მქონე კანონი. „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“ (საქ. კონსტ. – 1995, მე-6(1) მუხლი)

III. „კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1921, მე-8 მუხლი)

ნიმუში 3

depositum [*დეპო´სიტუმ/დეპო´ზიტუმ „შენახვა“] დეპოზიტი

I. მოძრავი ნივთის უსასყიდლო და დროებითი გადაცემა შესანახად

II. 1. „დეპოზიტი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(ზ) მუხლი); 2. ვალდებულების შესრულების ან შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოსთვის, არბიტრაჟისთვის, ნოტარიუსისთვის ან სხვა ოფიციალური პირისთვის შესანახად გადაცემული ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები. „გირავნობით რამდენჯერმე დატვირთული საგნის რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნე ვალდებულია რეალიზაციის ხარჯების დაფარვისა და თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა შეინახოს ნოტარიუსთან დეპოზიტზე შემდგომი მოგირავნეების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 280(2)-ე მუხლი); 3. ფულადი თანხა, რომელსაც განათავსებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დასარეგისტრირებლად და რომელიც სრულად უბრუნდება მას შესაბამის არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტის მიღების შემთხვევაში. „...ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი...“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, 116(7)-ე მუხლი)

III. „სასამართლოს დეპოზიტად შეიძლება შეტანილ იქნეს ფული, ფასიანი ქაღალდი და ძვირფასი ნივთი...“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1924, ნაწილი მესამე, თავი XXIII, 204)

როგორც ნიმუშებიდან ჩანს, ლათინური ტერმინი სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი (ზოგჯერ ტერმინის ფუძის გამოსავლენად სიტყვას დართული აქვს ნათესაობითის დაბოლოებაც (ნიმუში 1). კვადრატულ ფრჩხილში წარმოდგენილია ტერმინის ტრანსკრიფცია, რომელიც ქართული ასოებით გადმოსცემს სიტყვის ჟღერადობას სათანადო მახვილების მითითებით. ზოგჯერ ტერმინს ტრანსკრიფციის ორი ვერსია ახლავს (ნიმუში 2, ნიმუში 3), რადგან გათვალისწინებულია როგორც კლასიკური, ისე შუასაუკუნეებისათვის ნიშანდობლივი წარმოთქმა. კლასიკური ვერსია ვარსკვლავით არის აღნიშნული და შუასაუკუნეების ვარიანტისაგან დახრილი ხაზითაა გამოყოფილი.

ტრანსკრიფციას მოსდევს ლათინური ტერმინის შესაბამისი ქართული თარგმანი და ლათინური ტერმინის ქართული შესატყვისი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. რომაული I-ით აღნიშნულია რომის სამართალში კონკრეტული ლათინური ტერმინის მნიშვნელობის, ფუნქციის განმარტება, რომელსაც მოსდევს II პუნქტი,

სადაც განხილულია მოქმედ კანონმდებლობაში მოცემული ტერმინის მნიშვნელობა და კონკრეტული ციტატა (საჭიროების შემთხვევაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე მნიშვნელობა შესაბამისი ციტატებით – ნიმუში 3). III პუნქტში ასახულია ამ ლათინური იურიდიული ტერმინის ადრეული დადასტურების შემთხვევა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში.
განვიხილოთ ყოველ პუნქტთან დაკავშირებული პრობლემატიკა.
დავიწყოთ თავად ტერმინებიდან.

უნდა ითქვას, რომ ნაშრომში თავი მოიყარა არა მხოლოდ რომაული სამართლის წიაღში წარმოქმნილმა ლემებმა, რომლებიც გამოკვლევაში შევიტანეთ უახლესი ევროპული ლექსიკონების გათვალისწინებით, არამედ შუასაუკუნეების და უფრო გვიანდელ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა ლათინურმა იურიდიულმა ტერმინებმა (დაახლ. 400 ერთეული).

აღნიშნული ტერმინების ნუსხაში ჩართვა ამ სიტყვების თანამედროვე კანონმდებლობაში გამოყენებამ განსაზღვრა. მაგალითად, რამდენიმე ტერმინი: advocatura, procuratura, codificatio, certificatio რომაულ სამართალში არ დასტურდება, შესაბამისად, არც კლასიკური ხანის ლათინური ენის ლექსიკონებში არ დასტურდება, თუმცა მათ აქვთ ლათინური ეტიმოლოგია და ისინი გამოიყენებიან თანამედროვე კანონმდებლობაში. ჩვენს წინაშე დადგა ამ ტერმინთა ვერიფიკაციის პრობლემა. ამ მიზნით დამატებით შევისწავლეთ შუა საუკუნეების ლათინური ენის ლექსიკონები, სადაც რომის სამართალში და, ზოგ შემთხვევაში, თავად შუასაუკუნეებამდელ, ე. წ. კლასიკურ ლათინურში არარსებული სიტყვები უკვე იურიდიული ტერმინის მნიშვნელობით გვხვდება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში მოხვედრილი ტერმინები სხვა ენების (ბერძნულის, რუსულის, ფრანგულის, გერმანულის, ინგლისურის) გზით არის შემოსული, რაც ტერმინის ფორმის გარკვეულ სახეცვლილებას იწვევს. მაგრამ თუ ლათინური ტერმინი სხვა ენის გავლენით მნიშვნელოვნად არის შეცვლილი, ის არ შევიტანეთ საერთო ნუსხაში, მაგ: პლურალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, მუნიციპალიტეტი, პარლამენტი. უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც მიჩნეულია ფრანგულიდან, ბერძნულიდან, გერმანულიდან და ინგლისურიდან მომდინარედ.

საყურადღებოა აგრეთვე ტერმინის სწორად წარმოთქმის პრობლემა. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ნაშრომი განკუთვნილია როგორც პროფესიონალი იურისტებისა და სტუდენტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის, საჭიროდ მივიჩნიეთ ლათინური ტერმინისთვის ქართული ტრანსლიტერაციით შესაბამისი ტრანსკრიფციის მითითება. როგორც აღვნიშნეთ, ტერმინს მოსდევს ორი ტრანსკრიფცია: კლასიკური და შუა საუკუნეების (ახ. წ. IVს-დან) წარმოთქმის გათვალისწინებით. ვფიქრობთ, ორივე ვარიანტის მითითება აუცილებელი იყო იქიდან გამომდინარე, რომ ტერმინები გამოიყენებოდა როგორც IV საუკუნემდე, ისე მის შემდგომ პერიოდშიც. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ტერმინის ზუსტ წარმოთქმასთან დაკავშირებული ორჭოფობის გადაჭრას ემსახურება.
რაც შეეხება ლათინური ტერმინის ქართულად გადმოტანას, უნდა ითქვას, რომ ლათინური ლემისათვის ქართული შესატყვისის მოძიება ხდებოდა ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში არსებული ტერმინების მიხედვით. ამავდროულად,

ლათინური ტერმინების ქართულად გადმოცემისას ვითვალისწინებდით ტრადიციულად დამკვიდრებულ წესებს, რომელთა თანახმად:

1) -ia-ზე დაბოლოებული სახელი ქართულადაც -ია-თი ბოლოვდება, რაც ბუნებრივია ქართულისთვისაც და მისი გადმოცემა არავითარ სირთულეს არ ქმნის. მაგ. **materia** მატერია, მასალა, რისგანაც არის დამზადებული რაიმე; **memoria** მემორია, მეხსიერება, ხსოვნა, მოგონება.
2) -tia სუფიქსიანი ტერმინები ქართულად ტრადიციულად -ცია დაბოლოებით გადმოდის: **sententia** სენტენცია, აზრი, განაჩენი; **indulgentia** ინდულგენცია, შეწყალება; **patientia** პაციენცია, მოთმინება; **potentia** პოტენცია, ძალა.
3) -tio სუფიქსიანი სახელებიც -ცია-თი გადმოდის ქართულად: **probatio** პრობაცია, მოწონება; **degustatio** დეგუსტაცია, დაგემოვნება; **ovatio** ოვაცია (მცირე ტრიუმფი); **frustratio** ფრუსტრაცია, შეცდომაში შეყვანა; **eruditio** ერუდიცია, განათლება.
4) -sio სუფიქსიანი ტერმინები -სია-თი გადმოიცემა: **expansio** ექსპანსია; **expressio** ექსპრესია, გამომსახველობა; **excisio** ექსცისია, დანგრევა (ქალაქის); **remissio** რემისია, შესუსტება.
5) ზოგჯერ -tio და -io სუფიქსიანი სახელები ინარჩუნებენ ფუძისეულ -n თანხმოვანს, რაც სახელობითში არ ჩანს და სხვა ბრუნვებში (წოდებითის გარდა) აღდგება: **decurio** (ნათ. **decurionis**) დეკურიონი, ათეულის მეთაური; **regio** (ნათ. **regionis**) რეგიონი, მხარე; **motio** (ნათ. **motionis**) მოციონი, მოძრაობა; მაგრამ ამავე ძირის სიტყვა **emotio** (ნათ. **emotionis**) გადმოდის სახელობითის ფორმით: ემოცია, ამოძრავება, რაც ფრანგულის გზით არის შეთვისებული.
6) -(i)um სახელები საშუალო სქესისაა, მათი ნაწილი ინარჩუნებს -um დაბოლოებას: **beneficium** ბენეფიციუმი, წყალობა; **praesidium** პრეზიდიუმი, დაცვა; **consilium** კონსილიუმი, რჩევა, თათბირი; ნაწილი ამ სუფიქსიანი სახელებისა ჩამოიცილებს -(i)um დაბოლოებას: **argumentum** არგუმენტი, საბუთი; **documentum** დოკუმენტი, ნიმუში; **testamentum** ტესტამენტი, ანდერძი; **suicidium** სუიციდი, თვითმკვლელობა; **plebiscitum** პლებისციტი, ხალხის გადაწყვეტილება; ნაწილი ამ ტიპის სახელებისა -ია დაბოლოებით გადმოდის: **imperium** იმპერია, ძალაუფლება; **stipendium** სტიპენდია, სამხედრო მოსამსახურეთა ქირა; **praemium** პრემია, ჯილდო; **subsidium** სუბსიდია, დახმარება. ამ სახელებისათვის -ia მრავლობითი რიცხვის ფორმანტია: **imperia**, **stipendia**, **praemia**, **subsidia**.
7) -fex (ნათ. -cis) სუფიქსიანი სახელები მხოლობითის ფორმითაც გადმოიცემა და მრავლობითისაც: **pontifex** პონტიფექსი, უმაღლესი ქურუმი (მხოლ. რიცხვის სახელობითი), **pontifices** პონტიფიკები (მრავ. რიცხვი; ამოსავალია სახელის ფუძე **pontific-**), შესაძლებელია პონტიფექსებიც (მხოლ. რიცხვის ფორმიდან).
8) -arius სუფიქსიან სახელთა ნაწილი არსებითია, ნაწილი კი – ზედსართავი. ზოგიერთი სახელობითის ფორმით გადმოდის, ზოგიერთი სახელი კი -us-ის გარეშე გადმოიცემა: **archivarius** არქივარიუსი, არქივის გამგე; **notarius** ნოტარიუსი, მდივანი, მაგრამ **beneficiarius** ბენეფიციარი, გარკვეული შეღავათებით მოსარგებლე; **emisarius** ემისარი, საგანგებო დავალებით გაგზავნილი პირი.

9) ასევეა -arium-ზე დაბოლოებული სახელებიც. ზოგი ინარჩუნებს -um დაბოლოებას, ზოგიც ჩამოიშორებს: compendium კომპენდიუმი, მოკლე შინაარსი, მაგრამ commentarium კომენტარი, შენიშვნა.

10) -ns (ნათ. -ntis) სუფიქსიან სახელთა უმრავლესობა ინარჩუნებს ფუძისეულ -t თანხმოვანს: patiens (ნათ. patientis) პაციენტი, მომთმენი; migrans (ნათ. migrantis) მიგრანტი, გადასახლებული, მაგრამ გვაქვს რამდენიმე არა იურიდიული ტერმინი სახელობითის ფორმით; (homo) sapiens (ჰომო) საპიენსი, (Iuppiter) Omnipotens (იუპიტერ) ომნიპოტენსი, ყოვლისშემძლე; მათემატიკური ტერმინები: secans (ნათ. secantis) სეკანსი, გადამკვეთი, tangens (ნათ. tangentis) ტანგენსი, მხები.

არის შემთხვევები, როცა სახელი აშკარად ლათინურია, მაგრამ წარმოთქმა არ შეესაბამება არც კლასიკურს და არც შუასაკუნეების ლათინურს. მაგ., გვაქვს mancipatio, რაც ქართულად გვაძლევს მანციპაცია-ს, მაგრამ იმავე ძირიდან ნაწარმოები emancipatio გადმოვიდა ემანსიპაციად (ci-ს si-დ წაკითხვა არ არის დამახასიათებელი ლათინურისთვის). ეს აიხსნება იმით, რომ ეს ტერმინი რუსულიდან არის შეთვისებული, სადაც იგი რომელიმე ევროპული ენიდან მოხვდა.

ჩვენ მხოლოდ ისეთი სუფიქსები განვიხილეთ, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიყენება ტერმინთა წარმოებაში და ვნახეთ, რომ მათი გადმოცემისას აბსოლუტური ერთგვაროვნება არ არის. ამის მიზეზი ის არის, რომ ეს ტერმინები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გზით შემოვიდა ქართულში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ტრადიციას ვითვალისწინებთ ამ სახელთა გადმოცემისას, მაგრამ გარკვეული პრობლემის წინაშე ვდგებით, როცა ახალი ტერმინის გადმოცემა გვიხდება, მაგ. hereditarius ჰერედიტარი თუ ჰერედიტარიუსი, მემკვიდრე; fructuarius ფრუქტუარი თუ ფრუქტუარიუსი, პირი, რომელსაც დროებით აქვს მინიჭებული უფლება ფლობდეს ნივთს.

როცა ლათინურ ტერმინს არ ეძებნება ქართული შესატყვისი, ვუწერთ მხოლოდ თარგმანს და განმარტებას. მაგ. iussum [იუ´სსუმ „ბრძანება“] ბრძანება, განკარგულება.

რომის სამართალში კონკრეტული ტერმინის სემანტიკური ველის დადგენა ხორციელდებოდა რომის სამართლის ცნობილი წყაროების გათვალისწინებით. აქ ძირითადად ვეყრდნობით შემდეგ საბაზისო ნაშრომებს: A. Berger, Encyclopedic Dictionary of Roman Law, Vol. 43, Part II (Clark: The LawBook Exchange, LTD, 1953); A. X. Fellmeth, M. Horwitz, Guide to Latin in international Law, Oxford 2009; J. Gray, Lawyers' Latin, London 2002; М. Бартошек, Римское право, Москва 1989.

მომდევნო, მეორე (II) პუნქტი, როგორც აღვნიშნეთ, ეძღვნება კონკრეტული ლათინური ტერმინების მნიშვნელობის განმარტებას და მოქმედ კანონმდებლობაში აღნიშნული ტერმინების შესაბამისი ციტირებით დადასტურებას. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება ისეთი ტიპის ნაშრომი ან ელექტრონული ბაზა, სადაც სრულყოფილად, უშეცდომოდ და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად იქნებოდა წარმოდგენილი ყველა ის იურიდიული ტერმინი და მათი განმარტება, რომელიც კანონმდებლობაშია ასახული. აქედან გამომდინარე, ტერმინთა განმარტებისათვის ვისარგებლეთ უცხოენოვანი იურიდიული ენციკლოპედიური ნაშრომებით და თავად ქართულ საკანონმდებლო აქტებში

მოცემული განმარტებებით (აქ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ტერმინის მოყვანას სამართლებრივ აქტში ახლავს მოკლე ახსნა-განმარტება).

სირთულეს წარმოადგენს ყველა იმ ტერმინის მოძიება, რომელიც საქართველოს სამართლებრივ აქტებშია ასახული. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში მოქმედებს ურიცხვი საკანონმდებლო აქტი, საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებსაც საქართველოში მოქმედი კანონის ძალა აქვთ; კიდევ უფრო დიდი რაოდენობით გვხვდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, როგორებიცაა ბრძანებულებები, ბრძანებები, განკარგულებები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში იურიდიული ტერმინები გვხვდება უფრო ხშირად, ვიდრე თავად საკანონმდებლო აქტებში. ამ ვითარებაში ძალიან რთული აღმოჩნდა იმ ტერმინთა მოძიება, რომლებსაც აქვთ ლათინური ფუძე და რომლებითაც ოპერირებენ ქართული სამართლებრივი აქტები.

საინტერესოა, რომ რომის სამართალში ზოგიერთი ტერმინის სემანტიკა ხშირად განსხვავდება მისი თანამედროვე მნიშვნელობისგან. ასე, მაგალითად, ტერმინს ლიმიტი (limes, -itis) რომის სამართალში ჰქონდა იურიდიული მნიშვნელობა და აღნიშნავდა საზღვარს სახელმწიფოებს შორის. ქართულ საკანონმდებლო სივრცეში აღნიშნულ ტერმინს არა აქვს იურიდიული დატვირთვა. ამის გათვალისწინებით მსგავს ლემებთან მიმართებაში ნაშრომში მეორე პუნქტი ამოღებულია. აღსანიშნავია აგრეთვე საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც მოქმედ კანონმდებლობაში გვხვდება ისეთი ლათინური ტერმინები, რომლებიც რომის სამართალში არ გამოიყენებოდა. მსგავს შემთხვევებში, შესაბამისად, ნაშრომში პირველი პუნქტი შეტანილი არ არის და მოყვანილია ტერმინის მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომელიც მან მოქმედ კანონმდებლობაში შეიძინა.

საყურადღებოა აგრეთვე პრობლემა, რომელიც უკავშირდება ლათინური ტერმინის რამდენიმე მნიშვნელობით გამოყენების საკითხს ქართულ კანონმდებლობაში. ჩვენ ეს პრობლემა შეკრებითობის პრინციპის დაცვით გადავჭერით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გავითვალისწინეთ ყველა მნიშვნელობა და დავიმოწმეთ ყველა შესაბამისი კონტექსტი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ტერმინი ნეიტრალური. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობებით:

1. ნეიტრალური სახელმწიფო – 1.1) სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია, არ მიიღოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში (გარდა თავდაცვითი ომებისა), არ გაწევრიანდეს სამხედრო კოალიციებში, არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების სამხედრო ძალების განთავსება; 1.2) სახელმწიფო, რომელიც არ ემხრობა არც ერთ მეომარ მხარეს. „საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ემბლემის დაცვითი ფუნქციით გამოყენების უფლება შეიძლება მიეცეთ შემდეგ პირებსა და ობიექტებს: ა) პირები: ა.ბ) ამ კონფლიქტში ნეიტრალური და სხვა ქვეყნების წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების თანამშრომლები...“ (საქართველოს კანონი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემებისა და სახელწოდებების შესახებ – 1997, მე-5(ა)(1) მუხლი);

2. პირადობის ნეიტრალური მოწმობა, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაიცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, რომელთაც არა აქვთ მიღებული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწ-

მობა ან პასპორტი. „პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების უფლება არა აქვს პირს, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან/და საქართველოს მოქალაქის პასპორტი“ (საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ – 1996, მე-2013(2)-ე მუხლი);

მეტად საინტერესო თემას წარმოადგენს ლათინური ტერმინის ქართულ სამართლებრივ სივრცეში ადრეული დადასტურების საკითხი, რომელიც ნაშრომში პირობითად რომაული III-თაა აღნიშნული. ამ პუნქტის ჩართვა ნაშრომში, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა იმ მოცემულობამ, რომ ეს საკითხი სისტემური სახით აქამდე არ ყოფილა შესწავლილი და კვლევის შედეგები საინტერესო იქნებოდა როგორც სამართლის ისტორიის, ისე ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით.

ამ მიზნით დამუშავდა ქართული სამართლის ძეგლები, საბჭოთა, პოსტსაბჭოთა პერიოდის და მოქმედი კანონმდებლობა.

ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია, ქართული სამართლის წყაროებში მისი დამკვიდრების ქრონოლოგიის თვალსაზრისით, შეგვიძლია პირობითად შემდეგ ჯგუფებად დავყოთ:

ა) XI-XII სს.-ში შემოსული ტერმინები;

ბ) XVIII-XIX სს.-ში პირველად დადასტურებული ტერმინოლოგია;

გ) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებში პირველად წარმოდგენილი იურიდიული ტერმინები;

დ) საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იურიდიული ტერმინოლოგია;

ე) პოსტსაბჭოთა და მოქმედ კანონმდებლობაში პირველად დადასტურებული ტერმინები.

მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეული პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ტენდენციებს.

ა) XI-XII სს.

ცხადია, რომ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობა, რომელიც ამ პერიოდისათვის არის ნიშანდობლივი, თანაბრად შეეხო სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტს, მათ შორის სამართლებრივსაც.

სწორედ ამ ეპოქაში, რომელშიც აშკარად მატულობს ე. წ. დასავლური ტენდენციები, ანტიკურობის რეცეფცია და ევროპულ კულტურასთან ზიარებისკენ ლტოლვა, პირველად ჩნდება ქართულ იურიდიულ სივრცეში ლათინური ტერმინოლოგია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ეს პროცესი საეკლესიო სამართლის წიაღში იღებს დასაბამს.

ამ ქრონოლოგიური პერიოდის სამართლის წყაროებში ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია დასტურდება როგორც ნათარგმნ ძეგლებში და მათ სქოლიოებში, ისე ორიგინალურ ტექსტებში.

ამ წყაროებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი“ (1084 წ)[1], „ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ“ (1103 წ)[2], დიდი სჯულისკანონი[3] და მცირე სჯულისკანონი[4].

გთავაზობთ ამ ტერმინთა ჩამონათვალს:

	ლათინური ფორმა	ქართული ფორმა	წყარო	ტერმინის მნიშვნელობა
1)	Codicillis	„კოდიკი“	დიდი სჯ. 142,16	საანდერძო აქტის დამატება
2)	Codex	„კოდიკოი“	დიდი სჯ. სქ. 137	კოდექსი
3)	Commonitorium	„კომონიტორი“	დიდი სჯ. 287,35	შემახსენებელი წერილი
4)	Curator	„კურატორი“	დიდი სჯ. 180,1	მზრუნველი
5)	Digesta	„დიგესტონი“	დიდი სჯ. სქ. 137	დიგესტები
6)	Domesticus	„დემესტიკოსი/ დემესტლიკოსი“	პეტრიწონის ტიპიკონი	წინამძღვარი
7)	Famosus	„ფამოი“	დიდი სჯ. 183,4	ცილისმწამებელი წერილი
8)	Institutio	„ინსტიტუტიონნი“	დიდი სჯ. სქ, 136	ინსტიტუტები, იუსტინიანეს მიერ 533 წ. გამოცემული სამართლის სახელმძღვანელო
9)	Legatus	„ლიღატი“	დიდი სჯ. 137,16	საანდერძო წიგნის დანამატი
10)	Libellus	„ლიველონი“	დიდი სჯ. 136	წარწერა, აბრა ოფიციალური განცხადება
11)	Privatus	„პრივატი“	დიდი სჯ. 179,4	იმპერატორის კერძო ქონება

ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული ტერმინები პირველად გვხვდება ქართულ სამართლებრივ სივრცეში, დასტურდება, უპირველეს ყოვლისა, იმ მოცემულობით, რომ მათ წყაროებში, როგორც წესი, ახლავთ საკმაოდ დაწვრილებითი განმარტებები.

მაგალითად „დიდი სჯულისკანონის“ სქოლიოებში ახსნილია არა მხოლოდ ტერმინთა მნიშვნელობა, არამედ მითითებულია მათი ეტიმოლოგიაც.

„ხოლო კოდიკოჲ არს სახელი ჰრომაული და ეწოდება გუჯარსა გავრცელებით მქონებელსა სამეფოთა რაიმე პირთა და სჯულისდებათასა და ესეცა მრავალ

1 ქართული სამართლის ძეგლები, 8 ტომად, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1965-1985, ტ. III (ქსძ) (პეტრიწონის ტიპიკონი).

2 ქსძ, ტ. III (ძეგლისწერაჲ).

3 დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, „მეცნიერება“, თბილისი 1975 (დიდი სჯ.).

4 მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გიუნაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი 1972.

წიგნებად არს განყოფილ სიმრავლისათჳს, რომლისა წიგნებისა ნაწილები და თავები ფერად-ფერადთა მიზეზთათჳს წარმოიტყჳს“ (დიდი სჯ. სქ. 137).

„დიგესტონი კულა ეწოდების ჰრომაულად წიგნსა ყოველთა უპირატესთა ბრძენთა ვითარ სოკრატის, სოლონის, პლატონის, არისტოტელის და ესევითართა სამოქალაქო წესთა და შემოკლებით მქონებელსა წიგნსა მრავალ ნაწილსა, რომლისა თითოეული ნაწილი წასვლის თითოსახეთა პირთაგან“ (დიდი სჯ. სქ. 137).

ის, რომ ტერმინი „ჰრომაულთა“ აქ ნამდვილად რომაულსა და ლათინურს აღნიშნავს (და არა ბიზანტიურს, როგორც ეს შეიძლება ვივარაუდოთ „ქართლის ცხოვრების“ სიმონ ყაუხჩიშვილისეულ ლექსიკონზე დაყრდნობით)[5], დასტურდება დიდი სჯულისკანონის სქოლიოებიდანვე, სადაც განმარტებულია, რომ „ესე წოდებანი სახე არიან ჰრომაულთა, აწ ბერძენთა შორის, მყოფთა სამოქალაქო წიგნთაგანი“ (დიდი სჯ. სქ. 137), საიდანაც აშკარად იკვეთება ქრონოლოგიური მიმდევრობა რომაელთა-ბერძენთა, რაც ტერმინის „ჰრომაულთა“ „ბიზანტიურ“-ად გაგებას სრულიად გამორიცხავს.

როგორია ამ ტერმინთა სესხების გზა?

თვალის ერთი გადავლებითაც აშკარად ჩანს, რომ ეს ლათინური ტერმინოლოგია ქართული სამართლის ძეგლებში ბერძნული გზითაა ნასესხები. ამას, პირველ რიგში, ადასტურებს ქართული ტერმინების ე. წ. ბერძნული ყალიბები.
მოვიყვანთ კონკრეტულ მაგალითებს შედარებისათვის:

ქართ.	**ბერძნ.**	**ლათ.**
„დიგესტონი“	Δίγεστων	digesta
„ინსტიტუტიონი“	Ινστιτουτίων	institutio
„კომონიტორი“	κομμονιτώριον	commonitorium
„ლიველონი“	λιβέλλον	libelli

ყურადსაღებია აგრეთვე ამ უკანასკნელ ტერმინში **λιβέλλον** „β“-ს „ვ“-დ წაკითხვა, რაც ბიზანტიური პერიოდის ბერძნულისათვის არის ნიშანდობლივი. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ტერმინში: „პრივატი“ (**πριβάτος**), რაც შეეხება ტერმინს „ლიღატი“ (**λεγάτος**), ამ შემთხვევაში „γ“ „ღ“-დ არის გადმოტანილი.

ამასთან, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი ბერძნულის გზით ნასესხები ლათინური იურიდიული ტერმინი ქართულად დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ბერძნულთან მიმართებაში.

მაგალითად:

ქართ.	**ბერძნ.**
„ფამოი“	Φάμουσα
„კოდიკი“	Κωδικίλλος
„ლიღატი“	Λεγάτος
„დემესტიკოსი | დემესტლიკოსი“	Δομέστικος

ამ ორი ფაქტორის (ქართულ ტერმინში გვიანდელი ბერძნული წაკითხვის წესის ასახვა და ზოგჯერ ბერძნულთან მიმართებაში დამახინჯებული ფორმით წარ-

5 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი 1955, გვ. 417.

მოდგენა) გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლათინური იურიდიული ტერმინების ბერძნულიდან ქართულში შემოსვლა მოხდა არა წერილობითი, არამედ ზეპირი გზით.

ჩვენი ამ თვალსაზრისის ნაწილობრივ დადასტურებას ვხვდებით ივანე ჯავახიშვილის განმარტებაში „დიდი სჯულისკანონში“ წარმოდგენილ ტერმინ „კოდიკოისთან“ დაკავშირებით: „სიტყვა ლათინურია, – აღნიშნავს ქართველი მკვლევარი, – (codex). კოდექსი ნასესხებ ბერძნულ ფორმას წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ ზეპირად შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს“[6].

საინტერესოა, რომ XI-XII სს. სამართლის ძეგლებში გვხვდება რომის სამართალთან დაკავშირებული საკუთარი სახელებიც. ესენია:

1. Augustus, C. Iulius Caesar Octavianus („ავღვისტოს“ „ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ“ (1103წ.) (ქსძ, III, 125), ოქტავიანუს ავგუსტუსი, არაერთი კანონის ინიციატორი.

2. Iustinianus I („იუსტინიანე“ „მცირე სჯულისკანონი“, 18) იუსტინიანუს I, რომელიც ცდილობდა რომის სამართლის აღორძინებას და, ამავდროულად, მისთვის ქრისტიანული შეფერილობის მინიჭებას. მისი ბრძანებით შემუშავდა Corpus iuris civilis.

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ ფორმაზე „ავღვისტოს“, რომელიც „ძეგლისწერაის“ ავტორ არსენ ბერს (იყალთოელს) დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შესაფასებლად აქვს გამოყენებული, არსენ ბერი აღნიშნავს, რომ დავით მეფე იყო „განმადიდებელი ფლობისა (ანუ ძალაუფლების, სამფლობელოს გამაფართოებელი) ვითარცა ავღვისტოს კეისართა შორის“ [იყო გამორჩეული ე.კ.][7].

საყურადღებოა, რომ „ავღვისტოს“ და მისგან ნაწარმოები ზედსართავული ფორმა „ავღვისტიანი“ ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში, როგორც ეპითეტი, არაერთგზის დასტურდება. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება „ქართლის ცხოვრებაში“ ქართველ გვირგვინოსანთა დასახასიათებლად. ეს კი ქართული სამართლის ძეგლებში დადასტურებული ტერმინების იმდროინდელი ეპოქის საერთოკულტურულ კონტექსტში განხილვის საშუალებას გვაძლევს.

მცირე დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ XI-XII სს. ქართული სამართლის ძეგლებში დადასტურებული ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია უმეტესად ბერძნული გზითაა ნასესხები. აქედან, ნაწილი, როგორც ჩანს, არა წერილობითი, არამედ ზეპირი გზით არის შეთვისებული.

ეს ფაქტი, ვფიქრობთ, სრულიად ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გვაქვს XI-XII სს. საეკლესიო სამართალთან, რომლის ნორმების დიდი ნაწილის შემოტანა, გასაგები მიზეზების გამო, ხდებოდა ბერძნული ენიდან და, ამასთან, მათი გავრცელება ზეპირი გზითაც ხორციელდებოდა. ეს, ცხადია, გარკვეულ უზუსტობებს იწვევდა, რასაც თავის დროზე აღნიშნავდა გიორგი მთაწმინდელი და ცდილობდა სასულიერო ლიტერატურის თარგმნით და მწიგნობრობის გავრცელებით ეს ხარვეზი აღმოეფხვრა[8].

ბ) XVIII-XIX სს.

---

6 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტომი VI, 1984, გვ. 30.

7 ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ (1103 წ.) ქსძ, III, 125.

8 გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, ტომი მეორე, თბილისი 1987, გვ. 99, გვ. 113.

XII ს-დან XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოს სამეფოს მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის ფონზე სუსტდება ქართული სამართლის ევროპის სამართალთან კავშირი და, შესაბამისად, ფერხდება და, შეიძლება ითქვას, საერთოდ წყდება ლათინური იურიდიული ტერმინების ქართულ სამართლებრივ სივრცეში შემოსვლა. საქართველოს რუსეთთან დაახლოებამ კარი გაუხსნა ევროპული სამართლის შესახებ ინფორმაციის ახალი ნაკადის შემოსვლას და ევროპულ სამართალში დამკვიდრებული ლათინური იურიდიული ტერმინების გამოჩენას ქართული სამართლის ძეგლებში.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

1. appellatio („აპელაცია“ – სამართ. ბატ. დავ. C 2.23) – „სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში“[9].
2. articulus („არტიკული“ – ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ)[10] – „კანონზე მითითება, მიწერა, შუალედური სასამართლო გადაწყვეტილება“.
3. caerimonia („ცერემონია“ – განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა (1798 წ.)[11] –„საზეიმო წესით ჩატარებული რაიმე ღონისძიება და მისი ჩატარების წესი“.
4. candidatus („კანდიდატი“ – სამართ. ბატ. დავ. 6, 8) – „სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში ასარჩევად ან დასანიშნად წარმოდგენილი პირი“.
5. classis („კლასი“ – სამართ. ბატ. დავ. 238) – „მოსახლეობის ფენა“.
6. collegia („კოლლეღიის“ – ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ (1783 წ.)[12] – „თანამდებობის პირთა ჯგუფი“.
7. deputatus („დეპუტატმან“ – წესი უზენაესის სამეგრელოის სასამართლოისა – 1856 წ.)[13] – „მოსახლეობის მიერ არჩეული სახელმწიფოს საკანონმდებლო ან სხვა წარმოდგენლობითი ორგანოს წევრი“.
8. generalis („ღენერალთა“ – სამართ. ბატ. დავ. 144) – „უმაღლესი სამხედრო წოდება ან ჩინი“.
9. gubernator („ღუბერნატორთაგან“ – სამართ. ბატ. დავ. C, 16) – „გუბერნატორი, მმართველი“.
10. imperator („იმპერატორმან“ – შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა ქუთაისის ღმრთისმშობლისადმი“ (1773წ.)[14] – „იმპერატორი, მმართველი“.
11. imperium („იმპერიისა“ – სამართ. ბატ. დავ. C, 1) – „იმპერია, მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში უდგას იმპერატორი“.
12. investitura („ინვესტიტურის“ – ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ (1783წ.) ქსმ II, 464) – „შუასაუკუნეებში მიწის, თანამდებობის გადაცემა სათანადო ცერემონიით“.

---

9 სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, მეცნიერება, თბილისი 1964 (სამართ. ბატ. დავ.).

10 ქსძ, ტ. II, 478.

11 ქსძ, ტ. II, 534 ქს.

12 ქსმ, ტ. II, გვ. 460.

13 ქსმ, VIII, გვ. 815.

14 ქსმ, VII, 429.

როგორც ვხედავთ, ლათინური წარმომავლობის იურიდიული ტერმინოლოგია, რომელიც XVIII-XIX სს. მიჯნაზე ჩნდება ქართული სამართლის ძეგლებში, ძირითადად ასახავს იმ რეგულაციებს და თანამდებობებს, რომელიც რუსეთის იმპერიის ფარგლებში იყო დამკვიდრებული. ისიც აშკარაა, რომ ქართული ტერმინები ამ მიზეზით რუსული ტრანსკრიფციის და ყალიბის მიხედვითაა შედგენილი მაგალითად:

ლათ.	**რუს.**	**ქართ.**
Articulus	артикуль	არტიკული
Caerimonia	церемония	ცერემონია
Candidatus	кандидат	კანდიდატი
Classis	класс	კლასი
Imperium	империя	იმპერია

ლათინურ იურიდიულ ტერმინთა ეტიმოლოგია ამ ეპოქის ქართული სამართლის ძეგლებში, განსხვავებით წინა პერიოდისაგან, როგორც წესი, არ არის მითითებული.

გამონაკლისს წარმოადგენს სიტყვა აპელაცია, რომელიც პირველად ჩნდება წყაროში „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, სადაც ნათქვამია: „ლექსი ესე აპელაცია არს ფრანგულ, რომელიც ნიშნავს ენასა ჩვენსა ზედა უზენაესთა ადგილთა სარჩელის შეტანასა“[15]. გამომდინარე იმ მოცემულობიდან, რომ სიტყვა „ფრანგული“ იმ პერიოდის ლექსიკაში რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია („ფრანგული“, „კათოლიკური“ , „უცხოური“), დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში მოცემული ეს ფრაზა სხვადასხვანაირად შეიძლება გავიგოთ. შესაძლოა, აქ მითითებული იყოს ტერმინ appellatio-ს რუსულ სამართალში შესვლის გზა (ფრანგული ენიდან). თუმცა, თუკი დავეყრდნობით სხვა მნიშვნელობებს, არც ისაა გამორიცხული, რომ აქ იგულისხმებოდეს სიტყვის „უცხოური“, „კათოლიკური“ (ე.ი. ლათინური) წარმომავლობა.

შევნიშნავთ, რომ დავით ბატონიშვილს, ამ ფართოდ ერუდირებულ ადამიანს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ტერმინი აპელაცია ჯერ კიდევ რომის სამართალში იყო დამკვიდრებული და გულისხმობდა მაგისტრატის ან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას.

ამგვარად, XVIII-XIX სს. მიჯნაზე ქართული სამართლის ძეგლები ნათლად ასახავენ იმ რეალობას, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სუფევდა. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნს, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სამართლის იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს სამართალთან, თუნდაც რუსულის გზით, ჰარმონიზაციას, არ ეწერა პრაქტიკული იმპლემენტაცია. იგი, გასაგები მიზეზების გამო, იქცა თეორიულ თხზულებად და აუხდენელ, განუხორციელებელ ოცნებად მეფის რუსეთის კოლონიადქცეული ქვეყნისათვის, რომელსაც XX საუკუნემდე არ ღირსებია მშობლიურ ენაზე დაწერილი კანონები.

ამავდროულად, ეს პერიოდი იქცა მოსამზადებელ ეტაპად იურიდიული ტერმინოლოგიის და, კერძოდ, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის ქართულად გაფორმების პრინციპების შემუშავების თვალსაზრისით – ეს არის XI-XII საუკუნეე-

15 სამართ. ბატ. დავ. C 2,23.

ბში დამკვიდრებული via Graeca-ს ჩანაცვლება სესხების ახალი გზით, via Russica-თი, რაც, პირველ რიგში, პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული.

გ) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდი (1918-1921)

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდის სამართლის ძეგლები, ცნობილი მიზეზების გამო, ძალზე მცირერიცხოვანია, მათში მაინც ჩანს რამდენიმე მნიშვნელოვანი ლათინური იურიდიული ტერმინი, რომელთა შორისაა:

Constitutio – კონსტიტუცია (საქართველოს კონსტიტუცია 1921, მე-8 მუხლი)[16] „კონსტიტუცია, სახელმწიფოს ძირითადი და უზენაესი იურიდიული ძალის მქონე კანონი“.

Declaratio – დეკლარაცია (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918, დამატება V)[17] „საერთაშორისო აქტი, რომელიც განამტკიცებს საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად პრინციპებსა და ამოცანებს“.

ამ ტერმინების სესხების გზა, ცხადია, ისევ და ისევ რუსულია, რადგან ქართულ სამართალში ახლადშემოსული ეს ტერმინები გაცილებით ადრე ცირკულირებდა XVIII-XIX სს. ქართულ პრესაში, მწერლობაში და, ამასთან, მათი გაფორმების გზა თვალსაჩინოდ ტრადიციულია – წინა პერიოდისას იმეორებს. სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ტენდენცია ძლიერდება მომდევნო – საბჭოთა პერიოდში.

დ) საბჭოთა პერიოდი (1921-1991 წწ.)

საბჭოთა სამართლის სივრცეში მოქცეული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალი, განსხვავებით XIXს-ის II ნახევრისა, ეროვნულ ენაზე არსებობს, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ძირითადად რუსული ენიდანაა თარგმნილი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხი – ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შემოსვლა ქართულენოვან საბჭოთა სამართალში – დაკვირვებისათვის საგულისხმო მასალას გვთავაზობს.

ამ პერიოდის ქართულ სამართალში შემოდის 100-ზე მეტი ახალი ლათინური წარმოშობის ტერმინი, ბუნებრივია, რუსულენოვანი წყაროდან და ტრადიციული რუსული ყალიბებით. ჩამოვთვლით რამდენიმე მათგანს:

abortus (აბორტი), acceptus (აქცეპტი), accreditatio (აკრედიტაცია), alimentum (ალიმენტი), assignatio (ასიგნაცია), cassatio (კასაცია), certificatio (სერტიფიკაცია), codificatio (კოდიფიკაცია), compensatio (კომპენსაცია), confiscatio (კონფისკაცია), conventio (კონვენცია), directivus (დირექტივა), discriminatio (დისკრიმინაცია), expertus (ექსპერტი), falsificatio (ფალსიფიკაცია), fictio (ფიქცია), instantia (ინსტანცია), internationalis (ინტერნაციონალური), interpellatio (ინტერპელაცია), iurisprudentia (იურისპრუდენცია), iustitia (იუსტიცია) და მრ. სხვა.

---

16 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია წიგნში: 1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, გიორგი პაპუაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბათუმი 2009.

17 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია წიგნში: 1918 წლის 26 მაისის აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, გიორგი პაპუაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბათუმი 2009.

გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ტერმინთა უმეტესობა უკვე ცნობილი იყო წინასაბჭოურ რუსულ კანონმდებლობასა და XVIII-XIX სს. ქართულ საზოგადოებაში, ტერმინების მნიშვნელობა, პირველად ქართულ საკანონმდებლო სივრცეში მათი მოხვედრის მიუხედავად, განსხვავებით წინა პერიოდებისაგან, განმარტებული არ არის.

სათანადო კომენტარი ახლავს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას, მაგალითად:

Alimentum (ალიმენტი – საქ. სსრ. სამოქ. სამ. საპ. კოდ. 1924, ნაწილი II, თავი X, 102) „იმ საქმის გამო, რაც შეეხება არაშემძლე და შრომის უნარმოკლებული მეუღლისა და ბავშვისთვის სარჩოს (ალიმენტის) მოთხოვნას“.

Certificatio (სერტიფიკაცია|სერტიფიკატი – საქ. სსრ. მინისტრთა საბჭოს 120 დადგენილება – 1983, ქონ. კრ. III, გვ. 334[18] „აეკრძალოთ გაქირავება დამსვენებელთათვის სახლებისა და ნაგებობის ადგილობრივი საკურორტო ბიუროების შესაბამისი ნებართვის (სერთიფიკატის) გარეშე“.

Confiscatio (კონფისკაცია – დეკრეტი N17, 1921 წლის 6 აპრილი, აქტები 1922-1978 გვ. 31][19] „მიწის კომიტეტები ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას)“.

Expertus (ექსპერტი – საქ. სსრ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1922, მუხლი 122) „სასამართლოს, საკუთარი თაოსნობით ან ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით შეუძლია ან წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთების გამო მოახდინოს საჭირო შემამოწმებელი მოქმედება: დაათვალიეროს ადგილი, დაიბაროს მცოდნე პირნი (ექსპერტები)“.

Falsificatio (*საშ. ლათ.* „ფალსიფიცია“ – საქ. სსრ. სისხლ. სამ. კოდ. – 1924, მუხლი 196)[20] „ფალსიფიკაცია, ესე იგი ანგარებით და მოსატყუებლად შეცვლა ისეთი საგნების სახისა ან თვისებისა, რომელიც გასასაღებელი ან საზოგადოებრივ სახმარებელია, აგრეთვე თვით ამ საგნების გასაღება“.

Actio, -onis („აქცია“ – საქ. სსრ. სამოქ. კოდ. 1923, 322) „სააქციო (ანუ საპაიო) ამხანაგობად ითვლება ისეთი ამხანაგობა (საზოგადოება) [...] რომლის კაპიტალი დაყოფილია განსაზღვრული რიცხვის თანასწორ ნაწილად (აქცია) და რომლის ვალდებულებათათვის პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოებრივი ქონება“.

საყურადღებოა, რომ საბჭოთა ეპოქაში ქართულ საკანონმდებლო სივრცეში შემოსულმა ლათინურმა იურიდიულმა ტერმინებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის შემუშავებაში; მათ ნიადაგი მოუმზადეს შემდგომ პერიოდში დამკვიდრებულ ლათინურ ტერმინთა გაფორმების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბებას.

ამ პრინციპებზე დაფუძნებით პირველ ეტაპზე (XI-XIIს.) ბერძნული ენის გავლენით გაფორმებული ლათინური იურიდიული ტერმინები ამ პერიოდში უკვე საბოლოოდ ჩანაცვლდა ახალი, რუსული ენის ყალიბზე მორგებული სხვადასხვა ენებიდან შემოსული ფორმებით. მაგ.:

---

18 საქართველოს სსრ. კანონთა, საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და მთავრობის დადგენილებათა ქრონოლოგიური კრებული, თბილისი, ტ. I-VII, 1959-1978.

19 საქართველოს სსრ. კონსტიტუციური აქტების კრებული 1921-1978, თბილისი, თსუ, 1983.

20 საშუალო (შუასაუკუნეების) ლათინურში შექმნილი იურიდიული ტერმინოლოგიისთვის დამოწმებულია: Du Cange, Glossarium Mediae et Infimae Latinitatis, I Band, Akademischer Druck, H. Verlagsanstalt, Graz 1954.

XI-XII ს.		XX ს.
Codex	კოდიკოი	კოდექსი
Digesta	დიგესტონი	დიგესტები
Titulus	ტიტლოსნი	ტიტული
Institutio	ინტიტუტიონი	ინსტიტუტი|ინსტიტუცია

ევროპის ქვეყნების სამართალთან ქართული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მცდელობის ფონზე ინტენსიურად იწყება ლათინური წარმოშობის ტერმინთა შემოსვლა. ამ პერიოდში მკვიდრდება:

Accessorius (აქსესორული), alumnus (ალუმნა), amicus curiae (ამიკუს კურიე), beneficiarius (ბენეფიციარი), bonitas, -tatis (ბონიტეტი), bonus (ბონუსი), compromissum (კომპრომისი), concessio (კონცესია), consensus (კონსენსუსი), cooptatio (კოოპტაცია), delimitatio (დელიმიტაცია), discretio (დისკრეცია), emancipatio (ემანსიპაცია), emissio (ემისია), fiducia (ფიდუციარული), fractio (ფრაქცია), investor (ინვესტორი), identificatio (იდენტიფიკაცია), implementatio (იმპლემენტაცია), insignia (ინსიგნია) და ა.შ.

მაგალითად:

Accessorius (აქცესორული – საქ. სამოქ. კოდ. 1997, 153 (1)-ე მუხლი) „უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს“; alumnus (ალუმნაი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 184/6 – 2011. მე-3 (ე) (ი) მუხლი) „საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული“; amicus curiae (ამიკუს კურიე – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, 55-ე მუხლი) „სასამართლოს მეგობარი“; beneficiarius (ბენეფიციარი – საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, 53 (1) (ბ)-ე მუხლი) „პირი რომლის სასარგებლოდაც იმართება მინდობილი საკუთრება, სარგებლის მიმღები პირი“; bonitas, -atis (ბონიტეტი – საქ. სამ. სამ. კოდ. 1997, 874 (4)-ე მუხლი) „საბანკო ანაბრის მომგებიანობის მაჩვენებელი“; bonus (ბონუსი – საქართველოს კანონი საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ 1994, მე-15 მუხლი) „თანხა, რომელსაც იხდის ინვესტორი სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე“; clausula (კლაუზულა – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება 1/3/136 – 2002, მე-12 პუნქტი) „სახელმწიფოების მიერ უცხოელი ინვესტორებისთვის მიცემული სამართლებრივი გარანტიები“; coalitio (კოალიცია – საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ – 1995, 21 (2)-ე მუხლი) „სახელმწიფოთა, პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება“; collisio (კოლიზია – საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 1998 32 (1)-ე მუხლი) „კონფლიქტი, დაპირისპირება, შეჯახება“; consensus (კონსენსუსი – შეთანხმება – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 358 – 1998 მე-4 (15) მუხლი) „გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე არც ერთი პირი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ გამოდის და ა.შ.

ამ პერიოდში, რაც მეტად მნიშვნელოვანია, და ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება XXI საუკუნეში, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია შემოდის დასავლური ქვეყნების კანონებში დამკვიდრებული ფორმით (მეტწილად, გერმანული

და ანგლოსაქსური სამართლიდან), რაც წინა პერიოდებში არსებული მონოლინგვური სურათიდან გადახვევას წარმოადგენს,

მაგალითისთვის მოვიყვანთ ტერმინს:

Amicus curiae [ამი´კუს კუ´რიე „კურიის მეგობარი“] ამიკუს კურიე; ჯერ კიდევ რომის სამართალში, ამ ტერმინს ჰქონდა კონკრეტული ფუნქცია და იგი აღნიშნავდა ე.წ. „სასამართლოს მეგობარს“. ეს იყო პირი, რომელიც საკუთარი ინიციატივით სასამართლოს სთავაზობდა ინფორმაციას კანონებთან ან სხვა ასპექტებთან დაკავშირებით და ამით ეხმარებოდა მართლმსაჯულებას საქმის გადაწყვეტაში.

ამ ტერმინის მოქმედ კანონმდებლობაში დამკვიდრება მოხდა 2009 წელს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (55-ე მუხლი) სათანადო განმარტებით „პირი, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართალწარმოებაში და რომელიც სასამართლოსთვის საქმის შეფასებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით წერილობით წარუდგენს მას საკუთარ მოსაზრებას განსახილველ საქმესთან დაკავშირებით“. რა გზა გაიარა ამ ტერმინმა ქართულ კანონში მოხვედრამდე? ტერმინი რომის სამართლიდან IX ს-ში ინგლისურ სამართალში მკვიდრდება და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნების კანონებშიც დასტურდება. მოგვიანებით amicus curiae საერთო სამართალშიც ჩნდება და დღეს გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალსა და ევროკავშირის სასამართლოში. ამასთან, იგი აშშ უზენაესი სასამართლოს წესებშიც გვხვდება[21]. სწორედ ევროპული სამართლიდან მოხდა ამ ტერმინის რეციპირება.

ზოგადად, მოქმედ კანონმდებლობაში შემოსული ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ სამართალში ლათინური იურიდიული ტერმინების დამკვიდრებისას, ჩვენს მიერ გამოვლენილ წინა ოთხ პერიოდთან შედარებით, ხდება სესხების მონოლინგვური სურათის რღვევა, ფართოვდება ტერმინთა რეცეფციის არეალი და იცვლება მათი გაფორმების გზებიც.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა მიმართულებას აირჩევს მომავალში ქართული სამართალი ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის სესხებისას, რეცეფციის რომელ გზას მიანიჭებს უპირატესობას.

თუმცა აშკარაა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად საქართველო არასდროს ყოფილა უშუალოდ რომის იმპერიის იურისდიქციაში და, როგორც ეს კონკრეტული მაგალითებიდან გამოჩნდა, ლათინური იურიდიული ტერმინები ქართულ სამართალში უშუალოდ რომის სამართლიდან ან ლათინური ენიდან არასდროს შემოსულა, უკვე XI საუკუნიდან მათ გავლენა მოახდინეს ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაზე და მთლიანობაში მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქართული სამართლის დასავლურ სამართლებრივ კულტურასთან ზიარებას.

ლათინური იურიდიული ფორმულებისა და გამონათქვამების ჩართვა ნაშრომის სტრუქტურაში განაპირობა იმ მოცემულობამ, რომ მათ ხშირად იყენებდნენ როგორც ანტიკური ხანის რომაელი მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და სამართალმცოდნეები, ისე შუასაუკუნეებისა და მომდევნო ეპოქის რომის სამართლის სპეციალისტები. ამ შემთხვევაშიც წარმოდგენილია ტრასკრიფცია, რაც, ბუნებრივია, აადვილებს ლათინური სენტენციების სწორად წარმოთქმას.

21 United states supreme court rule, 37 3(a).

ნაშრომის ნაწილში, რომელსაც პირობითად **რომაელი იურისტები და კანონმდებლები** ვუწოდეთ, თავი მოვუყარეთ მოკლე ინფორმაციას იმ ცნობილი სამართალმცოდნეების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით რომის სამართლის ისტორიაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ რომის სამართლის არაერთი კანონი მათ სახელთან არის დაკავშირებული, რაც ბუნებრივად ზრდის ინტერესს ამ პიროვნებების მიმართ.

დანართში წარმოდგენილია გრამატიკული ცნობარი (ლათინური ანბანი და ფონეტიკის უმთავრესი ელემენტები, წარმოთქმის წესები, ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე, მახვილი, ბრუნების, უღლების და სხვა მოდელების შემცველი გრამატიკული სქემები) რაც აადვილებს ლათინური ტერმინების, ფორმულებისა და გამონათქვამების სრულყოფილად და სწორად გაგებას.

ზემოაღნიშნული სირთულეების მიუხედავად, სამუშაოს შესრულება, ჩვენი აზრით, საყურადღებო აღმოჩნდა მრავალი თვალსაზრისით. პირველ რიგში, შეიქმნა ნაშრომი ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ, რომელსაც გამოყენება ექნება როგორც სასწავლო პროცესში, ისე სამეცნიერო წრეებსა და პრაქტიკოს იურისტებში. ამასთან, შესაძლებელი გახდა იმ ხარვეზების გამოვლენა, რომლებიც ვლინდება მოქმედ სამართლებრივ აქტებში ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ქართულ სამართლებრივ აქტებში ტერმინოლოგიური ხარვეზების გამოვლენის შედეგად შესაძლებელი იქნება წინადადებების წარდგენა საკანონმდებლო ორგანოში ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ლათინურ ტერმინთა შემოსვლა ქართულ საკანონმდებლო დოკუმენტებში დღესაც გრძელდება, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ნაშრომს ერთბაშად მიეცეს დასრულებული და სრულყოფილი სახე. ის მუდმივად მოითხოვს ახალი მასალებით გამდიდრებას და იმ ტერმინების მოძიებას, რომლებიც შემდგომში სათანადო განმარტებებითა და სამართლებრივი აქტებიდან შესაბამისი ციტირებებით იქნება დამოწმებული. გარდა ამისა, ნაშრომი მოითხოვს უკვე დამუშავებული მასალების ხშირ განახლებას, ვინაიდან საკანონმდებლო სივრცე მუდმივად ვითარდება (საქართველოში ეს საკმაოდ ინტენსიურად ხორციელდება), ხდება ახალი სამართლებრივი აქტების მიღება და არსებულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანა. შედეგად, ეს ტერმინები, რომლებიც უკვე მოცემულია გამოკვლევაში, შეიძლება აღარ შეგვხვდეს შეცვლილ სამართლებრივ აქტებში ან წარმოდგეს განსხვავებული მნიშვნელობით. ლათინური იურიდიულ ტერმინთა შევსება, შესწორება მუდმივად განახლებადი პროცესია.

ყოველივე ეს ცხადყოფს ლათინური ენის და, აქედან გამომდინარე, ლათინური იურიდიული ტერმინოლოგიის მნიშვნელობას ქართულ და ზოგადად მსოფლიო იურისპრუდენციაში.

I ლათინური იურიდიული ტერმინოლოგია

A

A. (a.) შემ.: 1. **absolvo** [აბსო´ლვო „ვამართლებ“, „ვათავისუფლებ“] 1. ბრალდების მოხსნა; სასჯელისაგან გათავისუფლება 2. **antiquo** [ანტი´კვო „უცვლელად ვტოვებ“]
I. კანონის უცვლელად დატოვება

a, ab [„-გან“, „მიერ,“ „-დან“, „თანახმად“, „მიხედვით“]
I. გამოიყენებოდა კანცელარიის მოხელეთა ტიტულის დასახელების წინ

a censibus [ა *კე´ნსიბუს/ცე´ნზიბუს „ცენზის მიხედვით“]
I. ის, ვინც ცენზის მიხედვით ახდენდა პრეტენდენტთა ჩაწერას სენატორთა ან მხედართა წრის რიგებში

a cognitionibus [ა *კოგნიტიო´ნიბუს/კოგნიციო´ნიბუს „განხილვის შედეგად“]
I. მოხელე, რომელიც ამუშავებდა საიმპერატორო სასამართლოში წარდგენილ მასალებს

a libellis [ა ლიბე´ლლის „საჩივრების მიხედვით“]
I. მოხელე, რომელიც კერძო პირთა სამართლებრივ მოთხოვნებსა და შუამდგომლობებს აფორმებდა

a mandatis [ა მანდა´ტის „განკარგულებების მიხედვით“]
I. მოხელე, რომელიც ამზადებდა და უგზავნიდა ბრძანებულებებს პროვინციების მმართველებს

a memoria [ა მემო´რია „ხსოვნის მიხედვით“]
I. მოხელე, რომელიც იმპერატორის დღიურის, მისი სიტყვების, გადაწყვეტილებების და ა.შ. ჩანაწერებს აწარმოებდა

a rationibus [ა *რატიო´ნიბუს, რაციო´ნიბუს „აღრიცხვის მიხედვით“]
I. მოხელე, რომელიც წყვეტდა ფინანსურ და საგადასახადო საკითხებს

ab epistulis [აბ ეპი´სტულის „წერილების მიხედვით“]
I. მოხელე, რომელიც იმპერატორის მიმართვებს უგზავნიდა მნიშვნელოვან პიროვნებებსა და დაწესებულებებს

abactus [აბა´კტუს „გაძევებული, გაგდებული“]
I. სახალხო კრების მიერ თანამდებობიდან გადაყენებული მაგისტრატი

abdicatio, -onis [*აბდიკა´ტიო/აბდიკა´ციო „უარის თქმა“] აბდიკაცია
I. უარის თქმა თანამდებობაზე, მეურვეობაზე, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაზე და ა.შ.

abigere, **abigeare** [აბი´გერე/აბიგეა´არე „გარეკვა, მიტაცება“]
I. საქონლის ჯოგის გარეკვა ფარეხიდან ან საძოვრებიდან. ასეთი დანაშაულისათვის სიკვდილითაც კი ისჯებოდნენ

abolitio, -onis [*აბოლი´ტიო/აბოლი´ციო „მოსპობა, გაუქმება“] აბოლიცია
I. 1. კანონის, დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება ან თანამდებობის გაუქმება; 2. ბრალდებაზე უარის თქმა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

abolitio publica [*აბოლი´ტიო/აბოლი´ციო პუ´ბლიკა „სახალხო შეწყალება“]
I. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სენატის ან იმპერატორის მიერ გამოცხადებული ამნისტიის საფუძველზე

abortus [აბო´რტუს „მუცლის მოშლა“] აბორტი
I. აბორტი, მუცლის მოშლა
II. ორსულობის განზრახ ნაადრევი შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევება. „აბორტის რეკლამა აკრძალულია“ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ – 1997, 140(1)-ე მუხლი)
III. „ექიმის მიერ აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე ან, თუნდაც საავადმყოფოში თუ სამშობიარო სახლში [...] გამოიწვევს საპყრობილეში დაპატიმრებას ერთი წლიდან ორ წლამდე“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, კერძო ნაწილი, კარი 2, თავი VI, 149)

abrogare [აბროგა´რე „გაუქმება“]
I. გაუქმება

abrogare legem [აბროგა´რე ლე´გემ „კანონის გაუქმება“]
I. მომდევნო საკანონმდებლო აქტით წინა კანონის გაუქმება

abrogatio, imperii [*აბროგა´ტიო/აბროგა´ციო იმპე´რიი „ძალაუფლების გაუქმება“]
I. მაგისტრატის თანამდებობიდან გადაყენება, მაგისტრატის უკან გამოხმობა

absens, -ntis [ა´ბსენს „არდამსწრე, შორსმყოფი“] აბსენტი
I. პირი, რომელიც არ ესწრებოდა საქმის განხილვას ან არ იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ ადგილზე

absentia [*აბსე´ნტია/აბსე´ნცია „არდასწრება“, „გამოუცხადებლობა“] აბსენცია
I. სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა ან საცხოვრებელ ადგილზე არყოფნა

absolutio [*აბსოლუ´ტიო/აბსოლუ´ციო] აბსოლუცია
I. გამამართლებელი განაჩენი. ბრალდებულის სრული ან დროებითი გათავისუფლება სასჯელისაგან. კათ. ეკლ.-ით, ცოდვათა მიტევება

absolutorius [აბსოლუტო´რიუს „გამამართლებელი“]
I. ბრალდებულის გამართლებისათვის კეთილსაიმედო

absolutus [აბსოლუ´ტუს „შეუზღუდავი, უპირობო“] აბსოლუტური
I. დამოუკიდებელი, განკერძოებული, ერთპიროვნული, სრული, შეუზღუდავი
II. 1. სრული, შეუზღუდავი, უპირობო. „აბსოლუტური პრივილეგია – კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება (საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ – 2004, თავი I, 1(ფ)-ლი მუხლი); 2. აბსოლუტური უმრავლესობა გულისხმობს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ნახევარზე მეტს. „პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას სატენდერო კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის აბსოლუტური უმრავლესობის დასკვნებით მიენიჭება უპირატესობა“ (იხ. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – 1998, მე-15(9) მუხლი)
III. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაუბალანსებლობის ზღვარი (მეტობა ან დეფიციტი აბსოლუტური მნიშვნელობით და პროცენტულად პროგნოზირებუ-

ლი შემოსავლების მოცულობასთან)“ (საქართველოს კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ – 1996, 26(3)-ე მუხლი)

absolvere [აბსო´ლვერე „გათავისუფლება“]
I. გათავისუფლება, გამოხსნა, ბრალდების მოხსნა

abstinere [აბსტინე´რე „თავის შეკავება“]
I. უარის თქმა, თავის შეკავება, მათ შორის – მემკვიდრეობაზე

abuti [აბუ´ტი „დახარჯვა“, „შემცირება“, „გაფლანგვა“]
I. თანამდებობის, ძალაუფლების, უფლების ბოროტად გამოყენება

accensi velati [*აკკე´ნსი/აკცე´ნსი ველა´ტი „სამოსიანი გაწვეულები“]
I. ღარიბი მოქალაქეები, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ სპეციალურ ცენტურიებში; რეზერვში მყოფი ჯარისკაცები, რომლებიც ენაცვლებოდნენ ბრძოლის დროს დაცემულ მეომრებს

accensus [*აკკე´ნსუს/აკცე´ნსუს „მსახური“]
I. მაგისტრატის დავალებათა შემსრულებელი

acceptans, -ntis [*აკკე´პტანს/აკცე´პტანს „მიმღები“] აქცეპტანტი
II., III. 1. პირი, რომელიც თანხმობას აცხადებს ფასიანი ქაღალდის (ვექსელის, ჩეკის, კონოსამენტის და სხვა) გადახდაზე. „აქცეპტანტს ყველა შემთხვევაში ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი აქცეპტის შინაარსის მიხედვით“ (საქართველოს კანონი თამასუქის შესახებ – 22(2)-ე მუხლი); 2. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებაზე (ოფერტზე) თანხმობის მიმცემი პირი. „თუ მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადამწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, 337-ე მუხლი)

acceptilatio [*აკკეპტილა´ტიო/აკცეპტილა´ციო „ვალის დაფარვა“] აქცეპტილაცია
I. ვალების დაფარვის საზეიმო აქტი

acceptus [*აკკე´პტუს/აკც´ეპტუს „მიღებული“] აქცეპტი
I. შემოსავალი
II. 1. თანხმობა ხელშეკრულების დადების წინადადებაზე (ოფერტზე). „ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ოფერტი) ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, 329(1)-ე მუხლი); 2. თანხმობა ფასიანი ქაღალდების ან სავაჭრო დოკუმენტების განაღდებაზე, აგრეთვე ფასიან ქაღალდებსა თუ სავაჭრო დოკუმენტებში მითითებული თანხის გადახდის გარანტირება. „აქცეპტი – გადამხდელის ხელმოწერა იმის თაობაზე, რომ მან თამასუქი მიიღო გადასახდელად დადგენილ ვადაში და თანახმაა გადაიხადოს“ (საქართველოს კანონი თამასუქის შესახებ – 1995, ზოგადი განმარტებანი)
III. „თამასუქის პროტესტის მიღების დღეს სახელმწიფო სანოტარო კანტორა გადამხდელს ან დომიცილიანტს (პირს, რომელიც იხდის დომიცილებულ თამასუქს) წარუდგენს მოთხოვნას თამასუქის განაღდების (ან აქცეპტის) შესახებ“

(საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 562 დადგენილება – 1976, კარი III, თავი XVI, 160; საქ. კან. გვ. 307)

accessio [*აკკე´სსიო/აკცე´სსიო „დანამატი“] აკცესია
I. სხვადასხვა მესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნივთების შერწყმა სანივთო სამართალში

accessorius [*აკკესსო´რიუს/აკცესსო´რიუს „მომსვლელი“] აქცესორული
II., III. აქცესორული უფლება. „აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, 153(1)-ე მუხლი)

acclamatio [*აკკლამა´ტიო/აკკლამა´ციო „შეძახილი“] აკლამაცია
I. იმპერატორის ან მაგისტრატის მიმართ აღტაცებისა და მოწონების ტრადიციული გამოხატულება

accreditatio (*საშ. ლათ.*) [*აკკრედიტა´ტიო/აკკრედიტა´ციო „რწმუნებულება“] აკრედიტაცია
II. 1. სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური აგენტის უცხო სახელმწიფოში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში დანიშვნა. „საქართველოს პრეზიდენტი ... იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას“ (საქ. კონსტ. – 1995, 73(1)(ა)-ე მუხლი); 2. სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულების ან საგანმანათლებლო პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების პროცედურა ან შესაბამისობის დადასტურება. „აკრედიტაცია – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ – 2005, მე-2(ა[1]) მუხლი); 3. სახელმწიფო ორგანოს, ორგანიზაციის, დაწესებულების მიერ საკუთარი სტრუქტურის ფარგლებში ჟურნალისტებისთვის მათი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება. „რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ ცესკოს მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2012, 44(2)-ე მუხლი); 4. „აკრედიტაცია – ბირჟის მიერ იურიდიული ან/და ფიზიკური პირისათვის ბირჟის შუამავლის რწმუნების მიცემა“ (საქართველოს კანონი სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ – 1999, მე-2 მუხლი)
III. „იღებს მასთან აკრედიტირებული უცხოეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებულებისა და გამოწვევის სიგელებს“ (კონსტ. – 1978, 113-ე მუხლი)

accreditivus [აკკრედიტი´ვუს „სანდო“] აკრედიტივი

II. „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნით და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა...“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, 876-ე მუხლი)

III. „კომერციული ბანკებისთვის ნებადართულია საქმიანობის მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობანი: სესხების გაცემა, სამომხმარებლო, საიპოთეკო, არაუზრუნველყოფილი და სხვა კრედიტების ჩათვლით, ფაქტორინგული ოპერაციები რეგრესის უფლებით და ამ უფლების გარეშე, კომერციულ გარიგებათა დაფინანსება, გარანტიების, აკრედიტივებისა და აქცეპტების გამოცემა ფორფეტირების ჩათვლით...“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ – 1996, მე-20(1)(ბ) მუხლი)

accusatio [*აკკუსა´ტიო/აკკუზა´ციო, „ბრალდება“] აკუზაცია
I. ბრალდების წაყენება, საჩივრის წარდგენა

accusatio suspecti tutoris [*აკკუსა´ტიო/აკკუზა´ციო სუსპე´ქტი ტუტო´რის „სარჩელი საეჭვო მეურვის წინააღმდეგ“]
I. სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება მეურვის წინააღმდეგ, რომელიც განზრახ აყენებდა მეურვეობაში მყოფ პირს ზიანს

acta [ა´კტა „ქმედებანი“, „ქრონიკები“, „დღიურები“] აქტები
I. მაგისტრატთა საქმიანობის, სახ. დაწესებულებების, სენატის სხდომების ჩანაწერები

acta Caesaris, acta principis [ა´კტა *კე´სარის/ცე´ზარის, ა´კტა *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის „კეისრის აქტები, პრინცეპსის აქტები“]
I. იმპერატორის ნორმატიული აქტები, რომელთა შესრულებაც სავალდებულო იყო მისი მემკვიდრეებისთვის

acta diurna, acta populi [ა´კტა დიუ´რნა, ა´კტა პო´პული „დღიური აქტები, ხალხის აქტები“]
I. ოფიციალური მაცნე, რომელიც შემოიღო კეისარმა სამართლებრივი ნორმების, მათ შორის, სენატის დადგენილებათა გამოსაქვეყნებლად

actio, -onis [*´აკტიო/ა´კციო „ქმედება“, „საქციელი“] აქცია
I. 1. სარჩელი; 2. უფლება; 3. სამართალწარმოება
II. 1. ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სააქციო საზოგადოების მართვაში, მოგებისა და საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების განაწილებაში. „აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, 51(2)-ე მუხლი); 2. საკუთარი ინტერესების, მოთხოვნებისა და შეხედულებების გამოხატვის მიზნით მოქალაქეთა საჯარო გამოსვლა. „პროფესიულ კავშირს მუშაკთა შრომითი და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის მიზნით უფლება აქვს, კანონმდებლობის შესაბამისად, მოამზადოს და ჩაატაროს გაფიცვა, მიტინგი, დემონსტრაცია და სხვა მასობრივი საპროტესტო აქცია“ (საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ – 1997, მე-13(2) მუხლი)

III. „სააქციო (ანუ საპაიო) ამხანაგობად ჩაითვლება ისეთი ამხანაგობა (საზოგადოება), დაარსებული განსაკუთრებული სახელწოდებით ან ფორმით, რომლის ძირითადი კაპიტალი დაყოფილია განსაზღვრული რიცხვის თანასწორ ნაწილად (აქცია) და რომლის ვალდებულებათათვის პასუხს აგებს მხოლოდ საზოგადოებრივი ქონება“ (საქ. სსრ სამოქ. კოდ. – 1923, 322)

actio ad exemplum [*ა´კტიო/ა´კციო ად ექსე´მპლუმ „ქმედება ნიმუშის მიხედვით“]
I. სარჩელი, რომელიც შედგენილია სხვა რომელიმე წინა სარჩელის ნიმუშის მიხედვით

actio adiecticiae qualitatis [*ა´კტიო/ა´კციო *ადიეკტი´კიე/ადიეკტი´ციე, კვალიტა´ტის „დამატებითი სახის სარჩელი“]
I. საპრეტორო სარჩელი ოჯახის უფროსის ან საწარმოს პატრონის წინააღმდეგ

actio aedilicia [*ა´კტიო *ედილი´კია/ა´კციო ედილი´ცია „ედილის სარჩელი“]
I. ედილის სარჩელი, რომელიც აღიძრება მონის ფარულ მანკიერ თვისებებთან ან ცხოველის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით

actio annalis [*ა´კტიო/ა´კციო ანნა´ლის „წლიური სარჩელი“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენა შეიძლებოდა ერთი წლის მანძილზე

actio arbitraria [*ა´კტიო/ა´კციო არბიტრა´რია „სამედიატორო სასამართლოს სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელიც მოსამართლეს ანიჭებდა დისკრეციას, მოეთხოვა სარჩელის უზრუნველსაყოფად მოპასუხისგან გარკვეული მოქმედების შესრულება (მაგ. მოსარჩელესთვის გარკვეული ნივთის გადაცემა). თუ მოპასუხე არ შეასრულებდა მოსამართლის ბრძანებას, მაშინ სასამართლოს შეეძლო დაეკისრებინა მოპასუხისთვის გაზრდილი ოდენობით ფულადი თანხის გადახდა

actio bonae fidei [*ა´კტიო/ა´კციო ბო´ნე ფი´დეი „კეთილსინდისიერი სარჩელი“]
I. სარჩელი მოითხოვდა მოსამართლისაგან მოდავე მხარეთა ინტერესების სამართლიან შეჯერებას

actio calumniae [*ა´კტიო/ა´კციო კალუ´მნიე „ცილისწამების სარჩელი“]
I. მოპასუხის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იმ მოსარჩელის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი, რომელიც განზრახ უსაფუძვლოდ ედავებოდა მას სასამართლოში

actio certa [*ა´კტიო*კე´რტა/ა´კციო ცე´რტა „ზუსტი სარჩელი“]
I. ნივთებთან დაკავშირებით აღძრული სარჩელების ზოგადი სახელწოდება

actio civilis [*ა´კტიო*კივი´ლის/ა´კციო ცივი´ლის „სამოქალაქო სარჩელი“]
I. ius civilis-ზე დამყარებული სარჩელი

actio communi dividundo [*ა´კტიო/ა´კციო კომმ´უნი დივიდუ´ნდო „სარჩელი საერთო ქონების დანაწილებაზე“]
I. სარჩელი საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფის შესახებ

actio concurrentis [*ა´კტიო/ა´კციო კონკურრე´ნტის „კონკურენტული სარჩელი“]
I. კონკურენტული სარჩელი

actio confessoria [*ა´კტიო/ა´კციო კონფესსო´რია „აღიარებითი სარჩელი“]

I. სარჩელი, რომლითაც სერვიტუტის უფლების მფლობელი პირი ითხოვს საკუთარი უფლების დაცვას

actio contra iudicem [*ა´კტიო/ა´კციო კო´ნტრა *იუ´დიკემ/იუ´დიცემ „სარჩელი მსაჯულის წინააღმდეგ“]
I. სარჩელი მოსამართლის წინააღმდეგ, რომელმაც გადაწყვეტილების გამოტანისას ნებსით ან უნებლიეთ უხეში შეცდომა დაუშვა

actio contra nautas [*ა´კტიო/ა´კციო კო´ნტრა ნა´უტას „სარჩელი მეზღვაურთა წინააღმდეგ“]
I. მოგზაურთა სარჩელი მეზღვაურთა წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით

actio contraria [*ა´კტიო/ა´კციო კონტრა´რია „საპასუხო სარჩელი“]
I. შეგებებული სარჩელი

actio criminalis [*ა´კტიო/ა´კციო კრიმინა´ლის „დანაშაულის სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელიც უკავშირდება დანაშაულებრივ ქმედებას

actio damni infecti [*ა´კტიო/ა´კციო და´მნი ინფე´კტი „სარჩელი მოსალოდნელი ზარალის გამო“]
I. მეზობლის სარჩელი მოსალოდნელი ზიანისგან თავის დასაზღვევად

actio de aestimato [*ა´კტიო/ა´კციო დე ესტიმა´ტო „სარჩელი ფასიანი გარიგებისათვის“]
I. სარჩელი, რომლითაც მარწმუნებელი რწმუნებულისგან ითხოვს გასაყიდად გადაცემული ნივთის უკან დაბრუნებას ან ამ ნივთის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხის გადაცემას

actio de arboribus caedendis [*ა´კტიო/ა´კციო დე არბო´რიბუს *კედე´ნდის/ცედე´ნდის „სარჩელი გადახრილი ხეების გამო“]
I. XII დაფის კანონებით მიწის ნაკვეთის მესაკუთრისთვის მინიჭებული უფლება, მოეჭრა მეზობელი მიწის ნაკვეთიდან გადმოსული მცენარის ფესვები ან ტოტები

actio de deiectis vel effusis [*ა´კტიო/ა´კციო დე დეიე´კტის ველ *ეფფუ´სის/ეფფუ´ზის „გამოგდების ან გადმოღვრის შესახებ სარჩელი“]
I. სარჩელი შენობიდან რაიმე საგნის გადმოგდებით ან სითხის გადმოღვრით წარმოშობილ ზიანთან დაკავშირებით

actio de dote [*ა´კტიო/ა´კციო დე დო´ტე „სარჩელი მზითვის თაობაზე]
I. განქორწინების შემთხვევაში წარდგენილი სარჩელი მზითვის უკან დაბრუნების შესახებ

actio de liberis agnoscendis [*ა´კტიო/ა´კციო დე ლი´ბერის *აგნოსკე´ნდის/აგნოსცე´ნდის „სარჩელი შვილების აღიარებისათვის“]
I. პრეტორის მიერ ქმრისთვის განქორწინებისას მინიჭებული სარჩელი, რომლითაც ამ უკანასკნელს შეეძლო მოეთხოვა უკვე დაბადებული ბავშვების მამობის აღიარება

actio de modo agri [*ა´კტიო/ა´კციო დე მო´დო ა´გრი „სარჩელი მიწის ნაკვეთის რაგვარობის გამო“]

I. სარჩელი გამსხვისებლის წინააღმდეგ, რომელსაც შეცდომაში შეჰყავდა მყიდველი მიწის ნაკვეთის ფართობის თაობაზე

actio de moribus mulieris [*ა´კტიო/ა´კციო დე მო´რიბუს მული´ერის „სარჩელი ქალის ზნეთა გამო“]
I. სარჩელი, რომლითაც ცოლის მიზეზით განქორწინებისას ქმარს შეეძლო მისთვის მთლიანად ან ნაწილობრივ მზითვის ჩამორთმევა მოეთხოვა

actio de partu agnoscendo [*ა´კტიო/ა´კციო დე პა´რტუ *აგნოსკე´ნდო/აგნოსცე´ნდო „სარჩელი ჯერ დაუბადებელი ბავშვის ცნობისათვის“]
I. სარჩელი, რომლითაც განქორწინების შემთხვევაში მამა მოითხოვს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მამობის აღიარებას

actio de pastu pecoris [*ა´კტიო/ა´კციო დე პა´სტუ პე´კორის „სარჩელი ცხოველის ძოვების გამო“]
I. სარჩელი მეპატრონის წინააღმდეგ მისი ცხოველის გამო, რომელმაც მოძოვა სხვის მიწაზე

actio de peculio [*ა´კტიო/ა´კციო დე პეკუ´ლიო „სარჩელი ქონების გამო“]
I. სარჩელი ოჯახის უფროსის – pater familias-ის წინააღმდეგ, რომელიც უკავშირდება ამ უკანასკნელის მონის ან ოჯახის წევრის მიერ პეკულის მართვისას დადებულ გარიგებას

actio de pecunia constituta [*ა´კტიო/ა´კციო დე პეკუ´ნია კონსტიტუ´ტა „სარჩელი დადგენილი თანხის გამო“]
I. ვალდებულების შესრულების ვადებისა და ადგილის შეცვლის შედეგად ახლად ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელი

actio de positis et suspensis [*ა´კტიო/ა´კციო დე *პო´სიტის/პო´ზიტის ეტ*სუსპე´ნსის/სუსპე´ნზის „სარჩელი დადგმულისა და გადმოშვერილის გამო“]
I. სარჩელი შენობის მესაკუთრის წინააღმდეგ შენობიდან საგნის გადმოშვერის, გადაგდების, გადავარდნის ან გადაღვრის შედეგად დამდგარ ზიანთან დაკავშირებით

actio de servo corrupto [*ა´კტიო/ა´კციო დე სე´რვო კორრუ´პტო „სარჩელი მონის გახრწნისათვის“]
I. სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მორალურად გახრწნა (სხვისი) მონა

actio de termino moto [*ა´კტიო/ა´კციო დე ტერმი´ნო მო´ტო „სარჩელი გადაწეული სამანის გამო“]
I. სარჩელი იმის წინააღმდეგ, ვინც სამანს გადასწევს საკუთარი ნაკვეთის გაზრდის მიზნით

actio decretalis [*ა´კტიო/ა´კციო დეკრეტა´ლის „დეკრეტის სარჩელი“]
I. სარჩელი, აღძრული მაგისტრატის ცალკეული გადაწყვეტილების, დეკრეტის საფუძველზე

actio depensi [*ა´კტიო/ა´კციო დეპე´ნსი „სარჩელი გადამხდელის წინააღმდეგ“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენა ხდებოდა თავდების წინააღმდეგ ძირითადი მოვალის მიერ ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში

actio depositi [*ა´კტიო *დეპოსი´ტი/ა´კციო დეპოზი´ტი „სარჩელი გადადებული (ნივთისათვის)]
I. XII დაფის კანონის თანახმად, სარჩელი ნივთის შემნახველის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის მიერ საკუთარი ვალდებულებების დარღვევის გამო

actio directa [*ა´კტიო/ა´კციო დირე´კტა „პირდაპირი სარჩელი“]
I. სარჩელი ხელახლა შექმნილი სპეციალური ფორმულის საფუძველზე

actio doli [*ა´კტიო/ა´კციო დო´ლი „სარჩელი თაღლითობისათვის“]
I. სარჩელი თაღლითობის შედეგად გამოწვეულ ზიანთან დაკავშირებით

actio empti, **a. ex empto** [*ა´კტიო/ა´კციო ე´მპტი, ა. ექს ე´მპტო „ნასყიდობის სარჩელი“]
I. სარჩელი, წარდგენილი ნივთის გადაცემის ან გამყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულებების შესრულების მოთხოვნით

actio exercitoria [*ა´კტიო *ექსერკიტო´რია/ა´კციო ექსერციტო´რია „სარჩელი გემთმეპატრონისა“]
I. სარჩელი გემის მესაკუთრის (გამქირავებლის) წინააღმდეგ

actio extra ordinem [*ა´კტიო/ა´კციო ე´ქსტრა ო´რდინემ „ექსტრაორდინალური სარჩელი“]
I. ad hoc მინიჭებული სარჩელი

actio familiae erciscundae [*ა´კტიო/ა´კციო ფამი´ლიე *ერკისკუ´ნდე/ერცისკუ´ნდე „სარჩელი ოჯახის გაყოფაზე“]
I. ოჯახისა და ქონების გაყოფის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი

actio famosa [*ა´კტიო *ფამო´სა/ა´კციო ფამო´ზა „სირცხვილის სარჩელი“]
I. მსჯავრდებული ამ სარჩელის საფუძველზე ხდებოდა infamis – შერცხვენილი

actio ficticia [*ა´კტიო *ფიკტი´კია /ა´კციო ფიკტი´ცია „ფიქციური სარჩელები“]
I. სარჩელები, რომლებიც ეფუძნებოდა იურიდიულ ფიქციას

actio fiduciae [*ა´კტიო *ფიდუ´კიე/ა´კციო ფიდუ´ციე „ერთგულების სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელიც ეყრდნობოდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებულ სპეციალურ შეთანხმებას (pactum fiduciae) და რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისგან საკუთრებაში გადაცემული ნივთის უკან დაბრუნებას ამ ნივთის სარგებლობის შედეგად მიღებულ შემოსავალთან ერთად

actio finium regundorum [*ა´კტიო/ა´კციო ფი´ნიუმ რეგუნდო´რუმ „სარჩელი საზღვრების მოწესრიგებისა“]
I. მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისთვის მინიჭებული სარჩელი მიწის საზღვრების შესახებ არსებულ დავასთან დაკავშირებით

actio funeraria [*ა´კტიო/ა´კციო ფუნერა´რია „სარჩელი დაკრძალვის თაობაზე“]
I. სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც საკუთარი ინიციატივით დაკრძალა მიცვალებული იმ მიზნით, რომ მისი მემკვიდრეებისგან მოეთხოვა გაწეული ხარჯების ანაზღაურება

actio furti [*ა´კტიო/ა´კციო ფუ´რტი „ქურდობის სარჩელი“]
I. სარჩელი ქურდის ან ქურდობაში თანამონაწილე პირის წინააღმდეგ

actio furti oblati [*ა´კტიო/ა´კციო ფუ´რტი ობლა´ტი „სარჩელი ნაქურდალის მინდობისათვის“]
I. სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც მოსარჩელეს გადასცა შესანახად მოპარული ნივთი. აღნიშნული სარჩელის წარდგენა დაიშვებოდა იმ პირის წინააღმდეგაც, ვინც არ ყოფილა ქურდობის თანამონაწილე

actio furti prohibiti [*ა´კტიო/ა´კციო ფუ´რტი პროჰი´ბიტი „სარჩელი ქურდობის ხელისშემშლელის მიმართ“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენაც ხდებოდა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლიდა მოსარჩელეს მისგან მოპარული ნივთის მოძებნაში

actio hereditaria [*ა´კტიო/ა´კციო ჰერედიტა´რია „მემკვიდრეობის სარჩელი“]
I. მემკვიდრის დასაცავად ან მის საწინააღმდეგოდ აღძრული სარჩელი

actio honoraria [*ა´კტიო/ა´კციო ჰონორა´რია „თანამდებობრივი სარჩელი“]
I. ემყარებოდა პრეტორთა, ედილთა, პროვინციების გამგებლების იურისდიქციას, რომელიც ცხადდებოდა ედიქტებში

actio in bonum et aequum concepta [*ა´კტიო/ა´კციო ინ ბო´ნუმ ეტ ე´კვუმ *კონკე´პტა/კონცე´პტა „სარჩელი სიკეთესა და სამართლიანობაზე“]
I. მოსარჩელის შეურაცხყოფასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელი

actio in duplum [*ა´კტიო/ა´კციო ინ დუ´პლუმ „ორმაგი სარჩელი“]
I. სარჩელი, რომლითაც ხდებოდა რეალური სასარჩელო მოთხოვნის ორმაგი ოდენობის მოთხოვნა

actio in factum [*ა´კტიო/ა´კციო ინ ფა´კტუმ „სარჩელი ფაქტთან დაკავშირებით“]
I. სარჩელი, რომლის ფორმულაც დადგენილი არ იყო და რომელიც სპეციფიკურ ფაქტობრივ გარემოებებს ეყრდნობოდა

actio in personam [*ა´კტიო/ა´კციო ინ პერსო´ნამ „სარჩელი პიროვნებისადმი“]
I. სახელშეკრულებო და დელიქტურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სარჩელები

actio in rem [*ა´კტიო/ა´კციო ინ რემ „სანივთო სარჩელი“]
I. მოპასუხის მფლობელობაში არსებულ ნივთთან დაკავშირებული სარჩელი

actio in simplum [*ა´კტიო/ა´კციო ინ სი´მპლუმ „სარჩელი რეალური ზიანისათვის“]
I. სარჩელი, რომლითაც ხდება რეალურად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

actio incerta [*ა´კტიო *ინკე´რტა/ა´კციო ინცე´რტა „განუსაზღვრელი სარჩელი“]
I. არა ზუსტად განსაზღვრული სარჩელი, როცა მოსამართლე თვითონ ადგენს სასარჩელო მოთხოვნის ზუსტ მოცულობას

actio iniuriarum [*ა´კტიო/ა´კციო ინიურია´რუმ „სარჩელი უსამართლობების გამო“]
I. პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებებთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელი

actio institutoria [*ა´კტიო/ა´კციო ინსტიტუტო´რია „საწარმოს სარჩელი“]
I. სარჩელი მცირე საწარმოს მფლობელის წინააღმდეგ

actio interrogatoria [*ა´კტიო/ა´კციო ინტერროგატო´რია „გამოკითხვითი სარჩელი“]
I. მოპასუხის მიერ დადასტურებული ფაქტების საფუძველზე ფორმულირებული სარჩელი

actio iudicati [*ა´კტიო/ა´კციო იუდიკა´ტი „სარჩელი სასამართლო გადაწყვეტილებისა“]
I. სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც 30 დღის მანძილზე არ შეასრულა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება

actio legis Aquiliae poenalis [*ა´კტიო/ა´კციო ლე´გის აკვი´ლიე პენა´ლის „აქვილიუსის სადამსჯელო კანონის სარჩელი“]
I. სარჩელი სხვისი მონის ან ცხოველის მკვლელის ან ნივთისთვის ზიანის მიმყენებელი პირის წინააღმდეგ

actio legitima [*ა´კტიო/ა´კციო ლეგი´ტიმა „კანონიერ სარჩელი“]
I. lex-ზე და არა პრეტორთა, ედილთა, პროვინციების გამგებლების სამართალზე დაფუძნებული სარჩელი. შეად. **actio honoraria**

actio mandati [*ა´კტიო/ა´კციო მანდა´ტი „რწმუნებულების სარჩელი“]
I. სარჩელი, რომლითაც მარწმუნებელი ითხოვდა რწმუნებულისგან იმ სარგებლის გადაცემას, რომელიც ამ უკანასკნელმა რწმუნების ფარგლებში მოქმედებისას მიიღო ან იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მარწმუნებელს რწმუნებულის ქმედების შედეგად მიადგა

actio mixta [*ა´კტიო/ა´კციო მი´ქსტა „შერეული სარჩელი“]
I. შერეული სარჩელები, რომლებშიც გაერთიანებული იყო სხვადასხვა კატეგორიის სასარჩელო მოთხოვნები ან რომლებიც ერთდროულად წარმოადგენდნენ **actio in personam** და **actio in rem**-ს

actio momentaria [*ა´კტიო/ა´კციო მომენტა´რია „მომენტალური სარჩელი“]
I. კლას. შემდგომ პერიოდში იკავებს **interdictum de vi**-ს ადგილს

actio mutua [*ა´კტიო/ა´კციო მუ´ტუა „შემხვედრი სარჩელი“]
I. ერთსა და იმავე პირებს შორის დამატებით მიმდინარე შემხვედრი სარჩელი

actio negatoria [*ა´კტიო/ა´კციო ნეგატო´რია „უარყოფითი სარჩელი“] ნეგატორული სარჩელი
I. საკუთრების უფლების ისეთი დარღვევების წინააღმდეგ მიმართული სარჩელი, რომლებიც არ გულისხმობდა მესაკუთრისთვის ნივთის ფლობაში ხელის შეშლას

actio noxalis [*ა´კტიო/ა´კციო ნოქსა´ლის „სარჩელი დანაშაულის წინააღმდეგ“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენა ხდებოდა მონის ან ცხოველის მეპატრონის ან ვაჟის მამის წინააღმდეგ მისი ცხოველის ან ვაჟის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით

actio operarum [*ა´კტიო/ა´კციო ოპერა´რუმ „სარჩელი ვალდებულებებისა“]
I. სარჩელი, რომელიც გათავისუფლებული მონის მიერ ფიცის ქვეშ პატრონის წინაშე აღებული მომსახურების ვალდებულების შეუსრულებლობას შეეხებოდა

actio perpetua [*ა´კტიო/ა´კციო პერპე´ტუა „მუდმივი სარჩელი“]
I. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი სარჩელი

actio pignoraticia [*ა´კტიო *პიგნორატი´კია/ა´კციო პიგნორატი´ცია „საგირავნო სარჩელი“]
I. გირავნობის დასრულების შემდეგ დამგირავებლის მიერ მოგირავნის წინააღმდეგ გირავნობის საგნისთვის მიყენებულ ზიანთან ან განადგურებასთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელი

actio poenalis [*ა´კტიო/ა´კციო პენა´ლის „სასჯელის სარჩელი“]
I. სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისთვის ფულადი ჯარიმის და არა მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას

actio popularis [*ა´კტიო/ა´კციო პოპულა´რის „სახალხო სარჩელი“]
I. საზ. ინტერესების დასაცავად წარდგენილი სარჩელი

actio praeiudicialis [*ა´კტიო *პრეიუდიკია´ლის/ა´კციო პრეიუდიცია´ლის „წინასწარი სარჩელი“]
I. საქმისწარმოება, რომელზეც ხდებოდა პრეიუდიციული ფაქტების დადგენა

actio privata [*ა´კტიო/ა´კციო პრივა´ტა „კერძო სარჩელი“]
I. კერძო ინტერესების დასაცავად წარდგენილი სარჩელი

actio pro socio [*ა´კტიო პრო *სო´კიო/ა´კციო პრო სო´ციო „სარჩელი კომპანიონის წინააღმდეგ“]
I. ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობის სხვა წევრთა წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი

actio proposita [*ა´კტიო *პროპოსი´ტა/ა´კციო პროპოზი´ტა „გამოფენილი სარჩელი“]
I. მაგისტრატის დაფაზე გამოკრული განცხადება, ფორმულა, რომელსაც ეყრდნობოდა მესარჩელე

actio Publiciana [*ა´კტიო *პუბლიკია´ნა/ა´კციო პუბლიცია´ნა „პუბლიციუსის სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელსაც წარადგენდა კეთილსინდისიერი მესაკუთრე მისი მფლობელობიდან გასული ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნით

actio quanti minoris [*ა´კტიო/ა´კციო კვა´ნტი მინო´რის „სარჩელი ფასის შემცირებაზე“]
I. სარჩელი მყიდველისა, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ერთი წლის მანძილზე მოითხოვოს გამყიდველისაგან ნასყიდობის ფასის შემცირება, თუ შეამჩნია რაიმე ნაკლი მის მიერ შესყიდულ მონას ან მუშა საქონელს. იუსტ.-ის დროიდან ეს სარჩელი გავრცელდა ნებისმიერ საგანზე

actio quod metus causa [*ა´კტიო/ა´კციო კვოდ მე´ტუს *კა´უსა/კა´უზა „სარჩელი შიშის მიზეზით“]
I. სარჩელი, წარდგენილი იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც იძულებით დაადებინა მოსარჩელეს გარიგება. აღნიშნულ სარჩელს უწოდებდნენ აგრეთვე formula Octaviana-ს, ვინაიდან ის შემოღებულ იქნა პრეტორ ოქტავიანუსის მიერ (ძვ. წ. 80 წ.)

actio rationibus distrahendis [*ა´კტიო *რატიო´ნიბუს/ა´კციო რაციო´ნიბუს დისტრაჰე´ნდის „სარჩელი ანგარიშების განაწილებაზე“]

I. სარჩელი მეურვის წინააღმდეგ, რომელმაც გაფლანგა მის მეურვეობაში მყოფი პირის ქონება

actio recepticia [*ა´კტიო *რეკეპტი´კია/ა´კციო რეცეპტი´ცია „რეცეპტიული სარჩელი“]
I. სარჩელი ბანკირის წინააღმდეგ, რომელმაც დანაპირები თანხა არ გადაიხადა

actio redhibitoria [*ა´კტიო/ა´კციო რედჰიბიტო´რია „სარჩელი უკან დაბრუნებაზე“]
I. ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი

actio rei uxoriae [*ა´კტიო/ა´კციო რე´ი უქსო´რიე „სარჩელი ცოლის ქონებაზე“]
I. სარჩელი განქორწინებული ცოლისა ან ქვრივისა, რომელიც ითხოვს მისთვის მზითვის დაბრუნებას

actio rerum amotarum [*ა´კტიო/ა´კციო რე´რუმ ამოტა´რუმ „სარჩელი გასხვისებულ ნივთზე“]
I. ქმრის სარჩელი ცოლის წინააღმდეგ ან პირიქით, რომლის ნივთი გაასხვისა მეუღლემ, მით უფრო, თუ მოსალოდნელი იყო მათი განქორწინება

actio Rutiliana [*ა´კტიო/ა´კციო რუტილია´ნა „რუტილიუსის სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელსაც გადახდისუუნარო პირის ქონების შემძენი (bonorum emptor) წარადგენდა ამ პირის მოვალეების წინააღმდეგ

actio sepulchri violati [*ა´კტიო/ა´კციო სეპუ´ლხრი ვიოლა´ტი „სარჩელი სამარხის შეურაცხყოფის გამო“]

actio Serviana [*ა´კტიო/ა´კციო სერვია´ნა „სერვიანუსის სარჩელი“]
I. 1. სარჩელი იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისა, რომელიც ითხოვდა მოიჯარისგან მესამე პირზე გადაცემული სამეურნეო ინვენტარის უკან დაბრუნებას; 2. სარჩელი, რომელსაც წარადგენს გადახდისუუნარო მოვალის ქონების შემძენი პირი იმ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, რომელიც ამ უკანასკნელმა მიიღო bonorum venditio-ს შემდეგ
I. სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისთვის სამარხის შეურაცხყოფისათვის ჯარიმის დაკისრებას

I. სენატის პროვინციაში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ პირადი საკუთრების უფლების დაცვის მიზნით წარდგენილი სარჩელი

actio subsidiaria [*ა´კტიო/ა´კციო სუბსიდია´რია „სუბსიდიარიული სარჩელი“]
I. სარჩელი მუნიციპალური მაგისტრატის წინააღმდეგ, რომელმაც პირს დაუნიშნა გადახდისუუნარო მეურვე

actio temporalis [*ა´კტიო/ა´კციო ტემპორა´ლის „დროსთან დაკავშირებული სარჩელი“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენა დასაშვები იყო მხოლოდ გარკვეულ ვადაში

actio tributoria [*ა´კტიო/ა´კციო ტრიბუტო´რია „სარჩელი განაწილებისა“]
I. pater familias-ს წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი იმ ქონების უსამართლოდ განაწილებასთან დაკავშირებით, რომელიც პეკულის სახით გადაცემული ჰქონდა მის ქვეშევრდომს და რომლის მართვისას ნაკისრმა ვალდებულებებმა გადააჭარ-

ბა ქონების ღირებულებას. თუ პეკულის მართვის პროცესში ნაკისრი ვალდებულებები აჭარბებდა პეკულის ღირებულებას, მაშინ pater familias-ის მიერ ხდებოდა კრედიტორებს შორის პეკულის შემადგენელი ქონების პროპორციულად განაწილება. თუ კრედიტორის შეფასებით pater familias-ი არასწორად ანაწილებდა ქონებას, მას შეეძლო წარედგინა სარჩელი pater familias-ის წინააღმდეგ და მოეთხოვა ქონების ხელახალი გადანაწილება

actio tutelae [*ა´კტიო/ა´კციო ტუტე´ლე „მეურვეობაში მყოფის სარჩელი“]
I. მეურვეობის დამთავრების შემდეგ მეურვის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირისა იმის თაობაზე, რომ მეურვემ გაფლანგა მისი ქონება

actio utilis [*ა´კტიო/ა´კციო უ´ტილის „სასარგებლო სარჩელი“]
I. სარჩელი, რომელიც სპეციალური ფორმულის არარსებობის პირობებში, ანალოგიის პრინციპით იყო შედგენილი

actio vectigalis [*ა´კტიო/ა´კციო ვექტიგა´ლის „საგადასახადო სარჩელი“]
I. მოიჯარის მიერ მესამე პირთა წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელი

actio venditi [*ა´კტიო/ა´კციო ვენდი´ტი „სარჩელი გაყიდვის თაობაზე“]
I. სარჩელი, რომლითაც გამყიდველი ითხოვდა მყიდველისგან ნაყიდი ქონების საფასურისა და დარიცხული პროცენტების გადახდას

actio vi bonorum raptorum [*ა´კტიო/ა´კციო ვი ბონო´რუმ რაპტო´რუმ „სარჩელი ქონების ძალით მიტაცების გამო“]
I. სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისგან მიტაცებული ნივთის ღირებულების ოთხმაგი ოდენობის გადახდას

actio viae receptae [*ა´კტიო ვი´ე *რეკე´პტე/ა´კციო ვი´ე რეცე´პტე „სარჩელი გაყვანილი გზის გამო“]
I. სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, ვინც საზოგადოებრივი გზა გაიყვანა სხვის მიწის ნაკვეთზე

actio vindictam spirantis [*ა´კტიო/ა´კციო ვინდი´კტამ სპირა´ნტის „სარჩელი შურისგების მსურველისა“]
I. სარჩელი პირადი წყენით მიყენებულ მორალურ ზიანთან დაკავშირებით

actiones pl. → **actio**

activus [აკტი´ვუს „ქმედითი, ნამდვილი“] აქტივი, აქტიური
II. 1. მატერიალური და/ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ერთობლიობა. „არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება: საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოს დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები და სხვა ამგვარი არამატერიალური აქტივები“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, მე-8(2) მუხლი);

2. „ბიოლოგიური აქტივი – ცხოველი ან მცენარე (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, მე-8(6) მუხლი);
3. „ინფორმაციული აქტივი – ყველა ინფორმაცია და ცოდნა [...], რომლებიც ღირებულია კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტისათვის“ (საქართველოს კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ – 2012, მე-2(კ) მუხლი);
4. „აქტიური საარჩევნო უფლება – საქართველოს მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსში – 2011, მე-2(ნ) მუხლი);
5. ბანკთა აქტიური ოპერაციები – ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც ბანკები მოგების მიღების მიზნით მათ განკარგულებაში არსებულ რესურსებს განათავსებენ. „ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დარღვევების გამოვლენისას ეროვნულ ბანკს უფლება აქვს..., როცა საფრთხე ემუქრება კომერციული ბანკის მეანაბრეთა ან სხვა კრედიტორთა ინტერესებს, შეუჩეროს მას აქტიური ოპერაციები...“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ – 1996, 30(3)(თ)-ე მუხლი);
6. „დიპლომატიური სამსახურის აქტიური რეზერვი – საქართველოს პარლამენტის აპარატის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს მთავრობის კანცელარიის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის, რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საჯარო მოხელეები, აგრეთვე საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეები, რომლებიც მონაწილეობენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წინადადებების შემუშავებასა და განხორციელებაში“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, მე-2(ლ) მუხლი);
7. სამხედრო ძალების აქტიური რეზერვი – სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და რეზერვში ჩარიცხული პირები, რომლებიც ჯანმრთელობისა და ფიზიკური მდგომარეობით აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. „სამხედრო ძალების რეზერვი იყოფა სამ კატეგორიად: აქტიური რეზერვი, რომლის მიზანია პირთა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნება, სამობილიზაციო მზაობა“ (საქართველოს კანონი სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ – 2006, მე-2(3)(ა) მუხლი)
III. 1.„აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად სარგებლობენ ის პირნიც, ვინც ამ კონსტიტუციის მე-8 მუხლშია აღნიშნული...“ (კონსტ. – 1922, თავი VI, 92(გ), შენიშვნა)

actor [ა´კტორ „მოქმედი“, „ავტორი“, „დამნაშავე“]
I. სინ. petitor მოსარჩელე, სინ. defensor დამცველი

actum [ა´კტუმ „ქმედება“, „ქრონიკა“, „აქტი“, „დადგენილება“]
I. დადგენილება, აქტი, განკარგულება. იხ. acta
II. 1. „სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, 2(1)-ე მუხლი);
2. „ტერორისტული აქტი – აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას, ხელყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას, სახელმწიფოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით“ (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ – 2007, 1(ბ)-ლი მუხლი)
III. „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი – 1918)

actus [ა´კტუს „გარეკვა“]
I. სერვიტუტი, რომელიც იძლეოდა სხვის ნაკვეთზე ეტლით გავლის, საქონლის გარეკვისა და წყლის გაყვანის უფლებას

actus contrarius [ა´კტუს კონტრა´რიუს „საპირისპირო ქმედება“]
I. იურიდიული ქმედება, საპირისპირო ადრინდელი სამართლებრივი ქმედებისა

adaeratio [*ადერა´ტიო/ადერა´ციო „შეფასება ფულით“] ადერაცია
I. რომ. იმპ.-ის გვიან პერიოდში ნატურით გადასახადის გადაანგარიშება ფულად ერთეულებში

addicere [*ადდი´კერე/ადდი´ცერე „მისჯა,“ „მიკუთვნება“]
I. 1. დანიშვნა, გასამართლება, დავის გადაწყვეტა

addicere arbitrum [*ადდი´კერე/ადდი´ცერე არბი´ტრუმ „არბიტრის დანიშვნა“]
I. მსაჯულის, არბიტრის დანიშვნა

addictio [*ადდი´კტიო/ადდი´კციო „მისჯა“, „გადაცემა“, „მინიჭება“] ადიქცია
I. მაგისტრატის გადაწყვეტილება: გათავისუფლებული მონისათვის თავისუფლების დამტკიცების შესახებ, დანაშაულზე წასწრებული ქურდის დაზარალებულისათვის გადაცემის შესახებ, მემკვიდრეობის მინიჭების შესახებ, რომელზედაც პრეტენზიას არ აცხადებდნენ მემკვიდრეები

addictio in diem [*ადდი´კტიო/ადდი´კციო ინ დი´ემ „გადაცემა (გარკვეულ) დღემდე“]
I. დამატებითი არაფორმალური შეთანხმება, რომლის ძალითაც გამყიდველს შეეძლო უარი ეთქვა მყიდველთან გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, თუ დათქმულ ვადაში გამოჩნდებოდა ახალი მყიდველი, რომელიც მზადყოფნას გამოთქვამდა გადაეხადა უფრო მაღალი საფასური.

addictus [ადდი´კტუს „ხელმოკლე“, „გაკოტრებული“] ადიქტი

I. გაკოტრებული მოვალე, რომელიც, პრეტორის განჩინებით ემსახურებოდა კრედიტორს ვალის გადახდამდე

ademptio [*ადე´მპტიო/ადე´მპციო „გაუქმება“, „კონფისკაცია“] ადემპცია
I. გაუქმება

ademptio bonorum [*ადე´მპტიო/ადე´მპციო ბონო´რუმ „ქონების ჩამორთმევა“]
I. კონფისკაცია

ademptio legati [*ადე´მპტიო/ადე´მპციო ლეგა´ტი „ლეგატის გაუქმება“]
I. ანდერძის გაუქმება

adfinitas [ადფი´ნიტას „ნათესაობა“, „მოყვრობა“]
I. ქორწინების შემდეგ დამყარებული ნათესაური კავშირი, მაგ. მამამთილსა და რძალს შორის. განქორწინების შემთხვევაში ეს ნათესაური კავშირი უქმდებოდა

adiectio [*ადიე´კტიო/ადიე´კციო „ფასის გაზრდა“]
I. ფასის გაზრდა (აუქციონზე)

adire [ადი´რე „შესვლა“, „თავის თავზე აღება“]
I. თავის თავზე აღება

aditio hereditatis [*ადი´ტიო/ადი´ციო ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის მიღება“]
I. მემკვიდრეობის მიღება

aditus [ადი´ტუს „შესაძლებლობა“]
I. სერვიტუტი, რომელიც მესაკუთრისთვის საკუთარი მიწის ნაკვეთის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს

adiudicatio [*ადიუდიკა´ტიო/ადიუდიკა´ციო „მიკუთვნება“] ადიუდიკაცია
I. საპროცესო ფორმულის ნაწილი, რომლის ძალითაც მოსამართლე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება; გაანაწილოს საერთო ქონება მხარეებს შორის

administratio [*ადმინისტრა´ტიო/ადმინისტრა´ციო „მართვა“] ადმინისტრაცია
I. მართვა (ქონებისა მეურვის მიერ);
II. 1. სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანო ან მათი ერთობლიობა. „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ – ცესკო) და მისი აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები (შემდგომ – უსკო) და მათი აპარატები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2012, მე-2(ს) მუხლი);
2. კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მართვის/მმართველობითი ფუნქციის მქონე ორგანო. „იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც“ (საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ – 1998, 24-ე მუხლი)
III. „საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას უფლება აქვს მუშაკისათვის საკუთარი სახსრების ხარჯზე დაადგინოს კანონმდებლობას-

თან შედარებით დამატებითი შრომითი და სოციალური შეღავათები“ (საქ. სსრ შრომის კანონთა კოდ. – 1973, მე-6(2) მუხლი)

administrativus [ადმინისტრატი´ვუს „ადმინისტრაციული“] ადმინისტრაციული

I. ადმინისტრაციული

II. 1. ადმინისტრაციასთან ან მის ორგანოებთან, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული. „სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები“ (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – 1999, 245-ე მუხლი);

2. ადმინისტრაციული დაკავება – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 12 საათს, თუ განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. „ადმინისტრაციული დაკავება“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 245-ე მუხლი);

3. ადმინისტრაციული იურისდიქცია – საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილება გადაწყვიტონ ინდივიდუალური ადმინისტრაციული საქმეები და გამოიყენონ შესაბამისი იურიდიული სანქციები. „საქართველოს ტერიტორიაზე იმ უცხოელი მოქალაქის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით საქართველოს ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, გადაწყდება დიპლომატიური გზით“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ – 1984, მე-17(2) მუხლი);

4. „ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“ (საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდ. – 1999, მე-2(1)(ა) მუხლი);

5. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ეკისრებათ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს მათ მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით. „თუ უცხოელი საქართველოს ტერიტორიას დატოვებს ვიზის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის დროებითი ბინადრობის მოწმობის ვადის ამოწურვიდან 10 დღის განმავლობაში, მას არ დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით (საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ – 2005, 50(4)-ე მუხლი);

6. ადმინისტრაციული პატიმრობა – ადმინისტრაციული სახდელის ყველაზე უფრო მკაცრი ფორმა, რომელიც გამოიყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში და რომელიც გამოიხატება მაქსიმუმ 15 დღის ვადით თავისუფლების აღკვეთაში. „ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება მსჯავრდებულს ეზღუდება დისციპლი-

ნური სახდელის მოქმედების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღების პერიოდში“ (საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი – 2010, მე-17[1](2)-ე მუხლი);
7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა – სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, პირთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების, აგრეთვე მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლისთვისაც კანონმდებლობა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ (1984)
8. ადმინისტრაციული სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საფუძველზე აღმოცენებულ ურთიერთობებს. „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ... კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ – 2010, მე-2 მუხლი);
9. ადმინისტრაციული სახდელი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობის ზომა. „საქართველოს კანონი ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ“ (2012)
10. „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი“ (საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდ. – 1999, მე-2(1)(გ) მუხლი);
11. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ (1999)
12. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სტრუქტურული ერთეული. „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებამდე სახელმწიფო თეატრს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით აფუძნებს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია...“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო თეატრების შესახებ – 2006, მე-8[1](1) მუხლი);
13. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა – უნიტარული ან ფედერაციული სახელმწიფოს ტერიტორიის ან ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის განსაზღვრულ ერთეულებად – ოლქებად, პროვინციებად, გუბერნიებად და ა.შ. დაყოფა, რის შესაბამისადაც იქმნება და ფუნქციონირებს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა სისტემა. „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ: – საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ – 1990, მე-6 პუნქტი);

14. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. 14.1 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი დიპლომატიურ სამსახურში. „ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სამინისტროს სისტემაში არადიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული ან ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოდ მიღებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევენ სამინისტროს ცენტრალურ აპარატს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, მე-2(ი) მუხლი) 14.2 ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ ორგანიზაციულ და ტექნიკურ (სარემონტო, სამონტაჟო და გასამართი და ა.შ. სამუშაოების) საქმიანობას. „სახელმწიფო თეატრი შედგება თეატრის ხელმძღვანელობის, დასისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისაგან“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო თეატრების შესახებ – 2006, მე-6 მუხლი);
15. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ (1999)
III. „ადმინისტრაციული დაყოფა და თვითმმართველ ერთეულთა საზღვრების დაწესება და შეცვლა წარმოებს მხოლოდ კანონმდებლობითის წესით“ (კონსტ. – 1921, თავი I, მუხლი 7)

admissio [ადმი´სსიო „ნებართვა“]
I. იმპერატორთან აუდიენციაზე დაშვება

admissum [ადმი´სსუმ „დანაშაული“]
I. დანაშაულებრივი ქმედებების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი

admittere [ადმი´ტტერე „გაშვება, დაშვება“]
I. აკრძალული ქმედების დაშვება

adnotatio [*ადნოტა´ციო/ადნოტა´ციო „შენიშვნა“] ანოტაცია
I. იმპერატორის გადაწყვეტილება, რომელსაც ის მიაწერდა ხოლმე მის სახელზე გაგზავნილ პეტიციებს
II. დოკუმენტის შინაარსის მოკლე გადმოცემა. „სამაუწყებლო ბადე – მაუწყებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას და მაუწყებლობის დროს“ (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ – 2004, მე-2(ჰ^3) მუხლი)
III. „საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო ... დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეადგენს პირველ რიგში სარეალიზაციო პროგრამების ჩამონათვალს და მოკლე ანოტაციებთან ერთად დაურთავს მომდევნო წლის ინდიკატური გეგმის პროექტის წინასწარ საპროგნოზო გაანგარიშებებს...“ (საქართველოს კანონი საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური დაგეგმვის საფუძვლების შესახებ – 1997, მე-3(5) მუხლი)

adoptio [*ადო´პტიო/ადო´პციო „შვილად აყვანა“] ადოპცია, ადოპტაცია
I. შვილად აყვანა, რომლის დროსაც ერთი pater familias-ის ძალაუფლების ქვეშ მყოფ პირს იშვილებდა მეორე pater familias-ი

adoratio purpurae [*ადორა´ტიო/ადორა´ციო პურპუ´რე „თხოვნა, ვედრება მეწამულ მოსასხამთან“] ადორაცია
I. წეს-ჩვეულება იმპერატორთან აუდიენციის დროს, როცა მუხლმოდრეკილი მთხოვნელი იმპერატორის მეწამული ფერის მოსასხამის კალთას ეამბორებოდა

adprehensio, apprehensio [ადპრეჰე´ნსიო, აპპრეჰე´ნსიო „დაუფლება“]
I. ნივთის ფიზიკური დაუფლება ან დაუფლების სიმბოლური ჟესტი

adprobare, approbare [ადპრობა´რე/ა´პპრობა´რე „მოწონება“]
I. დამტკიცება, ოფიციალური დადასტურება, აღიარება მაგ. მონის გათავისუფლებისა

adprobatio operis [*ადპრობა´ტიო/ადპრობა´ციო ო´პერის, „სამუშაოს შემოწმება“]
I. დაქირავებული პირის მიერ შესრულებული სამუშაოს მოწონება

adpromissio [ადპრომი´სსიო „დავალდებულება“] აპრომისია
I. გვიანკლასიკური დოქტრინალური ტერმინი, სხვისი ვალდებულების აღება საკუთარ თავზე, განს. შემთხვევა თავდებობისა

adpromissor [ადპრომი´სსორ „თავდები“, „გარანტი“] აპრომისორი
I. ვინც თავდებად დაუდგება მოვალეს, ოღონდ გარანტი ხდება ვალზე ნაკლები რაოდენობის თანხის

adquirere [ადკვი´რერე „მიმატება“, „შეძენა“]
I. მოპოვება (საკუთრების უფლების, მემკვიდრეობის, მფლობელობის და ა.შ.)

adquisitio rerum [*ადკვისი´ტიო/ადკვიზი´ციო რე´რუმ, „საკუთრების მოპოვება“]
I. საკუთრების უფლების მოპოვება იურიდიული აქტით

adrogatio [*ადროგა´ტიო/ადროგა´ციო „შვილად აყვანა“] აროგაცია
I. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის თავისებური ფორმა, რომლის დროსაც მშვილებელი ნაშვილებ სრულწლოვან პირს მთელი მისი ოჯახით და ქონებით იღებდა საკუთარ ოჯახში

adscribere [ადსკრი´ბერე „მიწერა“, „ჩაწერა“, „მიკუთვნება“]
I. მიწერა, მიკუთვნება

adscriptae glebae [ადსკრი´პტე გლე´ბე „მიკუთვნებული მიწები“]
I. მიკუთვნებული მიწის ნაკვეთები

adscriptio [*ადსკრი´პტიო/ადსკრი´პციო „მიწერა, „ჩაწერა“] ადსკრიფცია
I. მოწმეთა სახელების შეტანა ანდერძში

adsertio [*ადსე´რტიო/ადსე´რციო „აღიარება“]
I. სასამართლოს წინაშე განცხადებული ნებისმიერი მტკიცება, მაგ., პირის სტატუსის შესახებ

adsertor libertatis [ადსე´რტორ ლიბერტა´ტის „თავისუფლების გამომცხადებელი“]

I. სასამართლო პროცესის მონაწილე, რომელიც ადასტურებდა პირის მონობიდან გათავისუფლების ფაქტს

adsessor [ადსე´სსორ „სხდომის მონაწილე“] ასესორი
I. მოსამართლის მრჩეველი, რომელიც ეხმარებოდა მაგისტრატს ან მოსამართლეს კვალიფიციური რჩევებით

adsidere [ადსიდე´რე „ჯდომა ვინმესთან ერთად“]
I. ვინმესთან ერთად ჯდომა (მრჩევლად)

adsignatio [*ადსიგნა´ტიო/ადსიგნა´ციო „გამოყოფა“] ასიგნაცია
I. სახ. მიწების დაყოფა ერთნაირი ოდენობის, მცირე ნაკვეთებად და გადაცემა კერძო საკუთრებაში

adstipulatio [*ადსტიპულა´ტიო/ადსტიპულა´ციო „სრული თანხმობა“] ასტიპულაცია
I. აქცესორული ხელშეკრულება, რომელიც ფორმდებოდა მოვალესა და დამატებით კრედიტორს შორის და რომლის ძალითაც დამატებით კრედიტორს შეეძლო მოეთხოვა მოვალისაგან ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. დამატებითი კრედიტორი მოქმედებდა ძირითადი კრედიტორის რწმუნებით

adstipulator [ადსტიპულა´ტორ „კრედიტორის დამხმარე“]
I. ასტიპულაციის ხელშეკრულების დამატებითი კრედიტორი

adtemptare [ადტემპტა´რე „მოსინჯვა“, „იერიშის მიტანა“, „შეცდენა“]
I. ცდუნება

adtemptare pudicitiam [ადტემპტა´რე *პუდიკი´ტიამ/პუდიცი´ციამ „უმანკოების წართმევა“]
I. ქალწულის ცდუნება

adulescens [*ადულე´სკენს/ადულე´სცენს „ახალგაზრდა“, მრ. რ. adulescentes]
I. ახალგაზრდა

adulterator [ადულტერა´ტორ „ფალსიფიკატორი“] ადულტერატორი
I. ყალბი ფულის მჭრელი

adulterium [ადულტე´რიუმ „ცოლქმრული ღალატი“] ადულტერიუმი
I. გარყვნილება, ღალატი ცოლის მხრიდან. ქმარს შეეძლო დაესაჯა მოღალატე ცოლი

adultus [ადუ´ლტუს „მოზარდი“]
I. არასრულწლოვანი (14-დან 25 წლამდე)

adventicius [*ადვენტი´კიუს/ადვენტი´ციუს „უცხო“, „გარედან მოსული“]
I. dos adventicia მზითვი, გაცემული არა მამის მხრიდან

adversaria pl. [ადვერსა´რია „დაპირისპირებანი“] ადვერსარია
I. (scripta) სავაჭრო დავთარი, სადაც რომაელები არეგისტრირებდნენ ყველა მიმდინარე გარიგებას

adversarius [ადვერსა´რიუს „საპირისპირო“, „მოწინააღმდეგე“]
I. მოწინააღმდეგე მხარე სამართლებრივ დავაში

advocatura (*საშ. ლათ.*) [ადვოკატუ´რა „ადვოკატების კოლეგია“] ადვოკატურა
II. ადვოკატურა – ორგანიზაციული წარმონაქმნი, სადაც მუშაობენ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიების წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილნი არიან აწარმოონ საადვოკატო საქმიანობა. „ამ კანონით დადგენილი წესით ადვოკატთა ასოციაციის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონით დამტკიცებული დებულება „საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ““ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ – 2001, 45(1)-ე მუხლი)
III. „საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ ადვოკატურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (1980)

advocatus [ადვოკა´ტუს „მოხმობილი“] ადვოკატი
I. ადვოკატი, ვექილი, რომელიც ეხმარება პირს იურიდიული რჩევებით, იცავს მის ინტერესებს სასამართლო პროცესზე. რესპუბლიკის დროს ეს იყო მეგობრული დახმარება, პრინციპატის დროს კი **a.** ჰონორარს იღებდა. სინ. causidicus
II. „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ – 2001, 1(2)-ლი მუხლი);
III. „დებულება ადვოკატთა შესახებ“ (1922)

aedes ან **aedis** [ე´დეს, ე´დის „ოთახი“, „ტაძარი“, „სახლი“]
I. ოთახი, სახლი, შენობა

aedes sacra [ე´დეს სა´კრა „წმინდა სახლი“]
I. წმინდა (ადგილი) სალოცავი

aedes vitiosa [ე´დეს *ვიტიო´სა/ვიციო´ზა „დაზიანებული სახლი“]
I. დეფექტური შენობა

aedicula [ედი´კულა „პატარა ტაძარი“]
I. პატარა ტაძარი

aedificatio [*ედიფიკა´ტიო/ედიფიკა´ციო „სახლის მშენებლობა“]
I. მშენებლობა, შენობა, ნაგებობა

aedilis [ედი´ლის „სახლისა“] ედილი
I. თანამდებობის პირი, თავდაპირველად იყო ორი **a.:** aediles plebei, aediles curules, შმდ. მათ დაემატა კიდევ ორი: aediles cereales , მუნიციპიებში – aediles duumviri, triumviri და ა. შ. მათი მოვალეობა იყო სახალხო სანახაობების მოწყობა, ქალაქის კეთილმოწყობა, ტაძრების, გზების, ბაზრების, სახალხო ნაგებობებისათვის თვალყურის დევნება, სურსათით მომარაგება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ა.შ.

aedilis curulis, pl. aediles curules [ედი´ლის კურუ´ლის „კურულის ედილი“] კურულის ედილი
I. პატრიციუსების მაგისტრატი, რომელიც იერარქიულ კიბეზე პრეტორსა და კვესტორს შორის იდგა

aemulatio [*ემულა´ტიო/ემულა´ციო „მეტოქეობა“, „შეჯიბრი“] ემულაცია

I. უფლების ბოროტად გამოყენება

aequalis [ეკვა´ლის „თანაბარი“]
I. ერთნაირი, თანაბარი

aequalitas [ეკვა´ლიტას „თანასწორობა“]
I. თანასწორობა, სამართლიანობა

aequitas, [ე´კვიტას „თანასწორობა“]
I. სამართლიანობა. ამოსავალი პრინციპი რომ. სამ.-ის განმარტებისთვის. bonum et aequum სწორი და სამართლიანი

aequus [ე´კვუს „თანასწორი“, „სამართლიანი“]
I. სამართლიანი, თანაბარი, მიუკერძოებელი

aer [ა´ერ „ჰაერი“] ჰაერი
I. ჰაერი, წარმოადგენს საერთო საკუთრებას – communes omnium

aerarium [ერა´რიუმ „ხაზინა“]
I. ხაზინა

aerarium militare [ერა´რიუმ მილიტა´რე „სამხედრო ხაზინა“]
I. სამხედრო ხაზინა. იგი დააარსა ავგუსტუსმა. ამ ხაზინიდან გაიცემოდა დახმარება ვეტერანებისათვის

aerarium populi Romani [ერა´რიუმ პო´პული რომა´ნი „რომაელი ხალხის ხაზინა“]
I. რომაელი ხალხის სახელმწიფო ხაზინა რესპუბლიკის ხანაში. იგი ინახებოდა სატურნუსის ტაძარში

aerarius [ერა´რიუს „ფულადი“]
I. ყველაზე დაბალი საზ. ფენის წარმომადგენელი, უუფლებო, იბეგრებოდა მხოლოდ სულადობრივი გადასახადით

aes [ეს „ლითონი, „სპილენძი“, „ლითონის ფული“]
I. ლითონის ფული

aes alienum [ეს ალიე´ნუმ „სხვისი ფული“]
I. ვალი

aes equestre [ეს ეკვე´სტრე „მხედრის ფული“]
I. ფული, რომელიც ეძლეოდა რომაელ მხედრებს ცხენის შესაძენად

aes hordearium [ეს ჰორდეა´რიუმ „ფული ქერისათვის“]
I. ფული, რომელიც ეძლეოდა რომაელ მხედრებს ფურაჟის შესაძენად

aes militare [ეს მილიტა´რე „მეომრის ფული“]
I. მეომრის გასამრჯელო

aestimatio [*ესტიმა´ტიო/ესტიმა´ციო „ფულადი შეფასება“] ესტიმაცია
I. ფულადი შეფასება, ზარალის განსაზღვრა

aestimatio dotis [*ესტიმა´ტიო/ესტიმა´ციო დო´ტის „მზითვის შეფასება“] ესტიმაცია
I. მზითვის ფულადი შეფასება

aestimatum [ესტიმა´ტუმ „გარიგება“] ესტიმატუმი

I. სინ. contractus aestimatorius, შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ნივთის გადაცემა ხდებოდა გასაყიდად იმ პირობით, რომ გარკვეული ვადის ამოწურვის შემდეგ მიმღები გადაიხდიდა წინასწარ დათქმულ თანხას ან დააბრუნებდა ნივთს

aetas legitima [ე´ტას ლეგი´ტიმა „კანონიერი ასაკი“]
I. სრულწლოვანი პირი. პირი სრულწლოვანებას აღწევდა 25 წლის ასაკში

affectare [აფფექტა´რე „მიღწევა“, „მოპოვება“]
I. სწრაფვა, მიღწევა

affectatio regni [*აფფეკტა´ტიო/აფფეკტა´ციო რე´გნი „სურვილი სამეფო ძალაუფლებისა“]
I. სამეფო ძალაუფლებისაკენ სწრაფვა

affectio [*აფფე´კტიო/აფფე´კციო „განწყობა“] აფექცია
I. ნება, განზრახვა

affectio maritalis [*აფფე´კტიო/აფფე´კციო მარიტა´ლის „ცოლ-ქმრის ნება-სურვილი“]
I. ცოლ-ქმრის ნება ერთად ცხოვრებისა, ძირითადი კომპონენტი matrimonium-ისა

affectus [აფფე´კტუს „სულიერი მღელვარება“] აფექტი
I. სულიერი აღელვების მდგომარეობა
II. უეცრად აღმოცენებული და მძაფრად მიმდინარე, სწრაფწარმავალი სულიერი მღელვარება ან ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს საკუთარ ქმედებებზე კონტროლის დაქვეითება. „მწვავე სტაციონარულ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს მწვავე ფსიქოზური სიმპტომებით მიმდინარე მდგომარეობების კუპირებას ან ისეთი ქცევითი ან აფექტური სიპტომების მკურნალობას, რომელთა გამოც საფრთხე ექმნება პაციენტის ან გარშემომყოფთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება № 92 – 2012, დანართი 6, მე-3(ბ)(ა)(ა) მუხლი)
III. „აფექტური ფსიქოზები“ (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 30/ო – 2000, დანართი 1, მე-5 პუნქტი)

affinitas [აფფი´ნიტას „მოყვრობა“, „ნათესაობა“]
I. მოყვრობა, ნათესაური კავშირი მეუღლეების ნათესავებს შორის, განქორწინების შედეგად **a.** წყდება

agens, **-entis** [ა´გენს „მოქმედი“] აგენტი
I. მოსარჩელე
II. 1. იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც სხვა პირის (პრინციპალის) დავალებით ახორციელებს იურიდიულ ან სხვა სახის ქმედებებს საკუთარი სახელით, მაგრამ მარწმუნებლის ხარჯით ან მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით. „გადამზიდავის აგენტის ან მოსამსახურის პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება ამ თავში გათვალისწინებული ნორმებით, თუ დამტკიცდა, რომ დაკარგვა, დანაკლისი, დაზიანება ან გაფუჭება გამოწვეულია უხეში გაუფრთხილებლობით ან განზრახ ქმედებით“ (საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 161(4)-ე მუხლი);
2. „ანგარიშსწორების აგენტი – იურიდიული პირი, რომელიც სისტემის მონაწილეებს უზრუნველყოფს ანგარიშსწორების ანგარიშებით, რომელთა მეშვეო-

ბითაც ხდება მონაწილეთა შორის ანგარიშსწორება სისტემაში შესრულებული ტრანსფერორდერების საფუძველზე“ (საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ – 2012, მე-2(ნ) მუხლი);

3. დიპლომატიური აგენტი – დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი. „საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია გამოიყენება საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გავლისას უცხო ქვეყნის გემზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ, თუ გემის კაპიტანი, გემის დროშის სახელმწიფოს დიპლომატიური აგენტი ან საკონსულოს წარმომადგენელი დახმარებისათვის მიმართავს საქართველოს შესაბამის ორგანოებს“ (საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ – 1998, 27(1)(ზ)-ე მუხლი);

4. ეკონომიკური აგენტი. 4.1 „ეკონომიკური აგენტი – პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას“ (საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ – 2012, მე-3(ა) მუხლი). 4.2 „ეკონომიკური აგენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკრედიტო დაწესებულება აძლევს კრედიტს“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო ვალის შესახებ – 1998, 1(ჩ)-ლი მუხლი);

5. საგადასახადო აგენტი – პირი, რომელსაც დაკისრებული აქვს გადასახადის გამოთვლის, დაქვითვისა და ბიუჯეტში გადარიცხვის ფუნქცია. „საგადასახადო აგენტი – არის პირი, რომელმაც ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევაში და დადგენილი წესით უნდა შეასრულოს გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულება“ (საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, მე-20(2) მუხლი);

6. „სადაზღვევო აგენტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ – 1997, მე-2(ზ) მუხლი);

7. საკონსული აგენტი – საკონსულო წარმომადგენლობის ხელმძღვანელის კლასის დასახელება. „საქართველოს გენერალურ საკონსულოს ხელმძღვანელობს გენერალური კონსული, საქართველოს საკონსულოს – კონსული, საქართველოს ვიცე-საკონსულოს– ვიცე-კონსული, ხოლო საქართველოს საკონსულო სააგენტოს – საკონსულო აგენტი“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, მე-7 მუხლი);

8. საკრუინგო აგენტი – პირი, რომელიც საზღვაო და სამდინარო გემების ეკიპაჟთა დაკომპლექტებას ახორციელებს. „სააგენტო არ მიიღებს განცხადებას სერტიფიკატის ან აღიარების დამადასტურებელი საბუთის ცნობის შესახებ, თუ ამგვარი სერტიფიკატის ან საბუთის ნამდვილობა არ არის დამოწმებული სანოტარო წესით, საკრუინგო აგენტის ან გემთმფლობელის მიერ“ (საქართველოს კანონი მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ – 2011, 62(4)-ე მუხლი);

9. „ფისკალური აგენტი – საგადახდო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების

მხარდამჭერი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(ს) მუხლი)
III. „აღნუსხვა უმაღლესი რევკომების და იმათ განყოფილებათა ყველა აგენტის, რომელნიც მოდიან აღნიშნულს ადგილას, მათთვის დავალებული საქმის შესასრულებლად“ (დეკრეტი 23, I, ა, 3 – 1921 წ., აქტები 1922-1978)

agens in rebus [ა´გენს ინ რე´ბუს „საქმეთა შემსრულებელი“]
I. დომინატის დროს პოლიციური ორგანო, რომელიც ასრულებდა სხვადასხვა ფუნქციას

agentarius [აგენტა´რიუს „საქმის მწარმოებელი“] აგენტარიუსი
I. ბანკირი, რომელიც აწარმოებდა ყოველგვარ ფინანსურ ოპერაციას, ადგენდა დავთარს და საჭიროების შემთხვევაში წარუდგენდა სასამართლოს

agentura (*საშ. ლათ.*) [აგენტუ´რა „აგენტთა ერთობლიობა, აგენტთა კოლეგია“] აგენტურა
II. აგენტთა ქსელი, შექმნილი საიდუმლო მონაცემთა შეგროვებისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოებისთვის. „საქართველოში სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში სახელმწიფო უშიშროების ინტერესების დაცვის, ხელისუფლების უმაღლეს სტრუქტურებში უცხო ქვეყნის აგენტურის შეღწევისა და სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების მიმართ ტერორისტული აქტების აღკვეთის, საჯაროობისა და ლუსტრაციის პრინციპების განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტს აუცილებლად მიაჩნია შესწავლილ იქნეს და პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება მიეცეს საქართველოში არსებული ყოფილი სსრკ-ის, საქართველოს სსრ-ის და საქართველოს უშიშროების ორგანოთა არქივებში დაცულ, საბჭოთა სუკ-ის აგენტურასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება ლუსტრაციის მექანიზმის შემუშავების დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ – 1998, პრეამბულა)
III. „აქტიური მოქმედება ან აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც გამოუჩენია პასუხსაგებ ან საიდუმლო (აგენტურა) თანამდებობაზე მყოფ პირს სამეფო წეს-წყობილების დროს ან კონტრევოლუციონურ მთავრობასთან, სამოქალაქო ომის დროს, გამოიწვევს ამ კოდექსის 58^{2} მუხლ. აღნიშნულ სოციალური დაცვის ღონისძიებას“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, კერძო ნაწილი, თავი I, კარი 1, 58^{13})

ager [ა´გერ „მიწა“, „ყანა“, „ნაკვეთი“]
I. მიწის ნაკვეთი, უძრავი ქონება

ager arcifinius, **a. arcifinalis** [აგერ *არკიფი´ნიუს/არციფი´ნიუს, ა´გერ *არკიფინა´ლის/არციფინა´ლის „შემოსაზღვრული მიწა“]
I. მიწის ნაკვეთი, ბუნებრივი საზღვრებით (მდინარით, მთით) შემოფარგლული

ager colonicus [ა´გერ კოლო´ნიკუს „კოლონიის მიწა“]
I. ტერიტორია, კოლონისტებისათვის დასარიგებელი

ager compascuus [ა´გერ კომპა´სკუუს „საერთო საძოვარი“]

I. სახ. მიწა, საერთო საძოვრებად გამოყენებული

ager decumanus [ა´გერ დეკუმა´ნუს „დაბეგრილი მიწა“]
I. ბეგარით დატვირთული მიწის ნაკვეთი

ager desertus [ა´გერ *დესე´რტუს/დეზე´რტუს „მიტოვებული მიწის ნაკვეთი“]
I. მიტოვებული მიწა

ager emphyteutic(ari)us [ა´გერ ემფიტეუტიკ(ა´რი)უს „საიჯარო მიწა“]
I. იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთი, რომლის გადაცემაც ხდება მემკვიდრეობით

ager gentilicius [ა´გერ *გენტილი´კიუს/გენტილი´ციუს „საერთო მიწა“]
I. საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი

ager limitatus [ა´გერ ლიმიტა´ტუს „შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთი“]
I. მიწის ნაკვეთი, რომლის საზღვრებიც იყო საგანგებოდ მიწისმზომელების მიერ დადგენილი

ager locatus ex lege censoria [ა´გერ ლოკა´ტუს ექს ლე´გე *კენსო´რია/ცენზო´რია „ცენზორის მიერ არენდით გაცემული მიწა“]
I. სახ. მიწა, რომელსაც ცენზორი აძლევდა არენდით იმ პირს, ვინც სთავაზობდა ყველაზე მომგებიან პირობებს

ager occupatorius [ა´გერ ოკკუპატო´რიუს „დაუფლებული მიწის ნაკვეთი“]
I. სახ. მიწა, ბუნებრივი საზღვრებით, დაუმუშავებელი, რომლის დაუფლება შეეძლოთ პატრიციუსებს, ფორმალურად ეს იყო დროებით მფლობელობაში არსებული მიწა, რომელიც შემდეგ თანდათანობით კერძო საკუთრებაში გადადიოდა

ager optimo iure privatus [ა´გერ ო´პტიმო იუ´რე პრივა´ტუს „კერძო მიწა საუკეთესო უფლებით“]
I. კერძო საკუთრებაში არსებული, გადასახადებისაგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი

ager privatus [ა´გერ პრივა´ტუს „კერძო მიწა“]
I. მიწაზე კერძო საკუთრება

ager privatus vectigaliisque [ა´გერ პრივა´ტუს ვექტიგალიი´სკვე „კერძო მიწა გადასახადებით“]
I. მიწის ნაკვეთი, რომელიც კერძო პირმა შეიძინა სახ.-გან, თუმცა მას აქვს მიწის ნაკვეთით მხოლოდ სარგებლობის უფლება, რომელიც შეუძლია გაასხვისოს ან გადასცეს მემკვიდრეობით

ager publicus [ა´გერ პუ´ბლიკუს „საჯარო მიწა“]
I. სახ. მიწა, რომელიც გადაეცემოდა უსასყიდლოდ საკუთრებაში პატრიციუსებს ან იყიდებოდა კერძო პირებზე

ager quaestorius [ა´გერ კვესტო´რიუს „კვესტორული მიწა“]
I. სახელმწიფოსაგან სარგებლობის უფლებით შეძენილი მიწა, რომლისთვისაც შემძენი იხდიდა გადასახადს

ager Romanus [ა´გერ რომა´ნუს „რომაელთა მიწა“]
I. რომის სახ.-ს ტერიტორია, თავდაპირველად იტალიის მიწების გარეშე, შემდგომ მთლიანად მთელი იტალიის ტერიტორია, რომელიც 35 ტრიბად იყოფოდა

ager scripturarius [ა´გერ სკრიპტურა´რიუს „ფასიანი საძოვარი“]
I. საზ. საძოვრები, იჯარით გაცემული კერძო პირებზე, რისთვისაც მოიჯარე გადასახადს იხდიდა

ager stipendiarius [ა´გერ სტიპენდია´რიუს „დაქირავებული მიწა“]
I. სახ. მიწა სენატის პროვინციაში, რომელიც იჯარით ეძლეოდა კერძო პირებს

ager tributarius [ა´გერ ტრიბუტა´რიუს „საღალო მიწა“]
I. სახ. მიწა პრინცეპსის პროვინციაში

ager trientabulis fruendis datus [ა´გერ ტრიენტა´ბულის ფრუ´ენდის და´ტუს „მიწა მესამედ (ფასად) სარგებლობაში მიცემული“]
I. მიწა, რომელსაც შეჭირვებული ფინანსური ვითარების დროს სახელმწიფო კერძო სარგებლობაში გადასცემდა პირს მესამედ ფასში შემდგომი გამოსყიდვის უფლებით

ager vectigalis [ა´გერ ვექტიგა´ლის „საღალო მიწა“]
I. სახ. ან საერთო სარგებლობის მიწა, რომელიც გაიცემოდა უვადო იჯარითა და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით

ager viasiis vicanis datus [ა´გერ *ვია´სიის/ვია´ზიის ვიკა´ნის და´ტუს „გზისპირას მცხოვრები სოფლის მოსახლეებისათვის გადაცემული მიწა“]
I. მიწის ნაკვეთები საკონსულო გზების გასწვრივ

ager viritanus [ა´გერ ვირიტა´ნუს „მიწა ცალკეულ კაცზე“]
I. კონკრეტული პირისთვის გადაცემული სახ. მიწის ნაკვეთი

agere in fraudem legis [ა´გერე ინ ფრა´უდემ ლე´გის „კანონის მოტყუება“]
I. კანონის გვერდის ავლა

agere in personam [ა´გერე ინ პერსო´ნამ „მოქმედება პიროვნების წინააღმდეგ“]
I. კონკრეტული პირის წინააღმდეგ მიმართული სარჩელი

agere lege [ა´გერე ლე´გე „კანონის თანახმად მოქმედება“]
I. კანონის თანახმად მოქმედება

agere per sponsionem [ა´გერე პერ სპონსიო´ნემ „პროცესი თავდებთა მეშვეობით“]
I. გამარტივებული წარმოება სხვადასხვა სახის სამართლებრივ დავებზე, როცა მხარეები თანხმდებოდნენ უზრუნველყოფის სახით მცირე ფულადი თანხის – sponsio-ს შეტანის თაობაზე

agere perscriptis verbis [ა´გერე პერსკრი´პტის ვე´რბის „პროცესი დაწერილი სიტყვებით“]
I. არატიპური სამართლებრივი ურთიერთობებისთვის განკუთვნილი სასარჩელო ფორმულით სარგებლობა

aggressio [აგგრე´სსიო „თავდასხმა, შეტევა“] აგრესია
II. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თვალსაზრისით უკანონოდ სამხედრო ძალის გამოყენება. „აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 404(1)-ე მუხლი)

III. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991)

agitatio [*აგიტა´ტიო/აგიტა´ციო „ამოძრავება, დაუცხრომელი მოქმედება“] აგიტაცია
II. საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედება მისი რაიმეში დარწმუნების მიზნით. „საარჩევნო აგიტაცია – ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, მე-2(ჰ[1]) მუხლი)
III. „პროპაგანდა და აგიტაცია, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისათვის ძალმომრეობით, ღალატით ან მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის აქტიური თუ პასიური წინააღმდეგობის გაწევით (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1922, თავი I, კარი I, 69)

agitator [აგიტა´ტორ „დაუცხრომლად მოქმედი“] აგიტატორი
III. „დახმარების აღმოჩენა იმ ორგანიზატორებისა და აგიტატორთათვის, რომლებიც წარგზავნილი იქნებიან სოფლებში იმ აზრით, რომ მოამზადონ მცხოვრებნი განსახორციელებელ სამხედრო ღონისძიებათა შესათვისებლად (დეკრეტი 23, I, ე, ზ, 15 აპრილი, 1921 წ., აქტები 1922-1978, I, გვ. 40)

agnatio [*აგნა´ტიო/აგნა´ციო „ნათესაობა მამის მხრივ“] აგნაცია
I. 1. მამის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრის დაბადება; 2. ნათესაური კავშირი თავისუფალი ადამიანებისა, რომლებსაც ერთი მამა მეურვეობდა
agnatus proximus [აგნა´ტუს პრო´ქსიმუს „უახლოესი ნათესავი“]
I. უახლოესი ნათესავი აგნატების მხრიდან

agnitio bonorum possessionis [*აგნი´ტიო/აგნი´ციო ბონო´რუმ პოსსესსიო´ნის „ცნობა ქონების საკუთრებისა“]
I. მიმართვა პრეტორისადმი ქონებაზე საკუთრების აღიარების თაობაზე

agnoscere liberum [*აგნო´სკერე/აგნო´სცერე ლი´ბერუმ „ბავშვის აღიარება“]
I. მამობის აღიარება

agnoscere signum [*აგნო´სკერე/აგნო´სცერე სი´გნუმ „ბეჭდის აღიარება“]
I. საკუთარი ბეჭდის დადასტურება

aio [ა´იო „ვამბობ“, „ვადასტურებ“]
I. „მე ვამტკიცებ“

ait [ა´იტ „ამბობს“]
I. იურისტების ციტირებისას გამოყენებული სიტყვები

ala [ა´ლა „ფრთა“, „მხარი“]

I. ცხენოსანთა რაზმი, მოკავშირეთა რაზმი, შეიცავდა დაახლოებით 500 მეომარს

album [ა´ლბუმ „თეთრი“, „თეთრი ფერი“]
I. 1. თეთრი დაფა საჯარო განცხადებებისათვის, პრეტორის ედიქტისათვის. 2. სახელდებითი ნუსხა, მაგ. კორპორაციის ან ქალაქის საბჭოს წევრებისა

alea [ა´ლეა „კენჭი“, „კოჭი“]
I. კოჭის ყრა, აზარტული თამაშობა, რაც აკრძალული იყო. ნებადართული იყო მხოლოდ ნაძლევის დადება [ათლეტთა შეჯიბრებების დროს]

Alexandria [ალექსა´ნდრია „ალექსანდრია“] ალექსანდრია
I. ალექსანდრია, ალექსანდრე მაკედონელის მიერ ძვ.წ. 332 წ. დაარსებული ქ., ელინისტური კულტურის ცენტრი, ცნობილი ანტიკურ ხანაში უდიდესი ბიბლიოთეკით

alibi (*საშ. ლათ.*) < alius ubi [ა´ლიბი „სხვაგან“, „სხვა ადგილას“] ალიბი
I. ბრალდებულის უდანაშაულობის მტკიცება იმ მოტივით, რომ ის სხვაგან იმყოფებოდა როცა დანაშაული მოხდა

alienatio, -onis [*ალიენა´ტიო/ალიენა´ციო „გასხვისება“] ალიენაცია
I. ქონების შემცირება, გასხვისება, საკუთრების უფლების გადაცემა

alienatio in fraudem creditorum [*ალიენა´ტიო/ალიენა´ციო ინ ფრაუ´დემ კრედიტო´რუმ, „გასხვისება კრედიტორთა მოტყუებით“]
I. გადახდისუუნარო მოვალის მიერ კრედიტორის ინტერესების საზიანოდ საკუთარი ქონების გასხვისება

alienus [ალიე´ნუს „სხვისი“]
I. სხვისი

alimentum [ალიმე´ნტუმ „საზრდო“, „რჩენა“] ალიმენტი
I. სარჩო, რომლის გადახდა ხდებოდა ოჯახის უუნარო წევრების – შვილების, მშობლების, მეუღლის სასარგებლოდ
II. სარჩო, რომლის გადახდაც კანონის ძალით ეკისრება პირს ოჯახის არასრულწლოვანი ან შრომისუუნარო წევრის მიმართ. „თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო.“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 1214-ე მუხლი)
III. „იმ საქმის გამო, რაც შეეხება არაშემძლე და შრომის უნარმოკლებული მეუღლისა და ბავშვისთვის სარჩოს (ალიმენტის) მოთხოვნას...“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1924, ნაწილი II, თავი X, 102)

alius [ა´ლიუს „სხვა“, „უცხო“]
I. სხვა, უცხო

allectio [*ალლე´კტიო/ალლე´კციო „შეკრება“, „არჩევა“, „დანიშვნა“] ალექცია

alluvio [ალლუ´ვიო „მიწის მოყრა“, „წყალდიდობა“] ალუვია

alma mater [ა´ლმა მა´ტერ „მასაზრდოებელი დედა“] ალმა მატერი
I. იმპერატორის უფლება, მიენიჭებინა ყოფილი მაგისტრატის ტიტული და სტატუსი იმ პირებისთვის, რომელთაც ეს თანამდებობა არ ჰქონდათ დაკავებული.
I. მიწის დაგროვება თანდათანობით მდინარის პირას, რომელზედაც უფლება ეკუთვნოდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს

I. 1. კერესი (ცერერა), ნაყოფიერების ქალღმერთი; 2. უნივერსიტეტი

altercatio [*ალტერკა´ტიო/ალტერკა´ციო „დავა“] ალტერკაცია
I. სამართლებრივი დავა, დისკუსია, პოლემიკა

alumnus [ალუ´მნუს „აღზრდილი“] ალუმნა
I. სხვის მიერ აღზრდილი ბავშვი
II., III. ალუმნაი. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული. „ბრენდირების კრიტერიუმებია ინსტიტუციური მონაცემები, კერძოდ, ალუმნაის ფონდის ფუნქციონირება“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №184/ნ – 2011, მე-3(ე)(ი) მუხლი)

alveus derelictus [ა´ლვეუს დერელი´კტუს „მიტოვებული კალაპოტი“]
I. მდინარის ძველი, ამომშრალი კალაპოტი, რომელიც ეკუთვნოდა მდინარის პირას მდებარე ნაკვეთის მესაკუთრეს

ambigere [ამბი´გერე „ყოყმანი“]
I. ყოყმანი, დავა

ambigua vox [ამბი´გუა ვოქს „ორაზროვანი სიტყვა“]
I. ორაზროვანი სიტყვა

ambiguus [ამბი´გუუს „საორჭოფო“]
I. ორაზროვანი, საეჭვო, სადავო

ambiguitas, -tatis [ამბი´გვიტას „ორაზროვნება“]
I. ორაზროვნება, სადავო რამ

ambire [ამბი´რე „გარშემოვლა“]
I. ამომრჩეველთა შემოვლა მათი ხმების მოსაპოვებლად; ე.ი. უკანონო გზით მათგან ხმების მიღება

ambitio [*ამბი´ტიო/ამბი´ციო „მაძიებლობა“, „პატივმოყვარეობა“] ამბიცია
I. მიკერძოება (მოსამართლისა)

ambitus [ა´მბიტუს „გარშემოვლა“]
I. 1. მეზობლების სახლებს შორის არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც XII დაფის კანონის თანახმად, არ უნდა განაშენიანებულიყო; 2. წინასაარჩევნო პროპაგანდა მაგისტრატობის კანდიდატობისა; 3. crimen ambitus ყველანაირი სახის წინასაარჩევნო კორუპცია; გართობა-სანახაობების მოწყობა, გამასპინძლება ამომრჩეველთა და სხვ.

amica [ამი´კა „მეგობარი ქალი“]
I. მეგობარი ქალი, საყვარელი, ხარჭა, სინ. paelex-ის

amicitia [*ამიკი´ტია/ამიცი´ცია „მეგობრობა“]
I. საპატიო წოდება, ენიჭებოდა პირებს, რომლებიც რომს განსაკუთრებულ სამსახურს გაუწევდა

amicus [ამი´კუს „მეგობარი“] მეგობარი

amicus curiae [ამი´კუს კუ´რიე „კურიის მეგობარი“]
I. სასამართლოს მეგობარი, პირი, რომელიც საკუთარი ინიციატივით სთავაზობს ინფორმაციას სასამართლოს კანონის თაობაზე ან სხვა ასპექტებთან დაკავშირებით და ამით ეხმარება მას საქმის გადაწყვეტაში

II., III. პირი, რომელიც არ წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართალწარმოებაში და რომელიც სასამართლოსთვის საქმის შეფასებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით წერილობით წარუდგენს მას საკუთარ მოსაზრებას განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. „**Amicus Curiae** – სასამართლოს მეგობარი“ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2009, 55-ე მუხლი)

amicus populi Romani [ამი´კუს პო´პული რომა´ნი „რომაელი ხალხის მეგობარი“]
I. ხალხი ან სახელმწიფო, რომელთანაც რომი აფორმებდა მეგობრობის შესახებ შეთანხმებას

amotio [*ამო´ტიო/ამო´ციო „მოშორება“] ამოცია
I. თანამდებობიდან გათავისუფლება

amovere [ამოვე´რე „მოშორება“]
I. მოცილება, გასხვისება

ampliatio [*ამპლია´ტიო/ამპლია´ციო „გადავადება“, „გადაგდება“]
I. 1. სისხლის სამართლის პროცესზე მტკიცებულებების ხელახალი განხილვა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევდა, რომ საქმე არ იყო საკმარისად გამოძიებული; 2. სამოქალაქო სამართლის პროცესში – სასამართლო სხდომის ხელახლა ჩატარება

amplissimus ordo [ამპლი´სიმუს ო´რდო „უმაღლესი ფენა“]
I. სენატი

amplius [ა´მპლიუს „უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ფართო“]
I. უმეტესად, უფრო

amplus [ა´მპლუს „დიდი“, „მნიშვნელოვანი“, „ფართო“]
I. ვრცელი

anatocismus (ბერძნ.) [*ანატოკი´სმუს/ანატოცი´ზმუს „რთული პროცენტები“]
I. სავალო პროცენტების დამატება მთავარ კაპიტალზე

angaria [ანგა´რია „საფოსტო-სატრანსპორტო ბეგარა“]
I. საფოსტო-სატრანსპორტო ბეგარა

animadversio [ანიმადვე´რსიო „ყურადღების მიქცევა“]
I. დასჯა, თავის მოკვეთა

animadversio gladio [ანიმადვე´რსიო გლა´დიო „მახვილით დასჯა“]
I. სასჯელი, სიკვდილით დასჯა

animal [ა´ნიმალ „სულიერი არსება“, „ცხოველი“]
I. ცხოველი

animal domitum [ა´ნიმალ დო´მიტუმ „მოშინაურებული ცხოველი“]
I. შინაური ცხოველი

animo cancellandi [ა´ნიმო *კანკელლა´ნდი/კანცელლა´ნდი „გადახაზვის განზრახვით“]
I. უარის თქმის მიზნით

animo capiendi [*ა´ნიმო კაპიე´ნდი „მიტაცების განზრახვით“]
I. აღების განზრახვით

animo donandi [ა´ნიმო დონა´ნდი „ჩუქების განზრახვით“]
l. ჩუქების განზრახვით

animo et actio [ა´ნიმო ეტ *ა´კტიო/ა´კციო „განზრახვითა და საქმით“]
l. აზრითა და საქმით

animo et corpore [ა´ნიმო ეტ კო´რპორე „სულითა და სხეულით“]
l. აზრითა და სხეულით

animo et facto [ა´ნიმო ეტ ფა´კტო „განზრახვითა და საქმით“]
l. განზრახვითა და საქმით **(**ფაქტით**)**

animo furandi [ა´ნიმო ფურა´ნდი „მიტაცების, გაქურდვის განზრახვით“]
l. მიტაცების განზრახვით

animo lucrandi [ა´ნიმო ლუკრა´ნდი „მოგების, სარგებლობის განზრახვით“]
l. მართლსაწინააღმდეგო სარგებლობის განზრახვით

animo possidendi [ა´ნიმო პოსსიდე´ნდი „დაუფლების განზრახვით“]
l. ხელში ჩაგდების განზრახვით

animus [ა´ნიმუს, „განწყობა, ნება“]
l. ნების გამოვლენა, მიმართული სამართლებრივი შედეგის დასადგომად

animus adimendi legatum [ა´ნიმუს ადიმე´ნდი ლეგა´ტუმ „სამემკვიდროს წართმევის განზრახვა“]
l. ანდერძის გაუქმება ნივთის გასხვისების საფუძველზე

animus contrahendi [ა´ნიმუს კონტრაჰე´ნდი „შეკავშირების განზრახვა“]
l. ხელშეკრულების დადების განზრახვა

animus decipiendi [ა´ნიმუს *დეკიპიე´ნდი/დეციპიე´ნდი „მოტყუების განზრახვა“]
l. ვინმეს შეცდომაში შეყვანის განზრახვა

animus domini [ა´ნიმუს დო´მინი „მისაკუთრების განზრახვა“]
l. სხვისი ნივთის მისაკუთრების მცდელობა

animus domini transferendi [ა´ნიმუს დო´მინი ტრანსფერე´ნდი „ნება მესაკუთრისა გადაცემის თაობაზე“]
l. მესაკუთრის ნება საკუთრების გადაცემაზე

animus iniuriam [ა´ნიმუს ინიუ´რიამ „უსამართლობის (ჩადენის) განზრახვა“**]**
l. შურისძიების განზრახვა

animus necandi [ა´ნიმუს ნეკა´ნდი „მკვლელობის განზრახვა“]
l. მკვლელობის განზრახვა

animus occidendi [ა´ნიმუს *ოკკიდე´ნდი/ოკციდე´ნდი „მკვლელობის განზრახვა“]
l. მკვლელობის განზრახვა

animus pietatis [ა´ნიმუს პიეტა´ტის „კეთილგანწყობის სურვილი“]
l. მშობლების კეთილი ნება, გადაუხადონ შვილებს ალიმენტი

animus remanendi [ა´ნიმუს რემანე´ნდი „დარჩენის ნება“]
l. ტყვეობიდან გათავისუფლებულის ნება სამშობლოში დარჩენისა

animus remunerandi [ა´ნიმუს რემუნერა´ნდი „დაჯილდოების ნება“]
l. ვინმეს დაჯილდოების ნება გაწეული სამსახურის გამო

animus restituendi [ა´ნიმუს რესტიტუე´ნდი „დაბრუნების განზრახვა“]
I. დაბრუნების განზრახვა

animus revertendi [ა´ნიმუს რევერტე´ნდი „ნება დაბრუნებისა“]
I. ცხოველის ჩვევა, დაბრუნდეს მეპატრონესთან

annalis pl. annales [ანნა´ლის „წლიური“, ანნა´ლეს „ანალები“] ანალები
I. ანალები, წლიური ჩანაწერები, ქრონიკა

annexio [ანნე´ქსიო „შეერთება, მიერთება“] ანექსია
II. III. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს ტერიტორიის ან სადავო ტერიტორიის სრული ან ნაწილობრივი ძალადობრივი, მართლსაწინააღმდეგო მიერთება. „1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991)

annona [ანნო´ნა „წლიური“]
I. 1. ხორბლის წლიური მოსავალი, საკვები პროდუქტები; 2. არმიისა და სამოქალაქო მოსახლეობის მომარაგება საკვებით; 3. სანოვაგე და მასთან დაკავშირებული ფასები, გადასახადები.

annus [ა´ნნუს „წელიწადი“, „ასაკი“, „ვადა“]
I. წელიწადი

annus continuus [ა´ნნუს კონტი´ნუუს „განუწყვეტელი წელი“]
I. მთელი წელი, 365 დღე

annuum [ა´ნნუუმ „ყოველწლიური“]
I. განსაზღვრული თანხის გადახდა ყოველწლიურად

anonymus (ბერძნ.) [ანო´ნიმუს, „უცნობი“] ანონიმი
I. უცნობი ავტორი, რომელმაც VII საუკუნეში ბერძნულ ენაზე დიგესტების კომენტარების პერიფრაზირება გააკეთა. მისი ნაწარმოები საფუძვლად დაედო კრებულს Basilica

anquisitio [*ანკვისი´ტიო/ანკვიზი´ციო „შესწავლა, გამოძიება“]
I. გამოძიება, პირველი ნაწილი საკომიციო სისხლის სამართალწარმოებაში, როცა მაგისტრატი არაფორმალურ სხდომაზე არკვევდა, იყო თუ არა ჩადენილი დანაშაული

antichresis (ბერძნ.) [*ანტიხრე´სის/ანტიხრე´ზის „ანტიქრეზისი“]
I. ანტიქრეზისი, ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კრედიტორს უფლება ჰქონდა მიეღო დაგირავებული ნივთის ნაყოფი

antinomia (ბერძნ.) [ანტინო´მია „კანონების წინააღმდეგობა“]
I. კანონთა კოლიზია

antipherna (ბერძნ.) [ანტიფე´რნა „მზითვის საპირწონედ“]
I. ანტიფერნა, ქმრის საჩუქარი ცოლისადმი, მისი მზითვის საკომპენსაციოდ გაცემული

antiqui [ანტი´კვი „ძველი დროისანი“]

I. უძველესი დროის იურისტები

antiquus [ანტი´კვუს „ანტიკური“, „ძველი“] ანტიკური
I. ანტიკური, წინანდელი, ძველი

anulus [ა´ნულუს „ბეჭედი“]
I. ბეჭედი

anulus aureus [ა´ნულუს ა´ურეუს „ოქროს ბეჭედი“]
I. ოქროს ბეჭედი

anulus pronubus [ა´ნულუს პრო´ნუბუს „საქორწინო ბეჭედი“]
I. ქორწინების ბეჭედი

anulus signaturus [ა´ნულუს სიგნატუ´რუს „ნიშნიანი ბეჭედი“]
I. ბეჭედი ამოტვიფრული ნიშნით

apertura testamenti [აპერტუ´რა ტესტამე´ნტი „ანდერძის გახსნა“]
I. ანდერძის ოფიციალური გამოცხადება მოწმეთა თანდასწრებით

apocha (ბერძნ.) [აპო´ხა „დადასტურება“]
I. ვალის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

apocha publica [აპო´ხა პუ´ბლიკა „საჯარო ხელწერილი“]
I. იუსტინ.-ის სამართლით, ოფიციალური დოკუმენტი, გადასახადების გადახდის ამსახველი

apostata (ბერძნ.) [აპოსტა´ტა „განდგომილი“]
I. აპოსტატა, ქრისტიანი, რომელიც განუდგა სარწმუნოებას

apostolus (ბერძნ.) [აპო´სტოლუს „აპოსტოლი“]
I. აპოსტოლი, მოციქული, „ღვთის სიტყვის“ გამავრცელებელი

apparatus [აპპარა´ტუს „პირადი შემადგენლობა“] აპარატი
II. სტრუქტურა, რომელიც სახელისუფლებო ორგანოების ან თანამდებობის პირების საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს. „პარლამენტის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება პარლამენტის აპარატი, რომლის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტით და მის შესაბამისად აპარატის დებულებით“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 274(1)-ე მუხლი);
III. „...რომელნიც გააფთრებით სდევნიდნენ მუშებისა და გლეხების კომუნისტურ პარტიას... მთელი აპარატის საშუალებით“ (დეკრეტი 1, საქ. სსრ რევ.კომ-ისა ამნისტიის შესახებ, 1921, აქტები 1921-1978, I, გვ. 19)

apparitor [აპპა´რიტორ „სახელმწიფო მოხელე“]
I. აპარიტორი, სახელმწიფო მოხელე, ტექნიკური პერსონალი, რომელიც მუშაობდა მაგისტრატებთან

appellans, -ntis [აპპე´ლლანს „განმცხადებელი; ის, რომელიც მიმართავს ვინმეს“] აპელანტი
II. სასამართლო პროცესის მხარე, რომელიც წარადგენს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში და ითხოვს საქმის ხელახალ განხილვას. „სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, რომელიც აპელანტს

უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად მიაჩნია“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 2009, 292(1)-ე მუხლი)
III. „თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს“ (საქ. სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1997, 77(2)-ე მუხლი)

appelatio [*აპპელა´ტიო/აპპელა´ციო „მიმართვა“, „მოხმობა“] აპელაცია
I. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; თავდაპირველად მხოლოდ მაგისტრატის გადაწყვეტილებისა, შემდეგ – ზოგადად სასამართლო მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებისა. მაგრამ არ შეიძლებოდა პრინცეპსის, სენატის ან პრეტორის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის წარდგენა
II. საქმის ხელახალი განხილვის მოთხოვნით ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში „აპელაცია“ (საქ. სამ. საპრ. კოდ. – 1997, წიგნი მესამე, კარი მერვე)
III. „ლექსი ესე აპელაცია არს ფრანგულ, რომელიც ნიშნავს ენასა ჩვენსა ზედა უზენაესთა ადგილთა სარჩელისა შეტანასა“ (სამართ. ბატ. დავ. C 2, 23)

applicatio [*აპპლიკა´ტიო/აპპლიკა´ციო „მიმხრობა“] აპლიკაცია
I. **a. ad patronum** საზეიმოდ მიღება გავლენიანი პირის მფარველობისა, რის შედეგადაც პლებსის წარმომადგენელი ხდებოდა კლიენტი თავისი პატრონისა
II. III. განაცხადი. „კანდიდატები კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ ელექტრონულ ფოსტაზე აგზავნიან აპლიკაციას“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის, ბრძანება № 30 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე – 2012, მე-10(2) მუხლი)

appropriatio [*აპპროპრია´ტიო/აპპროპრია´ციო „მითვისება, მიტაცება“] აპროპრიაცია
I. მითვისება

aprobatio operis [*აპრობა´ტიო/აპრობა´ციო ო´პერის „სამუშაოს მოწონება“]
I. დაქირავებული პირის მიერ შესრულებული სამუშაოს მოწონება

apud [ა´პუდ „თან“]
I. წინდებული, რომელიც გამოიყენებოდა იურისტების ციტირებისას ან როდესაც ერთი იურისტი აკრიტიკებდა ან განმარტავდა მეორე იურისტის მოსაზრებას

apud acta [ა´პუდ ა´კტა „განცხადების დრო“]
I. თანამდებობის პირის წინაშე გაკეთებული და ოქმში დაფიქსირებული განცხადება, რომელსაც ჰქონდა მტკიცებულებითი ძალა

aqua [ა´კვა „წყალი“]
I. წყალი

aqua et igni interdictio [ა´კვა ეტ ი´გნი *ინტერდი´კტიო/ინტერდი´კციო „ცეცხლისა და წყლის აკრძალვა“]
I. ცეცხლისა და წყლის მიწოდების აკრძალვა

aqua pluvia, a. caelestia [ა´კვა პლუ´ვია, ა´კვა *კელე´სტია/ცელე´სტია „წვიმის წყალი, ცის წყალი“]
I. წვიმის წყალი

aqua profluens [ა´კვა პრო´ფლუენს „გამდინარე წყალი“]
I. გამდინარე წყალი (flumen)

aqua publica [ა´კვა პუ´ბლიკა „საჯარო წყალი“]
I. წყალი, საერთო სარგებლობისათვის განკუთვნილი

aquaeductus [აკვედუ´კტუს „წყალსადენი“] აკვედუკი
I. წყალსადენი

aquila [ა´კვილა „არწივი“]
I. არწივი, რომის ლეგიონის ნიშანი, დროშა

arbiter, **-tri** [ა´რბიტერ „დამკვირვებელი“] არბიტრი
I. არბიტრი სასამართლო პროცესზე, რომელსაც ჰქონდა სპეციალური სამეურნეო ან პროფესიული ცოდნა. მას შეეძლო დამოუკიდებლად ან სამკაციანი კომისიის შემადგენლობაში განეხილა დავა
II. პირი, რომელსაც მოდავე მხარეები ანდობენ მათ შორის არსებული სამართლებრივი დავის არსებითად გადაწყვეტას და რომლის გადაწყვეტილებასაც აღიარებენ თავისთვის იურიდიულად სავალდებულოდ. „არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან“ (საქართველოს კანონი არბიტრაჟის შესახებ – 2009, მე-10(1) მუხლი)
III. „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: დაწესდეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეს გადასინჯავს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მთავარი არბიტრი“ (საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე საჩივრების შეტანის შესახებ, საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 25 ივლისის დადგენილება, ქრონ. კრ., გვ. 385)

arbitrium სინ. **arbitratus** [არბი´ტრიუმ, არბიტრა´ტუს „სამედიატორო სასამართლოს განაჩენი“] არბიტრიუმი
I. არბიტრის გადაწყვეტილება, სამედიატორი სასამართლოს გადაწყვეტილება

arbor infelix [ა´რბორ ინფე´ლიქს „უბედური ხე“]
I. სახრჩობელა

arca [ა´რკა „ყუთი“, „სალარო“]
I. სალარო

arca fisci [ა´რკა *ფი´სკი/ფი´სცი „ფულის ყუთი“]
I. იმპერიის სახელმწიფო ხაზინა

arca publica [ა´რკა პუ´ბლიკა „სახალხო სალარო“]
I. ქ. რომის ხაზინა

argumentatio [*არგუმენტა´ტიო/არგუმენტა´ციო „მტკიცებულებათა გადმოცემა“] არგუმენტაცია

II. არგუმენტების ერთობლიობა. „სადისციპლინო კოლეგიის სხდომის ოქმში აისახება სადისციპლინო კოლეგიის სხდომის თარიღი, მისი დაწყების საათი, სხდომის მიმდინარეობა, სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობა, მხარეთა ვინაობა, მათი პოზიციები, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისი არგუმენტაცია, მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობების არსი და მათი განხილვის შედეგები, სხდომაზე მიწვეულ პირთა ვინაობა და მათი ინფორმაციები, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი, სხდომის დამთავრების დრო“ (საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ – 2000, 59(1)-ე მუხლი)
III. „თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით...“ (საქ. სამ. საპრ. კოდ. – 1997, 201(4)-ე მუხლი)

arma [ა´რმა „იარაღი“] არმია
I. შეიარაღება; საომარი აღჭურვილობა; ომი
II. სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა. „არმიის, ფლოტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ნებაყოფლობით დაქირავებული პირები“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ – 1995, 7(1)(გ)-ე მუხლი)
III. „მუშათა და გლეხთა წითელ არმიისა და ფლოტის ჯარის ნაწილები იმ ადგილებში, სადაც დანარჩენი მოსახლეობა დეპუტატებს ირჩევს მცხოვრებთა საერთო რიცხვის მიხედვით, ირჩევენ თავის დეპუტატებს საბჭოებში“... (კონსტ. – 1922, თავი III, 64, შენიშვნა 2)

arra [ა´რრა „საწინდარი“]
I. თანხა ან ფასიანი ნივთი, რომელსაც ხელშეკრულების დადების მტკიცებულებად ერთი მხარე გადასცემდა მეორეს; ბე

arra sponsalia [არრა სპონსა´ლია „ნიშნობის საწინდარი“]
I. გვიანკლასიკურ რომაულ სამართალში ნიშნავდა ფულად თანხას, რომელსაც აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, საქმრო აძლევდა საცოლეს. თუ საქმრო დაარღვევდა ნიშნობას სერიოზული მიზეზის გარეშე, კარგავდა საწინდრად გაცემულ თანხას, თუ საცოლის მიზეზით ხდებოდა ნიშნობის ჩაშლა, იგი ვალდებული იყო საქმროს მიერ მიცემული თანხა ორმაგად აენაზღაურებინა

ars [ა´რს „ხელოვნება“]
I. ხელოვნება, უნარი

ars ludicra [ა´რს ლუ´დიკრა „თეატრალური ხელოვნება“]
I. თეატრალური ხელოვნება

articulus [არტი´კულუს „პუნქტი“] არტიკული
I. კანონზე მითითება, მიწერა; შუალედური სასამართლო გადაწყვეტილება
III. „დაადგინეს და დაამტკიცეს და მოაწერეს შემდგომთა არტიკულთა ან წევრთა სეპერატისა არტიკული პირველი“ („ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, ქსძ, ტ. II, 478)

arvales [არვა´ლეს „მინდვრისა“] არვალები
I. 12 ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც მაისის თვეში აღავლენდა ღმერთებისადმი ვედრებას უხვი მოსავლის თხოვნით. ავგუსტუსის დროიდან **a.** ითვლებოდნენ იმპერატორისა და მისი ოჯახის კულტის მსახურებად

as, assis [ა´სს „ასი“] ასი
I. ასი, წონის ერთეული, 0,327 კგ.; heres ex asse მთელი მემკვიდრეობა

ascendens, **-dentis** [*ასკე´ნდენს/ასცე´ნდენს „ნათესავი აღმავალი ხაზით“] ასცენდენტი
I. **ascendentes superiores** წინაპრები, სისხლით ნათესავები: pater, mater, avus, avia, proavus, abavus, atavus

assignatio [*ასსიგნა´ტიო/ასსიგნა´ციო „გამოყოფა, დანიშვნა“] ასიგნაცია
I. დანიშვნა
III. „ავტონომიური ოლქის ბიუჯეტს, რომელიც შეიცავს შემოსავლის საერთო თანხას შემოსავლის ძირითადი წყაროების გამოყოფით, და გასავლის საერთო თანხას, საიდანაც გამოყოფილია ასიგნებანი ადგილობრივი მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად“ (საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სსრ დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ, საქ. სსრ 1964 წლის 27 დეკემბრის კანონი, 68-ე მუხლი, საქ. კან., V, გვ. 189)

assignatio liberti [*ასსიგნა´ტიო/ასსიგნა´ციო ლიბე´რტი „მეურვის დანიშვნა“]
I. მეურვის დანიშვნა

assistens, -ntis [ასსისტე´ნს „დამხმარე“] ასისტენტი
II. უმაღლეს სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობების იერარქიაში პირველი საფეხური. „ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, მე-2(ი) მუხლი)
III. „დახმარება შეიძლება გაწეულ იქნას: 1. სპეციალისტთა წარგზავნით, როგორიცაა ინსტრუქტორები, კონსულტანტები, ექსპერტები, კომპეტენტური სპეციალისტები, სამეცნიერო და ტექნიკური პერსონალი, პროექტების ასისტენტები და დამხმარე პერსონალი ... (შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ – 1999, 2(2)(1)-ე მუხლი)

associetas [*ასსოკიე´ტას/ასსოციე´ტას „ამხანაგობა, საზოგადოება“] ასოციაცია
II. ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა გაერთიანება. „ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებული ყველა პირი ამ კანონით დადგენილი წესით შეიყვანება საქართველოს ადვოკატთა ერთიან სიაში“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ – 2001, მე-12(1) მუხლი)
III. „აივ ინფიცირების/შიდსის გამოსავლენად სამედიცინო შემოწმების წესების დაცვა სავალდებულოა საქართველოს მოქალაქეების, აგრეთვე ... სახელმწიფო

და კერძო ფირმების, ასოციაციების, საქველმოქმედო ორგანიზაციების, უცხოური და ერთობლივი საწარმოებისთვის...“ (საქართველოს კანონი ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკის შესახებ – 1995, მე-3(7) მუხლი)

athleta (ბერძნ.) [ათლე´ტა „ათლეტი“] ათლეტი
I. ათლეტი, შეჯიბრების მონაწილე, მოჭიდავე, რომელიც არც ფულის გამო იბრძოდა და არც სასჯელის მოხდის მიზნით. ის პასუხს არ აგებდა, თუ მეტოქე შემთხვევით შემოაკვდებოდა

atrox [ა´ტროქს „სასტიკი“, „მძიმე“]
I. სასტიკი, მძიმე

atrox iniuria [ა´ტროქს ინიუ´რია „საშინელი უსამართლობა“]
I. საშინელი უსამართლობა

attestatio [*ატტესტა´ტიო/ატტესტა´ციო „დადასტურება, დამოწმება“] ატესტაცია
II. დასაქმებულის პროფესიული დონის შემოწმება. „ამ კანონის მიხედვით მოხელის ატესტაცია არის მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობის და პირადული თვისების დაკავებულ (ან დასაკავებელ) თანამდებობასთან წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ – 1997, 81(1)-ე მუხლი);
III. „მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა ატესტაციის შემოღების შესახებ“ (695 დადგენილება – 1973, გვ. 409, საქ. კან., II, გვ. 409)

attestatum [ატტესტა´ტუმ, „მოწმობა“] ატესტატი
II. ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. „იმ პირებზე, რომლებიც ამ პუნქტის ამოქმედებამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად და რომლებზედაც არ გაიცა სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი – ატესტატი – სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების გამო, ვრცელდება ნამდვილი ატესტატის გამოყენებისათვის განსაზღვრული ყველა სამართლებრივი შედეგი“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, 89(26)-ე მუხლი)
III. „იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი“ (სახალხო განათლების შესახებ კანონი – 1975, 42-ე მუხლი)

auctio, -onis [*ა´უკტიო/ა´უკციო „აუქციონი“, „საჯარო ვაჭრობა“] აუქციონი
I. აუქციონი
II. საჯარო ვაჭრობის ისეთი ნაირსახეობა, რომლის დროსაც ნასყიდობის ხელშეკრულება იდება პირთან, რომელიც ყველაზე დიდ თანხას გადაიხდის. „აუქციონის ჩატარების წესი და პირობები“ (საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ – 2007, 38-ე მუხლი)
III. „საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ (ლიკვიდატორმა) უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეა-

ლიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით...“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, მე-14(5) მუხლი)

auctor [ა´უკტორ „დამაარსებელი“, „შემქმნელი“] ავტორი
I. 1. გამსხვისებელი; 2. მეურვე/მზრუნველი, რომლის თანამონაწილეობა იურიდიულ ძალას ანიჭებდა მისი მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირის მიერ განხორციელებულ ქმედებებს; 3. სამართალდარღვევის წამქეზებელი
II. რაიმე ნაწარმოების, სამეცნიერო კვლევის, გამოგონების შემქმნელი. „ავტორი – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები“ (საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ – 1999, მე-4(ა) მუხლი)
III. „საავტორო უფლების, გამოგონების უფლების და სამრეწველო ნიმუშების, ფირმისა და სასაქონლო ნიშნების უფლების საწინააღმდეგო დანაშაული (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, კერძო ნაწილი, თავი VII)

auctor legis [ა´უკტორ ლე´გის „კანონის შემქმნელი“]
I. კანონპროექტის ავტორი

auctoratus [აუკტორა´ტუს „დაქირავებული“ „მომზადებული“]
I. დაქირავებული ადამიანი, რომელიც ფიცს დებს, რომ მზად არის მონაწილეობა მიიღოს გლადიატორთა ბრძოლებში

auctores [აუკტო´რეს] ავტორები
I. სამართალმცოდნენი

auctoritas, **-tatis** [აუკტო´რიტას „აზრი“, „შეხედულება“, „გავლენა“, „მხარის დაჭერა“] ავტორიტეტი
I. ავტორიტეტი
II. ის, ვინც სარგებლობს საერთო აღიარებით, გავლენით. „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია არის უძველესი ქართული აკადემიების – გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე, სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების ატრიბუტი, საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება“ (საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ – 2007, პრეამბულა)
III. „მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაულად ჩაითვლება ყოველი მოქმედება, რომელსაც თან ერთვის საბჭოთა ხელისუფლების კანონებისადმი წინააღმდეგობა ან დაუმორჩილებლობა, მისი ორგანოების მუშაობისთვის ხელის შეშლა და ამ ხელისუფლების ძლიერებისა და ავტორიტეტის დამასუსტებელი სხვა მოქმედება“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1922, თავი I, კარი 2, 76)

audientia [*აუდიე´ნტია/აუდიე´ნცია „მოსმენა“] აუდიენცია
I. საქმის მოსმენა, განხილვა
II. მაღალი რანგის თანამდებობის პირთა ოფიციალური მიღება. „საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილება უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის საზღვარგარეთ ვიზიტებისა და ქ. ბათუმის მერიის სტუმრების ქ. ბათუმში ვიზიტების ჩატარების, აგრეთვე, ქ. ბათუმის მერიის სტუმრების აუ-

დიენციების ხელშეწყობას“ (თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს, დადგენილება №43 – 2011, მე-8(1) მუხლი)
III. „აუდიენციის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო პროტოკოლის თანამშრომლები აცილებენ სტუმრებს ავტომობილამდე“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 386 – 2011, 26(5)-ე მუხლი)

audire [აუდი´რე „მოსმენა“]
I. მოსმენა, მხარეთა მოსმენა სასამართლოზე

auditorium [აუდიტო´რიუმ „მოსასმენი ოთახი“] აუდიტორია
I. სასამართლოს სხდომათა დარბაზი, სადაც ხდებოდა დაკითხვები და განიხილებოდა საქმეები

augere [აუგე´რე „გაზრდა“, „გამდიდრება“]
I. გაზრდა, გამრავლება

augere hereditatis [აუგე´რე ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის გაზრდა“]
I. მემკვიდრეობის გაზრდა

augur [ა´უგურ „ავგური“] ავგური
I. ქურუმი, რომელიც მისნობდა ფრინველთა ფრენის მიხედვით

Augustus [აუგუ´სტუს, „დიდებული, წმინდა“] ავგუსტუსი
I. საპატიო წოდება, რომელიც პირველად მიენიჭა რომის იმპერატორ იულიუს კეისარ ოქტავიანუსს და რომელიც შემდგომში ენიჭებოდა სენატის მიერ მის მემკვიდრეებს
III. „განმადიდებელ ფლობისა ვითარცა ავღ҃სტოს კეისართა შორის“ (ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ (1103 წ.), ქსძ, III, 125)

aureus [ა´ურეუს, „ოქროსი“]
I. ოქროს მონეტა, 100 სესტერციუსის ოდენობით

aureus patrum [ა´ურეუს პა´ტრუმ „მამათა ოქრო“]
I. სახ. ძალაუფლების სიმბოლო

aurum [ა´ურუმ „ოქრო“]
I. ოქრო, ოქროს ნაკეთობა

auspicatio [*აუსპიკა´ტიო/აუსპიკა´ციო „ფრინველებზე დაკვირვება“] აუსპიკაცია
I. ავგურები ფრინველებზე დაკვირვებით ამოიცნობდნენ ღვთიურ ნიშნებს და მათი გათვალისწინებით ხდებოდა მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყება

auspicium [*აუსპი´კიუმ/აუსპი´ციუმ „ფრინველთა ფრენაზე დაკვირვება“] აუსპიცია
I. მისნობა ფრინველებზე დაკვირვებით

auxilia [აუქსი´ლია „დამხმარე ძალები“]
I. დამხმარე ლაშქარი, რომლის წევრები იყვნენ პროვინციალები, ქვეით ჯარში 25 წლიანი სამსახურის შემდეგ ისინი იღებდნენ რომის მოქალაქეობას

auxilium [აუქსი´ლიუმ „დახმარება“]
I. დახმარება, კერძოდ – იურიდიული დახმარება მაგისტრატის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან დასაცავად

avis [ა´ვის „ფრინველი“]

I. 1. ფრინველი; 2. წინასწარმეტყველური ნიშანი

avis Romana [ა´ვის რომა´ნა „რომაული ფრინველი“]
I. რომაული ფრინველი, ე.ი. არწივი, რომის ლეგიონის ნიშანი

avulsio [ავუ´ლსიო „მოწყვეტა“]
I. მოწყვეტა. მიწის ნაკვეთის ნაწილი, მდინარის დინების მიერ მოწყვეტილი, ხდებოდა კუთვნილება მიწის ნაკვეთის მეპატრონისა, რომლის ნაკვეთსაც მიუერთდებოდა

avunculas, -atis (*საშ. ლათ.*) [ავუ´ნკულას „ბიძა (დედის ძმა)“] ავუნკულატი
I. დედის მხრიდან ბიძის მზრუნველობის განსაკუთრებული ვალდებულება დისშვილის მიმართ

B

bacchanalia [ბაკხანა´ლია „ბაკქანალია“] ბაკქანალია
I. ბაკქანალია, ბაკქუსის დღესასწაული, რომელსაც ორგიის ხასიათი ჰქონდა

balneator [ბალნეა´ტორ „მეაბანოვე“] ბალნეატორი
I. კერძო აბანოს მფლობელი ან სახალხო აბანოების მოიჯარე

barbarus [ბა´რბარუს „ბარბაროსი“] ბარბაროსი
I. ბარბაროსი, რომაელთათვის – ყველა არარომაელი. იმპერიის ხანაში – რომის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოტომელი

bellum [ბე´ლლუმ „ომი“]
I. ომი

beneficiarius [*ბენეფიკია´რიუს/ბენეფიცია´რიუს „საქველმოქმედო“] ბენეფიციარი
I. მძიმე სამუშაოსაგან გათავისუფლებული მეომარი
II. პირი, რომლის სასარგებლოდაც იმართება მინდობილი საკუთრება; სარგებლის მიმღები პირი. „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 879-ე მუხლი)
III. „სააგენტო უფლებამოსილია: ბ) მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კომერციული ბანკის კაპიტალის წარმოშობის წყაროებისა და მისი მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, 53(1)(ბ)-ე მუხლი)

beneficium [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ „წყალობა“, „შეღავათი“, „ნება“, „სიკეთე“] ბენეფიციუმი
I. საგანგებო სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც იცავდა პიროვნებას (არა ყველას) კანონის სიმკაცრისაგან, გვიანკლასიკურ ხანაში შეღავათი, რომელსაც

იმპერატორი ანიჭებდა ცალკეულ პირს ან პიროვნებებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის

beneficium (ius) abstinendi [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ (იუს) აბსტინე´ნდი „უარის თქმის ნება“]
I. მემკვიდრეობაზე უარის თქმის პრივილეგია

beneficium aetatis [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ ეტა´ტის „ასაკობრივი შეღავათი“]
I. არასრულწლოვანის დაცვა **restitutio in integrum**-ის დახმარებით

beneficium cedendarum actionum [*ბენეფი´კიუმ *კედენდა´რიუმ *აკტიო´ნუმ/ბენეფი´ციუმ ცედენდა´რუმ აკციო´ნუმ „აქციების დათმობის წყალობა“]
I. მოვალის უფლება, მოითხოვოს, რომ ვალის დაფარვის დროს კრედიტორმა დათმოს თავისი მოთხოვნები (დამატებითი უფლებებით) მთავარ მოვალესთან ან თანამოვალესთან

beneficium competentiae [*ბენეფი´კიუმ *კომპეტე´ნტიე/ბენეფი´ციუმ კომპეტე´ნციე „შეთანხმების სიკეთე“]
I. მოვალის უფლება პასუხი აგოს მხოლოდ თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, რათა თავიდან აიცილოს სხვადასხვა სასჯელი

beneficium divisionis [*ბენეფი´კიუმ *დივისიო´ნის/ბენეფი´ციუმ დივიზიო´ნის „განაწილების სიკეთე“]
I. თავდების უფლება, მოითხოვოს კრედიტორისაგან, რომ ამ უკანასკნელმა გადაანაწილოს სასარჩელო მოთხოვნა სხვა გადახდისუნარიან თავდებზე

beveficium excussionis [*ბენეფი´კიუმ *ექსკუსსიო´ნის/ბენეფი´ციუმ ექსკუზიო´ნის „აცილების შეღავათი“]
I. შედავება რწმუნებული პირისა კრედიტორთან, რათა ამ უკანასკნელმა მოთხოვნის უფლება, პირველ რიგში, წაუყენოს მთავარ მოვალეს

beneficium inventarii [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ ინვენტა´რიი „ინვენტარის უფლება“]
I. მემკვიდრის ნება, მოითხოვოს ვალებით დატვირთული სამკვიდროს აღწერა

beneficium liberorum [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ ლიბერო´რუმ „ბავშვთა შეღავათი“]
I. შეღავათი მრავალშვილიანთათვის

beneficium populi [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ პო´პული „ხალხის წყალობა“]
I. საპატიო წოდება

Berytus [ბერი´ტუს „ბეირუთი“]
I. ფინიკიური სირიის დედაქალაქი, ძვ.წ. III ს-დან. (უმაღლესი) იურიდ. სკოლის ადგილსამყოფელი – „სამართლის დედად“ – **legum nutrix**-ად წოდებული

bestiae ferae [ბე´სტიე ფე´რე „ველური მხეცები“]
I. გარეული ცხოველები

bini nuptiae [ბი´ნი *ნუ´პტიე/ნუ´პციე „ორი ქორწინება“]
I. ორქმრიანობა, ორცოლიანობა, სინ. ბიგამია. გვიანკლასიკურ ხანაში დანაშაულად ითვლებოდა

bis idem exigere [ბის ი´დემ ექსი´გერე „ორჯერ ერთსა და იმავეზე დავა“]

I. მეორე სარჩელი ერთსა და იმავე საქმეზე ერთი და იმავე მევალის მიმართ

bona [ბო´ნა „სიმდიდრე“, „ქონება“]
I. ქონება. სინ. **patrimonium**

bona adventicia [ბო´ნა *ადვენტი´კია/ადვენტი´ცია „გარედან მოტანილი ქონება“]
I. ქონება, რომელიც შვილს არც მამისაგან აქვს მიღებული და არც სამხედრო სამსახურში მოპოვებული

bona materna [ბო´ნა მატე´რნა „დედის ქონება“]
I. დედისგან მიღებული ქონება, რომლით სარგებლობა შეეძლო ბავშვის მამას

bona paterna avitaque [ბო´ნა პატე´რნა ავიტა´კვე „მამისა და პაპის ქონება“]
I. მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება

bona vacantia [ბო´ნა *ვაკა´ნტია/ვაკა´ნცია „თავისუფალი ქონება“]
I. უმკვიდრო ქონება

bonae fidei emptor [ბო´ნე ფი´დეი ე´მპტორ „კეთილსინდისიერი შემსყიდველი“]
I. კეთილსინდისიერი შემძენი

bonitas, -tatis [ბო´ნიტას „კეთილხარისხოვნება“] ბონიტეტი
II., III. საბანკო ანაბრის მომგებიანობის მაჩვენებელი, გამოხატული წლიური პროცენტით. „ანაბრის მიმღები და საკრედიტო დაწესებულების დირექტორები (მენეჯერები) ვალდებულნი არიან მეანაბრეს მიაწოდონ ინფორმაცია ბანკის ლიკვიდურობისა და ბონიტეტის შესახებ“ (საქ. სამ. სამ. კოდ. – 1997, 874(4)-ე მუხლი)

bonorum emptor [ბონო´რუმ ე´მპტორ „ქონების შემსყიდველი“]
I. საჯარო ვაჭრობის დროს გადახდისუუნარო მოვალის ქონების შემსყიდველი

bonorum possessio [ბონო´რუმ პოსსე´სსიო „ქონების ფლობა“]
I. პრეტორის მიერ პირისთვის მინიჭებული სამემკვიდრეო ქონებით სარგებლობის უფლება

bonorum possessio intestate [ბონო´რუმ პოსსე´სსიო ინტესტა´ტე „სარგებლობის უფლება ანდერძის გარეშე“]
I. მემკვიდრეობა ანდერძის არარსებობის პირობებში

bonorum possessor [ბონორუმ პოსსე´სსორ „ქონების მესაკუთრე“]
I. პირი, რომელსაც პრეტორი მიანიჭებს სამემკვიდრეო ქონებით სარგებლობის უფლებას

bonorum venditio [ბონო´რუმ *ვენდი´ტიო/ვენდი´ციო „ქონების გაყიდვა“]
I. გადახდისუუნარო მოვალის მთელი ქონების გასხვისება აუქციონის მეშვეობით

bonum et aequm [ბო´ნუმ ეტ ე´კვუმ „სწორი და სამართლიანი“]
I. სწორი და სამართლიანი

bonus [ბო´ნუს „კარგი“] ბონუსი
I. კარგი, წესიერი. კეთილშობილი
II., III. თანხა, რომელსაც იხდის ინვესტორი სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი მიწის ნაკვეთის იჯარით აღებისას. „საკონცესიო ხელშეკრულებაში დათქმული უნდა იქნეს გადასახადები, რომლებსაც კონცესიორი გადაიხდის; გადასახადები შეიძლე-

ბა შეიცავდეს საფასურს კონცესიისათვის, საიჯარო გადასახადს, ბეგარას, როიალტებს, ერთჯერად საპრემიერო გადასახადებს (ბონუსებს) და სხვა გადასახადებს მოქმედი კანონმდებლობით“ (საქართველოს კანონი საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ – 1994, მე-15 მუხლი)

bonus pater familias [ბო´ნუს პა´ტერ ფამი´ლიას „ოჯახის კეთილი მამა“]
I. ოჯახის მამა, კეთილშობილი ადამიანი, რომლის ქცევა ითვლებოდა ეტალონად პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრის დროს

bonus vir [ბო´ნუს ვირ „კეთილშობილი კაცი“]
I. კეთილშობილი ადამიანი, რომლის ქცევა ითვლებოდა სანიმუშოდ

brevis [ბრე´ვის „მოკლე“]
I. მოკლე, ხანმოკლე

brevis quadrimenstruus [ბრე´ვის კვადრიმე´ნსტრუუს „მოკლე ოთხთვიანი“]
I. 4 თვის განმავლობაში გადასახადების აკრეფის მდგომარეობის შესახებ მოკლე ანგარიში

bulla [ბუ´ლლა „ბულა, მედალიონი“] ბულა
I. რომში ეტრურიიდან შემოსული საბავშვო სამკაული, ამულეტის სახეობა, რომელიც ოქროს ბურთულას წარმოადგენდა: **b**.-ს ატარებდნენ სრულუფლებიანი მოქალაქეები და მოგვიანებით – ტრიუმფატორები. შუასაუკუნეებში – ლითონის მრგვალი ბეჭედი, რომელიც ადასტურებდა პაპის, იმპერატორის და მეფის აქტს, სიგელს, დადგენილებას

C

C. c. შემ.: **condemno** [კონდე´მნო „ბრალს ვდებ“]
I. ვადანაშაულებ. ეს სიტყვა გამოიყენებოდა სასამართლოში ხმის მიცემის დროს

cadaver [კადა´ვერ „გვამი“]
I. ცხედარი. გვამის დაწვა აკრძალული იყო ქალაქის კედლების შიგნით; ცხედრის მოპარვა ისჯებოდა სიკვდილით ან იძულებითი სამუშაოთი. გვამის შეურაცხყოფისათვის პატრონს შეეძლო სარჩელი აღეძრა – actio iniuriarum; სიკვდილით დასჯილთა ცხედრები მათ ნათესავებს გადაეცემოდათ

cadere [კა´დერე „ჩავარდნა“]
I. ჩავარდნა

cadere causa [კა´დერე *კა´უსა/კა´უზა „პროცესის ჩავარდნა“]
I. პროცესის წაგება

cadere in servitutem [კა´დერე ინ სერვიტუ´ტემ „მონობაში ჩავარდნა“]
I. მონობაში ჩავარდნა

caducum [კადუ´კუმ „უპატრონო ქონება“]
I. 1. მატერიალური სარგებელი ანდერძისაგან, რომელსაც ვერ იყენებდა მემკვიდრე, გადაეცემოდა სხვა მემკვიდრეს, თუ მას ჰყავდა ერთი შვილი მაინც. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უპატრონო ქონება ხაზინას გადაეცემოდა. 2. კონფისკებული ქონება

caecus [*კე´კუს/ცე´კუს „ბრმა“]
I. მხედველობადაქვეითებული. მას არ ჰქონდა სრული უფლება ius postulandi-სა

caedere [*კე´დერე/ცე´დერე „დაჭრა“, „მოკვლა“]
I. დაჭრა და ჩეხვა, მკვლელობა

caedere lapides ex lapidicinis [*კე´დერე/ცე´დერე ლა´პიდეს ექს *ლაპიდი´კინის/ლაპიდი´ცინის „ქვების ამოღება ქვის სამტეხლოდან“]
I. ქვების ამოღება ქვის სამტეხლოდან

caedes [*კე´დეს/ცე´დეს „მკვლელობა“]
I. მკვლელობა

caelebs [*კე´ლებს/ცე´ლებს „დაუქორწინებელი“]
I. უცოლო, გაუთხოვარი

caelum [*კე´ლუმ/ცე´ლუმ „ცა“]
I. ცა. საჰაერო სივრცე მიწის ნაკვეთის თავზე, რომელიც მიწის მესაკუთრეს ეკუთვნოდა და მას საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდა

caerimonia [*კერიმო´ნია/ცერიმო´ნია „საკულტო ქმედება, თაყვანისცემა“] ცერემონია
II. საზეიმო წესით ჩატარებული რაიმე ღონისძიება, აგრეთვე მსგავსი ღონისძიების ჩატარების წესი. „ოფიცრებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან საფრენოსნო სწავლებას, სპეციალურ ცერემონიაზე მიენიჭებათ სერთიფიკატები“ (ოქმი საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თურქეთის საჰაერო ძალების პერსონალის მიერ საქართველოს საჰაერო ძალების აკადემიური და საფრენოსნო სწავლების განხორციელების შესახებ – 2000, 4(7)-ე მუხლი)
III. „მისის უმაღლესობის სრულიად ზემოჲსა საქართველოს მპყრობელის მეფის ირაკლი მეორის ცხედარს ამ კანონით და ცერემონიით უნდა შეუდგნენ სამეფო სამჴედრო ხარისხი და სამღუდელო დასი“ (განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა [1798 წ.], ქსძ, II, 534)

caerimonialis [*კერიმონია´ლის/ცერიმონია´ლის „საკულტო ქმედებისა“] ცერემონიალი
II., III. ცერემონიის ოფიციალურად დადგენილი განაწესი. „პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს“ (საქ. კონსტ. – 1995, 71(2)-ე მუხლი)

Caesar [*კე´სარ/ცე´ზარ „კეისარი“] კეისარი
I. იულიუსების კოგნომენი, შემდეგ – პრინცეპსების ტიტული, ჰადრიანუსის დროიდან – ტიტული ტახტის მემკვიდრისა
III. „განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღჳსტოს კეისართა შორის“ (ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ (1103 წ.) ქსძ, III, 135)

Caesariani [*კესარია´ნი/ცეზარია´ნი „კეისრისანი“]
I. საიმპერატორო სახლის მსახურები

calare [კალა´რე „მოწვევა“, „მოხმობა“]
I. მოწვევა

calata comitia [კალა´ტა *კომი´ტია/კომი´ცია „მოწვეული კრება“]

I. კრების მოწვევა

calator [კალა´ტორ „მსახური“] კალატორი
I. მსახური, მონა, რომელიც ბატონის დაძახილზე უმალ უნდა გამოცხადებულიყო მასთან

Calendae იხ. **Kalendae**

calumnia [კალუ´მნია „ცილისწამება“]
I. თვალთმაქცობა გარიგებებში, თაღლითობა სამართლებრივი ნორმების განმარტებაში

camera [კა´მერა „ოთახი“] კამერა
II. სპეციალური დანიშნულების (მაგ., ბარგის შესანახი) სათავსო. „ნივთიერი მტკიცებულებები ინახება საქმეში ან საგანგებო აღწერის სიით ჩაბარდება სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შესანახ კამერაში“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, 160(1)-ე მუხლი)

cancellarium [*კანკელლა´რიუმ/კანცელლა´რიუმ „კანცელარია“] კანცელარია
II. სახელმწიფო ორგანოს სტრუქტურული ერთეული, რომელიც განაგებს მის სამსახურებრივ მიმოწერას, მიმდინარე დოკუმენტაციის გაფორმების საქმეს. „მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფის, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ხელშეწყობის მიზნით იქმნება მთავრობის კანცელარია“ (საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ – 2004, მე-13(1) მუხლი);
III. „§7-ში დასახელებული ყველა განყოფილების მოქმედების ფარგალში განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციითა და დებულებით, რომელსაც გამოსცემს სათანადო კომისარი, რომელიც იმავე დროს განსაზღვრავს ხსენებულ განყოფილებათა აგებულების და კანცელარიის მოხელეთა რაოდენობას“ (დეკრეტი 23 – 1921 წ., II. §11, აქტები 1922-1978, I, გვ. 40)

cancellarius [*კანკელლა´რიუს/კანცელლა´რიუს „კანცელარიის მსახური“] კანცელარიუსი
I. 1. კანცელარიის უფროსი; 2. მდივანი, საქმისმწარმოებელი

candidatura (*საშ. ლათ.*) [კანდიდატუ´რა „კანდიდატების ერთობლიობა“] კანდიდატურა
II. ამა თუ იმ ორგანოში ასარჩევად წარდგენილი პირი. „საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება ხდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით“ (საქართველოს კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ – 1996, მე-10(3) მუხლი)
III. „იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გათავისუფლდა პრეზიდენტის თანამდებობიდან ... და, ამ ორგანული კანონის თანახმად, საბჭოს არც ერთი სხვა წევრი არ შეიძლება დაინიშნოს ან ვერ დაინიშნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტად (თუ ეროვნული ბანკის საბჭო ვერ ირჩევს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურას ან თუ საქართველოს პრეზიდენტი არ ამტკიცებს არც

ერთ წარდგენილ კანდიდატურას), მაშინ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით საქართველოს პარლამენტი ირჩევს ეროვნული ბანკის საბჭოს ახალ წევრს“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, მე-7(10) მუხლი)

candidatus [კანდიდა´ტუს „თეთრით მოსილი“] კანდიდატი
I. მაგისტრატის თანამდებობის მაძიებელი
II. სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში ასარჩევად ან დასანიშნად წარდგენილი პირი. „დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად“ (საქართველოს შრომის კოდექსი – 2010, მე-5(1) მუხლი)
III. „ოდეს მღვდელთმთავარი და არხიმანტრიტი მოკვდებოდის, მაშინ კათოლიკოზი წარადგენდის კანდიდატსა, და თუ ნებავდის მეფესა, დაამტკიცებდის“ (სამართ. ბატ. დავ. 6, 8)

canon (ბერძნ.) [კა´ნონ „კანონი“, „წესი“] კანონი
I. 1. რეგულარული წლიური გადასახადი; 2. წესი, ნორმა
II. სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ან მოსახლეობის პირდაპირი ნება-სურვილის გამოხატვის გზით (მაგ., რეფერენდუმით) მიღებული იურიდიული აქტი, რომელიც უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს არეგულირებს 2. „საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი; ბ) საქართველოს ორგანული კანონი; გ) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, 7(2)-ე მუხლი)
III. „კართაგენისა კრებისა კანონნი ვ(6), პგ(86). ნიკიისა კრებისა მეორისა კანონი ზ(7), იზ(17)“ (დიდი სჯ., გვ. 136)

canon ecclesiastici [კა´ნონ *ეკკლესია´სტიკი/ეკკლეზია´სტიცი „საეკლესიო წესი“]
I. საეკლესიო წესი, ნორმა

canon emphyteuticarius (ბერძნ.) [კა´ნონ ემფიტეუტიკა´რიუს „გრძელვადიანი კანონი“]
I. ყოველწლიური გადასახადი, რომელსაც იხდიდა ებრაული სინაგოგა

canticum [კა´ნტიკუმ „სიმღერა“] სიმღერა
I. პამფლეტი, განმაქიქებელი სიმღერა

capax [კა´პაქს „ტევადი“]
I. გარკვეული ქმედებების უნარი. მემკვიდრეობით სამართალში ეს ტერმინი აღნიშნავდა პირის უნარს, მიეღო სამკვიდრო

capio [კა´პიო „ვიღებ“]
I. დაუფლება, მოპოვება

capio mortis causa [კა´პიო მორტის *კა´უსა/კა´უზა „სიკვდილის შედეგად ვიღებ“]
I. რაღაცის მოპოვება ვინმეს სიკვდილის შედეგად

capio poenam [კა´პიო პე´ნამ „სასჯელს ვიღებ“]
I. სასჯელის მიღება

capio testamento [კა´პიო ტესტამე´ნტო „ანდერძით ვიღებ“]
I. (რაღაცის) ანდერძით მიღება

capitatio [*კაპიტა´ტიო/კაპიტა´ციო „სულადობრივი ბეგარა“]
I. სულადობრივი ბეგარა, რომელიც ჯერ კიდევ დიოკლეტიანუსის დროს არსებობდა

capite punitus [კა´პიტე პუნი´ტუს „სიკვდილით დასჯილი“]
I. სიკვდილით დასჯილი

capitis accusatio [კა´პიტის *აკკუსა´ტიო/აკკუზა´ციო „ბრალდება მძიმე დანაშაულში]
I. ბრალის წაყენება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში

capitis causa [კა´პიტის *კა´უსა/კა´უზა „სიცოცხლის მიზეზი“]
I. სისხლის სამართლის საქმე

capitis deminutio [კა´პიტის *დემინუ´ტიო/დემინუ´ციო „სამოქალაქო უფლების შემცირება“]
I. რომის მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა

capitis deminutio maxima [კა´პიტის *დემინუ´ტიო/დემინუ´ციო მა´ქსიმა „თავისუფლების მთლიანად დაკარგვა“]
I. თავისუფლების დაკარგვა

capitis deminutio media [კა´პიტის *დემინუ´ტიო/დემინუ´ციო მე´დია „თავისუფლების ნახევრად დაკარგვა“]
I. რომის მოქალაქეობის დაკარგვა

capitis deminutio minima [კა´პიტის *დემინუ´ტიო/დემინუ´ციო მი´ნიმა „თავისუფლების მცირედი დაკარგვა“]
I. ოჯახის უფროსის ან წევრის სტატუსის დაკარგვა. ცვლილება სამართლებრივ მდგომარეობაში იწვევდა ცვლილებას პირის უფლებაუნარიანობის მოცულობაშიც

capitis deminutio minor [კა´პიტის *დემინუ´ტიო/დემინუ´ციო მი´ნორ „სამოქალაქო უფლების შემცირება“] → c.d. media

capitulatio [*კაპიტულა´ტიო/კაპიტულა´ციო „კაპიტულაცია“] კაპიტულაცია
II. სამხედრო კონფლიქტში მებრძოლი მხარის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტა და გამარჯვებულის მიერ წამოყენებული პირობების მიღება. „საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991)
III. „ამასთანავე საერთაშორისო ვითარება გერმანიისა და იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ, განვლილ პერიოდში გვიჩვენებს, რომ მშვიდობიანობის საქმე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს...“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის 1947 წ. 26 მაისის ბრძანებულება, საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. –, 1928, I დამატებანი, გვ. 200)

captio [*კა´პტიო/კა´პციო „ზიანი“, „ზარალი“, „მოტყუება“]
I. ცრუ მტკიცებულება

captivus [კაპტი´ვუს „ტყვე“]
I. ტყვედ ჩავარდნილი რომაელი მოქალაქე

caput [კა´პუტ „თავი“]
I. ადამიანი; როგორც თავისუფალი, ისე მონა

carcer [*კა´რკერ/კა´რცერ „ციხე“] კარცერი
I. ციხე, საპატიმრო. სინ. vincula publica
II. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განცალკევებული საკანი, სადაც დროებით ათავსებენ პირებს, რომლებიც საპატიმროში რაიმე სამართალდარღვევას ჩაიდენენ. „დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების დასწრებული ფორმა არ გამოიყენება უვადო მსჯავრდებულთა, ... კარცერში ან სამარტოო საკანში მოთავსებულ მსჯავრდებულთა მიმართ“ (საქართველოს განათლების მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება 614/6 – 1999, მე-7(2)-ე მუხლი);
III. „მსჯავრდადებული კარცერში მარტოა მოთავსებული“ (საქ. სსრ შრომა-გასწორების კოდექსი – 1971, თავი მეთერთმეტე, მუხლი 71; საქ. კან. გვ. 639)

cardo [კა´რდო „ღერძი“]
I. ღერძი. სადემარკაციო ხაზი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ

caritas [კა´რიტას „პატივისცემა“, „დაფასება“, „ძვირფასად მიჩნევა“]
I. პატივისცემა, სიყვარული, როგორც განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორი კეთილგანწყობილი გადაწყვეტილებისა

carmen [კა´რმენ „ლექსი“, „სიმღერა“]
I. ლექსი, სიმღერა. სარჩელის ფორმულა, ფიცის ტექსტი

carmen famosum [კა´რმენ *ფამო´სუმ/ფამო´ზუმ „შემარცხვენელი სიმღერა“]
I. პასკვილი

carnifex [კა´რნიფექს „ჯალათი“, „მტანჯველი“]
I. ჯალათი. მას არ ჰქონდა რომში ცხოვრების უფლება

cassatio (*საშ. ლათ.*) [*კასსა´ტიო/კასსა´ციო „გადაწყვეტილების (კანონის) გაუქმება“] კასაცია
II. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის წარდგენა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით. „თავი IX – აპელაცია და კასაცია“ (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – 1999)
III. „...განაგოს სასამართლო ნაწილი როგორც საკასაციო სასამართლომ“ (კონსტ. – 1921, 76-ე მუხლი)

cassator [კასსა´ტორ „კასატორი“] კასატორი
II. საკასაციო საჩივრის წარმდგენი პირი. „საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის

მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა“ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2009, მე-300(1) მუხლი);
III. „თუ საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე) შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს (საქ. სამოქ. საპრ. კოდ. – 1997, 77(2)-ე მუხლი)

castigatio [*კასტიგა´ტიო/კასტიგა´ციო „დასჯა“]
I. ფიზიკური დასჯა, გაროზგვა

castratio [*კასტრა´ტიო/კასტრა´ციო „დასაჭურისება“] კასტრაცია
I. დასაჭურისება. პრინციპატის დროს არაერთხელ აიკრძალა, დომინატის დროს ამ დანაშაულისათვის სიკვდილით სჯიდნენ

castrum [კა´სტრუმ „ციხე-სიმაგრე“]
I. ციხე-სიმაგრე, ქალაქი. **castra** – სამხედრო ბანაკი

casus fortuitus [*კა´სუს/კა´ზუს ფორტუ´იტუს „უნებლიე შემთხვევა“]
I. შემთხვევა, რომლის განჭვრეტა ადამიანს არ შეუძლია

catholica ecclesia [კათო´ლიკა ეკკლე´სია „კათოლიკური ეკლესია“] კათოლიკური ეკლესია
I. კათოლიკური ეკლესია

catholica fides [კათო´ლიკა ფი´დეს „კათოლიკური სარწმუნოება“]
I. კათოლიკური სარწმუნოება

catholicus (ბერძნ.) [კათო´ლიკუს „საყოველთაო“, „კათოლიკური“] კათოლიკური, კათოლიკოსი, კათოლიკე
I. კათოლიკური

caupo caupones pl. [კაუ´პო, კაუპო´ნეს „მიკიტანი“, „მედუქნე“]
I. მედუქნეები. მათ ეკისრებოდათ გაზრდილი პასუხისმგებლობა მიბარებული ნივთისათვის

causa [*კა´უსა/კა´უზა „მიზეზი“] კაუზა
I. მიზეზი, საქმე, სასამართლო პროცესი

causa absoluta [*კა´უსა/კა´უზა აბსოლუ´ტა „დამოუკიდებელი პროცესი“]
I. დამოუკიდებელი საქმე (პროცესი)

causa cadere [*კა´უსა/კა´უზა კა´დერე „საქმის წაგება“]
I. საქმის წაგება

causa capitis [*კა´უსა/კა´უზა კა´პიტის „სისხლის სამართლის საქმე“]
I. სისხლის სამართლის საქმე

causa capitalis [*კა´უსა/კა´უზა კაპიტა´ლის „სიცოცხლის პროცესი“]
I. პროცესი, რომელიც ეხება სიცოცხლის ხელყოფას

causa cognitionis [*კა´უსა *კოგნიტიო´ნის/ კა´უზა კოგნიციო´ნის „საქმის გამოძიება“]
I. მაგისტრატის მიერ სამართლებრივი დავის პირადად შესწავლა პროცესის პირველ ეტაპზე

causa probationis [*კა´უსა *პრობატიო´ნის/კა´უზა პრობაციო´ნის „საქმის მტკიცებულება“]
I. სასამართლო განხილვა ფაქტობრივი ვითარების დასადგენად რომის მოქალაქეობასთან დაკავშირებით

causam dicere [*კა´უსამ *დი´კერე/კა´უზამ დი´ცერე „პროცესის დაცვა“]
I. სასამართლო პროცესზე დასაცავი სიტყვით გამოსვლა

causam obtinere [*კა´უსამ/კა´უზამ ობტინე´რე „პროცესის მოგება“]
I. პროცესის მოგება

cautio damni infecti [*კა´უტიო/კა´უციო და´მნი ინფე´ქტი „სიფრთხილე მოსალოდნელი ზიანის ასაცილებლად“]
I. სტიპულარული გარანტია, რომელსაც ერთი მხარე აძლევს მეორეს ზიანის მიყენების შემთხვევაში

cautio de dolo [*კა´უტიო/კა´უციო დე დო´ლო „სიფრთხილე მოტყუების თავიდან ასაცილებლად“]
I. მოვალის გარანტია ვალდებულების შესრულებისა სტიპულაციის ან გირაოს სახით

cautio iudicatum solvi [*კა´უტიო/კა´უციო იუდიკა´ტუმ სო´ლვი „უზრუნველყოფა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისა“]
I. სტიპულაციური დაპირება მოპასუხისა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე

cautio iudicio sisti [*კა´უტიო *იუდი´კიო სი´სტი/კა´უციო იუდი´ციო სი´სტი „დაპირება სასამართლოზე დარჩენისა“]
I. დაპირება მოპასუხისა, რომ იგი დავის დასრულებამდე (ბოლომდე) დარჩებოდა სასამართლოში საქმის განხილვაზე

cautio iuratoria [*კა´უტიო/კა´უციო იურატო´რია „ვალდებულების ფიცით გამყარება“]
I. ვალდებულების ფიცით გამყარება

cautio legatorum servandorum causa [*კა´უტიო/კა´უციო ლეგატო´რუმ სერვანდო´რუმ *კაუ´სა/კაუ´ზა „დაპირება ანდერძის დაცვის მიზნით“]
I. მემკვიდრის დაპირება, რომ ის შეასრულებს თავის ვალდებულებას ლეგატარის წინაშე

cautio rei uxoriae [*კა´უტიო/კა´უციო რე´ი უქსო´რიე „უზრუნველყოფა მეუღლის ქონებისა“]
I. დაპირება მეუღლისა განქორწინების შემთხვევაში დაუბრუნოს ცოლს მზითვი

cautio vadimonium sisti [*კა´უტიო/კა´უციო ვადიმო´ნიუმ სი´სტი „დაპირება სასამართლოზე დროულად გამოცხადებისა“]
I. მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალდებულება, რომ ის გადაიხდის ჯარიმას გადადებულ პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში

cavillatio, -onis [*კავილლა´ტიო/კავილლა´ციო „დაცინვა“]
I. შეცდომაში შემყვანი, ცბიერი განმარტება სარგებლობის მიღების მიზნით

cedere [*კე´დერე/ცე´დერე „დათმობა“, „გადაცემა“]

I. დათმობა. საკუთარი უფლების გადაცემა

cedere actionem [*კე´დერე *აკტიო´ნემ/ცე´დერე აციო´ნემ „სარჩელზე უარი“]
I. სარჩელზე უარის თქმა

cedere usumfructum [*კე´დერე *უსუმფრუ´კტუმ/ცე´დერე უზუმფრუ´კტუმ „უზუფრუქტის დათმობა“]
I. უზუფრუქტის უფლების დათმობა

censere [*კე´ნსერე/ცე´ნზერე „შეფასება“]
I. 1. შეფასება. ქონების შეფასება, მონაწილეობის მიღება ქონების შეფასებაში; 2. გადაწყვეტილების მიღება, განსაკუთრებით – სენატში

censor [*კე´ნსორ/ცე´ნზორ „ფასის დამდები“] ცენზორი
I. მაღალი რანგის მაგისტრატი. ძვ. წ.-ის IV ს-დან ირჩევდნენ ორ-ორ ცენზორს ყოველ ხუთ წელიწადში, შემდეგ – არა უმეტეს 18 თვის ვადით

censura [*კენსუ´რა/ცენზუ´რა „ცენზორის თანამდებობა“] ცენზურა
II. ხელისუფლების კონტროლი ბეჭდურ მედიაზე, სცენურ დადგმებზე, რადიო და სატელევიზიო გადაცემებზე, პირად მიმოწერაზე, რათა არ დაუშვას ან შეზღუდოს იმ იდეებისა და ცნობების გავრცელება, რომლებსაც ეს ხელისუფლება არასასურველად ან საზიანოდ მიიჩნევს. „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია“ (საქ. კონსტ. – 1995, 24(2)-ე მუხლი)
III. „ბეჭდვითი ნაწარმოების გამრავლების და გამოცემის წესების დარღვევა, აგრეთვე ფოტო-კინო ცენზურის წესების დარღვევა გამოიწვევს იძულებით მუშაობას (ან ჯარიმას სამას მანეთამდე) (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, კერძო ნაწილი, კარი 2, თავი VIII, 205)

census [*კე´ნსუს/ცე´ნზუს „ქონების შეფასება“] ცენზი
I. 1. მოქალაქეთა და მათი ქონების აღწერა; 2. ქონება, რომელიც ექვემდებარებოდა აღწერას
II. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი ამა თუ იმ უფლებით სარგებლობისთვის. „არქიტექტორი – შესაბამისი განათლების ცენზის მქონე პირი, რომელიც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით ქმნის საარსებო გარემოს გარკვეულ სივრცეში, ფორმასა და ისტორიულ კონტექსტში, პასუხს აგებს ამ გარემოს ასპექტების არქიტექტურის ენით გამოსახვაზე“ (საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ – 1998, მე-2(ა) მუხლი)
III. „საქართველოს სსრ-ის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, დამოუკიდებლად რასიული და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლების ცენზისა... უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დეპუტატთა არჩევნებში...“ (კონსტ. – 1937, თავი XII, მუხლი 148)

centralis [*კენტრა´ლის/ცენტრა´ლის “ ცენტრალური“] ცენტრალური
II. 1. ცენტრალური ხელისუფლება – უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას სახელმწიფოებრივ და არა ადგილობრივ დონეზე. „ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩარევა თვითმმართველი ერთეულის ქონებრივი უფლებების საკითხებში დაუშვებელია, გარდა საქართველოს საკანონმდე-

ბლო აქტებით დადგენილი შემთხვევებისა“ (საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ – 2005, მე-3(3) მუხლი)
III. „მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება აქვთ შეაჩერონ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს...“ (კონსტ. – 1921, 103-ე მუხლი)

centumviri pl. [*კენტუ´მვირი/ცენტუ´მვირი „ასკაცა“] ცენტუმვირი
I. რომ. ძველი სასამართლო კოლეგია ასი კაცის შემადგენლობით (შემდეგ – ასხუთი) მათი მოვალეობა იყო მემკვიდრეობასთან, პირად სტატუსსა და მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული დავების განხილვა

centuria [*კენტუ´რია/ცენტუ´რია „ასეული“] ცენტურია
I. 1. სამხედრო ქვედანაყოფი, ლეგიონის ნაწილი თავდაპირველად ასი, შემდგომ სამოცი კაცის შემადგენლობით 2. მოქალაქეთა ჯგუფი, რომელშიც განაწილებუ;ლი იყვნენ ქონებრივი ცენზის მიხედვით. სულ იყო 193 ცენტურია

cera [*კე´რა/ცე´რა „ცვილი“]
I. tabellae ceratae გასანთლული დაფები, რომელზედაც რომაელები წერდნენ მოკლე წერილებს, ანდერძებს

cernere hereditatem [*კე´რნერე/ცე´რნერე ჰერედიტა´ტემ „მემკვიდრეობის განსაზღვრა“]
I. ანდერძის გზით მემკვიდრეობის მიღების ერთ-ერთი უძველესი ფორმა

certificatio (*საშ. ლათ.*) [*კერტიფიკა´ტიო/ცერტიფიკა´ციო „დაკანონება“] სერტიფიკაცია
II. „სერტიფიკაცია – სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ჩატარებული, განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების ატესტაცია ობიექტის შესაბამისობის დადასტურების მიზნით“ (საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი – 2012, 88(ე)-ე მუხლი)
III. „აეკრძალოთ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების ზონალურ გაერთიანებათა საქმიანობის ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებს და აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებ კერძო პირებს სახლებისა და ნაგებობის გაქირავება დამსვენებელთათვის ადგილობრივი საკურორტო ბიუროების შესაბამისი ნებართვის (სერტიფიკატის) გარეშე“ (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 120 დადგენილება – 1983, საქ. კან., 3, გვ. 334)

certum [*კე´რტუმ/ცე´რტუმ „განსაზღვრული“]
I. ვალდებულების ან სასარჩელო მოთხოვნის საგანი

cessio [*კე´სსიო/ცე´სსიო „დათმობა“] ცესია
I. დათმობა, გადაცემა
II., III. „ცესია – სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობა“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი ჩეკის შესახებ – 1995, ზოგადი განმარტებები). იხ. აგრეთვე საქართველოს კანონი თამასუქის შესახებ – 1995, ზოგადი განმარტებანი

cessio bonorum [*კე´სსიო/ცე´სსიო ბონო´რუმ „ქონების გადაცემა“]
I. გადახდისუუნარო მოვალის მიერ ქონების ნებაყოფლობით გადაცემა კრედიტორზე. ამას პრეტორი ახორციელებდა მოვალის პირადი თხოვნის საფუძველზე

cessio nominis [*კე´სსიო/ცე´სსიო ნო´მინის „სავალო ხელშეკრულების გადაცემა“]

I. ვალდებულების გადაცემა სხვა პირზე

charta [ხა´რტა „ქაღალდი“] ქარტია

I. ქაღალდი, დოკუმენტი

II. აქტი, რომელიც ახდენს უზოგადესი პრინციპებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების დეკლარირებას. „თავისუფლების ქარტია“ (საქართველოს კანონი თავისუფლების ქარტია – 2011)

III. „მცნებაჲ ესე სასჯულოჲ ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამჴნობელი, ყოველთა ქრისტეანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა და აღიწერა ქარტათა ესე ჩემ მიერ“ (მცნებაჲ სასჯულოჲ (1470-1474 წწ.) ქსძ, III, გვ. 225)

chirographum (ბერძნ.) [ხიროგრა´ფუმ „ხელნაწერი“]

I. ვალის მიღების შესახებ ხელწერილი (მოწმის გარეშე, **testatio**-საგან განსხვავებით)

christianus [ხრისტია´ნუს „ქრისტიანი“] ქრისტიანი

I. ქრისტიანი, ქრისტიანული რწმენის მიმდევარი, რომში თავდაპირველად იკრძალებოდა ქრისტიანთა შეკრებები, ისჯებოდა როგორც collegia illicita. თუმცა IV ს-ში ქრისტიანობა გახდა სახ. რელიგია

cibaria pl. [*კიბა´რია/ციბა´რია „საკვები“]

I. საკვები პროდუქტები, რომლებსაც აძლევდნენ სახ. მოხელეებს

circularis [*კირკულა´რის/ცირკულა´რის „წრიული“] ცირკულარი, ცირკულარული

II. ცირკულარი/ცირკულარული წერილები – წერილობითი შეტყობინებები, რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა ადრესატისათვის ერთი და იმავე ინფორმაციის მისაწოდებლად. „დეპარტამენტში შემავალი სტრუქტურული ერთეულებია: ა) ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველო, რომლის ძირითადი ამოცანები და ფუნქციებია: ვ) კომპეტენციის ფარგლებში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის საკონსულო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ცირკულარული წერილებისა და ნოტების მომზადება შესაბამის სამმართველოსთან ერთად“ (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება №255 – 2009, მე-5(ა)(ვ) მუხლი)

III. „ცირკულარი – ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომების თავმჯდომარეთ“ (ცირკულარი, 1923; აქტები 1920-1978, I, გვ. 69)

circumcisio [*კირკუმკი´სიო/ცირკუმცი´ზიო „წაჭრა“]

I. წაკვეთა, წინდაცვეთა. დასაშვები იყო იუდეველთათვის, როგორც პრივილეგია მხოლოდ ანტონინუს პიუსის დროს

circumscriptio adulescentis [*კირკუმსკრი´პტიო *ადულესკე´ნტის/ცირკუმსკრი´პციო ადულესცე´ნტის „ყმაწვილის შეცდენა“]

I. არასრულწლოვნის ცდუნება

circumvenire [*კირკუმვენი´რე/ცირკუმვენი´რე „გარშემოვლა“]

I. გვერდის ავლა (მაგ. კანონის)

circumvenire legem [*კირკუმვენი´რე/ცირკუმვენი´რე ლე´გემ „კანონისთვის გვერდის ავლა“]
I. კანონისათვის გვერდის ავლა

circumventio, -onis [*კირვუმვე´ნტიო/ცირკუმვე´ნციო „ტყუილი“]
I. მოტყუება, თაღლითობა

citare [*კიტა´რე/ციტა´რე „გამოძახება“] ციტირება
I. გამოძახება სასამართლოზე მოწმის სახით

citatio [*კიტა´ტიო/ციტა´ციო „გამოძახება“] ციტაცია
I. სასამართლოზე გამოძახება მოწმის სახით

civilis [*კივი´ლის/ცივი´ლის „სამოქალაქო“] ცივილური
I. ius civilis სამოქალაქო სამართალი

civis [*კი´ვის/ცი´ვის „მოქალაქე“] მოქალაქე
I. მოქალაქე, civis Romanus რომაელი მოქალაქე

civitas [*კი´ვიტა´ს/ცი´ვიტა´ს „სახელმწიფო“, „ქალაქი“]
I. სახელმწიფო, მთავრობა. civitas Romana რომის მოქალაქეობა

clamor [კლა´მორ „ყვირილი“]
I. შეძახილი, თანხმობის გამოხატულება

clara persona [კლა´რა პერსო´ნა „წარჩინებული პიროვნება“]
I. სენატორი ან მისი მეუღლე

clarigatio [*კლარიგა´ტიო/კლარიგა´ციო „მოთხოვნა“] კლარიგაცია
I. ულტიმატუმი, რომელიც წაეყენებოდა უცხო სახელმწიფოებს რომის მოქალაქეების სახელით და რომელიც შეიცავდა ტერიტორიებთან დაკავშირებულ ან სხვა სახის მოთხოვნებს

clarissimus [კლარი´სსიმუს „უწარჩინებულესი“]
I. სენატორის საპატიო ტიტული

classis [კლა´სსის „კლასი“, „ფენა“] კლასი
I. 1. მოსახლეობის ფენა; 2. ფლოტი
II. 1. პროფესიული მომზადების დონე, კვალიფიკაცია. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და საქართველოს პროკურატურის სისტემებში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: ა) საშუალო სპეციალური წოდება – უმცროსი იურისტი, III კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ – 2000, მე-3(1)(ა) მუხლი); 2. „ფასიანი ქაღალდების კლასი – ემიტენტის ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომლებიც, კომისიის წესების შესაბამისად ადასტურებს იდენტურ უფლება-მოვალეობებს“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1999, მე-2(38) მუხლი)
III. „გარნა სათანადო არს აქა, რათამცა თითოეულისა კლასისა თავადთა, აზნაურთა და გლეხთა, მოქალაქეთა, ვაჭართა და მსახურთა და სამღუდელოთაცა სისხლი განწესებული განეცხადოს მოსამართლეთა...“ (სამართ. ბატ. დავ. 238)

claudere [კლა´უდერე „დაკეტვა“, „ჩაკეტვა“, „დასრულება“]

I. ჩაკეტვა

claustrum [კლა´უსტრუმ „საკეტი“] საკეტი
I. საკეტი, კლიტე

clausula [*კლა´უსულა/კლა´უზულა „დასკვნა“] კლაუზულა
I. დამატებითი პუნქტი კანონში
II., III. სტაბილურობის კლაუზულა – სახელმწიფოების მიერ უცხოელი ინვესტორებისთვის მიცემული სამართლებრივი გარანტიები. „თვით ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ მისი შინაარსი ამოვარდნილია ერთიანი კერძო-სამართლებრივი სივრციდან და ვერც საინვესტიციო ურთიერთობებში მიღებული „სტაბილურობის კლაუზულის“ ფარგლებში ვერ ეტევა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/136 – 2002, მე-12 პუნქტი)

clausula derogatoria [*კლა´უსულა/კლა´უზულა დეროგატო´რია „შემზღუდველი პუნქტი“]
I. დამატებითი პუნქტი ანდერძში

clavum figere [კლა´ვუმ ფი´გერე „ლურსმნის ჩარჭობა“]
I. ლურსმნის ჩარჭობა. ძველი კანონის მიხედვით, ახალი წლის აღსანიშნავად 13 სექტემბერს იუპიტერის ტაძარში ჩაარჭობდნენ ხოლმე ლურსმანს, ამ მოვალეობას ასრულებდა უმაღლესი მაგისტრატი

clavus [კლა´ვუს „ლურსმანი“]
I. ლურსმანი

clementia [*კლემე´ნტია/კლემე´ნცია „შეწყალება“] კლემენცია
I. შეწყალება

cliens, **-ntis** [კლი´ენს „კლიენტი“] კლიენტი
I. 1. არასრულუფლებიანი უცხოტომელი, რომელსაც რომში პატრიციუსთა რომელიმე გვარის წარმომადგენელი მფარველობდა და რომელიც თავის პატრონზე იყო დამოკიდებული; 2. გვიანკლასიკურ ხანაში სოფლის ან ქალაქის ღარიბი მოსახლე, რომელიც პატრონზე იყო დამოკიდებული მატერიალურად, სანაცვლოდ კლიენტი მხარს უჭერდა პატრონს, აძლევდა თავის ხმას
II. პირი, რომელსაც ემსახურება საკრედიტო, სავაჭრო, სამრეწველო ორგანიზაცია, ადვოკატი, ნოტარიუსი და სხვა. „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნით და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა...“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, 876-ე მუხლი)
III. „უბრალო განსხვავებულ ჩეკს გადამხდელი უნაღდებს მხოლოდ საბანკო დაწესებულებას ან გადამხდელის კლიენტს“ (საქართველოს კანონი ჩეკის შესახებ – 1995, 29(1)-ე მუხლი)

cloaca [კლოა´კა „სადინარი“, „არხი“] კლოაკა
I. მიწისქვეშა არხი, სადაც ჩაედინებოდა ბინძური წყალი. **c.** maxima რომის მთავარი საკანალიზაციო არხი

coalitio [*კოალი´ტიო/კოალი´ციო „გაერთიანება“] კოალიცია

II. სახელმწიფოთა, პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება. „ეს კანონი განსაზღვრავს ფრაქციის ჩამოყალიბების, რეგისტრაციის, საქმიანობისა და გაუქმების წესს, ფრაქციის უფლებამოსილებას, აგრეთვე საპარლამენტო კოალიციის, უმრავლესობისა და უმცირესობის კოალიციის სამართლებრივ მდგომარეობას“ (საქართველოს კანონი საპარლამენტო ფრაქციის შესახებ – 1997, მე-2 მუხლი)
III. „წევრის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს საპარლამენტო ფრაქციას, საპარლამენტო კოალიციას, აგრეთვე პარლამენტის იმ წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არც ერთ საპარლამენტო ფრაქციაში ან კოალიციაში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ – 1995, 21(2)-ე მუხლი)

codex [კო´დექს „დაფა“] კოდექსი
I. წიგნად აკინძული, ცვილით დაფარული ხის ფირფიტები, პაპირუსის ან პერგამენტის გრაგნილები
II. საკანონმდებლო აქტი, რომელშიც გაერთიანებულია და სისტემატიზირებულია ერთგვაროვან სამართლებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (2011)
III. „ხოლო კოდიკჲ არს სახელი ჰრომაული და ეწოდების გუჯარსა განვრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათმე პირთა და სჯულის-დებათასა და ესეცა მრავალ წიგნებად არს განყოფილ სიმრავლისათჳს, რომლისა წიგნებისა ნაწილები და თავები ფერად-ფერადთა მიზეზთათჳს წარმოიტყჳს“ (დიდი სჯ. სქ. 137)

codex accepti et expensi [კო´დექს *აკკე´პტი/აკცე´პტი ეტ ექსპე´ნსი „შემოსავალ-გასავლის წიგნი“] აქცეპტი
I. შემოსავლებისა და გასავლების წიგნი

codex Euricianus [კო´დექს *ევრიკი´ანუს/ევრიცი´ანუს „ევრიციუსის კოდექსი“] ევრიციუსის კოდექსი
I. ვესტგოთური სამართლის კოდექსი

codex Graegorianus [კო´დექს გრეგორია´ნუს „გრეგორიუსის კოდექსი“] გრეგორიუსის კოდექსი
I. უძველესი კრებული იმპერატორთა კონსტიტუციებისა, ადრიანუსიდან მოყოლებული დიოკლეტიანუსამდე

codex Iustinianus [კოდექს იუსტინია´ნუს „იუსტინიანუსის კოდექსი“] იუსტინიანუსის კოდექსი
I. იმპერატორ იუსტინიანუსისა და მისი წინამორბედების მიერ გამოცემული კონსტიტუციების კრებული

codex Theodosianus [კო´დექს თეოდოსია´ნუს „თედოსიუსის კოდექსი“] თეოდოსიუსის კოდექსი
I. იმპერატორ თეოდოსიუსის მიერ გამოცემულ კონსტიტუციათა კრებული. I ეძღვნება სამართლის წყაროებს, 6-15 – სახალხო სამართალს, მე-16-ე – საეკლესიო სამართალს

codicillus [*კოდიკი´ლლუს/კოდიცი´ლლუს „მინაწერი“, „მითითება“]
I. მინაწერი, დამატებითი პუნქტი ანდერძზე დართული

codificatio (*საშ. ლათ.*) [*კოდიფიკა´ტიო/კოდიფიკა´ციო „კოდექსის კეთება“] კოდიფიკაცია
II. საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიხატება სამართლის ამა თუ იმ დარგში მოქმედი სამართლებრივი ნორმების სიღრმისეულ გადამუშავებაში, სისტემატიზაციასა და ახალი ნორმების შემუშავებაში და ამ ნორმების საფუძველზე ერთიანი სამართლებრივი აქტის შექმნაში. „ეს კონვენცია არ ახდენს ზეგავლენას საზღვაო ნორმებსა და კოდიფიკაციაზე, შემუშავებულს საზღვაო სამართლის საკითხებზე გაეროს კონფერენციის მიერ...“ (კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვაზე – 2000, მე-12(1) მუხლი)
III. „VII განყოფილება ცნობებისა – (წიგნსაცავის და იურისტკონსულტაციის) განყოფილება – კოდიფიკაციური“ (საქ. იუსტ. სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის პროექტი, VII, აქტები 1927-1978, გვ. 62)

coëmptio [*კოე´მპტიო/კოე´მპციო „ნასყიდობა“] კოემპცია
I. ქმრის მიერ ცოლის მამასთან დადებული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მამა გადასცემდა ქალიშვილზე ძალაუფლებას მის მეუღლეს

coëmptio fiducia causa [*კოე´მპტიო *ფიდუ´კია *კაუ´სა/კოე´მპციო ფიდუ´ცია კა´უზა „ხელშეკრულება სანდოობის მიზეზით“]
I. ხელშეკრულება, რომლის მიზანია ქალისთვის არასასურველი მეურვეობისგან თავის დაღწევა

coërcitio [*კოერკი´ტიო/კოერცი´ციო „დასჯა“]
I. მაგისტრატის უფლება დაესაჯა, ვინც მის ბრძანებას არ დაემორჩილებოდა

coërcitio capitalis [*კოერკი´ტიო/კოერცი´ციო კაპიტა´ლის „სიკვდილით დასჯა“]
I. სიკვდილით დასჯა

coërcitio pecuniaria [*კოერკი´ტიო/კოერცი´ციო პეკუნია´რია „ფულადი ჯარიმა“]
I. ფულადი ჯარიმა

cogere [კო´გერე „მოგროვება“]
I. მოწვევა, შეკრება

cogere senatum [კო´გერე სენა´ტუმ „სენატის შეკრება“]
I. სენატის შეკრება

cognati [კოგნა´ტი „ნათესავები“]
I. სისხლით ნათესავები

cognatio [*კოგნა´ტიო/კოგნა´ციო „სისხლით ნათესაობა“]
I. სისხლით ნათესაობა

cognatio naturalis [*კოგნა´ტიო/კოგნა´ციო ნატურა´ლის „ბუნებრივი ნათესაობა“]
I. ნათესაური დამოკიდებულება დედასა და უკანონო შვილს შორის

cognatio servilis [*კოგნა´ტიო/კოგნა´ციო სერვი´ლის „მონის ნათესაობა“]
I. ნათესაური დამოკიდებულება მონებს შორის

cognatus [კოგნა´ტუს „ნათესავი“]
I. სისხლით ნათესავი. **c.** ex latere და და ძმა, შემდეგ – ბიძა (მამის და დედის მხრიდან) და მამიდა, დეიდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, შემდეგ გერი და-ძმა

cognitio [*კოგნი´ტიო/კოგნი´ციო „ცნობა,“ „შეცნობა“] კოგნიცია
I. მოსამართლეებისა და მაგისტრატების მიერ საქმის შესწავლა და გადაწყვეტა

cognitor [კო´გნიტორ „ადვოკატი“, „დამცველი“] კოგნიტორი
I. მხარის წარმომადგენელი სასამართლოში. რეალურად, კოგნიტორის მიერ ხდებოდა წარმოდგენილი პირის ჩანაცვლება სასამართლო პროცესზე, რის შედეგადაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება ხორციელდებოდა არა წარმოდგენილი პირის, არამედ უშუალოდ კოგნიტორის მიმართ. სწორედ ამის გათვალისწინებით, კოგნიტორის დანიშვნა ხდებოდა ფორმალურ პროცესზე, რომელსაც ესწრებოდა მოწინააღმდეგე მხარეც და ამ უკანასკნელს არასასურველი კოგნატორისგან თავის დასაცავად ენიჭებოდა სპეციალური გარანტია – cautio iudicatum solvi

cognomen [კოგნო´მენ „მეტსახელი“] კოგნომენი
I. საგვარეულო სახელი, რომელიც გვარს მოსდევდა. Gaius Iulius Caesar, გაიუსი – სახელი პიროვნებისა, იულიუსი – გვარი იულიუსებისა, კეისარი – იულიუსების ერთი შტოს ზედსახელი (მეტსახელი)

cognoscere [*კოგნო´სკერე/კოგნო´სცერე „შემეცნება“]
I. რაიმე იურიდიული საქმის ან საკითხის განხილვა და გადაწყვეტა. ამის უფლება ენიჭებოდა მაგისტრატს ან მოსამართლეს

coheres [კოჰე´რეს „თანამემკვიდრე“]
I. თანამემკვიდრე

cohors, -**hortis** [კო´ჰორს „კოჰორტა“] კოჰორტა
I. 1. კოჰორტა, ლაშქრის განაყოფი, ლეგიონის მეათედი; 2. მაღალი რანგის მაგისტრატის ამალა

cohortes praetoriae [კოჰო´რტეს პრეტო´რიე „პრეტორის კოჰორტები“]
I. იმპერატორის მცველები

cohortes urbanae [კოჰო´რტეს ურბა´ნე „ქალაქის კოჰორტები“]
I. ქალაქის მცველები

cohortes vigilum [კოჰო´რტეს ვი´გილუმ „ღამის დაცვა“]
I. ღამის დაცვა

collatio [*კოლა´ტიო/კოლა´ციო „მიერთება“, „შეერთება“] კოლაცია
I. კანონიერი მემკვიდრის ვალდებულება, შეიტანოს სამემკვიდრეო ერთეულში საკუთარი ქონების ის ნაწილიც, რაც მამისაგან მიიღო მის სიცოცხლეში

collationes pl. [*კოლლატიო´ნეს/კოლლაციო´ნეს „გაერთიანებული ბეგარები“]
I. დომინატის პერიოდში არსებული სხვადასხვა სახის ბეგარა

collectivus [კოლლეკტი´ვუს „ერთობლივი“] კოლექტიური
II. 1. ერთობლივი, საერთო, საზოგადო. „სამხედრო მოსამსახურეები (გარდა ვადიანი სამხედრო მოსამსახურისა) და მათი ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირის, ტელეფონის დადგმის და სააბონენტო გადასახადის (საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრების გარდა), კოლექტიური ანტენის, რადიოქსელით სარგებლობის, დახარჯული ელექტროენერგიის, გაზის, გათბობის, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ცივი და ცხელი წყლის და სხვა კომუნალური

მომსახურების ღირებულების 50 პროცენტს, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხებით“ (საქართველოს კანონი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ – 1998, მე-19(3) მუხლი); 2. კოლექტიური შრომითი ხელშეკრულება – „კოლექტიური ხელშეკრულება იდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს – დასაქმებულთა გაერთიანებას შორის“ (საქართველოს შრომის კოდექსი – 2010, 41(1)-ე მუხლი); 3. „კოლექტიური ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც ამ კანონის მე-3 მუხლით შეიძლება იქნეს დაცული სასაქონლო ნიშნად და რომლითაც განასხვავებს კოლექტიური ნიშნის მფლობელი გაერთიანების წევრთა საქონელს სხვა პირთა საქონლისაგან გეოგრაფიული წარმოშობის, ერთნაირი ხარისხობრივი მახასიათებლების ან სხვა თვისებების მიხედვით“ (საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ – 1999, 30(1)-ე მუხლი)
III. „პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია“ (კონსტ. – 1921, 37-ე მუხლი)

collega [კოლლე´გა „კოლეგა“, „ერთად არჩეული“] კოლეგა
I. 1. ერთად არჩეული ამხანაგობა სახელმწიფო სამსახურში; 2. წევრი ამხანაგობისა, ძმობისა, კორპორაციისა
II. ამხანაგი პროფესიის, საქმიანობის სფეროს ან თანამდებობის მიხედვით. „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად დაეხმაროს კოლეგას, რომელიც მას მიმართავს მომსახურების გაწევის მიზნით“ (საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ – 2001, 58-ე მუხლი)
III. „სამედიცინო საქმიანობის აღსრულებისას ჯანმრთელობის დაცვის პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური ფასეულობებით – ადამიანის პატივისა და ღირსების აღიარების, სამართლიანობის, თანაგრძნობის პრინციპებით, აგრეთვე პროფესიული ეთიკის შემდეგი ნორმებით: დ) იზრუნოს პროფესიული საქმიანობის პრესტიჟის ამაღლებაზე, პატივისცემით მოეპყრას კოლეგებს“ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ – 1997, 30(1)(დ)-ე მუხლი)

collegia [კოლლე´გია „კოლეგია“, „ამხანაგობა“] კოლეგია
I. 1. კოლეგია, თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს. სამსახურეობრივ მოვალეობათა ერთობლივი შესრულება; 2. პროფესიულ პირთა გაერთიანება. **c. sacerdotum** ქურუმთა კოლეგია, **c. fabrum** ხელოსანთა გაერთიანება, **c. navicularum** მენავეთა კოლეგია, **c. mercatorum** ვაჭართა კოლეგია და სხვ.
II. პირთა ერთობლიობა, რომელიც აყალიბებს ადმინისტრაციულ ორგანოს ან მრჩეველთა საბჭოს, სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც განიხილავს განსაზღვრული კატეგორიის საქმეებს. „უფლებამოსილი ორგანო პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას საერთაშორისო სასამართლოსთვის გადაცემის მიზნით პირის დაპატიმრების თაობაზე ბრძანების გაცემის შესახებ...“ (საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ – 2003, 23(1)-ე მუხლი)

III. „სამჯედროჲსა კოლლეღიის ვიცე პრეზიდენტი“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ (1783 წ.) ქსძ ტ. II, გვ. 460)

collegia illicita [კოლლე´გია *ილლი´კიტა/ილლი´ციტა „არაკანონიერი კოლეგია“]
I. გაერთიანება, რომელიც საკუთარი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მიიჩნეოდა უკანონოდ

collegium augurum [კოლლე´გიუმ ა´უგურუმ „ავგურთა კოლეგია“] ავგურთა კოლეგია
I. ავგურთა კოლეგია, თავდაპირველად სამი წევრისაგან შედგებოდა, შემდგომ წევრთა რიცხვი გაიზარდა 15-მდე. მათ აზრს ანგარიშს უწევდნენ ინაუგურაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საქმეების დროს

collibertus [კოლლი´ბერტუს „თანააზატი“] კოლიბერტი
I. მონა, რომელმაც ვინმესთან ერთად მიიღო თავისუფლება (განსაკუთრებით ანდერძის საფუძველზე)

collisio [*კოლლი´სიო/კოლლი´ზიო „შეჯახება“] კოლიზია
II. 1. კონფლიქტი, დაპირისპირება, შეჯახება. „პირის გადაცემის შესახებ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და უცხო სახელმწიფოს კოლიზიური თხოვნების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს თხოვნას“ (საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ – 2010, 32(3)-ე მუხლი); 2. კოლიზიური ნორმა. ნორმა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი კონკურენტული სამართლებრივი სისტემა უნდა იქნეს გამოყენებული ამა თუ იმ ურთიერთობის დასარეგულირებლად. „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული“ (საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ – 1998, 32(1)-ე მუხლი)
III. „კომერციულ ბანკებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში ამ კანონსა და სხვა კანონებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება ამ კანონის დებულებანი“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ– 1996, მე-2(5) მუხლი)

collusio [*კოლლუ´სიო/კულლუ´ზიო „შეთქმულება“] კოლუზია
I. საიდუმლო შეთანხმება უკანონო სარგებლის მიღებაზე

colonia [კოლო´ნია „კოლონია“] კოლონია
I. კოლონია, ქ., დაარსებული დაპყრობილ ტერიტორიაზე lex de c. deducenda-ს ან სენატის დადგენილების საფუძველზე
III. „...და აგრეთვე სასკოლო დისციპლინის სისტემატური და უხეში დარღვევა, რასაც მოჰყვა სასწავლებლიდან (სკოლიდან) გარიცხვა, გამოიწვევს შრომის კოლონიაში მოთავსებას ერთ წლამდე“ (საქ. სსრ სამხ. სამ. კოდ. – 1928 (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1942 წ. მარტის 4), თავი II 63; გვ. 76)

colonus [კოლო´ნუს „კოლონისტი“] კოლონისტი

I. 1. კოლონისტი, კოლონიის მცხოვრები; 2. მოიჯარე მიწისა, რისთვისაც იხდიდნენ ფულად ან ნატურით გადასახადს; 3. ნახევრად თავისუფალი მიწის მფლობელი, მუდმივად მცხოვრები სახ. მიწაზე ან ლატიფუნდიებში, რომელიც იხდიდა ფულად ან ნატურით გადასახადს

color insaniae [კო´ლორ ინსა´ნიე „სიგიჟის მდგომარეობა“]
I. არგუმენტი, რომლის საფუძველზეც რომაელები ხსნიდნენ testamentum inofficiosum-ის შესრულების შესაძლებლობას

comes [კო´მეს „თანამგზავრი“]
I. რესპ.-ის პერიოდში მაგისტრატის თანმხლები წევრი (→ cohors 2), დომინატის დროს მაღალი რანგის მოხელეების ტიტული

comes Orientis [კო´მეს ორიე´ნტის „აღმოსავლეთის მმართველი“]
I. (რიგი) პროვინციების დიოცეზის მმართველი → Oriens

comes rei militaris [კო´მეს რე´ი მილიტა´რის „სამხედრო საქმის უფროსი“]
I. საპატიო ტიტული, რომელიც პროვინციებში ენიჭებოდათ სამხედრო დამსახურებების გამო

comes rei privatae [კო´მეს რე´ი პრივა´ტე „პირადი საქმეების უფროსი“]
I. მოხელე, რომელიც კურირებდა კეისრის პირად საქმეებს – res privata Caesaris

comes sacrarum largitionum [კო´მეს საკრა´რუმ *ლარგიტიო´ნუმ/ლარგიციო´ნუმ „წმინდა საჩუქრების გამგებელი“]
I. ფინანსთა მინისტრი

comes sacrarum patrimonii [კო´მეს საკრა´რუმ პატრიმო´ნიი „საკუთრებაზე პასუხისმგებელი“]
I. მოხელეები, რომლებიც პასუხს აგებდნენ კეისრის საკუთრებაზე (patrimonium Caesaris), საიმპერატორო სასახლეზე, საძინებლებზე, გარდერობზე და საჯინიბოზე

comitatenses [milites] [კომიტატე´ნსეს მი´ლიტეს „საიმპერატორო ჯარისკაცები, ამალა“]
I. დომინატის დროს საველე (ოპერატიული) არმიის ნაწილები

comitium [*კომი´ტიუმ/კომი´ციუმ „შეკრება“, pl. comitia] კომიცია
I. რომ. მოქალაქეთა შეკრება. მას იწვევდნენ სხვადასხვა დროს განსახილველი საკითხის შესაბამისად

comitium centuriata [*კომი´ტიუმ *კენტურია´ტა/კომი´ციუმ ცენტურია´ტა „ცენტურიის კრება“]
I. კომიცია დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ყველაზე მნიშვნელოვან სახალხო თავყრილობად. comit(i)atus maximus, რომელიც თავდაპირველად იმართებოდა სამხედრო, შემდეგ კი ქონებრივი პრინციპით: მოქალაქეები მოდიოდნენ იარაღით და ინარჩუნებდნენ სამხედრო მწყობრს. **c. c**. იღებდა ახალ კანონებს (leges centuriatae), ირჩევდა (creatio) magistratus maiores, წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, საერთაშორისო მოლაპარაკებებს, განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს და ანიჭებდა რომის მოქალაქეობას

comitium curiata [*კომი´ტიუმ/კომი´ციუმ კურია´ტა „კურიის კრება“]

I. კომიცია, რომელსაც დიქტატორი ან კონსული იწვევდა

comitium tributa [*კომი´ტიუმ/კომი´ციუმ ტრიბუ´ტა „ტრიბის კრება“]
I. კომიცია, რომელიც მოწყობილი იყო ტერიტორიული პრინციპით, მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილების მიხედვით (→tribus). ამ კომიციებს იხმობდნენ magistratus maiores, ხოლო რელიგიური ხასიათის საკითხების გადასაჭრელად (უმაღლეს ქურუმთა არჩევნები, სადაც იკრიბებოდა 17 რჩეული ტრიბუსი – **c. religiosa**) კომიციას იხმობდა ერთ-ერთი პონტიფექსი. ისინი იღებდნენ leges tributae-ს, ირჩევდნენ დაბალ მაგისტრატებს და განიხილავდნენ ჯარიმების, შეწყალების საქმეს

commeatus [კომმეა´ტუს „თავისუფალი გასასვლელი, გასაძრომი, შვებულება“]
I. სამხედრო ნაწილიდან ჯარისკაცის შვებულებაში გაშვება ოჯახური საქმეების მოგვარების ან თუნდაც მცირე ხნით დასვენების მიზნით; ჯარისკაცი, რომელიც დროულად არ დაბრუნდებოდა სამხედრო ნაწილში, თავიდან ითვლებოდა → emansor-ად, პიროვნებად, რომელიც თვითნებურად იმყოფებოდა შვებულებაში, შემდეგ კი → desertor-ად

commendare [კომმენდა´რე „ნდობა, ნდობით აღჭურვა, გადაცემა“]
I. დავალების მიცემა, ნდობა, რაღაცის შესანახად მიცემა

commentarii [კომმენტა´რიი „კომენტარები“] კომენტარები
I. ნაწილობრივ სინ. acta, წიგნის განყოფილებები, ჩამონათვალი, განსაკუთრებით უმაღლეს მაგისტრატთა (**c. consulares**), ქურუმთა, პონტიფექსთა, ავგურთა ჩანაწერები (**c. sacerdotum, pontificum; augurum**)და ჩანაწერები (პროტოკოლები) საიმპერატორო კანცელარიების (**c. principum, c. epistolarum**), რომლებშიც ასევე რეგისტრირდებოდა მინიჭებული პრივილეგიები(**c. beneficiorum**). იხ. აგრ. mens
II. კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების განმარტებები. „შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლზე“ (2012)
III. „ტესტური გამოცდის განმავლობაში გამოსაცდელს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 697 – 1997, 27-ე მუხლი)

commercialis [*კომმერკია´ლის/კომმერცია´ლის „საკომერციო“] კომერციული
II. 1. სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული. „კომერციული რეკლამა ან ტელეშოპინგი საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ფარგლებში, საკონკურსო პროგრამების დაწყების, ბუნებრივი ინტერვალისა და დასრულების დროს“ (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ – 2004, 64(1)-ე მუხლი); 2. „კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(გ) მუხლი); 3. კომერციული საიდუმლოება – ეს არის საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ეხება სამეწარმეო საქმიანობას, საშუალებას

აძლევს მის მფლობელს, გაზარდოს შემოსავლები ან მიიღოს სხვა სახის კომერციული სარგებელი და რომლის გასაჯაროება ან მიწოდება მესამე პირისთვის მფლობელის თანხმობის გარეშე აკრძალულია კანონით. „მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პერსონალურ მონაცემებს, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას...“ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2009, 223(5)-ე მუხლი)

III. „კომერციულ სტრუქტურებში /მიუხედავად მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა/ იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო მოქალაქეებისა ან იურიდიული პირებისათვის უფასოდ გასაცემად, გამოიწვევს დაჯარიმებას...“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 157-ე მუხლი)

commercium [*კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ „ვაჭრობა“] კომერცია

I. რომში სავაჭრო საქმიანობის უფლება

commissio [კომმი´სსიო „შეჯიბრება“, „შედარება“, „შეერთება“] კომისია

II. პირთა ჯგუფი, რომელიც მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გარკვეულ დავალებებს ასრულებს, აგრეთვე სახელმწიფო აპარატის ან საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანო. „კანდიდატის ცოდნას ამოწმებს სააგენტოს მუდმივმოქმედი სახელმწიფო საზღვაო-საკვალიფიკაციო კომისია, რომელსაც ნიშნავს სააგენტოს დირექტორი“ (საქართველოს კანონი მეთევზე-მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ – 2012, 39(2)-ე მუხლი)

III. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ა/წ თებერვლის 25-ის დადგენილების თანახმად, აარსებს საგანგებო-საგამომძიებლო კომისიას“ (ბრძანება 2 საქ. სსრ რევ. კომიტეტისა, აქტები 1921-1978, §1)

commissum [კომმი´სსუმ „დანაშაული“]

I. დანაშაული, ბრალი

commitens, -ntis [კო´მმიტენს „დავალების მიმცემი“] კომიტენტი

III. „კომისიონერის მიერ მესამე პირთან დადებული გარიგების თანახმად უფლებებს იძენს და ვალდებულად ხდება კომისიონერი, თუნდაც კომიტენტი დასახელებული იყოს გარიგებაში...“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდ. – 1964 წ. თავი ოცდამეთექვსმეტე, მუხლი 412)

committere [კომმი´ტტერე „მინიჭება“, „დაშვება“]

I. მინიჭება, დაშვება, დანაშაულის ჩადენა

II. ამა თუ იმ სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანო, რომელიც საკუთარ საქმიანობის ახორციელებს გარკვეულ სფეროში. „პარლამენტის წევრის, კომიტეტის, საპარლამენტო ფრაქციის (შემდგომ – ფრაქცია) ... უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 1(10)-ლი მუხლი);

III. „მე-XX საუკუნის დასაწყისშივე შესდგა პარიზში ქართველთა კომიტეტი...“ (აქტი 1918, დამატება II)

commixtio [კომმი´ქსტიო „შერევა“]

I. მყარი მასალების განუყოფელი შერევა ქმნის communio pro indiviso-ს, სადაც pars quota შეესაბამება მასალის რაოდენობას, რომელიც შერევამდე ეკუთვნოდა მფლობელს ან შერეული მასალის ღირებულებას. იხ. accessio

commoda possessionis [კო´მმოდა პოსსესსიო´ნის „საკუთრებით სარგებლობა“]
I. უპირატესობები, რომელთაც ფლობს მესაკუთრე (possesor). იხ. modus

commodatum [კომმოდა´ტუმ „გასესხებული ნივთი“]
I. სესხი, სასესხო შეთანხმება, გადაცემა ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნისა დროებით უსასყიდლო სარგებლობაში

commodum [კო´მმოდუმ „სარგებლობა“]
I. სინ. emolumentum, (საპ. incommodum, onus) სარგებელი, უპირატესობა emptio venditio-ს შემთხვევაში რისკის საწინააღმდეგოდ

commoriens, -ntis [კომმორიე´ნს „ერთად სიკვდილი, ერთდროულად განადგურება“]
I. პირები, რომლებიც აღესრულნენ ერთსა და იმავე შემთხვევის შედეგად

communes omnium [კომმუ´ნეს ო´მნიუმ „საერთო საკუთრება“]
I. საერთო საკუთრება

communicatio [*კომმუნიკა´ტიო/კომმუნიკა´ციო „შეტყობინება, გადაცემა“] კომუნიკაცია
I. ერთობა, კავშირი. მაგ., **c. bonorum, c. lucri et damni; c. divini et humani iuris**(**c. sacrorum**)

communio [pro indiviso] [კომმუ´ნიო პრო *ინდივი´სო/ინდივი´ზო „გაუყოფელი საკუთრება“]
I. სინ. res c-es, condominium საერთო საკუთრება, როდესაც რამდენიმე პირს აქვთ ერთსა და იმავე საგანზე საკუთრების უფლება

communio pro diviso [*კომმუ´ნიო პრო *დივი´სო/პრო დივი´ზო „გაყოფილი ერთიანობა“]
I. წილადი საერთო საკუთრება

communio sacrorum [კომმუ´ნიო საკრო´რუმ „რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ერთიანობა“]
I. რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ერთობა, მჭიდრო კავშირები → gens

communio voluntaria [კომმუ´ნიო ვოლუნტა´რია „ნებაყოფლობითი ერთიანობა“]
I. მხარეთა შორის შეთანხმებაზე დაფუძნებული საერთო საკუთრება

communis [კომმუ´ნის „საერთო, ერთობლივი“]
I. საერთო, ერთობლივი, ერთი და იმავე ვალდებულებების → ius c-e; res c-es; r. c. Omnium
II. მუნიციპალურ მეურნეობასთან დაკავშირებული. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, მათ შორის, ... კომუნალური და სხვა სახის მომსახურება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული წესითა და პირობებით“ (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ – 1995, მე-11 მუხლი)

III. „სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ობიექტების დაცვის რეჟიმის დარღვევა, სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება, – გამოიწვევს დაჯარიმებას ოთხასიდან ექვსას ლარამდე.“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 58(2)-ე მუხლი)

compascua [კომპა´სკუა „საზოგადოებრივი საძოვრებისთვის განკუთვნილი“]
I. ძველ სამართალში: საზოგადოებრივი საკუთრება, საძოვრები და ტყეები, რომლებიც განკუთვნილი იყო საერთო სარგებლობისათვის, იხ. აგრ. ager c.-us; ius c.-endi

compensatio [*კომპენსა´ტიო/კომპენსა´ციო „ანაზღაურება“] კომპენსაცია
I. ურთიერთმოთხოვნათა, ურთიერთვალდებულებათა ჩათვლა, გაქვითვა
II. შრომის, მიყენებული ზიანის, მიუღებელი შემოსავლის და ა.შ. ანაზღაურება. „საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი კულტურული ფასეულობის ამოღებისა და კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევაში მის კეთილსინდისიერ შემძენს მომთხოვნმა მხარემ, თუ იგი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო, მისი მოქალაქე ან იურიდიული პირია, უნდა გადაუხადოს ამ კულტურული ფასეულობის კომპენსაცია, თუ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ასეთი კომპენსაციის გადახდა (საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საზღვარგარეთ გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ – 2001, მე-10 მუხლი)
III. „კომპენსაციის მიღება შეიძლება ფულით ან ნატურით“ („მიწების ჩამორთმევის დროს ზარალისა და გამოუყენებელი დანახარჯის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქ. სსრ ცაკ-ისა და სახკომ საბჭოს დადგენილება – 1931 წელი, ქრონ. კრ., 31)

comperendinatio [*კომპერენდინა´ტიო/კომპერენდინა´ციო „გადავადება“] კომპერენდინაცია
I. სამდღიანი გადავადება სასამართლო გადაწყვეტილებისა

competens, -ntis [კო´მპეტენს „სათანადო“] კომპეტენტური
I. სათანადო, შესაბამისი, მაგ., **iudex c.** „კომპეტენტური მოსამართლე“, **tribunal c.** „კომპეტენტური ტრიბუნალი“

competentia [*კომპეტე´ნტია/კომპეტე´ნცია „თანაზომიერება, სიმეტრია“] კომპეტენცია
I. განსჯადობა
II. სახელმწიფო ორგანოთა თუ თანამდებობის პირთა უფლებამოსილებათა კანონით განსაზღვრული ფარგლები. „სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უწევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით“ (საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ – 2010, მე-13(3) მუხლი)

III. „საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის ან მასში აღნიშნული მონაცემების უტყუარობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საქართველოს საბაჟო ორგანოს შეუძლია თხოვნით მიმართოს სერტიფიკატის გამცემ ორგანოს ან სერტიფიკატის გამცემი ქვეყნის სხვა კომპეტენტურ უწყებას დამატებითი ან დაზუსტებული მონაცემების მისაღებად“ (საქართველოს კანონი საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ – 1998, მე-14(3) მუხლი)

competere [კომპე´ტერე „ერთად მოთხოვნა“]
I. მოთხოვნა სასამართლო გზით

compilare [კომპილა´რე „გაქურდვა, მითვისება“]
I. Corpus iuris civilis იწოდება იუსტინიანისეულ კომპილაციად, რამდენადაც მისმა შემქმნელებმა (კომპილატორებმა) შეადგინეს იგი სხვადასხვა არსებული მასალიდან ამონარიდებით, უმთავრესად, კლას. იურისტების ნაწარმოებებიდან; იხ. აგრ. Digesta

compilatio [*კომპილა´ტიო/კომპილა´ციო „მიტაცება, ქურდობა“] კომპილაცია
I. კომპილაცია, ამონაწერთა, დოკუმენტთა შეგროვება

complexus [კომპლე´ქსუს „კავშირი, შეერთება“] კომპლექსი
II. მრავალმხრივი, მრავალი მიმართულების, სეგმენტის, მოვლენების, ობიექტების და ა.შ. შემცველი. „ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან აღნიშნული მიზნებისათვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების ბუნებრივი გარემოდან ამოღებას, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით კომპლექსური სარგებლობა და შენარჩუნება მოპოვებული ზოოლოგიური მასალის შემდგომი სამეცნიერო გამოკვლევის მიზნით“ (საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ – 1996, 34(5)-ე მუხლი)
III. „საქართველოს სს რესპუბლიკა თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას“ (კონსტ. – 1978, 74-ე მუხლი)

comprobatio [*კომპრობა´ტიო/კომპრობა´ციო „მოწონება, დადასტურება“]
I. დამატებითი დადასტურება, სინ. ratihabitio

compromissum [კომპრომი´სსუმ „ურთიერთთანხმობა“] კომპრომისი
I. შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომ საქმე გადასაწყვეტად გადასცემოდა სამედიატორო სასამართლოს
II. ურთიერთდათმობების შედეგად მიღწეული შეთანხმება, ინტერესების, ღირებულებების და ა.შ. დაბალანსება. „ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დეკლარაციის საფუძველზე ეს კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის თავისუფლებასა და სამხედრო ვალდებულებას შორის გონივრულ და ჰუმანურ კომპრომისს“ (საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ – 1997, 1-ლი მუხლი)
III. „საზოგადოების უარი რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნებზე ან საზოგადოების კომპრომისი ბათილია, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, მე-9(6) მუხლი)

computare [კომპუტა´რე „გამოთვლა“]
I. ფულის ჩათვლა – **peculium c.**

conatus [კონა´ტუს „სწრაფვა, მცდელობა, ხელყოფა“]
I. მცდელობა, თავდასხმა

concentratio [*კონკენტრა´ტიო/კონცენტრა´ციო „მოგროვება, თავმოყრა“] კონცენტრაცია
III. „სასამართლო რეპრესიის ღონისძიებად ისეთ საქმეზე, რომელიც ეხება კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა დაცვას კულაკურ და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების ძალადობისა და მუქარისაგან, შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა 5-დან 10 წლამდე საკონცენტრაციო ბანაკში მოთავსებით“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, I, 2)

conceptio [*კონკე´პტიო/კონცე´ფციო „ჩასახვა“] კონცეფცია
I. გადამწყვეტი მომენტი ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობის განსასაზღვრად: თუ დედა იყო თავისუფალი ჩვილის ჩასახვის პერიოდიდან მის შობამდე, კლას. სამ.-ის მიხედვით, ბავშვი ასევე თავისუფლად ითვლებოდა
II. გეგმა, რომელიც განსაზღვრავს განვითარების მიმართულებებს და დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის გზებსა და მეთოდებს. „ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის დავალებით: ა) უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას“ (საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ – 2004, მე-2(ა) მუხლი)
III. „საქართველოს მაგალითს რუსეთი, სასომხეთი და აზერბაიჯანი მიჰყვნენ, რაც საზოგადოებრივი აზრის და ამიერ-კავკასიის პარლამენტის მიერ მიღებულ ფედერალისტურ კონცეფციას ეთანხმებოდა“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი – 1918)

conceptus [*კონკე´პტუს/კონცე´პტუს „ჩასახული“]
I. სინ. nasciturus

concessio [*კონკე´სსიო/კონცე´სსიო „დათმობა, ნების დართვა, დაშვება“] კონცესია
I. სპეც. ნებართვა, რომელსაც სახელმწიფო აძლევდა ამხანაგობას
II. შეთანხმება, რომლის ძალითაც სახელმწიფო ანიჭებს უცხოურ ან ადგილობრივ მეწარმეს ბუნებრივი საბადოების ან სხვა სამეწარმეო ობიექტების ექსპლოატაციის უფლებას. „წიაღით სარგებლობის ლიცენზია ამტკიცებს წიაღით სარგებლობის პირობებსა და ფორმას, მათ შორის კონცესიის პირობებს“ (საქართველოს კანონი წიაღის შესახებ – 1996, მე-9(14) მუხლი)
III. „კონცესია არის უცხოური კაპიტალის დაბანდება (ინვესტიციის) მიზნით სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო საქმიანობაზე“ (საქართველოს კანონი საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ – 1-ლი მუხლი, 1994)

concessio peculii [*კონკე´სსიო/კონცე´სსიო პეკუ´ლიი „ქონების დათმობა“]
I. peculia-ს დაწესება

concessio servitutis [*კონკე´სსიო/კონცე´სსიო სერვიტუ´ტის „სერვიტუტის დათმობა“]
I. უარი სერვიტუტზე

conciliabulum [*კონკილია´ბულუმ/კონცილია´ბულუმ „შესაკრები ადგილი, შეკრება“]
I. ნაკლებად მსხვილი ტერიტორიული ერთეული, ვიდრე municipium, თუმცა გააჩნდა მართვის საკუთარი ორგანოები

concilium [*კონკი´ლიუმ/კონცი´ლიუმ „შეერთება“]
I. შეკრება, თავშეყრა, სხდომა, საბჭო

concilium ecumenica → ecclesia

concilium manumissionum [*კონკი´ლიუმ/კონცი´ლიუმ მანუმისსიო´ნუმ „სხდომა გათავისუფლების შესახებ“]
I. 5 სენატორისა და 5 მხედრისაგან შემდგარი კომისია, რომელიც ამოწმებდა მონათა განთავისუფლების საფუძველთა საპატიოობას → lex Alexia 2

concilium plebis [*კონკი´ლიუმ/კონცი´ლიუმ პლე´ბის „პლებსის კრება“]
I. კომიციების მსგავსად ორგანიზებული პლებსის წევრთა შეკრება

concilium propinquorum [*კონკი´ლიუმ/კონცი´ლიუმ პროპინკვო´რუმ „ახლობელთა საბჭო“]
I. საოჯახო საბჭო

concilium provinciarum [*კონკი´ლიუმ *პროვინკია´რუმ/კონცი´ლიუმ პროვინცია´რუმ „პროვინციების სხდომა“]
I. პრინციპატის დროს (ძვ.წ. III ს.-მდე) ერთი ან რამდენიმე დასავლური პროვინციის წარმომადგენელთა შეკრება საკმაოდ შეზღუდული უფლებამოსილებით: ძირითადად დაკავებული იყო იმპერატორის კულტის საკითხებით, მუდმივ კავშირში იმყოფებოდა პროვინციის მმართველთან და უფლება ჰქონდა, იმპერატორისათვის წარედგინა შეწყალება თუ საჩივარი

concipere [*კონკი´პერე/კონცი´პერე „შეკრება“]
I. ტექნ. ტერმ. სარჩელთა, საპროცესო ფორმულათა

concordia [*კონკო´რდია „თანხმობა, ერთსულოვნება“] კონკორდიუმი
II., III. კონკორდიუმი – კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის და რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის სამართლებრივ სტატუსს, არეგულირებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საგანმანათლებლო, საგადასახადო, ქონებრივ და სხვა სფეროებში წარმოშობილ ურთიერთობებს. „შეთანხმება (კონკორდიუმი) საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის“ (საქართველოს კანონი კულტურის შესახებ – 1997, მე-40(1)(ნ) მუხლი)

concubinatus [კონკუბინა´ტუს „სქესობრივი კავშირი“] კონკუბინატი
I. სინ. coitus, ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი

concurrentia [*კონკურრე´ნტია/კონკურრე´ნცია „მეტოქეობა“] კონკურენცია

II. შეჯიბრება რაიმე ასპარეზზე უპირატესი პირობების და პოზიციის მოსაპოვებლად. „კანონის მიზანია რეკლამის სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, საზოგადოებრივი ინტერესების, რეკლამის სუბიექტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, არასათანადო რეკლამის თავიდან აცილება და აღკვეთა“ (საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ – 1998, მე-2(2) მუხლი)
III. „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის ... დაჯარიმებას...“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 159[8] – ე მუხლი)

concussio [კონკუ´სსიო „შერყევა, შენჯღრევა“]
I. იმპ.-ის ხანაში თანამდებობაზე მყოფი პირის მიერ ფულის ან საჩუქრების გამოძალვა რომელიმე თანამდებობრივი პირისათვის

condemnare [კონდემნა´რე „გასამართლება“]
I. გასამართლება სამოქ. ან სისხლ. სამ.-ის სასამართლო წარმოებაში

condemnatio [*კონდემნა´ტიო/კონდემნა´ციო „ბრალდება, საბრალდებო განაჩენი“] კონდემნაცია
I. 1. საპროცესო ფორმულის ნაწილი, რომელიც უფლებას აძლევდა მოსამართლეს დაეკისრებინა პირისთვის რაიმე ვალდებულების შესრულება ან გაეთავისუფლებინა იგი ყოველგვარი ვალდებულების შესრულებისგან იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დასაბუთებულად თვლიდა ის სასარჩელო მოთხოვნას; 2. გამამტყუნებელი განაჩენი (საპირ. absolutio)

condere [კო´ნდერე „დაფუძნება, დაარსება, შექმნა“]
I. 1. კერძო სამართალში გვხვდება **c. iura**, აქედან conditores iuris, iurisconsulti – ახალი სამართლის შემქმნელები; **c. leges** კანონების შედგენა; 2. დაბინავება, დაკრძალვა **c. corpus [terra]** → sepulcrum; **aliquem in carcerem c.** ვინმეს ციხეში ჩაგდება

condicere [*კონდი´კერე/კონდი´ცერე „შეთანხმება“, „მოთხოვნა შეთანხმების თანახმად“]
I. 1. შეთანხმება, მოგვარება. ფულის მოთხოვნა შეთანხმების თანახმად; 2. შეტყობინება, მოხმობა (→condictio)

condicio [*კონდი´კიო/კონდი´ციო „მდგომარეობა, გარემოება, პირობა“] კონდიცია
I. პირობა, დათქმა შეთანხმებაში, რომლის სამართლებრივი შედეგების წარმოშობაც უკავშირდება მომავალში რაიმე მოვლენის დადგომას

condicio a qua [*კონდი´კიო/კონდი´ციო ა კვა „პირობა რაღაციდან“]
I. დათქმა, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა გარკვეული მოვლენის დადგომის შემთხვევაში

condicio ad quam [*კონდი´კიო/კონდი´ციო ად კვამ „პირობა რაღაცასთან“]
I. დათქმა, რომ ხელშეკრულება მოქმედებას შეწყვეტს გარკვეული მოვლენის დადგომის შემთხვევაში

condicio casualis [*კონდი´კიო *კასუა´ლის/კონდი´ციო კაზუა´ლის „შემთხვევასთან (დაკავშირებული) პირობა“]

I. ხელშეკრულების პირობა, რომლის დადგომაც მთლიანად დამოკიდებულია შემთხვევაზე

condicio derisoria [*კონდი´კიო *დერისო´რია/კონდი´ციო დერიზო´რია „დამამცირებელი პირობა“]
I. დამამცირებელი პირობა

condicio falsa [*კონდი´კიო/კონდი´ციო ფა´ლსა „ცრუ პირობა“]
I. ცრუ პირობა, რომელიც ეფუძნება არარსებულ გარემოებას

condicio illicita [*კონდი´კიო *ილლი´კიტა/კონდი´ციო ილლი´ციტა „დაუშვებელი პირობა“]
I. დაუშვებელი პირობა

condicio impossibilis [*კონდი´კიო/კონდი´ციო იმპოსსი´ბილის „შეუძლებელი პირობა“]
I. შეუძლებელი პირობა, რომლის დროსაც მოსალოდნელი მოვლენა ვერ დადგება

condicio in praesens vel praeteritum collata [*კონდი´კიო/კონდი´ციო ინ *პრე´სენს/პრე´ზენს ველ პრეტერი´ტუმ კოლლა´ტა] პირობა ახლანდელ ან წარსულ შემთხვევასთან გამოყენებული
I. პირობა მიეკუთვნება უკვე არსებულ ან უკვე მომხდარ შემთხვევას

condicio mixta [*კონდი´კიო/კონდი´ციო მი´ქსტა „შერეული პირობა“]
I. ხელშეკრულების პირობა, რომლის დადგომაც ნაწილობრივ დამოკიდებულია ამა თუ იმ პირის ნებაზე

condico perplexa [*კონდი´კიო/კონდი´ციო პერპლე´ქსა „ბუნდოვანი პირობა“]
I. ბუნდოვანი, გაუგებარი პირობა

condicio potestativa [*კონდი´კიო/კონდი´ციო პოტესტატი´ვა „პირობა ძალაუფლებით აღჭურვილისა“]
I. ხელშეკრულების პირობა, რომლის დადგომაც მთლიანად დამოკიდებულია ამა თუ იმ პირის ნებაზე

condicio turpis [*კონდი´კიო/კონდი´ციო ტუ´რპის „სამარცხვინო პირობა“]
I. ამორალური პირობა

condicionis implendae causa datum [*კონდიკიო´ნის/კონდიციო´ნის იმპლე´ნდე *კა´უსა/კა´უზა და´ტუმ „პირობის შესრულების მიზნით მიცემული“]
I. ვინმეს სიკვდილის შემთხვევაში რაიმეს შეძენა, რომელიც დაკავშირებულია პირობის შესრულებასთან, რომლის თანახმად, დასაჩუქრებული თვითონ მიანიჭებს რაიმე სარგებელს მესამე პირს

condictio [*კონდი´კტიო/კონდი´კციო „უკან მოთხოვნა“]
I. ფორმულარულ პროცესში **c**. არის სამოქ. სარჩელი, რომელიც ეხება განსაზღვრულ ფულად თანხას (certa pecunia) ან ნივთს (c. res)

condictio cautionis [*კონდი´კტიო *კაუტიო´ნის/კონდი´კციო კაუციო´ნის „უკან გამოთხოვა სიფრთხილის გამო“]
I. რაიმე სახის დოკუმენტის დაბრუნების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი

condictio certae pecuniae [*კონდი´კტიო/კონდი´კციო *კე´რტე/ცე´რტე პეკუ´ნიე „განსაზღვრული ფულის უკან გამოთხოვა“]

I. სარჩელი განსაზღვრული ფულის დაბრუნების მოთხოვნით

condictio ex causa furtive [*კონდი´კტიო/კონდი´კციო ექს *კა´უსა/კა´უზა ფურტი´ვე „მოპარული ნივთის უკან მოთხოვნის მიზნით“]
I. მოპარული ნივთის დაბრუნების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი

condictio indebiti [*კონდი´კტიო/კონდი´კციო ინდე´ბიტი „უკან მოთხოვნა არავალდებულისა“]
I. სარჩელი უსაფუძვლოდ გადახდილის დაბრუნების მოთხოვნით

condictio pretii [*კონდი´კტიო *პრე´ტიი/კონდი´კციო პრე´ციი „ნივთის საფასურის მოთხოვნა“]
I. სარჩელი, რომელიც აღიძვრება უსაფუძვლოდ გასხვისებული ნივთის საფასურის უკან დაბრუნების მიზნით

condictio sine causa [*კონდი´კტიო/კონდი´კციო სი´ნე *კა´უსა/კა´უზა „უკან მოთხოვნა უსაფუძვლოდ (მითვისებულისა)“]
I. სარჩელი, რომლის წარდგენაც ხდება უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებით

conducere [*კონდუ´კერე/კონდუ´ცერე „შეკრება“, „დაქირავება“]
I. ნივთის სარგებლობაზე ან რაიმე მომსახურებაზე უფლების მიღება ფულის სანაცვლოდ

conductor [კონდუ´კტორ „დამქირავებელი, არენდატორი“] კონდუქტორი
I. კერძო ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დიდი მიწების ნაკვეთების მოიჯარე

conductor agri vectigalis [კონდუ´კტორ ა´გრი ვეკტიგა´ლის „საგადასახადო მიწის მოიჯარე“]
I. სახელმწიფოებრივი (მუნიციპალური, საეკლესიო) მიწის ნაკვეთის მოიჯარე განუსაზღვრელი ვადით

conductor piscatus [კონდუ´კტორ პისკა´ტუს „მეთევზე მოიჯარე“]
I. მეთევზე, რომელიც სახელმწიფოს უხდის გადასახადს, უფლება აქვს დაიჭიროს თევზი განსაზღვრულ რეგიონში

conductor vectigalium [კონდუ´კტორ ვეკტიგა´ლიუმ „გამოსაღების მოიჯარე“]
I. გამოსაღების მოიჯარე (მიწის ნაკვეთებიდან, მაღაროებიდან და ა. შ.)

confarreatio [*კონფარრეა´ტიო/კონფარრეა´ციო „შეუღლება“]
I. ყველაზე საზეიმო და საკრალური ქორწინების უძველესი ფორმა →conventio in manum, რომელიც მხოლოდ პატრიციუსებისათვის იყო ხელმისაწვდომი. რელიგიური საქორწინო რიტუალი, რომლის დროსაც იუპიტერს სწირავდნენ მსხვერპლად სპელტას პურს (panis farreus)

confessio [კონფე´სსიო „აღიარება“] კონფესია
I. სასარჩელო მოთხოვნის აღიარება
II. სარწმუნოება, რჯული. „ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ქვეყნის სხვა რელიგიურ კონფესიათა უმაღლესი სასულიერო პირები, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და

საზოგადოების სხვა წარმომადგენლები“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 120(5)-ე მუხლი)
III. „საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური და კონფესიური გაერთიანებები, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირები, განურჩევლად საკუთრების ფორმისა, ვალდებული არიან, საკუთარი სახსრებით განახორციელონ თავიანთი კუთვნილი დოკუმენტების შერჩევა, დამუშავება და ექსპერტიზა, თუ სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულებით“ (საქართველოს კანონი ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ – 1995, მე-11(3) მუხლი)

confessio in iure [კონფე´სსიო ინ იუ´რე „აღიარება სასამართლოს წინაშე“]
I. აღიარება მაგისტრატის წინაშე. ასრულებს სასამართლო პროცესს და აქვს განჩინების ხასიათი

confideiussor [კონფიდეიუ´სსორ „თანათავდები“]
I. თანათავდები

confinium [კონფი´ნიუმ „საერთო საზღვარი“]
I. ნაწილობრივ სინ. fines; iter limitare; limes 2, terminus 2, მეზობელი მიწის ნაკვეთებს შორის 5 ფუტის სისქის ზოლი, რომელიც განკუთვნილია საზოგ. სარგებლობისათვის (ანალოგიური ცნებები: ambitus და murus)

confirmare [კონფირმა´რე „გამტკიცება“, „დამტკიცება“]
I. მაგ., პრეტორის მიერ მეურვის დანიშვნა ანდერძის თანახმად

confiscatio [*კონფისკა´ტიო/კონფისკა´ციო „ფულის შესანახ კალათში ჩადება“, „ქონების ჩამორთმევა“] კონფისკაცია
I. პრინციპატის დროს ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ → fiscus; იხ. აგრ. ademptio bonorum
II. სახელმწიფოს მიერ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა და მისაკუთრება. „მზღვეველი პასუხს არ აგებს სამხედრო მოქმედებით ან სამხედრო ღონისძიებებით გემის შეპყრობით, მეკობრეთა თავდასხმით, სახალხო მღელვარებით, გაფიცვით, აგრეთვე სამხედრო ან სამოქალაქო ხელისუფლების ბრძანებით ტვირთის ან გემის კონფისკაციით ... გამოწვეული ზიანისათვის“ (საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 255-ე მუხლი)
III „მიწის კომიტეტები ... ახლდნენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას)“ (დეკრეტი 17, 1921 წ. 6 აპრილი, აქტები 1922-1978, გვ. 31)

confusio [*კონფუ´სიო/კონფუ´ზიო „შერწყმა, შერევა“] კონფუზია
I. 1. თხიერ ნივთიერებათა განუყოფელი შეერთება, მას ისეთივე იურ. შედეგები ჰქონდა, როგორიც → commixtio-ს; 2. ვალდებულების შეწყვეტა (ipso iure), როცა კრედიტორი და მოვალე ერთიანდებიან ერთ პიროვნებაში, ყველაზე ხშირად – მემკვიდრეობის გზით; 3. სერვიტუტის შეწყვეტა ძირითად და დამხმარე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად

congiarium [კონგია´რიუმ „თხევადი ნივთიერების საზომი“]
I. ქალაქის ღარიბი მოსახლეობისათვის ღვინის ან ზეთის დარიგება, შემდგომში – ფულადი ან სხვა სახის ძღვენი, რომელიც ხალხში ნაწილდებოდა რომელიმე დღესასწაულზე

coniectanea [კონიეკტა´ნეა „მცირე თხზულებათა კრებული“]
I. მცირე თხზულებათა კრებული

coniectura [კონიეკტუ´რა „ვარაუდი“] კონიექტურა
I. ვარაუდი, განმარტება

coniugium inaequale [კონიუ´გიუმ ინეკვა´ლე „არათანაბარი ქორწინება“]
I. იხ. concubinatus

coniunctio [*კონიუ´ნკტიო/კონიუ´ნკციო „კავშირი“]
I. ერთსა და იმავე სამკვიდროსთან ან სამკვიდროში ერთსა და იმავე წილთან დაკავშირებით რამდენიმე მემკვიდრის ან ლეგატის დანიშვნა

coniunctio maris et feminae [*კონიუ´ნკტიო/კონიუ´ნკციო მა´რის ეტ ფე´მინე „კაცისა და ქალის სქესობრივი კავშირი“]
I. სქესობრივი კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის, რომ. ქორწინების ერთ-ერთი მთავარი რეკვიზიტი → matrimonium

coniuratio [*კონიურა´ტიო/კონიურა´ციო „ერთობლივი ფიცის დადება“, „შეთქმულება“] კონიურაცია
I. ურთიერთფიცი, მაგ., პლებეელთა ფიცი, სიკვდილით დაესაჯათ სახალხო ტრიბუნის სიცოცხლის ნებისმიერი ხელმყოფელი

coniuratio Italiae et provinciarum [*კონიურა´ტიო/კონიურა´ციო იტა´ლიე ეტ *პროვინკია´რუმ/პროვინცია´რუმ „იტალიისა და პროვინციების ფიცი“]
I. (ძვ. წ. 32 წ.) იტალიისა და დასავლეთის პროვინციების ფიცი, ერთგულება გამოეჩინათ ოქტავიანუსისადმი აღმოსავლეთის წინააღმდეგ ომში; იხ. აგრ. iurare

connubium, conubium [კონნუ´ბიუმ „ქორწინება“]
I. რომ. მოქალაქის ქორწინების უფლება → matrimonium iustum (პლებეებს დართეს ნება →lex Canuleia-ს მიხედვით)

consanguineus [კონსანგუი´ნეუს „სისხლით ნათესავი“, მრ. რ. consanguinei]
I. ღვიძლი ძმები და დები, ერთი და იმავე მამის შვილები

conscientia [*კონსკიე´ნტია/კონსციე´ნცია „ცნობიერება“]
I. სხვისი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის ფლობა, რომელიც დასჯადად ცხადდებოდა, განსაკუთრებით, თუ საქმე ეხებოდა სახელმწიფო ღალატს

consciscere sibi mortem [*კონსკი´სკერე/კონსცი´სცერე სი´ბი მო´რტემ „საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა“]
I. თვითმკვლელობა; იხ. აგრ. suicidium

conscriptus [კონსკრი´პტუს „ჩაწერილი“, მრ. რ. conscripti]
I. სენატორთა სიებში შეტანილი, patres c. იხ. აგრ. scribere

consecratio [*კონსეკრა´ტიო/კონსეკრა´ციო „განდობა, ზიარება“] კონსეკრაცია
I. 1. განდობა, ზიარება ღმერთებთან → sacer 1; 2. დაწყევლა, ზოგიერთი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი, რის შედეგადაც დამნაშავე ხდებოდა sacer 2; იხ. აგრ. leges sacratae; 3. გაღმერთება, გარდაცვლილი იმპერატორის მიკუთვნება ღვთაებათა დასისთვის → divus; იხ. აგრ. dedicatio

consensus [კონსე´ნსუს „შეთანხმება“] კონსენსუსი

I. ნაწილობრივ სინ. conventio, pactio. ნებაყოფლობითი თანხმობა, შეთანხმება მხარეებს შორის

II. გადაწყვეტილების მიღების წესი, რომლის დროსაც გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე არც ერთი პირი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ გამოდის. „ერთობლივი კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს კონსენსუსის წესით“ (შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ – 2011, მე-11(2) მუხლი)

III. „კომისიის განსახილველი ყველა საკითხი წყდება კონსენსუსის საფუძველზე იმ პირობით, რომ თითოეული მხრიდან გადაწყვეტილებას მიიღებს კომისიის სიობრივი შემადგენლობის ორი მესამედი“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №358 – 1998, მე-4(15) მუხლი)

consilium [კონსი´ლიუმ „მოთათბირება“] კონსილიუმი

I. თათბირი, განხილვა, გადაწყვეტილება

consilium decurionum [კონსი´ლიუმ დეკურიო´ნუმ „დეკურიონების თათბირი“]

I. მუნიციპიის (მუნიციპალიტეტის) სენატი

consilium propinquorum (et amicorum) [კონსი´ლიუმ პროპინკვო´რუმ (ეტ ამიკო´რუმ) „ახლობელთა და მეგობართა თათბირი“]

I. ოჯახის უხუცეს წევრთა, ხანდახან ოჯახის მეგობართა თათბირი. მათ აზრს ეკითხებოდა paterfamilias-ი ოჯახის წევრის მიერ სერიოზული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (→iudicium domesticum)

consistorium [კონსისტო´რიუმ „თანამონაწილეობა“] კონსისტორიუმი

I. ერთად დგომა

consistorium sacrum [კონსისტო´რიუმ სა´კრუმ „საიდუმლო თანამონაწილეობა“]

I. დომინატის პერიოდში ეს იყო იმპერატორის საიდუმლო სათათბირო

consobrinus [კონსობრი´ნუს „ბიძაშვილი (დედის მხრიდან)“]

I. დეიდაშვილი, ბიძაშვილი იხ. აგრ. sobrinus; soror

consolidatio [*კონსოლიდა´ტიო/კონსოლიდა´ციო „გაერთიანება“] კონსოლიდაცია

I. სარგებლობის უფლებისა და საკუთრების უფლების შერწყმა ერთ პიროვნებაში (მაგ., მესაკუთრე ხდებოდა უზუფრუქტუარის მემკვიდრე) →usufructus; იხ. აგრ. solidus

II., III. 1. საერთო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ბრძოლაში პირთა ან პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების გაერთიანება. „დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების დებულების დამტკიცების შესახებ – 1992, მე-2 პუნქტი);

2. შეზღუდული სანივთოსამართლებრივი უფლებების შეწყვეტა ამ უფლებათა მფლობელების საკუთრებაში შესაბამისი ქონების გადასვლის საფუძველზე. „გირავნობის უფლების შეწყვეტა მოგირავნის საკუთრებაში გირავნობის საგნის გადასვლის გამო (კონსოლიდაცია)“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 273-ე მუხლი);
3. ქონების შერწყმა, გაერთიანება. „კორპორატიული ოპერაციები, კერძოდ, აქციების და კაპიტალში წილების დანაწევრება, კონსოლიდაცია, კაპიტალის გაზრდა/შემცირება...“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, მე-15(2)(ზ) მუხლი)

consortium [*კონსო´რტიუმ/კონსო´რციუმ „თანაქმედება, თანამონაწილეობა“] კონსორციუმი
I. დიდი აგნატური ოჯახი (ანუ ოჯახთა ჯგუფი, რომელთაც ერთი და იგივე წინაპარი ჰყავდათ) gens-ის ფარგლებში
II. სამეწარმეო სუბიექტების დროებითი გაერთიანება კონკრეტული სამეწარმეო პროექტების განხორციელების მიზნით. „პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება იდება კონსორციუმის მიერ დანიშნულ მის ერთ-ერთ წევრთან, რომელსაც გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილებანი“ (საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ – 1999, მე-13(3) მუხლი)
III. „აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის ტვირთების საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შესახებ“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №324 – 1996)

consortium omnis vitae [*კონსო´რტიუმ/კონსო´რციუმ ო´მნის ვი´ტე „თანამონაწილეობა მთელი სიცოცხლის მანძილზე“]
I. კავშირი მთელი სიცოცხლის მანძილზე, matrimonium-ის ერთ-ერთი ძირითადი რეკვიზიტი. იხ. აგრ. sors

conspiratio [*კონსპირა´ტიო/კონსპირა´ციო „ჰარმონია, თანხმობა“, „ფარული შეთქმულება“] კონსპირაცია
I. შეთქმულება არ იყო დამოუკიდებელი სამართალდარღვევა (coniuratio)
II. ზომების მიღება საქმიანობის საიდუმლოდ შესანახად. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა ემყარება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, კონსპირაციის, ღია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს“ (საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ – 1999, მე-3(1) მუხლი)
III. „პირს, რომელიც დახმარებას უწევს პოლიციას, უფლება აქვს კონსპირაციის მიზნით გამოიყენოს პირადობის დამადასტურებელი დაშიფრული დოკუმენტები“ (საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ – 1993, მე-15^{1}(2)(გ) მუხლი)

constituere [კონსტიტუ´ერე „დადგენა“]
I. დადგენა, ახალი სამართლის (**c. ius**), მზითვის (**c. dotem**), ვალდებულების (**c. obligationem**)

constitutio [*კონსტიტუ´ტიო/კონსტიტუ´ციო „დადგენილება, ნორმა, წესი“] კონსტიტუცია

I. დადგენილება, ნორმა, კანონი. როგორც ჩანს, უკვე რესპ.-ის ხანაში არსებობდა კონსტიტუციები (მაგ: **c. Rutiliana**)
II. სახელმწიფოს ძირითადი და უზენაესი იურიდიული ძალის მქონე კანონი. „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“ (საქ. კონსტ. – 1995, მე-6(1) მუხლი);
III. „კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1921, მე-8 მუხლი)

consuetudo [კონსუეტუ´დო „ჩვეულება“]
I. **c. inveterata, c. longa, c. vetus** ჩვეულება (ამავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინები: **mores, m. diuturni, m. maiorum, usus diuturnus, u. longuaevus**), ადათობრივი სამართლის წყარო, რომელმაც მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ხასიათი მიიღო იურისტების ცნობიერებაში მხოლოდ გვ. კლას. პერიოდში (→tacere consensus)

consuetudo fori, usus f. [კონსუეტუ´დო ფო´რი, *უ´სუს/უ´ზუს ფო´რი „ფორუმის ჩვეულება“]
I. დადგენილი სასამართლო პრაქტიკა (იუსტ.-ის ტერმ. → observatio iudicialis)

consul [კო´ნსულ „კონსული“] კონსული
I. რომის რესპუბლიკის მეთაური. ყოველწლიურად ირჩევდნენ ორ კონსულს
II. 1. სახელმწიფოს წარმომადგენელი უცხო სახელმწიფოში, რომლის ძირითად ფუნქციებს შეადგენს მააკრედიტებელი სახელმწიფოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, კულტურული, სამეცნიერო და ა.შ. სფეროებში თანამშრომლობის განვითარებისთვის ხელშეწყობა, მააკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ინტერესების დაცვა, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაცემა. „საქართველოს გენერალურ საკონსულოს ხელმძღვანელობს გენერალური კონსული, საქართველოს საკონსულოს – კონსული, საქართველოს ვიცე-საკონსულოს – ვიცე-კონსული, ხოლო საქართველოს საკონსულო სააგენტოს – საკონსულო აგენტი“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, მე-7 მუხლი); 2. საპატიო კონსული – პირი, რომელიც არ იმყოფება სახელმწიფოს დიპლომატიურ სამსახურში, მაგრამ კონსულის გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს. „სამინისტრომ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით ცალკეული საკონსულო ფუნქციების შესრულება შეიძლება დაავალოს საქართველოს საპატიო კონსულს“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, 26(1)-ე მუხლი)
III. „სახელმწიფო სანოტარო კანტორები სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებებითა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უშუალოდ უკავშირდებიან საკონსულო წარმომადგენლებს (ინსტრუქცია სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის

შესახებ, დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 9 აგვისტოს №562 დადგენილებით, კარი IV, 191; საქ.კან. გვ. 315)

consulares [კონსულა´რეს „კონსულარები“]
I. ყოფილი კონსულები, ყოფილი დიქტატორები, ყოფილი ცენზორები

consulere [კონსუ´ლერე „მოთათბირება“]
I. იურისტისათვის რჩევის კითხვა →iurisconsultus; iurisconsultum

consultatio [*კონსულტა´ტიო/კონსულტა´ციო „რჩევის კითხვა“] კონსულტაცია
I. რესპუბლიკის პერიოდში იურისტისათვის რჩევის კითხვა
II. 1. სპეციალისტის რჩევა. „ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულება, აგრეთვე ამ მოქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კონსულტაციისა და ტექნიკური მომსახურების გაწევა ფასიანია“ (საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ – 2009, 21(1)-ე მუხლი); 2. თათბირი. „ საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის გადადგომის, გადაყენების ან უფლებამოსილების მოხსნიდან 7 დღის განმავლობაში საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციების შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას...“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, მე-80(2) მუხლი); 3. დაწესებულება, სადაც სპეციალისტები პროფესიულ რჩევებს იძლევიან. „პროფესიულ კავშირს უფლება აქვს: გ) შექმნას იურიდიული განყოფილებები და კონსულტაციები თავისი სტრუქტურების ფარგლებში“ (საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ – 1997, მე-20(გ) მუხლი)
III. „ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერით“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 255(2)-ე მუხლი)

consultatio veteris cuiusdam iurisconsulti [*კონსულტა´ტიო/კონსულტა´ციო ვე´ტერის კუიუ´სდამ იურისკო´ნსულტი „რომელიღაც ძველი იურისკონსულტის კონსულტაცია“]
I. (რომელიღაც ძველი იურისკონსულტის კონსულტაცია, V-VI სს. მიჯნა), დასავლეთ რომის უცნობი იურისტის პასუხთა კრებული, რომელიც ახდენს ციტირებას პავლუსის სენტენციებისგან, გრეგორიანუსის, ჰერმოგენიანუსის და თეოდოსიუსის კოდექსებიდან

consumere [კონსუ´მერე „გამოყენება“]
I. გამოყენება მაგ., ნაყოფის (fructus c-pti), შეწყვეტა მაგ. სამოქ. სარჩელის (c. actionem)

contestatio [*კონტესტა´ტიო/კონტესტა´ციო „მოწმობა“] კონტესტაცია
I. მოწმის გამოძახება, მოწმეებისა და საჯარო მოხელეების წინაშე გაკეთებული განცხადება →testatio

contextus [კონტე´ქსტუს „ურთიერთკავშირი“] კონტექსტი
I. წერილობითი დოკუმენტის შინაარსი, მათ შორის, ანდერძის

continentia [aedificia] [*კონტინე´ნტია *ედიფი´კია/კონტინე´ნცია ედიფი´ცია „საგარეუბნო ნაგებობანი“]
I. რომის კედლების მიღმა მდებარე შენობები, თუმცა ესაზღვრებოდნენ რომს და ითვლებოდნენ ქალაქის შემადგენელ ნაწილებად

continere [კონტინე´რე „შემცველობა“]

I. დაკავშირება, შინაარსი (iudicia quae imperio c-ntur)

continuatio [*კონტინუა´ტიო/კონტინუა´ციო „უწყვეტობა“]
I. უწყვეტობა (საკუთრებისა)

contractus [კონტრა´კტუს „ნებადართული გარიგება“] კონტრაქტი
I. გარიგება, რომელსაც სამოქ. სამ. აღიარებდა როგორც საფუძველს მხარეთა შორის ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობისთვის (obligatio)
II. ხელშეკრულების სინონიმი. „სამშენებლო საქმიანობის მონაწილეთა სამეურნეო-საფინანსო ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე.“ (საქართველოს კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ – 2000, მე-7(1) მუხლი)
III. „ხოლო ოდეს შემწედ მოიყვანდე(ნ) უცხოთა ჯართა, მაშინ ყოველივე მებრ კონტრაქტისა დადებულისა იქმნებოდა კმაყოფილება მათი“ (სამართ. ბატ. დავ. 38)

contractus aestimatorius [კონტრა´კტუს ესტიმატო´რიუს „შეფასებითი კონტრაქტი“]
I. → aestimatum; c**. emphyteuticarius**→ emphyteusis 2. **c. imaginarius; c. iudicium**, იუსტინ. სამ.-ში შეთანხმება (იმპერატორის თანხმობით დადებული) მაღალი რანგის მოხელეებსა ან პროვინციებს შორის; **c. socidae** = locatio-conductio rei

contractus bilaterales [კონტრა´კტუს ბილატერა´ლეს „ორმხრივი კონტრაქტები“]
I. ორმხრივი კონტრაქტები, რომლებიც ვალდებულებებს წარმოშობენ ორივე მხარისთვის

contractus consensus [კონტრა´კტუს კონსე´ნსუს „შეთანხმებითი კონტრაქტი“]
I. კონსენსუალური კონტრაქტი, რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შეთანხმების მომენტიდან

contractus in favorem tertii [კონტრა´კტუს ინ ფავო´რემ *ტე´რტიი/ტე´რციი „მესამე პირის სასარგებლოდ (დადებული) კონტრაქტი“]
I. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული კონტრაქტი

contractus innominati [კონტრა´კტუს ინნომინა´ტი „უსახელო კონტრაქტები“]
I. უსახელო კონტრაქტები

contractus litteris [კონტრა´კტუს ლი´ტტერის „წერილობითი კონტრაქტი“]
I. წერილობით გაფორმებული, დაფიქსირებული კონტრაქტი

contractus mohatrae [კონტრა´კტუს მოჰა´ტრე „მოჰატრის კონტრაქტი“]
I. სინ. barata**,** (არაბ. სახელწოდება), სესხის სახეობა, როდესაც სესხის მიმცემი გადასცემდა სესხის მიმღებს ნივთს იმ მიზნით, რომ მას ეს ნივთი გაეყიდა; სესხის საგნად ითვლებოდა ნავაჭრი თანხა ან სესხის გამცემის მიერ დადგენილი ნივთის ღირებულება

contractus re [კონტრა´კტუს რე „ნივთიერი კონტრაქტი“]
I. რეალური კონტრაქტი, რომელიც დადებულად ითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან

contractus unilaterales [კონტრა´კტუს უნილატერა´ლეს „ცალმხრივი კონტრაქტები“]

I. ცალმხრივი კონტრაქტები, რომლებიც ვალდებულებებს წარმოშობენ მხოლოდ ერთი მხარისთვის

contractus verbis [კონტრა´კტუს ვე´რბის „ზეპირი კონტრაქტი“]
I. ვერბალური, ზეპირი კონტრაქტი, როცა ვალდებულება ეკისრებოდათ შესაბამისი ფორმულების წარმოთქმის შემდეგ: stipulatio, dotis dictio, iurata promissio operarum

contradictio [*კონტრადი´კტიო/კონტრადი´კციო „წინააღმდეგობრიობა, პროტესტი“] კონტრადიქცია
I. სინ. **responsio**→ narratio. საწინააღმდეგო, საპირისპირო გამონათქვამი

contrahere [კონტრა´ჰერე „მოზიდვა“]
I. ნებაყოფლობითი შეთანხმებით დაშვებული სამართლებრივი ვალდებულების აღება

contrectatio [*კონტრექტა´ტიო/კონტრექტა´ციო „შეხება“]
I. გასხვისება →furtum

controversia [კონტროვე´რსია „კამათი“, „ჩხუბი“] კონტროვერსია
I. 1. სასამართლო დავა კერძო პირებს შორის; 2. სადავო, საკამათო თემა

controversia de fine [კონტროვე´რსია დე ფი´ნე „დავა საზღვრის გამო“]
I. მომიჯნავე მიწის ნაკვეთების მფლობელთა დავა confinium-ის შესახებ. თუ სადავო მომიჯნავე ზოლი აღემატებოდა 5 ფუტს, დავა გადაიზრდებოდა **c. de loco**-ში

contubernium [კონტუბე´რნიუმ „თანაცხოვრება“] კონტუბერნიუმი
I. 1. მუდმივი (ქორწინების მსგავსი) თანაცხოვრება, განსაკუთრებით, მონების (ან მონისა თავისუფალ პირთან), მას არ აქვს იურიდ. ძალა; 2. ჯარისკაცთა ჯგუფი, რომლებიც ერთ კარავში ცხოვრობდნენ (**contubernales**)

contumacia [*კონტუმა´კია/კონტუმა´ცია „დაჟინება, სიჯიუტე“]
I. 1. კოგნ. წარმოებაში: სასამართლოსადმი უპატივცემულობა, რაც გამოიხატება სასამართლოში გამოუცხადებლობით; 2. სამხედრო მეთაურის ბრძანების არდამორჩილება, რაც ისჯებოდა სიკვდილით, თუ ბრძანება გაცემული იყო მაღალი რანგის მეთაურის მიერ. იხ. აგრ. delicta militum; petulantia

contumax [კონტუ´მაქს „ჭირვეული“]
I. ვინც არ ემორჩილება (მაგისტრატის ბრძანებას), მაგ., პირი, რომელიც ბოროტი განზრახვით უარს ამბობს ნივთის გაცემაზე →actiones arbitrariae

contumelia [კონტუმე´ლია „შეურაცხყოფა“]
I. 1. სინ. iniuria; 2. წყენა, შეურაცხყოფა

contutor [კონტუ´ტორ „თანამეურვე“]
I. თანამეურვე

convalescere [*კონვალე´სკერე/კონვალე´სცერე „გამოჯანმრთელება“, „კანონიერი ძალის შეძენა“]
I. კანონიერი ძალის შეძენა თავდაპირველი განუსაზღვრელობის და ძალადაკარგულობის შემდეგ. testamentum convalescit (Dig.) „ანდერძი შედის ძალაში“. იხ. აგრ. valere

conventio [*კონვე´ნტიო/კონვე´ნციო „შეთანხმება“] კონვენცია
I. მაგისტრატების მიერ მოწვეული ხალხის (და ასევე სამხედრო ნაწილების) არაფორმალური შეკრება, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ დამსწრეებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენების და უმთავრესად იმ წინადადებების შესახებ, რომლებიც უნდა განეხილათ უახლოეს კომიციებს
II. საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომელიც, როგორც წესი, ატარებს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების სახეს და რომელიც, როგორც წესი, ახდენს საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ დარგის კოდიფიკაციას. „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“ (1989)
III. „თავისუფალი ტრანზიტის კონვენცია და სტატუტი“ (1921)

conventio in manum [*კონვე´ნტიო/კონვე´ნციო ინ მა´ნუმ „შეთანხმება მორჩილებისა“]
I. შეთანხმება, რომელიც ოდითგანვე თან ახლდა matrimonium-ს და რომელიც გულისხმობდა ცოლის გადასვლას ქმრის ოჯახში და მისი manus-ის ქვეშ მოქცევას

conventus [კონვე´ნტუს „შეკრება“] კონვენტი
I. შეკრება, სხდომა

conventus civium Romanorum [კონვე´ნტუს *კი´ვიუმ/ცი´ვიუმ რომანო´რუმ „რომაელ მოქალაქეთა შეკრება“]
I. რომ. მოქალაქეთა მუდმივი ორგანიზაცია პროვინციებში

conventus iuridicus [კონვე´ნტუს იური´დიკუს „სხდომა სასამართლო გადაწყვეტილებისათვის“]
I. მთელი ხალხის შეკრება პროვინციებში სასამართლო საკითხთა გადასაწყვეტად

convicium [*კონვი´კიუმ/კონვი´ციუმ „შეურაცხმყოფელი წამოძახილი“] კონვიციუმი
I. საჯაროდ შეურაცხყოფა აბუჩად ამგდები ლექსებითა და გინებით, იხ. carmen famosum, რასაც სდევნიდა edictum de c-o → iniuria

cooptatio [*კოოპტა´ტიო/კოოპტა´ციო „არჩევა“] კოოპტაცია
I. კოლეგიის, განსაკუთრებით ქურუმთა, ახალი წევრებით შევსება (→lex Cornelia 6)
II., III. არჩევითი ორგანოს მიერ საკუთარი შემადგენლობის ახალი წევრებით შევსება არჩევნების ჩატარების გარეშე. „უმაღლესი საბჭო, როგორც აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესის გამომხატველი სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმური ორგანო, შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 1991 წელს აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში არჩეული იმ დეპუტატებისაგან და აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილი აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრებისაგან...“ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი – 2012, 1(2)-ლი მუხლი)

corona [კორო´ნა „გვირგვინი“]
I. მმართველის (ოქროს) გვირგვინი

corpus [კო´რპუს „სხეული“] კორპუსი
I. საზოგადოებრივი ორგანიზაცია; წოდება; კორპორაცია

II. დიპლომატიური კორპუსი – სახელმწიფოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ აგენტთა ერთობლიობა. „სხდომათა დარბაზში გამოყოფილია ... პლენარულ სხდომაზე მოწვეული საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისათვის...“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, მე-5(7) მუხლი)
III. „საკონსულო მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან: ა) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები“ (საქართველოს კანონი საკონსულო მოსაკრებლის შესახებ – 1997, მე-5(1)(ა) მუხლი)

corpus ex cohaerentibus [კო´რპუს ექს კოჰერე´ნტიბუს „ერთმანეთთან დაკავშირებული (ნივთების) კორპუსი“]
I. რამდენიმე, ფიზიკურად გაერთიანებული საგნისაგან შემდგარი ნივთი, რომელიც ერთსა და იმავე სამეურნეო ან ეკონომიკურ მიზნებს ემსახურება. ეს საგნები ქმნიან ერთიან ნივთს და მათზე ვრცელდება საკუთრების ერთიანი უფლება

corpus possessionis [კო´რპუს პოსსესსიო´ნის „საკუთრების კორპუსი“]
I. ნივთის ფაქტობრივი ფლობა

corrector [კორრე´კტორ „შემსწორებელი“] კორექტორი
I. საიმპერატორო მოხელე, რომელიც აკონტროლებდა მუნიციპიების (მუნიციპალიტეტების) მუშაობას (**c. civitatum**)

correi [კო´რრეი „თანაბრალდებულნი“]

I. თანაკრედიტორები

correi credendi, rei cr., c. stipulandi [კო´რრეი კრედე´ნდი, რეი კრედე´ნდი, კო´რრეი სტიპულა´ნდი]
I. თანაკრედიტორები

correi debendi, rei d., c. promittendi [კო´რრეი დებე´ნდი, რე´ი დებე´ნდი, კო´რრეი პრომიტტე´ნდი „თანამოვალეები“]
I. თანამოვალეები

corrumpere [კორრუ´მპერე „დამტვრევა, გაფუჭება, დაზიანება“]
I. actio de albo c-pto; a. de servo c. collusio; reficere; ფალსიფიცირება, მოსყიდვა, მაგ., მოსამართლის **c. iudicem**; ნამუსის ახდა, მაგ., ქალწულისათვის **c. virginem**; იხ. აგრ. rumpere

creatio [*კრეა´ტიო/კრეა´ციო „ქმნილება“, „ამორჩევა“] კრეაცია
I. მაგისტრატის დანიშვნა (არჩევა) სახალხო კრების მიერ (comitia centuriata; c. tributa)

creditor [კრე´დიტორ „გამსესხებელი“] კრედიტორი
I. კრედიტორი, პირი, რომელსაც აქვს სარჩელის უფლება
II. 1. ვალდებულებითი ურთიერთობის მხარე, რომელსაც შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს – მოვალეს ნაკისრი ვალდებულების შესრულება. „მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 364-ე მუხლი);

2. საკრედიტო ხელშეკრულების მხარე, რომელიც გასცემს მეორე მხარეზე – მოვალეზე სასყიდლიან ფულად სესხს. „მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 868(1)-ე მუხლი)
III. „ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციაქმნილი საწარმო... არ შეიძლება გასხვისებულ და დაგირავებულ იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომლის გამგებლობაშიც იგი არის და აგრეთვე მიქცეულ იქნეს კრედიტორების დასაკმაყოფილებლად“ (საქ. სსრ. სამოქ. სამ. კოდ. 1928, თავი III, 22; გვ. 7)

creditor pigneraticius [კრე´დიტორ *პიგნერატი´კიუს/პიგნერატი´ციუს „ბეს კრედიტორი“]
I. ბეს კრედიტორი

creditor privilegiarius [კრე´დიტორ პრივილეგია´რიუს „უპირატესი კრედიტორი “]
I. გადახდის უნარის არმქონე მევალის კრედიტორი, რომლის მოთხოვნა პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს

creditum, pecunia c-ta [კრე´დიტუმ, პეკუ´ნია კრედი´ტა „ვალი“, „ვალში მიცემული ფული“]
I. ვალი, ასევე ნაწილ. სინ. mutuum

crematio [*კრემა´ტიო/კრემა´ციო „დაწვა“] კრემაცია
I. სიკვდილით დასჯა დაწვით

cretio [*კრე´ტიო/კრე´ციო „განცხადება მემკვიდრეობის მიღებაზე“] კრეცია
I. ზეპირი განცხადების ფორმა, რომლის მიხედვით ანდერძით მემკვიდრე იღებს მემკვიდრეობას

crimen [კრი´მენ „დანაშაული“]
I. დანაშაული, უკანონო ქმედება სახ.-ო და საზოგადოებრივი წყობის წინააღმდეგ, რომელსაც delictum-ისაგან განსხვავებით საჯარო ბრალდება – accusatio მოჰყვებოდა

crimen ambitus [კრი´მენ ა´მბიტუს „მოსყიდვის დანაშაული“]
I. ყველანაირი სახის წინასაარჩევნო კორუფცია; გართობა-სანახაობების მოწყობა, ამომრჩეველთა გამასპინძლება და სხვ.

crimen annonae [კრი´მენ ანნ´ონე „პროდუქტების გაძვირების დანაშაული“]
I. საკვებ პროდუქტებზე ფასების ხელოვნური ზრდა

crimen fraudati vectigalis [კრი´მენ ფრაუდა´ტი ვექტიგა´ლის „დანაშაული ბეგარის მოტყუებისას“]
I. სახ.-თვის ზიანის განზრახ მიყენება გადასახადების გადაუხდელობით

crimen maiestatis [კრი´მენ მაიესტა´ტის „ღირსების შეურაცხყოფა“]
I. დანაშაულებრივი ქმედებანი ტრიბუნების, მაგისტრატების, მოგვიანებით – პრინცეპსის წინააღმდეგ მიმართული. ასეთ დანაშაულად ითვლებოდა სახ. ღალატი და ბუნტი

crimen sodaliciorum [კრი´მენ *სოდალიკიო´რუმ/სოდალიციო´რუმ „ხმების მომსყიდველთა დანაშაული“]
I. ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვა

criminalis [კრიმინა´ლის „დანაშაულებრივი“] კრიმინალური
II. დანაშაულებრივი, დაკავშირებული დანაშაულთან. „ადამიანით მოვაჭრეთა იდენტიფიცირებისა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ..., რომელშიც შეიტანება ... საერთაშორისო კრიმინალური პოლიციიდან (ინტერპოლიდან) და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია“ (საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – 2006, მე-8(1) მუხლი)
III. „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, მე-3(1)(რ) მუხლი)

crusta lapsa [კრუ´სტა ლა´პსა „ჩამოვარდნილი ქერქი“]
I. ზემოთ მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილი, რომელიც ჩამოიშალა მეწყრის სახით ქვემოთ მდებარე ნაკვეთზე, რომლის მესაკუთრეც იძენს ჩამოშლილ მიწაზე უფლებას coalitio-ს შემდეგ. იხ. აგრ. accessio

crux [კრუ´ქს „ჯვარი“]
I. თავდაპირველად წამების და სიკვდილით დასჯის იარაღი. იხ. აგრ. arbor infelix, damnatio in crucem

culleus [კუ´ლლეუს „ტყავის ტომარა“]
I. ტყავის ტომარაში ჩასმა ცოცხლად და წყალში გადაგდება – სიკვდილით დასჯის ფორმა

culpa [კუ´ლპა „ბრალი, დანაშაული“] კულპა
I. დაუდევრობა, გაუფრთხილებლობა. დანაშაული, ზიანის მომტანი უნებლიე დანაშაული (dolus-ისგან განსხვავებით)

culpa in contrahendo [კუ´ლპა ინ კონტრაჰე´ნდო „დანაშაული ხელშეკრულების დადებისას“]
I. დაუდევრობა ხელშეკრულების დადებისას

culpa in distrahendo [კუ´ლპა ინ დისტრაჰე´ნდო „დანაშაული ნივთის გაყიდვისას“]
I. დაუდევრობა ნივთის გაყიდვისას

culpa in eligendo [კუ´ლპა ინ ელიგე´ნდო „დანაშაული პირის არჩევისას“]
I. დაუდევრობა, დანაშაული პირის არჩევისას

culpa in inspiciendo [კუ´ლპა ინ *ინსპიკიე´ნდო/ინსპიციე´ნდო „დაუდევრობა მეთვალყურეობის დროს“]
I. დაუდევრობა მეთვალყურეობის დროს

culpa lata [კუ´ლპა ლა´ტა „მძიმე დანაშაული“]
I. უხეში გაუფრთხილებლობა, უხეში დაუდევრობა

culpa levissima [კუ´ლპა ლევი´სსიმა „ყველაზე მსუბუქი დანაშაული“]
I. დაუდევრობა ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელებისას, რომელიც შეიძლებოდა აღკვეთილიყო განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენით

cultura [კულტუ´რა „დამუშავება“]
I. დამუშავება, განვითარება

cultus [კუ´ლტუს „კულტი“] კულტი
I. თაყვანისცემა, კულტი

cura [კუ´რა „ზრუნვა“] კურა
I. საჯარო სამართალში ტერმინი გულისხმობს ოფიციალური პირების ფუნქციებს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროში, ხოლო კერძო სამართალში – კერძო პირების მოვალეობას, დაიცვან სხვა კერძო პირთა ინტერესები, რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო თავად არ შესწევთ ამის უნარი

cura debilium [კუ´რა დები´ლიუმ „ზრუნვა სუსტებზე“]
I. ზრუნვა უძლურებზე, რომელთაც ფიზიკური ნაკლის ან ქრონიკული ავადმყოფობის გამო (morbus perpetuus) არ შეეძლოთ თვითონ ემართათ თავიანთი საქმეები. ასეთ შემთხვევებში მაგისტრატი ნიშნავდა მზრუნველს, რომლის უფლებამოსილებაც დამოკიდებული იყო შემთხვევის თავისებურებაზე (მაგ., **curator surdi** ყრუსთვის, **c. muti** მუნჯისთვის)

cura morum [კუ´რა მო´რუმ „ზნე-ჩვეულებებზე ზრუნვა“]
I. საზოგადოების მორალზე დაკვირვება →censor

curatio [*კურა´ტიო/კურა´ციო „მზრუნველობა“] კურაცია
I. ზრუნვა, მეურვეობა. კერძო სამ-ში ზოგიერთი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ან ქონებაზე, რომელიც არავის არ ეკუთვნის, sui iuris ზედამხედველობა

curator [კურა´ტორ „მზრუნველი“] კურატორი
I. კურატორი, მეურვე, მზრუნველი, ზედამხედველი, მმართველი
II. კურატორიუმი – ამა თუ იმ ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანო. „დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, 32(11)-ე მუხლი)
III. „დაუშვებელია საქველმოქმედო ორგანიზაციის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2004, 32(11)-ე მუხლი)

curator absentis [კურა´ტორ აბსე´ნტის „არმყოფი პირის ქონების კურატორი“]
I. სხვაგან მყოფი პირის ქონების მმართველი

curator annonae [კურა´ტორ ანნო´ნე „პროდუქტების კურატორი“]
I. სამსახური, რომელიც ახორციელებდა ზედახედველობას რომში პროდუქტებით, განსაკუთრებით პურით მომარაგებაზე

curator bonis distrahendis [კურა´ტორ ბო´ნის დისტრაჰე´ნდის „გასასხვისებელი ქონების მეურვე“]
I. იმ ქონების მმართველი, რომელიც ექვემდებარებოდა ლიკვიდაციას მესაკუთრის გადახდისუუნარობის გამო

curator bonorum [კურა´ტორ ბონო´რუმ „ქონების კურატორი“]
I. გაკოტრებული პირის ქონების მმართველი

curator collegii [კურა´ტორ კოლლე´გიი „კოლეგიის კურატორი“]

I. სინ. **magister c.,** გაერთიანების, სახელოსნო ან რელიგ. კორპორაციის ხელმძღვანელი

curator furiosi [კურა´ტორ *ფურიო´სი/ფურიო´ზი „სულით ავადმყოფი პირის მეურვე“]
I. სულით ავადმყოფ პირთა მეურვე

curator hereditatis [კურა´ტორ ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის მეურვე“]
I. ჯერ კიდევ არმიღებული სამკვიდროს მმართველი

curator ludorum [კურა´ტორ ლუდო´რუმ „სანახაობათა კურატორი“]
I. პოლიცია, ზედამხედველობა საზოგადოებრივ თამაშობებზე

curator minorum [კურა´ტორ მინო´რუმ „მცირეწლოვანთა მეურვე“]
I. არასრულწლოვან პირთა მეურვე, მზრუნველი

curator morum [კურა´ტორ მო´რუმ „ადათების კურატორი“]
I. საზოგადოებრივ ზნე-ჩვეულებების დაცვაზე ზედამხედველობა →censores

curator nascituri [კურა´ტორ *ნასკიტუ´რი/ნასციტუ´რი „დაუბადებლის მეურვე“]
I. არშობილი ბავშვის ქონების მმართველი

curator prodigi [კურა´ტორ პრო´დიგი „მფლანგველის მეურვე“]
I. ზედამხედველი მფლანგველზე

curator surdi [კურა´ტორ სუ´რდი „ყრუს მეურვე“]
I. სმენადაქვეითებულთა ზედამხედველი, მეურვე

curator urbis [კურა´ტორ უ´რბის „ქალაქის კურატორი“]
I. მშენებლობის, ტრანსპორტის, პოლიციის, სახანძრო და ღამის სამსახური →aediles

curator ventris et bonorum [კურა´ტორ ვე´ნტრის ეტ ბონო´რუმ „კურატორი ჩანასახისა და ქონების“]
I. ჩასახული ბავშვის, დედის, კრედიტორების, რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ მემკვიდრეობაზე, ინტერესების დამცველი პირი

curatores aedium sacrarum [კურატო´რეს ე´დიუმ საკრა´რუმ „იმპერატორის შენობათა კურატორები“]
I. საიმპერატორო შენობებზე ზედამხედველი პირები

curatores alvei et riparum Tiberis [კურატო´რეს ა´ლვეი ეტ რიპა´რუმ ტი´ბერის „ტიბერისის კალაპოტისა და სანაპიროს კურატორები“]
I. ტიბერისის კალაპოტისა და ნაპირის ზედამხედველი პირები

curatores aquarum [კურატო´რეს აკვა´რუმ „წყლების კურატორები“]
I. წყალგაყვანილობის საკითხების კურატორები

curatores civitatis [კურატო´რეს *კივიტა´ტის/ცივიტა´ტის „სახელმწიფოს კურატორები“]
I. ქალაქების ფინანსების კურატორები (ახ.წ. II ს.-დან ისინი განაგებდნენ აგრ. ამ საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეებს)

curatores civium Romanorum [კურატო´რეს *კი´ვიუმ/ცი´ვიუმ რომანო´რუმ „რომაელ მოქალაქეთა კურატორები“]

I. რომ. მოქალაქეების საქმეების კურატორები

curatores frumenti [კურატო´რეს ფრუმე´ნტი „ხორბლის კურატორები“]
I. სინ. praefecti f. dandi – პურის დარიგების საკითხების კურატორები

curatores kalendarii [კურატო´რეს კალენდა´რიი „კალენდრის კურატორები“]
I. კალენდრის საკითხების კურატორები

curatores operum publicorum [კურატო´რეს ოპერუმ პუბლიკო´რუმ „საჯარო ნაგებობათა კურატორები“]
I. შენობებისა და ნაგებობების კურატორები

curatores praesidii [კურატო´რეს *პრესი´დიი/პრეზი´დიი „დაცვის კურატორები“]
I. გარნიზონების ადმინისტრაციულ მართვაზე ზედამხედველები

curatores regionum [კურატო´რეს რეგიო´ნუმ „რეგიონების კურატორები“]
I. რომის ცალკეული რაიონების კურატორები

curatores viarum [კურატო´რეს ვია´რუმ „გზების კურატორები“]
I. საზოგად. გზების კურატორები

curia [კუ´რია co + viria „მამაკაცთა შეკრება“] კურია
I. ტერიტორიული და პოლიტიკური ერთეული, აგრეთვე სამხედრო ქვედანაყოფი

curiana causa [კურია´ნა *კა´უსა/კა´უზა „კურიის პროცესი“]
I. ცნობილი პროცესი სასამართლოში ცენტუმვირებისა კოპონიუსის მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც თვლიდა რა, რომ მისი ცოლი ორსულად იყო, დაადგინა nasciturus-ი მემკვიდრედ, კურია კი – მის სუბსტიტუტად (მომდევნო მემკვიდრედ)

curiosus [*კურიო´სუს/კურიო´ზუს „მზრუნველი, ცნობისმოყვარე“, მრ. რ. curiosi]
I. დომინატის დროს პოლიციელ მოხელეთა ჯგუფი („იმპერატორის თვალები“), რომელიც აკონტროლებდა ადმინისტრაციული აპარატის და, უპირველეს ყოვლისა, სახ. ფოსტის (cursus publicus) მუშაობას

curriculum [კურრი´კულუმ „სრბოლა, ხანგრძლივობა“] კურიკულუმი
I. 1. რაიმე ვადის ხანგრძლივობა; 2. სამსახურის ვადა

cursus claburalis [კუ´რსუს კლაბურა´ლის „ეტლით გადატანა“]
I. ნელი ფოსტა მძიმე ტვირთისათვის

cursus honorum [კუ´რსუს ჰონო´რუმ „საპატიო თანამდებობის გზა“]
I. სინ. certus ordo magistratuum, gradus m., დროის შუალედები, რომელთა გასვლის შემდეგაც რომ. მოქალაქეს შეეძლო თანმიმდევრულად დაეკავებინა სახ. თანამდებობები

cursus publicus [კუ´რსუს პუ´ბლიკუს „სახალხო გზა“]
I. პრინციპატის ხანიდან მოყოლებული სახ. ფოსტა

cursus velox [კუ´რსუს ვე´ლოქს „სწრაფი გზა“]
I. სწრაფი ფოსტა

curulis [კურუ´ლის „ეტლთან დაკავშირებული“ <currus „ეტლი“] კურულისა
I. c. sella კურულის სავარძელი. თავდაპირველად იყო ბორბლებზე; იხ. aedilis c-es; magistratus c.

custodela [კუსტოდე´ლა „დაცვა“]

I. არქ. ტერმინი მემკვიდრეობით სამ-ში, სინ. custodia

custodia [კუსტო´დია „დაცვა“] კუსტოდია
I. მაღალი ხარისხის მზრუნველობის ვალდებულება

custodire [კუსტოდი´რე „დაცვა“]
I. მოფრთხილება, მაგ., **c. ventrem** მუცლის მოფრთხილება (რათა მშობიარობის შემდეგ არ შეეცვალათ ბავშვი) → nasciturus

D

D [შემოკლება სიტყვისათვის: damno და´მნო „განვსჯი“]
I. ვასამართლებ, ვუსჯი

damnare [დამნა´რე „სიკვდილით დასჯა“, „მისჯა“]
I. სიკვდილით დასჯა

damnare ad bestias [დამნა´რე ად ბე´სტიას „მხეცებთან შებრძოლების სასჯელი“]
I. გარეულ ცხოველებთან შებრძოლების მისჯა

damnare ad gladium [დამნა´რე ად გლა´დიუმ „ხმლით დასჯა“]
I. თავის მოკვეთა

damnare in crucem → crux [დამნა´რე ინ *კრუ´კემ/კრუ´ცემ „ჯვარცმით სიკვდილით დასჯა“]
I. სიკვდილით დასჯა; ჯვარცმა

damnare in ludum [დამნა´რე ინ ლუ´დუმ „თამაშობებით დასჯა“]
I. →gladiatores; ludi venatorii გლადიატორებთან შერკინების მისჯა

damnare in metallum [დამნა´რე ინ მეტა´ლლუმ „მაღაროში მუშაობით დასჯა“]
I. მაღაროებში სამუდამო მუშაობის მისჯა

damnare in opus publicum [დამნა´რე ინ ო´პუს პუ´ბლიკუმ „საზოგადოებრივი საქმით დასჯა“]
I. იძულებითი სამუშაოების მისჯა

damnatio memoriae [*დამნა´ტიო/დამნა´ციო მემო´რიე „მეხსიერებით დასჯა“]
I. ნაწ. სინ. ignominia post mortem, ხსოვნის აღმოფხვრა იმ პიროვნების შესახებ, რომელმაც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაული ჩაიდინა

damnatus [დამნა´ტუს „სიკვდილით დასჯის ღირსი“]
I. სიკვდილმისჯილი

damnum [და´მნუმ „დაღუპვა, გაფუჭება“]
I. ზიანი

damnum emergens [და´მნუმ ემე´რგენს „თვალნათლივი ზიანი“]
I. ფაქტობრივად მიყენებული ზიანი, ქონების შემცირება (→ lucrum cessans-ისგან გასხვავებით)

damnum fatale [და´მნუმ ფატა´ლე „საბედისწერო ზიანი“]
I. დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილი ზიანი →casus fortuitus

damnum in turba datum [და´მნუმ ინ ტუ´რბა და´ტუმ „ბრბოში მიღებული ზიანი“]

I. ბრბოს მიერ მიყენებული ზიანი

damnum infectum [d. nondum factum] [და´მნუმ ინფე´ქტუმ „მოულოდნელი ზიანი“]
I. ჯერ კიდევ არაღმოცენებული, მოსალოდნელი ზიანი → cautio d-i infecti

damnum iniuria [datum] [და´მნუმ ინიუ´რია და´ტუმ „უსამართლო ზარალი“]
I. სხვისი ქონებისთვის ზიანის მიყენება

Dardanarii [დარდანა´რიი „დარდანარიუსები“]
I. (მევახშე დარდანარიუსის სახელის მიხედვით) ვაჭარ-გადამყიდველები, რომლებიც ჩადიოდნენ სხვადასხვა სახის კანონდარღვევებს, განსაკუთრებით → crimen annonae, სპეკულაციას სურსათ-სანოვაგით

datio [*და´ტიო/და´ციო „გადაცემა“]
I. საკუთრების უფლების პირდაპირ გადაცემა

datio dotis → dos [*და´ტიო/და´ციო დო´ტის „მზითვის მიცემა“]
I. მზითევზე საკუთრების უფლების გადაცემა რეალური გადაცემით

datio fiduciae causa [*და´ტიო *ფიდუ´კიე *კა´უსა/და´ციო ფიდუ´ციე კა´უზა „ნდობის მიცემა (რაღაც) მიზნისთვის“]
I. საკუთრების უფლების გადაცემა წინასწარ განსაზღვრული მიზნისათვის

datio in solutum [*და´ტიო/და´ციო ინ სოლუ´ტუმ „მიცემა სანაცვლოდ“]
I. სხვა ნივთის შეთავაზება იმის სანაცვლოდ, რომელიც წარმოადგენდა სესხის საგანს

datio libertatis [*და´ტიო/და´ციო ლიბერტა´ტის „თავისუფლების მიცემა“] → სინ. manumissio
I. თავისუფლების ბოძება

datio ob causam, datio ob rem, datum ob c. [*და´ტიო/და´ციო ობ *კა´უსამ/კა´უზამ, ობ რემ, და´ტუმ ობ კაუ´ზამ „მიცემა რაღაცის გამო“]
I. საკუთრების გადაცემა იმ მიზნით, რომ შემძენმა, განახორციელოს ან არ განახორციელოს რაიმე ქმედება

datio rei [*და´ტიო/და´ციო რე´ი „ქონების მიცემა“] → mutuum
I. ქონების ბოძება

datio tutoris [*და´ტიო/და´ციო ტუტო´რის „მეურვის მიცემა“]
I. მეურვის დანიშვნა → lex Atilia 1

de gradibus [დე გრა´დიბუს „საფეხურების შესახებ“]
I. კლას. პერიოდის უცნობი იურისტის თხზულების შემორჩენილი ნაწყვეტი →gradus cognationis შესახებ. იხ. აგრ. tractatus

debattuo [დება´ტტუო „ვუბიძგებ, ვურტყამ“] დებატები
II. რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, კამათი. „საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, 51(2)-ე მუხლი)

III. „ფრაქციას უფლება აქვს ... მონაწილეობა მიიღოს კამათში, მოითხოვოს პოლიტიკური დებატების გამართვა, განახორციელოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.“ (საქართველოს კანონი საპარლამენტო ფრაქციის შესახებ – 1997, მე-17 მუხლი)

debere [დებე´რე „ვალდებულების ქონა“]
I. ვიღაცისგან ვალის აღება; ვიღაცის წინაშე ვალდებულება

debilis [დე´ბილის „უსუსური, უძლური“] დებილი
I. ინვალიდი, ფიზიკური ნაკლის მქონე პირი →cura debilium

debitum [დე´ბიტუმ „ვალი, ვალდებულება“] დებეტი
I. ვალი, ვალდებულება
II. საბუღალტრო ანგარიშის მარცხენა მხარე. აქტივების ანგარიშში დებეტი ასახავს შემოსავლის წყაროების მატებას, ხოლო პასივების ანგარიშში – კლებას. „...ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ანგარიშის მდგომარეობისა და კრედიტ-დებეტის საბუღალტრო ჩანაწერების შესახებ.“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 860(2)-ე მუხლი)
III. „თუ ტვირთის გაყიდვიდან ექვსი თვის განმავლობაში არავინ განაცხადებს თავის უფლებას გაყიდვით ამოღებულ თანხაზე, მაშინ დებეტზე არსებული თანხა ჩაირიცხება საქართველოს ბიუჯეტში“ (საქართველოს კანონი საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 155(3)-ე მუხლი)

decem, decimus [*დე´კემ/დე´ცემ „ათი“, *დე´კიმუს/დე´ციმუს „მეათე“]
I. **d. legati** → I. d. **Decemprimi** – რომელიმე გაერთიანებაში არჩეული 10 წევრი

decemvir [*დე´კემვირ/დე´ცემვირ „დეცემვირი“, მრ. რ. decemviri] დეცემვირი
I. 10 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიმე მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად

deceptus [*დეკე´პტუს/დეცე´პტუს „მოტყუებული“]
I. მოტყუებული, შეცდომაში შეყვანილი

decipere [*დეკი´პერე/დეცი´პერე „შეცდომაში შეყვანა“, „მოტყუება“]
I. ვიღაცის მოტყუება; შეცდენა

declaratio [*დეკლარა´ტიო/დეკლარა´ციო „გამონათქვამი, გამოვლენა“] დეკლარაცია
II. 1. საერთაშორისო აქტი, რომელიც განამტკიცებს საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად პრინციპებსა და ამოცანებს და რომელსაც, როგორც წესი, არ გააჩნია სავალდებულო იურიდიული ძალა. „საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991);

2. საგადასახადო, ქონებრივი თუ სხვა სახის დოკუმენტი, რომელშიც პირი ასახავს საკუთარ შემოსავლებსა თუ ქონებას. „პირი ვალდებულია თანამდებობის დატოვებიდან ორი თვის ვადაში შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ – 1997, მე-14(3) მუხლი);
3. „შესაბამისობის დეკლარაცია – დოკუმენტი, რომლითაც მწარმოებელი ადასტურებს წარმოებული ან/და ბაზარზე განთავსებული პროდუქტის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას“ (საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი – 2012, 88(ვ)-ე მუხლი);
4. „უსაფრთხოების დეკლარაცია – საგანგებო სიტუაციის რისკის ფაქტორის შეფასების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია საშიში საწარმოო ობიექტის შესახებ.“ (საქართველოს კანონი ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ – 2007, 1(ზ)-ლი მუხლი)
III. „...უკვე 22 აპრილის დეკლარაციის დროს, საქართველოში და საერთოდ ამიერ-კავკასიაში აღარ არსებობდა არც ერთი ისეთი მთავრობა, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც რუსეთთან... რაიმე დამოკიდებულება ჰქონოდეს“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი 1918, დამატება V)

decoctor [დე´კოკტორ „გაკოტრებული“]
I. ბანკროტი, გაკოტრებული მოვალე, რომლის ქონებაც იყიდება აუქციონზე

decollatio [*დეკოლლა´ტიო/დეკოლლა´ციო „კისრის მოცილება“] დეკოლაცია
I. კლას. შმდ. პერიოდის ტერმინი თავის მოკვეთისათვის; იხ. აგრ. animadversio gladio

decreta Principum [*დეკრე´ტა *პრი´ნკიპუმ/დეკრე´ტა პრი´ნციპუმ „პრინკეპსების დეკრეტები“]
I. საიმპერატორო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სასამართლოს გამოჰქონდა საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე

decretales [დეკრეტა´ლეს „დეკრეტალიები“]
I. დეკრეტალიები, საეკლ. სამართლის სფეროში. იხ. აგრ. actiones decretales

decretalis [დეკრეტა´ლის „დეკრეტით განსაზღვრული, დეკრეტული“]
I. დეკრეტალიები, საეკლ. სამართლის სფეროში. იხ. აგრ. actio decretalis

decretum [დეკრე´ტუმ „გადაწყვეტილება“] დეკრეტი
I. საქმის წარმოებისას მაგისტრატის მიერ გამოტანილი დადგენილება, გადაწყვეტილება
II. კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელსაც გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე საგადასახადო და საბიუჯეტო საკითხებზე. „სახელმწიფო ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნისას პრეზიდენტი დეკრეტით დაამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს და ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთ თვეში წარუდგენს მას დასამტკიცებლად.“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 93(7)-ე მუხლი)
III. „დეკრეტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ“ (2, 1922)

decuria [დეკუ´რია „ათკაციანი ჯგუფი“, „დეკურია“] დეკურია
I. 10 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი: უმთავრესად არმიაში (ქვედა ქვედანაყოფი კავალერიაში), სენატში და კორპორაციებში, საერთო ინტერესების მიხედვით (სადაც **d.**-ს წევრები იწოდებოდნენ როგორც **decuriales**), და ასევე დაბალი რანგის მოხელეთა ჯგუფი (**d. apparitorum**). ამ დეკურიებისგან განსხვავებით **d. iudicum** მოსამართლეთა ფენაა: ავგუსტუსის დროს იქამდე არსებულ დეკურიალებს (senatores, equites, tribuni aerarii) დაემატა კიდევ მეოთხე (ducenarii)

decurio [დეკუ´რიო „დეკურიის მეთაური“, „დეკურიონი“] დეკურიონი
I. 1. კავალერიის **d.**-ს მეთაური; 2. მუნიციპალური სენატის წევრი; ადრინდელ მაგისტრატებს ეწოდებოდათ **decuriones pedanei**

dedicatio [*დედიკა´ტიო/დედიკა´ციო „მიძღვნა“] დედიკაცია
I. კურთხევა, რელიგ. რიტუალი, რომლის შედეგადაც მიწის ნაკვეთი, ტაძარი ან ზოგიერთი ნივთი ხდებოდა →res sacrae; იხ. აგრ. consecratio 1

deditio [*დედი´ტიო/დედი´ციო „გაცემა, გადაცემა, დანებება“] დედიცია
I. რომაელების მიერ ომში დამარცხებული ხალხისგან დამარცხების აღიარება

deditio hostibus [*დედი´ტიო/დედი´ციო ჰო´სტიბუს „მტრების დანებება“]
I. კაპიტულაცია

deditio hostibus [*დედი´ტიო/დედი´ციო ჰო´სტიბუს „მტრებისთვის გადაცემა“]
I. მტრის ხელში ჩაბარება, კაპიტულაცია

deducere [*დედუ´კერე/დედუ´ცერე „წაყვანა“]
I. სამართლებრივი დავის, სამართალწარმოების საგანი. **deductio coloniae** რომის მოსახლეობის ნაწილის გამოყვანა ახალი კოლონიის დასაარსებლად; **d. de peculio** → actio de p.; d. **in domum mariti** ცოლის შეყვანა ქმრის სახლში, ქორწინების ერთ-ერთი ადათი; **d. servitutis** → impositio; **d. ususfructus** სინ., reservatio u.

deductio coloniae [*დედუ´კტიო/დედუ´კციო კოლო´ნიე „კოლონიის გაყვანა“]
I. მოსახლეობის ნაწილის გაყვანა რომიდან ახალი კოლონიის დასაარსებლად

deductio de peculio [*დედუ´კტიო/დედუ´კციო დე პეკუ´ლიო „საკუთრებიდან გამორიცხვა“]
I. სინ. →actio de p.

deductio in domum mariti [*დედუ´კტიო/დედუ´კციო ინ დო´მუმ მარი´ტი „ქმრის სახლში შეყვანა“]
I. ცოლის შეყვანა ქმრის სახლში, ქორწინების ერთ-ერთი რიტუალი

deductio servitutis → impositio s.

defendere [დეფე´ნდერე „დაცვა“]
I. სასამართლოში მოსარჩელის წინააღმდეგ საკუთარი (d. propriam rem) ან სხვისი (d. alienam rem) საქმის დაცვა. ასეთი დაცვისათვის (**defensio**) აუცილებელი იყო სასამართლოში გამოცხადება, კითხვებზე პასუხი, სათანადო გარანტიების წარმოდგენა და სხვ. ლიტისკონტესტაციის (დავის დამოწმების) საპროცესო ხასიათთან დაკავშირებით სასამართლო დავის დადგენისათვის საჭირო იყო აქტიური მონაწილეობა მოპასუხისა, თუმცა ეს იყო ნებაყოფლობითი; მოპასუხის უარის შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისი იძულება, მაგრამ მის მიმართ გამოიყენებდ-

ნენ სხვადასხვა სამართლებრივ სანქციებს, რამდენადაც ის ხდებოდა indefensus „დაუცველი“

defensor [*დეფე´ნსორ/დეფე´ნზორ „დამცველი“] დეფენზორი
I. სასამართლოში მოპასუხის ინტერესების დამცველი პირი

deferre [დეფე´რრე „მოყვანა, გადატანა“]
I. 1. მემკვიდრეობისთვის მოხმობა d. hereditatem ანდერძის ან კანონის თანახმად; აქედან არის თანამედროვე ტერმინი delatio hereditatis. d. ჩვეულებრივ ემთხვევა მემკვიდრეობის გადამცემის სიკვდილს და მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაში ხორციელდება მოგვიანებით (მაგ., heredis institutio პირობით ან ანდერძის გაუქმების შემთხვევაში). ანდერძის გახსნის შედეგად heredes extranei იღებენ პირად და პრინციპში გადაუცემელ უფლებას მიიღონ მემკვიდრეობა (accipere, adquirere hereditatem) ან უარი თქვან მასზე (repudiare, omittere); 2. ფიცის მიცემის შეთავაზება d. iusiurandum; 3. სინ. denuntiare შეტყობინება, დასმენა, მაგ., **d. fisco**; **d. censum** – შეტყობინება საკუთრების შესახებ; 4. დადანაშაულება, **d. nomen** სასამართლო პასუხისგებაში მიცემა

definitio [*დეფინი´ტიო/დეფინი´ციო „განსაზღვრება“] დეფინიცია
I. იურ. ცნებათა განმარტება
II., III. იგ., რაც I-ში. „ამ მუხლის მიზნებისთვის „კომპიუტერული მონაცემი“, „კომპიუტერული სისტემა“ და „უნებართვო“ განიმარტება ამ კოდექსის XXXV თავით გათვალისწინებული დეფინიციების შესაბამისად“ (საქ. სისხ. სამ. კოდ. – 1999, 158-ე მუხლი შენიშვნა 1)

defunctus [დეფუ´ნკტუს <defungi „გარდაცვალება“]
I. გარდაცვლილი →mors

degustatio [*დეგუსტა´ტიო/დეგუსტა´ციო „გასინჯვა“] დეგუსტაცია
I. გამოცდა pactum displicentiae

deicere [*დეი´კერე/დეი´ცერე „ჩამოგდება, გაგდება“]
I. განდევნა მაგ., d. de possessione → interdictum de vi; d. e saxo Tarpeio ჩამოგდება ტარპეის კლდიდან, დასჯის სახეობა (incestum), რომელიც დააწესა თორმეტი დაფის კანონმა, კერძოდ, მონების დასჯისათვის, აღიკვეთა მხოლოდ ახ. წ. III ს-ში – deiecta et effusa (გადმოგდებული ან გადმოღვრილი)

delatio [*დელა´ტიო/დელა´ციო „დასმენა“]
I. დასმენა

delator [*დელა´ტორ „დამსმენი“]
I. დამსმენი

delegare [დელეგა´რე „გამგზავრება, გაგზავნა“]
I. დავალების მიცემა, დავალება, მაგ., d. iurisdictionem → i-o delegata; იხ. აგრ. d. ab argentario

delegatio [*დელეგა´ტიო/დელეგა´ციო „მითითება ფულის გადახდისათვის“] დელეგაცია
I. 1. არაფორმალური ცალმხრივი მითითება ვინმესთვის, შეასრულოს რაიმე ქმედება, იკისროს მესამე პირის წინაშე რაიმე ვალდებულება ან მესამე პირისგან

მიიღოს შესრულების ვალდებულება; 2. იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც წლის მანძილზე ამოსაღები გადასახადების მოცულობა დგინდებოდა
II. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოში წარგზავნილ პირთა ჯგუფი მოლაპარაკებებში, საზეიმო ან სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. „ოფიციალურ საპარლამენტო დელეგაციებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე ან პარლამენტის წევრი.“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 247(2)-ე მუხლი)
III. „ეროვნული ნაკრები გუნდების მოსამზადებლად და საქართველოს სპორტული დელეგაციების ოლიმპიურ თამაშებში ... მონაწილეობისა და ამ ღონისძიებებში გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს“ (საქართველოს კანონი სპორტის შესახებ – 1996, 23(7)-ე მუხლი)

delegatum [დელეგა´ტუმ „გაგზავნილი; დავალებით აღჭურვილი“] დელეგატი
II. სახელმწიფოს, ორგანიზაციის, დაწესებულების და ა.შ. არჩეული ან დანიშნული წარმომადგენელი. „მუშაკი, რომელიც არჩეულია პროფკავშირულ ორგანოში ან პროფკავშირული კონფერენციის, ყრილობის დელეგატად, თავისუფლდება საწარმოო საქმიანობისაგან...“ (საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ – 1997, 23(2)-ე მუხლი)
III. „საბჭოებში არჩევნების სისწორეს ამოწმებენ საარჩევნო კომისიები, ხოლო საბჭოთა ყრილობისათვის არჩეული დელეგატების უფლებამოსილობის სისწორეს – ყრილობათა სამანდატო კომისიები“ (კონსტ. – 1922, თავი VI, 96)

deliberare [დელიბერა´რე „აწონვა, განსჯა“]
I. განსჯა იმის შესახებ, უნდა მიიღოს თუ არა მემკვიდრეობა (heres) extraneus-მა; ამ მიზნისათვის პრეტორი ანიჭებს მას დროს მოსაფიქრებლად (tempus ad deliberandum, spatium d-ndi). იხ. აგრ. cretio

delicta concurrentia [დელი´კტა *კონკურრე´ნტია/კონკურრე´ნცია „თანმხვედრი დანაშაულები“]
I. რამდენიმე **d.**, რომელიც ერთი და იმავე პირმა ჩაიდინა

delicta militum, d. militaria [დელი´კტა მი´ლიტუმ, დ. მილიტა´რია „ჯარისკაცთა დანაშაულებები, სამხედრო დანაშაულებები“]
I. სამხედრო დანაშაული, რომელიც ხშირად ისჯებოდა სიკვდილით

delictum [დელი´კტუმ „შეცდომა“] დელიქტი
I. სამართალდარღვევა, რომელიც გამოიხატებოდა ცალკეული პირისთვის, მისი ოჯახისათვის ან საკუთრებისათვის ზიანის მიყენებაში
II., III სამოქალაქო სამართალდარღვევა, რომლის შედეგადაც დგება ზიანი და რომელიც წარმოშობს დაზარალებულის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 317(1)-ე მუხლი)

demens [დე´მენს „აზროვნების უნარს მოკლებული“, მრ. რ. dementes]
I. სულით ავადმყოფი

deminutio [*დემინუ´ტიო/დემინუ´ციო „შემცირება, ზარალი“] დემინუცია
I. ზიანი, ქონების შემცირება

deminutio existimationis [*დემინუ´ტიო *ექსისტიმატიო´ნის/დემინუ´ციო ექზისტიმაციო´ნის „ღირსების (რეპუტაციის) დაკნინება“]
I. ღირსების შელახვა

demolire [დემოლი´რე „ნგრევა, ტეხვა“]
I. უკანონო მშენებლობის დანგრევა

demonstratio [*დემონსტრა´ტიო/დემონსტრა´ციო „ჩვენება“] დემონსტრაცია
I. საპროცესო ფორმულის ნაწილი, რომელიც გადმოსცემს სასარჩელო მოთხოვნის არსს
II. საკუთარი შეხედულებების, ინტერესებისა და მოთხოვნების საჯაროდ განცხადებისთვის მოსახლეობის მშვიდობიანი გამოსვლის აღმნიშვნელი ერთ-ერთი ტერმინი. „საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება: ს) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“ (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ – 2005, 22(1)(ს)-ე მუხლი)
III. „...საქართველოს სსრ-ის მოქალაქეებისათვის კანონით უზრუნველყოფილია... ქუჩაში მსვლელობათა და დემონსტრაციათა თავისუფლება“ (კონსტ. – 1937, 138-ე მუხლი)

denarius→ decem

denegare [დენეგა´რე „უარყოფა, უარის თქმა“]
I. უარის თქმა რომელიმე მოთხოვნაზე (d. bonorum possessionem), სახსარზე (d. exceptionem, d. interdictum, d. cautionem) ან უკიდურეს შემთხვევებში – ნებისმიერი პროცესუალური დაცვის დროს (d. iurisdictionem)

denegatio actionis [*დენეგა´ტიო *აკტიო´ნის/დენეგა´ციო აკციო´ნის „სარჩელზე უარის თქმა“]
I. უარის თქმა სარჩელზე, თუ მაგისტრატმა იგი დაუსაბუთებლად ჩათვალა

denuntiare [*დენუნტია´რე/დენუნცი´არე „გამოცხადება“] დენუნციაცია
I. შეტყობინება, ცნობება

denuntiare [*დენუნტია´რე/დენუნცია´რე „გამოცხადება“] დენუნციაცია
I. სინ. nuntiare, ზოგიერთ შემთხვევაში შეტყობინებას მოჰყვებოდა სამართლებრივი შედეგები (cessio, evictio, pignus), განსაკუთრებით cautio damni infeti-ს წინ (d. domum, ადრესატის სახლში, მაშინაც კი თუ ის არ ესწრებოდა). **d. bellum** სინ. indicere b. ომის ფორმალური გამოცხადება სხვა სახელმწიფოსათვის, **d. testimonium** მიწვევა ჩვენების მისაცემად სისხ. სამ. პროცესზე

denuntiare bellum [*დენუნტია´რე/დენუნცია´რე ბე´ლლუმ „ომის გამოცხადება“]
I. ომის ფორმალური გამოცხადება სხვა სახელმწიფოსთვის

denuntiare testimonium [*დენუნტია´რე/დენუნცია´რე ტესტიმონიუმ „მოწმეთა გამოცხადება“]
I. მოწმეთა მიწვევა ჩვენების მისაცემად სისხ. სამ. პროცესზე

denuntiatio litis [*დენუნტია´ტიო/დენუნცია´ციო ლი´ტის „უწყება სასამართლო პროცესის შესახებ“]
I. კლას. შმდ. კოგნიც. წარმოებაში მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის გაგზავნილი მოთხოვნა, რომ ეს უკანასკნელი გამოცხადებულიყო სასამართლოში

depensum [დეპე´ნსუმ „აწონილი“] დეპენსუმი
I. კრედიტორისათვის თავდების პირის მიერ გადახდილი თანხა

deponere [დეპო´ნერე „დადება“] დეპონირება
I. შესანახად მიცემა, რწმუნება

deponere [დეპო´ნერე „დადება, შენახვა, დეპონირება“] დეპონირება
I. დეპონირება, ვალდებულების შესრულების მიზნით ნივთის, ფულის ჩაბარება ტაძარში, ბანკში, ხაზინაში და ა. შ.
II. ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი აყოვნებს შესრულების მიღებას ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი. დეპონირებისას მოვალე შესრულების საგანს გადასცემს სასამართლოს ან ნოტარიატს, ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდები შეაქვს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე და ამით იგი თავისუფლდება მოვალის წინაშე ნაკისრი ვალდებულებისგან. „დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან“ (საქ. სამ. კოდ. – 1997, 434(2)-ე მუხლი)
III. „თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებიდან 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, მე-14(9) მუხლი)

deportatio [*დეპორტა´ტიო/დეპორტა´ციო „წაყვანა“] დეპორტაცია
I. სასჯელი, რომელიც ითვალისწინებდა მსჯავრდებულის იძულებით გადასახლებას იტალიის სანაპიროსთან ახლომდებარე კუნძულებზე ან ლიბიის უდაბნოში
II. პირთა ან პირთა ჯგუფის სახელმწიფოდან გაძევება. „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელის ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 2 თვისა აცნობებს იმ პირის მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, რომელიც დაპატიმრებულია და ექვემდებარება საქართველოდან გაძევებას (დეპორტაციას).“ (საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ – 2011, 27-ე მუხლი)
III. „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის თანახმად, საქართველოდან 1944 წელს დეპორტირებულ პირთა განსაზღვრული კონტინგენტის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხთა გადასაწყვეტად სა-

ქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 11 აგვისტოს №542 დადგენილებით შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული რეპატრიაციის სამსახური სტრუქტურულად დაექვემდებაროს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 286 –1996, 1-ლი პუნქტი)

deportatio in insulam [*დეპორტა´ტიო/დეპორტა´ციო ინ ი´ნსულამ „კუნძულზე გაძევება“]
I. გაძევების ყველაზე სასტიკი სახე. მაგ., დამნაშავის სამუდამო გადასახლება იტალიის მახლობლად მდებარე კუნძულებზე ან ეგვიპტის ერთ-ერთ ოაზისში. იხ. აგრ. exilium; poena, relegatio 1

depositarius [*დეპოსიტა´რიუს/დეპოზიტა´რიუს „მეანაბრე“] დეპოზიტარი
I. დეპოზიტორი, დეპონენტი, მეანაბრე; განძის მცველი
II. 1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების შენახვას, მათ მესაკუთრეთა აღრიცხვას და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა მომსახურების განხორციელებას. „სპეციალიზებული დეპოზიტარი – კომერციული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების მიღებას, შენახვას და საპენსიო დანაგროვთა შესაბამისი აქტივების შემადგენელი არადოკუმენტირებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვას.“ (საქართველოს კანონი არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ – 1998, მე-2(ლ) მუხლი); 2. პირი, რომელიც იბარებს დეპოზიტებს. „დეპოზიტარის როლში ეროვნული ბანკი იღებს და გასცემს ფულად სახსრებს, აღრიცხავს და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა საფინანსო მომსახურებას...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, 43(1)-ე მუხლი); 3. „დეპოზიტარი – სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია ან მისი მთავარი აღმასრულებელი თანამდებობის პირი, რომელიც ინახავს საერთაშორისო ხელშეკრულების დედანს და ასრულებს ამასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს“ (საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ – 1997, მე-3(კ) მუხლი)
III. „მყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, 53^4(4)-ე მუხლი)

depositio, d. debitae pecuniae [*დეპოსი´ტიო/დეპოზი´ციო დ. დე´ბიტე პეკუ´ნიე „ფულადი ვალის დეპონირება“]
I. ფულადი ვალის დეპონირება

depositum [*დეპო´სიტუმ/დეპო´ზიტუმ „შენახვა“] დეპოზიტი
I. მოძრავი ნივთის უსასყიდლო და დროებითი გადაცემა შესანახად
II. 1. „დეპოზიტი – კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები ან გადახდის სხვა საშუალებები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს კომერციული ბანკი ან არასაბან-

კო სადეპოზიტო დაწესებულება...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(ზ) მუხლი); 2. ვალდებულების შესრულების ან შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სასამართლოსთვის, არბიტრაჟისთვის, ნოტარიუსისთვის ან სხვა ოფიციალური პირისთვის შესანახად გადაცემული ფულადი სახსრები ან ფასიანი ქაღალდები. „გირავნობით რამდენჯერმე დატვირთული საგნის რეალიზაციის განმახორციელებელი მოგირავნე ვალდებულია რეალიზაციის ხარჯების დაფარვისა და თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა შეინახოს ნოტარიუსთან დეპოზიტზე შემდგომი მოგირავნეების მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 280(2)-ე მუხლი); 3. ფულადი თანხა, რომელსაც განათავსებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად დასარეგისტრირებლად და რომელიც სრულად უბრუნდება მას საბაბამის არჩევნებში მონაწილეთა ხმების 10 პროცენტის მიღების შემთხვევაში. „...ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის მიერ ცესკოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 5000-ლარიანი დეპოზიტის განთავსების დამადასტურებელი საბანკო დოკუმენტი...“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, 116(7)-ე მუხლი)

III. „სასამართლოს დეპოზიტად შეიძლება შეტანილ იქნეს ფული, ფასიანი ქაღალდი და ძვირფასი ნივთი...“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1924, ნაწილი მესამე, თავი XXIII, 204)

deputatus [დეპუტა´ტუს „გაგზავნილი“] დეპუტატი

II. მოსახლეობის მიერ არჩეული სახელმწიფოს საკანონმდებლო ან სხვა წარმომადგენლობით ორგანოს წევრი. „პარლამენტის წევრის სტატუსი არის ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული პირის კანონით განსაზღვრული პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა, რაც მოიცავს დეპუტატის უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობას, საქმიანობის წესსა და გარანტიებს.“ (საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ – 1998, მე-3 მუხლი)

III. „იმ შემთხვევასაც შინა უკეთუ სახლთუხუცესმან და დეპუტატმან სასულიერომან განაცხადონცა კმაყოფილება, ხოლო უკეთუ არა, მაშინ წარუდგენელადცა მთავრისადმი განჩინებისა მოიყვანოს სასამართლომ აღსრულებასა შინა“ (წესი უზენაესის სამენგრელოჲს სასამართლოჲსა – 1856, ქსძ, VIII, გვ. 815)

derelictio [*დერელი´კტიო/დერელი´კციო „მიტოვება“]

I. ნივთის საკუთრების უფლებაზე ცალმხრივი უარის თქმა

derogare [დეროგა´რე „აღკვეთა“]

I. **d. legi** კანონის ნაწილის აღკვეთა (abrogare-სგან განსხვავებით)

descendens [*დე´სკენდენს/დე´სცენდენს „შთამომავალი“, მრ. რ. descendentes]

I. სისხლით ნათესავები, ბავშვები: ვაჟი და ქალიშვილი; შვილიშვილები, შვილთაშვილები. იხ. აგრ. cognati

descendentes [*დესკენდე´ნტეს/დესცენდე´ნტეს „შთამომავლები“]
I. შთამომავლები, სისხლით ნათესავები დაღმავალი ხაზით, ე.ი. ბავშვები [liberi], ვაჟი [filius], ქალიშვილი [filia], შვილიშვილი [nepos, neptis], შვილთაშვილი [pronepos, proneptis], შვილთაშვილის შვილი [adnepos, adneptis]

deserere [*დესე´რერე/დეზე´რერე „დატოვება“]
I. რომელიმე უფლებამოსილებაზე უარის თქმა, მაგ, სარჩელზე (**litem d**.), ვალდებულების შეუსრულებლობა (vadimonium d-tum); იხ. აგრ. eremodicium; tergiversatio; testamentum d-tum

desertor [*დესე´რტორ/დეზე´რტორ „გაქცეული“] დეზერტირი
I. ჯარისკაცი, რომელიც ნებართვის გარეშე ტოვებდა სამსახურს
II. „დეზერტირობა, ესე იგი სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სხვა ადგილის თვითნებურად დატოვება სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით ანდა ამავე მიზნით სამსახურში გამოუცხადებლობა...“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 389(1)-ე მუხლი)
III. „მეთვალყურეობის გაწევა, რათა მცხოვრებლებმა მოიხადონ სავალდებულო-სამხედრო ბეგარა და ბრძოლა დეზერტირობის წინააღმდეგ“ (დეკრეტი 23 – 1921, აქტები 1922-1978, გვ. 39)

designatio [*დესიგნა´ტიო/დეზიგნა´ციო „აღნიშვნა, მონიშვნა“] დესიგნაცია
I. წინასწარი დანიშვნა მაღალ სახელმწიფო ქურუმის თანამდებობებზე

desinere [*დესი´ნერე/დეზი´ნერე „შეწყვეტა“]
I. dolo d. possidere→ possessor fictus. იხ. აგრ. legatum sinendi modo

desistere [*დესი´სტერე/დეზი´სტერე „უკან დახევა“]
I. უარის თქმა, მაგ. სარჩელზე, ბრალდებაზე იხ. აგრ. deserere; tergiversatio

destinare [დესტინა´რე „დანიშვნა, განკუთვნება“]
I. ნივთის განკუთვნება განსაკუთრებული მოხმარებისათვის, შეთავაზება, მაგ., ვიღაცის დანიშვნა რომელიმე თანამდებობაზე

destinatio animi [*დესტინა´ტიო/დესტინა´ციო ა´ნიმი „გულის გადაწყვეტილება“]
I. ნება-სურვილის გამჟღავნება (განსაკუთრებული სავალდებულო გამოთქმის გარეშე) gestio pro herede; იხ. აგრ. animus

destinatio magistratuum [*დესტინა´ტიო/დესტინა´ციო მაგისტრა´ტუმ „მაგისტრატთა გადაწყვეტილება, განზრახვა“]
I. კანდიდატურის წამოყენება კონსულის ან პრეტორის პოსტზე სენატორთა და მხედართა საარჩევნო შეკრების მიერ

desuetudo [დესუეტუ´დო „გადაჩვევა“]
I. კანონის გამოუყენებლობა დიდი დროის განმავლობაში, რის შედეგადაც იგი კარგავს ძალას; იხ. აგრ. abrogatio legis, consuetudo

detentio [*დეტე´ნტიო/დეტე´ნციო „ფლობა“] დეტენცია
I. ტერმინი, რომელიც (possessio-სგან განსხვავებით) აღნიშნავდა ნივთის ფაქტობრივ ფლობას განზრახვის გარეშე, ამ ნივთის დასაკუთრებას მხოლოდ პირადი

ინტერესებისათვის. აღნიშნული ფაქტობრივი მფლობელობა არ სარგებლობდა ინტერდიქტული დაცვით

detestatio [*დეტესტა´ტიო/დეტესტა´ციო „შეჩვენება“]
I. საჯარო განცხადება, შეჩვენება

detestatio sacrorum [*დეტესტა´ტიო/დეტესტა´ციო საკრო´რუმ „წმინდათა შეჩვენება“]
I. სახალხოდ უარის თქმა ადრინდელ საგვარეულო კულტზე →adrogatio

deus [დე´უს „ღმერთი“, მრ. რ. dii]
I. ღმერთი, ღვთაება, დომინატის დროს იმპერატორის ტიტული (**dominus et d**.)

dica (ბერძნ.) [დი´კა „სარჩელი“]
I. სარჩელი, დავა

dicere [*დი´კერე/დი´ცერე „თქმა“]
I. თქმა, მტკიცება, განსაკუთრებით პროცესზე **d. causas**→ c. d; d. diem მოპასუხის დაბარება სასამართლოში განსაზღვრულ დღეს; **d. multam** ჯარიმის დაკისრება; **d. sententiam** სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა (d. s. in senatu ხმის მიცემა სენატში). **d. ius**→ iurisdictio; **d. legem** დამატებითი შენიშვნა, განსაკუთრებით, შეთანხმებაში → leges contractus

dicio Romana [*დი´კიო/დი´ციო რომა´ნა „რომაელთა ბატონობა“]
I. რომ. ბატონობა, რომ. სახ.-ოს ჰეგემონობა, რ-ის სუვერენული ძალაუფლება

dicta et promissa [დი´კტა ეტ პრომი´სსა „სიტყვა და პირობა“]
I. გამყიდველის არაფორმალური გარანტია, რომ ნივთს არ აქვს ნაკლი →emptio venditio

dictator [დიკტა´ტორ „დიქტატორი“] დიქტატორი
I. დიქტატორის თანამდებობა პირველად გაჩნდა მეფობის გაუქმებიდან 9 წლის შემდეგ და ამის მერე ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მას. დიქტატორს საგანგებო მდგომარეობის დროს ნიშნავდა სენატის თანხმობით კონსული ან სახალხო ტრიბუნი, რომელიც აღჭურვილი იყო კონსულის უფლებამოსილებებით

dictator clavi figendi [დიკტა´ტორ კლა´ვი ფიგე´ნდი „დიქტატორი ლურსმნის ჩარჭობისთვის“]
I. რელიგიური რიტუალების ორგანიზებისათვის დანიშნული დიქტატორი

dictator comitiorum habendorum causa [*დიკტა´ტორ *კომიტიო´რუმ/კომიციო´რუმ ჰაბენდო´რუმ *კა´უსა/კა´უზა „სახალხო კრების მოსაწვევად დანიშნული დიქტატორი“]
I. სახალხო კრების მოსაწვევად, რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად დანიშნული დიქტატორი

dictator imminuto iure [დიკტა´ტორ იმმინუ´ტო იუ´რე „მოკლევადიანი უფლების (მქონე) დიქტატორი“]
I. მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად დანიშნული დიქტატორი

dictator ludorum faciendorum gratia [დიკტა´ტორ ლუდო´რუმ *ფაკიენდო´რუმ / ფაციენდო´რუმ *გრა´ტია/გრა´ცია „დიქტატორი თამაშობათა მოწყობისათვის“]
I. დღესასწაულთა ორგანიზებისთვის დანიშნული დიქტატორი

dictatura [დიკტატუ´რა „დიქტატორის წოდება“] დიქტატურა
II. პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც ხელისუფლებას, პირს ან პირთა ჯგუფს აქვთ შეუზღუდავი ძალაუფლება. „აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე შექმნილია კლანური დიქტატურები, რომელთა ძირითადი მიზანი პირადი ძალაუფლების განმტკიცება და უკანონო შემოსავლების მიღებაა“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ – 2005)
III. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუცია, ემყარება რა ოქტომბრის რევოლუციის აღიარებულ პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად პრინციპებს, მიზნად ისახავს უზრუნველჰყოს ეს დიქტატურა ბურჟუაზიის საბოლოოდ დასათრგუნავად...“ (კონსტ. – 1922, თავი I, 1)

dictio dotis [*დი´კტიო/დი´კციო დო´ტის „მზითვის დათქმა“]
I. მზითვის დადგენა ცალმხრივი ვერბალური დაპირებით (→dos)

dies [დი´ეს „დღე“]
I. მომენტი, რომელსაც უკავშირებდნენ იურ. აქტის, ხელშეკრულების, ანდერძის ძალაში შესვლას ან ძალის დაკარგვას

diffarreatio [*დიფარრეა´ტიო/დიფარრეა´ციო „განქორწინება“] დიფარეაცია
I. confarreatio-ს ფორმით დაქორწინებულ პირთა ფორმალური განქორწინება; იხ. divortium

digesta [დიგე´სტა „განაწილება, მოწესრიგება“, მრ. რ. digestae] დიგესტა
I. მრავალრიცხოვან და სხვადასხვაგვარ იურ. თხზულებათა კრებულის სახელწოდება (Alfenus, Celsus; Iulianus; Marcellus; Scaevola), სადაც განხილული იყო სამოქ. და პრეტორული სამ.-ი
III. „დიგესტონი კულა ეწოდების ჰრომაულად წიგნსა ყოველთა უპირატესთა ბრძენთა, ვითარ სოკრატის, სოლონის, პლატონის, არისტოტელის და ეგევითართა სამოქალაქოთა წესთა და სჯულთათჳს განვრცელებით თქუმულთა წიგნთა, შემოკლებით მქონებელსა წიგნსა მრავალ ნაწილსა, რომლისა თითოეული ნაწილი წარვლის თითო სახეთა პირთაგან“ (დიდი სჯ., სქ. 137)

digesta Iustiniani [დი´გესტა იუსტინია´ნი „იუსტინიანუსის დიგესტა“] იუსტინიანუსის დიგესტა
I. სინ.→pandectae–Corpus Iuris Civilis ვრცელი და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. მას უნდა შემოენახა მომავლისათვის კლას. სამ.-ის მონაპოვარი და თან უნდა გაეთანამედროვებინა და მოერგო იგი იმისათვის, რომ გამოეყენებინათ დას. რომ. იმპ-ში. იუსტინ.-მა ეს საქმე დაავალა ტრიბონიანუსს, დაავალა, რომ როგორც თავმჯდომარეს, თვით შეერჩია კომპილატორთა კომისიის წევრები. კომისიამ მუშაობა დაასრულა 3 წელიწადში და შეიქმნა მონუმენტური შრომა 50 წიგნად. პირველი წიგნი ეძღვნებოდა სამართლის ზოგად საკითხებს; 2-46 – კერძო სამართალს; 47-48 – სისხ. სამ-ს (**libri terribiles**) 49 – აპელაციებს, ფისკალურ და სამხ. სამ-ს, 50 – ადმინ. სამ-ს, იურ. დეფინიციებს და წესებს

dignitas [დი´გნიტას „ღირსება“]
I. პატივისცემა, პატივი, მაგისტრატებისა და სენატორებისათვის

dignitas patricia→ patricii

dignitas populi Romani [დი´გნიტას პო´პული რომა´ნი „რომაელი ხალხის ღირსება“]
I. რომ. იმპერიის დიდებულება და ძალაუფლება

dii, dei superi→deus

dilatio [*დილა´ტიო/დილა´ციო „გადატანა“]
I. სასამართლო პროცესის გადავადება, განსაკუთრებით მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით

diligentia [*დილიგე´ნტია/დილიგე´ნცია „საგულდაგულო არჩევა“]
I. მზრუნველობა, რასაც წესიერი მოქალაქე (**d-s pater familias**) იჩენს თავისი საკუთრების მიმართ (საპირ. neglegentia)

diligere [დილი´გერე „არჩევა“]
I. არჩევანი, მობილიზაცია; იხ. აგრ. exercitus

dilucida intervalla →lucida i.

dimittere [დიმი´ტტერე „გაგზავნა“]
I. გაშვება, განდევნა, მაგ., ღალატში გამოჭერილი ცოლის (**d. uxorem**), რაც საკმარისი იყო განქორწინებისათვის. იხ. აგრ. affectio maritalis

dioicesis (ბერძნ.) [*დიო´იკესის/დიო´იცეზის „მართვა“] დიოცეზი
I. დიოკლეტიანუსის დროიდან რომ. იმპ-ის ადმინისტრაციული დაყოფის ერთეული, რაიონი, რომლის სათავეშიც იდგა **d.** →vicarius 2.

dioicesis urbica [*დიო´იკესის/დიო´იცეზის უ´რბიკა „ქალაქის დიოცეზი“]
I. რომის ტერიტორიაზე არსებული სასამართლო ოლქები; იხ. აგრ. regio

dipertio [*დიპე´რტიო/დიპე´რციო „გაქურდვა“] დიპერცია
I. ქურდობა, რისი უფლებაც ხშირად ეძლეოდათ რომ. ჯარისკაცებს დაპყრობილ ქალაქებში

diploma (ბერძნ.) [დი´პლომა „ორ ნაწილად დაკეცილი“] დიპლომი
I. დოკუმენტი, წერილობითი ნებართვა
II. 1. საშუალო, პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი ოფიციალური მოწმობა. „ავტორიზაციის შედეგად დაწესებულება იძენს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს და უფლებამოსილია გასცეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომი“ (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ – 2007, 20[1](1)-ე მუხლი); 2. აღიარების ნიშნად მინიჭებული სიგელი, მოწმობა. „არასარწმუნო რეკლამა – რეკლამა, რომელიც შეიცავს სინამდვილესთან შეუსაბამო მონაცემებს ... ოფიციალური აღიარების (მადლობის, პრიზების, დიპლომებისა და სხვა ჯილდოების მიღება) ... შესახებ“ (საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ – 1998, მე-3(4) მუხლი)
III. „სპორტის სფეროში პედაგოგიური, სასწავლო-საწვრთნელი და გამაჯანსაღებელი მუშაობის უფლება ეძლევათ მხოლოდ სპეციალური განათლების მქონე მოქალაქეებს და პირებს, რომლებსაც აქვთ აკრედიტებული სასწავლებლის დიპლომი“ (საქართველოს კანონი სპორტის შესახებ – 1996, 25(4)-ე მუხლი)

diploma militare [დი´პლომა მილიტა´რე „სამხედრო დიპლომი“]
I. მოწმობა, რომელიც გაიცემოდა 20 წლიანი (დამხმარე ლაშქარში 25 წლიანი) სამხედრო სამსახურის შემდეგ, რომლის საფუძველზეც, ვეტერანები იღებდნენ განსაზღვრულ პრივილეგიებს; იხ. აგრ. auxilia

diptychum (ბერძნ.) [დი´პტიხუმ „ორფრთიანი“] დიპტიქი
I. წერილობითი დოკუმენტის სახე, ბრინჯაოს ან ხის ორ დაფაზე შიგნითა და გარეთა მხარეზე განთავსებული ერთი და იმავე შინაარსის ტექსტით, რომელიც შეიძლებოდა ისე წაკითხულიყო, რომ არ დაზიანებულიყო მოწმეების ბეჭდები

directivus [დირექტი´ვუს „მითითება“] დირექტივა
II. 1. ევროკავშირის საკანონმდებლო აქტი, რომელიც მიზნის მიღწევის თვალსაზრისით სავალდებულოა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსთვის და რომლის იმპლემენტაციაც შიდაეროვნულ სამართლებრივ სისტემაში ხდება წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის საფუძველზე. „კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება: გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, მე-17(1)(გ)(ა) მუხლი); 2. საქართველოს სახელმწიფო აპარატის ცალკეული უწყებებისა და თანამდებობის პირების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი. „სასაზღვრო პოლიციის უფროსი უფლებამოსილია, გამოსცეს ნორმატიული აქტი, ბრძანება, დირექტივა...“ (საქართველოს კანონი საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შესახებ – 2006, მე-9(3) მუხლი) იხ. აგრეთვე საქართველოს კანონი თავდაცვის დაგეგმვის შესახებ – 2006, მე-7(დ) მუხლი
III. „ყველა ეს ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში სახელმძღვანელო დერექტივებს ღებულობენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან“ (დეკრეტი 17 – 1921, აქტები 1921-1978, I, გვ. 29)

diribitio [*დირიბი´ტიო/დირიბი´ციო, „სორტირება“]
I. ხმათა დათვლა არჩევნებზე ან სამართალწარმოებისას
discedere [*დისკე´დერე/დისცე´დერე „დაშლა, წასვლა“]
I. მაგ. მეუღლეების გაყრის შემთხვევაში, იხ. divortium.

discessio ხმის მიცემა (განსაკუთრებით სენატში), რომლის დროსაც ხმის მიმცემები გადიოდნენ საპირისპირო მხარეებზე →senatores pedarii. იხ. აგრ. cedere

disciplina [*დისკიპლი´ნა/დისციპლი´ნა „სწავლება“] დისციპლინა
I. მეცნიერება, განათლება, წესრიგი. მაგ., d. militaris – სამხედრო დისციპლინა. იხ. აგრ. castigatio
II. 1. სამუშაო ადგილზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში მოქმედი წესები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ეკისრებათ დასაქმებულებს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფ პირებს, აგრეთვე მოსწავლეებს წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. „დასაქმებულთა მონაწილეობა გაფიცვაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შრომის დისციპლინის დარღვევა და შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი, გარდა უკანონო გაფიცვის შემთხვე-

ვისა.“ (საქართველოს შრომის კოდექსი – 2010, 52(1)-ე მუხლი); 2. დისციპლინური გადაცდომა – ქმედება, რომელიც არღვევს სამუშაო ადგილზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში მოქმედ დისციპლინურ წესებს. „დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის სამსახურის მოსამსახურე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან...“ (საქართველოს კანონი საქართველოს დაზვერვის სამსახურის შესახებ – 2010, მე-17(3) მუხლი); 3. დისციპლინური პასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახე, რომელიც ეკისრება პირს სამუშაო ადგილზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში მოქმედი დისციპლინური წესების დარღვევისთვის. „საქსტატის ორგანოებში დასაქმებულთა მიერ ამ კანონის დებულებათა დარღვევა გამოიწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას.“ (საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ – 2009, 29(3)-ე მუხლი); 4. დისციპლინური სახდელი – პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც შეეფარდება პირს სამუშაო ადგილზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, სამხედრო ან სამხედრო სარეზერვო სამსახურში, სასწავლო დაწესებულებაში მოქმედი დისციპლინური წესების დარღვევისთვის. „დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახეები“ (საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ – 2000, 4-ე მუხლი)

III. „მილიციის ყოველ თანამშრომელს ევალება დაიცვას სასტიკი დისციპლინა...“ (ბრძანება 33 – 1921, აქტები 1922-1978, I, გვ. 35)

discretio [*დისკრე´ტიო/დისკრე´ციო „გაყოფა, განსხვავება“] დისკრეცია

I. ერთმანეთისგან გამოყოფა

II. სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით საკუთარი შეხედულებისამებრ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება. „დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.“ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი – 1999, მე-2(1)(ლ) მუხლი)

III. „სააგენტოს გამონაკლის შემთხვევებში აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, არ გაითვალისწინოს რისკის განმსაზღვრელი ფორმალური კრიტერიუმები და გამოიყენოს ლაბორატორიული კონტროლის მექანიზმი“ (საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ – 1996, 11^{1}(4)-ე მუხლი)

discriminatio [*დისკრიმინა´ტიო/დისკრიმინა´ციო „განკერძოება, განსხვავება“] დისკრიმინაცია

II. სახელმწიფოთა, ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფის თანასწორუფლებიანობის დარღვევა. „ამ კანონის მიზნებია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა...“ (საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ – 2010, მე-2 მუხლი)

III. „მუშაკს უფლება აქვს თანაბარი მუშაობის პირობებში ჰქონდეს თანაბარი ანაზღაურება შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე...“ (კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის დამტკიცების შესახებ – 1973, 2(3)(ბ)-ე მუხლი)

dispositio [*დისპოსი´ტიო/დისპოზი´ციო „განლაგება, განაწილება“] დისპოზიცია
I. განკარგულება, მამკვიდრებლის მიერ ანდერძში გამოვლენილი ნება
II., III. დისპოზიციურობის პრინციპი – სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპი, რომლის თანახმადაც მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში საკუთარი ინიციატივით სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით და თავად განსაზღვრავენ დავის საგანს. „დისპოზიციურობის პრინციპი“ (საქ. სამ. საპრ. კოდ. – 1997, მე-3 მუხლი) იხ. აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – 1999, მე-3 მუხლი

disputatio [*დისპუტა´ტიო/დისპუტა´ციო „განხილვა“]
I. **d. fori** საჯარო დისკუსია სამართლებრივ საკითხებზე

disputationes [*დისპუტატიო´ნეს/დისპუტაციო´ნეს „განხილვები“]
I. იურ. თხზულებათა სახელწოდება, სადაც ავტორი (ტრიფონინუსი) განიხილავს სადავო საკითხებს

dissensus [დისსე´ნსუს „გაუგებრობა“]
I. ურთიერთგაუგებრობა, ნების არდამთხვევა, რომელიც განპირობებულია ხელშეკრულების ერთი ან ორივე მხარის შეცდომით. ამ შემთხვევაში მხარეებს არასწორად აქვთ გაგებული ერთმანეთის ნამდვილი განზრახვები და ნება დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

dissentiones dominorum [*დისსენტიო´ნეს/დისსენციო´ნეს დომინო´რუმ „მესაკუთრეთა, ბატონთა შეუთანხმებლობანი“]
I. სადავო სამართლებრივი საკითხების შემცველი კრებული, გლოსატორთა ნაწარმოებების ნაირსახეობა

dissentire [დისსენტი´რე „თანხმობის არმიცემა“]
I. არ დათანხმება, სხვადასხვა აზრის ქონა

dissimulatio [*დისსიმულა´ტიო/დისსიმულა´ციო „დაფარვა, შენიღბვა“]
I. 1. თვალთმაქცური გარიგება →simulatio; 2. უპატივცემლობა

dissolvere [დისსო´ლვერე „გახსნა“]
I. შეწყვეტა, გაუქმება, მაგ., პირადი ურთიერთობების (d. obligationem, d. matrimonium); იხ. აგრ. actus contrarius

distinctio [*დისტი´ნკტიო/დისტი´ნკციო „განსხვავება“, მრ. რ. distinctiones]
I. გლოსატორთა იურიდ. თხზულებები სხვადასხვა სამართლებრივ ცნებათა და კატეგორიათა განსხვავების შესახებ

distractio bonorum [*დისტრა´კტიო/დისტრა´კციო ბონო´რუმ „ქონების დანაწილება“]

I. გადახდისუუნარო მოვალის საკუთრების გაყიდვა ნაწილებად (განსხვავებით →venditio b.-სგან), რაც არ ნიშნავდა მთელი საკუთრების დაკარგვას ან სახელის გატეხვას

distrahere [დისტრა´ჰერე „გაჭიმვა“]
I. მაგ., ქონებრივი სფეროების განაწილება (actio rationibus), გაუქმება (გარიგების **d. negotium**, **d. matrimonium** საპირ. contrahere), გაუცხოვება, გაყიდვა (მემკვიდრეობის **d. hereditatem**)

diversans, -ntis [დივერსა´ნს „გადახრილი, განრიდებული“] დივერსანტი
III. „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 26 მაისის ბრძანებულების გამონაკლისად დაშვებულ იქნას სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშების, ძირგამომთხრელ-დივერსანტების მიმართ სიკვდილით დასჯის, როგორც უმაღლესი სასჯელის გამოყენება“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1950 წ. 12 იანვრის ბრძანებულება: საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928-I, დამატებანი, გვ. 201)

divi fratres [დი´ვი ფრა´ტრეს „ღვთაებრივი ძმები“]
I. Marcus Aurelius და Lucius Verus. იხ. აგრ. lex Rufrena; noster

dividendus [დივიდე´ნდუს „გასაყოფი“] დივიდენდი
II. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების პარტნიორის მიერ მიღებული სუფთა მოგება. „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს წლიური და შუალედური მოგების დივიდენდების სახით განაწილება.“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა კანონი – 1994, 8-ე მუხლი)
III. „დივიდენდის განაწილების და სათადარიგო კაპიტალის შედგენის წესი“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდ. – 1923, თავი I, 324(4) 49)

divinatio [*დივინა´ტიო/დივინა´ციო „ღვთაებრივი შთაგონება“] დივინაცია
I. 1. სინ. vaticinatio მომავლის წინასწარმეტყველება ბუნების მოვლენებზე ან დამალული სიმართლის გამოვლენა ზებუნებრივი გზით →astrologi; augures; haruspices; mathematici; 2. სისხ. სამ. პროცესის მოსამზადებელი ეტაპი, სადაც მოსამართლეები განსაზღვრავენ, თუ პრეტენდენტთა შორის რომელი უნდა დანიშნულიყო ბრალმდებელად

divinus, divalis [დივი´ნუს, დივა´ლის „ღვთაებრივი“]
I. domus d-a, კეისრის სახლი, სახლობა, ოჯახი; ius d-m res d-ae ღვთისმსახურება

divisio [*დივი´სიო/დივი´ზიო „განაყოფი“] დივიზია
I. საერთო ქონების გაყოფა
II., III. მსხვილი საჯარისო შენაერთი, რომელიც შედგება რამდენიმე პოლკისა და ბრიგადისაგან. „ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, ... რომლებიც იძულებით იყვნენ დათხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს...“ (საქართველოს კანონი სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ – 1996, მე-11(ა) მუხლი)

divortium [*დივო´რტიუმ/დივო´რციუმ „განქორწინება“]

I. გაყრა, ქორწინების ორმხრივი ნებაყოფლობითი გაუქმება. განქორწინების ეს ფორმა არ მოითხოვდა არავითარი ფორმალობების დაცვას, საკმარისი იყო მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტობრივი შეწყვეტა. თუ ცოლი იმყოფებოდა ქმრის manus-ის ქვეშ, **d**. მას ჯერ კიდევ არ ათავისუფლებდა, რამდენადაც აუცილებელი იყო actus contrarius-ი (→diffarreatio, remancipatio)

divortium culpa factum [*დივო´რტიუმ/დოვო´რციუმ კუ´ლპა ფა´კტუმ „განქორწინება დანაშაულის (შეცდომის) მიზეზით“]
I. განქორწინება ჩადენილი დანაშაულის გამო (მათ შორის, ცალმხრივი დაუსაბუთებელი ბრალის ნიადაგზე წარმოშობილი)

divus [diva] [დი´ვუს, დი´ვა „ღვთაებრივი“]
I. გარდაცვლილი იმპერატორის (მისი მეუღლის) ტიტული consecratio 3-ის მერე

do, dico, addico →tria verba solemnia

documentum [დოკუმე´ნტუმ „დარიგება, ნიმუში, მტკიცებულება“]
I. დოკუმენტი, კლას. შმდ. პერიოდის გამოთქმა; კლას. ტერმ: instrumentum; იხ. აგრ. charta, scriptura 1
II. ოფიციალური საბუთი. „გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი.“ (საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ – 2001, მე-19(2) მუხლი)
III. „ვინც მოსამართლეთაგანმა ანუ მწერალთაგანმა დამალოს სამართალსა შინა განაჩენი, თამასუქი ანუ არზა, ანუ ნაჩუქების წიგნი, ანუ რომელიმე ესევითარი დოკუმენტი... მეორედ ქმნისთვის საუკუნოდ განიდევნენ იმ ადგილიდამ“ (სამართ. ბატ. დავ., სქ. 581)

dolus [დო´ლუს „ეშმაკობა“]
I. **d. malus** კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის განზრახვა, ნება. 1. ყოველგვარი ქმედება, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო წესრიგსა და კეთილსინდისიერებას (bona fides); 2. ყოველგვარი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა პირის მოტყუებას, განსაკუთრებით გარიგების გაფორმებისას; 3. განზრახ ნაკლიანი სანივთო ან ვალდებულებითი შესრულება; 4. დანაშაულებრივი ქმედების გათვითცნობიერებულად და განზრახ ჩადენა, დანაშაულის უმაღლესი ხარისხი, რაც გულისხმობდა დანაშაულებრივი ქმედების ყველა ასპექტის ცოდნას, რასაც მძიმე შედეგები მოჰქონდა დაზარალებულისთვის (sciens dolo malo)

domare [დომა´რე „მოთვინიერება“]
I.**d. animalia** „ცხოველების მოთვინიერება“

domestici [დომე´სტიკი „შინაურები“]
I. პირადი დაცვა იმპერატორის სასახლეში

domestici heredes → heredes domestici

domesticus [დომე´სტიკუს „შინაური“]
I.შინაური, სახლის
III. „რომელი ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა ნებითა ღმრითისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დემესტიკოსისა (დემესტლიკოსისა) დასა-

ვლეთისათა, ძისა სანატრელისა ერისთავთა მთავრისა ბაკურიანისაჲთა აღმოსავალელისა და ქართველისაჲთა“ (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1084 წ.), ქსძ, III, 35)

domicilians, -ntis [*დომიკი´ლიანს/დომიცი´ლიანს „საცხოვრებლის მფლობელი“] დომიცილიანტი
III. „თამასუქის პროტესტის მიღების დღეს სახელმწიფო სანოტარო კანტორა გადამხდელს ან დომიცილიანტს (პირს, რომელიც იხდის დომიცილებულ თამასუქს) წარუდგენს მოთხოვნას თამასუქის განაღდების (ან აქცეპტის) შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 562 – 1976, კარი III, თავი XVI, 160; საქ. კან. გვ. 307)

domicilium [*დომიკი´ლიუმ/დომიცი´ლიუმ „საცხოვრებელი“] დომიცილი
I. სინ. **sedes** საცხოვრებელი ადგილი, ანუ ადგილი, სადაც პირი მუდმივად ცხოვრობს და დაკავებულია თავისი საქმიანობით

dominium [დომი´ნიუმ „საკუთრება“] დომინიონი
I. სინ. proprietas, საკუთრება, საკუთრების უფლება (**d**. განსხვავდება possessio-სგან, რომელიც ნიშნავს ფაქტობრივ ფლობას) →dominum iustum

dominium ex iure Quiritium d. iustum [დომინი´უმ ექს იუ´რე კვირი´ტიუმ დო´მინუმ იუ´სტუმ „საკუთრება კვირიტთა სამართლით“, „სამართლიანი საკუთრება“]
I. რომ. მოქალაქის საკუთრების უფლება, რომელსაც ის იძენდა ius civile-ის საფუძველზე

dominus [დო´მინუს „ბატონი“] დომინუსი
I. 1. ნივთის მესაკუთრე; 2. მონის ბატონი; 3. იმპერატორის ტიტული ახ. წ. IV ს-დან, აქედან მომდინარეობს ამ პერიოდის სახელწოდებაც „დომინატი“

donatio [*დონა´ტიო/დონა´ციო „ჩუქება“] დონაცია
I. საჩუქრის გადაცემა უსასყიდლოდ, ნებაყოფლობით
II., III. პირისთვის ორგანოების ან ორგანოების ნაწილის გადაცემა. „ბანკის ძირითადი ფუნქციაა აუტოლოგიური ან ალოგენური ტრანსპლანტაციის მიზნით პლაცენტისა და ჭიპლარის სისხლის ღეროვანი უჯრედების ხანგრძლივი დროით შენახვა და დონაცია“ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №277/ნ – 2000, დანართი 4, 1(3)-ლი მუხლი)

donatio ante nuptias [*დონა´ტიო ანტე *ნუ´პტიას/დონა´ციო ანტე ნუ´პციას „ჩუქება ქორწინებამდე“]
I. სინ. largitas sponsalicia, ნიშნობასთან დაკავშირებით გაკეთებული საჩუქარი

donatio inter virum et uxorem [*დონა´ტიო/დონა´ციო ინტერ ვი´რუმ ეტ უქსო´რემ „ჩუქება ცოლ-ქმარს შორის“]
I. მეუღლეების მიერ ერთმანეთისთვის გაკეთებული საჩუქარი

donatio mortis causa [*დონა´ტიო/დონა´ციო მო´რტის *კა´უსა/კა´უზა „სიკვდილის მიზეზით ჩუქება“]
I. ჩუქება, რომელიც დამოკიდებულია მომავალ ბუნდოვან გარემოებაზე

donatio propter nuptias [*დონა´ტიო/დონა´ციო პროპტერ *ნუ´პტიას/ნუ´პციას „საქორწინო საჩუქარი“]

I. იუსტინ. სამ.-ში ქმრის მიერ მეუღლის დასაჩუქრება, უპირველეს ყოვლისა, დაქვრივების შემთხვევაში მისი (და ბავშვების) უზრუნველყოფის მიზნით

donatio sub modo [*დონა´ტიო/დონა´ციო სუბ მო´დო „ჩუქება პირობით“]
I. პირობითი ჩუქება

donativum [დონატი´ვუმ „ფულადობრივი საჩუქარი“]
I. რიგგარეშე საჩუქარი ჯარისკაცებს; იხ. აგრ. congiarium

donum [დო´ნუმ „საჩუქარი“]
I. munus; d. nuptiale, სინ. → pretium pudicitiae **dormire** [დორმი´რე „ძილი“]
I. უმოქმედოდ ყოფნა →interruptio

dos [დოს „მზითვი“]
I. სინ. res uxoria, მზითვი

dotatio [*დოტა´ტიო/დოტა´ციო „მიცემული“] დოტაცია
II. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა წარმოებას, ორგანიზაციას და ა.შ. „სახელმწიფო, ცალკეულ შემთხვევაში, საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენს უახლესი მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების იმპორტის სუბსიდირებას, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის შეღავათიან დაკრედიტებასა და მიზნობრივი დოტაციების მეშვეობით მის ნაწილობრივ სუბსიდირებას“ (საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ – 1994, 22(2)-ე მუხლი)
III. „საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს გაზარდოს ან შეამციროს სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი ნებისმიერი პერიოდული გამოცემის ტირაჟი“ (საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ – 1991, მე-17(4) მუხლი)

dubitare [დუბიტა´რე „ეჭვის ქონა“]
I. dubius სინ. ambiguus, incertus, obscurus, საეჭვო, განუსაზღვრელი → res d-ae

ducenarii [*დუკენა´რიი/დუცენა´რიი „დუკენარიები“]
I. დუცენარიები, 200 კაციანი რაზმის მეთაურები

ducere [*დუ´კერე/დუ´ცერე „მოქაჩვა, წაყვანა“]
I. მაგ. საკუთარ სახლში ბავშვების დაბრუნება (**d. liberos**) ან ცოლის (**d. uxorem**), წყლის გაყვანა (**d. aquam**)

duoviri [დუო´ვირი „ორი კაცი“]
I. რომის მუნიციპიებსა და კოლონიებში უმაღლესი თანამდებობის პირები, რომელნიც ყოველწლიურად იცვლებოდნენ. მათი სრული ტიტული იყო **duumviri iuri dicundo.** დუუმვირთა მოვალეობები რომის კონსულთა მოვალეობების მიკრომოდელს წარმოადგენდა. ისინი იყვნენ ქალაქის უმაღლესი მოსამართლეები, ქალაქის სენატის თავმჯდომარეები და მთელი ქალაქის განმგებლობა მათ ეკუთვნოდათ

duoviri aediles [დუო´ვირი ედი´ლეს „ორი ედილი“]
I. ედილთა მუნიციპალური ანალოგი

duoviri navales [დუო´ვირი ნავა´ლეს „სამხედრო ფლოტის დუომვირები“]

I. თანამდებობის პირები, რომლებიც ძვ. წ. 311 წლიდან კურირებდნენ სამხედრო ფლოტს

duoviri perduellionis [დუო´ვირი პერდუელლიო´ნის „სახელმწიფო ღალატის საქმის დუოვირები“]
I. თანამდებობის პირები, რომელნიც ჯერ კიდევ მეფეების ხანიდან განიხილავდნენ სახელმწიფო ღალატის საქმეებს

duoviri sacris faciundis [დუო´ვირი სა´კრის *ფაკიუ´ნდის/ფაციუ´ნდის „ორი კულტმსახური“]
I. ქურუმები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ სიბილას წიგნების განმარტებით და აკვირდებოდნენ უცხოელთა კულტმსახურებას

duoviri viis extra urbem purgandis [დუო´ვირი ვი´ის ექსტრა უ´რბემ პურგა´ნდის] დუომვირები, ქალაქის მიღმა მდებარე გზების გაწმენდისათვის
I. თანამდებობის პირები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა რომის საზღვრებს გარეთ გზების მოვლა-პატრონობა, წესრიგის დაცვა

duplum [დუ´პლუმ „ორმაგი“]
I. სინ. alterum tantum, ორმაგი რაოდენობა, ორმაგი ზომა. duplae stipulatio →s. d.; duplex dominium →do. d; d. iudicium →iudicia duplicia. duplicatio →exceptio; **duplus** „გაორმაგებული“

dupondium [დუპო´ნდიუმ „ორი ასსის მონეტა“]
I. სამკვიდრო, გაყოფილი 24/24 ნაწილად, თუ 12/12 ნაწილად დაყოფა წილების განაწილებისას საკმარისი არ აღმოჩნდებოდა

dupondius [დუპო´ნდიუს „ორი ასსის (ზომის ერთეული) წონა“]
I. მონეტა, რომელიც იწონის 2 ასს

dux [დუ´ქს „სარდალი“]
I. დომინატის დროს სასაზღვრო სამხედრო ოლქის მეთაური

E

eadem res [ეა´დემ რეს „იგივე საკითხი“]
I. იგივე სამართლებრივი საკითხი, ანუ რომელსაც აქვს იგივე სასარჩელო საფუძველი

ebrietas [ებრი´ეტას „სიმთვრალე“]
I. სიმთვრალე. სიმთვრალეში ჩადენილი დელიქტები ნაკლებად მკაცრად ისჯებოდა, განსაკუთრებით – ჯარისკაცებში

ecclesia (ბერძნ.) [ეკკლე´სია „შეკრება“] ეკლესია
I. ქრისტ. ტაძარი, რელიგიური საზოგადოება, ეკლესია
II. ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა გაერთიანება, ორგანიზაცია, რომელიც განაგებს რელიგიურ ცხოვრებას და შესაბამის კულტს, რელიგიური საზოგადოება. „სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან“ (საქ. კონსტ. – 1995, მე-9(1) მუხლი)

III. „აღშენებისათჳს ეკლესიათაჲსა და სამღვდელოთა ჭურჭელთათჳს და შენაწირავთა და მოყუასთათჳს, რომელთა თჳნიერ კითხვისა ეპისკოპოსისა მათისა აღმართონ საკურთხეველი“ (დიდი სჯ. ნაწილი ბ(2). გვ. 136)

ecclesiasticus [ეკკლესია´სტიკუს/ეკკლეზია´სტიკუს „ეკლესიისა“] ეკლესიასტიკური
I. საეკლესიო საქმეთა მმართველი. **oeconomus e**-e საეკლესიო ქონების განმგებელი. მასვე ევალებოდა ღარიბებზე მზრუნველობა; **e-em ius** → i. e.

ecloga → ekloge

edere [ე´დერე „გამოცემა“]
I. მოწინააღმდეგე მხარისათვის სარჩელის წარდგენის შეტყობინება **e. actionem**, **e. formulam** (ანალოგიურად კლას. შმდ. პროცესში: **e. rescriptum**ან სისხლ. სამ. სამართალწარმოებაში: მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული მოსამართლეების დასახელება **e. iudices**); 2. სინ. exhibere წარდგენა (მტკიცებულებების, **e. instrumenta** ან ანგარიშის – ბანკირის შესახებ, **e. rationes**→argentarii); 3. მაგისტრატის წარდგენა (**e. interdictum**); 4. შექმნა, შობა (ტყუპების**e. geminos**); 5. წიგნის გამოქვეყნება (აქედან editio prima, secunda)

edicere [*ედი´კერე/ედი´ცერე „სახალხოდ გამოცხადება“]
I. გამოქვეყნება, საჯარო დაპირება

edicta Augusti ad Cyrenenses [ედი´კტა ა´უგუსტი ად კირენე´ნსეს „ავგუსტუსის ედიქტები კირენელებისადმი“]
I. ავგუსტუსის მიერ გამოცემული ხუთი ედიქტი (ძვ. წ. 7-4 წ.)

edicta Constantini [ედი´კტა კონსტანტი´ნი „კონსტანტინუსის ედიქტები“]
I. იმპერატორ კონსტანტინუსის მიერ გამოცემული ედიქტები, რომლებიც ეხება ბრალდების საკითხებს და სააპელაციო სისხლის სამართალწარმოებას

edicta imperatorum (principum) [ედი´კტა იმპერატო´რუმ (*პრინკიპუმ/პრინციპუმ) „იმპერატორთა (პრინცეპსთა) ედიქტები“]
I. (მიეკუთვნებიან **constitutiones p.**-ს) იმპერატორის მიერ გამოცემული ზოგადი ხასიათის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადგენენ საჯარო და კერძო პირებისთვის ქცევის სავალდებულო წესებს. მაგისტრატების ედიქტებისგან განსხვავებით, გამოიცემოდა განუსაზღვრელი ვადით

edicta Iustiniani [ედი´კტა იუსტინია´ნი „იუსტინიანუსის ედიქტები“]
I. იუსტინ.-ის 13 კონსტიტუცია, რომლებმაც შეადგინეს Novellae1 Justiniani-ის დამატება

edictum [ედი´კტუმ „გამოქვეყნება“] ედიქტი
I. საჯარო განცხადება, რომლითაც მაგისტრატები მიმართავდნენ ხალხს თანამდებობის დაკავებისას და რომელიც ძალაში რჩებოდა მაგისტრატის თანამდებობაზე ყოფნის მანძილზე

edictum aedilicium [*ედი´კტუმ *ედილი´კიუმ/ედილი´ციუმ „ედილთა ედიქტი“]
I. კურულების ედილების ედიქტი

edictum Carbonianum [ედი´კტუმ კარბონია´ნუმ „კარბონიანუსის ედიქტი“]
I. →bonorum possessio ex C-o e-o

edictum Claudianum [ედი´კტუმ კლაუდია´ნუმ „კლავდიანუსის ედიქტი“]
I. → exponere servum

edictum de alterutro [ედი´კტუმ დე ალტერუ´ტრო „ერთ-ერთის (ორიდან) ედიქტი“]
I. პრეტორის ედიქტის ნაწილი, რომლის ძალითაც ქვრივს შეეძლო მოეთხოვა საკუთარი მზითვის უკან დაბრუნება მეუღლის გარდაცვალების შემდეგ

edictum de appellationibus [ედი´კტუმ დე *აპპელლატიო´ნიბუს/აპპელლაციო´ნიბუს „ედიქტი აპელაციებზე“]
I. იმპერატორის ედიქტი, რომელიც ადგენდა იმპერატორთან სააპელაციო საჩივრების წარდგენისა და განხილვის წესებს

edictum de convicium [*ედი´კტუმ დე *კონვი´კიუმ/კონვი´ციუმ „ედიქტი ჩხუბის, შეურაცხყოფის შესახებ“] → convicium

edictum de feris [ედი´კტუმ დე ფე´რის „ედიქტი მხეცების შესახებ“]
I. ედილის ედიქტის ნაწილი, რომელიც ადგენდა ველური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებს

edictum Diocletiani [*ედი´კტუმ *დიოკლეტია´ნი/დიოკლეცია´ნი „დიოკლეტიანუსის ედიქტი“]
I. იმპერატორ დიოკლეტიანუსის მიერ გამოცემული ედიქტი, რომელიც მიმართული იყო სპეკულაციისა და მევახშეობის წინააღმდეგ. ედიქტით მაქსიმალური ფასი დაწესდა სურსათსა და ფუფუნების საგნებზე, ასევე – ხელფასის მყარი განაკვეთი ხელოსნებსა და მენარდეებზე მიუხედავად მკაცრი სანქციებისა, **e.**-მა სასურველ შედეგს ვერ მიაღწია

edictum Domitiani [ედი´კტუმ *დომიტია´ნი/დომიცია´ნი „დომიციანუსის ედიქტი“]
I. ედიქტი, რომელიც ანიჭებდა ცალკეულ ვეტერანებს პრივილეგიებს → veterani

edictum Hadriani de vicesima hereditatium [ედი´კტუმ ჰადრია´ნი დე *ვიკე´სიმა/ჰერედიტა´ტიუმ/ვიცე´ზიმა ჰერედიტა´ციუმ „ჰადრიანუსის ედიქტი მემკვიდრეობის მეოცედის შესახებ“]
I. ედიქტი, რომელიც ეხებოდა სამკვიდროს დაბეგვრის საკითხებს → missio in possessionem ex e-o H-i

edictum novum, **nova clausula** [ედი´კტუმ ნო´ვუმ, ნო´ვა *კლა´უსულა/კლა´უზულა „ახალი ედიქტი, ახალი კლაუზულა“]
I. ის სიახლეები, რომელთა დამატებაც ხდებოდა პრეტორის მიერ მისი წინამორბედის ედიქტში

edictum peregrinum [ედი´კტუმ პერეგრი´ნუმ „უცხოტომელთა, პერეგრინელთა ედიქტი“]
I. პერეგრინების პრეტორის ედიქტი

edictum peremptorium [ედი´კტუმ პერემპტო´რიუმ „საბოლოო (გადამწყვეტი) ედიქტი“]
I. სასამართლო პროცესზე გამოუცხადებელი მოპასუხისთვის გაგზავნილი ოფიციალური შეტყობინება იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესში მონაწილეო-

ბის მიღებაზე განმეორებით უარის თქმის შემთხვევაში პროცესი მის გარეშე ჩატარდებოდა

edictum perpetuum Hadriani [ედი´კტუმ პერპე´ტუუმ ჰადრია´ნი „ჰადრიანუსის მუდმივი ედიქტი“]
I. იმპერატორ ჰადრიანუსის დავალებით იულიანუსის მიერ გადამუშავებული ედიქტების კრებული

edictum praetorium, edictum praetoris urbani [ედი´კტუმ პრეტო´რიუმ, ედი´კტუმ პრეტო´რის ურბა´ნის „პრეტორული ედიქტი, ქალაქის პრეტორის ედიქტი“]
I. პრეტორის ედიქტი, ქვეყნდებოდა თანამდებობის დაკავებისას და შეიცავდა პრეტორის სამოქმედო პროგრამას მისი სამსახურის პერიოდში

edictum provinciale, **edictum praesidis** [ედი´კტუმ *პროვინკია´ლე/პროვინცია´ლე, ედი´კტუმ *პრე´სიდის/პრე´ზიდის „პროვინციის ედიქტი, დაცვის ედიქტი“]
I. პროვინციის მმართველის ედიქტი

edictum repentinum [ედი´კტუმ რეპენტი´ნუმ „მყისიერი ედიქტი“]
I. განსაკუთრებული შემთხვევისთვის გამოცემული ედიქტი, რომელიც ჩვეულებრივი ედიქტისგან განსხვავებით, გამოიცემოდა მაგისტრის მიერ არა თანამდებობის დაკავებისას, არამედ მას შემდეგ, რაც მაგისტრი შეუდგებოდა საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას

edictum successorium [ედი´კტუმ *სუკკესსო´რიუმ/სუკცესსო´რიუმ „სამემკვიდრეო ედიქტი“]
I. პრეტორის ედიქტის ნაწილი მემკვიდრეობითობის წესის შესახებ → bonorum possessio intestate

edictum Theodorici [ედი´კტუმ *თეოდორი´კი/თეოდორი´ცი „თეოდორიუსის ედიქტი“]
I. დას. რომაული სამართლის კანონთა კრებული, რომელიც გამოსცა თეოდორიხმა და რომელიც ძალაში იყო რომაელებისათვის და დას. გოთებისთვის; მიეკუთვნება leges Romanae barbarorum-ს

edictum tra(ns)laticium, **edictum vetus** [ედი´კტუმ *ტრანსლატი´კიუმ/ტრანსლატი´ციუმ, ედი´კტუმ ვე´ტუს „გადაცემული ედიქტი, ძველი ედიქტი“]
I. პრეტორის ედიქტის ნაწილი, რომელიც პრეტორმა თავისი წინამორბედისგან გადმოიღო

edictum Vespasiani [ედი´კტუმ ვესპასია´ნი „ვესპასიანუსის ედიქტი“]
I. ვესპასიანუსის ედიქტი ექიმთა და მასწავლებელთა ზოგიერთი პირადი და საგადასახადო პრივილეგიის შესახებ

effectus [ეფფე´კტუს „ჩადენა“] ეფექტი
I. ქმედება, რეზულტატი

efficax [ეფფი´კაქს „საიმედო, მოქმედი“]
I. ნამდვილი, ძალაში მყოფი

effusa et deiecta [*ეფფუ´სა/ეფფუ´ზა ეტ დეიე´კტა „გადასხმული და გადაგდებული“] →actio de e-is et d-is

egregius [ეგრე´გიუს „დიდებული“]

I. იმპერატორის პროკურატორების ტიტული, მხედართა კლასის წარმომადგენელთათვის

eiurare [ეიურა´რე „ფიცის დადება“]
I. დაფიცება, დამოწმება ფიცით, მაგ., კანონების დაცვა iurare in leges

ekloge, **e. ton nomon, ecloga Leonis** [ეკლო´გე, ე. ტონ ნო´მონ, ეკლო´გა ლეო´ნის „ამონარიდები. კანონთა ამონარიდები. ლეონის ამონარიდები“]
I. ბერძნულ ენაზე შესრულებული ამონარიდები Corpus iuris civilis-იდან და უფრო გვიანდელი კონსტიტუციებიდან, შესრულებულია დაახლ. 750 წ. ლეონ III-ის განკარგულებით ბიზანტიური სასამართლო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობისთვის; ანალოგიური **e**. იქმნებოდა ბიზანტიაში მოგვიანებითაც →epanagoge

electio [*ელე´კტიო/ელე´კციო „არჩევა“] ელექცია
I. არჩევანი, რომელსაც აკეთებდა მოვალე ან კრედიტორი ალტერნატიული შესაძლებლობის შემთხვევაში. ელექცია მოსამართლის არჩევისას (→optio), რომელიც ხელს აძლევდა ორსავე მხარეს, რამდენიმე შემოთავაზებული კანდიდატურებისგან

elementum [ელემე´ნტუმ] ელემენტი
III. „ავაზაკი პირებისა და კონტრრევოლუციანურ ელემენტების მიერ თვითნებითი ჩხრეკვისა და დაპატიმრების მოსასპობად...“ (ბრძანება 31 – 1921, აქტები 1918-1978, I, გვ. 27)

emancipatio [*ემანკიპა´ტიო/ემანციპა´ციო „გათავისუფლება“] ემანსიპაცია
I. შვილების ან შვილიშვილების გათავისუფლება მამის ძალაუფლებისაგან
II., III. სამეწარმეო ურთიერთობების სფეროში არასრულწლოვანის სრულ ქმედუნარიანად გამოცხადება. „არასრულწლოვანის ემანსიპაცია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 65-ე მუხლი)

emancipatio lustiniana [*ემანკიპა´ტიო/ემანციპა´ციო იუსტინია´ნა „იუსტინიანუსის ემანსიპაცია“]
I. შვილის ემანსიპაცია შესაბამის უწყებაში მამის დარეგისტრირებული განცხადების საფუძველზე

emancipatio Saxonica, e. iuris germanici [*ემანკიპა´ტიო/ემანციპა´ციო საქსო´ნიკა, *ე. იუ´რის *გერმა´ნიკი/გერმა´ნიცი „საქსონიური ემანსიპაცია, გერმანული სამართლის ემანსიპაცია“]
I. ემანსიპაცია ვაჟის მიერ საკუთარი მეურნეობის შექმნის ან ქალიშვილის გათხოვების საფუძველზე

emendatio [*ემენდა´ტიო/ემენდა´ციო „გამოსწორება“] ემენდაცია
I. მამის მიერ ვაჟის ან ქალიშვილის დასჯა

emigratio [*ემიგრა´ტიო/ემიგრა´ციო „გადასახლება, გამგზავრება“] ემიგრაცია
I. მცხოვრებთა გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე
II. პირთა იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება საკუთარი სამშობლოდან სხვა სახელმწიფოში. „საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან ემიგრაციის, ანუ სხვა სახელმწიფოში მუდმივად საცხოვრებლად გამგზავრების ... უფლება“ (საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ – 1993, მე-3(1) მუხლი)

III. „საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991)

eminentissimus [ემინენტი´სსიმუს „ყველაზე აღმატებული“]
I. უმაღლესი საიმპერატორო მოხელეთა ტიტული მხედართა კლასიდან →praefectus praetorio, შემდგომში ასევე p. vigilum. იხ. აგრ. egregius; illustris

emissio [ემი´სსიო „გამოშვება“] ემისია
I. გამოშვება
II. „ემისია – ლარის ბანკნოტებისა და მონეტების ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვება“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(კ) მუხლი)
III. „ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში (ხოლო საჯარო შეთავაზების შემთხვევაში – ემისიის პროსპექტშიც), ამ კლასის აქციების განთავსებამდე.“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, (52(1[1])-ე მუხლი)

emittens, -ntis [ემი´ტტენს „გამომშვები, გამომცემი“] ემიტენტი
II. ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ფულის ან ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გამოშვების უფლება. „კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, პრეამბულა)
III. „აუდიტის ჩატარება სავალდებულოა ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისა და საინვესტიციო ინსტიტუტებისთვის“ (საქართველოს კანონი აუდიტორული საქმიანობის შესახებ – 1995, მე-15(გ) მუხლი)

emphyteusis (ბერძნ.) [ემფიტე´უსის „მიწის ნაკვეთის დამუშავების მოვალეობა“] ემფიტევსისი
I. 1. გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარა →ius emphyteuticum; 2. იუსტინ.-ის სამ-ში საველე მიწის ნაკვეთების მუდმივი მემკვიდრეობითი იჯარა

emptio venditio [*ე´მპტიო *ვენდი´ტიო/ე´მპციო ვენდი´ციო „ყიდვა-გაყიდვა“]
I. ნასყიდობის შესახებ შეთანხმება

emptor [ე´მპტორ „მყიდველი“]
I. მყიდველი, შემძენი

emptor bonae fidei → b. f. e.

emptor bonorum → b. e.

emptor familiae → f. e.

emptor hereditatis → cessio

enchiridium (ბერძნ.) [ენხირი´დიუმ „შემწეობა, შესაწევარი“] ენხირიდიუმი
I. შრომის დასახელება, რომელიც, როგორც ჩანს, თავის მოწაფეებს უკარნახა პომპონიუსმა; აღნიშნული ნაშრომიდან შემორჩა იულიანუსამდელი რომ. სამართალმცოდნეობის ისტორიის შესახებ ღირებული ნაწყვეტი

epanagoge, epanagoge ton nomon (ბერძნ.) [ეპანაგოგე´ ტონ ნო´მონ „გამოსვლა“, „კანონის გამოსვლა“] ეპანაგოგე
I. (879-86), ბიზანტ. იურ. დამხმარე წიგნი (ადრინდელი →ekloge-ს მსგავსი)

epanagoge aucta (ბერძნ.) [ეპანაგოგე´ ა´უკტა „შევსებული, ეპანაგოგე“]
I. ანალოგიური კომპილაცია, X ს. იხ. აგრ. prochiron

epibole (ბერძნ.) [ეპიბოლე´ „ხელყოფა“] ეპიბოლე
I. იძულებითი იჯარა მიწის ნაკვეთისა, რომლის მესაკუთრემაც მიატოვა იგი ან არ სურს მისი დამუშავება → ager desertus

episcopus (ბერძნ.) [ეპი´სკოპუს „დამცველი“, „დამკვირვებელი“] ეპისკოპოსი
I. ეპისკოპოსი თავის ეპარქიაში აღასრულებდა მართლმსაჯულებას სასულიერო პირთა შორის კლას. შმდ. პერიოდში კი გამოდიოდა მოსამართლის როლში საერო პირებს შორის დავის გადაწყვეტისას (**episcopalis audientia**). იხ. აგრ. ecclesia; ius canonicum

epistula (ბერძნ.) [ეპი´სტულა „წერილი“] ეპისტულა
I. დოკუმენტი, წერილი, ნაწილობრ. სინ. libellus; litterae

epistulae principum [ეპი´სტულე *პრი´ნკიპუმ/პრი´ნციპუმ „პრინკეპსის (პრინცეპსის) ეპისტოლე“]
I. იმპერატორის წერილი. იმპერატორები წერილის ფორმით აცხადებდნენ ზოგიერთ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას

epitome (ბერძნ.) [ეპიტომე´ „ამონარიდი“] ეპიტომე
I. ვრცელი იურ. ნაშრომის შემოკლებული ტექსტი

epulo, -onis [მრ. რ. epulones ე´პულო „ნადიმი“] ეპულონი, ეპულონები
I. ქურუმთა კოლეგია, რომელიც შედგებოდა 3, შემდეგ – 7, ბოლოს კი – 10 წევრისაგან, მათ ევალებოდათ ნადიმების მოწყობა დღესასწაულებთან და საზოგ. თამაშებთან დაკავშირებით (lex Domitia)

equites [ე´კვიტეს „მხედარი“] ეკვიტები
I. 1. პატრიციული მხედრობა, თავდაპ. რომ. ჯარის ბირთვი, შემდგომში 18 დამოუკიდებელი პატრიციულ-პლებეური ცენტურიონი (exercitus centuriatus); 2. **e. legionis, e. equo privato**, რომელთაც თვითონ უნდა შეეძინათ ცხენები და საკუთარი სახსრებით ერჩინათ, მსახურობდნენ ყველა ლეგიონში და კავალერისტთა ქვედანაყოფებში და არ ჰქონდათ არისტოკრატ. პრივილეგიები. 3. ფინანსური არისტოკრატია, რომელიც ძვ. წ. IV-III სს-ში განვითარდა ეკვიტებისგან და წარმატებული პლებეი ვაჭრებისა და საქმოსნებისგან

(h)ercto non cito [(ჰ)ე´რკტო ნონ კი´ტო/ცი´ტო „გაუყოფელი მემკვიდრეობა“]

I. სინ. **consortium** (უფრო ვიწრო გაგებით), უძველესი დროის ოჯახური გაერთიანება, სადაც მამის სიკვდილის შემდეგ მონაწილეობას აგრძელებდნენ მისი ვაჟიშვილები filii familias: მათ არ გააჩნდათ ზუსტად განსაზღვრული წილი, ყველაფერი (მათ რიცხვში მოგვიანებით შეძენილიც) ეკუთვნოდა ყველას, თითოეულს ჰქონდა უფლება ნებისმიერი საერთო ნივთით სარგებლობისა, რომელიც ავალდებულებდა სხვა დანარჩენებს. მხოლოდ ძვ. წ. V ს-ში გაერთიანების ყველა წევრი იღებდა გაერთიანების გაუქმების და გაყოფის უფლებას →actio familiae erciscundae. რომ. მემკვიდრეობითი სამართლის განვითარების კვალდაკვალ

e. n. c. ქვეითდებოდა. გვ. რესპუბლიკის პერიოდში ის უკვე აღარ გვხვდება. იხ. აგრ. erus; societas

eremodicium (ბერძნ.) [*ერემოდი´კიუმ/ერემოდი´ციუმ „მიტოვებული“]
I. სამართალწარმოება ერთ-ერთი მხარის გაუმართლებელი გამოუცხადებლობის შემთხვევაში; იხ. აგრ. absens; contumacia 1

ereptorium [ერეპტო´რიუმ „გამოგლეჯა, წართმევა“]
I. მემკვიდრეობა, რომელიც ჩამოერთვა მემკვიდრეს მამკვიდრებლის მიმართ უღირსი საქციელის გამო. იხ. აგრ. caducum

ergastulum (ბერძნ.) [ერგა´სტულუმ „ციხე“]
I. კატორღული ციხე მონებისათვის და სახ. სამუშაოებისათვის განწესებული პატიმრებისათვის

error [ე´რრორ „შეცდომა“]
I. შეცდომა, იურ.-ად არსებითი გარემოების შესახებ მცდარი წარმოდგენა, ნებისა და მისი გამოხატულების არდამთხვევა. შეცდომა ეხება მოქმედი პირის უშუალო ნების გამოხატვას (განსხვავებით გაუგებრობისგან →dissensus)

error calculi [ე´რრორ კა´ლკული „შეცდომა ანგარიშში“]
I. შეცდომა ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით

error essentialis [ე´რრორ *ესსენტია´ლის/ესსენცია´ლის „არსებითი შეცდომა“]
I. შეცდომა გარიგების არსებით რეკვიზიტებში

error facti [ე´რრორ ფა´კტი „ფაქტის შეცდომა“]
I. შეცდომა ფაქტობრივი გარემოების შესახებ

error falsae causae [ე´რრორ ფა´ლსე *კაუ´სე/კაუ´ზე „ყალბი სარჩელის შეცდომა“]
I. შეცდომა სამართლებრივ საფუძველში

error in corpora [ე´რრორ ინ კორპო´რა „საგანში შეცდომა“]
I. შეცდომა საგანში

error in materia, **e**. **in substantia** [ე´რრორ ინ მატე´რია, ე. ინ *სუბსტა´ნტია/სუბსტა´ნცია „შეცდომა მასალაში“, „შეცდომა სუბსტანციაში“]
I. შეცდომა საგნის მასალაში

error in negotio [ე´რრორ ინ *ნეგო´ტიო/ნეგო´ციო „შეცდომა გარიგებაში“]
I. შეცდომა გარიგების იურიდ. ხასიათთან დაკავშირებით

error in persona [ე´რრორ ინ პერსო´ნა „პიროვნებაში შეცდომა“]
I. შეცდომა პირის იდენტობაში

error in qualitate [ე´რრორ ინ კვალიტა´ტე „ხარისხში, თვისებაში შეცდომა“]

I. შეცდომა პირის ან საგნის თვისებაში

error in quantitate [ე´რრორ ინ კვანტიტა´ტე „შეცდომა რაოდენობაში“]
I. შეცდომა რაოდენობასთან ან ზომასთან დაკავშირებით

error in sexu [ე´რრორ ინ სე´ქსუ „შეცდომა სქესში“]
I. შეცდომა მონის სქესთან დაკავშირებით

error in virginitate [ე´რრორ ინ ვირგინიტა´ტე „შეცდომა ქალწულობაში“]
I. შეცდომა მონა ქალის ქალწულობასთან დაკავშირებით

error iuris [ე´რრორ იუ´რის „კანონის შეცდომა“]
I. შეცდომა კანონთან დაკავშირებით (→ignorantia)

error nominis [ე´რრორ ნო´მინის „შეცდომა სახელში“]
I. შეცდომა სახელთან ან დასახელებასთან დაკავშირებით

error probabilis [ე´რრორ პრობა´ბილის „შესაძლო შეცდომა“]
I. საპატიო ფაქტობრივი შეცდომა

erroris causae probatio → c. p.

erus [ე´რუს „ბატონი“]
I. სინ. herus, (მონის) ბატონი, მფლობელი; იხ. აგრ. ercto non cito; heres

essentialia negotii → negotium

eunuchus (ბერძნ.) [ეუ´ნუხუს „საძინებლის მცველი“, მრ. რ. eunuchi] ევნუხი
I. სინ. castrati, საჭურისები; მხოლოდ იუსტინ.-ის სამ.-ში არ ჰქონდათ ვინმეს შვილად აყვანის ან დაქორწინების უფლება იხ. აგრ. lex Cocceia 1; spadones

eventus [ევე´ნტუს „წარმოქმნილი, გამოსული“]
I. რეზულტატი, შედეგი

eventus fraudis →fraudationis causa gestu. იხ. აგრ. exitus

evictio [*ევი´კტიო/ევი´კციო „გამოთხოვნა“] ევიქცია
I. სასამართლო გადაწყვეტილებით მყიდველისთვის ნივთის მფლობელობის უფლების ჩამორთმევა მესაკუთრის ან უფლებამოსილი პირის სანივთო სარჩელის საფუძველზე

evocatio [*ევოკა´ტიო/ევოკა´ციო „გამოძახება“] ევოკაცია
I. კოგნ. წარმოებაში სასამართლოში გამოძახება

evocatio edicto [*ევოკა´ტიო/ევოკა´ციო ედი´კტო „გამოძახება ედიქტით“]
I. სასამართლოში გამოძახება განცხადებით

evocatio litteris [*ევოკა´ტიო/ევოკა´ციო ლი´ტტერის „წერილობითი გამოძახება“]
I. სასამართლოში გამოძახება წერილობითი ბრძანებით

exactio, exactus →exigere

exauguratio [*ექსაუგურა´ტიო/ექსაუგურა´ციო „პროფანაცია“] ექსაუგურაცია
I. სიწმინდის ჩამორთმევა, პროფანაცია – რელ. რიტუალი, რომლის შედეგადაც, →res sacra ხდება →res in commercio. იხ. აგრ. augures

excantare fruges [ექსკანტა´რე ფრუ´გეს „შელოცვა ნაყოფებისთვის“]

I. მაგიური ფორმულების მეშვეობით სხვისი მიწისთვის ნაყოფიერების წართმევა და მისი ნაყოფის საკუთარ მიწაზე გადმოტანა; XII დაფის კანონის თანახმად, ისჯებოდა სიკვდილით

excellentissimus [*ექსკელლენტი´სსიმუს/ექსცელლენტი´სსიმუს „უბრწყინვალესი“]

I. მაღალი საიმპერატორო ჩინოსნების ტიტული, უპირველეს ყოვლისა, praefectus praetorio-სი

exceptio [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო „ამოღება“] ექსცეფცია

I. 1. შენიშვნა უარყოფითი პირობის სახით (si non თუ არ), რომელიც საპროცესო ფორმულაში წინ უსწრებდა კონდემნაციას (condemnatio) და რომლის მიხედვითაც მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებული იყო მისი განცხადების სიმართლეზე; 2. შესაგებელი, რომელსაც მოპასუხე აკეთებდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით და რომლითაც ის ცდილობდა უარეყო მოსარჩელის უფლების არსებობა ან დაემტკიცებინა, რომ სარჩელის წარდგენის მომენტისთვის მოსარჩელეს არ შეეძლო მოეთხოვა მოპასუხისგან ვალდებულების შესრულება

exceptio annalis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ანნა´ლის „წლიური ამოღება“]

I. შესაგებელი, რომელიც გამოიყენებოდა იმ სარჩელის წინააღმდეგ, რომლის წარდგენაც ხდებოდა ერთწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ

exceptio annorum XXX vel XL [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ანნო´რუმ XXX ველ XL „XXX ან XL წლების ექსცეფცია“]

I. შესაგებელი, რომელიც მიმართული იყო სარჩელის წინააღმდეგ მისი ხანდაზმულობიდან გამომდინარე

exceptio bonorum possessionis non datae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ბონო´რუმ პოსსესსიო´ნის ნონ და´ტე „ექსცეფცია ქონების დასაკუთრებაზე“]

I. შესაგებელი, რომელიც უარყოფს მოსარჩელის როგორც b. possessor-ის საპროცესო ლეგიტიმაციას

exceptio cessionis bonorum →e. nisi bonis cesserit

exceptio civiles [*ექსკე´პტიო *კი´ვილეს/ექსცე´პციო ცი´ვილეს „სამოქალაქო ამოღება“]

I. ეფუძნებოდა აკრძალვას, რომელსაც შეიცავდა ერთ-ერთი კანონთაგანი ან senatusconsultum (საპ. e. honorariae)

exceptio cognitoria [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო კოგნიტო´რია „კოგნიტორიული ექსცეფცია“]

I. შესაგებელი, რომელიც ეხებოდა უფლებამოსილების ნამდვილობას ან cognitor-ის პროცესუალურ უფლებაუნარიანობას

exceptio conventionis [*ექსკე´პტიო *კონვენტიო´ნის/ექსცე´პციო კონვენციო´ნის „შეთანხმების ექსცეფცია“]

I. შესაგებელი, რომელიც ეფუძნებოდა სპეციალურ შეთანხმებას, რომელიც გამორიცხავდა სარჩელის დასაშვებობას

exceptio curatoria, **exceptio curationis** [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო კურატო´რია, *ექსკე´პტიო *კურატიო´ნის/ექსცე´პციო კურაცი´ონის „მეურვეობის ექსცეფცია“]
I. უარყოფს curator-ის საპროცესო უფლებამოსილებებს

exceptio dilatoriae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო დილატო´რიე „გადავადების ექსცეფცია“]
I. დილატორული ან გადადებითი, სინ. **e. temporales;** მოქმედებდნენ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში ან განსაზღვრული პირის წინააღმდეგ და დროებით გამორიცხავდნენ სარჩელის დასაშვებობას (საპ. e. peremptoriae); კოგნ. წარმოებაში **e. d**. მხოლოდ გადაავადებდა სასარჩელო მოთხოვნის აღსრულებას

exceptio doli [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო დო´ლი „ცბიერების ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომელიც კეთდებოდა მოსარჩელის არაკეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით

exceptio excussionis [*ექსკე´პტიო *ექსკუსსიო´ნის/ექსცე´პციო ექსკუზიო´ნის „თანამიმდევრობის ექსცეფცია“]
I. დამგირავებელი მოპასუხის შესაგებელი, რომ მოსარჩელეს თავდაპირველად უნდა მიემართა ძირითადი მოვალისთვის და მისი თავდებისთვის (e. e. personalis) ან გამოეთხოვა ნივთი სხვა თანამიმდევრობით (e. e. realis)

exceptio interrogatoria [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ინტერროგატო´რია „გამოკითხვის ექსცეფცია“]
I. სინ. **e. responsionis non factae** გამოიყენებოდა, თუ მოპასუხე ამტკიცებდა, რომ საერთოდ არ უპასუხია კითხვაზე, იყო თუ არა ის მემკვიდრე და რა წილის → interrogatio in iure

exceptio iusti domini [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო იუ´სტი დო´მინი „მესაკუთრის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომლითაც მესაკუთრე თავს იცავს კვირიტული სამართლის მიხედვით ბონიტარული მესაკუთრის ან possesor bonae fidei-სგან – actio Publiciana

exceptio legis Cinciae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლე´გის *კი´ნკიე/ცი´ნციე „ცინციუსის კანონის ექსცეფცია“]
I. აპროტესტებს სარჩელს lex C-a-ს საწინაღმდეგოდ მიცემული ჩუქების დაპირების შესრულების შესახებ

exceptio legis Falcidiae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლე´გის *ფალკი´დიე/ფალცი´დიე „ფალკიდიუსის კანონის ექსცეფცია“]
I. ეძლევა მემკვიდრეს (ლეგატარის სარჩელის საწინააღმდეგოდ), რათა მისი quarta F-a დარჩეს ხელშეუხებელი

exceptio legis Plaetoriae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლე´გის პლეტო´რიე „პლეტორიუსის კანონის ექსცეფცია“]
I. ნებას რთავდა არასრულწლოვანს, თავიდან აეცილებინა ნებისმიერი სარჩელი, რომელიც წარდგენილი იყო მის წინააღმდეგ სრულწლოვანი პირის მიერ

exceptio libertatis onerandae causa [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლიბერტა´ტის ონერა´ნდე *კა´უსა/კა´უზა „თავისუფლების ტვირთის ექსცეფციის სარჩელი“]

l. იცავს მონობისგან გათავისუფლებულ პირს მისი ყოფილი პატრონის სარჩელისგან იმ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდებოდა ius patronatus-ის ჩარჩოებს, მაშინაც კი, თუ მონობისგან გათავისუფლებული პირი მეტ-ნაკლებად იძულებით, პირდებოდა შეესრულებინა შესაბამისი ვალდებულება

exceptio litigiosi, exceptio rei l-ae [*ექსკე´პტიო *ლიტიგიო´სი/ექსცე´პციო ლიტიგიო´ზი „დავის ექსცეფცია, სადავო საქმეთა ექსცეფცია“]
l. სინ. **e. rei l-ae**. პირვანდელი მოპასუხის დაცვა ნივთის (არამართლზომიერი) შემძენის სარჩელის წინააღმდეგ, რომელზეც წარმოებდა დავა →edictum Augusti 3; res l-a

exceptio litis dividuae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლი´ტის დივი´დუე „გაყოფილი დავის ექსცეფცია“]
l. შესაგებელი, რომელსაც აყენებდა მოპასუხე სარჩელისაგან, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა იმ დარჩენილი ვალდებულების შესრულებას, რომლის ნაწილთან დაკავშირებითაც ამ უკანასკნელს იმავე პრეტორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში სარჩელი ადრე უკვე ჰქონდა წარდგენილი. იხ. აგრ. e. l. residuae

exceptio litis pendentis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლი´ტის პენდე´ნტის „მიმდინარე დავის ექსცეფცია“]
l. ჩვეულებრივ სამართალში იცავდა მოპასუხეს მეორე სარჩელის წინააღმდეგ, ვიდრე იმავე შინაარსის პირველი სარჩელი არ იქნებოდა უკან გამოხმობილი.

exceptio litis residuae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლი´ტის *რესი´დუე/რეზი´დუე „დარჩენილი დავის ექსცეფცია“]
l. →e. l. dividuae

exceptio longi temporis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ლო´ნგი ტე´მპორის „ხანგრძლივი დროის ექსცეფცია“]
l. სინ. praescriptio 3

exceptio mercis non traditae [*ექსკე´პტიო *მე´რკის/ექსცე´პციო მე´რცის ნონ ტრადი´ტე „არამოპარული დავის ექსცეფცია“]
l. შესაგებელი, რომელიც კეთდებოდა გამყიდველის სარჩელთან დაკავშირებით, რომელიც ითხოვდა ნასყიდობის ფასის გადახდას და რომელსაც თვითონ არ ჰქონდა მოპასუხისთვის გადაცემული გაყიდული ნივთი

exceptio metus, e. quod m. causa, e. de m-u [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო მე´ტუს, ე. კვოდ მ. *კა´უსა/კა´უზა, ე. დე მე´ტუ „შიშის ექსცეფცია“]
l. შეიცავდა მოპასუხის მტკიცებას, რომ ვალდებულებებით თავის შებოჭვა მას აიძულა საფუძვლიანმა შიშმა

exceptio ne pignori [hypothecaeve] sit res [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ნე პიგნო´რი (ჰიპოთე´კევე) სიტ რეს „იპოთეკით დაუტვირთავი ნივთის ექსცეფცია“]
l. actio hypothecarias-თან დაკავშირებით წარდგენილი შესაგებელი, რომლის მიხედვითაც ნივთი საერთოდ არ იყო დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული

exceptio ne praeiudicium hereditati fiat [*ექსკე´პტიო ნე *პრეიუდი´კიუმ/ექსცე´პციო ნე პრეიუდი´ციუმ ჰერედიტა´ტი ფი´ატ „მემკვიდრეობის წინასწარ არცოდნის ექსცეფცია“]

I. →praeiudicium

exceptio negotii in alea gesti [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო *ნეგო´ტიი/ნეგო´ციი ინ ა´ლეა გე´სტი „ნაძლევზე დაფუძნებული საქმის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომლის დაპირისპირებაც ხდებოდა სანაძლეოზე დაფუძნებული სარჩელისთვის

exceptio nisi bonis cesserit, e. cessionis bonorum [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო *ნი´სი/ნი´ზი ბო´ნის *კე´სსერიტ/ცე´სსერიტ, ე. *კესიო´ნის/ცესიო´ნის ბონო´რუმ „ქონების დათმობის ექსცეფცია“]
I. იცავს გადახდისუუნარო მოვალეს, რომელმაც ნებაყოფლობით დაუთმო თავისი ქონება კრედიტორებს, ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევისგან

exceptio non adimpleti contractus [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ნონ ადიმპლე´ტი კონტრა´კტუს „შეთანხმების არშემსრულებლის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი იმ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომელსაც საკუთარი საპასუხო ვალდებულება მოპასუხის წინაშე არ ჰქონდა შესრულებული

exceptio non numeratae pecuniae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ნონ ნუმერა´ტე პეკუ´ნიე „ფულის არმითვლის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომლის საფუძველზეც მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მას არ მიუღია მოსარჩელისგან ის ფულადი თანხა, რომლის მიღების ხელწერილიც მან გასცა მოსარჩელეზე

exceptio pacti [conventi] [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პა´კტი (კონვე´ნტი) „პაქტის (შეთანხმების) ექსცეფცია“]
I. ეფუძნებოდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებას, რომელიც ან საერთოდ გამორიცხავდა მოსარჩელის მოთხოვნის უფლებას ან ახდენდა მის გადავადებას

exceptio pecuniae pensatae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პეკუ´ნიე პენსა´ტე „ფულის კომპენსაციის ექსცეფცია“]
I. იყენებს თავისი მოთხოვნების კომპენსაციისათვის არგენტარიუსს, რომელსაც სარჩელს წარუდგენს მისი კლიენტი

exceptio peremptoriae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პერემპტო´რიე „საბოლოო ექსცეფცია“]
I. სინ. e. perpetuae მუდმივი ან გამომრიცხველი **e**. ისინი შეიძლებოდა გამოყენებულიყო ნებისმიერ დროს (განსხვავებით e. dilatoriae-სგან), ამასთან ისინი სამუდამოდ გამორიცხავენ სარჩელის დასაშვებობას

exceptio personae cohaerentes [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პერსო´ნე კოჰერე´ნტეს „ერთმანეთთან დაკავშირებული პირების ექსცეფცია“]
I. შეეძლო გამოეყენებინა მხოლოდ განსაზღვრულ მოპასუხეს, განსაკუთრებული დაცვის მქონეს

exceptio plurium concumbentium [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პლუ´რიუმ *კონკუმბე´ნტიუმ/კონკუმბე´ნციუმ „მრავალი სქესობრივი კავშირის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომლის საფუძველზეც მოპასუხე ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ კრიტიკულ პერიოდში ბავშვის დედასთან სქესობრივი კავშირი ჰქონდა სხვა მამაკაცებსაც

exceptio procuratoria [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო პროკურატო´რია „პროკურატორის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომელიც ეხება procurator 2-ის პროცესუალურ უფლებამოსილებებს

exceptio Publiciana [*ექსკე´პტიო *პუბლიკია´ნა/ექსცე´პციო პუბლიცია´ნა „პუბლიციუსის ექსცეფცია“]
I. ენიჭება მოსარჩელეს, რომელსაც თავის განმგებლობაში აქვს actio P. ასეთი უფლებით აღჭურვილ ორ ადამიანს შორის იმარჯვებს ის, რომელსაც უპირატესობა აქვს პრეტორული სამართლის მიხედვით

exceptio quae minuunt condemnationem [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო კვე მი´ნუუნტ *კონდემნატიო´ნემ კონდემნაციო´ნემ „პასუხისმგებლობის შემცირების ექსცეფცია“]
I. კლას. შმდ. სამ-ში განაპირობებდნენ პასუხისმგებლობის დაკისრებას უფრო მცირე თანხაზე, ვიდრე ეს სარჩელით იყო მოთხოვნილი. იხ. აგრ. Compensatio

exceptio quod praeiudicium hereditati non fiat [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო კვოდ *პრეიუდი´კიუმ/პრეიუდი´ციუმ ჰერედიტა´ტი ნონ ფი´ატ „წინაპირობის არქონის ექსცეფცია“]
I. ანალოგიური იყო **e. q. p. fundo** non f. (რათა მოსამართლეებს მარტო არ გადაეწყვიტათ საქმეები, რომლებიც შედიოდა ცენტუმვირალური სამართლის კომპეტენციაში)

e. Q. vi aut clam → interdictum Q. vi a. c.

exceptio redhibitoria, e. rehibitionis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რედჰიბიტო´რია/ე. *რეჰიბიტიო´ნის/რეჰიბიციო´ნის „უკანდაბრუნების ექსცეფცია“]
I.შესაგებელი, რომელიც ეხება ნასყიდობის საგნის არსებით ნაკლს, რაც იძლევა ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს

exceptio rei cohaerentes [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი კოჰერე´ნტეს „კოჰერენტული საქმის ექსცეფცია“]
I. შეეძლო გამოეყენებინა ნებისმიერ მოპასუხეს და ნებისმიერი პირის წინააღმდეგ (საპ. **e**. **personae c**.)

exceptio rei donatae et traditae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი დონა´ტე ეტ ტრადი´ტე „ბოძებული ან გადაცემული ნივთის ექსცეფცია“]
I. დასაჩუქრებულის სასარგებლოდ, რომელიც მხოლოდ ფლობს ნივთს, მჩუქებლის საწინააღმდეგოდ (ან მისი, ვისაც მჩუქებელმა დამატებით გადასცა ნივთზე საკუთრების უფლება)

exceptio rei in iudicium deductae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი ინ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ დედუ´კტე „სასამართლოში გადაცემული ნივთების ექსცეფცია“]
I. სარჩელი, რომლითაც ხდება სარჩელისთვის – eadem res – დაპირისპირება, რომელზეც ადრე იყო დადებული →litis contestatio

exceptio rei iudicatae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რეი იუდიკა´ტე „განჩინებული საქმის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი იმავე სარჩელზე – eadem res, რომელთან დაკავშირებითაც მოსამართლემ უკვე წინა პროცესზე გამოიტანა გადაწყვეტილება

exceptio rei litigiosae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რეი ლიტიგიო´ზე „სადავო ნივთის ექსცეფცია“] l. → e. litigiosi

exceptio rei residuae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი *რესი´დუე/რეზი´დუე „ნარჩენ ნივთთა ექსცეფცია“] l. → e. litis r.

exceptio rei sibi ante pigneratae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი სი´ბი ა´ნტე პიგნერა´ტე „წინა გირავნობის ექსცეფცია“]
l. →actio hypothecaria-ს წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებელი, რომლის მიხედვითაც მოპასუხეს ენიჭებოდა უფრო ადრინდელი ან ასეთივე გირავნობის უფლება, როგორიც მოსარჩელეს

exceptio rei s. p. [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რეი სი´ბი პიგნერა´ტე „გირავნობის ექსცეფცია“]
l. მოგირავნის შესაგებელი დამგირავებლის მიმართ, რომელიც სავინდიკაციო სარჩელის მეშვეობით ცდილობდა დაგირავებული ნივთის უკან დაბრუნებას, ვიდრე იგი შეასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას

exceptio rei venditae ac traditae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რე´ი ვენდი´ტე აკ ტრადი´ტე „გაყიდული და ასევე გადაცემული ნივთის ექსცეფცია“]
l. მოპასუხის შესაგებელი, რომლის დაპირისპირებაც ხდებოდა სავინდიკაციო სარჩელისთვის. აღნიშნული შესაგებლით მოპასუხე ამტკიცებდა, რომ მას სადავო ნივთი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა და რომ ის იყო ამ ნივთის კანონიერი მფლობელი, რომელსაც ვერ ჩამოერთმეოდა ნივთი სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე

exceptio responsionis non factae [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რესპონსიო´ნის ნონ ფა´კტე „პასუხის არგაცემის ექსცეფცია“]
l. სინ. e. interrogatoria

exceptio restitutae hereditatis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო რესტიტუ´ტე ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის უკანდაბრუნების ექსცეფცია“]
l. სინ. exceptio sc. Trebelliani შესაგებელი განკუთვნილი იმ პირის დასაცავად, რომელმაც მამკვიდრებლის ნების თანახმად, მთელი ქონება გადასცა ფიდეიკომისარიუსს და რომლის წინააღმდეგაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა წარადგინეს სარჩელი

exceptio sc. Trebelliani [ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ტრებელლია´ნი „ტრებელიანუსის რეკომენდაციის ექსცეფცია“]
l. სინ. e. restitutae hereditatis

exceptio sc. Velleiani [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო სკ. ველლეია´ნი „ველეიანუსის სენატის რეკომენდაციის ექსცეფცია“]
l. სინ. e. intercessionis

exceptio si quid contra legem vel senatusconsultum factum sit [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო სი კვიდ კო´ნტრა ლე´გემ ველ სენატუსკო´ნსულტუმ ფა´კტუმ სიტ „კანონისა და სენატის რეკომენდაციის საწინააღმდეგო ექსცეფცია“]
l. გენერალური ექსცეფცია პრეტორული ედიქტის, რომელსაც ეყრდნობიან სპეციალური ექსცეფციები, მაგ., e. legis Cinciae, e. sc. Macedoniani

exceptio spolii [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო სპო´ლიი „წართმეულის ექსცეფცია“]
I. იმ მოპასუხის შესაგებელი, რომელსაც თვითნებურად ჩამოართვეს ნივთის მფლობელობა. მოპასუხეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ჩამორთმეულ ნივთთან დაკავშირებით ყველა სამართლებრივი დავის წარმოების შეჩერება, ვიდრე არ მოხდებოდა მისთვის ნივთის უკან დაბრუნება

exceptio subreptionis [*ექსკე´პტიო *სუბრეპტიო´ნის/ექსცე´პციო სუბრეპციო´ნის „თაღლითობის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი რესკრიპტის წინააღმდეგ, რამდენადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები იმპერატორს მოახსენეს არასწორად

exceptio temporis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ტე´მპორის „დროის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი ხანდაზმული სარჩელის წინააღმდეგ, რომლისთვისაც მაგისტრატის ედიქტი აწესებდა ერთწლიან (2 ან 6 თვიან) ვადას წარდგენისთვის. იხ. აგრ. annalis, actiones temporales

exceptio transactionis [*ექსკე´პტიო *ტრანსაკტიო´ნის/ექსცე´პციო ტრანსაკციო´ნის „შეთანხმების ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომელიც ეფუძნებოდა მხარეებს შორის გაფორმებულ მორიგების ხელშეკრულებას, რომელიც გამორიცხავდა სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას

exceptio tutoria [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ტუტო´რია „სამეურვეო ექსცეფცია“]
I. შესაგებელი, რომელიც ეხებოდა tutor-ის საპროცესო უფლებამოსილებებს

exceptio ususfructus [*ექსკეპტიო *უსუსფრუ´კტუს/ექსცე´პციო უზუსფრუ´კტუს „უზუფრუქტის ექსცეფცია“]
I. მფლობელობის უფლების მქონე პირის შესაგებელი მესაკუთრის სავინდიკაციო სარჩელის წინააღმდეგ, რომელიც ფლობდა მხოლოდ nudum ius Quiritum-ს

exceptio vitiosae possessionis [*ექსკე´პტიო/ექსცე´პციო *ვიტიო´სე/ვიციო´ზე პოსსესსიო´ნის „ნაკლიანი მფლობელობის ექსცეფცია“]
I. შესაგებელი რომელიც ინტერდიქტულ წარმოებაში იცავს კეთილსინდისიერ მფლობელს იმის საწინააღმდეგოდ, ვინც შეიძინა მფლობელობა vi clam precario, interdictum de vi

exceptiones honorariae [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს ჰონორა´რიე „საპატიო თანამდებობათა ექსცეფციები“]
I. ემყარებოდა პრეტორის მიერ შემოღებულ აკრძალვას

exceptiones in factum [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს ინ ფა´კტუმ „ფაქტთან დაკავშირებული ექსცეფციები“]
I. პრეტორი იძლეოდა ცალკეული შემთხვევის სპეციფიკურ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც არ ექცეოდა არც კანონის და არც ედიქტის ქვეშ (ანალ. actiones in f.)

exceptiones in personam [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს ინ პერსო´ნამ „პერსონალური ექსცეფციები“]
I. შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო მხოლოდ განსაზღვრული პირის წინააღმდეგ, რომელიც დასახელებული იყო ფორმულაში (საპ. e. in rem)

exceptiones in rem [scriptae] [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს ინ რემ [სკრი´პტე „წერილობითი საქმის ექსცეფციები“]
I. ემყარებოდა მხოლოდ ფაქტებს, ამიტომ მოპასუხეს შეეძლო გამოეყენებინა ნებისმიერი პირის წინააღმდეგ (საპ. e. in personam)

exceptiones intercessionis [*ექსკეპტიო´ნეს *ინტერკესსიო´ნის/ექსცეპციო´ნეს ინტერცესსიო´ნის „თავდებობის ექსცეფციები“]
I. სინ. e. sc. Velleiani იცავდა ქალს, რომელიც აკრძალვის მიუხედავად თავდებად უდგებოდა პირს

exceptiones praeiudiciales [*ექსკეპტიო´ნეს *პრეიუდიკია´ლეს/ექსცეპციო´ნეს პრეიუდიცია´ლეს „წინაპირობის ექსცეფციები“]
I. პრეტორი გარემოების მიხედვით ათავსებდა მათ ფორმულაში, თუ წარმოიქმნებოდა ეჭვი, არსებობდა თუ არა განსაზღვრული წანაპირობა სარჩელის წარსადგენად

exceptiones utiles [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს უ´ტილეს „სასარგებლო ექსცეფციები“]
I. გასცემდა პრეტორი, გვერდს უვლიდა რა ფორმულას, რომელიც ადრე გამოიყენებოდა

exceptiones vulgares [*ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს ვულგა´რეს „მდაბიო, იაფფასიანი ექსცეფციები“]
I. ეფუძნებოდა ედიქტში მოცემულ ფორმულას

excessus [*ექსკე´სსუს/ექსცე´სსუს „გამოსვლა, წასვლა“] ექსცესი
I. გადახვევა
II., III. „ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა“ (საქ. სისხ. სამ. კოდ. – 1999, 26(1)-ე მუხლი)

exclusivus (*საშ. ლათ.*) [*ექსკლუსი´ვუს/ექსკლუზი´ვუს „გამონაკლისი“] ექსკლუზიური
II. „თუ შემკვეთმა განსაზღვრული დროის განმავლობაში უარი უნდა თქვას სხვა მაკლერის გამოყენებაზე (ექსკლუზიური დავალება), მაშინ მაკლერი ვალდებულია ამ დროის მანძილზე ხელი შეუწყოს ხელშეკრულების დადებას“ (საქ. სამ. კოდ. – 1997, 746(1)-ე მუხლი)
III. „თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებანი ექსკლუზიურია“ (საქ. კონსტ. – 1995, 101^{2}(2)-ე მუხლი)

excusatio [*ექსკუსა´ტიო/ექსკუზა´ციო „გამართლება, მობოდიშება, უარი“, საპ. accusatio]
I. 1. პასუხისმგებლობიდან ან სასჯელისგან განთავისუფლება (საპ. teneri); 2. მართლზომიერი საფუძველი საჯარო თანამდებობიდან ან ვალდებულებისგან განთავისუფლებისათვის ან უარის თქმისთვის

excusatio tutelae, e. a tutela [*ექსკუსა´ტიო/ექსკუზა´ციო ტუტე´ლე, ე. ა ტუტე´ლა „უარი მეურვეობაზე“]

I. მეურვის ვალდებულებიდან განთავისუფლების თხოვნა (თავიდან დასაშვები იყო მხოლოდ ოფიციალური რწმუნებით მეურვეობისას) ხანდაზმულობის, ავადმყოფობის, მრავალშვილიანობის, სხვა მეურვეობის, საზოგადოებრივი ან სამხედრო სამსახურის გამო; იხ. აგრ. tutela inpuberum

exemplar [*ექსე´მპლარ/ეგზე´მპლარ „ნიმუში“] ეგზემპლარი
I. დოკუმენტის ორიგინალი

exemplum [*ექსე´მპლუმ/ეგზე´მპლუმ „სინჯი, ნიმუში“]
I. დოკუმენტის ასლი

exercitor navis [*ექსერკი´ტორ/ექსერცი´ტორ ნა´ვის „გემთმფლობელი“]
I. სინ. nauta, გემთმფლობელი, რომელსაც, როგორც წესი, სამუშაოდ აჰყავდა თითოეული ხომალდის მართვისათვის კაპიტანი (magister navis) და რომელიც პასუხს აგებდა თავის საქმიან ვალდებულებებზე →actio exercitoria

exercitus [*ექსერკი´ტუს/ექსერცი´ტუს „სახმელეთო ჯარი“]
I. არმია

exheredatio [*ექსჰერედა´ტიო/ექსჰერედა´ციო „მემკვიდრეობის წართმევა“] ექსჰერედაცია
I. სიტყვიერად გამოხატული ანდერძის სახე, რომელიც კანონიერი მემკვიდრეს მემკვიდრეობიდან გარიცხავდა

exheres [ექსჰე´რეს „მემკვიდრეობა წართმეული“]
I. კანონიერი მემკვიდრე, რომელიც გამორიცხულია მემკვიდრეობიდან

exhibitio [*ექსჰიბი´ტიო/ექსჰიბი´ციო „წარმოდგენა“] ექსჰიბიცია
I. ნივთის ან მონის სასამართლო პროცესზე წარდგენა

ex-humatio [*ექჰუმა´ტიო/ექსჰუმა´ციო „მიწიდან ამოღება (ცხედრის)“] ექსჰუმაცია
I. საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა ინტერდიქტულ სამართალში
II. საფლავიდან გვამის ამოღება სასამართლო-სამედიცინო ან კრიმინალისტიკური ექსპერტიზის მიზნით. „ამ თავის შესაბამისად, საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა უნდა მოიცავდეს სტატუსითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი საპროცესო მოქმედების შესრულებას ... ასეთ საპროცესო მოქმედებებს განეკუთვნება: მ) ექსჰუმაციის ჩატარება...“ (საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ – 2003, 32(მ)-ე მუხლი)
III. „სასამართლო განხილვისა და სააპელაციო წარმოების სტადიებზე მტკიცებულებათა შეკრება სასამართლოს შეუძლია დაავალოს გამომძიებელს ან პროკურორს, თუ ამისათვის საჭიროა ჩხრეკა, ამოღება, გვამის ექსჰუმაცია ან სხვა საგამოძიებო მოქმედება, რომლის ჩატარებაც სასამართლო სხდომაზე ვერ ხერხდება.“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 1998, 128(4)-ე მუხლი)

exilium, exsilium [ექსი´ლიუმ/ეგზი´ლიუმ „განდევნა“]
I. სამშობლოს საკუთარი ნებით მიტოვება (სამუდამოდ), რომლის მეშვეობითაც რომ. მოქალაქეებს (როგორც ჩანს, მაღალი წრიდან და ძირითადად პოლიტიკური დელიქტების გამო) შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ სასიკვდილო განაჩენი ან სასჯელი (**ius e-i**). გვ. რესპუბლიკაში სასიკვდილო განაჩენში იგულისხმებოდა

განდევნაც, ამიტომ **e**-მ მიიღო დასჯის ხასიათი. კოგნიც.-მა წარმოებამ მოიტანა **e**-ს ახლებური გაგება, რომელიც ახლა საერთოდ არ იყო დამოკიდებული სიკვდილით დასჯაზე. **e**. შესაძლებელია ყოფილიყო დროებითი

eximere [ექსი´მერე „ამოღება“, „გათავისუფლება“]
I. პირის გათავისუფლება სასჯელისგან, პასუხისმგებლობისგან, მეურვის ან მზრუნველის ვალდებულებებისგან

existimatio [*ექსისტიმა´ტიო/ეგზისტიმა´ციო „აზრი“]
I. კარგი რეპუტაცია, მოქალაქის კეთილი სახელი, რომელსაც არ ჩაუდენია არანაირი არამართლზომიერი ქმედებები →deminutio e-nis; poena e.; infamis

exitus [ე´ქსიტუს „გასასვლელი“, „მიზანი“, „დასასრული“]
I. სურვილის საპირისპირო რეზულტატი, სიკვდილი. იხ. აგრ. eventus

expeditor (*საშ. ლათ.*) [ექსპედი´ტორ „მომწესრიგებელი“] ექსპედიტორი
II. ექსპედიციის ხელშეკრულების მხარე, რომელიც უწევს მეორე მხარეს (შემკვეთს) ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებულ მომსახურებას. „ექსპედიციის ხელშეკრულებით ექსპედიტორი კისრულობს თავისი სახელითა და შემკვეთის ხარჯზე განახორციელოს ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოქმედებანი.“ (სამოქ. სამ. კოდ. – 1997, 730(1)-ე მუხლი)
III. „პრეტენზიისა და სარჩელის განცხადების უფლება აქვთ: ბ) ტვირთის დანაკლისის, დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში – ექსპედიტორს (ფორვადერს), ტვირთის მიმღებს ან გამგზავნს, იმ პირობით, თუ ის წარადგენს კონოსამენტს, აგრეთვე წერილობით ცნობას ან სათანადო საბუთს მოქმედი წესების შესაბამისად“ (საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 366(1)(ბ)-ე მუხლი)

expensilatio [*ექსპენსილა´ტიო/ექსპენსილა´ციო „ხარჯი“]
I. ფიქტიური სავალო მოთხოვნის ჩანაწერი (თითქოსდა სესხი) მოვალის თანხმობით (რის შედეგად წარმოიქმნება →litterarum obligatio); იხ. აგრ. codex accepti et expensi; nomen transcripticium

expertisa (*საშ. ლათ.*) [*ექსპერტი´სა/ექსპერტი´ზა „შემოწმება“] ექსპერტიზა
II. სპეციალური ცოდნის მქონე პირის მიერ ამა თუ იმ საკითხის გამოკვლევა. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო, პროფესიული და სოციალური რეაბილიტაცია ხორციელდება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამით, რაც განისაზღვრება საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის საფუძველზე.“ (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ – 1995, მე-14(1) მუხლი)
III. „ექსპერტიზა მოხდება სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1922, თავი XIII, მუხლი 122)

expertus [ექსპე´რტუს „გამოცდილი“] ექსპერტი
I. გამოცდილი, მცოდნე
II. პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში ან სხვა სფეროში და მიწვეულია საგამოძიებო, სასამართლო ან სხვა ორგანოების მიერ ამა თუ იმ საკითხის გამოსაკვლევად და დასკვნების გასაკეთებლად. „ექს-

პერტს ენიჭება მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 2009, 51(1)-ე მუხლი)
III. „სასამართლოს, საკუთარი თაოსნობით ან ამა თუ იმ მხარის მოთხოვნით შეუძლიან წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთების გამო მოახდინოს საჭირო შემამოწმებელი მოქმედება: დაათვალიეროს ადგილი, დაიბაროს მცოდნე პირნი (ექსპერტები)...“ (საქ. სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1922, მუხლი 122)

explorator [ექსპლორა´ტორ „აღმომჩენი“] ექსპლორატორი
I. ჯარისკაცი-მზვერავი, იხ. აგრ. miles; proditor

exponere servum [ექსპო´ნერე სე´რვუმ „მონის გადაყვანა“]
I. ავადმყოფი მონის ასკლეპიოსის კუნძულზე გადაყვანა, ავადმყოფობის მკურნალობის ხარჯების თავიდან ასაცილებლად. კლავდიუსის ედიქტის თანახმად, ასეთ მონას თავისუფლება ენიჭებოდა

expromissio [ექსპრომი´სსიო „შეპირება“]
I. სტიპულაცია, რომლის მეშვეობითაც ახალი მოვალე (expromissor) საკუთარ თავზე იღებს სხვის ვალდებულებას იმავე ან სხვა კრედიტორის წინაშე წინა მოვალესთან შეუთანხმებლად ან მისი ნების წინააღმდეგაც კი (delegatio-სგან განსხვავებით); ამით იქმნება →novatio

exsecutio [*ექსეკუ´ტიო/ეგზეკუ´ციო „აღსრულება“] ეგზეკუცია
I. აღსრულება (სასამართლოს გადაწყვეტილების)

exsecutor [*ექსეკუ´ტორ/ეგზეკუ´ტორ „შემსრულებელი“] ეგზეკუტორი
I. სასამართლო მოხელე, როგორც ჩანს, ლიბელიარული სამართალწარმოების დროიდან (→libellus), რომელიც მხარეებს აბარებდა უწყებებს ან სხვა ცნობებს, უზრუნველყოფდა ნივთებზე იძულებით აღსრულებას და სხვა

exsecutor testamenti [*ექსეკუ´ტორ/ეგზეკუ´ტორ ტესტამე´ნტი „ანდერძის შემსრულებელი“] ეგზეკუტორი
I. დომინატის დროს: უკანასკნელი ნების შემსრულებელი (განსაკუთრებით საქველმოქმედო დავალებების შესასრულებლად)

exsequi [ექსსე´კვი „ბოლომდე მისვლა“]
I. განხორციელება, (განაჩენის) სისრულეში მოყვანა

exsilium →exilium

exterritorialis [*ექსტერიტორია´ლის ex- „-გან; -დან“ territorialis „ტერიტორიაზე მყოფი“] ექსტერიტორიალური; ექსტერიტორიალობა
II. ფიზიკური და იურიდიული პირების, აგრეთვე დაწესებულებების ან ობიექტების სტატუსი, რომელიც გულისხმობს, რომ აღნიშნული პირები, დაწესებულებები და ობიექტები ამოღებულნი არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან. „ექსტერიტორიალობის სხვა შემთხვევები“ (საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ – 1998, 61-ე მუხლი)
III. „სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა დანაშაულზე, რომელიც ჩადენილი იქნება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებში, როგორც საქართველოს მოქალაქის, ისე უცხოელის მიერ, უკეთუ ეს უკანასკნელი თავისი დიპლომატიური მდგომარეობით ან განსაკუთრებული კანონით

ექსტერიტორიალობის უფლებით არ სარგებლობს“ (სისხლ. სამ. კოდ. – 1922, 1-ლი მუხლი)

extraditio [*ექსტრადი´ტიო/ექსტრადი´ციო „გადაცემა“] ექსტრადიცია, ექსტრადირება

II. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსთვის იმ პირის გადაცემა, რომელმაც ამ უკანასკნელის კანონმდებლობა დაარღვია. „დაუშვებელია ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის გაძევება ან ექსტრადირება სხვა ქვეყანაში, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ამ ქვეყანაში იგი გახდება წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი.“ (საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ – 2011, 21(3)-ე მუხლი)

III. „საქართველოში ექსტრადიციის მიზნით პირის უცხო სახელმწიფოში დაპატიმრების დრო არ ჩაითვლება პატიმრობის ვადაში“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 1998, 162(7)-ე მუხლი)

extraneus [exter(us), extrarius] [ექსტრა´ნეუს [ექსტე´რ(უს), ექსტრა´რიუს] „გარეშე, უცხო“]

I. **persona e-a** გარეშე, უცხო პირი, მაგ. **e. heres** გარეშე მემკვიდრე, რომელიც ანდერძისმგების სიკვდილის დროს არ იყო მის დაქვემდებარებაში, მისი ნება იყო, მიიღებდა მემკვიდრეობას, თუ არა

extraordinarius [ექსტრაორდინა´რიუს „უჩვეულო“] ექსტრაორდინალური

I. ექსტრაორდინალური, რომელიც არ შედის ნორმალურ (ფორმულარულ) სამართალწარმოებაში, განსაკუთრებული →crimina e-a; ius e-um; remedium e. e-a **cognitio** → c. e.

extremalis [ექსტრემა´ლის „უკიდურესი, საგანგებო“] ექსტრემალური

I. საგანგებო e. senatus consultum სენატის საგანგებო დადგენილება

II. „ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის მართვა“ (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ – 2007, მე-7 მუხლი)

III. საგანგებო, უკიდურესი. „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის ორგანიზაცია ექსტრემალური სიტუაციის დროს“ (საქართველოს კანონი სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ – 1995, მე-16 მუხლი)

F

F. [fasti „სამუშაო, სამოქმედო“] შემ. = dies fasti →dies [შემოკლება, რომელიც აღნიშნავს dies fasti-ს] →dies

faber [ფა´ბერ „ხელოსანი“, მრ. რ. fabri]

I. ხელოსნები (განსაკუთრებით მჭედლები), ოსტატები, მხატვრები

fabrica [*ფა´ბრიკა „სახელოსნო“] ფაბრიკა

III. „საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მთლად მიწა, ტყე, წყალი, მიწის წიაღი, აგრეთვე ფაბრიკები და ქარხნები, რკინის გზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი და კავშირის დასაჭერი საშუალებანი შეადგენენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ქონებას“ (კონსტ. – 1922, თავი I, 18)

facinus [ფა´კინუს/ფა´ცინუს „ქმედება, დანაშაული“]
I. დანაშაული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ზოგადად გამოყენებული, არასპეციალური მნიშვნელობით)

facta concludentia [*ფა´კტა *კონკლუდე´ნტია/კონკლუდე´ნცია „დასკვნითი ქმედებები“]
I. სხვადასხვა ქმედებები, რის საფუძველზეც შესაძლებელია პირის საბოლოო ნების გამოვლენა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მას სიტყვებით არ გამოუთქვამს

factio [*ფა´კტიო/ფა´კციო „ქმედება“]
I. განსაკუთრებულად მგზნებარე ქმედება (ვისიმე ინტერესებში); ასევე პოლიტიკურ თანამოაზრეთა ჯგუფი

factum [ფა´კტუმ „ქმედება“] ფაქტი
I. ქმედება, ადამიანის საქმიანობის შედეგი ან მოვლენა, რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანის ზემოქმედებაზე; როგორც წესი, უპირისპირდება ius-ის გაგებას
II. იურიდიული ფაქტი – გარემოება, რომელსაც კანონი უკავშირებს გარკვეული სამართლებრივი შედეგების წარმოშობას. „კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ძალაში შესვლა, გარდა კონკრეტული კალენდარული დღის დადგომისა ან სხვა ნორმატიული აქტის მიღების ან გამოცემის (ამოქმედების) თარიღისა, არ უნდა უკავშირდებოდეს სხვა რაიმე იურიდიული ფაქტის დადგომას.“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, 22(4)-ე მუხლი)
III. „ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.“ (საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ – 1996, 1(1)-ლი მუხლი)

factum ob causam [ფა´კტუმ ობ *კა´უსამ/კა´უზამ „გაკეთებული (რაღაც) მიზეზით“]
I. რაღაცის შესრულება, რათა მიმღებმა გააკეთოს (ან არ გააკეთოს) ის, რაც მას ადრე არ ევალებოდა, თუ ის ამას არ გააკეთებს, ადგილი ექნება actio doli-ს

facultas, -atis [ფაკუ´ლტას „შესაძლებლობა“] ფაკულტეტი
I. რაღაცის გაკეთების შესაძლებლობა, უფლებამოსილება (→ius 5; potestas)

facultas abstinendi → [ფაკუ´ლტას აბსტინე´ნდი „შეკავების შესაძლებლობა“]
I. beneficium a.

facultas agendi → [ფაკუ´ლტას აგე´ნდი „გაკეთების შესაძლებლობა“]
I. actio temporale

facultas alternativa → [ფაკუ´ლტას ალტერნატი´ვა „ალტერნატიული შესაძლებლობა“]
I. obligatio

facultas dandi [solvendi] [ფაკუ´ლტას და´ნდი [სოლვე´ნდი] „მიცემული შესაძლებლობა“]
I. ვალდებულების შესრულების უნარი

facultates [patrimonii] [ფაკულტა´ტეს [პატრიმო´ნიი] „[მემკვიდრეობის] შესაძლებლობები“]
I. ქონება, რომლის სიდიდეს ხანდახან ჰქონდა მნიშვნელობა ხარჯების, ალიმენტის (alimenta) მოცულობის ან პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის beneficium competentiae-ს შემთხვევაში

faenus → I. **fenus**

falsa accusatio [ფა´ლსა *აკუსსა´ტიო/აკკუზა´ციო „ცრუ ბრალდება“]
I. ცრუ დადანაშაულება → calumnia

falsa condicio [ფა´ლსა *კონდი´კიო/კონდი´ციო „ყალბი მდგომარეობა“]
I. →condicio falsa, ყალბი პირობა

falsa responsio → I. interrogatio in iure

falsificatio (*საშ. ლათ.*) [*ფალსიფიკა´ტიო/ფალსიფიკა´ციო „გაყალბება“] ფალსიფიკაცია
II. გაყალბება, ანგარებით საგნის ხარისხის გაუარესება „ლაბორატორიული კონტროლის მექანიზმი გამოიყენება ფარმაცევტული პროდუქტის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული და აღიარებითი რეჟიმებით დაშვებული ფარმაცევტული პროდუქტის ფალსიფიკაციის ან გაუვარგისების მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში, რომლის კრიტერიუმებს ამტკიცებს მინისტრი.“ (საქართველოს კანონი წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ – 1996, 11[1](3)-ე მუხლი)
III. „ფალსიფიკაცია, ესე იგი ანგარებით და მოსატყუებლად შეცვლა ისეთი საგნების სახისა ან თვისებისა, რომელიც გასასაღებელი ან საზოგადოებრივ სახმარებელია, აგრეთვე თვით ამ საგნების გასაღება...“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1924, 196-ე მუხლი)

falsum [ფა´ლსუმ „ტყუილი“]
I. crimen falsi სისხლ. სამ-ში სხვადასხვაგვარია, (stellionatus-ისგან განსხვავებით) ეს ის შემთხვევაა, როდესაც ვიღაც ჭეშმარიტებად ასაღებს იმას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება

falsum testimonium →**testimonium falsum**

falsus [ფა´ლსუს „ცრუ, ყალბი“]
I. ცრუ, არასწორი, გაყალბებული

falsus causa [ფა´ლსუს *კა´უსა/კა´უზა „ყალბი გარიგება“]
I. გარიგების საფუძვლის სიყალბე

falsus moneta [ფა´ლსუს მონე´ტა „ყალბი მონეტა“]
I. ყალბი მონეტა

falsus procurator [ფა´ლსუს პროკურა´ტორ „ყალბი პროკურატორი“]
I. ის, ვინც წარმოადგენს სხვა პირთა ინტერესებს ისე, რომ არ მიუღია მათგან უფლებამოსილება

falsus tutor [ფა´ლსუს ტუ´ტორ „ყალბი მეურვე“]
I. არამართლზომიერი მეურვე →gerere pro tutore

familia [ფამი´ლია „საშინაო საქმეები“, „ოჯახი“]

I. 1. ოჯახის ქონების, შემდგომში ასევე წევრთა ერთობლიობა; 2. ყველა პირი და ნივთი, რომელიც ქმნიდა რომ. საშინაო მეურნეობას; 3. paterfamilias და თავისუფალი პირები, რომლებიც მას ემორჩილებოდნენ, მჭიდროდ შეკავშირებული სამეურნეო და სამართლებრივი ერთეული

familia communi iure, f. adgnatorum [ფამი´ლია კომმუ´ნი იუ´რე, ფ. ადგნატო´რუმ „საერთო სამართლის ოჯახი“, „აგნატორთა ოჯახი“]
I. თავისუფალ პირთა წრე, რომელთაც ადრე აერთიანებდა (უკვე გარდაცვლილი) paterfamilias-ის ძალაუფლება

familia naturalis [ფამი´ლია ნატურა´ლის „ბუნებრივი ოჯახი“]
I. ოჯახი, რომელსაც ადამიანი მიეკუთვნება დაბადებით. განსხვავებით f. adoptiva-სგან („შვილად ამყვანი ოჯახი“), სადაც ის შედის შვილად აყვანის შემდეგ.

familia pecuniaque [ფამი´ლია პეკუნია´კვე „ოჯახი და ფული“]
I. pater familias-ის მთელი ქონება, რომელიც თავისუფლად განაგებდა მას inter vivos და mortis causa; იხ. აგრ. patrimonium

familia rustica [ფამი´ლია რუ´სტიკა „სოფლის ოჯახი“]
I. მონების ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ბატონს და რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი სოფელში

familia urbana [ფამი´ლია ურბა´ნა „ქალაქური ოჯახი“]
I. მონების ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ერთსა და იმავე ბატონს და რომლებიც საშინაო საქმეებით იყვნენ დაკავებულნი ქალაქში

familiae emptor [ფამი´ლიე ე´მპტორ „ოჯახის შემძენი“]
I. →testamentum

familiaris [ფამილია´რის „ოჯახური“, „შინაური“]
I. 1. (არს. სახ.) ახლობელი, მეგობარი; 2. (ზედს.) ოჯახური →sacra f-ria; sepulchrum f-e.

famosus [*ფამო´სუს/ფამო´ზუს „ცნობილი, ყბადაღებული“]
I. სამარცხვინო, შეურაცხმყოფელი, უპატიოსნო → actio famosa; libellus f.; იხ. აგრ. infamis

fas [ფას „ღვთის ნება“]
I. 1. თავდაპირველად ცხოვრებისეული ურთიერთობების სფერო, რაშიც ღმერთები არ ერეოდნენ (ius-ის ჩათვლით); 2. რესპუბლიკის არსებობის ბოლო პერიოდში: რელ. ნორმების კომპლექსი იმის შესახებ, რის ნებასაც რთავენ ღმერთები ადამიანებს (იურ. ნორმების მითითებისგან განსხვავებით); და პირიქით, ის, რასაც ღმერთები კრძალავენ (nefas); 3. (ქრისტიანობის გავლენით) სამყაროს რელ.-ზნეობრივი მოწყობა ადამიანების მიერ დაწესებული ius-ისგან განსხვავებით

fascis, -is [*ფა´სკის/ფა´სცის „შეკვრა“, მრ. რ. fasces] ფასციები
I. წნელების შეკვრა (virgae), რომელსაც, როგორც imperium-ის სიმბოლოს ატარებდნენ ლიკტორები

fasti [ფა´სტი „სასამართლო კალენდარი“] ფასტები

I. სასამართლო კალენდარი, სადაც მოცემული იყო დღეების ჩამონათვალი, რომელიც ხელსაყრელი იყო საზოგად. საქმეებისათვის

fasti consulares [ფა´სტი კონსულა´რეს „კონსულარული განრიგი“]
I. უმაღლეს მაგისტრატთა ქრონოლოგიური ნუსხა

fasti dies → d.f.

fasti triumphales [ფა´სტი ტრიუმფა´ლეს „ტრიუმფალური განრიგი“]
I. ტრიუმფების ნუსხა

favor [ფა´ვორ „კეთილგანწყობა, წყალობა“]
I. სამართლის ზოგიერთი სუბიექტის ან ინსტიტუტის სასარგებლოდ განვითარებული საკანონმდებლო და სასამართლო ტენდენციები

favor debitoris [ფა´ვორ დებიტო´რის „მოვალის კეთილგანწყობა“]
I. სესხის ხელშეკრულების მოვალის სასარგებლოდ განმარტების ტენდენციები

favor dotis [ფა´ვორ დო´ტის „მზითვის კეთილგანწყობა“]
I. მზითვის სამართლებრივ რეჟიმთან დაკავშირებით ცოლის სასარგებლოდ განვითარებული ტენდენციები

favor libertatis [ფა´ვორ ლიბერტა´ტის „თავისუფლების კეთილგანწყობა“]
I. პიროვნების თავისუფლების დაცვა

favor testamenti [ფა´ვორ ტესტამე´ნტი „ანდერძის კეთილგანწყობა“]
I. ანდერძის სადავოობის მიუხედავად მოანდერძის უკანასკნელი ნების პატივისცემისა და ანდერძის ნამდვილად აღიარების ტენდენცია

femina [ფე´მინა „ქალი“, მრ. რ. feminae] ფემინა
I. სინ. mulier, ქალი

femina probrosae, **m. p**. [ფე´მინა *პრობრო´სე/პრობრო´ზე „სამარცხვინო ქალი“]
I. ცუდი რეპუტაციის მქონე ქალი (პროსტიტუციით დაკავებული ქალი და მსახიობი)

fenerator [ფენერა´ტორ „კრედიტორი, მევახშე, მფლობელი“]
I. 1. პიროვნება, რომელიც კანონის ფარგლებში პროცენტიან სესხს იძლევა; 2. მევახშე, რომელიც კანონით გათვალისწინებულზე მაღალ პროცენტს ითხოვს

fenus / faenus / foenus [ფე´ნუს „ნამატი“]
I. სინ. **usurae**; პროცენტიანი სესხი

fenus nauticum [ფე´ნუს ნა´უტიკუმ „საზღვაო ნამატი“]
I. საზღვაო ან სახომალდო სესხი, როდესაც კაპიტნის დაღუპვის რისკს საკუთარ თავზე იღებდა გამსესხებელი

ferae, f. bestiae →b. f.

feria [ფე´რია „დღესასწაული“, მრ. რ. feriae]
I. სასამართლო არდადეგები →actus 3; f-ti dies →d. f.

ferrum [ფე´რრუმ „რკინა“] ფერუმი
I. რკინის იარაღი

ferruminatio [*ფერრუმინა´ტიო/ფერრუმინა´ციო „(რკინის) შედუღება“]

I. ერთი და იმავე ლითონის ორი საგნის შეერთება, რის შედეგადაც (plumbatura-სგან განსხვავებით) ხდება accessio

festuca [ფესტუ´კა „წნელი“]
I. ნაწილობრ. სინ. vindicta, წნელი, რომელიც არის მახვილისა და საკუთრების სიმბოლო, გამოიყენებოდა rei vindicatio და manumissio vindicata-ს დროს; იხ. აგრ. hasta; legis actio sacramento

fetiales [*ფეტია´ლეს/ფეცია´ლეს „ფეციალები“] ფეციალები
I. 20 ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც თავისი საკულტო ვალდებულებების გარდა თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო შეთანხმებების დაცვასა და იყო რომის წარმომადგენელი ზოგიერთ საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს →pater patratus; იხ. აგრ. clarigatio; foedus

fictio, -onis [*ფი´კტიო/ფი´კციო „მოჩვენებითობა“] ფიქცია, ფიქციური, ფიქტიური
I. არარსებულის პირობითი დამატება ან არსებული გარემოების პირობითად მხედველობაში არმიღება განსაზღვრული იურ. კატეგორიების ფარგლებში; იხ. აგრ. actiones utiles; personae fictae; simulatio
II. არანამდვილი, მოჩვენებითი. „ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 1145-ე მუხლი)
III. „სოციალური დაცვის იგივე ღონისძიება შეეფარდება იმ პირსაც, ვინც უშუალო მონაწილეობას მიიღებს, როგორც მხარე, მოვალის ფიქტიურ გარიგებაში, უკეთუ მან იცოდა, რომ ეს გარიგება ფიქტიურია“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, 185-ე მუხლი)

fideicommissum [ფიდეიკომმი´სსუმ „მინდობილობა“] ფიდეიკომისუმი
I. არაფორმალური ანდერძი, თავდაპირველად მხოლოდ მოანდერძის თხოვნა (სიტყვიერი ან წერილობითი) მემკვიდრისადმი (heres fiduciarius) შეასრულოს რომელიმე თხოვნა (mandatum post mortem) მესამე პირის – ფიდეიკომისარიუსის (fideicommissarius) სასარგებლოდ. ავგუსტუსის დროიდან მოყოლებული ეს წმინდად ზნეობრივი ვალდებულება იღებს იურიდიულ ხასიათს

fideicommissum a debitore relictum [ფიდეიკომმი´სსუმ ა დებიტო´რე რელი´კტუმ „მოვალისაგან დარჩენილი (ვალის გადაცემა) ფიდეიკომისარიუსისათვის“]
I. მამკვიდრებლის დავალება მოვალესადმი, რომ მას დაებრუნებინა ვალი არა მემკვიდრისათვის, არამედ ფიდეიკომისარიუსისთვის

fideicommissum familiae relictum [ფიდეიკომმი´სსუმ ფამი´ლიე რელი´კტუმ „ოჯახისათვის დარჩენილი ფიდეიკომისუმი“]
I. მამკვიდრებლის დავალება, რომლის დროსაც მამკვიდრებელი წინასწარ განსაზღვრავდა, ფიდეიკომისარიუსის შემდეგ კონკრეტულად მის რომელ მემკვიდრეს ან ოჯახის სხვა წევრს უნდა გადასცემოდა ფიდეიკომისარიუსზე გადაცემული ქონება

fideicommissum hereditatis [ფიდეიკომმი´სსუმ ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის ფიდეიკომისუმი“]

I. მამკვიდრებლის დავალება, რომ მთელი მისი ქონება ან მისი ნაწილი ფიდეიკომისარიუსისთვის გადაეცათ

fideiussio indemnitatis [ფიდეიუ´სსიო ინდემნიტა´ტის „თავდებობა ზიანის ანაზღაურებისა“]
I. იმისათვის, რომ გამორიცხულიყო ლიტისკონტესტაციის გაბათილებითი ქმედება, გამოიყენებოდა ე. წ. თავდებობა დანაკლისზე: იგი ქმნიდა წმინდად სუბსიდიარულ (დამატებით) ვალდებულებას, მაგრამ წარმოადგენდა არა ნამდვილ თავდებას, არამედ საგარანტიო დაპირებას; ფორმა, შემოღებული ძვ. წ. I ს-ში, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ასევე პერეგრინებისათვის

fideicommissum libertatis [ფიდეიკომმი´სსუმ ლიბერტა´ტის „თავისუფლების ფიდეიკომისუმი“]
I. მამკვიდრებლის დავალება, რომლითაც ის მოითხოვდა მისი მონის გათავისუფლებას

fideicommissum tacitum [ფიდეიკომმი´სსუმ *ტა´კიტუმ/ტა´ციტუმ „საიდუმლო ფიდეიკომისუმი“]
I. მეანდერძის და მემკვიდრის საიდუმლოდ შეთანხმებული **f.**-ი რომლის მიხედვითაც, ამ უკანასკნელს მეანდერძის სიკვდილის შემდეგ უნდა გადაეცა ანდერძი (ლეგატი) ვინმესთვის, რომელიც იყო incapax-ი **f. t**.-ს შემთხვევაში ხდებოდა კონფისკაცია, არანამდვილობის გამო, ხოლო მემკვიდრე ხდებოდა indignus-ი

fidelis [ფიდე´ლის „ერთგული“]
I. 1. ერთგული, პატიოსანი, საიმედო; 2. მორწმუნე (ქრისტიანი). იხ. აგრ. foedus; liber homo b. f. serviens

fidepromissio, -onis [ფიდეპრომი´სსიო „თავდებობა“]
I. adpromissio-ს გვიანდელი ფორმა, sponsio 2-ის მიხედვით გარდაქმნილი (რომელთანაც მას ბევრი საერთო აქვს), იმდაგვარად, რომ მას ჰქონოდა ძალა პერეგრინებისთვისაც. იხ. აგრ. mittere

fides, -ei [ფი´დეს „ნდობა“]
I. პირადი პატიოსნება და ნდობა სხვისი პატიოსნების მიმართ, მიცემული სიტყვის ერთგულება, ყველა ადამიანის ზნეობრივი ვალი შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. **f**.-ს ჰქონდა აგრეთვე ნამდვილობის, უტყუარობის მნიშვნელობა

fides instrumentorum [ფი´დეს ინსტრუმენტო´რუმ „დოკუმენტების სარწმუნოობა“]
I. დოკუმენტების ან მტკიცებულებების ნამდვილობა, უტყუარობა

fides testimonii, f. publica [ფი´დეს ტესტიმო´ნიი, ფ. პუ´ბლიკა „მტკიცებულების უტყუარობა, ოფიციალური უტყუარობა“]
I. დომინატის დროს – ოფიციალურად დადასტურებელი უტყუარობა, ნამდვილობა →probatio

fiducia [*ფიდუ´კია/ფიდუ´ცია „ნდობა, სარწმუნობა“] ფიდუცია, ფიდუციარული
I. შეთანხმება, რომლის ძალითაც ნივთის გადაცემის ვალდებულების გარდა არსებობდა ნივთის შემძენის (ფიდუციარის) ვალდებულება, განსაკუთრებული მოპყრობა გადაცემული ნივთისადმი ან შემდგომში ნივთის გამსხვისებლისთვის

(ფიდუციანტისთვის) დაბრუნება. აღნიშნული შეთანხმება ეფუძნებოდა ნივთის გამსხვისებლის განსაკუთრებულ ნდობას ნივთის შემძენის მიმართ
II., III. „ფიდუციარული ოპერაცია – ნდობითი ოპერაცია, რომელსაც ბანკი ან სატრასტო კომპანია აწარმოებს თავისი სახელით, მაგრამ კლიენტის დავალებით და მისი ხარჯით (როგორც წესი, ინვესტიციების სამართავად); მთელი რისკისათვის კლიენტი თავადაა პასუხისმგებელი, ხოლო ბანკი მიიღებს საკომისიოს“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ – 1996, 1(რ)-ლი მუხლი)

fiducia coëmptionis causa [*ფიდუ´კია *კოემპტიო´ნის *კა´უსა/ფიდუ´ცია კოემპციო´ნის კა´უზა „შესყიდვის სარწმუნო ხელშეკრულება“]
I. → coëmptio f-a causa

fiducia cum amico contracta [*ფიდუ´კია/ფიდუ´ცია კუმ ამი´კო კონტრა´კტა „მეგობართან (დადებული) ნდობითი ხელშეკრულება“]
I. მეგობართან დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საკუთრების უფლების გადაცემა ნივთზე ხდებოდა ნივთის უკეთესად და უფრო უსაფრთხოდ შენახვის მიზნით. აღნიშნული შეთანხმებით ფიდუციარს ეკისრებოდა ფიდუციანტისთვის ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება

fiducia cum creditore [*ფიდუ´კია/ფიდუ´ცია კუმ კრედიტო´რე „შეთანხმება კრედიტორთან“]
I. შეთანხმება, რომლის ძალითაც ხდებოდა ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა ფიდუციანტის მიერ ფიდუციარის წინაშე ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. ფიდუციარი კისრულობდა ვალდებულებას, უკან დაებრუნებინა ფიდუციანტისთვის ნივთი ამ უკანასკნელის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ

fiducia donationis causa [*ფიდუ´კია *დონატიო´ნის *კა´უსა/ფიდუ´ცია დონაციო´ნის კა´უზა „ბოძების ხელშეკრულება“]
I. შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ფიდუციარს ეკისრებოდა ვალდებულება, გადაეცა ნივთი პირისათვის, რომელსაც ფიდუციანტი უპირებდა დასაჩუქრებას →donatio

fiducia manumissionis causa [*ფიდუ´კია/ფიდუ´ცია მანუმისსიო´ნის *კა´უსა/კა´უზა „მანუმისიის ხელშეკრულება“]
I. შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მონაზე საკუთრების უფლების გადაცემა ხდებოდა მისი შემდგომი გათავისუფლების პირობით

fiducia remancipationis causa [*ფიდუ´კია *რემანკიპატიო´ნის *კა´უსა/ფიდუ´ცია რემანციპაციო´ნის კა´უზა „რემანციპაციის ხელშეკრულება“]
I. → emancipatio

fiduciarius [*ფიდუკია´რიუს/ფიდუცია´რიუს „რწმუნებული“] ფიდუციარი
I. რწმუნებული პირი; 2. **heres f**. მემკვიდრე, რომელიც ვალდებული იყო გადაეცა გარკვეული ქონება სამკვიდროს საკუთარი წილიდან ფიდეიკომისარისთვის →fideicommissum; 3. **tutor f**.→ tutela

figura [ფიგუ´რა „ფორმა“] ფიგურა
I. გარეგნული სახე, შეხედულება; ნაწილ. სინ. →forma 1

filia, f. familias [ფი´ლია, ფ. ფამი´ლიას „ქალიშვილი“, „ოჯახის ქალიშვილი“]
I. მამის ძალაუფლების ქვეშ (→patria potestas) მყოფი ქალიშვილი; იხ. აგრ. liberi

filii [ფი´ლიი „ვაჟიშვილები“]
I. ვაჟიშვილები, ბავშვები

filii iniusti [ფი´ლიი ინიუ´სტი „არაკანონიერი შვილები“]
I. არაკანონიერი შვილები

filii legitimi [ფი´ლიი ლეგი´ტიმი „კანონიერი შვილები“]
I. კანონიერი შვილები

filii naturales [ფი´ლიი ნატურა´ლეს „ღვიძლი შვილები“]
I. ღვიძლი შვილები

filii spurii [ფი´ლიი სპუ´რიი „ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები“]
I. ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები

filii vulgo concepti [quaesiti] [ფი´ლიი ვუ´ლგო *კონკე´პტი/კონცე´პტი *კვესი´ტი/კვეზი´ტი] „ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები“]
I. ქორწინების გარეშე შობილი ბავშვები

filius, f. adoptivus [ფი´ლიუს, ფ. ადოპტი´ვუს „ვაჟიშვილი“, „ნაშვილები, ვაჟიშვილი“]
I. ნაშვილები ვაჟი →adoptio

filius familias [ფი´ლიუს ფამი´ლიას „ოჯახის ვაჟიშვილი“]
I. მამის ძალაუფლების (→patria potestas) ქვეშ მყოფი ვაჟი

filius familias miles [ფი´ლიუს ფამი´ლიას მი´ლეს ჯარისკაცი ვაჟიშვილი“]
I. ვაჟი სამხედრო სამსახურში →peculium castrense

finis, -is [ფი´ნის „საზღვარი“, მრ. რ. fines] სინ. →confinium

fiscalis [ფისკა´ლის „ხაზინისა“] ფისკალური
I. ფისკალური, ხაზინასთან დაკავშირებული, სახაზინო
II. 1. სახაზინო „საქართველოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიულ წყლებში საქართველოს საგადასახადო, ფისკალური, საიმიგრაციო ან სანიტარიული კანონმდებლობისა და წესების დარღვევის აღკვეთის მიზნით დგინდება მიმდებარე ზონა, რომელიც არის 12 საზღვაო მილის სიგანის ზღვის ზოლი და ღია ზღვის მხრიდან ესაზღვრება ტერიტორიულ წყლებს.“ (საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ – 1998, მე-5(1) მუხლი) 2. „ფისკალური აგენტი – საგადასახადო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(ს) მუხლი)
III. „ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკი და ფისკალური აგენტი“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, 1(1)-ლი მუხლი)

fiscus, fiscus Caesaris [ფის´კუს, ფი´სკუს *კე´სარის/ცე´ზარის „ფულის ყუთი, ხაზინა, კეისრის ხაზინა“] ფისკუსი

I. პრინცეპსის ხაზინა, სადაც შედიოდა შემოსავლები საიმპერატორო პროვინციებიდან, სულადობრივი, საბაჟო და სხვ. სახის გადასახადების სახით. შემოსავალი საიმპერატორო დომენებიდან, შემდგომში ასევე ზოგიერთი შემოსავალი სენატის პროვინციებიდან. პრინცეპსი ამ თანხებით საკუთრივ განკარგავდა, არავის აბარებდა ანგარიშს, მაგრამ ამავე დროს ამ სახსრებს ყველა სახის სახ. ხარჯების დასაფარად იყენებდა. ავგუსტუსმა ყოველ საიმპერატორო პროვინციაში დაადგინა f., რომელსაც განაგებდა procurator Augusti, შემდეგ კლავდიუსმა შექმნა ცენტრალური ხაზინა, **f. C**., რომლის განმგებელიც ფლობდა a rationibus-ის ტიტულს (დომინატის დროს: procurator a r.); ეს საფინანსო მოხელეები იყვნენ იმპერატორის მიერ გააზატებულები უაღრესად განათლებულნი, არსებითად, აღმ. პროვინციებიდან), მხოლოდ დროთა განმავლობაში **f**.-მა მიიღო მმართველი იმპერატორის კერძო საკუთრების ხასიათი, მაგრამ იგი გამოიყენებოდა უშუალოდ სახ. მმართველობის საჭიროებისათვის და გადაეცემოდა მომდევნო იმპერატორს (განსხვავებით patrimonium principis-გან). შემდეგ **f**.-ი უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე aerarium-ი, ხოლო პრინციპატის ბოლოს, ერთადერთ სახ. ხაზინად იქცა, რომელიც იწოდებოდა ასევე როგორც sacrae largitiones. ფისკუსის პირველყოფილი ხასიათიდან გამომდინარე, დავებს მევალეებთან (**debitores f-i**) წყვეტდა კერძო სამართლის ფარგლებში კერძო მოსამართლე iudex privatus, კლავდიუსის დროიდან კი **procurator f-i**, შემდგომში – **praetor f-alis** და iudex extra ordinem. მაგრამ ფისკუსის ფაქტობრივ საზოგადოებრივ-სამართლებრივ ხასიათს დროთა განმავლობაში განაპირობებდა მისი ზოგიერთი პრივილეგია privilegia f-i მაგ., გენერალური კანონიერი სასესხო სამართალი →hypotheca omnium bonorum და იძულებითი ჯარიმის სამართალი

fiscus Asiaticus [ფი´სკუს *ასია´ტიკუს/აზია´ტიკუს „აზიური ხაზინა“]

I. ცენტრ. სახ. ხაზინა, სადაც შედიოდა სულადობრივი გადასახადი აზიის პროვინციებიდან

fiscus Iudaicus [ფი´სკუს *იუდა´იკუს „იუდეველთა ხაზინა“]

I. ხაზინა, სადაც შეჰქონდათ სულადობრივი გადასახადი რომ.-ის იმპერიის ნებისმიერ ნაწილში მცხოვრებ იუდეველებს

flamines [ფლა´მინეს „ამნთებნი“] ფლამინები

I. 15 ქურუმი, რომელთაგან თითოეული მსხვერპლს სწირავდა სხვადასხვა ღმერთს: 3 პატრიციელი ქურუმი იყო f. maiores (f-en Dialis, f. Martialis, f. Quirinalis), დანარჩენი 12 – f. minores. ყველაზე მაღლა იდგა f. Dialis (იუპიტერის ქურუმი), რომლისთვისაც განკუთვნილი იყო კურულის სავარძელი და ადგილი სენატში; მას თავისი ქორწინება უნდა ჩაეტარებინა confarreatio-ს ფორმით, მისი მეუღლე **f-ica d**. კი იღებდა მონაწილეობას რიტუალებში; მისი სიკვდილის შემდეგ ქურუმს უარი უნდა ეთქვა თავის უფლებამოსილებაზე. იხ. აგრ. sacerdotes

florentina [*ფლორე´ნტინა/ფლორე´ნცინა „ფლორენციული“]

I. →littera F. უძველესი და ყველაზე საიმედო ხელნაწერი დიგესტებისა

flumen, -inis [ფლუ´მენ „მდინარე“, მრ. რ. flumina]

I. მდინარე

flumina privata [ფლუ´მინა პრივა´ტა „კერძო მდინარეები“]
I. კერძო საკუთრებაში არსებული მდინარეები

flumina publica [ფლუ´მინა პუ´ბლიკა „საზოგადოებრივი მდინარეები“]
I. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მდინარეები, რომლებიც მიეკუთვნებოდა ე.წ. დაუშრობელ მდინარეთა კატეგორიას

foedera iniqua [ფე´დერა ინი´კვა „არათანაბარი, არასამართლიანი შეთანხმებები“]
I. საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთაც აფორმებდა რომი იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ის აღიარებდა თავის თანასწორად. აღნიშნული შეთანხმებებით რეგულირდებოდა სადავო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები. გარდა ამისა, მხარეები კისრულობდნენ სამხედრო დახმარების ან ნეიტრალიტეტის ვალდებულებას

foederatus [ფედერა´ტუს „მოკავშირე“, მრ. რ. foederati] ფედერაციული
I. დომინატის დროს: მოსაზღვრე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები, რომელთანაც რომი დებდა foedus-ს

foedus, -eris [ფე´დუს „კავშირი“, მრ. რ. foedera]
I. სხვა სახელმწიფოსთან დადებული და ფიცით განმტკიცებული შეთანხმება მოკავშირეობის შესახებ

foenus →fenus

fons [ფო´ნს „წყარო“]
I. წყარო, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სერვიტუტების ინსტიტუტის მიზნებისთვის →servites aquae ductus; s. aquae haustus; s. pecoris ad aquam appulsus; უფლებამოსილ პირს იცავს interdictum de fonte და i. de f. purgando et reficiendo

forma [ფო´რმა „ფორმა“] ფორმა
I. 1. გარეგნული იერსახე, ტიპი, სამართლებრივი რეჟიმი, ნაწ. სინ. →figura; natura; species; 2. სამართლებრივი ნორმა, წესი, დებულება, მაგ., ცენზთან დაკავშირებული – **f. censualis**; **f. idiologi** – ავგუსტუსისა და სხვა პრინცეპსთა მიერ გაცემული სამსახურეობრივი მითითებები; იხ. აგრ. praefectus praetorio

formalis [ფორმა´ლის „ფორმალური, ფორმის მიხედვით შედგენილი“] ფორმალური
I. ფორმალური, სადღესასწაულო
II. 1. ოფიციალური**.** „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ქვედანაყოფების მოსამსახურეები, მიუხედავად იმისა, ფორმალურად მოხდა თუ არა მათი გადაყვანა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ექვემდებარებიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელობას. (საქართველოს კანონი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ – 2009, 25(3)-ე მუხლი); 2. საპროცესო, პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული, არაშინაარსობრივი. „შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება.“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 2009, 206(5)-ე მუხლი); 3. ფორმალური ადმინისტრაციუ-

ლი წარმოება – ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.“ (საქ. ზოგ. ადმ.კოდ. – 107(1)-ე მუხლი); 4. ფორმალური პროფესიული განათლება – განათლება, რომლის მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. „ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.“ (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ – 2007, მე-9(1) მუხლი) III. „სააგენტოს საბჭო საჩივარს არ განიხილავს, თუ: დ) არ არსებობს დავის დაწყების ფორმალური საფუძვლები“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, 56[4](დ)-ე მუხლი)

formula [ფო´რმულა „ფორმულა“] ფორმულა
I. 1. ხელშეკრულებების, სარჩელების და სხვა იურიდიული დოკუმენტების ფორმულარი; 2. სასამართლო მაგისტრატის მოკლე წერილობითი განკარგულება, სადაც ის ერთი ფრაზით აუწყებს დანიშნულ მოსამართლეს, თუ რა ფაქტ. და იურ. გარემოებების არსებობისას მან უნდა დააკისროს მოპასუხეს პასუხისმგებლობა ან გაათავისუფლოს იგი

formula arbitraria [ფო´რმულა არბიტრა´რია „სამედიატორი ფორმულა“]
I. სარჩელის ფორმულა, რომელიც უფლებას ანიჭებდა მოსამართლეს მიეღო კომპრომისული, სამომრიგებლო გადაწყვეტილება. კერძოდ, მოსამართლეს შეეძლო მოეთხოვა მოპასუხისგან ნივთის უკან დაბრუნება ან სასამართლოსთვის გადაცემა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას არ დაეკისრებოდა მატერიალური თვალსაზრისით უფრო მძიმე პასუხისმგებლობა

formula Baetica [ფო´რმულა ბე´ტიკა „ბეტიკური ფორმულა“]
I. ესპანეთის პროვინციის სახელწოდების მიხედვით, სადაც შემონახულია წარწერა ფიდუციის დროს განსაკუთრებული შეთანხმების შესახებ

formula certa [ფო´რმულა *კე´რტა/ცე´რტა „ნამდვილი ფორმულა“]
I. ფორმულა, რომლის intentio ზუსტად განსაზღვრავდა ქონებას, რომელიც წარმოადგენდა დავის საგანს

formula Fabiana [ფო´რმულა ფაბია´ნა „ფაბიუსის ფორმულა“]
I. სარჩელი, რომლითაც გათავისუფლებული პირის ყოფილი მეპატრონე მოითხოვდა მისი ყოფილი მონის ანდერძში გარკვეული დებულებების ბათილად ცნობას. აღნიშნული სარჩელის წარდგენა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გათავისუფლებული პირის ყოფილი მეპატრონე ამტკიცებდა, რომ ანდერძის მეშვეობით მისმა ყოფილმა მონამ არამართლზომიერად გაასხვისა შესაბამისი ქონება და ამით დაარღვია მისი მემკვიდრეობის უფლება

formula ficticia [ფო´რმულა *ფიკტი´კია/ფიკტი´ცია „ფიქციური ფორმულა“] ფიქციური ფორმულა
I. ფორმულა, რომელიც ეფუძნებოდა იურიდიულ ფიქციას

formula in ius concepta [ფო´რმულა ინ ი´უს *კონკე´პტა/კონცე´პტა „სამართალზე დაყრდნობილი ფორმულა“]

I. გამოიყენებოდა, როდესაც intentio ეყრდნობოდა Ius Civilis-ს

formula incerta [ფო´რმულა *ინკე´რტა/ინცე´რტა „გაურკვეველი, ბუნდოვანი ფორმულა“]
I. ანტ. formula certa

formula interrogatoria → interrogatio in iure

formula Octaviana → actio quod metus causa

formula petitoria [ფო´რმულა პეტიტო´რია „პეტიციური ფორმულა“]
I. აღნიშნული ფორმულა გამოიყენებოდა სავინდიკაციო სარჩელებთან დაკავშირებით

formula praeiudicialis [ფო´რმულა *პრეიუდიკია´ლის/პრეიუდიცია´ლის „წინასწარ მსჯავრმდები ფორმულა“]
I. პრეიუდიციული სარჩელების ფორმულა

formula Rutiliana → bonorum emptor

formula Serviana →actio S. 2

formularius [ფორმულა´რიუს „ფორმასთან დაკავშირებული“] ფორმულარი
I. იურიდიულ ფორმებთან დაკავშირებული; სასამართლო პროცედურების (ფორმების) მცოდნე
II., III. ოფიციალური დოკუმენტის ნიმუში. „საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტმა უზრუნველყოს სათანადო სამსახურის ჩამოყალიბება, საჯარო რეესტრის ფორმულარების მომზადება და ყველა იმ ორგანიზაციული საკითხის მოგვარება...“ (საქ. სამ. კოდ. – 1997, 1514-ე მუხლი)

fortuitus casus → c. f.

forum [ფო´რუმ „სავაჭრო, მოედანი, მთავარი მოედანი“] ფორუმი
I. 1. მოედანი; 2 სასამართლო

forum competens [ფო´რუმ კო´მპეტენს „კომპეტენტური ფორუმი“]
I. კომპეტენტური სასამართლო, რომელსაც აქვს იურისდიქცია, განიხილოს დავა

forum contractus [ფო´რუმ კონტრა´კტუს „ხელშეკრულებითი ფორუმი“]
I. სასამართლო, რომლის იურისდიქცია დგინდებოდა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით

forum delicti [**commissi**] [ფო´რუმ დელი´კტი (კომმი´სსი) „დანაშაულის ფორუმი“]
I. სასამართლო, რომლის იურისდიქცია დგინდებოდა დელიქტის ჩადენის ადგილის მიხედვით

forum electivum [ფო´რუმ ელეკტი´ვუმ „არჩევითი ფორუმი“]
I. სასამართლო, რომელსაც თვითონ მოსარჩელე ირჩევდა დავის საწარმოებლად

forum originis [ფო´რუმ ორი´გინის „წარმომავლობის, მოდგმის ფორუმი“]
I. სასამართლო, რომლის იურისდიქცია დგინდებოდა მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

forum prorogatum [ფო´რუმ პრორო გა´ტუმ „გადავადებითი ფორუმი“]
I. სასამართლო, რომლისთვისაც დავის გადასაწყვეტად გადაცემაზე შეთანხმებული იყო დავის ორივე მხარე

forum Romanum [ფო´რუმ რომა´ნუმ „რომის ფორუმი“]
I. მთავარი მოედანი რომში

fractio, -onis [*ფრა´კტიო/ფრა´კციო „გატეხვა“] ფრაქცია
II. „საპარლამენტო ფრაქცია ... არის პარლამენტში საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საერთო პოლიტიკური შეხედულებებისა და ინტერესების მქონე პარლამენტის წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება“ (საქართველოს კანონი საპარლამენტო ფრაქციის შესახებ – 1997, 1-ლი მუხლი)
III. „ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით“ (კონსტ. – 1995, 58(2)-ე მუხლი)

fragmentum [ფრაგმე´ნტუმ „ნაწილი, ნაწყვეტი“] ფრაგმენტი
I. ლიტ. ნაწარმოების შემორჩენილი ნაწილი, მაგ. F. de formula Fabiana, იმავე სახელწოდების თხზულების მოკლე ამონაწერები

fragmentum Augustodunensia (IV-V სს.) [ფრაგმე´ნტუმ ავგუსტოდუნე´ნსია „ავგუსტოდუნუმის ფრაგმენტი“]
I. გაიუსის ინსტიტუციების პარაფრაზის მცირე ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ემსახურებოდა რომ. სამ.-ის ცოდნის გამყარებას დასავლეთში (→interpretationes)

fragmentum de iure fisci (V/VI სს.) [ფრაგმე´ნტუმ დე იუ´რე *ფი´სკი/ფი´სცი „სამართლებრივი ფისკუსის ფრაგმენტი“]
I. ფისკუსის სამართლებრივი რეჟიმის შესახებ სამეცნიერო ნაშრომის ფრაგმენტი

fragmentum Dositheanum [ფრაგმე´ნტუმ დოსითეა´ნუმ „დოსითეანუსის ფრაგმენტი“]
I. იურიდიული ტექსტების ლათინურიდან და ლათინურად თარგმნისათვის დამხმარე სახელმძღვანელოს ფრაგმენტი, მიეწერება გრამატიკოს დოსითეანუსს (IV. ს.-ის ბოლო)

fragmentum Vaticana (318) [ფრაგმე´ნტუმ ვატიკა´ნა „ვატიკანის ფრაგმენტი“]
I. 1821 წ. აღმოჩენილი ფრაგმენტი პაპინიანუსის, პაულუსის, ულპიანუსის თხზულებებისა და საიმპ. კონსტიტუციების კომპილაციისა

frater, -tris [ფრა´ტერ „ძმა“]
I. ძმა (მრ. რ. fratres, რომელშიც იგულისხმებოდნენ დებიც). ius civile-ს მიხედვით ანდერძის არარსებობის შემთხვევაში ძმები და დები მემკვიდრეობას იღებდნენ როგორც proximi agnati-ის, ხოლო პრეტორული სამართლის მიხედვით unde legitimi-ს და u. cognati-ს ჯგუფების წარმომადგენლები

fraudare [ფრაუდა´რე „მოტყუება“]
I. თაღლითობა, მოტყუება, უმთავრესად კრედიტორის **f. creditoris**

fraudatio, -onis [*ფრაუდა´ტიო/ფრაუდა´ციო „თაღლითობა“]
I. თაღლითობა, მოტყუება

fraudationis causa gestum [*ფრაუდატიო´ნის *კა´უსა´/ფრაუდაციო´ნის კა´უზა, გე´სტუმ „თაღლითობის მიზნით ქმედება“]
I. სინ. alienatio in fraudem creditorum, მოვალის თაღლითური გარიგება მისი საკუთრების გასხვისების შესახებ კრედიტორის საზიანოდ

fraudator, -oris [ფრაუდა´ტორ „თაღლითი“]

I. თაღლითი

fraudatorium interdictum [ფრაუდატო´რიუმ ინტერდი´კტუმ „თაღლითთა ინტერდიქტი“]
I. კლას. სამ-ის მიერ აღიარებული საშუალება, რომელიც გამოიყენებოდა იმ გარიგების გასაბათილებლად, რომლის საფუძველზეც მოვალემ გაასხვისა საკუთარი ქონება კრედიტორის საზიანოდ

fraudulosus, [*ფრაუდულო´სუს/ფრაუდულო´ზუს „თაღლითური“]
I. თაღლითური

fraus, -udis [ფრა´უს „ცბიერება, ვერაგობა, მზაკვრობა“]
I. 1. სინ. →dolus, თაღლითური განზრახვა; 2. თაღლითური ქმედება; 3. თაღლითური ქმედებებით ზიანის მიყენება სხვა პირისთვის

fraus legis, f. legi facta [ფრა´უს ლე´გის „კანონის (მიმართ) მზაკვრობა“, ფრა´უს ლე´გი ფა´კტა „კანონით ჩადენილი მზაკვრობა“]
I. ქმედებები, რომლებიც არ არღვევენ კანონის სიტყვასიტყვით მოთხოვნებს, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდიან კანონის მიზნებთან და ამოცანებთან → agere in fraudem 1.

fraus patroni [ფრა´უს პატრო´ნი „პატრონის (მიმართ) ვერაგობა“]
I. გათავისუფლებული პირის მიერ მისი ყოფილი პატრონის მიმართ ჩადენილი თაღლითური ქმედება, რაც გამოიხატებოდა ქონების გასხვისებაში და ამით მისი ყოფილი პატრონის მემკვიდრეობის უფლების შელახვაში

frons, -ntis [ფრო´ნს „შუბლი“] ფრონტი
II. საომარი მოქმედებების არე, ბრძოლის ველი. „მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: ი) პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ ... სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებზე“ (საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ – 1995, მე-7(1) (ი) მუხლი)
III. „კაპიტალისტური გარემოცულობის პირისპირ საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად“ (კონსტ. – 1922, მე-4 მუხლი)

fructuarius [ფრუკტუა´რიუს „სარგებლობის (და არა ფლობის) უფლება“] ფრუქტუარიუსი
I. →ususfructus

fructus [ფრუ´კტუს „ნაყოფი“]
I. ნაყოფი

fructus consumpti [ფრუ´კტუს კონსუ´მპტი „გახარჯული ნაყოფები“]
I. უკვე დახარჯული, გასხვისებული და სხვ.

fructus duplio →vindicia falsa

fructus extantes [ფრუ´კტუს ეკსტა´ნტეს „გამობურცული ნაყოფები“]
I. ნატურით წარმოდგენილი და ჯერ კიდევ მფლობელის ხელში მყოფი ნაყოფი

fructus pendentes [ფრუ´კტუს პენდე´ნტეს „ნაყოფი (ხეზე) ჩამოკიდებული ან, რომელიც ჯერ არ გამოუღია ხეს“]

I. ნაყოფი, რომელიც არ იყო მისი გამომღები ნივთისგან განცალკევებული. ეს ნაყოფი განიხილებოდა შესაბამისი ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილად

fructus percepti [ფრუ´კტუს *პერკე´პტი/პერცე´პტი „მოპოვებული ნაყოფები“]
I. ნაყოფი, რომელზეც პირმა მოიპოვა მფლობელობა ნაყოფის განცალკევებითა და შეგროვებით

fructus percipiendi, **f. neglecti** [ფრუ´კტუს *პერკიპიე´ნდი/პერციპიე´ნდი „მომავალში მისაღები ნაყოფები“, ფ. ნეგლე´კტი „უგულებელყოფილი ნაყოფები“]
I. ნივთის მფლობელის გაუფრთხილებლობის შედეგად მიუღებელი ნაყოფი

fructus separati [ფრუ´კტუს სეპარა´ტი „გამოცალკევებული ნაყოფები“]
I. ნივთისგან განცალკევებული ნაყოფი. მხოლოდ განცალკევებული ნაყოფი განიხილებოდა **fructus**-ად

frumentatio [*ფრუმენტა´ტიო/ფრუმენტა´ციო „პურის განაწილება“]
I. პურის განაწილება ხალხისათვის (frumentum publicum). პურის გაცემა – უფასო (liberalitas) და ფასდაკლებით; იხ. აგრ. annona; leges f-riae; praefectus f-i dandi; tessera f-ria

frumentum [ფრუმე´ნტუმ „პური, მარცვალი, ხორბალი“]
I. პური, ხორბალი. რესპუბლიკის დაქვეთების პერიოდში ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია პურის დარიგება ხალხისთვის იხ. f. publicum

frumentum aestimatum [ფრუმე´ნტუმ ესტიმა´ტუმ „შეფასებითი ხორბალი“]
I. საგანგებო ფულადი გადასახადი, რომელიც f. in cellam-იდან განვითარდა – როგორც მისი შესატყვისი

frumentum emptum [ფრუმე´ნტუმ ე´მპტუმ „გასაყიდი ხორბალი“]
I. ხორბალი, რომელსაც პროვინციები აწვდიდნენ რომს ამ უკანასკნელის მიერ დაწესებულ ფასად

frumentum imperatum [ფრუმე´ნტუმ იმპერა´ტუმ „სავალდებულო ხორბალი“]
I. ხორბალი, რომელსაც საგანგებო ვითარებაში პროვინცია სავალდებულო წესით აწვდიდა რომს კომპენსაციის სანაცვლოდ

frumentum in cellam [ფრუმე´ნტუმ ინ *კე´ლლამ/ცე´ლლამ „ხორბალი ოთახისთვის“]
I. პროვინციების მიერ ადგილობრივი ნაცვლისათვის, მისი მოხელეებისა და ოჯახის წევრებისთვის მიწოდებული ხორბალი სენატის მიერ დადგენილ ფასად

frumentum publicum [ფრუმე´ნტუმ პუ´ბლიკუმ „საზოგადოებრივი ხორბალი“]
I. ღარიბი მოსახლეობისათვის დარიგებული პური, ხორბალი

frustrator, -oris [ფრუსტრა´ტორ „გამცურებელი“]
I. ის, ვინც არაკეთილსინდისიერად და ხელოვნურად ცდილობდა გადაევადებინა ან გაეხანგრძლივებინა სასამართლოში საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა

frux [ფრუქს „საველე ნაყოფი“] fruges excantare → e. f.; იხ. აგრ. carmen malum

fuga [ფუ´გა „გაქცევა“]
I. გაქცევა

fuga lata →interdictio locorum

fugitivarius [ფუგიტივა´რიუს „გაქცეული მონის დამჭერი“]
I. გაქცეული მონების პროფესიონალი მაძებარი

fugitivus servus [ფუგიტი´ვუს სე´რვუს „გაქცეული მონა“]
I. გაქცეული მონა, ასევე მონათა აჯანყების მონაწილე →servus

fullo [ფუ´ლლო „მემაუდე“, მრ. რ. fullones]
I. ევალებოდა დაეცვა ტანსაცმელი →custodia

fumus [ფუ´მუს „კვამლი“]
I. კვამლი, ბოლი. მეზობელი მიწის ნაკვეთიდან მომდინარე კვამლის მიმართ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ჰქონდათ თმენის ვალდებულება. იხ. აგრ. caelum; immissio

fundus [ფუ´ნდუს „ფსკერი, მიწა“] ფუნდუსი
I. ნაწ. სინ. ager, praedia, მიწის საკუთრება, მიწის ნაკვეთი

fundus dotalis →lex Iulia 25

fundus Italicus, fundus in solo Italico [ფუ´ნდუს იტა´ლიკუს, ფუ´ნდუს ინ სო´ლო იტა´ლიკო „იტალიური მამული“]
I. კვირიტული სამართლის მიხედვით გადასახადებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი იტალიაში

fundus limitaneus [ფუ´ნდუს ლიმიტა´ნეუს „საზღვარზე მდებარე მამული“]
I. მიწის ნაკვეთი სახელმწიფო საზღვარზე

fundus provincialis [ფუ´ნდუს *პროვინკია´ლის/პროვინცია´ლის „პროვინციული მამული“]
I. სენატურ პროვინციაში მიწის ნაკვეთი, რომელიც იბეგრებოდა მიწის გადასახადით → stipendium

fundus rei privatae →res privata Caesaris

fundus tributorius [ფუ´ნდუს ტრიბუტო´რიუს „დასაბეგრი მამული“]
I. პრინცეპსის პროვინციაში მიწის ნაკვეთი, რომელიც იბეგრებოდა მიწის გადასახადებით – tributum

fundus uti optimus maximus [ფუ´ნდუს უ´ტი ო´პტიმუს მა´ქსიმუს „გამოსაყენებლად ოპტიმალურად დიდი მამული“]
I. სერვიტუტისაგან თავისუფალი ნაკვეთი

funus [ფუ´ნუს „დაკრძალვა“]
I. დამკრძალავი პროცესია

fur [ფურ „ქურდი“]
I. ქურდი

fur diurnus [ფურ დიუ´რნუს „დღის ქურდი“]
I. ქურდი, რომელსაც წაასწრეს დღის მანძილზე დანაშაულის ჩადენისას

fur nocturnus [ფურ ნოკტუ´რნუს „ღამის ქურდი“]
I. ქურდი, რომელსაც წაასწრეს ღამით დანაშაულის ჩადენისას

furca [ფუ´რკა „ორკბილა, ორთითი“]

I. 1. წამებისა და სიკვდილით დასჯის იარაღი; 2. სიკვდილით დასჯა **f**-თი. იხ. აგრ. laqueus; latrones; poena; suspendere

furiosus [*ფურიო´სუს/ფურიო´ზუს „შეშლილი“, მრ. რ. furiosi]
I. არაქმედუნარიანი პირები

furtum [ფუ´რტუმ „ქურდობა“]
I. ქურდობა

furtum balnearium [ფუ´რტუმ ბალნეა´რიუმ „აბანოში ჩადენილი ქურდობა“]
I. აბანოში ჩადენილი ქურდობა

furtum conceptum [ფუ´რტუმ *კონკე´პტუმ/კონცე´პტუმ „გახსნილი ქურდობა“]
I. ქურდობა, რომელიც გახსნილ იქნა მოწმის თანდასწრებით ნაქურდალი ნივთის აღმოჩენით

furtum domesticum [ფუ´რტუმ დომე´სტიკუმ „შინაური ქურდობა“]
I. ოჯახის წევრის, აგრეთვე მონის მიერ ჩადენილი ქურდობა

furtum manifestum [ფუ´რტუმ მანიფე´სტუმ „აშკარა ქურდობა“]
I. 1. ქურდობა, რომლის დროსაც ქურდს წაასწრეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე; 2. XII დაფის კანონების მიხედვით, furtum manifestum-ს უწოდებდნენ ქურდობას, რომელიც გახსნილ იქნა გამოძიების შედეგად

furtum nec manifestum [ფუ´რტუმ ნეკ მანიფე´სტუმ „დაუდგენელი ქურდობა“]
I. ანტ. furtum manifestum 1

furtum publicum, f. p-ae pecuniae [ფუ´რტუმ პუ´ბლიკუმ „საჯარო ქურდობა“, ფუ´რტუმ პუ´ბლიკე პეკუ´ნიე „საზოგადოებრივი ფულის ქურდობა“]
I. → peculates, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნივთის ქურდობა

furtum rei [ფუ´რტუმ რე´ი „ნივთის ქურდობა“]
I. ქურდობა ნივთის ფიზიკური დაუფლებით

furtum rei suae, f. possessionis [ფუ´რტუმ რე´ი სუ´ე „საკუთარი ნივთის ქურდობა“, ფუ´რტუმ პოსსესსიო´ნის „კუთვნილების ქურდობა“]
I. მოვალის მიერ საკუთარი დაგირავებული ნივთის განზრახ უკანონო დაუფლება

furtum usus [ფუ´რტუმ *უ´სუს/უ´ზუს „სარგებლის ქურდობა“]
I. ქურდობა ნივთით არამართლზომიერი სარგებლობით

fustiarium supplicium [ფუსტია´რიუმ *სუპპლი´კიუმ/სუპპლი´ციუმ „გაშოლტვით დასჯა“]
I. სიკვდილის პირამდე ჯოხით ცემა, დეზერტირების ან მონების სიკვდილით დასჯის ფორმა

fustigatio [*ფუსტიგა´ტიო/ფუსტიგა´ციო „გაშოლტვა“]
I. გაშოლტვა როგორც ფიზიკური დასჯა → castigatio

fustis, -is [ფუ´სტის „ხელკეტი“]
I. ჯოხი, ხელკეტი

futura facta [ფუტუ´რა ფა´კტა „მომავალში მოსახდენი ფაქტები“]
I. მომავალი მოვლენები (საპ. praeterita). იხ. აგრ. damnum if.; divortium; dos; impensa; matrimonium; metus; sponsalia

futurum [ფუტუ´რუმ „მომავალი“] ფუტურუმი
I. მომავალი

G

generalis [გენერა´ლის „ზოგადი“]
I. ზოგადი, საყოველთაო
II. 1. უმაღლესი სამხედრო წოდება ან ჩინი, რომელსაც რამდენიმე ხარისხი აქვს. 1. „უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობის საჯარისო სამხედრო წოდებები: გ.გ) ბრიგადის გენერალი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, არმიის გენერალი“ (საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ – 1997, 38(1)(გ)(გ)-ე მუხლი); 2. მთავარი, ხელმძღვანელი, წამყვანი. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ხელმძღვანელობს გენერალური აუდიტორი.“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ – 2008, მე-8(1) მუხლი); 3. ერთიანი, ზოგადი, ძირითადი. „გენერალური ლიცენზია – უფლება, როდესაც პირს შეუძლია ერთიანი ზოგადი ლიცენზიის საფუძველზე განახორციელოს მსგავსი ტიპის საქმიანობები და ვალდებული არ არის ცალ-ცალკე მოიპოვოს თითოეული საქმიანობის ლიცენზია“ (საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ – 2005, მე-3(ბ) მუხლი)
III. „ყოველთა სარდალთა, ღენერალთა, ოფიცერთა, მოქალაქეთა, სალდათ(თ)ა, მღუდელთ-მთავართა და მოწესეთა და ყოველთა საზოგადოებათა ქართველსათა, ვითარცა შვილთა, ეგრეთვე უცხოთა, რომელნიც იყუნენ სამსახურსა ჩუენთასა, და მოსრულთაცა, უბრძანებთ...“ (სამართ. ბატ. დავ. 144)

genitor [გე´ნიტორ „მშობელი“]
I. შემქმნელი, მშობელი

genius [გე´ნიუს „სული“, „ოჯახის მფარველი ღვთაება“]
I. ადგილის, ქალაქის მფარველი ღვთაება

gens, **-ntis** [გენს „ტომი“, „ხალხი“, „მოდგმა“]
I. გვარი

genus [გე´ნუს „გვარი“, „მოდგმა“]
I. სახეობა, წარმომავლობა, გვარი. აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა გარიგებებთან, ნივთებთან და სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში

genus caedo // genos (ბერძნ.) caedo [*გე´ნუს (გე´ნოს) + *კე´დო/ცე´დო „გვარი, ტომი“ + „ვკლავ“] გენოციდი
II., III. „გენოციდი, ესე იგი ქმედება ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად...“ (საქ. სისხ. სამ. კოდ.– 1999, 407-ე მუხლი)

genus prodere [გე´ნუს პრო´დერე „გვარის გაგრძელება“]
I. გვარის გაგრძელება

gerere [გე´რერე „ტარება“, „წარმოება“]
I. თანამდებობის დაკავება, ქონების მართვა, გარიგების დადება

gerere pro tutore [გე´რერე პრო ტუტო´რე „მეურვის ნაცვლად მოქმედება“]
I. მეურვის სტატუსით მოქმედება

gestio, **-onis** [*გე´სტიო/გე´სციო „ქმედება“, „საქციელი“]
I. არაფორმალური გამოვლინება facta concludentia-ს მეშვეობით

gestio pro herede [*გე´სტიო/გე´სციო პრო ჰერე´დე „მემკვიდრის მაგივრად შემსრულებელი“]
I. მემკვიდრის რანგში მოქმედება

gestor [გე´სტორ „საქმის მწარმოებელი“]
I. საქმის მოთავე, აგენტი

gestor bellorum civilium [გე´სტორ ბელლო´რუმ *კივი´ლიუმ/ცივი´ლიუმ „სამოქალაქო ომების მწარმოებელი“]
I. სამოქალაქო ომის წამომწყები

gestor negotiorum [გე´სტორ *ნეგოტიო´რუმ/ნეგოციო´რუმ „საქმიანობის მწარმოებელი“]
I. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი პირი

gestum [გე´სტუმ „ქმედება“]
I. ქმედება

gladiatores [გლადიატო´რეს „გლადიატორები“]
I. გლადიატორები. გლადიატორებად გამწესება წარმოადგენდა სასჯელს რომის სამართალში

gleba [გლე´ბა „მიწის ნაკვეთი“ მრ. რ. glebae]
I. მიწის ნაკვეთი

glebae adscripti [გლე´ბე ადსკრი´პტი „მიწაზე გაწერილნი“]
I. მიწაზე გაწერილნი

glossa (ბერძნ.) [გლო´სსა „გლოსა“] გლოსა
I. გლოსა, მოკლე განმარტება ან შენიშვნა იურ. ნაწარმოების ცალკეულ სიტყვასთან დაკავშირებით

glossator [გლოსსა´ტორ „განმმარტებელი“]
I. სამართლებრივი ტერმინებისა და ინსტიტუტების განმმარტებელი

gradus [გრა´დუს „ნაბიჯი“, „საფეხური“]
I. ხარისხი, კლასი (მემკვიდრეების)

gradus cognationis [გრა´დუს *კოგნატიო´ნის/კოგნაციო´ნის „ნათესაობის ხარისხი“]
I. პირებს შორის სისხლით ნათესაობის ხარისხი. ორ პირს შორის, შემაფერხებელი ფაქტორი ქორწინებისა, მეურვეობისა და მემკვიდრეობის უფლებაში

gratia [*გრა´ტია/გრა´ცია „წყალობა“]
I. წყალობა, შეწყალება (იმპერატორისა)

gratia imperatorum [*გრა´ტია/გრა´ცია იმპერატო´რუმ „იმპერატორთა წყალობა“]
I. იმპერატორთა წყალობა

gratis [გრა´ტის „უფასოდ“, „სამადლოდ“]
I. უსასყიდლოდ

gratis dictum [გრა´ტის დი´კტუმ „უმიზნო განცხადება“]
I. უმოტივაციო, უმიზნო განცხადება

gravis [გრა´ვის „მძიმე“, „მკაცრი“]
I. მკაცრი, მძიმე

gravis edictum [გრა´ვის ედი´კტუმ „მკაცრი ედიქტი“]
I. მკაცრი ედიქტი

gravi senatum consultum [გრა´ვი სენა´ტუმ კონსუ´ლტუმ „სენატის მკაცრი დადგენილება“]
I. სენატის მკაცრი დადგენილება

gubernator [გუბერნა´ტორ „მესაჭე“]
I. მესაჭე (g. navis) ხომალდისა, იგი იყო პასუხისმგებელი მისი ხომალდის მიერ მიყენებულ ზიანზე
II. ტერიტორიულ ერთეულებში უმაღლესი არჩევითი ან დანიშვნითი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. „საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობის საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 81[3](1)-ე მუხლი)
III. „ოდეს ქუეყანა ჩუენი არს მერყეობასა შინა და ოდესმე იმართების სპარსთაგან, და ოდესმე თურქთაგან, და უკეთუ შეხუდეს ესეთი უბედურებაჲ, რომელ თურქთა და სპარსთა ღუბერნატორთაგან იმართებოდეს სამეფოჲ...“ (სამართ. ბატ. დავ. C, 16)

gubernator reipublicae [გუბერნა´ტორ რეიპუ´ბლიკე „რესპუბლიკის მესაჭე“]
I. სახ.-ს მეთაური, იმპერატორი

H

habena [ჰაბე´ნა „სადავე“]
I. სადავე, აღვირი

habenae [ჰაბე´ნე „სადავეები“]
I. მართვის სადავეები

habenae rerum [ჰაბე´ნე რე´რუმ „საქმეთა მართვის სადავეები“]
I. სახ. მმართველობა, ძალაუფლება

habere [ჰაბე´რე „ქონა“, „ყოლა“, „ფლობა“]
I. ფლობა

habere in custodiis [ჰაბე´რე ინ კუსტო´დიის „პატიმრობაში მყოფნი“]
I. დაპატიმრებულნი

habere silentium [ჰაბე´რე *სილე´ნტიუმ/სილე´ნციუმ „დუმილის დაცვა“]
I. დუმილის დაცვა

habitatio [*ჰაბიტა´ტიო/ჰაბიტა´ციო „ცხოვრება“, „საცხოვრისი“]

I. ცხოვრება, ბინა

habitus [ჰა´ბიტუს „გარეგნული მხარე“] ჰაბიტუსი
I. გარეგნობა, ჰაბიტუსი, სიმწიფის ასაკის ნიშანი

haereticus [ჰერე´ტიკუს „ერეტიკოსი“] ერეტიკოსი
I. ერეტიკოსი. ქრისტიანული ორთოდოქსალური ეკლესიიდან განდგომილი. IV ს-ში ქრისტიანული ეკლესია სახ.-ს დახმარებით დევნიდა ერეტიკოსებს. ერესის ზოგიერთი სახეობა დანაშაულებრივად იყო მიჩნეული და ისჯებოდა ქონების კონფისკაციით

haruspex [ჰარუ´სპექს „ცხოველის შიგნეულობაზე დამკვირვებელი“]
I. ჰარუსპიკი, მისანი სამსხვერპლო ცხოველის შიგნეულობაზე (განს. ღვიძლზე) დამკვირვებელი

hasta [ჰა´სტა „შუბი“]
I. შუბი, კვერთხი ცენტუმვირისა, საკუთრების უფლების სიმბოლო

hasta censoriae [ჰა´სტა *კენსო´რიე/ცენზო´რიე „ცენზორის შუბი“]
I. ცენზორის მიერ დაწესებული ვაჭრობა

heredes coniuncti [ჰე´რედეს კონიუ´ნკტი „დაკავშირებული მემკვიდრეები“]
I. პირები, რომლებიც გამოცხადებული იყვნენ ერთი და იმავე ქონების მემკვიდრეებად

heredes domestici [ჰე´რედეს *დომე´სტიკი/დომე´სტიცი „ოჯახის წევრი მემკვიდრეები“]
I. ოჯახის წევრი მემკვიდრეები

heredes sine partibus [ჰე´რედეს სი´ნე პა´რტიბუს „მემკვიდრეები ნაწილთა გარეშე“]
I. მემკვიდრეები, რომელთა წილი სამკვიდროში მეანდერძის მიერ არ ყოფილა განსაზღვრული

heredes voluntarii [ჰე´რედეს ვოლუნტა´რიი „თავისი ნებით მემკვიდრეები“]
I. ანდერძში მემკვიდრედ გამოცხადებული პირები, რომელთაც ჰქონდათ არჩევანის უფლება, მიეღოთ მემკვიდრეობა ან უარი ეთქვათ მის მიღებაზე

herediolum [ჰერედი´ოლუმ „მცირე მემკვიდრეობა“]
I. 1. მცირე მემკვიდრეობა; 2. მცირე მიწის ნაკვეთი

heredipeta [ჰერედი´პეტა „მემკვიდრეობის მაძიებელი“]
I. მემკვიდრეობის მაძიებელი

heredis institutio [ჰერე´დის *ინსტიტუ´ტიო/ინსტიტუ´ციო „მემკვიდრის დადგენა, დასახელება“]
I. პირის მემკვიდრედ გამოცხადება ანდერძით

hereditarius [ჰერედიტა´რიუს „სამემკვიდრეო“, „მემკვიდრეობისათვის განკუთვნილი“]
I. მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელი

hereditas [ჰერე´დიტას „მემკვიდრეობა“]
I. 1. მემკვიდრეობა; 2. სამკვიდრო

hereditas legitima [ჰერე´დიტას ლეგი´ტიმა „კანონიერი მემკვიდრეობა“]
I. კანონიერი მემკვიდრეობა

hereditas paterna [ჰერე´დიტას პატე´რნა „მამისეული მემკვიდრეობა“]
I. მამისეული მემკვიდრეობა

hereditas testamentaria [ჰერე´დიტას ტესტამენტა´რია „ანდერძით მემკვიდრეობა“]
I. ანდერძით დადგენილი მემკვიდრეობა

hereditatis aditio [ჰერედიტა´ტის *ადი´ტიო/ადი´ციო „მემკვიდრეობის მიღება“]
I. მემკვიდრეობის მიღება

hereditatis petitio [ჰერედიტა´ტის *პეტი´ტიო/პეტი´ციო „მემკვიდრეობის მოთხოვნა“]
I. სანივთო სარჩელი, რომლის ძალითაც მოსარჩელე ითხოვდა მემკვიდრეობით მიღებული ქონების გადაცემას

heredium [ჰერე´დიუმ „მემკვიდრეობა“]
I. მემკვიდრეობით მიღებული მამული სახლით, ბაღით, წინაპართა საფლავებით

heres (haeres), **-edis** [ჰე´რეს „მემკვიდრე“ მრ. რ. heredes]
I. მემკვიდრე

heres ex asse [ჰე´რეს ექს ა´სსე „მთელი ქონების მემკვიდრე“]
I. მთელი ქონების მემკვიდრე

heres ex parte [ჰე´რეს ექს პა´რტე „ნაწილობრივი მემკვიდრე“]
I. ქონების ნაწილის მემკვიდრე

heres ex re certa [ჰე´რეს ექს რე *კე´რტა/ცე´რტა „კონკრეტული ნივთის მემკვიდრე“]
I. კონკრეტული ნივთის მემკვიდრედ გამოცხადებული პირი

heres excepta re certa [ჰე´რეს *ექსკე´პტა/ეკსცე´პტა რე *კე´რტა/ცე´რტა „კონკრეტული ნივთის გარდა მთელი ქონების მემკვიდრე“]
I. კონკრეტული ნივთის გარდა მთელი ქონების მემკვიდრედ გამოცხადებული პირი

heres extraneus [ჰე´რეს ექსტრა´ნეუს „უცხო მემკვიდრე“]
I. ანდერძით მემკვიდრე, რომელიც არ წარმოადგენდა ოჯახის წევრს

heres fiduciarius [ჰე´რეს *ფიდუკია´რიუს/ფიდუცია´რიუს „ნდობით აღჭურვილი მემკვიდრე“]
I. მემკვიდრე, რომელსაც ეკისრებოდა **fideicommissum**-ის შესრულების ვალდებულება

heres necessarius [ჰე´რეს *ნეკესსა´რიუს/ნეცესსა´რიუს „მახლობელი მემკვიდრე“]
I. გათავისუფლებული მონა, რომელიც მემკვიდრედ იყო გამოცხადებული ანდერძში

heres primus [ჰე´რეს პრი´მუს „რიგით პირველი მემკვიდრე“]
I. პირი, რომელიც ანდერძით გამოცხადებული იყო პირველი რიგის მემკვიდრედ. თუ ის უარს განაცხადებდა სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ მემკვიდრეობის უფლე-

ბა გადადიოდა ანდერძში მეორე რიგის მემკვიდრედ (heres secundus) გამოცხადებულ პირზე

heres secundus [ჰე´რეს სეკუ´ნდუს „რიგით მეორე მემკვიდრე“]
I. პირი, რომელიც ანდერძით გამოცხადებული იყო მეორე რიგის მემკვიდრედ და რომელზეც გადადიოდა მემკვიდრეობის უფლება პირველი რიგის მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში

heres suspectus [ჰე´რეს სუსპე´კტუს „საეჭვო მემკვიდრე“]
I. მემკვიდრე, რომელთან დაკავშირებითაც არსებობდა ეჭვი, რომ ის იყო გადახდისუუნარო

heres suus [ჰე´რეს სუ´უს „საკუთარი მემკვიდრე“]
I. მემკვიდრე, რომელზეც ოჯახის უფროსის გარდაცვალებამდე ვრცელდებოდა მისი patria potestas (მამის ძალაუფლება)

histrio, -onis (histriones pl.) [ჰი´სტრიო „მსახიობი“]
I. მსახიობი. მსახიობები თავიანთი სოციალური მდგომარეობით მეძავებს უთანაბრდებოდნენ

homicidium [*ჰომიკი´დიუმ/ჰომიცი´დიუმ „ადამიანის მკვლელობა“] ჰომიციდიუმი
I. მკვლელობა

homo [ჰო´მო „კაცი“, „ადამიანი“]
I. ადამიანი

homo integrae frontis [ჰო´მო ინტე´გრე ფრო´ნტის „წმინდა შუბლის (სახის) ადამიანი“]
I. უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანი

homo liber [ჰო´მო ლი´ბერ „თავისუფალი ადამიანი“]
I. თავისუფალი ადამიანი

homo novus [ჰო´მო ნო´ვუს „ახალი კაცი“]
I. ახალი კაცი, ე.ი. არადიდგვაროვანი წარმომავლობის კაცი, რომელმაც თავისი გვარიდან პირველმა მიაღწია მაღალ თანამდებობას მხოლოდ საკუთარი ნიჭის წყალობით

honestiores [ჰონესტიო´რეს „ღირსეულები“]
I. საზოგადოების მაღალი ფენების წარმომადგენლები

honestus [ჰონე´სტუს „პატიოსანი, ღირსეული“]
I. წესიერი, ღირსეული ადამიანი

honor // honos [ჰო´ნორ, ჰო´ნოს „პატივი“, „დაფასება, საპატიო თანამდებობა“]
I. 1. საპატიო არჩევითი თანამდებობა; 2. ყურადღების გამოხატვა პატივსაცემი ადამიანების (მშობლების, მეუღლის) მიმართ

honorarium [ჰონორა´რიუმ „საჩუქარი“, „მადლიერება“] ჰონორარი
I. ჰონორარი, საპატიო საჩუქარი, ჯილდო
II. ლიტერატურული ან სამხატვრო ნაწარმოების, სამეცნიერო ნაშრომის, არქიტექტორული პროექტის და ა.შ. ავტორისთვის გადახდილი გასამრჯელო. „არქიტექტურული პროექტის გამოყენებისათვის საავტორო ჰონორარის ოდე-

ნობა განისაზღვრება ხელშეკრულებით (საქართველოს კანონი არქიტექტურული საქმიანობის შესახებ – 1998, მე-13(4) მუხლი)
III. „განსაზღვრული ტირაჟის დროს საავტორო ჰონორარი ლიტერატურული ნაწარმოების... გამოცემისა და გავრცელების უფლების გასხვისებისათვის გამომცემლობის სასარგებლოდ არ შეიძლება იყოს იმ უკიდურეს განაკვეთზე ნაკლები, რასაც დააწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“ („სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საავტორო უფლებების საფუძვლების შესახებ“ – 1925, ქრონ. კრ., I, გვ. 105)

honorarius [ჰონორა´რიუს „საპატიო“]
I. საპატიო

honorati [ჰონორა´ტი „საპატიონი“, „პატივის მქონენი“]
I. დომინატის დროს მაღალი თანამდებობის სამოქალაქო ან სამხედრო პირები

honoratus [ჰონორა´ტუს „საპატიო“]
I. პირი, რომელსაც ანდერძის ძალით მიენიჭა მემკვიდრეობა

horrearius [ჰორრეა´რიუს „ბეღლის მცველი“]
I. საწყობის მფლობელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მიბარებულ ნივთებზე

hospes [ჰო´სპეს „სტუმარი“, „უცხოელი“]
I. სტუმარი სხვის სახლში

hospitium [*ჰოსპი´ტიუმ/ჰოსპი´ციუმ „სტუმართმოყვარეობა, სასტუმრო“]
I. მეგობრული დამოკიდებულება, რომელსაც გამოხატავდა რომი უცხო სახელმწიფოს მოსახლეობისადმი, რაც გამოიხატებოდა რომში დროებითი ცხოვრების, რომაელებთან გარიგებების დადებისა და სამართლებრივი დაცვის უფლებების მინიჭებასა და უზრუნველყოფაში

hostis [ჰო´სტის „უცხოელი“, „მეტოქე, მტერი“]
I. 1. უცხო სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქე, რომლის სამართლებრივი მდგომარეობა რეგლამენტირებული იყო რომში საერთაშორისო შეთანხმებებით; 2. მტერი, რომისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოს მოქალაქე

humanitarius (*საშ. ლათ.*) [ჰუმანიტა´რიუს „ჰუმანიტარული“] ჰუმანიტარული
II. 1. ადამიანის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებილი, ჰუმანური. „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება არის ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება“ (საქართველოს კანონი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ – 1997, მე-2(1) მუხლი); 2. ჰუმანიტარული სამართალი – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი დარგი, რომელიც ადგენს სამხედრო კონფლიქტების დროს საომარი მოქმედებების წარმოების წესებს, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის, დაჭრილი პირების, სამხედრო ტყვეებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვისთვის გამიზნულ პრინციპებსა და ნორმებს. „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს“ (საქ. სისხ. სამ. კოდ. – 1999, 411-ე მუხლი); 3. ჰუმანიტარული სტატუსი – სტატუსი, რომელიც კანონით დადგენილ შემთხვევებში და პირობების დაკმაყოფილებისას ენიჭება პირს, რომლის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას წარმოშობის სახელმწიფოში ემუქრება საფრთხე ან რომელსაც ესაჭიროება ჰუმანიტარული

დახმარება. „ამ კანონის მე-2 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოში იმ პირთა მასობრივი შემოსვლის დროს, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, სამინისტრო მათთვის ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მათი წარმოშობის ქვეყანაში არსებული საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით“ (საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ – 2011, მე-5 მუხლი)

III. „საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ... დაბეგვრის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს პარლამენტი ადგენს...“ (საქართველოს კანონი გრანტით მიღებული საქონლისა და ფულადი სახსრების დაბეგვრის თაობაზე – 1996)

humanus [ჰუმა´ნუს „ადამიანური“] ჰუმანური

II. ადამიანური, კაცთმოყვარე. „პაციენტს უფლება აქვს: ა) ისარგებლოს ჰუმანური მოპყრობით, რომელიც გამორიცხავს მისი ღირსების შემლახავ ყოველგვარ მოქმედებას“ (საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ – 2006, მე-5(1)(ა) მუხლი)

III. „იმ ჰუმანური დახმარების პროდუქციის გაყიდვა, რომელიც განკუთვნილი იყო უფასოდ გასაცემად“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 157-ე მუხლი)

humilior [ჰუმი´ლიორ „უფრო დაბალი“]

I. რომის დაბალი საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენელი

hypotheca (ბერძნ.) [ჰიპოთე´კა „გირაო, საწინდარი“]

I. ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც უზრუნველყოფის საგანი რჩებოდა მოვალის მფლობელობასა და სარგებლობაში

I

iactus [ია´კტუს „გადასროლილი“]

I. გადასროლა, ზიანი

iactus lapilli [ია´კტუს ლაპი´ლლი „კენჭის გადასროლა“]

I. ერთი მეზობლის მიერ მეორის მიწის ნაკვეთზე კენჭის გადასროლა ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე წამოწყებული მშენებლობის გაპროტესტების მიზნით

iactus missilium [ია´კტუს მისსი´ლიუმ „ძღვენის გადასროლა“]

I. წვრილი საჩუქრების, განსაკუთრებით კი ფულის გადასროლა ხალხში დღესასწაულის დროს

ibi, ibidem [ი´ბი, იბი´დემ „იქ“, „იქვე“]

I. იქ, იმავე ადგილას

identificatio (*საშ. ლათ.*) [*იდენტიფიკა´ტიო/იდენტიფიკა´ციო „იგივეობის დადგენა“] იდენტიფიკაცია

II. გაიგივება, მსგავსების დადგენა, ამოცნობა. „თუ მიმღების პროვაიდერი ვერ ახერხებს მიმღების იდენტიფიკაციას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმღების პროვაიდერმა უნდა უზრუნველყოს თანხის დაბრუნება საქართველოს

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით“ (საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ – 2012, 26(3)-ე მუხლი)
III. „ამ კანონის საფუძველზე მიღებულ იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები: ე) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლივი ბრძანება „მაღალმთიან რეგიონებში ეროზირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უბნების იდენტიფიკაციის, მათი სამიწათმოწყობო და მიწის საბალანსო დოკუმენტებსა და კარტოგრაფიულ მასალებზე დატანის წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ – 1994, მე-12(1)(ე) მუხლი)

idoneus [იდო´ნეუს „შესაფერისი“]
I. უნარიანი, საიმედო, გადახდისუნარიანი

ignominia [იგნომი´ნია „პატივის აყრა“]
I. შერცხვენა, პატივის, ღირსების აყრა

ignominosus [*იგნომინო´სუს/იგნომინო´ზუს „უპატიოსნო“]
I. უღირსი საქციელის ჩამდენი პირი

ignorantia [*იგნორა´ნტია/იგნორა´ნცია „არცოდნა“] იგნორაცია
I. უცოდინრობა, არცოდნა
II. არცოდნა ან შეცდომა, უგულებელყოფა. „თავშესაფრის მაძიებლის მიერ საპატიო მიზეზის გარეშე, შეტყობინების იგნორირებით გასაუბრებაზე ორჯერ გამოუცხადებლობის შემთხვევაში სამინისტრო წყვეტს განცხადების განხილვას.“ (საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ – 2011, მე-14(2) მუხლი)
III. „ნებისმიერ მხარეს, რომელსაც სადავო საკითხის ობიექტში გააჩნია სამართლებრივი ხასიათის ინტერესი, რომელიც შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით იგნორირებულ იყოს, უფლება აქვს სასამართლოზე გამოსვლისა, მასთან შეთანხმებით“ (ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ – 1989, მე-9 მუხლი)

ignorantia facti [*იგნორა´ნტია/იგნორა´ნცია ფა´კტი „ფაქტის არცოდნა“]
I. ფაქტობრივი მდგომარეობის არცოდნა ან ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით შეცდომის დაშვება

ignorantia iuris [*იგნორა´ნტია/იგნორა´ნცია იუ´რის „სამართლის არცოდნა“]
I. უგულებელყოფა

ignorare [იგნორა´რე „უგულებელყოფა“, „იგნორირება“]
I. სამართლებრივი ნორმის არცოდნა ან მცდარი განმარტება

illicitum collegium [*ილლი´კიტუმ/ილლი´ციტუმ კოლლე´გიუმ „არალეგალური გაერთიანება“]
I. არაკანონიერი კოლეგია, კორპორაცია

illicitus [*ილლი´კიტუს/ილლი´ციტუს „დაუშვებელი“]
I. დაუშვებელი, კანონსაწინააღმდეგო

illustratio [*ილლუსტრა´ტიო/ილლუსტრა´ციო „ცოცხალი აღწერა, თვალსაჩინო გამოსახულება“] ილუსტრაცია
II. გამოსახულება ფოტოსურათის, ნახატის და ა.შ. სახით, რომელიც თან ახლავს ტექსტს და რომელიც განმარტავს ან ავსებს ამ ტექსტს. „ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებებია: ვ) ნება დართოს სხვა პირებს, დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომენტარი, განმარტება და სხვა)“ (საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ – 1999, მე-17(1)(ვ) მუხლი)
III. „იმ შემთხვევაში, თუ სადგომები აღჭურვილია დაცვითი სიგნალიზაციის საშუალებებით, აგრეთვე ამ საშუალებებისაგან სიგნალების მიღებისა და ილუსტრაციის ავტომატიზებული სისტემით“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №42 – 1997, 7(6)-ე მუხლი)

illustris [ილლუ´სტრის „მბრწყინავი, ბრწყინვალე“]
I. უმაღლესი რანგის მოხელეთა, სენატორთა წრის წარმომადგენელთა საპატიო ტიტული, რომელიც მის მფლობელებს განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა

imaginarius [იმაგინა´რიუს „წარმოსახვითი“]
I. მოჩვენებითი, ფიქტიური

imaginarius contractus [იმაგინა´რიუს კონტრა´კტუს „მოჩვენებითი კონტრაქტი“]
I. მოჩვენებითი ხელშეკრულება

imago [იმა´გო „გამოსახულება“]
I. ნიღბები გარდაცვლილ წინაპართა გამოსახულებით, რომლებიც გამოიყენებოდა დაკრძალვის პროცესიაში და რომლებიც ინახებოდა საგვარეულო აკლდამებში. აღნიშნული ნიღბების დამზადების უფლება ჰქონდათ მხოლოდ რომაელ დიდგვაროვნებს

immigratio [*იმმიგრა´ტიო/იმმიგრა´ციო „ჩასახლება, შეღწევა“] იმიგრაცია
II. სახელმწიფოში უცხოელის მუდმივი ან დროებითი, მაგრამ ხანგრძლივი ვადით შესვლა. „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის ... შესახებ“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, მე-3(1)(ა) მუხლი)
III. „საქართველოში იმიგრაციის პროცესის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ყოველწლიურად ხდება საიმიგრაციო კვოტის განსაზღვრა, რაც გულისხმობს იმიგრაციის ზღვრული სიდიდის დადგენას“ (საქართველოს კანონი იმიგრაციის შესახებ – 1993, მე-10(1) მუხლი)

immissio, **-onis** [იმმი´სიო „გამოშვება“] იმისია
I. მეზობლის ნაკვეთზე კვამლის, მტვრის, წყლის მიშვება

immunis [იმმუ´ნის „თავისუფალი“, „არავალდებული“]
I. სამხედრო ვალდებულებისაგან მუდმივად ან დროებით თავისუფალი (ასეთები იყვნენ ქურუმები და მამაკაცები 45 წლის ასაკიდან)

immunitas, **-tatis** [იმმუ´ნიტას „გათავისუფლება ბეგარისაგან“] იმუნიტეტი
I. იმუნიტეტი, ხელშეუხებლობა, ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირთა უფლება ძველ რომში, არ დამორჩილებოდა საერთო კანონს. განსაკუთრებული პრი-

ვილეგია, რომელიც ათავისუფლებდა მოქალაქეს სამხედრო ბეგარისაგან და საზ.-ვი ვალდებულებებისაგან
II. სახელმწიფოს ოფიციალური პირის დაცვა საკუთარი ან უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან, სახელმწიფოს დაცვა უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისგან. „როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარგზავნილი პირი და მისი ოჯახის წევრები საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად სარგებლობენ დიპლომატიური და საკონსულო იმუნიტეტით“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, 41(1)-ე მუხლი)
III. „საქართველოს ტერიტორიაზე იმ უცხოელი მოქალაქის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც საქართველოს კანონებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით საქართველოს ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, გადაწყდება დიპლომატიური გზით“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, მე-17(2) მუხლი)

impedimentum [იმპედიმე´ნტუმ „აკრძალვა“]
I. კანონიერი აკრძალვა, წინააღმდეგობა. აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა იმ სამართლებრივ ნორმებთან მიმართებაში, რომლებიც კრძალავდნენ გარკვეული სახის ქმედების განხორციელებას

impedire [იმპედი´რე „ხელის შეშლა“]
I. წინააღმდეგობის გაწევა, ხელის შეშლა

impendio privato [იმპე´ნდიო პრივა´ტო „საკუთარი ხარჯით“]
I. საკუთარი ხარჯით

impendio publico [იმპე´ნდიო პუ´ბლიკო „სახელმწიფოს ხარჯით“]
I. სახ.-ს ხარჯზე

impendium [იმპე´ნდიუმ „ხარჯი“, „ზარალი“]
I. ხარჯი, დანახარჯი (მაგ., საკუთარ ან სხვის ნივთზე გაწეული ხარჯი)

impensa [იმპე´ნსა „ხარჯი“]
I. ხარჯი

impensae necessariae [იმპე´ნსე *ნეკესსა´რიე/ნეცესსა´რიე „აუცილებელი ხარჯები“]
I. აუცილებელი დანახარჯები, რომელთა გაღებაც საჭირო იყო ნივთის განადგურების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად

impensae utiles [იმპე´ნსე უ´ტილეს „სასარგებლო ხარჯები“]
I. ნივთის ნაყოფისა და შემოსავლის გაზრდის მიზნით გაწეული ხარჯები

impensae voluptariae [იმპე´ნსე ვოლუპტა´რიე „ხარჯები სიამოვნებისათვის“]
I. ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა ნივთის იერსახის გასაუმჯობესებლად

imperare [იმპერა´რე „ბრძანება“]
I. მართვა, ბატონობა, ბრძანება

imperativus [იმპერატი´ვუს „ბრძანებითი“] იმპერატიული
I. საგანგებო ბრძანებით მოწყობილი; საგანგებო

II., III. იმპერატიული ნორმა – ნორმა, რომელიც ექვემდებარება განუხრელ დაცვას და რომლისგანაც გადახვევა სუბიექტებს ურთიერთშეთანხმებით ეკრძალებათ. „უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997, მუხლი მე-10(3) მუხლი)

imperator [იმპერა´ტორ „მბრძანებელი, იმპერატორი“] იმპერატორი
I. რესპ. ხანაში მთავარსარდალი, ავგუსტუსის დროიდან პრინცეპსის ტიტული
III. „და ხვაჲშნითა ღმრთის მტვირთველისა მარჯჳენისა შენისათა, მომცა შეწევნა ლაშქრითურთ ყოვლად უდიდებულესმან იმპერატორმან ეკატერინამა, მფლობელმან რუსეთისამან“ (ოსმალებთან ომში) („შეწირულობის წიგნი სოლომონ I-ისა ქუთაისის ღმრთისმშობლისადმი“ (1773 წ.) ქსძ, VII, 429)

imperium [იმპე´რიუმ „ძალაუფლება“, „განკარგულება“] იმპერია
I. 1. ოჯახის წევრის ძალაუფლება; 2. სახელმწიფო ხელისუფლება 3. იმპერია (i. Romanum რომის იმპერია)
II. მონარქიული სახელმწიფო, რომლის სათავეში დგას იმპერატორი. „საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი – 1991)
III. „აზნაურად იზედწოდებიან იგინი, რომელთაცა მოიღეს წოდება და ღირსება შემდგომად ალექსანდრე დიდისა აზონის მიერ, მთავრისა საქართუელოჲსა, რომელიცა შემდგომად განყოფისა იმპერიისა მხედართ-მძღუანთაგან იქმნა ესე აზონ მეფედ ივერიისა“ (სამართ. ბატ. დავ. C, 1)

impetratio [*იმპეტრა´ტიო/იმპეტრა´ციო „მიზნის მიღწევა“]
I. მიზნის მიღწევა, განხორციელება

impetus [იმპე´ტუს „იერიში“, „მომძლავრება“]
I. გრძნობების მოზღვავება, აფექტი

implantatio [*იმპლანტა´ტიო/იმპლანტა´ციო „დარგვა“] იმპლანტაცია
I. იმპლანტაცია. დარგული მცენარეები ითვლება იმის კუთვნილებად, ვისიც არის ნაკვეთი

implementatio [*იმპლემენტა´ტიო/იმპლემენტა´ციო „გადავსება“] იმპლემენტაცია
II. 1. სამართლებრივი აქტების პრაქტიკაში განხორციელება. „ამ კანონის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ – 2005, 24(2)-ე მუხლი); 2. საერთაშორისო ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში ტრანსფორმაცია. „IMO-ს A.847 (20) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 1997 წლის 27 ნოემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასახმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ, დანართისა და დამატება 1-ის ჩათვლით“ (საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 44^{1}(უ)-ე მუხლი)

III. „წინამდებარე ხელშეკრულების იმპლემენტაციის მიზნით ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთთან კავშირს ამყარებენ დიპლომატიური არხებით“ (ხელშეკრულება საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ – 1996, მე-2 მუხლი)

imponere [იმპო´ნერე „ჩაყრა“, „ჩაწყობა“]
I. დაკისრება (მოვალეობის)

importo [იმპო´რტო „შემომაქვს, შემომყავს“] იმპორტი
II. უცხოეთიდან საქონლის შემოტანა. „თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ იმპორტირებული, წარმოებული, გადამუშავებული, სადისტრიბუციო ან ბაზარზე განთავსებული სურსათი/ცხოველის საკვები მავნებელია ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისათვის, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად...“ (საქართველოს კანონი სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი – 2012, მე-14(2) მუხლი)
III. „საქართველოს ტერიტორიაზე ... ტეტრაეთილტყვიის იმპორტი ან რეალიზაცია ... – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ათიდან ასმაგ მინიმალურ ოდენობამდე, პროდუქციის კონფისკაციით“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 91^2-ე მუხლი)

impositio servitutis [*იმპოსი´ტიო/იმპოზი´ციო სერვიტუ´ტის „სერვიტუტის დასახელება“]
I. მყიდველისათვის სერვიტუტის დადგენა (ორი მეზობლად მდებარე ნაკვეთიდან ერთის გაყიდვის დროს)

impossibilis [იმპოსსი´ბილის „შეუძლებელი“]
I. განუხორციელებელი, შეუძლებელი

impossibilis condicio [იმპოსსი´ბილის *კონდი´კიო/კონდი´ციო „შესასრულებლად შეუძლებელი პირობა“]
I. შეუსრულებელი პირობა

impotentia [*იმპოტე´ნტია/იმპოტე´ნცია „შეუძლებლობა“] იმპოტენცია
I. უუნარობა

improbus [იმპრო´ბუს „უღირსი“]
I. არაპატიოსანი, არაკეთილსინდისიერი

imprudentia [*იმპრუდე´ნტია/იმპრუდე´ნცია „უცოდინრობა“]
I. გამოუცდელობა, არცოდნა **i. legum** კანონთა არცოდნა

impuberes [იმპუბე´რეს „არასრულწლოვანნი“]
I. არასრულწლოვანნი (25 წლამდე ახალგაზრდები)

impunitas [იმპუ´ნიტას „დაუსჯელობა“]
I. 1. დაუსჯელობა; 2. შეწყალება

in absentia [ინ *აბსე´ნტია/აბსე´ნცია „არყოფნისას“]
I. დაუსწრებლად
in articulo mortis [ინ არტი´კულო მო´რტის „სიკვდილის მომენტში“]

I. სიკვდილის მომენტში

in bonis habere [ინ ბო´ნის ჰაბე´რე „ქონების ფლობა“]
I. ბონიტარული საკუთრება

in causa caduci [ინ *კა´უსა/კა´უზა *კა´დუკი/კა´დუცი „გაუქმებული ქონების მიზეზით“]
I. სამკვიდრო წილის გაუქმება (უმეტესად მემკვიდრის სიკვდილის გამო მოანდერძის სიცოცხლეშივე)

in iure [ინ იუ´რე „სასამართლოზე“]
I. სასამართლოზე, პირველი ნაწილი ლეგისაქციური ან ფორმულარული პროცესისა, რომელიც წარიმართებოდა სამოსამართლო მაგისტრატის წინაშე

in ius vocatio [ინ ი´უს *ვოკა´ტიო/ვოკა´ციო „სასამართლოზე გამოძახება“]
I. სასამართლოს გარეშე მიმართვა მომავალი მოსარჩელისა მოპასუხისადმი სასამართლოზე დაუყოვნებლივ გამოცხადების მოწოდებით

inaedificatio [*ინედიფიკა´ტიო/ინედიფიკა´ციო „მიშენება“]
I. პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა შენობა ეკუთვნოდა მიწის მესაკუთრეს, განურჩევლად იმისა, თუ ვის მიერ იყო შენობა აგებული და ვის ეკუთვნოდა მასალები

inauguratio [*ინაუგუ´რატიო/ინაუგურა´ციო „მისნობა“] ინაუგურაცია
I. რიტუალი, რომლითაც მიმართავდნენ ღმერთებს იმის გასაგებად, იწონებდნენ თუ არა ისინი მეფის, უმაღლესი ქურუმის, მაგისტრატის კანდიდატურას
II. სახელმწიფოს მეთაურის მიერ თანამდებობის დაკავების საზეიმო ცერემონია. „საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართება არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს...“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №386 – 2001, 23(1)-ე მუხლი)
III. „პრეზიდენტობის კანდიდატის ცნობისათვის დადგენილი პირობები, ინაუგურაციის ჩატარების ცერემონიალი“ (საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება №21 – 2001, დანართი I, 1-ლი პუნქტი)

incantatio [*ინკანტა´ტიო/ინკანტა´ციო „ჯადოქრობა“]
I. ინკანტაცია, ჯადოქრობა. ისჯებოდა ჯერ კიდევ XII დაფის კანონების მიხედვით

incantatores [ინკანტატო´რეს „ჯადოქრები“]
I. ჯადოქრები, დომინატის დროს ისჯებოდნენ სიკვდილით

incendiarius [*ინკენდია´რიუს/ინცენდია´რიუს „გამჩაღებელი“]
I. ცეცხლის გამჩაღებელი სიკვდილით ისჯებოდა

incendium [*ინკე´ნდიუმ/ინცე´ნდიუმ „ხანძარი“]
I. ხანძარი

incensus [*ინკე´ნსუს/ინცე´ნზუს „შეუფასებელი“]
I. (მოსახლეობის) აღწერაში არმონაწილეობა სამხედრო სამსახურის თავიდან აცილების მიზნით

incestum [*ინკე´სტუმ/ინცე´სტუმ „უწმინდურობა“, „უპატიოსნობა“] ინცესტი
I. ინცესტი. სისხლის აღრევა

incorporatio [*ინკორპორა´ტიო/ინკორპორა´ციო „ჩართვა რაღაცის შემადგენლობაში“] ინკორპორაცია
II. იურიდიული პირის დაფუძნება, რეგისტრაცია. „ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ როცა ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარე ახორციელებს იმ კომპანიის კაპიტალის ან მისი ნაწილის ექსპროპრიაციას, რომელიც ინკორპორირებულია ან დაფუძნებულია იმ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონების შესაბამისად, რომელშიც მეორე ხელშემკვრელი მხარის ინვესტორები ფლობენ წილებს...“ (შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ფინეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ – 2007, მე-5(4) მუხლი)
III. საერთაშორისო შეთანხმებისთვის ან აქტისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტის სტატუსის მინიჭება და ამით ამ შეთანხმებისა თუ აქტის შესაბამისი სახელმწიფოს საკანონმდებლო სისტემის ნაწილად აღიარება. „პირველ ეტაპზე შესაძლებელია შემუშავდეს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის კორპორაციული მართვის კოდექსი, როგორც ეს არაერთ სხვა ქვეყანაში მოხდა, რომელიც შემდგომ, გამოცდის შედეგად, ინკორპორირდება კანონმდებლობაში“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №550 – 2005, მე-3(3) პუნქტი)

in+crimen [ინ+კრი´მენ „ბრალდება-ში“] ინკრიმინირებული
II. ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ ბრალდების წაყენება. „სხდომის თავმჯდომარე ადგენს ბრალდებულის ვინაობას (სახელი, გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი) და განუმარტავს მას უფლებებს, ბრალდების არსს, ინკრიმინირებული ქმედების კვალიფიკაციას...“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 2009, 230(1)-ე მუხლი)
III. „...ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით“ (საქ. სისხ. სამ. საპრ. კოდ. – 1998, 282(1)(ბ)-ე მუხლი)

incubatio [*ინკუბა´ტიო/ინკუბა´ციო „არაკანონიერი ფლობა“] ინკუბაცია
I. არაკანონიერი ფლობა

incubator [ინკუბა´ტორ „უკანონო მფლობელი“]
I. უკანონო მფლობელი

indebitum [ინდე´ბიტუმ „არანამდვილი ვალი“]
I. არარსებული, მოჩვენებითი ვალი

indefensus [ინდეფე´ნსუს „დაუცველი“]
I. მოპასუხე, რომელიც უარს აცხადებს სასამართლო პროცესში მონაწილეობაზე

indemnitas, -atis [ინდე´მნიტას „ზარალისგან დაცვა“] ინდემნიტეტი, ინდემნიფიცირება
I. ზიანის ანაზღაურება
II., III. კომპენსაცია, მიყენებული ზიანის ანაზღაურება. „რაც შეეხება სატრანსფერო უფლებებს მეორე ხელშემკვრელ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსრულებელს, რომელსაც სუბროგაციის გზით გადაეცემა ინდემნიფიცირებული ინვესტორის უფლებები შეასრულოს საკონტრაქტო სამართლიდან გამომდინარე

ვალდებულები“ (შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და ბელგო-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირს შორის ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობისა და დაცვის შესახებ – 1993, მე-7(2) მუხლი)

index [ი´ნდექს „დამსმენი“, „ნუსხა“] ინდექსი
I. ნუსხა, მოკლე ამონარიდი
II. პირობითი მაჩვენებელი, რომელიც ამა თუ იმ სიდიდეთა დროში ცვლილებებს ასახავს. „სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით სამომხმარებლო ფასების ზრდის შედეგად საარსებო მინიმუმსა და მინიმალურ შემოსავალს შორის თანაფარდობის გაუარესებისას გადაისინჯება მინიმალური შემოსავლის ოდენობა საარსებო მინიმუმთან დადგენილი თანაფარდობის აღსადგენად“ (საქართველის კანონი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ – 1997, მე-3(3) მუხლი)
III. „საშუალო წლიური ინფლაცია – ბოლო 12 თვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალოს პროცენტული ცვლილება, წინა 12 თვის სამომხმარებლო ფასების ინდექსის საშუალოსთან“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 1995, 1^{1}(წ)-ე მუხლი)

indexatio (*საშ. ლათ.*) [*ინდექსა´ტიო/ინდექსა´ციო „ინდექსის (სიის, კატალოგის) შედგენა“] ინდექსაცია
II. ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, სოციალური შეღავათების, გარანტიების და სხვა ფულადი მოთხოვნების გადაანგარიშება ფულის გაუფასურების შედეგად დანაკარგების ანაზღაურების მიზნით. „ლარის მიმოქცევაში გაშვებამდე – 1995 წლის 2 ოქტომბრამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების ინდექსაცია არ ხდება, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა“ (საქართველოს კანონი ლარის შემოღებამდე საბანკო ანგარიშებზე რიცხული ნაშთების შესახებ – 1998, 1-ლი მუხლი)
III. „...ტარიფის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ინოვაციური სატარიფო მეთოდოლოგიები, რომლებიც ითვალისწინებს მოგების ინდექსაციას, ფასთა ინდექსაციასა და სხვა ფაქტორებს, თუ ასეთი მეთოდოლოგიების გამოყენება შეესაბამება ლიცენზიატების, იმპორტიორების, სისტემის კომერციული ოპერატორის, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ინტერესებს“ (საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ – 1997, 43(3)-ე მუხლი)

indicere [*ინდი´კერე/ინდი´ცერე „გამოცხადება“]
I. გამოცხადება, საჯარო განცხადება

indicere bellum [*ინდი´კერე/ინდი´ცერე ბე´ლლუმ „ომის გამოცხადება“]
I. ომის გამოცხადება

indicium [*ინდი´კიუმ/ინდი´ციუმ „ჩვენება“]
I. შეტყობინება, დასმენა; 2. ჯილდოს დაპირება გაწეული სამსახურისათვის; 3. ნიშანი, სამხილი

indictio [*ინდი´კტიო/ინდი´კციო „განცხადება“]
I. ინდიქცია. პრინციპატის დროს პროვინციებისათვის ნატურალური სახის ბეგარის დაწესება

indignus [ინდი´გნუს „უღირსი“]

I. უღირსი მემკვიდრე

individuus [ინდივი´დუუს „განუყოფელი“]
I. განუყოფელი
II. ინდივიდუალური მეწარმე – კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ფიზიკური პირი, რომელიც იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას და კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით. „ინდივიდუალური მეწარმე თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, მე-3(1) მუხლი)
III. „საქართველოს სს რესპუბლიკაში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა...“ (კონსტ. – 1978, მე-17 მუხლი)

indulgentia [*ინდულგე´ნტია/ინდულგე´ნცია „პატიება“] ინდულგენცია
I. ინდულგენცია. შეწყალება, ამნისტია

industria [ინდუ´სტრია „შრომისმოყვარეობა“] ინდუსტრია
II. „თავისუფალი ინდუსტრიული ზონა – არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები“ (საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ – 2007, მე-3(1) მუხლი)
III. „საქართველოს სს რესპუბლიკაში თანამიმდევრულად ხორციელდება პროგრამა, რომლის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო შრომა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად“ (კონსტ. – 1978, I, თავი 3, 22-ე მუხლი)

infamatus [ინფამა´ტუს „შერცხვენილი“]
I. პრეტორის ედიქტის საფუძველზე შერცხვენილი

infamia [ინფა´მია „შერცხვენა“]
I. სირცხვილი, პატივის აყრა დამნაშავისათვის

infamis [ინფა´მის „შერცხვენილი“]
I. ცუდი რეპუტაციის მქონე, სახელშერცხვენილი

infans, **-ntis** [ი´ნფანს „ბავშვი“, „ვინც ჯერ არ იცის საუბარი“]
I. ინფანტი. 7 წლამდე ასაკის ბავშვი

infanticidium [*ინფანტიკი´დიუმ/ინფანტიცი´დიუმ „ბავშვის მკვლელობა“]
I. ბავშვის მკვლელობა

infitiari [*ინფიტი´არი/ინფიცი´არი „უარყოფა“]
I. არაღიარება, უარყოფა

infitiatio [*ინფიტი´ატიო/ინფიცი´აციო „უარყოფა“, „უარი“]
I. დაუსაბუთებელი უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე

infrequens [ინფრე´კვენს „იშვიათი“, „არახშირი“]
I. პირი, რომელიც უარს აცხადებდა არმიაში სამსახურზე

ingenuus [ინგე´ნუუს „დაბადებიდან თავისუფალი“]
I. თავისუფალ ადამიანად დაბადებული

ingratus [ინგრა´ტუს „უმადური“]

I. უმადური, დაუნახავი. მაგ., ადრეული პრინციპატის ხანაში მონობისგან გათავისუფლებული პირი, რომელიც დიდ უმადურებას გამოიჩენდა თავისი კეთილისმყოფელის მიმართ, შეიძლებოდა დასჯილიყო და კვლავ მონად ქცეულიყო

iniquitas [ინი´კვიტას „უსამართლობა“]
I. უსამართლობა

iniquus [ინი´კვუს „არათანაბარი“]
I. არასამართლიანი

initiativa (*საშ. ლათ.*) < initium [*ინიტიატი´ვა/ინიციატი´ვა „დაწყებული, ინიციატივა“] ინიციატივა
II. საკანონმდებლო ინიციატივა. სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტის წარდგენის უფლება. „საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილ კანონპროექტს უნდა დაერთოს მთავრობის სხდომის ოქმის ასლი, რომელშიც მითითებულია მისი წარდგენის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, მე-17(4) მუხლი)
III. „ინიციატივის უფლება ეკუთვნის: ა) პარლამენტის ყოველ წევრს და ბ) 5.000 ამომრჩეველს“ (კონსტ. – 1921, 63-ე მუხლი)

initium [*ინი´ტიუმ/ინი´ციუმ „შესავალი“, „წარმოშობა“, „დასაწყისი“]
I. სამართლებრივი სიტუაციის საწყისი

iniuria [ინიუ´რია „უსამართლობა“]
I. 1. სამართალდარღვევა, უკანონობა, მართლსაწინააღმდეგო ქმედება; 2. შეურაცხყოფა

iniuria atrox [ინიუ´რია ა´ტროქს „დიდი უსამართლობა“]
I. დიდი შეურაცხყოფა, უმეტესად სხეულის დაზიანება, საზ. ადგილებში მიყენებული შეურაცხყოფა

iniuria iudicis [ინიუ´რია *იუ´დიკის/იუ´დიცის „მსაჯულის უსამართლობა“]
I. უსამართლო განაჩენი

innocens, -ntis [ინნო´კენს „უდანაშაულო“]
I. უდანაშაულო, პატიოსანი

inofficiosum testamentum [*ინოფფიკიო´სუმ/ინოფფიციო´ზუმ ტესტამე´ნტუმ „ზიანის მომტანი ანდერძი“]
I. ანდერძი, რომელიც აზიანებს კანონიერ მემკვიდრეს

inofficiosus [*ინოფფიკიო´სუს/ინოფფიციო´ზუს „ვინც არღვევს კანონიერ ვალდებულებას“]
I. პირი, რომელიც არღვევს საკუთარ ვალდებულებებს ოჯახის წევრებისა თუ ყოფილი ბატონის მიმართ

inquilinatus [ინკვილინა´ტუს „ცხოვრების უფლება“]
I. ცხოვრების უფლება, მაგრამ – არა საკუთრებისა

inquilinus [ინკვილი´ნუს „მცხოვრები“]
I. დამქირავებელი, მოიჯარე

inquisitio [*ინკვისი´ტიო/ინკვიზი´ციო „ძებნა“, „მოკვლევა“] ინკვიზიცია

I. გამოძიება

inquisitio localis [*ინკვისი´ტიო/ინკვი´ზიციო ლოკა´ლის „ლოკალური მოკვლევა“]
I. ადგილზე დათვალიერება

inquisitor [*ინკვი´სიტორ/ინკვი´ზიტორ „გამომძიებელი“] ინკვიზიტორი
I. გამომძიებელი, ბრალმდებელი, სასამართლოს წევრი

inscriptio [*ინსკრი´პტიო/ინსკრი´პციო „მინაწერი“, „მიწერა“] ინსკრიფცია
I. 1. ბრალდების ჩანაწერი; 2. დიგესტებში – ცალკეული ნაწყვეტის შესავალი ნაწილი, სადაც მითითებულია იურისტის სახელი, წიგნის სათაური, საიდანაც ამოღებულია ამონარიდი

insignia pl. [ინსი´გნია „ნიშნები“] ინსიგნიები
I. ძალაუფლების სიმბოლოები (მაგ., უმაღლეს მაგისტრატთა საპატიო ნიშნები)
II. სამსახურებრივი ნიშანი, რომელსაც ატარებენ სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები „სამსახურებრივი ნიშნების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე, ე.ი. სამხედრო სავალდებულო სამსახურში მყოფი პირის მიერ ... ინსიგნიების ან ღილკილოების ტარება უფლებამოსილებათა გარეშე, – გამოიწვევს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრებას...“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №111 – 2006, 124-ე მუხლი)
III. „საქართველოს სამხედრო ძალების სამხედრო უნიფორმის, სიმბოლიკის, ატრიბუტიკისა და ინსიგნიის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება – №22, 2003)

Insignis [ინსი´გნის „გამორჩეული“]
I. ტიტული, რომელსაც ანიჭებდნენ იმპერატორთა გამოჩენილ მოხელეებს

insinuatio [*ინსინუა´ტიო/ინსინუა´ციო „უწყება“, „განცხადება“, „მოთავსება“] ინსინუაცია
I. 1. კერძო ან ნოტარიალური დოკუმენტის შეტანა სასამართლო ოქმში; 2. უწყება, განცხადება, განმარტება

insinuatio testamenti [*ინსინუა´ტიო/ინსინუა´ციო ტესტამე´ნტი „ანდერძის გახსნა“]
I. ანდერძის გახსნა, მისი შინაარსის გამოცხადება

inspectio [*ინსპე´კტიო/ინსპე´კციო „დათვალიერება“] ინსპექცია
I. სასამართლო დათვალიერება
II. ზედამხედველობის სისტემა და სამსახური. „დაწესებულების შინაგანაწესს ამტკიცებს ხელმძღვანელი; ასლი ეგზავნება შრომის ინსპექციას დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით და მოსამსახურეთა წარმომადგენლობით ორგანიზაციას“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ – 1997, 73(2)-ე მუხლი)
III. „არსდება შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა, რომელიც დამოკიდებული უნდა იყოს დამქირავებელთაგან“ (კონსტიტუცია – 1921, თავი 13, მუხლი 125)

inspectio corporis [*ინსპე´კტიო/ინსპე´კციო კო´რპორის „სხეულის დათვალიერება“]
I. სხეულის გასინჯვა

inspector [ინსპე´კტორ „დამკვირვებელი“] ინსპექტორი
I. 1. დაბალი რანგის ადმინისტრაციული მოხელე; 2. ნივთის ფასის განმსაზღვრელი პირი.
II. თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ამა თუ იმ პირთა საქმიანობაზე „სამინისტრო უფლებამოსილია მიავლინოს ინსპექტორი სალიცენზიო საქმიანობის ადგილზე ან იმ საქმიანობის ან სამუშაოთა წარმოების ადგილზე, რომლისთვისაც (რომელთათვისაც) დადგინდება ამგვარი ინსპექტირების აუცილებლობა“ (საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ – 2012, 25(3)-ე მუხლი)
III. „შრომის სახელმწიფო ინსპექტორები“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 215-ე მუხლი)

inspicere [*ინსპი´კერე/ინსპი´ცერე „განხილვა“]
I. შესწავლა, გასინჯვა, დათვალიერება

inspicere ventrem [*ინსპი´კერე/ინსპი´ცერე ვე´ნტრემ „მუცლის დათვალიერება“]
I. იმის გარკვევა, იყო თუ არა ქალი ორსულად

instantia [*ინსტა´ნტია/ინსტა´ნცია „წინმსწრაფი“] ინსტანცია
I. დაჟინებულობა, შეუპოვრობა, სიჯიუტე, რომელსაც იჩენდნენ მოსარჩელე თუ მოპასუხე სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვისას
II. 1. საერთო სასამართლოთა სისტემის ერთ-ერთი რგოლი, აგრეთვე სასამართლოში საქმის განხილვის სტადია. „რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს“ (საქ. სამ. საპრ. კოდ. – 1997, მე-13(1) მუხლი); 2. ბოლო ინსტანციის სესხი – სესხი, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციული ბანკის რეფინანსირების მიზნით. „ამ ორგანული კანონის 31-ე მუხლით ნებადართული სესხების გარდა, ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, კომერციულ ბანკზე გასცეს ბოლო ინსტანციის სესხი“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, 33(1)-ე მუხლი)
III. „მიღებულ საჩივარს და მთელ საქმეს სასამართლო გაუგზავნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან....“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1924, ნაწილი მეოთხე, თავი XXVIII, 239)

institor [ი´ნსტიტორ „წვრილი ვაჭარი“]
I. საქმეთა მმართველი, რომელსაც მესაკუთრე ავალებდა საწარმოს ხელმძღვანელობას ან ვაჭრობის გაძღოლას

institutio (institutiones – pl.) [*ინსტიტუ´ტიო/ინსტიტუ´ციო „მოწყობა“] ინსტიტუცია, ინსტიტუციები
I. სამართლის საფუძვლების სახელმძღვანელო(-ები)
III. „შეისწავე, ვითარმედ ყოველნი ესე წოდებანი, რომელ არიან განწესებანი, ნეარონნი, კოდიკონი, დიგესტონნი, ინსტიტუტიონნი და ტიტლოსნი, რომელ არიან ნაწილნი, სახედ არიან ჰრომაულთა, აწ ბერძენთა შორის მყოფთა სამოქალაქო წიგნთანი...“ (დიდი სჯ., სქ. 136)

Institutio Gai [*ინსტიტუ´ტიო/ინსტიტუ´ციო გა´ი „გაიუსის ინსტიტუცია“]

I. (ახ.წ. 160 წ.), გაიუსის ინსტიტუციები, რომლებიც გამოირჩეოდა დაყოფის კარგი სისტემატიზაციით (I: personae, II-III: res, IV: actiones) და გადმოცემის სიცხადით. ერთადერთი ძეგლი კლასიკური ეპოქის რომის სამართალში, რომელიც სრულად შემოგვრჩა

Institutio Iustiniani [*ინსტიტუ´ტიო/ინსტიტუ´ციო იუსტინია´ნი „იუსტინიანუსის ინსტიტუცია“]
I. Corpus iuri civilis-ის ყველაზე მოკლე ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა იურიდიულ სკოლებში პირველი წლის სახელმძღვანელოდ. იგი წარმოადგენდა დოროთეუსის და თეოფილუსის კომპილაციას, რომელიც ტრიბონიანუსის მითითებით შეიქმნა. შედგება 4 წიგნისგან, რომელიც თავის მხრივ იყოფა ტიტულუსებად და პარაგრაფებად, ინსკრიფციების გარეშე. I. I. გამოქვეყნდა Imperatoriam maiestatem-ის კონსტიტუციით და კანონის ძალა მიენიჭა იმავე დღეს, რა დღესაც – დიგესტებს. ორივე თხზულება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, თუმცა I. I. ნაკლებადაა თეორიული ნაშრომი. მის ღირსებას წარმოადგენს მასში საერთო ცნებების, დეფინიციებისა და მათი კლასიფიკაციის ჩართვა, ნაკლოვანებას – დრომოჭმული ფორმულარული პროცესის ნაძალადევი შეერთება მოქმედ სამართალწარმოებასთან

institutum [ინსტიტუ´ტუმ „დაწესებულება“] ინსტიტუტი
II. 1. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და სასწავლო დაწესებულებების დასახელება. „...უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი...) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, 27(1)-ე მუხლი); 2. იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას ფინანსურ, საბანკო, საინვესტიციო, სადაზღვევო სფეროებში – ე.წ. ფინანსური ინსტიტუტები. „ფინანსური ინსტიტუტები – იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება და რომლებიც მოქმედებენ კომერციული ბანკის, სადაზღვევო ორგანიზაციის, გადამზღვეველი კომპანიის, საინვესტიციო ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, საბროკერო კომპანიის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, საკრედიტო კავშირის, საინვესტიციო ფონდის ან/და ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი სხვა ორგანიზაციის სახით. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია გააფართოოს და განმარტოს ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალი“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, მე-2(54) მუხლი); 3. საზოგადოებრივი ცხოვრების, ადამიანთა საქმიანობისა და ქცევის ორგანიზების, რეგულირებისა და მოწესრიგების გარკვეული ფორმა. „...საქართველოს სახალხო დამცველი ვალდებულია ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის ორგანოებთან და მექანიზმებთან, აგრეთვე საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ ინსტიტუტებთან ან ორგანიზაციებთან...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ – 1996, 3^{1}(3)-ე მუხლი); 4. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გამიზნულია კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების დასარეგულირებლად. „სასამართლოს

მეგობრის ინსტიტუტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში“ (საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ – 1996, თავი II[1])
III. „მეურვეობის ინსტიტუტი წესდება ქმედობის უნარმოკლებულის პიროვნების, მისი კანონიერ უფლებების და ინტერესების დასაცავად“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდ. – 1923, 49-ე მუხლი)

instructio [*ინსტრუ´კტიო/ინსტრუ´კციო „სწავლება, მითითება“] ინსტრუქცია
II. ნორმატიული აქტი, გამოცემული სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფოს კანონების, ბრძანებების, განკარგულებების, დადგენილებების, ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად „ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გამოსცეს ინსტრუქცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის საპატრულო სამსახურების საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს კანონი სამხედრო პოლიციის შესახებ – 2007, 24-ე მუხლი)
III. „სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ცალკე ინსტრუქცია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ“ (დეკრეტი 21 – 1921 წ., აქტები 1922-1978, I, გვ. 33)

instructor [ინსტრუ´კტორ „ორგანიზატორი“] ინსტრუქტორი
II. პირი, რომელიც სპეციალობას ან ხელობას ასწავლის. „სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელმა/ მფლობელმა 2013 წლამდე საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება განახორციელოს მასწავლებლებით, რომელთაც აქვთ შესაბამისი უმაღლესი განათლება, და ინსტრუქტორებით, რომლებსაც აქვთ შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი“ (საქართველოს კანონი სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ – 2005, მე-9(7) მუხლი)
III. „ინსტრუქტორთა და თარჯიმანთა კოლეგია“ (საქ. იუსტ. სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის პროექტი –1921, აქტები 1922-1978, I, გვ. 61)

Instrumentum [ინსტრუმე´ნტუმ „საშუალება, იარაღი“] ინსტრუმენტი
I. 1. საკუთვნებელი ნივთი; 2. დოკუმენტი
II. 1. „ფინანსური ინსტრუმენტი – მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს წილობრივ მონაწილეობას ადგილობრივ ან უცხოურ კომპანიაში ან მისი ეკვივალენტი; მიმოქცევადი სასესხო ინსტრუმენტი/ვალდებულება; სხვა მიმოქცევადი ფასიანი ქაღალდი, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლებას მასზე ხელმოწერის, მისი ყიდვის ან მისი გაცვლის გზით ან რომლის შესრულება ხდება შეთანხმებულ და მიმდინარე ფასთა შორის სხვაობის დაფარვით ან რომელიც ითვალისწინებს ფულად ანგარიშსწორებას, გარდა საგადახდო ინსტრუმენტისა; ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებული უფლება; ფულის ან სავალუტო ბაზრის ინსტრუმენტი; ანგარიშზე რიცხული ძვირფასი ლითონები; სხვა დოკუმენტი, რომელსაც აქვს ფულადი გამოხატულება ან/და რომელიც არის ორ ან მეტ მხარეს შორის არსებული ფულადი სახსრების გადახდასთან დაკავშირებული სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე შეთანხმების დადასტურება, ასევე ზემოთ ჩამოთვლილ ინსტრუმენტებთან და-

კავშირებული მოთხოვნები, უფლებები ამ ინსტრუმენტებზე ან მათთან დაკავშირებული უფლებები“ (საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ – 2012, მე-2(ს) მუხლი); 2. „სავალო ინსტრუმენტი – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალო საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით...“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ – 1996, 1(ნ)-ლი მუხლი); 3. შრომის იარაღი. „პროფესიული კავშირი დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობს საწარმოო ობიექტების, მექანიზმების, ხელსაწყო-დანადგარებისა და ინსტრუმენტების უსაფრთხოების ექსპერტიზაში მათი დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ მიღებისას“ (საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ – 1997, მე-17(4) მუხლი)
III. „მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საჭიროებისათვის იყენებენ თავიანთ კუთვნილ ინსტრუმენტებს, უფლება აქვთ მიიღონ კომპენსაცია ინსტრუმენტის გაცვეთისათვის (ამორტიზაციისათვის)“ (საქ. სსრ შრომის კანონთა კოდექსი – 1973, 117(1)-ე მუხლი)

instrumentum calendarium [ინსტრუმე´ნტუმ კალენდა´რიუმ „კალენდარული დოკუმენტი“]
I. აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი

instrumentum dotale [ინსტრუმე´ნტუმ დოტა´ლე „მზითვის დოკუმენტი“]
I. მზითვის შესახებ შედგენილი დოკუმენტი

instrumentum fundi – [ინსტრუმე´ნტუმ ფუ´ნდი „მიწის იარაღი“]
I. მიწის ნაკვეთის სამეურნეო ინვენტარი, მაგ., მონები (i. **vocale –** „მეტყველი“ ინვენტარი), პირუტყვი (**i. semivocale –** „ნახევრადმეტყველი“ ინვენტარი) და სამუშაო იარაღები (**i. mutum –** „მუნჯი“ ინვენტარი)

instrumentum nuptiale [ინსტრუმე´ნტუმ *ნუპტია´ლე/ნუპცია´ლე „ქორწინების დოკუმენტი“]
I. ქორწინების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი (თანამ. საქორწინო კონტრაქტის მსგავსი საბუთი)

instrumentum publice confectum [*ინსტრუმე´ნტუმ პუ´ბლიკე კონფე´კტუმ „საჯაროდ შედგენილი დოკუმენტი]
I. საჯარო ან კერძო ნოტარიუსის მიერ შედგენილი დოკუმენტი

instrumentum publicum [ინსტრუმე´ნტუმ პუ´ბლიკუმ „საჯარო დოკუმენტი“]
I. სახელმწიფო დაწესებულების ოქმი, პროტოკოლი

instrumentum quasi publice confectum [ინსტრუმე´ნტუმ *კვა´სი/კვა´ზი პუ´ბლიკე კონფე´კტუმ „თითქმის საჯაროდ შედგენილი დოკუმენტი“]
I. არანაკლებ სამი მოწმის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი

instrumentum scriptura (//scriptura i.) [ინსტრუმე´ნტუმ სკრიპტუ´რა „წერილობითი დოკუმენტი“]
I. ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც ჰქონდა მტკიცებულების ძალა

insula [ი´ნსულა „კუნძული“]

I. 1. კუნძული; 2. სახლი ან ასეთი სახლების ჯგუფი, რომელშიც ცხოვრობდა მრავალი ხელმოკლე ოჯახი

insula Aesculapii [ი´ნსულა ესკულა´პიი „ასკლეპიუსის კუნძული“]
I. მონების გადასახლების ადგილი

insula in flumine nata [ი´ნსულა ინ ფლუ´მინე ნა´ტა „მდინარეში წარმოქმნილი კუნძული“]
I. მდინარის შესართავთან წარმოქმნილი კუნძული, რომელიც ეკუთვნის ნაპირის მომიჯნავე მიწების მესაკუთრეებს

insula in mari [ი´ნსულა ინ მა´რი „კუნძული ზღვაში“]
I. ზღვაში წარმოქმნილი კუნძული. წარმოადგენდა res nullius-ს, ამიტომაც მისი მესაკუთრე ხდებოდა ის, ვინც პირველად დაისაკუთრებდა მას

intentio [*ინტე´ნტიო/ინტე´ნციო „სწრაფვა, განზრახვა“ „ბრალდება“] ინტენცია
I. პროცესუალური ფორმულის ნაწილი, რომელშიც მოცემული იყო სარჩელის საფუძველი და სასარჩელო მოთხოვნა

intentio certa [*ინტე´ნტიო *კე´რტა/ინტე´ნციო ცე´რტა „განსაზღვრული ინტენცია“]
I. ინტენცია, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნა

intentio incerta [*ინტე´ნტიო *ინკე´რტა/ინტე´ნციო ინცე´რტა „განუსაზღვრელი ინტენცია“]
I. ანტ. intentio certa

inter nationalis [ი´ნტერ *ნატიონა´ლის/ნაციონა´ლის „ხალხთა (ტომთა) შორისი“] ინტერნაციონალური
II. საერთაშორისო. „პერსონალის შერჩევის პროცედურა, შეძლების ფარგლებში, უნდა აუცილებლად ითვალისწინებდეს ორგანიზაციის ინტერნაციონალურ ხასიათს“ (ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი ხელშეკრულება – 2001, თავი II, 1(4)-ლი მუხლი)
III. „ამ უფლებათა განხორციელებას უზრუნველყოფს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და დაახლოების პოლიტიკა, მოქალაქეთა აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით“ (კონსტ. 1978 – 34-ე მუხლი)

intercalari(u)s [ინტერკალა´რი(უ)ს „ჩართული“] ინტერკალარიუსი
I. ჩართული, ჩამატებული – უმეტესწილად, თვე – **mensis i.** იხ. lex Acilia 1; → calare

intercessio [*ინტერკე´სსიო/ინტერცე´სსიო „ჩარევა“] ინტერცესია
I. 1. ოფიციალური გადაწყვეტილების გაუქმება იმავე რანგის ან უფრო მაღალი რანგის მაგისტრატის, განსაკუთრებით, სახალხო ტრიბუნის მიერ; 2. **i. militaris** = exsecutio, დომინატის დროს – გადასახადების იძულების წესით ამოღება; 3. პირის მიერ სხვისი ვალდებულების ან სხვა პირის ინტერესებისთვის ვალდებულების აღება იმ მოლოდინით, რომ მოგვიანებით რეგრესის წესით მოითხოვდა ვალდებულების შესრულებას

intercessio cumulativa [*ინტერკე´სსიო/ინტერცე´სსიო კუმულატი´ვა „სრული აღსრულება“]

I. პირის მიერ სხვისი ვალდებულების აღება ისე, რომ თავდაპირველი მოვალე არ თავისუფლდებოდა ვალდებულებისგან

intercessio privativa [*ინტერკე´სსიო/ინტერცე´სიო პრივატი´ვა „პიროვნული ინტერცესია“]
I. პირის მიერ სხვისი ვალდებულების აღება ისე, რომ თავდაპირველი მოვალე თავისუფლდებოდა ვალდებულებისგან

intercessio tacita [*ინტერკე´სსიო *ტა´კიტა/ინტერცე´სსიო ტა´ციტა „საიდუმლო ინტერცესია“]
I. პირის მიერ სხვისი ინტერესებისთვის ვალდებულების აღება. ამ შემთხვევაში პირი, ვისი ინტერესებისთვისაც ხდებოდა ვალდებულების აღება, არ ხდებოდა ვალდებულებითი ურთიერთობების მონაწილე

interdictio [*ინტერდი´კტიო/ინტერდი´კციო „აკრძალვა“] ინტერდიქცია
I. აკრძალვა, გამორიცხვა, განდევნა

interdictio aere commercioque, i. bonorum, i. prodigi [*ინტერდი´კტიო/ინტერდი´კციო ე´რე *კომერკიო´კვე/კომერციო´კვე ი. ბონო´რუმ, ი. პროდი´გი „ფულის და ვაჭრობის აკრძალვა, ქონების აკრძალვა, გაფლანგვის აკრძალვა“]
I. ქმედუნარიანობის შეზღუდვა და ქონების მართვის უფლების ჩამორთმევა მფლანგველად გამოცხადების გზით

interdictio aquae et ignis [*ინტერდი´კტიო/ინტერდი´კციო ა´კვე ეტ ი´გნის „წყლის და ცეცხლის აკრძალვა“]
I. დამნაშავის გაძევება იმ საზოგადოებიდან, რომლის წევრადაც ის ითვლებოდა

interdictio locorum [*ინტერდი´კტიო/ინტერდი´კციო ლოკო´რუმ „ადგილის აკრძალვა“]
I. აკრძალვა, რომელიც ართმევდა პირს განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ან მის ფარგლებს გარეთ) ყოფნის უფლებას → exilium

interdictum [ინტერდი´კტუმ „აკრძალვა“, „განკარგულება“] ინტერდიქტი
I. მაგისტრატის ან სხვა ოფიციალურ პირთა ბრძანება, რომელიც გამოიცემოდა ჩვეულებრივი სასამართლო განხილვის გარეშე და რომელიც ავალდებულებდა პირს გარკვეული მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისგან თავის შეკავებას. ინტერდიქტის გამოცემა მიზნად ისახავდა გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც სწრაფ რეაგირებას საჭიროებდა, დაუყოვნებლივი გადაწყვეტილების მიღებას. ინტერდიქტი არ წარმოადგენდა საკითხზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას და ის შეიძლება გასაჩივრებულიყო სასამართლოში

interdictum adipiscendae possessionis [ინტერდი´კტუმ *ადიპისკე´ნდე/ადიპისცე´ნდე პოსსესსიო´ნის „საკუთრების ფლობის ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიზნად ისახავდა პირისთვის იმ ნივთის მფლობელობის უფლების მინიჭებას, რომელსაც ის ადრე არ ფლობდა

interdictum de aqua (cottidiana et aestiva) [ინტერდი´კტუმ დე ა´კვა (კოტიდია´ნა ეტ ესტი´ვა) „(ყოველდღიური და საზაფხულო) წყლის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც იცავდა servitus aquae ductus-ს

interdictum de arboribus caedendis [ინტერდი´კტუმ დე არბო´რიბუს *კედე´ნდის/ცედე´ნდის „ინტერდიქტი ხეების მოჭრისა“]
I. → actio de a.c.

interdictum de clandestina possessione [ინტერდი´კტუმ დე კლანდესტი´ნა პოსსესსიო´ნე „ფარული საკუთრების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც ფარულად ეუფლებოდა ნივთს

interdictum de cloacis [ინტერდი´კტუმ დე კლოა´კის „არხების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც ავალდებულებდა საზოგადოებრივი ან კერძო არხების გაწმენდას

interdictum de divinis rebus, **i. de humanis r.** → res divini iuris, r. humani iuris

interdictum de fluminibus publicis [ინტერდი´კტუმ დე ფლუმი´ნიბუს *პუ´ბლიკის/პუ´ბლიცის „საზოგადოებრივი მდინარეების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც კრძალავდა ნაპირებზე ან თვითონ მდინარეში ისეთი კონსტრუქციების აგებას, რომლებიც დააბრკოლებდნენ მდინარეზე ნავიგაციას

interdictum de fonte [ინტერდი´კტუმ დე ფო´ნტე „წყაროს შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც იცავდა servitus aquae haustus-ს

interdictum de fonte purgando et reficiendo [ინტერდი´კტუმ დე ფო´ნტე პურგა´ნდო ეტ *რეფიკიე´ნდო/რეფიციე´ნდო „წყაროს გაწმენდის და აღდგენის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ავალდებულებდა მესაკუთრეს გაეწმინდა და აღედგინა წყაროები და არხები, რომლებიც მის მიწაზე იყო

interdictum de homine libero exhibendo [ინტერდი´კტუმ დე ჰო´მინე ლი´ბერო ექსჰიბე´ნდო „ინტერდიქტი თავისუფალი ადამიანის დაკავებაზე“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მოითხოვდა პირისგან მიეყვანა სასამართლოში მის მიერ უკანონოდ დაკავებული თავისუფალი მოქალაქე

interdictum de inter reficiendo [ინტერდი´კტუმ დე ი´ნტერ *რეფიკიე´ნდო/რეფიციე´ნდო „ინტერდიქტი გზის აღდგენის შესახებ“]
I. ინტერდიქტი, რომელიც უფლებას ანიჭებდა პირს შეეკეთებინა გზა, რომელიც დატვირთული იყო მის სასარგებლოდ სერვიტუტით

interdictum de itinere actuque privato [ინტერდი´კტუმ დე იტინე´რე აკტუ´კვე პრივა´ტო „ინტერდიქტი გზისა და გზის საზომის (აქტუსის) შესახებ“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიმართული იყო სერვიტუტების iter-ის და actus-ის უზრუნველსაყოფად

interdictum de itineribus publicis [ინტერდი´კტუმ დე იტინე´რიბუს *პუ´ბლიკის/პუ´ბლიცის „ინტერდიქტი საჯარო გზების შესახებ“]
I. ინტერდიქტი, რომელიც კრძალავდა იმ ქმედებების განხორციელებას, რომლებიც უქმნიდნენ დაბრკოლებას საზოგადოებრივი გზების ექსპლუატაციასა და რემონტს

interdictum de liberis exhibendis [ინტერდი´კტუმ დე ლიბე´რის ექსჰიბე´ნდის „ინტერდიქტი ბავშვების გადაცემის შესახებ“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მოითხოვდა პირისგან მამის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ დაკავებული ბავშვის სასამართლოში წარდგენას

interdictum de liberto exhibendo [ინტერდი´კტუმ დე ლიბე´რტო ექსჰიბე´ნდო „ინტერდიქტი გააზატებულის გადაცემის შესახებ“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მოითხოვდა პირისგან, რომელსაც უკანონოდ დაკავებული ჰყავდა მონობიდან გათავისუფლებული უცხო პირი (და ამით ხელს უშლიდა მას ემსახურა თავისი ყოფილი მეპატრონისთვის) მიეყვანა ის სასამართლოში

interdictum de locis publicis [ინტერდი´კტუმ დე ლო´კის *პუ´ბლიკის/პუ´ბლიცის „საზოგადოებრივ ადგილთა შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც იცავდა საზოგადოებრივ ადგილებს დაზიანებისაგან და კრძალავდა ისეთი ნაგებობის მშენებლობას, რომელიც საზოგადოებრივი ადგილების გამოყენებას ზღუდავდა

interdictum de loco publico fruendo [ინტერდი´კტუმ დე ლო´კო პუ´ბლიკო ფრუე´ნდო „საზოგადოებრივი ადგილით სარგებლობის უფლების ინტერდიქტი“]
I. უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადგილებით დაუბრკოლებელ სარგებლობას, კერძოდ, სახელმწიფო მიწის მოიჯარეებისა ან ბანკირებისათვის, რომელთაც ჰქონდათ დახლები ფორუმზე

interdictum de migrando [ინტერდი´კტუმ დე მიგრა´ნდო „სხვა ადგილას დასახლების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, გაცემული სახლის გამქირავებლის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა დამქირავებელს, დაექირავებინა ახალი საცხოვრებელი სახლი და ქირის გადაუხდელობის საბაბით არ უბრუნებდა ამ უკანასკნელს მის კუთვნილ ნივთებს

interdictum de mortuo inferendo [ინტერდი´კტუმ დე მო´რტუო ინფერე´ნდო „გარდაცვლილის დაკრძალვის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი იცავდა პირს, რომელსაც ჰქონდა უფლება დაეკრძალა გარდაცვლილი მის კუთვნილ ან სხვა ადგილას

interdictum de precario [ინტერდი´კტუმ დე პრეკა´რიო „დროებითი სარგებლობის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომლის საფუძველზეც precario dans-ს ნებისმიერ დროს შეეძლო მოეთხოვა პრეკარისტისაგან ნივთის უკან დაბრუნება ან განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურება →precarium

interdictum de ripa munienda [ინტერდი´კტუმ დე რი´პა მუნიე´ნდა „მდინარის ნაპირების გამაგრების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც იცავდა საზოგადოებრივი მდინარეების ნაპირების მესაკუთრეთა უფლებას, მიეღოთ ზომები ამ ნაპირების შესანარჩუნებლად და აღსადგენად

interdictum de rivis [ინტერდი´კტუმ დე რი´ვის „არხების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც უზრუნველყოფდა პირთა თავისუფალ დაშვებას ჰიდროტექნიკურ ნაგებობებთან მათ გასარემონტებლად და გასაწმენდად

interdictum de sepulchro aedificando [ინტერდი´კტუმ დე სეპუ´ლხრო ედიფიკა´ნდო „საფლავთა ქვის აგების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი პირს, რომელმაც კანონიერად დაკრძალა მიცვალებული სხვის მიწის ნაკვეთზე, ანიჭებდა საფლავის ქვის დადგმის უფლებას

interdictum de superficiebus [ინტერდი´კტუმ დე *სუპერფიკიე´ბუს/სუპერფიციე´ბუს „მოიჯარეების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი შემუშავებული იყო interdictum uti possidetis-ის ნიმუშის მიხედვით და იცავდა სუპერფიციარიუსებს (superficiarius) მესამე პირებისგან

interdictum de tabulis exhibendis [ინტერდი´კტუმ დე ტა´ბულის ექსჰიბე´ნდის „დაფათა წარდგენის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი მოითხოვდა ანდერძის შემნახველისგან, წარედგინა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ანდერძი გასაცნობად → supprimere tabulas

interdictum de uxore exhibenda, i. de uxore ducenda → interdictum de liberis exhibendis; i. de vi (cottidiana)

interdictum de vi armata [ინტერდი´კტუმ დე ვი არმა´ტა „შეიარაღებული ძალადობის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი მიმართული იყო იმის წინააღმდეგ, ვინც იარაღის გამოყენებით გამოდევნა ვინმე მიწის ნაკვეთიდან

interdictum de vi, unde vi [ინტერდი´კტუმ დე ვი, უ´ნდე ვი „ძალადობის შესახებ ინტერდიქტი, საიდანმე ძალით (გამოგდების) ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი მიმართული იყო იმის წინააღმდეგ, ვინაც ფიზიკური ძალადობით გამოდევნა ვინმე მიწის ნაკვეთიდან

interdictum de viis publicis [ინტერდი´კტუმ დე ვი´ის *პუ´ბლიკის/პუ´ბლიცის „საზოგადოებრივ გზათა შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც კრძალავდა საზოგადოებრივ კომუნიკაციებზე ნებისმიერ მშენებლობას, თუ ის ზღუდავდა ამ კომუნიკაციებით სარგებლობას

interdictum demolitorium [ინტერდი´კტუმ დემოლიტო´რიუმ „მშენებლობის დანგრევის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიმართული იყო მშენებლის წინააღმდეგ, რომელიც აკრძალვის მიუხედავად აგრძელებდა მუშაობას. ინტერდიქტი მოითხოვდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და ზიანის ანაზღაურებას

interdictum exhibitorium [ინტერდი´კტუმ ექსჰიბიტო´რიუმ „წარდგენის ინტერდიქტი“]
I. წარმდგენი ინტერდიქტი, რომელიც ავალდებულებდა პირს ნივთის ან პიროვნების სასამართლოში წარდგენას

interdictum fraudatorium [ინტერდი´კტუმ ფრაუდატო´რიუმ „თაღლითობის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი ბათილად აცხადებდა გარიგებას, რომლის საფუძველზეც მოვალემ კრედიტორების საზიანოდ განზრახ გაასხვისა საკუთარი ქონება. აღნიშნული ინტერდიქტი მოითხოვდა გარიგების დადებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას

interdictum in praesens relatum, **i. in praeterium relatum** [ინტერდი´კტუმ ინ *პრე´სენს/პრე´ზენს რელა´ტუმ, ი. ინ პრეტე´რიუმ რელა´ტუმ „აწმყოსთან კავშირის მქონე ინტერდიქტი, ადრე მომხდართან კავშირის მქონე ინტერდიქტი“]
I. რაიმე მოვლენასთან (ინტერდიქტის გამოცემის მომენტისთვის ძალაში მყოფი ან წარსულში მომხდარი) კავშირის გამომხატველი ინტერდიქტი

interdictum in rem concepta → actio in rem

interdictum mixtum [ინტერდი´კტუმ მი´ქსტუმ „შერეული ინტერდიქტი“]
I. შერეული ინტერდიქტი, რომელიც ერთდროულად წარმოადგენდა **interdictum exhibitoria**-ასა და **prohibitoria**-ს

interdictum momentariae possessionis [ინტერდი´კტუმ მომენტა´რიე პოსსესსიო´ნის „დროებითი მფლობელობის ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი იცავდა კანონიერი მფლობელის არყოფნისას მისი წარმომადგენლის მფლობელობის უფლებას

interdictum ne q. in l. sacro religioso f. [ინტერდი´კტუმ ნე კვიდ ინ ლო´კო სა´კრო *რელიგიო´სო/რელიგიო´ზო ფი´ატ „საღვთო და წმინდა ადგილებში აკრძალული საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული ინტერდიქტი“]
I. ამკრძალავი ინტერდიქტი, რომელიც მიმართული იყო საღვთო და წმინდა ადგილებზე ნებისმიერი დარღვევის ან შეჭრისაგან დასაცავად

interdictum ne quid in loco publico vel itinere fiat [ინტერდი´კტუმ ნე კვიდ ინ ლო´კო პუ´ბლიკო ველ იტი´ნერე ფი´ატ „საზოგადოებრივ ადგილებზე და გზებზე რაიმეს კეთების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ამკრძალავი ინტერდიქტი, რომელიც მიმართული იყო აკრძალული საქმიანობის წინააღმდეგ საზოგადოებრივ ადგილებზე და საზოგადოებრივ გზებზე

interdictum ne vis fiat aedificanti [ინტერდი´კტუმ ნე ვის ფი´ატ ედიფიკა´ნტი „მშენებელთა მიმართ ძალადობის არგამოყენების ინტერდიქტი“]
I. იცავს სახლის მშენებლებს (რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისი გარანტია – aedificatio) ძალადობის გამოყენებისაგან

interdictum possessiorium [ინტერდი´კტუმ პოსსესსიო´რიუმ „მფლობელთა ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც საჯარო ვაჭრობისას (venditio bonorum) გადახდისუუნარო მოვალის მთელი ქონების შემძენ პირს ანიჭებდა უფლებას, გამოეთხოვა ეს ქონება მესამე პირთა მფლობელობიდან

interdictum prohibitorium [ინტერდი´კტუმ პროჰიბიტო´რიუმ „ამკრძალავი ინტერდიქტი“]
I. ამკრძალავი ინტერდიქტი. აღნიშნული ინტერდიქტი(-ები) უკრძალავდა პირს გარკვეული მოქმედების შესრულებას

interdictum quam hereditatem [ინტერდი´კტუმ კვამ ჰერედიტა´ტემ „მემკვიდრეობის შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი მოითხოვდა მოპასუხისგან (რომელმაც უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო სასამართლოში მემკვიდრეობასთან დაკავშირებით წარმოებულ დავაში) დაებრუნებინა მის მფლობელობაში არსებული სამკვიდრო ქონება ან მისი ნაწილი

interdictum quam servitutem [ინტერდი´კტუმ კვამ სერვიტუ´ტემ „ინტერდიქტი როგორც სერვიტუტი“]
I. აგებულია i. quem fundum-ის ანალოგიურად

interdictum quem fundum [ინტერდი´კტუმ კვემ ფუ´ნდუმ „მამულის შესახებ ინტერდიქტი“]
I. აღნიშნული ინტერდიქტი შედგენილი იყო **interdictum quam hereditatem**-ის ნიმუშის მიხედვით. ინტერდიქტი მოითხოვდა მოპასუხისგან (რომელმაც უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო სასამართლოში უძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოებულ დავაში) გადაეცა მოსარჩელისთვის მის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება. იგივე წესი გამოიყენებოდა უძრავი ქონების სერვიტუტთან (i. quam servitutem) ან უზუფრუქტთან (i. quem usumfructum) დაკავშირებით

interdictum quod legatorum; bonorum possessor [ინტერდი´კტუმ კვოდ ლეგასე´სსორ „ლეგატებისთვის ქონების ფლობის ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც ავალდებულებდა პირს მემკვიდრისთვის გადაეცა ანდერძით (რომელსაც ეჭვქვეშ აყენებდა მემკვიდრე) მიღებული ქონება

interdictum quod vi aut clam [ინტერდი´კტუმ კვოდ ვი ა´უტ კლამ „ძალით ან ფარულად მოქმედთა შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც გაცემული იყო იმ პირის წინააღმდეგ, ვინც ძალის გამოყენებით ან საიდუმლოდ აწარმოებდა სამუშაოებს მოსარჩელის მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული ინტერდიქტი ავალდებულებდა მოპასუხეს აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა ან აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი

interdictum quorum bonorum [ინტერდი´კტუმ კვო´რუმ ბონო´რუმ „ვიღაცისგან ქონების მიღების ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც უფლებას აძლევდა მემკვიდრეს გამოეთხოვა სამკვიდრო ქონება ნებისმიერი პირისგან, რომელსაც ამ ნივთის ფლობის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა

interdictum recuperandae possessionis [ინტერდი´კტუმ რეკუპერა´ნდე პოსსესსიო´ნის „მფლობელობის აღდგენის ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიზნად ისახავდა სახლიდან ან მიწის ნაკვეთიდან განდევნილი პირის მფლობელობის უფლების აღდგენას

interdictum restitutorium [ინტერდი´კტუმ რესტიტუტო´რიუმ „აღმდგენი ინტერდიქტი“]
I. აღმდგენი ინტერდიქტი. მოითხოვდა პირისგან ნივთის პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ან მოსარჩელისთვის ნივთის დაბრუნებას

interdictum retinendae possessionis [ინტერდი´კტუმ რეტინე´ნდე პოსსესსიო´ნის „საკუთრების შენარჩუნების ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, რომელიც მიზნად ისახავდა პირისთვის ნივთის მფლობელობის უფლების შენარჩუნებას

interdictum salvianum [ინტერდი´კტუმ სალვია´ნუმ „ქონებრივი ზარალის ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, გაცემული მიწის ნაკვეთის მოიჯარის წინააღმდეგ, რომელიც არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნული ინტერდიქტის საფუძველზე მოიჯარეს

შეეძლო მოეთხოვა სამეურნეო ინვენტარის დაუყოვნებლივ მის მფლობელობაში გადაცემა. მოგვიანებით ინტერდიქტის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა და გავრცელდა დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის ურთიერთობებზე → hypotheca

interdictum sectorium [ინტერდი´კტუმ სეკტო´რიუმ „ჩამორთმეული ქონების მინიჭების შესახებ ინტერდიქტი“]
I. ინტერდიქტი, გაცემული საჯარო ვაჭრობით ნივთის შემძენის წინააღმდეგ → sectio

i. unde vi = i. de vi

interdictum uti possidetis [ინტერდი´კტუმ უ´ტი პოსსიდე´ტის „ფლობის ინტერდიქტი“]
I. ინდერდიქტი, რომელიც იცავდა პირს, რომელიც უშუალოდ ფლობდა ნივთს

interdictum utilium [ინტერდი´კტუმ უტი´ლიუმ „სასარგებლოთა ინტერდიქტი“]
I. ედიქტის რომელიმე ნიმუშის მიხედვით ინდერდიქტის მოქმედების სფეროს გაფართოება

interdictum utrubi [ინტერდი´კტუმ უტრუ´ბი „ინტერდიქტი: ორიდან რომელ მხარეს“]
I. ინტერდიქტი, რომელიც იცავდა მას, ვინც კეთილსინდისიერად ფლობდა მოძრავ ქონებას ხანგრძლივი დროით იმ წლის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებდა ინტერდიქტის გამოცემას, ამასთან, აქ ადგილი აქვს accessio possessionis-ს → actio ad exhibendum

interest [ინტერე´სტ „შუაში არის, განირჩევა“] ინტერესი
I. სამართლებრივი დაინტერესება რამეში. მაგ., ვალდებულებით სამართალში კრედიტორის ინტერესი, მიიღოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მოვალის მიერ შეთანხმების შეუსრულებლობის შედეგად მიადგა
II. 1. სამართლებრივი ინტერესი – კანონით დაცული ინტერესი. „პროფესიული კავშირის, პროფესიული კავშირების გაერთიანების (ასოციაციის) ხელმძღვანელი ორგანოები მუშაკთა შრომით, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ ინტერესებთან და უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ კოლექტიური ხელშეკრულებებით (შეთანხმებებით) გათვალისწინებულ პირობებში“ (საქართველოს კანონი პროფესიული კავშირების შესახებ – 1997, მე-10(7) მუხლი); 2. საჯარო ინტერესი – კანონით უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი ინტერესი. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტაზე, თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა არის საჯარო ინტერესი ან/და მნიშვნელოვანია სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზის სრულყოფისთვის“ (საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ – 2011, 96(3)-ე მუხლი)
III. „გარდა ამისა ხელუხლებლად უნდა იქნეს დაცული აგრეთვე მსხვილი მეურნეობანი, რომელთა გამოყენებისათვის სახელმწიფოებრივი ინტერესების და ღარიბი გლეხკაცობის სარგებლობის მიხედვით საკუთარი კანონი იქნება გამოცემული ახლო მომავალში“ (ბრძანება 16, საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ.კომ., 1921 წ. მარტის 14, აქტები 1922-1978, I, გვ. 25)

interlocutio [*ინტერლოკუ´ტიო/ინტერლოკუ´ციო „რეპლიკა“] ინტერლოკუცია
I. ბრძანება ან შუალედური გადაწყვეტილება, რომელსაც იღებდა სასამართლო საქმის განხილვის მიმდინარეობისას

interpellatio [*ინტერპელლა´ტიო/ინტერპელლა´ციო „შეწყვეტა“] ინტერპელაცია
I. 1. შეხსენება მოვალეს, რომ მან კრედიტორს ვალი უნდა დაუბრუნოს. 2. მხარის პროტესტი, განცხადებული სისხლის სამართალწარმოებაში
II., III. საკრებულოს წევრის ოფიციალური მიმართვა შეკითხვით საკრებულოს თავმჯდომარისადმი, გამგებლისადმი ან გამგეობის თანამდებობის პირისადმი. „საკრებულოს მიერ კონტროლის განხორციელების ფორმებია საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია“ (მაგ., იხ. თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს დადგენილება №1 – 2010, 96(2)(ა)-ე მუხლი)

interpres, -tis [ინტერპრე´ს „შუამავალი“]
I. განმმარტებელი, თარჯიმანი

interpretatio [*ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო „განმარტება“] ინტერპრეტაცია, ინტერპრეტირება
I. განმარტება, განსაკუთრებით, სამართლის i. iuris
II., III. კანონის ინტერპრეტაცია/ინტერპრეტირება – კანონის განმარტება. „მაუწყებლობის სფეროში კანონმდებლობის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ ევროპის კონვენციის, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკისა და საქართველოსთვის იურიდიული ძალის მქონე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად“ (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ – 2004, მე-3(2) მუხლი)

interpretatio extensiva [*ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო ექსტენსი´ვა „გავრცობილი განმარტება“]
I. ფართო განმარტება

interpretatio pontificum [*ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო პონტი´ფიკუმ „პონტიფექსების განმარტება“]
I. პონტიფექსების (pontifices) მიერ გაკეთებული განმარტებები

interpretatio prudentium [*ინტერპრეტა´ტიო *პრუდე´ნტიუმ/ინტერპრეტა´ციო პრუდე´ნციუმ „სწავლულთა განმარტება“]
I. საერო პირების მიერ გაკეთებული განმარტებები

interpretatio restrictiva [*ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო რესტრიკტი´ვა „შეკუმშული განმარტება“]
I. ვიწრო განმარტება

interpretationes [*ინტერპრეტატიო´ნეს/ინტერპრეტაციო´ნეს „განმარტებები“] ინტერპრეტაციები
I. განმარტებები და კომენტარები პაულუსის [Paulus] სენტენციებზე და გრეგორიანუსის, ჰერმოგენიუსის და თეოდოსიოსის კოდექსებზე (Codex Gregorianus, C. Hermogenianus, C. Theodosianus)

interregnum [ინტერრე´გნუმ „მეფეთშორისი პერიოდი“] ინტერრეგნუმი

I. ერთი მეფის სიკვდილისა და მეორე მეფის გამეფებას შორის დროის შუალედი (სამეფო ხელისუფლება რომში მემკვიდრეობით მის შთამომავლებს არ გადაეცემოდათ, არამედ ხდებოდა ახალი მეფის არჩევა → rex), რესპუბლიკის ხანაში – ორივე კონსულის ხელისუფლების ვადის გასვლიდან ახალი კონსულების არჩევამდე პერიოდი → magistratus, regere

interrogatio [*ინტერროგა´ტიო/ინტერროგა´ციო „შეკითხვა“] ინტერროგაცია
I. 1. სენატის წევრის აზრის გამოკითხვა; 2. შეკითხვა ბრალდებულს, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, ასევე მოწმის დაკითხვა → acceptilatio, stipulatio, rogare

interrogatio in iure [*ინტერროგა´ტიო/ინტერროგა´ციო ინ იუ´რე „გამოკითხვა ფიცის მიცემით“]
I. მოპასუხისთვის კითხვების დასმა სამოქალაქო პროცესზე, რომლებზეც მოპასუხეს მკაფიო პასუხები უნდა გაეცა

interruptio [*ინტერრუ´პტიო/ინტერრუ´პციო „შესვენება“]
I. შეჩერება

interruptio temporis [*ინტერრუ´პტიო/ინტერრუ´პციო ტე´მპორის „დროითი წყვეტა“]
I. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა (→ insinuatio)

interusurium [*ინტერუსუ´რიუმ/ინტერუზუ´რიუმ „გარკვეული დროის განმავლობაში დაგროვილი პროცენტები“]
I. თანხა, რომლის გამოქვითვაც მოვალეს შეუძლია მოითხოვოს კრედიტორისაგან იმ შემთხვევაში, თუ ის კრედიტორთან შეთანხმებით ვადაზე ადრე დააბრუნებს ვალს

intervallum [ინტერვა´ლლუმ „შუალედი“] ინტერვალი
I. დროის შუალედი, ვადა

interventio [*ინტერვე´ნტიო/ინტერვე´ნციო „ჩარევა“] ინტერვენცია
I. ჩარევა
II. 1. სახელმწიფოს მიერ უცხო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში მართლსაწინააღმდეგო ჩარევა, რომელიც ამ უკანასკნელის სუვერენიტეტს ლახავს. „...ვინაიდან რუსეთის ფედერაციისთვის მიუღებელია საქართველოს დემოკრატიული განვითარება და მის შესაჩერებლად 2008 წელს განახორციელა მორიგი სამხედრო ინტერვენცია...“ (საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შესახებ – 2010)
2. კრიზისული ინტერვენცია – კრიზისში მყოფი ადამიანის სასწრაფო ფსიქოლოგიური და ფსიქოთერაპევტული დახმარება. „მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები – ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს მოძალადის რეაბილიტაციასა და კრიზისულ ინტერვენციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად“ (საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ – 2006, მე-4(კ) მუხლი)
3. სამედიცინო ინტერვენცია – სამედიცინო ჩარევა. „პროფილაქტიკური მკურნალობა – სამედიცინო ინტერვენციების განხორციელება (ვაქცინაცია, სპეციფიკური მედიკამენტების მიღება) გადამდები დაავადებების გავრცელების პრე-

ვენციის მიზნით რისკ-ჯგუფის პაციენტებში“ (საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ – 2007, მე-3(ნ) მუხლი)
III. „აგრეთვე მოქმედება, მიმართული საერთაშორისო ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელის შეწყობისათვის, რომელსაც კაპიტალიზმის ნაცვლად მომავალი კომუნისტური სისტემა საკუთრების სწორუფლებიანად არ მიაჩნია და ისწრაფვის დაამხოს იგი ინტერვენციით, ბლოკადით, ჯაშუშობით, პრესისთვის ფინანსიურად ხელის გამართვით და სხვ.“ (საქ. სსრ. სისხლ. სამ. კოდ. – 1922, თავი I, კარი I, 58)

intestabilis [ინტესტა´ბილის „მოწმის უფლების არმქონე“]
I. მოწმედ გამოსვლის ან მოწმის მოწვევის უფლების არმქონე პირი → improbus, infamis; გვიანკლასიკურ სამართალში ანდერძის დატოვების უფლების არმქონე

intestatus [ინტესტა´ტუს „დაუდასტურებელი“] ინტესტატი
I. გარდაცვლილი, რომელსაც ანდერძი არ დაუტოვებია ან მისი ანდერძი შემდგომში ბათილად იქნა მიჩნეული

introductus [ინტროდუ´კტუს „შემოტანილი“]
I. ნივთი, რომელიც დამქირავებლის მიერ დაქირავებულ სადგომში იქნა შეტანილი და რომელიც გამოიყენებოდა დამქირავებლის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად

introire [ინტროი´რე „შესვლა“]
I. უძრავი ნივთის დაუფლება

invalidus [ინვა´ლიდუს „სუსტი, უღონო“] ინვალიდი
I. სუსტი, უძლური
II. ადამიანი, რომელსაც დაკარგული აქვს შრომის უნარი ავადმყოფობის, ტრავმის ან თანდაყოლილი დეფექტის გამო. „მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (შემდგომში – ინვალიდი) განსაზღვრა“ (საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ – 1995, მე-11 მუხლი)
III. „მიეცემა გლეხთა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების კომიტეტისაგან ინვალიდისა, მისი ოჯახისა და წითელარმიელის ოჯახის წევრების შემწეობის სახით“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. – 1924, ნაწილი მეხუთე, თავი XXXIII, 291)

invasio [*ინვა´სიო/ინვა´ზიო „შემოსევა, თავდასხმა, დაპყრობა“] ინვაზია
I. სხვის უძრავ საკუთრებაში ძალისმიერი შეჭრა

invecta et illata [ინვე´კტა ეტ ილლა´ტა „შემოტანილი და შემოყვანილი“]
I. სამეურნეო ინვენტარი

inventarium [ინვენტა´რიუმ „ინვენტარი“] ინვენტარი
I. აღწერა ქონებისა, რაც ხდებოდა მეურვეობის, გაკოტრების ან სამემკვიდრეო საქმეებთან დაკავშირებით
II. ყველა იმ ნივთის ერთობლიობა, რაც რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის, წარმოების ქონებას შეადგენს. „სამორინეს მაგიდები, კლუბის მაგიდები, სათამაშო აპარატები და სხვა სათამაშო ინვენტარი, რომლებიც გამოიყენება თამაშობისათვის, შეიძლება იყოს აზარტული თამაშობის ორგანიზატორის საკუთრებაში ან სარგებლობაში“ (საქართველოს კანონი ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ – 2005, 33(1)-ე მუხლი)

III. „...ჩამორთმეული მიწები მთელი შენობებით, ყოველგვარი მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით გადაირიცხება მიწის სახელმწიფო ფონდში...“ (დეკრეტი 17, 1921 წ. 6 აპრილი, მიწის შესახებ, აქტები 1922-1978, I, გვ. 28)

inventio [*ინვე´ნტიო/ინვე´ნციო „პოვნა“]
I. პოვნა, მოძიება

inventio thesauri [*ინვე´ნტიო/ინვე´ნციო თესაუ´რი „განძის პოვნა“]
I. განძის პოვნა

investitio (*საშ. ლათ.*) [*ინვესტი´ტიო/ინვესტი´ციო „შემოსვა“] ინვესტიცია
II. „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში“ (საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ – 1996, 1(1)-ლი მუხლი)
III. „ენერგეტიკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა სრულდება საქართველოს ბიუჯეტის, დარგის შემოსავლის, ბანკის კრედიტების, კერძო კაპიტალისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით“ (საქართველოს კანონი ენერგეტიკის შესახებ – 1994, მე-4(8) მუხლი)

investitura [ინვესტიტუ´რა „ინვესტიტურა“] ინვესტიტურა
I. შუასაუკუნეებში მიწის, თანამდებობის გადაცემა სათანადო ცერემონიით
III. „...ითხოვდნენ დესპანთა თჳსთა მიერ სამეფოთა ზედა თჳსსა იმპერატორებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურის წერილთა“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ [1783 წ.], ქსძ, II, 464)

investor [ინვე´სტორ „ინვესტორი“] ინვესტორი
II. „ინვესტორად ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში“ (საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ – 1996, 2(1)-ე მუხლი)
III. „მცირე ენერგეტიკის (1-10 მგტ) სიმძლავრის ობიექტების მშენებლობა საკუთრების ფორმის მიუხედავად, ენერგეტიკულ პროგრამაში შეიტანება, ხოლო 1000 კილოვატზე ნაკლები სიმძლავრის ობიექტების მშენებლობის საკითხი ინვესტორის პრეროგატივაა და დადგენილი წესის მიხედვით შეუთანხმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს“ (საქართველოს რესპუბლიკისკანონი „ენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მეოთხე მუხლის მე-7 პუნქტის თაობაზე – 1994)

iocus [იო´კუს „ხუმრობა“]
I. ხუმრობით დადებული გარიგება, რომელსაც იურიდიული ძალა არ გააჩნია

iracundia [ირაკუ´ნდია „რისხვა“]
I. მრისხანება, რისხვა, ფეთქებადობა

irreverens [ირრე´ვერენს „გულგრილი“]
I. ჯარისკაცი, რომელმაც დაარღვია სუბორდინაცია

irritus [ი´რრიტუს „არანამდვილი“]
I. თავიდანვე არანამდვილი, ბათილი ან შემდგომში ბათილად აღიარებული

iter [ი´ტერ „სიარული, გზა, გასასვლელი“]
I. სოფლის მიწაზე დაწესებული სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა ამ მიწაზე ფეხით ან ცხენით გადავლის უფლებას

iter ad sepulchrum [ი´ტერ ად სეპუ´ლხრუმ „გზა საფლავისკენ“]
I. გზა, რომელიც აუცილებელი იყო საგვარეულო სამარხამდე მისაღწევად

iter privatum [ი´ტერ პრივა´ტუმ „კერძო გზა“]
I. კერძო გზა

iter publicum [ი´ტერ პუ´ბლიკუმ „საზოგადოებრივი გზა“]
I. საზოგადოებრივი, ყველასათვის ხელმისაწვდომი გზა

iteratio [*იტერა´ტიო/იტერა´ციო „განმეორება“] იტერაცია
I. 1. მაგისტრის ერთი და იმავე თანამდებობის განმეორებით დაკავება, რაც ნებადართული იყო მხოლოდ 10 წლის გასვლის შემდეგ; 2. მონის ხელმეორედ გათავისუფლება, თუკი პირველი იყო არანამდვილი ius civile-ს მიხედვით, რომლის მეშვეობითაც იძენდნენ რომის მოქალაქეობას

iudex [იუ´დექს „მოსამართლე“]
I. მოსამართლე

iudex privatus [იუ´დექს პრივა´ტუს „კერძო მოსამართლე“]
I. მოსამართლედ დანიშნული კერძო პირი, რომელიც განიხილავდა საქმეების ვიწრო წრეს

iudex unus [იუ´დექს უ´ნუს „ერთი მოსამართლე“]
I. მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავდა საქმეს

iudicatio [*იუდიკა´ტიო/იუდიკა´ციო „განაჩენი“]
I. გვიანკლასიკურ სამართალში – განაჩენი

iudicatum [*იუდიკა´ტუმ „სასამართლო გადაწყვეტილება“]
I. სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც წესი, თანხის 30 დღეში გადახდას აკისრებდა მოპასუხეს

iudicia absolutoria → absolvere

iudicia bona fidei → iudicia stricta

iudicia capitalia [*იუდი´კია/იუდი´ცია კაპიტა´ლია „სასიკვდილო განაჩენის პროცესები“]
I. იუსტინიანუსის კანონმდებლობაში იმ პროცესების აღნიშვნა, რომლებიც სასიკვდილო განაჩენს უკავშირდებოდა

iudicia contraria [*იუდი´კია/იუდი´ცია კონტრა´რია „შებრუნებული სარჩელები“]
I. შეგებებული სარჩელი

iudicia directa → actio directa

iudicia divisoria [*იუდ´იკია *დივისო´რია/იუდ´იცია დივიზო´რია „წილების სარჩელები“]
I. თანამესაკუთრეებს, მემკვიდრეებსა და მეზობლებს შორის დავა საერთო საკუთრების გაყოფასთან დაკავშირებით

iudicia duplicia → iudicia simplicia

iudicia extraordinaria [*იუდი´კია/იუდი´ცია ეკსტრაორდინა´რია „ექსტრაორდინალური პროცესები“]
I. პროცესები, რომლებიც extra ordinem-ის ფორმით იმართებოდა

iudicia famosa → actio famosa

iudicia in bonum et aequum concepta → actio in bonum et aequum concepta

iudicia in factum → actio in factum

iudicia legitima [*იუდი´კია/იუდი´ცია ლეგი´ტიმა „კანონიერი სასამართლო პროცესები“]
I. პროცესები, რომლებიც ტარდებოდა რომში ან რომის სიახლოვეს. პროცესის მხარეებად გამოდიოდნენ რომის მოქალაქეები და მასში მონაწილეობდა ერთი მოსამართლე

iudicia ordinaria → iudicia extraordinaria

iudicia poenalia, causa poenalis [*იუდი´კია/იუდი´ცია პენა´ლია; *კა´უსა/კა´უზა პენა´ლის „დამსჯელი პროცესები“, „დამსჯელი საქმე“]
I. სისხლის სამართლის პროცესები

iudicia populi [*იუდი´კია/იუდი´ცია პო´პული „ხალხის პროცესები“]
I. სისხლის სამართლის პროცესი, რომელზეც განიხილებოდა რომის მოქალაქის წინააღმდეგ გამოტანილი სიკვდილით დასჯის ან ზღვარგადასული ჯარიმის შესახებ გამოტანილი განაჩენის მართლზომიერების საკითხი სახალხო ასამბლეის, comitia-ს მიერ

iudicia privata [*იუდი´კია/იუდი´ცია პრივა´ტა „კერძო პროცესები“]
I. პროცესები, რომლებზეც განიხილებოდა კერძოსამართლებრივი ხასიათის დავები

iudicia publica [*იუდი´კია/იუდი´ცია პუ´ბლიკა „საჯარო პროცესები“]
I. პროცესები სისხლის სამართლის სფეროში

iudicia simplicia [*იუდი´კია *სიმპლი´კია/იუდი´ცია სიმპლი´ცია „მარტივი სარჩელები“]
I. საქმე, სადაც ერთ მხარეს წარმოდგენილია მოსარჩელე, მეორე მხარეს – მოპასუხე, მაშინ როდესაც i. duplicia-ს დროს ორივე მხარე არის ერთდროულად მოსარჩელეცა და მოპასუხეც

iudicia stricta, iudicia stricti iuris, actiones stricti [*იუდი´კია/იუდი´ცია სტრი´კტა, *იუდი´კია/იუდი´ცია სტრი´კტი იუ´რის; *აკტიო´ნეს/აკციო´ნეს სტრი´კტი „შეკუმშული სარჩელები“]
I. სარჩელები, რომლებიც მკაცრად ზღუდავენ მოსამართლეს ფორმულის ტექსტით, მაშინ როდესაც **i. bonae fidei, actiones bonae fidei** შეიცავდნენ დათქმას ex fide bona, რომელიც ფართო დისკრეციას ანიჭებდა მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანისას

iudicium [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ „სასამართლო“]
I. სასამართლო; რომის საპროცესო სამართლის განვითარების შესაბამისად, ეს ტერმინი იძენს სხვა, უფრო ვიწრო ან უფრო ფართო გაგებას: სასამართლო გადაწყვეტილების, სარჩელის, ფორმულის, ლიტისკოინტესტაციის, პროცესის

ცალკეული ფაზების, მთელი პროცესის, პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობების და სასამართლოს გამართვის ადგილსაც კი

iudicium calumniae [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ კალუ´მნიე „ცილისწამების პროცესი“]
I. თუ მოპასუხის წინააღმდეგ სარჩელი ბოროტი განზრახვით იყო წარდგენილი და მოსარჩელემ იცოდა, რომ მისი მოთხოვნა იყო არამართლზომიერი, მაშინ მოპასუხეს უფლება ჰქონდა მოსარჩელის წინააღმდეგ წარედგინა სარჩელი და მისგან მოეთხოვა იმ თანხის მეათედი, რომელსაც პირველი პროცესის დროს მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვდა

iudicium Cascellianum [*იუდი´კიუმ *კასკელლია´ნუმ/იუდი´ციუმ კასცელლია´ნუმ „კასცელიანური პროცესი“]
I. პროცესი, რომელზეც განიხილებოდა მოპასუხის მიერ პრეტორის ინტერდიქტის შეუსრულებლობის საკითხი. ინტერდიქტი ავალდებულებდა მას მოსარჩელისთვის ნივთის გადაცემას

iudicium centumvirale [*იუდი´კიუმ *კენტუმვირა´ლე/იუდი´ციუმ ცენტუმვირა´ლე „ასკაციანი პროცესი“]
I. 100 წევრიანი (centum viri) სასამართლოს პროცესის მეორე ფაზა

iudicium coeptum, iudicium inchoatum [*იუდი´კიუმ *კე´პტუმ/იუდი´ციუმ ცე´პტუმ; *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ ინხოა´ტუმ „დაწყებული პროცესი“, „დაუსრულებელი პროცესი“]
I. სასამართლო წარმოების დაწყება

iudicium curationis [*იუდი´კიუმ *კურატიო´ნის/იუდი´ციუმ კურაციო´ნის „ზედამხედველობის (მეურვეობის) პროცესი“]
I. სარჩელი, რომელსაც წარადგენდა მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი მეურვის წინააღმდეგ და რომლითაც ის მოითხოვდა მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას

iudicium de moribus (mulieris) → actio de moribus mulieris

iudicium de re restituenda vel exhibenda [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ დე რე რესტიტუე´ნდა ველ ექსჰიბე´ნდა „საგნის აღმდგენი ან წარმდგენი პროცესი“]
I. i. Cascellianum-ის ანალოგიური, მაგრამ აღმდგენი (რესტიტუტორული) და წარმდგენი (ექსჰიბიტორული) ინტერდიქტების თანხლებით

iudicium domesticium [იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ *დომესტი´კიუმ/დომესტი´ციუმ „შინაური სასამართლო“]
I. საოჯახო სასამართლო, სადაც ხდებოდა ოჯახური საქმეების განხილვა ოჯახის უფროსის მიერ. სერიოზული შემთხვევებისას იწვევდნენ უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს (consilium propinquorum et amicorum)

iudicium fructuarium [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ ფრუკტუა´რიუმ „ფრუქტუარული პროცესი“]
I. მიმართულია იმ მხარის წინააღმდეგ, რომელიც lecitatio fructuum-ის დროს იღებს მფლობელობაში სადავო ნივთს

iudicium noxale → actio noxalis

iudicium nullum [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ ნუ´ლლუმ „არარსებული პროცესი“]
I. ერთ-ერთი ძირითადი რეკვიზიტის არარსებობის გამო გაბათილებული სასამართლო წარმოება

iudicium petitorium → formula petitoria

iudicium quinquevirale [*იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ კვინკვევირა´ლე „ხუთკაციანი პროცესი“]
I. დომინატის დროს: ხუთი სენატორის სასამართლო, რომელზეც განიხილებოდა სენატორთა მიერ ჩადენილი დანაშაულები, თავმჯდომარეობდა – praefectus urbi

iudicium rectum → actio directa

iudicium responsione (falsa) → interrogatio in iure

iudicium secotorium → 1. → iudicium Cascellianum 2. → iudicium fructuarium

iudicium sine noxae deditione → interrogatio in iure

iudicium societatis → actio pro socio

iudico [იუ´დიკო „ვასამართლებ, მიმყავს სასამართლო“]
I. მოსამართლის მიერ სამართალწარმოების წარმართვა

iudico cognoscere [იუდი´კო *კოგნო´სკერე/კოგნო´სცერე „წარვმართავ გამოძიებას“]
I. კოგნიციურ სამართალწარმოებაში: საქმის გამოძიება და სასამართლო გადაწყვეტილების მიღება

iudico vetare [იუდი´კო ვეტა´რე „სამართალწარმოებას ვკრძალავ“]
I. სასამართლო გადაწყვეტილების აკრძალვა

iugerum [იუ´გერუმ „იუგერი“] იუგერი
I. ფართობის საზომი ერთეული (დაახლ. 1/4 ჰა), რომელსაც იყენებდნენ მიწის გადასახადის iugatio terrena-ს დასადგენად

iumentum [იუმე´ნტუმ „მუშა საქონელი“]
I. ძირითადად: ცხენები, ვირები, ჯორები, რომლებით ვაჭრობა საგანგებო წესებს ექვემდებარებოდა

Iup(p)iter, Iovis [იუ´პ(პ)იტერ/იო´ვის „იუპიტერი“] იუპიტერი
I. რომაელთა უზენაესი ღვთაება, მისი თაყვანისცემა აისახა სამართალში iurare Iovem lapidem

iura [იუ´რა „უფლებები“]
I. სამართალი

iura gentilicia → ius gentilicium

iura in re [იუ´რა ინ რე „საგანზე უფლებები“]
I. ნივთებზე არსებული უფლებები

iura in re aliena [იუ´რა ინ რე ალიე´ნა „სხვის საგანზე უფლებები“]
I. უფლებები სხვის საკუთრებაში არსებულ ნივთებზე (servitutes, superdicies, ius in agro vectigali, emphyteusis, pignus, hypotheca)

iura stillicidiorum [*იუ´რა *სტილლიკიდიო´რუმ/სტილლიციდიო´რუმ „მწვეთავთა (ჩამოდინებულთა) უფლებები“]

I. ქალაქის წყლის სერვიტუტი და ა.შ.

iuramentum [იურამე´ნტუმ „ფიცი“] იურამენტუმი
I. → iusiurandum

iurare [იურა´რე „ფიცის დადება, დაფიცება“] იურარე

I. დაფიცება

iurare in leges [იურა´რე ინ ლე´გეს „კანონებზე ფიცის დადება“]
I. თანამდებობაზე არჩევის შემდეგ მაგისტრატის მიერ წარმოთქმული ფიცი, რომ იგი დაიცავს კანონებს

iurare (per) Iovem lapidem [იურა´რე(პერ) იო´ვემ ლა´პიდემ „იუპიტერის ქვაზე დაფიცება“]
I. იუპიტერის ქვაზე (სიმბოლოზე) დაფიცება, რომელიც ყველაზე საზეიმო ფიცს წარმოადგენდა

iurare sibi non liquere [იურა´რე სი´ბი ნონ ლი´კვერე „დაფიცება, რომ მისთვის არაა ნათელი (გაუგებარია)“]
I. მოსამართლის ფიცი, რომ მას არ შეეძლო საქმის გადაწყვეტა, ვინაიდან მისთვის გაუგებარი იყო განსახილველი საქმე, რის შემდეგაც დგებოდა → translatio iudicii; ampliatio

iurata promissio operarum, iurata promissio operarum liberti → operae liberti

iurato promittere → cautio iuratoria

iurator, iuratus [იურა´ტორ, იურა´ტუს „ფიცის დამდები“, „ფიცდადებული“]
I. დაბალი საზოგადოებრივი მოხელე, რომელიც ფიცს დებდა და ეხმარებოდა ცენზორს მოქალაქეთა რეგისტრაციაში

iurgium [იუ´რგიუმ „ჩხუბი“]
I. სამართლებრივი დავა, რომელსაც წყვეტდა მოსამართლე

iuridicialis [*იურიდიკია´ლის/იურიდიცია´ლის „იურიდიული“] იურიდიული
I. იურიდიული, სამართლებრივი (constitutio, status)
II. სამართალთან დაკავშირებული. „ყველას აქვს უფლება, ამ კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს თანმიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციითა და იურიდიული დახმარებით სახელმწიფოს ხარჯზე“ (საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ – 2007, 1(2)-ლი მუხლი)
III. „არც ერთი საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიოს საკუთრება, მათ იურიდიული პიროვნების უფლება არა აქვთ“ (სახელმწიფოსგან ეკლესიისა და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ. საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი 21 – 1921, მე-14 მუხლი, საქ. კან., I, გვ. 490)

iuridicus [იური´დიკუს „მოსამართლე, ლეგატი“]
I. 1. → legati iuridici, 2. (163-300 წ.წ.) ოთხი ჩინოვნიკი, რომელიც წარმართავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს იტალიაში

iurisconsultus [იურისკონსუ´ლტუს „იურისკონსულტი“] იურისკონსულტი
I. იურისტი, თეორიული და პრაქტიკული სამართლის მცოდნე, რომელიც აძლევდა კონსულტაციებს და დასკვნებს

II. ორგანიზაციის, დაწესებულების და ა.შ. იურიდიული სამსახურის თანამშრომელი. „მუხლი 30. უმცროსი საჯარო თანამდებობა. ა) უფროსი იურისკონსულტი; ბ) უფროსი ფინანსისტი; გ) უფროსი ეკონომისტი; დ) უფროსი ბუღალტერი; ე) რევიზორი; ვ) ინსპექტორი; ზ) წამყვანი მენეჯერი; თ) უფროსი სპეციალისტი; ი) მენეჯერი; კ) იურისკონსულტი...“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №286 – 2001, 30-ე მუხლი)

III. „სწავლობს და განაზოგადებს სამართლებრივი მუშაობის საქმის დაყენების პრაქტიკას, ავრცელებს იურიდიული განყოფილებებისა და იურისკონსულტების მუშაობის დადებით გამოცდილებას, იღებს ზომებს ამ განყოფილებათა (იურისტკონსულტების) მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 426 – 1972, საქ. კან., VI, გვ. 159)

iurisdictio [*იურისდი´კტიო/იურისდი´კციო „სამართალწარმოება“] იურისდიქცია

I. უფლებამოსილება და საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იყო მართლმსაჯულების განხორციელებასთან

II. 1. სახელმწიფო ორგანოთა, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციათა უფლებამოსილებების – გადაწყვიტონ სამართლებრივი დავები, განიხილონ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული საქმეები, მართლზომიერების თვალსაზრისით შეაფასონ სამართლის სუბიექტების ქმედებები და სამართლებრივი აქტები, სამართალდამრღვევების მიმართ გამოიყენონ სამართლებრივი სანქციები – ფარგლები. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ – 1996, 1(2)-ლი მუხლი); 2. საერთაშორისო სამართლით აღიარებული სახელმწიფოს უფლებამოსილება/უფლებამოსილების ფარგლები დაადგინოს ქცევის იურიდიულად სავალდებულო წესები და უზრუნველყოს მათი შესრულება. „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ (საქ. კონს. – 1995, მე-2(3) მუხლი); 3. ტერიტორია, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო სამართლით აღიარებულ ფარგლებში სახელმწიფოს უფლებამოსილება, დაადგინოს ქცევის იურიდიულად სავალდებულო წესები და უზრუნველყოს მათი შესრულება. „საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე“ (საქართველოს კანონი წყლის შესახებ – 1997, მე-17(4) მუხლი)

III. „სასამართლოს ორგანიზაცია, იურისდიქცია და კომპეტენცია განისაზღვრება კანონით“ (კონსტ. – 1921, 77-ე მუხლი)

iurisdictio mandata [*იურისდი´კტიო/იურისდი´კციო მანდა´ტა „გადაცემული იურისდიქცია“]

I. მაგისტრატის მიერ მანდატის საფუძველზე საკუთარი უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა (გამონაკლისის სახით, კერძო პირისთვისაც), პროვინციებში **i.m.**-ის უფლება ჰქონდა legatus pro consulis-ს

iurisprudentia [*იურისპრუდე´ნტია/იურისპრუდე´ნცია „სამართალმცოდნეობა“] იურისპრუდენცია
I. სამართალმცოდნეობა, იურისპრუდენცია
II., III. იგივე, რაც I-ში, სასამართლო პრაქტიკა. „საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დაფუძნებული იურისპრუდენციის საერთო მიღებულ პრინციპებზე“ (საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სატელიტურ ორგანიზაცია „ინტელსატ.“-თან დაკავშირებული ხელშეკრულება ექსპლუატაციის შესახებ – 1971, დანართი C, 13(a)(2)-ე მუხლი)

ius, iuris [ი´უს, იუ´რის „სამართალი“]
I. სამართალი, რომის სამართლის ძირითადი ცნება, რომელიც გამოხატავს მის მრავალგვარ ასპექტს და სფეროს:
1. სამართალი, განსხვავებით რელიგიისგან → fas
2. სამართალი, განსხვავებით ზნე-ჩვეულებისაგან → mos
3. სამართალი, განსხვავებით ტრადიციისაგან → consuetudo
4. სამართალი, განსხვავებით უსამართლობისაგან → iniuria
5. ობიექტური სამართალი, სამართლის ნორმათა ერთობლიობა
6. სუბიექტური სამართალი, ცალკეული პირის უფლებები
ობიექტური სამართლის ჩარჩოები
7. სასამართლო წარმოების უფლება
8. იურისტების შრომები

ius abdicandi [ი´უს აბდიკა´ნდი „უარყოფის (უარის თქმის) უფლება“]
I. ანდერძით დანიშნული მეურვის უფლება, უარი ეთქვა მეურვეობაზე

ius abducendi [ი´უს *აბდუკე´ნდი/აბდუცე´ნდი „წაყვანის უფლება“]
I. ნასყიდობის ხელშეკრულებაში გაკეთებული დათქმა, რომელიც კრძალავდა გაყიდული მონის ქვეყნიდან გაყვანას, სხვაგვარად გამყიდველს უფლება ჰქონდა დაებრუნებინა მონა

ius abstinendi [ი´უს აბსტინე´ნდი „შენარჩუნების უფლება“]
I. → beneficium abstinendi

ius abutendi [ი´უს აბუტე´ნდი „გამოყენების უფლება“]
I. მესაკუთრის სრული თავისუფლება ნივთის განკარგვისა, თუნდაც მისი განადგურებისა

ius acta conficiendi [ი´უს ა´კტა *კონფიკიე´ნდი/კონფიციე´ნდი „აქტების შედგენის უფლება“]
I. დომინატის დროს მაღალი თანამდებობის პირთა (პროვინციის ნაცვალთა, მაგისტრატებისა მუნიციპიებში) უფლება ეწარმოებინათ კერძო სამართლებრივი აქტების რეესტრი და ამით მიენიჭებინათ მათთვის სრული მტკიცებულებითი ძალა

ius adcrescendi [ი´უს *ადკრესკე´ნდი/ადსკრესცე´ნდი „ნამატის უფლება“]
I. 1. საერთო საკუთრებაში თანამესაკუთრეების წილების გაზრდა ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ საკუთარ წილზე უარის თქმის ან წილის დაკარგვის შედეგად;
2. სამკვიდროში თანამემკვიდრეების წილების გაზრდა ერთ-ერთი თანამემკვი-

დრის მიერ საკუთარი მემკვიდრეობის უფლებაზე უარის თქმის ან ამ უფლების დაკარგვის შედეგად

ius adcrescendi adfinitatis [ი´უს *ადკრესკე´ნდი/ადკრესცე´ნდი ადფინიტა´ტის „მოყვრობის ნამატის უფლება“]
I. მოყვრების კავშირი

ius aedificandi [ი´უს ედიფიკა´ნდი „მშენებლობის უფლება“]
I. მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლება, აეგო მასზე შენობა, თუმცა, ამასთან, მას უნდა გაეთვალისწინებინა მეზობელთა უფლებები

ius aedilicium [ი´უს *ედილი´კიუმ/ედილი´ციუმ „ედილების სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც იქმნებოდა კურულის ედილების მიერ

ius aequum [ი´უს ე´კვუმ „თანაბარი სამართალი“]
I. იუსტინიანუსის ინტერპრეტაციით: სამართალი, რომელიც გამომდინარეობს aequitas-იდან

ius agendi [ი´უს აგე´ნდი „მართვის უფლება“]
I. მაგისტრატების უფლება მოეწვიათ, ეხელმძღვანელათ და წინადადებები შეეტანათ ცენტურიატულ, ტრიბუტულ კომიციებზე

ius agendi agnationis [*ი´უს აგე´ნდი *აგნატიო´ნის/აგნაციო´ნის „ნათესაობიდან გამომდინარე უფლება“]
I. ყველა უფლება, რომელიც მამის მხრიდან სისხლით ნათესაობიდან გამომდინარეობდა

ius agnationis [ი´უს *აგნატიო´ნის/აგნაციო´ნის „აგნატური სამართალი“]
I. უფლებები, დაფუძნებული სისხლით ნათესაობაზე

ius altius tollendi [ი´უს ა´ლტიუს ტოლლე´ნდი „უფრო მაღალის აღმართვის უფლება“]
I. უფლება დაწესებულ სიმაღლეზე უფრო მაღალი შენობის აღმართვისა

ius antiquum [ი´უს ანტი´კვუმ „ძველი სამართალი“]
I. ძველი დროის სამართალი, იუსტინიანუსის კანონთა გაგებით – კლასიკური სამართალი

ius anuli aurei, ius aureorum anulorum [ი´უს ა´ნული ა´ურეი, ი´უს აურეო´რუმ ანულო´რუმ „ოქროს ბეჭდის უფლება, ოქროს ბეჭდების უფლება“]
I. ოქროს ბეჭდის ტარების უფლება, პრივილეგია მაგისტრატებისა, შემდეგში – სენატორებისა (მემკვიდრეობითი უფლება), მოგვიანებით – მხედრებისა

ius appellandi, [ი´უს აპელლა´ნდი „აპელაციის უფლება“]
I. უფრო მაღალ ინსტანციაში აპელირების უფლება

ius applicationis [ი´უს *აპლიკატიო´ნის/აპლიკაციო´ნის „მიერთების უფლება“]
I. უფლება კლიენტობისა, პატრონს უფლება ჰქონდა გარდაცვლილი კლიენტის ქონების მემკვიდრეობით მიღებისა

ius augurium [ი´უს აუგუ´რიუმ „ავგურთა სამართალი“]
I. საკრალური კანონი, რომელიც ავგურების მიერ იყო შექმნილი და ჩაწერილი იყო libri augurum-ში

ius aureorum anulorum → ius anuli aurei

ius auxilii [ი´უს აუქსი´ლიი „დახმარების უფლება“]
I. სახალხო ტრიბუნების უფლება, დაიცვას ნებისმიერი პლებეი კონსულის თვითნებობისაგან

ius belli [ი´უს ბე´ლლი „ომის სამართალი“]
I. ომის სამართალი, რომლითაც რომაელები ხელმძღვანელობდნენ ნებისმიერი ომის წარმოების დროს მისი გამოცხადების შემდეგ

ius caduca vindicandi [ი´უს კადუ´კა ვინდიკა´ნდი „მემკვიდრის გარეშე დარჩენილის დაცვის უფლება“]
I. ნებას რთავდა გამოეყენებინათ vindicatio caducorum-ი

ius canonicum [ი´უს კანო´ნიკუმ „კანონიკური სამართალი“]
I. იუსტინიანუსის შემდგომ ეპოქაში კათოლიკური ეკლესიის სამართალი (1582 წლიდან შედიოდა Corpus iuris canonici-ს შემადგენლობაში), ვითარდებოდა თანდათანობით, ძირითადად, ეპისკოპოსთა მოღვაწეობის შედეგად

ius capiendi [ი´უს კაპიე´ნდი „მიღების უფლება“]
I. → capax

ius civile [*ი´უს კი´ვილე/ცი´ვილე „სამოქალაქო სამართალი“]
I. 1. თავდაპირველად – რომის მოქალაქეთა სამართალი (i. c proprium Romanorum, i. Quiritium); 2. (ძირითადი მნიშვნელობა) რომის სამართალი, რომელიც XII დაფის კანონებიდან გამომდინარეობს, ეყრდნობა იურისტთა განმარტებებს (interpetatio) და წინაპართა ზნე-ჩვეულებებს (mos), მკაცრად ჩაკეტილი სისტემა, რომელიც განივრცო მომდევნო პერიოდის ნორმებით (სპეციალური კანონი, leges publicae, plebiscita, senatusconsulta, constitutiones principum – ძვ.წ. III ს.); 3. სინ. i. sollemne, სამართალი, რომელიც მოცემულია კანონებში, ზნე-ჩვეულებებსა და იურისტთა გადაწყვეტილებებში; 4. სამართალი, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ რომის მოქალაქეებზე (i. civium Romanorum) საპირისპირო i. honorarium-ისა; 5. ფაქტიურად გამოყენებული პოზიტიური სამართალი i. naturale-ს საპირისპირო; 6. საერთო სამოქალაქო სამართალი – ius militare-ს საპირისპირო; 7. სამართალი, რომელიც შექმნილია რომის სამართლის მეცნიერებით

ius civitatis, iura civitatis [ი´უს *კივიტა´ტის/ცივიტა´ტის, იუ´რა *კივიტა´ტის/ცივიტა´ტის „მოქალაქის უფლება; მოქალაქეთა უფლებები“]
I. ცალკეული პირის, როგორც რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქის, უფლებათა ერთობლიობა

ius codicillorum [*ი´უს კოდიკილლო´რუმ/კოდიცილლო´რუმ „კოდიცილიების სამართალი“]
I. საანდერძო დანაკისრების მარეგულირებელი სამართალი

ius coërcendi [ი´უს *კოერკე´ნდი/კოერცე´ნდი „დისციპლინარული უფლება“]
I. coërcitio

ius coeundi [ი´უს *კეუ´ნდი/ცეუ´ნდი „კავშირებში გაერთიანების უფლება“]
I. → collegium

ius coeundi cognationis [ი´უს *კეუ´ნდი *კოგნატიო´ნის/ცეუ´ნდი კოგნაციო´ნის „სისხლით ნათესაობიდან გამომდინარე უფლება“]

I. სისხლის ნათესაობიდან გამომდინარე უფლებათა ერთობლიობა

ius cogens [ი´უს კო´გენს „იძულებითი სამართალი“]
I. მითითებები, მათ შორის კერძო სამართლის სფეროში, რომლით ხელმძღვანელობა ყოველთვის აუცილებელი იყო და რომელთა შეცვლა შეუძლებელი იყო მხარეთა შეთანხმებით

ius cognoscendi [ი´უს კოგნოსკე´ნდი/კოგნოსცე´ნდი „შემეცნების უფლება“]
I. შემეცნების უფლება → cognoscere

ius commercii [ი´უს *კომმე´რკიი/კომმე´რციი „ვაჭრობის უფლება“]
I. ვაჭრობის უფლება

ius commune [ი´უს კომმუ´ნე „საერთო სამართალი“]
I. სინ. i. universale – ყველა პირისთვის სავალდებულო სამართალი

ius compascendi, ius compascui [ი´უს *კომპასკე´ნდი/კომპასცე´ნდი ი´უს კომპა´სკუი „ერთად ძოვების უფლება“]
I. საზოგადოებრივი საძოვრებით საკუთარი საჭიროებისათვის სარგებლობის უფლება → compascua

ius consanguinitatis, iura consanguinitatis [ი´უს კონსანგვინიტა´ტის, იუ´რა კონსანგვინიტა´ტის „სისხლით ნათესაობის უფლება (უფლებები)“]
I. არაღვიძლი და-ძმების უფლებები ერთმანეთის მიმართ

ius constitutum [ი´უს კონსტიტუ´ტუმ „დადგენილი სამართალი“]
I. მოქმედი კანონმდებლობა

ius controversum [ი´უს კონტროვე´რსუმ „სადავო სამართალი“]
I. ნორმები, რომელთა შინაარსის ირგვლივ არსებობდა დავა და მიმდინარეობდა დისკუსიები იურისტთა შორის

ius conubii [ი´უს კონუ´ბიი „ქორწინების, თანაცხოვრების უფლება“]
I. ქორწინების, თანაცხოვრების უფლება → conubium

ius designandi [ი´უს *დესიგნა´ნდი/დეზიგნა´ნდი „დანიშვნის უფლება“]
I. პრინციპატის ხანაში იმპერატორის უფლება დაესახელებინა (ფაქტიურად – დაენიშნა) მაგისტრატის თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატი

ius dispositivus [ი´უს *დისპოსიტი´ვუს/დისპოზიტი´ვუს „შემავსებელი სამართალი“]
I. იუსტინიანუსის ეპოქის დროინდელი მითითება – ძირითადად სამოქალაქო სამართლის სფეროში, რომელიც მოქმედებდა მხოლოდ მაშინ, თუკი მხარეები თავისი იურიდიული ქმედებების რეგლამენტირებას არ ახდენდნენ

ius distrahendi [ი´უს დისტრაჰე´ნდი „გაყიდვის უფლება“]
I. მოგირავნის უფლება, გაეყიდა დაგირავებული ნივთი, თუ მოვალე ვალს არ გადაიხდიდა

ius divinum [ი´უს დივი´ნუმ „საღვთო სამართალი“]
I. საღვთო სამართალი (ანტ. i. humanum)

ius dominii [ი´უს დომი´ნიი „მეპატრონის (ბატონის) უფლება“]
I. იშვიათად ხმარებული ტერმინი, საკუთრების უფლების აღმნიშვნელი

ius domum revocandi [ი´უს დო´მუმ რევოკა´ნდი „შინ გამოსახმობი უფლება“]
I. თუ პირის წინააღმდეგ, რომელიც რომში არ ცხოვრობდა და დროებით იმყოფებოდა იქ, აღიძვრებოდა სარჩელი, მას უფლება ჰქონდა, მოეთხოვა საქმის განხილვა სასამართლოში მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ius dotium [*ი´უს დო´ტიუმ/დო´ციუმ „მზითვის სამართალი“]
I. კანონდებულება, რომელიც ეხება მზითევს (dos)

ius ecclesiasticum [ი´უს *ეკკლესია´სტიკუმ/ეკკლეზია´სტიკუმ „საეკლესიო სამართალი“]
I. იუსტინიანუსის კანონმდებლობაში საეკლესიო სამართალი

ius edicendi [ი´უს *ედიკე´ნდი/ედიცე´ნდი „ედიქტის გამოცემის უფლება“]
I. imperium-ის მქონე ნებისმიერი მაგისტრატის უფლება, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გაეკეთებინა საჯარო განცხადებები, ჯერ ზეპირად, შემდეგ კი – წერილობით →edictum; edictum praetorium

ius emphyteutic(ari)um (ბერძნ.) [ი´უს ემფიტე´უტიკ (ა´რი)უმ „ხანგრძლივი დროით მოიჯარის უფლება“]
I. მემკვიდრეობითი, მაგრამ დროებითი იჯარა, რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში იყო გავრცელებული, შინაარსობრივად იგივეა, რაც ius in agro vectigali-ი, მაგრამ ნაკვეთის დამუშავების ვალდებულებით

ius ex scripto [ი´უს ექს სკრი´პტო „წერილობითი წყაროებიდან (ამოკრებილი) სამართალი“]
I. დაწერილი სამართალი, რომელიც ფორმულირებული იყო საკანონმდებლო აქტებში

ius exigendi [ი´უს ექსიგე´ნდი „გადახდევინების (ზღვევის) უფლება“]
I. ზღვევის მოთხოვნის განსაკუთრებული უფლება: 1. გირავნობის მქონე კრედიტორმა შეიძლება მოითხოვოს დაგირავებული საკრედიტო მოთხოვნის ზღვევა (pignus nominis); 2. quasi ususfructus nominis-ის დროს შეიძლება მოხდეს თავად კაპიტალით გადახდევინება; 3. იძულებითი გადახდევინების დროს სრულად უნდა დაკმაყოფილდნენ creditores privilegiarii-ები

ius exigendi exilii, ius exulandi [ი´უს ექსიგე´ნდი ექსი´ლიი, იუს ექსულა´ნდი „გადასახლების უფლება“]
I. როგორც წესი, სასიკვდილო განაჩენის ნებაყოფლობითი გადასახლებით ჩანაცვლების უფლება (ამ შესაძლებლობას თავმჯდომარე მაგისტრატი აძლევდა, როგორც წესი, მაღალი ფენის წარმომადგენლებს)

ius exponendi [ი´უს ექსპონე´ნდი „მიგდების უფლება“]
I. ახალშობილის მიტოვების უფლება

ius extraordinarium [ი´უს ექსტრაორდინა´რიუმ „ექსტრაორდინარული სამართალი“]
I. ნაწილობრივი სინონიმი: i. novum, სამართალი, რომელიც მოცემული იყო იმპერატორის კონსტიტუციებში

ius fetiale [ი´უს *ფეტია´ლე/ფეცია´ლე „ფეციალური სამართალი“]

I. ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ფეციალებს რომის სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში →fetiales

ius fisci, iura fisci [ი´უს *ფი´სკი/ფი´სცი იუ´რა *ფი´სკი/ფი´სცი „სახელმწიფო ხაზინის, ფინანსების (ფისკუსის) სამართალი)
I. მოვალეებთან ურთიერთობაში ფისკუსის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრულ ნორმათა ერთობლიობა

ius fruendi [ი´უს ფრუე´ნდი „სარგებლობის უფლება“]
I. ნაყოფით სარგებლობის უფლება → ususfructus

ius gentilicium [ი´უს *გენტილი´კიუმ/გენტილი´ციუმ „საგვარეულო სამართალი“]
I. სამართლებრივ ჩვეულებათა ერთობლიობა, რომელიც ეხებოდა ცალკეულ გვარს ან საგვარეულო წყობას

ius gentium [ი´უს *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ „ხალხთა სამართალი“]
I. 1. (ძირითადი მნიშვნელობა) სამართალი, რომელიც შეიქმნა სასამართლო პრაქტიკით უცხოტომელთა შორის არსებულ დავებში (peregrini) ან რომაელებსა და უცხოელთა შორის დავებში; 2. სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ეყრდნობოდა ratio naturalis-ს და რომელთა დაცვა ხდებოდა ყველა სახელმწიფოსა და ხალხის მიერ; 3. საჯარო სამართალში: იურიდიული წესების ერთობლიობა, რომელიც ასახავდა რომის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან

ius gestorum [ი´უს გესტო´რუმ „ხელმძღვანელთა უფლება“]
I. დომინატის დროს უმაღლესი ხელისუფლების პირთა უფლება, ოფიციალურად დაერეგისტრირებინათ წარმოდგენილი დოკუმენტი ან განცხადება და ამით დაემტკიცებინათ მისი ძალა

ius gestorum gladii [ი´უს გესტო´რუმ გლა´დიი „ხელმძღვანელთა მახვილის უფლება“]
I. უმაღლესი თანამდებობის პირთა უფლებები, განეხილათ სასიკვდილო განაჩენთან დაკავშირებული საქმეები

ius, habitationis [ი´უს *ჰაბიტატიო´ნის/ჰაბიტაციო´ნის „ბინადრობის უფლება“]
I. პირადი სერვიტუტის ერთ-ერთი სახე, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს სხვის სახლში ცხოვრების უფლებას

ius hereditarium [ი´უს ჰერედიტა´რიუმ „მემკვიდრეთა უფლება“]
I. მემკვიდრეთა ყველა უფლება

ius honorarium [ი´უს ჰონორა´რიუმ „თანამდებობრივი სამართალი“]
I. მაგისტრატების ედიქტების საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართალი, რომლის მიზანსაც შეადგენდა მოქმედი სამართლის განმტკიცება, შეცვლა ან განახლება

ius honorum [ი´უს ჰონო´რუმ „პატივის უფლება“]
I. უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ნებისმიერი თავისუფლადშობილი რომაელი მოქალაქის უფლება, არჩეული ყოფილიყო მაგისტრატად → ius ingenuitatis

ius humanum [ი´უს ჰუმა´ნუმ „ადამიანური სამართალი“]
I. ius divinum-გან განსხვავებით, სამართალი, რომელიც წარმოადგენდა ადამიანის მიერ შექმნილ სამართალს

ius imaginum [ი´უს იმა´გინუმ „გამოსახულებათა (ტარების) უფლება“]
I. წარჩინებულთა პრივილეგია სამგლოვიარო პროცესიაზე თან წამოეღოთ გარდაცვლილი წინაპრების გამოსახულებები, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ატრიუმში ინახავდნენ

ius imperandi [ი´უს იმპერა´ნდი „მართვის, ბრძანების უფლება“]
I. მართვის უფლება → imperium, ოჯახის მეთაურის უფლება ოჯახის წევრებზე

ius in agro vectigali [ი´უს ინ ა´გრო ვეკტიგა´ლი „მიწის გადასახადის გადამხდელის უფლება“]
I. სათემო და სახელმწიფო მიწის ხანგრძლივი, მემკვიდრეობითი და გასხვისებადი იჯარის უფლება

ius in re (aliena) → iura in re

ius inferendi, ius mortuum inferendi [ი´უს ინფერე´ნდი, ი´უს მო´რტუუმ ინფერე´ნდი „დასაფლავების უფლება, მიცვალებულის დასაფლავების უფლება“]
I. განსაზღვრულ საფლავში დამარხვის უფლება (საკუთარი თავის ან ვინმე სხვისი)

ius ingenuitatis, iura ingenuitatis [ი´უს ინგენუიტა´ტის, იუ´რა ინგენუიტა´ტის „თავისუფალი მოქალაქის უფლება, თავისუფალი მოქალაქეების უფლება“]
I. თავისუფლადშობილი მოქალაქეების პოლიტიკური უფლებები

ius iniquum – საწინააღმდეგო i. aequum-ისა

ius intercedendi [ი´უს *ინტერკედე´ნდი/ინტერცედე´ნდი „წინააღმდეგობის გაწევის უფლება“]
I. სახალხო ტრიბუნების ვეტოს უფლება. სახალხო ტრიბუნები სარგებლობდნენ ვეტოს უფლებით მაგისტრატის აქტებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით

ius Italicum [ი´უს იტა´ლიკუმ „იტალიკური უფლება“]
I. პრივილეგიები, რომელთა საფუძველზეც ზოგიერთმა პროვინციულმა ქალაქმა მოიპოვა იტალიური ქალაქის სამართლებრივი სტატუსი

ius iubendi [ი´უს იუბე´ნდი „ბრძანების უფლება“]
I. → iussum

ius Latii [ი´უს *ლა´ტიი/ლა´ციი „ლაციუმის უფლება“]
I. → Latini coloniarii

ius legationis, ius legatorum [ი´უს *ლეგატიო´ნის/ლეგაციო´ნის, ი´უს ლეგატო´რუმ „ელჩობის უფლება, ელჩების უფლება“]
I. სამართალი, რომელიც განსაზღვრავდა უცხო სახელმწიფოთა ელჩების სამართლებრივ მდგომარეობას

ius legatorum [ი´უს ლეგატო´რუმ „ელჩების სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც განსაზღვრავდა უცხო სახელმწიფოთა ელჩების სამართლებრივ მდგომარეობას

ius leviter castigandi [ი´უს ლე´ვიტერ კასტიგა´ნდი „მსუბუქად დასჯის უფლება“]
I. მამის (ბატონის, მასწავლებლის) უფლება შვილის (მონის, მოსწავლის) ფიზიკური დასჯისა გონივრულ ფარგლებში

ius liberorum, ius trium [quattuor] liberorum [ი´უს ლიბერო´რუმ, ი´უს ტრი´უმ [კვატტუ´ორ] ლიბერო´რუმ „შვილების უფლება, სამი [ოთხი] შვილის ყოლის უფლება“]
I. პრივილეგიები, რომლებიც lex Iulia 26-ის მიხედვით, ენიჭებოდათ რამდენიმე შვილის მშობლებს. მაგ., მამაკაცებს შეეძლოთ მოეთხოვათ გარკვეული სახის გადასახადებისგან გათავისუფლება

ius mariti [ი´უს მარი´ტი „ქმრის უფლება“]
I. ქმრის უფლებები ცოლთან მიმართებაში

ius migrandi [ი´უს მიგრა´ნდი „მიგრაციის უფლება“]
I. საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად ცვლილების უფლება, რომელიც ჰქონდათ რომაელებს და Latini prisci-ს

ius militare [ი´უს მილიტა´რე „სამხედრო სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც სამხედრო პირებს (ჯარისკაცებს) ეხებოდა

ius militiae [ი´უს *მილი´ტიე/მილი´ციე „ჯარის უფლება“]
I. რომის მოქალაქეების უფლება, იმსახურონ ლეგიონში

ius mixtum [ი´უს მი´ქსტუმ „შერეული უფლება“]
I. უფლება, რომელიც ეფუძნება როგორც კანონს, ისე ჩვეულებას

ius mortuum inferendi →ius inferendi

ius multae dicendae [ი´უს მუ´ლტე *დიკე´ნდე/დიცე´ნდე „ჯარიმების შეტყობინების უფლება“]
I. მაგისტრატის მიერ ჯარიმების დადების უფლება

ius naturale [ი´უს ნატურა´ლე „ბუნებრივი სამართალი“]
I. ბუნებითი სამართალი

ius non scriptum [ი´უს ნონ სკრი´პტუმ „დაუწერელი სამართალი“]
I. ჩვეულებითი სამართალი

ius novum [ი´უს ნო´ვუმ „ახალი სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც მოცემული იყო იმპერატორის კონსტიტუციებში

ius noxae dandi [ი´უს ნო´ქსე და´ნდი „დასჯის გაცემის უფლება“]
I. ძალაუფლების მქონეთა უფლება მიმართონ noxae datio-ს

ius offerendi (et succedendi), ius offerae pecuniae [ი´უს ოფფერე´ნდი (ეტ *სუკკედე´ნდი/სუცედე´ნდი), ი´უს ოფფე´რე პეკუ´ნიე „შეთავაზების (და მიღების) უფლება, ფულის შეთავაზების უფლება“]
I. მომდევნო რიგის იპოთეკარის უფლება გადაეხადა წინა რიგის იპოთეკარისთვის ფულადი თანხა, რათა დაეკავებინა მისი ადგილი

ius offerendi originis [ი´უს ოფფერე´ნდი ორი´გინის „წარმოშობის მიხედვით მიღების უფლება“]
I. მოქალაქეობის მიღების უფლება მუნიციპიაში მამის დაბადების (ადგილის) მიხედვით, თუ მამა ამ ქალაქის მოქალაქე იყო

ius ordinarium [ი´უს ორდინა´რიუმ „ჩვეულებრივი სამართალი“]
I. → ius extraordinarium

ius paenitendi → paenitentia

ius particulare [ი´უს პარტიკულა´რე „კერძო, ნაწილობრივი სამართალი“]
I. სამართალი, მოქმედი სახელმწიფო ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე ან მოსახლეობის მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიაზე (განსხვავებით ius universale-სგან)

ius patris, ius patrum [ი´უს პა´ტრის, ი´უს პა´ტრუმ „მამის უფლება, მამათა უფლება“]
I. ოჯახის მამის უფლებათა ერთობლიობა →patria potestas

ius patronatus [ი´უს პატრონა´ტუს „პატრონატის უფლება“]
I. პატრონის უფლებათა ერთობლიობა, მათ შორის, გააზატებული მონის მიმართაც. გააზატებული მონა ვალდებული იყო სათანადო პატივისცემა გამოეხატა თავისი ყოფილი პატრონის მიმართ (obsequium) და მიერთმია მისთვის ძღვენი. გარდა ამისა, ყოფილი მეპატრონე ითვლებოდა გააზატებული მონის მემკვიდრედ, მის მეურვედ

ius perpetuum [ი´უს პერპე´ტუუმ „მუდმივი უფლება“]
I. პირებისთვის მუდმივი იჯარის უფლებით საიმპერატორი მიწების გადაცემა

ius personalissimum [ი´უს პერსონალი´სსიმუმ „პირადი უფლება“]
I. წმინდა პირადი და გაუსხვისებელი უფლება

ius personarum [ი´უს პერსონა´რუმ „პიროვნებათა სამართალი“]
I. პირთა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი სამართალი

ius piscandi [ი´უს *პისკა´ნდი „თევზაობის უფლება“]
I. თევზის ჭერის უფლება საჯარო წყლებში

ius poenitentiae → ius paenitendi

ius pontificium [ი´უს *პონტიფი´კიუმ/პონტიფი´ციუმ „პონტიფექსების სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც არეგულირებდა პონტიფექსების ცხოვრებას და საქმიანობას, უფრო ფართო მნიშვნელობით, სინონიმი i. sacrum-ის

ius populi [ი´უს პო´პული „ხალხის სამართალი“]
I. კერძო პირებთან მიმართებით სახელმწიფოს ქონებრივი უფლებების რეგლამენტაცია

ius possidendi, ius possessionis [ი´უს პოსსიდე´ნდი, ი´უს პოსსესსიო´ნის „ფლობის უფლება“]
I. ნივთის ფლობის უფლება, მესაკუთრის პარტიკულარული უფლება

ius postlimini → postliminium

ius postulandi → postulare

ius praediatorius → Cascellius

ius praelectionis, ius plaelationis → *სინ.* ius protimeseos

ius praetorium [ი´უს პრეტო´რიუმ „პრეტორთა სამართალი“]
I. ყველა იმ სიახლეთა ერთობლიობა, რომლებსაც პრეტორების ედიქტები განამტკიცებდა

ius privatum [ი´უს პრივა´ტუმ „კერძო სამართალი“]

I. სამართალი, რომელიც არეგულირებდა კერძო პირთა შორის ურთიერთობებს

ius prohibendi [ი´უს პროჰიბე´ნდი „ამკრძალავი უფლება“]
I. სხვისთვის რაიმე ქმედების აკრძალვის უფლება (მაგ., გარკვეული სახის სერვიტუტები უფლებას ანიჭებდნენ პირებს აეკრძალათ მეზობელ მიწის ნაკვეთებზე გარკვეული ქმედებების განხორციელების უფლება)

ius proprium civium Romanorum → patria potestas

ius protimesseos (ბერძნ.) [ი´უს პროტიმე´სსეოს „პირველი ყიდვის უფლება“]
I. პირველი ყიდვის უფლება, სინ. ius praelationis

ius provocationis ad populum → provocatio ad populum

ius (publice) respondendi [ი´უს (*პუ´ბლიკე/პუ´ბლიცე რესპონდე´ნდი „(საჯაროდ) პასუხის გაცემის უფლება“]
I. განსაკუთრებული უფლება, რომელსაც ავგუსტუსი (შემდეგ კი სხვა პრინცეპსები) ანიჭებდნენ გამოჩენილ იურისტებს, კონსულტაცია გაეწიათ პრინცეპსის დავალებით

ius publicum [ი´უს პუ´ბლიკუმ „საჯარო სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოს მოწყობისა და საქმიანობის პრინციპებსა და ნორმებს

ius quiritium [ი´უს კვირი´ტიუმ/ კვირი´ციუმ „კვირიტთა სამართალი“]
I. რომაელთა უძველესი სამართლებრივი სისტემა. კლასიკური პერიოდის სამართალში i. q. პრიმიტიული სამართლის სინონიმს წარმოადგენდა

ius quod ad personas, ad res et ad actiones pertinet [ი´უს კვოდ ად პერსო´ნას, ად რეს ეტ ად *აკტიო´ნეს/აკციო´ნეს პე´რტინეტ „სამართალი, რომელიც ეხება პიროვნებებს, საგნებს და მოქმედებებს“]
I. გაიუსთან – კერძო სამართლის დაყოფა ნაწილებად, რომლებიც ეხება პირთა სამართლებრივ მდგომარეობას (განსაკუთრებით – ოჯახში), ნივთებსა და ვალდებულებებს

ius receptum [ი´უს *რეკე´პტუმ/რეცე´პტუმ „მიღებული (შეთვისებული) სამართალი“]
I. საყოველთაოდ აღიარებული სამართალი (საპირისპირო: ius controversum)

ius retentionis, ius retinendi [ი´უს *რეტენტიო´ნის/რეტენციო´ნის; ი´უს რეტინე´ნდი „დაკავების უფლება“]
I. სხვისი ნივთის დაკავების უფლება

ius revocandi domum → ius domum revocandi

ius sacrum [ი´უს სა´კრუმ „წმინდა სამართალი“]
I. ნაწილობრივი სინონიმი: i. pontificium-ის, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც ეხებოდა რელიგიურ კულტს. იგი მჭიდროდ უკავშირდება ius divinum-ს; → fas, sacer 1

ius sanguinis [ი´უს სა´ნგუინის „სისხლით ნათესაობის უფლება“]
I. სისხლით ნათესაობის უფლება

ius scriptum [ი´უს სკრი´პტუმ „დაწერილი სამართალი“]
I. დაწერილი სამართალი

ius sepulchri [ი´უს სეპუ´ლხრი „საფლავის უფლება“]
I. საფლავის (სამარხის) მოვლისა და წინაპრების კულტის თაყვანისცემის უფლება

ius singulare [ი´უს სინგულა´რე „განცალკევებული, განსაკუთრებული სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც ანიჭებდა პრივილეგიას ერთ პირს ან პირთა გარკვეულ კატეგორიას, განსაკუთრებით – ჯარისკაცებს

ius soli [ი´უს სო´ლი „ნიადაგის უფლება“]
I. უფლება მიწის ნაკვეთზე

ius sollemne [ი´უს სოლლე´მნე „დადგენილი სამართალი“]
I. = ius civile 3; sollemnis 2

ius stirpis [ი´უს სტი´რპის „საგვარეულოს უფლება“]
I. მემკვიდრეობის და მეურვეობის უფლება, რომელიც ეფუძნება stirps-ს

ius stirpis successionis [ი´უს სტი´რპის *სუკკესსიო´ნის/სუკცესსიო´ნის „საგვარეულოს მემკვიდრეობითობის უფლება“]
I. მემკვიდრეობის უფლება, რომელიც ეკუთვნის მემკვიდრეებს ანდერძით და კანონით, ასევე bonorum possesor-ს

ius strictum [ი´უს სტრი´კტუმ „მკაცრი სამართალი“]
I. მკაცრად დადგენილი სამართალი

ius suffragii [ი´უს სუფფრა´გიი „საარჩევნო ხმის უფლება“]
I. რომის მოქალაქის უფლება კომიციებში ხმის მიცემისა, ეს უფლება ჰქონდათ ასევე Latini-ს (prisci და coloniarii), თუ ისინი ხმის მიცემის დროს იმყოფებოდნენ რომში

ius tollendi [ი´უს ტოლლე´ნდი „წართმევის უფლება“]
I. პირის უფლება უკან დაიბრუნოს ის, რაც მან დროებით მფლობელობაში არსებულ ნივთს შემატა იმ პირობით, რომ ამით ამ ნივთს ზიანი არ მიადგებოდა

ius tribunicium [ი´უს *ტრიბუნი´კიუმ/ტრიბუნი´ციუმ „ტრიბუნის უფლება“]
I. ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა ავგუსტუსის დროებითი უფლებამოსილების აღსანიშნავად, რაც გულისხმობდა მის პირად ხელშეუხებლობასა და სენატის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლებას

ius tripertinum [ი´უს ტრიპერტი´ნუმ „სამნაწილიანი უფლება“]
I. იუსტინიანუსის სამართლის მიხედვით, ანდერძის შედგენის უფლება testamentum tripertinum-ის ფორმით

ius trium (quattuor) liberorum → ius liberorum

ius universale [ი´უს უნივერსა´ლე „საერთო სამართალი“]
I. სამართალი, რომელიც ვრცელდებოდა სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე და სავალდებულო იყო მთელი მოსახლეობისთვის (განსხვავებით ius particulare-საგან)

ius utendi [ი´უს უტე´ნდი „გამოყენების (სარგებლობის) უფლება“]
I. → usus; usufructus

ius utrumque [ი´უს უტრუ´მკვე „ორივე სამართალი“]

I. ორი, რაღაცით ურთიერთდაკავშირებული სამართალი. მაგ., ius civile და ius honorarium; სამართალი, რომელსაც ძალა ჰქონდა იტალიასა და პროვინციებში; შუა საუკუნეებში – რომაული და კანონიკური სამართალი

ius variandi [ი´უს ვარია´ნდი „შეცვლის უფლება“]
I. ვალდებულების ალტერნატიული შესრულების შესაძლებლობისას მოვალის ან კრედიტორის მიერ არჩეული შესრულების შეცვლა მეორეთი

ius vectigalis [ი´უს ვეკტიგა´ლის „გადასახადის უფლება“]
I. სახელმწიფო მიწის მოიჯარეებისაგან საიჯარო ქირის ამოღების უფლება

ius vendendi [ი´უს ვენდე´ნდი „გაყიდვის უფლება“]
I. შვილის მონად გაყიდვის უფლება

ius vetus [ი´უს ვე´ტუს „ძველი სამართალი“]
I. → ius antiquum

ius vindicandi [ი´უს ვინდიკა´ნდი „სარჩელის აღძვრის უფლება“]
I. ოჯახის მამის უფლება, წარედგინა სარჩელი მის წინააღმდეგ, ვინც აკავებდა მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფ პირს

ius vitae necisque, potestas vitae necisque [ი´უს ვი´ტე *ნეკი´სკვე/ნეცი´სკვე, პოტე´სტას ვიტე *ნეკი´სკვე/ნეცი´სკვე „სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება“]
I. უძველეს დროში ოჯახის უფროსის ხელში იყო ოჯახის წევრების სიკვდილ-სიცოცხლე

iusiurandum [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ „ფიცი“] იუსიურანდუმი
I. 1. ფიცი

iusiurandum calumniae [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ კალუ´მნიე „სიცრუის ფიცი“]
I. მოსარჩელის ფიცი, რომ მის მიერ წარდგენილი სარჩელი არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენების შედეგს, აგრეთვე მოპასუხის ფიცი მოსარჩელის წინაშე, რომ ის არ უარყოფდა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას ვალდებულებისგან თავის არიდების მიზნით

iusiurandum delatum [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ დელა´ტუმ „ცილისწამების ფიცი“]
I. მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, რომ მან დაიფიცოს, რომ სარჩელისთვის საფუძველი არ არსებობს

iusiurandum in litem, i. in iudicio [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ ინ ლი´ტემ „ფიცი სასამართლო პროცესზე“; *იუსიურა´ნდუმ ინ *იუდი´კიო/იუზიურა´ნდუმ ინ იუდი´ციო „ფიცი სასამართლოზე“]
I. ფიცი, რომელიც ეხმარებოდა მოსამართლეს დაედგინა მოსარჩელისთვის მიყენებული ზიანის ოდენობა (actiones arbitrariceo-ს დროს)

iusiurandum manifestationis [*იუსიურა´ნდუმ *მანიფესტატიო´ნის/იუზიურა´ნდუმ მანიფესტაციო´ნის]
I. იუსტინიანუსის სამართალში მოვალის ფიცი სახარებაზე, რომ მას აღარ გააჩნია ქონება, რის საფუძველზეც ის ფიზიკური დასჯისაგან თავისუფლდებოდა

iusiurandum necessarium [*იუსიურა´ნდუმ *ნეკესსა´რიუმ/იუზიურა´ნდუმ ნეცესსა´რიუმ „აუცილებელი ფიცი“]
I. პროცესუალურ-სამართლებრივი (და, ფაქტობრივად, გადამწყვეტი) იძულებითი ფიცი, რომელიც დასაშვები იყო მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში (როდესაც სარჩელის საგანი იყო ნათელი, განსაკუთრებით, actio certae creditae pecuniae-ში)

iusiurandum remissum [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ რემი´სსუმ „შეწყვეტილი ფიცი“]
I. ფიცისგან გათავისუფლება

iusiurandum voluntarium [*იუსიურა´ნდუმ/იუზიურა´ნდუმ ვოლუნტა´რიუმ „ნებაყოფლობითი ფიცი“]
I. ფიცი, რომელსაც მხარეები ერთმანეთის წინაშე, ნებაყოფლობით დებდნენ სასამართლო პროცესის ფარგლებს გარეთ

iussum [იუ´სსუმ „ბრძანება“]
I. ბრძანება, გაცემული მაგისტრატების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში

iusta causa [იუ´სტა *კაუ´სა/კაუ´ზა „სამართლიანი საფუძველი“]
I. სამართლიანი საფუძველი გადასახადებისგან, მეურვეობიდან და ა.შ., გათავისუფლებისა

iustitia [*იუსტი´ტია/იუსტი´ცია „სამართლიანობა“] იუსტიცია
I. სამართლიანობა, მართლმსაჯულება
II. 1. სასამართლო დაწესებულებათა ერთობლიობა, მათი საქმიანობა, სასამართლო უწყება. „ამ კანონის შესაბამისად პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ –1993, 32(1)(ა)-ე მუხლი); 2. იუსტიციის სამინისტრო – „საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ... არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილს სფეროში სახელმწიფოს მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს. (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულება – 2008, 1(1)-ლი მუხლი); 3. იუსტიციის უმაღლესი სკოლა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლეობის კანდიდატის პროფესიულ მომზადებას. (საქართველოს კანონი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ – 2005); 4. იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემებში მომუშავე პირთა წოდებები. „საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სისტემებში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: უფროსი სპეციალური წოდება – იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ – 2000, მე-3(1)(ბ) მუხლი); 5. იუსტიციის სახლი

– საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა სფეროს მიკუთვნებული ისეთი მომსახურების მიწოდებას, როგორიცაა, მაგალითად, დაბადების, ქორწინების, პირადობის მოწმობების და სხვა დოკუმენტების გაცემა. „იუსტიციის სახლის სრული სახელწოდებაა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი „იუსტიციის სახლი“ (იუსტიციის სახლის დებულება – 2012, 1(2)-ლი მუხლი); III. „სახელმწიფოსგან ეკლესიის და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესის შესახებ გამოქვეყნებული იქნება ცალკე ინსტრუქცია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ“ (საქ. სსრ რევოლუციური კომიტეტის დეკრეტი 21 – 1921, 15-ე მუხლი, საქ. კან., I, გვ. 490)

iustitium [*იუსტი´ტიუმ/იუსტი´ციუმ „შესვენება, შეჩერება“]
I. სასამართლო საქმიანობის შეჩერება, სახელმწიფოში კრიტიკული სიტუაციის დროს უმაღლესი მაგისტრატების განკარგულებით და სენატის თანხმობით

iustum matrimonium → matrimonum

iustus [იუ´სტუს „მართალი, სწორი, სამართლებრივი“]
I. სამართლებრივი, მართლზომიერი, საფუძვლიანი. iustus error კანონით გამართლებული შეცდომა

iustus titulus → usucapio

K

Kalendae [კალე´ნდე „კალენდები“] კალენდები
I. რომაული კალენდრის მიხედვით, თვის პირველი დღე. ამ დღეს იფარებოდა ვალები და პროცენტები. თებერვლის **K**. მაგისტრატები შეუდგებოდნენ ხოლმე საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას

Kalendarium [კალენდა´რიუმ „სესხის ჩანაწერი; კალენდარი“] კალენდარი
I. 1. სესხის ჩანაწერი, სესხის გამცემის სავალო წიგნი (მოვალეები სესხის პროცენტს ყოველთვის პირველ რიცხვში იხდიდნენ); 2. ქონების აღწერა, ქონებრივი მდგომარეობა; 3. ახალშობილთა შესახებ ჩანაწერები; 4. მოგვიანებით – კალენდარი.
II. კალენდარული დღე/თვე/წელი – დროის მონაკვეთი, რომლითაც ხდება საქ.-ს კანონმდებლობაში ვადების განსაზღვრა. „მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარეს შეუძლიათ საიჯარო ურთიერთობა მოშალონ კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში“ (საქ. სამ. კოდ. – 1997, 590(1)-ე მუხლი)
III. „სამუშაოზე გამოუცხადებელი მუშაკის შესაცვლელად სხვა სამუშაოზე გადაყვანის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს კალენდარული წლის განმავლობაში“ (საქ. სსრ. შრომის კანონთა კოდექსი – 1973, 27(3)-ე მუხლი)

Kata poda (*ბერძნ.*) [კა´ტა პო´და „ნაბიჯ-ნაბიჯ“]
I. Digesta Iustiniani-ს სიტყვასიტყვითი თარგმანი ბერძნულ ენაზე

L

l. = libero [ლი´ბერო „ვათავისუფლებ“]
l. სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში: გათავისუფლება, გამართლება

laedere [ლე´დერე „დაზიანება, გაფუჭება“]
l. ზიანის მიყენება → aemulatio

laesio enormis, laesio ultra dimidium [*ლე´სიო/ლე´ზიო ენო´რმის, *ლე´სიო/ლე´ზიო უ´ლტრა დიმი´დიუმ „ფასების ნახევარზე მეტად შემცირება“]
l. იუსტინ.-ის სამართლის მიხედვით, გამყიდველმა, რომელმაც საგნის გაყიდვით ვერ მიიღო ნამდვილი ღირებულების ნახევარი მაინც, შეიძლება მოსთხოვოს გარიგების გაუქმება, მაშინ როდესაც მყიდველმა შეიძლება გადაიხადოს ნივთის სრულ ღირებულებამდე განსხვავება და შეინარჩუნოს იგი

laetus [ლე´ტუს „ქონიანი, მსუქანი“]
l. ტყვე „ბარბაროსი“, რომელიც, როგორც ბევრი მის მსგავსად, დარჩა გათავისუფლების შემდეგ რომის იმპერიაში (უმეტესად – გალიასა და იტალიაში), მიიღო მიწის ნაკვეთი, მაგრამ ვალდებული იყო სამხედრო სამსახურში შესულიყო

laici (*ბერძნ.*) [ლა´იკი „სახალხო, ხალხური“, „ჩვეულებრივი“] ლაიკი
l. ქრისტიანები, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ clerici-ს

lapidicina [*ლაპიდი´კინა/ლაპიდი´ცინა „ქვის სამტეხლო“]
l. ქვის სამტეხლო

lapillus [ლაპი´ლლუს „კენჭი“]
l. → iactus lapilli

lapis [ლა´პის „ქვა“] ქვა
l. ქვები, რომის სამართლის მიხედვით, განიხილებოდა როგორც მიწის ნაკვეთის ნაყოფი – fructus

laqueus [ლაკვე´უს „თოკი, ყულფი“]
l. წამებისა და დასჯის იარაღი → furca; suspendere

Lares [ლა´რეს „ლარები“] ლარები
l. მიწის მფარველი სულები, იცავდნენ გზაჯვარედინებს, მგზავრებს, მოგვიანებით – რომაული ოჯახისა და მინდვრების მფარველი ღვთაებები. ფართო გაგებით – თავად ოჯახი, საოჯახო მეურნეობა → genius, sacra

largiri [ლარგი´რი „ბოძება“]
l. 1. ჩუქება, მინიჭება; 2. პრეტორის მიერ მინიჭებული სამართლებრივი დაცვის საშუალება

largitas sponsalicia [ლა´რგიტას *სპონსალი´კია/სპონსალი´ცია „ნიშნობის გულუხვობა“]
l. საქმროს საჩუქარი საცოლისადმი, რომლის უკან მოთხოვნა არ შეიძლებოდა, თუ ქორწინება არ შედგებოდა → donatio ante nuptias

largitio imperialis [*ლარგი´ტიო/ლარგი´ციო იმპერია´ლის „იმპერატორის გულუხვობა“]
l. იმპერატორის მიერ მინიჭებული პრივილეგია, წყალობა. sacra largitiones – გვიანდელ იმპერიაში სახელმწიფო ხაზინა → fiscus

laterculenses [*ლატერკულე´ნსეს/ლატერკულე´ნზეს]
I. მოხელეები, რომლებიც აწარმოებდნენ სახელმწიფო მოხელეთა თანამდებობათა და წოდებათა რეესტრს

laterculum [ლატე´რკულუმ „პატარა აგური“]
I. გვიანდელ იმპერიაში ყველა სახელმწიფო მოხელის თანამდებობათა და წოდებათა რეესტრი

latifundium [ლატიფუ´ნდიუმ „ვრცელი მამული“]
I. დიდი მიწის ნაკვეთი, იმპერატორთა ან სახელმწიფოს კუთვნილი მამული

Latini prisci [ლატი´ნი პრი´სკი „ძველი ლათინები“]
I. → Latini.

Latini [ლატი´ნი „ლათინები“] ლათინები
I. ლაციუმის უძველესი მოსახლეობის შთამომავლები, თუმცა, რომის სამართლის მიხედვით, იყვნენ peregrini-ები. რომაელებთან ნათესაობის წყალობით, სარგებლობდნენ შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობით
III. „მპყრობელმან პილატე, ვითარცა ჰრომთა და ლატინთა მიმდგომმან, დაწერა ტიტლოსი იგი...“ (დიდი სჯ., სქ. 137)

Latini coloniarii [ლატი´ნი კოლონია´რიი „კოლონიის მკვიდრი ლათინები“]
I. ლათინურ კოლონიებში მცხოვრები ლათინები, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ სავაჭრო საქმიანობის განხორციელების უფლება (რესპუბლიკის ხანაში შეიძინეს მოქალაქეობაც – lex Iulia 1)

Latini Iuniani [ლატი´ნი იუნი´ანი „იუნიანელი ლათინები“]
I. სამოქალაქო სამართლის დებულებათა დარღვევით გათავისუფლებული მონები, რომელთაც არ ჰქონდათ არც პოლიტიკური, არც ქორწინების, არც ანდერძის შედგენის უფლება

Latinitas, -atis [ლატინიტა´ს „ლათინურობა“]
I. 1. L. Iuniani-ს გაუქმებული სტატუსის აღმნიშვნელი იუსტინ.-ს სამართალში; 2. ლათინური ომის (ძვ.წ. 340-38 წწ.) შემდეგ ჩამოყალიბებული ლათინური სამართალი, რაღაც შუალედური ius Romanum-სა და ius peregrinum-ს შორის

latitare [ლატიტა´რე „დამალვა“]
I. სასამართლო წარმოებისგან დამალვა

Latium [*ლა´ტიუმ/ლა´ციუმ „ლაციუმი“] ლაციუმი
I. ლაციუმი, ოლქი ტიბერისის ქვედა დინებაში, რომლის ცენტრი იყო ქ. რომი

latrones (latrunculi) (*ბერძნ.*) [ლატრო´ნეს, ლატრუნკუ´ლი „დაქირავებული ჯარისკაცები“] ლატრონები, ლატრუნკულები
I. 1. ყაჩაღები (დიდ გზებზე), ბანდიტები 2. რომის სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებულები

latus [ლა´ტუს „ფართო“]
I. მძიმე (ბრალდება culpa), მკაცრი (პირობით გადასახლება fuga)

laudatio [*ლაუდა´ტიო/ლაუდა´ციო „ქება“] ლაუდაცია
I. საფლავზე წარმოთქმული სიტყვა

laudatio auctoris [*ლაუდა´ტიო/ლაუდა´ციო აუკტო´რის „ავტორის დასაცავი სიტყვა“]
I. კონსტ.-ს კონსტიტუციის მიხედვით, rei vindicatio-ს დროს სხვის მაგივრად მოპასუხე

laudator [ლაუდა´ტორ „მაქებარი“]
I. მოწმე, რომელიც სისხლის სამართლის პროცესზე განსასჯელის სასარგებლოდ იძლევა ჩვენებას

laudemium [ლაუდე´მიუმ „ლაუდემიუმი“]
I. ხანგრძლივი (მემკვიდრეობითი) იჯარის (emphyteusis 2) 2%-იანი გადარიცხვა

Lautumiae (*ბერძნ.*) [ლაუტუ´მიე „ქვის სამტეხლოები“]
I. ქვის სამტეხლოები, რომლებიც საპატიმროდ გამოიყენებოდა (კერძოდ – სირაკუზასა და რომში)

lectio senatus [*ლე´კტიო/ლე´კციო სენა´ტუს „სენატის ხმამაღლა გამოცხადება“]
I. სენატორთა სიის ხმამაღლა წაკითხვა ცენზორის მიერ

legalisatio [*საშ. ლათ.*] [*ლეგალისა´ტიო/ლეგალიზა´ციო „დაკანონება“] ლეგალიზაცია
II. „ლეგალიზაცია – სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ საბუთზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობის დადასტურება“ (საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ – 2011, მე-3(ლ) მუხლი); 2) უკანონოდ ან უსაფუძვლოდ მიღებული შემოსავლების (ქონების) კანონიერად აღიარება – „ზედმეტად დარიცხული კომპენსაციის ლეგალიზაცია“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ – 2005, 38[1]-ე მუხლი); 3) უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია – „უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა. „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 194(1)-ე მუხლი)
III. „საზღვარგარეთ უცხოეთის ხელისუფალთა მონაწილეობით შედგენილ ან მათგან გამოსულ დოკუმენტს საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორები იღებენ იმ პირობით, თუ ისინი ლეგალიზებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანოების მიერ“ („საქ. სსრ 1974 წლის 27 დეკემბრის კანონი სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ“ კარი IV, მუხლი 89; საქ. კან. ტ. VI, გვ. 218)

legare [ლეგა´რე „დაკისრება“]
I. ლეგატის ფორმით მემკვიდრეობის გადაცემა

legati Augusti (Caesaris) [ლეგა´ტი აუგუ´სტი, *კე´სარის/ცე´ზარის „ავგუსტუსის (კეისრის) ლეგატები“]
I. ავგუსტუსის (კეისრის) ლეგატები

legati Augusti pro praetore [ლეგა´ტი აუგუ´სტი პრო პრეტო´რე „ავგუსტუსის ლეგატები იმპერატორის პროვინციაში“]
I. იმპერატორის წარმომადგენლები პროვინციებში

legati decem [ლეგა´ტი *დე´კემ/დე´ცემ „ათი ლეგატი“]

I. სენატის ათკაციანი დელეგაცია, გაგზავნილი საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებით მხედართმთავართან, რათა დაეხმაროს მას მშვიდობის დამყარებაში ან დაპყრობილი ტერიტორიის ორგანიზებაში

legati iuridici [ლეგა´ტი *იური´დიკი/იური´დიცი „სასამართლო ლეგატები“]
I. იმპერატორის ლეგატები პროვინციებში, რომლებიც ეხმარებოდნენ ადგილობრივ ნაცვალს მართლმსაჯულების განხორციელებაში

legati municipiorum (coloniarum) [ლეგა´ტი *მუნიკიპიო´რუმ/მუნიციპიო´რუმ (კოლონია´რუმ) „მუნიციპიებიდან (კოლონიებიდან) ელჩები“]
I. დელეგაცია პროვინციული ქალაქებიდან (კოლონიებიდან), რათა ეჩივლათ რომის ნაცვლისთვის

legator [ლეგა´ტორ „ანდერძით მემკვიდრე“] ლეგატარი
I. მეანდერძე
III. საანდერძო დანაკისრის მიმღები. „ანდერძის მოწმეები არ შეიძლება იყვნენ: არასრულწლოვნები, ქმედუუნაროდ აღიარებული პირები, ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალნი და აღმავალნი ხაზით, დები, ძმები, მეუღლე და საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი)“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 1362-ე მუხლი)

legatum [ლეგა´ტუმ „ანდერძით განსაზღვრული“] ლეგატი
I. მემკვიდრეობა, რომელიც მემკვიდრეს ანდერძის ძალით უნდა გადაეცა მესამე პირისთვის, საანდერძო დანაკისრი
II. საანდერძო დანაკისრი. „პირს, რომელსაც სავალდებულო წილის მიღების უფლება აქვს და ამავე დროს საანდერძო დანაკისრის (ლეგატის) მიმღებიცაა, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუ უარს იტყვის საანდერძო დანაკისრის მიღებაზე...“ (სამოქალაქო კოდექსი – 1997, 1376-ე მუხლი)
III. „ეგრეთვე დაეწერა ანდერძსა შინა თჳსსა სანატრელისა ძმათა ჩემსა და მოეცა ლიღატად ნაწილად ჩემდა ეგრეთვე სახედ ოქრობეჭდითა მისდა მინიჭებულთა ადგილითაგან სოფელ[ი] ზრავიკი კასაროპოლითურთ“ (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1084 წ.) ქსძ, III, 47)

legatum liberationis [ლეგა´ტუმ ლიბერატიო´ნის/ლიბერაციო´ნის „ლეგატარის გათავისუფლება“]
I. საანდერძო დანაკისრი, რომლის ძალითაც მამკვიდრებელი პატიობდა ვალს თავის მოვალე ლეგატარს

legatum per damnationem [ლეგა´ტუმ პერ *დამნატიო´ნემ/დამნაციო´ნემ „ლეგატი განჩინებით“]
I. სავალდებულო საანდერძო დანაკისრი

legatum per vindicationem [ლეგა´ტუმ პერ *ვინდიკატიო´ნემ/ვინდიკაციო´ნემ „ლეგატი უფლებათა დაცვით“]
I. საანდერძო დანაკისრი, რომელიც ავალდებულებდა მემკვიდრეს ლეგატარის მოთხოვნის საფუძველზე გადაეცა მას ლეგატის ფარგლებში მისთვის დატოვებული სამკვიდრო. ლეგატარს შეეძლო დაუყოვნებლივ წარედგინა rei vindicatio ნებისმიერი მფლობელის წინააღმდეგ

legatus [ლეგა´ტუს „ელჩი“] ლეგატი

I. 1. რომის სენატის ელჩები, რომლებიც ხელშეუხებლები იყვნენ; 2. სენატის მიერ დანიშნული თანაშემწეები მთავარსარდლის ან მეთაურისა, პროვინციის ნაცვლის მოადგილეები ან თანაშემწეები (l. pro quaestore, l. pro praetore)
III. „და ორმოცდამეხუთე განწესებაჲ მესამისა თავისა მისვე პირველისა წიგნისაჲ იტყჳს, ვითარმედ უკუეთუ ვინმე ყოს კეთილად მსახურებითი ანდერძი და დაუტეოს ვინმე მემკჳდრე ანუ ლიღატი მორწმუნესა ვისმე (მისაცემელად მიზეზითა სიკუდილისა შიშისაჲთა აღსაშენებლად ეკლესიისა ანუ სხჳსა რაჲსმე ზემოთქუმვლთაგანისა“ (დიდი სჯ. 137, 16)

leges agrariae [ლე´გეს აგრა´რიე „მიწის კანონები“]
I. საზოგადოებრივი მიწის (ager publicus) განაწილების კანონები

leges aleatoria [ლე´გეს ალეატო´რია „აზარტული თამაშობების კანონები“]
I. კანონი, რომელიც კრძალავდა აზარტულ თამაშობებს

leges de provocatione [ლე´გეს დე *პროვოკატიო´ნე/პროვოკაციო´ნე „გასაჩივრების შესახებ კანონი“]
I. კანონი რომის მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვის შესახებ

leges de sacerdotiis [ლე´გეს დე *საკერდო´ტიის/საცერდო´ციის „ქურუმთა შესახებ კანონები“]
I. კანონი ქურუმებსა და მათ წოდებებზე

leges de sponsu [ლე´გეს დე სპო´ნსუ „კანონები თავდებობის შესახებ“]
I. კანონები თავდებობის შესახებ

leges edictales [ლე´გეს ედიკტა´ლეს „ედიკტური კანონები“]
I. იმპერატორის სახელით ან მისი ხელქვეითის მიერ ედიქტის სახით გამოცემული კანონები

leges fenebres [ლე´გეს ფენე´ბრეს „ვალების შესახებ კანონები“]
I. კანონები, რომლებიც რეგლამენტაციას უკეთებდა ვალებისა და საპროცენტო განაკვეთების პრობლემებს

leges frumentariae [ლე´გეს ფრუმენტა´რიე „ხორბლეულის კანონები“]
I. კანონები, რომლებიც არეგულირებდა ხორბლის განაწილებას

leges generales [ლე´გეს გენერა´ლეს „მთავარი კანონები“]
I. დომინატის დროს იმპერატორის ზოგადი ხასიათის კონსტიტუციები

leges iudiciariae [ლე´გეს *იუდიკია´რიე/იუდიცია´რიე „სასამართლო წარმოების კანონები“]
I. კანონები, რომლებიც ეხებოდა სამართალწარმოებას, სასამართლოს ორგანიზებას და სასამართლოს შემადგენლობას

leges Iuliae [ლე´გეს იუ´ლიე „იულიუსის კანონები“]
I. 1 გაიუს იულიუს კეისრის მმართველობის დროს გამოცემული კანონები; 2 იმპერატორ ავგუსტუსის დროს მიღებული კანონები

leges peregrinae [ლე´გეს პერეგრი´ნე „უცხოელთა შესახებ კანონები“]
I. კანონები მხოლოდ უცხოელთათვის

leges publicae [ლე´გეს *პუ´ბლიკე/ პუ´ბლიცე „საჯარო კანონები“]
I. რომაელი ხალხის სუვერენიტეტის გამომხატველი კანონები

leges regiae [ლე´გეს რე´გიე „სამეფო კანონები“]
I. გვიან რესპუბლიკური პერიოდის სამართლის ნორმები

leges repetundarum [ლე´გეს რეპეტუნდა´რუმ „გამოძალვების კანონები“]
I. გამოძალვების, გაფლანგვების და მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართული კანონები

leges sacratae [ლე´გეს საკრა´ტე „წმინდა კანონები“]
I. კანონები, რომელთა დამრღვევი ხდებოდა sacer 2

leges suptuariae [ლე´გეს სუპტუა´რიე „ნადიმთა კანონები“]
I. გადაჭარბებული ფუფუნების წინააღმდეგ მიმართული კანონები

leges tabellariae [ლე´გეს ტაბელლა´რიე „დაფების კანონები“]
I. ძვ.წ. III-II სს. შემოღებული კანონები, რომელთა ძალით კენჭისყრით ხმის მიცემას ჩაენაცვლა ცვილის დაფებზე ხმის მიცემა

legibilis [ლეგი´ბილის „ადვილად წასაკითხი, წაკითხვადი“]
I. ძნელად გასარჩევი ანდერძი მიიჩნეოდა არანამდვილად

legio, -onis [ლე´გიო „ლეგიონი“] ლეგიონი
I. სამხედრო შენაერთი, რომელიც აერთიანებდა 300 მხედარს და 3000-6000 ქვეითს (პრინციპატის დროს – 5000-ს), შედგებოდა 10 კოჰორტისა და 3 მანიპულუსისაგან
II. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (საქართველოს ყოფილი საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს) სპეციალური სამართალდაცვის სტატუსის მქონე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს (ახორციელებდა) სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას. „...ნამსახურობაში, გარდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში ნამსახურობისა, შედის შემდეგ ორგანოებში ნამსახურობა: ... საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონი, პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე მოსამართლედ ან მის თანაშემწედ მუშაობა“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ – 2005, მე-8(3) მუხლი)
III. „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საშტატო იარაღის ტარების უფლება აქვთ: ... საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის თანამშრომლებს“ (საქართველოს კანონი ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ – 1994, 24-ე მუხლი)

legis actio [ლე´გის *ა´კტიო/ა´კციო „კანონის სარჩელი (სარჩელი კანონიდან)“]
I. უძველესი სამართლის საპროცესო-სამართლებრივი აქტი, ხელმისაწვდომი მხოლოდ რომის მოქალაქეებისათვის, რომლითაც საზეიმოდ იხსნებოდა სასამართლო დავა ან სააღსრულებო წარმოება

legis actio per condictionem [ლე´გის *ა´კტიო პერ *კონდიკტიო´ნემ/ა´კციო პერ კონდიკციო´ნემ „სარჩელი შეთანხმებით“]
I. მოსარჩელე სთავაზობს მოპასუხეს, რომელიც უარყოფს მის მოთხოვნებს, ოცდაათდღიან ვადაში (die condicto – შეთანხმებულ დღეს) კვლავ ერთად მოვიდნენ პრეტორთან, რომელიც დანიშნავს მოსამართლეს

legis actio per iudicis arbitrive postulationem [ლე´გის *ა´კტიო პერ *იუდი´კის/ა´კციო პერ იუდი´ცის არბიტრი´ვე *პოსტულატიო´ნემ/პოსტულაციო´ნემ „სარჩელი მოსამართლის ან არბიტრის მოთხოვნით“]
I. თორმეტი დაფის კანონის თანახმად, მხოლოდ ვერბალური კონტრაქტების შესახებ სარჩელების განსახილველად შემოღებული **l.a.** თუ მოპასუხე უარყოფს მოსარჩელის მოთხოვნებს, იგი ყოველგვარი ფორმალობების (და sacramentum-ის) გარეშე სთავაზობს პრეტორს დანიშნოს მოსამართლე (iudex ან arbiter)

legis actio per manus iectionem [ლე´გის *ა´კტიო/ა´კციო პერ მა´ნუს *ინიეკტიო´ნემ, ინიეკციო´ნემ „სარჩელი იძულებით“]
I. თორმეტი დაფის კანონით, რეგლამენტირებული პერსონალური იძულებითი სასამართლო გადახდევინება. სასამართლო გადაწყვეტილებიდან ან ვალის აღიარებიდან 30 დღეში კრედიტორი იძახებდა მოვალეს სასამართლოზე და ადებდა მას ხელს (manus iniectio). ამ მომენტიდან მოვალე იმყოფებოდა კრედიტორის პატიმრობაში, თუ რომელიმე გარანტორი პირი (vindex 2) არ დათანხმდებოდა კრედიტორის წინაშე მოვალის ნაცვლად მისი ვალდებულების შესრულებაზე

legis actio per pignoris capionem [ლე´გის *ა´კტიო/ა´კციო პერ პიგნო´რის კაპიო´ნემ „სარჩელი საწინდრის დაუფლების შესახებ“]
I. სასამართლოს გარეშე ქონების იძულებითი ამოღება, რომელიც გამონაკლის შემთხვევებში ნებადართული იყო საჯარო ან საკრალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით

legis actio sacramento [ლე´გის *ა´კტიო/ა´კციო საკრამე´ნტო „სარჩელი საწინდრით“]
I. **l.a.**-ს უძველესი და ძირითადი სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა ყველა შემთხვევაში, როდესაც კანონი არ ითხოვდა სხვა **l.a.** გამოყენებას

legislatura (*საშ. ლათ.*) [ლეგისლატუ´რა „კანონთა შემომტანები“]
I. კანონპროექტის ინიციატორები

legistae (*საშ. ლათ.*) [ლეგი´სტე „სამართალმცოდნეები“] ლეგისტები
I. შუასაუკუნეების სამართალმცოდნეები, რომლებიც რომ. სამართალს უპირისპირებდნენ საეკლესიო კანონიკურ და ფეოდალურ კანონებს

legitimatio [*ლეგიტიმა´ტიო/ლეგიტიმა´ციო „დაკანონება“] ლეგიტიმაცია
I. დაკანონება, პირადი სტატუსის შეცვლა, რის შედეგადაც ბავშვი, დაბადებული კონკუბინატში, მისი პირადი თანხმობით, იძენს კანონიერი ბავშვის უფლებებს – ქრისტიანი იმპერატორების პოპულაციური პოლიტიკის კომპონენტი
II., III. დაკანონება. „ამ კანონის ძირითადი ამოცანებია – სამუზეუმო საქმიანობაში არასახელმწიფო სექტორის ლეგიტიმაცია“ (საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ – 2001, მე-2(2)(ე) მუხლი)

legitimatio per oblationem curiae [*ლეგიტიმა´ტიო/ლეგიტიმა´ციო პერ ობლატიო´ნემ/ობლაციო´ნემ კუ´რიე „დაკანონება კურიაში მიღებით“]
I. თეოდოსიოს II-ის დროს ლეგიტიმაცია შესაძლებელი იყო მაშინ, თუ მამა შვილს ჩაწერდა დეკურიონების სიაში (გადასცემდა რა მას 25 იუგერ მიწას) ან ქალიშვილს გაათხოვებდა დეკურიონზე

legitimatio per rescriptum principis [*ლეგიტიმა´ტიო/ლეგიტიმა´ციო პერ რესკრი´პტუმ *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის „დაკანონება პრინცეპსის რესკრიპტით (ბრძანებით)“]
I. იუსტინიანუსის კანონმდებლობით შემოღებული ლეგიტიმაციის სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ დედა არ იყო გათხოვილი ან ქორწინება მშობლებს შორის შეუძლებელი იყო

legitimatio per subsequens matrimonium [*ლეგიტიმა´ტიო/ლეგიტიმა´ციო პერ სუბსე´კუენს მატრიმო´ნიუმ „დაკანონება ქორწინების შემდეგ“]
I. იმპერატორ კონსტანტინუსის მიერ ნებადართული ლეგიტიმაცია მშობლების დაქორწინების შემდეგ

legitimus [ლეგი´ტიმუს „კანონიერი“] ლეგიტიმური
I. კანონიერი, სამართლის, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართლის შესაბამისი II., III. კანონიერი, ნამდვილი. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის) ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, მათი სურვილის შესაბამისად, გაიცემა პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი“ (საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ – 1996, მე-20[13](1) მუხლი)

legum nutrix → nutrix legum

lena [ლე´ნა „მაჭანკალი (ქალი)“]
I. მაჭანკალი ქალი, მაცდუნებელი

leno [ლე´ნო „მაჭანკალი (კაცი), საროსკიპოს მფლობელი“]
I. მაჭანკალი კაცი, საროსკიპოს მფლობელი → lena

lenocinium [*ლენოკი´ნიუმ/ლენოცი´ნიუმ „მაჭანკლობა“]
I. მაჭანკლობა დანაშაულად ითვლებოდა, იდევნებოდა და მკაცრად ისჯებოდა

lex [ლე´ქს „კანონი“]
I. იურიდიული რეგლამენტაცია, დადგენილი და მიღებული როგორც სავალდებულო. 1. საჯარო სამართალში – კანონი, რომელიც მიიღებოდა სახალხო კრების მიერ; 2. კერძო სამართალში – კერძო პირების ცალმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა

lex Aemilia de censura [*ლე´ქს ემი´ლია დე *კენსუ´რა/ცენზუ´რა „ემილიუსის კანონი ცენზურის შესახებ“]
I. დაახლ. ძვ.წ. 434 წ. შემოიღეს ცენზურა, როგორც დამოუკიდებელი მაგისტრატურა, რომლის მოქმედების ვადა იყო 18 თვე

lex Antia [ლე´ქს ა´ნტია, „ანტიუსის კანონი“]
I. (ძვ.წ. 73 წ.) შეიზღუდა ფუფუნება ნადიმებზე და მაგისტრატობის კანდიდატებს აეკრძალათ მასში მონაწილეობა

lex Antonia de dictatore [ლე´ქს ანტო´ნია დე დიკტატო´რე „ანტონიუსის კანონი დიქტატორის შესახებ“]
I. ანტონიუსის ინიციატივით შემუშავებული კანონით იკრძალებოდა დიქტატურა; დიქტატორი და მისი კანდიდატურის წამომყენებელი პირი ისჯებოდა სიკვდილით

lex Aurelia de iudiciaria [ლე´ქს აურე´ლია დე *იუდიკია´რია/იუდიცია´რია „ავრელიუსის კანონი სამართალწარმოებაზე“]
I. (ძვ.წ. 70 წ.) თანაბრად განაწილდა მოსამართლის ვაკანსიები სენატორებს, მხედრებს და იერარქიულ ტრიბუნებს შორის

lex bonorum vendundorum [ლე´ქს ბონო´რუმ ვენდუნდო´რუმ „ქონების გაყიდვის კანონი“]
I. კანონი, რომელიც ადგენდა ქონების იძულებითი ამოღების წესებს

lex Caelia [*ლექს კე´ლია/ცე´ლია „ცელიუსის კანონი“]
I. კანონი, რომლითაც შემოღებულ იქნა ფარული კენჭისყრა სამშობლოს ღალატთან დაკავშირებულ კომიციურ პროცესში

lex Calpurnia de civitate sociorum [ლექს კალპუ´რნია დე *კივიტა´ტე *სოკიო´რუმ/ცივიტა´ტე სოციო´რუმ „კალპურნიუსის კანონი მოკავშირეთა მოქალაქეობის შესახებ“]
I. კანონი, რომლითაც მხედართმთავრებს მიეცათ უფლება დამსახურებული მოკავშირეებისათვის ჯილდოს სახით ებოძებინათ რომის მოქალაქეობა

lex Cicereia [ლექს *კიკერე´ია/ციცერე´ია „ციცერიუსის კანონი“]
I. ეს კანონი ავალდებულებდა კრედიტორს, გამოეცხადებინა ვალის ოდენობა და თავდებთა რაოდენობა, რომელთაც ის იღებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავდებ პირებს შეეძლოთ მოეთხოვათ ვალდებულებებისაგან განთავისუფლება

lex Cincia [ლექს *კი´ნკია/ცი´ნცია „ცინციუსის კანონი“]
I. კანონი, რომელმაც დააწესა შეზღუდვა საჩუქრის დასაშვებ ღირებულებაზე

lex Cocceia de nuptiis [ლექს *კოკკე´ია/კოკცე´ია დე *ნუ´პტიის/ნუ´პციის „კოკცეუსის კანონი ქორწინების შესახებ“]
I. კანონი, რომლითაც აიკრძალა ქორწინება ბიძასა და დისშვილს ან ძმისშვილს შორის

lex Cornelia de proscriptione [ლექს კორნე´ლია დე *პროსკრიპტიო´ნე/პროსკრიპციო´ნე „კორნელიუსის კანონი პროსკრიპციების შესახებ“]
I. სულას მმართველობის პერიოდში შემოღებული კანონი, რომლის ძალითაც კანონგარეშედ ცხადდებოდნენ პირები, შეტანილნი სულას მიერ შედგენილ და საჯაროდ გამოცემულ სიებში

lex curiata de imperio [ლექს კურია´ტა დე იმპე´რიო „კურიის კანონი ძალაუფლების შესახებ“]
I. კანონი, რომლის საფუძველზე იმპერატორს ენიჭება სუვერენული ძალაუფლება ხალხისა და სენატის მიერ

lex de bello indicendo [ლექს დე ბე´ლლო *ინდიკე´ნდო/ინდიცე´ნდო „ომის დაწყების შესახებ კანონი“]
I. ომის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება

lex decemviralis → lex duodecim tabularum

lex duodecim tabularum [ლექს *დუო´დეკიმ/დუო´დეციმ ტაბულა´რუმ „თორმეტი დაფის კანონი“]
I. სამართლის კოდიფიკაცია, ათწევრიანი კომისიის შემოქმედების შედეგი, წარმოადგენს უნიკალურ ძეგლს შედარებით განვითარებული სამართლისა. აღმოჩნდა დასაყრდენი რომის სამართლის მთელ შემდგომ ისტორიაში და ფორმალურად ინარჩუნებდა ძალას იუსტინ.-ს დრომდე. პირველად გამოქვეყნდა 12 ხის დაფაზე, რომლებიც ძვ.წ. 387 წ. გალთა შემოსევისას დაიწვა

Lex Falcidia [ლექს *ფალკი´დია/ფალცი´დია „ფალციდიუსის კანონი“]
I. (ძვ.წ. 40) ჩაანაცვლა ადრინდელი შეზღუდვები ლეგატების (უარების) შესახებ

lex Hostilia [ლექს ჰოსტი´ლია „ჰოსტილიუსის კანონი“]
I. კანონი, რომლის ძალითაც პირს, რომელიც ტყვეობაში ყოფნის ან სხვა მიზეზის გამო ვერ ესწრებოდა სასამართლო პროცესს, უფლება ეძლეოდა, წარმოდგენილი ყოფილიყო სხვა პირის მიერ პროცესზე, რომელიც ეხებოდა მის მოპარულ ქონებას

lex Iulia de ambitu [ლექს იუ´ლია დე ა´მბიტუ „იულიუსის კანონი მოსყიდვის შესახებ“]
I. გაიუს იულიუს კეისრის მიერ ძვ.წ. 18 წ. გამოცემული კანონი, რომელიც აწესებდა ჯარიმას ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის

lex Iulia de civitate [ლექს იუ´ლია დე *კივიტა´ტე/ცივიტა´ტე „იულიუსის კანონი მოქალაქეობის შესახებ“]
I. კონსულ ლუციუს იულიუსის კანონი, რომელმაც მიანიჭა რომის მოქალაქეობა ლათინებს და მოკავშირეებს, რომლებმაც შეინარჩუნეს რომისადმი ერთგულება

lex Iulia de iudiciorum privatorum [ლექს იუ´ლია დე *იუდიკიო´რუმ/იუდიციო´რუმ პრივატო´რუმ „კერძო სამართალწარმოების შესახებ იულიუსის კანონი“]
I. (ძვ.წ. 17 წ.) გაიუს იულიუს კეისრის კანონი კერძო (სამოქალაქო) სამართალწარმოების შესახებ

lex Iulia et Papia Poppaea [ლექს იუ´ლია ეტ პა´პია პოპპე´ა „იულიუსის და პაპიუს პოპეუსების კანონი“]
I. ავგუსტუსისა (ძვ.წ. 18 წ. – lex Iulia de maritandis ordinibus) და ორი პოპეუსის – კვინტუს პოპეუს სეკუნდუსის, მცირე აზიის პროკონსულის და მარკუს პაპიუს მუტილუსის მიერ (lex Papia Poppaea nuptialis – ახ.წ. 9 წ.) გამოცემული კანონების სინთეზი, რომელიც ოჯახის განმტკიცებას ემსახურებოდა

lex Iulia iudiciorum publicorum [ლექს იუ´ლია *იუდიკი´უმ/იუდიცი´უმ პუბლიკო´რუმ „საჯარო სამართალი წარმოების შესახებ იულიუსის კანონი“]
I. გაიუს იულიუს კეისრის მიერ ძვ.წ. 17 წ. გამოცემული კანონი საჯარო სამართალწარმოების შესახებ

lex Iulia servis indicibus [ლექს იუ´ლია სე´რვის *ინდი´კიბუს/ინდი´ციბუს „მონათა ჩვენებების შესახებ იულიუსის კანონი“]
I. ოქტავიანუს ავგუსტუსის კანონი (37-41 წწ.), რომელიც ათავისუფლებდა მონას, პატრონის დელიქტებზე თუ მისცემდა ჩვენებას

lex Livia iudiciaria [ლექს ლი´ვია *იუდიკია´რია/იუდიცია´რია „ლივიუსის კანონი სასამართლო წარმოებათა შესახებ“]
I. (ძვ.წ. 91 წ.) ლივიუს დრუზუსის მიერ ინიცირებულმა ამ კანონმა დააწესა ახალი სისხლის სამართლის სასამართლო მოსყიდული მოსამართლეებისთვის

lex Valeria de plebiscitis [ლექს ვალე´რია დე *პლებისკი´ტის/პლებისცი´ტის „ვალერიუსის კანონი პლებისციტის შესახებ“]
I. კანონი, რომელიც ავალდებულებდა რომის ყველა მოქალაქეს მონაწილეობა მიეღო პლებისციტებში

lex Valeria de provocatione [ლექს ვალე´რია დე *პროვოკატიო´ნე/პროვოკაციო´ნე „ვალერიუსის კანონი გასაჩივრების შესახებ“]
I. (ძვ.წ. 300 წ.) პირველი კანონი აპელაციის შესახებ, რომელმაც მოქალაქეს, რომელსაც მაგისტრატმა სიკვდილი ან ფიზიკური დასჯა მიუსაჯა, მიანიჭა უფლება მიემართა სახალხო კრებისთვის

lex Villia [ლექს ვი´ლია „ვილიუსის კანონი“]
I. კანონი, რომელმაც დაადგინა მაგისტრატების მინიმალური ასაკი

lex Visellia [ლექს *ვისე´ლია/ვიზე´ლია „ვიზელიუსის კანონი“]
I. (24 წ.) ნებას რთავდა ლათინებს, რომლებმაც 6 წელი vigiles-ის თანამდებობაზე იმუშავეს, მიეღოთ რომის მოქალაქეობა და დაადგინა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გააზატებული მონებისათვის, რომლებიც თავს ასაღებდნენ ingenui-ებად

libelli accusatoriis [ლიბე´ლლი *აკკუსატო´რიის/აკკუზატო´რიის „ბრალდების წერილები“]
I. წერილობითი ბრალდება, რომლითაც კერძო პირი ითხოვს უფლებამოსილი ოფიციალური პირისგან სისხლის სამართალწარმოების დაწყებას

libelli refutatorii [ლიბე´ლლი რეფუტატო´რიი „გამაბათილებელი წერილები“]
I. სააპელაციო საქმის წარმოებაში გამოყენებული წერილები, თხოვნის წერილები, რომლებიც შეიცავს ბრალდების გაბათილების მცდელობას

libellus [ლიბე´ლლუს „პატარა წიგნი“, libelli – მრ. რიცხვი]
I. მცირე ზომის წერილი, განცხადება, თხოვნა, მოხსენებითი ბარათი

libellus contradictionis [ლიბე´ლლუს *კონტრადიკტიო´ნის/კონტრადიკციო´ნის „შეპასუხების წერილი“]
I. შესაგებელი

libellus conventionis [ლიბე´ლლუს *კონვენტიო´ნის/კონვენციო´ნის „მოწვევის თხოვნის წერილი“]
I. წერილობითი საჩივარი, რომელშიც მომჩივანი უთითებდა ფაქტებზე, რომლებზეც აფუძნებდა საკუთარ მოთხოვნებს

libellus divortii [ლიბე´ლლუს *დივო´რტიი/დივო´რციი „განქორწინების წერილი“]
I. წერილი, რომლითაც ერთი მეუღლე ატყობინებს მეორეს განქორწინების შესახებ

libellus familiae [ლიბე´ლლუს ფამი´ლიე „ოჯახის განცხადება“]
I. საოჯახო ქონების აღწერა

libellus famosus [ლიბე´ლლუს *ფამო´სუს/ფამო´ზუს „ცნობილი, სალანძღავი წიგნი“]
I. პამფლეტი, პასკვილი, რომელსაც lex Cornelia 13-ის მიხედვით მოსდევდა სასჯელი

libellus principi oblatus [ლიბე´ლლუს *პრი´ნკიპი/პრი´ნციპი ობლა´ტუს „წერილი პრინცეპსის მიმართ წარდგენილი“]
I. ერთ-ერთი მხარის თხოვნა, რომ საქმეზე გადაწყვეტილება მიეღო თავად იმპერატორს

libellus repudii [ლიბე´ლლუს რეპუ´დიი „დარღვევის წერილი“]
I. წერილი, რომლითაც მეუღლე ან საქმრო ატყობინებდა საცოლეს ან მეუღლეს საქორწინო კავშირის გაწყვეტის შესახებ → libellus divortii

liber [ლი´ბერ „ლაფანი, ხრალი“, წიგნი, libri – მრ.რ.]
I. გრაგნილი, წიგნი, მსხვილი ლიტერატურული ნაწარმოების ნაწილი (დაახლ. 1500-2500 სტრიქონი 35-35 ნიშნით თითოეული)

liber [ლი´ბერ „თავისუფალი“]
I. 1. თავისუფალი ადამიანი და ხალხი (civitates liberae); 2. ვაჟი, შვილი (მრ. liberi)

liber facultas mortis [ლი´ბერ ფა´კულტას მო´რტის „თავისუფალი სიკვდილის არჩევანში“]
I. სიკვდილმისჯილის მიმართ იმპერატორის ნებართვა, აირჩიოს თვითმკვლელობა (→ suicidium)

liber homo bona fide serviens [ლი´ბერ ჰო´მო ბო´ნა ფი´დე სე´რვიენს „თავისუფალი კაცი, კეთილსინდისიერად მომსახურე“]
I. თავისუფალი ადამიანი, რომელიც შეცდომით მიჩნეულია მონად

liber voluntas [ლი´ბერ ვოლუ´ნტას „თავისუფალი ნება“]
I. გადაწყვეტილების მიღების თავისუფალი ნება

liberalis [ლიბერა´ლის „თავისუფალი“] ლიბერალური
II., III. 1. თავისუფალი, შემწყნარებელი, ტოლერანტული. „მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ – 2005, მე-3(1)(ბ) მუხლი); 2. „ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა – სხვადასხვა დარგის ცოდნის, შესაბამისი უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ მიმართული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე და სრულდება ასოცირებული ხარისხის მინიჭებით“ (საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ – 2007, მე-4(მ[1]) მუხლი)

liberalis causa [ლიბერა´ლის *კაუ´სა/კაუ´ზა „დავა თავისუფლებაზე“]
I. დავა იმაზე, კონკრეტული პიროვნება თავისუფალია – თუ მონა

liberalitas, -atis [ლიბერალი´ტას „სიკეთე, კეთილმოწყალება“]
I. თავისუფალი მოქალაქისთვის ნიშანდობლივი აზროვნების და ქმედების სახეობა – კეთილშობილება, მოწყალება, გულუხვობა ყოველგვარი ანგარების გარეშე

liberatio [*ლიბერა´ტიო/ლიბერა´ციო „გათავისუფლება“] ლიბერაცია
I. გათავისუფლება, განთავისუფლება

liberatio legata → legatum liberationis

liberatio nexi [*ლიბერა´ტიო/ლიბერა´ციო ნე´ქსი „ვალდებულებისაგან, მონობისაგან გათავისუფლება“]
I. ვალდებულებისაგან გათავისუფლება → nexus

liberi [ლი´ბერი „ბავშვები“]

liberi iniusti [ლი´ბერი ინიუ´სტი „არაკანონიერი ბავშვები“]
I. ბავშვები, შობილი კანონიერი ქორწინების გარეშე

liberi iusti [ლი´ბერი იუ´სტი „კანონიერი ბავშვები“]
I. კანონიერ ქორწინებაში შობილი ბავშვები

liberi legitimi [ლი´ბერი ლეგი´ტიმი „ლეგიტიმური ბავშვები“]
I. კანონიერი სტატუსის მქონე შვილები

liberi naturales [ლი´ბერი ნატურა´ლეს „ბუნებრივი ბავშვები“]
I. კონკუმბინატში ან ქორწინების გარეშე, სხვა სახის თანაცხოვრების შედეგად შობილი ბავშვები

liberi spurii [ლი´ბერი სპუ´რიი „ქორწინების გარეშე შობილი შვილები“]
I. → liberi iniusti

libertas, -atis [ლიბე´რტას „თავისუფლება“]
I. თავისუფლება, რომის მოქალაქის მთავარი უფლებამოსილება (და იმ ქვეყნის მოქალაქისა, რომელთანაც რომი ომს არ აწარმოებდა)

libertas directa [ლიბე´რტას დირე´კტა „პირდაპირი თავისუფლება“]
I. თავისუფლება, რომელსაც ახლადგათავისუფლებული მონა უშუალოდ ძალაუფლებას მფლობელისგან იღებდა

libertas fideicommissaria [ლიბე´რტას ფიდეიკომმისსა´რია „ფიდეიკომისური თავისუფლება“]
I. თავისუფლება, რომელსაც მონა იღებდა ირიბად, ფიდეიკომისის მეშვეობით

libertas Latina → Latinitas

libertini [ლიბერტი´ნი „გააზატებული მონები“ → libertinus] ლიბერტინები
I. გათავისუფლებული მონები – ლიბერტინები

libertinus [ლიბერტი´ნუს „გააზატებული მონა“] ლიბერტინუსი (ლიბერტინი)
I. გათავისუფლებული მონა, რომელიც manumissio-ს შემდეგ ცხოვრობდა როგორც თავისუფალი ადამიანი, ოღონდ შეზღუდული უფლებებით (კერძოდ, არ ჰქონდა ius honorum-ი და სრული საარჩევნო უფლება)

libertus Caesaris (principis) [ლიბე´რტუს *კე´სარის (*პრი´ნკიპის)/ცე´ზარის (პრი´ნციპის) „კეისრის (პრინკეპსის) მიერ გათავისუფლებული მონა“]

libertus orcinus [ლიბე´რტუს *ორკი´ნუს/ორცი´ნუს „ანდერძით გათავისუფლებული“]
I. ანდერძის საფუძველზე გათავისუფლებული მონა

libra [ლი´ბრა „სასწორი“] ლიბრა
I. სასწორი, რომელიც გამოიყენებოდა ფორმალური გარიგების დროს

libri [ლი´ბრი „წიგნები“]
I. წიგნები

libri augurum [ლი´ბრი აუ´გურუმ „ავგურთა წიგნი“]
I. → ius augurium

libri Authenticorum → Novellae Iustiniani

libri legum [ლი´ბრი ლე´გუმ „კანონთა წიგნი“]
I. კლასიკურის შემდგომი კონსტიტუციების კრებული

libri libellorum rescriptorum [ლი´ბრი ლიბელლო´რუმ რესკრიპტო´რუმ „წიგნი რესკრიპციული განცხადებებისა“]
I. ჰადრიანუსის დროიდან მოყოლებული, იმპერატორის რესკრიპციების პუბლიკაცია

libri pauperum → Vacarius

libri singularis [ლი´ბრი *სინგულა´რის/ზინგულა´რის „ერთეული წიგნი“]
I. ნაწარმოები, რომელიც შედგებოდა ერთი წიგნისგან

libri Syro-Romanus [ლი´ბრი სი´რო-რომა´ნუს „სირიულ-რომაული წიგნები“]
I. → leges saeculares, კომენტარები იმპერატორის კონსტიტუციების რომელიმე კრებულისთვის, შემუშავებული სამართლის ერთ-ერთ მეორეხარისხოვან აღმოსავლურ სკოლაში და ჩვენამდე მოღწეული სირიულ, სომხურ და არაბულ ენებზე

licentia [*ლიკე´ნტია/ლიცე´ნცია „თავისუფლება, უფლება“] ლიცენზია
I. გათავისუფლება, licentiam alicui dare *Cic.* – ვიღაცისთვის თავისუფლების მინიჭება
II. 1. „ლიცენზია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება“ (საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ – 2005, მე-3(ა) მუხლი); 2. გამოგონების, სამრეწველო ნიმუშის ან სასარგებლო მოდელის გამოყენების ნებართვა. „განსაკუთრებული ლიცენზიის ხელშეკრულებით ავტორი ან საავტორო უფლების სხვა მფლობელი მხოლოდ ლიცენზიატს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას, გამოიყენოს ნაწარმოები ხელშეკრულებით განსაზღვრული სახითა და ფარგლებში და მასვე ანიჭებს უფლებას, აკრძალოს ნაწარმოების ამგვარი გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, ავტორის) მიერ“ (საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ – 1999, 37(1)-ე მუხლი)
III. „საავტორო სალიცენზიო ხელშეკრულება სხვა ენაზე გადათარგმნის ან გადაკეთების გზით ნაწარმოების გამოყენების უფლების შესახებ“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1964, 533-ე მუხლი)

licere (უპირო ზმნა) [*ლი´კერე/ლი´ცერე „დაშვებულია“]

I. ნებადართულია კანონით ან ჩვეულებით

licitatio [*ლიკიტა´ტიო/ლიციტა´ციო „წინადადება, შეთავაზება“]
I. შეთავაზება, ფასის წამატება (უპირატესად საჯარო ვაჭრობისას), აუქციონი → auctio

licitatio fructuaria, licitatio fructum [*ლიკიტა´ტიო/ლიციტა´ციო ფრუკტუა´რია; *ლიკიტა´ციო/ლიციტა´ციო ფრუ´კტუმ „ნაყოფის ფასის შეთავაზება“]
I. დავა დროებითი მფლობელობის შესახებ ინტერდიქტურ წარმოებაში; პროცესის დროს პრეტორი სთავაზობდა დროებით მფლობელობას მას, ვინც მეტ ფასს გადაიხდიდა (სანაცვლოდ ნაყოფით სარგებლობის ნება ეძლეოდა და წარმოადგენდა გარანტიას

licitus [*ლი´კიტუს/ლი´ციტუს „განკუთვნილი“]
I. კანონით ან ჩვეულებით ნებადართული

lictores [ლიკტო´რეს „ლიქტორები“] ლიქტორები
I. ლიქტორები, რომლებიც ახლდნენ უფროს მაგისტრატებს magistratus maiores საზოგადოებრივ ადგილებში. მათ წინ მიჰქონდათ ფასციები fasces (დიქტატორის წინ მიდიოდა 24 ლიქტორი, კონსულის წინ – 12; პრეტორის წინ – 6); ლიქტორები დამსწრეთა ყურადღებას აპყრობდნენ მაგისტრატების გამოჩენას, იცავდნენ წესრიგს; ასრულებდნენ მაგისტრატების განკარგულებებს, აღასრულებდნენ მათ განაჩენებს. ფასციების გარეშე ლიქტორები ჰყავდა ზოგიერთ ქურუმს, გვიანი რესპუბლიკის ხანაში ასევე ზოგიერთ მაგისტრატს – imperium-ის გარეშე

limes, -itis [ლი´მეს „საზღვარი, მიჯნა“] ლიმიტი
I. 1. საზღვარი სახელმწიფოებს შორის; 2. სინ. → confinium

limitaneus [ლიმიტა´ნეუს „საზღვრებზე მყოფი, მესაზღვრე“]
I. limitanei (milites) – სასაზღვრო ჯარი (ჯარისკაცები)

limitatio [*ლიმიტა´ტიო/ლიმიტა´ციო „განსაზღვრა, დადგენა“] ლიმიტაცია
I. სახელმწიფო მიწის (ager publicus) საზეიმო გაყოფა თანაბარი ზომის კვადრატებად, მათ შორის გადიოდა limes-ი

lis [ლის „პაექრობა“]
I. 1. სასამართლო კამათი 2. სადავო საგანი ან დავის საფასური

lis pendens [ლის პე´ნდენს „პაექრობის ხანგრძლივობა“]
I. სასამართლო პაექრობის ხანგრძლივობა

litem deserere [ლი´ტემ *დესე´რერე/დეზე´რერე „კამათის დატოვება“]
I. ლიტისკონტესტაციის (პაექრობის დამოწმების) შემდეგ სასამართლო წარმოებაზე გამოუცხადებლობა და ამით პროცესის წაგება

litis contestatio [ლი´ტის *კონტესტა´ტიო/კონტესტა´ციო „პაექრობის დამოწმება, პაექრობის დადგენა“]
I. სასამართლო წარმოების ბოლო ეტაპი, რომელზეც ხდება სადავო საკითხების განსაზღვრა და მოსამართლისთვის წარდგენა გადაწყვეტილების მისაღებად

liti se offerre → possessor fictus

litis denuntiatio → denuntiatio litis

littera [ლი´ტტერა „ასო“]

l. წერილი – კოგნიციურ წარმოებაში. სასამართლო უწყება, რომელსაც, გარემოებებიდან გამომდინარე, მუნიციპალური ხელისუფლება აგზავნის დანიშნულებისამებრ

littera communis [ლი´ტტერა კომმუ´ნის „საერთო წერილი“]
l. = l. Bononiensis; l. vetas, l. vulgata – დიგესტების კრიტიკულად დამუშავებული ტექსტი (დაახლ. 1080 წ.), რომელსაც იყენებდნენ ბოლონიის უნივერსიტეტში გლოსატორები და კომენტატორები. რომის სამართლის რეცეფციის საწყისი მასალა

littera Florentina [ლი´ტტერა ფლორენტი´ნა „ფლორენციული წერილი“]
l. დიგესტების ყველაზე ძველი და სარწმუნო ხელნაწერი, რომელიც შემონახულია ფლორენციაში, ეწოდებოდა ასევე l. Pisana, რადგან XII-XIII სს. ინახებოდა პიზაში

litterarum obligatio [ლიტტერა´რუმ *ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო „განკარგულებათა ვალდებულება“]
l. ერთმხრივი აბსტრაქტული ვალდებულება, რომლის საფუძველში დევს – expensilatio

litus [ლი´ტუს „ნაპირი“]
l. ნაპირი

litus maris [ლი´ტუს მა´რის „ზღვის ნაპირი, სანაპირო“]
l. ზღვის ნაპირი, სადაც ნაპოვნი ნივთი ეკუთვნოდა მპოვნელს, ნაპირზე აგებული შენობა კი – ამშენებელს

locatio-conductio [*ლოკა´ტიო-*კონდუ´კტიო/ლოკა´ციო-კონდუ´კციო „გაქირავება, ქირა“]
l. იმ ხელშეკრულების ზოგადი სახელწოდება, რომელიც აერთიანებს ერთმანეთში ქირავნობის, ნარდობისა და იჯარის ხელშეკრულებებს

locatio-conductio operarum [*ლოკა´ტიო-*კონდუ´კტიო/ლოკა´ციო-კონდუ´კციო ოპერა´რუმ „შრომის (სამუშაოთა) ქირავნობა“]
l. მომსახურების ხელშეკრულება

locatio-conductio operis [*ლოკა´ტიო-კონდუ´კტიო/ლოკა´ციო-კონდუ´კციო ო´პერის „ნარდის ხელშეკრულება“]
l. ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ერთი ამზადებდა მეორე პირისთვის გარკვეულ ნივთს ან უწევდა მას გარკვეულ მომსახურებას ამ უკანასკნელის მიერ მიწოდებული მასალების გამოყენებით

locatio-conductio rei [*ლოკა´ტიო-*კონდუ´კტიო/ლოკა´ციო-კონდუ´კციო რე´ი „საგნის დაქირავება“]
l. იჯარის ხელშეკრულება
locator [ლოკა´ტორ „გამქირავებელი, იჯარით გამცემი“]
l. პირი, რომელიც სთავაზობს საგანს ან თავის შრომას conductor-ს – ვინც სარგებლობს სხვისი საგნით ან შრომით

lucida intervalla [*ლუ´კიდა/ლუ´ციდა ინტერვა´ლლა „გამონათების ინტერვალები“]
l. → furiosus

lucrativus [ლუკრატი´ვუს „მომგებიანი, გამდიდრების მომტანი“]

I. მოგების მომტანი

lucrum [ლუ´კრუმ „მოგება“]
I. სარგებელი, მოგება

lucrum cessans [ლუ´კრუმ *კე´სსანს/ცე´სსანს „დაკარგული მოგება“]
I. დაკარგული შემოსავალი.

lucrum nuptiale [ლუ´კრუმ *ნუპტია´ლე/ნუპცია´ლე „საქორწინო მოგება“]
I. მთლიანი ქონებრივი სარგებელი, მეუღლისაგან მიღებული

luctus [ლუ´კტუს „გლოვა“]
I. გლოვა. ქმრის გარდაცვალებიდან ათი თვის განმავლობაში (tempus lucendi, annus l.) ქვრივი ვალდებული იყო ეტარებინა სამგლოვიარო ტანსაცმელი; მას არ ჰქონდა გათხოვების უფლება ამ პერიოდში (nuptiae secundae), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხდებოდა infamis-ი

ludi [მრ.რ. → ludus – ლუ´დუს „თამაშობა, სანახაობა“]
I. საჯარო თამაშობები რომელიმე ღვთაების, გმირის, მოვლენის პატივსაცემად

ludi gladiatorii [ლუ´დი გლადიატო´რიი „გლადიატორთა თამაშობები (ბრძოლები)“]
I. გლადიატორთა ბრძოლები, რომლებიც ცირკში იმართებოდა; გლადიატორთა სკოლები. რომის სამართალში არსებობდა განაჩენი, რომელიც ითვალისწინებდა გლადიატორებთან დამნაშავის სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლას – damnatio in ludum gladiatorum

ludi saeculares [ლუ´დი სეკულა´რეს „საუკუნეთა თამაშობანი“]
I. საჯარო თამაშობები, რომლებიც ორი საუკუნის მიჯნაზე იმართებოდა

ludi venatorii [ლუ´დი ვენატო´რიი „მონადირეთა თამაშობები“]
I. გარეულ ცხოველებთან ორთაბრძოლა

ludicra ars → ars ludicra

luere [ლუ´ერე „გამოსყიდვა“]
I. გამოსყიდვა (ვალის გადახდა)

lustratio [*ლუსტრა´ტიო/ლუსტრა´ციო „განწმენდის რიტუალი“] ლუსტრაცია
I. საზეიმო რელიგიური რიტუალი, რომელიც იმართებოდა რომში, მარსის მოედანზე ერთ-ერთი ცენზორის მიერ ხუთ წელიწადში ერთხელ ცენზის დასრულებისას
II., III. სახელმწიფო თანამდებობის პირთა ან კანდიდატთა შემოწმების გარკვეული პროცედურა მათი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი, სახელმწიფო უშიშროების სამსახურებისადმი კუთვნილებისა ან ამ სამსახურებთან თანამშრომლობის დადგენის მიზნით. „საქართველოს პარლამენტის დადგენილება ლუსტრაციის მექანიზმის შემუშავების დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ“ (1998)

lustrum [ლუ´სტრუმ „განმწმენდი მსხვერპლი“]
I. 1. გამომსყიდველი (განმწმენდი) მსხვერპლი; 2. ხუთწლიანი (ოთხწლიანი) პერიოდი; 3. საფინანსო პერიოდი; 4. საჯარო ვადა; 5. ხანგრძლივი პერიოდი; 6. იმ-

პერატორის ხანაში (დომიციანუსის დროიდან) ხუთ წელიწადში ერთხელ გამართული საჯარო თამაშობები

M

magia [მა´გია „ჯადოქრობა“] მაგია
I. ყველა სახის ჯადოქრობა, მჩხიბაობა. იყო სიკვდილით დასჯადი, თუკი **m.** აღესრულებოდა ვიღაცის მოსატყუებლად, ზიანის მისაყენებლად, მოსაკლავად (**m.** ნებადართული იყო გამონაკლისის სახით, მაგ. obvagulatio)

magister, -tri [მაგი´სტერ „უფროსი, თავი, მმართველი“] მაგისტრი
I. 1. წინამძღოლი, მეთაური; 2. ხელმძღვანელი, უფროსი; 3. ნებისმიერი სახის მასწავლებელი. მისი მოღვაწეობა მიეკუთვნებოდა operae liberales-ს, რაც **m.**-ს ათავისუფლებდა ზოგიერთი საზოგადოებრივი ბეგარისგან

magister bonorum → venditio bonorum

magister cognitionum [მაგი´სტერ *კოგნიტიო´ნუმ/კოგნიციო´ნუმ „საქმის განხილვის ხელმძღვანელი“]
I. სასამართლო სამმართველოს ხელმძღვანელი

magister collegii → curator collegii

magister equitum [მაგი´სტერ ე´კვიტუმ „ცხენოსანთა მეთაური“]
I. ცხენოსანთა ჯარის მეთაური

magister libellorum → libellus

magister memoriae → memoria

magister militum [მაგი´სტერ მი´ლიტუმ „ჯარისკაცთა მეთაური“]
I. დომინატის დროს: მხედართმთავარი, რომელიც ექვემდებარებოდა უშუალოდ იმპერატორს; ჯარის მსხვილი ნაწილების ხელმძღვანელი

magister navis → exercitor navis

magister officiorum [მაგი´სტერ *ოფფიკიო´რუმ/ოფფიციო´რუმ „კანცელარიის ხელმძღვანელი“]
I. დომინატის დროს იმპერატორის კანცელარიის ხელმძღვანელი, 5 უმაღლესი ჩინოვნიკიდან ერთ-ერთი, რომელსაც ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული მმართველობის ცალკეული სექტორები

magister peditum [მაგი´სტერ პე´დიტუმ „ფეხოსანთა მეთაური“]
I. → magister militum

magister populi [მაგი´სტერ პო´პული „ხალხის წინამძღოლი“]
I. dictator-ის ტიტული, როგორც მხედართმთავრის

magister rei privatae → procurator

magister societatis publicanorum → publicani

magistratus [მაგისტრა´ტუს „მაგისტრატი“] მაგისტრატი
I. თანამდებობა, თანამდებობის პირი
II., III. მაგისტრატი მოსამართლე – მოსამართლე, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავს საქართველოს ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სისხლის სა-

მართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებულ გარკვეული კატეგორიის საქმეებს. „მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი სამოქალაქო საქმეები“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, მე-14 მუხლი)

magistratus curules [მაგისტრა´ტუს კურუ´ლეს „კურულთა მაგისტრატები“]
I. sella curulis-ზე (სპილოს ძვლის სავარძელზე) მჯდომი მაგისტრატი (dictator, censores, consules, praetores, aediles curules)

magistratus designati [მაგისტრა´ტუს *დესიგნა´ტი/დეზიგნა´ტი „დანიშნული მაგისტრატები“]
I. უკვე არჩეული, მაგრამ თანამდებობაზე ჯერ არ მომუშავე მაგისტრატი

magistratus maiores [მაგისტრა´ტუს მაიო´რეს „უფროსი მაგისტრატები“]
I. უმაღლესი თანამდებობის მაგისტრატები (dictator, consules, praetores)

magistratus minores [მაგისტრა´ტუს მინო´რეს „უმცროსი მაგისტრატები“]
I. დაბალი თანამდებობის მაგისტრატები (aediles curules, quaestores)

magistratus municipales [მაგისტრა´ტუს *მუნიკიპა´ლეს/მუნიციპა´ლეს „მუნიციპალური მაგისტრატები“] მუნიციპალური მაგისტრატები
I. მუნიციპალური სენატის წევრები, რომელთაც ადმინისტრაციული მოვალეობის შესასრულებლად ირჩევდნენ (questores municipales, duoviri aediles, duoviri iuri dicundo, quattuorviri, octoviri)

magistratus patricii [მაგისტრა´ტუს *პატრი´კიი/პატრი´ციი „პატრიციუსთა მაგისტრატები“]
I. პატრიციუსთა რიგებიდან არჩეული მაგისტრატები

magistratus plebei [მაგისტრა´ტუს პლებე´ი „პლებეების მაგისტრატები“]
I. პლებეებიდან არჩეული მაგისტრატები (tribuni plebis, aediles plebis)

magistratus populi Romani [მაგისტრა´ტუს პო´პული რომა´ნი „რომაელი ხალხის მაგისტრატები“]
I. მაგისტრატები რომში

magistratus suffecti [მაგისტრა´ტუს სუფფე´კტი „დამატებითი მაგისტრატები“]
I. გარკვეული ვადით არჩეული მაგისტრატები იმ მაგისტრატების ნაცვლად, რომლებიც რაღაც მიზეზით (abactus, abdicatio) ჩამოშორდნენ თანამდებობას

magna culpa → culpa lata

magnus [მა´გნუს „დიდი“]
I. დიდი, დიდებული, მაღალი, გამოჩენილი. possessor → imperium maius; pontifex maximus

malae artes [მა´ლე ა´რტეს „ცუდი ხელოვნებები“]
I. მაგია

malae fidei possessor → possessor malae fidei

maleficium [*მალეფი´კიუმ/მალეფი´ციუმ „ბოროტმოქმედება“]
I. დანაშაული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება

malum carmen [მა´ლუმ კა´რმენ „სახიფათო შელოცვა“]

I. მაგია, ჯადოქრობა, რომელიც მიზნად ისახავდა სხვა ადამიანისთვის ან სხვისი ქონებისთვის ზიანის მიყენებას

malum fides superveniens → usucapio

manceps [*მა´ნკეპს/მა´ნცეპს „აუქციონზე შემძენი“] მანცეპსი
I. 1. კერძო სამართალში: ის, ვინც ეუფლება ნივთს და ამით გამოხატავს მასზე საკუთარ უფლებას; 2. საკონსტიტუციო სამართალში: მეწარმე, რომელიც რაღაცას იძენს (იჯარით იღებს, შეისყიდის) სახელმწიფოსგან; 3. ადმინისტრაციულ სამართალში: საფოსტო სადგურის უფროსი

mancipatio [*მანკიპა´ტიო/მანციპა´ციო (manus + capere) „შეძენა“] მანციპაცია
I. იურიდიულად გაფორმებული შეძენა საკუთრებისა ან მისი გადაცემა; ფორმალური გადაცემა ან შეძენა საკუთრებისა

mancipatio familiae → testamentum

mancipatio fiduciae causa → fiducia

mancipium [*მანკი´პიუმ/მანცი´პიუმ „შეძენა“] მანციპია
I. 1. შეძენა, სინ. mancipatio; 2. მამის სუვერენული უფლება პირებზე, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არიან და მისი პასუხისმგებლობა ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობაზე

mandare [მანდა´რე „გადაცემა, მიცემა“]
I. დავალების მიცემა, მითითება

mandare iurisdictionem [მანდა´რე *იურისდიკტიო´ნემ/იურისდიკციო´ნემ „იურისდიქციის მიცემა“]
I. → i-o mandata

mandata principium [მანდა´ტა *პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ „პრინკეპსის მითითებები“]
I. იმპერატორის ინსტრუქციები ჩინოვნიკებისადმი, ძირითადად, ადმინისტრაციულ, ხანდახან კერძო საკითხებზე

mandatela [მანდატე´ლა „განკარგულება“]
I. განკარგულებითი ძალაუფლება

mandator [მანდა´ტორ „დავალების მიმცემი“] მანდატური
I. დავალების მიმცემი
II. 1. პირი, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს შენობაში და ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. „საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს, თუ სხვა, შედარებით მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ – 1996, 32[1](4)-ე მუხლი); 2. პირი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ – 2005, 48[1]-ე მუხლი)

III. „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ეგე ჩუენი შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა, ციხისთავთა, ჴელისუფალთა, მანდატურთა, შურტათა, ჩინებულთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ, და ნუ უმალავთ ბრძანებასა ამას...“ (შეუვალობის განახლების სიგელი გიორგი II-ისა შიო მღვიმისადმი [1072 წ.] ქსძ, II, გვ. 11)

mandatorius [მანდატო´რიუს „სათავდებო“]
I. დავალების მიმღები, დავალების აღმსრულებელი

mandatum [მანდა´ტუმ „დავალება“] მანდატი
I. დავალების ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა რაღაც ქმედებების უანგარო შესრულების ვალდებულებების თავის თავზე აღებას; კონსენსუალური კონტრაქტი
II. 1. თავისუფალი მანდატი – მანდატი, რომლის მფლობელი დეპუტატი შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში ითვლება არა კონკრეტული ამომრჩევლების, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის, ხალხის წარმომადგენლად. ის არ არის შებოჭილი ამომრჩეველთა დავალებებით (განაწესებით), არ არის მათ წინაშე ანგარიშვალდებული (თუმცა ინფორმაციას აწვდის მათ საკუთარი საქმიანობის შესახებ), ხოლო დეპუტატის უფლებამოსილების შეჩერება შეუძლებელია ვადამდე, ამომრჩეველთა გადაწყვეტილებით, გამოხმობის გზით. „საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 52(1)-ე მუხლი)
III. „ყალბად გაკეთება მანდატისა, დადასტურებისა, მოწმობისა, დადგენილებისა და სხვა ოფიციალური აქტისა, რომლითაც დამყარდება, შეიცვლება ან მოისპობა უფლება თუ მოვალეობა“... (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – 1922, თავი I, კარი 2, 87)

mandatum ad agendum, mandatum in rem suam [მანდა´ტუმ ად აგე´ნდუმ, მანდა´ტუმ ინ რემ სუ´ამ „სამოქმედო დავალება, პირად საქმეზე დავალება“]
I. კრედიტორის მიერ მესამე პირისთვის მიცემული დავალება, მიაღწიოს მოთხოვნის მიხედვით გადახდევინებას თავის სასარგებლოდ cognitor in rem suam-ის სახით

mandatum ad custodiendum → depositum

mandatum pecuniae credendae; mandatum qualificatum [მანდა´ტუმ პეკუ´ნიე კრედე´ნდე; მანდა´ტუმ კვალიფიკა´ტუმ „ფულადი საკრედიტო დავალება, კვალიფიცირებული დავალება“] კვალიფიცირებული მანდატი
I. საკრედიტო დავალება, რომელიც საბინუსის დროიდან ითვლებოდა ვალდებულებით დავალებად

mandatum post mortem [მანდა´ტუმ პოსტ მო´რტემ „გარდაცვალების შემდგომი დავალება“]
I. მანდატორის სიკვდილის შემდეგ შესასრულებელი დავალება (იუსტინიანუსის სამართლის მიერ შემოღებული)

Manes [მა´ნეს „მანები“] მანები

I. მიწისქვეშეთის ბინადარი სულები, კეთილი ღვთაებები, გარდაცვლილ წინაპართა სულები

manifestatio [*მანიფესტა´ტიო/მანიფესტა´ციო „გამოაშკარავება“] მანიფესტაცია

II. „მანიფესტაცია არის მოქალაქეთა დემონსტრაცია, მასობრივი საჯარო გამოსვლა, ქუჩაში მსვლელობა სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების და სხვა სახვითი საშუალებების გამოყენებით“ (საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ – 1997, მე-3(ბ) მუხლი)

III. „კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება“ (კონსტიტუცია – 1995, 25(2)-ე მუხლი)

manifestus [მანიფე´სტუს „აშკარა“] მანიფესტი

I. წასწრებული ადგილზე. მაგ., furtum manifestum – ადგილზე წასწრებული ქურდობა

II. დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საჰაერო ხომალდის მიერ გადასაყვანი ყველა პირის ან გადასატანი ტვირთის სრულ ჩამონათვალს და რომელიც წარედგინებოდა სასაზღვრო კონტროლს. „სამოქალაქო საჰაერო ხომალდი საფრენად არ დაიშვება, თუ არ არის შემდეგი საბუთები: ... ზ) ტვირთის გადაზიდვისას – მანიფესტი და ამომწურავი დეკლარაცია ტვირთის შესახებ“ (საქართველოს საჰაერო კოდექსი – 1996, 26(1)(ზ)-ე მუხლი)

manipulatio (*საშ. ლათ.*) [*მანიპულა´ტიო/მანიპულა´ციო „ხელით მოქმედება, ოინი“] მანიპულაცია

II. მაქინაცია, ყალთაბანდობა. „გენეტიკური მანიპულაცია, ესე იგი ადამიანის მსგავსი არსების შექმნა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“ (სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 136-ე მუხლი)

III. „კომერციულ ბანკს ეკრძალება ... ყოველგვარი მანიპულაცია ...“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ – 1996, 22(1)-ე მუხლი)

manipulus [მანი´პულუს „მანიპულუსი“] მანიპული

I. სამხედრო დანაყოფი, კოჰორტის 1/3

manubiae [მანუ´ბიე „ნადავლი“]

I. ფული, მიღებული სამხედრო ნადავლის გაყიდვისას

manum conserere [მა´ნუმ კონსე´რერე „ხელის დადება“]

I. კამათის დაწყება (სადავო საგანზე ხელის დადებით)

manumissio [მანუმი´სსიო „გათავისუფლება“] მანუმისია

I. იურიდიული აქტი, რომლის შედეგად მონა თავისუფლდებოდა ბატონის ძალაუფლებისაგან და ხდებოდა libertus-ი და libertinus-ი, ხოლო მისი ბატონი – patronus-ი

manumissio censu [მანუმი´სსიო *კე´ნსუ/ცე´ნზუ „ცენზით გათავისუფლება“]

I. ბატონის მიერ გათავისუფლებული მონა, ცხადდებოდა ცენზორთან, რომელსაც იგი შეჰყავდა რომის მოქალაქეთა სიაში

manumissio fideicommissaria [მანუმი´სსიო ფიდიეკომმისსა´რია „ფიდეიკომისური გათავისუფლება“]

I. fideicommissum-ის საფუძველზე მემკვიდრის ან ლეგატარიუსის მიერ მონის გათავისუფლება

manumissio inter amicos [მანუმი´სსიო ი´ნტერ ამი´კოს „გათავისუფლება მეგობრებს შორის“]
I. გათავისუფლება მოწმეების თანდასწრებით

manumissio per epistulam [მანუმი´სსიო პერ ეპი´სტულამ „გათავისუფლება წერილით“]
I. მონის გათავისუფლება ბატონის მიერ მონისთვის მიცემული წერილის საფუძველზე

manumissio per mensam, manumissio in convivio [მანუმი´სსიო პერ მე´ნსამ, მანუმი´სსიო ინ კონვი´ვიო „დაშვება მაგიდასთან, დაშვება ნადიმზე“]
I. მონის გათავისუფლება, რაც გამოიხატებოდა ბატონის მიერ ნადიმზე მონის მაგიდასთან მოწვევაში

manumissio sub condicione [მანუმი´სსიო სუბ *კონდიკიო´ნე/კონდიციო´ნე „გათავისუფლება პირობით“]
I. მონის გათავისუფლება გარკვეული პირობის დადგომის შემდეგ

manumissio testamento [მანუმი´სსიო ტესტამე´ნტო „გათავისუფლება ანდერძით“]
I. ანდერძში მოცემული პირდაპირი მოთხოვნის საფუძველზე მონის გათავისუფლება

manumissio vindicata [მანუმი´სსიო ვინდიკა´ტა „თავდებით გათავისუფლება“]
I. მაგისტრატის თანდასწრებით adsertor libertatis-ი მონას თავზე ადებდა წნელს (festuca) და ამით ადასტურებდა, რომ იგი თავისუფალია. რაკი მონის ბატონი ამაზე არაფერს ამბობდა, მაგისტრატი საზეიმოდ აცხადებდა მონას თავისუფალ ადამიანად

manus [მა´ნუს „ხელი“]
I. ერთიანი და აბსოლუტური ძალაუფლება ოჯახის თავისა (pater familias) ოჯახის ყველა წევრზე, როგორც თავისუფლებზე, ისე მონებზე, მოგვიანებით – მხოლოდ ქმრისა ცოლზე

manus depellere [მა´ნუს დეპე´ლლერე „ხელის მოშორება“]
I. ხელის მოშორება (→) m. iniectio-ს შემდეგ

manus inferre [მა´ნუს ინფე´რრე „ხელის აღმართვა ვინმეზე“]
I. ხელის დარტყმა

manus iniectio [მანუს *ინიე´კტიო/ინიე´კციო „ხელის დადება“]
I. ხელის დადება მოვალეზე, თვითდახმარების ნებადართული სიმბოლური აქტი, რომელიც საზეიმო ფორმულის თანხლებით ნათლად აჩვენებდა, რომ კრედიტორი კანონით ეუფლება მევალის პიროვნებას

manus iniectio iudicati [მა´ნუს *ინიე´კტიო/ინიე´კციო იუდიკა´ტი „განაჩენით ხელის დადება“]
I. კრედიტორის მიერ მოვალეზე ხელის დადებით მისი დაპატიმრება ვალის გადაუხდელობის გამო

manus iniectio pura [მა´ნუს *ინიე´კტიო/ინიე´კციო პუ´რა „სუფთა ხელის დადება“]
I. მოვალის უფლება შეპასუხებისა და თავის დაცვისა

manus sibi inferre [მა´ნუს სი´ბი ინფე´რრე „ხელის აღმართვა საკუთარ თავზე“]
I. თვითმკვლელობა → suicidium

mare nostrum [მა´რე ნო´სტრუმ „ჩვენი ზღვა“]
I. ტირენიის ზღვა

maritus [მარი´ტუს „ქმარი, მეუღლე“]
I. ქმარი, მეუღლე, რომელსაც ჰქონდა განსაზღვრული უფლებები, მაშინაც კი, როდესაც ის იყო filius familias-ი (ვაჟი, რომელიც მამის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა)

mater familias [მა´ტერ ფამი´ლიას „ოჯახის დედა“]
I. რომაელი ქალი, რომელიც არ იმყოფებოდა სხვა პირის ძალაუფლების ქვეშ

materia, materies [მატე´რია, მატე´რიეს „ნივთიერება“] მატერია
I. ნივთიერება, რომლისგანაც შედგება ნივთი ან იქმნება თავიდან

materialis [მატერია´ლის „ნივთიერი“] მატერიალური
II. მატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის მქონე ქონებრივი სიკეთე. „ეროვნულ ბანკს აქვს უპირატესი და უპირობო უფლება, დაიკმაყოფილოს ნებისმიერი მოთხოვნა დაფარვის ვადის დადგომისას მოვალის ანგარიშებზე არსებული სახსრების, სალაროს ნაშთების ან მოვალის საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივების ხარჯზე...“ (საქართველოს კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, 64(1)-ე მუხლი)
III. „...და აძლევს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ყოველგვარ ტექნიკურ თუ მატერიალურ საშუალებას ბეჭდვითი ნაწარმოების გამოსაცემად და უზრუნველჰყოფს მისი გავრცელების თავისუფლებას რესპუბლიკაში“ (კონსტ. – 1922, თავი I, 12)

mathematici (*ბერძნ.*) [მათემა´ტიკი „მათემატიკოსები“] მათემატიკოსები
I. ასტროლოგები. ჰოროსკოპების შედგენა იკრძალებოდა კანონით, რადგან განეკუთვნებოდა artes magicae-ს

matrimonium [მატრიმო´ნიუმ „ქორწინება“]
I. ქორწინება

matrimonium iuris gentium [მატრიმო´ნიუმ იუ´რის *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ „ხალხთა შორის კანონის მიხედვით ქორწინება“]
I. ქორწინება უცხოელებს შორის

matrimonium iustum [მატრიმო´ნიუმ იუ´სტუმ „კანონიერი ქორწინება“]
I. კანონიერი ქორწინება რომის მოქალაქეებსა ან რომის მოქალაქესა და უცხოელ მოქალაქეს შორის (რომელსაც აქვს conubium-ი), რომლის შედეგად იბადებიან რომის მოქალაქეობის მქონე ბავშვები

matrimonium legitimum → matrimonium iustum

matrimonium militis [მატრიმო´ნიუმ მი´ლიტის „ჯარისკაცის ქორწინება“]

I. სამხედრო სამსახურში მყოფი პირის ქორწინება, რომელიც რომის სამართლის მიხედვით, იყო უკანონო. ასეთი უკანონო ქორწინებით გაჩენილ შვილებს არ ჰქონდათ მემკვიდრეობის მიღების უფლება მამის ანდერძის გარეშე. ეს კანონი გაუქმდა მხოლოდ იმპერატორ ჰადრიანუსის დროს

matrona [მატრო´ნა „ქალბატონი“] მატრონა
I. დარბაისელი, ღირსეული ქალბატონი (მაშინაც კი, როდესაც მისი მეუღლე იყო მხოლოდ filius familiae)

mediatio [*მედია´ტიო/მედია´ციო „შუამავლობა“] მედიაცია
II., III. სასამართლოს მონაწილეობის გარეშე დავების გადაწყვეტის ფორმა, მესამე-ნეიტრალური, მიუკერძოებელი მხარის შუამავლობით. „სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმეების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი წესები, ამ თავის თავისებურებათა გათვალისწინებით“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, 187[2]-ე მუხლი)

mediator [მედია´ტორ „შუამავალი“] მედიატორი
II. მესამე, ნეიტრალური მხარე, რომელიც ეხმარება პირებს სამართლებრივი დავის გადაწყვეტაში „მედიატორისათვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ გასაჩივრდება“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, 187[1](2)-ე მუხლი)
III. „და როდესაც გაიხსნა რუსეთის მმართებლობა, აღმორჩევა წარმოებს მედიატორთა მოჩივართ კეთილნებობით, თვინიერ მართებულობის გარევითა. მისცემენ მედიატორთ ხელშეკრულების ჴელის წერილს და დაამოწმინებენ სასამართლოსაც“ (სჯულის დადება სამეგრელოს მემკვიდრე-მმართველის დავით დადიანის მიერ [1841 წ.], ქსძ, II, გვ. 580)

medicus [მე´დიკუს „ექიმი“] მედიკოსი
I. ექიმი, რომელიც იყო თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელი. ექიმები გათავისუფლებული იყვნენ საზოგადოებრივი მოვალეობებისაგან

membrana [მემბრა´ნა „ტყავი“] მემბრანა
I. პერგამენტი, ჩანაწერი პერგამენტზე

membranae [მემბრა´ნე მრ. რ. → membrana] მემბრანები
I. თხზულებები, რომლებიც მოკლე ჩანაწერებისგან შედგებოდა

memorandum [მემორა´ნდუმ „სამახსოვრო“] მემორანდუმი
II., III. შეთანხმება, რომელსაც არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. „ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ... ჟ) ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის საზედამხედველო ორგანოსთან საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, რაც შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის გაცვლას და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის დადებას...“ (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ – 1997, 21(ჟ)-ე მუხლი)

memoria [მემო´რია „მეხსიერება“] მემორია
I. სამახსოვრო წიგნაკი, სამახსოვრო ჩანაწერი
III. „ლექსი ესე ევროპისა არს, მემორიად სახელდებული. ესე იწოდების ჩვენსა ენასა ზედა საქმისა გარდაწყვეტილებად, რომლისა გარდაწყვეტილებასა ყოვლისა საქმისა მოკლითა გამოწურვითა გამოჰკრებენ საქმესა მოსამართლენი და

მიართმევენ სენათსა ყოველსა თვესა, ხოლო სენათი – მეფესა“ (სამართ. ბატ. დავ. C, 14)

mens legis [მენს ლე´გის „კანონის სულისკვეთება“]
I. კანონმდებლის განზრახვა

mensa [მე´ნსა „მაგიდა“]
I. მეკერმის მაგიდა

mensis [მე´ნსის „თვე“]
I. კალენდარული თვე

mensis intercalarius [მე´ნსის ინტერკალა´რიუს „ჩართული თვე“]
I. ნაკიანი თვე

menstruum [მე´ნსტრუუმ „ყოველთვიური“]
I. ყოველთვიური გადასახადი

mentalis reservatio → reservatio mentalis

mente captus [მე´ნტე კა´პტუ´ს „(შებოჭილი) სულით“]
I. სულით ავადმყოფი

mercator [მერკა´ტორ „ვაჭარი“] მერკატორი
I. ვაჭარი, მოვაჭრე

mercennarius [*მერკენნა´რიუს/მერცენნა´რიუს „დაქირავებული მსახური“]
I. გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად დაქირავებული პირი, დაქირავებული მებრძოლი, დღიური მოქირავნე

merces [*მე´რკეს/მე´რცეს „გასამრჯელო“]
I. ანაზღაურება, ქირა

merere [მე´რერე „დამსახურება“]
I. ფულის სანაცვლოდ მსახურება, ფულის გამომუშავება

meretrix, -icis [მერე´ტრიქს „მეძავი“]
I. მერეტრიკები იყვნენ persona turpes და infames, სანამ არ დაქორწინდებოდნენ კანონიერად. სენატორებსა და მათ ვაჟებს ეკრძალებოდათ **m**.-ზე ქორწინება. მეძავები გადიოდნენ რეგისტრაციას და იხდიდნენ სპეციალურ გადასახადს (vectigal meretricium). მეძავთან კავშირი არ ისჯებოდა stuprum-ის მსგავსად

merx [მე´რქს „საქონელი“]
I. საქონელი, ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს ვაჭრობის საგანი

merx peculii, merx pecularis → actio tributoria

metallum [მეტა´ლლუმ „ლითონი“] მეტალი
I. საბადო

damnatio in metallum [*დამნა´ტიო/დამნა´ციო ინ მეტა´ლლუმ „საბადოში მისჯა“]
I. საბადოში სამუდამოდ მუშაობის მისჯა, რომელიც უახლოვდებოდა სიკვდილით დასჯას

metropolita (*ბერძ.*) [მეტროპო´ლიტა „დედაქალაქისა“] მიტროპოლიტი
I. → ecclesia

metus [მე´ტუს „შიში“]

I. შიში, გამოძალვა, გარიგების დადების იძულება სერიოზული მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო სასჯელის აცილების მიზნით

meum esse [მე´უმ ე´სსე „ჩემი ქონება“]
I. ჩემი ქონება. მხარეთა ძირითადი მტკიცება legis actio sacramento-სა და rei vindicatio-ს დროს

migrare [მიგრა´რე „გადასახლება“]
I. სხვა ბინაში ან სხვა ქალაქში გადასახლება → interdictum de migrando; ius migrandi

migratio [*მიგრა´ტიო/მიგრა´ციო, „გადასახლება“] მიგრაცია
II., III. ადამიანების, ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ. „საქართველოს ტერიტორიაზე ან ტერიტორიულ წყლებში საბაჟო, ფისკალური, საიმიგრაციო ან სანიტარიული კანონმდებლობისა და წესების დარღვევის აღკვეთის მიზნით დგინდება მიმდებარე ზონა, რომელიც არის 12 საზღვაო მილის სიგანის ზღვის ზოლი და ღია ზღვის მხრიდან ესაზღვრება ტერიტორიულ წყლებს“ (საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ – 1998, მე-5(1) მუხლი)

miles, -tis [მი´ლეს „ჯარისკაცი“]
I. მებრძოლი, ჯარისკაცი

militaris [მილიტა´რის „სამხედრო, მებრძოლისა“] მილიტარული
I. სამხედრო, საჯარისო.

militarisatio (*საშ. ლათ.*) [*მილიტარისა´ტიო/მილიტარიზა´ციო „მილიტარიზაცია“] მილიტარიზაცია
II., III. სახელმწიფოს ან ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. წყობის დაქვემდებარება სამხედრო მიზნებისთვის. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევას რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მილიტარიზაცია წარმოადგენს“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №59 – 2008, 3.3-ე ნაწილი)

militia [*მილი´ტია/მილი´ცია „სამხედრო სამსახური“] მილიცია
I. სამხედრო სამსახური, სამხედრო ვალდებულება
II. საბჭოთა კავშირში სახელისუფლებო ორგანო, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვა. „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: საქართველოს რეგულარული არმიის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის, თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), მილიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-1921 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად“ (საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ – 1995, მე-9(ა) მუხლი)

III. „მუშათა და გლეხთა მილიციის ყოველ თანამშრომელს უნდა ახსოვდეს მტკიცედ, რომ წესრიგის დამყარებისა, დამნაშავეთა და ბოროტად განზრახული ელემენტების ლიკვიდაციის საქმეში მათ მოელით დიდი მუშაობა...“ (ბრძანება 33, 10 აპრილი, 1921 წ., აქტები 1922-1978, I, გვ. 35)

militia armata [*მილი´ტია/მილი´ცია არმა´ტა „შეიარაღებული სამხედრო სამსახური“]
I. იმპერატორ კონსტანტინუსის დროიდან: კოჰორტა, სამხედრო სამსახური

militia cohortalis [*მილი´ტია/მილი´ცია კოჰორტა´ლის „პირადი დაცვის სამსახური“]
I. იმპერატორ კონსტანტინუსის დროიდან სამოქალაქო სამოხელეო სამსახური

militia palatina → militia cohortalis

militia pedestris [*მილი´ტია/მილი´ცია პედე´სტრის „ქვეითი ჯარი“]
I. ქვეითი ჯარი

mil(l)iarium [მილ(ლ)ია´რიუმ „მილიარიუმი“] მილიარიუმი
I. ათასი (mille) რომაული ნაბიჯის მანძილის (1480 მ.) აღმნიშვნელი ბოძი

mimi (*ბერძ.*) [მი´მი „მიმი“] მიმი
I. მსახიობები, მოცეკვავეები

minimus [მი´ნიმუს „უმცირესი“] მინიმუმი
III. „რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განსაზღვროს მინიმუმი ხელფასი“ (კონსტ. – 1921, თავი 13, მუხლი 125)

minister [მინი´სტერ „უმდაბლესი, მსახური“] მინისტრი
I. დამხმარე, დაბალი რანგის მსახური; სამართალდარღვევის წამქეზებელი
II.1. მთავრობის წევრი, სამინისტროს ხელმძღვანელი. „ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინში „თანამდებობის პირი“ იგულისხმება შემდეგი პირები: ... ე) საქართველოს მინისტრი და მისი მოადგილე...“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ – 1997, მე-2(1)(ე) მუხლი); 2. სახელმწიფო მინისტრი – მთავრობის შემადგენლობაში მყოფი გარკვეულ დროებით საკითხთა მოსაგვარებლად დანიშნული პირი. „სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ: ... ბ) საქართველოს მთავრობის კანცელარია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები...“ (საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი – 1997, მე-2(ბ) მუხლი)
III. „ნაცულადვე მისსა აღიჰსთქუამს მეფე¤ცა განწესებად თავთა მთავართა მესამზღურეთა, ანუ მინისტრთა მისისა დიდებულებისათა...“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, არტიკული მეთერთმეტე, ქსძ, II, გვ. 471)

ministeriales [მინისტერია´ლეს „იმპერატორის ჩინოსნები“] მინისტერიალები
I. იმპერატორის კარზე მომსახურე ჩინოსნები
II., III. მინისტრების სამიტი, შეხვედრა. „მინისტერიალი აფხაზეთის სამინისტროებს შორის“ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ – 2013, მე-12(4)(2)(3) მუხლი)

ministerium [მინისტე´რიუმ „სამსახური, მსახურება“]
I. მინისტრის სამსახური, თანამდებობა

minores [მინო´რეს „უმცროსები“]
I. არასრულწლოვნები, 25 წელზე უმცროსი ასაკის ზრდასრული პირები

minutio capitis → c. deminutio

missilia [მისსი´ლია „წვრილი საჩუქრები“]
I. წვრილი საჩუქრები, განსაკუთრებით, ფული, რომელსაც დღესასწაულების დროს ისროდნენ ხალხში (ძირითადად ამას იმპერატორი აკეთებდა)

missio honesta [მი´სსიო ჰონე´სტა „პატიოსანი გათავისუფლება“]
I. ჯარიდან პატივით გათავისუფლება

missio ignominiosa [მი´სსიო *იგნომინიო´სა/იგნომინიო´ზა „სამარცხვინო გათავისუფლება“]
I. ჯარიდან პატივის გარეშე გათავისუფლება, განსაკუთრებით, დანაშაულის ჩადენისას

missio in possessionem [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ „მფლობელობაში შეყვანა“]
I. იძულებითი ზომა, რომელსაც იყენებდა პრეტორი და რომლის ძალითაც მოსარჩელეს შეეძლო დაუფლებოდა მოპასუხის სადავო ქონებას მთლიანად ან ნაწილობრივ

missio in possessionem Antoniana [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ ანტონია´ნა „ანტონიუსის მფლობელობაში შეყვანა“]
I. ლეგატარის მიერ მემკვიდრის ქონებიდან ნაყოფის მიღება, თუ მემკვიდრის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრე არ შეასრულებდა ლეგატარის წინაშე ანდერძით დაკისრებულ ვალდებულებას და არც ამ ვალდებულების შესრულების გარანტიას წარადგენდა

missio in possessionem bonorum (missio in bona) [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ ბონო´რუმ (მი´სსიო ინ ბო´ნა) „ქონების მფლობელობაში შეყვანა“]
I. სხვისი მთელი ქონების მფლობელობაში შესვლა

missio in possessionem dotis servandae causa [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ დო´ტის სერვა´ნდე *კაუ´სა/კაუ´ზა „მზითევის მფლობელობაში შესვლის უფლების გასაჩივრება“]
I. აღნიშნული იძულებითი ზომა გამოიყენებოდა განქორწინებისას ცოლის მიერ საკუთარი მზითვის უკან დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად

missio in possessionem ex edicto Hadriani [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ ექს ედი´კტო ჰადრია´ნი „ჰადრიანუსის ედიქტიდან გამომდინარე მფლობელობაში შესვლა“]
I. იმპერატორ ჰადრიანუსის ედიქტის საფუძველზე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლება გადასახადების გადახდის შემდეგ ერთი წლის თავზე

missio in possessionem rei [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ რე´ი „ცალკეული ნივთის მფლობელობაში შესვლა“]
I. სხვისი ქონების ცალკეული ნივთის მფლობელობაში შესვლა

missio in possessionem ventris nomine [მი´სსიო ინ პოსსესსიო´ნემ ვე´ნტრის ნო´მინე „(დედის) საშოს სახელით მფლობელობაში შესვლა“]

I. ქონების დაუფლება დაუბადებელი ბავშვის მემკვიდრეობის უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად

missus in possessionem [მი´სსუს ინ პოსსესსიო´ნემ „მფლობელობის რწმუნებული“]
I. პირი, რომელსაც პრეტორის მიერ ენიჭებოდა სასამართლო პროცესზე მისი მოწინააღმდეგის ქონების დაუფლების უფლება

mittere [მი´ტტერე „გაგზავნა, გადაგდება“]
I. გაშვება, შეწყვეტა, მიტოვება

modus [მო´დუს „საზომი, ხერხი, წესი“] მოდუსი
I. პირობა, რომლის ძალითაც პირს გარკვეული წესით უნდა ემოქმედა უანგაროდ რაიმეს მიღებისას ან მონობიდან გათავისუფლებისას

modus qualificatus [მო´დუს კვალიფიკა´ტუს „კვალიფიციური წესი“]
I. პირობა, რომელსაც აქვს სავალდებულო ძალა

modus simplex [მო´დუს სი´მპლექს „მარტივი წესი“]
I. პირობა, რომელსაც არა აქვს სავალდებულო სახე

momentarius, momentaneus [მომენტა´რიუს, მომენტა´ნეუს „დროებითი“] მომენტალური
I. დროებითი, გარდამავალი

momentum [მომე´ნტუმ „წამი, მომენტი“] მომენტი
I. 1. მომენტი – იურიდიული მნიშვნელობით; 2. აწმყო, მომენტი
III. „სსრ კავშირიდან საქართველოს რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან საქართველოს რესპუბლიკა გასულად ითვლება სსრ კავშირიდან“ (კონსტ. – 1978 (1991 მდგ.), III, თავი 7, მუხლი 69)

monachus (*ბერძნ.*) [მო´ნახუს „ბერმონაზონი“]
I. გვიანკლასიკურ სამართალში ბერმონაზვნები ქმედუუნარო პირები იყვნენ, მათი ქონება გადაეცემოდა მონასტერს

monopolium (*ბერძნ.*) [მონოპო´ლიუმ „მონოპოლია“] მონოპოლია
I. ქონების გაყიდვის ექსკლუზიური უფლება; კლასიკურის შემდგომი სამართალი კრძალავდა **m**.-ს ყოველდღიური საჭიროების საგნებზე
II. ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტისთვის გარკვეული სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლების მინიჭება. „...აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა...“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 30(2)-ე მუხლი)
III. „...პრესის გავრცელებაზე, სახელმწიფო მონოპოლია არ არსებობს...“ (საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ – 1991, მე-17(1) მუხლი)

monstrum [მო´ნსტრუმ „მომასწავებელი ნიშანი, ურჩხული“] მონსტრი
I. მახინჯი → infanticidium

monumenta [მონუმე´ნტა „ქანდაკებები“] მონუმენტები
I. დოკუმენტები, რომლებიც მუდმივად ინახებოდა საჯარო არქივებში

monumentum [მონუმე´ნტუმ „შეხსენება“] მონუმენტი
I. ძეგლი, განსაკუთრებით, სამარხისა

monumentum Ancyranum [მონუმე´ნტუმ ანკირა´ნუმ „ანკირის მონუმენტი“]
I. ანკირის მონუმენტი (მარმარილოში ამოკვეთილი, ავგუსტუსის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ავტობიოგრაფიული მიმოხილვა (ბერძნულ და ლათინურ ენებზე) → Res gestae divi Augusti

monumentum Antiochenum [მონუმე´ნტუმ ანტიოხე´ნუმ „ანტიოქური მონუმენტი“]
I. ანკირის მონუმენტის ცალკეული ფრაგმენტების შემცველი (შემავსებელი) წარწერა, რომელიც ანტიოქიაშია ნაპოვნი

mora [მო´რა „დაყოვნება, დახანება“]
I. დრო, რომლითაც ყოვნდება მოვალის ან კრედიტორის მიზეზით ვალდებულებათა შესრულება

mora accipiendi [მო´რა *აკკიპიე´ნდი/აკციპიე´ნდი „მიღების ვადაგადაცილება“]
I. კრედიტორის მიერ მოვალისგან შესრულების მიუღებლობა ან კრედიტორის მიერ დაბრკოლების შექმნა ვალდებულებათა შესრულებისათვის

mora creditoris → mora accipiendi

mora debitoris [მო´რა დებიტო´რის „მოვალის ვადაგადაცილება“]
I. ვალდებულებათა შესრულების ვადაგადაცილება მოვალის მხრიდან, რომელიც შეგნებულად და ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას

mora ex re [მო´რა ექს რე „ვადაგადაცილება საქმიდან (გამომდინარე)“]
I. ვადაგადაცილება, რომელიც ავტომატურად დგება შეთანხმებიდან ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე

moralis [მორა´ლის „ზნეობრივი, ეთიკური“] მორალური
II. მორალური ზიანი – ფიზიკური პირისთვის მიყენებული ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა. „...მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, მე-18(6) მუხლი)
III. „სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას“ (კონსტიტუცია – 1978, I, თავი 2, მუხლი 14)

moratorium [მორატო´რიუმ „გადავადება“] მორატორიუმი
I. ვადა (არაუმეტეს 5 წლისა), რომლის განმავლობაში კრედიტორებს არ ჰქონდათ ვალის გადახდის მოთხოვნის უფლება
II. ვალდებულების შესრულების გადავადება სახელისუფლებო ორგანოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. „ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ: ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი)...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 132(ა)-ე მუხლი)
III. „სარჩელის ხანდაზმულობის დენა შეჩერდება... ვალდებულებისათვის გამოცხადებული მორატორიუმის ძალით“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1923, თავი V, 48)

morbus [მო´რბუს „ავადმყოფობა“]
I. დაავადება, ავადმყოფობა

morbus comitialis [მო´რბუს *კომიტია´ლის/კომიცია´ლის „ბნედა“]
I. ეპილეფსია. ეპილეფსიის შეტევა იყო სახალხო კრების (comitia) დაუყოვნებლივი დაშლის მიზეზი, რადგან ითვლებოდა ცუდ ნიშნად

morbus perpetuus [მო´რბუს პერპე´ტუუს „მუდმივი დაავადება“]
I. ქრონიკული დაავადება არ იყო მიზეზი ვალდებულებათა შესრულების და სასამართლო წარმოების გადადებისა

morbus sonticus [მო´რბუს სო´ნტიკუს „საშიში დაავადება“]
I. მწვავე საშიში დაავადება, რომელიც გამოიყენება ვალდებულებების შეუსრულებლობის ან სასამართლო წარმოების გადასავადებლად

mores boni [მო´რეს ბო´ნი „კარგი ჩვეულებები“]
I. წინაპართა ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მოგვიანებით მომდევნო თაობებისთვის კეთილ მაგალითად და პირველწყაროდ იქცა სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტებისათვის

mores familiares [მო´რეს ფამილია´რეს „ოჯახის ზნე-ჩვეულებანი“]
I. ოჯახური ურთიერთობებისთვის ნიშანდობლივი ზნე-ჩვეულებათა ერთობლიობა

mores graviores [მო´რეს გრავიო´რეს „სერიოზული ზნეობრივი შეცოდებანი“]
I. სერიოზული ზნეობრივი დანაშაულებები (უმეტესად adiulterium)

mores leviores [მო´რეს ლევიო´რეს „მსუბუქი ზნეობრივი შეცოდებანი“]
I. უმნიშვნელო შეცოდებანი ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში

mores maiorum [მო´რეს მაიო´რუმ „წინაპართა ზნე-ჩვეულებანი“]
I. წინაპართა ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მომდევნო თაობათა სანიმუშო წესებად იქცნენ

mores mariti [მო´რეს მარი´ტი „ქმრის ზნენი“]
I. ქმრის ზნეობრივად გაუმართლებელი საქციელი

mores mulieris [მო´რეს მულიე´რის „ქალის ზნენი“]
I. ქალის ზნეობრივად მდაბალი საქციელი, განსაკუთრებულად – ცოლის

mors [მორს „სიკვდილი“]
I. გარდაცვალება, დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან იურიდიულ შედეგებთან: მემკვიდრეობის წარმოშობასთან, გარკვეული სახის რელიგიურ ვალდებულებებთან, გარკვეული ვალდებულებების შეწყვეტასთან და ა.შ.

mors inulta → indignus

mors litis [მორს ლი´ტის „სასამართლო პროცესის სიკვდილი“]
I. სასამართლო პროცესის შეწყვეტის აღმნიშვნელი გამონათქვამი

mos (მრ. რ. **mores**) [მოს „ზნე“]
I. ჩვეულება, ზნე-ჩვეულება; **mores** – ეთიკური, ყველას მიერ აღიარებული ნორმები რომაულ საზოგადოებაში, რომელთა შესრულება იურიდიულად სავალდებულო არ იყო

motus [მო´ტუს „მოძრაობა“]
I. მღელვარება

motus animi [მო´ტუს ა´ნიმი „სულიერი მღელვარება“]
I. სულიერი აღელვება, მოტივი, წაქეზება

motus servilis [მო´ტუს სერვი´ლის „მონათა მოძრაობა“]
I. მონათა აჯანყება

mulieres [მულიე´რეს „ქალები“]
I. ქალები, გათხოვილი ქალები

mulieres probrosae → feminae probrosae

mulieres quaestuariae, mulieres vulgares → meretrices

multa [მუ´ლტა „ჯარიმა“]
I. ფულადი ჯარიმა, რომელსაც მაგისტრატი აკისრებდა

multa fiscalis [მუ´ლტა ფისკა´ლის „ფისკალური ჯარიმა“]
I. სახელმწიფო ხაზინაში გადასახდელი ჯარიმა

multa fisceo debita → multa fiscalis

multa funeraria [მუ´ლტა ფუნერა´რია „დასაფლავების ჯარიმა“]
I. ფულადი ჯარიმა მას, ვინც ხელს უშლიდა დასაფლავებას

multa maxima [მუ´ლტა მა´ქსიმა „მაქსიმალური ჯარიმა“]
I. ჯარიმა, რომელიც დამრღვევს ქონების ნახევრის გადახდას აკისრებდა

multa minima [მუ´ლტა მი´ნიმა „მინიმალური ჯარიმა“]
I. 10-იდან 3020 ასსამდე ჯარიმა

multa praeiudicialis [მუ´ლტა *პრეიუდიკია´ლის/პრეიუდიცია´ლის „წინა სასამართლოს ჯარიმა“]
I. interlocutio-ს წინააღმდეგ აპელაციის შემტანი მხარისთვის დაკისრებული ჯარიმა

multa sepulchralis [მუ´ლტა სეპულხრა´ლის „საფლავის ჯარიმა“]
I. ჯარიმა საფლავის დანგრევისთვის

multa testamentaria [მუ´ლტა ტესტამენტა´რია „ანდერძის ჯარიმა“]
I. ანდერძით გათვალისწინებული ჯარიმა ანდერძის შეუსრულებლობისათვის

munera (publica) [მუ´ნერა (პუ´ბლიკა) „(საჯარო) ბეგარები“]
I. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ბეგარები; სამსახური, რომელიც პირს სახელმწიფოს ან საზოგადოების წინაშე უნდა შეესრულებინა

munera mixta [მუ´ნერა მი´ქსტა „შერეული ბეგარები“]
I. შერეული სახის ბეგარები, რომლებიც მოიცავდა როგორც ფულად ჯარიმებს, ისე საზოგადოებრივად სასარგებლო სამსახურს

munera patrimonialia [მუ´ნერა პატრიმონია´ლია „მემკვიდრეობითი ბეგარები“]
I. ფულადი ჯარიმები

munera personalia [მუ´ნერა პერსონა´ლია „პირადი ბეგარები“]
I. ჯარიმები, რომლებიც გულისხმობდა პირის მიერ გარკვეული სამსახურის შესრულების ვალდებულებას

munera possessionum [მუ´ნერა პოსსესსიო´ნუმ „საკუთრების ბეგარები“]
I. ჯარიმები, რომლებიც წესდებოდა უძრავ ქონებაზე

munera sordida [მუ´ნერა სო´რდიდა „დაბალი ბეგარები“]
I. ყველაზე დაბალი რიგის ბეგარები

municipalis [*მუნიკიპა´ლის/მუნიციპა´ლის „მუნიციპალური“] მუნიციპალური
I. მუნიციპალური
II. ტერიტორიულ თვითმმართველ ერთეულთან დაკავშირებული. „მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: ... ე) დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება...“ (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ – 2005, მე-16(2)(ე) მუხლი)
III. „ადგილობრივი (მუნიციპალური) საწარმოს შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №183 – 1993)

municipalisatio (*საშ. ლათ.*) [*მუნიკიპალისა´ტიო/მუნიკიპალიზა´ციო „მუნიციპალიზაცია“] მუნიციპალიზაცია
III. „ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია – ქმნილი საწარმო... არ შეიძლება გასხვისებულ და დაგირავებულ იქნეს იმ ორგანოს მიერ, რომლის გამგებლობაშიაც იგი არის და აგრეთვე მოქცეულ იქნეს კრედიტორების დასაკმაყოფილებლად“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1923, თავი III, 22)

municipes [*მუნი´კიპეს/მუნი´ციპეს „მუნიციპიუმის მოქალაქეები“]
I. მუნიციპიის მოქალაქეები

municipia Latina [*მუნიკი´პია/მუნიცი´პია ლატი´ნა „ლათინური მუნიციპიები“]
I. მცირე რაოდენობა ლათინური ქალაქებისა, რომლებსაც შეუნარჩუნდა დამოუკიდებლობა ლათინური კავშირის დაშლის შემდეგ (ძვ.წ. 338 წ.), თუმცა ისინი ვალდებულნი იყვნენ რომისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინათ და უარი ეთქვათ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე

municipium [*მუნიკი´პიუმ/მუნიცი´პიუმ „მუნიციპალური ქალაქი“]
I. რომის მიერ დაპყრობილი თავისუფალი ქალაქი (თვითმმართველობის უფლებით)

munus [მუ´ნუს „ვალდებულება, საჩუქარი“ (მრ.რ. – munera)]
I. ვალდებულება, ძღვენი, საჩუქარი

munus nuptiale [მუ´ნუს *ნუპტია´ლე/ნუპცია´ლე „საქორწინო საჩუქარი“]
I. საქორწინო საჩუქარი

murus [მუ´რუს „კედელი“]
I. ქალაქის კედლები (mura), რომლებიც ეკუთვნოდა res sanctae-ს

mutatio [*მუტა´ტიო/მუტა´ციო „ცვლილება“] მუტაცია
I. შეცვლა, გადასხვაფერება

mutatio familiae [*მუტა´ტიო/მუტა´ციო ფამი´ლიე „ოჯახის ცვლილება“]
I. ოჯახური სტატუსის ცვლილება

mutatio iudicis [*მუტა´ტიო *იუ´დიკის/მუტა´ციო იუ´დიცის „მოსამართლის ცვლილება“]
I. მოსამართლის ცვლილება ლიტისკონტესტაციის შემდეგ

mutatio militiae [*მუტა´ტიო *მილი´ტიე/მუტა´ციო მილი´ციე „ჯარისკაცის გადაადგილება“]
I. ჯარისკაცის გადაყვანა (დასჯის მიზნით) სხვა, უარეს სამსახურში

mutatio rei [*მუტა´ტიო/მუტა´ციო რე´ი „საკუთრების ცვლილება“]
I. → ususfructus

muti [მუ´ტი „მუნჯები“]
I. მუნჯი ითვლებოდა ავადმყოფად, შეზღუდული უფლებაუნარიანობით

mutua fideiussio → fideiussio mutua

mutuum [მუ´ტუუმ „სესხი“]
I. სესხი

N

n. = dies nefasti

narratio [*ნარრა´ტიო/ნარრა´ციო „თხრობა“] ნარაცია
I. კლასიკურის შემდგომ სამართალში მოსარჩელის მიერ საქმის გარემოებათა აღწერა, რომელსაც უპირისპირდება მოპასუხის პასუხი (contradictio)

nasciturus [*ნასკიტუ´რუს/ ნასციტუ´რუს „დასაბადებელი“]
I. დედის მუცელში არსებული ნაყოფი, ჯერჯერობით არ წარმოადგენს პიროვნებას, თუმცა სამართალი წინასწარ იცავს მის მომავალ ინტერესებს, განსაკუთრებით მემკვიდრეობის მიღების საკითხში, რასთან დაკავშირებით შეიძლება დაინიშნოს მეურვე

natales [ნატა´ლეს „წარმომავლობასთან დაკავშირებული“]
I. წარმომავლობა; საგვარეულო სტატუსი

natalium restitutio [ნატა´ლიუმ *რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო „წარმომავლობის აღდგენა“]
I. წარმომავლობის აღდგენა – განსაკუთრებით გამოჩენილი გათავისუფლებული მონებისთვის იმპერატორის მიერ ბოძებული პრივილეგია, რომელიც წყვეტს ius patronatus-ს და ანიჭებს პიროვნებას რომის მოქალაქეებთან თანასწორ უფლებებს

nationalisatio (*საშ. ლათ.*) [*ნატიონალისა´ტიო/ნაციონალიზა´ციო „ნაციონალიზაცია“] ნაციონალიზაცია
II. კერძო საკუთრების უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში. „თითოეული მონაწილე მხარის მოქალაქეების ან კომპანიების კაპიტალდაბანდებები არ უნდა იყოს ექსპროპრირებული, ნაციონალიზებული...“ (ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობას შორის კაპიტალდაბანდებების წახალისებისა და დაცვის შესახებ – 1995, მე-5(1) მუხლი)

III. „ყველა აფთიაქის პატრონი, მოიჯარადე ან მისი მოადგილე უკეთუ წინააღმდეგობას გაუწევს აფთიაქების ნაციონალიზაციის განხორციელებას, გადამალავს ან გაიტანს აფთიაქიდან საქონელს, ინვენტარს ან სხვა ქონებას, მიეცემა რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში“ (დეკრეტი 33, 14 მაისი, 1921 წ., 4, აქტები 1921-1978, გვ. 50-51)

natura [ნატუ´რა „ბუნება, გვარი“] ნატურა
I. ბუნებრივი მდგომარეობა, საგანთა ნორმალური მდგომარეობა თანახმად მათი მატერიალური და ფიზიკური თვისებებისა
II., III. 1. ნატურით შემოსავალი – არაფულადი სახით (საქონლით ან მომსახურებით) მიღებული შემოსავალი. „წინამდებარე მუხლის (1) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის დებულების მიუხედავად, ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეზღუდოს ნატურით შემოსავლის ტრანსფერტი...“ (შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ – 2001, მე-7(3)(1) მუხლი); 2. ნატურით ანაზღაურება – არაფულადი სახით (საქონლით ან მომსახურებით) ანაზღაურება. „...ერთ–ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს ინვესტორისათვის დანაკარგის ანაზღაურება ნატურით“ (შეთანხმება საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ – 2001, 22(1)(დ)-ე მუხლი)

natura actionis [ნატუ´რა *აკტიო´ნის/აკციო´ნის „ქმედების ბუნება“]
I. სარჩელის იურიდიული სტრუქტურა

natura contractus [ნატუ´რა კონტრა´კტუს „შეთანხმების ბუნება“]
I. რაიმე შეთანხმების სამართლებრივი ხასიათი, ბუნება

natura hominum [ნატუ´რა ჰო´მინუმ „ადამიანთა ბუნება“]
I. ადამიანთა ნორმალური ფიზიკური და სულიერი თავისებურებანი

natura negotii [ნატუ´რა *ნეგო´ტიი/ნეგო´ციი „საქმის ბუნება (გვარი)“]
I. იურიდიული აქტის ნორმალური მდგომარეობა

natura obligationis [ნატუ´რა *ობლიგატიო´ნის/ობლიგაციო´ნის „ვალდებულების ბუნება“]
I. → natura negotii

natura rei (rerum) [ნატუ´რა რე´ი (რე´რუმ) „საგნის (საგნების) ბუნება“]
I. ნივთების ბუნებრივი მდგომარეობა, მათი მატერიალური და ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე

naturalis [ნატურა´ლის „ბუნებრივი“] ნატურალური
I. ბუნებრივი, ნამდვილი, ჭეშმარიტი, თავისთავადი
III. „განხორციელება ნატურალური ბეგარისა, რომელიც დაკისრებული აქვთ მიწის მომუშავე მცხოვრებთ...“ (დეკრეტი 23, I, ბ, ბ; 15 აპრილი 1921 წ., აქტები 1921-1978, I, გვ. 38)

naturalis cognatio → cognatio naturalis

naturalis familia → familia naturalis

naturalis obligatio → obligationes naturalis

naturalisatio (*საშ. ლათ.*) [*ნატურალისა´ტიო/ნატურალიზა´ციო „ნატურალიზაცია“] ნატურალიზაცია
II. პირის მიერ მოქალაქეობის მიღება საკუთარი განცხადებით. „საქართველოს მოქალაქეობის შეძენა ხდება:... ბ) საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაციით)...“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ -1993, მე-10(ბ) მუხლი)
III. „საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით“ (კონსტიტუცია – 1921, თავი 2, მუხლი 12)

nauarchus (*ბერძნ.*) [ნავა´რხუს „გემის კაპიტანი“] ნავარქოსი
I. ხომალდის მეთაური, გემის კაპიტანი

nauarchus classis [ნავა´რხუს კლა´სის „ფლოტის ხელმძღვანელი“]
I. რომაული სამხედრო ფლოტის სარდალი

naufragium [ნაუფრა´გიუმ „გემის დაღუპვა“]
I. ხომალდის დაღუპვა, რომელიც მიიჩნეოდა casus fortuitus-ად

nauta (*ბერძნ.*) [ნაუ´ტა „ნაოსანი, მეზღვაური“]
I. ხომალდის მესაკუთრე, რომელიც პასუხს აგებდა ხომალდით გადასაზიდ ტვირთზე

naviculariі [ნავიკულა´რიი „ხომალდის მეპატრონეები“]
I. ხომალდის მესაკუთრეები, რომლებიც რომში სურსათის შემოტანით იყვნენ დაკავებულნი

necessarii [*ნეკე´სსარიი/ნეცე´სსარიი „აუცილებელნი“]
I. ნათესავები

necessitas, -atis [*ნეკესსიტა´ს/ნეცესსიტა´ს „აუცილებლობა“]
I. აუცილებლობა, იძულება → obligatio, probatio

necessitudo [*ნეკესსიტუ´დო/ნეცესსიტუ´დო „ნათესაობა“]
I. ნათესაობა, ნათესავები

nefas [ნე´ფას „უკანონობა“]
I. 1. უწმინდურება, ცოდვა, ღმერთების შეურაცხყოფა, საკრალური შეცოდება, რისთვისაც დამნაშავე ისჯებოდა ღმერთებისაგან 2. ნორმები, რომლებიც ეხება მამის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, მამის შეურაცხყოფას, კულტის შებილწვას, სიწმინდის, საფლავების შებღალვას (მკრეხელობას), სტუმართმოყვარეობის წესის დარღვევა და ა.შ.

nefasti dies [ნეფა´სტი დი´ეს „არასადღესასწაულო დღეები“]
I. არასადღესასწაულო დღეები

negare [ნეგა´რე „უარყოფა“]
I. უარყოფა

neglegentia [*ნეგლეგე´ნტია/ნეგლეგე´ნცია „დაუდევრობა“]
I. სათანადო ზრუნვის ნაკლებობა კლასიკურისშემდგომ ეპოქაში უთანაბრდება culpa-ს

neglegentia nimia (magna) → culpa lata

negotiorum gestus (negotiorum gestio) [*ნეგოტიო´რუმ გე´სტუს (*ნეგოტიო´რუმ *გე´სტიო)/ნეგოციო´რუმ გე´სტუს (ნეგოციო´რუმ გესციო) „საქმეთა წაყვანა“]
I. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

negotium [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ „საქმიანობა, საქმე“]
I. შეთანხმების, გარიგების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი

negotium bonae fidei [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ ბო´ნე ფი´დეი „ნდობის გარიგება“]
I. კეთილსინდისიერი განზრახვა ხელშეკრულების დადების, მოლაპარაკების წარმოების და ა.შ.

negotium claudicantium [*ნეგო´ტიუმ *კლაუდიკა´ნტიუმ/ნეგო´ციუმ კლაუდიკა´ნციუმ „კოჭლი შეთანხმება“]
I. „კოჭლი შეთანხმება“, მაგ., ორმხრივი შეთანხმება, რომელიც იდებოდა მონის ან არასრულწლოვნის მიერ auctoritas tutoris-ის გარეშე

negotium communae [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ კომმუ´ნე „საერთო საქმე“]
I. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, რომლის დროსაც gestor-ი (შემსრულებელი) ასრულებს ნაწილობრივ სხვის, ნაწილობრივ – საკუთარ საქმეს

negotium mixtum cum donatione [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ მი´ქსტუმ კუმ *დონატიო´ნე/დონაციო´ნე „შერეული შეთანხმება ჩუქებით“]
I. შეთანხმება, რომელშიც ერთი მხარე სთავაზობდა მეორეს განსაკუთრებულ სარგებელს animo donandi-ს (მაგ., ნივთის ნასყიდობას რეალურ ფასზე დაბალ ფასად)

negotium novum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ ნო´ვუმ „ახალი შეთანხმება“]
I. ხელშეკრულება, რომლის შესრულებას იცავდნენ არა iuris civilis-ის, არამედ ius honorariis-ის სარჩელები

negotium nullum (nullius momenti) [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ ნუ´ლლუმ (ნუ´ლლი´უს მომე´ნტი) „ბათილი შეთანხმება (გაბათილებული გადაწყვეტილების)“]
I. არსებითი რეკვიზიტების არარსებობის გამო ბათილი იურიდიული ქმედება

negotium purum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ პუ´რუმ „სუფთა შეთანხმება“]
I. უპირობო იურიდიული ქმედება

negotium simulatum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ სიმულა´ტუმ]
I. მოჩვენებითი იურიდიული ქმედება

negotium stricti iuris [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ სტრი´კტი იუ´რის „ვიწრო სამართლის შეთანხმება“]
I. ვიწრო ცალმხრივი შეთანხმება

negotium suum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ სუ´უმ „პირადი საქმე“]
I. იურიდიული ან ფაქტიური საქმე, რომელიც ეხება gestor-ის პირად საქმეს

negotium utiliter coeptum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ უტი´ლიტერ *კე´პტუმ/ცე´პტუმ „(ვიღაცის) სასარგებლოდ დაწყებული საქმე“]
I. კეთილსინდისიერი, გონივრული ძალისხმევა, რომელიც უნდა გამოეჩინა პირს

negotium utiliter gestum [*ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ უტი´ლიტერ გე´სტუმ „(სხვის) სასარგებლოდ წაყვანილი საქმე“]
I. სხვა პირის სასარგებლოდ წარმატებულად განხორციელებული საქმე

nemo [ნე´მო „არავინ“]
I. არავინ. ტერმინი, რომელიც ხშირად გვხვდება რომაულ წესებსა და დეფინიციებში

nepos, -potis [ნე´პოს „შვილიშვილი“]
I. შვილიშვილი (ვაჟი)

nepotes [ნეპო´ტეს „შვილიშვილები“]
I. nepos-ის მრ. რიცხვი, შედის ტერმინ filii-ს განსაზღვრებაში
II. მისგან განვითარდა ტერმინი ნეპოტიზმი – საკუთარი ნათესავების, ახლობლების მფარველობა. „...კორუფცია სხვადასხვა ფორმით ვლინდება და მავნე ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. საჭიროა განისაზღვროს კორუფციისადმი მგრძნობიარე სფეროები და ამ სფეროებში გავრცელებული კორუფციული ქმედებების ტიპოლოგია, რომ თავიდან ავიცილოთ ქრთამის, მისაკუთრების, თაღლითობის, გამოძალვის ... და ნეპოტიზმის შემთხვევები“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №376 – 2010, პრეამბულა)
III. „...ბუნებრივია, არსებული ქაოსი უარყოფითი შედეგის გარეშე ვერ ჩაივლიდა: დღეს საქართველოს სკოლებში ხშირია ნეპოტიზმისა და კორუფციის ფაქტები როგორც მასწავლებლებისა და მოსწავლეების, ისე სკოლების დირექციებისა და მასწავლებლების ურთიერთობაში.“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №29 – 2006, შესავალი)

neptis [ნე´პტის „შვილიშვილი (ქალი)“]
I. შვილიშვილი (ქალი)

neutralis (*საშ. ლათ.*) [ნეუტრა´ლის „საშუალო“] ნეიტრალური
I. ნეიტრალური
II. 1. ნეიტრალური სახელმწიფო – 1.1) სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია, არ მიიღოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში (გარდა თავდაცვითი ომებისა), არ გაწევრიანდეს სამხედრო კოალიციებში, არ დაუშვას საკუთარ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოების სამხედრო ძალების განთავსება; 1.2) სახელმწიფო, რომელიც არ ემხრობა არც ერთ მეომარ მხარეს. „საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ემბლემის დაცვითი ფუნქციით გამოყენების უფლება შეიძლება მიეცეთ შემდეგ პირებსა და ობიექტებს: ა) პირები: ... ა.ბ) ამ კონფლიქტში ნეიტრალური და სხვა ქვეყნების წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებების თანამშრომლები...“ (საქართველოს კანონი წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ემბლემებისა და სახელწოდებების შესახებ – 1997, მე-5(ა)(ბ) მუხლი); 2. პირადობის ნეიტრალური მოწმობა, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი – პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაიცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრებ პირებზე, რომელთაც არა აქვთ მიღებული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი. „პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღების უფლება არა აქვს პირს, რომელზედაც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან/და საქართველოს მოქალაქის პასპორტი“ (საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და

საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ – 1996, მე-20[13](2)-ე მუხლი); 3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება – ადგილის, დროისა თუ ფორმის მიხედვით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ისეთი არადისკრიმინაციული შეზღუდვა, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას. „შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულირება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ გამოხატვის ადგილის, დროისა და ფორმის მიხედვით ისეთ არადისკრიმინაციულ შეზღუდვას, რომელიც გავლენას არ ახდენს ინფორმაციის ან იდეების შინაარსზე ან გამომხატველობით ეფექტზე ან ტოვებს მათი სხვა გზებით გამოხატვის ეფექტიან შესაძლებლობას“ (საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ – 2004, მე-10(2) მუხლი)
III. „საერთაშორისო კონფლიქტების დროს საქართველო ნეიტრალურია“ (დამოუკიდებლობის აქტი – 1918, დამატება I, 3)

nexum [ნე´ქსუმ „შეკრული“]
I. სესხების უძველესი ფორმა, რომელიც ხორციელდებოდა per aes et libram – ის ფორმით. თუ მევალე – პლებეი (nexus) არ აბრუნებდა ვალს დროზე, იგი კრედიტორ-პატრიციუსის განკარგულებაში ხვდებოდა, ამ უკანასკნელს შეეძლო დაედო მისთვის ბორკილები, მოეკლა ან საკუთარ მონად გაეხადა, სანამ იგი თავისი შრომით არ დაფარავდა ვალს

nobiles [ნო´ბილეს „სახელგანთქმულები, კეთილშობილები“]
I. უმაღლესი რანგის მაგისტრები, მათი შთამომავლები და სენატორების ოჯახები, რომლებიც განეკუთვნებოდნენ არისტოკრატების წრეს

nobilissimus [ნობილი´სსიმუს „უკეთილშობილესი, ყველაზე სახელგანთქმული“]
I. იმპერატორის, შემდეგში – მისი ოჯახის წევრების საპატიო ტიტული

nobilitas, -tatis [ნობი´ლიტას „ნობილიტეტი“] ნობილიტეტი
I. უმაღლესი მაგისტრატები, მათი შთამომავლები და სენატორის ოჯახის წევრები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ არისტოკრატთა წრეს

nolle [ნო´ლლე „სურვილის არ ქონა“]
I. უარის თქმა, ანტ. → velle

noluntas [ნოლუ´ნტას „სურვილის არ ქონა“]
I. სურვილის უქონლობა

nomen [ნო´მენ „სახელი, სახელწოდება“]
I. 1. რომის თავისუფალი მოქალაქის პირადი სახელი, რომელიც შედგებოდა სამი ნაწილისაგან: praenomen (საკუთარი სახელი), nomen gentile, nomen gentilicium (საგვარეულო სახელი) და cognomen (გვარის ერთ-ერთი შტოს ოჯახის სახელი), მაგ. Marcus Tullius Cicero მარკუს ტულიუს ციცერონი; იურიდიულ ტექსტებში ფიგურირებს აგრეთვე შეთხზული საზოგადო სახელები: Titius (მამაკაცისთვის), Seia (ქალისთვის), Stichus (მონისთვის), Aulus Agerius (მოსარჩელესთვის), Numerius Negidius (ზოგადად მოპასუხესთვის); 2. სახელწოდება, აღნიშვნა; 3. სავალო მოთხოვნა; 4. სარჩელი

nomen actionis [ნო´მენ *აკტიო´ნის/აკციო´ნის „სარჩელის სახელწოდება (აღნიშვნა)“]
I. სარჩელის სახელწოდება

nomen arcarium [ნო´მენ არკა´რიუმ „ფულადი სავალო მოთხოვნა“]
I. ფაქტიური შემოსავლების ჩანაწერი, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ მტკიცებულებითი ძალა

nomen bonum [ნო´მენ ბო´ნუმ „ქონებრივი სავალო მოთხოვნა“]
I. სავალო მოთხოვნა, რომელიც განხორციელებადია

nomen Latinum [ნო´მენ ლატი´ნუმ „ლათინური კავშირი“]
I. 1. ლათინური წარმოშობის ხალხი; 2. ავტონომიურ ქალაქთა კავშირი საკუთარი დამოუკიდებელი ფედერალური ორგანოებით. დაფუძნდა ტრადიციის თანახმად, ძვ.წ. 500 წ. და ჰქონდა მჭიდრო კავშირი რომთან

nomenclator [ნომენკლა´ტორ „ნომენკლატორი“] ნომენკლატორი
I. მონა, რომელიც ვალდებული იყო სცოდნოდა და შეეხსენებინა თავისი ბატონისთვის მოქალაქეთა სახელები (განსაკუთრებით არჩევნების დროს) და ყველა მონისა – სახლში და ასევე გამოეცხადებინა კერძების სახელწოდებები სადილზე

nomenclatura [ნომენკლატუ´რა „სია, ჩამონათვალი“] ნომენკლატურა
I. ნომენკლატურა, სია ტერმინთა და სახელწოდებათა
II. „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა – „სასაქონლო აღწერისა და კოდირების შესახებ” 1983 წლის 14 ივნისის ბრიუსელის საერთაშორისო კონვენციით დადგენილი სასაქონლო აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა, რომლის საფუძველზედაც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის მიღების ვალდებულება გათვალისწინებულია საქართველოს მიერ 1995 წლის 3 ნოემბერს მოსკოვში დადებული ხელშეკრულებით „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურის შესახებ“ (საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ – 1999, მე-4(ვ) მუხლი)
III. „კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების და მათი შერჩევისა და განაწილების საკითხების განხილვისას კოლეგიალური პრინციპის დაცვის მიზნით, დაწესდეს, რომ სამინისტროებს და უწყებათა ნომენკლატურის მუშაკები შეიძლება დანიშნონ და გაათავისუფლონ მინისტრებმა და უწყებათა ხელმძღვანელებმა. საბჭოს აღმასკომთან არსებული მოსახლეობის შრომითი მოწყობის კომისიის შესახებ როგორც წესი, ისე, რომ შესაბამისი წარდგენები განხილულ იქნას კოლეგიის (კომიტეტის) სხდომაზე. კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში სამინისტროების და უწყებათა კოლეგიების (კომიტეტების) როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 მარტის 140 დადგენილება, საქ. კან., II, გვ. 389)

nominatio [*ნომინა´ტიო/ნომინა´ციო „სახელდება, დასახელება“] ნომინაცია
I. დასახელება, სახელდება, წარდგენა (მაგ. კანდიდატურების არჩევნებზე)

nominatio auctoris → laudatio auctoris

nominatio potioris → potioris nominatio

nominatio tutoris → datio tutoris

nomos (*ბერძნ.*) [ნო´მოს „კანონი“]
I. ოფიციალური კოდიფიკაციები, კომპილაციები, რომლებიც VIII ს-ში შეიქმნა ბერძნულ ენაზე იუსტინიანუსის სამართლისა და შემდგომი პერიოდის სამართლის საფუძველზე იმის შედეგად, რომ Corpus Iuris Civilis-ი მოძველდა, ხოლო ლათინური ბიზანტიურ იმპერიაში გამოვიდა ხმარებიდან

nomos georgikos (*ბერძნ.*) [ნო´მოს გეო´რგიკოს „სამიწათმოქმედო კანონი“]
I. სასოფლო-სამეურნეო სამართალი

nomos Rhodion nautikos [ნო´მოს რო´დიონ ნაუტიკო´ს „როდოსის საზღვაო სამართალი“]
I. → lex Rhodia

nomos stratiotikos [ნო´მოს სტრატიოტიკო´ს „ჯარისკაცული სამართალი“]
I. სამხედრო სამართალი

non licet = non liquet [ნონ *ლი´კეტ/ლი´ცეტ, ნონ ლი´კვეტ „არ შეეფერება“]
I. → iurare sibi non liquere; ampliatio

non defens → indefensus

non usus [ნონ *უ´სუს/უ´ზუს „გამოუყენებლობა“]
I. სასოფლო სერვიტუტის შეწყვეტა ორი წლის (იუსტინიანუსის სამართალში 10 ან 20 წლის) განმავლობაში გამოუყენებლობის გამო

nonae [ნო´ნე „მეცხრე“] ნონები
I. მეცხრე დღე (იდებამდე); თვის მეხუთე დღე (მარტში, მაისში, ივლისში, ოქტომბერში) ან მეშვიდე დღე (დანარჩენ დღეებში)

norma [ნო´რმა „წესი, ნიმუში“] ნორმა
I. წესი, კანონი, ნორმა
II. ქცევის სავალდებულო წესი, დადგენილი ან სანქცირებული სახელმწიფოს მიერ და უზრუნველყოფილი მისი იძულებითი აპარატით. „კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, მე-2(6) მუხლი)
III. „საქართველოს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ მათი დამქირავებლის მიერ სავსებით კუთვნილი ჯამაგირით ამა წლის თებერვლის 26-მდე არსებული სატარიფო ნორმების მიხედვით“ (ბრძანება 7 საქ. სსრ რევკომისა, 1921 წ., მარტის 4, აქტები 1921-1978, გვ. 21)

normalis [ნორმა´ლის „წესიერი“] ნორმალური
III. „რესპუბლიკის საზრუნავი საგანია განისაზღვროს მინიმუმი ხელფასი და შრომის ნორმალური პირობანი წარმოებაში“ (კონსტ. – 1921, თავი 13, მუხლი 25)

normatio (*საშ. ლათ.*) [*ნორმა´ტიო/ნორმა´ციო „მოწესრიგება, ნორმაზე მოყვანა“] ნორმატიული
II., III. ნორმატიული აქტი – წერილობითი ოფიციალური დოკუმენტი, მიღებული სახელმწიფოს სახელისუფლებო ორგანოს მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებ-

ში და მიმართული სამართლებრივი ნორმის დასადგენად, შესაცვლელად ან გასაუქმებლად. „საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“ (2009)

nota [ნო´ტა „ნიშანი“] ნოტა
I. შენიშვნა, სტენოგრაფიული ნიშანი

nota censoria [ნო´ტა *კენსო´რია/ცენზო´რია „ცენზორის ნიშანი“]
I. შენიშვნა, გაკიცხვა, რომელსაც ცენზორები იწერდნენ მოქალაქეთა სიაში მათი საძრახისი საქციელის გამო (პოლიტიკურ და პირად ცხოვრებაში)

nota consularis [ნო´ტა კონსულა´რის „კონსულის ჩანაწერი“]
I. გადაწყვეტილება, რომლითაც კონსული იწუნებდა მაგისტრატობის კანდიდატს, მისი პირადი და ზნეობრივი თვისებების გამო

notae [ნო´ტე „შენიშვნები“]
I. ნაწარმოების დასახელება, რომელშიც უმცროსი იურისტი კომენტირებას უკეთებდა უფროსის ნაწარმოებს (Iulianus, Marcellus, Scaevola და სხვ.)

notae iuris [ნო´ტე იუ´რის „სამართლის შენიშვნები“]
I. იურიდიული შემოკლებების კრებული, რომელიც, როგორც ჩანს, შეადგინა Probus-მა

notariatus [ნოტარია´ტუს „ნოტარიუსის (ნოტარიუსების) ოფისი“] ნოტარიატი
I. ნოტარიატი, სადაც ხდება დოკუმენტთა დამოწმება
II. „ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება“ (საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ – 2009, 1(1) მუხლი)
III. „საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ“ (1996)

notarius [ნოტა´რიუს „სტენოგრაფი“] ნოტარიუსი
I. სწრაფად ჩამწერი, სტენოგრაფი, დომინატის დროს – იმპერიის მოხელე
II. თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს სანოტარო მოქმედებათა შესრულების უფლება. „სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია“ (საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ – 2009, მე-3(1) მუხლი)
III. „...სანოტარო წესით შემოწმების ნაცვლად რწმუნებულება შეიძლება შეამოწმებინოს: მუშა-მოსამსახურემ – თავის დაწესებულებას ან საწარმოს, წითელარმიელმა – თავის სამხედრო ერთეულს, მშრომელმა მიწათმოსარგებლემ – ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1924, ნაწილი პირველი, თავი II, 18)

notitia [*ნოტი´ტია/ნოტი´ცია „ცოდნა“]
I. 1. ცოდნა; 2. დომინატის დროს – სია (leterculum)

notitia dignitatum [*ნოტი´ტია/ნოტი´ცია დიგნიტა´ტუმ „წოდებათა სია“]
I. ახ.წ. V ს.-ის დასაწყისში ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის რომის ბიუროკრატიული აპარატის შესახებ

notoria [ნოტო´რია „შეტყობინება, ჩანაწერი, ბარათი“]

I. წერილობითი (ოფიციალური) შეტყობინება

nova clausula [ნო´ვა *კლა´უსულა/კლა´უზულა „ახალი წესი“]
I. ახალი წესი → edictum praetorium

nova clausula Iuliani [ნო´ვა *კლა´უსულა/კლა´უზულა იულია´ნი „იულიანუსის ახალი კლაუზულა“]
I. იურისტ იულიანუსის მიერ პრეტორის ედიქტის კოდიფიკაციებში შეყვანილი ახალი წესი, რომლის თანახმად, ემანსიპირებული ვალდებული იყო გადაეცა თავისი შვილებისათვის მემკვიდრეობიდან მიღებული საკუთარი წილის 1/2

novatio [*ნოვა´ტიო/ნოვა´ციო „სიახლე“] ნოვაცია
I. ნოვაცია, წინა ვალდებულების ახლით ჩანაცვლება
II., III. 1) სიახლე საკანონმდებლო სფეროში. „სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური: ...დ) უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების და ნოვაციების გაცნობას...“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 89/ნ – 2010); 2) ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი მისი შინაარსის არსებითი შეცვლის გზით, რომლის შედეგადაც ხდება ახალი ხელსეკრულების დადება. „მიენიჭოთ ... უფლებამოსილება, რომ გამართონ მოლაპარაკება „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის მეორე ნოვაციის სასესხო ხელშეკრულების...“ ტექსტის მიღების მიზნით.“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება 634 - 006)

novatio inter easdem personas [*ნოვა´ტიო/ნოვა´ციო ი´ნტერ ე´ასდემ პერსო´ნას „იმავე პიროვნებებს შორის ნოვაცია“]
I. იმავე პიროვნებებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი სიახლე, რომლითაც იცვლებოდა შესრულების ადგილი, ვადა ან პირობა

novatio inter novas personas [*ნოვა´ტიო/ნოვა´ციო ი´ნტერ ნო´ვას პერსო´ნას „ახალ პიროვნებებს შორის ნოვაცია“]
I. კრედიტორის (ან მოვალის) შეცვლა გარიგებაში

novator [ნოვა´ტორ „გამაახლებელი“] ნოვატორი
I. განმაახლებელი
III. „სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას...“ (კონსტ. – 1978, I, თავი 2, მუხლი 14)

novella constitutio [ნოვე´ლლა *კონსტიტუ´ტიო/კონსტიტუ´ციო „ახალი კანონი“]
I. იმპერატორის მიერ გამოცემული ახალი (უახლესი) კონსტიტუცია

novella lex → novella constitutio

novellae Iustiniani [ნოვე´ლლე იუსტინია´ნი „იუსტინიანუსის ნოველები“, „დამატებანი კანონმდებლობაში“]
I. მრავალრიცხოვანი კანონები, ძირითადად 535-542 წლისა, რომელთა მეშვეობით იუსტინიანუსმა მოახდინა სამართლის მთელი რიგი სფეროების რეფორმირება, განსაკუთრებით საჯარო სამართლის;
III. „ხოლო ნეარონ ჰრქჳან განგებულებასა რასმე ძუელსა ანუ აწღა ახლად განჩინებულსა“ (დიდი სჯ., სქ., 136)

novellae leges → novellae Iustiniani

novellae Postiustinianae [ნოვე´ლლე პოსტიუსტინია´ნე „იუსტინიანუსის შემდგომი ნოველები“]
I. იუსტინიანუსის მემკვიდრეთა მრავალრიცხოვანი კანონები, განსაკუთრებით – ლეონ ბრძენისა

novellae Posttheodosianae [ნოვე´ლე პოსტთეოდოსია´ნე „თეოდოსიოსისშემდგომი ახლები (კანონები)“]

noxa [ნო´ქსა „ზიანი, ზარალი“]
I. 1. სხვისი ბავშვის ან მონის მიერ მიყენებული ზიანი; 2. ზიანის გამომწვევი ქმედება; 3. ზიანის მიმყენებელი პირი; 4. დაზარალებულის უფლება; 5. ზარალის ანაზღაურება

noxae datio (noxae deditio) [ნო´ქსე *და´ტიო/და´ციო (ნო´ქსე *დედი´ტიო/დედი´ციო) „ზიანის გადაცემა“]
I. ძალაუფლების მქონე პირი პასუხს აგებს დაზარალებულის წინაშე ისე, თითქოს თავად მას მიეყენებინოს ზიანი, თუმცა მას შეუძლია თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა დაზარალებულისთვის უშუალოდ ზიანის მიმყენებლის გადაცემის გზით

noxius [ნო´ქსიუს „დამზიანებელი“]
I. ზიანის მიმყენებელი

nubere [ნუ´ბერე „შებურვა“]
I. გათხოვება

nubiles anni [ნუ´ბილეს ა´ნნი „საქორწინო წლები“]
I. საქორწინო ასაკი

nubilis [ნუ´ბილის „საქორწინო“]
I. საქორწინო ასაკს მიღწეული, მოწიფული

nuda consensus [ნუ´და კონსე´ნსუს „უბრალო შეთანხმება“] → consensus

nuda conventio [ნუ´და *კონვე´ნტიო/კონვე´ნციო „უბრალო შეთანხმება“]
I. საკუთარ თავზე ვალდებულების აღება რეალური უზრუნველყოფის მინიჭების გარეშე

nuda proprietas [nudum dominium] [ნუ´და პროპრი´ეტას [ნუ´დუმ დომი´ნიუმ] „შიშველი საკუთრება“]
I. „შიშველი საკუთრება“, ძირითადად, ნივთის გამოყენებისა და ნივთისგან ნაყოფის მიღების უფლების გარეშე

nuda repromissio → repromissio nuda

nuda voluntas [ნუ´და ვოლუ´ნტას „შიშველი სურვილი“]
I. არაფორმალური, სიტყვიერი ნების გამოხატვა მემკვიდრეობის მიღებისას

nudum ius Quiritium [ნუ´დუმ იუს *კვირი´ტიუმ/კვირი´ციუმ „კვირიტთა ჩვეულებრივი სამართალი“] → in bonis habere

nudum [inane] nomen heredis [ნუ´დუმ [ინა´ნე] ნო´მენ ჰე´რედის „მემკვიდრის ცარიელი სახელი“]

I. მდგომარეობა მემკვიდრისა, რომელსაც ხელი არ მიუწვდება მემკვიდრეობის მატერიალურ სარგებელზე

nudum pactum [nuda pactio] [ნუ´დუმ პა´კტუმ [ნუ´და *პა´კტიო/პა´კციო] „შიშველი შეთანხმება“]
I. არაფორმალური შეთანხმება

nudum praeceptum [ნუ´დუმ *პრეკე´პტუმ/პრეცე´პტუმ „შიშველი მითითება“]
I. რჩევა, რომელიც არანაირ ვალდებულებას არ წარმოშობს

nudus [ნუ´დუს „შიშველი“]
I. შიშველი, კანონიერ დაცვას მოკლებული

nullus [ნუ´ლლუს „არცერთი“] ნული
I. არცერთი, არარსებული, არანამდვილი; არავინ (სინ. nemo)

numerare [ნუმერა´რე „დათვლა“]
I. დათვლა, გადახდა ნაღდი ფულით

numeri [ნუ´მერი „საჯარისო ნაწილი“]
I. პროვინციალებისგან შემდგარი ქვეითი ჯარი და კავალერია

numerus [ნუ´მერუს „ნაწილი, ასო“] ნომერი
I. რიცხვი, სიმრავლე

nummi commixti [ნუ´მმი კომმი´ქსტი „შერეული მონეტები“] → commixtio

nummo uno [ნუ´მმო უ´ნო „ერთი მონეტისათვის“]
I. 1. გარიგება, სადაც შენიღბული იყო მხარეთა მიერ დასახული ნამდვილი მიზანი; 2. გარიგება, რომელშიც დაცული იყო შესაბამისი ფორმალობები

nummularius [ნუმმულა´რიუს „ფულის გადამცვლელი“, მრ. რ. nummularii]
I. წვრილი საქმოსანი, ფულის გადამცვლელი

nummus [ნუ´მმუს „მონეტა“]
I. სინ. sestertius, მონეტა

nuncupatio, -onis [*ნუნკუპა´ტიო/ნუნკუპა´ციო „საზეიმო წარმოთქმა“]
I. განსაზღვრული საზეიმო ფორმულის წარმოთქმა მოწმეების თანდასწრებით, იურიდიულ ქმედებათა მნიშვნელოვანი ნაწილი

nundinae [ნუ´ნდინე „ბაზრის დღეები“]
I. ვაჭრობა, ბაზარი

nundinae [ნუ´ნდინე nonus + dies „მეცხრე დღესთან დაკავშირებული “]
I. ვაჭრობა, ბაზრობა

nuntiare [*ნუნტია´რე/ნუნცია´რე „შეტყობინება“]
I. შეტყობინება, გამოცხადება

nuntiare fisco [*ნუნტია´რე/ნუნცია´რე ფი´სკო „შეტყობინება ფისკუსისათვის“]
I. დასმენა ფისკუსთან (სახელმწიფო ხაზინასთან) იმ პირის შესახებ, რომელსაც აქვს რაღაც ვალდებულება

nuntiatio operis novi → operis novi nuntiatio

nuntiator [*ნუნტია´ტორ/ნუნცია´ტორ „განმცხადებელი“]
I. განმცხადებელი, განმკარგულებელი

nuntius [*ნუ´ნტიუს/ნუ´ნციუს „მაცნე“]
I. მაცნე, შიკრიკი. ის არის არა წარმომადგენელი, არამედ მხოლოდ შუამავალი, რომელიც გამოთქვამს არა თავის ნებას, არამედ გადასცემს მხოლოდ სხვისას

nuptiae [*ნუ´პტიე/ნუ´პციე „ქორწილი“]
I. ქორწინება, matrimonium-ის სინონიმი, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო მეტად არის აქცენტირებული თვით შეუღლების პროცესი, რასაც თან ახლავს ტრადიციული საქორწინო რიტუალები და ცერემონია

nuptiae incestae [*ნუ´პტიე *ინკე´სტე/ნუ´პციე ინცე´სტე „ინცესტური ქორწინება“] → incestum

nuptiae iustae [*ნუ´პტიე/ნუ´პციე იუ´სტე „კანონიერი ქორწინება“] → matrimonium iustum

nuptiae secundae [*ნუ´პტიე/ნუ´პციე სეკუ´ნდე „მეორე ქორწინება“]
I. მეორე ქორწინება (პირველი ქორწინების შემდეგ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების ან გაყრის შემთხვევაში). ქალს გათხოვების უფლება ეძლეოდა 10 თვის გასვლის შემდეგ

nutritor [ნუტრი´ტორ „აღმზრდელი“]
I. სხვისი შვილის აღმზრდელი

nutrix legum [ნუ´ტრიქს ლე´გუმ „კანონთა სამშობლო“]

nutus [ნუ´ტუს „თავის დაკვრა, ნიშანი“]
I. თავის დაკვრა, ნიშანი, ხანდახან შესაძლოა გამოხატავდეს ნამდვილი ნებას

O

obicere [*ობი´კერე/ობი´ცერე „წინ გადაგდება, წინ გაწვდენა“]
I. გაწირვა, მაგ. **o. bestiis** მხეცების მიერ დასაგლეჯად გაწირვა; დადანაშაულება მაგ. o. crimen

obiectio [*ობიე´კტიო/ობიე´კციო „შეპასუხება“]
I. შეპასუხება, შედავება

obiectus [ობიე´კტუს „საგანი“] ობიექტი
II. უფლების ობიექტი – მატერიალური ან არამატერიალური სიკეთე, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშობა სამართალურთიერთობა. „ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ (სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1997, 150(1)-ე მუხლი)
III. „ქონება, რომელიც გამორიცხულია სამოქალაქო ბრუნვიდან, შეიძლება იყოს სამოქალაქო უფლების ობიექტად მხოლოდ იმ ფარგალში, რაც ეს დადებითად გათვალისწინებულია კანონით“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდ. – 1923, თავი III, 20)

oblatio [*ობლა´ტიო/ობლა´ციო „შეთავაზება“]
I. შეთავაზება

oblatio admonitionis [*ობლა´ტიო *ადმონიტიო´ნის/ობლა´ციო ადმონიციო´ნის „შეხსენების შეთავაზება“]
I. წერილობითი სარჩელი მოპასუხის სასამართლოზე გამოძახების თხოვნით
oblatio curiae [*ობლა´ტიო/ობლა´ციო კუ´რიე „კურიის შეთავაზება“]
I. დაკანონება კურიაში მიღებით → legitimatio per oblationem

obligatio [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო „ვალდებულება, თავდებობა pl. -obligationes“] ობლიგაცია
I. 1.კლას. და იუსტინ.-ის ეპოქაში მოვალის (debitor) იურიდ. ვალდებულება კრედიტორთან (creditor) მიმართებაში; 2. ვალდებულების წარმოშობის საფუძველი (შეთანხმება, დელიქტი); 3. ქონებრივი ხასიათის შესრულება, რომელიც შესაძლოა მოითხოვოს კრედიტორმა
II. ფასიანი ქაღალდი, რომელიც განამტკიცებს მისი მფლობელის უფლებას ობლიგაციით გათვალისწინებულ ვადაში მიიღოს მისი ნომინალური ღირებულება ან სხვა ქონებრივი ეკვივალენტი. „ინვესტორს უფლება აქვს შეიძინოს აქციები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები და როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ არსებული ქონება“ (საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ – 1996, მე-3(4) მუხლი)
III. „რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ყოველგვარი სესხის, ობლიგაციისა და სხვა სახის ფასიანი ქაღალდისა, აგრეთვე ბინისა და სხვა ფულადი სუროგატის გამოშვება გამოიწვევს...“ (საქ. სსრ სისხლ. კოდ. – 1928, კერძო ნაწილი, თავი II, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 70[2])

obligatio alternativa [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო ალტერნატი´ვა „ალტერნატიული ვალდებულება“]
I. ალტერნატიული ვალდებულება. მოვალეს შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე ვალდებულება, ამ შემთხვევაში კრედიტორს შეეძლო პრეტენზია ჰქონოდა მხოლოდ ერთი ვალდებულების შესრულებაზე, რომელსაც, როგორც წესი, მოვალე ირჩევდა

obligatio auctoritatis [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო აუკტორიტა´ტის „თავდებობის ვალდებულება“]
I. გამყიდველის ვალდებულება, დაიცვას მყიდველის ინტერესები ევიქციის შემთხვევაში

obligatio [ex causa] iudicati [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო [ექს *კაუ´სა/კაუ´ზა] იუდიკა´ტი „ვალდებულება სასჯელის მისჯის მიზნიდან გამომდინარე“]
I. ვალდებულება, რომელიც მოპასუხეს ეკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების სასარგებლოდ

obligatio impossibilis [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო იმპოსსი´ბილის „შეუძლებელი ვალდებულება“]
I. ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია

obligatio in solidum [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო ინ სო´ლიდუმ „მთლიანი, სრული ვალდებულება“]

I. სოლიდარული ვალდებულება. კრედიტორს შეეძლო ნებისმიერი მათგანისათვის მოეთხოვა ვალდებულების მთლიანად შესრულება

obligatio post mortem [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო პოსტ მო´რტემ „ვალდებულება სიკვდილის შემდეგ“]
I. ვალდებულება, რომელიც ძალაში შედიოდა მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალების შემდეგ

obligatio principalis [*ობლიგა´ტიო *პრინკიპა´ლის/ობლიგა´ციო პრინციპა´ლის „მთავარი ვალდებულება“]
I. მთავარი მოვალის ვალდებულება

obligatio re et verbis [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო რე ეტ ვე´რბის „ვალდებულება საქმით და სიტყვით“]
I. კლას. შმდ. სამ.-ში სესხი, რომელსაც თან ახლდა წერილობითი მოწმობა სტიპულაციის შესახებ

obligatio rei [*ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო რეი „ნივთის ვალდებულება“]
I. ვალდებულებით ურთიერთობაში ნივთის დატვირთვა სანივთო უზრუნველყოფის საშუალებით

obligationes civiles [*ობლიგატიო´ნეს *კი´ვილეს/ობლიგაციო´ნეს ცი´ვილეს „სამოქალაქო ვალდებულებები“]
I. 1. ius civile-დან გამომდინარე ვალდებულებები; 2. ვალდებულებები, რომელთა შესრულების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო სასამართლოში სარჩელის წარდგენით

obligationes contractae consensu [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კონტრა´კტე კონსე´ნსუ „კონსენსუსით შეთანხმებული ვალდებულებები“]
I. კონსენსუსით შეთანხმებული ვალდებულებები

obligationes contractae litteris [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კონტრა´კტე ლი´ტტერის „წერილობით შეთანხმებული ვალდებულებები“]
I. წერილობით შეთანხმებული ვალდებულებები

obligationes contractae mutuae [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კონტრა´კტე მუ´ტუე „ურთიერთშეთანხმებით მიღებული საერთო ვალდებულებები“]
I. ორმხრივი ვალდებულებები

obligationes contractae re [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კონტრა´კტე რე „საქმით შეთანხმებული ვალდებულებები“]
I. საქმით შეთანხმებული ვალდებულებები

obligationes contractae verbis [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კონტრა´კტე ვე´რბის „სიტყვით შეთანხმებული ვალდებულებები“]
I. ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობდა სიტყვიერი შეთანხმებებიდან

obligationes ex contractu [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს ექს კონტრა´კტუ „ვალდებულებები კონტრაქტიდან“]
I. კონტრაქტიდან გამომდინარე ვალდებულებები

obligationes ex delicto [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს ექს დელი´კტო „ვალდებულებები დანაშაულიდან“]

I. უკანონო ქმედებიდან გამომდინარე ვალდებულებები

obligationes ex lege [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს ექს ლე´გე „ვალდებულებები კანონიდან“]
I. კანონის ძალით შემოღებული ვალდებულებები

obligationes honorariae [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს ჰონორა´რიე „საპატიო ვალდებულებები“]
I. ius honorarium-იდან გამომდინარე სარჩელები

obligationes naturales [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს ნატურა´ლეს „ბუნებრივი ვალდებულებები“]
I. ვალდებულებები, რომელთა დაკავშირებითაც არ დაიშვებოდა სარჩელების წარდგენა სასამართლოში

obligationes quasi ex contractu [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს *კვა´სი/კვა´ზი ექს კონტრა´კტუ „ვალდებულებები თითქოს კონტრაქტიდან გამომდინარე“]
I. ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობების მსგავსი ურთიერთობებიდან

obligationes quasi ex delicto [*ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს კვა´სი/კვა´ზი ექს დელი´კტო „ვალდებულებები თითქოს დანაშაულიდან გამომდინარე“]
I. ვალდებულებები მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე, რომლებიც არ წარმოადგენდნენ delictum-ს, მაგრამ რომლებიც იწვევდნენ პასუხისმგებლობას

obnoxius [ობნო´ქსიუს „მორჩილი, დაქვემდებარებული, დამოკიდებული“]
I. ზიანზე ან სამართალდარღვევაზე პასუხისმგებელი პირი

obnuntiatio [*ობნუნტია´ტიო/ობნუნცია´ციო „ავისმომასწავებელი ნიშნები“]
I. მაგისტრატის მიერ შეტყობინება ავისმომასწავებელი ციური ნიშნების შესახებ (რის გამოც ხდებოდა სახალხო კრების დაშლა), ამ ხერხს მიმართავდნენ ოპტიმატები მათთვის არასასურველი კანონების მიღების საწინააღმდეგოდ

obrogare [ობროგა´რე „შეცვლა, შეწინააღმდეგება“]
I. კანონის ნაწილის შეცვლა ახალი დებულებით

obscurus [ობსკუ´რუს „ბნელი, გაუგებარი, უცნობი“]
I. გაუგებარი, საეჭვო, სინ. ambiguus, dubius, incertus

obsequium [ობსე´კვიუმ „დათმობა, დაყოლა, მორჩილება“]
I. გათავისუფლებული მონის ან კლიენტის ვალდებულება, პატივი სცეს პატრონს, განსაკუთრებით საპროცესო და სისხლ. სამ. სფეროში

observantia [*ობსერვა´ნტია/ობსერვა´ნცია „დაკვირვება, პატივისცემა“]
I. სხვის საკუთრებაზე თვალყურის დევნება

observare [ობსერვა´რე „დაკვირვება“]
I. ძებნა, პატივისცემა, თაყვანისცემა

observatio iudicialis [*ობსერვა´ტიო იუდიკია´ლის/ობსერვა´ციო იუდიცია´ლის „სასამართლო დაცვა“]
I. → consuetudo fori

observatio legis [*ობსერვა´ტიო/ობსერვა´ციო ლე´გის „კანონის დაცვა“]

I. კანონის დაცვა

obses [ო´ბსეს „მძევალი“]
I. მძევალი

obsignatio [*ობსიგნა´ტიო/ობსიგნა´ციო „დალუქვა“]
I. წერილობით დოკუმენტზე პირადი ბეჭდის დასმა (პირადობის დამოწმების მიზნით), განსაკუთრებით ანდერძზე, ფულის შეკვრაზე, რომელიც შესანახად იყო გადაცემული (depositio)

obvagulatio [*ობვაგულა´ტიო/ობვაგულა´ციო „პრეტენზიის გამოთქმა“]
I. 12 დაფის კანონის თანახმად, თავშეყრა იმ პიროვნების სახლის წინ, ვინც მონაწილეობდა რომელიმე სამართლებრივ პროცესში, მოთხოვნით, მართალი ჩვენება მიეცა სასამართლოსთვის

occasio, occasus [*ოკკა´სიო/ოკკა´ზიო, *ოკკა´სუს/ოკკა´ზუს „შემთხვევა, საბაბი“]
I. მოვლენა, შემთხვევა, საბაბი

occasio legis [*ოკკა´სიო/ოკკა´ზიო ლე´გის „კანონის საბაბი“]
I. კანონის გამოცემის მიზეზი

occasus solis [*ოკკა´სუს/ოკკა´ზუს სო´ლის „მზის ჩასვლა“]
I. მზის ჩასვლა, ამ დროს უნდა დასრულებულიყო სასამართლო პროცესი, სენატის სხდომა და ა. შ.

occentatio [*ოკკენტა´ტიო/ოკცენტა´ციო „მისნობა“]
I. ვინმესთვის ჯადოს გაკეთება, შელოცვა და ასევე აბუჩად ამგდები ლექსების დეკლამაცია, 12 დაფის კანონების თანახმად, სიკვდილით ისჯებოდა

occidentalis [*ოკკიდენტა´ლის/ოკციდენტა´ლის „დასავლეთის“] ოქციდენტალური
I. დასავლური

occidere [*ოკკი´დერე/ოკცი´დერე „მოკვლა“]
I. მოკვლა, დაცემა

occupans, -ntis [ო´კკუპანს „დამპყრობელი“] ოკუპანტი
I. დამპყრობი, მიმტაცებელი
II. ოკუპაციის მომხდენი, ოკუპაციის მონაწილე. „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, კერძოდ: ... ზ) ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა ანდა ოკუპირებული ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის ან სამოქალაქო პირების დეპორტაცია ან სხვაგვარი არამართლზომიერი გასახლება ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ“ (საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 411(1)(ზ)-ე მუხლი)
III. „ოკუპანტი ქვეყნის მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაყვანა“ (საქ. სისხლ. სამ. კოდ. – 1999; 2012 მდგ., კარი მეთოთხმეტე; თავი XLVII, მუხლი 411 1. ზ)

occupatio [*ოკკუპა´ტიო/ოკკუპა´ციო „დაპყრობა, დაკავება“] ოკუპაცია

I. ოკუპაცია, დაპყრობა; თავდაპ. უპატრონო ნივთზე (res nullius) საკუთრების უფლების მოპოვება ქონების ხელში ჩაგდების მიზნით (adprehensio)
II. საერთაშორისო კონფლიქტის დროს მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიის უკანონო დაკავება. „ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის რუსეთის ფედერაციის, როგორც სამხედრო ოკუპაციის განმახორციელებელი სახელმწიფოს, პასუხისმგებლობა განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.“ (საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ – 2008, მე-7(4) მუხლი)
III. „1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებელობის აღდგენის აქტი – 1991)

occupatio a fisco [*ოკკუპა´ტიო/ოკკუპა´ციო ა ფი´სკო „ოკუპაცია სახელმწიფო ხაზინის მიერ“]
I. სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების კონფისკაცია, ძირითადად, დასჯის ან გადასახადის, დავალიანების ამოღების მიზნით

occupatio bellica [rerum hostilium] [*ოკკუპა´ტიო/ოკკუპა´ციო ბე´ლლიკა „ოკუპაცია ომის დროს“ [რე´რუმ ჰოსტი´ლიუმ] „მტრის ნივთების (ხელში ჩაგდება)“]
I. ომის დროს მტრისთვის წართმეული ნადავლი

octava [ოკტა´ვა „მერვედი ნაწილი“] ოქტავა
I. 12,5%-იანი გადასახადი ნივთის ღირებულებიდან, რომელიც ბაზარზე იყიდებოდა

octo [ო´კტო „რვა“]
I. რვა; octavus მერვე

october [ოკტო´ბერ „ოქტომბერი“] ოქტომბერი
I. ოქტომბერი, რომ. კალენდრის მერვე თვე

octoviri [ოკტო´ვირი „რვა კაცისგან შემდგარი“]
I. რვა თანამდებობის პირისგან შემდგარი კოლეგია იტალიის ქალაქების თვითმმართველობის სისტემაში magistratus municipales

oeconomus ecclesiae [ეკონო´მუს *ეკკლე´სიე/ეკკლე´ზიე „სახალხო კრების ხელმძღვანელი“] → ecclesia

offerens, -ntis [ოფფერე´ნს „შემთავაზებელი“] ოფერენტი
I. წარმომდგენი
II., III. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების მიმცემი პირი. „თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ ვადაში“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 331-ე მუხლი)

offerre [ოფფე´რრე „მიტანა“]
I. შეთავაზება

offerre cautionem [ოფფე´რრე *კაუტიო´ნემ/კაუციო´ნემ „გარანტიის შეთავაზება“]
I. უზრუნველყოფის შეთავაზება

offerre pecuniam [ოფფე´რრე პეკუ´ნიამ „ფულის შეთავაზება“]
I. ვალის გადახდის შეთავაზება

offertur [ოფფე´რტურ „სთავაზობს“] ოფერტი
II., III. ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება. „ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებული აქცეპტი მიიჩნევა ახალ ოფერტად“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 333(1)-ე მუხლი)

officia palatina [*ოფფი´კია/ოფფი´ცია პალატი´ნა „პალაციუმის ვალდებულებები“]
I. დომინატის დროს სახ. დაწესებულება

officiales [*ოფფიკია´ლეს/ოფფიცია´ლეს „თანამდებობის პირები“]

officialis [*ოფფიკია´ლის/ოფფიცია´ლის „სამსახურეობრივი, თანამდებობრივი“] ოფიციალური
I. სამსახურთან, მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული operae officialia, სამსახურეობრივი საქმეები
II. 1) ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ დადგენილი, გაცემული და გამომდინარე. „საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ (2009); 2) რაც ყველა წესის, ფორმალობის დაცვით ხდება. „საკრებულოს თავმჯდომარე: ... გ) ... წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას...“ (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ – 2005, 33(3)(გ)-ე მუხლი); 3) ოფიციალური ენა – სახელმწიფოს ძირითადი ენა, რომელიც გამოიყენება კანონმდებლობაში, სამართალწარმოებაში, სწავლებასა და ა.შ. „ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე“ (ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ – 1995, მე-14(3) მუხლი)
III. „ყალბად გაკეთება მანდატისა, დადასტურებისა, მოწმობისა, დადგენილებისა და სხვა ოფიციალური აქტისა, რომლითაც დამყარდება, შეიცვლება ან მოისპობა უფლება თუ მოვალეობა...“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1922, თავი I, კარი 2, 87; გვ. 23)

officium [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ „სამსახურის გაწევა“]
I. მორალური ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის ურთიერთობიდან; ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია სხვისი ინტერესების დაცვასთან

officium iudicis [*ოფფი´კიუმ *იუ´დიკის/ოფფი´ციუმ იუ´დიცის „მოსამართლის თანამდებობა“]
I. კანონებიდან და ჩვეულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ერთობლიობა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა კერძო მოსამართლეს (iudex) თავის საქმიანობაში

officium ius dicentis [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ იუ´ს *დიკე´ნტის/დიცე´ნტის „განაჩენის გამოტანის ვალდებულება“]
I. სამოსამართლო მაგისტრატის ვალდებულებათა [და უფლებათა] ერთობლიობა სამართალწარმოებაში, რაც მოიცავს შესაბამის საპროცესო ზომებსაც

officium pietatis [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ პიეტა´ტის „თანაგრძნობის ვალდებულება“]
I. მოქალაქის ქონებრივი ვალდებულებები თავის ახლობელ პირებთან მიმართებაში, ის, ვინც არ ასრულებს ამ ვალდებულებებს, ხდება inofficiosus-ი

officium tutoris [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ ტუტო´რის „მეურვის ვალდებულება“]
I. მეურვის ვალდებულება, იზრუნოს სამეურვეო პირის სასარგებლო საქმეების სათანადო განკარგვაზე

officium virile [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ ვირი´ლე „მამაკაცების ვალდებულება“]
I. სინ. munus v., ვალდებულებები და საქმიანობის სახეობები, რომლებიც შეიძლება განახორციელონ მხოლოდ მამაკაცებმა
I. იმპერიის დროს დაბალი ადმინისტრ.-ი მოხელეები

omittere [ომი´ტტერე „გაშვება“]
I. 1. ვალდებულების უგულებელყოფა, უფლების არ გამოყენება; 2. სინ. praeterire, ანდერძში ვიღაცის მოუხსენებლობა

omnis [ო´მნის „ყველა“]
I. ნებისმიერი, ყველა, თითოეული

onera hereditaria [ო´ნერა ჰერედიტა´რია „მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სიძნელეები“]
I. ყველა სახის ვალდებულება, რითაც დატვირთულია სამკვიდრო

onerare libertatem [ონერა´რე ლიბერტა´ტემ „თავისუფლების დამძიმება“]
I. მონაზე ყოველგვარი ვალდებულების დაკისრება გათავისუფლების შემთხვევაში

oneratus [ონერა´ტუს „დამძიმებული“]
I. მემკვიდრე, რომელმაც უნდა შეასრულოს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

oneratus matrimonii [ონერა´ტუს მატრიმო´ნიი „ქორწინების სიმძიმე“]
I. ხარჯები, რაც დაკავშირებულია მეუღლეების ერთად ცხოვრებასთან

onus [ო´ნუს „ტვირთი სიმძიმე“, მრ. რ. onera]
I. ტვირთი, სიმძიმე, ვალდებულება

onus probandi [ო´ნუს პრობა´ნდი „დამტკიცების ტვირთი“]
I. მტკიცების ტვირთი

opera [ო´პერა „სამუშაო“]
I. სამუშაო, საქმე, მცდელობა

opera publica [ო´პერა პუ´ბლიკა „საზოგადოებრივი ქმნილებები“]
I. საზოგადოებრივი ნაგებობები, ფორტიფიკაციები, მშენებლობები, სამუშაოები

operae [ო´პერე „სამუშაოები“]

I. ნებისმიერი სამუშაო, ფიზიკური, გონებრივი

operae animalium [ო´პერე ანიმა´ლიუმ „ცხოველთა სამუშაოები“]
I. სხვისი ცხოველებით სარგებლობის უფლება

operae fabriles [ო´პერე ფაბრი´ლეს „სახელოსნო სამუშაოები“]
I. კვალიფიცირებული სახელოსნო ან შემოქმედებითი მომსახურება, რომელიც უნდა შეესრულებინა გათავისუფლებულ მონას ყოფილი პატრონის სასარგებლოდ

operae liberales [ო´პერე ლიბერა´ლეს „თავისუფალი საქმიანობები“]
I. საქმიანობა, უპირველეს ყოვლისა, ინტელექტუალური, რაც თავისუფალ მოქალაქეებს შეეფერებოდა (იურისტებს, ორატორებს, ექიმებს, მშენებლებს, მასწავლებლებს და ა.შ.)

operae liberti [ო´პერე ლიბე´რტი „გააზატებულების სამუშაოები“]
I. სამუშაოები, რომლებიც უნდა შეესრულებინა გათავისუფლებულ მონას ყოფილი პატრონის სასარგებლოდ

operae officiales [ო´პერე *ოფფიკია´ლეს/ოფფიცია´ლეს „სავალდებულო სამუშაოები“]
I. სხვადასხვა კერძო მომსახურება (მგზავრობისას თანხლება, სახლის დაცვა), რომელიც უნდა შეესრულებინა გათავისუფლებულ მონას ყოფილი პატრონის სასარგებლოდ

operae servorum [ო´პერე სერვო´რუმ „მონათა შრომა“]
I. სხვისი მონებით სარგებლობის უფლება

operarius [ოპერა´რიუს „მომუშავე“]
I. მუშა

operatio [*ოპერა´ტიო/ოპერა´ციო „საქმე, ქმედება“] ოპერაცია
I. საქმე, მოქმედება, გავლენა
II. 1) სამხედრო ოპერაცია – საომარ მოქმედებათა ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია ერთი მიზნით, ერთი ამოცანით. „სახელმწიფო საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი სახის ცნობები: 1) თავდაცვის სფეროში: ა) რომელიც შეიცავს სტრატეგიულ და ოპერატიულ გეგმებს, სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, ჯარების სტრატეგიული და ოპერატიული გადაადგილების, მათი მობილიზაციის, საბრძოლო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რესურსების გამოყენების საკითხებს“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ – 1996, მე-7(1)(ა) მუხლი); 2) „სპოტური ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღის განმავლობაში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(პ) მუხლი); 3) „ფორვარდული ოპერაცია – გარიგება, რომლის ანგარიშსწორება ხორციელდება გარიგების დადების დღიდან 2 საბანკო დღეზე მეტი პერიოდის განმავლობაში“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-2(ჟ) მუხლი); 4) სავალუტო ოპერაცია – ოპერაცია, რომელიც დაკავშირებულია სავალუტო ღირებულებაზე საკუთრების უფლების გადასვლასთან. „მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი უფლებამოსილია: ... ბ)

განსაზღვროს ღია ბაზრის და სხვა ფულად-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესები“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-17(3)(ბ) მუხლი); 5) საბირჟო ოპერაცია – ოპერაცია წარმოებული საფონდო, სავალუტო, სასაქონლო ბირჟებზე გარიგებათა დასადებად ფასიანი ქაღალდების, სავალუტო ფასეულობების, საქონლის ნასყიდობასთან დაკავშირებით. „უფროს შიდა აუდიტორს უნდა ჰქონდეს: ... ბ) ბანკის სხვადასხვა სტრუქტურაში (საფინანსო-ეკონომიკური ანალიზისა და დაგეგმვის, საკრედიტო-საინვესტიციო, ფასიანი ქაღალდების, ჩეკების, ბარათებისა და საბირჟო ოპერაციების, საბუღალტრო და სხვ.) მუშაობის სულ ცოტა 2 წლის გამოცდილება“ (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №318 – 2001, მე-6(4)(ბ) მუხლი); 6) სადეპოზიტო ოპერაცია – ბანკებისა და სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ოპერაციები თავისუფალი ფულადი სახსრების (ანაბრების) მოსაზიდად და ამ სახსრების ხარჯზე საკრედიტო ოპერაციების განხორციელება. „ეროვნული ბანკის სასესხო და სადეპოზიტო ოპერაციები“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, 31-ე მუხლი); 7) საკასო ოპერაცია – ოპერაციები, განხორციელებული საწარმოთა, დაწესებულებათა, ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების სალაროთა მიერ ნაღდი ფულის მიღების, გაცემის, გადაანგარიშების, ფულადი ნიშნების ნამდვილობის განსაზღვრის მიზნით ბანკნოტებისა და მონაცემების გაცვლის, აგრეთვე საკასო წიგნის წარმოებისა და ფულის შენახვის წესის დაცვით. „დამტკიცდეს ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმა – ორგანიზაციის ბალანსი (ფორმა №1) და ბალანსის დანართი ფორმები თანდართული რედაქციით: ... ბ) ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ – ბალანსის დანართი ფორმა №2-1“ (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება 364 – 2008, მუხლი 1(გ)); 8) ფულად-საკრედიტო ოპერაცია – ბანკების მიერ კრედიტების გაცემა. „მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი უფლებამოსილია: ... გ) დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა ფულად-საკრედიტო ოპერაციებზე, გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-17(3)(გ) მუხლი); 9) გადარიცხვის ოპერაცია – ბანკების, სხვა საკრედიტო ორგანიზაციების ოპერაციები, განხორციელებული იურიდიული და ფიზიკური პირების დავალებით ერთი ბანკის ანგარიშიდან მეორე ბანკის ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესასრულებლად. „ფულადი სახსრების საგადახდო სისტემა – საერთო წესებისა და სტანდარტული პროცედურების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების გადარიცხვის ოპერაციების ან ტრანსფერორდერების დამუშავებას“ (საქართველოს კანონი საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ – 2012, მე-2(ბ) მუხლი)

III. „...ამ წესდებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ა) საზოგადოების მიზანი და ოპერაციები“ (საქ. სსრ სამოქ. კოდ. – 1923, თავი X)

operativus [ოპერატი´ვუს „ქმედითი“] ოპერატიული

I. სამოქმედო

II. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ... სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან“ (საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ – 1999, 1(1) მუხლი)
III. „ამა დებულების სათანადო მუხლებით პასუხს აგებენ სამსახურის წესის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის აგრეთვე მუშურ-გლეხური მილიციის სამწყობრო და საადმინისტრაციო-სამეურნეო შემადგენლობისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველოს ორგანოთა ოპერატიული შემადგენლობის პირნი“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928, დანართები, დებულება სამხედრო დანაშაულთა შესახებ, სსრ კავშირის ც.ა.კ.-ის და ს.კ. ს-ის 1927 წ. ივლისის 27 დადგ., 12ა. შენიშვნა 1, 1934 წ. ივნისის 16, 1935 წ. ნოემბრის 3; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება 1942 წ. მარტის 4)

operis novi nuntiatio [ო´პერის ნო´ვი *ნუნტია´ტიო/ნუნცია´ციო „ახალი საქმის, ნაგებობის შესახებ განცხადება“]
I. უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ მეზობლისთვის მშენებლობის აკრძალვა, თუ ეს მშენებლობა მას საკუთარი უძრავი ქონებით სარგებლობაში ხელს უშლიდა. აკრძალვას თან ახლდა სიმბოლურად ქვის გადასროლა მშენებლობის მოედანზე (iactus lapilli). აკრძალვის შემდეგ მშენებელი (მოპასუხე) იძულებული იყო შეეჩერებინა სამუშაოები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონის შესაბამისად მოქმედებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა interdictum demolitorium-ს, ხოლო განმცხადებელს დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო დავა, რომ თავისი დაემტკიცებინა ius prohibendi, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეტორი აღკვეთდა მის აკრძალვას (remissio operis novi nuntiationis)

opifex [ოპი´ფექს „შემქმნელი“]
I. ხელოსანი, შემოქმედი

opinio [ოპი´ნიო „აზრი, წინადადება, შეთავაზება“]
I. თვალსაზრისი, რწმენა, მრწამსი

opinio communis iurisconsultorum [ოპი´ნიო კომმუ´ნის იურისკონსულტო´რუმ „იურისკონსულტების საერთო აზრი“]
I. → communis opinio iurisconsultorum

opinio iuris [ოპი´ნიო იუ´რის „უფლების რწმენა“]
I. → possessio iuris

opinio necessitatis [ოპი´ნიო *ნეკესსიტა´ტის/ნეცესსიტა´ტის „აუცილებლობის რწმენა“]
I. სინ. tacitus consensus – ჩუმი თანხმობა

opinio singulorum [ოპი´ნიო სინგულო´რუმ „თითოეულის, ცალკეულის აზრი“]
I. → nomen

opiniones [ოპინიო´ნეს, მრ. რ. opinio-დან]

I. კლას. შმდ. იურ. თხზულებათა დასახელება, რომელიც ძირითადად მოიცავდა responsa prudentium-ს, იგი შეცდომით მიეწერებოდა ულპიანუსს

oportere [ოპორტე´რე „უნდა, მართებს“]
I. როდესაც რაღაც მართებს ადამიანს სამოქ. სამ-ის მიხედვით (ტექნ. გამონათქვამი სასარჩელო ფორმულებში)
oppidum [ო´პიდუმ „სიმაგრე“]
I. ქალაქი, ძირითადად, საშუალო სიდიდის, პროვინციული (რამაც უკვე დაკარგა სახელმწიფოებრიობის civitas-ის ფუნქცია)

oppositio [*ოპოსი´ტიო/ოპოზი´ციო „დაპირისპირება, წინააღმდეგობა“] ოპოზიცია
I. წინააღმდეგობა
II. სახელისუფლებო ორგანოს შიგნით არსებული ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებსა და პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას. „ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის შემადგენლობაში თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით შედიან ხელისუფლების, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები...“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, 184(2)-ე მუხლი)
III. „კომისიის შემადგენლობაში თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპით შედიან ხელისუფლების, ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები“ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2001, 129^{18}(2)-ე მუხლი)

ops [ოპს „ძალა, სიმდიდრე, ძლიერება“]
I. ძალა, სიმდიდრე, ძლიერება

optimates [ოპტიმა´ტეს „ოპტიმატები“] ოპტიმატები
I. სენატორების რეაქციული, აგრესიული და ძალიან გავლენიანი ფრთის არაოფიციალური სახელწოდება, ისინი რესპუბლიკის დაქვეითების პერიოდში ბრძოლას აწარმოებდნენ ხელისუფლებისათვის პოპულარებთან

optimus [ო´პტიმუს „საუკეთესო“, აღმ. ხარ. bonus-იდან]
I. საუკეთესო; ასევე მმართველი იმპერატორის ატრიბუტი

optimus maximus[que] [ო´პტიმუს მაქსიმუ´სკვე „საუკეთესო და უდიდესი“]
I. უძრავი ქონების გამყიდველის პირობა, რომ fundus-ზე არ არის დაკისრებული არანაირი ვალდებულება (optimus) და აქვს ის უპირატესობები, რაზეც მიუთითებდა გამყიდველი (maximus)

optio [*ო´პტიო/ო´პციო „არჩევანი“] ოფცია
I. ნაწ. სინ. electio, არჩევანი
II. 1) 1.1. შესყიდვის ოფცია – გამყიდველის უფლება განსაზღვრულ დრომდე ან მოვლენამდე, მისთხოვოს მყიდველს მისთვის მიყიდული საგნის გამოსყიდვა. „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია)...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 515-ე მუხლი); 1.2 გაყიდვის ოფცია – მყიდველის უფლება განსაზღვრულ დრომდე

ან მოვლენამდე მოსთხოვოს გამყიდველს მისგან შეძენილი საგნის უკან გამოსყიდვა. „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ... განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე ... გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია)“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 515-ე მუხლი); 2) „ოპციონი – ვალდებულების შესრულების საშუალების, ფორმის, მოცულობის ამორჩევის უფლება, რომელიც ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განპირობებულ გარემოებათა გამო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის უფლება“ (საქართველოს კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ – 1996, 1(ი) მუხლი)
III. „ზედამხედველისა მისისაგან, ესე იგი არს ოფტიონისა მისისაგან“ (დიდი სჯ. 203, 11)

optio legata [*ო´პტიო/ო´პციო ლეგა´ტა „ანდერძის არჩევანი“]
I. → legatum optionis

optio servi [*ო´პტიო/ო´პციო სე´რვი „მონის ამორჩევა“]
I. ლეგატარის მიერ მონის არჩევა. ლეგატარს უფლება ჰქონდა აერჩია მონა სამკვიდროში შემავალ მონებს შორის

optio tutoris [*ო´პტიო/ო´პციო ტუტო´რის „მეურვის არჩევა“]
I. მეუღლის უფლება, რომელიც მას ანდერძით მიენიჭა (ჯერ კიდევ ადრ. რესპუბლიკის ეპოქიდან მოყოლებული) აერჩია თავისთვის მეურვე და ნებისმიერ დროს შეეცვალა იგი სხვა მეურვით **optio plena** [„სრული არჩევანი“] ან აერჩია იგი ერთხელ, ორჯერ **optio angusta** [„შეზღუდული არჩევანი“]

opus, -eris [ო´პუს „თხზულება“] ოპუსი
I. თხზულება, ნაწარმოები → adprobatio operis; locatio conductio o.

opus publicum [ო´პუს პუ´ბლიკუმ „საჯარო ქმნილება“]
I. → damnare in o. p.

oraculum [ორა´კულუმ „მისნობა“]
I. იმპერატორის ბრძანება

orare [ორა´რე „ლაპარაკი“]
I. სიტყვის წარმოთქმა, თხოვნა

oratio [*ორა´ტიო/ორა´ციო „სიტყვა“]
I. სიტყვა, გამოთქმა

oratio Claudii [*ორა´ტიო/ორა´ციო კლაუ´დიი „კლავდიუსის სიტყვა“]
I. კლავდიუსის მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვა, რომლის საფუძველზეც სენატმა დაადგინა recuperatores-თვის 25 წელი, როგორც მინიმალური ასაკი, და უკრძალავდა პირს უარი ეთქვა ბრალდებებზე სერიოზული დასაბუთების გარეშე

oratio Hadriani [*ორა´ტიო/ორა´ციო ჰადრია´ნი „ჰადრიანუსის სიტყვა“]
I. ჰადრიანუსის მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვა, რომლის საფუძველზე სენატმა დაადგინა, რომ: 1. hereditatis petitio-ს შემთხვევაში მფლობელს ნივთი უნდა დაებრუნებინა მთელი ნამატით; 2. პერეგრინისათვის დატოვებული fidei-

comissum-ი ექვემდებარებოდა კონფისკაციას ფისკუსის (სახ. ხაზინის) სასარგებლოდ; 3. იკრძალებოდა სენატის დადგენილების გასაჩივრება იმპერატორთან

oratio Marci [*ორა´ტიო/ორა´ციო მა´რკი „მარკუსის სიტყვა“]
I. მარკუსის მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვა, რომლის საფუძველზეც სენატმა: 1. შეამსუბუქა საკუთარი მკაცრი დადგენილებები manumissio testamento-თან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე ანდერძი, რომლის საფუძველზეც მონა თავისუფლად ცხადდებოდა, არ შედიოდა ძალაში მონის პატრონის მკვლელობის შემთხვევაში, ვიდრე მკვლელს არ მიაგნებდნენ. ცვლილებების შედეგად დადგინდა, რომ ანდერძის საფუძველზე გათავისუფლებული მონის შვილი, რომელიც დაიბადებოდა მისი მშობლის პატრონის მკვლელობის შემდეგ ანდერძის ძალაში შესვლამდე, იყო თავისუფალი. გარდა ამისა, მონას, რომელიც თავისუფლდებოდა მისი პატრონის გარდაცვალების მომენტიდან, მიენიჭა უფლება შეენარჩუნებინა მთელი შემოსავალი, რომელსაც ის მიიღებდა ანდერძის ძალაში შესვლამდე; 2. ამ კანონმა მოითხოვა ალიმენტებთან დაკავშირებული შეთანხმებების მოწონება პრეტორის მიერ; 3. აკრძალა ქორწინება გათავისუფლებულ პირსა და სენატორის ქალიშვილს შორის, მეურვესა და სამეურვეო პირს შორის; 4. უფლება მიანიჭა ბავშვებს მიეღოთ დედის მემკვიდრეობა ანდერძის გარეშე; 5. აკრძალა სასამართლოში გამოძახება იმ ადამიანისა, რომელიც მნიშვნელოვანი სამეურნეო საქმეებით იყო დაკავებული; 6. დეტალური რეგლამენტი დააწესა confessio in iure-ზე; 7. დაადგინა ვადების გამოთვლის წესი აპელაციისათვის, კერძოდ, განსაზღვრა დღეები, რომლებიც არ მიიღებოდა მხედველობაში აპელაციის წარდგენის ვადების გამოთვლისას

oratio principis [in senatu habita] [*ორა´ტიო *პრი´ნკიპის/ორა´ციო პრი´ნციპის [ინ სენა´ტუ ჰა´ბიტა] „პრინცეპსის სენატში წარმოთქმული სიტყვა“]
I. პრინცეპსის ან მისი წარმომადგენლის მიერ (quaestor Augusti) სენატში წარმოთქმული სიტყვა, რომლითაც იმპერატორი ან მისი წარმომადგენელი წარადგენდნენ სენატის მიერ მისაღები დადგენილების პროექტს

oratio Severi (195) [*ორა´ტიო/ორა´ციო სევე´რი „სევერუსის სიტყვა“]
I. უკრძალავდა მეურვეს გაესხვისებინა ან საქმეში ჩაედო სამეურვეო პირის სოფლის თუ გარეუბნის მიწის ნაკვეთები (praedia rustica vel suburbana)

oratio Severi et Caracallae (206) [*ორა´ტიო/ორა´ციო სევე´რი ეტ კარაკა´ლლე „სევერუსის და კარაკალას სიტყვა“]
I. ადგენდა, რომ მჩუქებლის სიკვდილის შემთხვევაში (ქორწინებაში ყოფნის დროს) ქმედითი ხდებოდა donatio inter virum et uxorem-ი

orator [ორა´ტორ „მჭევრმეტყველი“] ორატორი
I. პირი, რომელიც თავისი მჭევრმეტყველებით ეხმარებოდა მოდავე მხარეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში

orbi [ო´რბი „დაობლებულები“]
I. უშვილო მეუღლეები, რომლებსაც ნაწილობრივ ეზღუდებოდათ ქონებრივი უფლებები

orbis Romanus [ო´რბის რომა´ნუს „რომაული სამყარო“]
I. რომის იმპერია, სინ. o. terrarum

orcinus libertus [*ორკი´ნუს/ორცი´ნუს ლიბე´რტუს „ანდერძით გააზატებული“]
I. → libertus

ordinarius [ორდინა´რიუს „ორდინალური“] ორდინალური
I. რეგულარული, ორდინალური, ნორმალური, ჩვეულებრივი, მაგ., iudex; ius ordinarium
II., III. ორდინალური ვიზა – საქართველოს ვიზების ერთ-ერთი სახე დიპლომატიურ, სამსახურებრივ და საცხოვრებელ ვიზებთან ერთად. „საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში საქართველოს ორდინალური ვიზის გაცემისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება შემდეგი ოდენობით...“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო ბაჟის შესახებ – 1998, მე-4(7) მუხლი)

ordo, -inis [ო´რდო „რიგი“]
I. წესრიგი, საქმის წარმოების წესრიგი, ფენა
III. „ორდენი გაუქმებულია“ (კონსტ. – 1921, თავი 2, მუხლი 18)

ordo amplissimus [ო´რდო ამპლი´სსიმუს „უმაღლესი ფენა“]
I. → senatus

ordo decurionum [ო´რდო დეკურიო´ნუმ „დეკურიონების ფენა“]
I. წოდებრივი ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ქალაქის საბჭოს მუდმივი წევრებისგან, მათი ოჯახის წევრებისა და შთამომავლებისგან

ordo equester [ო´რდო ეკვე´სტერ „მხედართა ფენა“]
I. მხედრები, ფინანსურ დიდგვაროვანთა წრე რესპუბლიკის პერიოდში, პრინციპატის დროს ასევე სამართლებრივი კატეგორია, რომელსაც მიეკუთვნებოდა cives optimo iure ცენზით (არა უმცირეს 400 000 HS)

ordo iudiciorum [ო´რდო *იუდიკიო´რუმ/იუდიციო´რუმ „სასამართლოთა წესრიგი“]
I. საქმის წარმოების წესი (მაგ., სასამართლო პროცესის)

ordo iudiciorum privatorum [ო´რდო *იუდიკიო´რუმ/იუდიციო´რუმ პრივატო´რუმ „კერძო სამართალწარმოების წესრიგი“]
I. ჩვეულებრივი, რეგულარული სასამართლო წარმოება სამოქალაქო საქმეებზე

ordo iudiciorum publicorum [ო´რდო *იუდიკიო´რუმ/იუდიციო´რუმ პუბლიკო´რუმ „საჯარო სამართალწარმოების წესრიგი“]
I. რესპუბლიკის ხანის ბოლო საუკუნეებში და პრინციპატის დროს ჩვეულებრივი, რეგულარული სასამართლო წარმოება სისხლის სამართლის საქმეებზე

ordo magistratuum [ო´რდო მაგისტრა´ტუუმ „მაგისტრატთა რიგი“]
I. სინ. cursus honorum

ordo senatorius [ო´რდო სენატო´რიუს „სენატორთა ფენა“]
I. დიდგვაროვანთა წრე, რესპუბლიკის დროს სინ. nobilis, პრინციპატის დროს – სამართლებრივი კატეგორია, რაც გულისხმობდა: ა) სენატორის ფენიდან წარმომავლობას; ბ) ცენზს 1 200 000 HS; გ) პრინცეპსის მიერ ტიტულის მინიჭებას (clavus latus)

ordo uterque [ო´რდო უტე´რკვე „ორივე ფენა“]
I. სენატორებისა და მხედრების ფენა

Oriens, -entis [ო´რიენს „აღმოსავლეთი“] ორიენტი
I. 1. რომ. იმპერიის უკიდურესი აღმ. ნაწილი; 2. პრეფექტურა

orientalis [ორიენტა´ლის „აღმოსავლეთის“] ორიენტალური
I. აღმოსავლეთის, საპ. occidentalis

originalis [ორიგინა´ლის „ჭეშმარიტი“] ორიგინალური
I. ნამდვილი, პირველსაწყისი, წარმომავლობით განსაზღვრული

origo, -inis [ორი´გო „წარმომავლობა“]
I. სამშობლო, მშობლიური ქალაქი

oriri [ორი´რი „ადგომა“, „დაწყება“]
I. გაჩენა, წარმოქმნა, წარმოშობა

oriundus [ორიუ´ნდუს „წარმომავალი“]
I. საიდანღაც წარმომავალი, წარმოშობით (რომელიღაც ქვეყნის, ადგილის) მკვიდრი

ornamenta [ორნამე´ნტა „ნიშნები, შემკულობა, ტიტული, ჯილდო“] ორნამენტი
I. 1. მაგისტრატების (მაგ. o. consularia), სენატორების, ტრიუმფატორების და ა. შ. განმასხვავებელი ნიშნები. პრინცეპსი **o**.-ს ანიჭებდა სხვა პირებსაც; 2. შემკულობა: სახლების (**o. aedium**, განსხვავდებდა instrumentum domus-ისგან), მანდილოსნების (**o. mulierum**); გასაყიდი ცხოველების (**o. iumentum**, შედიოდა მათ ღირებულებაში)

ornare [ორნა´რე „მომარაგება, შემკობა“]
I. შემკობა, მომარაგება, დაჯილდოება

ornatio provinciae [*ორნა´ტიო *პროვი´ნკიე/ორნა´ციო პროვი´ნციე „აღჭურვა პროვინციაში წასვლისას“]
I. სამხედრო ძალების გამწესება პროვინციაში მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით

ortus [ო´რტუს „წარმომავალი“]
I. წარმომავალი საიდანღაც

os [ოს „ძვალი“, მრ. რ. ossa]
I. ძვალი, კამათელი; **os fractum** გატეხილი ძვალი (დანაშაული, რისთვისაც დამზარალებელი იხდიდა ფულად ჯარიმას)

osculum [ო´სკულუმ „პირი“]
I. კოცნა; თუ კოცნა ხდებოდა ნიშნობის საწინდრად, ხოლო შემდეგ დანიშნულთაგან ერთ-ერთი გარდაიცვლებოდა, მეორე პირს ეკუთვნოდა საჩუქრების ნახევარი, რომელიც მიიღო გარდაცვლილისგან

ovatio [*ოვა´ტიო/ოვა´ციო „ზეიმი, სიხარული“] ოვაცია
I. მცირე ტრიუმფი, საზეიმო შესვლა რომში, რის უფლებასაც სენატი რთავდა სარდალს, რომელსაც გარკვეული მიზეზის გამო არ ჰქონდა უფლება, რომ გადაეხადა ტრიუმფი. გამარჯვებული შედიოდა ქალაქში ცხენზე ამხედრებული ან ქვეითად, თან ახლდა სენატი, მაგრამ არ ჰქონდა ტრიუმფალური ნიშნების ornamenta triumphalia-ს ტარების უფლება

P

pacisci [*პაკი´სკი/პაცი´სცი „შეთანხმება“]
I. შეთანხმება, მორიგება

pacisci de crimine [*პაკი´სკი/პაცი´სცი დე კრი´მინე „შეთანხმება დანაშაულზე“]
I. კანონსაწინააღმდეგო შეთანხმება დამნაშავესთან, რომ მას არ დაადანაშაულებდნენ ან გაათავისუფლებდნენ

pactio [*პა´კტიო/პა´კციო „შეთანხმება“]
I. ნაწ. სინ. consensus, არაფორმალური შეთანხმება (იხ. აგრ. contractus)

pactio collegii [*პა´კტიო/პა´კციო კოლე´გიი „კოლეგიის შეთანხმება“]
I. კოლეგიების, ამხანაგობების წესდება

pactio et stipulatio [*პა´კტიო ეტ *სტიპულა´ტიო/პა´კციო ეტ სტიპულა´ციო „შეთანხმება და სტიპულაცია“]
I. მიწის სერვიტუტის ფაქტობრივი დადგენა პროვინციაში, არაფორმალური შეთანხმება, რომელიც გამყარებულია ნაკვეთის მესაკუთრის დაპირებით, რომ არც ის და არც მისი შთამომავლები არ შეაფერხებენ სერვიტუტის შესრულებას (stipulatio poenae)

pactio libertatis [*პა´კტიო/პა´კციო ლიბერტა´ტის „თავისუფლების შეთანხმება“]
I. შეთანხმება მონის პატრონთან, რომ ფულის სანაცვლოდ გაათავისუფლებდა მონას

pactum [პა´კტუმ „შეთანხმება“] პაქტი
I. არაფორმალური ვალდებულება, რომელსაც თავდაპირველად არ გააჩნდა სასარჩელო დაცვა. ჯერ კიდევ 12 დაფის კანონების თანახმად, მისი დანიშნულება იყო, გაეთავისუფლებინა პირი პასუხისმგებლობისგან (ძირ. დელიქტების გამო) და ამით დაესრულებინა სასამართლო დავა
II., III. სამთავრობათაშორისი საერთაშორისო შეთანხმება. „ეს კანონი გამოიყენება საქართველოს ყველა საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო, მთავრობათაშორისი და უწყებათაშორისი ხასიათის) ხელშეკრულების მიმართ, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მიუხედავად მისი სახისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ოქმი, წერილების გაცვლა, სხვა სახისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულება)“ (საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ – 1997, მე-2(1) მუხლი)

pactum adiectum [პა´კტუმ ადიე´კტუმ „დამატებითი შეთანხმება“]
I. დამატებითი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავდა უკვე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის უფრო დეტალურ რეგლამენტაციას

pactum antichreticum (*ბერძნ.*) [პა´კტუმ ანტიხრე´ტიკუმ „ანტიხრესული შეთანხმება“]
I. სინ. antichresis

pactum conventum [პა´კტუმ კონვე´ნტუმ „შეთანხმებული პაქტი“]
I. პაქტი, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა სამართალს

pactum de contrahendo [პა´კტუმ დე კონტრაჰე´ნდო „მომავალში დასამყარებელი მორიგების შესახებ შეთანხმება“]
I. შეთანხმება მომავალში ხელშეკრულების დადების შესახებ

pactum de contrahendo matrimonio [პა´კტუმ დე კონტრაჰე´ნდო მატრიმო´ნიო „შეთანხმება ქორწინებაზე“]
I. სინ. sponsalia

pactum de dote [პა´კტუმ დე დო´ტე „შეთანხმება მზითვის შესახებ“]
I.→ pactum dotale

pactum de [non] distrahendo [pignore] [პა´კტუმ დე [ნონ] დისტრაჰე´ნდო [პი´გნორე] „შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ დაირღვევა საწინდარი“]
I. → ius distrahendi

pactum de ingrediendo [პა´კტუმ დე ინგრედი´ენდო „შეთანხმება შეჭრის შესახებ“]
I. გირავნობის შესახებ შეთანხმება, რომლის ძალითაც კრედიტორს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში შეეძლო მოვალის ქონებას დაუფლებოდა

pactum de iureiurando [პა´კტუმ დე იურეიურა´ნდო „ფიცის დადების შესახებ შეთანხმება“]
I. შეთანხმება იმის შესახებ, რომ დავას მოწინააღმდეგე მხარეთა შორის გადაწყვეტს ფიცის დადება → iusiurandum

pactum de lucranda donatione [პა´კტუმ დე ლუკრა´ნდა *დონატიო´ნე/დონაციო´ნე „ძღვენის მიღების შესახებ შეთანხმება“]
I. განსაზღვრავს იმ პირის უფლებების მოცულობას, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა → donatio propter nuptias

pactum de lucranda dote [პა´კტუმ დე ლუკრა´ნდა დო´ტე „მზითვის მიღების შესახებ შეთანხმება“]
I. განსაზღვრავს პირის, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა, უფლებების მოცულობას მზითვზე → dos

pactum de mutuo dando [პა´კტუმ დე მუ´ტუო და´ნდო „სესხის მიცემის შესახებ თანხმობა“]
I. წინასწარი შეთანხმება სესხის მიცემის შესახებ ანუ კრედიტის გახსნის შესახებ

pactum de non petendo [პა´კტუმ დე ნონ პეტე´ნდო „შეთანხმება არ მოთხოვნის შესახებ“]
I. არაფორმალური შეთანხმება იმის შესახებ, რომ კრედიტორი სასამართლოს გზით არ მოითხოვს ვალის გადახდას ან სხვა ვალდებულების შესრულებას

pactum de non praestanda evictione [პა´კტუმ დე ნონ პრესტა´ნდა *ევიკტიო´ნე/ევიკციო´ნე „შეთანხმება იმის შესახებ, რომ არ მიეცეს მსვლელობა ევიქციას“]
I. შეთანხმება იმ მოთხოვნათა გამორიცხვის შესახებ, რომლებიც გამომდინარეობდნენ evictio-დან

pactum de retroemendo [პა´კტუმ დე რეტრემე´ნდო „შეთანხმება ხელახალი ყიდვის შესახებ“]
I. დათქმა გამოსყიდვის შესახებ

pactum de retrovendendo [პა´კტუმ დე რეტროვენდე´ნდო „ხელახალი საპასუხო გაყიდვის შესახებ“]
I. დათქმა, რომლის ძალითაც მყიდველს შეეძლო მოეთხოვა გამყიდველისთვის გაყიდული ნივთის უკან გამოსყიდვა

pactum de vendendo [პა´კტუმ დე ვენდე´ნდო „შეთანხმება გაყიდვის შესახებ“]
I. → ius distrahendi

pactum degustationis [პა´კტუმ *დეგუსტატიო´ნის/დეგუსტაციო´ნის „შეთანხმება გასინჯვის, დაგემოვნების შესახებ“]
I. → pactum displicentiae

pactum displicentiae [პა´კტუმ *დისპლიკე´ნტიე/დისპლიცე´ნტიე „შეთანხმება უკმაყოფილების შესახებ“]
I. შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მყიდველს შეეძლო უარი ეთქვა გარიგებაზე, თუ მას ნივთი აღარ მოეწონებოდა

pactum donationis [პა´კტუმ *დონატიო´ნის/დონაციო´ნის „შეთანხმება ძღვენის შესახებ“]
I. შეთანხმება არა ნაკლებ 500 სოლიდუსის ღირებულების ნივთის ჩუქების შესახებ

pactum dotale, pactum dotis, pactum de dote [პა´კტუმ დოტა´ლე, პა´კტუმ დო´ტის, პა´კტუმ დე დო´ტე „სამზითვო შეთანხმება“]
I. → dos

pactum fiduciae [პა´კტუმ *ფიდუ´კიე/ფიდუ´ციე „ფიდუციის შესახებ შეთანხმება“]
I. → fiducia

pactum in favorem tertii [პა´კტუმ ინ ფავო´რემ *ტე´რტიი/ტე´რციი „მესამე პირის მოწონების შეთანხმება“]
I. → სინ. contractus in favorem tertii

pactum in personam [პა´კტუმ ინ პერსო´ნამ „პიროვნებებს შორის შეთანხმება“]
I. შეთანხმება, რომელიც ძალაში იყო მხოლოდ მხარეებს შორის

pactum in rem [პა´კტუმ ინ რემ „შეთანხმება საქმესთან მიმართებაში“]
I. შეთანხმება, რომელიც მოქმედებდა არა მხოლოდ მხარეებზე, არამედ მათ მემკვიდრეებზეც და მესამე პირებზეც

pactum ne dolus praestetur [პა´კტუმ ნე დო´ლუს პრესტე´ტურ „შეთანხმება იმის შესახებ, რომ პასუხს არ აგებენ მზაკვრობაზე“]
I. პირობა bonae fidei-ს ხელშეკრულებებში, რომ მოვალე პასუხს არ აგებდა თაღლითობაზე

pactum nudum [პა´კტუმ ნუ´დუმ „შიშველი შეთანხმება“]
I. შეთანხმება, რომელიც იძლეოდა მხოლოდ ექსცეფციის საფუძველს

pactum reservatae hypothecae [პა´კტუმ *რესერვა´ტე/რეზერვა´ტე ჰიპო´თეკე „შეთანხმება იპოთეკის დატოვების შესახებ“]

I. შეთანხმება, რომ გაყიდული ნივთი დატვირთული იქნებოდა გირავნობით/იპოთეკით გამყიდველის სასარგებლოდ, ვიდრე მას გადაუხდიდნენ ნივთის ღირებულებას

pactum reservati dominii [პა´კტუმ *რესერვა´ტი/რეზერვა´ტი დომი´ნიი „მფლობელობაში დატოვების შესახებ შეთანხმება“]
I. შეთანხმება, რომ მყიდველისთვის ნივთის გადაცემის შემთხვევაშიც კი გამყიდველი შეინარჩუნებდა საკუთრების უფლებას გაყიდულ ნივთზე ღირებულების სრულად გადახდამდე

pactum tacitum [პა´კტუმ * ტა´კიტუმ/ტა´ციტუმ „უსიტყვო შეთანხმება“]
I. დუმილით დადებული შეთანხმება (განსაკუთრებით გირაოს შესახებ), რომელიც აღიარებული იყო მხოლოდ კლას. შმდ. სამ-ის მიერ

pactum ut minus solvatur [პა´კტუმ უტ მი´ნუს სოლვა´ტურ „შეთანხმება, რომ გადახდილ იქნას მცირე ნაწილი“]
I. შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ვალდებულებებით მეტისმეტად დამძიმებული სამკვიდროს შემთხვევაში კრედიტორები კმაყოფილდებიან მოთხოვნათა მხოლოდ ნაწილის შესრულებით

pactum vestitum [პა´კტუმ ვესტი´ტუმ „შემოსილი შეთანხმება“]
I. შეთანხმება, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც შესაძლებელი იყო სარჩელის წარდგენა

paelex [პე´ლექს „საყვარელი“]
I. თავისუფალი მამაკაცის საყვარელი ან დაქორწინებული კაცის „მეორე ცოლი“, რომელიც ცხოვრობდა ცოლ-ქმართან ერთად, ზოგჯერ მას უფრო მაღალფარდოვნად მოიხსენიებდნენ, როგორც: amica ან concubina

paenitentia [*პენიტე´ნტია/პენიტე´ნცია „სინანული“] პენიტენცია
I. ნების შეცვლა გაკეთებული განცხადების ან გარიგების დადების შემდეგ, სამართლებრივი ძალა ჰქონდა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებით იუსტინ.-ის სამ-ში;
II. ციხის ტიპის გამასწორებელი დაწესებულებების სისტემა. „საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სისტემის საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს შექმნის შესახებ“ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №34 – 2002)
III. „161-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამოქმედდეს პენიტენციური სისტემის რეფორმის გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდეგ, რომლის ვადას განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი ევროსაბჭოს რეკომენდაციით“ (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 1998, 681(4)-ე მუხლი)

paganus [პაგა´ნუს „სოფლის მცხოვრები“]
I. სოფლის მცხოვრები, გლეხი; წარმართი

pagus [პა´გუს „სოფელი, თემი“]
I. სოფლის თემი (დასახლებული პუნქტი, უფრო დიდი, ვიდრე vicus)

palmarium [პალმა´რიუმ „პალმის რტო“]
I. პალმის რტო, გამარჯვების სიმბოლო. ადვოკატის ჯილდო მოგებული პროცესისათვის

pandectae [პანდე´კტე „პანდეკტები“] პანდექტები
I. რომ. იურისტების კანონმდებლობითი თხზულებების კრებულები, სინ. Digesta Iustiniani

papa (*ბერძნ.*) [პა´პა „მამა“] პაპი
I. თავდაპირველად აღნიშნავდა ზემდგომს, ეპისკოპოსს, პატრიარქს; შემდგომ – პაპს

parafrasis (*ბერძნ.*) [*პარაფრა´სის/პარაფრა´ზის „თავისუფალი გადმოცემა“] პარაფრაზი
I. პარაფრაზი, გადმოცემა ბერძნ. ენაზე, ძირითადად, სასწავლო მიზნით – Corpus iuris civilis

parafrasis institutionum Theophili [*პარაფრა´სის/პარაფრა´ზის *ინსტიტუტიო´ნუმ/ინსტიტუციო´ნუმ თეოფი´ლი „თეოფილუსის ინსტიტუციების პარაფრაზი“]
I. იუსტინ.-ის ინსტიტუციების ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული პარაფრაზი, რომლის ავტორიც, სავარაუდოდ, თეოფილუსია, სამჯერ აღემატება ორიგინალს, ფართოდ გამოიყენებს გაიუსის ინსტიტუციებს. უფრო ცნობილია დიგესტების პარაფრაზი

paragrafai (*ბერძნ.*) [პარაგრა´ფაი „წერილობითი დამატებები“]
I. იურიდ. აქტები, რომლებიც (აკრძალვის მიუხედავად) კომენტარს უკეთებდნენ იუსტინიანუსის დიგესტებს

parangariae [პარანგა´რიე „დამატებითი საჭაპნე ბეგარა“]
I. საფოსტო მომსახურება (საჭაპნე ბეგარა) მეორეხარისხოვან გზებზე → angaria

parapherna (*ბერძნ.*) [პარაფე´რნა „მზითვის გარდა“]
I. სინ. **res extra dotem** ცოლის საკუთრება, რომელსაც ქმარი თავისუფლად განკარგავდა

paratitla (*ბერძნ.*) [პარა´ტიტლა „პარალელური ტექსტები“]
I. იუსტინ.-ს დიგესტებში პარალელური ადგილების ციტირება

parens [პა´რენს „მშობელი“]
I. მშობელი, დედა ან მამა

parens binubus [პა´რენს ბი´ნუბუს „მეორედ დაქორწინებული მშობელი“]
I. მეორედ დაქორწინებული მამა

parens manumissor [პა´რენს მანუ´მისსორ „განმათავისუფლებელი მშობელი“]
I. მამა, რომელიც თავისი ძალაუფლებიდან ათავისუფლებს შვილს (emancipatio), ხდება მისი პატრონი

parentes [პარე´ნტეს „მშობლები“]
I. მშობლები, რომლებიც უფლებამოსილნი და ვალდებულნი იყვნენ, აღეზარდათ თავიანთი კანონიერი შვილები და ზომიერად დაესაჯათ ისინი, აგრეთვე ვალდებულება ჰქონდათ, გამოეყოთ ქალიშვილისთვის მზითვი (dos), ხოლო ვაჟისთვის – ძღვენი (donatio ante nuptias)

parere [პა´რერე „წარმოქმნა, გამოწვევა“]
I. წარმოქმნა, გამოწვევა, მაგ. ვალდებულების, p. obligationem

parere [პარე´რე „მოსმენა, დამორჩილება“]

I. მოსმენა, დამორჩილება

paricidas, parricida [*პარიკი´დას/პარიცი´დას, *პარრიკი´და/პარრიცი´და „ახლო ნათესავის მკვლელი“]
I. თავისუფალი მოქალაქის მკვლელი, შემდგომში – ახლო ნათესავის მკვლელი, განსაკუთრებით – მამის

parricidium [*პარრიკი´დიუმ/პარრიცი´დიუმ „მკვლელობა“]
I. მკვლელობა, შემდგომში – ძირითადად, მამის ან სხვა წინაპრის

pars, partis [პარს, პა´რტის „ნაწილი“]
I. 1. მთელის ნაწილი; 2. მხარე პროცესში

pars dimidia [პარს დიმი´დია „ნახევარი“]
I. მთლიანის ნაწილი

pars diversa [პარს დივე´რსა „განსხვავებული ნაწილი“]
I. მხარე პროცესში: საპირისპირო მხარე

pars fructuum [პარს ფრუ´კტუუმ „ნაყოფის ნაწილი“]
I. ნაყოფის ნაწილი, რაც უნდა გადაცემოდა მესაკუთრეს

pars legitima [პარს ლეგი´ტიმა „კანონიერი ნაწილი“]
I. მემკვიდრეობის ნაწილი, რომელიც კანონიერად ერგებოდა ცალკეულ მემკვიდრეს

pars maior [პარს მა´იორ „დიდი ნაწილი“]
I. უმრავლესობა, ძირითადად, რომელიმე კორპორაციაში

pars pro diviso [პარს პრო *დივი´სო/დივი´ზო „ნაწილი გაყოფილიდან“]
I. ნივთის რეალური გაყოფის შედეგად წარმოქმნილი ნაწილი

pars pro indiviso [პარს პრო *ინდივი´სო/ინდივი´ზო „განუყოფელი ნაწილი“]
I. ფიზიკურად განუყოფელი ნივთის წარმოსახვითი ნაწილი

pars quota [პარს კვო´ტა „წილობრივი ნაწილი“]
I. გაყოფილი ნივთის ნაწილი, გამოხატული წილობრივად

pars virilis [პარს ვირი´ლის „მამაკაცის ნაწილი“]
I. წილი [განსაკუთრებით მემკვიდრეობის], რომელიც მოდიოდა თითოეულ პირზე მემკვიდრეობის წილებად დაყოფისას

particeps [*პა´რტიკეპს/პა´რტიცეპს „მონაწილე“]
I. მონაწილე, განსაკუთრებით დანაშაულის თანამონაწილე

partus [პა´რტუს „წარმოშობა, შობა, დაბადება“]
I. ნაყოფი დედის საშოში (nasciturus); parere

partus abactus [პა´რტუს აბა´კტუს „ნაყოფის გამოდევნა“]
I. აბორტი

partus ancillae [პა´რტუს *ანკი´ლლე/ანცი´ლლე „მონა ქალის ბავშვები“]
I. მონა ქალის ბავშვები

partus suppositus [პა´რტუს *სუპპო´სიტუს/სუპპო´ზიტუს „შეცვლილი ჩვილი“]
I. სხვა ჩვილით ჩანაცვლება, შეცვლილი ბავშვი

passivus [პასსი´ვუს „პასიური“] პასიური

I. პასიური, ვნებითი
II. პასიური საარჩევნო უფლება. „პასიური საარჩევნო უფლება – საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, მე-2(ო) მუხლი)
III. „აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებით საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეებთან თანასწორად სარგებლობენ ის პირნიც, ვინც ამ კონსტიტუციის მე-8 მუხლშია აღნიშნული“ (კონსტიტუცია – 1922, თავი VI, 92, გ. შენიშვნა)

patens, -ntis [პა´ტენს „ცხადი, ნათელი“] პატენტი
I. ფართოდ გამომყენებელი, გამავრცელებელი
II. 1) დოკუმენტი, გაცემული კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, რომელიც მოწმობს: განცხადებული ობიექტის აღიარებას გამოგონებად (სამრეწველო ნიმუშად, სასარგებლო მოდელად), გამოგონების პრიორიტეტს, გამოგონების ავტორობას და განსაკუთრებულ უფლებას. „გამოგონებაზე, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გასაიდუმლოებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე, პატენტს საქპატენტი გასცემს მხოლოდ მისი განსაიდუმლოების შემდეგ, ამ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე“ (საქართველოს საპატენტო კანონი -1999, მე-7(1) მუხლი); 2) საკონსულო პატენტი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის კონსულად დანიშვნას და მის უფლებამოსილებას. „საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობაზე დანიშვნისას სამინისტროსგან იღებს წერილობით რწმუნებას – საკონსულო პატენტს“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, მე-8(4) მუხლი)
III. „ავტორს თავისი არჩევანის მიხედვით შეუძლია მოითხოვოს თავისი ავტორობის აღიარება სახელმწიფოსთვის გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლების გადაცემით ან თავისი ავტორობის აღიარება გამოგონებაზე მისთვის განსაკუთრებული უფლების მიკუთვნებით. პირველ შემთხვევაში მას მიეცემა საავტორო მოწმობა, მეორე შემთხვევაში – პატენტი“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსი – 1964, 533-ე მუხლი)

pater [პა´ტერ „მამა“, მრ. რ. patres, პა´ტრეს „მამები“]
I. 1. მშობელი, ღვიძლი მამა (**p. naturalis**); 2. პატრიციუსი

pater patratus [პა´ტერ პატრა´ტუს „მთავარი ქურუმი“]
I. ქურუმთა ჯგუფის მეთაური; ქურუმები რომ. ხალხის დავალებით უცხადებდნენ მოწინააღმდეგეს ომს ან იღებდნენ კაპიტულაციას (deditio)

pater patriae [პა´ტერ პა´ტრიე „სამშობლოს მამა“]
I. განსაკუთრებულად გამორჩეულ სახ. მოღვაწეთა (მაგ., ციცერონის) და მრავალი იმპერატორის ტიტული

pater solitarius [პა´ტერ სოლიტა´რიუს „მარტო მყოფი მამა“]
I. ქვრივი ან გაყრილი მამაკაცი, რომელსაც ჰყავდა ბავშვები, მაგრამ არ ჰყავდა ცოლი, ამით ის არღვევდა lex Iulia 45-ს

paterfamilias [პატერფამი´ლიას „ოჯახის მამა“]
I. ოჯახის მამა, უფროსი მამაკაცი ოჯახში, ოჯახის თავი

patientia [*პატიე´ნტია/პაციენ´ცია „დათმენა, ატანა“]
I. დაშვება, ნების დართვა

patientia servitutis [*პატიე´ნტია/პაციენ´ცია სერვიტუ´ტის „სერვიტუტის დაშვება“]
I. სერვიტუტზე თანხმობის გაცემა

patres [პა´ტრეს „მამები“] მამები
I. 1. სენატის წევრები; 2. პატრიციუსები

patres conscripti [პა´ტრეს კონსკრი´პტი „სენატის სიაში შეყვანილი მამები“]
I. სენატის წევრები

patria [პა´ტრია „სამშობლო“]
I. სამშობლო

patria potestas [პა´ტრია პოტე´სტას „მამის ძალაუფლება“]
I. ოჯახის თავის (paterfamilias) სამუდამო და აბსოლუტური ძალაუფლება ბავშვებზე, მათი ასაკის განურჩევლად, როგორც ღვიძლზე, ასევე ნაშვილებზე

patricii [*პატრი´კიი/პატრი´ციი „პატრიციუსები“] პატრიციუსები
I. გვიანდელი სახელწოდება ფენისათვის, რომელიც აღემატებოდა რომ. საზოგადოებაში რიგით წევრებს (plebs) და ჰქონდა სხვადასხვა პრივილეგია

patrimonium [პატრიმო´ნიუმ „ქონება“]
I. პირის მთელი ქონება, ვიწრო გაგებით, მამისგან მიღებული სამკვიდრო

patrimonium Caesaris, patrimonium principis [პატრიმო´ნიუმ *კე´სარის/ცე´ზარის, პატრიმო´ნიუმ *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის „კეისრის ქონება, პრინცეპსის ქონება“]
I. პრინცეპსის პირადი და მემკვიდრეობით მიღებული ქონება

patrocinium [*პატროკი´ნიუმ/პატროცი´ნიუმ „პატრონატი“]
I. დაცვა, პატრონაჟი; სასამართლო პროცესზე ადვოკატის მიერ პირისთვის გაწეული დახმარება

patronatus [პატრონა´ტუს „მფარველობა“] პატრონატი
I. → ius patronatus

patronus [პატრო´ნუს „მფარველი“] პატრონი
I. 1. კლიენტის დამცველი; 2. გათავისუფლებული მონის (**libertus**) ყოფილი ბატონი; 3. კონსულტანტი და მხარის დამცველი სასამართლოში; 4. **p. municipii (civitatis)** რესპუბლიკის ეპოქაში ქალაქის საპატიო მფარველი და დამცველი, მოქალაქეების მიერ არჩეული რომში მათი ინტერესების წარმოსადგენად

patronus provinciae [პატრო´ნუს *პროვი´ნკიე/პროვი´ნციე „პროვინციის პატრონი“]
I. ნობილიტეტის გავლენიანი წევრი, რომელიც იცავდა პროვინციის ინტერესებს რომში

pauperies [პაუპერი´ეს „ზარალი, ზიანი“]
I. შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანი

pax [პაქს „მშვიდობა, ზავი“]
I. მშვიდობა

pax Romana [პაქს რომა´ნა „რომაული მშვიდობა“]
I. რომაული მშვიდობა, რომელსაც მიაღწია ავგუსტუსმა. ორი საუკუნის განმავლობაში რომის იმპერიის ფარგლებში ომები არ იწარმოებოდა

peculatus [პეკულა´ტუს „პირუტყვის მოპარვა“]
I. სინ. **furtum publicum,** სამსხვერპლო ცხოველების მოპარვა (დაზიანება), სახელმწიფო ქონების გაფლანგვა

peculium [პეკუ´ლიუმ „პირუტყვის ჯოგი“, „ქონება“, „საკუთრება“]
I. რომ. სამ-ში ქონების ნაწილი, რომელიც ოჯახის უფროსს (**pater familias**) შეეძლო გადაეცა ვაჟის ან ოჯახის მონისათვის უფლებით, განეკარგათ ის დამოუკიდებლად და ესარგებლა მოგებითაც

peculium paterfamilias [პეკუ´ლიუმ პატერფამი´ლიას „ოჯახის უფროსის პირუტყვის ჯოგი, ქონება“]
I. ოჯახის უფროსს შეეძლო გადაეცა ნებისმიერი სახის ქონება ვაჟისთვის ან მონისთვის, რომელიც განაგებდა მას

pecunia compromissa [პეკუ´ნია კომპრომი´სსა „კომპრომისული ფული“]
I. → compromissum

pecunia constituta [პეკუ´ნია კონსტიტუ´ტა „დადგენილი ფული“]
I. → constitutum

pecunia numerata [პეკუ´ნია ნუმერა´ტა „გადახდილი ფული“]
I. ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი ფული

pecunia traiectitia [პეკუ´ნია *ტრაიეკტი´ტია/ტრაიეკტი´ცია „გაგზავნილი ფული“]
I. ზღვის გავლით გაგზავნილი ფული

pecuniae repetundarum [პეკუ´ნიე რეპეტუნდა´რუმ „ქრთამად მიცემული ფული“]
I. → repetundae

pecus [პე´კუს „წვრილი საქონელი“]
I. წვრილი და მსხვილი საქონელი

pedaneus iudex [პედა´ნეუს იუ´დექს „დამხმარე მოსამართლე“]
I. დამხმარე მოსამართლე

pedarii [senatores] [პედა´რიი [სენატო´რეს] „დაბალი რანგის (სენატორები)“]
I. დაბალი რანგის სენატორები

pedes [პე´დეს „ფეხები“, მხ. რ. pes]
I. 1. ფეხი; 2. pedites ქვეითი

pellicere [*პელლი´კერე/პელლი´ცერე „მიტყუება, მიზიდვა“]
I. იდუმალი კეთილი ძალების მიზიდვა სხვისი მიწიდან საკუთარზე

penates [პენა´ტეს „სახლის ღმერთები“]
I. სახლის მფარველი ღვთაებები sacra privata

pendere [პენდე´რე „დაკიდება“, „ჩამოკიდება“]

I. 1. ჩამოკიდება ნაყოფის; 2. გაუგებარ სიტუაციაში ყოფნა, გადაწყვეტილების დროულად ვერ მიღება

pendere [პე´ნდერე „აწონვა“]
I. გადახდა (ფულის, ვალის)

pensio [პე´ნსიო „გადახდა“] პენსია
I. რეგულარული გადასახადი, მაგ. საიჯარო ან ბინის ქირა
II. „პენსია – პირისათვის ... დანიშნული ყოველთვიური ფულადი სარგებლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის ერთობლიობა“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ – 2005, მე-4(ი) მუხლი)
III. „და უკეთუ აქუს პენციაჲ, ესე იგი როჭიკად, მაშინ შემდგომად სიკუდილისა დედაკაცისა მის დარჩეს ქმარსა“ (სამართ. ბატ. დავ. 97)

penus [პე´ნუს „საწყობი“]
I. სურსათის მარაგი

per aes et libram [პერ ეს ეტ ლი´ბრამ „სპილენძითა და სასწორით“]
I. სპილენძითა და სასწორით ხდებოდა ნაღდი ანგარიშსწორება ძვ. წ. I ათასწლეულიდან, მას შემდეგ, რაც სპილენძი გამოიყენებოდა გადახდის საშუალებად

peraequatio [*პერეკვა´ტიო/პერეკვა´ციო „გათანაბრება“]
I. გადასახადების შეცვლა ბოლო წლების ცვლილებების გათვალისწინებით

perceptio fructuum [*პერკე´პტიო/პერცე´პციო ფრუ´კტუუმ „ნაყოფის მიღება“]
I. → fructus

percipere [*პერკი´პერე/პერცი´პერე „დაუფლება“]
I. შეკრება, მფლობელობაში მიღება

perclusio [*პერკლუ´სიო/პერკლუ´ზიო „შეჩერება“]
I. გამქირავებლის უფლება (ნაგებობის მფლობელის), დაეკავებინა დამქირავებლის ნივთები ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში

percussio securi [პერკუ´სსიო სეკუ´რი „თავის მოკვეთა სეკირით“]
I. თავის მოკვეთა სეკირით

percutere [პერკუ´ტერე „გახვრეტა, შენგრევა, დაკვრა“]
I. ხელით ან ჯოხით დარტყმა, ფიზიკური შეურაცხყოფა

perduellio [პერდუე´ლლიო „მტრული (საომარი) ქმედებები“]
I. სახ. ღალატი, მტერთან შეკვრა ან დეზერტირობა

peregrini [პერეგრი´ნი „უცხოქვეყნელები“] პერეგრინები
I. სხვა სახ-ს თავისუფალი მოქალაქეები

peremptorium edictum [პერემპტო´რიუმ ედი´კტუმ „საბოლოო ედიქტი“]
I. → edictum peremptorium

peremptorius [პერემპტო´რიუს „დამანგრეველი, გამანადგურებელი“, „გადამწყვეტი“, „საბოლოო“]
I. გამაუქმებელი, საბოლოო

perfectae leges [პერფე´კტე ლე´გეს „სრულყოფილი კანონები“]
I. → leges perfectae

perfectissimus [პერფექტი´სსიმუს „ყველაზე სრულყოფილი“]
I. ყველაზე სრულყოფილი; საიმპერატორო თანამდებობის პირების საპატიო წოდება, უპირველეს ყოვლისა, მხედართა ფენის პრეფექტებისათვის

perfectus [პერფე´კტუს „სრულყოფილი“] პერფექტი
I. სრულყოფილი, სრული. სრულყოფილად ითვლება იურ. ქმედება, სადაც შესრულებულია ყველა მისი ძირითადი რეკვიზიტი

perfuga [პე´რფუგა „მტრის მხარეზე გადასული“]

I. მტრის მხარეზე გადასული, დეზერტირი

perfugere [პერფუ´გერე „გაქცევა, გადარბენა“]
I. გაქცევა, გადარბენა

perfugium [პერფუ´გიუმ „თავშესაფარი“]
I. თავშესაფარი

periculum [პერი´კულუმ „საფრთხე“]
I. საფრთხე, პასუხისმგებლობა (ძირითადად, ზიანისთვის)

periculum dupli [პერი´კულუმ დუ´პლი „ორმაგი საფრთხე“]
I. → infitiatio

periculum emptoris, periculum rei venditae [პერი´კულუმ ემპტო´რის „მყიდველის საფრთხე“, პერი´კულუმ რეი ვენდი´ტე „გასაყიდი ნივთის საფრთხე“]
I. გარიგების პირობა, რომლის მიხედვითაც, ნივთის შემთხვევით დაზიანებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მყიდველს ხელშეკრულების დადებისთანავე

periculum tutelae [პერი´კულუმ ტუტე´ლე „მზრუნველობის საფრთხე“]
I. მეურვის მემკვიდრეობით-სამართლებრივი მომატებული პასუხისმგებლობა სამეურვეო პირის საქმის წარმოებისას

peritus [პერი´ტუს „გამოცდილი“]
I. → ius peritus

periurium [პერიუ´რიუმ „ფიცის გატეხა“]
I. ფიცის გატეხა

perlustratio [*პერლუსტრა´ტიო/პერლუსტრა´ციო „დათვალიერება, განწმენდის რიტუალი“] პერლუსტრაცია
I. → lustratio

permutatio [*პერმუტა´ტიო/პერმუტა´ციო „შეცვლა, ცვლილება“]
I. გაცვლის ხელშეკრულება

permutatio dotis [*პერმუტა´ტიო/პერმუტა´ციო დო´ტის „მზითვის შეცვლა“]
I. ხელშეკრულება ქორწინების პერიოდში მზითვის საგნის შეცვლაზე

perpetuarius [პერპეტუა´რიუს „მუდმივი“]
I. მოიჯარე

perpetuatio obligationis [*პერპეტუა´ტიო *ობლიგატიო´ნის/პერპეტუა´ციო ობლიგაციო´ნის „ვალდებულების მუდმივობა“]
I. მოვალის ბრალით ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას, ნივთის შემთხვევითი განადგურების შემთხვევაში მოვალეს ეკისრება ზიანის ანაზღაურე-

ბის, აგრეთვე პროცენტისა და ვადის გადაცილების მომენტიდან მიღებული შემოსავლის უკან დაბრუნების ვალდებულებები

perpetuus [პერპე´ტუუს „განუწყვეტელი“]

I. მუდმივი, შეუცვლელი

persecutio [*პერსეკუ´ტიო/პერსეკუ´ციო „დევნა“]
I. ტერმინი სარჩელისათვის, ბრალდებისთვის, რომელიც გამოიყენებოდა კლას. კოგნ. სამართალწარმოებაში (**p. extra ordinem**) და სისხ. სამ. წარმოებაში (**p. poenae**)

persona [პერსო´ნა „ნიღაბი“] პერსონა
I. პირი, ადამიანი სამართალთან მიმართებაში
II. პერსონა ნონ გრატა – ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ დიპლომატიური აგენტის მიუღებელ პირად გამოცხადება. „დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და თანამდებობის პირის ვადაზე ადრე გამოწვევა ... მინისტრმა შეიძლება განახორციელოს: ... გ) მივლინებული პირის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ „პერსონა ნონ გრატად“ ან მიუღებელ პირად გამოცხადებისას“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, 24(1)(გ)-ე მუხლი)
III. „დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადაზე ადრე შეწყვეტა და მოსამსახურის ვადაზე ადრე გამოწვევა ... შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ შემდეგ შემთხვევებში: ... გ) ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ მივლინებული პირის „პერსონა ნონ გრატად“ გამოცხადებისას“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 1999, 25(გ)-ე მუხლი)

persona extranea [პერსო´ნა ექსტრა´ნეა „უცხო პირი“]
I. მესამე პირი, რომელიც არ იყო ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, სინ. extraneus

persona interposita [პერსო´ნა *ინტერპო´სიტა/ინტერპო´ზიტა „შუამავალი პირი“]
I. შუამავალი, ცრუმაგიერი პირი

personae alieni iuris [პერსო´ნე ალიე´ნი იუ´რის „სხვას დამორჩილებული პირები“]
I. დაქვემდებარებული პირები: uxor in manu, filii familias, servi

personae exceptae [პერსო´ნე *ექსკე´პტე/ექსცე´პტე „გამონაკლისი პირები“]
I. ადამიანთა ჯგუფები, რომლებზეც არ ვრცელდება რომელიმე კანონისმიერი აკრძალვა

personae incertae [პერსო´ნე *ინკე´რტე/ინცე´რტე „არასაიმედო, არასანდო პირები“]
I. გაუთვალისწინებელი პირები მაგ., ანდერძში შეიძლება მემკვიდრედ დასახელებულიყო ის პირი, რომელიც პირველი მივიდოდა მამკვიდრებლის დაკრძალვაზე

personae sui iuris [პერსო´ნე სუ´ი იუ´რის „უფლებამოსილი პირები“]
I. პირებს, რომლებსაც ჰქონდათ სრული უფლებაუნარიანობა

personae turpes [პერსო´ნე ტუ´რპეს „სამარცხვინო პირები“]

I. სამარცხვინო საქციელის ან დასაძრახი პროფესიის ადამიანები: არენაზე გამომსვლელი, გლადიატორი, მაჭანკალი, მეძავი, მსახიობი

personalis [პერსონა´ლის „პირადი“] პერსონალური
I. პირადი, პირადული
II. „პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით“ (საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ – 2011, მე-2(ა) მუხლი)
III. „დახმარება საექიმო პერსონალს და ეპიდემიასთან საბრძოლველ ღონისძიებათა განხორციელება...“ (დეკრეტი 23, 15 აპრილი 1921 წ., I, ზ, ბ, აქტები 1921-1978, გვ. 40)

petere [პე´ტერე „სვლა, მისწრაფება, მიღწევა“]
I. სწრაფვა, ძიება, მიღწევა. ნაწ. სინ. **postulare**

petitio [*პეტი´ტიო/პეტი´ციო „თხოვნა“] პეტიცია
I. სარჩელი
II. კოლექტიური წერილობითი მიმართვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსადმი. „პეტიცია იწერება და შეიტანება პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე და აღირიცხება სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში...“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 240(2)-ე მუხლი)
III. „1907 წელს ქართველმა ერმა ჰააგის მშვიდობიანობის კონფერენციას პეტიციით მიმართა და სთხოვდა საქართველოს კანონიერი უფლებები აღედგინა“ (აქტი 1918, დამატება II)
„პირადი და კოლექტიური პეტიციის უფლება უზრუნველყოფილია“ (კონსტ. – 1921, თავი 3, მუხლი 37)

petitio ex libertate in servitutem [*პეტი´ტიო/პეტი´ციო ექს ლიბერტა´ტე ინ სერვიტუ´ტემ „სარჩელი თავისუფლებიდან მონად ქცევაზე“]
I. → liberalis causa

petitio hereditatis [*პეტი´ტიო/პეტი´ციო ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობის შესახებ სარჩელი“]
I. → hereditatis petitio

petitio servitutis [*პეტი´ტიო/პეტი´ციო სერვიტუ´ტის „თავისუფლების აღკვეთის შესახებ სარჩელი“]
I. → vindicatio

petitio (v.) ususfructus [*პეტი´ტიო *უსუსფრუ´კტუს/პეტი´ციო უზუსფრუ´კტუს „სარჩელი უზუფრუქტზე“]
I. სარჩელი უზუფრუქტის დაცვის შესახებ

petitiones mutuae [*პეტიტიო´ნეს/პეტიციო´ნეს მუ´ტუე „საერთო სარჩელები“]
I. → actiones mutuae

petitor [პეტი´ტორ „მოსარჩელე“]

I. მოსარჩელე

petitorium [პეტიტო´რიუმ „სასარჩელო განაცხადი“]
I. სამართლებრივი დავა უფლებაზე (საპირ. possesorium)

petulantia [*პეტულა´ნტია/პეტულა´ნცია „თავხედობა“]
I. სამხედრო მეთაურის შეურაცხყოფა ქმედებით

philosophi (*ბერძნ.*) [ფილოსო´ფი „ფილოსოფოსები“] ფილოსოფოსები
I. მოაზროვნეები, ფილოსოფოსები. მათ შეეძლოთ უარი ეთქვათ სამეურვეო ვალდებულებებზე

piaculum [პია´კულუმ „ზღვევინება“]
I. 1. გამოსყიდვითი მსხვერპლი, რომლითაც იწმინდებოდა ის, ვინც აგებდა სასამართლო დავას; 2. დომინატის დროს: დანაშაული (რომელიც მოითხოვდა ზღვევინებას, ანუ დასჯას)

piaculum, piae causae [პია´კულუმ, პი´ე *კაუ´სე/კაუ´ზე „დანაშაულის გამოსყიდვა“]
I. → pius

piae causae, pia corpora [პი´ე *კაუ´სე/კაუ´ზე, პია კო´რპორა „კეთილსინდისიერი მიზეზები, წესიერი დაწესებულებები“]
I. დამოუკიდებელი საქველმოქმედო ფონდები, ქველმოქმედების მიზნით გაღებული ქონება

pictura, tabula picta [პიკტუ´რა „მხატვრობა“, ტა´ბულა პი´კტა „ნახატი“]
I. იუსტინ.-ის სამ.-ში ნახატი tabula picta (მაგრამ არა ფრესკა, კედლის მხატვრობა) მხატვრის საკუთრებად ითვლებოდა (scriptura-სგან განსხვავებით)

pietas [პიე´ტას „კეთილსინდისიერება“]
I. კეთილსინდისიერება, თავდადება

pignoris capio [პი´გნორის კა´პიო „გირაოს ამოღება“]
I. 1. მაგისტრატის მიერ გირავნობის დადგენა ურჩი მოქალაქის წინააღმდეგ; 2. → legis actio per pignoris capionem

pignus [პი´გნუს „გირაო“]
I. გირაო, გირავნობა

pignus conventum [პი´გნუს კონვე´ნტუმ „შეთანხმებითი გირაო“]
I. შეთანხმებითი გირავნობა, სინ. hypotheca

pignus datum [პი´გნუს და´ტუმ „მიცემული გირაო“]
I. გირავნობა, რომლის დროსაც დაგირავებული ნივთი გადაეცემოდა კრედიტორს

pignus Gordianum [პი´გნუს გორდია´ნუმ „გორდიანუსის გირაო“]
I. იმპერატორ გორდიანუსის კონსტიტუციის თანახმად, გირავნობა, რომლის დროსაც კრედიტორი, ვისაც ერთი და იგივე მოვალის მიმართ ჰქონდა რამდენიმე მოთხოვნა, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი იყო უზრუნველყოფილი გირაოთი, უფლება ჰქონდა დაეტოვებინა დაგირავებული ნივთი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე

pignus in causa iudicati captum [პი´გნუს ინ *კაუ´სა/კაუ´ზა იუდიკა´ტი კა´პტუმ „გირაო, სასამართლოს განჩინებით მიღებული“]

I. მაგისტრატის გადაწყვეტის საფუძველზე მოვალისგან დაგირავებული ნივთის იძულებითი ამოღება (საჯარო ვაჭრობაზე გასაყიდად)

pignus in re sua [პი´გნუს ინ რე სუ´ა „გირაო საკუთარ საქმეზე“]
I. მესაკუთრის იპოთეკა

pignus insulae [პი´გნუს ი´ნსულე „სახლის გირაო“]
I. კანონიერი გირავნობის უფლება შენობაზე, ეძლეოდა მას, რომელმაც გაიღო ფული შენობის რეკონსტრუქციისათვის

pignus irregulare [პი´გნუს ირრეგულა´რე]
I. ფულადი გირაო

pignus nominis [პი´გნუს ნო´მინის „სახელობითი გირაო“]
I. გირაო მოთხოვნის უფლებისათვის

pignus obligatum [პი´გნუს ობლიგა´ტუმ „ვალდებულებითი გირაო“]
I. → pignus datum

pignus pignoris, pignus pignori datum [პი´გნუს პი´გნორის, პი´გნუს პი´გნორი და´ტუმ „გირაოს გირაო“]
I. → subpignus

pignus praetorium [პი´გნუს პრეტო´რიუმ „პრეტორთა გირაო“]
I. პრეტორის ბრძანების საფუძველზე დადგენილი გირავნობა

pignus publicum [პი´გნუს პუ´ბლიკუმ „საჯარო გირაო“]
I. ოფიციალური დოკუმენტით დადგენილი გირავნობა

pignus tacitum [პი´გნუს *ტა´კიტუმ/ტა´ციტუმ „უხმო გირაო“]
I. სინ. hypotheca tacita, გირავნობა, რომელიც გამომდინარეობს უშუალოდ კანონიდან

piratae (*ბერძნ.*) [პირა´ტე „ყაჩაღები“]
I. მეკობრეები

piscatio [*პისკა´ტიო/პისკა´ციო „თევზჭერა“]
I. თევზის ჭერა. ღია ზღვაში, საზოგადო მდინარეების ნავსადგურებში თევზის ჭერა არ იყო შეზღუდული, თევზი მას ეკუთვნოდა, ვინც მას იჭერდა

pius [პი´უს „ღვთისმოსავი“]
I. საკუთარი ვალდებულებების შემსრულებელი (მშობლებთან, შვილებთან მიმართებაში), სამართლიანი, სათნო, ღვთისმოსავი, ლმობიერი

plagium [პლა´გიუმ „მოტაცება“]
I. ადამიანის ფაქტობრივი დამონება, თავისუფალ ან სხვის დაქვემდებარებაში მყოფ მონაზე მშობლის ძალაუფლების გავრცელება

plantatio [*პლანტა´ტიო/პლანტა´ციო „დარგვა“] პლანტაცია
I. დარგვის შედეგად მიღებული ნამატი

plebiscitum [*პლებისკი´ტუმ/პლებისცი´ტუმ „სახალხო დადგენილება“] პლებისციტი
I. პლებეების შეკრების დადგენილება (concilium plebis), რომელიც ვალდებულებას აკისრებდა უშუალოდ მხოლოდ პლებეებს

II., III. „პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე საქართველოს ამომრჩეველთა ან მისი ნაწილის აზრის გასაგებად“ (საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ – 1996, 8^{1}(1)-ე მუხლი)

plebs [პლებს „არადიდგვაროვანი“] პლებსი
I. ხალხი, პლებეები

plenarius [პლენა´რიუს „სავსე, სრული“] პლენარული
I. სავსე, დასრულებული
II. პლენარული სხდომა – ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოთა საქმიანობის ფორმა, როდესაც პარლამენტი ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანო იკრიბება სრული შემადგენლობით. „პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას პარლამენტის წევრის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შესახებ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხს განსახილველად სვამს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, მე-13(2) მუხლი)
III. „პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრა არის ღია ან ფარული...“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, მე-60(3) მუხლი)

plenum [პლე´ნუმ „ხალხმრავალი, სრული“] პლენუმი
I. სავსე, სრული, ხალხმრავალი
II. სასამართლოს პლენუმი – უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს (უზენაესი სასამართლოს, საკონსტიტუციო სასამართლოს) სხდომა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ამ სასამართლოს ყველა მოსამართლე. „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი“ (საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ – 2009, 15(1)-ე მუხლი)
III. „ქალაქის საბჭოს პირველი პლენუმი აირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოს თავმჯდომარეს, აგრეთვე სამანდატო კომისიას და მოისმენს საარჩევნო კომისიის ანგარიშს“ (დებულება ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების შესახებ, 1928 წლის 29 იანვრის დადგენილება, თავი III, ქრონ. კრ., I, გვ. 68)

plumbatura [პლუმბატუ´რა „ტყვიით დარჩილვა“]
I. ლითონის ორი ნივთის შეერთება ტყვიით; თუ საგნები სხვადასხვა პატრონს ეკუთვნის, შესაძლებელია მათი ხელახლა გამიჯვნა (ferruminatio-სგან გასხვავებით, სადაც ეს პროცესი შეუძლებელია)

pluralis [პლურა´ლის „მრავლობითი, მრავალგვარი“] პლურალური
I. მრავლობითი

plures rei [პლუ´რეს რე´ი „მეტი საგნები“]
I. → correi

plures tutores [პლუ´რეს ტუ´ტორეს „მეტი მეურვე“]
I. → contutor

pluris petitio [პლუ´რის *პეტი´ტიო/პეტი´ციო „გადამეტებული მოთხოვნა“]

I. ფორმულარულ წარმოებაში მოთხოვნის გადამეტება, შეუსაბამობა intentio certa-სა და საქმის გარემოებიდან გამომდინარე მტკიცებულებას შორის, რასაც საქმე მიჰყავს პროცესის წაგებამდე და უფლების დაკარგვამდეც კი

pluris petitio causa [პლუ´რის *პეტი´ტიო *კაუ´სა/პეტი´ციო კაუ´ზა „გადამეტებული მოთხოვნა მიზეზთან დაკავშირებით“]
I. მოსარჩელის მიერ ვალდებულების შინაარსის შეცვლა საკუთარი ინიციატივით

pluris petitio loco [პლუ´რის *პეტი´ტიო/პეტი´ციო ლო´კო „გადამატებული მოთხოვნა ადგილთან დაკავშირებით“]
I. მოსარჩელის მოთხოვნა ვალდებულების სხვა ადგილას შესრულებასთან დაკავშირებით

pluris petitio re [პლუ´რის *პეტი´ტიო/პეტი´ციო რე „გადამეტებული მოთხოვნა საგანთან დაკავშირებით“]
I. გადაჭარბებული, უსაფუძვლო მოთხოვნა

pluris petitio tempore [პლუ´რის *პეტი´ტიო/პეტი´ციო ტემპო´რე „გადამეტებული მოთხოვნა დროსთან დაკავშირებით“]
I. მოსარჩელის მოთხოვნა ვალდებულების ვადამდელ შესრულებასთან დაკავშირებით

plus [პლუს multum-ის „ბევრი“ შედ. ხარისხი]
I. უფრო მეტი (საპ. minus) 1. სინ. amplius; 2. სინ. magis

poculum amatorium [პო´კულუმ ამატო´რიუმ „შხამიანი თასი“]
I. → partus abactus

poena (*ბერძნ.*) [პე´ნა „სასჯელი“]
I. სასჯელი 1) სინ. punitio. განწმენდა დანაშაულისგან და დამნაშავის მიძღვნა ღვთაებისათვის, შემდგომში: ზოგადად, სასჯელი; 2) მხარეთა მიერ შეთანხმებული ჯარიმა, რომელიც უნდა გადაეხადა მოვალეს კრედიტორისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში

poena capitis, poena capitalis [პე´ნა კა´პიტის, პე´ნა კაპიტა´ლის „სასჯელი თავის მოკვეთით“]
I. სასჯელი, რომელიც ითვალისწინებდა თავის მოკვეთას

poena cullei [პე´ნა კუ´ლლეი „სასჯელი ტყავის ტომრით“]
I. სიკვდილით დასჯის ფორმა მამის მკვლელობისათვის. დამნაშავეს ცოცხლად ჩასვამდნენ ტყავის გუდაში, თავს მოუკრავდნენ და ჩაუშვებდნენ ზღვაში ან მდინარეში

poena dupli [პე´ნა დუ´პლი „ორმაგი სასჯელი“]
I. → lis

poena exilii [პე´ნა ექსი´ლიი „სასჯელი განდევნით“]
I. → exilium

poena existimationis [პე´ნა *ექსისტიმატიო´ნის/ექსისტიმაციო´ნის „რეპუტაციასთან დაკავშირებული სასჯელი“]
I. რეპუტაციის შებღალვა სასჯელის მისჯის შედეგად

poena metalli [პე´ნა მეტა´ლლი „მაღაროში მუშაობის სასჯელი“]

I. → damnatio in metallum

poena mortis, poena capitis [პე´ნა მო´რტის, პე´ნა კა´პიტის „სიკვდილით დასჯა“]
I. სიკვდილით დასჯა

poena nummaria, poena pecuniaria [პე´ნა ნუმმა´რია, პე´ნა პეკუნია´რია „ფულადი სასჯელი“]
I. ფულადი ჯარიმა, ზოგჯერ მთელი ქონების ჩამორთმევა

poena sanguinis [პე´ნა სანგუი´ნის „სისხლით დასჯა“]
I. სიკვდილით დასჯა

poena temere litigantium [პე´ნა ტემე´რე *ლიტიგა´ნტიუმ/ლიტიგა´ნციუმ „სასჯელი თვითნებური დავის წარმოებისათვის “]
I. ჯარიმა, რომელიც ეკისრებოდა მხარეს სასამართლო პროცესის დაუდევრად წამოწყების ან გაგრძელებისთვის

poenae nomine relictum legatum [პე´ნე ნო´მინე რელი´კტუმ ლეგა´ტუმ „სასჯელის სახელით დატოვებული სამემკვიდრო“]
I. იუსტინიანუსამდელ პერიოდში უარი ანდერძით განსაზღვრული პირობის შესრულებაზე კანონით ისჯებოდა

poenalis [პენა´ლის „დამსჯელი“]
I. სისხლისსამართლებრივი

poenitentia [*პენიტე´ნტია/პენიტე´ნცია]
I. → paenitentia

polis (*ბერძნ.*) [პო´ლის „ქალაქ-სახელმწიფო“] პოლისი
I. ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო
II., III. „სადაზღვევო პოლისი – მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი – მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ“ (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ – 1997, მე-2(ლ) მუხლი)

pollicitatio [*პოლლიკიტა´ტიო/პოლლიციტა´ციო „შეპირება“]
I. მოქალაქის ცალმხრივი განცხადება იმის შესახებ, რომ ის რამეს გააკეთებდა თავისი თემისათვის

pollicitatio dotis [*პოლლიკიტა´ტიო/პოლლიციტა´ციო დო´ტის „მზითვის დაპირება“]
I. მზითვის დაპირება

pom(o)erium [პომ(ო)ე´რიუმ, post murum „კედლის მიღმა“]
I. ქალაქის კედლებს მიღმა, ქალაქის პერიმეტრი, მიწის ზოლი, რომელიც განკუთვნილია გამაგრებისათვის, სადაც (თავდაპ.) კერძო პირებს არ ჰქონდათ უფლება, აეგოთ სახლები

ponere [პო´ნერე „დადება, მოთავსება“]
I. მოთავსება, დადგენა, მაგ. ვადის

pontifex, collegium pontificum [პო´ნტიფექს „უმაღლესი ღვთისმსახური“, კოლლე´გიუმ პონტიფი´კუმ „ქურუმთა კოლეგია“] პონტიფექსი
I. რომაელი ღვთისმსახურები. მათ კოლეგიას რომის სახელმწიფოებრივ კულტში ცენტრალური ადგილი ეჭირა, იგი ზედამხედველობას უწევდა სხვა ქურუმთა

კოლეგიებს, კალენდრების შედგენას, წეს-ჩვეულებებს, მსხვერპლშეწირვებს, დაკრძალვის ცერემონიალს, საკრალურ უფლებას (სამართალს) და ა. შ. თავდაპირველად პონტიფექსის კოლეგია 5 კაცისაგან, შემდეგ 15 წევრისაგან შედგებოდა. მათ სათავეში ედგა უმაღლესი პონტიფექსი

pontifex maximus [პო´ნტიფექს მა´ქსიმუს „უმაღლესი ქურუმი“]
I. უმაღლესი ქურუმი

pontifex Romanus, pontifex summus [პო´ნტიფექს რომა´ნუს, პო´ნტიფექს სუ´მმუს „რომაელი ქურუმი, უმაღლესი ქურუმი“]
I. პაპი

populares [პოპულა´რეს „ხალხისადმი კეთილგანწყობილნი“] პოპულარები
I. ოპოზიაცია, რომელიც უპირისპირდება ოპტიმატებს

popularis [პოპულა´რის „ხალხისთვის განკუთვნილი“] პოპულარული
I. ნებისმიერი მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი, ის, რაც ნებისმიერ მოქალაქეს ეკუთვნის

populi stipendiarii [პო´პული სტიპენდია´რიი „გადასახადის გადამხდელი ხალხი“]
I. ხალხი, რომელიც რომს ემორჩილებოდა და გადასახადს (stipendium) იხდიდა

populi vectigales [პო´პული ვექტიგა´ლეს „ხალხი, რომელიც იხდიდა იჯარას“]
I. ხალხი, რომელთა მიწაც დაიმორჩილა და მიითვისა რომმა, ამის გამო მიწით სარგებლობისთვის მათ უნდა გადაეხადათ იჯარა

populus [პო´პულუს „ხალხი“]
I. ხალხი, მოსახლეობა, მოქალაქეთა ერთობა, როგორც საერთაშორისო სამ.-ის სუბიექტი

populus Romanus [პო´პულუს რომა´ნუს „რომაელი ხალხი“]
I. შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი რომის მოსახლეობა (**populus Romanus Quiritium**), შემდგომში: მთელი რომის მოქალაქეების ერთიანობა, როგორც მისი უფლებების და ვალდებულებების სუბიექტი

portio [*პო´რტიო/პო´რციო „ნაწილი“] პორცია

I. ნაწილი, წილი

portio debita, portio legitima [*პო´რტიო/პო´რციო დე´ბიტა, *პო´რტიო/პო´რციო ლეგი´ტიმა „ვალდებულებითი წილი, კანონიერი წილი“]
I. სავალდებულო წილი, კანონიერი წილის ერთი მეოთხედი (**quarta legitimae partis**), რომელიც მოანდერძეს აუცილებლად უნდა დაეტოვებინა კანონიერი მემკვიდრისთვის

portio hereditaria [*პო´რტიო/პო´რციო ჰერედიტა´რია „მემკვიდრეობის წილი“]
I. მემკვიდრეობის წილი, რომელიც მოანდერძემ დაუდგინა მემკვიდრეს

portio virillis [*პო´რტიო/პო´რციო ვირი´ლის „ერთპიროვნული, ინდივიდუალური წილი“]
I. მემკვიდრეობის თანაბარი წილი, რომელიც მოდიოდა თითოეულ კანონიერ თანამემკვიდრეზე

portus [პო´რტუს „პორტი“] პორტი
I. პორტი, ნავსადგური

posita ac suspensa [*პო´სიტა/პო´ზიტა აკ *სუსპე´ნსა/სუსპე´ნზა „დადგენილი და აწონილი“]
I. დადგენილი და აწონილი საგნები

possessio [პოსსე´სსიო „საკუთრება“]
I. საკუთრება, ფლობა, ნივთის ფაქტობრივი ფლობა

possessio ac ususfructus [პოსსე´სსიო აკ *უსუსფრუ´კტუს/უზუსფრუ´კტუს „საკუთრება და უზუფრუქტი“]
I. რომ. მოქალაქის (კვაზი) საკუთრება პროვინციის მიწაზე

possessio ad interdicta [პოსსე´სსიო ად ინტერდი´კტა „საკუთრება აკრძალვისათვის“]
I. აღნიშნავდა ქონებას, რომელსაც პრეტორი იცავდა

possessio civilis [possessio ad usucapionem] [პოსსე´სსიო *კივი´ლის/ცივი´ლის [პოსსე´სსიო ად *უსუკაპიო´ნემ/უზუკაპიო´ნემ] „სამოქალაქო ფლობა“]
I. ფლობის ორი ძირითადი რეკვიზიტის გარდა მოიცავდა აგრეთვე სამართლებრივ საფუძველს სხვისი ქონების შესაძენად

possessio clandestina [პოსსე´სსიო კლანდესტი´ნა „მალული საკუთრება“]
I. ფარულად შეძენილი ქონება წინა მფლობელის დაუკითხავად

possessio corpore [პოსსე´სსიო კო´რპორე „ფიზიკური ფლობა“]
I. ნივთის ფიზიკური ფლობა, პყრობა

possessio momentaria [პოსსე´სსიო მომენტა´რია „დროებითი საკუთრება“]
I. → actio momentaria

possessio naturalis [possessio corporalis] [პოსსე´სსიო ნატურა´ლის [პოსსე´სსიო კორპორა´ლის] „ნივთის ფიზიკურად ფლობა“]
I. → possessio corpore

possessio vacua [პოსსე´სსიო ვა´კუა „დაუცველი საკუთრება“]
I. მყიდველის მფლობელობის უფლება, რომელსაც იცავს ინტერდიკტი მესამე პირთა წინააღმდეგ

possessio vitiosa [პოსსე´სსიო *ვიტიო´სა/ვიციო´ზა „ნაკლოვანი მფლობელობა“]
I. ხარვეზიანი მფლობელობა

possessiones [პოსსესსიო´ნეს „მფლობელობაში არსებული“]
I. ტერმინი გამოიყენებოდა სახ. მიწის დაკავებული ნაკვეთებისათვის, პროვინციის მიწებისათვის, ვრცელი მიწის ნაკვეთებისათვის იტალიაში

possessor [პოსსე´სსორ „მფლობელი“]
I. მფლობელი

possessor bonae fidei [პოსსე´სსორ ბო´ნე ფი´დეი „კეთილსინდისიერი მფლობელი“]
I. კეთილსინდისიერი მფლობელი

possessor fictus [პოსსე´სსორ ფი´კტუს „ფიქტიური მფლობელი“]
I. პირი, რომელიც არ ფლობს სადავო ნივთს, მაგრამ რომელსაც განზრახ შეცდომაში შეჰყავს მოსარჩელე ნივთის ფლობის შესახებ

possessor pro alieno [პოსსე´სსორ პრო ალიე´ნო „მფლობელი სხვის მაგივრად“]
l. → possessor pro suo

possessor pro herede [პოსსე´სსორ პრო ჰერე´დე „მფლობელი მემკვიდრის მაგივრად“]
l. პირი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფლობდა რაღაცას სამკვიდროდან, რადგან იყო მემკვიდრე

possessor pro possessore [პოსსე´სსორ პრო პოსსესსო´რე „მფლობელი მფლობელის მაგივრად“]
l. პირი, რომელსაც არ შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ფლობდა ნივთს რაღაც ტიტულით და ამიტომ განიხილებოდა როგორც არაკეთილსინდისიერი მფლობელი

possessor pro suo [პოსსე´სსორ პრო სუ´ო „მფლობელი თავისი თავისთვის“]
l. იუსტინ.-ის სამართალში – მესაკუთრე

possessorium [ordinarium] [პოსსესსო´რიუმ [ორდინა´რიუმ] „სამართლებრივი დავა ქონების შესახებ“]
l. სამართლებრივი დავა მფლობელობის შესახებ

possessorium constitutum [პოსსესსო´რიუმ კონსტიტუ´ტუმ „სამართლებრივი დავა შეთანხმებით“]
l. საკუთრების დაუფლება წარმომადგენლის მეშვეობით, შეთანხმებით, გარიგებით

possessorium summarium [პოსსესსო´რიუმ სუმმა´რიუმ „მოკლე სამართლებრივი დავა“]
l. წინასწარი დაჩქარებული საქმის წარმოება მფლობელობასთან დაკავშირებული ურთიერთობების დროებითი დარეგულირებისათვის

posteri [პო´სტერი „შთამომავლები“]
l. შთამომავლები, უფრო ფართო გაგებით, ვიდრე descendentes და postumi

posterior [პოსტე´რიორ „მომდევნო“]
l. მომდევნო, საპირ. prior-ისა

posteriora, libri posteriores [პოსტერიო´რა, ლი´ბრი პოსტერიო´რეს „სიკვდილის შემდეგ გამოცემული წიგნები“]
l. სიკვდილის შემდეგ გამოცემული წიგნები

posterus [პო´სტერუს „მომდევნო“]
l. მომავალი, შემდგომი

postliminium [პოსტლიმი´ნიუმ „საზღვრიდან დაბრუნება“]
l. სამშობლოში დაბრუნებისა და ძველი უფლებების აღდგენის მოთხოვნა

postremus [პოსტრე´მუს „უკანასკნელი“]
l. უკანასკნელი, მაგ., **postrema voluntas** „უკანასკნელი სურვილი“ ანდერძი (testamentum)

postulare [პოსტულა´რე „მოთხოვნა“]
l. მოთხოვნის დაყენება მაგისტრატის წინაშე

postulare [პოსტულა´რე „მოთხოვნა, გამოთხოვნა“] პოსტულირება

I. petere-ს ნაწ. სინონიმი. მაგისტრატის წინაშე ნებისმიერი სახის პროცესუალური მოთხოვნის წაყენება

postulare iudicem [პოსტულა´რე *იუდი´კემ/იუდი´ცემ „მოთხოვნა მოსამართლისა“]
I. მოსამართლის დანიშვნის შესახებ მოთხოვნის წაყენება სასამართლოში

postulare pro aliis [პოსტულა´რე პრო ა´ლიის „მოთხოვნა სხვისი სახელით“]
I. სასამართლოში გამოსვლა სხვა პირთა სახელით

postulare pro se [პოსტულა´რე პრო სე „მოთხოვნა საკუთარი სახელით“]
I. პროცესუალური მოთხოვნის წაყენება საკუთარი სახელით

postulare suspecti tutoris [პოსტულა´რე სუსპე´კტი ტუტო´რის]
I. → accusatio suspecti tutoris

postumi [პო´სტუმი „მოგვიანო, დამატებითი“]
I. შვილები, რომლებიც დაიბადნენ მამის სიკვდილის ან ანდერძის დაწერის შემდეგ

postumi Aquiliani [პო´სტუმი აკვილია´ნი „აკვილიანუსის (კანონი) მოანდერძის სიკვდილის შემდეგ დაბადებულ შვილიშვილებზე“]
I. მოანდერძის სიკვდილის შემდეგ გაჩენილი შვილიშვილები

postumi Velleiani [პო´სტუმი ველლეია´ნი „ველეიანუსის (კანონი) ანდერძის შემდეგ დაბადებულ შვილიშვილებზე“]
I. ანდერძის დაწერის შემდეგ დაბადებული შვილიშვილები

potentes, potentiores [პოტე´ნტეს, *პოტენტიო´რეს/პოტენციო´რეს „ძლიერები“]
I. დომინატის პერიოდში: უმაღლესი თანამდებობის პირები და მსხვილი მიწათმფლობელები

potestas [პოტე´სტას „ძალაუფლება“]
I. სამართლებრივად აღიარებული ძალაუფლება ერთი პიროვნებისა სხვა პიროვნებაზე, ნივთზე ან საკუთრებაზე. უფრო ფართო გაგებით: ფიზიკური შესაძლებლობა რაღაცის ფლობისა ან უფლებამოსილება რაიმე საქმიანობისათვის

potestas experiundi [პოტე´სტას ექსპერიუ´ნდი „მცდელობის შესაძლებლობა“]
I. რამეზე პრეტენზიის განცხადების შესაძლებლობა

potestas gladii [პოტე´სტას გლა´დიი „მახვილის ძალაუფლება“]
I. → ius gladii

potestas patria [პოტე´სტას პა´ტრია „მამის ძალაუფლება“]
I. მამების ძალაუფლება შვილებზე

potestas regia [პოტე´სტას რე´გია „სამეფო ძალაუფლება“]
I. თავდაპ. მეფის სუვერენული ძალაუფლება

potestas sacrosancta [პოტე´სტას საკროსა´ნკტა „ხელშეუხებელი ძალაუფლება“]
I. → sacrosanctus

potestas tribuniaca [პოტე´სტას ტრიბუნია´კა „ტრიბუნის ძალაუფლება“]
I. → tribuni plebis

potestas vitae necisque [პოტე´სტას ვი´ტე *ნეკი´სკვე/ნეცი´სკვე „სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება“]

I. → ius vitae necisque

potior [პო´ტიორ „უკეთესი“, „ძლიერი“]
I. უფრო კარგი, მეტად უნარიანი, უფრო ძლიერი

potioris nominatio [*პოტიო´რის/პოციო´რის ნომინა´ტიო/ნომინა´ციო „უკეთესის დასახელება“]
I. კლას. შმდ. სამ-ში რეკომენდაცია მაგისტრატთან უკეთესი შესაფერისი მეურვის დანიშვნის შესახებ

potis [პო´ტის „შემძლე, უნარიანი“]
I. შემძლე, უნარიანი

prae-cedens, -ntis [*პრეკე´დენს/პრეცე´დენს „წინ მიმავალი“] პრეცედენტი
I. პრეცედენტი, შემთხვევა
II., III. პრეცედენტული სამართალი – სამართალი, რომლის წყაროსაც წარმოადგენს სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელსაც აქვს სავალდებულო ძალა იმავე ან უფრო დაბალი ინსტანციების სასამართლოებისთვის ანალოგიური საქმის განხილვისას. „ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად“ (საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ – 2004, მე-2 მუხლი)

praeceptor [*პრეკე´პტორ/პრეცე´პტორ „მასწავლებელი“]
I. მასწავლებელი

praecipere [*პრეკი´პერე/პრეცი´პერე „წინასწარ აღება“]
I. წინასწარ მიღება, გამორთმევა

praecipitare e saxo tarpeio [*პრეკიპიტა´რე/პრეციპიტა´რე ე სა´ქსო ტარპე´იო „ტარპეის კლდიდან გადმოგდება“]
I. სიკვდილით დასჯის ფორმა

praecones [პრეკო´ნეს „მაცნეები“]
I. მაცნეები

praeda [პრე´და „ნადავლი“]
I. საომარი ნადავლი, რომელსაც ომის შემდეგ ანაწილებდა მთავარსარდალი

praedes litis et vindiciarum [პრე´დეს ლი´ტის ეტ *ვინდიკია´რუმ/ვინდიცია´რუმ „თავდები პირები დავისა და თავისუფლების მინიჭებაზე“]
I. თავდები, რომელიც პასუხს აგებდა, რომ მხარე, რომელსაც პრეტორმა ანდო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ნივთის ფლობა, წაგების შემთხვევაშიც, გასცემდა ნივთს მის ნაყოფთან ერთად

praedes sacramenti [პრე´დეს საკრამე´ნტი „ხელშეუხებელი თავდები პირები“]
I. თავდები, რომელიც გამოდიოდა გარანტად, რომ გადაიხდიდა პროცესში ერთ-ერთი მხარის ფულად ვალდებულებას მისი დამარცხების შემთხვევაში

praedia [პრე´დია „მიწის საკუთრება“]

I. მიწები, მიწის ნაკვეთები

praedia curialia [p. decurionum] [პრე´დია კურია´ლია [პრე´დია დეკურიო´ნუმ] „კურიის მიწები, დეკურიონთა მიწები“]
I. პროვინციებში არსებული კურიისა და დეკურიონთა მიწები, რომელთა გასხვისებაც იკრძალებოდა

praedia rustica, praedia urbana [პრე´დია რუ´სტიკა, პრე´დია ურბა´ნა „სოფლის მიწები, ქალაქის მიწები“]
I. სოფლის და ქალაქის მიწის ნაკვეთები

praedia subsignata [პრე´დია სუბსიგნა´ტა „საკუთარი მიწის ნაკვეთით თავდებობა“]
I. დაგირავებული მიწები

praedia suburbana [პრე´დია სუბურბა´ნა „გარეუბნის მიწები“]
I. ქალაქგარე მიწები

praediatura [პრედიატუ´რა „საიჯარო უფლება მიწის ნაკვეთებზე“]
I. 1. სახელმწიფოს ან ქალაქის იპოთეკის უფლება მიწის ნაკვეთებზე; 2. იპოთეკით დატვირთული და ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის ყიდვა ან გაყიდვა

praedicere [*პრედი´კერე/პრედი´ცერე „წინასწარ თქმა“]
I. წინასწარ თქმა, წინასწარ განცხადება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, გარიგებასთან დაკავშირებული გარემოებებისა

praedictio [*პრედი´კტიო/პრედი´კციო „შესავალი“]
I. → lex Cicereia

praeditor [პრედი´ტორ „შემსყიდველი“]
I. იპოთეკით დატვირთული და ჩამორთმეული მიწის ნაკვეთის მყიდველი

praedium dominans, praedium serviens [პრე´დიუმ დო´მინანს, პრე´დიუმ სე´რვიენს „ძირითადი, მნიშვნელოვანი მიწა, დაქვემდებარებული მიწა“]
I. → servitutes praediorum

praedo [პრე´დო „ყაჩაღი“]
I. 1. ყაჩაღი; 2. გადატ. მნიშვნელობით possessor malae fidei

praefatio [*პრეფა´ტიო/პრეფა´ციო „შესავალი სიტყვა“]
I. 1. კანონის პრეამბულა; 2. წინასწარი მოლაპარაკებები მომავალში განსახორციელებელი იურ. მოქმედების შესახებ

praefectura (*საშ. ლათ.*) [პრეფექტუ´რა „პრეფექტთა ერთობლიობა] პრეფექტურა
I. 1. პრეფექტის ოფიციალური პოზიცია, აგრეთვე ტერიტორია, რომელიც ექვემდებარებოდა პრეფექტის ხელისუფლებას
III. „...გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), პრეფექტურისა, მის უწყებათა, განყოფილებათა და მათი სამმართველოს ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პრეფექტისა და მისი მოადგილის გამოკლებით“ (კონსტ. – 1978 (1991 მდგ.), IV, თავი 1, მუხლი 92)

praefectus [პრეფე´კტუს „პრეფექტი“] პრეფექტი
I. უმაღლესი თანამდებობის პირების სახელწოდება

praefectus Aegypti, praefectus Alexandriae et Aegypti [პრეფე´კტუს ეგი´პტი, პრეფე´კტუს ალექსა´ნდრიე ეტ ეგი´პტი „ეგვიპტის პრეფექტი, ალექსანდრიისა და ეგვიპტის პრეფექტი“]
I. ეგვიპტის ნაცვალი, რომელიც იმპერატორის პირად მოადგილედ ითვლებოდა, ეგვიპტის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო რომის იმპერიაში მას პირველი ადგილი ეჭირა ნაცვლებს შორის

praefectus aerarii Saturni [პრეფე´კტუს ერა´რიი სატუ´რნი „სატურნუსის ხაზინის პრეფექტი“]
I. სატურნუსის ხაზინის პრეფექტი

prefectus annonae [პრეფე´კტუს ანნ´ონე „პროდუქტზე, სურსათზე პასუხისმგებელი პრეფექტი“]
I. პრეფექტი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოემარაგებინა პურითა და სხვა პროდუქტით რომი

praefectus castrorum [პრეფე´კტუს კასტრო´რუმ „სამხედრო ბანაკის პრეფექტი“]
I. პრეფექტი, რომელიც მეთაურად მსახურობდა სამხედრო ბანაკში

praefectus classis [პრეფე´კტუს კლა´სის „ფლოტის პრეფექტი“]
I. პრეფექტი, რომელიც მეთაურად მსახურობდა ფლოტში

praefectus collegii [პრეფე´კტუს კოლლე´გიი „კოლეგიის პრეფექტი“]
I. კოლეგიის ხელმძღვანელი პრეფექტი

praefectus fabrum [პრეფე´კტუს ფა´ბრუმ „ხელოსანთა პრეფექტი“]
I. პრეფექტი, რომელიც ხელმძღვანელობდა არმიაში ხელოსნებს

praefectus legionis [პრეფე´კტუს ლეგიო´ნის „ლეგიონის პრეფექტი“]
I. პრეფექტი, რომელიც მეთაურად მსახურობდა ჯერ კიდევ რესპუბლიკურ არმიაში ქვეით ჯარში

praefectus militaris [პრეფე´კტუს მილიტა´რის „სამხედრო პრეფექტი“]
I. ჯარის უფროსი

praefectus militaris alimentorum [პრეფე´კტუს მილიტა´რის ალიმენტო´რუმ „სამხედრო პრეფექტი, რომელიც პროდუქტს ანაწილებდა“]
I. პრეფექტი, რომელიც ღარიბებს (განსაკუთრებით ბავშვებს) შორის საკვების განაწილებას განაგებდა;

praefectus municipii [პრეფე´კტუს *მუნიკი´პიი/მუნიცი´პიი „მუნიციპიის პრეფექტი“]
I. სინ. **Praefectus Caesaris** (**quinquennalis**), პრინცეპსის (მისი ოჯახის წევრების) ნდობით აღჭურვილი პირი, არჩეული რომელიმე ქალაქის უმაღლესი მაგისტრატის მიერ (5 წლით)

praefectus praetorio [პრეფე´კტუს პრეტო´რიო „პრეტორის პრეფექტი“]
I. ავგუსტუსიდან მოყოლებული – იმპერატორის პირადი დაცვის ხელმძღვანელი (**cohortes praetoriae**), შემდგომში კი იტალიაში (რომის გარდა) ყველა სამხედრო ნაწილის მეთაური

praefectus urbi(s) [პრეფე´კტუს უ´რბის „ქალაქის პრეფექტი“]
I. ქალაქის პრეფექტი, თავდაპირველად – მეფის არყოფნისას მისი მოადგილე

praefectus urbi feriarum Latinarum [პრეფე´კტუს უ´რბი ფერია´რუმ ლატინა´რუმ „ქალაქის პრეფექტი ლათინური დღესასწაულის დროს“]
I. ქალაქის პრეფექტი, რომელიც ინიშნებოდა მხოლოდ ლათინური დღესასწაულების დროს

praefectus vehiculorum [პრეფე´კტუს ვეჰიკულო´რუმ „ფოსტის პრეფექტი“]
I. განაგებდა იმპერიის ფოსტას

pra,efectus vigilum [პრეფე´კტუს ვი´გილუმ „დაცვის პრეფექტი“]
I. ღამის პოლიციური და ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი

praeferentia (*საშ. ლათ.*) [*პრეფერე´ნტია/პრეფერე´ნცია „უპირატესობა“] პრეფერენცია
I. პრეფერენცია, უპირატესობა
II. შეღავათი, უპირატესობა. „დეკლარანტი უფლებამოსილია მოითხოვოს იმპორტის გადასახდელის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენება...“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, 228(2)-ე მუხლი)
III. „პრეფერენციული შეღავათი – დასაშვები სხვაობა უცხო ქვეყნის პრეტენდენტის და საქართველოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებების ღირებულებებს შორის, რომლის არსებობის შემთხვევაში, ფასთა კრიტერიუმით შეფასებისას, უპირატესობა ენიჭება საქართველოს პრეტენდენტს“ (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ – 1998, მე-3(ზ) მუხლი)

praeiudicium [*პრეიუდი´კიუმ/პრეიუდი´ციუმ „საკითხის წინასწარი გადაწყვეტა“]
I. პროცესი, სადაც მოსამართლე წყვეტდა საკითხს, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სხვა საკითხის გადაწყვეტაზე
II., III. საპროცესო სამართალში სასამართლოს ვალდებულება შემოწმებისა და მტკიცებულებების გარეშე დადასტურებულად მიიღოს ფაქტები, ადრე დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. „ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, 246(2)-ე მუხლი)

praelegatum, praelegatio [პრელეგა´ტუმ, *პრელეგა´ტიო/პრელეგა´ციო „ლეგატი“]
I. ერთ-ერთი თანამემკვიდრის სასარგებლოდ დაწესებული ლეგატი, რომლის დროსაც თანამემკვიდრე თავის წილთან ერთად იღებს განსაზღვრულ ნივთს

praemium [პრე´მიუმ „ჯილდო“] პრემია
I. ჯილდო
II. 1) რაიმე მიღწევების ან დამსახურებებისთვის დასაქმებულისათვის დამატებითი ფულადი ანაზღაურება. „...მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს...“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ – 1997, 37(1)-ე მუხლი); 2) სადაზღვევო შესატანი, რომელსაც დაზღვეული პირი უხდის

დამზღვევს იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა გადაუხადოს სადაზღვევო თანხა დაზღვეულს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. „დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია)“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 799(2)-ე მუხლი)

III. „დამზღვევზე, რომელმაც გადაიხადა დაზღვევის პრემია, ამ თანხის ფარგალში გადადის საძიებელი და უფლება, რაც დამზღვეველს ან საზღაურის მიმღებს აქვს მესამე პირის მიმართ, დამზღვევი გათავისუფლდება დაზღვევის თანხის სათანადო რაოდენობის გადახდისაგან“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1923, თავი XI, 395)

praenomen [პრენო´მენ „სახელი“]

I. საკუთარი სახელი. რომ. სახელის შემადგენელი (პირველი) ნაწილი

praeparatus [პრეპარა´ტუს „მომზადება“] პრეპარატი

I. წინასწარ მომზადებული

III. „ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა“ (კონსტიტუცია – 1995, თავი პირველი, 3(6)-ე მუხლი)

praerogativa [პრეროგატი´ვა „უპირატესობა“] პრეროგატივა

I. ხმის მიცემის პრეროგატივა **p. centuria**, დომინატის დროს მისი სინ. იყო პრივილეგია (privilegium)

II. სახელმწიფოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება. „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს ენდემიური დაავადებების ნუსხას, რომელთა კონტროლი, მკურნალობა სამედიცინო დაწესებულებაში და სათანადო დაფინანსება სახელმწიფოს პრეროგატივაა“ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ – 1997, 79-ე მუხლი)

III. „...ივერიის ეკლესიამ რუსეთის ბატონობის დროს მოსპობილ თავისი კანონიერი პრეროგატივებით სარგებლობა დაიწყო“ (აქტი 1918, დამატება II, II)

praes, praedis [პრეს „თავდები“]

I. თავდები, გარანტი, რომელიც ადრ. რესპუბლიკის პერიოდში პასუხს აგებდა თავისი საკუთრებით კერძო მეწარმეთა ვალდებულებებზე სახელმწიფოს წინაშე

praescriptio [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო „დანიშნულება“] პრესკრიფცია

I. თავდაპ. საპროცესო ფორმულის დამოუკიდ. შესავალი ნაწილი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა მოთხოვნის დაზუსტება

praescriptio fori [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ფო´რი „სასამართლოს პრესკრიფცია“]

I. მოპასუხეთა გარკვეული კატეგორიის (სენატორების, სამხედროების და სხვების) უფლება, რომ მათ წინააღმდეგ საქმე განეხილათ სპეციალურ სასამართლოებს

praescriptio immemorabilis, vetustas [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო იმმემორა´ბილის, ვეტუ´სტას] „პრესკრიფცია უხსოვარი დროიდან“]

I. ჩვეულებით სამ.-ში ხანდაზმულობა უხსოვარი დროით (ადამიანებს რომ უკვე აღარ ახსოვთ)

praescriptio legis [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ლე´გის „კანონის პრესკრიფცია“]
I. წარწერა, კანონის ან პლებისციტის შესავალი ნაწილი

praescriptio longi temporis, praescriptio longae possessionis [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ლო´ნგი ტე´მპორის, *პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ლო´ნგე პოსსესსიო´ნის „ხანგრძლივი დროის პრესკრიფცია, ხანგრძლივი საკუთრების პრესკრიფცია“]
I. usucapio-ს მსგავსი ინსტიტუტი, რომელიც ვრცელდებოდა პროვინციულ მიწებზე, რომლებიც არ ექვემდებარებოდა შეძენით ხანდაზმულობას

praescriptio longissimi temporis [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ლონგი´სსიმი ტე´მპორის „ხანგრძლივი დროის პრესკრიფცია“]
I. კონსტანტ.-ს მიერ შემოღებული განსაკუთრებული შეძენითი ხანდაზმულობა 40 წლის ფლობის შემდეგ

praescriptio ne praeiudicium hereditati fiat [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ნე *პრეიუდი´კიუმ/პრეიუდი´ციუმ ჰერედიტა´ტი ფი´ატ „პრესკრიფცია, რათა არ მოხდეს წინასწარი გადაწყვეტილება მემკვიდრეობისათვის“]
I. დამატებითი შენიშვნა rei vindicatio-ს დროს, რომლის თანახმადაც მოსამართლე დააკისრებდა მოპასუხეს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას არ მოუწევდა გადაეწყვიტა პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხი მოსარჩელის მემკვიდრეობაზე უფლების შესახებ

praescriptio totalis [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ტოტა´ლის „მთლიანი პრესკრიფცია“]
I. ჩვეულებით სამ.-ის მიხედვით დადგენილი ხანდაზმულობა

praescriptio XXX[XL] annorum [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო XXX[L] ანნო´რუმ „30(40) წლიანი დროის ხანგრძლივობის პრესკრიფცია“]

I. 30 წლიანი საერთო ხანდაზმულობა სანივთო და პირადი უფლებებიდან გამომდინარე სარჩელებისა, რომელიც შემოიღო თეოდოსიუს II-მ

praesens [*პრე´სენს/პრე´ზენს „დამსწრე“] პრეზენსი
I. დამსწრე შესაბამის ადგილზე და შესაბამის დროს

praesentia [*პრესე´ნტია/პრეზე´ნცია „ყოფნა“]
I. პროცესზე დასწრება, აუცილებელი პირობა სასამართლო წარმოებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო არამომგებიანი შედეგები

praeses provinciae [*პრე´სეს/პრე´ზეს *პროვი´ნკიე/პროვი´ნციე „პროვინციის ნაცვალი მეთაური, ხელმძღვანელი“]
I. ნაცვალი ჯერ მხოლოდ რომაულ პროვინციაში, შემდგომში სენატის პროვინციებშიც. ის ფლობდა სასამართლო ხელისუფლებას როგორც კერძოსამართლებრივ, ისე სისხლისსამართლებრივ საქმეებთან დაკავშირებით, აგრეთვე წარმოადგენდა პროვინციის ჯარის უმაღლეს მმართველს

praesidens, -ntis [*პრე´სიდენს/პრე´ზიდენს „წინ მჯდომი, ხელმძღვანელი“] პრეზიდენტი
I. წინამძღოლი. თავმჯდომარე

II. 1) ერთპიროვნული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, სახელმწიფოს მეთაური, უმაღლესი თანამდებობის პირი, უმაღლესი მთავარსარდალი. „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 69(1)-ე მუხლი); 2) ეროვნული ბანკის ხელმძღვანელი. „ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ... ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ – 2009, მე-7(7) მუხლი); 3) სავაჭრო-სამრეწველო პალატის ხელმძღვანელი. „პალატის უმაღლესი თანამდებობის პირია პრეზიდენტი“ (საქართველოს კანონი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ – 2012, მე-6(11) მუხლი)
III. „სამ§ედრო¤სა კოლლეღიის ვიცე-პრეზიდენტი“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ [1783 წ.], ქსძ, II, 460)

praesidium [*პრესი´დიუმ/პრეზი´დიუმ „თავმჯდომარეობა“] პრეზიდიუმი
I. სამხედრო თავდაცვის გარნიზონი, დაცვა
II. 1) ჯგუფი, კოლეგია, არჩეული რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობისთვის. „...კომისიებში წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს საკონსტიტუციო, ადამიანის უფლებათა დაცვის, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი“ (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი – 2012, 20(1)-ე მუხლი)
III. „პარლამენტი ყოველწლივ ირჩევს პრეზიდიუმს“ (კონსტ. – 1921, თავი 4, მუხლი 65)

praestantiones personales [*პრესტანტიო´ნეს/პრესტანციო´ნეს პერსონა´ლეს „პირადი თავდებობა“]
I. → actio communi dividundo

praestare [პრესტა´რე „თავდებობა“]
I. მინიჭება, გადახდა, შესრულება

praestare custodiam [პრესტა´რე კუსტო´დიამ „დაცვის მიჩენა“]
I. → custodia

praestare patientiam [პრესტა´რე *პატიე´ნტიამ/პაციე´ნციამ „მოთმინების გამოჩენა“]
I. → patientia

praesumptio [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო „წინასწარ ვარაუდი“] პრეზუმფცია
I. სამართლებრივი ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ფაქტების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით შესაძლებელია განსაზღვრული ფაქტის საფუძველზე ივარაუდო სხვა ფაქტის არსებობაც, რაც არ არის დამტკიცებული
II. რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა. „უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია“ (საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2009, მე-5 მუხლი)
III. „რეგისტრირებული მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაინტერესებული პირისთვის

წინასწარ იყო ცნობილი ამ მონაცემების უზუსტობა“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, მე-7(3) მუხლი)

praesumptio iuris et de iure [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო იუ´რის ეტ დე იუ´რე „გაუბათილებელი ვარაუდი“]
I. შეუცილებადი ვარაუდი

praesumptio iuris tantum [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო „გაბათილებითი ვარაუდი“]
I. შეცილებადი ვარაუდი, ზოგ შემთხვევაში ასეთი ვარაუდი არ დაიშვებოდა

praesumptio Muciana [*პრესუ´მპტიო *მუკია´ნა/პრეზუ´მპციო მუცია´ნა „მუციანუსის პრეზუმპცია“]
I. სამართლებრივი ვარაუდი, რომლის თანახმადაც, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე, ივარაუდებოდა, რომ ყველაფერი, რასაც ფლობდა ცოლი, აჩუქა ქმარმა (და ამიტომ მასვე უნდა დაბრუნდებოდა)

praeterire [პრეტერი´რე „გვერდის ავლა“]
I. გვერდის ავლა, გამორიცხვა, კეძოდ, ანდერძში არმოხსენება

praeterita [პრეტე´რიტა „მომხდარი“] პრეტერიტუმი
I. წარსული, მომხდარი ამბები, კერძოდ, სამართალდარღვევები. საპირ. futura

praetor [პრე´ტორ „პრეტორი“] პრეტორი
I. რომში უმაღლესი თანამდებობის პირი. თავდაპირველი ტიტული, რომელსაც მეფეების გაძევების შემდეგ, რესპუბლიკის პერიოდში კონსულები და ასევე დიქტატორი ატარებდა
III. „ხოლო მეორე განწესებაჲ პირველისა ნაწილისა ნეარონთაჲსაჲ იტყჳს, ვითარმედ ჯერ-არს მონაზონთა კაპლიონთა შინა მქცევთა განწურთითა ბრძენ-ყოფაჲ სამთავროთა ვიდრემდე შინა მსჯელთა მიერ, ხოლო სამეფოთა შინა – ეპარხოზისა მიერ პრეტორისაჲსა...“ (დიდი სჯ., 183, 13)

praetor aerarius [პრე´ტორ ერა´რიუს „ხაზინის პრეტორი“]
I. ხაზინის (aerarium) პრეტორი

praetor de liberalibus causis [პრე´ტორ დე ლიბერა´ლიბუს *კაუ´სის/კაუ´ზის „თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებული პრეტორი“]
I. პრეტორი, რომელიც დაკავებული იყო თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრით

praetor fiscalis [პრე´ტორ ფისკა´ლის „ფისკუსის პრეტორი“]
I. ხაზინის პრეტორი

praetor hastarius [პრე´ტორ ჰასტა´რიუს „სააუქციონო აღწერის პრეტორი“]
I. პრეტორი, რომელიც გვიანდელი პრინციპატის პერიოდში თავმჯდომარეობდა ცენტუმვირის სასამართლოს

praetor iuventutis [პრე´ტორ იუვენტუ´ტის „ახალგაზრდებზე პასუხისმგებელი პრეტორი“]
I. დიდგვაროვანი ახალგაზრდების ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სინ. magister iuvenum

praetor peregrinus [პრე´ტორ პერეგრი´ნუს „პერეგრინთა პრეტორი“]

I. პრეტორი, რომელიც განიხილავდა დავებს პერეგრინებსა და რომის მოქალაქეებს შორის, აგრეთვე მხოლოდ პერეგრინებს შორის

praetor tutelarius [პრე´ტორ ტუტელა´რიუს „პრეტორი მეურვე“]
I. პრეტორი, რომელიც მარკუს ავრელიუსის დროიდან მოყოლებული მეურვეობის საკითხებს განაგებდა

praetor urbanus [პრე´ტორ ურბა´ნუს „რომის პრეტორი“]
I. კონსულების უმცროსი კოლეგა ცვლიდა კონსულს (როცა ის რომს ტოვებდა, ასრულებდა მის ბრძანებებს), ეხმარებოდა მოქალაქეთა შორის დავის გადაწყვეტის საქმეში

praetoriae manumissiones [პრეტო´რიე მანუმისსიო´ნეს „პრეტორული მანუმისიები“]
I. → manumissi

praetoriae stipulationes [პრეტო´რიე *სტიპულატიო´ნეს/სტიპულაციო´ნეს]
I. → stipulationes praetoriae

praetoriani [პრეტორია´ნი „პრეტორიანელები“] პრეტორიანელები
I. იმპერატორის პირადი დაცვის ჯარისკაცები

praetorius [პრეტო´რიუს „პრეტორული“]
I. 1. ყოფილი პრეტორი; 2. პრეტორული, პრეტორთან დაკავშირებული

praevaricatio [*პრევარიკა´ტიო/პრევარიკა´ციო „გვერდით გადახვევა“]
I. ფარული შეთანხმება ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის, რათა ამ უკანასკნელის გამართლებისთვის მიეღწიათ

praeventio [*პრევე´ნტიო/პრევე´ნციო „წინ გასწრება“] პრევენცია
II. წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად. „ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას“ (საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – 2007, 1-ლი მუხლი)
III. „პოლიციის ამოცანებია: ... ბ) პრევენციული ღონისძიებების განხორციელება დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, ასეთი ქმედებების გამოვლენა, გამოძიება, დანაშაულში ბრალდებული პირის ძებნა და დაკავება, აგრეთვე დამნაშავეობასთან ბრძოლის ტაქტიკისა და სტრატეგიის შემუშავება“ (საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ – 1993, 2(ბ)-ე მუხლი)

pragmatica sanctio [პრაგმა´ტიკა *სა´ნკტიო/სა´ნკციო „პრაგმატული სანქცია“]
I. → sanctio

pragmaticus (*ბერძნ.*) [პრაგმა´ტიკუს „სამართლებრივ საკითხებში გამოცდილი“] პრაგმატული

I. სასამართლო პრაქტიკოსი, კონსულტანტი-სამართალმცოდნე, რომელიც ადგენდა ოფიციალურ დოკუმენტებს

precarium [პრეკა´რიუმ „დროებით სარგებლობაში ან ვალად მიცემა“]
I. ფაქტობრივი ურთიერთობები, როცა ერთი პირი სხვა პირის თხოვნით გადასცემს მას ნივთს უფასოდ, დროებით სარგებლობაში, ინარჩუნებს რა უფლებას ნებისმიერ დროს გამოითხოვოს ეს ნივთი

prensio [პრე´ნსიო „შეპყრობა“]

I. დაპატიმრება, მაგისტრატის უფლებამოსილების ერთ-ერთი კომპონენტი

pretium [*პრე´ტიუმ/პრე´ციუმ „ფასი“]

I. ფასი, ფული, ქრთამი

pretium affectionis [*პრე´ტიუმ *აფფეკტიო´ნის/პრე´ციუმ აფფეკციო´ნის „სამოყვარულო ფასი“]
I. სამოყვარულო ფასი

pretium iustum [*პრე´ტიუმ/პრე´ციუმ იუ´სტუმ „სამართლიანი ფასი“]
I. ფასი, რომელიც შეესაბამება ნივთის ნამდვილ ღირებულებას

pretium pudicitiae [*პრე´ტიუმ *პუდიკი´ტიე/პრე´ციუმ პუდიცი´ტიე „უმანკოების ფასი“]
I. სინ. **donum nuptiale**, საქმროს მიერ ცოლისათვის მირთმეული ნიშნობის ძღვენი

prex, precis [პრეკს „თხოვნა“ მრ. რ. preces]
I. სინ. libellus, supplicatio, შუამდგომლობა, განცხადება, კერძო პირის თხოვნა იმპერატორს, უმეტესწილად, მიმართვა თხოვნით სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის შესახებ

prex refutatoriae [პრეკს რეფუტატო´რიე „გამაბათილებელი თხოვნა“]
I. → სინ. libelli refutatorii

primas [პრი´მას]
I. ან **primicerius:** დომინატის დროს გაერთიანების, დაწესებულების ხელმძღვანელი

primipilus [პრიმიპი´ლუს „კოჰორტის მოწინავე ასეული“]
I. პირველი ცენტურიონი ლეგიონში, რომელსაც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდა

primus [პრი´მუს „პირველი“]
I. პირველი

princeps [*პრი´ნკეპს/პრი´ნცეპს „პირველი“] პრინცეპსი
I. რომ. რესპუბლიკის ეპოქაში სენატის სიაში პირველი სენატორი და პირველი ხმის მიმცემი, იმპერიის ეპოქაში კი – იმპერატორის ტიტული

princeps civitatis [*პრი´ნკეპს *კივიტა´ტის/პრი´ნცეპს ცივიტა´ტის „სახელმწიფოს პრინცეპსი“]
I. ყველაზე მნიშვნელოვანი პირი საზოგადოებაში (სახელმწიფოში)

princeps iuventutis [*პრი´ნკეპს/პრი´ნცეპს იუვენტუ´ტის „ახალგაზრდების წინამძღოლი“]

I. იმპერატორის ვაჟიშვილის ტიტული, როგორც ყმაწვილ მხედართა წინამძღოლისა

princeps officii [*პრი´ნკეპს *ოფფი´კიი/პრი´ნცეპს ოფფი´ციი „ოფიციალური დაწესებულების ხელმძღვანელი“]
I. ადმინისტრაციული დაწესებულების ხელმძღვანელი

princeps sceleris [*პრი´ნკეპს *სკე´ლერის / პრი´ნცეპს სცე´ლერის „ბოროტმოქმედების ინიციატორი“]
I. მთავარი დამნაშავე

princeps senatus [*პრი´ნკეპს/პრი´ნცეპს სენა´ტუს “ პირველი სენატორი“]
I. პირველი სენატორთა ნუსხაში, რომელიც ყველაზე უწინ გამოთქვამდა თავის აზრს

principales officiorum [*პრინკიპა´ლეს *ოფფიკიო´რუმ/პრინციპა´ლეს ოფფიციო´რუმ „საიმპერატორო კანცელარიის ხელმძღვანელები“]
I. საიმპერატორო კანცელარიის ხელმძღვანელები

principalis [*პრინკიპა´ლის/პრინციპა´ლის „პირველი, ძირითადი“]
I. პირველი, ძირითადი, მაგ., ვალდებულება
II., III. პირი, რომელიც უფლებამოსილს ხდის სხვა პირს, იმოქმედოს როგორც მისმა აგენტმა. „საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე” (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 879-ე მუხლი)

principatus [*პრინკიპა´ტუს/პრინციპა´ტუს „პრინციპატი“] პრინციპატი
I. რომ. ისტორიის პერიოდი – ავგუსტუსიდან დიოკლიტიანუსამდე; ხშირად ამ პერიოდისთვის გამოიყენებენ სხვა ტერმინსაც „ადრეული იმპერია“

principes [*პრი´ნკიპეს/პრი´ნციპეს „მძიმედშეიარაღებული ჯარისკაცები“]
I. მანიპულუსში მეორე საბრძოლო რიგის მძიმედ შეიარაღებული ჯარისკაცები

principia [*პრინკი´პია/პრინცი´პია „მთავარი ბანაკი“]
I. მთავარი ბანაკი, მთავარი მოედანი საომარ ბანაკში

principium [*პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ „საწყისი, პირველსაწყისი“] პრინციპიუმი
I. იუსტინ.-ს კომპილაციაში – ტექსტების შესავალი ნაწილი

prior [პრი´ორ „წინამდებარე, წინა“]
I. წინამდებარე, წინა

privatio [*პრივა´ტიო/პრივა´ციო „განთავისუფლება“]
I. განთავისუფლება

privatum [პრივა´ტუმ „პირადი ნივთი“]
I. ნივთი (განსაკუთრებით მიწის ნაკვეთი), რაც წარმოადგენდა კერძო საკუთრებას

privatus [პრივა´ტუს „კერძო“] პრივატული

I. 1. კერძო, პირადი; 2. კერძო პირი მაგისტრატის ან ჯარისკაცისგან განსხვავებით

III. „ფისკოსმან, რომელ არს სამეფოჲ განმგებლობაჲ, მიიხუნუს იგინი და უსარტყლო ყოს მთავარი ამათისა განსჯისა უდებმყოფელი და პრივატთა ათხუთმეტითა ოქროთა ლიტრითა წინა პატივ-სცეს“ (დიდი სჯ. 179, 4)

privilegia clericorum [პრივილე´გია კლერიკო´რუმ „სასულიერო პირთა პრივილეგიები“]

I. დომინატის დროს სასულიერო პირთა მრავალრიცხოვანი წოდებრივი პრივილეგიები, კერძოდ, გადასახადებისგან და სხვ. საზოგადოებრივი ვალდებულებებისგან გათავისუფლება

privilegia exigendi [პრივილე´გია ექსიგე´ნდი „მოთხოვნის პრივილეგიები“]

I. კრედიტორთა პრივილეგიები, მოეთხოვათ გადახდისუუნარო მოვალისგან მოთხოვნების პირველ რიგში დაკმაყოფილება

privilegia militum [პრივილე´გია მი´ლიტუმ „ჯარისკაცთა პრივილეგიები“]

I. ჯარისკაცთა პრივილეგიები

privilegia personae [პრივილე´გია პერსო´ნე „პიროვნების პრივილეგიები“]

I. ცალკეულ პირთა ან პიროვნებათა კატეგორიის პრივილეგიები

privilegia veteranorum [პრივილე´გია ვეტერანო´რუმ „ვეტერანთა პრივილეგია“]

I. ვეტერანთა პრივილეგიები

privilegium [პრივილე´გიუმ „ერთი პირისადმი მიმართული კანონი“] პრივილეგია

I. 12 დაფის კანონების თანახმად, პირისთვის დაწესებული არახელსაყრელი პირობები, მოგვიანებით: განსაკუთრებული კანონი, მიმართული როგორც ერთი პიროვნების სასარგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ, შემდგომში: განსაკუთრებული უფლება (უპირატესობა) პიროვნებათა გარკვეული კატეგორიებისათვის

II. 1) პრივილეგირებული აქცია – აქცია, რომელიც მის მფლობელს პარტნიორების საერთო კრებაზე არ აძლევს ხმის უფლებას, მაგრამ ანიჭებს მას გარკვეულ უპირატესობებს დივიდენდების მიღების თვალსაზრისით. „თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული...“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1994, 52(1)-ე მუხლი); 2) უპირატესობა, რომელიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად სახელმწიფოთა შორის ან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე ენიჭება დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, სახელმწიფოს დროებით წარმომადგენლობას, საერთაშორისო ორგანიზაციას, აგრეთვე დიპლომატიურ და საკონსულო პერსონალს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. „საქართველოში უცხოელთა რეგისტრაციის აუცილებელი მოვალეობისაგან თავისუფლდებიან: ... ა) საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების პერსონალის მუშაკები, მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად სარგებლობენ სათანადო პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით“ (საქართველოს კანონი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ – 2005, მე-26(3)(ა) მუხლი)

III. „...სცნო რა აწ არსებული სასამართლოს დაწესებულებანი, როგორც დამყარებული კლასთა დაყოფის პრივილეგიებზე, არ შეესაბამებიან ფართო მშრომელთა მასის მოთხოვნილებას და ვერ უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების სისწორის დაცვას, საჭიროდ დაინახა გაუქმდეს შემდეგი დაწესებულებანი“ (დეკრეტი საქ. საბჭ. სოც. რესპ. რევკომისა, 1921 წ. ივნისი, აქტები 1921-1978, გვ. 60)

privilegium fisci [პრივილე´გიუმ *ფი´სკი/ფი´სცი „ფისკუსის პრივილეგია“]
I. → ius fisci

privilegium fori [პრივილე´გიუმ ფო´რი „ფორუმის პრივილეგია“]
I. პრივილეგია, რომლის ძალითაც ეპისკოპოსი არ ექვემდებარებოდა ჩვეულებრივ მართლმსაჯულებას

privilegium funerarium [პრივილე´გიუმ ფუნერა´რიუმ „დაკრძალვის პრივილეგია“]
I. → funus

privilegium odiosum [პრივილე´გიუმ *ოდიო´სუმ/ოდიო´ზუმ „ოდიოზური პრივილეგია“]
I. სამართლით, განსაკუთრებით სისხლის სამართლით, განმტკიცებული დისკრიმინაციული პირობები

privus [პრი´ვუს „ცალკე, განსაკუთრებული“]
I. ცალკე, განსაკუთრებული

probare [პრობა´რე „გამოცდა, გასინჯვა“]
I. 1. სინ. adprobare მოწონება, მიღება, მაგ., შეკვეთილი სამუშაოსი; 2. მტკიცება, განსაკუთრებით, სასამ. წარმოებაში

probatio [*პრობა´ტიო/პრობა´ციო „მოწონება, შემოწმება“] პრობაცია
I. მტკიცებულება, დამტკიცების საშუალება, სასამართლო გამოძიება
II. პრობაცია – სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების სახე, რომლის დროსაც მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში სპეციალური ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“ (საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ – 2007, მე-3 მუხლი)
III. „ეს კანონი ვრცელდება იმ პირთა ოჯახებზე, რომლებიც იყვნენ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა, ფინანსთა სამინისტროების [...] მოსამსახურეები და მუშაკები“ (საქართველოს კანონი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ – 1996, 1(2)-ლი მუხლი)

probatio causae [*პრობა´ტიო *კაუ´სე/ პრობა´ციო კაუ´ზე „მიზეზის განხილვა“]
I. სასამართლო განხილვა ფაქტიური გარემოებების დასადგენად, რომელიც ეხებოდა რომის მოქალაქეობასა და პირად სტატუსს

probatio diabolica [*პრობა´ტიო/პრობა´ციო დიაბო´ლიკა „ეშმაკისეული მტკიცებულება“]
I. → usucapio

probrum [პრო´ბრუმ „საყვედური, შენიშვნა“]
I. სამარცხვინო ქმედება, სამარცხვინო საქმე

procedura (*საშ. ლათ.*) [*პროკედუ´რა/პროცედუ´რა „წინ გამოსვლა, მოქმედება“] პროცედურა
II. პროცესუალურ მოქმედებათა შესრულების კანონით დადგენილი წესი და თანამიმდევრობა. „თუ ძეგლზე სამუშაოები ან არქეოლოგიური სამუშაოები სახელმწიფო ორგანომ უნდა ჩაატაროს, ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურა, მაგრამ სანებართვო მოწმობა არ გაიცემა“ (საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ – 2007, 47(8)-ე მუხლი)
III. „ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების მიმდინარეობისას დაუშვებელია საქართველოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრა“ (კონსტიტუცია – 1995, მე-80(6) მუხლი)

processio [*პროკე´სსიო/პროცე´სსიო „მსვლელობა“] პროცესია
I. ახალი კონსულის საზეიმო გამოსვლა
III. „მშრომელთათვის კავშირების და კრებების ნამდვილი თავისუფლების უზრუნველსაყოფად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა ანიჭებს ყველა მშრომელს თავისუფალი გაერთიანების და ორგანიზაციის უფლებას, აგრეთვე ყოველგვარი კრების, მიტინგის, პროცესიის გამართვის უფლებას და ამ მხრივ უწევს ყოველგვარ დახმარებას და უთმობს მუშათა კლასს და გლეხობას სახალხო კრებების მოსაწყობად ყველა გამოსადეგ სადგომს“ (კონსტ. – 1922, თავი I, 13)

processus [პროკე´სსუს/პროცე´სსუს „წინ გამოსვლა“] პროცესი
II. სახელმწიფოს სპეციალიზირებული ორგანოების, თანამდებობის პირების, სხვა უფლებამოსილი სუბიექტების საქმიანობის ფორმა, რომლის არსიც მდგომარეობს კანონით დადგენილი წესით სამართლებრივ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში. „სამოქალაქო პროცესის საქვეყნოობა და სამართალწარმოების ენა“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, მე-9 მუხლი)
III. „სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა“ (კონსტიტუცია – 1995, მე-3(ჟ) მუხლი)

prochiron, procheiros nomos (*ბერძნ.*) [პრო´ხირონ, პრო´ხეიროს ნო´მოს „დახმარება, შემწეობა“]
I. ბიზანტ. იურ. სახელმძღვანელო, როგორც epanagoge

prochiron auctum [პრო´ხირონ აუ´კტუმ „განვრცობილი სახელმძღვანელო“]
I. ბიზანტ. იურ. სახელმძღვანელოს გვიანდელი გამოცემა

proclamatio [*პროკლამა´ტიო/პროკლამა´ციო „ხმამაღლა მოწოდება“] პროკლამაცია
I. პრინციპატის დროს მონის ან თავისუფალი ადამიანის თხოვნა, როცა ვინმე სადავოს ხდიდა მის თავისუფლებას, დაწყებულიყო შესაბამისი პროცესი – extraordinarius

proconsul [პროკო´ნსულ „ყოფილი კონსული“ pro consule — კონსულის ადგილზე] პროკონსული

I. ყოფილი კონსული, რომელსაც სენატმა უფლებამოსილება გაუგრძელა მნიშვნელოვანი სახელმწიფო დავალების შესასრულებლად

procul(e)iani [პროკულ(ე)ია´ნი „პროკულები“] პროკულები
I. სამართლის ერთ-ერთი სკოლა, რომლის ფაქტობრივი დამაარსებელი იყო ანტისტიუს ლაბეონი. ამ სკოლას მიეკუთვნებოდნენ: ნერვა (მამა და შვილი), პროკულუსი, პეგასუსი, ცელსუსი (შვილი), ნერაციუს პრისკუსი

procurator [პროკურა´ტორ „მმართველი“] პროკურატორი
I. 1. სამოქ. სამ-ში: სხვისი ქონების მმართველი, რომელიც ცალმხრივი რწმუნების საფუძველზე დაკავებული იყო მიმდინარე სამეურნეო საქმეებით და რომელიც არ საჭიროებდა მარწმუნებლის ნებართვას, მათ შორის ქონების გასხვისებასთან, ასევე პროცესუალურ ქმედებებთან დაკავშირებით; 2. პროცესუალურ სამართალში: მოპასუხის ან მოსარჩელის არაფორმალურად დანიშნული წარმომადგენელი ანუ რწმუნებული სასამართლო პროცესზე; 3. ადმინისტრაციულ სამ.-ში: ავგუსტუსიდან მოყოლებული: საიმპერატორო მოხელე, რომელიც სისტემატურად იყო დაკავებული იმპერატორის საქმეების წარმოებით ან ადმინისტრაციული მმართველობის რომელიმე სექტორით

procurator Augusti, procurator Caesaris [პროკურა´ტორ ავგუ´სტი, პროკურა´ტორ *კე´სარის/ცე´ზარის „ავგუსტუსის პროკურატორი, კეისრის პროკურატორი“]
I. პროკურატორი, რომელიც უზრუნველყოფდა იმპერატორის წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ და სამხედრო საკითხებში

procurator fisci; p. a rationibus [პროკურა´ტორ *ფი´სკი/ფი´სცი; პ. ა *რატიო´ნიბუს/რაციო´ნიბუს „საფინანსო საკითხთა პროკურატორი“]
I. პროკურატორი საფინანსო სფეროში

procurator hereditat(i)um [პროკურა´ტორ ჰერედიტა´ტ(ი)უმ „მემკვიდრეობის (საქმეების) პროკურატორი“]
I. პროკურატორი, რომელიც დაკავებული იყო მემკვიდრეობის საქმეებით

procurator metallorum [პროკურა´ტორ მეტალლო´რუმ „ლითონის (მოპოვების) პროკურატორი“]
I. პროკურატორი, რომელსაც დელეგირებული ჰქონდა ლითონის მოპოვების ადმინისტრირება

procurator operum publicorum [პროკურა´ტორ ო´პერუმ პუბლიკო´რუმ „საჯარო ნაგებობათა პროკურატორი“]
I. საზოგადოებისათვის განკუთვნილი მშენებლობებისა და ნაგებობების მმართველი

procurator patrimonii (Caesaris) [პროკურა´ტორ პატრიმო´ნიი (*კე´სარის/ცე´ზარის) „კეისრის ქონების პროკურატორი“]
I. იმპერატორის ქონების მმართველი

procuratura (*საშ. ლათ.*) [პროკურატუ´რა „პროკურორების ერთობლიობა“] პროკურატურა
I. პროკურატურა, პროკურორების ერთობლიობა

II. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება, რომლის კომპეტენციაში შედის სისხლისსამართლებრივი საქმეების აღძვრა, გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ბრალდების მხარდაჭერა სასამართლო პროცესზე. „საქართველოს პროკურატურა ... არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში“ (საქართველოს კანონი პროკურატურის შესახებ – 2008, 1(1)-ლი მუხლი)
III. „მხარეს, პროკურატურას, იმ მესამე პირს, რომელსაც საქმეში მონაწილეობის ნება მიეცა, და მათ წარმომადგენელს შეუძლიანთ საქმის ყოველ მდგომარეობაში გადაათვალიერონ საქმის დედანი...“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1924, ნაწილი პირველი, თავი I, 13; გვ. 6)

prodere [პრო´დერე „გაცემა, გადაცემა“]
I. დეპონირებული დოკუმენტების მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაცემა (**p. instrumenta** ისჯებოდა როგორც falsum); 2. დადგენა, დანიშვნა; 3. ღალატი

prodigus [პრო´დიგუს „მფლანგველი“]
I. ქონების გამფლანგველი

proditio [*პროდი´ტიო/პროდი´ციო „ღალატი“]
I. ღალატი

proditor [პრო´დიტორ „გამცემი“]
I. მოღალატე

profanus [პროფა´ნუს „უწმინდური, უზიარებელი“] პროფანი
I. 1. სიწმინდეს მოკლებული, მაგ. **locus p.**; 2. არაქრისტიანული, წარმართული, ურწმუნო

professio [პროფე´სსიო „განცხადება“] განაცხადი, პროფესია
I. განცხადება ოფიციალური ინსტანციის წინაშე
III. „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად დააარსონ საპროფესიო და სხვა ყოველგვარი კავშირი, თუ მისი მიზანი კანონით არ არის აკრძალული“ (კონსტ. – 1921, თავი 3, მუხლი 35)

professio censualis [პროფე´სსიო *კენსუა´ლის/ცენზუა´ლის „საცენზო განაცხადი“]
I. განცხადება სამხედრო საკითხებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით

professio frumentaria [პროფე´სსიო ფრუმენტა´რია „ხორბლის (განაწილების) განაცხადი“]
I. განცხადება პურის უსასყიდლოდ განაწილებასთან დაკავშირებით

professio iugerum [პროფე´სსიო იუ´გერუმ „განაცხადი იუგერთან დაკავშირებით“]
I. განცხადება სათეს ფართთან დაკავშირებით

professio liberorum [პროფე´სსიო ლიბერო´რუმ „განაცხადი ბავშვებთან დაკავშირებით“]
I. განცხადება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით

professor [პროფე´სორ „მასწავლებელი“] პროფესორი
I. სამართლის მასწავლებელი
II. აკადემიური თანამდებობა. „პროფესორისა და სტუდენტისთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია ამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, მე-17(6) მუხლი)
III. „საქართველოს სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულია დოცენტისა და პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებები, ხოლო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში – პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება“ (საქართველოს კანონი უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ – 2002, მე-4(1) მუხლი)

profilactorium (*ბერძნ.*) [პროფილაკტო´რიუმ „დაცვითი ღონისძიებები“] პროფილაქტორიუმი
III. „მსჯავრდადებულს, რომელიც სასჯელს იხდის შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში, სამუშაოსგან თავის არიდების ან დისციპლინის ან ქცევის დადგენილი წესების ბოროტი ან სისტემატური დარღვევისათვის შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმის ადმინისტრაციის წარდგინებით სასამართლო თავისი განჩინებით შრომა-აღმზრდელობით პროფილაქტორიუმში ყოფნის მოხდილ ვადას შეუცვლის ამავე ვადით თავისუფლების აღკვეთით“ (საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1960, თავი მეოთხე, მუხლი 33)

profiteri [პროფიტე´რი „გამოცხადება“]
I. გამოცხადება, განცხადება, გაჟღერება, ცნობის გაცემა; ქადაგება

prohibere [პროჰიბე´რე „შეკავება“]
I. აკრძალვა

prohibitio [*პროჰიბი´ტიო/პროჰიბი´ციო „აკრძალვა“]
I. აქტის წინასწარი აკრძალვა

prohibitorius [პროჰიბიტო´რიუს „ამკრძალავი“] ამკრძალავი
I. ამკრძალავი

proiectum [პროე´კტუმ „შვერილი“]
I. proiectio. ნაგებობის ნაწილი, რომელიც გადასული იყო მეზობლის მიწის ნაკვეთზე, მაგ., აივანი

proiectus [პროე´კტუს „წინ გამოწეული“] პროექტი
I. წინ გამოწეული, გამოშვერილი
II. კანონპროექტი – მისაღები კანონის ტექსტი, მომზადებული საკანონმდებლო ორგანოში ან რეფერენდუმზე გასატანად. „საქართველოს პრეზიდენტი რატიფიცირებისათვის (ან შეერთებისათვის) წარდგენილ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონპროექტს საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (საქართველოს კანონი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ – 1997, მე-15(4) მუხლი)

III. „კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი მიღებულ უნდა იქნეს პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით“ (კონსტიტუცია – 1921, თავი 17, მუხლი 147)

proletarius [პროლეტა´რიუს „დაბალი კლასის მოქალაქე“] პროლეტარი
I. უღარიბესი მოქალაქე
II. „თავისი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ამყარებენ პროლეტარიატის სუვერენიტეტს და დიქტატურას...“ (კონსტ. – 1922, თავი I, 1)

prolongatio (*საშ. ლათ.*) [*პროლონგა´ტიო/პროლონგა´ციო „გაგრძელება“] პროლონგაცია
I. გაგრძელება
II., III. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. „...აღნიშნული უფლებები გადაეცეს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას არანაკლებ „მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ” ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადისა ამ ხელშეკრულების შესაძლო პროლონგაციის გათვალისწინებით ან ოცდაათი წლით“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №178 – 1996, მე-3 პუნქტი)

promissio [პრომი´სსიო „დაპირება“]
I. შეპირება, როგორც ვალდებულების საფუძველი

promissio dotis [პრომი´სსიო დო´ტის „მზითვის დაპირება“]
I. სინ. stipulatio dotis, მზითვის დადგენა სტიპულაციური დანაპირებით

promissio indemnitatis [პრომი´სსიო ინდემნიტა´ტის „დაცულობის შეპირება“]
I. გარანტია მოლაპარაკების მეორე მხარეს, რომ იგი არ დაზარალდებოდა მომდევნო მოვლენებისა ან იურიდ. ქმედებების შედეგად

promissio post mortem [პრომი´სსიო პო´სტ მო´რტემ „დაპირება სიკვდილის შემდეგ“]
I. ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულებულიყო მხოლოდ დაპირების მიმცემის სიკვდილის შემდეგ

promissio pro herede [პრომი´სსიო პრო ჰერე´დე „დაპირება მემკვიდრისათვის“]
I. დაპირება, რომლის შესრულების ვალდებულებაც ეკისრებოდა მემკვიდრეს

promulgatio [*პრომულგა´ტიო/პრომულგა´ციო „საჯარო გამოცხადება“]
I. **promulgatio legis** კანონპროექტის გამოქვეყნება ინიციატორის მიერ ედიქტის ფორმით

pronuntiatio [*პრონუნტია´ტიო/პრონუნცია´ციო „გამოცხადება“]
I. მაგისტრატების, მოსამართლეების მიერ გაკეთებული იურიდიული მნიშვნელობის განცხადებები

propaganda [პროპაგა´ნდა „გასავრცელებელი“] პროპაგანდა
I. გასავრცელებელი
II. იდეების, მოძღვრებების, შეხედულებების და ა.შ. გავრცელება, იდეური ზემოქმედება მასებზე. „დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის მომენტიდან პირი წყვეტს ნებისმიერ აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას. დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობის პერიოდში დიპლომატიური თანამდებობის პირი პოლიტიკურად

ნეიტრალურია და არა აქვს უფლება, ეწეოდეს საქმიანობას/პროპაგანდას ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, გაერთიანების სასარგებლოდ ან წინააღმდეგ“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, მე-15 მუხლი)

III. „...რელიგიური, ისევე ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის, იმ პირობით კი, რომ ამ პროპაგანდას არ ჰქონდეს არავითარი პოლიტიკური ან სოციალური მიზანი (კონსტიტუცია – 1922, თავი I, 11)

propinquus [პროპი´ნკვუს „ახლოს“, „ახლომდებარე“]

I. ახლობელი, ნათესაური

proponere [პროპო´ნერე „წინ გამოდგმა“]

I. აქტის, მაგ., მაგისტრის ედიქტის, საჯარო განხილვაზე გატანა

proportionalis (*საშ. ლათ.*) [*პროპორტიონა´ლის/პროპორციონა´ლის „პროპორციული“] პროპორციული

I. პროპორციული, თანაზომიერი

II. „პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები – საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე“ (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი – 2011, მე-2(კ) მუხლი)

III. „საქართველოს რესპუბლიკის [...] პარლამენტი, რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისამებრ არჩეული დეპუტატებისაგან“ (კონსტიტუცია – 1921, თავი 4, მუხლი 46)

propositio [*პროპოსი´ტიო/პროპოზი´ციო „წინ გამოდგმა, გამოდება“]

I. იმპერატორის ბრძანებულების გამოცხადება

propositum [*პროპო´სიტუმ/პროპო´ზიტუმ „განზრახვა, ჩანაფიქრი“]

I. განზრახვა

propraetor [პროპრე´ტორ „ყოფილი პრეტორი“] პროპრეტორი

I. ყოფილი პრეტორი, ინიშნებოდა იმგვარად, როგორც პროკონსული და ჰქონდა ანალოგიური სტატუსი

proprietas [პროპრი´ეტას „საკუთრება“]

I. საკუთრება, სინ. dominium

prorogatio [*პრორროგა´ტიო/პრორროგა´ციო „გახანგრძლივება“] პრორროგაცია

I. კონსულის ან პრეტორის უფლებამოსილების გაგრძელება

prorogatio fori [*პრორროგა´ტიო/პრორროგა´ციო ფო´რი „სასამართლოს გადავადება“]

I. მხარეთა შეთანხმება, დაქვემდებარებოდნენ სასამართლოს იურისდიქციას

proscribere [პროსკრი´ბერე „გამოქვეყნება“]

I. წერილობითი სახით ინფორმაციის (მაგ. კანონის) გამოქვეყნება, რომელსაც ჰქონდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა

proscriptio [*პროსკრი´პტიო/პროსკრი´პციო „ქონების ჩამორთმევის ან გაძევების შესახებ განცხადება“] პროსკრიფცია
I. საჯარო განცხადება, კანონგარეშედ გამოცხადება

proscriptio bonorum [*პროსკრი´პტიო/პროსკრი´პციო ბონო´რუმ „საკუთრების ჩამორთმევის შესახებ განცხადება“]
I. 1. გადახდისუუნარო მოვალის ქონების საჯარო აუქციონზე გაყიდვის გამოცხადება; 2. სახელმწიფოს მიერ საკუთრების კონფისკაცია

proscriptio debitorum [*პროსკრი´პტიო/პროსკრი´პციო დებიტო´რუმ „მოვალეთა პროსკრიფცია“]
I. გადახდისუუნარო მოვალეების სახელების საჯარო გამოცხადება

prosecutor [*პროსეკუ´ტორ/პროზეკუ´ტორ „თანმხლები]
I. შეიარაღებული დაცვა, რომელიც ესკორტით თან ახლდა დამნაშავეს

prosecutor annonae [*პროსეკუ´ტორ/პროზეკუ´ტორ ანნო´ნე „სურსათზე პასუხისმგებელი“]
I. იმპერატორის მოხელე, არმიისათვის სურსათის მომარაგებაზე პასუხისმგებელი

prospectus [პროსპე´კტუს „ხედი, მიმოხილვა“] პროსპექტი
I. მიმოხილვა
II. 1) „ემისიის პროსპექტი – წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, მე-2(12) მუხლი); 2) „წინასწარი პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს ეროვნულ ბანკს, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა მის მიერ“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, მე-2(13) მუხლი); 3) „დამტკიცებული პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, მე-2(14) მუხლი); 4) „საბოლოო პროსპექტი – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და შეიცავს შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ხოლო თუ საბროკერო კომპანია/კომპანიები თანახმა არის/არიან ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე ემიტენტის ან/და ფასიანი ქაღალდების მფლობელების სახელით – აგრეთვე ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებების შესახებ“ (საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ – 1998, მე-2(15) მუხლი)
III. „აქციებზე ხელისმოწერის ფურცელში და საჯარო ხელმოწერის განცხადებაში (პროსპექტში) სხვა ცნობათა შორის აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული...“ (საქ. სსრ სამოქ. სამ. კოდ. – 1923, თავი I, 331)

prostituere [პროსტიტუ´ერე „სააშკარაოზე გამოტანა“]
I. შერცხვენა

prostitutio [*პროსტიტუ´ტიო/პროსტიტუ´ციო „სააშკარაოზე გამოტანა, გარყვნილება, გახრწნა “] პროსტიტუცია
I. გარყვნილება, შერცხვენა, გახრწნა

II. სექსუალური კავშირის დამყარება გასამრჯელოს სანაცვლოდ. „სექსუალური ექსპლუატაცია – პირის ჩაბმა პროსტიტუციაში, სხვა სახის სქესობრივ მომსახურებაში ან პორნოგრაფიული მასალის წარმოებაში...“ (საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – 2006, 3(ვ)-ე მუხლი)
III. „ანგარებით ან სხვა პირადი მოსაზრებით იძულება პროსტიტუციისათვის ფიზიკური და ფსიქიკური გავლენით, მაჭანკლობა (სიძვისათვის შუამავლობა), გარყვნილების ბუდის მოწყობა-შენახვა, აგრეთვე ქალების მოგროვება პროსტიტუციისათვის, გამოიწვევს...“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – 1922, კერძო ნაწილი, თავი VI, კარი 4, 176)

protectio [*პროტე´კტიო/პროტე´კციო „მფარველობა, დაცვა“] პროტექცია
I. მფარველობა, დაცვა
II. გავლენიანი პირის უკანონო დახმარება, მფარველობა. „...შეიმუშაოს სახელმწიფო პროტექციონისტული პოლიტიკა რეგიონების განვითარების ხელშეწყობისათვის და ორგანიზება გაუწიოს მის განხორციელებას“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №185 – 2000, III(მ)-ე მუხლი)
III. „შს ორგანოს უფროსი პასუხისმგებელია ხელქვეითი თანამშრომლების სამსახურებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის. იგი, მათ მიმართ მაღალი მომთხოვნელობიდან გამომდინარე, ვალდებულია: ... არ დაუშვას პირად შემადგენლობასთან მუშაობაში პროტექციონიზმი და, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლის დევნა შს ორგანოს საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკისათვის“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №139 – 1997, 41-ე მუხლი)

protector [პროტე´კტორ „დამცველი“] პროტექტორი
I. პროტექტორი, მფარველი

protectum, protectus [პროტე´კტუმ, პროტე´კტუს „ჩარდახი, გადმონაშვერი“]
I. მეზობლის ტერიტორიაზე გადასული სახურავი. მეზობელს შეეძლო გაეპროტესტებინა ეს ფაქტი
II. ნახევარკოლონიური მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ფორმალურად შენარჩუნებულია მოჩვენებითი სახელმწიფოებრიობა, მაგრამ პროტექტორს გააჩნია მისი მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის ფართო უფლებები და უფლებამოსილებები. „თუ რომელიმე მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ განაცხადებს საწინააღმდეგოს ხელმოწერის, რატიფიცირების ან შეერთებისას, წინამდებარე კონვენციის დებულებები არ გამოიყენება კოლონიების, ზღვის გადაღმა ტერიტორიების, პროტექტორატების ან სუვერენული თუ სამანდატო ტერიტორიების მიმართ...“ (საერთაშორისო კონვენცია ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – 1929, 24-ე მუხლი)
III. „...აღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შედიოდა“ (აქტი 1918, დამატება II)

protutela [პროტუტე´ლა „ყალბი მეურვეობა“]
I. ყალბი, არანამდვილი მეურვეობა

protutor [პროტუ´ტორ „ყალბი მეურვე“]

I. ყალბი მეურვე **falsus tutor**

provincia [*პროვი´ნკია/პროვი´ნცია] პროვინცია
I. 1. imperium-ის მქონე მაგისტრატის განსაკუთრებული უფლებამოსილების სფერო; 2. დაპყრობილი ტერიტორია, რომელიც იმართებოდა სამხედრო სარდლის მიერ
III. „ამიერიდგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთან საიმპერიოდ რუსეთისად, წესითა მით ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ“ (აზრი-მოხსენებანი გიორგი მეფისა იმპერატორ პავლე I-ისადმი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ [1799] ქსძ, II, გვ. 544)

provinciae Caesaris [principis] [*პროვი´ნკიე *კე´სარის [*პრინკიპის]/პროვი´ნციე [ცე´ზარის [პრი´ნციპის] „კეისრის [პრინცეპსის] პროვინციები“]
I. სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინციები, რომლებიც უშუალოდ ავგუსტუსს ექვემდებარებოდნენ. მათ მართავდნენ legati Augusti pro praetore (რადგან მათ 5-5 ლიქტორი ჰყავდათ, ეწოდებოდათ quinquefascales). ნაცვალთა სამსახურის ვადა არ იყო წინასწარ განსაზღვრული და მთლიანად ავგუსტუსის ნებაზე იყო დამოკიდებული

provincialis [*პროვინკია´ლის/პროვინცია´ლის „პროვინციის“] პროვინციელი, პროვინციული
I. 1. პროვინციის, ის, რაც პროვინციას ეკუთვნის; 2. პროვინციელი, პროვინციაში მცხოვრები

provocare [პროვოკა´რე „გამოხმობა“]
I. მოწოდება, მაგ., საპროცესო გირავნობის შეთანხმების დადებისკენ

provocatio [*პროვოკა´ტიო/პროვოკა´ციო „გამოხმობა, გასაჩივრება“] პროვოკაცია
I. რომ. რესპუბლიკაში მსჯავრდებული მოქალაქის მიერ კონსულისა ან პრეტორის გამამტყუნებელი განაჩენის სახალხო ასამბლეაში გასაჩივრება
II. წაქეზება ისეთ ქმედებებზე, რასაც მოჰყვება მძიმე შედეგები. „დანაშაულის პროვოკაცია“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 145-ე მუხლი)
III. „...ქალაქ თბილისში მაინც იჩენს თავს პროვოკაციული მოქმედება აღნიშნული ბრძანების წინააღმდეგ...“ (რევკომის ბრძანება, აქტები 1921-1978, I, გვ. 59)

provocatio ad populum [*პროვოკა´ტიო/პროვოკა´ციო ად პო´პულუმ „ხალხისადმი მოწოდება“]
I. რესპუბლიკის ხანაში მოქალაქის მიერ მაგისტრატის გადაწყვეტილების გასაჩივრება კომიციაში (ცენტურიის კომიციაში საჩივრდებოდა სიკვდილით დასჯა, ტრიბუსის კომიციაში – ფულადი ჯარიმა)

provocator [პროვოკა´ტორ „გამომწვევი“] პროვოკატორი
I. პროვოკატორი, გამომწვევი

proxeneta (*ბერძნ.*) [პროქსენე´ტა „შუამავალი“]
I. შუამავალი, მაკლერი

proxeneticum [პროქსენე´ტიკუმ „მაკლერის გასამრჯელო“]
I. გასამრჯელო, რომელსაც იღებდა შუამავალი გარიგების გაფორმების შემთხვევაში

proximi [პრო´ქსიმი „უახლოესნი“]
I. მოხელეები, რომლებიც ეხმარებიან კანცელარიის ხელმძღვანელს და ცვლიან მას

proximi infantiae, proximi pubertati [პრო´ქსიმი ინფა´ნტიე, პრო´ქსიმი პუბერტა´-ტი „ბავშვობის, ყმაწვილობის ასაკისანი“]
I. → impuberes; არასრულწლოვნები

proximus [პრო´ქსიმუს „უახლოესი“]
I. უახლოესი პირი

proximus agnatus [პრო´ქსიმუს აგნა´ტუს „უახლოესი ნათესავი მამის მხრიდან“]
I. → agnatus proximus

prudentes [პრუდე´ნტეს „მცოდნენი“]
I. სამართალმცოდნეები, იურისტები

pubes [პუ´ბეს „ღინღლი“, მრ. რ. puberes]
I. სრულწლოვანი პირები, რომლებიც სრული ქმედითუნარიანობით სარგებლობ-დნენ

publicani [პუბლიკა´ნი „მოიჯარადე-შემსყიდველები “] პუბლიკანები
I. გადასახადების ამკრები პირები

publicatio bonorum [*პუბლიკა´ტიო/პუბლიკა´ციო ბონო´რუმ „ქონების კონფისკა-ცია“]
I.ქონების კონფისკაცია. რესპ. პერიოდის დასასრულს მსჯავრდებული პიროვნე-ბისთვის ქონების (ან ქონების ნაწილის) ჩამორთმევა სახელმწიფოს სასარგე-ბლოდ, თავდაპირველად ერარიუმის, შემდგომში კი – ფისკუსის
II., III. სასამართლოს განჩინების საფუძველზე პრესაში გამოქვეყნებული შეტყო-ბინება საწარმდგენლო ან საორდერო ფასიანი ქაღალდის დაკარგვის შესახებ. „მოსამართლე განცხადების მიღების შემდეგ გამოიტანს განჩინებას საბუთის გამცემი დაწესებულებისათვის (პირისათვის) ამ საბუთით ყოველგვარი გადახდი-სა და გაცემის წარმოების აკრძალვის, აგრეთვე განმცხადებლის ხარჯზე ადგი-ლობრივ პრესაში პუბლიკაციის შესახებ“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსი – 1999, 330(1)-ე მუხლი)

publicatio legis [*პუბლიკა´ტიო/პუბლიკა´ციო ლე´გის „კანონის გამოქვეყნება“]
I. კანონის გამოქვეყნება

publicum [პუ´ბლიკუმ „სახელმწიფო ქონება“]
I. სახელმწიფო ქონება, საჯარო ადგილი ან დაწესებულება, საზოგადოებრიობა

publicus [პუ´ბლიკუს „სახელმწიფო, საზოგადო“]
I. სახელმწიფო, საჯარო, მაგ., ager publicus „საჯარო მიწა“ და ა. შ. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენებოდა ცნების – privatus „კერძო“-ს საპირისპიროდ

pudicitia [*პუდიკი´ტია/პუდიცი´ცია „სიმორცხვე“]
I. უმწიკვლოება

pulsare [პულსა´რე „ცემა“]
I. ცემა

punctum [პუ´ნკტუმ „პუნქტი“] პუნქტი

I. პუნქტი
II. სამართლებრივი აქტის მუხლის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია ნომრით ან ასოთი. „...საქართველოს კონსტიტუციური კანონი მიიღება საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრისას საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის განსაზღვრისას და საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისას“ (საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ – 2009, მე-10(2) მუხლი)
III. „საერთოსა შურის მაძიებელის ქრისტეანეთა მტერთა ზედა მოქმედებად და ვალდებულებისამებრ ურთიერთა შორის გულს-მოდგინებით შესაწევნელად, როგორც ამას ქვემორე პუნკტებში ვრცელად აცხადებს“ (მეგობრობის დადგენებულობა ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს შორის [1773 წ.], ქსძ, II, გვ. 434-435)

punire, punitio [პუნი´რე, *პუნი´ტიო/პუნი´ციო „დასჯა“]
I. დასჯა, სასჯელი

pupillus [პუპი´ლლუს „ობოლი ბიჭი“]
I. 1. მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი, რომლის სახელითაც მოქმედებს მეურვე ან რომლის ქმედებებსაც მეურვე იწონებს; 2. არასრულწლოვანი

purgatio morae [*პურგა´ტიო/პურგა´ციო მო´რე „განწმენდა“]
I. ვალდებულების შესრულების შესახებ მოვალის დამატებითი წინადადება, რომლითაც წყდებოდა ვალდებულების შესრულების ვადის დენა იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი არ იღებდა ამ წინადადებას

Q

quadrans [კვა´დრანს „ერთი მეოთხედი“]
I. ასსის (რომ. ფუნტის) ერთი მეოთხედი

quadrupedes [კვადრუ´პედეს „ოთხფეხა“]
I. ოთხფეხა ცხოველები, საქონელი

quadruplator [კვადრუპლა´ტორ „დამსმენი“]
I. დამსმენი, რომელიც თავისი მსხვერპლის გასამართლების შემთხვევაში იღებდა კონფისკაციით ჩამორთმეული საკუთრების მეოთხედს. ასევე მოსარჩელე, რომელიც ითხოვდა ოთხმაგ ჯარიმას

quadruplum [კვადრუ´პლუმ „ოთხმაგი ზომა“]
I. ოთხმაგი ზომა, ოთხმაგი თანხა

quaerere [კვე´რერე „ძებნა, გამოძიება“]
I. 1. შეკითხვა; 2. შეძენა; 3. გამოძიება, დევნა

quaesitor [*კვე´სიტორ/კვე´ზიტორ „გამომძიებელი“]
I. სისხლ. სამ. საქმის გამომძიებელი

quaestio [*კვე´სტიო/კვე´სციო „გამოძიება, განხილვა“]
I. 1. საკითხი, კერძოდ, ფაქტის საკითხი (**q. facti**) ან იურიდ. საკითხი (**q. iuris**); 2. გამოძიება, ძიება; 3. სასამართლო წარმოება ან მისი ნაწილი: პირადი გარემოებების გამოძიება (**q. status**) ან დაკითხვა (**q. per tormentum**); 4. **quaestiones**,

სადავო და თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან იურიდ. კაზუსთა დამუშავება; 5. მუდმივი სისხლის სამართლის სასამართლო

quaestiones perpetuae [*კვესტიო´ნეს/კვესციო´ნეს პერპე´ტუე „მუდმივი საკითხები“]
I. მუდმივი, რეგულარული სისხლის სამართლის სასამართლო

quaestor [კვე´სტორ „კვესტორი“, მრ. რ. quaestores] კვესტორი
I. დაბალი რანგის მაგისტრატი, რომელიც ადმინისტრაციული საქმიანობით იყო დაკავებული, აგრეთვე მოსამართლე, რომელიც მეფეების ეპოქაში სისხლ. სამ.-ის ისეთ საქმეებს განიხილავდა, რომლებისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული

quaestor aquarius [კვე´სტორ აკვა´რიუს „წყალგაყვანილობის კვესტორი“]
I. კვესტორი, რომელიც კურირებდა წყალგაყვანილობის სისტემებს

quaestor Ostiensis [კვე´სტორ ოსტე´ნსის „ოსტიის კვესტორი“]
I. კვესტორი, რომელიც ოსტიის პორტში საქონლის გადმოტვირთვას აწესრიგებდა

quaestor pro praetore [კვე´სტორ პრო პრეტო´რე „კვესტორი პრეტორის ნაცვლად“]
I. კვესტორი, რომელიც იყო პატარა პროვინციების გამგებელი ან დროებით ასრულებდა პრეტორის მოვალეობას (მისი გარდაცვალების, სხვა საქმით დატვირთვის შემთხვევაში)

quaestores municipales [კვესტო´რეს *მუნიკიპა´ლეს/მუნიციპა´ლეს „მუნიციპალიების კვესტორები“]
I. ცალკეული თემის კვესტორები, რომლებიც ფინანსური საკითხების განხილვით იყვნენ დაკავებულნი

quaestorius [კვესტო´რიუს „ყოფილი კვესტორი“]
I. ყოფილი კვესტორი

quaestus [კვე´სტუს „შემოსავალი“]
I. შემოსავალი, მოგება

qualificatio (*საშ. ლათ.*) [*კვალიფიკა´ტიო/კვალიფიკა´ციო „კვალიფიკაცია“] კვალიფიკაცია
I. კვალიფიკაცია
II. ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება და მისი ნიშნების შესაბამისობის დადგენა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან. „...ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 79(1)-ე მუხლი)
III. „კერძო პირების მიერ ისეთი ცნობების გამჟღავნება, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენენ, რამდენადაც ეს მოქმედება არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას როგორც სამშობლოსადმი ღალატი ან ჯაშუშობა, ისჯება ხუთიდან ათ წლამდე ვადით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობით“ (სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებისათვის და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, სსრ კავშირის

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 9 ივნისის ბრძანებულება, საქ. სსრ სისხლ. სამ. კოდ. – 1928-I, დამატებანი)

quanti [კვა´ნტი „რამდენად დიდი“]
I. რამდენად დიდი, quanti res est (fuit, erit) არის (იყო, იქნება) ნივთის ფასი, რომლის შესახებაც წარმოებს დავა, condemnatio incerta-ს შემადგენელი ნაწილი

quarta [კვა´რტა „მეოთხედი“] კვარტა
I. მეოთხედი ნაწილი, მაგ. მემკვიდრეობის

quarta divi Pii [კვა´რტა დი´ვი პი´ი „ღვთაებრივი პიუსის მეოთხედი ნაწილი“]
I. სინ. quarta Antoniana, სავალდებულო წილი, რომელიც უდრიდა სამკვიდროს ღირებულების მეოთხედს

quarta Falcidia [კვა´რტა *ფალკი´დია/ფალცი´დია „ფალციდიუსის მეოთხედი“]
I. დაუტვირთავი სამკვიდროს მეოთხედი, რომელიც უნდა დარჩენოდა მემკვიდრეს lex Falcidia-ს თანახმად

quarta Pegasiana [კვა´რტა *პეგასია´ნა „პეგასიანუსის მეოთხედი ნაწილი“]
I. → sc. Pegasianum

quasi [*კვა´სი/კვა´ზი „თითქოს“] კვაზი
I. თითქოს, მსგავსი. კლას. სამ.-ის იურისტების მიერ ეს გამოთქმა გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდებოდა სამართლის ნორმის ან ინსტიტუტის ანალოგიით შეფარდება

quasi agnatio [*კვა´სი *აგნა´ტიო/კვა´ზი აგნა´ციო „კვაზი ნათესაობა“] → agnatio 1

quasi colonus [*კვა´სი/კვა´ზი კოლო´ნუს „კვაზი ახალმოშენე, მოიჯარე“] → servus casatus

quasi contractus [*კვა´სი/კვა´ზი კონტრა´კტუს „კვაზი კონტრაქტი“]
I. კვაზი კონტრაქტი

quasi delicta [*კვა´სი/კვა´ზი დელი´კტა „კვაზი დანაშაულები“]
I. კვაზი დანაშაულები

quasi traditio [*კვა´სი *ტრადი´ტიო/კვა´ზი ტრადი´ციო „კვაზი გადაცემა“]
I. პანდექტური მეცნიერება მას მიაკუთვნებს შემთხვევებს, როდესაც არენდატორი იღებს ნაყოფს არენდირებული ნაკვეთიდან და როდესაც მესამე პირი იძენს სილას ან ქვას სხვის ნაკვეთზე მესაკუთრის თანხმობით

quasi usufructus [*კვა´სი *უსუსფრუ´კტუს/კვა´ზი უზუსფრუ´კტუს „თითქმის უზუფრუქტი“]
I. უზუფრუქტის სპეციფიკური სახეობა, რომელიც ვრცელდებოდა საგვარეულო ნივთებზე. უზუფრუქტუარი იძენდა საკუთრების უფლებას აღნიშნულ ნივთებზე. უზუფრუქტის დასრულების შემდეგ ის ვალდებული იყო დაებრუნებინა შესაბამისი ნივთები შესაბამისი რაოდენობით

quattuor [კვა´ტტორ „ოთხი“]
I. ოთხი, quartus „მეოთხე“

quattuor viri [კვა´ტტუორ ვი´რი „ოთხი კაცი“]

I. მუნიციპალური თანამდებობის მქონე პირთა ოთხი წევრისგან შემდგარი კოლეგია; ისინი, ერთი მხრივ, მოქმედებდნენ, როგორც პრეტორის დელეგატები, ხოლო, მეორე მხრივ, ჰქონდათ საკუთარი უფლებამოსილებები

querela [კვერე´ლა „მოთქმა, ჩივილი“]
I. საჩივარი, სარჩელი

querela inofficiosi testamenti [კვერე´ლა *ინოფფიკიო´სი/ინოფფიციო´ზი ტესტამე´ნტი „არაოფიციალური ანდერძის საჩივარი“]
I. მემკვიდრის საჩივარი, რომელიც მიიღებდა წილს სამკვიდროდან იმ შემთხვევაში, რომ არ არსებულიყო ანდერძი, რომელშიც ეს მემკვიდრე არ იყო მოხსენიებული ან რომლითაც მას ჩამოერთვა მემკვიდრედ ყოფნის უფლება

querela non numeratae dotis [კვერე´ლა ნონ ნუმერა´ტე დო´ტის „საჩივარი მზითვის გადაუხდელობისა“]
I. მეუღლის საჩივარი, რომელსაც არ მიუთვალეს მზითვი

querela non numeratae pecuniae [კვერე´ლა ნონ ნუმერა´ტე პეკუ´ნიე „საჩივარი გადაუხდელი ფულის შესახებ“]
I. მოვალის საჩივარი, რომელსაც ხელწერილით აღიარებული ჰქონდა ვალი და რომლისთვისაც კრედიტორს არ გადაუცია ფულადი თანხა; საჩივარი მიმართული იყო სავალო ხელწერილის გაუქმებაზე

querela non numeratae solutionis [კვერე´ლა ნონ ნუმერა´ტე *სოლუტიო´ნის/სოლუციო´ნის „საჩივარი განუხილავი გადაწყვეტილებებისა“]
I. კრედიტორის საჩივარი, რომელიც წერილობით ადასტურებდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებას. საჩივრით კრედიტორი უარყოფდა დასტურს იმ შემთხვევაში, თუ ამ დასტურის მიღების შემდეგ მოვალე უარს აცხადებდა ვალდებულების შესრულებაზე

quincunx [კვი´ნკუნქს „ხუთი უნცია“]
I. ასსის (რომ. ფუნტის) ხუთი მეთორმეტედი, მაგ., მემკვიდრეობის

quindecimviri sacris faciundis [*კვინდეკი´მვირი/კვინდეცი´მვირი სა´კრის *ფაკიუ´ნდის/ ფაციუ´ნდის „თხუტმეტი წევრისაგან შემდგარი გაერთიანება“]
I. → duoviri sacris faciundis

quinquagesimum [კვინკვაგე´სიმუმ „ორმოცდამეათე“]
I. ორპროცენტიანი გადასახადი emphyteusis 2-ის დროს

quinquaginta decisiones [კვინკვა´გინტა *დეკისიო´ნეს/დეციზიო´ნეს „ორმოცდაათი გადაწყვეტილება“]
I. 50 კონსტიტუციის კრებული, რომლებშიც იუსტინ.-ი წყვეტდა კლას. სამ.-ის სადავო საკითხებს. შევიდა იუსტინ.-ის კოდექსის მეორე გამოცემაში, თუმცა კოდექსში მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია, რამდენადაც q.d. არ არის შემორჩენილი

quinque [კვი´ნკვე „ხუთი“]
I. ხუთი, quintus „მეხუთე“

quinque fascales [კვი´ნკვე ფასკა´ლეს „ხუთკაციანი საფინანსო კოლეგია“] → provinciae Caesaris

quinquennales [კვინკვენნა´ლეს „ხუთი კაცისგან შემდგარი გაერთიანება“] → quattuorviri

quinquevirale iudicium [კვინკვევირა´ლე *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ „ხუთკაციანი კომისიის სასამართლო ძიება“] → iudicium quinquevirale

quinqueviri cis Tiberim [კვინკვევი´რი კის ტიბე´რიმ „ხუთკაციანი კოლეგია ტიბერის გაღმა“]
I. თანამდებობის პირთა 5-წევრიანი კოლეგია, რომელიც ღამით იცავდა წესრიგს ქალაქში

quirites [კვირი´ტეს „კვირიტები“] კვირიტები
I. თავდაპირველად Quirinus იყო გაღმერთებული რომულუსის სახელი. კვირიტები იყვნენ საბინური ქალაქ კურესის მცხოვრებნი, შემდგომში – რომაელები

quivis de populo [კვი´ვის დე პო´პულო „ხალხიდან ნებისმიერი“]
I. → quilibet ex populo რომის ნებისმიერი მოქალაქეთაგანი, რომელსაც უფლება ჰქონდა გამოსულიყო მოსარჩელედ

quota [კვო´ტა „რამდენი“] კვოტა
II. რისამე დასაშვები რაოდენობა. „პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების, უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების, ფრაქციების თავმჯდომარეების კომიტეტში გაწევრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფრაქცია პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი რაოდენობის შესაბამისად“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 32(6)-ე მუხლი)
III. „საქონლის (სამუშაოთა, მომსახურების) ექსპორტისა და იმპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების წესების დარღვევა“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 177[1]-ე მუხლი)

R

rapere [რა´პერე „მოტაცება“]
I. გაქურდვა, მოტაცება

rapina [რაპი´ნა „ქურდობა“]
I. ქურდობა, სხვისი ნივთის წართმევა

raptus [რა´პტუს „გაქურდვა“]
I. 1. სინ. rapina; 2. ადამიანის გატაცება, განსაკუთრებით, ქალის მოტაცება მისი მშობლების ნების საწინააღმდეგოდ

ratihabitio [*რატიჰაბი´ტიო/რატიჰაბი´ციო „დამტკიცება“]
I. პირის ნების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგების ან მისი სახელით შესრულებული სხვა იურიდიული ქმედების მოწონება

ratio [*რა´ტიო/რა´ციო „მიჩნევა“] რაციო
I. 1. ანგარიში, საანგარიშო წიგნი; 2. იმპერიის დროს: პრინცეპსის ფინანსურ საქმეთა კომპლექსი; 3. მიზეზი, საფუძველი, მოტივი; 4. მიზანი, აზრი, კანონის სულისკვეთება

ratio stricta [*რა´ტიო/რა´ციო სტრი´კტა „მკაცრი საფუძველი“]
I. სამართლებრივი პრინციპის მკაცრი გამოყენება

r(a)udusculum [რაუდუ´სკულუმ „ლითონის ნატეხი, წვრილი ფული“]
I. წვრილი ფული → mancipatio; per aes et libram

recensus [*რეკე´ნსუს/რეცე´ნზუს „გადახედვა, გადასინჯვა“]
I. (ძველის) გადახედვა, გადასინჯვა

recepticia dos [*რეკეპტი´კია/რეცეპტი´ცია დოს „მიღებული მზითვი“]
I. → dos

receptor [*რეკე´პტორ/რეცე´პტორ „მიმღები“] რეცეპტორი
I. ყაჩაღების და ქურდების შემფარველი

receptum [*რეკე´პტუმ/რეცე´პტუმ „ვალდებულება, გარანტია“]
I. ამ ტერმინით აღინიშნებოდა განსხვავებული შინაარსის არაფორმალური გარიგებები, რომელთა საფუძველს შეადგენდა პრეტორული სამართალი

receptum arbitri [*რეკე´პტუმ/რეცე´პტუმ არბი´ტრი „არბიტრის მოვალეობა“]
I. შეთანხმება, რომლის ძალითაც მოდავე მხარეების თანხმობით არჩეული არბიტრი კისრულობდა დავის გადაწყვეტის ვალდებულებას

receptum argentarii [*რეკე´პტუმ/რეცე´პტუმ არგენტა´რიი „ბანკირის მოვალეობა“]
I. გარიგება, რომლის ძალითაც ბანკირი იღებდა ვალდებულებას, რომ მესამე პირს კლიენტის მაგივრად გადაუხდიდა განსაზღვრულ თანხას

receptum nautarum cauponum stabulariorum [*რეკე´პტუმ/რეცე´პტუმ ნაუტა´რუმ კაუპო´ნემ სტაბულარიო´რუმ „გემთმფლობელებისა და სამიკიტნოების მფლობელების ვალდებულება“]
I. გარიგება, რომლის საფუძველზეც გემთმფლობელები/სამიკიტნოების მფლობელები იბარებდნენ ნივთებს ტრანსპორტირებისთვის/შესანახად და რომლის ძალითაც ისინი კისრულობდნენ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფდნენ ნივთების უსაფრთხო ტრანსპორტირებასა და შენახვას

recidivus [*რეკიდი´ვუს/რეციდი´ვუს „განახლებადი, განმეორებადი“] რეციდივი
I. აღდგენილი
II. „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახ დანაშაულის ჩადენას“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, მე-17(1) მუხლი)
III. „აგრეთვე დანაშაულის განმამეორებელთ (რეციდივისტებს) – ზემოდ აღნიშნული სასჯელი შეეცვალოს აღკვეთად ხუთი წლის ვადით და ამასთანავე განუწესდეთ მათ მკაცრი იზოლაცია“ (ამნისტიის შესახებ საქ. სსრ რევკომის 1921 წლის 7 ნოემბრის 92 დადგენილება, ქრონ. კრ. I, გვ. 21)

recipere [*რეკი´პერე/რეცი´პერე „უკან აღება“]
I. აღება, საკუთარ თავზე აღება (პასუხისმგებლობის, ვალდებულების)

recipere nomen [*რეკი´პერე/რეცი´პერე ნო´მენ „სახელის მიღება“]
I. → accusatio

recipere usu [*რეკი´პერე/რეცი´პერე *უ´სუ/უ´ზუ „სარგებლის მიღება“]
I. → usureceptio

reclamatio [*რეკლამა´ტიო/რეკლამა´ციო „უკმაყოფილება“] რეკლამაცია

I. უკმაყოფილების ხმამაღლა გამოხატვა
II., III. განცხადება ტვირთის ნაკლოვანებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაბამისი ნაკლის აღმოფხვრის ან ანაზღაურების მოთხოვნას შეიცავს. „...პროცენტების ათვლა იწყება გადამზიდველის მიმართ რეკლამაციის წარდგენის დღიდან...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. – 1997, 695(1)-ე მუხლი)

recommendatio (*საშ. ლათ.*) [*რეკომმენდა´ტიო/რეკომმენდა´ციო „კვლავ მოწონება“] რეკომენდაცია
II. რჩევა, მითითება გარკვეული ქმედების განხორციელების შესახებ. „სამინისტრო, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით, განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყლის ხარისხობრივ ნორმებსა და ტექნიკურ რეგლამენტებს“ (საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ – 2007, 23(1)-ე მუხლი)
III. „ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა“ (კონსტ. – 1978, VII, თავი 17, მუხლი 142)

reconductio [*რეკონდუ´კტიო/რეკონდუ´კციო „უკან წაყვანა, კვლავ დაქირავება“]
I. იჯარის ხელშეკრულების განახლება

rector [რე´კტორ „მმართველი, განმგებელი“] რექტორი
I. მმართველი, გამგებელი
II. „რექტორი – სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – აგრეთვე აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, მე-2(ჰ4) მუხლი)
III. „დირექტორის (რექტორის) დანიშვნის (არჩევის) ვადა არ უნდა აღემატებოდეს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას, მაგრამ არ უნდა იყოს 3 წელზე ნაკლები“ (საქართველოს კანონი განათლების შესახებ – 1997, 23(5)-ე მუხლი)

recuperare [რეკუპერა´რე „ხელახლა მიღება“]
I. ხელახლა მიღება, თავის თავზე აღება

recuperator [რეკუპერა´ტორ „ხელახლა ხელში ჩამგდები“, მრ. რ. recuperatores] რეკუპერატორი
I. იმ კოლეგიის წევრები, რომელიც შედგებოდა არა უმცირეს სამი ნაფიცი მოსამართლისაგან და რომელიც განიხილავდა ისეთ საქმეებს, რომელთაც დაჩქარებული გადაწყვეტა სჭირდებოდა

redemptor [რედე´მპტორ „გამომსყიდველი“]
I. მენარდე

redemptor litium (causarum) [რედე´მპტორ *ლი´ტიუმ/ლი´ციუმ (*კაუსა´რუმ/კაუზა´რუმ) „სადავო საქმეების შემსყიდველი“]
I. მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოვალეების სავალო მოთხოვნების შემსყიდველი

redemptor vectigalium [რედე´მპტორ ვეკტიგა´ლიუმ „გადასახადების ამკრეფი“]
I. გადასახადების ამკრეფი

redemptus ab hoste [რედე´მპტუს აბ ჰო´სტე „მტრისგან გამოსყიდული ტყვე“]
I. მტრისგან გამოსყიდული ტყვე

redemptus suis nummis [რედე´მპტუს სუ´ის ნუ´მმის „თავისი ფულით გამოსყიდული“]
I. თავისი ან მესამე პირის ფულით გამოსყიდული ტყვე

redhibitio [*რედჰიბი´ტიო/რედჰიბი´ციო „დაბრუნება“]
I. ნივთის ნაკლის გამო ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება, რომლის დროსაც ხდებოდა ორმხრივი რესტიტუცია: მყიდველი უბრუნებდა გამყიდველს შეძენილ ნივთს, ხოლო გამყიდველი – გადახდილ თანხას

redimere [რედი´მერე „გამოსყიდვა“]
I. გამოსყიდვა

re(d)integratio [*რეინტეგრა´ტიო/რეინტეგრა´ციო „განახლება, აღდგენა“] რეინტეგრაცია
I. რეინტეგრაცია
II. პროცესი, რომლის დროსაც ხდება გარკვეული მოწყვლადი კატეგორიის პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ან ოჯახში დაბრუნებისთვის ხელის შეწყობა. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის, მათი დახმარების, რეაბილიტაციისა და ოჯახსა და საზოგადოებაში სრული რეინტეგრაციის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქმნება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება (თავშესაფარი)“ (საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ – 2006, მე-19(1) მუხლი)
III. „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მშობლისათვის (მშობლებისათვის) შეთავაზებული პრევენციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების მიუხედავად...“ (საქ. სამოქ. კოდ. – 1997; 2012 მდგ., წიგნი მეხუთე, კარი მეორე, თავი I, მუხლი 1193 (18.12.2009 2382))

reemigratio (*საშ. ლათ.*) [*რეემიგრა´ტიო/რეემიგრა´ციო „ხელახლა გადასახლება“] რეემიგრაცია

reevacuatio [*რეევაკუა´ტიო/რეევაკუა´ციო „ხელახლა დაცარიელება“] რეევაკუაცია
I. ხელმეორედ დაცარიელება

referendum [რეფერე´ნდუმ „გაახლებული, ხელახლა შემოტანილი“] რეფერენდუმი
II. „რეფერენდუმი არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად“ (საქართველოს ორგანული კანონი რეფერენდუმის შესახებ – 1996, 1(1)-ლი მუხლი)

III. „სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაო-სახალხოდ განიხილება, აგრეთვე გადაეცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის)“ (კონსტიტუცია – 1978, I, თავი I, მუხლი 5)

reformare [რეფორმა´რე „რაღაცის შეცვლა“] რეფორმირება
I. შეცვლა, მაგ., სააპელაციო წარმოებაში სასამართლო გადაწყვეტილების
II., III. გარდაქმნა, რისამე შეცვლა. „ამ კანონის ამოქმედებიდან 4 თვის ვადაში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ (როგორც სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ საწესდებო კაპიტალის 2/3 წილის მფლობელმა) და საქართველოს კულტურის სამინისტრომ ეროვნულ კინოცენტრთან ერთად შეიმუშაონ კინოქსელის რეფორმირების სახელმწიფო პროგრამის პროექტი მისი რენტაბელობის მიღწევისა და კინოს თვითდაფინანსების პრინციპის ამოქმედების მიზნით“ (საქართველოს კანონი ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ – 2000, მე-17 მუხლი)

refutatio [*რეფუტა´ტიო/რეფუტა´ციო „უარყოფა“]
I. უარყოფა, მაგ., libelli refutatorii უარყოფილი წიგნები (საჩივრები, მოთხოვნები)

regalia [რეგა´ლია „სამეფო“ (მრ. რ.)] რეგალია
I. სამეფო რეზიდენცია

regens provinciae, rector provinciae [რე´გენს *პროვი´ნკიე/პროვი´ნციე, რე´კტორ *პროვი´ნკიე/პროვი´ნციე „პროვინციის მმართველი“] რეგენტი
I. პროვინციის მმართველი, სინ. **praeses provinciae,** დომინატის დროს – ნაცვალი და პროკურატორი

regere [რე´გერე „მართვა“]
I. მართვა, გამოსწორება, დადგენა

regia domus [რე´გია დო´მუს „სამეფო სასახლე“]
I. სამეფო სასახლე, რესპუბლიკის დროს უმაღლესი პონტიფექსის რეზიდენცია

regiae leges [რე´გიე ლე´გეს „სამეფო კანონები“]
I. → **leges regiae**

regifugium [რეგიფუ´გიუმ „მეფის გაქცევა“]
I. მეფის (ტარკვინიუს ამაყის, რომის უკანასკნელი მეფის) განდევნის დღესასწაული, რომელიც თებერვალში იმართებოდა

regimen morum [რე´გიმენ მო´რუმ „წეს-ჩვეულებათა გამგებელი“]
I. სინ. cura morum

regio, -onis [რე´გიო „მხარე“] რეგიონი
I. რაიონი, ოლქი, მაგ., რომის 4 კვარტალი

regionalis [რეგიონა´ლის „საოლქო, რეგიონალური“] რეგიონალური
I. სამხარეო, რეგიონალური
II. რაიონი, რომელიც შეესაბამება ქვეყნის რამდენიმე ოლქს ან რამდენიმე სახელმწიფოს, რომლებიც გაერთიანებული არიან ეკონომიკური, გეოგრაფიული ან სხვა ნიშნით. „ტურიზმისა და კურორტების დარგის მართვის შუალედური რგოლებია რეგიონალური (სამხარეო) სამმართველოები, რომელთა სტრუქტურა და ფუნქციები განისაზღვრება ამ კანონით, აგრეთვე ტურიზმისა და კურორტე-

ბის მართვის სახელმწიფო ორგანოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით“ (საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ – 1997, მე-5[1](1)-ე მუხლი)

III. „იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველები მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავისი ისტორიულ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს...“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ – 1990)

regiones iuridicorum [რეგიო´ნეს იურიდიკო´რუმ „სასამართლო ოლქები“]
I. სასამართლო ოლქები

registratio (*საშ. ლათ.*) [*რეგისტრა´ტიო/რეგისტრა´ციო „სიის გაკეთება“] რეგისტრაცია
I. რეგისტრაცია
II. კომპეტენტური ორგანოს ან თანამდებობის პირის მოქმედება (აქტი), რომლითაც ხდება პირის, დოკუმენტის და ა.შ. გარკვეული ოფიციალური მდგომარეობის გაფორმება. „ამ კანონის მიზანია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემის ფორმირება“ (საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ – 2011, 1-ლი მუხლი)
III. „დამალვა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებისა, ტყუილი ცნობების მიცემა იმ ორგანოსთვის, რომელიც აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით ერთ წლამდე“ (საქართველოს სსრ სისხლის სამოქალაქო კოდექსი – 1922, თავი I, კარი 2, 99)

registratura (*საშ. ლათ.*) [რეგისტრატუ´რა „სიაში შეტანა“] რეგისტრატურა
III. „საერთო რეგისტრატურა კორესპონდენციების განაწილება და დაგზავნა“ (საქ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის პროექტი, I, გ., 1921 წ., აქტები 1921-1978, I, გვ. 60)

regius [რე´გიუს „სამეფო“]
I. სამეფო

regnum [რე´გნუმ „სამეფო, მმართველობა“]
I. სამეფო ხელისუფლება, როგორც ერთპიროვნული და არაკონტროლირებადი ძალაუფლება

regressus [რეგრე´სსუს „უკუსვლა“] რეგრესი
I. რეგრესი, უკუსვლა

II. ფულადი თანხის (ან სხვა ქონებრივი სიკეთის) უკან მოთხოვნის უფლება, რომელიც კრედიტორმა მესამე პირს მოვალის ბრალით და მის ნაცვლად გადაუხადა. „რეგრესის უფლება ზიანის ანაზღაურებისას“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 704-ე მუხლი)
III. „იმ პირს, რომელმაც სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი აანაზღაურა, აქვს უკუმოთხოვნის (რეგრესიის) უფლება იმ პირისადმი ზიანის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხის ოდენობით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1964, 469-ე მუხლი)

regula [რე´გულა „სახაზავი“, „ნორმა“, „წესი“]
I. ნორმა, წესი
III. „და ჯერეთ ვინადგან არა შემოღებულ არს რეგულისა კანონი ქუჱყანასა ჩუჱნსა, არცა კანონითა მით განწესდებოდა, მით რომე არარაჲმესაგან არარაჲმე წარმოიშვების“ (სამართ. ბატ. დავ. 238)

regula Catoniana [რე´გულა კატონია´ნა „კატონის ნორმა“]
I. კატონის მიერ ჩამოყალიბებული ნორმა, რომლის თანახმადაც, ანდერძის იურიდიული ძალა ისე არის შეფასებული, რომ თითქოს ანდერძის მიმცემი გარდაცვლილიყოს ანდერძის შექმნის პერიოდში

regula iuris [რე´გულა იუ´რის „სამართლის პრინციპი“]
I. მოკლედ ფორმულირებული, ზოგადი, აბსტრაქტული იურ. პრინციპი, კანონის მიერ დადგენილი ან სამართლის მეცნიერების მიერ შემუშავებული, რომელსაც იყენებდა სასამართლო

regulae [რე´გულე „ნორმები“]

I. სინ. **definito**. იურ. ლიტერატურის ნაირსახეობა, მოკლედ ფორმულირებული იურ. დებულებების კრებული

regulae Ulpiani [რე´გულე ულპია´ნი „ულპიანუსის ნორმები“]
I. კლას. შმდ. პერიოდის ამონარიდი კლას. იურისტების ნაწარმოებებიდან, განსაკუთრებით გაიუსის ინსტიტუციებიდან

rehabilitatio [*რეჰაბილიტა´ტიო/რეჰაბილიტა´ციო „ხელახლა ვარგისიანად ცნობა“] რეაბილიტაცია
I. რეაბილიტაცია
II. 1) საქმის ხელახალი განხილვის შედეგად პირის უდანაშაულოდ აღიარება, მისი უფლებებში აღდგენა და მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. „რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით“ (საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ – 1997, მე- 8(3) მუხლი); 2) აღდგენა. „თუ ძეგლის მესაკუთრე (კანონიერი მოსარგებლე) ვერ უზრუნველყოფს სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გაწეული ხარჯების ნებაყოფლობით ანაზღაურებას, ქალაქ თბილისის მერია უფლებამოსილია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ხარჯების ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) მიერ ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს“ (საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ – 21^{5}(7)-ე მუხლი); 3) „რეაბილიტაცია – საპროცესო, ხელმძღვანელობითი

და მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნების კანონით დადგენილი წესითა და პირობებით ეტაპობრივ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად მოვალის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მართვის სისტემის სრულყოფის, მოვალის კომერციული საქმიანობის წარმატებულობისა და მომგებიანობის ზრდის, აგრეთვე სამეურვეო ქონების შესაძლო ოპტიმიზაციის გზით“ (საქართველოს კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ 2007, მე-3(ს) მუხლი); 4) რესოციალიზაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია. „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებულთან ტარდება სარეაბილიტაციო მუშაობა...“ (საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი – 2010, 117(1)-ე მუხლი)

III. „სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს... გ) გარდაცვალებულის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის წარმოება საჭიროა გარდაცვალებულის რეაბილიტაციისათვის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 1960 წლის 30 დეკემბრის კანონი, კარი I, თავი პირველი, მუხლი 5; საქ. კან. გვ. 432)

rei vindicatio [რე´ი *ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო „ნივთის გამოთხოვნა“]
I. მესაკუთრის სამოქ. სარჩელი არამართლზომიერი მფლობელისგან ნივთის გამოთხოვის შესახებ

rei vindicatio utilis [რე´ი *ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო უ´ტილის „სასარგებლო ნივთის გამოთხოვნა“]
I. ეს სარჩელი გამოიყენებოდა ისეთ ნივთებთან დაკავშირებით, რომლებიც არამართლზომიერი მფლობელის მიერ იყო დამზადებული მესაკუთრის მიერ მიბარებული ნივთიდან

reicere [*რეი´კერე/რეი´ცერე „გადაგდება“]
I. დატოვება, უარყოფა

reicere Romam [*რეი´კერე/რეი´ცერე რო´მამ „რომის დატოვება“]
I. სინ. **revocare Romam** – ნაცვალის უფლება დავის გადაგზავნისა პროვინციიდან რომში

reiectio civitatis [*რეიე´კტიო *კივიტა´ტის/რეიე´კციო ცივიტა´ტის „რომის მოქალაქეობაზე უარის თქმა“]
I. რომის მოქალაქეობაზე უარის თქმა

reiectio iudicis [*რეიე´კტიო *იუ´დიკის/რეიე´კციო იუ´დიცის „მოსამართლის მოხსნა“]
I. მოსამართლის აცილება

reiectio militia [*რეიე´კტიო *მილი´ტია/რეიე´კციო მილი´ცია „არმიიდან გაძევება“]
I. არმიიდან გაძევება სასჯელის სახით

relatio [*რელა´ტიო/რელა´ციო „დაბრუნება“] რელაცია

I. შეტყობინება, ანგარიში, კლას. შმდ. სამართალში: პროცესის სახეობა, როცა მოსამართლეს შეეძლო საქმე გადაეცა იმპერატორისათვის გადაწყვეტილების მისაღებად

relatio criminis [*რელა´ტიო/რელა´ციო კრი´მინის „დანაშაულის გადაბრალება“]

I. შემხვედრი ბრალდება

relegare [რელეგა´რე „მოშორება“]
I. გაგზავნა, გაძევება

relegare pecuniam [რელეგა´რე პეკუ´ნიამ „ფულის გადახდა“]
I. სინ. **delegare ab argentario**, ბრძანება ბანკირისათვის, გადაიხადოს ფული მეანაბრის ანგარიშიდან

relegatio [*რელეგა´ტიო/რელეგა´ციო „გაძევება“] რელეგაცია
I. მოქალაქის გაძევება მაგისტრატის ადმინისტრაციული აქტის ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე

relegatio dotis, dos relecta [*რელეგა´ტიო/რელეგა´ციო დო´ტის, დოს რელე´კტა „მზითვის ანდერძით გადაცემა, მზითვის დატოვება“]
I. მოანდერძის მიერ მზითვის ოდენობის ქონების დატოვება ყოფილი მეუღლისთვის, რომლისთვისაც მოანდერძეს უნდა დაებრუნებინა მზითევი განქორწინებისას

religio, -onis [რელი´გიო „კეთილსინდისიერება“] რელიგია
I. კეთილსინდისიერება ვალდებულების შესრულებისას; სიწმინდე (res sacrae); რელიგია
II. საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა – სულიერი წარმოდგენების ერთიანობა, დაფუძნებული ღმერთის ან ღმერთების, ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენაზე. „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, მე-14 მუხლი)
III. „...რელიგიური, ისევე ანტირელიგიური პროპაგანდის თავისუფლება აღიარებულია ყველა მოქალაქისათვის, იმ პირობით კი, რომ ამ პროპაგანდას არ ჰქონდეს არავითარი პოლიტიკური ან სოციალური მიზანი“ (კონსტიტუცია – 1922, თავი I, 11)

relinquere [რელი´ნკვერე „დატოვება“]
I. მიტოვება, უარის თქმა, მაგ., საკუთრების უფლებაზე

reliquum [რელი´კვუმ „დანარჩენი ნაწილი“] რელიკვია
I. სინ. residuum

relocatio [*რელოკა´ტიო/რელოკა´ციო „ხელახალი იჯარა“] რელოკაცია
I. ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების განახლება
II., III. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება, რომელიც გულისხმობს მის სხვა სახელმწიფოში გაყვანას. „პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების მიმართ იყენებს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებია: ... ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია)“ (საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 2009, 68(3)(ე)-ე მუხლი)

relocatio tacita [*რელოკა´ტიო *ტა´კიტა/რელოკა´ციო ტა´ციტა „უსიტყვოდ განახლებული იჯარა“]
I. დუმილით ქირავნობის ხელშეკრულების განახლება

remancipatio [*რემანკიპა´ტიო/რემანციპა´ციო „ხელახალი მანციპაცია“] რემანციპაცია
I. განმეორებითი მანციპაცია, რომლის დროსაც პირი, რომელმაც მანციპაციის გზით გაასხვისა ნივთი, მანციპაციის გზით უკან იბრუნებს მას ან რომლის დროსაც პირი, რომელმაც მანციპაციის გზით შეიძინა ნივთი, ასხვისებს მას მესამე პირზე

remissio condicionis [რემი´სსიო *კონდიკიო´ნის/კონდიციო´ნის „პირობის გაუქმება“]
I. საანდერძო დანაკისრის გაუქმება

remissio mercedis [რემი´სსიო *მერკე´დის/მერცე´დის „ქირის დაკლება“]
I. ქირის გადასახადზე ფასის დაკლება

remissio operis novi nuntiationis [რემი´სსიო ო´პერის ნო´ვი *ნუნტიატიო´ნის/ნუნციაციო´ნის „შეწყვეტა ახალი საქმის წამოწყებისა“]
I. უძრავი ქონების მესაკუთრის პროტესტი მშენებლობაზე, რომელიც მიმდინარეობდა მეზობელი მიწის ნაკვეთზე, თუ ეს მშენებლობა ხელს უშლიდა პირს საკუთარი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში

remissio pignoris [რემი´სსიო პი´გნორის „გირაოს გაუქმება“]
I. უარი გირავნობის უფლებაზე

remissio servitutis [რემი´სსიო სერვიტუ´ტის „მონობისგან გათავისუფლება“]
I. → remissio pignoris

remittens, -ntis [რემი´ტტენს „გამგზავნი“] რემიტენტი
I. ამანაზღაურებელი, დამთმობი
II., III. პირი, რომლის სასარგებლოდაც საკრედიტო დაწესებულებაში არის გახსნილი აკრედიტივი ან გამოწერილია გადმოპირებული თამასუქი. „აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 876(1)-ე მუხლი)

remittere [რემი´ტტერე „დაბრუნება“]
I. პატიება, მიტევება, უარის თქმა

remittere actionem [რემი´ტტერე *აკტიო´ნემ/აკციო´ნემ „სარჩელის მიტოვება“]
I. უარის თქმა სარჩელზე

remittere debitum [რემი´ტტერე დე´ბიტუმ „ვალის პატიება“]
I. ვალისგან გათავისუფლება

remittere nuntium [რემი´ტტერე *ნუ´ნტიუმ/ნუ´ნციუმ „უწყებაზე უარი, უწყებისგან გათავისუფლება“]
I. → nuntius

remittere poenam [რემი´ტტერე პე´ნამ „დანაშაულის პატიება“]
I. დანაშაულის პატიება

remotio suspecti tutoris [*რემო´ტიო/რემო´ციო სუსპე´კტი ტუტო´რის „მეურვეობის უფლების ჩამორთმევა“]
I. მეურვეობის უფლების ჩამორთმევა

removere [რემო´ვერე „მოშორება“]
I. თანამდებობის ჩამორთმევა, წოდების ჩამორთმევა

removere senatu [რემო´ვერე სენა´ტუ „სენატიდან გარიცხვა“]
I. სენატიდან გარიცხვა

renuntiatio [*რენუნტია´ტიო/რენუნცია´ციო „შეტყობინება“]
I. 1. მაგისტრატის მიერ კენჭისყრის შედეგების გამოცხადება სახალხო შეკრებაზე, კერძოდ, კანონ-პროექტის შესახებ; 2. სამხედრო ღალატი, მტრისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება; 3. ცალმხრივი უარი, გაუქმება 4. უარის თქმა (მაგ. სამკვიდროდან წილის მოთხოვნაზე)

renuntiatio amicitiae [*რენუნტია´ტიო/რენუნცია´ციო *ამიკი´ტიე/ამიცი´ციე „მეგობრობის გაწყვეტა“]
I. მეგობრული კავშირის გაწყვეტა პიროვნებასთან, რომელმაც შეურაცხყო პრინცეპსი

reparatio [*რეპარა´ტიო/რეპარა´ციო „აღდგენა, ხელახლა შეძენა“] რეპარაცია
I. კლას. შმდ. წარმოებაში გაშვებული ვადის აღდგენა

repatriatio (*საშ. ლათ.*) [*რეპატრია´ტიო/რეპატრია´ციო „სამშობლოში დაბრუნება“] რეპატრიაცია
II. პირის დაბრუნება ისტორიულ სამშობლოში, სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის ეს პირი ან სადაც მას აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი. „უცხოელ ინვესტორს, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, აქვს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საქართველოს საბანკო დაწესებულებაში საბაზრო კურსით კონვერსიისა და საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება“ (საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ – 1996, მე-3(6) მუხლი)
III. „სამხედრო ტყვეების ან სამოქალაქო პირების რეპატრიაციის უსაფუძვლო შეფერხება“ (საქ. სისხლ. სამ. კოდ. – 1999; 2012 მდგ., კარი მეთოთხმეტე, თავი XLVII, მუხლი 411, თ. (14.08.2005 2980))

repertorium [რეპერტო´რიუმ „ჩამონათვალი“]
I. ჩამონათვალი, ქონების ნუსხა

repetere [რეპე´ტერე „დაბრუნების მოთხოვნა“]

I. დაბრუნების მოთხოვნა, მაგ., არამართებულად გადახდილი თანხის

repetere accusationem, repetere reum [რეპე´ტერე *აკკუსატიო´ნემ/აკკუზაციო´ნემ, რეპე´ტერე რეუმ „ბრალდების განახლება“]
I. იმავე დანაშაულში ბრალდების განახლება (მოსამართლის ან პირველი მოსარჩელის სიკვდილის შემთხვევაში)

repetere actionem [რეპე´ტერე *აკტიო´ნემ/აკციო´ნემ „ხელახლა სარჩელის აღძვრა“]
I. სარჩელის ხელახალი წარდგენა, იმავე სამოქ. საქმეში, ნებადართული იყო მხოლოდ ლიტისკონტესტაციამდე

repetitio [*რეპეტი´ტიო/რეპეტი´ციო „განმეორება“] რეპეტიცია
I. საპასუხო მოთხოვნა

repetitio rerum [*რეპეტი´ტიო/რეპეტი´ციო რე´რუმ „საქმეთა გამოსწორება“]
I. დაშვებული უსამართლობის გამოსწორება

repetundae [რეპეტუ´ნდე „გამომძალველობა“]
I. გამოძალვა თანამდებობრივი ძალაუფლების გამოყენებით (ნივთების ან ფულის არაკანონიერი მითვისება) ნაცვალის მიერ პროვინციის მოსახლეობისგან, მოგვიანებით ქრთამის მიღება ნებისმიერი თანამდებობის პირის მიერ

replicatio [*რეპლიკა´ტიო/რეპლიკა´ციო „საპასუხო შედავება“] რეპლიკაცია
I. მოსარჩელის შეპასუხება მოპასუხის შესაგებელზე/შეგებებულ სარჩელზე
II. შეპასუხება სასამართლო პროცესზე. „...უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნით მოპასუხეს და მის წარმომადგენელს“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – 1997, 228(1)-ე მუხლი)
III. „უკანასკნელი რეპლიკის უფლება ყოველთვის ეკუთვნის მოპასუხესა და მის წარმომადგენელს“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1964, 193-ე მუხლი)

repraesentare [*რეპრესენტა´რე/რეპრეზენტა´რე „წარმოდგენა, შესრულება“] რეპრეზენტირება, რეპრეზენტაცია
I. ვადაზე ადრე ვალდებულების შესრულება; სარგებელი, რომელსაც იღებს კრედიტორი ვალის ვადამდელი გადახდის შემთხვევაში, იწოდება commodum repraesentationis-ად

repressaliae [რეპრესსა´ლიე „შეზღუდვები“] რეპრესალიები
I. რეპრესალიები
II., III. ერთი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის დროებითი განზრახ დარღვევა მეორე სახელმწიფოს მსგავსი სიმძიმის სამართალდარღვევის საპასუხოდ ამ სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით. „რეპრესალიების აკრძალვა“ (ჟენევის კონვენცია მოქმედ ჯარში დაჭრილთა და ავადმყოფთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ – 1949, 46-ე მუხლი)

repressio [რეპრე´სსიო „დათრგუნვა, ჩახშობა“] რეპრესია
I. რეპრესია
II. სადამსჯელო ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ. „საქართველოს კანონი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრე-

სიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ (1997)
III. „სასამართლო რეპრესიის ღონისძიებად რკინისგზის და წყლის ტრანსპორტზე ტვირთის მტაცებლობისათვის შეეფარდოს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – 1928, დამატებანი, სსრკ ტყისა და სახკომსაბჭოს 1932 წ. 7 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ, I, 2, გვ. 226)

repromissio [რეპრომი´სსიო „ურთიერთდაპირება“]
I. უკვე არსებულ ვალდებულებასთან დაკავშირებით სტიპულაციური თავდებობა

repromissio secundum mancipium [რეპრომი´სსიო სეკუ´ნდუმ *მანკი´პიუმ/მანცი´პიუმ „თავდებობა ხელახალ მანციპაციაზე“]
I. გამყიდველის თავდებობა ნივთის ევიქციასთან დაკავშირებით

repudiare [რეპუდია´რე „უარყოფა“]
I. უარყოფა, უარის თქმა

repudiatio hereditatis [*რეპუდია´ტიო/რეპუდია´ციო ჰერედიტა´ტის „მემკვიდრეობაზე უარის თქმა“]
I. მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე უარის თქმა

repudiatio legati [*რეპუდია´ტიო/რეპუდია´ციო ლეგა´ტი „ლეგატზე უარის თქმა“]
I. ლეგატზე უარის თქმა

repudium [რეპუ´დიუმ „გაგდება“]
I. ნიშნობის ცალმხრივი გაუქმება

repudium ex iusta causa [რეპუ´დიუმ ექს იუ´სტა *კაუ´სა/კაუ´ზა „ნიშნობის სამართლიანად გაუქმება“]
I. ნიშნობის ცალმხრივი გაუქმება, რომლის შედეგადაც მხარე, რომლის მიზეზითაც მოხდა ნიშნობის გაუქმება, ვალდებული იყო, დაებრუნებინა მეორე მხარისთვის ის მატერიალური სიკეთე, რაც მან ნიშნობის შედეგად მიიღო

reputatio [*რეპუტა´ტიო/რეპუტა´ციო „განსჯა, გათვლა“] რეპუტაცია
I. გამოთვლა, კალკულაცია; usurae reputatio შემოსავლის გამოთვლა
II., III. საქმიანი რეპუტაცია – სამოქალაქო სამართლით დაცული ერთ-ერთი არამატერიალური სიკეთე და წარმოადგენს პირის საქმიანი თვისებების შეფასებას. „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, მე-18(2) მუხლი)

requisitio [*რეკვისი´ტიო/რეკვიზი´ციო „მოკვლევა“] რეკვიზიცია
I. ძებნა; მიმალული მსჯავრდებულის ქონება გადაეცემოდა სახელმწიფოს
II. საკუთრების უფლების შეწყვეტის საფუძველი, რომელიც გულისხმობს საგანგებო გარემოებების არსებობისას შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ ნივთზე საკუთრების უფლების ჩამორთმევას. „იარაღის მესაკუთრეს უფლება აქვს: ... ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენ-

საცია იარაღის რეკვიზიციის ან ჩაბარების შემთხვევაში“ (საქართველოს კანონი იარაღის შესახებ – 2003, 31(1)(ბ)-ე მუხლი)
III. „წითელარმიელების ქონება თავისუფალია ყოველგვარ რეკვიზიციის და კონფისკაციისაგან“ (დეკრეტი 41, 10 ივნისი 1921, 5, აქტები 1921-1978, I. გვ. 53)

requisitum [*რეკვისი´ტუმ/რეკვიზი´ტუმ „საჭირო, აუცილებელი“] რეკვიზიტი
I. რეკვიზიტი
II. დოკუმენტის, ფასიანი ქაღალდის და ა.შ. აუცილებელი მონაცემი. „გადასაპირებელი თამასუქის რეკვიზიტი“ (საქართველოს კანონი თამასუქის შესახებ – 1995, 1-ლი მუხლი)
III. „საჭიროა აგრეთვე შემოწმდეს, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება პირადი საკუთრების ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობაში გაცემის ტიპობრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ რეკვიზიტს“ („ინსტრუქცია სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 9 აგვისტოს 562 დადგენილებით, კარი III, თავი პირველი, 44; საქ. კან. გვ. 237)

res [რეს „საქმე, ნივთი“]
I. 1. ცალკეული, იურ.-ად დამოუკიდებელი მატერიალური ნივთი მკაფიო სივრცული საზღვრებით; 2. კერძო სამართლისა და სამოქალაქო პროცესის ნებისმიერი ობიექტი

res aestimata in dotem data [რეს ესტიმა´ტა ინ დო´ტემ და´ტა „მზითვში მიცემული ნივთების შეფასება“]
I. მზითვში მიცემული ნივთების შეფასება, მათი ღირებულების დადგენა

res amotae [რეს ამო´ტე „გასხვისებული ნივთები“]
I. გასხვისებული ნივთები

res capitalis [რეს კაპიტა´ლის „ძირითადი ნივთი“]
I. → causa capitalis

res communes [რეს კომმუ´ნეს „საერთო ნივთები“]
I. საერთო საკუთრებაში არსებული ნივთები

res communes omnium [რეს კომმუ´ნეს ო´მნიუმ „ყველას საერთო კუთვნილება“]
I. ობიექტები, რომლებიც ეკუთვნის ყველას. მარციანუსის თანახმად, ჰაერი, წვიმის, მდინარის წყალი და ა.შ.

res corporales [რეს კორპორა´ლეს „მატერიალური, ფიზიკური ნივთები“]
I. მატერიალური ნივთები, რომლებიც წარმოადგენენ საკუთრების ფორმას

res cottidianae [რეს კოტტიდია´ნე „ყოველდღიური სამართალწარმოება“]
I. ნაწარმოების სახელწოდება, რომელიც მიეწერება გაიუსს

res creditae [რეს კრედი´ტე „ვალად მიცემული ნივთები“]
I. გასესხებული, შესანახად მიბარებული ნივთები

res derelictae [რეს დერელი´კტე „გადაგდებული ნივთები“]
I. მფლობელის მიერ მიტოვებული ნივთები

res divini iuris [რეს დივი´ნი იუ´რის „საღვთო სამართლის ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც ითვლებოდა ღმერთების საკუთრებად. ეს ნივთები იყოფოდა: r. religiosae, r. sacrae და r. sanctae-დ

res dubiae [რეს დუ´ბიე „სადავო საგნები“]
I. სადავო იურ. საკითხები, რომლებიც გამომდინარეობდა ორაზროვანი დებულებებიდან, მაგ., ანდერძის ორაზროვანი დებულებებიდან

res extra commercium [რეს ე´ქსტრა *კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ „არაკომერციული საგნები“]
I. ობიექტები, რომლებიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო კერძო პირებს შორის გარიგების საგანი

res extra dotem [რეს ე´ქსტრა დო´ტემ „საგნები, რომლებიც მზითვს არ განეკუთვნებიან“]
I. სინ. parapherna

res extra patrimonium [რეს ე´ქსტრა პატრიმო´ნიუმ „საკუთრებაში არმყოფი ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენენ ვინმეს საკუთრებას. ამას მიეკუთვნება: r. derelictae, r. nullius და r. extra commercium

res fungibiles [რეს ფუნგი´ბილეს „ჩანაცვლებადი ნივთები“]
I. ჩანაცვლებადი ნივთები

res furtivae [რეს ფურტი´ვე „მოპარული ნივთები“]
I. მოპარული ნივთები, სინ. r. subreptae

res gestae divi Augusti [რეს გე´სტე დი´ვი ა´ვგუსტი „ღვთაებრივი ავგუსტუსის საქმენი“]
I. პოლიტ.-პროპაგანდული ხასიათის ავტობიოგრაფია, რომელიც დაწერა ავგუსტუსმა სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში

res habiles [რეს ჰა´ბილეს „გამოსადეგი ნივთები“]
I. ხანდაზმულობით შეძენისათვის გამოსადეგი ნივთები

res hostiles [რეს ჰოსტი´ლეს „მტრის ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც ეკუთვნის სამხედრო მოწინააღმდეგეს

res humani iuris [რეს ჰუმა´ნის იუ´რის „ადამიანური სამართლის ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენენ r. divini iuris

res immobiles [რეს იმმო´ბილეს „უძრავი ნივთები“]
I. სინ. r. soli, უძრავი ქონება, ანუ მიწის ნაკვეთი (fundus) ან შენობა (aedes)

res in commercio [რეს ინ *კომმე´რკიო/კომმე´რციო „სავაჭროდ განკუთვნილი ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც არ იყო ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან და რომლებიც შეიძლება ყოფილიყო გარიგების საგანი

res in iudicium deducta [რეს ინ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ დედუ´კტა „სასამართლო დავისთვის გადაცემული ნივთები“]
I. სასამართლო დავა, როდესაც ლიტისკონტესტაციის მერე შედის ახალ ფაზაში და ქმნის მხარეთა შორის ახალ სამართლებრივ ურთიერთობას iudicium-ს

res in patrimonio [რეს ინ პატრიმო´ნიო „საკუთრებაში არსებული ნივთები“]
I. საკუთრებაში არსებული ნივთები, r. extra patrimonium-ისგან განსხვავებით

res in usu publico [რეს ინ *უ´სუ/უ´ზუ პუ´ბლიკო „საჯარო სარგებლობის ნივთები“]
I. საჯარო სარგებლობის ნივთები: ქუჩები, მოედნები, პორტები, მდინარეები, ხიდები, წყალგაყვანილობა, თეატრები

res incorporales [რეს ინკორპორა´ლეს „არამატერიალური ნივთები, საგნები“]
I. არამატერიალური სიკეთეები. უფლებები და იურ. სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ იურ. ქმედების საგნებს (საკუთრების უფლების გამოკლებით)

res inventae in litore maris [რეს ინვე´ნტე ინ ლი´ტორე მა´რის „ზღვის ნაპირზე ნაპოვნი ნივთები“]
I. ზღვის ნაპირზე ნაპოვნი ნივთები, ძვირფასი ქვები, მარგალიტი...

res iudicata [რეს იუდიკა´ტა „სასამართლო გადაწყვეტილება“]
I. სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივი შინაარსი, რომელიც ქმნის ახალ იურ. სიტუაციას

res litigiosa [რეს *ლიტიგიო´სა/ლიტიგიო´ზა „სადავო ნივთები“]
I. დავის საგანი, რომელთან დაკავშირებითაც იკრძალებოდა იურ. ქმედების განხორციელება

res lucrativae [რეს ლუკრატი´ვე „სარგებლის მომტანი ნივთები, გარემოებები“]
I. რასაც მოაქვს სარგებელი, შემოსავალი

res mancipi [რეს *მა´ნკიპი/მა´ნციპი „მანციპაციით გასხვისებული ნივთები“]
I. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქონება, ძირითადი საშუალება წარმოებისა ადრეული ხანის რომ.-ის მეურნეობაში, ანუ იტალიკური მიწის ნაკვეთები და შენობები, მუშა საქონელი და სოფლის სერვიტუტები

res militaris [რეს მილიტა´რის „სამხედრო საქმე“]
I. სამხედრო საქმე, განსაკუთრებით სამხედრო სამართალი, რომელსაც უძღვნეს ნაშრომები: არიუსმა, მაკერმა, პავლუსმა, ტარუნტეიუსმა

res mobiles [რეს მო´ბილეს „მოძრავი ნივთები“]
I. მოძრავი ნივთები

res nec mancipi [რეს ნეკ *მა´ნკიპი/მა´ნციპი „ნივთები, რომლის მანციპაციაც შეუძლებელია“]
I. ნივთები, რომლის მანციპაციაც შეუძლებელია

res novae [რეს ნო´ვე „ახალი საქმეები“]
I. სიახლე, გადატრიალება

res nullius [რეს ნულლი´უს „ნივთები, რომლებიც არავის ეკუთვნიან“]
I. ნივთები, რომლებიც არავის არ ეკუთვნოდა. r. n.-ს მიეკუთვნებოდა: r. derelictae და r. hostiles, ხანდახან r. communes omnium-იც
III. „...ამიერ-კავკასია res nullius-ს არაფრით არ ემსგავსებოდა“ (აქტი 1918, დამატება II, V)

res (per) se moventes [რეს (პერ) სე მოვე´ნტეს „თვითმოძრავნი“]

I. მონები და ცხოველები

res populi Romani [რეს პო´პული რომა´ნი „რომაელი ხალხის საქმე“]
I. → res publica

res privata Caesaris (principis), ratio privata [რეს პრივა´ტა *კე´სარის/ცე´ზარის (*პრი´ნკიპის/პრი´ნციპის), *რა´ტიო/რა´ციო პრივა´ტა „კეისრის (პრინცეპსის) პირადი საქმე, პირადი საკუთრება“]
I. მმართველი იმპერატორის პირადი საკუთრება, patrimonium Caesaris-გან განსხვავებით

res privatae [რეს პრივა´ტე „კერძო ნივთები“]
I. ნივთები, რომლებიც ცალკეულ პირებს ეკუთვნოდა

res publica [რეს პუ´ბლიკა „საჯარო საქმე“] რესპუბლიკა
I. ანუ **res populi**, რომ.-ის სახელმწიფო, როგორც რომ. ხალხის პოლიტ. და იურ. ორგანიზაცია, მისი უფლებების და ვალდებულებების ერთიანობა
II. სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების ყველა უმაღლესი ორგანო ან არჩევნების გზით ან საერთო ეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის) მიერ ფორმირდება. „საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 1(2)-ლი მუხლი)
III. „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“ (აქტი 1918, 2)

res publicae [რეს პუ´ბლიკე „საჯარო ნივთები“]
I. სახელმწიფო საკუთრება, რომელსაც ჰქონდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა

res quae pondere numero mensurave consistunt [რეს კვე პო´ნდერე ნუ´მერო *მენსურა´ვე/მენზურა´ვე კონსი´სტუნტ „ნივთები, რომლებიც განისაზღვრება წონით, რაოდენობით, ზომით“]
I. ნივთები, რომლებიც განისაზღვრება წონით, რაოდენობით, ზომით, მაგ., ღვინო, მარცვლეული, ზეთი

res quae (primo) usu consumuntur [რეს კვე (პრი´მო) *უ´სუ/უ´ზუ კონსუმუ´ნტურ „ნივთები, რომლებიც ნადგურდება პირველი გამოყენებისთანავე“]

I. ნივთები, რომლებიც ქრება პირველივე გამოყენებისთანავე, მაგ., სურსათი, საწვავი, ასევე – ფული

res quae usu minuuntur [რეს კვე *უ´სუ/უ´ზუ მინუუ´ნტურ „ნივთები, რომლებიც გამოყენებისას ცვდება“]
I. ნივთები, რომლებიც გამოყენებისას ცვდება, მაგ. სამოსი

res quarum commercium est, res in commercio [რეს კვა´რუმ *კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ, რეს ინ *კომმე´რკიო/კომმე´რციო „სავაჭრო მიმოქცევაში არსებული ნივთები“]
I. სამოქალაქო ბრუნვაში არსებული ნივთები

res quarum commercium non est [რეს კვა´რუმ *კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ ნონ ესტ „ნივთები, რომლებიც ვაჭრობისათვის არ არის განკუთვნილი“]
I. ნივთები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვისთვის არ იყო განკუთვნილი

res religiosae [რეს *რელიგიო´სე/რელიგიო´ზე „წმინდა ნივთები“]
I. მიწისქვეშა სამყაროს ღმერთებისადმი მიძღვნილი ნივთები, განსაკუთრებით, აკლდამები და სამარხები

res sacrae [რეს სა´კრე „წმინდა ნივთები“]
I. ციური ღვთაებებისადმი მიძღვნილი ნივთები, კერძოდ: ტაძრები, ჭალები, საკურთხევლები, ქანდაკებები, საკულტო ნივთები

res sanctae [რეს სა´ნკტე „წმინდა, ხელშეუხებელი ნივთები“]
I. წმინდა, ხელშეუხებელი საგნები, sanctio-ს შემდეგ იმყოფება ღვთაების დაცვის ქვეშ: ძირითადად ასეთია: ქალაქის კედლები და ჭიშკარი, მიჯნა

res soli [რეს სო´ლი „მიწის კუთვნილება“]
I. → res immobiles

res sua [რეს სუ´ა „საკუთარი საქმე“]
I. შეზღუდვები, რომლებიც უწესდებოდა ცალკეულ პირებს პირად საქმეებში

res subreptae [რეს სუბრე´პტე „მიტაცებული ნივთები“]
I. მიტაცებული ნივთები, სინ. **res furtivae**

res suspensae [რეს *სუსპე´ნსე/სუსპე´ნზე „ჰაერში მყოფი ნივთები“]
I. → suspendere

res turpis, causa turpis [რეს ტუ´რპის, *კაუ´სა/კაუ´ზა ტურპის „სამარცხვინო სარჩელი“]
I. → condictio ob turpem causam

res uxoria [რეს უქსო´რია „ცოლის ნივთები, ქონება“]
I. მზითვი, სინ. dos

res vi possessae [რეს ვი პოსსე´სსე „ძალით წართმეული ნივთები“]
I. მფლობელისათვის ძალით წართმეული ნივთები, რომელიც არ ექვემდებარებოდა ხანდაზმულობით შეძენას

resarcire [*რესარკი´რე/რესარცი´რე „გამოსწორება, შესწორება“]
I. სინ. sarcire (damnum)

rescindere [*რესკი´ნდერე/რესცი´ნდერე „დანგრევა, განადგურება“]
I. გაუქმება. iudicium rescindens-ის განაჩენის გაუქმება

rescriptum; rescripta principum [რესკრი´პტუმ „საპასუხო წერილი, პასუხი“; რესკრი´პტა *პრი´ნკიპუმ/პრი´ნციპუმ „პრინცეპსთა რესკრიპტები“] რესკრიპტი
I. იმპერატორის ან პროვინციის ნაცვალის საპასუხო წერილი სადავო საკითხზე კერძო პირისადმი ან ქვეშევრდომისადმი

rescriptum Commodi de saltu Burunitano (180-183) [რესკრი´პტუმ კომმო´დი დე სა´ლტუ ბურუნიტა´ნო „კომოდუსის რესკრიპტი ბურუნიტანული შევიწროების შესახებ“]
I. რესკრიპტი, რომელიც მიმართული იყო იმპერატორის პროკურატორების მიერ კოლონისტების შევიწროების წინააღმდეგ

rescriptum divi Marci [რესკრი´პტუმ დი´ვი *მა´რკი/მა´რცი „ღვთაებრივი მარკუსის რესკრიპტი“]

I. → compensatio

rescriptum divi Pii [რესკრი´პტუმ დი´ვი პი´ი „ღვთაებრივი პიუსის რესკრიპტი“]
I. → tutela impuberum

rescriptum Domitiani (93-94) [რესკრი´პტუმ *დომიტია´ნი/დომიცია´ნი „დომიციანუსის რესკრიპტი“]
I. რესკრიპტი ექიმის მიერ საკუთარი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ

rescriptum Severi et Caracallae [რესკრი´პტუმ სევე´რი ეტ კარაკა´ლლე „სეველუსის და კარაკალას რესკრიპტი“]
I. პროვინციის მიწის ნაკვეთების მეპატრონეების სასარგებლოდ. კლას.-ის შმდ. პერიოდში **r.**-ს საფუძველზე წარმოიშვა წარმოების ახალი სახეობა ე. წ. რესკრიპტული პროცესი: ვიდრე მხარე კამათს დაიწყებდა, იმპერატორს მიმართავდა პირადი თხოვნით, გამოეთქვა აზრი საკამათო საკითხზე

reservare [*რესერვა´რე/რეზერვა´რე „შენახვა, დატოვება“] რეზერვირება
I. შენახვა, დატოვება

reservatio (*საშ. ლათ.*) [*რესერვა´ტიო/რეზერვა´ციო „შენახული“] რეზერვაცია
I. შენახვა

reservatio mentalis [*რესერვა´ტიო/რეზერვა´ციო მენტა´ლის „მენტალური რეზერვაცია“]
I. შენიღბული შენიშვნა, გამოთქმული ფორმალურად უხარვეზო იურიდ. ქმედების შემდეგ, მიზნად ისახავდა, გამოერიცხა პირველად გამოთქმულის შედეგები, მას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ქმედების იურიდ. ძალაზე

residens, -ntis [*რესი´დენს/რეზი´დენს „ადგილზე მჯომი, ადგილზე მყოფი“] რეზიდენტი
I. მჯდომი, წარმმართველი
II. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შესაბამის სახელმწიფოში აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი. „...პალატა წარმოადგენს რეზიდენტი ბიზნესსუბიექტების ინტერესებს ქვეყანაში და ქვეყნის ფარგლების გარეთ...“ (საქართველოს კანონი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის შესახებ – 2012, 1(2)-ლი მუხლი)
III. „რათა ადვილად აქუნდესმცა ყოველივე იგი საჭიროჲ მიწერ-მოწერაჲ და თანჴმობაჲ რუსეთისა საიმპერატოროჲსა კარისა თანა, ჰსურს ამისთჳს უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყუესმცა წინაშე კარისა მის მისა მინისტრი, ანუ რეზიდენტი“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ [1783 წ.], ქსძ, II, გვ. 466)

residentio [(*საშ. ლათ.*)*რესიდე´ნტიო/რეზიდე´ნციო „ადგილსამყოფელი“] რეზიდენცია
I. რეზიდენცია
II. 1) სახელმწიფოს, მთავრობის, დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირების ადგილსამყოფელი. „საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება: ა) საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე“ (საქართველოს ორგანული კანონი სა-

ქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ – 2004, მე-3(1)(ა) მუხლი); 2) იურიდიული პირის მუდმივი ადგილსამყოფელი, სადაც ხორციელდება მისი ძირითადი საქმიანობა. „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“ (საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ – 1998, მე-8 მუხლი)

III. „საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დროშა შეიძლება აღიმართოს და სახელმწიფო გერბი დამაგრდეს შენობაზე, რომელიც უკავია საკონსულო დაწესებულებას, მეთაურის რეზიდენციაზე და მისი მიმოსვლის საშუალებებზე, როდესაც ეს დაკავშირებულია მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან“ (საქართველოს კანონი საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ – 1994, მე-11 მუხლი)

residuum [*რესი´დუუმ/რეზი´დუუმ „ნარჩენი“]

I. ვალდებულების ნაწილი, რომელიც შეუსრულებელი დარჩა დაგირავებული, იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხის არასაკმარისობის გამო

resignare [რესიგნა´რე „ბეჭდის ახსნა, გახსნა“] რესიგნირება

I. გახსნა, კერძოდ, ანდერძის

resolutio [*რესოლუ´ტიო/რეზოლუ´ციო „შესუსტება, გაუქმება“] რეზოლუცია

I. ანულირება, გაუქმება

II. 1) აქტის ერთ-ერთი სახეობა. „პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი, რეგლამენტი, დადგენილება, რეზოლუცია, დეკლარაცია, მიმართვა, განცხადება და სხვა გადაწყვეტილება, მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, 1(6)-ლი მუხლი); 2) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებული აქტი. „ტერორიზმთან დაკავშირებული პირის ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებით განსაზღვრული პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების აღსრულება“ (საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ – 1999, 91^{1}-ე მუხლი)

III. „უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმე მას არ ექვემდებარება, იგი შემოტანილ განცხადებას სარჩელის შესახებ დანართებით და რეზოლუციის ასლით დააბრუნებს სათანადო სასამართლოს წარსადგენად“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი – 1924; ნაწილი პირველი, თავი III, 32)

respectus parentelae [რესპე´კტუს პარენტე´ლე „ნათესავობის პატივისცემა“]

I. იუსტ.-ის სამ.-ში ორ პიროვნებას შორის ქორწინების შემაფერხებელი გარემოება; ერთი პირდაპირ უკავშირდებოდა ნათესაურ კავშირს, ხოლო მეორე – არაპირდაპირ

respondere [რესპონდე´რე „პასუხის გაცემა“]

I. პასუხი

respondere iure [რესპონდე´რე იუ´რე „იურიდიული დასკვნის მიცემა“]

I. კვალიფიციური იურ. დასკვნის მიცემა

responsa [რესპო´ნსა „პასუხები“]
I. იურ. შრომის დასახელება, რომელიც აერთიანებდა იურისტების დასკვნებს ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით

responsa pontificum [რესპო´ნსა პონტი´ფიკუმ „პონტიფიკების პასუხები“]
I. პონტიფიკების მიერ საკრალური სამართლის საკითხებზე გაკეთებული განმარტებები

responsa prudentium [რესპო´ნსა *პრუდე´ნტიუმ/პრუდე´ნციუმ „იურისტთა დასკვნები“]
I. იურისტების დასკვნები, რომლებიც ეხებოდა ყოველგვარ იურ. საკითხებს

responsio [რესპო´ნსიო „პასუხი“]
I. მხარის პასუხი გარიგების დადებისას (stipulatio) ან პროცესის დროს (contradictio; interrogatio in iure)

responsum Celsinum [რესპო´ნსუმ *კე´ლსინუმ/ცე´ლსინუმ „ცელსიუსის პასუხი“]
I. იურისტის მკვახე პასუხის მაგალითი

restipulatio [*რესტუპულა´ტიო/რესტიპულა´ციო „სანაცვლო საპროცესო შეპირება“] რესტიპულაცია
I. სანაცვლო საპროცესო შეპირება

restituere [რესტიტუ´ერე „ხელახლა დაყენება, წესრიგში მოყვანა“]
I. ანაზღაურება, აღდგენა, დაბრუნება, გაცემა

restituere hereditatem [რესტიტუ´ერე ჰერედიტა´ტემ „მემკვიდრეობის აღდგენა“]
I. ფიდეიკომისრისთვის მემკვიდრეობის დაბრუნება

restituere tutelam [რესტიტუ´ერე ტუტე´ლამ „გაუქმება მეურვეობის“]
I. მეურვეობაზე უარის თქმა

restitutio [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო „ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა“] რესტიტუცია
I. სასამართლო გადაწყვეტილების, განაჩენის გაუქმება
II., III. 1) სამოქალაქო სამართალში გარიგების ბათილად ცნობის ან გარიგებიდან გასვლის დროს მხარეების მიერ ერთმანეთისთვის იმის დაბრუნება, რაც მათ ამ გარიგების შედეგად მიიღეს. „ორმხრივი რესტიტუცია ვალდებულების შეუსრულებლობისას“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 508-ე მუხლი); 2) „რესტიტუციის პრინციპი“ – საქმიანობის განხორციელების შედეგად დეგრადირებული გარემო აღდგენილი უნდა იყოს პირვანდელ (რესტიტუტიო ინ ინტეგრუმ) მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სახით“ (საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ – 1996, მე-5(2)(ი) მუხლი); 3) „ქონებრივი რესტიტუცია – კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული საცხოვრებლის ან სხვა უძრავი ქონების კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება“ (საქართველოს კანონი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ – 2006, მე-2(მ) მუხლი)

restitutio in integrum [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ „თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა“]

I. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. პრეტორის მიერ გამოყენებული უკიდურესი ზომა, რომელსაც ის იყენებდა საპატიო მიზეზების არსებობისას სამოქალაქო გარიგების შედეგად მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად

restitutio in integrum propter (ob) absentiam [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) *აბსე´ნტიამ/აბსე´ნციამ „ადგილზე არყოფნის გამო ზიანმიყენებულის უფლების აღდგენა“]
I. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც საპატიო მიზეზის გამო საცხოვრებელ ადგილას არყოფნის გამო მიადგა გარკვეული ზიანი, მაგ., თუ მისი არყოფნის დროს მის წინააღმდეგ გამოტანილი იყო სასამართლო გადაწყვეტილება

restitutio in integrum propter (ob) capitis deminutionem [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) კა´პიტის *დემინუტიო´ნემ/დემინუციო´ნემ „თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა პირის (უფლებების) შემცირების გამო“]
I. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა კრედიტორის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალე კარგავდა სამოქალაქო ქმედუნარიანობას

restitutio in integrum propter (ob) dolum [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) დო´ლუმ „უფლების აღდგენა ცბიერებით მიყენებული ზიანისათვის“]
I. მოტყუებით დადებულ გარიგებამდე არსებული იურიდიული მდგომარეობის აღდგენა

restitutio in integrum propter (ob) errorem [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) ერრო´რემ „შეცდომის გამო ზიანმიყენებულის უფლების აღდგენა“]
I. საპატიო შეცდომით დადებულ გარიგებამდე არსებული იურ. მდგომარეობის აღდგენა

restitutio in integrum propter (ob) metum [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) მე´ტუმ „დაშინების გამო ზიანმიყენებულის უფლების აღდგენა“]
I. იძულებით დადებულ გარიგებამდე არსებული იურიდიული მდგომარეობის აღდგენა

restitutio indulgentia principis [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო *ინდულგე´ნტია/ინდულგე´ნცია *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის „პრინცეპსის შეწყალების საფუძველზე უფლების აღდგენა“]
I. იმპერატორის მიერ იმ პირის შეწყალება, რომელიც მსჯავრდებული იყო რომელიმე დანაშაულისათვის მაღაროებში სამუშაოდ. ეს კანონი უზრუნველყოფდა ნასამართლობის სრულ მოხსნას და მისი სამოქალაქო სტატუსის სრულ აღდგენას

restitutio minorum, restitutio in integrum propter (ob) aetatem [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო მინო´რუმ, *რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ინტე´გრუმ პრო´პტერ (ობ) ეტა´ტემ „არასრულწლოვანთა (უფლების) აღდგენა“, „არასრულწლოვნის უფლების აღდგენა, რომელსაც უსაკობის გამო ზიანი მიადგა“]
I. რესტიტუციის ამ ფორმით პრეტორი ეხმარებოდა არასრულწლოვნებს, რომლებსაც დადებული გარიგებით ზიანი მიადგათ

restitutio natalium [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ნატა´ლიუმ „აღდგენა თავისუფლად დაბადების უფლებისა“]
I. → natalium restitutio

retentio, -onis [*რეტე´ნტიო/რეტე´ნციო „შეჩერება“, „დაკავება“, „შეფერხება“]
I. 1. სხვისი ნივთის დაკავება; 2. გაქვითვა

retentiones dotales (მრ.რ.) [*რეტენტიო´ნეს/რეტენციო´ნეს დოტა´ლეს „მზითვების შეჩერება“]
I. 1. მზითვის დაკავება, რისი უფლებაც actio rei uxoriae-ს ძალით მინიჭებული აქვს მეუღლეს

retractare [რეტრაქტა´რე „ხელახლა აღება“]
I. ხელახლა განხილვა

retractare causam [რეტრაკტა´რე *კაუ´სამ/კაუ´ზამ „საქმის ხელმეორედ განხილვა“]
I. საქმის ხელახალი განხილვა

retractare sententiam [რეტრაკტა´რე *სენტე´ნტიამ/სენტე´ნციამ „გადაწყვეტილების შეცვლა“]
I. სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლა

retractatio [*რეტრაკტა´ტიო/რეტრაკტა´ციო „პროცესის განახლება“]
I. კოგნიციურ წარმოებაში: დამთავრებული პროცესის განახლება განსაკუთრებული მიზეზის გამო (მაგ. თაღლითობის გამომჟღავნების შემთხვევაში)

reus [რე´უს „ბრალდებული“]
I. 1. ვალდებულებითი ურთიერთობის სუბიექტი სტიპულაციის დროს: კრედიტორი (**r.** stipulandi) და მოვალე (**r**. promittendi); **r**. credendi კრედიტორი, **r**. debendi დებიტორი 2. პროცესის მხარე, შემდგომ მხოლოდ მოპასუხე ან ბრალდებული

reverentia [*რევერე´ნტია/რევერე´ნცია „სათანადო პატივისცემა“] რევერენცია
I. შვილების პატივისცემა მშობლების მიმართ, გააზატებულის – პატრონის მიმართ; reverentissimus – უმაღლეს საეკლესიო პირთა საპატიო ტიტული

revisio [*რევი´სიო/რევი´ზიო „ხელახლა ნახვა, გადასინჯვა“] რევიზია
I. ხელმეორედ ნახვა
II. ორგანიზაციის მიერ სარევიზიო პერიოდში განხორციელებული სამეურნეო, ფინანსური და საბუღალტრო ოპერაციების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემსწავლელ სავალდებულო საკონტროლო მოქმედებათა სისტემა. „სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, დავალებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის აქტი. ის აქტი ითვლება საგადასახადო შემოწმების აქტად“ (საქართველოს საგადასახადო კოდექსი – 2010, 255(9)-ე მუხლი)
III. „მთავრობის თავმჯდომარეს უფლება აქვს თავისი განკარგულებით დანიშნოს რევიზია მმართველობის ამა თუ იმ დარგისა, ადგილის ან მოვლენის კანონში აღნიშნული წესისამებრ“ (კონსტიტუცია – 1921, 70-ე მუხლი)

revocatio, -onis [*რევოკა´ტიო/რევოკა´ციო „უკან გამოხმობა“]

I. უკან გამოხმობა, უკან გაწვევა, გაუქმება, თუ ეს სამართლებრივად ნებადართულია, ნებასურვილის გამოვლინება ან იურიდიული ქმედება. **r**. testamentum ანდერძის გაუქმება ახლის შედგენის გამო ან ძველის მოსპობით ან განადგურებით. ამ მთავარ კერძო სამართლიდან ანდერძის შემდგენელს არ შეუძლია თავის დახსნა პირადი განცხადების საფუძველზეც კი. **r**. in duplum საკასაციო საჩივარი, პროტესტი მოსამართლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც მოსაჩივრის მარცხს აღნიშნავს და ითვალისწინებს ჯარიმას სადავო საგნის ოდენობით, ე.ი., ფაქტობრივად, ორმაგად

rex, regis [რექს „მეფე“]
I. მეფე, აღჭურვილი იყო სრული, ერთპიროვნული და სამარადჟამო უმაღლესი პოლიტ. სამხედრო, სასამართლო და ადმინ. ძალაუფლებით (potestas regia), მაგრამ არა შეუზღუდავი (fas, mos) და მემკვიდრეობითი ძალაუფლებით

rex sacrorum, **r. sacrificulus** [რექს საკრო´რუმ, რექს საკრიფი´კულუს „მეფე წმინდანთა, მეფე ქურუმი“]
I. ქურუმი, რომელსაც რელიგიური რიტუალების ჩატარების უფლება ჰქონდა; თავდაპირველად, ასრულებდა მეფის საკრალურ რიტუალებს, სწორედ ამიტომ მას მიენიჭა ტიტული rex

ritualis [რიტუა´ლის „საკულტო, რიტუალური“] რიტუალი

I. რიტუალი, სარიტუალო
II. 1. სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა. „საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ – 2005, მე-18(4) მუხლი); 2. ჩვეულებით გამომუშავებული ან დადგენილი წესი რაიმეს განხორციელებისა, ცერემონიალი. „პარლამენტის ადგილსამყოფელი, სხდომათა დარბაზი და რიტუალები“ (საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი – 2012, თავი III)
III. „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება – აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არავითარ რელიგიას, ასრულებდნენ სარელიგიო რიტუალებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას“ (კონსტიტუცია – 1978, 50-ე მუხლი)

rogatio, -onis [*როგა´ტიო/როგა´ციო „თხოვნა“, „კითხვა“]
I. თხოვნა 1. კომიციურ სისხლის სამართლის პროცესში სახალხო კრების გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეიცვალოს თუ არა სასიკვდილო განაჩენი interdictio aqua et igni-თ; 2. **r**. legis პროექტი კომიციური კანონისა, რომლის შეტანა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც ჰქონდა ius agendi cum populo

rogus [რო´გუს „კოცონი“]
I. კოცონი კრემაციისათვის; სამარხი

Roma [რო´მა „რომი“] რომი
I. რომი, სინ. urbs. რომის სახელმწიფოს დედაქალაქი ახ.წ. 330 წ-მდე, შემდეგ მას ეწოდებოდა aeterna urbs (მარადიული ქალაქი)

rotatio [*როტა´ტიო/როტა´ციო „ბრუნვა“] როტაცია

I. წრიული მოძრაობა, ბრუნვა
II. 1. გარკვეულ თანამდებობაზე პირთა მონაცვლეობა. „როტაცია – სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლება“ (საქართველოს კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ – 2007, მე-2(ნ) მუხლი); 2. მონაცვლეობა. „როტაცია – სამედიცინო გაფრთხილებების მონაცვლეობა“ (საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ – 2010, მე-3(ზ) მუხლი)
III. „...საძოვართა მორიგეობის, ე.წ. როტაციის დამკვიდრება“ (საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ – 1994, მე-3(ვ) მუხლი)

ruina [რუი´ნა „ნგრევა“, „ნანგრევი“]
I. ნგრევა, შენობის ჩამონგრევა

ruta (et) caesa [რუ´ტა (ეტ)*კე´სა/ცეზა „ამოთხრილი და დაჩეხილი“]
I. წიაღისეული და ტყის სიმდიდრე

S

Sabiniani სინ. **Cassiani** [საბინი´ანი, კასსია´ნი „საბინელები“, „კასიელები“]
I. საბინელები, საბინუსის (სამართლის) სკოლის მიმდევრები

sacer [*სა´კერ/სა´ცერ „წმინდა“]
I. წმინდა. 1. ღმერთებისადმი მიძღვნილი; 2. ღმერთთა შურისგებისათვის განწირულნი, დაწყევლილი; 3. საღმრთო, საიმპერატორო, ნაკურთხი

sacerdos, -dotis მრ.რ. **sacerdotes** [*საკე´რდოს/საცე´რდოს, *საკერდო´ტეს/საცერდო´ტეს, „ქურუმი“, „ქურუმები“]
I. ქურუმი

sacra [სა´კრა „წმინდა ნივთები“, „წმინდა ქმედებანი“, „რელიგიური წეს-ჩვეულებანი“]
I. რელიგიური წეს-ჩვეულებანი, როგორც საჯარო (**s**. publica), ასევე კერძო (**s**. privata)

sacra familiaria, sacra gentilicia [სა´კრა ფამილია´რია, სა´კრა გენტილი´კია/გენტილი´ცია „საოჯახო სიწმინდეები“, „საგვარეულო სიწმინდეები“]
I. ოჯახისა და გვარის შიგნით არსებული რელიგიური წეს-ჩვეულებანი

sacramentum [საკრამე´ნტუმ „დაფიცება“]
I. 1. ფიცი, საწინდარი, განსაწმენდელი მსხვერპლშეწირვა 5 სული მსხვილფეხა რქოსნის, 5 სული ცხვრის სახით; 2. სამხედრო ფიცი

sacratio, -onis [*საკრა´ტიო, საკრა´ციო „წყევლა“, „შეჩვენება“] საკრაცია
I. დაწყევლა (consecratio), სამართლებრივი შედეგი ზოგიერთი დანაშაულის გამო

sacratissimus [საკრატი´სსიმუს „უწმინდესი“, „უღვთაებრივესი“]
I. უწმინდესი, ერთ-ერთი ტიტული, იმპერატორის ატრიბუტი

sacrificium [*საკრიფი´კიუმ/საკრიფი´ციუმ „მსხვერპლშეწირვა“]
I. მსხვერპლშეწირვა (განსაკუთრებით ადამიანისა) ღმერთთა გულის მოსაგებად. დომინატის დროს იგი იკრძალებოდა, დამნაშავეს სიკვდილით სასჯელი ემუქრებოდა

sacrilegium [საკრილე´გიუმ „მკრეხელობა“]
I. მკრეხელობა, წმინდა ნივთების გასხვისება, შეურაცხყოფა (res sacrae და res religiosae), რაც სიკვდილით ისჯებოდა

sacrosanctus [საკროსა´ნკტუს „უწმინდესი“, „ხელშეუხებელი“]
I. უწმინდესი, ხელშეუხებელი. ამ პრივილეგიით სარგებლობდნენ: (tribuni plebis); დომინატის დროს ეს ატრიბუტი მიენიჭა ეკლესიასაც

salarium [სალა´რიუმ „მარილის ულუფა სამხედრო მოსამსახურეთათვის“, „გასამრჯელო“]
I. ხელფასი უმაღლესი თანამდებობის პირთათვის

Salii [სა´ლიი „მოფერხულენი“]
I. სალიები, მარსის ქურუმები, რომლებსაც პატრიციების რიგებიდან ირჩევდნენ. ისინი იარაღით ხელში ჩაბმული იყვნენ სარიტუალო ფერხულში

saltus [სა´ლტუს „ტყიანი ადგილები მთებში“]
I. ტყიანი ადგილები მთებში, საძოვრები. პრინციპატის დროს დიდი საჯარო ან კერძო სამფლობელოები. იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების სამფლობელოები

sanatio [*სანა´ტიო/სანა´ციო „გამოჯანმრთელება“] სანაცია
I. გაჯანსაღება
III. საწარმოს ფინანსური გაჯანსაღებისთვის აუცილებელი ღონისძიებების სისტემა, საწარმოს გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ან კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. „სადაზღვევო საწარმოს გაკოტრებისას დაზღვევის საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს შეიტანოს განცხადება და მისცეს თანხმობა სანაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა განხორციელებაზე“ (საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ – 1996, 38(1)-ე მუხლი)

sanatorium [სანატო´რიუმ „სანატორიუმი“] სანატორიუმი
I. გასასაჯანსაღებელი ადგილი
III. „დასვენების უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა მომსახურებისათვის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და კლუბების ფართო ქსელით“ (კონსტიტუცია – 1937, 132-ე მუხლი)

sanctio [*სა´ნკტიო/სა´ნკციო „ურყევი კანონი, უმკაცრესი დადგენილება“] სანქცია
I. სანქცია. **s**. legis კანონის ნაწილი, განმსაზღვრელი იმ შედეგებისა, რაც მოჰყვებოდა მის დარღვევას
II. ღონისძიებები, რომლებიც სამართალდამრღვევის მიმართ გამოიყენება. „სანქცია და გასაჩივრება“ (კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ -1996, 8^4-ე მუხლი)
III. „არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან პროკურორის სანქციით“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 1960, 10-ე მუხლი)

sanctus [სა´ნკტუს „წმინდა“, „ურღვევი“]
I. წმინდა

sanguis, -guinis [სა´ნგვის „სისხლი“]

I. სისხლი, სისხლით ნათესაობა

sapiens, -entis [სა´პიენს „ბრძენი“]
I. გონიერი, სულიერად ჯანსაღი (საპირისპირო demens-ისა)

sarcire [*სარკი´რე/სარცი´რე „შეკეთება“, „შესწორება“]
I. შეკეთება, შესწორება, ანაზღაურება (ზიანის)

satio, -onis [*სა´ტიო/სა´ციო „თესვა“, „ნათესი“]
I. თესვა

satis [სა´ტის „საკმაოდ“]
I. საკმაოდ, საკმარისად, რიგიანად, უხვად

satis dare [სა´ტის და´რე „ანაზღაურება“]
I. უზრუნველყოფა

satis facere [სა´ტის *ფა´კერე/ფა´ცერე „დაკმაყოფილება“, „მობოდიშება“]
I. მეორე მხარის დაკმაყოფილება

satisdatio, -onis [*სატისდა´ტიო/სატისდა´ციო „გარანტია“] სატისდაცია
I. გარანტია

satisdatio (c.) rem pipulli (adulescentis) salvam fore [*სატისდა´ტიო/სატისდა´ციო რემ პი´პულლი (*ადულესკე´ნტის/ადულესცე´ნტის) სა´ლვამ ფორე „გარანტია იმისა, რომ ახალგაზრდის ქონება არ დაზიანდებოდა“]
I. მეურვის თავდებობა, რომ იგი არ მიაყენებდა ვნებას თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს მისი ქონების მართვის დროს

satisdatio secundum mancipium [*სატისდა´ტიო/სატისდა´ციო სეკუ´ნუმ *მანკი´პიუმ/მანცი´პიუმ „გარანტია ხელმეორედ გაყიდვისა“]
I. გამყიდველის გარანტია, რომ იგი გადასცემდა მყიდველს უძრავ ქონებას მთელი შემოსავლით, რომელსაც ის მიიღებდა ამ უძრავი ქონებიდან მისი გასხვისების მომენტიდან გადაცემის მომენტამდე

satisdatio suspecti heredis [*სატისდა´ტიო/სატისდა´ციო სუსპე´კტი ჰერე´დის „გარანტია საეჭვო მემკვიდრეობის“]
I. გარანტია, რომელიც შეეძლოთ მოეთხოვათ მამკვიდრებლის კრედიტორებს დაბუთებული საფრთხის დროს, რომ მემკვიდრე ვერ შეძლებდა მემკვიდრეობით მიღებული ვალების გადახდას

satisfactio [*სატისფა´კტიო/სატისფა´კციო „სატისფაქცია“] სატისფაქცია
I. მოთხოვნის დაკმაყოფილება, სხვისი მოვალეობების შესრულება, თავდებად დადგომა

saxum Tarpeium [სა´ქსუმ ტარპე´იუმ „ტარპეის კლდე“]
I. ტარპეის კლდე, საიდანაც ზოგიერთ დამნაშავეს ძირს აგდებდნენ

scaenici (*ბერძ.*) [*სკე´ნიკი/სცე´ნიცი „სცენისა“]
I. სინ. histriones. მსახიობები, მიეკუთვნებოდნენ personae turpes-ს, მსახიობები უთანაბრდებოდნენ მეძავებს → meretrices

scelus, -eris [*სკე´ლუს/სცე´ლუს „ბოროტქმედება“, „დანაშაული“]
I. დანაშაული. princeps sceleris მთავარი დამნაშავე; conscius **s.**, particeps **s.**, socius **s.** თანამონაწილე

sceptrum [*სკე´პტრუმ/სცე´პტრუმ „კვერთხი“]
I. კვერთხი, სამეფო ძალაუფლების ერთ-ერთი სიმბოლო

schola (*ბერძნ.*) [სხო´ლა „სკოლა“]
I. სამეცნიერო საუბარი, კითხვა, სკოლა 1. სინ. secta. იდეური მიმართულება, სკოლა; 2. დომინატის დროს: პოლიციური კორპუსი, სამხედრო ყაიდაზე ორგანიზებული; 3. **s**-ae palatinae იმპერატორის პირადი დაცვა

scholasticus [სხოლა´სტიკუს „მასწავლებელი“] სქოლასტიკოსი
I. სქოლასტიკოსი, იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

scholia (*ბერძნ.*) [სხო´ლია „შენიშვნები“] სქოლიოები
I. სქოლიოები წიგნის გვერდზე, კომენტარები იურიდიული ტექსტისათვის

sciens dolo malo [*სკი´ენს/სცი´ენს დო´ლო მა´ლო „განზრახ ჩამდენი ბოროტებისა“]
I. განზრახ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედება

sciens domini [*სკი´ენს/სცი´ენს დო´მინი „ბატონის მიერ ცოდნა“]
I. ბატონის მიერ საკუთარი მონის დელიქტის ცოდნა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში დანაშაულში თანამონაწილეობას ნიშნავდა

sciens iuris [*სკი´ენს/სცი´ენს იუ´რის „სამართლის მცოდნე“]
I. სამართლის ცოდნა, არ წარმოადგენდა პასუხისმგებლობის წინაპირობას

scire [სკი´რე „ცოდნა“]
I. ცოდნა

scribere [სკრი´ბერე „წერა“]
I. წერა

scribere testamentum [სკრი´ბერე ტესტამე´ნტუმ „ანდერძის წერა“]
I. ანდერძის წერა
I. მდივანი, მწერალი, მიეკუთვნებოდა მაგისტრატის apparitores-ს

scrinium [სკრი´ნიუმ „წიგნების ყუთი“]
I. დომინატის დროს სასახლის კანცელარიის განყოფილება, რომელიც საგანგებო საქმეებს განაგებდა და იცავდა დოკუმენტებს

scriptura [სკრიპტუ´რა „ნაწერი“]
I. 1. ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი; 2. **s**. exterior, **s**. interior დიპტიქი. წერილობითი დოკუმენტის სახე, ორი ბრინჯაოს ან ხის ფირფიტისაგან შედგენილი, რომელზედაც ერთი და იგივე ტექსტია შიგნით და გარე ზედაპირზე; 3. მოსაკრებელი საზოგადოებრივ საძოვარზე საქონლის ძოვებისათვის; 4. **S**.-ae Sanctae წმინდა წიგნები

secessio [*სეკე´სსიო/სეცე´სსიო „გამოყოფა, განხეთქილება“] სეცესია
I. გაცლა

secessio plebis [*სეკე´სსიო/სეცე´სსიო პლე´ბის „პლებსის წასვლა“]
I. პლებსის უარი სამხედრო სამსახურზე და მათი მასობრივი გასვლა ქალაქიდან

secret(ari)um [სეკრეტა´რიუმ „მიყრუებული ადგილი“]
I. განმარტოებული ადგილი, შენობა არასაჯარო სასამართლო განხილვისათვის

secta [სე´კტა „მოძღვრება“, „სექტა“, „სკოლა“] სექტა
I. იხ. schola

sectio, -onis [*სე´კტიო/სე´კციო „დანაწევრება“, „გაყიდვა“] სექცია
I. სექცია. **s. bonorum** სამხედრო ნადავლის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, ასევე კონფისკირებული ქონებისა
II. ინტერესთა სექცია – სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია ერთი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. „საკონსულო სამსახურს ხელმძღვანელობს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საქართველოს ინტერესთა სექციის საკონსულო თანამდებობის პირი, გარდა გენერალური კონსულისა“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, მე-4(4) მუხლი)
III. „ამიერ-კავკასიის სეიმის ქართული სექცია საქართველოს ეროვნული საბჭოს სრულუფლებიანი წევრი იყო“ (აქტი 1918, დამატება II, IV)

sector [სე´კტორ „კონფისკირებული ქონების შემსყიდველი“] სექტორი
I. შემსყიდველი საჯარო ვაჭრობით გაყიდული კონფისკირებული ქონებისა

secundus [სეკუ´ნდუს „შემდეგი“, „მეორე“, „სხვა“]
I. შემდეგი, მეორე. **s.**-ae nuptiae მეორე ქორწინება

securitas, -tatis [სეკუ´რიტას „საიმედოობა“, „უსაფრთხოება“]
I. საიმედოობა, ვალის გადახდის ქვითარი

sedes, -is [სე´დეს „საცხოვრებელი ადგილი“]
I. საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია, სასამართლო ტრიბუნა

seditio, -onis [*სედი´ტიო/სედი´ციო „განხეთქილება“, „აჯანყება“]
I. განხეთქილება, აჯანყება

segregatio [*სეგრეგა´ტიო/სეგრეგა´ციო „გამოყოფა“] სეგრეგაცია
I. განკერძოება, გამოცალკავება
II., III. მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის იძულებითი განცალკევების პოლიტიკა. „წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „აპარტეიდის დანაშაული“, რომელიც გულისხმობს აგრეთვე მის მსგავს რასობრივი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის პოლიტიკასა და პრაქტიკას იმ სახით, როგორითაც იგი გამოიყენება აფრიკის სამხრეთ ნაწილში, ნიშნავს შემდეგ არაადამიანურ აქტებს, რომელთაც სჩადიან ერთი რასობრივი ჯგუფის წევრები ადამიანთა სხვა რასობრივ ჯგუფებზე ბატონობის დამყარებისა და შენარჩუნების, ასევე მათი სისტემატური ჩაგვრის მიზნით...“ (3068 (XVIII) საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ, დანართი – 1973, II მუხლი)

sella [სე´ლლა „სავარძელი“]
I. სავარძელი

sella curulis [სე´ლლა კურუ´ლის „კურულის სავარძელი“]
I. სპილოს ძვლისაგან დამზადებული სავარძელი, რომელზედაც ოფიციალური სხდომების დროს იჯდა rex-ი, შემდეგ magistratus curulis-ი

senator [სე´ნატორ „სენატორი“] სენატორი

I. 1. სენატის წევრი; 2. მუნიციპალური საბჭოს წევრი
III. „სენატსა შინა ჯერ-ა(რ)ს ჯდომად ზემოსა ადგილსა მათი, რომელსაცა მიუღიეს უწინარეს პატივი იგი სენატორობისა“ (სამართ. ბატ. დავ. C, 23)

senatus [სენა´ტუს „სენატი“] სენატი
I. სენატი. გვარის უხუცესთა თავყრილობა, შემდგომ პატრიციების საკონსულტაციო ორგანო მეფის დროს. რესპუბლიკურ ხანაში **s.**-მა მოიპოვა უჩვეულო ძალაუფლება და გახდა პატრიციების, შემდგომ კი ნობილიტეტის პოლიტიკური სიძლიერის საყრდენი
II. 1. რიგი სახელმწიფოების პარლამენტების ერთ-ერთი პალატა (უფრო ხშირად – ზედა). „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 4(1)-ე მუხლი); 2. „წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, 2(ჰ21)-ე მუხლი)
III. „დაიბეჭდა სანკტპეტერბურხს, სენატსა შინა, [ი]იანვრის იზ დღესა, ჩყა წელსა“ („მანიფესტი ალექსანდრე I-ისა საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“ [1801 წ.], ქსძ, II, გვ. 552); „სენატთა თანამდებობა არს, რათა მათგან გამოიცეს ყოველი სჯული და კანონი, რომელიცა მიეცემის მათ მეფისაგან, ხოლო მათ, თვინიერ შეკითხვისა მეფისა, თვით, თავით თვისით არარაჲსა შემძლებელ არიან“ (სამართ. ბატ. დავ. C, 26); „ვინცა ბრძანება მეფისა არ აღასრულა, მოეკითხოს, ვითარცა ურჩსა, და მსგავსისავე ხატითა – სენატისაცა“ (სამართ. ბატ. დავ. 5)

senatusconsultum [სენატუსკონსუ´ლტუმ „რჩევა“, „სენატის რეკომენდაცია“]
I. სენატის რჩევა, რეკომენდაცია, სხდომის თავმჯდომარის, მაგისტრატის პასუხი

senatusconsultum Apronianum [სენატუსკონსუ´ლტუმ აპრონია´ნუმ „აპრონიუსის დადგენილება“]
I. ნებას აძლევდა მუნიციპიას თავისი გააზატებულის დახმარებით მიეღო fideicommissum hereditates-ი

senatusconsultum Calvisianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *კალვისია´ნუმ/კალვიზია´ნუმ „კალვისიუსის დადგენილება“]
I. გაამარტივა წარმოება crimen repetundorum-ის დროს, რომელსაც ახლა უკვე განიხილავდა სასამართლო კოლეგია 5 სენატორის შემადგენლობით

senatusconsultum Claudianum [სენატუსკონსუ´ლტუმ კლაუდია´ნუმ „კლავდიანუსის დადგენილება“]
I. 1. იმის შიშით, არ აღძრულიყო პროცესი მომხვეჭელობის შესახებ, აკრძალა ჰონორარის გაცემა ადვოკატისათვის 10 000 სესტერციუსზე ზევით; 2. დაუშვა ბიძასა და დისწულს შორის ქორწინება (კლავდიუსის ქორწინება აგრიპინასთან); 3. დაადგინა, რომ თავისუფალი ქალი, რომელიც თანაცხოვრობდა მონასთან, ხდებოდა შვილებთან ერთად მონა, თუ მონის პატრონი წინააღმდეგი არ იყო ამისა, ქალი მხოლოდ ingenuitas-ს კარგავდა; 4. ათავისუფლებდა მამაკაცებს 60

წლის ზემოთ და 50 წელს გადაცილებულ ქალებს სანქციისაგან, რომელსაც ითვალისწინებდა Lex Iulia

senatusconsultum de advocationibus [სენატუსკონსუ´ლტუმ დე *ადვოკატიო´ნიბუს/ადვოკაციო´ნიბუს „დადგენილება ადვოკატთათვის“]
I. ავალდებულებდა მხარეებს დაეფიცათ, რომ არ შეპირდებოდნენ და არ გადაუხდიდნენ ადვოკატებს დავამდე ჰონორარს და დავის შემდგომ არ გადააჭარბებდნენ დაწესებული თანხის მაქსიმუმს

senatusconsultum de Bacchanalibus [სენატუსკონსუ´ლტუმ დე ბაკხანა´ლიბუს „დადგენილება ბაკქანალიის წინააღმდეგ“]
I. სიკვდილის მუქარით კრძალავდა რომში და მთელს იტალიაში ბაკქუსის კულტს

senatusconsultum de Campanis [სენატუსკონსუ´ლტუმ დე კამპა´ნის „დადგენილება კამპანელებზე“]
I. სენატის აღნიშნული აქტის ძალით სასტიკი განაჩენი გამოუტანეს აჯანყებულ კამპანელებს, კაპუის აღების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს ამბოხებული სენატორები, დეპორტაცია გაუკეთეს გამოჩენილ მოღვაწეებს, ქალები მონებად გაყიდეს, კამპანიის მოსახლეობას ჩამოართვეს რომის მოქალაქეობა

senatusconsultum de collegiis [სენატუსკონსუ´ლტუმ დე კოლლე´გიის „დადგენილება კოლეგიებზე“]
I. გააუქმა თითქმის ყველა კოლეგია და კორპორაცია

senatusconsultum de Iudaeis [სენატუსკონსუ´ლტუმ დე იუ´დეის „დადგენილება იუდეველთა შესახებ“]
I. 1. აღადგინა კავშირი იუდეველებთან; 2. განავრცო იუდეველთა ტერიტორია; 3. უფლებამოსილება მიანიჭა კეისარს, იუდეველთა სასარგებლოდ ზომების მიღებისა

senatusconsultum de matrimonium lenocinio coercendo [სენატუსკონსუ´ლტუმ დე მატრიმო´ნიუმ *ლენოკი´ნიო/ლენოცი´ნიო *კოერკე´ნდო/კოერცე´ნდო „დადგენილება ქორწინების შესახებ უზნეობის შესაჩერებლად“]
I. წამოაყენა საჯარო ბრალდება adulterium-ში დადანაშაულებული ქალების მიმართ, რომლებიც Lex Iulia-ს მიხედვით სასჯელის თავიდან ასაცილებლად უზნეო ცხოვრებას ეწეოდნენ

senatusconsultum de mense Augusto [სენატუსკონსუ´ლტუმ დე მე´ნსე აუგუსტო „დადგენილება ავგუსტუსის თვეზე“]
I. წამოაყენა წინადადება, რომაული კალენდრის მე-6-ე (მე-8-ე) თვეს შეცვლოდა სახელი და დარქმეოდა ავგუსტუსის სახელი

senatusconsultum de Mytilensibus [სენატუსკონსუ´ლტუმ დე *მიტილე´ნსიბუს/მიტილე´ნზიბუს „მიტილენელთა დადგენილება“]
I. აღიარა თავისუფლება და პრივილეგიები მოკავშირე ქ. მიტილენისა

senatusconsultum de philosophis et rhetoribis [სენატუსკონსუ´ლტუმ დე ფილოსო´ფის ეტ რეტო´რიბუს „დადგენილება ფილოსოფოსთა და რიტორთა შესახებ“]
I. უკრძალავდა ბერძენ ფილოსოფოსებსა და რიტორებს რომში დასახლებას
senatusconsultum Geminianum [სენატუსკონსუ´ლტუმ გემინია´ნუმ „გემინიუსის დადგენილება“]

I. ცრუმოწმისათვის ფულის მიცემას falsum-ის კვალიფიკაცია მისცა

senatusconsultum Libonianum [სენატუსკონსუ´ლტუმ ლიბონია´ნუმ „ლიბონიუსის დადგენილება“]
I. უკრძალავდა სხვისი ანდერძის შემდგენელს რაიმეს ჩაწერას თავის სასარგებლოდ, რაც განიხილებოდა როგორც falsum-ი

senatusconsultum Licinianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *ლიკინია´ნუმ/ლიცინია´ნუმ „ლიცინიუსის დადგენილება“]
I. სჯიდა ყველას, ვინც ერთმანეთს ეხმარებოდა ყალბი ანდერძისა და მოწმობების შედგენაში

senatusconsultum Macedonianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *მაკედონია´ნუმ/მაცედონია´ნუმ „მაკედონელთა დადგენილება“]
I. უკრძალავდა პრეტორს, სარჩელის წარდგენის უფლება მიენიჭებინა იმ კრედიტორისთვის, ვინც სესხი მისცა მის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ვაჟს (ერთ-ერთმა მაკედონელმა ვალების გამო მოკლა საკუთარი მამა)

senatusconsultum Messalinum [სენატუსკონსუ´ლტუმ მესსალი´ნუმ „მესალინას დადგენილება“]
I. ადვოკატის ან მოწმის მიერ ფულის აღებას უდანაშაულოს დადანაშაულებისთვის განიხილავდა როგორც falsum-ს

senatusconsultum Neronianum [სენატუსკონსუ´ლტუმ ნერონია´ნუს „ნერონის დადგენილება“]
I. გაავრცელა senatusconsultum Silanianum-ის მოქმედება იმ მონებზე, რომლებიც ეკუთვნოდნენ მოკლულის მეუღლეს

senatusconsultum Ninnianum [სენატუსკონსუ´ლტუმ ნინნია´ნუმ „დადგენილება ნინიუსისა“]
I. აჯილდოებდა ყველას, ვინც ამხელდა თაღლითურ პროცესს ingenuitas-ის შესახებ და აძლევდა უფლებას დასაკუთრებოდა უკანონოდ გათავისუფლებულ მონას

senatusconsultum Orfitianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *ორფიტია´ნუმ/ორფიცია´ნუმ „დადგენილება ორფიციუსისა“]
I. აღიარებდა შვილების უფლებას, დედისგან მიეღოთ მემკვიდრეობა. ამავე დროს მათ უპირატესობა ეძლეოდათ დედის ძმებთან, დებთან და აგნატებთან შედარებით

senatusconsultum Pegasianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *პეგასია´ნუმ/პეგაზია´ნუმ „პეგასიუსის დადგენილება“]
I. მემკვიდრის უფლება, დაეტოვებინა ფედეიკომისის 1/4-ი

senatusconsultum Persicianum, **senatusconsultum Pernicianum** [სენატუსკონსუ´ლტუმ *პერსიკია´ნუმ/პერსიცია´ნუმ, სენატუსკონსუ´ლტუმ *პერნიკია´ნუმ/პერნიცია´ნუმ „პერსიციუსის დადგენილება, პერნიციუსის დადგენილება“]
I. განავრცო სანქცია Lex Iulia-სი მათზე, ვინც დაქორწინდა 60 წლის (მამაკაცი) და 50 წლის (ქალი) შემდეგ

senatusconsultum Pisonianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *პისონია´ნუმ/პიზონი´ანუმ „პიზონის დადგენილება“]
I. ანიჭებდა პატრონის მკველობაში ეჭვმიტანილი მონის შემძენს უფლებას, მოეთხოვა გარიგების ბათილობა და ფულის უკან დაბრუნება

senatusconsultum Plancianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *პლანკია´ნუმ/პლანცია´ნუმ „პლანციუსის დადგენილება“]
I. ართმევდა 1/4 მემკვიდრეობაზე პრეტენზიის განცხადების უფლებას იმ ფიდუციარს, ვინც თაღლითურად გადასცა მემკვიდრეობა მას, ვისაც არ შეეძლო მისი მიღება

senatusconsultum Silanianum [სენატუსკონსუ´ლტუმ სილანია´ნუმ „სილანუსის დადგენილება“]
I. დაადგინა, რომ უცნობი პირის მიერ მოკლული ბატონის ყველა მონა, ვინც მის ჭერქვეშ ცხოვრობდა და ვერ ამტკიცებდა, რომ ბატონის დახმარებას ცდილობდა, ეწამებინათ და დაესაჯათ; არ გაეხსნათ ანდერძი მონების პროცესის დაწყებამდე და მემკვიდრეს არ მიეღო მემკვიდრეობა; მონისთვის, რომელიც დამნაშავეს ამხელდა, თავისუფლება მიენიჭებინათ

senatusconsultum Trebellianum [სენატუსკონსუ´ლტუმ ტრებელლია´ნუმ „ტრებელიუსის დადგენილება“]
I. დაადგინა, რომ მემკვიდრეობის გადაცემასთან ერთად გადასულიყო actiones utiles ფიდუციარიდან ფიდეიკომისუმზე

senatusconsultum Turpilianum [სენატუსკონსუ´ლტუმ ტურპილია´ნუმ „ტურპილიუსის დადენილება“]
I. შეიტანა დებულებები tergiversatio-ის წინააღმდეგ

senatusconsultum Velcianum (Vellaeanum) [სენატუსკონსუ´ლტუმ *ველკია´ნუმ/ველცია´ნუმ (ველეა´ნუმ) „ველეანუსის დადგენილება“]
I. ქალებს უკრძალავდა თავდებად გამოსვლას

senatusconsultum Volusianum [სენატუსკონსუ´ლტუმ *ვოლუსია´ნუმ/ვოლუზია´ნუმ „ვოლუზიუსის დადგენილება“]
I. დევნიდა vis privata-ს გამო მათ, ვინც არაკეთილსინდისიერად ერთვებოდა სხვის პროცესში სარგებლის მიღების მიზნით

senectus, -tutis [სენე´კტუს „ხანდაზმულობა“]
I. მოხუცებულობა, სიბერე, მოხუცები

senex, senis [სე´ნექს „მოხუცი“, „ძველი“]
I. მოხუცი

senex coemptionalis [სე´ნექს *კოემპტიონა´ლის/კოემპციონა´ლის „მოხუცთან ქორწინება“]
I. მოხუცთან ქორწინება

seniores [სენიო´რეს „უხუცესები“]
I. უხუცესები

sententia [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია „აზრი“, „შეხედულება“] სენტენცია

I. 1. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეებზე, რომელსაც იღებდა unux iudex ან მსაჯულთა კოლეგია; 2. საბოლოო აზრი რომელიმე ორგანოსი, მაგ., სენატის; 3. რომ. იურისტის თვალსაზრისი, გამოთქმული მის დასკვნაში (responsum) ან იურიდიულ თხზულებაში

sententia Catoniana, sententia definitiva [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია კატონია´ნა, *სენტე´ნტია/სენტე´ნცია დეფინიტი´ვა „კატონის სენტენცია, კონკრეტული აზრი“]
I. გვიანკლასიკური გამოთქმა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისათვის, განსხვავებით interlocutio-საგან

sententia legis [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია ლე´გის „კანონის არსი“]
I. მიზანი, აზრი, არსი კანონისა

sententiae [*სენტე´ნტიე/სენტე´ნციე „აზრები“]
I. იურიდიული წესების კრებული პრაქტიკოსი იურისტებისთვის

sententiae Pauli [*სენტე´ნტიე/სენტე´ნციე პაუ´ლი „პავლუსის სენტენციები“]
I. სრული სახელწოდება Sententiarum ad filium libri quinque. იურიდიული დამხმარე სახელმძღვანელო III ს-ა, პავლუსისა და გვიანდელი კლასიკოსების თხზულებებისაგან შედგენილი

separatio, -onis [*სეპარა´ტიო/სეპარა´ციო „განცალკევება“] სეპარაცია
I. სეპარაცია, გამოცალკევება (ძირითადად ნაყოფის იმ ნივთისგან, რომელმაც გამოიღო ეს ნაყოფი)

separatio bonorum [*სეპარა´ტიო/სეპარა´ციო ბონო´რუმ „ქონების გამოცალკავება“]
I. მემკვიდრის ქონების გამოცალკავება სამკვიდროსგან
II., III. გამოყოფა. „...გადამზიდავის განკარგულებები დატვირთვის, დამაგრებისა და სეპარაციის შესახებ სავალდებულოა შესასრულებლად ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომლებიც აწარმოებენ სატვირთო სამუშაოებს“ (საქართველოს საზღვაო კოდექსი – 1997, 129-ე მუხლი)

septem [სე´პტემ „შვიდი“]
I. შვიდი

septemvirale iudicium [სეპტემვირა´ლე *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ „შვიდწევრიანი სასამართლო“]
I. შვიდწევრიანი სასამართლო, რომელიც განიხილავდა ზოგიერთი სახის დავას მემკვიდრეობაზე

septemviri [სეპტე´მვირი „შვიდკაცა“]
I. შვიდწევრიანი კოლეგია

septimontium [*სეპტიმო´ნტიუმ/სეპტიმო´ნციუმ „შვიდბორცვიანი“]
I. შვიდბორცვიანი, ე.ი. რომი, რომელიც 7 ბორცვზე იყო გაშენებული

sepulchrum [სეპუ´ლხრუმ „სამარხი“]
I. სამარხი, საფლავი

sepulchrum familiare [სეპუ´ლხრუმ ფამილია´რე „საგვარეულო საფლავი“]

I. საფლავი, რომელიც, კლასიკური სამართლის მიხედვით, უცვლელად გადადიოდა დაღმავალი ხაზის მემკვიდრეებზე (ან აგნატებზე)

sepulchrum familiare hereditarium [სეპუ´ლხრუმ ფამილია´რე ჰერედიტა´რიუმ „მემკვიდრეობით გადაცემული საგვარეულო საფლავი“]
I. საფლავი, რომელიც მემკვიდრიდან მემკვიდრეს გადაეცემოდა, თუნდაც იგი სხვა ოჯახის წევრი ყოფილიყო

sequester, -tris [სეკვე´სტერ „შუამავალი“]
I. შუამავალი, რწმუნებული პირი მხარეთა შორის, რომელსაც ისინი ერთმანეთთან შეთანხმებით მიაბარებდნენ სადავო ნივთს, რათა მისით სარგებლობა არავის შეძლებოდა დავის გადაწყვეტამდე

sequestrum [სეკვე´სტრუმ „შენახვა“] სეკვესტრი
I. დაცვა, დეპოზიტი
II. „იძულებითი აღსრულებისათვის უფლებამოსილი იპოთეკარის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აუქციონზე იძულებითი გასხვისების ნაცვლად დაადგინოს ნივთის იძულებითი მართვა (სეკვესტრი)...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 310(1)-ე მუხლი)
III. „სეკვესტრი არის საბიუჯეტო ხარჯების ყოველთვიური პროპორციული შემცირება ბიუჯეტის ხარჯების ყველა მუხლის მიხედვით დარჩენილი ფინანსური წლის მანძილზე“ (საქართველოს კანონი საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ – 1996, 12(3)(ა)-ე მუხლი)

servitus, -tutis [სე´რვიტუს „მონობა“] სერვიტუტი
I. 1. სამართლებრივი მდგომარეობა პირისა, რომელსაც მოქმედებისა და გადაადგილების თავისუფლება წართმეული ჰქონდა; 2. თავისუფალი მოქალაქის ფაქტობრივად მონობის მდგომარეობაში ყოფნა (მაგ. გადახდის უნარის არმქონე მოვალისა); 3. სერვიტუტი

servitutes [სერვიტუ´ტეს „სერვიტუტი“, „სერვიტუტები“] სერვიტუტები
I. სერვიტუტები
II., III. სხვისი უძრავი ქონებით შეზღუდული სარგებლობის უფლება. „სერვიტუტი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაშინ, როცა იგი უფლებამოსილ პირს უქმნის თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობის შეღავათს“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 248(1)-ე მუხლი)

servitutes actus [სერვიტუ´ტეს ა´კტუს „უფლების სერვიტუტები“]
I. სერვიტუტი, რომლის ძალითაც პირს ჰქონდა პირუტყვის გარეკვის უფლება სხვისი მიწის ნაკვეთზე

servitutes altius non tollendi [სერვიტუ´ტეს ალტი´უს ნონ ტოლლე´ნდი „განსაზღვრული (არა უფრო მაღალი) შენობის აგების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც მის მფლობელს აკისრებდა ვალდებულებას, არ აეშენებინა ისეთი ნაგებობა, რომელიც აღემატებოდა განსაზღვრულ სიმაღლეს

servitutes aquae ductus, s. a. ducendae [სერვიტუ´ტეს ა´კვე დუ´კტუს, სერვიტუ´ტეს ა´კვე *დუკე´ნდე/დუცე´ნდე „სხვის მიწაზე წყლის გაყვანის უფლება“]
I. სერვიტუტი, რომლის საფუძველზეც მის მფლობელს ჰქონდა სხვის მიწაზე წყლის გაყვანის უფლება

servitutes aquae haustus [სერვიტუ´ტეს ა´კვე ჰაუ´სტუს „წყლის აღების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებდა სხვისი ნაკვეთიდან წყლის მოპოვების უფლებას

servitutes eundi [სერვიტუ´ტეს ეუ´ნდი „გავლის უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა პირს სხვის ნაკვეთზე გავლის უფლებას

servitutes fluminis [სერვიტუ´ტეს ფლუ´მინის „სხვის მიწაზე წყლის გადაგდების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა წვიმის წყლის გადაგდების უფლებას სხვის ნაკვეთზე

servitutes fumi immittendi [სერვიტუ´ტეს ფუ´მი იმმიტტე´ნდი „კვამლის გაშვების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა კვამლის გაშვების უფლებას სხვის ნაკვეთზე

servitutes lapidis eximendi [სერვიტუ´ტეს ლა´პიდის ექსიმე´ნდი „ქვის ამოღების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა ქვის ამოღების უფლებას სხვის ნაკვეთზე

servitutes luminis immittendi [სერვიტუ´ტეს ლუ´მინის იმმიტტე´ნდი „სინათლის შემოშვების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა ფანჯრის გაჭრის უფლებას საერთო ან სხვის კედელზე

servitutes navigandi [სერვიტუ´ტეს ნავიგა´ნდი „ნაოსნობის უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა სანაოსნო გადაზიდვის უფლებას სხვის წყალსატევზე

servitutes ne luminibus officiatur, servitutes ne prospectui officiatur [სერვიტუ´ტეს ნე ლუმი´ნიბუს *ოფფიკია´ტურ/ოფფიცია´ტურ, სერვიტუ´ტეს ნე პროსპე´კტუი *ოფფიკია´ტურ/ოფფიცია´ტურ „მეზობლის სახლის არ დაჩრდილვის უფლება“]
I. სერვიტუტი, რომლის ძალითაც პირს ეკისრებოდა ვალდებულება, რომ ნაგებობებით ან ხეებით არ დაეჩრდილა მეზობლის სახლი

servitutes oneris ferendi [სერვიტუ´ტეს ო´ნერის ფერე´ნდი „მიბჯენის უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა პირს საკუთარი შენობის მიბჯენის უფლებას მეზობლის კედელზე

servitutes pascendi [სერვიტუ´ტეს *პასკე´ნდი/პასცე´ნდი „ძოვების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა პირს საქონლის ძოვების უფლებას სხვის ნაკვეთზე

servitutes pecoris ad aquam appulsus [სერვიტუ´ტეს პე´კორის ად ა´კვამ აპპუ´ლსუს „საქონლის დარწყულების უფლება სხვის მიწაზე“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა პირს მეზობლის ნაკვეთზე დასარწყულებლად საქონლის გადაყვანის უფლებას

servitutes personarum [სერვიტუ´ტეს პერსონა´რუმ „პირადი სერვიტუტები“]
I. სინ. **s.** hominum, პირადი სერვიტუტები

servitutes praediorum [სერვიტუ´ტეს პრედიო´რუმ „მიწის საკუთრების სერვიტუტები“]

I. მიწის სერვიტუტები, რომლებიც იყოფოდა სოფლის და ქალაქის სერვიტუტებად

servitutes silvae caeduae [სერვიტუ´ტეს სი´ლვე *კე´დუე/ცე´დუე „შეშის მოგროვების უფლება“]
I. სერვიტუტი, რომელიც ანიჭებდა პირს შეშის მოგროვების უფლებას სხვის ტყეში

servus [სე´რვუს „მონა“]
I. მონა

servus alienus [სე´რვუს ალიე´ნუს „სხვისი მონა“]
I. სხვისი მონა

servus casatus [სე´რვუს *კასა´ტუს/კაზა´ტუს „სახლის მქონე მონა“]
I. მონა, რომელმაც პრინციპატის დროს მიიღო მიწის ნაკვეთი peculium-ის სახით და ვალდებული იყო რეგულარულად შეეტანა ხარკი, როგორც quasi colonus-ს

servus derelictus [სე´რვუს დერელი´კტუს „მიტოვებული მონა“]
I. ბატონის მიერ მიტოვებული მონა ხდებოდა **s.** sine domino. მხოლოდ იუსტინ.-ის დროს ითვლებოდა იგი თავისუფლად

servus dotalis [სე´რვუს დოტა´ლის „მზითევში (გატანებული) მონა“]
I. მონა, რომელიც მზითვის ნაწილი იყო

servus fugitivus [სე´რვუს ფუგიტი´ვუს „გაქცეული მონა“]
I. გაქცეული მონა

servus ordinarius [სე´რვუს ორდინა´რიუს „წესიერი, ჩვეულებრივი მონა“]
I. „მთავარი“ მონა, რომელსაც თავის პეკულიაში ჰყავდა საკუთარი მონები

servus poenae [სე´რვუს პე´ნე „სასჯელის მონა“]
I. თავისუფალი ადამიანი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ან სამუდამოდ მაღაროებში მუშაობა ჰქონდა მისჯილი, ხდებოდა მონა (მაგრამ არ ჰყავდა ბატონი)

servus privatus [სე´რვუს პრივა´ტუს „კერძო მონა“]
I. კერძო მესაკუთრის მონა

servus publicus [სე´რვუს პუ´ბლიკუს „სახელმწიფო მონა“]
I. მონა, რომელიც სახ.-ის კუთვნილება იყო ან რომელიმე საზ.-ის; მას იყენებდნენ სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამსახურში

servus recepticius [სე´რვუს *რეკეპტი´კიუს/რეცეპტი´ციუს „რეცეპტიული მონა“]
I. მონა, რომელსაც რაღაც ნაკლოვანება ჰქონდა

servus sine domino [სე´რვუს სი´ნე დო´მინო „უბატონო მონა“]
I. მონა, რომელსაც დროებით არ ჰყავდა ბატონი

sessio [სე´სსიო „სხდომა, დიდხანს ყოფნა“] სესია
I სხდომა – dies sessionum – სხდომათა დღე (დღეები)
II. წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის ორგანიზაციული ფორმა. „საქართველოს პარლამენტის ადგილსამყოფლის დროებით შეცვლა სხდომის ან სესიის მოწვევის მიზნით დასაშვებია მხოლოდ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს“ (საქართველოს კონსტიტუცია – 1995, 481(2)-ე მუხლი)

III. „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტს იწვევს მორიგ სესიებზე წელიწადში არანაკლებ სამი გზობისა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი“ (კონსტიტუცია – 1922, თავი III, 32)

sestertius [*სესტე´რტიუს/სესტე´რციუს „სესტერციუსი“] სესტერციუსი
I. სესტერციუსი. **nummus s**. ვერცხლის მონეტა (2,5 ასსის (as) ღირებულების), პრინციპატის დროს ბრინჯაოს მონეტა (4 ასსის ღირებულების)

sex [სექს „ექვსი“]
I. ექვსი

sexprimi [სექსპრი´მი „ექვსი წევრი“]
I. ქალაქის საბჭოს 6 მთავარი წევრი

sextilis [სექსტი´ლის „მეექვსე თვე“]
I. მეექვსე (შემდგომ მერვე) თვე რომაული კალენდრისა, აგვისტო

sicarius [სიკა´რიუს „მკვლელი“]
I. მკვლელი, ყაჩაღი

signum [სი´გნუმ „ნიშანი“]
I. ნიშანი, ბეჭედი, დოკუმენტის ბოლოს დასმული ბეჭედი, რომელსაც ზოგჯერ ხელმოწერაც ჰქონდა (subscriptio)

silentium [*სილე´ნტიუმ/სილე´ნციუმ „სიჩუმე“]
I. 1. სიჩუმე, დუმილი; 2. უმოქმედობა

silva [სი´ლვა „ტყე“]
I. ტყე, ბაღი, განკუთვნილი შეშის მოსაპოვებლად

simplex, simplicis [სი´მპლექს „მარტივი“]
I. უბრალო, მარტივი, ერთმაგი

simplicitas [*სიმპლიკი´ტას/სიმპლიცი´ტას „უბრალოება“, „სისადავე“]
I. უბრალოება, სიცხადე

simulatio, -onis [*სიმულა´ტიო/სიმულა´ციო „დამსგავსება“, „თავის მოჩვენება“] სიმულაცია
I. თავის მოჩვენება
II. 1. რისამე მოგონება, ვისიმე მოტყუების მიზნით. „სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ავადმყოფობის სიმულაციით ან სხვაგვარად მოტყუებით“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, 390-ე მუხლი); 2. იმიტაცია. „სკოლაში სწავლების ფორმებია: სემინარი, სასამართლო პროცესის სიმულაცია, დისკუსია...“ (საქართველოს კანონი იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ – 2005, 21-ე მუხლი)
III. „სამხედრო მსახურის მიერ სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებისაგან თავის არიდება თავისთვის რაიმე ვნების მიყენებით ან ავადმყოფობის სიმულაციით ან ყალბი დოკუმენტის გაკეთებით ან და სხვაგვარი მოტყუებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – 1928, დანართები, დებულება სამხედრო დანაშაულთა შესახებ, სსრ კავშირის ც.ა.კ-ის და ს.კ.ს-ოს 1927 წ. ივლისის 27 დადგ., 12ა; გვ. 207)

singulare ius [სინგულა´რე ი´უს „ცალკეული სამართალი“]
I. კანონმდებლობა, რომელიც უპირატესობას ანიჭებდა მხოლოდ ერთ პირს ან გარკვეული კატეგორიის პირებს, განსაკუთრებით მეომრებს

singularis [სინგულა´რის „ცალკეული“, „ერთეული“]
I. ცალკეული

sobrinus [სობრი´ნუს „გარებიძაშვილი“]
I. sobrini გარებიძაშვილები

societas, -tatis [*სოკიე´ტას/სოციე´ტას „ამხანაგობა“]
I. ამხანაგობა, ამხანაგობის ხელშეკრულება, ქონების ან შრომის გაერთიანება ორი ან მეტი პირისა საერთო სარგებლობისათვის

socius [*სო´კიუს/სო´ციუს „საერთო“, „ამხანაგი“, „თანამონაწილე“]
I. ამხანაგი, თანამოაზრე 1. რომელიმე საზოგადოების ან კოლეგიის წევრი; 2. რომის მოკავშირე

sodales [სოდა´ლეს „ამხანაგები“, „ამხანაგობის წევრები“]
I. ძმობის წევრები

sodalicia [*სოდალი´კია/სოდალი´ცია „ძმობა“]
I. ძმობა, საკულტო კოლეგია, შემდგომში საზოგადოებები, რომლებიც ეწეოდნენ პოლიტიკურ აგიტაციას

sodalicia Augustales [*სოდალი´კია/სოდალი´ცია აუგუსტა´ლეს „ავგუსტუსის კულტის ქურუმთა კოლეგია“]
I. ავგუსტუსის კულტის ქურუმთა კოლეგია

solarium [სოლა´რიუმ „მიწის გადასახადი“]
I. მიწის გადასახადი

solidare [სოლიდა´რე „შემჭიდროება“]
I. შეკვრა, შეერთება
III. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკა, იცავს რა ყველა ქვეყნის და ეროვნების მშრომელთა სოლიდარობას, ანიჭებს ყველა პოლიტიკურ უფლებას უცხოელებსაც...“ (კონსტ. – 1922, თავი I, 8)

solidaris [სოლიდა´რის „განმტკიცებული, გამაგრებული“] სოლიდარული
II., III. 1. სოლიდარული ვალდებულება – ვალდებულება, რომლის მთლიანი შესრულებაც მოვალეებს ეკისრებათ ინდივიდუალურად. „სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 464-ე მუხლი); 2. სოლიდარული კრედიტორები – კრედიტორები, რომლებსაც ინდივიდუალურად ერთჯერადად შეუძლიათ მოსთხოვონ მოვალეს მთლიანი ვალდებულების შესრულება. „ერთ-ერთი სოლიდარული კრედიტორისათვის ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს მოვალეს დანარჩენი კრედიტორების წინაშე ვალდებულებისაგან“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 458-ე მუხლი); 3. სოლიდარული მოვალეები – მოვალეები, რომლებისგანაც კრედიტორებს ინდივიდუალურად ერთჯერადად შეუძლიათ მოითხოვონ მთლიანი ვალდებულების შესრულება. „ვალის პატიების შედეგები სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის“

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 449-ე მუხლი); 4. „სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ“ (მეწარმეთა შესახებ კანონი – 1994, 20(1)-ე მუხლი)

sollemnis [სოლლე´მნის „ყოველწლიური“, „რეგულარული“]
I. 1. რეგულარული (გადასახადები); 2. კანონიერი **ius s**.-e; 3. ფორმალური, საზეიმო

solum [სო´ლუმ „მიწა“, „ნიადაგი“, მიწის ნაკვეთი“]
I. მიწა

solum vertere [სო´ლუმ ვე´რტერე „მიწის შეცვლა“]
I. გადასახლება, რაც იწვევდა მოქალაქეობის დაკარგვას

solutio, -onis [*სოლუ´ტიო/სოლუ´ციო „გათავისუფლება“]
I. მოვალის გათავისუფლება ფორმალური აქტით ვალდებულებისგან, იმის საპირისპიროდ, რის საფუძველზეც წარმოიშვა ვალდებულება

solvendo esse [სოლვე´ნდო ე´სსე „გადახდის უნარიანობა“]
I. გადახდისუნარიანობა

solvere [სო´ლვერე „დახსნა“, „გათავისუფლება“]
I. გაუქმება, ვალის დაფარვა

solvere legibus [სო´ლვერე ლე´გიბუს „კანონებიდან ამოღება“]
I. სენატის გადაწყვეტილებით, რომელიმე შემთხვევის ამოღება კანონის მოქმედების სფეროდან

soror [სო´რორ „და“]
I. და, ასევე დედინაცვალი, რომელიც იძენდა ქმრის (ოჯახის უფროსის) შვილებთან მიმართებით დის სტატუსს

sors, sortis [სო´რს „წილი“]
I. წილისყრა. მას ხშირად მიმართავდნენ სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს თანაბარ მხარეებს შორის

specialis [*სპეკია´ლის/სპეცია´ლის „განსაკუთრებული“, „კერძო“]
I. განსაკუთრებული, სპეციალური
II. 1. „სპეციალური პროფესიული განათლება – განათლება, რომლის მიზანია პირის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება“ (საქართველოს კანონი სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ – 2011, მე-3(ა) მუხლი); 2. „სპეციალური პროფესიული მომზადება – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ან/და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების საქმიანობის სფეროში ძირეული სპეციალური პროფესიული ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების გამომუშავება“ (საქართველოს კანონი სპეციალური პროფესიული განათლების შესახებ – 2011, მე-3(ე) მუხლი)

III. „ჰქმნის აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეთა სპეციალურ კომიტეტებს და მთავარ სამმართველოებს“ (კონსტიტუცია – 1937, 48(ე)-ე მუხლი)

species [*სპე´კიეს/სპე´ციეს „გარეგნული ფორმა“, „სახე“]
I. სახე, ფორმა, nova **s**. ახალი ნივთი, რომელსაც აქვს სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური დანიშნულება იმ ნივთთან შედარებით, რომლისგანაც ის აღმოცენდა. specificatio სხვისი მასალის გადამუშავება მისგან ახალი ნივთის მიღების მიზნით. საბინელების შეხედულებით, ძველი ნივთის მფლობელი ახლის მესაკუთრედაც ითვლებოდა, პროკულიანელები მიიჩნევდნენ, რომ ახალი ნივთი ეკუთვნოდა მის შემქმნელს

spectabilis [სპეკტა´ბილის „დიდებული“]
I. დიდებული. დომინატის დროს საპატიო ტიტული უმაღლესი თანამდებობის პირთათვის სენატორთა წოდებიდან

speculatio [*სპეკულა´ტიო/სპეკულა´ციო „დაზვერვა, ჭვრეტა“] სპეკულაცია
I. დაზვერვა, ჭვრეტა
III. „კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და საბოტაჟთან საბრძოლველად, როგორც ქალაქ ტფილისში, აგრეთვე მთელ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი ა/წ თებერვლის 25-ე დადგენილების თანახმად აარსებს საქართველოს საგანგებო-საგამოძიებო კომისიას“ (ბრძანება 2 საქ. სსრ რევ.კომიტეტის საგანგებო-საგამოძიებო კომისიის დაარსების შესახებ §1 აქტები 1921-1978, I, გვ. 19)

spes [სპეს „იმედი“]
I. მომავლის იმედი

sponsalia [სპონსა´ლია „ნიშნობა“]
I. დანიშვნა, დაქორწინების ურთიერთპირობა. რესპუბლიკურ ხანაში მხარე, რომელიც დაარღვევდა საქორწინო პირობას, ვალდებული იყო აენაზღაურებინა ზიანი (actio ex sponsu). კლას. ხანაში ნიშნობა არაფორმალურ აქტად ითვლებოდა და არაფერს არ ავალდებულებდა მხარეებს

sponsio, -onis [სპო´ნსიო „ფიცის დადება“]
I. ფიცის დადება 1. stipulatio-ს პირველადი ფორმა, იგი მხოლოდ რომ. მოქალაქეებისათვის იყო დასაშვები; **s**. ეხებოდა ზუსტად განსაზღვრულ თანხას, ნივთს ან საქმიანობას; 2. თავდებობა რომ. მოქალაქისა სტიპულაციური ვალისთვის; 3. ხერხი, რომლითაც რომ. მხედართმთავარი საკუთარი პასუხისმგებლობით ზავს დებდა მტერთან

sponsio poenalis [სპო´ნსიო პენა´ლის „ჯარიმის დაპირება“]
I. დაპირება მოწინააღმდეგე მხარისთვის განსაზღვრული თანხის გადახდისა ჯარიმის სახით ვალდებულების შეუსრულებლობისას

sponsor [სპო´ნსორ „თავდები“] სპონსორი
I. სპონსორი, თავდები

sportula [სპო´რტულა „კალათი საჩუქრებისათვის“]

I. ჯილდო თანამდებობრივი საქმიანობისათვის, რომელსაც აძლევდნენ დაბალი რანგის სასამართლოს მუშაკებს

SPQR [*შემ.* სენა´ტუს პოპულუ´ს კვე რომა´ნუს „სენატი და რომაელი ხალხი“]
I. ოფიციალური შემოკლებული სახელწოდება რომ. სახ.-სი

spurius [სპუ´რიუს „უკანონოდ შობილი“]
I. უკანონოდ შობილი ბავშვი, ნათესაურად მხოლოდ დედასთან და არა მამასთან დაკავშირებული. თუ დედა რომ. მოქალაქე იყო, **s**. ხდებოდა რომ. მოქალაქე

stabularius [სტაბულა´რიუს „მეფუნდუკე“]
I. მეფუნდუკე. ფუნდუკის, დუქნის (მათ შორის საჯინიბოს) პატრონი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მდგმურთა ნივთებზე და ცხენებზე

statio, -onis [*სტა´ტიო/სტა´ციო „ადგილი“, „სადგომი“, „სადარაჯო“]
I. სადგომი, სადარაჯო

stationarius [*სტატიონა´რიუს/სტაციონა´რიუს „სასაზღვრო დაცვის ჯარისკაცი“]
I. პოლიციელი, რომელიც წესრიგს იცავდა გარკვეულ მონაკვეთში

stationes ius docentium et respondentium [*სტატიო´ნეს/სტაციო´ნეს ი´უს *დოკე´ნტიუმ/დოცე´ნტიუმ ეტ *რესპონდე´ნტიუმ/რესპონდე´ნციუმ „მუდმივი ადგილსამყოფი მასწავლებელთა და მოპასუხეთათვის“]
I. მუდმივი სადგომი იურისტებისა, სადაც ისინი ასწავლიდნენ და კონსულტაციას აძლევდნენ

statores [სტატო´რეს „მეომრები“]
I. იმპერიის დროს – განსაკუთრებულ ქვედანაყოფთა მეომრები დედაქალაქში, ასევე წვრილი მოხელენი, პოლიციური ფუნქციით აღჭურვილნი

statuliber [სტატუ´ლიბერ „თავისუფლების მიმღები მონა (ანდერძის თანახმად)“]
I. მონა, რომელმაც თავისუფლება მიიღო ანდერძის თანახმად გარკვეული პირობით

status [სტა´ტუს „მდგომარეობა“, „სტატუსი“] სტატუსი
I. სტატუსი, მდგომარეობა
II. იურიდიული ან ფიზიკური პირის, ორგანიზაციის, ორგანოს, თანამდებობის პირის და ა.შ. სამართლებრივი მდგომარეობა. „საქართველოს კანონი ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ (2011)
III. „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხთა გადაწყვეტა, ავტონომიური ფორმირების სტატუსის შეცვლის ან გაუქმების, ახალი ავტონომიური ფორმირების შექმნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით“ (კონსტ. – 1978 7, 72(3)-ე მუხლი)

status civitatis [სტა´ტუს *კივიტა´ტის/ცივიტა´ტის „სახელმწიფოს მდგომარეობა“]
I. რომის მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობა

status familiae [სტა´ტუს ფამი´ლიე „ოჯახური მდგომარეობა“]
I. ოჯახური მდგომარეობა: ოჯახის უფროსი, თუ ოჯახის რიგითი წევრი

status hominis, status personae [სტა´ტუს ჰო´მინის, სტა´ტუს პერსო´ნე „ადამიანის სტატუსი, პიროვნების მდგომარეობა“]
I. ცალკეულ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში, მათი უფლება-მოვალეობების ერთობლიობა

status libertatis [სტა´ტუს ლიბერტა´ტის „თავისუფლების მდგომარეობა“]
I. თავისუფლების მდგომარეობა

stellionatus [სტელლიონა´ტუს „თაღლითობა“]
I. თაღლითობა

stimulus [სტი´მულუს „სტიმული“, „წახალისება“] სტიმული
I. სტიმული
III. „სახელმწიფო ერთმანეთს უხამებს მატერიალურ და მორალურ სტიმულებს, ახალისებს ნოვატორობას...“ (კონსტ. – 1978, მე-14 მუხლი)

stipendium [სტიპე´ნდიუმ „ჯამაგირი“, „სამხედრო სამსახური“] სტიპენდია
I. 1. ჯამაგირი, რომელსაც უხდიდნენ მეომრებს ძვ.წ. V ს.-დან; 2. გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ დამორჩილებული ქალაქები და ქვეყნები
II. ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა, რომელიც ეძლევათ მოსწავლეებს, სტუდენტებს, მეცნიერებს და ა.შ. „საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ (2005)
III. „ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო-სავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, – უმაღლესი განათლების ჩათვლით, უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით“ (კონსტიტუცია – 1937, 134-ე მუხლი)

stipulatio, -onis [*სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო „პირობის დათქმა“, „ხელშეკრულება“] სტიპულაცია
I. სტიპულაცია, ფორმალური, აბსტრაქტული ზეპირი კონტრაქტი

stipulatio aliquem sisti [*სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო ა´ლიკვემ სი´სტი „სტიპულაცია, დაპირება ვინმეს მიყვანისა“]
I. სტიპულაცია, რომლის ძალითაც გარანტორი კისრულობდა ვალდებულებას, რომ განსაზღვრულ დღეს მოპასუხეს მოიყვანდა სასამართლოში

stipulatio duplae [*სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო დუ´პლე „სტიპულაცია ორმაგად გადახდისა“]
I. გამყიდველის სტიპულაცია მყიდველისთვის ფასის ორმაგად გადახდის შესახებ, თუ მოხდებოდა მესამე პირის მიერ გაყიდული ნივთის evictio

stipulatio habere licere, stipulatio rem h. l. [*სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო ჰაბე´რე *ლი´კერე/ლი´ცერე, *სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო რემ ჰაბე´რე *ლი´კერე/ლი´ცერე „გარანტია ნივთის ფლობისა“]
I. გამყიდველის გარანტია, რომ მყიდველს ნივთის ფლობასა და სარგებლობაში არ ექნება არავითარი შეფერხება

stipulatio poenae [*სტიპულა´ტიო/სტიპულა´ციო პე´ნე „სასჯელის სტიპულაცია“]
I. სტიპულაცია საპირგასამტეხლოს გადახდის შესახებ, თუ მოვალე არ შეასრულებდა სათანადოდ ნაკისრ ვალდებულებას

stipulationes praetoriae [*სტიპულატიო´ნეს/სტიპულაციო´ნეს პრეტო´რიე „საპრეტორო სტიპულაციები“]
I. სტიპულაციები, რომელთა ძალითაც პირი საკუთარ თავზე დაუყოვნებლივ იღებდა ვალდებულებას, რომლის შესრულების პირობაც მომავალში დგებოდა. იუსტინ.-ის სამართლის მიხედვით, მსგავსი სტიპულაცია ბათილი იყო

stirps, stirpis [სტი´რპს „მუხლი“, „ფესვი“, „თაობა“]
I. ერთი წინაპრიდან წარმომავალი პირდაპირი ხაზის შთამომავლები; ნათესაური კავშირი, უფრო ვიწრო, ვიდრე gens-ი, მაგრამ უფრო ფართო, ვიდრე არის familia

strangulatio, -onis [*სტრანგულა´ტიო/სტრანგულა´ციო „ჩამოხრჩობა“]
I. ჩამოხრჩობა, დასჯის ფორმა ციხეში, მარყუჟით ჩამოხრჩობა, რომელიც პრინციპატის დროს გაუქმდა

strictus [სტრი´ქტუს „მკაცრი“, „ზუსტი“]
I. მკაცრი, ზუსტი

structura [სტრუკტუ´რა „ნაგებობა, „განლაგება“, „წესი“] სტრუქტურა
I. აგებულება, განლაგება, წესი
II. რისამე შემადგენელი ნაწილების ურთიერთმიმართება, აღნაგობა, წყობა. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურა და მოსამსახურეთა შტატები მტკიცდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად“ (საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ – 1997, მე-10(1) მუხლი)
III. „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციათა შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები და სხვა სტრუქტურული ქვეგანაყოფები“ (საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ, კარი I, საქ. სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონი, კარი IV, მუხლი 78, საქ. კან., VI, გვ. 111)

studens, studentis [სტუ´დენს, „მოსწავლე“, „ვინც სწავლობს“] სტუდენტი
I. მოსწავლე, შემსწავლელი, სტუდენტი
II. უმაღლესი სასწავლებლის (ან ტექნიკუმის) მოსწავლე. „სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს...“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ – 2004, მე-17(4) მუხლი)
III. „სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის“ (კონსტიტუცია – 1978 (1991 მდგ.), II, თავი 6, მუხლი 43)

studium [სტუ´დიუმ „ცდა“, „მცდელობა“, „სიბეჯითე“]
I. სწავლა, მეცადინეობა; ითვლებოდა საპატიო მიზეზად სადმე გამოუცხადებლობის დროს

studium liberale [სტუ´დიუმ ლიბერა´ლე „თავისუფალი საქმიანობა“]
I. ინტელექტუალური პროფესია, რომელიც კეთილშობილურ საქმიანობად ითვლებოდა. ამ რანგს მიეკუთვნებოდა ორატორის, ექიმის და სხვ. საქმიანობა

stuprum [სტუ´პრუმ „სირცხვილი“, „გარყვნილება“]
I. მამაკაცის სქესობრივი კავშირი მეტ-ნაკლებად წარჩინებული წარმოშობის გაუთხოვარ ქალთან, სახალხო დელიქტად ითვლებოდა

subhastatio, -onis [*სუბჰასტა´ტიო/სუბჰასტა´ციო „საჯარო ვაჭრობით გაყიდვა“]
I. საჯარო ვაჭრობით გაყიდვა; სინ. venditio sub hasta

subiectus [სუბიე´კტუს „სუბიექტი“] სუბიექტი
I. სუბიექტი, დაქვემდებარებული
II. პირი, რომელსაც კანონით ენიჭება უფლებები და ვალდებულებები. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები“ (საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ – 1998, 33-ე მუხლი)
III. „უფლების სუბიექტი“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი – 1923, ზოგადი დებულებანი, თავი I, 13; გვ. 13)

sublocatio, -onis [*სუბლოკა´ტიო/სუბლოკა´ციო „სუბარენდა“]
I. ქვექირავნობის, ქვეიჯარის ხელშეკრულება

submissio, -onis [სუბმი´სსიო „დაწევა“, „შეცვლა“]
I. ჯოგის რაოდენობის შევსება მოზარდი საქონლის ხარჯზე

subpignus, -oris [სუბპი´გნუს „გირაოს გირაო“]
I. მოგირავნის მიერ დაგირავებული ნივთის ხელახალი დაგირავება საკუთარი ვალდებულების უზრუნველსაყოფად

subscriptio, -onis [*სუბსკრი´პტიო/სუბსკრი´პციო „ხელმოწერა“, „სუბსკრიფცია“] სუბსკრიფცია
I. 1. სუბსკრიფცია, ხელმოწერა; 2. წერილობითი ან ზეპირი ბრალდება, რომელიც იწერებოდა კომპეტენტური ორგანოს ოფიციალურ დოკუმენტებში და რომელსაც ხელს აწერდა ბრალმდებელი; 3. ჯარისკაცებში საკვების განაწილების შესახებ დოკუმენტების ხელმოწერა ოფიციალური პირის მიერ

subseciva [*სუბსეკი´ვა/სუბსეცი´ვა „ჩამონაჭრები“]
I. ჩამონაჭრები, სახ. მიწების ნარჩენები adsignatio-ს შემდეგ. მხოლოდ დომიციანუსმა გადააქცია ისინი ager privatus-ად

subsellium [სუბსე´ლლიუმ „სავარძელი“, „სკამი“]
I. 1. სავარძელი მოსამართლისა, მოსარჩელის, მოპასუხისა და იურისტებისათვის, ასევე სახალხო ტრიბუნებისა და ედილებისთვის; 2. სასამართლო, სასამართლო წარმოება

subsidium [სუბსი´დიუმ „დახმარება“] სუბსიდია
I. სუბსიდია, დახმარება
II. „სახელმწიფო დახმარება (სუბსიდია) – ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებული ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს გადასახადისაგან განთავისუფლებას, გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურიზაციას, სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას, საოპერაციო აქტივების გადაცემას, ფულადი დახმარების გაწევას, მოგების მიღების გარანტიას და სხვა ექსკლუზიური უფლებების მინიჭებას...“ (საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ – 2012, მე-3(ს) მუხლი)
III. „სახელმწიფო, ცალკეულ შემთხვევაში, საერთო სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ახდენს უახლესი მეცნიერული მიღწევებისა და ტექნოლოგიების იმპორტის სუბსიდირებას, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის შეღავათიან დაკრედიტებასა და მიზნობრივი დოტაციების მეშვეობით მის ნაწილობრივ სუბსიდირებას“ (საქართველოს კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ – 1994, 22(2)-ე მუხლი)

subsignatio, -onis [*სუბსიგნა´ტიო/სუბსიგნა´ციო „ხელმოწერა“] სუბსიგნაცია
I. ხელმოწერა 1. ნაწილობრივ subscriptio-ს სინ.-ი; 2. თავდებობა საკუთარი მამულით რაიმე საიჯარო ვალდებულებებისათვის

subsortitio, -onis [*სუბსორტი´ტიო/სუბსორტი´ციო „კენჭისყრით არჩევა“]
I. კენჭისყრით მოსამართლის არჩევა (დამატებით) სისხლის სამართლის საქმეებზე

substantia [*სუბსტა´ნტია/სუბსტა´ნცია „არსი“, „სუბსტანცია“] სუბსტანცია
I. სუბსტანცია 1. ნივთიერება, მასალა, რისგანაც შედგებოდა ნივთი; 2. ნივთის თვისება, რომელიც განსაზღვრავდა მის სამეურნეო დანიშნულებას; 3. ქონება

substitutio, -onis [*სუბსტიტუ´ტიო/სუბსტიტუ´ციო „შეცვლა“] სუბსტიტუცია
I. სუბსტიტუცია სათადარიგო მემკვიდრის მიერ პირველი რიგის მემკვიდრის ჩანაცვლება იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა მემკვიდრეობაზე

substitutio pupillaris [*სუბსტიტუ´ტიო/სუბსტიტუ´ციო პუპილლა´რის „სუბსტიტუცია ობლის მემკვიდრეობისა“]
I. მამის მიერ შვილთან ერთად დასახელებული მემკვიდრე, რომელიც მემკვიდრეობას შვილის სრულწლოვანების მიღწევამდე მიიღებდა შვილის გარდაცვალების შემთხვევაში

substitutio quasi pupillaris [*სუბსტიტუ´ტიო/სუბსტიტუ´ციო *კვა´სი/კვა´ზი პუპილლა´რის „სუბსტიტუცია თითქოს ობლის მემკვიდრისა“]
I. მამის მიერ შვილთან ერთად დასახელებული მემკვიდრე, რომელიც მემკვიდრეობას მიიღებდა იმ შემთხვევაში, თუ მამკვიდრებლის სულიერად დაავადებული შვილი ვერ განიკურნებოდა

subventio [*სუბვე´ნტიო/სუბვე´ნციო „დახმარება“] სუბვენცია
I. სუბვენცია, დახმარება
II. „სუბვენცია – განსაზღვრული ოდენობის მიზნობრივი ფულადი დახმარება, რომელსაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გამოყოფს შესაბამისი ღონისძიების ან/და ობიექტის დასაფინანსებლად“ (საქართველოს კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ – 2002, მე-3(1)(ი) მუხლი)
III. „საბიუჯეტო მიზნობრივ გადასახდელებს განეკუთვნება: ...დ) სახელმწიფო სატრანსპორტო პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით, ადგილობრივი ტრანსპორტის ტექნიკური გადაიარაღების, მისი განვითარების გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებისკენ მიმართული სახსრები (სუბვენციები)“ (საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანება №34 -2000, მე-17(6)(დ) მუხლი)

successio, -onis [*სუკკე´სსიო/სუკცე´სსიო „მემკვიდრეობით გადაცემა“] სუკცესია
I. მემკვიდრეობა, უფლებამონაცვლეობა

suffragator [სუფფრაგა´ტორ „მხარდამჭერი არჩევნებში“]
I. სუფრაგატორი, ვინმეს მხარდამჭერი არჩევნების დროს

suffragium [სუფფრა´გიუმ „საარჩევნო ხმა“]

I. 1. საარჩევნო ხმა კომიციებზე, ასევე არჩევნები და საარჩევნო სამართალი; 2. დომინატის დროს: იმპერატორისთვის ან უმაღლესი თანამდებობის პირისთვის ამა თუ იმ კანდიდატის რეკომენდაცია რაიმე თანამდებობის დასაკავებლად

sui [სუ´ი „თავისიანები“]
I. უახლოესი მეგობრები, ნათესავები. უ.ყ. ის პირები, რომლებიც ერთი პატრონის სახლში ცხოვრობდნენ და მის ნებას ემორჩილებოდნენ

suicidium [*სუიკი´დიუმ/სუიცი´დიუმ „თვითმკვლელობა“] სუიციდი
I. სუიციდი. დანაშაულში ბრალდებულის **s**. განიხილებოდა როგორც ბრალის აღიარება; მეომრის მიერ თვითმკვლელობის მცდელობა სიკვდილით ისჯებოდა
II., III. თვითმკვლელობა. „საქართველოში მიმდინარე სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა ადამიანის საზოგადოებასთან დამოკიდებულებისა და ადაპტაციის პრობლემები, რომელთაგანაც პირველ რიგში წარმოჩინდა ისეთი მძიმე ფსიქო-სოციალური ფენომენები, როგორიცაა: აგრესიული ტენდენციები, მიდრეკილება სუიციდისაკენ ...“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №496 – 1999)

summus [სუ´მმუს „უმაღლესი“]
I. უმაღლესი, უკიდურესი, მნიშვნელოვანი

sumptus [სუ´მპტუს „დანახარჯი“]
I. ხარჯი. სინ. impensae 1. ყველანაირი სახის ხარჯი; 2. მეტისმეტი ხარჯები ფუფუნებით ცხოვრებისათვის, რის წინააღმდეგაც მრავალი კანონი იბრძოდა

sumptus litis [სუ´მპტუს ლი´ტის „სასამართლო დავის ხარჯი“]
I. პროცესუალური ხარჯი, რომელსაც იხდიდა წაგებული მხარე

super(us) [სუ´პერუს „ზემო“, „ზედა“, „ზეციური“]
I. უმაღლესი

superficiarius [*სუპერფიკია´რიუს/სუპერფიცია´რიუს „სხვის მიწაზე მყოფი სუპერფიციარიუსი“]
I. სხვისი მიწის მოიჯარე, რომელსაც პრეტორი ანიჭებდა დაცვას მესამე პირებისაგან

superficies [*სუპერფი´კიეს/სუპერფი´ციეს „ზედაპირი“]
I. ზედაპირი. 1. ყველაფერი, რაც მიწასთან მყარადაა დაკავშირებული: მცენარეები, შენობები; 2. სხვის მიწის ნაკვეთზე ნაგებობის ქონის უფლება

superfluum [სუპე´რფლუუმ „ნარჩენი“]
I. დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული ქონების გაყიდვისა და ვალდებულების შესრულების შემდეგ დარჩენილი თანხა

superfluus [სუპე´რფლუუს „ზედმეტი“]
I. ნამეტი, გადაჭარბებული

superi (dii) [სუ´პერი (დი´ი) „უზენაესნი“, „ღმერთები“]
I. ღმერთები

superindictio, -onis [*სუპერინდი´კტიო/სუპერინდი´კციო „დამატებითი გადასახადი“]

I. დამატებითი გადასახადი. დომინატის დროს – საგანგებო გადასახადი, რომლის გადახდა ხდებოდა ძირითადად ომის დროს ან როცა ნორმალური გადასახადები არ იყო საკმარისი

superior [სუპე´რიორ „უფრო მაღალი“]
I. უფრო მაღალი (წოდების)

superstitio, -onis [*სუპერსტი´ტიო/სუპერსტი´ციო „ცრურწმენა“]
I. ცრურწმენა, არარომაული რელიგიური კულტი (**s.** externa)

supplicatio, -onis [*სუპლიკა´ტიო/სუპლიკა´ციო „სამადლობელი ან შესავედრებელი ლოცვა“]
I. სინ. preces-ის, პირადი მიმართვა იმპერატორისადმი რაიმე სადავო საკითხის გადასაწყვეტად

supplicium [*სუპლი´კიუმ/სუპლი´ციუმ „მუხლმოდრეკილი ვედრება“]
I. სასჯელი, დასჯა (სიკვდილით)

supprimere [სუპრი´მერე „შეჩერება“]
I. შეჩერება, შეფასება, დაფარვა

supprimere servum alienum [სუპრი´მერე სე´რვუმ ალიე´ნუმ „სხვისი მონის შეჩერება“]
I. სხვისი მონის შეფარება

supprimere tabulas (supprimere testamentum) [სუპრი´მერე ტა´ბულას, (სუპრი´მერე ტესტამე´ნტუმ) „ანდერძის შეჩერება“]
I. ანდერძის დამალვა

suprema voluntas [სუპრე´მა ვოლუ´ნტას „უკანასკნელი სურვილი“]
I. უკანასკნელი ნება

supremus [სუპრე´მუს „უზენაესი, უკანასკნელი“]
I. უზენაესი, უკანასკნელი

surdus [სუ´რდუს „ყრუ“]
I. ყრუ, ისევე როგორც mutus-ი, შეზღუდული უფლებაუნარიანი იყო

surrogatio < subrogatio [*სურროგა´ტიო/სურროგა´ციო „ვინმეს მაგივრად არჩევა, შენაცვლება“] სუროგაცია
I. შენაცვლება
II., III. დაგირავებული მოთხოვნის უფლების ჩანაცვლება შესრულებით. „სუროგაცია“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 264-ე მუხლი)

surrogatum < subrogatum [სურროგა´ტუმ „შესწორებული, შენაცვლებული“] სუროგატი
I. შევსებული – lex subrogata *Dig*. შევსებული კანონი
II. სუროგატი დედა – ქალი, რომელიც წყვილისთვის ხელოვნურად განაყოფიერებულ ემბრიონს მუცლით ატარებს. „თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით ...“ (საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ – 1997, 143(1)(ბ)-ე მუხლი)

III. რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს. „რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიერ ყოველგვარი სესხის, ობლიგაციისა და სხვა სახის ფასიანი ქაღალდისა, აგრეთვე ბინისა და სხვა ფულადი სუროგატის გამოშვება გამოიწვევს...“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი – 1928, კერძო ნაწილი, თავი II, მმართველობის წესის საწინააღმდეგო დანაშაული, 70[2])

suspendere [სუსპე´ნდერე „დაკიდება“, „ჩამოკიდება“]
I. ჩამოხრჩობა, დასჯის ფორმა, რომელსაც იყენებდა ბატონი თავისი მონის მიმართ

suspensae res [სუსპე´ნსე რეს „გადმოკიდებული ნივთები“]
I. გადმოკიდებული ნივთები

suspensus [სუსპე´ნსუს „დამოკიდებული“]
I. დამოკიდებული, განუსაზღვრელი, განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა

suspicio, -onis [*სუსპი´კიო/სუსპი´ციო „ეჭვი“]
I. ეჭვი. ტრაიანუსის თანახმად, მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე დადანაშაულება არ შეიძლებოდა

suus [სუ´უს „თავისი“, „მისი“]
I. თავისი, მისი

syndicus (*ბერძნ.*)[სი´ნდიკუს „რწმუნებული“, „სინდიკი“]
I. სინდიკი, დამხმარე სასამართლო პროცესზე. სინ. actor-ის, საზოგადოების წარმომადგენელი, რწმუნებული

syngrapha (*ბერძნ.*) [სინგრა´ფა „წერილობითი დოკუმენტი“]
I. სინგრაფა, წერილობითი დოკუმენტი, თამასუქი ორ ეგზემპლარად, საგადასახადო ვალდებულება, რომელიც კლას. სამართალში განიხილებოდა როგორც litterarum obligatio პერეგრინებსა და რომაელებს შორის

Synopsis Basilicorum (*ბერძნ.*) [სინო´პსის *ბასილიკო´რუმ/ბაზილიკო´რუმ „კრებსი ბაზილიკიდან“]
I. ბაზილიკის კრებსი, ანბანურ რიგზე გაწყობილი მოკლე სტატიების კრებული, შედგენილი X ს.-ში. მნიშვნელოვანია იმით, რომ ავსებდა Basilica-ს ნაკლოვან ნაწილებს

T

tabellae ceratae [ტაბე´ლლე *კერა´ტე/ცერა´ტე „გასანთლული დაფები“]
I. გასანთლული დაფები, გამოიყენებოდა ოჯახური ჩანაწერებისთვის

tabellae nuptiales [ტაბე´ლლე *ნუპტია´ლეს/ნუპცია´ლეს „საქორწინო დაფები“]
I. გასანთლული დაფები, გამოიყენებოდა საქორწინო ხელშეკრულებებისათვის
III. გაკოტრების ტაბულა – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია გაკოტრებული საწარმოს კრედიტორთა მოთხოვნების მოცულობა და მათი დაკმაყოფილების

რიგითობა. „გაკოტრების ტაბულა“ (საქართველოს კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ – 1996, მე-18 მუხლი)

tabellio, -onis [ტაბე´ლლიო „ტაბელიონი“, „ნოტარიუსი“]
I. ტაბელიონი, ნოტარიუსი, პირადი მდივანი, რომელიც გარკვეული საზღაურის ფასად ამზადებდა საჭირო წერილობით დოკუმენტებს

taberna [ტაბე´რნა „ქოხი“, „დუქანი“]
I. ტაბერნა, სახელოსნო, ფარდული, გადასახურდავებელი ფარდული (**t.** argentaria)

tabula [ტა´ბულა „დაფა“]
I. ტაბულა, საწერი დაფა

tabulae publicae [ტა´ბულე *პუ´ბლიკე/პუ´ბლიცე „საჯარო ტაბულები“]
I. საჯარო ტაბულები (დაფები), რომლებზედაც იწერებოდა ოფიციალური უწყებები, კანონები და სხვ.

tabularium [ტაბულა´რიუმ „დოკუმენტების კრებული“, „არქივი“]
I. არქივი, დოკუმენტების კრებული. მას განაგებდა ტაბულარიუსი (tabularius)

tacere [*ტაკე´რე/ტაცე´რე „ჩუმად ყოფნა“, „გაჩუმება“]
I. დუმილი

tacere consensus [*ტაკე´რე/ტაცე´რე კონსე´ნსუს „თანხმობის დუმილი“]
I. დუმილით თანხმობა

talio, -onis [ტა´ლიო „შურისგება“]
I. შურისძიება, პირადი შურისძიება

taxatio, -onis [*ტაქსა´ტიო/ტაქსა´ციო „ტაქსაცია“, „შეფასება“] ტაქსაცია
I. ტაქსაცია, უმაღლესი თანხის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მოპასუხეს

telum [ტე´ლუმ „ისარი“, „შუბი“, „მახვილი“]
I. სატყორცნი იარაღი

templum [ტე´მპლუმ „ტაძარი“]
I. ტაძარი, წმინდა ადგილი (სადაც ავგურები ახდენდნენ დაკვირვებას)

tempus, -oris [ტე´მპუს „დრო“, „ვადა“]
I. დრო, ვადა. განსაზღვრულ პირობებში გადამწყვეტი ელემენტი უფლების ვალდებულების ან ქმედუნარიანობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის თვალსაზრისით

tempus ad deliberandum [ტე´მპუს ად დელიბერა´ნდუმ „მოსაფიქრებელი დრო“]
I. მოსაფიქრებელი ვადა

tempus iudicati [ტე´მპუს იუდიკა´ტი „დრო განსჯისათვის“]
I. თავდაპირველად 30 დღიანი ვადა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის

tenere [ტენე´რე „ფლობა“]
I. ფლობა

tenere iuris [ტენე´რე იუ´რის „კანონის არსი“]
I. კანონის არსი, სულისკვეთება

teneri [ტენე´რი „ვალდებულების ქონა“]
I. ვალდებულების ქონა

tenuis [ტე´ნუის „უმნიშვნელო“, „ხელმოკლე“]
I. უმნიშვნელო

tergiversatio, -onis [*ტერგივერსა´ტიო/ტერგივერსა´ციო „ზურგის ქცევა“, „თავის დაძვრენა“]
I. არამართალზომიერი უარი უკვე წარდგენილ სარჩელზე

terminum movere (t-i motio) [ტე´რმინუმ მოვე´რე (ტე´რმინი *მო´ტიო/მო´ციო „სასაზღვრო ნიშნის გადაწევა“]
I. სასაზღვრო ნიშნის გადაწევა ბოროტი განზრახვით

terminus [ტე´რმინუს „სასაზღვრო ქვა“, „სამანი“]
I. სასაზღვრო ნიშანი

terra [ტე´რრა „მიწა“, „ქვეყანა“]
I. მიწა, ქვეყანა

terrae motus [ტე´რრე მო´ტუს „მიწისძვრა“]
I. მიწისძვრა

territorium [ტერრიტო´რიუმ „ტერიტორია“] ტერიტორია
I. ტერიტორია, მხარე
II. 1) სახელმწიფო ტერიტორია – დედამიწის ზედაპირი, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. 2) დაცული ტერიტორია – ტერიტორია, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ბუნების დაცვითი, სამეცნიერო, კულტურული, ესთეტიკური, რეკრეაციული ან გამაჯანსაღებელი მნიშვნელობა და რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილებით სრულად ან ნაწილობრივ ამოღებულია სამეურნეო სარგებლობიდან. „საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ (2007)
III. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“ (აქტი 1918, 6)

terror [ტე´რრორ „შიში“] ტერორი > ტერორიზმი
I. შიში
II. სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებათა, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავით, განზოგადებული დასახელება. „ტერორიზმი“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – 1999, XXXVIII თავი)
III. „ამ დადგენილების 1-ელ და მე-2 მუხლში აღნიშნული შეღავათი სრულებით არ გავრცელდება იმ პირზე, რომელსაც შემდეგი დანაშაული ჩაუდენია... ან მონაწილეობა მიუღია საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეთა წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებში“ (ამნისტიის შესახებ, საქ. სსრ ცაკის 1922 წლის 7 ნოემბრის დადგენილება, 6, ქრონ. კრ. გვ. 29)

tertius [*ტე´რტიუს/ტე´რციუს „მესამე“]
I. მესამე

tessera [ტე´სსერა „კამათელი“, „ქვის ან ხის დაფა“]

I. კამათელი, ხის ან ქვის დაფა, რომელიც ადასტურებდა პიროვნების ვინაობას

tessera frumentaria [ტე´სსერა ფრუმენტა´რია „ხორბლის მისაღები დაფა“]
I. ორდერი გარკვეული რაოდენობის ხორბლეულის მისაღებად

tessera hospitalis [ტე´სსერა ჰოსპიტა´ლის „დაფა უცხოელისა“]
I. დაფა, რომელიც ადასტურებდა უცხოელის ვინაობას

tessera militaris [ტე´სსერა მილიტა´რის „სამხედრო დაფა“]
I. დაფა, რომელზედაც არის საომარი მოწოდება ან ბრძანება

testamentum [ტესტამე´ნტუმ „ანდერძი“]
I. ანდერძი

testamentum allographum [ტესტამე´ნტუმ ალლოგრა´ფუმ „სხვის მიერ დაწერილი კანონი“]
I. სხვა პირის, არა მოანდერძის მიერ დაწერილი ანდერძი, რომლის შედგენაც მოითხოვდა მოწმეების თანდასწრებას

testamentum holographum [ტესტამე´ნტუმ ჰოლოგრა´ფუმ „მეანდერძის დაწერილი ანდერძი“]
I. მოანდერძის მიერ დაწერილი ანდერძი, რომლის შედგენის დროსაც არ იყო საჭირო მოწმეების თანდასწრება

testamentum imperfectum [ტესტამე´ნტუმ იმპერფე´კტუმ „არასრულყოფილი ანდერძი“]
I. ანდერძი კანონიერი მემკვიდრეების სასარგებლოდ, არ ითხოვდა შვიდივე მოწმის დასწრებას და ყველა ფორმალობის დაცვას

testamentum militis [ტესტამე´ნტუმ მი´ლიტის „მეომრის ანდერძი“]
I. სამხედროს ანდერძი

testamentum per scripturam factum [ტესტამე´ნტუმ პერ სკრიპტუ´რამ ფა´კტუმ „ანდერძი წერილობითი“]
I. წერილობითი ანდერძი

testatio [*ტესტა´ტიო/ტესტა´ციო „ზეპირი ან წერილობითი ჩვენება“]
I. ზეპირი ან წერილობითი ჩვენება

testimonium [ტესტიმო´ნიუმ „მტკიცებულება“]
I. მტკიცებულება, განსაკუთრებით მოწმეთა ჩვენებების სახით

testimonium domesticum [ტესტიმო´ნიუმ დომე´სტიკუმ „ოჯახის წევრთა მოწმობა“]
I. ოჯახის წევრთა ჩვენებანი

testimonium per tabulas [ტესტიმო´ნიუმ პერ ტა´ბულას „წერილობითი ჩვენება“]
I. ნებაყოფლობით, სასამართლოს ფარგლებს გარეთ მიცემული ჩვენება

testimonium unius [ტესტიმო´ნიუმ უნი´უს „ერთი მოწმის ჩვენება“]
I. ერთი მოწმის ჩვენება

testis [ტე´სტის „მოწმე“]
I. მოწმე

testis idoneus [ტე´სტის იდო´ნეუს „ხელსაყრელი მოწმე“]

I. მოწმე, რომელიც აკმაყოფილებდა მოწმისთვის წაყენებულ ყველა მოთხოვნას

theatrum [თეა´ტრუმ „თეატრი“] თეატრი
I. თეატრი. ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა უფლება თეატრში შესვლისა. ვინც ამას ეწინააღმდეგებოდა, iniuria-ს ჩადიოდა, ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა შეურაცხყოფა თეატრში. პირველ რიგებში სხდომა განსაკუთრებით საპატიო იყო

thesaurus (*ბერძნ.*) [თესაუ´რუს „საგანძური“, „საუნჯე“] თესაურუსი
I. განძი, საგანძური, დიდი ხნის წინ დამარხული, როცა მისი აღმოჩენის შემდეგ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა. რომ. იურისტები სხვადასხვაგვარად წყვეტდნენ საკითხს განძის მფლობელობასთან დაკავშირებით

thesaurus linguae Latinae [თესაუ´რუს ლი´ნგვე ლატი´ნე „ლათინური ენის თესაურუსი“]
I. ლათინური ენის თესაურუსი, ვრცელი ლათ. ლექსიკონი, რომელიც მოიცავს რომ. ლიტ.-ის მთელ სალექსიკონო მარაგს ძვ. წ. IV ს.-დან

Tiberis [ტი´ბერის „ტიბერი“] ტიბერი
I. ტიბერი, მდ. რომში

tignum [ტი´გნუმ „ძელი“, „კოჭი“]
I. ძელი, მორი. XII დაფის კანონები კრძალავდა სხვისი ძელის ამოღებას, რომელიც შენობაში იყო ჩაშენებული, შემდგომ ეს კანონი გავრცელდა ყოველგვარ სამშენებლო მასალაზე

tinctura [ტინკტუ´რა „შეღებვა“]
I. ლაქი და საღებავი ეკუთვნის გალაქული ან შეღებილი ნივთის მეპატრონეს

titulus [ტი´ტულუს „წარწერა“, „ხელმოწერა“] ტიტული
I. სახელი, აღნიშვნა, საფუძველი, ტიტული, სინ. causa
II. 1. მოწმობა საწესდებო კაპიტალის წილზე. „დაუშვებელია საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების დათმობა საწესდებო კაპიტალის წილზე მოწმობის (ტიტულის) გადაცემის ან მიყიდვის და ბირჟის მართვაში უფლების გადაცემის გარეშე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ (საქართველოს კანონი სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ – 1999, მე-10(5) მუხლი); 2. საპატიო წოდება. „თავისი ამოცანების შესასრულებლად: ... კ) დარგების მიხედვით ანიჭებს წლის საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების ტიტულსა და ჯილდოებს“ (საქართველოს კანონი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ – 2007, მე-4(2)(კ) მუხლი)
III. „ხოლო ტიტლოსნი, რომელთა ჩუენ უწოდთ ნაწილებად, პირთათჳსნი თავნი არიან ამათ ყოველთა ზემოთჴსენებულთა წიგნთანი, ჰრომაულად ტიტლოსად წოდებულნი, ესე იგი არს პირთა რათმე მქონებელნი ფიცარნი გინა განსაგებელთა, გინა საქებელთა, ანუ საგიობელთანი...“ (დიდი სჯ., სქ. 137)

titulus et modus adquirendi [ტი´ტულუს ეტ მო´დუს ადკვირე´ნდი „სამართლებრივი საფუძველი და ფორმა მოპოვებისა“]
I. XVIII ს.-ის მეცნიერებაში არაზუსტად განზოგადებული თეორია სანივთო უფლების მოპოვების შესახებ (რომლის თანახმად, მოპოვების მართლზომიერ

საფუძველს, მაგ. ხელშეკრულებას, უნდა დამატებოდა ერთი გარემოებაც – ტრადიცია (საკუთრების უფლების გადაცემა)

toga [ტო´გა „ტოგა“] ტოგა
I. ტოგა, რომ. მოქალაქის ჩვეულებრივი (საზეიმო) ზედა სამოსი, ასევე თანამდებობის პირთა სამოსი

toga picta [ტო´გა პი´კტა „მოქარგული ტოგა“]
I. მეწამული ტოგა, ოქრომკედით მოქარგული, მთავარსარდლის, ტრიუმფატორის ტოგა

toga praetexta [ტო´გა პრეტე´ქსტა „წითელქობიანი თეთრი ტოგა“]
I. თეთრი ტოგა წითელი ქობით, მაღალი რანგის მაგისტრატისა და ქურუმის სამოსი

toga purpurea [ტო´გა პურპუ´რეა „მეწამული ტოგა“]
I. მეწამული ტოგა, მეფეთა სამოსი

toga sordida [ტო´გა სო´რდიდა „სამგლოვიარო ფერის ტოგა“]
I. მუქი რუხი ფერის ტოგა, სამგლოვიარო, ასევე ბრალდებულის სამოსი

toga virilis [ტო´გა ვირი´ლის „მამაკაცის ტოგა“, „ზრდასრულის ტოგა“]
I. თეთრი ტოგა, ჭაბუკები მას ატარებდნენ მხოლოდ 16-17 წლამდე

tollere [ტო´ლლერე „აწევა“, „წართმევა“, „შეცვლა“]
I. აწევა, აყვანა, გაუქმება

tollere legem [ტო´ლლერე ლე´გემ „კანონის შეცვლა“]
I. კანონის შეცვლა, გაუქმება

tollere liberum [ტო´ლლერე ლი´ბერუმ „ბავშვის (მიწიდან) აყვანა“]
I. ბავშვის აყვანა

tormentum [ტორმე´ნტუმ „წამება“]
I. წამება

tractatus [ტრაკტა´ტუს „განმარტება“] ტრაქტატი
I. ტრაქტატი, პროფესიული განმარტება
III. „თავადნი და აზნაურნი არიან იგინი, რომელნიცა წელსა 1783 მოხსენებულ არიან მეფისა ირაკლი მეორისაგან ტრახტაკსა შინა, შეკრულსა როსიისა მიმართ“ (სამართ. ბატ. დავ. C1)

traditio, -onis [*ტრა´დიტიო/ტრადი´ციო „გადაცემა“] ტრადიცია
I. საკუთრების უფლების გადაცემა, ტრადიცია
II., III. 1. ისტორიულად ჩამოყალიბებული წეს-ჩვეულებები. „სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 339-ე მუხლი)

trans Tiberim [ტრანს ტი´ბერიმ „ტიბერის გაღმა“]
I. ტიბერის გაღმა, ე.ი. საზღვრის იქით (თავდაპირველად ტიბერი ითვლებოდა რომ. სახ.-ის საზღვრად)

transactio, -onis [*ტრანსა´კტიო/ტრანზა´კციო „მსოფლიო გარიგება“] ტრანსაქციია
I. ტრანსაქცია, არაფორმალური შეთანხმება, როცა მხარეები ურთიერთდათმობის გზით წყვეტდნენ დავას

II., III. გარიგება. „ინფორმაცია დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ განხორციელებული სადაზღვევო ოპერაციებისა და ტრანზაქციების (მათ შორის, გარიგების დადების მცდელობის შემთხვევაში) შესახებ შეიძლება მიეცეს მხოლოდ შესაბამის დამზღვევს/დაზღვეულს/მოსარგებლეს...“ (საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ – 1997, 29(1)-ე მუხლი)

transcriptio, -onis [*ტრანსკრი´პტიო/ტრანსკრი´პციო „გადაწერა“] ტრანსკრიფცია
I. ტრანსკრიფცია. ჩანაწერი კრედიტორის დავთარში ვალდებულებების და ვალდებულებებიდან გამომდინარე განხორციელებულ გადახდებთან დაკავშირებით

transire [ტრანსი´რე „გადასვლა“]
I. გადასვლა, მდგომარეობის შეცვლა

transire ad hostem [ტრანსი´რე ად ჰო´სტემ „მტრის მხარეზე გადასვლა“]
I. მტრის მხარეზე გადასვლა

transitio ad plebem [*ტრანსი´ტიო/ტრანზი´ციო ად პლე´ბემ „პლებსის რიგებში გადასვლა“]
I. პატრიციუსის გადასვლა პლებსის რიგებში ადოპციის გზით (რათა საშუალება მისცემოდა არჩეული ყოფილიყო სახალხო ტრიბუნად)

transitus [ტრა´ნსიტუს/ტრა´ნზიტუს „გატარება“] ტრანზიტი
I. გატარება, გადაზიდვა
II. ტვირთების გადაზიდვა, მგზავრების გადაყვანა. „საქართველოს კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ (1995)
III. „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელ მოქალაქეთა ყოფნის, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მგზავრობის წესების დარღვევა“ (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – 1984, 191-ე მუხლი)

translatio, -onis [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო „გადაცემა“] ტრანსლაცია
I. ტრანსლაცია, გადაცემა

translatio dominii [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო დომი´ნიი „საკუთრების უფლების გადაცემა“]
I. საკუთრების უფლების გადაცემა

translatio iudicii [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო *იუდი´კიი/იუდი´ციი „მსაჯულის შეცვლა“]
I. მხარეთა, საპროცესო წარმომადგენლის ან ნაფიცი მსაჯულის შეცვლა

translatio iuris [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო ი´ურის „უფლების გადაცემა“]
I. უფლების გადაცემა

translatio possessionis [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო პოსსესსიო´ნის „საკუთრების უფლების გადაცემა“]
I. მფლობელობის უფლების გადაცემა

translatio servitutis [*ტრანსლა´ტიო/ტრანსლა´ციო სერვიტუ´ტის „სერვიტუტის გადაცემა“]

I. სერვიტუტის გადაცემა

transmissio [ტრანსმი´სსიო „ტრანსმისია“, „გადაცემა“] ტრანსმისია
I. გადაცემა, გადასვლა
II., III. სამკვიდროს გახსნიდან მის მიღებამდე მემკვიდრის გარდაცვალებისას მის სამკვიდრო წილზე უფლების გადასვლა მის მემკვიდრეებზე. „თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია)...“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 1430-ე მუხლი)

transmissio ex c. infantiae [ტრანსმი´სსიო ექს ინფა´ნტიე „შვილიდან გადასვლა“]
I. კლას. სამ.-ის შემდგომ პერიოდში მამის მიერ მემკვიდრეობის მიღება შვილისგან, რომელიც გარდაიცვალა 7 წლის ასაკის მიღწევამდე და ვერ მოასწრო მემკვიდრეობის მიღება

transmissio ex iure patrio [ტრანსმი´სსიო ექს იუ´რე პა´ტრიო „მამის უფლებიდან გადაცემა“]
I. კლას. სამ.-ის შემდგომ პერიოდში მამის მიერ მემკვიდრეობის მიღება შვილისგან, რომელმაც უარი თქვა მემკვიდრეობაზე

transmissio hereditatis [ტრანსმი´სსიო ჰერედიტა´ტის „სამემკვიდრეო ტრანსმისია“, „მემკვიდრეობის გადაცემა“]
I. მემკვიდრეობითი ტრანსმისია

transmissio Iustiniana [ტრანსმი´სსიო იუსტინია´ნა „გადაცემა იუსტინ.-ის კანონით“]
I. მემკვიდრეობის მიღება დაღმავალი ხაზის მემკვიდრეების მიერ, როდესაც მამკვიდრებელი გარდაიცვალა მემკვიდრეობის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე

trans-porto [ტრანს-პო´რტო „გადამაქვს, გადამყავს“] ტრანსპორტი
III. „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მთლად მიწა, ტყე, წყალი, მიწის წიაღი, აგრეთვე ფაბრიკები და ქარხნები, რკინის გზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტი და კავშირის დასაჭერი საშუალებანი შეადგენენ მუშათა და გლეხთა სახელმწიფო ქონებას“ (კონსტ. – 1922, თავი I, 18)

trecenarii [*ტრეკენა´რიი/ტრეცენა´რიი „სამასიანები“]
I. ყველაზე მაღალანაზღაურებადი საიმპერატორო მოხელეები

tres [ტრეს „სამი“]

I. სამი

tresviri [ტრე´სვირი „ტრიუმვირები“] ტრიუმვირები
I. ტრიუმვირები, სამწევრიანი კოლეგია

tresviri capitales [ტრე´სვირი კაპიტა´ლეს „მთავარი ტრიუმვირები“]
I. შედარებით დაბალი რანგის მაგრისტრატები, რომლებიც პოლიციურ ფუნქციას ასრულებდნენ (ციხეების ზედამხედველობა, განაჩენის სისრულეში მოყვანა, ქალაქში ღამით წესრიგის დაცვა)

tresviri coloniae [ტრე´სვირი კოლო´ნიე „ტრიუმვირები, კოლონიის დასაარსებლად უფლების მიმნიჭებლები“]
I. რწმუნებულები, რომლებიც რომაელ მოქალაქეებს უფლებას რთავდნენ დაეარსებინათ კოლონიები იტალიაში ან პროვინციებში

triarii [ტრია´რიი „ტრიარიები“, „მესამე რიგში მებრძოლი ჯარისკაცები“]
I. ტრიარიები, რომ.-ის საბრძოლო მწყობრის მესამე რიგის მებრძოლები, მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციაში ერთვებოდნენ ბრძოლაში

tribuere [ტრიბუ´ერე „მინიჭება“]
I. განაწილება, მინიჭება, უარის თქმა

tribunal [ტრიბუ´ნალ „ტრიბუნალი“] ტრიბუნალი
I. 1. შემაღლებული ადგილი, სადაც მაგისტრატები ისხდნენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას; 2. სავარძელი (მოსამართლის, მხედართმთავრის); 3. სასამართლო
II. სამხედრო სასამართლო. „ექსტრადიცია არ განხორციელდება, თუ ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის ინიციატორ სახელმწიფოში პირი შეიძლება გასამართლებულ იქნეს ან პირს შეიძლება მიესაჯოს სასჯელი სპეციალური სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ“ (საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ – 2010, 29(4)-ე მუხლი)
III. „ყველა აფთიაქის პატრონი, მოიჯარადე ან მისი მოადგილე, უკეთუ წინააღმდეგობას გაუწევს აფთიაქების ნაციონალიზაციის განხორციელებას, გადამალავს ან გაიტანს აფთიაქიდან საქონელს, ინვენტარს ან სხვა ქონებას, მიეცემა რევოლუციონური ტრიბუნალის სამართალში“ (დეკრეტი 33 – 1921 წ., 4, აქტები 1921-1978, გვ. 50-51)

tribunus [ტრიბუ´ნუს „ტრიბუნი“] ტრიბუნი
I. ტრიბუნი. ტრიბის მეთაური, სხვადასხვა თანამდებობის პირთა სახელწოდება, განსაკუთრებით მთავარსარდლისა
III. „...და ტრივუნთა მიერ იმკითხველოს, უკუეთუ ჭეშმარიტებით აღსრულებულ არს მეუღლე მისი“ (დიდი სჯ. 202, 50)

tribunus militum [ტრიბუ´ნუს მი´ლიტუმ „სამხედრო ტრიბუნი“]
I. სამხედრო ტრიბუნი, ლეგიონის უმაღლესი ოფიცერი

tribunus militum consulari potestate [ტრიბუ´ნუს მი´ლიტუმ კონსულა´რი პოტესტა´ტე „სამხედრო ტრიბუნი კონსულის ფუნქციებით“]
I. სამხედრო ტრიბუნი, რომელიც ასრულებდა კონსულის ფუნქციებს

tribunus plebis [ტრიბუ´ნუს პლე´ბის სახალხო ტრიბუნი“]
I. სახალხო ტრიბუნი

tribus [ტრი´ბუს „ტრიბი“] ტრიბი
I. ტრიბი. თავდაპირველად რომის მოსახლეობა 3 ტრიბად იყოფოდა (Ramnes – რომაელები, Tities – საბინები, Luceres – ეტრუსკები). თითოეულ ტრიბში 10 კურია შედიოდა. ახალი დაყოფის მიხედვით, რომელიც სერვიუს ტულიუსს მიეწერება, 4 ტრიბად დაიყო რომის ტერიტორია

tribus rusticae [ტრი´ბუს *რუ´სტიკე/რუ´სტიცე „სოფლის ტრიბი“]
I. სოფლის ტრიბი

tribus urbanae [ტრი´ბუს ურბა´ნე „ქალაქის ტრიბი“]
I. ქალაქის ტრიბი

tributio [*ტრიბუ´ტიო/ტრიბუ´ციო „გადანაწილება“]
I. მონის ან filius familias-ის ვალდებულებებით დატვირთული peculium-ის განაწილება კრედიტორებს შორის

tributum [ტრიბუ´ტუმ „გადასახადი“]
I. გადასახადი

tributum capitalis [ტრიბუ´ტუმ კაპიტა´ლის „სულადობრივი გადასახადი“]
I. სულადობრივი გადასახადი

tributum ex censu [ტრიბუ´ტუმ ექს *კე´ნსუ/ცე´ნზუ „ცენზის მიხედვით გადასახადი“]
I. ერთპროცენტიანი გადასახადი ქონებიდან

tributum soli [ტრიბუ´ტუმ სო´ლი „მიწის გადასახადი“]
I. მიწის გადასახადი

tributum temerarium [ტრიბუ´ტუმ ტემერა´რიუმ „საგანგებო გადასახადი“]
I. საგანგებო ვითარებაში შეძლებული პირების მიერ ნებაყოფლობით გადახდილი გადასახადი, რათა ფინანსური დახმარება აღმოეჩინათ ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოსთვის

trinus [ტრი´ნუს „სამმაგი“]
I. სამმაგი

triumphus [ტრიუ´მფუს „ტრიუმფი“, „ზეიმი“] ტრიუმფი
I. ტრიუმფი. მნიშვნელოვან გამარჯვებასთან დაკავშირებით რომის ქუჩებში მოწყობილი საზეიმო მსვლელობა, რომლის ნებას აძლევდა სენატი მაგისტრატს, რომელსაც ჰქონდა imperium-ი

tueri [ტუე´რი „დაცვა“]

I. დაცვა, მართვა

tuitio praetoris [*ტუი´ტიო/ტუი´ციო პრეტო´რის „დაცვა პრეტორის მიერ“]
I. სამართლებრივი დაცვა, რომელსაც ანიჭებდა პრეტორი იმ შემთხვევაში, როდესაც ius civile არ ითვალისწინებდა სამართლებრივ დაცვას

tumultus [ტუმუ´ლტუს „შფოთი“, „ჯანყი“]
I. აჯანყება

turba [ტუ´რბა „აურზაური“, „ბრბო“]
I. ბუნტი, მღელვარება

turpis [ტუ´რპის „უმსგავსო“]
I. უმსგავსო, უპატიოსნო

turpitudo [ტურპიტუ´დო „სირცხვილი“, „ურცხვობა“]
I. ცუდი სახელი, რასაც მოჰყვებოდა ღირსების აყრა და სხვადასხვა უფლებების შეზღუდვა

tutela [ტუტე´ლა „დაცვა“]

I. ქმედითუუნარო პირის მეურვეობა, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეეძლო თავისი საქმის გაძღოლა (არასრულწლოვნები, ქალები)

tutela adiunctus [ტუტე´ლა ადიუ´ნკტუს „დამატებითი მეურვე“]
I. დამატებითი მეურვე, მზრუნველი, რომელიც მეტისმეტად დაკავებულ მეურვეს ეხმარებოდა

tutela dativus [ტუტე´ლა დატი´ვუს „დანიშნული მეურვე“]
I. პრეტორის მიერ ან ანდერძით დანიშნული მეურვე, მზრუნველი

tutela impuberum [ტუტელა იმპუ´ბერუმ „არასრულწლოვანთა მეურვეობა“]
I. არასრულწლოვანთა მეურვეობა, მზრუნველობა

tutela mulierum [ტუტე´ლა მული´ერუმ „ქალებზე მეურვეობა“]
I. ქალებზე მეურვეობა, მზრუნველობა

tutela optivus [ტუტე´ლა ოპტი´ვუს „არჩეული მეურვე“]
I. თავად მეურვეობის. მზრუნველობის ქვეშ მყოფი ქალის მიერ არჩეული მეურვე, მზრუნველი

U

ulterior [ულტე´რიორ „შემდგომი“, „უფრო დაშორებული“]
I. დაშორებული, შემდეგი. მაგ. ნათესავი ან მემკვიდრე

ultimus [უ´ლტიმუს „უკანასკნელი“]
I. ყველაზე შორეული, უკანასკნელი

uncia [*უ´ნკია/უ´ნცია „უნცია“ ასსის (as) მეთორმეტედი ნაწილი“]
I. უნცია

uncia heres [*უ´ნკია/უ´ნცია ჰე´რეს „1/12 ნაწილი მემკვიდრეობისა“]
I სამკვიდროს 1/12 ნაწილი

universitas, -tatis [უნივე´რსიტას „მთელი“, „მთლიანობა“]
I. ერთიანობა, მთლიანობა

universitas bonorum [უნივე´რსიტას ბონო´რუმ „საქველმოქმედო ფონდი“]
I. ნივთთა ერთიანობა, საქველმოქმედო ფონდი

universitas personarum [უნივე´რსიტას პერსონა´რუმ „პიროვნებათა ერთიანობა“]
I. პიროვნებათა ერთიანობა, კორპორაცია

univira [უნი´ვირა „მხოლოდ ერთხელ გათხოვილი ქალი“]
I. ქალი, რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო გათხოვილი

unus [უ´ნუს „ერთი“, „ერთადერთი“]
I. ერთი. ერთეული შემთხვევა

unus casus, unus iudex [უ´ნუს *კა´სუს/კა´ზუს, უ´ნუს იუ´დექს „ერთი საქმე, ერთი მსაჯული“]
I. ერთპიროვნული მსაჯული

UR შემ. [ურ = uti rogas „ისე, როგორც შენ გვთავაზობ“]
I. თანხმობის ფორმულა კენჭისყრის დროს სახალხო კრებაზე

Urbs [ურბს „დიდი და გამაგრებული ქალაქი“]

I. ქ. რომი, მოგვიანებით – ქ. კონსტანტინოპოლი

ustrina [უსტრი´ნა „დაწვა“, „ადგილი, სადაც წვავდნენ გვამებს“]
I. უსტრინა, ადგილი, სადაც წვავდნენ გვამებს, რომიდან 1000 ფუტით მაინც უნდა ყოფილიყო დაშორებული

usucapio, -onis [*უსუკა´პიო/უზუკა´პიო „შენაძენი სარგებლობის შედეგად“]
I. განსაზღვრული ვადის მანძილზე ნივთის ფლობის შედეგად საკუთრების უფლების შეძენა

usufructuarius [*უსუფრუქტუა´რიუს/უზუფრუკტუა´რიუს „მოსარგებლე“] უზუფრუქტუარი
I. უზუფრუქტუარი
II., III. პირი, რომლის სასარგებლოდაც არის უძრავი ნივთი დატვირთული უზუფრუქტით. „უზუფრუქტუარის უფლება-მოვალეობანი“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 245-ე მუხლი)

usufructus [*უსუფრუ´კტუს/უზუფრუ´ქტუს „უზუფრუქტი“, „გამოყენება“]
I. უზუფრუქტი
II., III. სხვისი უძრავი ნივთით სარგებლობის უფლება, რომლის დროსაც უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. „უზუფრუქტის დადგენის სამართლებრივი მოწესრიგება“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997, 243-ე მუხლი)

usura [*უსუ´რა/უზუ´რა „გამოყენება“, „სარგებლობა“]
I. პროცენტი, რომელსაც იხდიდა მოვალე კრედიტორის სასარგებლოდ, ვიდრე არ მოხდებოდა ძირითადი ვალდებულების სრულად შესრულება

usura ex pacto [*უსუ´რა/უზუ´რა ექს პა´კტო „სარგებელი საერთო შეთანხმების მიხედვით“]
I. შეთანხმებით დადგენილი პროცენტი

usura fiscales [*უსუ´რა/უზუ´რა ფისკა´ლეს „ხაზინისთვის პროცენტი“]
I. ხაზინის სასარგებლოდ მოვალეების მიერ გადასახდელი პროცენტები

usura legitimae [*უსუ´რა/უზუ´რა ლეგი´ტიმე „კანონით განსაზღვრული პროცენტი“]
I. კანონით განსაზღვრული პროცენტის ოდენობა

usureceptio, -onis [*უსურეკე´პტიო/უზურეცე´პციო „ხანდაზმულობის უფლებით შეძენა“]
I. ყოფილი მესაკუთრის მიერ ნივთის ხელახალი შეძენა ხანდაზმულობით

usurpatio, -onis [*უსურპა´ტიო/უზურპა´ციო „სარგებლობა“, „გამოყენება“, „მიტაცება“] უზურპაცია
I. შეძენითი მფლობელობის შეწყვეტა
II., III. ხელისუფლების ხელში ჩაგდება არაკონსტიტუციური გზით. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლე-

ბის უზურპაცია...“ (საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ – 1990)

usus [*უ´სუს/უ´ზუს „სარგებლიანობა“, „გამოყენება“]
I. 1. სარგებლობა; 2. პერსონალური სერვიტუტი; 3. ქალისა და მამაკაცის ერთწლიანი არაოფიციალური თანაცხოვრების შემდეგ მამაკაცის მიერ ქმრის ოფიციალური უფლებების შეძენა

usus (et) auctoritas [*უ´სუს/უ´ზუს (ეტ) აუქტო´რიტას „სარგებლობა (და) თავდებობა“]
I. ნივთის ფლობა და მისგან გამომდინარე საკუთრების უფლება

uterus [უ´ტერუს „მუცელი“, „საშო“, „წიაღი“]
I. მუცელი, საშო, ჩანასახი, uterini დედით ერთნი, ძმები, დები

uti [უ´ტი „გამოყენება“, „სარგებლობა“]
I. გამოყენება. მაგ., საკუთარი უფლების – **u**. iure suo

utilis [უ´ტილის „სასარგებლო“]
I. გამოსადეგი, საკანონმდებლო საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, ანალოგიაზე აგებული, ე.ი. ლოგიკური, გონივრული. **u**. actio, **u**. iudicium

utilitas, -atis [უტი´ლიტას „სარგებლიანობა“, „სარგებელი“]
I. სარგებელი, ინტერესი, ხეირი

utilitas privatorum [უტი´ლიტას პრივატო´რუმ „ცალკეულ პირთა სარგებელი“]
I. ცალკეული პირის ინტერესი, სარგებელი

utilitas publica [უტი´ლიტას პუ´ბლიკა „სახელმწიფოს ინტერესი“]
I. სახელმწიფოს ინტერესი, სარგებელი

uxor [უ´ქსორ „ცოლი“]
I. ცოლი, მეუღლე

uxor in manu [უ´ქსორ ინ მა´ნუ „ცოლი ქმრის მორჩილებაში“]
I. ცოლი, ქმრის ძალაუფლების ქვეშ მყოფი

uxor liberorum quaerendorum causa [უ´ქსორ ლიბერო´რუმ კვერენდო´რუმ *კაუ´სა/კაუ´ზა „ცოლი, ბავშვების გაჩენის მიზნით“]
I. ცოლი, ქმართან მცხოვრები კანონიერი ქორწინებით

V

vacans, -ntis [ვაკანს „ცარიელი, დაუკავებელი“] ვაკანსია→ ვაკანტური

I. თავისუფალი ადგილი (locus), მარტოხელა ქალი (mulier)

vacatio, -onis [*ვაკა´ტიო/ვაკა´ციო „გათავისუფლება“] ვაკაცია
I. გათავისუფლება

vacatio iudicis [*ვაკა´ტიო/ვაკა´ციო *იუ´დიკის/იუ´დიცის „მსაჯულის მოვალეობის აცილება“]
I. მსაჯულის მოვალეობის აცილება, დავის გადაწყვეტის მოვალეობისაგან გათავისუფლება

vacatio legis [*ვაკა´ტიო/ვაკა´ციო ლე´გის „კანონის მოქმედების გადავადება“]
I. კანონის მოქმედების გადადება

vacatio militiae [*ვაკა´ტიო/ვაკა´ციო *მილი´ტიე/მილი´ციე „სამხედრო საქმისგან გათავისუფლება“]
I. სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლება

vacatio tutelae [*ვაკა´ტიო/ვაკა´ციო ტუტე´ლე „მეურვის მოვალეობისაგან გათავისუფლება“]
I. მეურვის მოვალეობისაგან გათავისუფლება

vadimonium [ვადიმო´ნიუმ „თავდებობა სასამართლოზე დროულად გამოცხადებაზე“]
I. სტიპულაციური დაპირება მოპასუხისა მოსარჩელის წინაშე სასამართლოში გამოცხადებაზე

valetudo, -dinis [ვალეტუ´დო „ჯანმრთელობის მდგომარეობა“]
I. ჯანმრთელობის მდგომარეობა, ავადმყოფობა

validus [ვა´ლიდუს „ჯანსაღი“]
I. ჯანსაღი, ძლიერი

vas, vadis [ვას „თავდები“]
I. თავდები, რომელიც ჯარიმის მუქარით კისრულობს მოსარჩელის წინაშე, რომ მოპასუხე გამოცხადდება საქმის შემდეგ მოსმენაზე

vasarium [*ვასა´რიუმ/ვაზა´რიუმ „გადასვლის, გადაყვანის ფული“] ვაზარიუმი
I. ფული, რომელსაც იღებდა გამგებელი პროვინციაში გამგზავრების წინ (საოჯახო მოხმარებისთვის, კვებისთვის, ტანსაცმლისთვის და ა.შ.)

vectigal [ვექტი´გალ „საგზაო ბაჟი“]
I. ვექტიგალი, საგზაო ბაჟი, შემდგომში – ყველა სახის გადასახადი

vectigal frumentarium [ვექტი´გალ ფრუმენტა´რიუმ „ხორბლის გადასახადი“]
I. ხორბლის გადასახადი

vectigal rerum venalium [ვექტი´გალ რე´რუმ ვენა´ლიუმ „გაყიდული საქონლის გადასახადი“]
I. გაყიდული საქონლიდან ამოსაღები გადასახადი

venditio, -onis [*ვენდი´ტიო/ვენდი´ციო „გაყიდვა“]
I. ნასყიდობა

venditio bonorum [*ვენდი´ტიო/ვენდი´ციო ბონო´რუმ „ქონების გაყიდვა“]
I. → bonorum venditio

veneficium [*ვენეფი´კიუმ/ვენეფი´ციუმ „შხამი“]
I. შხამი

veneficium bonum [*ვენეფი´კიუმ/ვენეფი´ციუმ ბო´ნუმ „კარგი წამალი“]
I. წამალი, მოწამვლა, საწამლავის მომზადება, მკვლელობა შხამის გამოყენებით, ისჯებოდა სიკვდილით lex Cornelia-ს თანახმად

venia [ვე´ნია „წყალობა“, „პატიება“]
I. შეწყალება

venter, -tris [ვე´ნტერ „მუცელი“]
I. მუცელი

verberatio, -onis [*ვერბერა´ტიო/ვერბერა´ციო „გაროზგვა“]
I. 1. გაშოლტვა, სინ. castigatio 2. ცემა

verbum [ვე´რბუმ „სიტყვა“]
I. სიტყვა, გამონათქვამი, სიტყვა-სიტყვითი, ზუსტი ტექსტი, სიტყვიერი გადმოცემა, ზეპირი, გამონათქვამი გარიგების დადების დროს, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი პირის ნამდვილ ნებას

veritas, -tatis [ვე´რიტას „ჭეშმარიტება“]
I. ჭეშმარიტება, სიმართლე

vestales virgines [ვესტა´ლეს ვი´რგინეს „ვესტას (ქურუმი) ქალწულები“]
I. ვესტას ქურუმები, ქალწულები, რომლებიც ქალღმერთ ვესტას ტაძარში იცავდნენ ჩაუქრობელ ცეცხლს

vestis [ვე´სტის „სამოსი“, „კაბა“, „მოსასხამი“]
I. სამოსი

vestis militaris [ვე´სტის მილიტა´რის „სამხედრო ფორმა“]
I. ტოგა ან სამხედრო ფარაჯა

veteranus [ვეტერა´ნუს „ვეტერანი“, „ძველი მეომარი“] ვეტერანი
I. ლეგიონერი, რომელმაც სამსახურის დასრულების შემდეგ მიაღწია პრივილეგიებს
II., III. დიდხანს ნამსახურები, ომგამოვლილი სამხედრო პირები. „საქართველოს კანონი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ (1995)

veteres [ვე´ტერეს „ძველები“]
I. სინ. antiqui, ძველი სკოლის იურისტები

veto [ვე´ტო „ვკრძალავ, ნებას არ ვაძლევ“] ვეტო
I. სახალხო ტრიბუნების უფლება, მოეხდინათ სენატისა და მაგისტრატების გადაწყვეტილების ანულირება

vetus, -eris [ვე´ტუს „ძველი“]
I. ძველი

vetus consuetudo [ვე´ტუს კონსუეტუ´დო „ძველი ჩვეულება“]
I. ძველი ჩვეულება

vetus ius [ვე´ტუს ი´უს „ძველი სამართალი“]
I. ძველი სამართალი

via [ვი´ა „გზა“, „ქუჩა“]
I. გზა, სერვიტუტი, რომლის საფუძველზეც მეზობელს ჰქონდა უფლება გამოეყენებინა მეზობლის მიწის ნაკვეთის გზა ცხენით ან ეტლით გადაკვეთისთვის

via Appia [ვი´ა ა´პპია „აპიუსის გზა“] ვია აპია
I. აპიუსის გზა. სტრატეგიულად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომ. გზა. რომს აერთებდა სამხრეთ იტალიასთან

via militaris [ვი´ა მილიტა´რის „სამხედრო გზა“]
I. სამხედრო გზა

via privata [ვი´ა პრივა´ტა „კერძო (პირის კუთვნილი) გზა“]

I. კერძო გზა

via publica [ვი´ა პუ´ბლიკა „საჯარო გზა“]
I. საჯარო გზა

viaticum [ვია´ტიკუმ „საგზაო ხარჯები“]
I. გზის ხარჯებისათვის განკუთვნილი თანხა

viatores [ვიატო´რეს „გზირები“]
I. შიკრიკები, მაცნეები

vicarius [ვიკა´რიუს „ვინმეს შემცვლელი“]
I. 1. ვინმეს შემცვლელი; 2. დომინატის დროს: ადმინისტრაციის მეთაური

vicarius in urbe Roma, vicarius urbis R-ae [ვიკა´რიუს ინ უ´რბე რო´მა, ვიკა´რიუს უ´რბის რო´მე „მმართველი ქალაქ რომში“]
I. სამხრეთ იტალიის ადმინისტრაციის მმართველი

vicarius iudex [ვიკა´რიუს იუ´დექს „მსაჯული, რომელიც ცვლის სხვა მსაჯულს“]
I. მოსამართლე, რომელიც მოქმედებდა iudex ordinarius-ის ნაცვლად

vice [*ვი´კე/ვი´ცე „ნაცვლად“] ვიცე
I. გამო, შედეგად, როგორც, თითქოსდა
II. წინსართი (თავსართი), თავისი მნიშვნელობით შესატყვისი სიტყვებისა „მოადგილე“, „თანაშემწე“. „ვიცე-პრემიერების რაოდენობას საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით განსაზღვრავს პრემიერ-მინისტრი“ (საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ – 2004, 10(4)-ე მუხლი)
III. „სამჯედროსა კოლლეღიის ვიცე-პრეზიდენტი“ (ტრაქტატი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ [1783 წ.], ქსძ, II, 460)

vicem legis optinere [*ვი´კემ/ვი´ცემ ლე´გის ოპტინე´რე „კანონის ძალის მოპოვება“]
I. კანონის ძალის მოპოვება

vicesima hereditatium [*ვიკე´სიმა/ვიცე´სიმა *ჰერედიტა´ტიუმ/ჰერედიტა´ციუმ „მემკვიდრეობის მეოცე (ნაწილი)“]
I. 5%-იანი გადასახადი სამკვიდროდან, რომელიც შეადგენდა ან აღემატებოდა 200 000 სესტერციუს

vicinitas [*ვიკი´ნიტას/ვიცი´ნიტას „მეზობლობა“]
I. მეზობლობა

vicinus [*ვიკი´ნუს/ვიცი´ნუს „მეზობელი“]
I. მეზობელი

vicis [*ვი´კის/ვი´ცის „ვინმეს ადგილი“, „რიგი“]
I. რიგი, ადგილი

vicus [ვი´კუს „სოფელი“, „დასახლება“]
I. სოფელი

vidua [ვი´დუა „ქვრივი ქალი“]
I. ქვრივი ქალი

vigilans, -antis [ვი´გილანს „ღამის გამთევი“]

I. ფხიზელი

vigiles [ვი´გილეს „ღამის დაცვა“]
I. მეხანძრეთა რაზმი რომში, დაარსებული ავგუსტუსის მიერ

viginti [ვი´გინტი „ოცი“]
I. ოცი; vicesimus მეოცე

vigintisexviri [*ვიგინტისე´ქსვირი „26 კაციანი კოლეგია“]
I. რესპუბლიკის დროს 26 დაბალი რანგის მაგისტრებისაგან შემდგარი კოლეგია

villa [ვი´ლლა „სახლი ქალაქგარეთ ან სოფელში“] ვილა
I. ვილა, რომელსაც მართავდა vil(l)icus

villa iuris [ვი´ლლა იუ´რის „სამართლებრივი ვალდებულება“]
I. სამართლებრივი ვალდებულება

vinculum [ვი´ნკულუმ „კავშირი“, „ბორკილები“]
I. კავშირი, ვალდებულება

vindex, -dicis [ვი´ნდექს „მცველი“]
I. 1. თავდები, რომელიც დანიშნულ დღეს უზრუნველყოფდა მოპასუხის გამოცხადებას სასამართლო პროცესზე; 2. პირი, რომელიც ერთვებოდა კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაში და წაგების შემთხვევაში იხდიდა ორმაგ თანხას

vindicatio, -onis [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო „დაცვა“] ვინდიკაცია
I. თვითდახმარება შეურაცხყოფის ან ძალადობრივი ქმედების საპასუხოდ; შემდგომ: სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც პირი მიზნად ისახავდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას
II., III. ნივთის მესაკუთრის ან სხვა კანონიერი მფლობელის (რომელიც ფაქტობრივად არ ფლობს ამ ნივთს) მიმართვა უფლებამოსილი ორგანოებისადმი, უკანონო (ფაქტიური) მფლობელისათვის ამ ნივთის ჩამორთმევისა და მესაკუთრისთვის (კანონიერი მფლობელისათვის) მისი გადაცემის მოთხოვნით. „ვინდიკაციების ყადაღის დადება“ (საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ – 1999, მე-60 მუხლი)

vindicatio adiecta causa [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო ადიე´ქტა *კაუ´სა/კაუ´ზა]
I. სავინდიკაციო სარჩელი სარჩელის საფუძვლის დეტალური აღნიშვნით

vindicatio filii [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო ფი´ლიი „სარჩელი ვაჟის გადმოცემისათვის“]
I. სავინდიკაციო სარჩელი, რომლითაც ოჯახის უფროსი ითხოვდა ვაჟის გადმოცემას ნებისმიერი ადამიანისაგან, რომლის დაქვემდებარებაში ფაქტობრივად ის იმყოფებოდა

vindicatio fructuum [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო ფრუ´კტუუმ „სარჩელი ნაყოფის დაბრუნებაზე“]
I. სავინდიკაციო სარჩელი, რომლითაც მესაკუთრე ითხოვდა იმ ნაყოფის დაბრუნებას, რომელიც ლიტისკონტესტაციამდე მოიპოვა მოპასუხემ

vindicatio gregis [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო გრე´გის „პრეტენზია ნახირზე“]

I. სავინდიკაციო სარჩელი, რომელიც ეხებოდა მთელ ნახირს, საკმარისი იყო, რომ მოსარჩელეს დაემტკიცებინა ჯოგის უმეტეს ნაწილზე თავისი საკუთრების უფლება

vindicatio in colonatum [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო ინ კოლონა´ტუმ „ვინდიკაცია კოლონატისათვის“]
I. დომინატის დროს: სავინდიკაციო სარჩელი, რომლითაც მესაკუთრე მოიპოვებდა უფლებას, დაებრუნებინა თავის ძალაუფლების ქვეშ გარკვეული პიროვნება, როგორც colonus-ი

vindicatio in libertatem [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო ინ ლიბერტა´ტემ „ვინდიკაცია თავისუფლებისათვის“]
I. სასამართლო პროცესი, რომელიც იმართებოდა მონობაში მყოფი პირის სასარგებლოდ

vindicatio servitutis [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო სერვიტუ´ტის „სერვიტუტის ვინდიკაცია“]
I. სავინდიკაციო სარჩელი იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წინააღმდეგ, რომელიც დატვირთული იყო სერვიტუტით მოსარჩელის სასარგებლოდ

vindicatio usus [*ვინდიკა´ტიო/ვინდიკა´ციო *უ´სუს/უ´ზუს „ვინდიკაცია გამოყენებისათვის“]
I. მფლობელის სავინდიკაციო სარჩელი მესაკუთრის წინააღმდეგ

vindicia falsa [*ვინდი´კია/ვინდი´ცია ფა´ლსა „ყალბი მოთხოვნა“]
I. ყალბი მოთხოვნა, როდესაც პროცესის ერთ-ერთი მხარე საგანგებოდ აყენებს მოთხოვნებს მეტი სარგებლის მიღებისთვის

vindiciae [*ვინდი´კიე/ვინდი´ციე „მოთხოვნა“, „სარჩელი“]
I. 1. ნივთი, რომლის თაობაზე მიმდინარეობდა დავა; 2. სადავო ნივთის ნაყოფი; 3. დროებითი ფლობა მითითებული ნივთებისა, რომელსაც პრეტორი თავისი შეხედულებისამებრ მიაკუთვნებდა პროცესის დროს ერთ-ერთ მხარეს

violatio, -onis [*ვიოლა´ტიო/ვიოლა´ციო „დარღვევა“]
I. შეურაცხყოფა, შებღალვა

violentia [*ვიოლე´ნტია/ვიოლე´ნცია „ძალადობა“]
I. ძალადობა

vir [ვირ „კაცი“, „მამაკაცი“]
I. კაცი. virilis – მამაკაცის

virga [ვი´რგა „შოლტი“]
I. შოლტი, წკნელი

virgo, -ginis [ვი´რგო „გოგონა“, „ქალწული“]
I. ქალიშვილი

virgo Vestalis [ვი´რგო ვესტა´ლის „ვესტას ქურუმი ქალი“]
I. ქალღმერთ ვესტას მსახური

viripotens [ვირი´პოტენს „საქორწინო ასაკს მიღწეული“]
I. 13 წელს გადაცილებული, საქორწინო ასაკს მიღწეული ქალი

virtus [ვი´რტუს „სიმამაცე“, „სიქველე“]

I. სიმამაცე, ძალა

vis [ვის „ძალა“, „უფლება“]
I. ძალა, ხელისუფლება, ძალადობა

vis divina, vis maior [ვის დივი´ნა, ვის მაი´ორ „ღვთაებრივი ძალა, უდიდესი ძალა“]
I. 1. ბუნების ძალა, დაუძლეველი ძალა; 2. თვითნებური დარღვევა კანონით დაწესებული აკრძალვისა, ძალისმიერი გზით, დაშინებით

vis ex conventu [ვის ექს კონვე´ნტუ „ძალადობა შეთანხმების გზით“]
I. ფიქტიური, წინასწარ შეთანხმებული ძალადობა ინტერდიქტისთვის გვერდის ასავლელად

visus [*ვი´სუს/ვი´ზუს „დათვალიერება“, „დანახული“] ვიზა
II. აღნიშვნა პასპორტში, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ნებართვას შესვლაზე, გასვლაზე, მის ტერიტორიაზე ცხოვრებასა ან ტრანზიტით გადაკვეთაზე. „საკონსულო თანამდებობის პირი გასცემს საქართველოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის, საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტით გადაკვეთის ნებართვას (საქართველოს ვიზას)“ (საქართველოს კანონი საკონსულო საქმიანობის შესახებ – 2012, მე-19(1) მუხლი)
III. „უცხოელებმა საქართველოდან გასვლისას უნდა წარმოადგინონ საზღვარგარეთის მოქმედი პასპორტი ან თავიანთი მუდმივ საცხოვრებელი ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი და შესაბამისი ვიზა, აგრეთვე მიგრანტის ბარათი“ (საქართველოს კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ – 1993, 24(1)-ე მუხლი)

vita [ვი´ტა „სიცოცხლე“]
I. სიცოცხლე, ცხოვრება

vita actionis [ვი´ტა *აკტიო´ნის/აკციო´ნის „მოქმედების წესი“]
I. ვადა, რომლის განმავლობაში შესაძლებელი იყო სარჩელის წარდგენა

vitium [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ „ნაკლი“]
I. ნაკლი

vitium aedis [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ ე´დის „შენობის ნაკლი“]
I. შენობის ან კონსტრუქციის ნაკლი

vitium animi [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ ა´ნიმი „სულიერი ნაკლი“]
I. გონებრივი (ფსიქიკური) ნაკლი, რასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა მონის ყიდვის დროს

vitium corporis [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ კო´რპორის „ფიზიკური ნაკლი“]
I. ფიზიკური ნაკლი, რაც ხელისშემშლელი გარემოება იყო ზოგიერთი იურ. ქმედებების განსახორციელებლად

vitium possessionis [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ პოსსესსიო´ნის „მფლობელობის ნაკლი“]
I. მფლობელობის ნაკლი, არამართლზომიერი მფლობელობა

vitium rei vitiosus [*ვი´ტიუმ/ვი´ციუმ რე´ი *ვიტიო´სუს/ვიციო´ზუს „დეფექტური ნივთი“]
I. სამართლებრივი ნაკლის მქონე ნივთი

vocare [ვოკა´რე „მოხმობა“]
I. მოხმობა, გამოძახება

vocare in ius [ვოკა´რე ინ ი´უს „გამოძახება სასამართლოზე“]
I. სასამართლოში გამოძახება

volumen, -minis [ვო´ლუმენ „გრაგნილი“]
I. გრაგნილი, ხელნაწერი, ძვ. გამოცემებში – Corpus Iuris Civilis-ი, კოდექსის ბოლო 3 წიგნი; დოკუმენტის ორიგინალი

voluntas, -tatis [ვოლუ´ნტას „ნება“]
I. ნება

votum [ვო´ტუმ „აღთქმა“]
I. მსხვერპლშეწირვა ღმერთებისათვის აღთქმის მიხედვით, ვედრება, სურვილი

vox, -vocis [ვოქს „ხმა“]
I. ხმა, სიტყვა

vulgaris [ვულგა´რის „ჩვეულებრივი“, „უბრალო“]
I. ჩვეულებრივი, საყოველთაოდ მიღებული, ყოველდღიური

vulgaris mulier [ვულგა´რის მუ´ლიერ „ხელმისაწვდომი, იაფფასიანი ქალი“]
I. → meretrix

vulgus [ვუ´ლგუს „ხალხი“, „ბრბო“]
I. ხალხი, ბრბო

II ლათინური იურიდიული ფორმულები და გამონათქვამები

A

ab aeterno [აბ ეტე´რნო] მარადიულად, უძველესი დროიდან

ab agendo [აბ აგე´ნდო] უფლებაჩამორთმეული, უფლებაუუნარო პირი

abalienare [აბალიენა´რე] საკუთრებაზე უფლების ან ტიტულის გადაცემა

abandum [აბა´ნდუმ] მოძრავი ქონება, რომელიც ჩამორთმეულია ან რომელზეც დაკარგულია უფლება

ab ante, ab antecedente [აბ ა´ნტე, *აბ ანტეკედე´ნტე/ანტეცედე´ნტე] ადრე, წინასწარ

ab antiquo [აბ ანტი´კვო] უძველესი დროიდან

abarnare [აბარნა´რე] დანაშაულის მხილება

ab assuetis non fit iniuria [აბ ასსუე´ტის ნონ ფიტ ინიუ´რია] უფლებადარღვევა წარმოადგენს უფლებადარღვევას წინააღმდეგობის არარსებობის მიუხედავად

ab auctoritate [აბ აუკტორიტა´ტე] კანონის, სასამართლო ან ადმინისტრაციული პრეცედენტის საფუძველზე

abdicatio tutelae [*აბდიკა´ტიო/აბდიკა´ციო ტუტე´ლე] მეურვის უარი მეურვეობის მოვალეობის შესრულებაზე

abettare [აბეტტა´რე] დახმარება, წაქეზება, თანამონაწილეობა

ab extra [აბ ე´ქსტრა] გარედან (ასე იწოდება ზოგჯერ გარეშე მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილია დოკუმენტის შინაარსის განმარტებისთვის)

abigeus [აბი´გეუს] საქონლის ქურდი

ab impossibili, inconvenienti [აბ იმპოსსი´ბილი, ინკონვენიე´ნტი] შეუძლებლობის,უხერხულობის გამო

ab initio [აბ *ინი´ტიო/ინი´ციო] თავიდან, დასაწყისიდან

ab initio mundi [აბ *ინი´ტიო/ინი´ციო მუ´ნდი] დასაბამიდან, სამყაროს დასაწყისიდან

ab intestato [აბ ინტესტა´ტო] პირისგან, რომელსაც ანდერძი არ დაუტოვებია

ab intra [აბ ი´ნტრა] შიგნიდან

ab invito [აბ ინვი´ტო] საკუთარი ნების წინააღმდეგ

ab irato [აბ ირა´ტო] მრისხანებით

ab olim ordinatum [აბ ო´ლიმ ორდინა´ტუმ] ადრე დადგენილი, ადრე გაწერილი, ადრე გადაწყვეტილი

abolitio legis [*აბოლი´ტიო/აბოლი´ციო ლე´გის] კანონის გაუქმება

abortus [აბო´რტუს] აბორტი, მუცლის მოშლის შედეგად საშოდან ამოღებული ნაყოფი

ab ovo [აბ ო´ვო] კვერცხიდან ე.ი. დასაწყისიდან

abrogatio legis [*აბროგა´ტიო/აბროგა´ციო ლე´გის] კანონის გაუქმება

absente reo [აბსე´ნტე რე´ო] მოპასუხის ან მსჯავრდებულის პროცესზე დაუსწრებლობა

absoluta sententia expositore non indiget [აბსოლუ´ტა *სენტე´ნტია/სენტე´ნცია ექსპოსიტო´რე ნონ ი´ნდიგეტ] გასაგები აზრი არ მოითხოვს განმარტებას

absolvitor [აბსო´ლვიტორ] გამამართლებელი განაჩენი

absque consideratione curiae [ა´ბსკვე *კონსიდერატიო´ნე/კონსიდერაციო´ნე კუ´რიე] სასამართლოში განხილვის გარეშე

absque impetitione vasti [ა´ბსკვე *იმპეტიტიო´ნე/იმპეტიციო´ნე ვა´სტი] ზიანზე პასუხისმგებელი (ქონების მიმღები ან არენდატორი თავისუფლდება მისი დაზიანებაზე პასუხისმგებლობისაგან)

absque iniuria [ა´ბსკვე ინიუ´რია] იურიდიული უფლების დარღვევის გარეშე

ab uno disce omnes [აბ უ´ნო *დი´სკე/დი´სცე ო´მნეს] ერთი ნაწილის მიხედვით შეიძლება მთლიანის გაგება

ab urbe condita [აბ უ´რბე კონდი´ტა] ქალაქის დაარსებიდან (რომაული წელთაღრიცხვა იწყებოდა რომის დაარსებიდან – ძვ.წ. 753 წ-დან)

accessorium non ducit, sed sequitur suum principale [*აკკესსო´რიუმ/აკცესსო´რიუმ ნონ *დუ´კიტ/დუ´ციტ, სედ სე´კვიტურ სუ´უმ *პრინკიპა´ლე/პრინციპა´ლე] დამატება მისდევს მთავარს და არა პირიქით

accessorius sequitur naturam ut principalis [*აკკესსო´რიუს/აკცესსო´რიუს სე´კვიტურ ნატუ´რამ უტ *პრინკიპა´ლის/პრინციპა´ლის] თანამონაწილე მისდევს მთავარ დამნაშავეს (თანამონაწილე არ შეიძლება დადანაშაულებული იყოს უფრო მძიმე დანაშაულში, ვიდრე მთავარი დამნაშავე)

accipere quid ut justitiam facias, non est tam accipere quam extorquere [*აკკი´პერე/აკცი´პერე კუი´დ უტ *იუსტი´ტიამ/იუსტი´ციამ *ფა´კიას/ფა´ციას, ნონ ესტ ტამ *აკკი´პერე/აკცი´პერე კვამ ექსტო´რკვერე] ქონებრივი სარგებლის მიღება მართლმსაჯულების აღსრულებისას არის არა მიღება, არამედ გამოძალვა

accredulitare [აკკრედულიტა´რე] პირისთვის ბრალდების მოხსნა ფიცის საშუალებით

accusare nemo se debet, nisi coram Deo [*აკკუსა´რე/აკკუზა´რე ნე´მო სე დე´ბეტ, *ნი´სი/ნი´ზი კო´რამ დე´ო] არავინაა ვალდებული საკუთარი თავი დაიდანაშაულოს, თუ არა – მხოლოდ ღვთის წინაშე

accusatio suspecti tutoris [*აკკუსა´ტიო/აკკუზა´ციო სუსპე´კტი ტუტო´რის] არაკეთილსინდისიერი მეურვისთვის უფლებამოსილების ჩამორთმევა

accusator post rationabile tempus non est audiendus, nisi se bene de omissione excusaverit [*აკკუსა´ტორ/აკკუზა´ტორ პოსტ *რატიონა´ბილე/რაციონა´ბილე ტე´მპუს ნონ ესტ აუდიე´ნდუს, *ნი´სი/ნი´ზი სე ბე´ნე დე ომისსიო´ნე *ექსკუსა´ვერიტ/ექსკუზა´ვერიტ] ხანგრძლივი (გონივრული) ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალმდებელს აღარ უნდა მოუსმინონ, თუ იგი არ წარმოადგენს საკუთარი დაყოვნების დამაჯერებელ მიზეზს

a communi observantia non est recedendum [ა კომმუ´ნი *ობსერვა´ნტია/ობსერვა´ნცია ნონ ესტ *რეკედე´ნდუმ/რეცედე´ნდუმ] დამკვიდრებული ჩვეულებიდან გადახვევა არ უნდა მოხდეს

acquietantia [*აკვიეტა´ნტია/აკვიეტა´ნცია] ვალდებულებისგან გათავისუფლება, ვალის გადახდა

acquietare [აკვიეტა´რე] პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, გადახდა

acquietatus [აკვიეტა´ტუს] გამართლებული, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული

acquisitio hereditatis [*აკვისი´ტიო/აკვიზი´ციო ჰერედიტა´ტის] მემკვიდრეობის მიღება

acta publica [ა´კტა პუ´ბლიკა] საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეები

actio ad exhibendum [*ა´კტიო/ა´კციო ად ექსჰიბე´ნდუმ] სარჩელი მოპასუხის იძულების შესახებ, რათა მან წარმოადგინოს მოძრავი ნივთი ან ტიტულსი უძრავ ქონებაზე, რომელიც მისი კონტროლის ქვეშაა

actio commodati contraria [*ა´კტიო/ა´კციო კომმოდა´ტი კონტრა´რია] მსესხებლის სარჩელი კრედიტორისადმი კრედიტის დაბრუნების თაობაზე

actio commodati directa [*ა´კტიო/ა´კციო კომმოდა´ტი დირე´კტა] კრედიტორის სარჩელი მსესხებელის მიმართ მათ შორის არსებული შეთანხმების შესრულების შესახებ

actio damni iniuria [*ა´კტიო/ა´კციო და´მნი ინიუ´რია] ზიანიდან გამომდინარე სარჩელი

actio de dolo (actio doli) [*ა´კტიო/ა´კციო დე დო´ლო (*ა´კტიო/ა´კციო დო´ლი)] იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი, რომელიც მოტყუების შედეგად დადგა

actio de pauperie [*ა´კტიო/ა´კციო დე პაუპე´რიე] იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილი სარჩელი, რომელიც ცხოველებმა გამოიწვიეს

actio depositi contraria [*ა´კტიო დეპოსი´ტი კონტრა´რია/ა´კციო დეპოზი´ტი კონტრა´რია] დეპოზიტორის სარჩელი მიმბარებლის მიმართ ზიანის მიყენების ან შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

actio depositi directa [*ა´კტიო დეპო´სიტი/ა´კციო დეპო´ზიტი დირე´კტა] მიმბარებლის სარჩელი დეპონირებული ქონების დეპოზიტორის მიერ უკან-დაბრუნებაზე

actio de recepto [*ა´კტიო დე რეკე´პტო/ა´კციო დე რეცე´პტო] სარჩელი ხომალდის, სასტუმროს ან თავლის მფლობელის მიმართ მგზავრის ქონების დაკარგვის გამო

actio de statu defuncti [*ა´კტიო/ა´კციო დე სტა´ტუ დეფუ´ნკტი] სარჩელი, გარდაცვლილი ანდერძისმგების უფლების განსაზღვრისათვის

actio ex conducto (actio conducti) [*ა´კტიო/ა´კციო ექს კონდუ´კტი (*ა´კტიო/ა´კციო კონდუ´კტი)] დამქირავებლის სარჩელი გამქირავებლის მიმართ დაქირავებული ნივთის გადაცემის თაობაზე

actio ex contractu [*ა´კტიო/ა´კციო ექს კონტრა´კტუ] ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი

actio ex delicto [*ა´კტიო/ა´კციო ექს დელი´კტო] დელიკტიდან გამომდინარე სარჩელი

actio ex locatio (actio locati) [*ა´კტიო ექს ლოკა´ტიო/ა´კციო ექს ლოკა´ციო (*ა´კტიო/ა´კციო ლოკა´ტი)] გამქირავებლის სარჩელი დამქირავებლის მიმართ ქირის გადახდაზე და გაქირავებული ნივთის უკან დაბრუნებაზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ

actio familiae erciscundae [*ა´კტიო ფამი´ლიე *ერკისკუ´ნდე/ა´კციო ფამი´ლიე ერცისკუ´ნდე] სარჩელი სამკვიდროს გაყოფაზე

actio famosa [*ა´კტიო *ფამო´სა/ა´კციო ფამო´ზა] სარჩელი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მოპასუხის შერცხვენა ან პატივის აყრა

actio ficticia [*ა´კტიო *ფიკტი´კია/ა´კციო ფიკტი´ცია] სარჩელი, რომლის გადაწყვეტა მოითხოვდა ფიქციაზე დაყრდნობას

actio finium regundorum [*ა´კტიო/ა´კციო ფი´ნიუმ რეგუნდო´რუმ] სარჩელი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენაზე

actio in factum praescriptis verbis [*ა´კტიო/ა´კციო ინ ფა´კტუმ პრესკრი´პტის ვე´რბის] სარჩელი, რომლის საშუალებით მოსარჩელე, საკუთარი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ მოითხოვს, რომ მოპასუხემ შეასრულოს თავისი ვალდებულება

actio legati [*ა´კტიო/ა´კციო ლეგა´ტი] ლეგატარის სარჩელი მემკვიდრის მიმართ ანდერძით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებაზე

actio negotiorum gestorum [*ა´კტიო *ნეგოტიო´რუმ/ნეგოციო´რუმ გესტო´რუმ] სარჩელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშირებით

actionem constituere (instituere) [*აკტიო´ნემ/აკციო´ნემ კონსტიტუე´რე (ინსტიტუ´ერე)] სარჩელის წარდგენა, სასამართლო დაცვის ძიება

actio non [*ა´კტიო/ა´კციო ნონ] სასამართლოსადმი განცხადება მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენის უფლების არქონაზე

actio non datur non damnificato [*ა´კტიო/ა´კციო ნონ და´ტურ ნონ დამნიფიკა´ტო] სარჩელის უფლება არ მიეცემა მოსარჩელეს, რომელსაც ზიანი არ მიადგა

actio personalis [*ა´კტიო/ა´კციო პერსონა´ლის] პირადი სარჩელი

actio personalis (quae oritur ex delicto) moritur cum persona [*ა´კტიო/ა´კციო პერსონა´ლის (კვე ო´რიტურ ექს დელი´კტო) მო´რიტურ კუმ პერსო´ნა] პირადი სარჩელი (წარმოქმნილი დელიქტიდან) პირთან ერთად კვდება

actio praescriptis verbis [*ა´კტიო/ა´კციო პრესკრი´პტის ვე´რბის] სარჩელი, დაფუძნებული ჩვეულებაზე ან პრეცედენტზე

actio pro socio [*ა´კტიო პრო *სო´კიო/ა´კციო პრო სო´ციო] ერთი ამხანაგის სარჩელი მეორე ამხანაგის მიმართ ამხანაგობის ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნით

actio quod iusso [*ა´კტიო/ა´კციო კვოდ იუ´სსო] კრედიტორის სარჩელი მეპატრონის მიმართ გამომდინარე ხელშეკრულებიდან, რომელიც მონამ დადო პატრონის სახელით

actio quod metus causa [*ა´კტიო/ა´კციო კვოდ მე´ტუს *კა´უსა/კა´უზა] პრეტორის სარჩელი ქონების უკან დაბრუნების თაობაზე იმ პირის მიმართ, ვინც ეს ქონება მუქარის ძალით დათმო

actio rerum amotarum [*ა´კტიო/ა´კციო რე´რუმ ამოტა´რუმ] ერთ-ერთი მეუღლის სარჩელი მეორისადმი, რომელმაც მოსარჩელის ნივთი მოიპარა განქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე

actio rescissoria [*ა´კტიო *რესკისსო´რია/ა´კციო რესციისსო´რია] პრეტორის სარჩელი დაკარგული უფლების აღდგენის შესახებ

actio stricti iuris [*ა´კტიო/ა´კციო სტრი´კტი იუ´რის] სარჩელი, რომლის გადაწყვეტისას სასამართლო მკაცრად ხელმძღვანელობდა კანონით ან ხელშეკრულებით

actore non probante reus absolvitur [აკტო´რე ნონ პრობა´ნტე რე´უს აბსო´ლვიტურ] ბრალდებული გამართლებულია, თუ ბრალდებამ არ დაამტკიცა მისი ბრალეულობა

actori incumbit onus probandi [აკტო´რი ინკუ´მბ იტ ო´ნუს პრობა´ნდი] მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზეა

actor in rem suam [ა´კტორ ინ რემ სუ´ამ] პირი, რომელიც საკუთარი სახელით მოქმედებდა

actor qui contra regulam quid adduxit non est audiendus [ა´კტორ კვი კო´ნტრა რე´გულამ კვიდ ადდუ´ქსიტ ნონ ესტ აუდიე´ნდუს] ადვოკატს, რომელიც დავას აწარმოებს კანონის წინააღმდეგ, არ უნდა მოვუსმინოთ

actor sequitur forum rei [ა´კტორ სე´კვიტურ ფო´რუმ რე´ი] მოსარჩელემ უნდა მიმართოს სასამართლოს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით

actus Dei [ა´კტუს დე´ი] ღვთის ქმედება, ბუნების ძალების უჩვეულო და მოულოდნელი გამოვლენა, რომელსაც ადამიანი ვერ ეწინააღმდეგება; ადამიანური კონტროლის მიღმა არსებული მოვლენა, მაგალითად, გრიგალი, მეხის დაცემა, ჭექა-ქუხილი

actus Dei nemini et damnosus (facit iniuriam) [ა´კტუს დე´ი ნე´მინი ეტ *დამნო´სუს/დამნო´ზუს (*ფა´კიტ/ფა´ციტ ინიუ´რიამ)] ღვთიური ქმედება არავის უფლებას არ არღვევს

actus Dei vel legis nemini facit iniuriam [ა´კტუს დე´ი ველ ლე´გის ნე´მინი *ფა´კიტ/ფა´ციტ ინიუ´რიამ] არც ღვთაებრივი ქმედება, არც კანონის ქმედება არავის უფლებას არ არღვევს

actus fictus in fraudem legis [ა´კტუს ფი´კტუს ინ ფრა´უდემ ლე´გის] ფიქტიური ქმედება კანონის გვერდის ავლით

actus me invito factus, non est meus actus [ა´კტუს მე ინვი´ტო ფა´კტუს, ნონ ესტ მე´უს ა´კტუს] ქმედება, ჩემს მიერ ჩადენილი საკუთარი ნების წინააღმდეგ, არ არის ჩემი ქმედება

actus non facit ream, nisi mens sit rea [ა´კტუს ნონ *ფა´კიტ/ფა´ციტ რე´ამ, *ნი´სი/ნი´ზი მენს სიტ რე´ა] ქმედება არ არის დანაშაულებრივი, თუ გონება არაა დამნაშავე

actus repugnans non potest in esse produci [ა´კტუს რეპუ´გნანს ნონ პო´ტესტ ინ ე´სსე *პრო´დუკი/პრო´დუცი] იძულებითი ქმედება არ იწვევს შედეგებს

actus servi in iis quibus opera eius communiter adhibita est, actus domini habetur [ა´კტუს სე´რვი ინ ი´ის კვი´ბუს ო´პერა ე´იუს კომმუ´ნიტურ ადჰი´ბიტა ესტ, ა´კტუს დო´მინი ჰაბე´ტურ] ქმედება მსახურისა, რომელიც ასრულებს თავის ჩვეულ სამუშაოს, არის პატრონის ქმედება

A. D.– *შემოკლ.* Anno Domini [ა´ნნო დო´მინი] ქრისტეს შობიდან

ad abundantiorem (maiorem) cautelam, ad cautelam ex superabundanti [ად *აბუნდანტიო´რემ/აბუნდაციო´რემ (მაიო´რემ) კაუტე´ლამ ად კაუტე´ლამ ექს სუპერაბუნდა´ნტი] მეტი სიფრთხილისათვის, განსაკუთრებული სიფრთხილისათვის

ad allud examen [ად ა´ლლუდ *ექსა´მენ/ექზა´მენ] ახალ გამოძიებაზე ან სასამართლო განხილვაზე

ad audiendum considerationem curiae [ად აუდიე´ნდუმ *კონსიდერატიო´ნემ/კონსიდერაციო´ნემ კუ´რიე] სასამართლო გადაწყვეტილების მოსასმენად

ad audiendum et determinandum [ად აუდიე´ნდუმ ეტ დეტერმინა´ნდუმ] მოსასმენად და გადასაწყვეტად

ad bancum [ად ბა´ნკუმ] (მოსამართლის) სკამზე (სკამთან)

ad barram [ად ბა´რრამ] დაცვის სკამზე
ad barram evocatus [ად ბა´რრამ ევოკა´ტუს] საადვოკატო პრაქტიკის უფლების მიმღები, საადვოკატო პრაქტიკაზე დაშვებული
ad comparendum et ad standum iuri [ად კომპარე´ნდუმ ეტ ად სტა´ნდუმ იუ´რი] – სასამართლოში გამოცხადება და მისი გადაწყვეტილებისადმი დამორჩილება
ad concordiam publicam promovendam [ად კონკო´რდიამ პუ´ბლიკამ პრომოვე´ნდამ] საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის
ad consentiendum [ად *კონსენტიე´ნდუმ/კონსენციე´ნდუმ] თანხმობის შედეგად
ad credulitare [ად კრედულიტა´რე] ბრალდებისგან გათავისუფლება ფიცის ქვეშ დანაშაულის უარყოფის გზით
ad culpa [ად კუ´ლპა] გადაცდომის ჩადენამდე
ad curiam [ად კუ´რიამ] სასამართლოს წინაშე, სასამართლოსადმი
ad decisionem litis [ად *დეკისიო´ნემ/დეციზიო´ნემ ლი´ტის] შეთანხმების საფუძველზე დავის გადასაწყვეტად
ad defendendum [ად დეფე´ნდენდუმ] დაცვა, დაცვისთვის
addendum [ადდე´ნდუმ] დანართი დოკუმენტისა
addictio [*ადდი´კტიო/ადდი´კციო] სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის ძალით ხდებოდა ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება
addictio in diem [*ადდი´კტიო/ადდი´კციო ინ დი´ემ] ნასყიდობის ხელშეკრულება დათქმით, რომ გამყიდველი თავისუფლდებოდა თავისი ვალდებულებებისაგან, თუ მას უფრო სარფიან გარიგებას შესთავაზებდნენ
ad ea quae frequentius accidunt iura adaptantur [ად ე´აკვე *ფრეკვე´ნტიუს/ფრეკვე´ნციუს *აკკი´დუნტ/აკცი´დუნტ იუ´რა ადაპტა´ნტურ] კანონები ფორმულირდება იმ საქმეებთან მიმართებით, რომლებიც ხშირად გვხვდება
ad eosdem terminos [ად ეო´სდემ ტე´რმინოს] იმავე პირობებით
ad essendum coram iusticiariis [ად ესსე´ნდუმ კო´რამ *იუსტიკია´რიის/იუსტიცია´რიის] მოსამართლეთა წინაშე წარდგომა
ad fidem regis [ად ფი´დემ რე´გის] მეფის ქვეშევრდომობაში
ad finem litis [ად ფი´ნემ ლი´ტის] ბოლომდე, დავის ბოლოს
ad grave damnum [ად გრა´ვე და´მნუმ] დიდი ზიანისთვის
adhibere diligentiam [ადჰი´ბერე *დილიგე´ნტიამ/დილიგე´ნციამ] მზრუნველობის გამოჩენა
adhibere vim [ადჰი´ბერე ვიმ] ძალის გამოყენება
ad hoc [ად ჰოკ] განსაკუთრებით ამისთვის, მხოლოდ ამ შემთხვევისთვის
ad huc sub iudice lis est [ად ჰუკ სუბ *იუ´დიკე/იუ´დიცე ლის ესტ] საქმე ჯერ კიდევ განიხილება სასამართლოს მიერ
ad idem facit [ად ი´დემ *ფა´კიტ/ფა´ციტ] ეს ერთსა და იმავეს აღნიშნავს
ad impossibilia lex non cogit [ად იმპოსსიბი´ლია ლექს ნონ კო´გიტ] შეუძლებელს კანონი არ მოითხოვს
ad indefinitum, infinitum [ად ინდეფინი´ტუმ, ინფინი´ტუმ] გაურკვევლად, დაუსრულებლად, ნებისმიერ შემთხვევაში
ad informandum conscientiam iudicis [ად ინფორმა´ნდუმ *კონსკიე´ნტიამ/კონსციე´ნციამ *იუ´დიკის/იუ´დიცის] მოსამართლის საყურადღებოდ
ad instantiam partio [ად *ინსტა´ნტიამ/ინსტა´ნციამ პა´რტიო] მხარის მოთხოვნით

adire in ius [ადი´რე ინ იუ´ს] დასახმარებლად კანონისთვის (სასამართლოსათვის) მიმართვა

aditio haereditatis [*ადი´ტიო/ადი´ციო ჰერედიტა´ტის] მემკვიდრეობის მიღების ფორმალური აქტი

adiectire, adiectivus [ადიეკტი´რე, ადიეკტი´ვუს] სასამართლოში გამოძახება, სასამართლოში გამოძახებული

ad iudicium [ად *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] სასამართლოს გადაწყვეტილებაზე

ad iudiciam provocare [ად *იუდი´კიამ/იუდი´ციამ პროვოკა´რე] სასამართლოსადმი მიმართვა, სარჩელის წარდგენა

adiurare [ადიურა´რე] დაფიცება, ფიცით დარწმუნება

ad legem [ად ლე´გემ] კანონის მიხედვით

adlegiare [ად ლეგია´რე] დანაშაულში ბრალდებისგან გათავისუფლება ფიცის მეშვეობით

ad litem [ად ლი´ტემ] სანამ მიმდინარეობს საქმის განხილვა, განხილვის პროცესში

ad lucrandum vel perdendum [ად ლუკრა´ნდუმ ველ პერდე´ნდუმ] სარგებლისათვის ან ზიანისთვის

admanuensis [ადმანუე´ნსის] პირი, რომელმაც ფიცი დადო ბიბლიაზე ხელით დადებით

admonitio trina [*ადმონი´ტიო/ადმონი´ციო ტრი´ნა] სამჯერ გაფრთხილება, რომელსაც აძლევდნენ მსჯავრდებულს, რომელსაც არ სურდა ლაპარაკი

ad mordendum assuetus [ად მორდე´ნდუმ ასსუე´ტუს] კბენას მიჩვეული (სარჩელი ძაღლის კბენით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ)

ad nocumentum [ად ნოკუმე´ნტუმ] ზიანისთვის ან უხერხულობისთვის

adolescentia [*ადოლესკე´ნტია/ადოლესცე´ნცია] სიყმაწვილის ასაკი (რომ. სამ. მიხედვით – 15-დან 30 წლამდე)

ad opus [ად ო´პუს] სარგებლისთვის

ad ostium ecclesiae [ად ო´სტიუმ *ეკკლე´სიე/ეკკლე´ზიე] ეკლესიის კარებთან, ე.ი. ჯვრისწერისას

ad patria [ად პა´ტრია] ქვეყნისადმი, ნაფიც მსაჯულებისადმი

ad perpetuam [ად პერპე´ტუამ] მუდმივად

ad perpetuam rei memoriam [ად პერპე´ტუამ რეი მემო´რიამ] რაღაცის მუდამ მოსაგონებლად

ad perpetuam remanentiam [ად პერპე´ტუამ *რემანე´ნტიამ/რემანე´ნციამ] მარადიულად, სამუდამოდ

ad primam diem litigii [ად პრი´მამ დიე´მ ლიტი´გიი] სასამართლო განხილვის პირველ დღეს

ad probandum aliquid per credentiam duodecim hominum vicinorum [ად პრობა´ნდუმ ალი´კვიდ პერ *კრედე´ნტიამ/კრედე´ნციამ *დუო´დეკიმ/დუო´დეციმ ჰო´მინუმ *ვიკინო´რუმ/ვიცინო´რუმ] რაღაცის მტკიცება ოლქის თორმეტი მაცხოვრებლის მოწმეობით

ad propinquiorem consanguineum [ად პროვინკვიო´რემ კონსანგვინე´უმ] უახლოესს (პირს) სისხლით ნათესაობის მიხედვით

ad publicam vindicatam [ად პუ´ბლიკამ ვინდიკა´ტამ] საზოგადოების დაცვისათვის

ad quaestionem facti (non) respondent iudices; ad quaestionem iuris (legis) (non) respondent iuratores [ად *კვესტიო´ნემ/კვესციო´ნემ ფა´კტი (ნონ) რესპო´ნდენტ *იუ´დიკეს/იუ´დიცეს; ად *კვესტიო´ნემ/კვესციო´ნემ იუ´რის (ლე´გის) (ნონ) რესპო´ნდენტ იურატო´რეს] მოსამართლეები (არ) წყვეტენ ფაქტის საკითხებს; ნაფიცი მსაჯულები (არ) წყვეტენ სამართლის საკითხებს

ad querimoniam [ად კვერიმო´ნიამ] საჩივრით

ad quod curia concordavit [ად კვოდ კუ´რია კონკორდა´ვიტ] რასაც სასამართლო დაეთანხმა

ad quod non fuit responsum [ად კვოდ ნონ ფუ´იტ რესპო´ნსუმ] რასაც პასუხი არ მოჰყვა

ad referendum [ად რეფერე´ნდუმ] შემდგომი განხილვისთვის გადადება

ad sectam [ად სე´კტამ] ვინმეს შუამდგომლობით (*შემოკლ.* ads.)

ad standum rectum [ად სტა´ნდუმ რე´კტუმ] სამართლიანი საქმის მხარდაჭერა

ad studendum et orandum [ად სტუდე´ნდუმ ეტ ორა´ნდუმ] სწავლისა და ლოცვისათვის

ad subeundum legem [ად სუბეუ´ნდუმ ლე´გემ] კანონისადმი მორჩილება

ad tunc et ibidem [ად ტუნკ ეტ ი´ბიდემ] მაშინ და იქ

adulterator monetae [ადულტერა´ტორ მონე´ტე] ყალბი ფულის მომჭრელი, ფულის გამყალბებელი

adulterina monetae [ადულტერი´ნა მონე´ტე] გაყალბებული ფული

adulterinum signum [ადულტერი´ნუმ სი´გნუმ] ყალბი ბეჭედი

adulterinum testamentum [ადულტერი´ნუმ ტესტამე´ნტუმ] ყალბი ანდერძი

ad ultimam vim terminorum [ად უ´ლტიმამ ვიმ ტერმინო´რუმ] ვადის ამოწურვის ჟამს, სულ ბოლოს

ad usum et commodum [ად *უ´სუმ/უ´ზუმ ეტ კო´მმოდუმ] სარგებლობისა და სარგებლისათვის

ad valorem [ად ვალო´რემ] ღირებულების შესაბამისად

ad ventrem inspiciendum [ად ვე´ნტრემ *ინსპიკიე´ნდუმ/ინსპიციე´ნდუმ] ქალის დაკითხვა სასამართლოზე ორსულობის დადგენის მიზნით

adversa fortuna [ადვე´რსა ფორტუ´ნა] ბოროტი ბედისწერა

adversa valetudo excusat [ადვე´რსა ვალეტუ´დო *ექსკუ´სატ/ექსკუ´ზატ] ცუდი ჯანმრთელობა ათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან

adversus bonos mores [ადვე´რსუს ბო´ნოს მო´რეს] კეთილი ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ

ad vitam [ად ვი´ტამ] სიცოცხლის ბოლომდე, სამუდამოდ

ad voluntatem domini [ად ვოლუნტა´ტემ დო´მინი] ბატონის ნება-სურვილით

aedificare in tuo proprio solo non licet quod alteri noceat [ედიფიკა´რე ინ ტუ´ო პრო´პრიო სო´ლო ნონ *ლი´კეტ/ლი´ცეტ კვოდ ა´ლტერი *ნო´კეატ/ნო´ცეატ] საკუთარი მიწის ნაკვეთზე არაკანონიერად ისეთი რამის აშენება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სხვას

aeger [ე´გერ] სხეულით და სულით ავადმყოფი

aequior est dispositio legis quam hominis [ე´კვიორ ესტ *დისპოსი´ტიო/დისპოზი´ციო ლე´გის კვამ ჰო´მინის] კანონი წყვეტს უფრო სამართლიანად, ვიდრე ადამიანი

aequum et bonum est lex legum [ე´კვუმ ეტ ბო´ნუმ ესტ ლექს ლე´გუმ] სამართლიანობა და სიკეთე არის კანონთა კანონი

aequum est neminem cum alterius detrimento fieri locupletiorem [ე´კვუმ ესტ ნე´მინემ კუმ ალტე´რიუს დეტრიმე´ნტო ფი´ერი *ლოკუპლეტიო´რემ/ლოკუპლეციო´რემ] სამართლიანი არ არის სხვის ხარჯზე (სხვისი დაზარალებით) გამდიდრება

aes suum [ეს სუ´უმ] საკუთარი ფული; ვალი, სხვა პირისგან ამოსაღები

aestimatio capitis [*ესტიმა´ტიო/ესტიმა´ციო კა´პიტის] თავის ფასი; მკვლელობისთვის გათვალისწინებული ჯარიმა

aestimatio litis [*ესტიმა´ტიო/ესტიმა´ციო ლი´ტის] სასამართლოთი განსაზღვრული ზარალის რაოდენობა

aetas infantiae proxima [ე´ტას *ინფა´ნტიე/ინფა´ნციე პრო´ქსიმა] ადრეული ბავშვობის ასაკი (შვიდიდან ათწლინახევრამდე; დაბადებიდან ამ ასაკის დასრულებამდე ბავშვის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სისხლის სამართლებრივი სასჯელი)

aetas perfecta [ე´ტას პერფე´ქტა] სრულწლოვანება, სრული ასაკი

aetas pubertati proxima [ეტა´ს პუბერტა´ტი პრო´ქსიმა] სქესობრივი მომწიფების წინა პერიოდი (ათი წლიდან თოთხმეტ წლამდე, ამ ასაკში ბავშვის დასჯა შეიძლებოდა, თუ სასამართლო მიიჩნევდა მას doli capax-ად)

affectus punitur, licet non sequatur effectus [აფფე´კტუს პუნი´ტურ *ლი´კეტ/ლი´ცეტ ნონ სეკვა´ტურ ეფფე´კტუს] მცდელობა დასჯილია, მიუხედავად იმისა, შედეგი დადგა თუ არა

affirmanti, non neganti, incumbit probatio [აფფირმა´ნტი, ნონ ნეგა´ნტი, ინკუ´მბიტ *პრობა´ტიო/პრობა´ციო] მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, რომელიც უარყოფს

afforciamentum [*აფფორკიამე´ნტუმ/აფფორციამე´ნტუმ] სასამართლოს მოწვევა საგანგებო სხდომაზე

affrectamentum, affretamentum [აფფრეკტამე´ნტუმ, აფფრეტამე´ნტუმ] ფრახტის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ხომალდის პატრონი თანხმდება მისი ხომალდი გამოყენებული იყოს ტვირთების გადასაზიდად

affri carucae [ა´ფფრი *კარუ´კე/კარუ´ცე] გამწევი ცხენები ან გამწევი საქონელი

a fortiori [ა *ფორტიო´რი/ფორციო´რი] მით უფრო

agentes et consentientes pari poena plactantur [აგე´ნტეს ეტ *კონსენტიე´ნტეს/კონსენციე´ნტეს პა´რი პე´ნა პლაკტა´ნტურ] როგორც აღმსრულებლები, ისე ისინი, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, ერთსა და იმავე სასჯელს იმსახურებენ

agere iniuriam [ა´გერე ინიუ´რიამ] სარჩელის წარდგენა ზარალის ანაზღაურების შესახებ

aggregatio mentium [*აგგრეგა´ტიო *მე´ნტიუმ/აგგრეგა´ციო მე´ნციუმ] მოვალისა და კრედიტორის ნების დამთხვევა ხელშეკრულების თაობაზე. ორმხრივი თანხმობა ხელშეკრულების პირობებისა და ყველა არსებითი ელემენტის მიმართ

agistamentum [აგისტამე´ნტუმ] დეპონირების ხელშეკრულების განსაკუთრებული სახეობა, რომლის მიხედვითაც პიროვნება თანახმაა ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღოს ნახირი, რომ აძოვოს საკუთარ მიწაზე

agnates [აგნა´ტეს] ნათესავები მამის მხრიდან

agrarii [აგრა´რიი] აგრარიები, რომში – წევრები პოლიტიკური პარტიისა, რომელიც მოითხოვდა საზოგადოებრივი მიწების მოქალაქეთა შორის განაწილებას

agrarium [აგრა´რიუმ] მიწის გადასახადი

a gratia [ა *გრა´ტია/გრა´ცია] წყალობით, თავაზიანობის გამო

agri limitati [ა´გრი ლიმიტა´ტი] დაპყრობილი ტერიტორია, რომელიც ნაწილდებოდა ვეტერანებს შორის

alia iuris, alieni iuris [ა´ლია იუ´რის, ალიე´ნი იუ´რის] სხვა პირის სახელით, მაგალითად მშობლის ან მეურვის სახელით; არა საკუთარი სახელით მოქმედი

alias [ა´ლიას] სხვაგვარად, სხვა დროს

alias dictus [ა´ლიას დი´კტუს] ამგვარადვე წოდებული

alibi natus [ა´ლიბი ნა´ტუს] სხვა ადგილას დაბადებული

aliena negotia exacto officio geruntur [ალიე´ნა *ნეგო´ტია/ნეგო´ციაექსა´კტო *ოფფი´კიო/ოფფი´ციო გერუ´ნტურ] საქმე, შესრულებული სხვა პირის ნაცვლად, უნდა შესრულდეს განსაკუთრებული გულმოდგინებით

aliena res [ალიე´ნა რეს] სხვა პირის ქონება, სხვისი ქონება

alienatio licet prohibeatur, consensu tamen omnium in quorum favorem prohibita est, potest fieri [*ალიენა´ტიო *ლი´კეტ/ალიენა´ციო ლი´ცეტ პროჰიბეა´ტურ, კონსე´ნსუ ტა´მენ ო´მნიუმ ინ კვო´რუმ ფავო´რემ პროჰიბი´ტა ესტ, პო´ტესტ ფიე´რი] საკუთრების გასხვისება შეიძლება შეზღუდული იყოს, იგი შეიძლება გასხვისდეს მათი თანხმობით, ვის სასარგებლოდაც იყო დადგენილი შეზღუდვა

alienus homo [ალიე´ნუს ჰო´მო] სხვისი კუთვნილი ადამიანი (მონა)

alio intuitu [ა´ლიო ინტუი´ტუ] სხვა თვალსაზრისით

alios acta [ა´ლიოს ა´კტა] ქმედება, გარიგება ან სხვა პირების შეთანხმება

aliquid conceditur [ა´ლიკვიდ *კონკე´დიტურ/კონცე´დიტურ] რაიმეს დათმობა

aliquis non potest esse iudex in propria causa [ა´ლიკვის ნონ პო´ტესტ ე´სსე იუ´დექს ინ პრო´პრია *კა´უსა/კა´უზა] არავის შეუძლია იყოს საკუთარ საქმეში მოსამართლე

aliud est possidere, allid esse in possessione [ა´ლიუდ ესტ პოსსიდე´რე, ა´ლიუდ ე´სსე ინ პოსსესსიო´ნე] სხვა საქმეა – ფლობა; სხვა – მფლობელად ყოფნა

aliud est tacere, aliud celare [ა´ლიუდ ესტ *ტაკე´რე/ტაცე´რე, ა´ლიუდ *კელა´რე/ცელა´რე] სხვა საქმეა დუმილი, სხვა – მიჩუმათება

aliud est vendere, aliud vendeti consentire [ა´ლიუდ ესტ ვე´ნდერე, ა´ლიუდ ვენდე´ტი კონსენტი´რე] სხვა საქმეა გაყიდვა, სხვა – გაყიდვაზე თანხმობა ან გაყიდვაზე შეთანხმება

allegans contraria non est audiendus [ა´ლლეგანს კონტრა´რია ნონ ესტ აუდიე´ნდუს] წინააღმდეგობრივი განცხადებები არ უნდა იყოს მოსმენილი

allegari non debuit quod probatum non relevat [ალლეგა´რი ნონ დე´ბუიტ კვოდ პრობა´ტუმ ნონ რე´ლევატ] არ არის საჭირო მტკიცება იმისა, რაც უკვე დამტკიცებულია და საქმესთან კავშირი არა აქვს

allegata et probata [ალლეგა´ტა ეტ პრობა´ტა] მხარეთა განცხადებები და მათი მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებები

allegatio contra interpretationem verborum [*ალლეგა´ტიო/ალლეგა´ციო კო´ნტრა *ინტერპრეტატიო´ნემ/ინტერპრეტაციო´ნემ ვერბო´რუმ] მტკიცებულება, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას ეწინააღმდეგება

allegatum [ალლეგა´ტუმ] მტკიცებულება

allegiare [ალლეგია´რე] საკუთარი საქმის დაცვა

allocatur [ალლოკა´ტურ] დაე, ნებადართული იყოს: სასამართლოს ან მოსამართლის ბრძანება, რომელიც რაიმეს ნებას რთავს

alluvio maris [ალლუ´ვიო მა´რის] ზღვის მოლექვა

alta proditio [ალტა *პროდი´ტიო/პროდი´ციო] სახელმწიფოებრივი ღალატი

alta via [ა´ლტა ვი´ა] დიდი გზა

alta via regia, regina [ა´ლტა ვი´ა რე´გია, რეგი´ნა] სამეფო (მეფის, დედოფლის) დიდი გზა

alter ego [ა´ლტერ ე´გო] მეორე მე; ჩემი წარმომადგენელი

alter idem [ა´ლტერ ი´დემ] სხვა ასეთივე

alternatim [ალტერნა´ტიმ] ურთიერთშენაცვლებით

alternis vicibus [ალტე´რნის *ვი´კიბუს/ვი´ციბუს] ურთიერთმონაცვლეობით

alterum non laedere [ა´ლტერუმ ნონ ლე´დერე] სხვისთვის ზიანის არმიყენება

alto et basso [ა´ლტო ეტ ბა´სსო] თავიდან ბოლომდე; მთელი საქმე

altum mare [ა´ლტუმ მა´რე] ღია ზღვა

alveus derelictus [ა´ლვეუს დერელი´კტუს] დამშრალი მდინარის ფსკერი, შლამიანი კალაპოტი

amenuensis [ამენუე´ნსის] დოკუმენტის გადამწერი ან კარნახით დამწერი ან იქვე მყოფი სხვა პირის მაგივრად ხელისმომწერი პირი

ambulatoria est voluntas defuncti usque ad vitae supremum exitum [ამბულატო´რია ესტ ვოლუ´ნტას დეფუ´ნკტი უ´სკვე ად ვი´ტე სუპრე´მუმ ექსი´ტუმ] ანდერძი შეიძლება იყოს ანულირებული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდეც კი

amens [ა´მენს] უგნური, გიჟი

a mensa et thoro [ამე´ნსა ეტ თო´რო] საწოლიდან და მაგიდიდან

amicus curiae [ამი´კუს კუ´რიე] სასამართლოს მეგობარი; პირი, რომელიც სასამართლოს ატყობინებს ინფორმაციას სამართლებრივ საკითხზე, რაც სასამართლოს ორჭოფობას იწვევს

amittere curiam [ამი´ტტერე კუ´რიამ] სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლების დაკარგვა

amittere liberam legem [ამი´ტტერე ლი´ბერამ ლე´გემ] სასამართლოში მიმართვის უფლების, მოწმედ ყოფნის უფლების დაკარგვა, კანონგარეშედ გამოცხადება

amoveas manum [ამო´ვეას მა´ნუმ] სასამართლოს ბრძანება უძრავი ნივთის დაბრუნების შესახებ, რომელიც გვირგვინის სარგებლად იქნა ჩამორთმეული

ampliare iurisdictionem [ამპლია´რე *იურისდიკტიო´ნემ/იურისდიკციო´ნემ] იურისდიქციის გაფართოება

a nativitate [ა ნატივიტა´ტე] დაბადებიდან

ancipitis usus [*ანკი´პიტის *უ´სუს/ანცი´პიტის უ´ზუს] გროციუსის საერთაშორისო სამართლის ნაშრომებში: საეჭვო სარგებლიანობა მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის

androlepsia [ანდროლე´პსია] უცხოელების მძევლად დაკავების პრაქტიკა იმ მიზნით, რომ აიძულოს ქვეყანა, რომლის მოქალაქეებადაც ისინი ითვლებიან, განახორციელოს მართლმსაჯულება

anecius [*ანე´კიუს/ანე´ციუს] პირველშობილი, ყველაზე ძველი

anfractus iudicium [ანფრა´კტუს *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] იურიდიული მზაკვრობები

animalia vagantia [ანიმა´ლია *ვაგა´ნტია/ვაგა´ნცია] მოხეტიალე ცხოველები

animo [ა´ნიმო] მიზნით, განზრახვით

animo cancellandi [ა´ნიმო *კანკელლა´ნდი/კანცელლა´ნდი] უარის ან ანულირების განზრახვით

animo capiendi [ა´ნიმო კაპიე´ნდი] აღების განზრახვით

animo defamandi [ა´ნიმო დეფამა´ნდი] სახელის გატეხის მიზნით

animo derelinquendi [ა´ნიმო დერელინკვე´ნდი] დატოვების განზრახვით

animo dominandi [ა´ნიმო დომინა´ნდი] კონტროლირების განზრახვით

animo felonico [ა´ნიმო ფელო´ნიკო] დანაშაულებრივი განზრახვით

animo manendi [ა´ნიმო მანე´ნდი] დარჩენის განზრახვით

animo non revertendi [ა´ნიმო ნონ რევერტე´ნდი] არდაბრუნების განზრახვით

animo (animus) recipiendi [ა´ნიმო (ა´ნიმუს) *რეკიპიე´ნდი/რეციპიე´ნდი] მიღების განზრახვით

animo remanendi [ა´ნიმო რემანე´ნდი] დარჩენის, დატოვების მიზნით

animo (animus) republicandi [ა´ნიმო (ა´ნიმუს) რეპუბლიკა´ნდი] ხელახალი გამოქვეყნების განზრახვით

animo (animus) revertendi [ა´ნიმო (ა´ნიმუს) რევერტე´ნდი] უკანდაბრუნების განზრახვით

animo (animus) revacandi [ა´ნიმო (ა´ნიმუს) რევაკა´ნდი] ანულირების განზრახვით

animo (animus) testandi [ა´ნიმო (ა´ნიმუს) ტესტა´ნდი] ანდერძის დაწერის განზრახვით

animus ad se omne ius ducit [ა´ნიმუს ად სე ო´მნე იუ´ს *დუ´კიტ/დუ´ციტ] ყოველი კანონი მიმართულია საქმის არსისკენ

animus quo [ა´ნიმუს კვო] განზრახვა, რომლითაც იყო შესრულებული ქმედება

animus recuperandi [ა´ნიმუს რეკუპერა´ნდი] ქონების უკანდაბრუნების, ანაზღაურების განზრახვა

animus signandi [ა´ნიმუს სიგნა´ნდი] ხელმოწერის განზრახვა

anni nubiles [ა´ნნი ნუ´ბილეს] ქალიშვილის საქორწინო ასაკი

anni spatium [ა´ნნი *სპა´ტიუმ/სპა´ციუმ] ერთი წლის ხანგრძლივობის პერიოდი

annotatione principis [*ანნოტატიო´ნე *პრი´ნკიპის/ანნოტა´ციონე პრი´ნციპის] ხელმწიფის ხელმოწერით

anno Urbis Conditae (A.U.C.) [ა´ნნო უ´რბის კონდი´ტე] ქალაქის (რომის) დაარსების წელს (ძვ.წ. 753 წ.), რომის კალენდრის დასაწყისი

annus luctus [ა´ნნუს ლუ´კტუს] გლოვის წელი, რომლის განმავლობაში ქვრივ ქალს არ ჰქონდა კანონიერად ხელახლა დაქორწინების უფლება

ante bellum [ა´ნტე ბე´ლლუმ] ომამდე
ante factum [ა´ნტე ფა´კტუმ] ადრე მომხდარი, ადრე ჩადენილი ქმედება
ante litem (motam) [ა´ნტე ლი´ტემ (მო´ტამ)] საქმის განხილვის დაწყებამდე
ante litem contestatam [ა´ნტე ლი´ტემ კონტესტა´ტამ] მოწმეთა გამოძახებამდე
ante mortem [ა´ნტე მო´რტემ] სიკვდილის წინ
ante omnia [ა´ნტე ო´მნია] ყველაფრის წინ
antiqua custuma [ანტი´კვა კუ´სტუმა] ძველი ადათი (წეს-ჩვეულება)
antiquare [ანტიკვა´რე] აღდგენა ან შენახვა ძველი კანონისა
antithetarius [ანტითეტა´რიუს] პირი, რომელიც ცდილობს თავი აარიდოს სასჯელს დანაშაულისთვის თავისი ბრალმდებლის დადანაშაულებით
apertum factum [აპე´რტუმ ფა´კტუმ] ღია, აშკარა ქმედება
apex (მრ. რ. **apices**) **iuris** [აპე´ქს (*ა´პიკეს/ა´პიცეს) იუ´რის] გამოუვალი მდგომარეობა, თავსატეხი საკითხები
apostare legis [აპოსტა´რე ლე´გის] კანონის დარღვევა
apostata capiendo [აპოსტა´ტა კაპიე´ნდო] სასამართლოს ბრძანება რჯულგანდგომილის დაკავების შესახებ
a posteriori [ა პოსტერიო´რი] უკანა რიცხვით
apparitio in iudicio [*აპპარი´ტიო ინ *იუდი´კიო/აპპარი´ციო ინ იუდი´ციო] სასამართლოში გამოჩენა, სასამართლოში გამოცხადება
appellare adversus sententiam [აპპელლა´რე ადვე´რსუს *სენტე´ნტიამ/სენტე´ნციამ] განაჩენზე სააპელაციო საჩივრის შეტანა
appello [აპპე´ლლო] „ვაპელირებ“ – სააპელაციო საჩივრის დასაწყისი (რომ. სამ.-ის მიხედვით)
applicatio est vita regulae [*აპპლიკა´ტიო/აპპლიკა´ციო ესტ ვი´ტა რე´გულე] წესი არსებობს იმიტომ, რომ გამოყენებული იყოს
apprehendere [აპპრეჰე´ნდერე] კანონიერი დაკავება, დაპყრობა
apprenticii (მხ. რ. **apprenticius) ad legem** [*აპპრენტი´კიი/აპპრენტი´ციი (*აპპრენტი´კიუს/აპპრენტი´ციუს) ად ლე´გემ] მოსწავლეები, სტაჟიორები, სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სამართალს გამოცდილი იურისტების ხელმძღვანელობით
apprenticius ad barras [*აპპრენტი´კიუს/აპპრენტი´ციუს ად ბა´რას] სტუდენტი, რომელიც ემზადება ადვოკატის პროფესიისათვის
appropriare (et includere) communiam [აპპროპრია´რე (ეტ ინკლუ´დერე) კომმუ´ნიამ] სათემო მიწის მითვისება (და შემოსაზღვრა)
approveamentum, appruamentum [აპპროვეამე´ნტუმ, აპპრუამე´ნტუმ] თანამონაწილეების დაყოლიება სასამართლოში გამოსვლაზე მოწმეთა სახით, შეწყალების იმედით
apta viro [ა´პტა ვი´რო] საქორწინო ასაკის ქალიშვილი
apud pares [ა´პუდ პა´რეს] თანასწორთა წინაშე
aqua cedit solo [აკვა *კე´დიტ/ცე´დიტ სო´ლო] წყალი მოსდევს მიწას (იყიდება მასთან ერთად)
aqua currit et debere currere ut currere solebat [აკვა კუ´რრიტ ეტ დებე´რე კუ´რრერე უტ კუ´რრერე სოლე´ბატ] წყალი მიედინება და უნდა იდინოს, რადგან ის მიჩვეულია დინებას

aquae ductus [ა´კვე დუ´კტუს] სხვისი ნაკვეთის გავლით ან სხვისი ნაკვეთიდან წყლის გამოყვანის უფლება

aquae haustus [ა´კვე ჰა´უსტუს] წყლის ამოყვანა მიწიდან, რომელიც სხვა პირს ეკუთვნის

aquae immitendae [ა´კვე იმმიტე´ნდე] მიწის მესაკუთრის უფლება წყალზე, რომელიც წვეთავს მის ნაკვეთზე მეზობლის სახურავიდან

arationes [*არატიო´ნეს/არაციო´ნეს] საზოგადოებრივი მიწები, რომლებიც გაიცემოდა ერთწლიანი იჯარით მოსავლის 1/10 ნაწილის სანაცვლოდ

aratrum terrae [არა´ტრუმ ტე´რრე] მოიჯარის ვალდებულება მიწის ნაკვეთის დამუშავებაზე

aratura terrae [არატუ´რა ტე´რრე] მიწის დახვნა; მიწის დამუშავებისთვის ბეგარა

arbitramentum aequum tribuit cuique suum [არბიტრამე´ნტუმ ე´კვუმ ტრი´ბუიტ კუ´იკვე სუ´უმ] სამართლიანი სამედიატორო სასამართლო მიაკუთვნებს ყოველ მხარეს თავის კუთვნილს

arbitrium boni viri [არბი´ტრიუმ ბო´ნი ვი´რი] გონიერი და მაღალზნეობრივი ადამიანის გადაწყვეტილება

arbitrium est iudicium [არბი´ტრიუმ ესტ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება არის განაჩენი

arbitrium est iudicium boni viri, secundum aequum et bonum [არბი´ტრიუმ ესტ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ ბო´ნი ვი´რი, სეკუ´ნდუმ ე´კვუმ ეტ ბო´ნუმ] სამედიატორო საამართლოს გადაწყვეტილება არის კეთილი ადამიანის სამართლიანი განაჩენი

arbor civilia consanguinitatis [ა´რბორ *კივი´ლია/ცივი´ლია კონსანგვინიტა´ტის] საგვარეულო ხე

arbor dum crescit, lignum dum crescere nescit [ა´რბორ დუმ *კრე´სკიტ/კრე´სციტ, ლი´გნუმ დუმ *კრე´სკერე/კრე´სცერე *ნე´სკიტ/ნე´სციტ] სანამ იზრდება, არის ხე, როცა წყვეტს ზრდას – ხე-ტყე

arbor finalis [ა´რბორ ფინა´ლის] სამიჯნე ხე

arcana imperii [არკა´ნა იმპე´რიი] სახელმწიფო საიდუმლოებები

arcessere [*არკე´სსერე/არცე´სსერე] სასამართლოში გამოძახება

argentum album [არგე´ნტუმ ა´ლბუმ] მოუთეგვავი ვერცხლი; ვერცხლის მონეტა; ვერცხლით გადახდილი იჯარა

argentum Dei [არგე´ნტუმ დე´ი] „ღვთის ფული“ – ბე, რომლის გადახდა განამტკიცებდა გარიგებას

arguendo [არგუე´ნდო] კამათის გზით

argumentum ab auctoritate [არგუმე´ნტუმ აბ აუკტორიტა´ტე] მოსაზრება, დამყარებული სასამართლო პრეცედენტზე

argumentum ab impossibili [არგუმე´ნტუმ აბ იმპოსსი´ბილი] მოსაზრება, დაფუძნებული რაღაცის შეუძლებლობაზე

argumentum ab inconvenienti plurimum valet in lege [არგუმე´ნტუმ აბ ინკონვენიე´ნტი პლუ´რიმუმ ვა´ლეტ ინ ლე´გე] არგუმენტი, დაფუძნებული რაღაცის მოუხერხებლობაზე, ითვლება კანონიერად

argumentum a communiter accidentibus [არგუმე´ნტუმ ა კომმუ´ნიტერ *აკკიდე´ნტიბუს/აციდე´ნტიბუს] არგუმენტი, დაფუძნებული ჩვეულებრივ პრაქტიკაზე

argumentum ad crumenam [არგუმე´ნტუმ ად კრუმე´ნამ] არგუმენტი, მიმართული საფულისკენ ე.ი. მიმართული ანგარებაზე, სიხარბეზე და ა.შ.

argumentum ad hominem [არგუმე´ნტუმ ად ჰო´მინემ] არგუმენტი, რომელიც აბათილებს საეჭვო რეპუტაციის ადამიანის ჩვენებას

argumentum ad ignorantiam [არგუმე´ნტუმ ად *იგნორა´ნტიამ/იგნორა´ნციამ] არგუმენტი, მიმართული უწიგნურობისაკენ ე.ი. გათვლილი აუდიტორიის უწიგნურობაზე

argumentum ad invidiam [არგუმე´ნტუმ ად ინვი´დიამ] არგუმენტი, ორიენტირებული სიძულვილის გრძნობაზე და ცრურწმენებზე

argumentum ad iudicium [არგუმე´ნტუმ ად *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] არგუმენტი, მიმართული ჯანსაღი აზრისკენ

argumentum ad verecundiam [არგუმე´ნტუმ ად ვერეკუ´ნდიამ] წესიერებასა და პატივისცემაზე დამყარებული არგუმენტი

argumentum a maiori ad minus [არგუმე´ნტუმ ა მაიო´რი ად მი´ნუს] არგუმენტი დიდიდან მცირემდე

argumentum a simili [არგუმე´ნტუმ ა სი´მილი] არგუმენტი ანალოგიის მიხედვით

argumentum baculinum [არგუმე´ნტუმ ბაკული´ნუმ] არგუმენტი, ორიენტირებული ხელკეტზე, ძალადობაზე

argumentum ex concesso [არგუმე´ნტუმ ექს *კონკე´სსო/კონცე´სსო] არგუმენტი, დაფუძნებული იმაზე, რაც უკვე იყო აღიარებული ან დაშვებული

arma capere [ა´რმა კა´პერე] შეიარაღება, რაინდის წოდების მიღება

arma dare [ა´რმა და´რე] შეიარაღება (ვინმესი); რაინდის წოდების მინიჭება

arma in armatos iure sinunt [ა´რმა ინ არმა´ტოს იუ´რე სი´ნუნტ] კანონები ნებას რთავენ შეიარაღებულთა წინააღმდეგ იარაღის გამოყენებაზე

arma libera [ა´რმა ლი´ბერა] ხმალი და შუბი, რომელიც გადაეცემოდა ყმას გათავისუფლებისას

arma (perturbationis) pacis et iustitiae [*ა´რმა (*პერტურბატიო´ნის) *პა´კის ეტ *იუსტი´ტიე/ა´რმა (პერტურბაციო´ნის) პა´ცის ეტ იუსტი´ციე] იარაღი მშვიდობისა და სამართლიანობის დარღვევისათვის

arma riversata [ა´რმა რივერსა´ტა] ამომტვრეული ხელები; დასჯის ძველებური სახე ღალატის ან მძიმე დანაშაულისთვის

arma suscipere [ა´რმა *სუსკი´პერე/სუსცი´პერე] რაინდის წოდების მიღება

armata vis [არმა´ტა ვის] წესრიგის შესანარჩუნებლად შექმნილი სამოქალაქო ლაშქარი, შეიარაღებული ძალები

arra [ა´რრა] ქონება, რომელსაც ქმარი გადასცემს ცოლს დაქორწინებისას

arrectatus [არრეკტა´ტუს] დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი

arrestandis bonis ne dissipentur [არრესტა´ნდის ბო´ნის ნე დისსიპე´ნტურ] სასამართლოს განჩინება, რომლის მიზანიც იყო სადავო ქონებასთან ერთად დავაში მონაწილე პირიც არ გამქრალიყო

arrestando ipsum qui pecunia recepit [არრესტა´ნდო ი´პსუმ კვი პეკუ´ნიამ *რეკე´პიტ/რეცე´პიტ] სასამართლოს ბრძანება იმ პირის დასაკავებლად, რომელმაც მიიღო ფული სამხედრო სამსახურში შესვლისათვის და შემდეგ მასთან ერთად გაქრა

arrestari et imprisonari [არრესტა´რი ეტ *იმპრისონა´რი/იმპრიზონა´რი] დაპატიმრება და ციხეში ჩასმა (ვიღაცის მიერ)

arrestatio navium [*არრესტა´ტიო/არრესტა´ციო ნა´ვიუმ] ხომალდების დაკავება

arrhae sponsalitiae [ა´რრჰე *სპონსალი´ტიე/სპონსალი´ციე] ნიშნობის საჩუქრები, საქორწინო საწინდარი

articulo mortis [არტი´კულო მო´რტის] სიკვდილის წინ, სიკვდილის ზღურბლზე

a rubro ad nigrum [ა რუ´ბრო ად ნი´გრუმ] წითლიდან შავამდე: კანონის ტიტულუსიდან, რომელიც წითელი მელნით იყო შესრულებული, შავი მელნით შესრულებულ ტექსტამდე; თავიდან ბოლომდე, მთლიანად

a sequendo [ა სეკვე´ნდო] მომდევნოდან

a simile [ა სი´მილე] ანალოგიით

assessores [ასსესსო´რეს] მოსამართლეთა მრჩევლები

assidere, taxare et levare [ასსიდე´რე, ტაქსა´რე ეტ ლევა´რე] შეფასება, დაბეგვრა და გადასახადის ამოღება

assisa cadere [*ასსი´სა/ასსი´ზა კა´დერე] დასაბუთებული საფუძვლების (სარჩელის შესახებ) არქონა

assisa generalis [*ასსი´სა/ასსი´ზა გენერა´ლის] „გენერალური ასიზები“ – პარლამენტის ძველი სახელწოდება

assisa proroganda [*ასსი´სა/ასსი´ზა პრორογა´ნდა] სასამართლოს განჩინება საქმის შეჩერების შესახებ, როდესაც ერთი მხარე დაკავებულია სამეფო სამსახურით

assisa venit ad recognoscendum [*ასსი´სა/ასსი´ზა ვე´ნიტ ად *რეკოგნოსკე´ნდუმ/რეკოგნოსცე´ნდუმ] სასამართლო მივიდა დასკვნამდე

assisus reditus [*ასსი´სუს/ასსი´ზუს რე´დიტუს] დადგენილი ან განსაზღვრული საიჯარო ქირა

a tempore cuius contrarii memoria non existet [ა ტე´მპორე კუ´იუს კონტრა´რიი მემო´რია ნონ *ექსი´სტეტ/ეგზი´სტედ] იმ დროიდან, რომლიდანაც არ იყო შენარჩუნებული სხვაგვარი ხსოვნა

attachlamenta de spinis et boscis [ატტახლამე´ნტა დე სპი´ნის ეტ *ბო´სკის/ ბო´სცის მეტყევის უფლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ბუჩქნარი და ჩოჩხვარი

attentat, attentate [ატტე´ნტატ, ატტენტა´ტე] მოსამართლის არასათანადო ქმედება საქმეებთან დაკავშირებით, როცა მისი გადაწყვეტილება აპელაციის მოლოდინშია

attornare rem [ატტორნა´რე რემ] ნივთის გადაცემა

attornati et apprenticii [ატტორნა´ტი ეტ *აპპრენტი´კიი/აპპრენტი´ციი] ადვოკატები და სტაჟიორები

auctoritates philosophorum, medicorum et poetarum sunt in causis allegandae et tenendae [აუკტორიტა´ტეს ფილოსოფო´რუმ, მედიკო´რუმ ეტ პოეტა´რუმ სუნტ ინ *კა´უსის/კა´უზის ალლეგა´ნდე ეტ ტენე´ნდე] ფილოსოფოსთა, ექიმებისა და პოეტების შეხედულებები წარმოდგენილი და აღიარებულია სასამართლოებში საქმეთა განხილვის დროს

aucupia verborum sunt iudice indigna [აუკუ´პია ვერბო´რუმ სუნტ *იუ´დიკე/იუ´დიცე ინდი´გნა] ასოკირკიტობა მოსამართლის ღირსებისთვის მიუღებელია

audi alteram partem, audiatur et altera pars [ა´უდი ა´ლტერამ პა´რტემ, აუდია´ტურ ეტ ა´ლტერა პარს] მოუსმინე მეორე მხარეს, მოსმენილი იყოს მეორე მხარეც

audiendo et terminendo [აუდიე´ნდო ეტ ტერმინე´ნდო] მოსმენა და გადაწყვეტა

augusta legibus soluta non est [აუგუ´სტა ლე´გიბუს სოლუ´ტა ნონ ესტ] კანონები დედოფალსაც ეხება

aula regia, regis [ა´ულა რე´გია, რე´გის] სამეფო სკამი, სამეფო სკამის სასამართლო

auricularum acissio [აურიკულა´რუმ *აკი´სიო/აცი´ზიო] ყურების მოჭრა

aurum reginae [ა´ურუმ რეგი´ნე] დედოფლის ოქრო; შემოსავალი, რომელიც მეფის მეუღლეს ეკუთვნის მასთან ქორწინებაში ყოფნის დროს

auxilium regis [აუქსი´ლიუმ რე´გის] დოტაცია, რომელსაც უხდიდნენ მეფეს

a verbis legis non est recedendum [ა ვე´რბის ლე´გის ნონ ესტ *რეკედე´ნდუმ/რეცედე´ნდუმ] კანონის მოთხოვნებიდან არ უნდა გადავუხვიოთ

averia elongata [ავე´რია ელონგა´ტა] გატაცებული საქონელი (მსხვილფეხა)

a vinculo matrimonii [ა ვი´ნკულო მატრიმო´ნიი] საქორწინო უღლისაგან

B

baculus nuntiatorius [ბა´კულუს *ნუნტიატო´რიუს/ნუნციატო´რიუს] თეთრი ჯოხი ან კვერთხი, რომელიც აღიმართებოდა მოპასუხის მიწაზე მის წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელის ნიშნად

balnearii [ბალნეა´რიი] აბანოს ქურდები, რომლებიც იპარავდნენ ტანსაცმელს საზოგადოებრივ აბანოებში

banci narratores [ბანკი ნარრატო´რეს] მხარეები სასამართლო პროცესზე

bancus reginae, regis [ბა´ნკუს რეგი´ნე, რე´გის] მეფის (დედოფლის) სასამართლო

bancus superior [ბა´ნკუს სუპე´რიორ] „უმაღლესი სკამი“, ერთ დროს მეფის სასამართლოს სახელწოდება

banni nuptiarum [ბა´ნნი *ნუპტია´რუმ/ნუპცია´რუმ] შეტყობინება მომავალ ქორწილზე, რაც, ჩვეულებრივ, ეკლესიის მეშვეობით ხდებოდა

bannitus [ბა´ნნიტუს] კანონგარეშე ადამიანი, რომელიც გაძევებული იყო

bannus regis [ბა´ნნუს რე´გის] სამეფო პროკლამაცია სასამართლო დავაში ჩარევის აკრძალვაზე

bastardus nullius est filius; aut filius populi [ბასტა´რდუს ნუ´ლლიუს ესტ ფი´ლიუს; აუტ ფი´ლიუს პო´პული] უკანონოდ შობილი არავის შვილია ანუ ხალხის შვილია

bello parta [ბე´ლლო პა´რტა] სამეფო ნადავლი, ტროფეები

beneficium abstinendi [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ აბსტინე´ნდი] უარის პრივილეგია: მემკვიდრის უფლება ან პრივილეგია სამკვიდროზე უარის თქმისა

beneficium inventarii [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ ინვენტა´რიი] მემკვიდრეობის აღწერის უფლება; მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვა ვალდებულებებზე, რომლებითაც დატვირთულია ქონება, აღწერილი სამკვიდროს ღირებულებიდან გამომდინარე

beneficium ordinis [*ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ ო´რდინის] რიგითობის პრივილეგია: თავმდების უფლება იმაზე, რომ მისადმი პრეტენზიის წაყენებამდე ჯერ ამოწურული ყოფილიყო ყველა სამართლებრივი დაცვის საშუალება ძირითადი მევალის წინააღმდეგ

beneficium separationis [*ბენეფი´კიუმ *სეპარატიო´ნის/ბენეფი´ციუმ სეპარაციო´ნის] გამოყოფის უფლება: კრედიტორის უფლება, მოითხოვოს, გარდაცვლილის ქონების გამოყოფა მემკვიდრეთა ქონებისაგან

bene placitum [ბე´ნე *პლა´კიტუმ/პლა´ციტუმ] სანამ არის სურვილი; ნება-სურვილის მიხედვით

benigne faciendae sunt interpretationes chartarum, ut res magis valeat quam pereat [ბენი´გნე *ფაკიე´ნდე/ფაციე´ნდე სუნტ *ინტერპრეტატიო´ნეს/ინტერპრეტაციო´ნეს ხარტა´რუმ, უტ რეს მა´გის ვა´ლეატ კვამ პე´რეატ] დოკუმენტები კარგად უნდა განიმარტოს, რათა მათ შეინარჩუნონ აზრი და არ დაკარგონ ის

benignius leges interpretandae sunt quo voluntas earum conservetur [ბენი´გნიუს ლე´გეს ინტერპრეტა´ნდე სუ´ნტ კვო ვოლუ´ნტას ეა´რუმ კონსერვე´ტურ] კანონები უფრო თავისუფლად უნდა განიმარტოს, რათა მათი მიზანი შენარჩუნდეს

billa excambii [ბი´ლლა ექსკა´მბიი] გადასაპირებელი თამასუქი

billa exonerationis [ბი´ლლა *ექსონერატიო´ნის/ექსონერაციო´ნის] კონოსამენტი, წერილობითი დადასტურება გადამზიდველის მიერ იმისა, რომ მან მიიღო დოკუმენტში მითითებული საქონელი და ვალდებულია გადაიტანოს იგი დოკუმენტში მითითებულ ადგილზე და გადასცეს დოკუმენტში მითითებულ პირს

billa vera [ბი´ლლა ვე´რა] „ბრალდება სწორია“: საბრალდებო დასკვნის ფორმულა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიისა, რომელიც წყვეტს პირის მართლმსაჯულებაში მიცემის საკითხს

bis dat qui cito dat [ბის დატ კვი *კი´ტო/ცი´ტო დატ] ორჯერ იძლევა ის, ვინც სწრაფად იძლევა

bis petitum [ბის პე´ტიტუმ] ორჯერ მოთხოვნილი

bona confiscata, forisfacta [ბონა კონფისკა´ტა, ფორისფა´კტა] მეფის მიერ ან მის სასარგებლოდ ჩამორთმეული ქონება

bona fide [ბო´ნა ფი´დე] კეთილსინდისიერად მოქმედი

bona fides [ბო´ნა ფი´დეს] კეთილსინდისიერება

bona felonum [ბო´ნა ფელო´ნუმ] ქონება, რომელიც ეკუთვნის დამნაშავეს

bona fugitivorum [ბო´ნა ფუგიტივო´რუმ] ქონება, რომელიც ეკუთვნის პირებს, რომლებიც მართლმსაჯულებას ემალებიან

bona gestura [ბო´ნა გესტუ´რა] კარგი ქცევა

bona gratia [ბო´ნა *გრა´ტია/გრა´ცია] კეთილგანწყობილად, უფასოდ, სრული თანხმობით

bona gratia matrimonium dissolvitur [ბო´ნა *გრა´ტია/გრა´ცია მატრიმო´ნიუმ დისსო´ლვიტურ] სრული თანხმობა განქორწინებაზე

bona immobilia [ბო´ნა იმმობი´ლია] უძრავი ქონება; მიწა; ნაგებობა

bona mobilia [ბო´ნა მობი´ლია] მოძრავი ქონება

bona notabilia [ბო´ნა ნოტაბი´ლია] მოძრავი ქონება, რომლის ღირებულება ცნობილია

bona patria [ბო´ნა პა´ტრია] ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, რომელიც შედგებოდა თანამემამულეებისაგან ან ნათესავებისაგან

bona peritura [ბო´ნა პერიტუ´რა] მალფუჭებადი ქონება

bona vacantia (მხ. რ. bonum vacans) [ბო´ნა *ვაკა´ნტია/ვაკა´ნცია (ბო´ნუმ ვა´კანს)] უპატრონო ქონება

boni et legales homines [ბო´ნი ეტ ლეგა´ლეს ჰო´მინეს] კეთილი და ღირსეული ხალხი; ადამიანები, რომელნიც შეიძლება იყვნენ ნაფიცი მსაჯულები

boni iudicis est ampliare iustitiam [ბო´ნი *იუ´დიკის/იუ´დიცის ესტ ამპლია´რე *იუსტი´ტიამ/იუსტი´ციამ] კარგი მოსამართლის ვალდებულება – მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც მართლმსაჯულების განვითარებას ხელს უწყობს

boni iudicis est litis dirimere, et interest reipublicae ut sint fines litium [ბო´ნი *იუ´დიკის/იუ´დიცის ესტ ლი´ტის დირი´მერე, ეტ ი´ნტერესტ რეიპუ´ბლიკე უტ სინტ ფი´ნეს *ლი´ტიუმ/ლი´ციუმ] კარგ მოსამართლეს საქმე მიჰყავს ბოლომდე და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია, რომ პროცესი დასრულდეს

bonus iudex [ბო´ნუს იუ´დექს] კარგი მოსამართლე

bovata terrae [ბოვა´ტა ტე´რრე] მიწის ნაკვეთი, რომლის დამუშავება ერთ ხარს შეუძლია

breve domini regis non currit [ბრე´ვე დო´მინი რე´გის ნონ კუ´რრიტ] სამეფო რესკრიპტის მოქმედება არ არის დროში შეზღუდული

breve innominatum [ბრე´ვე ინნომინა´ტუმ] დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს სარჩელის საფუძველს საერთო სახით

brevia formata [ბრე´ვია ფორმა´ტა] დაწესებული ფორმით გამოცემული სასამართლოს დადგენილებები

brevia iudicialia [ბრე´ვია *იუდიკია´ლია/იუდიცია´ლია] სასამართლო დადგენილებები

bulla [ბუ´ლლა] ბეჭდები, რომლებსაც იყენებდნენ რომის იმპერატორები და პაპები

bursarum scissores [ბურსა´რუმ *სკისსო´რეს/სცისსო´რეს] ჯიბის ქურდები, საფულის გამტაცებლები (მომჭრელები)

C

cadere assisa [კა´დერე *ასსი´სა/ასსი´ზა] სარჩელი, რომელიც არ ეყრდნობა დამტკიცებულ იურიდიულ საფუძვლებს

caeteris paribus [*კე´ტერის/ცე´ტერის პა´რიბუს] სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში

caeteris tacentibus [*კე´ტერის *ტაკე´ნტიბუს/ცე´ტერის ტაცე´ნტიბუს] როცა სხვები ჩუმად არიან

calangium [კალა´ნგიუმ] დავის საგნად ქცეული პრეტენზია

calumniae iuramentum [კალუ´მნიე იურამე´ნტუმ] ფიცი ფიცის გასაბათილებლად; ფიცი კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად

cambipartia [კამბიპა´რტია] სხვა პირის პროცესის წარმართვის ხარჯების უკანონოდ თავის თავზე აღება სასარჩელო მოთხოვნის ნაწილის სანაცვლოდ

cambiparticeps [*კამბიპა´რტიკეპს/კამბიპა´რტიცეპს] cambipartia-ს მონაწილე

camera stellata [კა´მერა სტელლა´ტა] ვარსკვლავური პალატა (სასამართლო ინგლისში, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე განიხილავს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს)

campana baiula [კამპა´ნა ბაიუ´ლა] ზარი, რომელიც გამოიყენებოდა სასამართლოს მაუწყებლის მიერ

cancelli [*კანკე´ლლი/კანცე´ლლი] ბარიერი, რომელიც გამყოფს სასამართლო დარბაზში მოსამართლეთა ადგილებს; ნიშნები, რომლითაც აღინიშნება დოკუმენტიდან ამოსაღები პუნქტები, როგორც არანამდვილი, ბათილი ნაწილი და ა.შ.

capax doli [კა´პაქს დო´ლი] პირი, რომელსაც სამართლებრივი თვალსაზრისით, აქვს დანაშაულის ჩადენის უნარი

capax negotii [კა´პაქს *ნეგო´ტიი/ნეგო´ციი] გარიგების დადების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე პირი

capias [კა´პიას] სასამართლოს ბრძანება, რომლის თანახმად ერთ შემთხვევაში მოპასუხის დაკავება ხდებოდა, სხვა შემთხვევაში – ქონებისა

capias ad audiendum iudicium [კა´პიას ად აუდიე´ნდუმ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] სასამართლოს ბრძანება, რომლის მიხედვითაც დამნაშავედ ცნობილი მსჯავრდებული უნდა მიყვანილი ყოფილიყო სასამართლოში განაჩენის მოსასმენად

capias ad respondendum [კა´პიას ად რესპონდე´ნდუმ] სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ბრძანება მოპასუხის დაპატიმრებისა და განსაზღვრულ დღეს მისი სასამართლოში წარდგენის შესახებ

capias ad satisfaciendum [კა´პიას ად *სატისფაკიე´ნდუმ/სატისფაციე´ნდუმ] სასამართლოს ბრძანება მოვალის დაპატიმრებისა და ციხეში მოთავსების შესახებ მანამდე, სანამ ვალი არ იქნება გადახდილი

capias (capitur) pro fine [კა´პიას (კა´პიტურ) პრო ფი´ნე] სასამართლოს ბრძანება პირის დაპატიმრების შესახებ, რომელმაც არ გადაიხადა მასზე დაკისრებული ჯარიმა

capias ultagatum [კა´პიას ულტაგა´ტუმ] სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ბრძანება მოპასუხის დაპატიმრების შესახებ, რომელიც დაემალა სასამართლოს და გამოცხადდა კანონგარეშედ

capitalis custos [კაპიტა´ლის კუ´სტოს] მთავარი მოსამართლე ან მთავარი ზედამხედველი

capitalis debitor [კაპიტა´ლის დე´ბიტორ] ძირითადი მოვალე

capitalis iusticiarius [კაპიტა´ლის *იუსტიკია´რიუს/იუსტიცია´რიუს] მთავარი მოსამართლე

capitalis iusticiarius banci [კაპიტა´ლის *იუსტიკია´რიუს *ბა´ნკი/იუსტიცია´რიუს ბა´ნცი] მოსამართლეებიდან მთავარი; სახელმწიფოს ან ადმინისტრაციული ქვეგანყოფილების მთავარი მოსამართლე

capitalis plegius [კაპიტა´ლის პლე´გიუს] ძირითადი თავდები

capitis diminutio media [კა´პიტის *დიმინუ´ტიო/დიმინუ´ციო მე´დია] სამოქალაქო სტატუსის ნაწილობრივი დაკარგვა, დაკავშირებული რომის მოქალაქეობის დაკარგვასთან

capitula [კაპი´ტულა] კანონები და ორდონანსები, დაჯგუფებულები გარკვეული სათაურების ან გარკვეული რუბრიკების მიხედვით

caput genere lupinum [კა´პუტ გე´ნერე ლუ´პინუმ] „მგლის თავის ტარება“ – კანონგარეშედ გამოცხადებული ადამიანი, ყველას შეეძლო მისთვის თავში ჩარტყმა, თუ ის წინააღმდეგობას სწევდა დაჭერის დროს (მგლის მსგავსად)

caput lupus, caput lupinum [კა´პუტ ლუ´პუს, კა´პუტ ლუ´პინუმ] „მგლის თავი“. კანონგარეშედ გამოცხადებული ადამიანი

caput, principium, et finis [კა´პუტ *პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ, ეტ ფი´ნის] თავი, დასაწყისი და ბოლო: ეს გამონათქვამი გამოიყენებოდა მეფის სახელმწიფოსთან ურთიერთობის დასახასიათებლად

carcer ad homines custodiendos, non ad puniendos dari debet [*კა´რკერ/კა´რცერ ად ჰო´მინეს კუსტოდიე´ნდოს, ნონ ად პუნიე´ნდოს და´რი დე´ბეტ] ციხეების ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დასაჯოს ადამიანები, არამედ იმაში, რომ ისინი პატიმრობაში ჰყავდეს

carta de foresta [კა´რტა დე ფორე´სტა] კანონები სამეფო ტყეების შესახებ

casualiter [*კასუა´ლიტერ/კაზუა´ლიტერ] შემთხვევით, განზრახვის გარეშე

casualiter et per infortuniam, et contra voluntatem suam [*კასუა´ლიტერ/კაზუა´ლიტერ ეტ პერ ინფორტუ´ნიამ, ეტ კო´ნტრა ვოლუნტა´ტემ სუ´ამ] შემთხვევით, გარემოებათა საბედისწერო თანხვედრის წყალობით და მისი ნების წინააღმდეგ

casu consimili [*კა´სუ/კა´ზუ კონსი´მილი] ანალოგიურ შემთხვევაში

casus [*კა´სუს/კა´ზუს] საქმე, მოვლენა, შემთხვევა

casus belli [*კა´სუს/კა´ზუს ბე´ლლი] ომის გამოცხადების საფუძველი, საბაბი

casus foederis [*კა´სუს/კა´ზუს ფე´დერის] შემთხვევა, რომელიც ხელშეკრულების დებულებას მისდევს

casus fortuitus [*კა´სუს/კა´ზუს ფორტუი´ტუს] შემთხვევითი მოვლენა; დაუძლეველი ძალა; გაუთვალისწინებელი შემთხვევა

casus fortuitus non est sperandus, et nemo tenetur divinare [*კა´სუს/კა´ზუს ფორტუ´იტუს ნონ ესტ სპერა´ნდუს, ეტ ნე´მო ტენე´ტურ დივინა´რე] არ შეიძლება შემთხვევითი მოვლენის მოლოდინი და არავინ არ არის ვალდებული ის განჭვრიტოს

casus major [*კა´სუს/კა´ზუს მა´იორ] უჩვეულო მოვლენა

casus omissus [*კა´სუს/კა´ზუს ომი´სსუს] კანონით წინასწარ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მასში არსებული ხარვეზის გამო

catalla reputantur inter minima in lege [კატა´ლლა რეპუტა´ნტურ ი´ნტერ მი´ნიმა ინ ლე´გე] კანონი მოძრავ ნივთებს მიაკუთვნებს ნაკლებად მნიშვნელოვან კატეგორიას (ვიდრე უძრავს)

catallis captis nomine districtionis [კატა´ლლის კა´პტის ნო´მინე *დისტრიკტიო´ნის/დისტრიკციო´ნის] სასამართლოს ბრძანება სახლის, კარის, ფანჯრების ან ჭიშკრის აჭედვის შესახებ ქირის გადახდის უზრუნველსაყოფად

Catoniana regula [კატონია´ნა რე´გულა] რომის სამართლის ნორმა, რომ დროის დინება არ აქცევს ნამდვილად იმას, რაც თავიდანვე ბათილი იყო

causa adulteri [*კა´უსა/კა´უზა ადულტე´რი] მრუშობის მიზეზით

causa belli [*კა´უსა/კა´უზა ბე´ლლი] ომის მიზეზი

causa causae est causa causati [*კა´უსა *კაუსე ესტ *კა´უსა *კა´უსატი/კა´უზა კა´უზე ესტ კა´უზა კაუზა´ტი] მიზეზის მიზეზი არის შედეგის მიზეზი

causa causans [*კა´უსა *კა´უსანს/კა´უზა კა´უზანს] გამომწვევი მიზეზი; არსებითი მიზეზი

causa causantis causa est causati [*კა´უსა *კაუსა´ნტის *კა´უსა ესტ *კაუსა´ტი/კა´უზა კაუზა´ნტის კა´უზა ესტ კაუზა´ტი] მიზეზი იმისა, რაც მიზეზს იწვევს, არის შედეგის მიზეზი

causa data et non secuta [*კა´უსა/კა´უზა და´ტა ეტ ნონ სეკუ´ტა] აზრი, რომელიც გამოითქვა, მაგრამ არ გაითვალისწინეს

causa impotentiae [*კა´უსა *იმპოტე´ნტიე/კა´უზა იმპოტე´ნციე] შეუძლებლობის მიზეზით

causa matrimonii praelocuti [*კა´უსა/კა´უზა მატრიმო´ნიი პრელოკუ´ტი] სასამართლოს გადაწყვეტილება ქალის სასარგებლოდ, რომელმაც უძრავი ქონება გადასცა თავის საქმროს, რომელმაც შემდეგ მასზე დაქორწინებაზე უარი თქვა

causa mortis [*კა´უსა/კა´უზა მო´რტის] სიკვდილის მოლოდინში, სიკვდილის მიზეზი(თ)

causa propinqua (proxima), non remota spectatur [*კა´უსა/კა´უზა პროპი´ნკვა (პრო´ქსიმა), ნონ რემო´ტა სპეკტა´ტურ] მხედველობაში მიიღება უახლოესი, და არა შორეული მიზეზი

causa proxima, remota [*კა´უსა/კა´უზა პრო´ქსიმა, რემო´ტა] უახლოესი, შორეული მიზეზი

causa qua supra [*კა´უსა/კა´უზა კვა სუ´პრა] ზემოთმოყვანილი მიზეზით

causa rei [*კა´უსა/კა´უზა რე´ი] საგნის ნამატი, კუთვნილება და ნაყოფი

causa sine qua non [*კა´უსა/კა´უზა სი´ნე კვა ნონ] მიზეზი, რომლის არარსებობისას ფაქტი არ მოხდებოდა, ზიანი არ იქნებოდა მიყენებული და ა.შ.

causa turpis [*კა´უსა/კა´უზა ტუ´რპის] მდაბალი ან ბოროტი განზრახვით

causa vaga et incerta non est causa rationabilis [*კა´უსა/კა´უზა ვა´გა ეტ *ინკე´რტა/ინცე´რტა ნონ ესტ * კა´უსა/კა´უზა *რატიონა´ბილის/რაციონა´ბილის] ბუნდოვანი და გაურკვეველი საფუძველი არ არის რაციონალური საფუძველი

cautio pignoratitia [*კა´უტიო *პიგნორატი´ტია/კა´უციო პიგნორატი´ციო] თავდებობა გირაოს მეშვეობით

cautio pro expensis [*კა´უტიო/კა´უციო პრო ექსპე´ნსის] ხარჯების უზრუნველყოფა

cautio usufructuaria [*კა´უტიო *უსუფრუკტუა´რია/კა´უციო უზუფრუკტუა´რია] უზუფრუქტუარის დაპირება, დაუბრუნოს ნივთი მესაკუთრეს შესაბამისი ვადის დასრულების შემდეგ და იზრუნოს მასზე

caveant consules, ne quid detrimenti respublica capiat [კა´ვეანტ კო´ნსულეს, ნე კვიდ დეტრიმე´ნტი რესპუ´ბლიკა კა´პიატ] დაე, კონსულები ფხიზლად იყვნენ, რომ რესპუბლიკას არ მიადგეს ზიანი (სენატის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ფორმულა)

caveat actor [კა´ვეატ ა´კტორ] მოქმედი თავად უნდა გაფრთხილდეს

caveat emptor [კა´ვეატ ა´კტორ] მყიდველი თავად უნდა გაფრთხილდეს

caveat venditor [კა´ვეატ ვე´ნდიტორ] გამყიდველი თავად უნდა გაფრთხილდეს

caveat viator [კა´ვეატ ვია´ტორ] მოგზაური თავად უნდა გაფრთხილდეს

cavendum est a fragmentis [კავე´ნდუმ ესტ ა ფრაგმე´ნტის] ერიდეთ ნატეხებს ან ნამსხვრევებს

cedunt arma togae [*კე´დუნტ/ცე´დუნტ ა´რმა ტო´გე] დაე, იარაღმა დაუთმოს ადგილი ტოგას, ე.ი. დაე, ომმა ადგილი მშვიდობას დაუთმოს

censuere [*კენსუე´რე/ცენზუე´რე] რომის სენატის გადაწყვეტილება ან დეკრეტი

cepi corpus [*კე´პი/ცე´პი კო´რპუს] „ავიყვანე პიროვნება“: მოვალის დაპატიმრების ბრძანების შესრულების შესახებ შეტყობინების ფორმა

cepi corpus et est in custodia [*კე´პი/ცე´პი კო´რპუს ეტ ესტ ინ კუსტო´დია] „ავიყვანე და იგი დაცვის ქვეშ იმყოფება“: პირის დაკავების ბრძანების შესრულების შესახებ შეტყობინების ფორმა

cepit et abduxit [*კე´პიტ/ცე´პიტ ეტ აბდუ´ქსიტ] დააკავა და წაიყვანა

cepit et asportavit [*კე´პიტ/ცე´პიტ ეტ ასპორტა´ვიტ] დააკავა და წაიყვანა

certiorari [*კერტიორა´რი/ცერტიორა´რი] ზემდგომი სასამართლოს ბრძანება ქვემდგომი სასამართლოს მიმართ მოთხოვნით, რომ საქმე გადაეცეს ზემდგომ სასამართლოს სამართლის საკითხებზე შემოწმებისა და გადაწყვეტილების გასწორების მიზნით

cessante causa, cessat effectus [*კესსა´ნტე *კა´უსა, *კე´სსატ ეფფე´კტუს/ცესსა´ნტე კა´უზა, ცე´სსატ ეფფე´კტუს] მიზეზის გაქრობისას შედეგიც გაქრება

cessante ratione legis cessat et ipsa lex [*კესსა´ნტე *რატიო´ნე ლე´გის *კე´სსატ ეტ ი´პსა ლე´ქს/ცესსა´ნტე რაციო´ნე ლე´გის ცე´სსატ ეტ ი´პსა ლე´ქს] კანონის არსებობის საფუძვლის გაქრობისას უნდა შეწყვიტოს არსებობა თავად კანონმაც

cessante statu primitivo, cessat derivatus [*კესსა´ნტე/ცესსა´ნტე სტა´ტუ პრიმიტი´ვო, *კე´სსატ/ცე´სსატ დერივა´ტუს] საწყისი მდგომარეობის შეწყვეტით მისგან გამომდინარე ვითარებაც წყდება

cessa regnare, si non vis iudicare [*კე´სსა/ცე´სსა რეგნა´რე, სი ნონ ვის იუდიკა´რე] შეწყვიტე მართვა, თუ არ გსურს მართლმსაჯულების განხორციელება

cesset executio [*კე´სსეტ *ექსეკუ´ტიო/ცე´სსეტ ექსეკუ´ციო] აღსრულების შეჩერების ბრძანება

cesset processus [*კე´სსეტ *პროკე´სსუს/ცე´სსეტ პროცე´სსუს] საქმის წარმოების შეჩერების ბრძანება

cessio bonorum [*კე´სსიო/ცე´სსიო ბონო´რუმ] გადახდის უუნარო მოვალის უფლება კრედიტორებს გადასცეს თავისი ქონება და ამით აირიდოს ციხე და სირცხვილი

charta communis [ხა´რტა კომმუ´ნის] შეთანხმება, შესრულებული ორივე მხარის მიერ

charta cyrographata [ხა´რტა *კიროგრაფა´ტა/ციროგრაფა´ტა] ხელშეკრულება დადებული ფურცლის ორივე მხარეს

charta de non ente non valet [ხა´რტა დე ნონ ე´ნტე ნონ ვა´ლეტ] არარსებულ საგანზე შეთანხმება ბათილია

charta partita [ხა´რტა პარტი´ტა] საფრახტო კონტრაქტი, ჩასტერ-პარტია

chartarum super fidem, mortuis testibus, ad patriam de necessitudine, recurrendum est [ხა´რტარუმ სუ´პერ ფი´დემ, მო´რტუის ტე´სტიბუს, ად პა´ტრიამ დე *ნეკესსიტუ´დინე/ნეცესსიტუ´დინე, რეკურრე´ნდუმ ესტ] თუ მოწმეები გარდაიცვალნენ, დოკუმენტების ნამდვილობის დასადასტურებლად, აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა მიმართონ ნაფიც მსაჯულებს

chirographum apud debitorem repertur praesumitur solutum [ხიროგრა´ფუმ ა´პუდ დებიტო´რემ რეპე´რტურ *პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ სოლუ´ტუმ] წე-

რილობითი ვალდებულება, რომელიც მოვალეს აქვს, წინასწარ ფასდება შესრულებულად

chirographum non extans praesumitur solutum [ხიროგრა´ფუმ ნონ ე´ქსტანს პრესუ´მიტურ სოლუ´ტუმ] წერილობითი ვალდებულება, რომელიც არ არის წარმოდგენილი, შესრულებულად ითვლება

christianitatis curia [ხრისტიანიტა´ტის კუ´რია] ქრისტიანული სასამართლო, საეკლესიო სასამართლო

circuitus est evitandus [*კირკუ´იტუს/ცირკუ´იტუს ესტ ევიტა´ნდუს] საქმეთა უსარგებლო გაჭიანურება თავიდანაა ასარიდებელი

circumstantibus [*კირკუმსტა´ნტიბუს/ცირკუმსტა´ნტიბუს] სასამართლო პროცესზე მყოფი გარეშე პირებისთვის

citatio ad ressumendam causam [*კიტა´ტიო/ციტა´ციო ად რესსუმე´ნდამ *კა´უსამ/კა´უზამ] სასამართლოში გამოძახება, მიმართული მოსარჩელის მემკვიდრის მიმართ, როდესაც მოსარჩელე დავის დაწყებამდე გარდაიცვალა

citatio est de iure naturali [*კიტა´ტიო/ციტა´ციო ესტ დე იუ´რე ნატურა´ლი] სასამართლოში გამოძახება არის ბუნებრივი უფლება

civiliter [*კივი´ლიტერ/ცივი´ლიტერ] სამოქალაქო წესით

clam delinquentes magis puniuntur quam palam [კლა´მ დელინკვე´ნტეს მა´გის პუნიუ´ნტურ კვამ პა´ლამ] ის, ვინც დანაშაულს ფარულად ჩადის, იმსახურებს უფრო მკაცრ სასჯელს, ვიდრე ის, ვინც ამას ღიად აკეთებს

clamea admittenda in itinere per attornatum [კლა´მეა ადმიტტე´ნდა ინ იტინე´რე პერ ატტორნა´ტუმ] სასამართლოს ბრძანება ადვოკატის დაშვების შესახებ საზღვარგარეთ მყოფი კლიენტის ინტერესების დასაცავად

clausulae inconsuetae semper inducunt suspicionem [*კლაუ´სულა/კლაუ´ზულა ინკონსუე´ტე სე´მპერ ინდუ´კუნტ *სუსპი´კიო´ნემ/სუსპი´ციო´ნემ] უჩვეულო პირობები ყოველთვის იწვევენ ეჭვს

clausula generalis non refertur ad expresse [*კლაუ´სულა/კლაუ´ზულა გენერა´ლის ნონ რეფე´რტურ ად ექსპრე´სსე] ზოგადი დებულება არ ეხება საგანგებოდ შედგენილ პუნქტს

clausula quae abrogationem excludit ab initio non valet [*კლაუ´სულა/კლაუ´ზულა კვე *აბროგატიო´ნემ/აბროგაციო´ნემ ექსკლუ´დიტ აბ *ინი´ტიო/ინი´ციო ნონ ვა´ლეტ] დათქმა, რომელიც კრძალავს უარს, თავიდანვე ბათილია

clausum [*კლა´უსუმ/კლა´უზუმ] შემოსაზღვრული ადგილი; მიწის ნაკვეთი, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით ან წარმოსახვითი, უხილავი საზღვრებით

claves curiae [კლა´ვეს კუ´რიე] სასამართლო შენობის გასაღები

clericale privilegium [კლერიკა´ლე პრივილე´გიუმ] სასულიერო პირთა პრივილეგია: დანაშაულის ჩამდენ სასულიერო პირთა საერო სასამართლოების იურისდიქციისადმი დაუქვემდებარებლობა

clericus et agricola et mercator, tempore belli, ut oret, colat, et commutet pace fruuntur [კლე´რიკუს ეტ აგრი´კოლა ეტ მერკა´ტორ, ტე´მპორე ბე´ლლი, უტ ო´რეტ, კო´ლატ, ეტ კომმუ´ტეტ *პა´კე/პა´ცე ფრუ´ნტურ] სასულიერო პირები, მიწათმოქმედნი ან ვაჭრები უსაფრთხოდ არიან ომის დროს, რომ მათ შეეძლოთ ლოცვა, მიწის დამუშავება და ვაჭრობა

clericus mercati [კლე´რიკუს მერკა´ტი] მოხელე, რომელიც აკვირდება წესრიგს ბაზარზე

cogitationis poenam nemo patitur [*კოგიტატიო´ნის/კოგიტაციო´ნის პე´ნამ ნე´მო პა´ტიტურ] არავინ ისჯება მხოლოდ განზრახვის გამო

cogito ergo sum [კო´გიტო ე´რგო სუმ] ვფიქრობ, მაშასადამე, ვარსებობ (დეკარტეს ფილოსოფიის ძირითადი დებულება)

cognovit actionem [კოგნო´ვიტ *აკტიო´ნემ/აკციო´ნემ] სარჩელის სამართლიანობის აღიარება

cognovit actionem relicta verificatione [კოგნო´ვიტ *აკტიო´ნემ/აკციო´ნემ რელი´კტა *ვერიფიკატიო´ნე/ვერიფიკაციო´ნე] მოპასუხის უარი საკუთარ შესაგებელზე

cohaeredes una persona censentur, propter unitatem iuris quod habent [კოჰე´რედეს უ´ნა პერსო´ნა *კენსე´ნტურ/ცენზე´ნტურ, პრო´პტერ უნიტა´ტემ იუ´რის კვოდ ჰა´ბენტ] თანამემკვიდრეები განიხილებიან როგორც ერთი პირი, რადგან ისინი ერთობლივად ფლობენ ქონებას

coiudices [*კოიუ´დიკეს/კოიუ´დიცეს] მოსამართლეთა თანაშემწეები

collatio bonorum [*კოლლა´ტიო/კოლლა´ციო ბონო´რუმ] სხვადასხვა პირთა კუთვნილი ქონების გაერთიანება, მათი თანაბრად გაყოფის მიზნით

collatio signorum [*კოლლა´ტიო/კოლლა´ციო სიგნო´რუმ] ბეჭდების შედარება იდენტიფიკაციისათვის

collegatarius [კოლლეგატა´რიუს] სარგებლის მიმღები ანდერძის მიხედვით, დასახელებული სხვა პირთან ან პირებთან ერთად

colligendum bona defuncti [კოლლიგე´ნდუმ ბო´ნა დეფუ´ნკტი] ქონების მოგროვება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვლილ პირს

collistrigium [კოლლისტრი´გიუმ] სამარცხვინო ბოძი

collybista [კო´ლლიბისტა] ზარაფი, მეკერმე

collybum [კო´ლლიბუმ] ფულის გადაცვლა, სავალუტო კურსი

colore officii [კოლო´რე *ოფფი´კიი/ოფფი´ციი] სამსახურეობრივი უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობა, სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადაჭარბება

columbarium [კოლუმბა´რიუმ] სათავსო ნიშები ურნებისათვის (გარდაცვლილთა კრემირებული ნეშტებისათვის)

combustio domorum [კომბუ´სტიო დომო´რუმ] სახლების გადაწვა, ცეცხლის წაკიდება

comes stabuli [კო´მეს სტა´ბული] მეჯინიბე

cominus [კო´მინუს] ხელჩართულ ბრძოლაში

comitas inter communitates [კო´მიტას ი´ნტერ კომმუნიტა´ტეს] საერთაშორისო ზრდილობა; სახელმწიფოებს შორის უფლებათა და სხვა ქვეყნის ჩვეულებათა ურთიერთაღიარება

commercia belli [*კომმე´რკია/კომმე´რცია ბე´ლლი] ხელშეკრულებები, დადებული მეომარი სახელმწიფოების მოქალაქეებს შორის

commercium iure gentium commune esse debit et non in monopolium et privatum paucorum quaestum convertendum [*კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ იუ´რე *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ კომმუ´ნე ე´სსე დე´ბიტ ეტ ნონ ინ მონოპო´ლიუმ ეტ პრივა´ტუმ

პაუკო´რუმ კვე´სტუმ კონვერტე´ნდუმ] საერთაშორისო სამართლით, ვაჭრობა უნდა იყოს საყოველთაო და არ უნდა გადაიქცეს მონოპოლიად და კერძო მოგების წყაროდ მცირეთათვის

commissari lex [კომმისსა´რი ლექს] მყიდველისთვის კრედიტის მიმცემი გამყიდველის უფლება, გააუქმოს გარიგება მყიდველის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში

commodum eius esse debet cuius periculum est [კომმო´დუმ ე´იუს ე´სსე დე´ბეტ კუ´იუს პერი´კულუმ ესტ] ის, ვინც რისკავს, მოგებაც უნდა ნახოს

commodum ex iniuria non oritur [კომმო´დუმ ექს ინი´ურია ნონ ო´რიტურ] უპირატესობა ან სარგებელი არ შეიძლება იურიდიული უფლების დარღვევიდან მომდინარეობდეს

commodum ex iniuria sua non habere debet [კომმო´დუმ ექს ინიუ´რია სუ´ა ნონ ჰაბე´რე დე´ბეტ] არავინ უნდა მიიღოს სარგებელი მის მიერ ჩადენილი უსამართლობიდან

commonia (communia) turbariae [კომმო´ნია (კომმუ´ნია) ტურბა´რიე] მოიჯარის უფლება ტორფის მოპოვებაზე მეიჯარის მიწიდან

commune bonum [კომმუ´ნე ბო´ნუმ] საერთო სიკეთე, საზოგადოებრივი კეთილდღეობა

commune concilium regni [კომმუ´ნე *კონკი´ლიუმ/კონცი´ლიუმ რე´გნი] გაერთიანებული სამეფო საბჭო – გენერალური ასამბლეის ძველებური სახელწოდება, რომელმაც მოგვიანებით ინგლისში მიიღო პარლამენტის სახელწოდება

commune placitum (მრ. რ. communia placita) [კომმუ´ნე *პლა´კიტუმ/პლა´ციტუმ (კომმუ´ნია *პლა´კიტა/პლა´ციტა)] სამოქალაქო სარჩელი

commune vinculum [კომმუ´ნე ვი´ნკულუმ] საერთო ვალდებულება ან საერთო კავშირი; საერთო წარმომავლობა

communia pasturae [კომმუ´ნია პასტუ´რე] ერთი პირის უფლება აძოვოს თავისი საქონელი სხვა პირის მიწაზე

communia piscariae [კომმუ´ნია პისკა´რიე] მოიჯარის უფლება დაიჭიროს თევზი წყალსაცავებში, რომელიც ეკუთვნოდა მეიჯარეს

communi dividundo [კომმუ´ნი დივიდუ´ნდო] სარჩელი ქონების გაყოფაზე, რომელიც საერთო საკუთრებაში იმყოფებოდა

communio bonorum [კომმუ´ნიო ბონო´რუმ] ქონების ერთობლივი მფლობელობა

communi observantia non est recedendum [კომმუ´ნი *ობსერვა´ნტია/ობსერვა´ნცია ნონ ესტ *რეკედე´ნდუმ/რეცედე´ნდუმ] არ არის საჭირო ჩვეულებრივი ან საყოველთაო პრაქტიკიდან გადახვევა

communis error facit ius [კომმუ´ნის ე´რრორ *ფა´კიტ/ფა´ციტ ი´უს] საერთო შეცდომა ქმნის უფლებას (საუბარია ისეთ დადგენილ და ფართოდ გავრცელებულ მცდარ განმარტებაზე კანონისა, რომლის უარყოფამ შეიძლება მოიტანოს უფრო მეტი ზიანი, ვიდრე სარგებელი)

communis et recta sententia est, in rebus immobilitas servandum esse ius loci in quo bona sunt sita [კომმუ´ნის ეტ რე´კტა *სენტე´ნტია/სენტე´ნცია ესტ, ინ რე´ბუს იმმობი´ლიტას სერვა´ნდუმ ე´სსე ი´უს *ლო´კი/ლო´ცი ინ კვო ბო´ნა სუ´ნტ სი´ტა] საერთო აზრია და მართებულიც, რომ უძრავი ქონების ბედი განისაზღვროს მისი ადგილმდებარეობის კანონის მიხედვით

communis opinio (doctorum) [კომმუ´ნის ოპი´ნიო (დოკტო´რუმ)] საერთო აზრი (მეცნიერთა)

communis scriptura [კომმუ´ნის სკრიპტუ´რა] ერთობლივი დოკუმენტი, შეთანხმება

communis stirps [კომმუ´ნის სტი´რპს] საერთო წინაპრისგან წარმომავლობა

communiter usitata et approbata [კომმუ´ნიტერ *უსიტა´ტა/უზიტა´ტა ეტ აპპრობა´ტა] ის, რაც ჩვეულებრივ არის გამოყენებული და მოწონებული

comparatio literarum [*კომპარა´ტიო/კომპარა´ციო ლიტერა´რუმ] ასოთა შედარება ე.ი. ხელწერისა

comparere [კომპარე´რე] სასამართლოს წინაშე წარდგომა

compascuum [კომპა´სკუუმ] პირის უფლება აძოვოს საქონელი სხვა პირის მიწაზე

compendia sunt dispendia [კომპე´ნდია სუნტ დისპე´ნდია] უმოკლესი გზა – ყველაზე გრძელია

compensatio criminum [*კომპენსა´ტიო/კომპენსა´ციო კრი´მინუმ] საპასუხო ბრალდება (ცოლ-ქმრულ ღალატში) როგორც თავდაცვის ხერხი განქორწინების საქმეზე

compertorium [კომპერტო´რიუმ] სასამართლო გამოძიება, რომელსაც ატარებენ უფლებამოსილი პირები ჭეშმარიტების დასადგენად და ატყობინებენ საკუთარ დასკვნებს სასამართლოს

competit assisa [კომპე´ტიტ *ასსი´სა/ასსი´ზა] არსებობს სარჩელის საფუძველი

compos mentis [კო´მპოს მე´ნტის] საღი აზრის მქონე; სულიერად ჯანმრთელი

compos sui [კო´მპოს სუ´ი] საკუთარი ქმედების მაკონტროლებელი

conatus [კონა´ტუს] ქმედების ჩადენის მხოლოდ მცდელობა (განსხვავებით ქმედების სრულად ჩადენისაგან)

concessio versus concedentem latam interpretationem habere debet [*კონკე´სსიო/კონცე´სსიო ვე´რსუს *კონკედე´ნტემ/კონცედე´ნტემ ლა´ტამ *ინტერპრეტატიო´ნემ/ინტერპრეტაციო´ნემ ჰა´ბერე დე´ბეტ] ჩუქების ხელშეკრულება მოითხოვს ვრცელ განმარტებას

concessor [*კონკე´სსორ/კონცე´სსორ] მჩუქებელი

concordare leges legibus est optimus interpretandi modus [კონკორდა´რე ლე´გეს ლე´გიბუს ესტ ო´პტიმუს ინტერპრეტა´ნდი მო´დუს] ერთი კანონის მეორესთან შეთანხმება არის განმარტების საუკეთესო მეთოდი

Concordia Discordantium Canonum [კონკო´რდია *დისკორდა´ნტიუმ/დისკორდა´ნციუმ კანო´ნუმ] „უწესრიგო კანონების მოწესრიგება“: იტალიელი ბერის, გრაციანუსის (დაახლ. 1151 წ.) კომპილაცია, რომელშიც რომაული საეკლესიო სჯულდებები გადმოცემული იყო სამ წიგნად იუსტინიანუსის პანდექტების მსგავსად

concubina [კონკუ´ბინა] საყვარელი ქალი, ხარჭა

concubinus [კონკუ´ბინუს] მამაკაცი, რომელიც დაუქორწინებლად ცხოვრობს ქალთან

concubitu prohibere vago [კონკუ´ბიტუ პროჰიბე´რე ვა´გო] თავაშვებული სქესობრივი კავშირების აკრძალვა

conditio dicitur, cum quid in casum incertum qui potest tendere ad esse non esse, confertur [*კონდი´ტიო/კონდი´ციო *დი´კიტურ/დი´ციტურ, კუმ კვიდ ინ *კა´-

სუმ/კა´ზუმ *ინკე´რტუმ/ინცე´რტუმ კვი პო´ტესტ ტე´ნდერე ად ე´სსე ნონ ე´სსე, კონფე´რტურ] პირობა ჰქვია ისეთ რამეს, როცა გაურკვეველ ვითარებაში რაღაც შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს

conditio illicita habetur pro non adiicta [*კონდი´ტიო/კონდი´ციო *ილლიკი´ტა/ილლიცი´ტა ჰაბე´ტურ პრო ნონ ადიი´კტა] უკანონო პირობა არ ითვლება ვალდებულების გამომწვევად

conditiones quaelibit odiosae; maxime autem contra matrimonium et commercium [*კონდიტიო´ნეს/კონდიციო´ნეს კვე´ლიბიტ *ოდიო´სე/ოდიო´ზე; მა´ქსიმე აუტემ კო´ნტრა მატრიმო´ნიუმ ეტ *კომმე´რკიუმ/კომმე´რციუმ] ნებისმიერი შეზღუდვები ოდიოზურნი არიან, განსაკუთრებით ისინი, რომელნიც ზღუდავენ დაქორწინებასა და ვაჭრობას

conditio praecedens adimpleri debet priusquam, sequatur effectus [*კონდი´ტიო/კონდი´ციო *პრეკე´დენს/პრეცე´დენს ადიმპლე´რი დე´ბეტ პრიუ´სკვამ, სეკვა´ტურ ეფფე´კტუს] წინასწარი პირობა უნდა შესრულდეს მანამდე, სანამ მას შეიძლება მოყვეს შედეგი

conditio sine qua non [*კონდი´ტიო/კონდი´ციო სი´ნე კვა ნონ] „პირობა, რომლის გარეშეც არ“ – აუცილებელი პირობა

confarreatio [*კონფარრეა´ტიო/კონფარრეა´ციო] ძველი რომაული საქორწინო ცერემონია პატრიციუსების წრეში, რომელსაც თან ახლდა სხვადასხვა რიტუალური ქმედება

confessio facta in iudicio omni probatione maior est [კონფე´სსიო ფა´კტა ინ *იუდი´კიო/იუდი´ციო ო´მნი *პრობატიო´ნე/პრობაციო´ნე მა´იორ ესტ] აღიარება, მიცემული სასამართლოში, ბევრად მნიშვნელოვანია სხვა დანარჩენ მტკიცებულებაზე

confessus in iudicio pro iudicato habetur et quodammodo sua sententia damnatur [კონფე´სსუს ინ *იუდი´კიო/იუდი´ციო პრო იუდიკა´ტო ჰაბე´ტურ ეტ კვოდამმო´დო სუ´ა *სენტე´ნტია/სენტე´ნცია დამნა´ტურ] ის, ვინც აღიარებს (დანაშაულს) სასამართლოში, ითვლება დამნაშავედ და გასამართლებულად განაჩენით, რომელიც მან საკუთარ თავს გამოუტანა

confirmare est id prius infirmum fuit simul firmare [კონფირმა´რე ესტ იდ პრი´უს ინფი´რმუმ ფუ´იტ სი´მულ ფირმა´რე] დადასტურება – ნიშნავს გაამყარო ის, რაც ადრე იყო არამყარი

confirmare nemo potest priusquam ius ei acciderit [კონფირმა´რე ნე´მო პო´ტესტ პრიუ´სკვამ ი´უს ე´ი *აკკი´დერიტ/აკცი´დერიტ] არავის შეუძლია დადასტურება მანამდე, სანამ ამ უფლებას მას არ მიანიჭებენ

confirmatio est nulla, ubi donum praecedens est invalidum [*კონფირმა´ტიო/კონფირმა´ციო ესტ ნუ´ლლა, უ´ბი დო´ნუმ *პრე´კედენს/პრე´ცედენს ესტ ინვა´ლიდუმ] დადასტურება ბათილია, თუ ბათილია წინა ჩუქება

confirmatio omnes supplet defectus, licet id quod actum est ab initio non valuit [*კონფირმა´ტიო/კონფირმა´ციო ო´მნეს სუ´პლეტ დეფე´კტუს, *ლი´კეტ/ლი´ცეტ იდ კვოდ ა´კტუმ ესტ აბ *ინი´ტიო/ინი´ციო ნონ ვა´ლუიტ] დადასტურება (მაგ., დოკუმენტის) ავსებს ყველა (მის) ნაკლს, თუნდაც იმას, რაც თავიდან იყო ბათილი

confirmatio perficiens [*კონფირმა´ტიო *პერფი´კიენს/კონფირმა´ციო პერფი´ციენს] დადასტურება, რომელიც საეჭვო ტიტულს ნამდვილად აქცევს

confirmavi [კონფირმა´ვი] დავადასტურე; ნება დავრთე

confitens reus [კონფი´ტენს რე´უს] პირი, რომელიც ბრალს აღიარებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას წაუყენეს ბრალი დანაშაულის ჩადენაში

coniectio causae [*კონიე´კტიო *კა´უსე/კონიე´კციო კა´უზე] საქმის (არსის) გადმოცემა

coniugium, connubium [კონიუ´გიუმ, კონნუ´ბიუმ] ქორწინება

coniunctim [კონიუ´ნკტიმ] ერთობლივად, ერთად

coniunctim et divisim [კონიუ´ნკტიმ ეტ *დივი´სიმ/დივი´ზიმ] ერთად და ცალ-ცალკე

coniunctio mariti et feminae est de iure naturae [*კონიუ´ნკტიო/კონიუ´ნკციო მარი´ტი ეტ ფე´მინე ესტ დე იუ´რე ნატუ´რე] ცოლის და ქმრის კავშირი შეესაბამება ბუნების კანონებს

coniurator [კონიურა´ტორ] შეთქმული, შეთქმულების მონაწილე

conpossessio [კონპოსსე´სსიო] ერთობლივი ფლობა

conquestus, conquisitio [კონკვე´სტუს, *კონკვისი´ტიო/კონკვიზი´ციო] შეძენა

conquisitor [*კონკვი´სიტორ/კონკვი´ზიტორ] დამპყრობელი, შემძენი

consanguineus est quasi eodem sanguine natus [კონსანგვი´ნეუს ესტ *კვა´სი/კვა´ზი ეო´დემ სა´ნგვინე ნა´ტუს] სისხლით ნათესავი პირი, შობილი თითქმის ერთი და იმავე სისხლიდან

consanguineus frater [კონსანგვი´ნეუს ფრა´ტერ] ღვიძლი ძმა

conscientiae detrimentum [*კონსკიე´ნტიე/კონსციე´ნციე დეტრიმე´ნტუმ] გონების დაკარგვა

conscientia rei alieni [*კონსკიე´ნტია/კონსციე´ნცია რე´ი ალიე´ნი] იმის ცოდნა, რომ საგნის მფლობელი არის სხვა პირი

consensu regio [კონსე´ნსუ რე´გიო] მეფის ბრძანებით

consensus ad idem [კონსე´ნსუს ად ი´დემ] თანხმობა ერთსა და იმავეში; განზრახვათა თანხმობა, რომლის გარეშეც არ შეიძლება არსებობდეს ხელშეკრულება

consensus facit ius [კონსე´ნსუს *ფა´კიტ/ფა´ციტ ი´უს] „თანხმობა ქმნის უფლებას“ ე.ი. მხარეები თანხმობის გზით თავად ინიჭებენ უფლებებს

consensus, non concubitus, facit matrimonium [კონსე´ნსუს ნონ კონკუ´ბიტუს, *ფა´კიტ/ფა´ციტ მატრიმო´ნიუმ] ქორწინება იქმნება თანხმობით, და არა – თანაცხოვრებით

consensus tollit errorem [კონსე´ნსუს ტო´ლლიტ ერრო´რემ] „თანხმობა ფარავს შეცდომას“; ის, ვინც დათანხმდა რაღაცაზე, არ შეუძლია მას შეეწინააღმდეგოს

consensus voluntas multorum ad quos res pertinet, simul iuncta [კონსე´ნსუს ვოლუ´ნტას მულტო´რუმ ად კვოს რეს პე´რტინეტ, სი´მულ იუ´ნკტა] თანხმობა არის რამდენიმე ადამიანის სურვილი ერთ საწარმოში გაერთიანებისა

consentientes et agentes pari poena plectentur [*კონსენტიე´ნტეს/კონსენციე´ნტეს ეტ აგე´ნტეს პა´რი პე´ნა პლეკტე´ნტურ] იმას, ვინც იძლევა თანხმობას, იგივე სასჯელი უნდა შეეფარდოს, როგორც იმას, ვინც მოქმედებს

consentire matrimonio non possunt intra annos nubiles [კონსენტი´რე მატრიმო´ნიო ნონ პო´სსუნტ ი´ნტრა ა´ნნოს ნუ´ბილეს] პირები, რომლებმაც ვერ მიაღწიეს საქორწინო ასაკს, არ შეუძლიათ ქორწინებაზე თანხმობა განაცხადონ

consentire videtur qui tacet [კონსენტი´რე ვიდე´ტურ კვი *ტა´კეტ/ტა´ცეტ] ის, ვინც დუმს, ითვლება, რომ თანახმაა; დუმილი თანხმობის ნიშანია

consequentiae non est consequentia [*კონსეკვე´ნტიე/კონსეკვე´ნციე ნონ ესტ კონსეკვე´ნტია/კონსეკვე´ნცია] შედეგის შედეგი არ არსებობს (ე.ი. იგი არის რეზულტატი პირველადი მიზეზისა)

conservatores pacis [კონსერვატო´რეს *პა´კის/პა´ცის] მშვიდობის დამცველი, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი

consessimus [კონსე´სსიმუს] ვუწყალობეთ (ვუბოძეთ)

consideratio curiae [*კონსიდერა´ტიო/კონსიდერა´ციო კუ´რიე] სასამართლო განხილვა

consilia multorum requiruntur in magnis [კონსი´ლია მულტო´რუმ რეკვირუ´ნტურ ინ მა´გნის] დიდ საქმეებში მრავალი ადამიანის რჩევაა საჭირო

consortio malorum me quoque malum facit [*კონსო´რტიო/კონსო´რციო მალო´რუმ მე კვო´კვე მა´ლუმ *ფა´კიტ/ფა´ციტ] ცუდ ხალხთან ურთიერთობა მეც ცუდ ადამიანად მაქცევს

consortium vicinorum [*კონსო´რტიუმ *ვიკინო´რუმ/კონსო´რციუმ ვიცინო´რუმ] მეზობელთა საზოგადოება

constat [კო´ნსტატ] ნათელია, უდავოა

constat de persona [კო´ნსტატ დე პერსო´ნა] ბრალდებულის ფორმალური იდენტიფიკაცია სისხლის სამართლის პროცესში ხელის აწევით, იმის აღიარებით, რომ საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილი პირია

constitutiones [*კონსტიტუტიო´ნეს/კონსტიტუციო´ნეს] რომ. იმპერატორთა აქტები, რომელთაც ენიჭებოდათ კანონთა ძალა; რომის პაპების აქტები და გერმანელ იმპერატორთა აქტები ფეოდალიზმის დროს

constitutiones tempore posteriores potiores sunt his quae ipsas praecesserunt [*კონსტიტუტიო´ნეს/კონსტიტუციო´ნეს ტე´მპორე პოსტერიო´რეს *პოტიო´რეს/პოციო´რეს სუნტ ჰის კვე ი´პსას *პრეკესსე´რუნტ/პრეცესსე´რუნტ] ახალ კანონებს შეუძლიათ ადრე მიღებულ კანონთა გაუქმება

constitutum esse eam domum unicuique nostrum debere existimari; ubi quisque sedes et tabulas haberet, suarumque rerum constitutionem fecisset [კონსტიტუ´ტუმ ე´სსე ე´ამ დო´მუმ უნიკვი´კვე ნო´სტრუმ დებე´რე *ექსისტიმა´რი/ექზისტიმა´რი, უ´ბი კვი´სკვე სე´დეს ეტ ტა´ბულას ჰაბე´რეტ, სუარუ´მკვე რე´რუმ *კონსტიტუტიო´ნემ/კონსტიტუციო´ნემ *ფეკი´სსეტ/ფეცი´სსეტ] დადგენილია, რომ თითოეული ჩვენგანი სახლად მიიჩნევს ადგილს, სადაც აქვს საცხოვრებელი და ინახავს თავის წიგნებს და სადაც მას შეუძლია თავისი საქმე აკეთოს

constructio legis non facit iniuriam [*კონსტრუ´კტიო/კონსტრუ´კციო ლე´გის ნონ *ფა´კიტ/ფა´ციტ ინიუ´რიამ] კანონის განმარტება არ იწვევს სამართლის დარღვევას

consuetudines [კონსუეტუ´დინეს] ჩვეულებები

consuetudo contra rationem introducta, potius usurpatio quam consuetudo appellari debet [კონსუეტუ´დო კო´ნტრა *რატიო´ნემ/რაციო´ნემ ინტროდუ´კტა,

პო´ტიუს *უსურპა´ტიო/უზურპა´ციო კვამ კონსუეტუ´დო აპპელლა´რი დე´ბეტ] ჩვეულება, რომელიც გონებას ეწინააღმდეგება, არის არა ჩვეულება, არამედ თვითნებობა

consuetudo curiae [კონსუეტუ´დო კუ´რიე] სასამართლოს წესი

consuetudo debet esse certa; nam incerte pro nullis habentur [კონსუეტუ´დო დე´ბეტ ესსე *კე´რტა/ცე´რტა; ნამ *ინკე´რტე/ინცე´რტე პრო ნუ´ლლის ჰაბე´ნტურ] წესი უნდა იყოს ნათელი, რაკი გაურკვევლობა უაზრობად ითვლება

consuetudo est altera lex [კონსუეტუ´დო ესტ ა´ლტერა ლექს] ჩვეულება არის სამართლის (წყაროთა) სახეობა

consuetudo est optimum interpres legum [კონსუეტუ´დო ესტ ო´პტიმუმ ინტე´რპრეს ლე´გუმ] ჩვეულება არის სამართლის საუკეთესო განმმარტებელი

consuetudo licet sit magnae auctoritatis, nunquam tamen praeiudicat manifestae veritati [კონსუეტუ´დო *ლი´კეტ/ლი´ცეტ სიტ მა´გნე აუკტორიტა´ტის, ნუ´ნკვამ ტა´მენ პრეიუ´დიკატ მანიფე´სტე ვერიტა´ტი] ჩვეულება, თუნდაც მას ჰქონდეს დიდი გავლენა, არასდროს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცხად ჭეშმარიტებას

consuetudo loci observanda est [კონსუეტუ´დო *ლო´კი/ლო´ცი *ობსერვა´ნდა ესტ] ადგილობრივი ჩვეულება დაცული უნდა იყოს

consuetudo mercatorum [კონსუეტუ´დო მერკატო´რუმ] ვაჭართა ჩვეულება

consuetudo neque iniuria oriri, neque tolli potest [კონსუეტუ´დო ნე´კვე ინიუ´რია ორი´რი, ნე´კვე ტო´ლლი პო´ტესტ] ჩვეულება არ შეიძლება წარმოიშვას სამართალდარღვევის შედეგად და არ შეიძლება გაძლიერდეს მისი ძალით

consuetudo semel reprobata non potest amplius [კონსუეტუ´დო სე´მელ რეპრობა´ტა ნონ პო´ტესტ ა´მპლიუს] არ შეიძლება ერთხელ უარყოფილი ჩვეულების გამოყენება

consuetudo volentes ducit; lex nolentes trahit [კონსუეტუ´დო ვოლე´ნტეს *დუ´კიტ/დუ´ციტ, ლექს ნოლე´ნტეს ტრა´ჰიტ] ჩვეულება მსურველებს წინ მიუძღვება, კანონი კი მიათრევს არამსურველებს

consules a consulendo; reges enim tales sibi associant ad consulendum [კო´ნსულეს ა კონსულე´ნდო; რე´გეს ე´ნიმ ტა´ლეს სი´ბი *ასსო´კიანტ/ასსო´ციანტ ად კონსულე´ნდუმ] მრჩევლები რჩევისთვის; მეფეები მათ იახლოვებენ რჩევისათვის

contemporanea expositio est optima et fortissima in lege [კონტემპორა´ნეა *ექსპოსი´ტიო/ექსპოზი´ციო ესტ ო´პტიმა ეტ ფორტი´სსიმა ინ ლე´გე] კანონის დროული (მისი გამოცემისთანავე) განმარტება ყველაზე საუკეთესო და მნიშვნელოვანია

contemptibiliter [კონტემპტიბი´ლიტერ] სასამართლოსა და კანონმდებლის მიმართ უპატივცემულოდ; სასამართლოსადმი ან კანონმდებლისადმი უპატივცემულობის გამოხატვის განზრახვით

contestatio litis [*კონტესტა´ტიო/კონტესტა´ციო ლი´ტის] სარჩელზე მოპასუხის ზოგადი მტკიცება სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ, რომელიც შემდეგ საქმის არსის ირგვლივ დეტალურად და არგუმენტირებულად განიხილება

continuando [კონტინუა´ნდო] განმეორებითი, კვლავ და კვლავ (განმეორებითი სამართალდარღვევის დროს სარჩელში აღინიშნებოდა, რომ ზიანს ჰქონდა

განგრძობითი ხასიათი და მოსარჩელე არ იყო ვალდებული მიყენებული ზიანის ყოველ აქტზე ცალკე სარჩელი შეეტანა)

contra bonos mores [კო´ნტრა ბო´ნოს მო´რეს] კეთილი ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ, რომელსაც აქვს საზიანო ან დამღუპველი შედეგები

contracausator [*კონტრაკაუსა´ტორ/კონტრაკაუზა´ტორ] პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული

contractus bonae fidei [კონტრა´კტუს ბო´ნე ფი´დეი] რომის სამართლის მიხედვით, ხელშეკრულება, რომელიც განიმარტებოდა „კეთილსინდისიერად“, ე.ი. არა ფორმალურად

contractus est quasi actus contractum [კონტრა´კტუს ესტ *კვა´სი/კვა´ზი ა´კტუს კო´ნტრა´კტუმ] ხელშეკრულება არის როგორც „actus“ (ქმედება) „contra“ (წინააღმდეგ) „actum“ (ქმედებისა)

contractus ex turpi causa, vel contra bonos mores nullus est [კონტრა´კტუს ექს ტურპი *კა´უსა/კა´უზა, ველ კო´ნტრა ბო´ნოს მო´რეს ნუ´ლლუს ესტ] ხელშეკრულება, დადებული ბოროტი განზრახვით ან კეთილსინდისიერების წინააღმდეგ, ბათილია

contractus legem ex conventione accipiunt [კონტრა´კტუს ლე´გემ ექს *კონვენტიო´ნე/კონვენციო´ნე *აკკი´პიუნტ/აკცი´პიუნტ] ხელშეკრულების საფუძველი არის შეთანხმება

contraescriptura [კონტრესკრიპტუ´რა] საიდუმლო დოკუმენტი, ხელშეკრულების მონაწილეების მიერ ხელმოწერილი, რომელსაც მიზნად აქვს შეცვალოს ან მოდიფიცირება გაუკეთოს ხელშეკრულების პირობებს

contrafactio [*კონტრაფა´კტიო/კონტრაფა´კციო] ფულის გაყალბება

contra fictionem non admittitur probatio [კო´ნტრა *ფიკტი´ონემ/ფიკცი´ონემ ნონ ადმიტტი´ტურ *პრობა´ტიო/პრობა´ციო] იურიდიული ფიქციის გაბათილებისათვის მტკიცებულებები არ მიიღება

contra formam statui [კო´ნტრა ფო´რმამ სტა´ტუი] კანონის ფორმის საწინააღმდეგოდ

contra ius belli [კო´ნტრა იუს ბე´ლლი] ომის კანონის წინააღმდეგ

contra legem facit qui id facit quod lex prohibet; in fraudem vero qui, salvis verbis legis, sententiam eius circumvenit [კო´ნტრა ლე´გემ *ფა´კიტ/ფა´ციტ კვი იდ *ფა´კიტ/ფა´ციტ კვოდ ლექს პროჰი´ბეტ, ინ ფრა´უდემ ვე´რო კვი, სა´ლვის ვე´რბის ლე´გის, *სენტე´ნტიამ/სენტე´ნციამ ე´იუს *კირკუმვე´ნიტ/ცირკუმვე´ნიტ] ის, ვინც ასრულებს კანონით აკრძალულ ქმედებებს, არღვევს კანონს; ის ცდება, ვინც იცავს კანონის სიტყვებს, მაგრამ ამახინჯებს კანონის აზრს

contra legem terrae [კო´ნტრა ლე´გემ ტე´რრე] ქვეყნის კანონის წინააღმდეგ

contra legem et statuta [კო´ნტრა ლე´გემ ეტ სტატუ´ტა] კანონისა და სტატუტის წინააღმდეგ

contraligatio [*კონტრალიგა´ტიო/კონტრალიგა´ციო] კონტრვალდებულება

contramandatio placiti [*კონტრამანდა´ტიო *პლა´კიტი/კონტრამანდა´ციო პლა´ციტი] სასამართლო წარმოების დროის გახანგრძლივება

contra negantem principia non est disputandum [კო´ნტრა ნეგა´ნტემ *პრინკი´პია/პრინცი´პია ნონ ესტ დისპუტა´ნდუმ] უნაყოფოა კამათი მასთან, ვინც უარყოფს პრინციპებს

contra non valentem non currit praescriptio [კო´ნტრა ნონ ვალე´ნტემ ნონ კუ´რრიტ *პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო] ხანდაზმულობის ვადის დენა არ ხდება, თუ პირს იურიდიულად არ შეუძლია მიმართოს სასამართლოს

contra omnes gentes [კო´ნტრა ო´მნეს გე´ნტეს] ყველა ხალხის წინააღმდეგ

contra omnes homines fidelitatem fecit [კო´ნტრა ო´მნეს ჰო´მინეს ფიდელიტა´ტემ *ფე´კიტ/ფე´ციტ] მან დადო ფიცი ყველა ხალხის წინააღმდეგ

contra pacem [კო´ნტრა *პა´კემ/პა´ცემ] მშვიდობის წინააღმდეგ

contra pacem domini (regis) [კო´ნტრა *პა´კემ/პა´ცემ დო´მინი (რე´გის)] სამეფო მშვიდობის წინააღმდეგ (ყველა დანაშაული სამეფოს ფარგლებში ითვლებოდა სამეფო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად)

contraplacitum [*კონტრაპლა´კიტუმ/კონტრაპლა´ციტუმ] რომელიმე მხარის რეპლიკა სასამართლოში

contrapositio [*კონტრაპოსი´ტიო/კონტრაპოზი´ციო] სასამართლოში მიმართვა წარდგენილი ბრალის საპასუხოდ

contra preferentem [კო´ნტრა პრეფერე´ნტემ] მხარის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს მტკიცებულებას

contra regiam proclamationem [კო´ნტრა რე´გიამ *პროკლამატიო´ნემ/პროკლამაციო´ნემ] სამეფო განცხადების წინააღმდეგ

contrariorum contraria est ratio [კონტრარიო´რუმ კონტრა´რია ესტ *რა´ტიო/რა´ციო] საწინააღმდეგო დასკვნებისთვის საჭიროა საწინააღმდეგო საფუძველი

contrarotulator [კონტრაროტულა´ტორ] კონტროლიორი

contra tabulas [კო´ნტრა ტა´ბულას] დოკუმენტების წინააღმდეგ

contra veritatem lex nunquam aliquid permittit [კო´ნტრა ვერიტა´ტემ ლექს ნუ´ნკვამ ალი´კვიდ პერმი´ტტიტ] კანონი სიმართლის საწინააღმდეგოდ არაფერს არ დაუშვებს

contra voluntatem [კო´ნტრა ვოლუნტა´ტემ] თავისი (მისი) ნების წინააღმდეგ

contrectatio rei alienae animo furando, est furtum [*კონტრეკტა´ტიო/კონტრეკტა´ციო რე´ი ალიე´ნე ა´ნიმო ფურა´ნდო, ესტ ფუ´რტუმ] სხვისი ქონების აღება მიტაცების მიზნით, არის ქურდობა

contubernium [კონტუბე´რნიუმ] მონათა ქორწინება

convenit [კონვე´ნიტ] შეთანხმებით

conventio facit (vincit) legem [*კონვე´ნტიო/კონვე´ნციო *ფა´კიტ/ფა´ციტ (*ვი´ნკიტ/ვი´ნციტ) ლე´გემ] შეთანხმება ქმნის (განსაზღვრავს) სამართალს, ე.ი. კანონი ავალდებულებს მხარეებს შეასრულონ ის, რაზეც ისინი დათანხმდნენ

conventio privatorum non potest publico iuri derogare [*კონვე´ნტიო/კონვე´ნციო პრივატო´რუმ ნონ პო´ტესტ პუ´ბლიკო იუ´რი დეროგა´რე] კერძო პირების შეთანხმებას არ შეუძლია უგულვებელყოს საჯარო სამართალი

conventas magnatum vel procerum [კონვე´ნტუს მაგნა´ტუმ ველ *პროკე´რუმ/პროცე´რუმ] წარჩინებულთა ან კეთილშობილთა ასამბლეა: გენერალური საბჭოს ძველი სახელწოდება, რომლისგანაც წარმოიშვა ინგლისური პარლამენტი

convicia si irascaris tua divulgas; spernax exolescunt [*კონვი´კია/კონვი´ცია სი ირასკა´რის ტუ´ა დივუ´ლგას; სპე´რნაქს ექსოლე´სკუნტ] თუ შენ განრისხებული ხარ შეურაცხყოფებით, შენ მათ ასაჯაროებ; თუ შენ ისინი გძულს, ისინი წყვეტენ არსებობას

convivium [კონვი´ვიუმ] მიწის ფლობის სახეობა მესაკუთრის საკვებით და სასმელით უზრუნველყოფის საფუძველზე

copia vera [კო´პია ვე´რა] ნამდვილი ასლი

copulatio verborum indicat quod accipiantur in eodem sensu [*კოპულა´ტიო/კოპულა´ციო ვერბო´რუმ ი´ნდიკატ კვოდ *აკკიპია´ნტურ/აკციპია´ნტურ ინ ეო´დემ სე´ნსუ] სიტყვების შეერთება აჩვენებს, რომ ისინი უნდა გავიგოთ ერთი და იმავე მნიშვნელობით: როდესაც ცალკე აღებულ სიტყვათა აზრი გაუგებარია, მხარეთა ნება ხელშეკრულებაში ხშირად შეიძლება იყოს დადგენილი გვერდით მდებარე სიტყვების მეშვეობით

coram ipso rege [კო´რამ ი´პსო რე´გე] თავად მეფის თანდასწრებით: ასეთი იყო სამეფო სასამართლოს სახელწოდება, რადგან მეფე თავად თავმჯდომარეობდა ამ სასამართლოს

coram iudice [კო´რამ *იუ´დიკე/იუ´დიცე] სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში

coram me vel iusticiariis meis [კო´რამ მე ველ *იუსტიკია´რიის/იუსტიცია´რიის მე´ის] ჩემი თანდასწრებით ან ჩემი მოსამართლეების წინაშე

coram nobis [კო´რამ ნო´ბის] ჩვენი თანდასწრებით, ჩვენ წინაშე (სასამართლოს ბრძანება შეცდომის გასწორების შესახებ სისხლის სამართლის ან სამოქალაქო საქმის განხილვისას)

coram non iudice [კო´რამ ნონ *იუ´დიკე/იუ´დიცე] პირის წინაშე, რომელიც არ წარმოადგენს მოსამართლეს ე.ი. სასამართლოს წინაშე, რომლის იურისდიქცია არ ვრცელდება საქმეზე

coram paribus [კო´რამ პა´რიბუს] თანაბართა წინაშე (მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, ჩვეულებისამებრ, მოწმდებოდა იმ პირთა მეშვეობით, რომლებიც იკრიბებოდნენ ადგილობრივ სასამართლოში)

coram rege [კო´რამ რე´გე] მეფის თანდასწრებით

coram sectatoribus [კო´რამ სეკტატო´რიბუს] მოდავეთა წინაშე; მოდავეთა თანდასწრებით

coram vobis [კო´რამ ვო´ბის] თქვენ წინაშე; თქვენი თანდასწრებით. სასამართლოს ბრძანება შეცდომების გასწორების შესახებ. განსხვავებით coram nobis-სგან, რომელიც ეგზავნებოდა სააპელაციო სასამართლოს სხვა განყოფილებას

corium satisfacere [კო´რიუმ *სატისფა´კერე/სატისფა´ცერე] „ზღვევინება ტყავით“: დანაშაულისთვის დასჯა, რომელიც გაროზგვაში გამოიხატებოდა

corporalis iniuria non recipit aestimationem de futuro [კორპორა´ლის ინიუ´რია ნონ *რეკი´პიტ/რეცი´პიტ *ესტიმტიო´ნემ/ესტიმაციო´ნემ დე ფუტუ´რო] სხეულის დაზიანებები არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების საფუძველს მომავალში

corpore et animo [კორპო´რე ეტ ა´ნიმო] სულით და ხორცით

corpus corporatum [კო´რპუს კორპორა´ტუმ] ინკორპორაციული გაერთიანება, კორპორაცია

corpus delicti [კო´რპუს დელი´კტი] დანაშაულის საფუძველი, დანაშაულის „შედგენილობა“, დანაშაულის ჩადენის ფაქტი

corpus humanum non recipit aestimationem [კო´რპუს ჰუმა´ნუმ ნონ *რეკი´პიტ/რეცი´პიტ *ესტიმატიო´ნემ/ესტიმაციო´ნემ] ადამიანის სხეულის შეფასება არ შეიძლება

corpus iuris [კო´რპუს იუ´რის] კანონთა კორპუსი

corpus iuris canonici [კო´რპუს იუ´რის *კანო´ნიკი/კანო´ნიცი] კანონიკური სამართლის კორპუსი

Corpus Iuris Civilis [კო´რპუს იუ´რის *კივი´ლის/ცივი´ლის] რომ. სამოქალაქო სამართლის კორპუსი, კოდექსის ჩათვლით: დიგესტები, ინსტიტუციები და იუსტინიანუსის ნოველები (შემოკლ. C. J.).

correi credendi [კო´რრეი კრედე´ნდი] თანაკრედიტორები

correi debendi [კო´რრეი დებე´ნდი] თანამოვალეები

corruptio optimi est pessima [*კორრუ´პტიო/კორრუ´პციო ო´პტიმი ესტ პე´სსიმა] საუკეთესოს გარყვნა არის ყველაზე უარესი: არგუმენტის ყველაზე უარესი სახეობა – მცდარი დასკვნა ჯანსაღი წანამძღვრებისაგან

cottagium [კოტტა´გიუმ] მოიჯარის მიერ მეიჯარისთვის იჯარის სახით პირადი შრომის შეთავაზება

crassa negligentia [კრა´სსა *ნეგლიგე´ნტია/ნეგლიგე´ნცია] უხეში გაუფრთხილებლობა; მოვალეობათა უხეში უგულებელყოფა

credo [კრე´დო] მჯერა

crepare oculum [კრეპა´რე ო´კულუმ] თვალის ამოთხრა

crescente malitia crescere debet et poena [კრესკე´ნტე *მალი´ტია/მალი´ცია კრე´სკერე დებეტ ეტ პე´ნა] როცა ბოროტი განზრახვა დიდია, სასჯელიც უნდა გაიზარდოს

crimen furti [კრი´მენ ფუ´რტი] ქურდობა

crimen laesae maiestatis [კრი´მენ *ლე´სე/ლე´ზე მაიესტა´ტის] დანაშაული, გამოხატული მისი უდიდებულესობისათვის ზიანის მიყენებაში – სახელმწიფო ღალატი

crimen laesae maiestatis omnia alio crimina excedit quoad poenam [კრი´მენ *ლე´სე/ლე´ზე მაიესტა´ტის ო´მნია ა´ლიო კრი´მინა *ექსკე´დიტ/ექსცე´დიტ კვო´ად პე´ნამ] სახელმწიფო ღალატისთვის სასჯელი აღემატება სხვა ნებისმიერი დანაშაულისთვის სასჯელს

crimen raptus [კრი´მენ რა´პტუს] გაუპატიურება

crimen robariae [კრი´მენ რობა´რიე] ყაჩაღობა

crimen trahit personam [კრი´მენ ტრა´ჰიტ პერსო´ნამ] „დანაშაულს თან მიჰყვება ადამიანი“: თუკი დანაშაული ჩადენილია სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში, სასამართლო ფლობს იურისდიქციას დამნაშავესთან მიმართებითაც

criminaliter [კრიმინა´ლიტერ] დანაშაულებრივად

crimina morte extinguuntur [კრი´მინა მო´რტე ექსტინგვუ´ნტურ] დანაშაული ძალას კარგავს სიკვდილით

cruce signati [*კრუ´კე/კრუ´ცე სიგნა´ტი] ჯვრის დასმით ხელმოწერა

cui ante divortium (contradicere non potuit) [კუი ა´ნტე *დივო´რტიუმ/დივო´რციუმ (*კონტრადი´კერე/კონტრადი´ცერე ნონ პო´ტუიტ)] „ვინც განქორწინებამდე“ – („ვინც ვერ შეძლო, შეწინააღმდეგებოდა)“: სასამართლოს ბრძანება განქორწინებული ქალის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო უკან დაებრუნებინა თავისი უძრავი ქონება, რომელიც მას ადრე ეკუთვნოდა და ქორწინების დროს ქმრის მიერ იყო გასხვისებული

cui bono [კუ´ი ბო´ნო] ვის საკეთილდღეოდ

cuicunque aliquis quid concedit concedere videtur et id, sine quo res ipsa esse non potuit [კუიკუ´ნკვე ალი´კვის კვი´დ *კონკე´დიტ/კონცე´დიტ *კონკე´დერე/კონცე´დერე ვიდე´ტურ ეტ იდ, სი´ნე კვო რეს ი´პსა ე´სსე ნონ პო´ტუიტ] ის, ვინც საჩუქრად გადასცემს ვინმეს რამეს, ითვლება, რომ გადასცემს იმასაც, რის გარეშე ეს რაღაც არაფერი ღირს

cui in vita [კუ´ი ინ ვი´ტა] „ვისაც სიცოცხლეში“: სასამართლოს ბრძანება ქვრივის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო დაებრუნებინა უძრავი ქონება, რომელიც მას ადრეც ეკუთვნოდა და ქორწინების განმავლობაში მისი ქმრის მიერ იყო გასხვისებული

cui in vita sua, vel cui ante divortium, ipsa contradicere non potuit [კუ´ი ინ ვი´ტა სუ´ა, ველ კუ´ი ა´ნტე *დივო´რტიუმ/დივო´რციუმ, იპსა *კონტრადი´კერე/კონტრადი´ცერე ნონ პო´ტუიტ] ვისაც თავის სიცოცხლეში ან განქორწინებამდე ვერ ეწინააღმდეგებოდა

cui iurisdictio data est, ea quoque concessa esse vedentur sine quibus iurisdictio explicari non potest [კუ´ი *იურისდი´კტიო/იურისდი´კციო და´ტა ესტ, ეა კვო´კვე *კონკე´სსა/კონცე´სსა ე´სსე ვედე´ნტურ სი´ნე კვი´ბუს *იურისდი´კტიო/იურისდი´კციო ექსპლიკა´რი ნონ პო´ტესტ] მას აქვს იურისდიქციის უფლება და იმისიც, რაც თითქოს არ იყო ნებადართული და რის გარეშე საქმის განხილვა ვერ შედგება

cui ius est donandi, eidem et vendendi et concedendi ius est [კუ´ი ი´უს ესტ დონა´ნდი, ე´იდემ ეტ ვენდე´ნდი ეტ *კონკედე´ნდი/კონცედე´ნდი ი´უს ესტ] მას, ვისაც აქვს უფლება გასცეს, აქვს გაყიდვისა და გასხვისების უფლებაც

perito est credendum (cuilibet (cuique) in sua arte credendum est) [პე´რიტო ესტ კრედე´ნდუმ (კუი´ლიბეტ (კუი´კვე) ინ სუ´ა ა´რტე კრედე´ნდუმ ესტ] ის, ვინც დახელოვნებულია თავის საქმეში, ნდობის ღირსია ხელოვნებაშიც

cuilibet licet iuri pro se introducto renunciare [კუ´ილიბეტ *ლი´კეტ/ლი´ცეტ იუ´რი პრო სე ინტროდუ´კტო *რენუნკია´რე/რენუნცია´რე] პირმა შეიძლება უარი თქვას უფლებაზე, რომელიც არსებობს მის სასარგებლოდ

cui licet quod maius non debet quod minus est non licere [კუ´ი *ლი´კეტ/ლი´ცეტ კვოდ მა´იუს ნონ დე´ბეტ კვოდ მი´ნუს ესტ ნონ *ლი´კერე/ლი´ცერე] მას, ვისაც აქვს უფრო მეტი უფლება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფრო მცირეზე

cuique enim in proprio fundo quamlibet feram quoque modo venari permissum [კუი´კვე ე´ნიმ ინ პრო´პრიო ფუ´ნდო კუა´მლიბეტ ფე´რამ კუო´კვე მო´დო ვენა´რი პერმი´სსუმ] ყველას აქვს უფლება თავის მიწაზე ინადიროს გარეული ცხოველებზე ნებისმიერი ხერხით

cuius est commodum eius debet esse incommodum (eius est onus) [კუ´იუს ესტ კო´მმოდუმ ე´იუს დე´ბეტ ე´სსე ინკო´მმოდუმ (ე´იუს ესტ ო´ნუს)] ის ვინც სარგებლობს უპირატესობით, უნდა იკისროს უხერხულობების ტვირთიც

cuius est dare, eius est disponere [კუ´იუს ესტ და´რე, ე´იუს ესტ დისპო´ნერე] ის, ვინც ჩუქნის, აქვს განკარგვის უფლება: მჩუქებელმა შეიძლება აჩუქოს თავისი შეხედულებისამებრ

cuius est dominium eius est periculum [კუ´იუს ესტ დომი´ნიუმ ე´იუს ესტ პერი´კულუმ] ის, ვინც ფლობს, რისკავს კიდეც

cuius est instituere, eius est abrogare [კუ´იუს ესტ ინსტიტუ´ერე, ე´იუს ესტ აბროგა´რე] მას, ვისაც შეუძლია დაწესება, მასვე შეუძლია გაუქმებაც

cuius est solum eius est usque ad coelum et ad inferos [კუ´იუს ესტ სო´ლუმ ე´იუს ესტ უ´სკვე ად *კე´ლუმ/ცე´ლუმ ეტ ად ი´ნფეროს] მიწის მფლობელი ფლობს ციდან მიწის სიღრმემდე

cuius iuris est principale, eiusdem iuris erit accessorium [კუ´იუს იუ´რის ესტ *პრინკიპა´ლე/პრინციპა´ლე, ეიუ´სდემ იუ´რის ე´რიტ *აკკესსო´რიუმ/აკცესსო´რიუმ] იგი, ვინც ფლობს იურისდიქციას მთავარი საგნის მიმართ, ფლობს იურისდიქციას საკუთვნებლის მიმართაც

cuius per errorem dati repetitio est, eius consulto dati, donatio est [კუ´იუს პერ ერრო´რემ და´ტი *რეპეტი´ტიო/რეპეტი´ციო ესტ, ეი´უს კონსუ´ლტო და´ტი, *დონა´ტიო/დონა´ციო ესტ] ის, ვინც შეცდომით აძლევს ნივთს, შეუძლია დაიბრუნოს იგი, მაგრამ თუ იგი შეგნებულად აკეთებს ამას, ეს საჩუქარია

cuiusque rei potissima pars principium est [კუიუ´სკვე რე´ი პოტი´სსიმა პარს *პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ ესტ] ყველაზე მთავარი ნაწილი რაღაცისა არის მისი პირველი ნაწილი

culpabilis [კულპა´ბილის] დამნაშავე

culpa caret, qui scit sed prohibere non potest [კუ´ლპა კა´რეტ, კვი სკი´ტ/სცი´ტ სედ პროჰიბე´რე ნონ პო´ტესტ] ის, ვინც იცის (საფრთხის შესახებ), მაგრამ არ შეუძლია მისი თავიდან აცილება, უდანაშაულოა

culpae poena par esto [კუ´ლპე პე´ნა პარ ე´სტო] დაე, სასჯელი შეესაბამებოდეს დანაშაულს

culpa est immiscere se rei ad se non pertinenti [კუ´ლპა ესტ *იმმი´სკერე/იმმი´სცერე სე რე´ი ად სე ნონ პერტინე´ნტი] ისიც დამნაშავეა, ვინც იმაში ერევა, რაც მას არ ეხება

culpa lata dolo aequiparatur [კუ´ლპა ლა´ტა დოლო ეკვიპარა´ტურ] უხეში გაუფრთხილებლობა განზრახვის ტოლფასია

culpa tenet suos auctores [კუ´ლპა ტე´ნეტ სუ´ოს აუკტო´რეს] დანაშაული (ყველაზე მეტად) აწევს მათ ორგანიზატორებს

cum adsunt testimonia rerum, quid dopus est verbis? [კ´უმ ა´დსუნტ ტესტიმო´ნია რე´რუმ, კვიდ ო´პუს ესტ ვე´რბის] როდესაც არსებობს ფაქტები, რა საჭიროა სიტყვები?

cum confitente sponte mitius est agendum [კუმ კონფიტე´ნტე სპო´ნტე *მი´ტიუს/მი´ციუს ესტ აგე´ნდუმ] როდესაც პირი ბრალს ნებაყოფლობით აღიარებს, მასთან საჭიროა უფრო რბილი მოპყრობა

cum de lucro duorum quaeritur melior est causa possidentis [კუმ დე ლუ´კრო დუო´რუმ კვე´რიტურ მე´ლიორ ესტ *კა´უსა/კა´უზა პოსსიდე´ნტის] როცა ორი პირი დაობს სარგებელზე, უკეთეს მდგომარეობაშია, ვინც ფლობს

cum duo inter se repugnantia reperiuntur in testamento, ultimum ratum est [კუმ დუ´ო ი´ნტერ სე *რეპუგნა´ნტია/რეპუგნა´ნცია რეპერიუ´ნტურ ინ ტესტამე´ნტო, უ´ლტიმუმ რა´ტუმ ესტ] როდესაც ანდერძში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებაა, მიიღება მეორე (ბოლო)

cum duo iura concurrunt in una persona aequum est ac si essent in duobus [კუმ დუ´ო იუ´რა კონკუ´რრუნტ ინ უ´ნა პერსო´ნა ე´კვუმ ესტ აკ სი ე´სსენტ ინ

დუო´ბუს] როდესაც ორი უფლება აქვს ერთ პიროვნებას, ეს იგივეა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ორ პირს

cum grano salis [კუმ გრა´ნო სა´ლის] „მწიკვი მარილით“ ე.ი. დათქმებითა და შენიშვნებით, ე.ი. სკეპტიკურად

cum in corpore dissentitur, apparet nullam esse acceptionem [კუმ ინ კო´რპორე დისსე´ნტიტურ, აპპა´რეტ ნუ´ლლამ ე´სსე *აკკეპტიო´ნემ/აკცეპციო´ნემ] როდესაც არსებობს არსებითი უთანხმოება, იგულისხმება, რომ აქცეპტი არ არსებობს

cum legitimae nuptiae factae sunt patrem liberi sequuntur [კუმ ლეგი´ტიმე *ნუ´პტიე/ნუ´პციე ფა´კტე სუნტ პა´ტრემ ლი´ბერი სეკვუ´ნტურ] კანონიერი ქორწინებიდან შვილები მემკვიდრეობას იღებენ მამისაგან

cum lex abrogatur, illud ipsum abrogatur, quo non eam abrogari oporteat [კუმ ლექს აბროგა´ტურ, ი´ლლუდ ი´პსუმ აბროგა´ტურ, კვო ნონ ე´ამ აბროგა´რი ო´პორტეატ] როდესაც კანონი უქმდება, უქმდება მისი ის ნაწილიც, რომელიც შეიძლება შეეწინააღმდეგოს მის გაუქმებას

cum onere [კუმ ო´ნერე] „ტვირთით“: ყველა უხერხულობებით, რომელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული უფლებით სარგებლობა

cum par delictum est duorum, semper oneratur petitor est melior habetur possessoris causa [კუმ პარ დელი´კტუმ ესტ დუო´რუმ, სე´მპერ ონერა´ტურ პე´ტიტორ, ესტ მე´ლიორ ჰაბე´ტურ პოსსესსო´რის * კა´უსა/კა´უზა] როდესაც ორივე მხარეს თანაბარწილად მიუძღვის ბრალი, ტვირთი ყოველთვის აწევს მოსარჩელეს, და იგი, ვინც ფლობს, უკეთეს მდგომარეობაშია

cum potestate regis et legis [კუმ პოტესტა´ტე რე´გის ეტ ლე´გის] მეფისა და კანონის ძალაუფლებით

cum testamento annexo (c.t.a.) [კუმ ტესტამე´ნტო ანნე´ქსო] ანდერძის დართვით

cura animorum [კუ´რა ანიმო´რუმ] ზრუნვა სულებზე

curator ad litem [კურა´ტორ ად ლი´ტემ] სასამართლოს მიერ დანიშნული პირი, რომელმაც უნდა დაიცვას სულით ავადმყოფის ან არასრულწლოვნის ინტერესები სასამართლო პროცესზე

curator bonis [კურა´ტორ ბო´ნის] ქონების მეურვე

curatores viarum [კურატო´რეს ვია´რუმ] გზების ზედამხედველი რომში

curia admiralitatis [კუ´რია ადმირალიტა´ტის] საადმირალო სასამართლო

curia adversare vult (c.a.v; cur. ad. vult) [კუ´რია ადვერსა´რე ვულტ] „სასამართლოს სურს აწონ-დაწონოს“: სასამართლოს შეუძლია გადადოს გადაწყვეტილების მიღება, რათა შეისწავლოს საქმის მასალები

curia domini [კუ´რია დო´მინი] ბატონის სასამართლო

curia magna [კუ´რია მა´გნა] მაღალი სასამართლო, ინგლისის პარლამენტი

curia parliamenti suis propriis legibus subsistit [კუ´რია პარლიამე´ნტი სუ´ის პრო´პრიის ლე´გიბუს სუბსი´სტიტ] პარლამენტი საკუთარი კანონებით იმართება

curia regis [კუ´რია რე´გის] სამეფო სასამართლო

curiosa et captiosa interpretatio in lege reprobatur [*კურიო´სა/კურიო´ზა ეტ *კაპტიო´სა/კაპციო´ზა *ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო ინ ლე´გე რეპრობა´ტურ] უჩვეულო და ორაზროვანი განმარტება კანონისა არ არის მოსაწონი

currit quatuor pedibus [კუ´რრიტ კვა´ტუორ პე´დიბუს] „დაოთხილი გარბის“, ე.ი. სრულ შესაბამისობაშია

currit tempus contra desides et sui iuris contemptores [კუ´რრიტ ტე´მპუს კო´ნტრა *დე´სიდეს/დე´ზიდეს ეტ სუი იუ´რის კონტემპტო´რეს] დრო არ მუშაობს დაუდევრებზე და მათზე, ვინც არ იცავს საკუთარ უფლებებს

cursus curiae est lex curiae [კუ´რსუს კუ´რიე ესტ ლექს კუ´რიე] სასამართლოს პრაქტიკა არის კანონი სასამართლოსი

custodes pacis [კუსტო´დეს *პა´კის/პა´ცის] მშვიდობის დამცველები: თანამდებობის პირები, რომლებიც ინიშნებოდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად

custodia legis [კუსტო´დია ლე´გის] ქონების დაცვა თანამდებობის პირის მიერ, რომელიც მოქმედებს სასამართლოს ბრძანების საფუძველზე

custos ferarum [კუ´სტოს ფერა´რუმ] მეტყევე, რომელიც გარეულ ნადირ-ფრინველს იცავს

custos horrei regii [კუ´სტოს ჰო´რრეი რე´გიი] სამეფო ბეღლების ზედამხედველი

custos morum [კუ´სტოს მო´რუმ] ზნე-ჩვეულებათა მცველი (ასე ხშირად იწოდებოდა სამეფო სასამართლო)

custos placitorum coronae [კუ´სტოს *პლაკიტო´რუმ/პლაციტო´რუმ კორო´ნე] გვირგვინის სარჩელთა მცველი: სისხლის სამართლის საქმეთა მცველი

custos sigilli [კუ´სტოს სიგი´ლლი] ბეჭდების მცველები

custos statum haeredis in custodia existentis meliorem non deteriorem, facere potest [კუ´სტოს სტა´ტუმ ჰერე´დის ინ კუსტო´დია *ექსისტე´ნტის/ექზისტე´ნტის მელიო´რემ ნონ დეტერიო´რემ, *ფა´კერე/ფა´ცერე პო´ტესტ] მეურვემ შეიძლება გააუმჯობესოს, მაგრამ არ გააუარესოს მემკვიდრის მამული, რომელსაც იგი მეურვეობს

custos terrae [კუ´სტოს ტე´რრე] მიწის ზედამხედველი

D

damna [და´მნა] ზიანის ანაზღაურება

damni iniuriae actio [და´მნი ინიუ´რიე *ა´კტიო/ა´კციო] სარჩელი ცხოველისთვის განზრახ მიყენებული ზიანის თაობაზე

damnosa hereditas [*დამნო´სა/დამნო´ზა ჰერე´დიტას] ვალებით დატვირთული სამკვიდრო

damnum absque (sine) iniuria (esse potest) [და´მნუმ ა´ბსკვე (სი´ნე) ინიუ´რია (ე´სსე პო´ტესტ)] ზიანი იურიდიული უფლების დარღვევის გარეშე (შესაძლებელია) (მაგალითად, როდესაც ზიანის აცილება შეუძლებელი იყო)

damnum et iniuria [და´მნუმ ეტ ინიუ´რია] ზიანი და სამართალდარღვევა: ორი ელემენტი, რომელთა ერთობლიობა აუცილებელია სარჩელის დასაბუთებისათვის

damnum fatale [და´მნუმ ფატა´ლე] რომის სამართლის მიხედვით, სასტუმროს მფლობელი პასუხისმგებელი იყო მოსავლელად ჩაბარებულ ქონებაზე, თუნდაც ქონება დაზიანებულიყო არა მისი მიზეზით, გარდა შემთხვევებისა „damno fatale“-სი, ე.ი. სტიქიური უბედურების შედეგად

damnum rei amissae [და´მნუმ რე´ი ამი´სსე] ზიანი, ზარალი, რომელიც განიცადა ბრალდებულმა ზარალის ანაზღაურების შემდეგ სასამართლოს მცდარი გადაწყვეტილების გამო

dare ad remanentiam [და´რე ად *რემანე´ნტიამ/რემანე´ნციამ] სრულ საკუთრებაში გადაცემა

da tua dum tua sunt, post mortem non tua sunt [და ტუ´ა დუმ ტუ´ა სუნტ, პოსტ მო´რტემ ნონ ტუ´ა სუ´ნტ] გაეცი საკუთარი, სანამ იგი შენია, სიკვდილის შემდეგ ის შენი აღარ არის

datum [და´ტუმ] ის, რაც გადაცემულია, ბოძებულია ან შესრულებულია

datur digniori [და´ტურ დიგნიო´რი] მიეცემა უფრო ღირსეულს

de acquirendo rerum domino [დე აკვირე´ნდო რე´რუმ დო´მინო] ნივთებზე ბატონობის მოსაპოვებლად

de advisamento consilii nostri [დე *ადვისამე´ნტო/ადვიზამე´ნტო კონსი´ლიი ნო´სტრი] ჩვენი მრჩევლების რეკომენდაციით

de aleatoribus [დე ალეატო´რიბუს] აზარტული თამაშების მოყვარულთა შესახებ

de alto es basso [დე ა´ლტო ეს ბა´სსო] ზემოდან ქვემოთ; სრულიად; მთლიანად; დეტალურად

de apostata capiendo [დე აპოსტა´ტა კაპიე´ნდო] „რჯულგანდგომილის დაკავებისათვის“: სასამართლოს ბრძანება ღვითსმსახურის დაპატიმრების შესახებ, რომელმაც დატოვა თავისი თანამდებობა

de arrestando ipsum qui pecuniam recepit [დე არრესტა´ნდო ი´პსუმ კვი პეკუ´ნიამ *რეკე´პიტ/რეცე´პიტ] „მის დასაკავებლად, რომელმაც ფული მიიღო“: სასამართლოს ბრძანება დეზერტირებული ჯარისკაცის დაკავებისათვის, რომელმაც მიიღო თავისი გასამრჯელო

de arte et parte [დე ა´რტე ეტ პა´რტე] დანაშაულისკენ წაქეზებისა და მასში მონაწილეობისა გამო

de assisa proroganda [დე *ასსი´სა/ასსი´ზა პრორროგა´ნდა] „სასამართლოს გადავადებისათვის“: სასამართლოს ბრძანება საქმის განხილვის გადავადების შესახებ იმ დროით, ვიდრე დავის ერთ-ერთი მონაწილე იყო ომში

de attornato recipiendo [დე ატტორნა´ტო *რეკიპიე´ნდო/რეციპიე´ნდო] „წარმომადგენლის დაშვების შესახებ“: სასამართლოს ბრძანება მოსამართლეებისადმი მხარის წარმომადგენლის დაშვების თაობაზე განსახილველ საქმეში მონაწილეობისთვის

de audiendo et terminando [დე აუდიე´ნდო ეტ ტერმინა´ნდო] „მოსმენა და გადაწყვეტა“: სასამართლოს ბრძანება, რომელიც განუწესებს სპეციალურ უფლებამოსილ პირებს განიხილონ და გადაწყვიტონ კომპეტენციის ფარგლებში არსებული საქმეები

de bene esse (d.b.e.) [დე ბე´ნე ე´სსე] დროებით ნამდვილი; რომელიც მოითხოვს ფრთხილ შეფასებას; პირობითად; დროებით

debet esse finis litium [დე´ბეტ ე´სსე ფი´ნის *ლი´ტიუმ/ლი´ციუმ] სასამართლო სჯა-პაექრობა უნდა შეწყდეს

debet quis iuri subiacere ubi delinquit [დე´ბეტ კვის იუ´რი *სუბია´კერე/სუბია´-ცერე უბი დელი´ნკვიტ] დამნაშავე უნდა ემორჩილებოდეს დანაშაულის ჩადენის ადგილის კანონს

debet sua cuique domus esse perfigium tutissimum [დე´ბეტ სუ´ა კუი´კვე დო´მუს ე´სსე პერფი´გიუმ ტუტი´სსიმუმ] ადამიანის საცხოვრებელი უნდა იყოს ყველაზე საიმედო თავშესაფარი

debile fundamentum, fallit opus [დე´ბილე ფუნდამე´ნტუმ, ფა´ლლიტ ო´პუს] როდესაც საფუძველი სუსტია, ნაგებობა ინგრევა

debita sequuntur personam debitoris [დე´ბიტა სეკვუ´ნტურ პერსო´ნამ დებიტო´რის] ვალები მისდევენ მოვალეს

debitor creditoris est debitor creditori creditoris [დე´ბიტორ კრედიტო´რის ესტ დე´ბიტორ კრედიტო´რი კრედიტო´რის] კრედიტორის მოვალე არის ასევე მოვალე კრედიტორის კრედიტორისა

debitores in solido [დებიტო´რეს ინ სო´ლიდო] თანამოვალეები

debitor non praesumitur donare [დე´ბიტორ ნონ *პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ დონა´რე] იგულისხმება, რომ მოვალე არ აკეთებს საჩუქრებს

debitorum pactionibus, creditorum petitio nec minui potest [დებიტო´რუმ *პაკტიო´ნიბუს/პაკციო´ნიბუს, კრედიტო´რუმ *პეტი´ტიო/პეტი´ციო ნეკ მი´ნუი პო´ტესტ] მოვალეებს შორის შეთანხმება არ ახდენს გავლენას კრედიტორების სასარჩელო უფლებაზე

debitrix [დე´ბიტრიქს] მოვალე (ქალი)

debitus et contractus sunt nullius loci [დე´ბიტუს ეტ კონტრა´კტუს სუნტ ნუ´ლლიუს *ლო´კი/ლო´ცი] „ვალი და ხელშეკრულება არ უკავშირდება ადგილს“: ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები ტრანზიტორულები არიან, არ უკავშირდებიან ხელშეკრულების დადების ან შესრულების ადგილს

de bonis defuncti [დე ბო´ნის დეფუ´ნკტი] მიცვალებულის ქონებიდან

de bonis intestati [დე ბო´ნის ინტესტა´ტი] პირის ქონებიდან, რომელიც ანდერძის გარეშე გარდაიცვალა

de bonis non amovendis [დე ბო´ნის ნონ ამოვე´ნდის] „ქონების ადგილზე დატოვების შესახებ“. სასამართლოს ბრძანება, რომელიც კრძალავს ქონების გადატანას სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში

de bonis testatoris (ac si) [დე ბო´ნის ტესტატო´რის (აკ სი)] მოანდერძის ქონებასთან მიმართებაში

de bono gestu [დე ბო´ნო გე´სტუ] სანამ კარგად იქცევა (თანამდებობის პირებზე – სანამ შესაბამისად ასრულებენ მოვალეობებს, პატიმრების შესახებ – სანამ არ არღვევენ რეჟიმს)

de calceto reparendo [დე *კალკე´ტო/კალცე´ტო რეპარე´ნდო] სასამართლოს ბრძანება გზის შეკეთებაზე

decemviri litibus iudicandis [*დეკე´მვირი/დეცე´მვირი ლი´ტიბუს იუდიკა´ნდის] ათი პირი ან ათი მოსამართლე, რომლებიც ინიშნებოდა სამართლებრივ საკითხებზე პრეტორისთვის დახმარების გასაწევად

deceptis non decipientibus, iura subveniunt [*დეკე´პტის/დეცე´პტის ნონ *დეკიპიე´ნტიბუს/დეციპიე´ნტიბუს, იუ´რა სუბვე´ნიუნტ] კანონები ეხმარებიან მოტყუებულებს, მაგრამ – არა მათ, ვინც ატყუებს

de certificando [დე *კერტიფიკა´ნდო/ცერტიფიკა´ნდო] სასამართლოს ბრძანება დოკუმენტის დადასტურების თაობაზე

decet [*დე´კეტ/დე´ცეტ] ასეა საჭირო, ეს შეეფერება

decet tamen principem, servare leges, quibus ipse solutus est [*დე´კეტ/დე´ცეტ ტა´მენ *პრი´ნკიპემ/პრი´ნციპემ, სერვა´რე ლე´გეს, კვი´ბუს ი´პსე სოლუ´ტუს ესტ] და მაინც პრინცეპსს შეეფერება დაიცვას ის კანონები, რომლებისგან ის თავად თავისუფალია

de chimino [დე ხი´მინო] სასამართლოს ბრძანება, რომელიც უზრუნველყოფს გავლის უფლებას

decies tantum [*დე´კიეს/დე´ციეს ტა´ნტუმ] „ათჯერ ამდენი“: ძველი წესი, რომლის მიზანი იყო მოსყიდული ნაფიცი მსაჯული აეძულებინათ, გადაეხადა „ხმის მიცემის სანაცვლოდ“ მიღებული თანხის ათმაგი ოდენობა

decipi quam fallere est tutius [*დე´კიპი/დე´ციპი კვამ ფა´ლლერე ესტ ტუ´ტიუს] უკეთესია იყო მოტყუებული, ვიდრე სხვა მოატყუო

de circumstantibus [დე *კირკუმსტა´ნტიბუს/ცირკუმსტა´ნტიბუს] „დამსწრეთაგან; მაყურებელთაგან“: როდესაც სია იყო ამოწურული და სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირებისათვის საჭირო იყო დამატებითი ნაფიცი მსაჯულები, ისინი სახელდებოდნენ დამსწრეთაგან

de clauso fracto [დე *კლა´უსო/კლა´უზო ფრა´კტო] მიწის ნაკვეთის საზღვრების დარღვევაზე

de communi dividendo [დე კომმუ´ნი დივიდე´ნდო] სასამართლოს ბრძანება მოიჯარეების საერთო მფლობელობაში არსებული ქონების გაყოფაზე

de concilio (consilio) curiae [დე *კონკი´ლიო/კონცი´ლიო (კონსი´ლიო) კუ´რიე] სასამართლოს რჩევით

de conflictu legum [დე კონფლი´კტუ ლე´გუმ] კანონთა კოლიზიაზე

de consuetudinibus et servitiis [დე კონსუეტუდი´ნიბუს ეტ *სერვი´ტიის/სერვი´ციის] „ჩვეულებათა და ბეგარათა შესახებ“: სასამართლოს ბრძანება მეიჯარის სასარგებლოდ მოიჯარის წინააღმდეგ, რომელიც არ იხდის საიჯარო ქირას და თავს არიდებს ბეგარის გადახდას

decrementum maris [დეკრემე´ნტუმ მა´რის] მიწა, წარმოქმნილი ზღვის მიქცევის შედეგად

decurio [დეკუ´რიო] ქალაქის მმართველი ძველ რომში, ათეულის მეთაური

de custode admittendo, amovendo [დე კუსტო´დე ადმიტტე´ნდო, ამოვე´ნდო] სასამართლოს ბრძანება მეურვის დაშვების, გადაყენების შესახებ

de debitore in partes secando [დე დებიტო´რე ინ პა´რტეს სეკა´ნდო] „მოვალის დანაწევრების შესახებ“: 12 დაფის კანონი უფლებას აძლევდა კრედიტორებს მოვალის სხეული დაენაწევრებინათ მათი პრეტენზიების მიხედვით

de die claro [დე დი´ე კლა´რო] დღის სინათლეზე; დღისით

de die in diem [დე დი´ე ინ დი´ემ] დღითი დღე; დღიდან დღემდე

dedititii [*დედიტი´ტიი/დედიცი´ციი] რომის ქვეშევრდომები, რომელთაც არ ჰქონდათ უფლებები ან რომლებიც დაემორჩილნენ გამარჯვებულს

de diversis regulis iuris antiqui [დე დივე´რსის რე´გულის იუ´რის ანტი´კვი] ძველი სამართლის სხვადასხვა წესებიდან

de dolo malo [დე დო´ლო მა´ლო] ბოროტი განზრახვით; მოტყუებით

de domo reparanda [დე დო´მო რეპარა´ნდა] სასამართლოს ბრძანება, რომელიც ავალდებულებს პირს გაარემონტოს ნაგებობა, რომელიც საშიში გახდა გარშემომყოფთათვის

de esse in peregrinatione [დე ე´სსე ინ *პერეგრინატიო´ნე/პერეგრინაციო´ნე] „გზაში ყოფნის შესახებ“ სასამართლოში გამოუცხადებლობის საფუძველი

de exemplificatione [დე *ექსემპლიფიკატიო´ნე/ექზემპლიფიკაციო´ნე] სასამართლოს ბრძანება თავდაპირველი დოკუმენტის დამოწმებული დედნის წარმოდგენის შესახებ

de exitibus terrae [დე *ექსი´ტიბუს/ექზი´ტიბუს ტე´რრე] მიწიდან შემოსავალი

de facto [დე ფა´კტო] ფაქტობრივად, განსხვავებით de iure-სგან – სამართლებრივად, იურიდიულად

defectus sanguinis [დეფე´კტუს სა´ნგვინის] სისხლით ნათესავების არარსებობა; არყოფნა ან არგამოცხადება მემკვიდრეებისა, რომლებსაც აქვთ მემკვიდრეობის მიღების უფლება

defendere se per corpus suum [დეფე´ნდერე სე პერ კო´რპუს სუ´უმ] საკუთარი სხეულით თავდაცვა – ბრძოლაში ჩაბმა

defendere se unica manu [დეფე´ნდერე სე უ´ნიკა მა´ნუ] ერთი ხელით თავდაცვა, განწმენდის ფიცის დადება; საკუთარი უდანაშაულობის ფიცით მტკიცება

defensor civitatis [დეფე´ნსორ *კივიტა´ტის/ცივიტა´ტის] რომში ქალაქის მოხელე, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი

de feodo [დე ფე´ოდო] მესაკუთრის აბსოლუტურ უფლებაზე

deficiente uno sanguine non potest esse haeres [*დეფიკიე´ნტე/დეფიციე´ნტე უ´ნო სა´ნგვინე ნონ პო´ტესტ ე´სსე ჰე´რეს] როცა მისი სისხლის არ არის, არ შეიძლება იყოს მემკვიდრე

de fide et officio iudicis non recipitur quaestio sed de scientia, sive sit error iuris, sive facti [დე ფი´დე ეტ *ოფფი´კიო/ოფფი´ციო *იუ´დიკის/იუ´დიცის ნონ *რეკი´პიტურ/რეცი´პიტურ *კვე´სტიო/კვე´სციო სედ დე *სკიე´ნტია/სციენცია, სივე სიტ ე´რრორ იუ´რის, სი´ვე ფა´კტი] მოსამართლის კეთილსინდისიერება და პატიოსნება ეჭვის ქვეშ არ დგება, მაგრამ შეიძლება საკამათო იყოს, რომ კანონები და ფაქტები იცის

de filio vel filia rapta vel abducto [დე ფი´ლიო ველ ფი´ლია რა´პტა ველ აბდუ´კტო] სასამართლოს ბრძანება ზიანის ანაზღაურების შესახებ ქალიშვილის ან ვაჟის გატაცების გამო

de furto [დე ფუ´რტო] ძარცვაზე; სააპელაციო საჩივარი ქურდობის საკითხზე

de gestu et fama [დე გე´სტუ ეტ ფა´მა] ყოფაქცევისა და რეპუტაციის შესახებ: სასამართლოს გადაწყვეტილება დაზარალებულისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ზიანის ანაზღაურების შესახებ

de gratia [დე *გრა´ტია/გრა´ცია] წყალობით; გულმოწყალებით

de haeretico comburendo [დე ჰერე´ტიკო კომბურე´ნდო] ერეტიკოსის დაწვაზე: სასამართლოს განაჩენი ერეტიკოსის დაწვის შესახებ, რომლის გამოტანაც მხოლოდ მეფის ბრძანებით ხდებოდა

de identitate nominis [დე იდენტიტა´ტე ნო´მინის] „იმავე სახელით“: სასამართლოს ბრძანება იმ პირის გათავისუფლების შესახებ, რომელსაც იგივე სახელი აქვს, რაც ნამდვილ ბრალდებულს

de idiota inquirendo [დე იდიო´ტა ინკვირე´ნდო] „იდიოტთან დაკავშირებული გამოძიება“: სასამართლოს ბრძანება იმის გამოსაძიებლად, არის თუ არა პიროვნება იდიოტი (გონებასუსტი)

Dei gratia [დე´ი *გრა´ტია/გრა´ცია] ღვთის წყალობით

Dei iudicium [დე´ი *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] ღვთის სამსჯავრო

de infirmitate [დე ინფირმიტა´ტე] „უმწეობით“: მიზეზი ან საფუძველი სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის

de ingressu [დე ინგრე´სსუ] სასამართლოს ბრძანება „უფლების აღდგენის შესახებ“, რომელიც მიეცემოდა მოიჯარეს, რომელმაც არამართლზომიერად დაკარგა იჯარით აღებული მიწა

ex directo [ექს დირე´კტო] პირდაპირ; მაშინვე; მოულოდნელად

ex diuturnitate temporis, omnia praesumuntur solemniter, esse acta [ექს დიუტურნიტა´ტე ტე´მპორის, ო´მნია *პრესუმუ´ნტურ/პრეზუმუ´ნტურ სოლე´მნიტერ, ე´სსე ა´კტა] მომხდარის ხანდაზმულობის გამო (იმ დროიდან) ყველაფერი (მაშინ შესრულებული) ივარაუდება სათანადოდ შესრულებულად

ex dolo malo [ექს დო´ლო მა´ლო] მოტყუებისთვის, მოტყუების მიზნით

ex dolo malo non oritur actio [ექს დო´ლო მა´ლო ნონ ო´რიტურ *ა´კტიო/ა´კციო] ტყუილზე არ აიგება სარჩელი; სასამართლო არ მიემხრობა პირს, რომელიც აფუძნებს თავის პრეტენზიას უზნეო ან უკანონო ქმედებაზე

ex donatio regis [ექს *დონა´ტიო/დონა´ციო რე´გის] მეფის წყალობით

executio bonorum [*ექსეკუ´ტიო/ექზეკუ´ციო ბონო´რუმ] ქონების მართვა

executio est executio iuris secundum iudicium [*ექსეკუ´ტიო/ექზეკუ´ციო ესტ *ექსეკუ´ტიო/ექზეკუ´ციო იუ´რის სეკუ´ნდუმ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] შესრულება არის კანონის შესრულება სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად

executio est finis et fructis legis [*ექსეკუ´ტიო/ექზეკუ´ციო ესტ ფი´ნის ეტ ფრუ´კტის ლე´გის] შესრულება არის დასრულება და ნაყოფი კანონისა

executio iuris non habet iniuriam [*ექსეკუ´ტიო/ექზეკუ´ციო იუ´რის ნონ ჰა´ბეტ ინიუ´რიამ] კანონის შესრულება არ შეიძლება საზიანო იყოს

exempla illustrant non restrigunt legem [ექსე´მპლა ილლუ´სტრანტ ნონ რესტრი´გუნტ ლე´გემ] მაგალითები კანონს თვალსაჩინოდ აქცევენ, მაგრამ არ ზღუდავენ მას

exempli causa [*ექსე´მპლი *კა´უსა/ექზე´მპლი კა´უზა] მაგალითად ან მაგალითის სახით

exempli gratia [*ექსე´მპლი *გრა´ტია/ექზე´მპლი გრა´ცია] მაგალითად ან მაგალითის სახით. ჩვეულებრივი შემოკლ. – „e.g.“ ან „ex.gr.“

exemplum (მრ.რ. exempla) [ექსე´მპლუმ] მაგალითი; ეგზემპლარი; ასლი, მოდელი

ex empto [ექს ე´მპტო] შეძენის შედეგად

ex eo quod plerumque fit [ექს ე´ო კვო´დ პლერუ´მკვე ფიტ] იქიდან გამომდინარე, რაც ხშირად ხდება

exequatur [ექსეკვა´ტურ] „დაე, შესრულდეს“ უცხო ქვეყნის კონსულისათვის უფლებამოსილების მინიჭება

exercitor maris [*ექსერკი´ტორ/ექზერცი´ტორ მა´რის] ხომალდთა მფლობელების გენერალური აგენტი, რომელსაც ხომალდთან დაკავშირებული საქმეების წარმოება ევალება

ex facie [ექს *ფა´კიე/ფა´ციე] პირველადი გაცნობისას, მაგ.: დოკუმენტის

ex facto [ექს ფა´კტო] მოქმედებიდან; ფაქტიდან; მოქმედების ან მოვლენების შედეგად ან მიზეზით

ex facto ius oritur [ექს ფა´კტო ი´უს ო´რიტურ] უფლება ფაქტიდან მომდინარეობს, უფლება წარმოიშობა ფაქტებით

ex fictione iuris [ექს *ფიკტიო´ნე/ფიკციო´ნე იუ´რის] იურიდიული ფიქციის ძალით

exfrediare [ექსფრედია´რე] მშვიდობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა

ex frequenti delicto augetur poena [ექს ფრეკვე´ნტი დელი´კტო აუგე´ტურ პე´ნა] სასჯელი მკაცრდება დანაშაულის სიხშირის გამო

ex gratia (ex gr.) [ექს *გრა´ტია/გრა´ცია] კეთილგანწყობიდან გამომდინარე

exheres [ექსჰე´რეს] პირი, რომელსაც ჩამოართვა მემკვიდრეობა მშობელმა, ბაბუამ და ა.შ.

exhibere [ექსჰიბე´რე] წარდგენა; სასამართლოში წარდგენა; ექსპონატის სახით წარმოდგენა

ex hypothesi [ექს *ჰიპო´თესი/ჰიპო´თეზი] ჰიპოთეტურად, სავარაუდოდ

exigi facias [ე´ქსიგი *ფა´კიას/ფა´ციას] სასამართლოს ბრძანება სამართალწარმოებასთან დაკავშირებით მოპასუხის კანონგარეშედ გამოცხადების თაობაზე

exilium est patriae privatio, natalis solo mutatio, legum nativarum amissio [ექსი´ლიუმ ესტ პა´ტრიე *პრივა´ტიო/პრივა´ციო, ნატა´ლის სო´ლო *მუტა´ტიო/მუტა´ციო, ლე´გუმ ნატივა´რუმ ამი´სსიო] გაძევება ან გადასახლება ნიშნავს სამშობლოს წართმევას, დაბადების ადგილის შეცვლას და მშობლიური კანონების დაკარგვას

ex improviso [ექს *იმპროვი´სო/იმპროვი´ზო] მომზადების გარეშე

ex incontinenti [ექს ინკონტინე´ნტი] თავშეუკავებლად, მაშინვე

ex industria [ექს ინდუ´სტრია] განზრახვით

ex insinuatione [ექს *ინსინუატიო´ნე/ინსინუაციო´ნე] ცნობებით; რჩევით; წაქეზებით

ex intervallo [ექს ინტერვა´ლლო] შესვენების შემდეგ

existimatio [*ექსისტიმა´ტიო/ექზისტიმა´ციო] ერთი ადამიანის შეხედულება მეორეზე: შეფასება, რეპუტაცია, არბიტრის გადაწყვეტილება

exit [*ე´ქსიტ/ე´ქზიტ] გამოცემა

ex iure naturale [ექს იუ´რე ნატურა´ლე] ბუნების კანონით, სამართლით
ex iusta causa [ექს იუ´სტა *კა´უსა/კა´უზა] კანონიერი საფუძველი; კანონიერი ტიტულუსის საფუძველზე
exlegalitas [ექსლეგა´ლიტას] კანონგარეშე გამოცხადება
ex lege [ექს ლე´გე] სამართალთან შესაბამისობაში; კანონით; კანონის ძალით
ex legibus [ექს ლე´გიბუს] კანონების თანახმად, კანონიერად
exlex [ე´ქსლექს] დამნაშავე, კანონგარეშედ გამოცხადებული
ex licentia regis [ექს *ლიკე´ნტია/ლიცე´ნცია რე´გის] მეფის ნებართვით
ex maiore cautela [ექს მაიო´რე კაუტე´ლა] დიდი სიფრთხილით
ex mala causa non oritur actio [ექს მალა *კა´უსა/კა´უზა ნონ ო´რიტურ *ა´კტიო/ა´კციო] უკანონო გარიგებიდან არ გამომდინარეობს სარჩელის უფლება
ex maleficio non oritur contractus [ექს *მალეფი´კიო/მალეფი´ციო ნონ ო´რიტურ კონტრა´კტუს] ხელშეკრულება არ შეიძლება დაეფუძნოს სამართალდარღვევას
ex malis moribus bonae leges natae sunt [ექს მა´ლის მო´რიბუს ბო´ნე ლე´გეს ნა´ტე სუნტ] ცუდი ზნე-ჩვეულებები იწვევენ კარგი კანონების შექმნას
ex malitia [ექს *მალი´ტია/მალი´ცია] ბოროტი განზრახვით
ex malitia sua praecogitata [ექს *მალი´ტია/მალი´ცია სუ´ა პრეკოგიტა´ტა] ბოროტი განზრახვით
ex merito iustitiae [ექს მე´რიტო *იუსტი´ტიე/იუსტი´ციე] სამართლიანობის წყალობით
ex mero motu [ექს მე´რო მო´ტუ] სასამართლოს ინიციატივით, ამა თუ იმ მხარის მოთხოვნის გარეშე
ex mora [ექს მო´რა] დაყოვნების მიზეზით
ex mora debitoris [ექს მო´რა დებიტო´რის] მოვალის დაყოვნების მიზეზით
ex more [ექს მო´რე] ჩვეულების თანახმად
ex multitudine signorum, colligitur identitas vera [ექს მულტიტუ´დინე სიგნო´რუმ, კოლლი´გიტურ იდე´ნტიტას ვე´რა] ნიშან-თვისებათა დიდი რაოდენობით დგინდება ნივთის გვაროვნება
ex mutuo [ექს მუ´ტუო] ნივთის ვალად მიცემის ფაქტიდან → mutuum
ex natura rei [ექს ნატუ´რა რე´ი] ნივთების ბუნებიდან
ex necessitate [ექს *ნეკესსიტა´ტე/ნეცესსიტა´ტე] აუცილებლობით
ex necessitate legis [ექს *ნეკესსიტა´ტე/ნეცესსიტა´ტე ლე´გის] იურიდიული აუცილებლობით; კანონის მითითების მიხედვით
ex necessitate rei [ექს *ნეკესსიტა´ტე/ნეცესსიტა´ტე რე´ი] აუცილებლობის გამო
ex nihilo nihil fit [ექს ნი´ჰილო ნი´ჰილ ფიტ] არაფრისგან არაფერი იქმნება
ex nudo pacto non oritur actio [ექს ნუ´დო პა´კტო ნონ ო´რიტურ *ა´კტიო/ა´კციო] შიშველი დაპირება არ იძლევა საფუძველს სასარჩელო მოთხოვნისათვის
ex officio [ექს *ოფფი´კიო/ოფფი´ციო] დაკავებული თანამდებობის ძალით
exonerare [ექსონერა´რე] რეაბილიტაცია, გამართლება, პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება
exoneretur [ექსონერე´ტურ] დაე, იგი გამართლდეს
ex ordine [ექს ო´რდინე] ბრძანებით, ბრძანების თანახმად

ex pacto illicito non oritur actio [ექს პა´კტო *ილლი´კიტო/ილლი´ციტო ნონ ო´რიტურ *ა´კტიო/ა´კციო] უკანონო შეთანხმება არ იძლევა საფუძველს სასარჩელო მოთხოვნისათვის

ex parte [ექს პა´რტე] ერთ-ერთი მხარისგან; ერთი მხარის მიმართვა სასამართლოსადმი მეორე მხარისთვის შეტყობინების გარეშე

ex parte materna [ექს პა´რტე მატე´რნა] დედის მხრიდან

ex parte paterna [ექს პა´რტე პატე´რნა] მამის მხრიდან

ex paucis dictis intendere plurima possis [ექს *პა´უკის/პა´უცის დი´კტის ინტე´ნდერე პლუ´რიმა პო´სსის] მცირე სიტყვებით შეიძლება ძალიან ბევრის თქმა

expeditio brevis [*ექსპედი´ტიო/ექსპედი´ციო ბრე´ვის] სასამართლოს ბრძანების ან უწყების გადაცემა

expedit reipublicae ut sit finis litium [ე´ქსპედიტ რეიპუ´ბლიკე უტ სიტ ფი´ნის *ლი´ტიუმ/ლი´ციუმ] სასამართლო დავა უნდა დასრულდეს – სახელმწიფოს სასარგებლოდ

expedit reipublicae ne sua re quis male utatur [ე´ქსპედიტ რეიპუ´ბლიკე ნე სუ´ა რე კვის მა´ლე უტა´ტურ] სახელმწიფოსთვის სასარგებლოა ის, რომ არავინ ისარგებლოს ბოროტად თავისი საკუთრებით

expensae [ექსპე´ნსე] ხარჯები; სასამართლო ხარჯები

expensae litis [ექსპე´ნსე ლი´ტის] სასამართლო ხარჯები

experientia per varios actus legem facit [*ექსპერიე´ნტია/ექსპერიე´ნცია პერ ვა´რიოს ა´კტუს ლე´გემ *ფა´კიტ/ფა´ციტ] სხვადასხვა ქმედებების საფუძველზე დაგროვილი გამოცდილება ქმნის კანონს

expilare [ექსპილა´რე] გაძარცვა, მაროდიორობა, დატაცება

expositio, quae ex visceribus causae nascitur, est optissima et fortissima in lege [*ექსპოსი´ტიო/ექსპოზი´ციო, კვე ექს *ვისკე´რიბუს/ვისცე´რიბუს *კა´უსე/კა´უზე *ნა´სკიტურ/ნა´სციტურ, ესტ ოპტი´სსიმა ეტ ფორტი´სსიმა ინ ლე´გე] განმარტება, გამომდინარე საქმის არსიდან, სამართლის თვალსაზრისით განსაკუთრებით სარწმუნო და მნიშვნელოვანია

ex post facto [ექს პოსტ ფა´კტო] მომხდარის შემდეგ; მას შემდეგ, რაც მოქმედება შესრულდება

ex praemissis [ექს პრემი´სსის] გამომდინარე ადრე გადმოცემებიდან იმავე დოკუმენტში

expressa nocent; non expressa non nocent [ექსპრე´სსა *ნო´კენტ/ნო´ცენტ; ნონ ექსპრე´სსა ნონ *ნო´კენტ/ნო´ცენტ] ნათქვამმა შეიძლება ზიანი მოიტანოს, ხოლო მას, რაც არ იყო ნათქვამი, ზიანის მოტანა არ შეუძლია

expressa (expressio) non prosunt quae non expressa proderunt [ექსპრე´სსა (ექსპრე´სსიო) ნონ პრო´სუნტ კვე ნონ ექსპრე´სსა პროდე´რუნტ] ზოგჯერ თქმა ვერაფერს გვიშველის, უთქმელობა კი დაგვეხმარება

expressio eorum quae tacite insunt nihil operatur [ექსპრე´სსიო ეო´რუმ კვე *ტა´კიტე/ტა´ციტე ი´ნსუნტ ნი´ჰილ ოპერა´ტურ] იმის ფორმულირება, რაც უთქმელად იგულისხმება, არაფერს მატებს საქმეს

expressio falsi [ექსპრე´სსიო ფა´ლსი] სიცრუე, ცრუ მტკიცება

expressio unius est exclusio alterius [ექსპრე´სსიო უ´ნიუს ესტ *ექსკლუ´სიო/ექსკლუ´ზიო ალტე´რიუს] ერთის მითითება არის მეორის გამორიცხვა

(ხელშეკრულებაში ერთი სახის ნივთის ან ნივთების მოხსენიება ნიშნავს იმის გამორიცხვას, რაც არაა ნახსენები)

expressum facit cessara tacitum [ექსპრე´სსუმ *ფა´კიტ/ფა´ციტ *კესსა´რა/ცესსა´რა *ტა´კიტუმ/ტა´ციტუმ] პირდაპირი გამოხატვა ანულირებას უკეთებს ყველაფერს, რაც შეიძლება იგულისხმებოდეს უთქმელად

ex procedentibus et consequentibus optima fit interpretatio [ექს *პროკედე´ნტიბუს/პროცედე´ნტიბუს ეტ კონსეკვე´ნტიბუს ო´პტიმა ფიტ *ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო] საუკეთესო განმარტება მიიღება წინა და მომდევნო (განმარტებებზე) დაყრდნობით

ex professo [ექს პროფე´სსო] პროფესიით; საკუთარი აღიარებით

expromissio [ექსპრომი´სსიო] სამოქალაქო სამართალში ნოვაციის სახეობა, რომლის მიხედვითაც კრედიტორი იღებს ახალ მოვალეს თავდაპირველი მოვალის ნაცვლად, ათავისუფლებს რა უკანასკნელს პასუხისმგებლობისაგან

expromissor [ექსპრომი´სსორ] პირი, რომელმაც თავის თავზე აიღო მოვალის ვალდებულება expromissio-ს წესით

expromittere [ექსპრომი´ტტერე] თავისთავზე ვალდებულების აღება expromissor-ი სახით

ex proprio motu [ექს პრო´პრიო მო´ტუ] საკუთარი განზრახვით; საკუთარი თანხმობით

ex proprio vigore [ექს პრო´პრიო ვიგო´რე] საკუთარი ძალებით, ავტომატურად

ex provisione hominis [ექს *პროვისიო´ნე/პროვიზიო´ნე ჰო´მინის] ადამიანის მოქმედების შედეგად და არა კანონის ძალით

ex provisione mariti (viri) [ექს *პროვისიო´ნე/პროვიზიო´ნე მა´რიტი (ვი´რი)] ქმრის კმაყოფაზე

ex quasi contractu [ექს *კვა´სი/კვა´ზი კონტრა´კტუ] თითქოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ex rigore iuris [ექს რიგო´რე იუ´რის] კანონის სიმკაცრით

exrogare [ექსროგა´რე] ძველი კანონის ნაწილის ახალ კანონში ჩართვა

ex scriptis olim visis [ექს სკრი´პტის ო´ლიმ *ვი´სის/ვი´ზის] ადრე ნანახი დოკუმენტებიდან

ex speciali gratia [ექს *სპეკია´ლი/სპეცია´ლი *გრა´ტია/გრა´ცია] განსაკუთრებული წყალობით, განსაკუთრებული პრივილეგიით

ex speciali gratia, certa scientia, et mero motu regis [ექს *სპეკია´ლი/სპეცია´ლი *გრა´ტია/გრა´ცია *კე´რტა/ცე´რტა *სკიე´ნტია/სციე´ნცია ეტ მე´რო მო´ტუ რე´გის] განსაკუთრებული წყალობით, მტკიცე ცოდნით და მეფის საკუთარი ნებით; სამეფო წყალობათა ჩვეულებრივი ფორმულა

ex statuto [ექს სტატუ´ტო] კანონის თანახმად

ex tempore [ექს ტე´მპორე] აწმყოში; მოცემული შემთხვევისთვის; დროებით

exterus non habet terras [ექსტე´რუს ნონ ჰა´ბეტ ტე´რრას] უცხოელი არ შეიძლება ფლობდეს მიწას

ex testamento [ექს ტესტამე´ნტო] ანდერძით, საანდერძო განკარგულებით

extincto subiecto, tollitur adiunctum [ექსტი´ნკტო სუბიე´კტო, ტო´ლლიტურ ადიუ´ნკტუმ] ნივთის გაქრობისთანავე ქრება მასზე კუთვნილებაც

extortio est crimen quando quis colore officii extorquet quod non est debitum, vel supra debitum, vel ante tempus quod est debitum [*ექსტო´რტიო/ექსტო´რციო ესტ კრი´მენ კვა´ნდო კვის კოლო´რე *ოფფი´კიი/იფფი´ციი ექსტო´რკვეტ კვოდ ნონ ესტ დე´ბიტუმ, ველ სუ´პრა დე´ბიტუმ, ველ ა´ნტე ტე´მპუს კვოდ ესტ დე´ბიტუმ] გამოძალვა არის ისეთი დანაშაული, როდესაც ვინმე სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების საბაბით უკანონოდ სძალავს ან დაწესებულზე მეტს ართმევს ან უფრო ადრე, ვიდრე დაწესებულია

ex tota materia emergat resolutio [ექს ტო´ტა მატე´რია ემე´რგატ *რესოლუ´ტიო/რეზოლუ´ციო] განმარტება ან გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მთელ საგანს

exra iudicium [ე´ქსტრა *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] სასამართლოს მიღმა; სასამართლოს გარეშე

extra ius [ე´ქსტრა ი´უს] სამართლის მიღმა, სამართლის მოთხოვნათა მიღმა

extra legem [ექსტრა ლე´გემ] კანონის საზღვრების მიღმა; სამართლებრივი დაცვის მიღმა

extra legem positus [ე´ქსტრა ლე´გემ *პო´სიტუს/პო´ზიტუს] კანონგარეშედ აღიარებული ან მძიმე დანაშაულისთვის დასჯილი; იურიდიულად მკვდარი

extraneus [ექსტრა´ნეუს] უცხოტომელი; უცხო

extraneus est subditus qui extra terram, i.e., potestatem regis natus est [ექსტრა´ნეუს ესტ სუ´ბდიტუს კვი ექსტრა ტე´რრამ, პოტესტა´ტემ რე´გის ნა´ტუს ესტ] უცხოტომელი ან უცხოელი არის პირი, რომელიც ქვეყნის გარეთ დაიბადა ე.ი. სადაც მეფის ძალაუფლება არ ვრცელდება

extra praesentiam mariti [ე´ქსტრა *პრესე´ნტიამ/პრეზე´ნტიამ მა´რიტი] ქმრის არყოფნის დროს

extra regnum [ე´ქსტრა რე´გნუმ] სამეფოს საზღვრებს მიღმა

extra territorium [ე´ქსტრა ტერრიტო´რიუმ] საზღვრებს მიღმა

extra viam [ე´ქსტრა ვი´ამ] გზის გადაღმა

extra vires [ე´ქსტრა ვი´რეს] → ultra vires

extremis probatis, praesumuntur media [ექსტრე´მის პრობა´ტის, *პრესუ´მუნტურ/პრეზუ´მუნტურ მე´დია] როდესაც უკიდურესი წერტილები ნაჩვენებია, შუაში მდებარე იგულისხმება

ex turpi causa (contractu) non oritur actio [ექს ტუ´რპი *კა´უსა/კა´უზა (კონკტრა´კტუ) ნონ ო´რიტურ *ა´კტიო/ა´კციო] სარჩელი არ შეიძლება დაეყრდნოს ამორალურ ან უკანონო საფუძველს (შეთანხმებას)

exuere patriam [ექსუე´რე პა´ტრიამ] სამშობლოზე უარის თქმა, ექსპატრიაცია

exulare [ექსულა´რე] გაძევება, გადასახლება

ex una parte [ექს უ´ნა პა´რტე] ერთ-ერთი მხრიდან; ერთი მხრიდან

ex uno disces omnes [ექს უ´ნო *დი´სკეს/დი´სცეს ო´მნეს] ერთიდან შეიძლება ყველაფრის გაგება

ex usu [ექს *უ´სუ/უ´ზუ] გამოყენების შედეგად; გამოყენების გზით

ex utraque parte [ექს უტრა´კვე პა´რტე] ორივე მხრიდან

ex utrisque parentibus coniuncti [ექს უტრი´სკვე პარე´ნტიბუს კონიუ´ნკტი] ორივე მშობელთან დაკავშირებული

ex vi aut metu [ექს ვი ა´უტ მე´ტუ] ძალით ან შიშით

ex visceribus [ექს *ვისკე´რიბუს/ვისცე´რიბუს] შიგნეულობიდან; არსიდან

ex visceribus testamenti [ექს *ვისკე´რიბუს/ვისცე´რიბუს ტესტამე´ნტი] ანდერძის მხრიდან, ე.ი. მთელი ანდერძიდან

ex visitatione Dei [ექს *ვისიტატიო´ნე/ვიზიტაციო´ნე დე´ი] ღვთის განგებით

ex visu scriptionis [ექს *ვი´სუ *სკრიპტიო´ნის/ვი´ზუ სკრიპციო´ნის] დოკუმენტის გარეგნული სახით

ex vi termini [ექს ვი ტე´რმინი] გამოყენებული ტერმინის ძალით; ტერმინის ან გამონათქვამის არსით

ex voluntate [ექს ვოლუნტა´ტე] ნებიდან გამომდინარე, ნებაყოფლობით, თავისი ნებით

F

fabricare [ფაბრიკა´რე] ფაბრიკაცია; ფალსიფიკაცია; გაყალბება; ყალბი მონეტების მოჭრა

fabula [ფა´ბულა] შეთანხმება, ხელშეკრულება, კონტრაქტი

facies [*ფა´კიეს/ფა´ციეს] ის, რაც განმარტებების ან დამატებების გარეშე ჩანს დოკუმენტიდან, კანონიდან, სასამართლოს ბრძანებიდან გაცხადებულია სასამართლოში და ა.შ.

facinus quos inquinat aequat [*ფა´კინუს/ფა´ცინუს კვოს ინკვი´ნატ ე´კვატ] ბოროტი საქმე, დანაშაული ათანაბრებს მათ, ვინც მასში მონაწილეობს

facio ut des [*ფა´კიო/ფა´ციო უტ დეს] მე ვაკეთებ, რომ შენ გადაიხადო: მესამე პირი შემხვედრი დაკმაყოფილებისა სამოქალაქო საქმეში – შესრულება შეთანხმებული საფასურის სანაცვლოდ

facio ut facias [*ფა´კიო/ფა´ციო უტ *ფა´კიას/ფა´ციას] მე ვაკეთებ, რომ შენ გააკეთო: მეორე ფორმა შემხვედრი დაკმაყოფილებისა სამოქალაქო სამართალში – შეთანხმება რაღაც ქმედების შესრულების შესახებ მეორე პირისათვის საიმისოდ, რომ მეორე პირმა შეასრულოს საპასუხო ქმედება პირველისთვის

facit ex curvo rectum, ex nigro album [*ფა´კიტ/ფა´ციტ ექს კუ´რვო რე´კტუმ, ექს ნი´გრო ა´ლბუმ] მრუდესგან აკეთებს სწორს, შავიდან – თეთრს

facsimile [facere + similis, e ფაკსი´მილე] რაღაცის ზუსტი ასლი

facta sunt potentiora verbis [ფა´კტა სუნტ *პოტენტიო´რა/პოტენციო´რა ვე´რბის] საქმე სიტყვებზე ძლიერია

factio testamenti [*ფა´კტიო/ფა´კციო ტესტამე´ნტი] ანდერძის შედგენა

facto [ფა´კტო] ფაქტობრივად, სინამდვილეში

factum a iudice quod ad eius officium non spectat (non pertinet) non ratum est [ფა´კტუმ ა *იუ´დიკე/იუ´დიცე კვოდ ად ე´იუს *ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ ნონ სპე´კტატ (ნონ პე´რტინეტ) ნონ რა´ტუმ ესტ] მოსამართლის ქმედება, რაც მის კომპეტენციაში არ შედის, ბათილია

factum cuique suum, non adversario, nocere debet [ფა´კტუმ კუ´იკვე სუ´უმ, ნონ ადვერსა´რიო, *ნოკე´რე/ნოცე´რე დე´ბეტ] პირის ქმედებამ ზიანი უნდა მიაყენოს თავად მას და არა მეორე მხარეს

factum infectum fieri nequit [ფა´კტუმ ინფე´კტუმ ფი´ერი ნე´კვიტ] რაც მოხდა, მოხდა (უკან ვერ დააბრუნებ მომხდარს)

factum non dicitur quod non perseverat [ფა´კტუმ ნონ *დი´კიტურ/დი´ციტურ კვოდ ნონ პერსევე´რატ] დაუსრულებელ საქმეს არ უწოდებენ გაკეთებულს

factum probandum [ფა´კტუმ პრობა´ნდუმ] ფაქტი, რომელსაც დამტკიცება სჭირდება

factum probans [ფა´კტუმ პრო´ბანს] დამამტკიცებელი ფაქტი (რომლის საშუალებით მტკიცდება სხვა ფაქტი)

factum reputabitur voluntate [ფა´კტუმ რეპუტა´ბიტურ ვოლუნტა´ტე] ქმედება ფასდება განზრახვის მიხედვით

factum unius alteri nocere non debet [ფა´კტუმ უ´ნიუს ა´ლტერი *ნოკე´რე/ნოცე´რე ნონ დე´ბეტ] ერთის ქმედებამ მეორე არ უნდა დააზიანოს

facultas probationum non est angustanda [ფაკუ´ლტას *პრობატიო´ნუმ/პრობაციო´ნუმ ნონ ესტ ანგუსტა´ნდა] მტკიცებულებათა წარმოდგენის საშუალება არ უნდა იყოს შეზღუდული

falcidia [*ფალკი´დია/ფალცი´დია] მოანდერძის ქონების ერთი მეოთხედი, რომელსაც ის ვერ განკარგავდა ლეგატარების სასარგებლოდ და რომელიც რჩებოდა მემკვიდრეს

falcidia lex [*ფალკი´დია/ფალცი´დია ლექს] რომაული კანონი, რომლის თანახმად მოანდერძეს არ შეეძლო განეკარგა 1/4 თავისი ქონების ლეგატარების სასარგებლოდ; ის ქონება მემკვიდრეს რჩებოდა

falsa demonstratio [ფა´ლსა *დემონსტრა´ტიო/დემონსტრა´ციო] ყალბი (მცდარი) აღწერა

falsa demonstratione legatum non perimi [ფა´ლსა *დემონსტრატიო´ნე/დემონსტრაცი´ონე ლეგა´ტუმ ნონ პე´რიმი] მცდარი აღწერის გამო მემკვიდრეობა არ გაბათილდება

falsa demonstratio non nocet cum de corpore constat [ფა´ლსა *დემონსტრა´ტიო/დემონსტრა´ციო ნონ *ნო´კეტ/ნო´ცეტ კუმ დე კო´რპორე კო´ნსტატ] მცდარი აღწერა ვერ ავნებს, თუკი ცნობილია, რომელ პიროვნებაზეა საუბარი

falsa moneta [ფა´ლსა მონე´ტა] ყალბი ფული

falsa orthographia, sive falsa grammatica, non vitiat concessionem [ფა´ლსა ორთოგრა´ფია, სი´ვე ფა´ლსა გრამმა´ტიკა, ნონ *ვი´ტიატ/ვი´ციატ *კონკესსიო´ნემ/კონცესსიო´ნემ] ორთოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გამო ხელშეკრულება (დოკუმენტი) არ ჩაითვლება ბათილად

falsare [ფალსა´რე] ფალსიფიცირება, ყალბი მონეტის მოჭრა

falsarius [ფალსა´რიუს] ყალბი მონეტების მჭრელი

falsi crimen [ფა´ლსი კრი´მენ] დანაშაული, რომელიც შეიცავს სიცრუეს, გაყალბებას, დაფარვას და ა.შ.

falsonatius [*ფალსონა´ტიუს/ფალსონა´ციუს] გამყალბებელი

falsus in uno, falsus in omnibus [ფა´ლსუს ინ უ´ნო, ფა´ლსუს ინ ო´მნიბუს] ყალბი ერთში, ყალბი ყველაფერში

fama [ფა´მა] კარგი სახელი, ჭორი

famosus libellus [*ფამო´სუს/ფამო´ზუს ლიბე´ლლუს] ცილისმწამებლური წიგნი ან პუბლიკაცია

fanatica mania [ფანა´ტიკა მა´ნია] ფანატიკური მანია, ფსიქიკური დაავადება

farlingarii [ფარლინგა´რიი] შუამავლები

farrago libelli [ფარრა´გო ლიბე´ლლი] უწესრიგოდ შედგენილი წიგნი

fatetur facinus qui iudicium fugit [ფატე´ტურ *ფა´კინუს/ფა´ცინუს კვი *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ ფუ´გიტ] დანაშაულს აღიარებს ის, ვინც მართლმსაჯულებას გაურბის

fatua mulier [ფა´ტუა მუ´ლიერ] მეძავი

fatum [ფა´ტუმ] ბედი

fatuum iudicium [ფა´ტუუმ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] სულელური განაჩენი

fatuus praesumitur qui in proprio nomine errat [ფა´ტუუს *პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ კვი ინ პრო´პრიო ნო´მინე ე´რრატ] შეურაცხადად ითვლება ის, ვისაც საკუთარი სახელი ეშლება

fautor [ფა´უტორ] მფარველი, მომხრე

favorabiliores rei potius quam actores habentur [ფავორაბილიო´რეს რე´ი *პო´ტიუს/პო´ციუს კვამ აქტო´რეს ჰაბე´ნტურ] მოპასუხეები და არა მოსარჩელეები სარგებლობენ მფარველობით

feciales (fetiales) [*ფეკია´ლეს, ფეცია´ლეს (*ფეტია´ლეს/ფეცია´ლეს)] თანამდებობის პირები ძველ რომში, რომელთაც ევალებოდათ ომისა და ზავის გამოცხადება

felix qui potuit rerum cognoscere causas [ფე´ლიქს კვი პო´ტუიტ რე´რუმ *კოგნო´სკერე/კოგნო´სცერე *კა´უსას/კა´უზას] ბედნიერია, ვინც შეძლო საგანთა მიზეზების შეცნობა

feloniae, per quas vassalas amittere feodum [ფელო´ნიე, პერ კვას ვასსა´ლას ამი´ტტერე ფე´ოდუმ] ფელონიები, რომელთა საფუძველზე ვასალი კარგავდა ფეოდს

felonia, ex vi termini, significat quod libet capitale crimen felleo animo perpetratum [ფელო´ნია, ექს ვი ტე´რმინი, სიგნი´ფიკატ კვოდ ლი´ბეტ კაპიტა´ლე კრი´მენ ფე´ლლეო ა´ნიმო პერპეტრა´ტუმ] ფელონია, ტერმინის მიხედვით ნიშნავს ფელონიისთვის აუცილებელი განზრახვით ჩადენილ ნებისმიერ დანაშაულს, რომელიც სიკვდილით ისჯება

felonia implicatur in qualibet proditione [ფელო´ნია იმპლიკა´ტურ ინ კვა´ლიბეტ *პროდიტიო´ნე/პროდიციო´ნე] ყოველგვარ (სახელმწიფოებრივ) ღალატში ფელონია არის ჩართული

felonice [*ფელო´ნიკე/ფელო´ნიცე] ფელონიისთვის აუცილებელი განზრახვით

feodum est quod quis tenet ex quacunque causa (sibi et haeredibus), sive sit tenementum, sive reditus [ფეო´დუმ ესტ, კვოდ კვის ტე´ნეტ ექს კვა´კუნკვე *კა´უსა/კა´უზა (სი´ბი ეტ ჰერე´დიბუს), სი´ვე სიტ ტენემე´ნტუმ, სი´ვე რე´დიტუს] ფეოდ(უმ)ი არის ის, რასაც ვინმე ფლობს რაღაც მიზეზით (თავისთვის ან თავისი მემკვიდრეებისათვის), იქნება ეს მიწა თუ მიწის შემოსავალი

ferae naturae [ფე´რე ნატუ´რე] ველური ცხოველები

ferens ligna in silvam [ფე´რენს ლი´გნა ინ სი´ლვამ] „ტყეში შეშის შემტანი“, ე.ი. უაზრო საქმის მკეთებელი

festinatio iustitiae est noverca infortunii [*ფესტინა´ტიო/ფესტინა´ციო *იუსტი´ტიე/იუსტი´ციე ესტ ნოვე´რკა ინფორტუ´ნიი] დაჩქარება მართლმსაჯულებისა არის (როგორც) დედინაცვალი, უბედურების მომტანი

festinum remedium [ფე´სტინუმ რემე´დიუმ] სწრაფი საშუალება

feudum antiquum [ფეუ´დუმ ანტი´კვუმ] ძველი ფეოდი, წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული

feudum apertum [ფეუ´დუმ აპე´რტუმ] ღია (თავისუფალი) ფეოდი, რომელიც მფლობელის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის არარსებობის შემთხვევაში უბრუნდება სიუზერენს

feudum individuum [ფე´ოდუმ ინდივი´დუუმ] გაუყოფელი ფეოდი, რომელიც გადაეცემოდა მემკვიდრეობით მხოლოდ უფროს ვაჟს

feudum maternum [ფეუ´დუმ მატე´რნუმ] დედისეული ფეოდი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა დედის ხაზით

feudum militare [ფეუ´დუმ მილიტა´რე] რაინდის ფეოდი

feudum novum [ფეუ´დუმ ნო´ვუმ] ახალი ფეოდი, მიღებული არა მემკვიდრეობით

feudum paternum [ფეუ´დუმ პატე´რნუმ] მამისეული ფეოდი, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა მამის ხაზით

fiat [ფი´ატ] იყოს!

fiat iustitia (ruat coelum) [ფი´ატ *იუსტი´ტია/იუსტი´ცია (რუ´ატ *კე´ლუმ/ცე´ლუმ)] აღსრულდეს მართლმსაჯულება (თუნდაც ცა ჩამოინგრეს)

fiat iustitia, pereat mundus [ფი´ატ *იუსტი´ტია/იუსტი´ცია, პერე´ატ მუ´ნდუს] აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც სამყარო დაინგრეს

fiat prout fieri consuevit; nil temere novandum [ფი´ატ პრო´უტ ფიე´რი კონსუე´ვიტ; ნილ ტემე´რე ნოვა´ნდუმ] მოხდეს (ყველაფერი ისე), როგორც ჩვეულებრივ ხდება, მოუფიქრებლად არაფრის შეცვლა არ არის საჭირო

fictio cedit veritati; fictio iuris non est, ubi veritas [*ფი´კტიო/ფი´კციო *კე´დიტ/ცე´დიტ ვერიტა´ტი; *ფი´კტიო/ფი´კციო იუ´რის ნონ ესტ, უ´ბი ვე´რიტას] ფიქცია ადგილს უთმობს ჭეშმარიტებას; იურიდიული ფიქცია უძლურია ჭეშმარიტების წინაშე

fictio est contra veritatem, sed pro veritate habetur [*ფი´კტიო/ფი´კციო ესტ კო´ნტრა ვერიტა´ტემ, სედ პრო ვერიტა´ტე ჰა´ბეტურ] ფიქცია ჭეშმარიტების საპირისპიროა, მაგრამ მიიჩნევა ჭეშმარიტებად

fictio legis inique operatur alieni damnum vel iniuriam [*ფი´კტიო/ფი´კციო ლე´გის ინი´კვე ოპერა´ტურ ალიე´ნი და´მნუმ ველ ინიუ´რიამ] იურიდიული ფიქცია არ უნდა გამოიყენებოდეს სხვისთვის ზიანის მისაყენებლად

fictio legis neminem laedit [*ფი´კტიო/ფი´კციო ლე´გის ნე´მინემ ლე´დიტ] იურიდიული ფიქცია არავის აყენებს ზიანს

fideiiubere [ფიდეიიუბე´რე] ვინმეს თავდებობა, გარანტად დადგომა

fideiussio [ფიდეიუ´სსიო] შეთანხმება, რომლის ძალითაც ერთი პირი ხდება მეორის თავდები

fideiussor [ფიდეიუ´სსორ] თავდები პირი, გარანტიის მიმცემი პირი

fidelitas [ფიდე´ლიტას] ერთგულება, მორჩილება, ვასალური ერთგულება

fidem mentiri [ფი´დემ მენტი´რი] ერთგულების ფიცის დარღვევა

fides facta [ფი´დეს ფა´კტა] სიმბოლურად მოვალეობის აღება

fides servanda est; simplicitas iuris gentium praevaleat [ფი´დეს სერვა´ნდა ესტ; *სიმპლი´კიტას/სიმპლი´ციტას იუ´რის *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ პრევა´ლეატ] კეთილსინდისიერება დაცული უნდა იქნას; საერთაშორისო სამართალში სიმარტივე ყველაზე მაღლა უნდა იდგეს

fieri facias [ფიე´რი *ფა´კიას/ფა´ციას] სასამართლოს ბრძანება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, რომლის ძალითაც ხდება მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება და გაყიდვა

fieri non debet sed factum valet [ფიე´რი ნონ დე´ბეტ სედ ფა´კტუმ ვა´ლეტ] (ეს) თუმცა არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაც მოხდა, (იგი უკვე) ნამდვილია

filiatio [*ფილია´ტიო/ფილია´ციო] მამობა, ნათესაობა

filiatio non potest probari [*ფილია´ტიო/ფილია´ციო ნონ პო´ტესტ პრობა´რი] მამობის დამტკიცება არ შეიძლება

filius est nomen naturae, sed haeres nomen iuris [ფი´ლიუს ესტ ნო´მენ ნატუ´რე, სედ ჰე´რეს ნო´მენ იუ´რის] „ვაჟიშვილი“ არის ბუნებრივი სახელწოდება, ხოლო „მემკვიდრე“ – იურიდიული სახელწოდებაა

filius in utero matris est pars viscerum matris [ფი´ლიუს ინ უ´ტერო მა´ტრის ესტ პარს *ვი´სკერუმ/ვი´სცერუმ მა´ტრის] ვაჟიშვილი დედის წიაღში არის დედის შინაგანი ორგანოს ნაწილი

filius nullius [ფი´ლიუს ნუ´ლლიუს] არავის ვაჟი, ე.ი. უკანონოდ შობილი

filius populi [ფი´ლიუს პო´პული] ხალხის შვილი, ე.ი. უკანონოდ შობილი

filum aquae [ფი´ლუმ ა´კვე] წყლის ძაფი, ე.ი. მდინარის (წყლის) შუახაზი

filum forestae [ფი´ლუმ ფორე´სტე] ტყის ძაფი, ე.ი. ტყის პირი (კიდე)

filum viae [ფი´ლუმ ვი´ე] გზის ცენტრალური ხაზი

finalis concordia [ფინა´ლის კონკო´რდია] საბოლოო შეთანხმება

finem facere [ფი´ნემ *ფა´კერე/ფა´ცერე] ჯარიმის დაკისრება

finire [ფინი´რე] დასრულება, შეწყვეტა, დაჯარიმება, ჯარიმის გადახდა

finis rei attendendus est [ფი´ნის რე´ი ატტენდე´ნდუს ესტ] საჭიროა ზრუნვა, რათა საქმე დასრულდეს

finis unius diei est principium alterius [ფი´ნის უ´ნიუს დიე´ი ესტ *პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ ალტე´რიუს] ერთი დღის დასასრული მეორე დღის დასაწყისია

finium regendorum actio [ფი´ნიუმ რეგენდო´რუმ *ა´კტიო/ა´კციო] სარჩელი საზღვრის დადგენის შესახებ

firmaratio [*ფირმარა´ტიო/ფირმარა´ციო] მოიჯარის უფლება მიწაზე

firmarius [ფირმა´რიუს] მოიჯარე, რომელიც მიწას სამუდამოდ ან ხანგრძლივი დროით ფლობდა

firmior et potentior est operatio legis quam dispositio hominis [ფი´რმიორ ეტ *პოტე´ნტიორ/პოტე´ნციორ ესტ *ოპერა´ტიო/ოპერა´ციო ლე´გის კვამ *დისპოსი´ტიო/დისპოზი´ციო ჰო´მინის] კანონის მოქმედება უფრო ძლიერი და მტკიცეა, ვიდრე ადამიანის გათვლები

fisc (fiscus) [ფისკ, ფი´სკუს] სახელმწიფო ხაზინა

flagellis et fustibus acriter verberare uxorem [ფლაგე´ლლის ეტ ფუ´სტიბუს ა´კრიტერ ვერბერა´რე უქსო´რემ] ცოლის სასტიკად ცემა როზგებითა და ჯოხებით

flagrans crimen [ფლა´გრანს კრი´მენ] ახლახან ჩადენილი დანაშაული

flagrante bello [ფლაგრა´ნტე ბე´ლლო] შუა ომში (ომის მიმდინარეობის დროს)

flagrante delicto [ფლაგრა´ნტე დელი´კტო] დანაშაულის ჩადენის დროს

flumina et portus publica sunt; ideoque ius piscandi omnibus commune est [ფლუ´მინა ეტ პო´რტუს პუ´ბლიკა სუნტ, იდეო´კვე ი´უს პისკა´ნდი ო´მნიბუს

კომმუ´ნე ესტ] მდინარეები და პორტები საერთო სახალხო საკუთრებაა, ამიტომ თევზაობის უფლება ყველას ეკუთვნის

fluminis naturalem cursum non avertere [ფლუ´მინის ნატურა´ლე კუ´რსუმ ნონ ავე´რტერე] მდინარის მიმართულების შეცვლა არ შეიძლება

foeminae ab omnibus officiis civilibus vel publicis remotae sunt [ფე´მინე აბ ო´მნიბუს *ოფფი´კიის/ოფფი´ციის *კივი´ლიბუს/ცივი´ლიბუს ველ *პუ´ბლიკის/პუბლი´ცის რემო´ტე სუნტ] ქალებს არ შეუძლიათ დაიკავონ არავითარი თანამდებობა, არც საჯარო, არც კერძო სექტორში

foeminae non sunt capaces de publicis officiis [ფე´მინე ნონ სუნტ *კაპა´კეს/კაპა´ცეს დე *პუ´ბლიკის/პუ´ბლიცის *ოფფი´კიის/ოფფი´ციის] ქალებს არ ძალუძთ დაიკავონ საჯარო თანამდებობები

foemina viro cooperta [ფე´მინა ვი´რო კოოპე´რტა] ქმრის მიერ დაცული ქალი, ე.ი. გათხოვილი ქალი

foetus in utero [ფე´ტუს ინ უ´ტერო] ნაყოფი (დედის) მუცელში

foraneus [ფორა´ნეუს] უცხოტომელი, უცხოელი

forbannitus [ფორბა´ნნიტუს] გაძევებული

forinsecus [ფორი´ნსეკუს] უცხოური, გარეული

forisfacere [*ფორისფა´კერე/ფორისფა´ცერე] უფლების დაკარგვა

forisfacta [ფორისფა´კტა] ქონება, რომლის საკუთრების უფლება წაერთვა მის პირვანდელ მფლობელს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო

forisfactura [ფორისფაკტუ´რა] საკუთრების ჩამორთმევა კომპენსაციის გარეშე დანაშაულის ჩადენის გამო ან ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის; ქონების კონფისკაცია

forisfactus [ფორისფა´კტუს] სამუდამოდ უფლებაჩამორთმეული პირი; მძიმე დანაშაულის ჩამდენი

forisfamiliatus [ფორისფამილია´ტუს] ვაჟიშვილი, რომელსაც მამა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფს (მემკვიდრეობის სანაცვლოდ)

forisiudicatio [*ფორისიუდიკა´ტიო/ფორისიუდიკა´ციო] გაძევების განაჩენი

forisiudicatus [ფორისიუდიკა´ტუს] პირი, რომელსაც მიუსაჯეს გაძევება

forisiurare [ფორისიურა´რე] ფიცით უარყოფა

forma legalis forma essentialis [ფო´რმა ლეგა´ლის ფო´რმა *ესსენტია´ლის/ესსენცია´ლის] იურიდიული ფორმა არსებითი ფორმაა

formido periculi [ფო´რმიდო პერი´კული] საფრთხის შიში

fornagium [ფორნა´გიუმ] საზღაური, რომელსაც მოიჯარეები უხდიან საცხობის მეპატრონეს ღუმელით სარგებლობისათვის

foro [ფო´რო] ფორუმზე, სასამართლოში

forstellarius est pauperum depressor, et totius communitatis et patriae publicus inimicus [ფორსტელლა´რიუს ესტ პაუ´პერუმ დეპრე´სსორ ეტ ტოტი´უს კომმუნიტა´ტის ეტ პა´ტრიე პუ´ბლიკუს ინიმი´კუს] ფორსტელარიუსი (პირი, ვინც გზად შეისყიდის საქონელს ბაზრისთვის უკანონოდ, რათა აწიოს ფასები) ღარიბების მჩაგვრელი, მთელი საზოგადოებისა და სამშობლოს მტერია

fortior est custodia legis quam hominis [ფო´რტიორ ესტ კუსტო´დია ლე´გის კვამ ჰო´მინის] კანონის მიერ მინიჭებული დაცვა უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის მიერ

fortior et equior est dispositio legis quam hominis [ფო´რტიორ ეტ ე´კვიორ ესტ *დისპოსი´ტიო/დისპოზი´ციო ლე´გის, კვამ ჰო´მინის] ბრძანება, კანონის მიერ გაცემული, უფრო ძლიერი და სამართლიანია, ვიდრე ადამიანის მიერ გაცემული

forum conscientiae [ფო´რუმ *კონსკიე´ნტიე/კონსციე´ნციე] სინდისის სასამართლო

forum domesticum [ფო´რუმ დომე´სტიკუმ] ადგილობრივი სასამართლო; საოჯახო სასამართლო

forum domicilii [ფო´რუმ *დომიკი´ლიი/დომიცი´ლიი] სასამართლო საცხოვრებლის თაობაზე

forum ecclesiasticum [ფო´რუმ *ეკკლესია´სტიკუმ/ეკკლეზია´სტიკუმ] საეკლესიო სასამართლო

forum fortuitum [ფო´რუმ ფორტუ´იტუმ] შემთხვევითი იურისდიქცია

forum ligeantiae actoris (rei) [ფო´რუმ *ლიგეა´ნტიე/ლიგეა´ნციე აკტო´რის (რე´ი)] იურისდიქცია (იმ) ქვეყნისა, რომლის მოქალაქედ ითვლება მოსარჩელე ან მოპასუხე

forum non conveniens [ფო´რუმ ნონ კონვე´ნიენს] პრინციპი, რომლის მიხედვითაც თუ სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის განხილვა უნდა მოხდეს სხვა ადგილას, მას შეუძლია არ განიხილოს საქმე და გადაგზავნოს სხვაგან

forum regis [ფო´რუმ რე´გის] სამეფო სასამართლო

forum rei gestae [ფო´რუმ რე´ი გე´სტე] იმ ადგილის სასამართლო ან იურისდიქცია, სადაც მოხდა მოქმედება

forum rei sitae [ფო´რუმ რე´ი სი´ტე] იმ ადგილის სასამართლო ან იურისდიქცია, სადაც არის სარჩელის ობიექტი

forum saeculare [ფო´რუმ სეკულა´რე] საერო სასამართლო

fossa [ფო´სსა] თხრილი, სამარხი, წყლით სავსე ორმო, რომელშიც ახრჩობდნენ დამნაშავე ქალებს

fossagium [ფოსსა´გიუმ] გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ ქალაქის მაცხოვრებლები ქალაქის ირგვლივ არსებული თხრილის დასაცავად

fossatorium operatio [ფოსსატო´რიუმ *ოპერა´ტიო/ოპერა´ციო] გადასახადი ქალაქის თხრილების შესანახად

fractionem diei non recipit lex [*ფრაკტი´იონემ/ფრაკციო´ნემ დიე´ი ნონ *რე´კიპიტ/რე´ციპიტ ლექს] კანონი არ ითვალისწინებს დღის მონაკვეთებს

fractura navium [ფრაკტუ´რა ნა´ვიუმ] გემის დაღუპვა

francus (homo) [ფრა´ნკუს (ჰო´მო)] თავისუფალი (ადამიანი)

francus tenens [ფრა´ნკუს ტე´ნენს] მიწის მესაკუთრე

frater consanguineus [ფრა´ტერ კონსანგვი´ნეუს] ღვიძლი ძმა; ძმა მამის მხრიდან

frater fratri uterino non succedit in haereditate paterna [ფრა´ტერ ფრა´ტრი უტერი´ნო ნონ *სუკკე´დიტ/სუკცე´დიტ ინ ჰერედიტა´ტე პატე´რნა] ძმა დედის მხრიდან არ ითვლება ძმის მემკვიდრედ იმ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ უკანასკნელს ერგო მამისაგან

frater nutricius [ფრა´ტერ *ნუტრი´კიუს/ნუტრი´ციუს] უკანონოდ შობილი ძმა

fraus dans locum contractui [ფრა´უს დანს ლო´კუმ კონტრა´კტუი] ტყუილი, რომელიც ხელს უწყობს ხელშეკრულების დადებას

fraus est celare fraudem [ფრა´უს ესტ *კელა´რე/ცელა´რე ფრაუ´დემ] სიცრუის დაფარვა (თავისთავად) სიცრუეა

fraus est odiosa, et non praesumenda [ფრა´უს ესტ *ოდიო´სა/ოდიო´ზა, ეტ ნონ *პრესუმე´ნდა/პრეზუმე´ნდა] სიცრუე მიუღებელია და არ შეიძლება მისი პრეზუმპციად დაშვება

fraus et dolus nemini patrocinari debent [ფრა´უს ეტ დო´ლუს ნე´მინი *პატროკინა´რი/პატროცინა´რი დე´ბენტ] ტყუილი და ცბიერება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავის გასამართლებლად

fraus et ius nunquam cohabitant [ფრა´უს ეტ ი´უს ნუ´ნკვამ კოჰა´ბიტანტ] ტყუილი და მართლმსაჯულება ერთმანეთს ვერასოდეს ვერ ეწყობა

fraus meretur fraudem [ფრა´უს მერე´ტურ ფრაუ´დემ] ტყუილი ტყუილს ბადებს

fructuarius [ფრუკტუა´რიუს] პირი, ვისაც უფლება აქვს ისარგებლოს ქონების შემოსავლით; მოიჯარე

fructus augent hereditatem [ფრუ´კტუს აუ´გენტ ჰერედიტა´ტემ] შემოსავალი ზრდის მემკვიდრეობას

fructus civiles [ფრუ´კტუს *კივი´ლეს/ცივი´ლეს] სამოქალაქო შემოსავლები, ანაზღაურება, კომპენსაციები

fructus industriales (industriae) [ფრუ´კტუს ინდუსტრია´ლეს (ინდუ´სტრიე)] მუყაითი შრომის ნაყოფი (მცენარეული კულტურები, რომელთა დარგვა, თესვა, მოვლა მუყაით შრომას მოითხოვს)

fructus legis [ფრუ´კტუს ლე´გის] კანონის ნაყოფი (ე.ი. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება)

fructus naturales [ფრუკ´ტუს ნატურა´ლეს] ბუნების ნაყოფები (ნაყოფი და პროდუქცია მრავალწლოვანი ხეების, ბუჩქების, ბალახების)

fructus pecudum [ფრუ´კტუს პე´კუდუმ] შემოსავალი წვრილფეხა საქონლისაგან (მატყლი და რძე ცხვრისა და თხისაგან)

fructus pendentes pars fundi videntur [ფრუ´კტუს პენდე´ნტეს პარს ფუ´ნდი ვიდე´ნტურ] დაუკრეფავი (ხეზე ჩამოკიდებული) ნაყოფი მიწის ნაწილად ითვლება

fructus perceptos villae non esse constat [ფრუ´კტუს *პერკე´პტოს/პერცე´პტოს ვი´ლლე ნონ ე´სსე კო´ნსტატ] დაკრეფილი ხილი, ცნობილია, რომ არ არის კარმიდამოს (ნაწილი)

fructus rei alienae [ფრუ´კტუს რე´ი ალიე´ნე] ნაყოფი (პროდუქცია), რომელიც სხვისი კუთვნილი ქონებიდან მიიღება

frumenta quae sata sunt solo cedere intelliguntur [ფრუმე´ნტა კვე სა´ტა სუნტ სო´ლო *კე´დერე/ცე´დერე ინტელლიგუ´ნტურ] ითვლება, რომ დათესილი მარცვალი არის მიწის შემადგენელი ნაწილი

frusca terra [ფრუ´სკა ტე´რრა] უნაყოფო, დაუმუშავებელი მიწა

frustra [ფრუ´სტრა] ამაოდ, ფუჭად, უმიზნოდ

frustra agit qui iudicium prosequi nequit cum effectu [ფრუ´სტრა ა´გიტ კვი *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ პრო´სეკვი ნე´კვიტ კუმ ეფფე´კტუ] ამაოდ წარადგენს სარჩელს ის, ვინც ვერ ახერხებს ეფექტურად დაიცვას თავისი მოთხოვნები

frustra est potentia quae nunquam venit in actum [ფრუ´სტრა ესტ *პოტე´ნტია/პოტე´ნცია კვი ნუ´ნკვამ ვე´ნიტ ინ ა´კტუმ] უაზროა ძალაუფლება, თუ მას არასდროს ვიყენებთ

frustra expectatur eventus cuius effectus nullus sequitur [ფრუ´სტრა ექსპეკტა´ტუს ევე´ნტუს კუ´იუს ეფფე´კტუს ნუ´ლლუს სე´კვიტურ] ამაოა ელოდო მოვლენას, რომელსაც შედეგი არ მოსდევს

frustra ferentur leges nisi subditis et oboedientibus [ფრუ´სტრა ფერე´ნტურ ლე´გეს *ნი´სი/ნი´ზი სუ´ბდიტის ეტ ობედიე´ნტიბუს] ამაოა კანონების შემოღება, თუ მათ არ ემორჩილებიან და არ ითვალისწინებენ

frustra fit per plura, quod fieri potest per pauciora [ფრუ´სტრა ფიტ პერ პლუ´რა, კვოდ ფი´ერი პო´ტესტ პერ *პაუკიო´რა/პაუციო´რა] უაზროა მრავალით (საშუალებით) გაკეთდეს ის, რისი გაკეთებაც ნაკლებით (საშუალებითაც) შეიძლება

frustra legis auxilium quaerit qui in legem committit [ფრუ´სტრა ლე´გის აუქსი´ლიუმ კვე´რიტ კვი ინ ლე´გემ კო´მმიტტიტ] ამაოდ ეძებს კანონის დახმარებას ის, ვინც კანონი დაარღვია

fugitivus [ფუგიტი´ვუს] გაქცეული; ის, ვინც გაურბის მართლმსაჯულებას

functus [ფუ´ნკტუს] მკვდარი, უმოქმედო, არანამდვილი

functus officio [ფუ´ნკტუს *ოფფი´კიო/ოფფი´ციო] ყოფილი თანამდებობის პირი

fundamus [ფუნდა´მუს] ვაფუძნებთ: ფორმულა (მეფის სამეფო ქარტიებში) კორპორაციის დაფუძნებისას

fundator [ფუნდა´ტორ] დამფუძნებელი

fundi patrimoniales [ფუ´ნდი პატრიმონია´ლეს] მემკვიდრეობითი მიწები

fundi publici [ფუ´ნდი *პუ´ბლიკი/პუ´ბლიცი] სახელმწიფო მიწები

furandi animo [ფურა´ნდი ა´ნიმო] გაქურდვის მიზნით

furca et flagellum [ფუ´რკა ეტ ფლაგე´ლლუმ] სახრჩობელები და შოლტი

furca et fossa [ფუ´რკა ეტ ფო´სსა] სახრჩობელები და თხრილები. სიკვდილით დასჯის საშუალებანი: მამაკაცების დასჯა სახრჩობელაზე, ქალების სასჯელი – წყლიან თხრილში დახრჩობა

fur diurnus [ფურ დიუ´რნუს] დღის (დღისით მომუშავე) ქურდი

furem, si aliter capi non posset, occidere permittunt [ფუ´რემ, სი ა´ლიტერ კა´პი ნონ პო´სსეტ, *ოკკი´დერე/ოკცი´დერე პერმი´ტტუნტ] ქურდის მოკვლა ნებადართულია, თუ მისი დაკავება სხვაგვარად შეუძლებელია

furiosi nulla voluntas est [*ფურიო´სი/ფურიო´ზი ნუ´ლლა ვოლუ´ნტას ესტ] გიჟს ნებისყოფა (ნება) არა აქვს

furiosus absentis loco est [*ფურიო´სუს/ფურიო´ზუს აბსე´ნტის ლო´კო ესტ] შეურაცხადი შორს მყოფი ადამიანის მდგომარეობაშია

furiosus furore solo punitur [*ფურიო´სუს/ფურიო´ზუს ფურო´რე სო´ლო პუ´ნიტურ] შეურაცხადი ისჯება თავისივე სიგიჟით

furiosus nullum negotium contrahere (gerere) potest, quia non intelligit quod agit [*ფურიო´სუს/ფურიო´ზუს ნუ´ლლუმ *ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ კონტრა´ჰერე (გე´რერე) პო´ტესტ, კვია ნონ ინტე´ლლიგიტ კვოდ ა´გიტ] შეურაცხადს არ შეუძლია რაიმე საქმის კეთება, რადგან ვერ აცნობიერებს, რას აკეთებს

furiosus stipulari non potest nec aliquod negotium agere, qui non intelligit quid agit [*ფურიო´სუს/ფურიო´ზუს სტიპულა´რი ნონ პო´ტესტ ნეკ ა´ლიკვოდ *ნეგო´ტიუმ/ნეგო´ციუმ ა´გერე, კვი ნონ ინტე´ლლიგიტ კვიდ ა´გიტ] შეურაცხადს არ შეუძლია ხელშეკრულების ან სხვა გარიგების დადება, რადგან არ იცის, რას აკეთებს

fur manifestus [ფურ მანიფე´სტუს] აშკარა ქურდი; დანაშაულის ადგილზე წასწრებული ქურდი

fur nocturnus [ფურ ნოკტუ´რნუს] ღამის ქურდი

furor brevis [ფუ´რორ ბრე´ვის] უცაბედი რისხვა

furor contrahi matrimonium non sinit, quia consensu opus est [ფუ´რორ კონტრა´ჰი მატრიმო´ნიუმ ნონ სი´ნიტ, კვია კონსე´ნსუ ო´პუს ესტ] შეურაცხადობა წარმოადგენს დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებას, რადგან ქორწინებისთვის საჭიროა თანხმობა

furto [ფუ´რტო] ქურდულად

furtum conceptum [ფუ´რტუმ *კონკე´პტუმ/კონცე´პტუმ] ქურდობის გამომჟღავნება

furtum est contrectatio fraudulosa, lucri faciendi gratia, vel ipsius rei, vel etiam usus, possessionisve [ფურ´ტუმ ესტ *კონტრეკტა´ტიო/კონტრეკტა´ციო *ფრაუდულო´სა/ფრაუდულო´ზა. ლუ´კრი *ფაკიე´ნდი/ფაციე´ნდი *გრა´ტია/გრა´ცია, ველ ი´პსიუს რე´ი, ველ *ე´ტიამ/ე´ციამ *უ´სუს/უ´ზუს, პოსსესსიონი´სვე] ქურდობა არის ფარულად (ქურდულად) მიტაცება რაიმესი ან სარგებლობა (ნივთით) ან მისაკუთრება გამორჩენის მიზნით

furtum est contrectatio rei fraudulenta, cum animo furandi, invito illo domino cuius res illa fuerat [ფუ´რტუმ ესტ *კონტრეკტა´ტიო/კონტრეკტა´ციო რე´ი ფრაუდულე´ნტა, კუმ ა´ნიმო ფუ´რანდი, ი´ნვიტო ი´ლლო დო´მინო კუ´იუს რეს ი´ლლა ფუ´ერატ] ქურდობა არის მოტყუებით მითვისება სხვისი ნივთისა იმ პირის ნებართვის გარეშე, ვისიც იყო ეს ნივთი

furtum grave [ფუ´რტუმ გრა´ვე] მძიმე ქურდობა, ქურდობა დამამძიმებელი გარემოებებით

furtum manifestum [ფუ´რტუმ მანიფე´სტუმ] აშკარა ქურდობა, როცა ქურდს აკავებენ დანაშაულის ადგილზე

furtum non est ubi initium habet detentionis per dominum rei [ფუ´რტუმ ნონ ესტ უ´ბი *ინი´ტიუმ/ინი´ციუმ ჰა´ბეტ *დეტენტიო´ნის/დეტენციო´ნის პერ დო´მინუმ რე´ი] ქურდობად არ ითვლება, როცა ნივთის მესაკუთრის ნებართვით ხდება მისი გადაცემა

furtum oblatum [ფუ´რტუმ ობლა´ტუმ] მოპარული ნივთის შეთავაზება; მოპარული ნივთის შეძენა

G

gabulus denariorum [გა´ბულუს დენარიო´რუმ] საიჯარო ქირა (დენარიებით გადახდილი)

gangiatori [განგიატო´რი] მოხელეები, რომლებიც აკონტროლებდნენ ზომა-წონას

gardianus [გარდია´ნუს] მეურვე, დამცველი

generale dictum generaliter est interpretandum [გენერა´ლე დი´კტუმ გენერა´ლიტერ ესტ ინტერპრეტა´ნდუმ] საერთო განაცხადი განმარტებულ უნდა იქნეს ზოგადი წესით

generale nihil certum impicat [გენერა´ლე ნი´ჰილ *კე´რტუმ/ცე´რტუმ ი´მპლიკატ] ზოგადში არ იგულისხმება რაიმე კონკრეტული

generale tantum valet in generalibus, quantum singulare in singulis [გენერა´ლე ტა´ნტუმ ვა´ლეტ ინ გენერა´ლიბუს, კვა´ნტუმ *სინგულა´რე/ზინგულა´რე ინ *სი´ნგულის/ზი´ნგულის] საზოგადო (რამ) საერთო (საქმეებში) ფასობს, როგორც კონკრეტული კონკრეტულ (საქმეებში)

generalia praecedunt; specialia sequuntur [გენერა´ლია *პრე´კედუნტ/პრე´ცედუნტ, *სპეკია´ლია/სპეცია´ლია სეკვუ´ნტურ] ზოგადი წინ უსწრებს კონკრეტულს; კონკრეტული მოსდევს ზოგადს

generalia specialibus non derogant [გენერა´ლია *სპეკია´ლიბუს/სპეცია´ლიბუს ნონ დე´როგანტ] ზოგადი (საქმეები) არ ამცირებს (აკნინებს) კონკრეტულს

generalia sunt praepondenda singularibus [გენერა´ლია სუნტ პრეპონდე´ნდა *სინგულა´რიბუს/ზინგულა´რიბუს] საერთო (საქმეები) წინ უნდა უძღოდეს კონკრეტულს

generalis regula generaliter est intelligenda [გენერა´ლის რე´გულა გენერა´ლიტერ ესტ ინტელლიგე´ნდა] ზოგადი წესები ზოგადად უნდა იქნას გაგებული

generosi filius [*გენერო´სი/გენერო´ზი ფი´ლიუს] კეთილშობილი ადამიანის ვაჟი

generosus [*გენერო´სუს/გენერო´ზუს] კეთილშობილი ადამიანი

gerens datum [გე´რენს და´ტუმ] დათარიღებული

gerere pro herede [გე´რერე პრო ჰერე´დე] მემკვიდრესავით მოქმედება

germanus [გერმა´ნუს] ღვიძლი ძმა

gilda mercatoria [გი´ლდა მერკატო´რია] სავაჭრო კომპანია; ვაჭართა შეკრება

glebae ascriptitii [გლე´ბე *ასკრიპტი´ტიი/ასკრიპტი´ციი] ყმები, რომლებიც სანამ დაკისრებულ ბეგარას არ გადაიხდიდნენ, ითვლებოდნენ უძრავი ქონების შემადგენელ ნაწილებად

glossa viperino est quae corrodit viscera textus [გლო´სსა ვიპერი´ნო ესტ კვე კორრო´დიტ *ვი´სკერა/ვი´სცერა ტე´ქსტუს] შხამით (სავსეა) გლოსა (განმარტება), რომელიც გულს უჭამს ტექსტს (დამღუპველია განმარტება, რომელიც ამახინჯებს ტექსტის აზრს)

gradatim [გრადა´ტიმ] ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით, ცოტ-ცოტა

gradus parentelae [გრა´დუს პარენტე´ლე] გენეალოგია

graffarius [გრაფფა´რიუს] ნოტარიუსი, გადამწერი

grammatica falsa non vitiat chartam [გრამმა´ტიკა ფა´ლსა ნონ *ვი´ტიატ/ვი´ციატ ხა´რტამ] გრამატიკული შეცდომების გამო დოკუმენტი არ ხდება ბათილი

gravatio [*გრავა´ტიო/გრავა´ციო] ბრალდება

gravius est divinam quam temporalem laedere maiestatem [გრა´ვიუს ესტ დივი´ნამ კვამ ტემპორა´ლემ ლე´დერე მაიესტა´ტემ] უფრო მძიმეა ღვთიური სიწმინდის ხელყოფა, ვიდრე – ჩვეულებრივი ადამიანის ღირსებისა

Gregorianus (codex Gregorianus) [გრეგორია´ნუს (კო´დექს გრეგორია´ნუს)] III ს. იურისტის გრეგორიუსის მიერ შედგენილი რომაული კანონების კრებული

H

habeas corpus [ჰა´ბეას კო´რპუს] „დააკავე პიროვნება“ (სასამართლოს ბრძანება)

habeas corpus ad deliberandum et recipiendum [ჰა´ბეას კო´რპუს ად დელიბერა´ნდუმ ეტ *რეკიპიე´ნდუმ/რეციპიე´ნდუმ] სასამართლოს ბრძანება პატიმრობაში მყოფი პირის გადაყვანის შესახებ იმ მიზნით, რომ ის წარდგეს სასამართლოს წინაშე დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით

habeas corpus ad testificandum [ჰა´ბეას კო´რპუს ად ტესტიფიკა´ნდუმ] სასამართლოს ბრძანება დაპატიმრებული პიროვნების სასამართლოს წინაშე წარდგენის შესახებ ჩვენების მისაცემად

habemus optimum testem, condicentem reum [ჰაბე´მუს ო´პტიმუმ ტე´სტემ, *კონდიკე´ნტემ/კონდიცე´ნტემ რე´უმ] გვყავს საუკეთესო მოწმე – ის, ვინც აღიარებს დანაშაულს

habentes homines [ჰაბე´ნტეს ჰო´მინეს] მქონებელი ადამიანები, მდიდარი ხალხი

habere licere [ჰაბე´რე *ლიკე´რე/ლიცე´რე] ნების დართვა მფლობელობაზე

habeto tibi res tuas [ჰაბე´ტო ტი´ბი რეს ტუ´ას] „აიღე შენი ქონება“ (განქორწინებაზე ნების დართვის ფორმულა)

habiles ad matrimonium [ჰა´ბილეს ად მატრიმო´ნიუმ] დაქორწინების ქმედუნარიანობის მქონე პირი

haec est conventio [ჰეკ ესტ *კონვე´ნტიო/კონვე´ნციო] აი, ეს არის შეთანხმება

haec est finalis concordia [ჰეკ ესტ ფინა´ლის კონკო´რდია] ეს არის საბოლოო შეთანხმება

haec quae nullius in bonis sunt, et olim fuerunt inventoris de iure naturali, iam officiuntur principis de iure gentium [ჰეკ კვე ნუ´ლლიუს ინ ბო´ნის სუნტ, ეტ ო´ლიმ ფუ´ერუნტ ინვენტო´რის დე იუ´რე ნატურა´ლი, იამ *ოფფიკიუ´ნტურ/ოფფიციუ´ნტურ *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის დე იუ´რე *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ] ნივთები, რომლებიც არავის კუთვნილება არ არის და ოდესღაც მპოვნელს ეკუთვნოდა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, საერთაშორისო სამართლის ძალით ხდება მეფის საკუთრება

herbagium [ჰერბა´გიუმ] ნახირის ძოვების უფლება სხვის მიწაზე

heredem Deus facit, non homo [ჰერე´დემ დე´უს *ფა´კიტ/ფა´ციტ, ნონ ჰო´მო] მემკვიდრეობის უფლებას ღმერთი ანიჭებს და არა ადამიანი

heredes necessarii [ჰერე´დეს *ნეკესსა´რიი/ნეცესსა´რიი] მემკვიდრეები აუცილებლობის გამო (ე.ი. როცა მემკვიდრეები არიან არა საკუთარი სურვილის ან არჩევანის მიხედვით)

heredes proximi [ჰერე´დეს პრო´ქსიმი] უახლოესი მემკვიდრეები (გარდაცვლილის შვილები, შთამომავლები)

heredes recti [ჰერე´დეს რე´კტი] კანონიერი მემკვიდრეები

heredes remotiores [ჰერე´დეს *რემოტიო´რეს/რემოციო´რეს] შორეული მემკვიდრეები (გარდაცვლილის არა ახლო ნათესავები)

heredes sui et necessarii [ჰერე´დეს სუ´ი ეტ *ნეკესსა´რიი/ნეცესსა´რიი] გარდაცვლილის შთამომავლები და აუცილებელი მემკვიდრეები (ნათესავები, ახლობლები)

heredipeta [ჰერედი´პეტა] მემკვიდრეობაზე პრეტენზიის მქონე (ე.ი. უახლოესი მემკვიდრე)

heredipetae suo propinquo vel extraneo periculoso sane custodi nullus committatur [ჰერედი´პეტე სუ´ო პროპი´ნკვო ველ ექსტრა´ნეო *პერიკულო´სო/პერიკულო´ზო სა´ნე კუსტო´დი ნუ´ლლუს კომმიტტა´ტურ] არავინ უნდა ენდოს თავის ახლობელს, აშკარად საშიშ მეურვეს

hereditas, alia corporalis, alia incorporalis; corporalis est, quae tangi potest et videri, incorporalis quae tangi non potest nec videri [ჰერე´დიტას, ა´ლია კორპორა´ლის, ა´ლია ინკორპორა´ლის; კორპორა´ლის ესტ, კვე ტა´ნგი პო´ტესტ ეტ ვიდე´რი, ინკორპორა´ლის კვე ტა´ნგი ნონ პო´ტესტ ნეკ ვიდე´რი] სამკვიდრო შეიძლება იყოს მატერიალური და არამატერიალური; მატერიალურია ის, რისი შეხებაც შესაძლებელია ან დანახვა; არამატერიალურია ის, რომელსაც ვერ დაინახავ და ვერც შეეხები

hereditas damnosa [ჰერე´დიტას *დამნო´სა/დამნო´ზა] წამგებიანი სამკვიდრო (ვალებით დამძიმებული)

hereditas est successio in universum ius quod defunctus habuerat [ჰერე´დიტას ესტ *სუკკე´სსიო/სუკცე´სსიო ინ უნივე´რსუმ ი´უს კვოდ დეფუ´ნკტუს ჰაბუე´რატ] მემკვიდრეობა ნიშნავს გარდაცვლილის ყველა იურიდიული უფლების გადაცემას

hereditatis iacens [ჰერედიტა´ტის *ია´კენს/ია´ცენს] „დაცემული სამკვიდრო“ (სამკვიდრო, რომელიც ჯერ არ მიუღია მემკვიდრეს ან რომელსაც არ ჰყავს მფლობელი)

hereditas luctuosa [ჰერე´დიტას *ლუკტუო´სა/ლუკტუო´ზა] სამწუხარო მემკვიდრეობა; აღმავალი ხაზით მემკვიდრეობა, მაგალითად მშობლებზე შვილების შემდეგ, ითვლებოდა მემკვიდრეობის გადაცემის ბუნებრივი წესრიგის დარღვევად

hereditas nunquam ascendit [ჰერე´დიტას ნუ´ნკვამ *ასკე´ნდიტ/ასცე´ნდიტ] მემკვიდრეობა არასდროს არის აღმავალი (იგი მუდამ დაღმავალი ხაზით გადადის)

heredium paterno [ჰერე´დიუმ პატე´რნო] მემკვიდრეობა მამის ხაზით

heredum appellatione veniunt heredes heredum ad infinitum [ჰერე´დუმ *აპპელლატიო´ნე/აპპელლაციო´ნე ვე´ნიუნტ ჰერე´დეს ჰერე´დუმ ად ინფინი´ტუმ] მემკვიდრეებად იწოდებიან მემკვიდრეთა მემკვიდრეები უსასრულოდ

heres actu [ჰე´რეს ა´ქტუ] მეანდერძის მიერ (მის სიცოცხლეში) დანიშნული მემკვიდრე

heres est nomen iuris; filius est nomen naturae [ჰე´რეს ესტ ნო´მენ იუ´რის; ფი´ლიუს ესტ ნო´მენ ნატუ´რე] „მემკვიდრე“ არის იურიდიული სახელი; „ვაჟიშვილი“ არის ბუნებრივი სახელი

heres est pars antecessoris [ჰე´რეს ესტ პარს *ანტეკე´სსორის/ანტეცე´სსორის] მემკვიდრე არის ნაწილი (მისი) წინამორბედისა

heres est quem nuptiae demonstrant [ჰე´რეს ესტ კვემ *ნუ´პტიე/ნუ´პციე დემო´ნსტრანტ] მემკვიდრე არის ის, რომლის სტატუსიც განისაზღვრება ქორწინებიდან გამომდინარე

heres ex asse [ჰე´რეს ექს ა´სსე] მემკვიდრე მთელი ქონებისა, ერთადერთი მემკვიდრე

heres fideicommunissarius [ჰე´რეს ფიდეიკომმუნისსა´რიუს] მემკვიდრე, რომელსაც მემკვიდრეობა გადაეცემა ფიდეიკომისის გზით, ბენეფიციარი

heres legitimus [ჰე´რეს ლეგი´ტიმუს] კანონიერი მემკვიდრე

heres natus [ჰე´რეს ნა´ტუს] ბუნებრივი მემკვიდრე; მემკვიდრეობის უფლების მქონე წარმომავლობის მიხედვით

heres suus [ჰე´რეს სუ´უს] საკუთარი მემკვიდრე

heritor [ჰე´რიტორ] მემკვიდრეობის მფლობელი

herus [ჰე´რუს] ბატონი, პატრონი, ოჯახის უფროსი

herus dat, ut servus faciat [ჰე´რუს დატ, უტ სე´რვუს *ფა´კიატ/ფა´ციატ] ბატონი იხდის იმისთვის, რომ მონამ იმუშაოს

hetaeria [ჰეტე´რია] ამხანაგობა, გაერთიანება, ასოციაცია

his testibus [ჰი´ს ტე´სტიბუს] „ამ მოწმეების თანდასწრებით“; ჩანაწერი საანდერძო განკარგულების ბოლოს მოწმეთა ხელმოწერებამდე

hic inde [ჰიკ ი´ნდე] ორივე მხრიდან

hoc paratus est verificare [ჰოკ პარა´ტუს ესტ ვერიფიკა´რე] მზად არის ამის დასამოწმებლად

hoc quidem perquam durum est, sed ita lex scripta est [ჰოკ კვი´დემ პე´რკვამ დუ´რუმ ესტ, სედ ი´ტა ლექს სკრი´პტა ესტ] ეს მართლაც ძალიან მკაცრია, მაგრამ ასეთია დაწერილი კანონი

hoc servabitur quod initio convenit [ჰოკ სერვა´ბიტურ კვოდ *ინი´ტიო/ინი´ციო კონვე´ნიტ] ის უნდა იყოს დაცული, რაც თავიდანვე სასარგებლოა

hoc titulo [ჰოკ ტი´ტულო] ამ სახელწოდებით, ამ სათაურით

hoc vobis ostendit [ჰოკ ვო´ბის ოსტე´ნდიტ] ეს თქვენთვის ნათელია

homagium [ჰომა´გიუმ] ფეოდალური ფიცი ერთგულებისა

homagium planum [ჰომა´გიუმ პლა´ნუმ] ფეოდალური ურთიერთობები, დამყარებული მხოლოდ ერთგულების მოვალეობაზე

homicidium [*ჰომიკი´დიუმ/ჰომიცი´დიუმ] მკვლელობა (ყოველგვარი საშუალებით; მოქმედებით, თუ უმოქმედობით, თუ სხვა პირის დახმარებით)

homicidium in rixo [*ჰომიკი´დიუმ/ჰომიცი´დიუმ ინ რი´ქსო] მკვლელობა ჩხუბის დროს

homicidium per infortunium [*ჰომიკი´დიუმ/ჰომიცი´დიუმ პერ ინფორტუ´ნიუმ] შემთხვევითი მკვლელობა (ცემის დროს)

homicidium se defendendo [*ჰომიკი´დიუმ/ჰომიცი´დიუმ სე დეფენდე´ნდო] მკვლელობა თავდაცვის დროს

hominum causa ius constitutum est [ჰო´მინუმ *კა´უსა/კა´უზა ი´უს კონსტიტუ´ტუმ ესტ] სამართალი შემოღებულია ადამიანთა სასარგებლოდ

homo chartularis [ჰო´მო ხარტულა´რის] ადამიანი, თავისუფალი ხელშეკრულების ან სიგელის საფუძველზე

homo commendatus [ჰო´მო კომმენდა´ტუს] თავისუფალი ადამიანი, თავისივე სურვილით ბატონის მორჩილებაში გადასული, მისი მფარველობის მოპოვების მიზნით

homo exercitialis [ჰო´მო *ექსერკიტია´ლის/ექსერციტია´ლის] სამხედრო სამსახურში მყოფი ადამიანი; ჯარისკაცი

homo feodalis [ჰო´მო ფეოდა´ლის] ფეოდალური მოიჯარე; ვასალი

homo francus, ingenuus, liber [ჰო´მო ფრა´ნკუს, ინგე´ნუუს, ლი´ბერ] თავისუფალი ადამიანი

homologare [ჰომოლოგა´რე] დათანხმება, რატიფიცირება

homonymiae [ჰომონი´მიე] გადაწყვეტილება, შედგენილი სამართლის ნორმებისა და პრინციპების განმეორებებით, რომლებიც განმტკიცებული იყო ადრე განხილული საქმეებით

homo pertinens [ჰო´მო პე´რტინენს] ფეოდალური ვასალი, გადასული ახალ მფლობელთან (მიწებთან ერთად)

homo potest esse habilis et inhabilis diversis temporibus [ჰო´მო პო´ტესტ ე´სსე ჰა´ბილის ეტ ინჰა´ბილის დივე´რსის ტემპო´რიბუს] ადამიანს სხვადასხვა დროს შეუძლია იყოს ან არ იყოს უფლებაუნარიანი

homo regius [ჰო´მო რე´გიუს] ხელმწიფის კაცი, მეფის ვასალი

homo Romanus [ჰო´მო რომა´ნუს] რომაელი

homo trium litterarum [ჰო´მო ტრი´უმ ლიტტერა´რუმ] „სამი ასოს ადამიანი“ (ე.ი., f, u, r ნიშნავს „ქურდს“ fur)

homo vocabulum est naturae; persona iuris civilis [ჰო´მო ვოკა´ბულუმ ესტ ნატუ´რე; პერსო´ნა იუ´რის *კივი´ლის/ცივი´ლის] სახელწოდება „ადამიანი“ არის ბუნებრივი, „პიროვნება“ სამოქალაქო სამართლის ტერმინია

honeste vivere, alteri non laedere, suum cuique tribuere [ჰონე´სტე ვი´ვერე, ა´ლტერი ნონ ლე´დერე, სუ´უმ კუი´კვე ტრიბუ´ერე] პატიოსნად ცხოვრება, არავისთვის ვნების მიყენება, ყველასთვის თავისი კუთვნილის მინიჭება

honoris causa [ჰონო´რის *კა´უსა/კა´უზა] პატივისცემის ნიშნად

hospitia curiae [*ჰოსპი´ტია/ჰოსპი´ცია კუ´რიე] ადვოკატთა გაერთიანება

hostes hi sunt, qui nobis aut quibus nos bellum decrevimus; caeteri latrones aut praedones sunt [ჰო´სტეს ჰი სუნტ, კვი ნო´ბის აუტ კვი´ბუს ნოს ბე´ლლუმ დეკრე´ვიმუს; *კე´ტერი/ცე´ტერი ლატრო´ნეს ა´უტ პრედო´ნეს სუნტ] მტრები ისინი არიან, რომლებიც ომს გვიცხადებენ ან რომელთაც ჩვენ ვეომებით; დანარჩენები არიან ყაჩაღები ან მეკობრეები

hostes humani generis [ჰო´სტეს ჰუმა´ნი გე´ნერის] კაცობრიობის მტრები

hypotheca [ჰიპოთე´კა] იპოთეკა

hypothecaria actio [ჰიპოთეკა´რია *ა´კტიო/ა´კციო] კრედიტორის სარჩელი მოვალის მიერ იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე

I

ibi esse poenam, ubi et noxa est [ი´ბი ე´სსე პე´ნამ, უ´ბი ეტ ნო´ქსა ესტ] იქ არის სასჯელი, სადაც დანაშაული არის (რომაული სამართლის პრინციპი, რომელიც გამორიცხავდა სასჯელის ფორმად ქონების კონფისკაციას შთამომავალთა მიმართ)

ibi ius, ibi remedium [ი´ბი ი´უს, ი´ბი რემე´დიუმ] სადაც სამართალია, იქ დაცვის საშუალებაც არის

ictus [ი´კტუს] დარტყმა (დანით, ხანჯლით), შეტევა

idem [ი´დემ] იგივე

idem agens et patiens esse non potest [ი´დემ ა´გენს ეტ *პა´ტიენს/პა´ციენს ე´სსე ნონ პო´ტესტ] არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს პირი იყოს (რაიმე) მოქმედების სუბიექტიც და ობიექტი

idem est facere, et nolle prohibere cum possis [ი´დემ ესტ *ფა´კერე/ფა´ცერე ეტ ნო´ლლე პროჰიბე´რე კუმ პო´სსის] ერთი და იგივეა – გააკეთო რაღაც და ხელი არ შეუშალო სხვას იმავეს გაკეთებაში, როცა ეს შესაძლებელია

nullus videtur dolo facere, qui suo iure utitur [ნუ´ლლუს ვიდე´ტურ დო´ლო *ფა´კერე/ფა´ცერე, კვი სუ´ო იუ´რე უ´ტიტურ] არავინ არ ტყუის, ვინც ცდილობს დაიცვას საკუთარი უფლება

nunc pro tunc [ნუნკ პრო ტუნკ] ახლა მაშინდელისთვის (კანონის უკუქცევითი ძალის, სასამართლოს ბრძანების შესახებ, ძველ ჩანაწერებში ცვლილებების შესახებ, რომლებიც ახალ გარემოებებს ეხებიან)

nunquam crescit ex post facto praeteriti delicti aestimatio [ნუ´ნკვამ *კრე´სკიტ/კრე´სციტ ექს პოსტ ფა´კტო პრეტე´რიტი დელი´კტი *ესტიმა´ტიო/ესტიმა´ციო] ადრე ჩადენილი დანაშაულის ხარისხი არ იზრდება შემდგომში ჩადენილი ქმედების შედეგად

nunquam decurritur ad extraordinarium sed ubi deficit ordinarium [ნუ´ნკვამ დეკუ´რრიტურ ად ექსტრაორდინა´რიუმ სედ უ´ბი *დე´ფიკიტ/დე´ფიციტ ორდინა´რიუმ] არასდროს მიმართავენ არატრადიციულს, ვიდრე გამოუსადეგარი არ გახდება ტრადიციული

nunquam fictio sine lege [ნუ´ნკვამ *ფი´კტიო/ფი´კციო სი´ნე ლე´გე] არ არსებობს ფიქცია სამართლის გარეშე

nunquam praescribitur in falso [ნუ´ნკვამ პრესკრი´ბიტურ ინ ფა´ლსო] სიყალბის არგუმენტად ვერაფერს გამოიყენებ

nunquam res humanae prospere succedunt ubi negliguntur divinae [ნუ´ნკვამ რეს ჰუმა´ნე პრო´სპერე სუკკე´დუნტ უ´ბი ნეგლიგუ´ნტურ დივი´ნე] ადამიანური საქმეები არასოდეს ყვავის, როცა საღმრთო საქმეები არის უგულებელყოფილი

nuptias non concubitus, sed consensus facit [*ნუ´პტიას/ნუ´პციას ნონ კონკუ´ბიტუს, სედ კონსე´ნსუს *ფა´კიტ/ფა´ციტ] ქორწინება იქმნება არა თანაცხოვრებით, არამედ თანხმობით

O

ob alterius culpam tenetur, sive servi, sive liberi [ობ ალტე´რიუს კუ´ლპამ ტენე´ტურ, სი´ვე სე´რვი, სი´ვე ლი´ბერი] ადამიანი პასუხისმგებელია სხვათა დანაშაულზე, თუ ისინი არიან მისი მონები ან ბავშვები

ob continentiam delicti [ობ *კონტინე´ნტიამ/კონტინე´ნციამ დელი´კტი] დანაშაულთან კავშირის მიზეზით

oboedientia est legis essentia [*ობედიე´ნტია/ობედიე´ნცია ესტ ლე´გის *ესსე´ნტია/ესსე´ნცია] მორჩილება არის სამართლის არსი

ob favorem mercatorum [ობ ფავო´რემ მერკატო´რუმ] ვაჭრების სასარგებლოდ; ვაჭრებისადმი კეთილგანწყობით

obiter [ო´ბიტერ] გზად; სხვათა შორის; ზერელედ

obreptio [*ობრე´პტიო/ობრე´პციო] რაღაცის მიღება მოტყუებით

obsignare [ობსიგნა´რე] ბეჭდის დართვა დოკუმენტზე; დოკუმენტის ხელმოწერა და ბეჭდის დასმა

obsta principiis [ო´ბსტა *პრინკი´პიის/პრინცი´პიის] ხელი შეუშალე (ბოროტების) დაწყებას

obtemperandum est consuetudini rationabili tanquam legi [ობტემპერა´ნდუმ ესტ კონსუეტუ´დინი *რატიონა´ბილი/რაციონა´ბილი ტა´ნკვამ ლე´გი] მორჩილება უნდა იყოს გონივრული როგორც ჩვეულების, ისევე კანონის მიმართ

ob turpem causam [ობ ტუ´რპემ *კა´უსამ/კა´უზამ] სულმდაბალი განზრახვით

ob vitae solatium [ობ ვი´ტე *სოლა´ტიუმ/სოლა´ციუმ] ცხოვრების კეთილმოწყობისათვის

occultatio thesauri inventi fraudulosa [*ოკკულტა´ტიო/ოკკულტა´ციო *თესა´ური/თეზა´ური ინვე´ნტი *ფრაუდულო´სა/ფრაუდულო´ზა] ნაპოვნი განძის დაფარვა არის თაღლითობა

occupantis fiunt derelicta [ოკკუპა´ნტის ფი´უნტ დერელი´კტა] მიტოვებული ნივთი ეკუთვნის იმას, რომელიც დაეუფლება მას

occupatio rei nullius cedit primo occupanti [*ოკკუპა´ტიო/ოკკუპა´ციო რე´ი ნუ´ლლიუს *კე´დიტ/ცე´დიტ პრ´იმო ოკკუპა´ნტი] ნივთზე საკუთრების უფლება ეკუთვნის იმას, რომელიც მას პირველი იღებს

occupare [ოკკუპა´რე] ოკუპირება, დაუფლება; დაპყრობა

oderunt peccare boni, virtutis amore; oderunt peccare mali, formidinae poenae [ოდე´რუნტ პეკკა´რე ბო´ნი, ვირტუ´ტის ამო´რე; ოდე´რუნტ პეკკა´რე მა´ლი, ფორმი´დინე პე´ნე] სიქველის სიყვარულით კეთილშობილ ადამიანებს არ სურთ ცოდვის ჩადენა; სასჯელის შიშით არ უნდათ ცუდ ადამიანებს ცოდვის ჩადენა

odiosa et inhonesta non sunt in lege praesumenda [*ოდიო´სა/ოდიო´ზა ეტ ინჰონე´სტა ნონ სუნტ ინ ლე´გე *პრესუმე´ნდა/პრეზუმე´ნდა] ცუდისა და არაკეთილსინდისიერების პრეზუმპცია არ არსებობს სამართალში

officia magistratus non debent esse venalia [*ოფფი´კია/ოფფი´ცია მაგისტრა´ტუს ნონ დე´ბენტ ე´სსე ვენა´ლია] მაგისტრატთა თანამდებობები არ უნდა წარმოადგენდეს გაყიდვის საგანს

officit conatus si effectus sequatur [*ოფფი´კიტ/ოფფი´ციტ კონა´ტუს სი ეფფე´კტუს სეკვა´ტურ] მცდელობა ზიანს აყენებს, თუ მას მოსდევს შედეგი

officium nemini debet esse damnosum [*ოფფი´კიუმ/ოფფი´ციუმ ნე´მინი დე´ბეტ ე´სსე *დამნო´სუმ/დამნო´ზუმ] თანამდებობამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ვინმეს

omissa vel male appretiata [ომი´სსა ველ მა´ლე *აპპრეტია´ტა/აპპრეცია´ტა] გამოტოვებული და ცუდად შეფასებული (გაგებული)

omissio eorum quae tacite insunt nihil operatur [ომი´სსიო ეო´რუმ კვე *ტა´კიტე/ტა´ციტე ინსუნტ ნი´ჰილ ოპერა´ტურ] იმ საკითხების გამოტოვებას, რომლებიც ისედაც იგულისხმებიან, არა აქვს მნიშვნელობა

omissis omnibus aliis negotiis [ომი´სსის ო´მნიბუს ა´ლიის *ნეგო´ტიის/ნეგო´ციის] ყველა სხვა საქმის გადადების შემდეგ

omne actum ab intentione agentis est iudicandum [ო´მნე ა´კტუმ აბ *ინტენტიო´ნე/ინტენციო´ნე აგე´ნტის ესტ იუდიკა´ნდუმ] ყველა ქმედება უნდა განიხილებოდეს ჩამდენის განზრახვიდან გამომდინარე

omne crimen ebrietas, et incendit et detegit [ო´მნე კრი´მენ ებრი´ეტას, ეტ *ინკე´ნდიტ/ინცე´ნდიტ ეტ დეტე´გიტ] სიმთვრალე ამძიმებს და ასევე აშიშვლებს ნებისმიერ დანაშაულს

omne ius aut consensus fecit, aut necessitas constituit, aut firmavit consuetudo [ო´მნე იუს ა´უტ კონსე´ნსუს *ფე´კიტ/ფე´ციტ, აუტ *ნეკე´სსიტას/ნეცე´სსიტას კონსტი´ტუიტ, ა´უტ ფირმა´ვიტ კონსუეტუ´დო] ნებიმისმიერ უფლებას ან თანხმობა ქმნის ან აუცილებლობა ან ჩვეულება განამტკიცებს

omne magnum exemplum habet aliquid ex iniquo, quod publica utilitate compensatur [ო´მნე მა´გნუმ ექსე´მპლუმ ჰა´ბეტ ა´ლიკვიდ ექს ინი´კვო, კვოდ პუ´ბლიკა უტილიტა´ტე კომპენსა´ტურ] ყოველ დიდებულ მაგალითს აქვს რაღაც უსამართლო, რომელიც წონასწორდება ქვეყნისადმი სამსახურით

omne maius continet in se minus [ო´მნე მა´იუს კო´ნტინეტ ინ სე მი´ნუს] ყველაფერი დიდი მოიცავს თავის თავში მცირეს

omne maius dignum continet in se minus dignum [ო´მნე მა´იუს დი´გნუმ კო´ნტინეტ ინ სე მი´ნუს დი´გნუმ] ყველაფერი ღირსეული მოიცავს საკუთარ თავში ნაკლებად ღირსეულსაც

omne principale trahit ad se accessorium [ო´მნე *პრინკიპა´ლე/პრინციპა´ლე ტრა´ჰიტ ად სე *აკკესსო´რიუმ/აკცესსო´რიუმ] ყოველ მთავარ ნივთს მიჰყვება საკუთვნებელიც

omne quod inaedificatur solo cedit [ო´მნე კვოდ ინედიფიკა´ტურ სო´ლო *კე´დიტ/ცე´დიტ] ყველაფერი, რაც აშენებულია მიწაზე, იყიდება მასთან ერთად

omnes actiones in mundo infra certa tempora habet limitationem [ო´მნეს *აკტიო´ნეს/აკციო´ნეს ინ მუ´ნდო ი´ნფრა *კე´რტა/ცე´რტა ტე´მპორა ჰა´ბეტ *ლიმიტატიო´ნემ/ლიმიტაციო´ნემ] ყველა სარჩელს მსოფლიოში აქვს შეზღუდვა დროის გარკვეულ პერიოდებში

omnes homines aut liberi sunt aut servi [ო´მნეს ჰო´მინეს აუტ ლი´ბერი სუნტ აუტ სე´რვი] ყველა ადამიანი ან თავისუფალია ან მონა

omnes licentiam habere his quae pro se indulta sunt, renunciare [ო´მნეს *ლიკე´ნტიამ/ლიცე´ნციამ ჰაბე´რე ჰის კვე პრო სე ინდუ´ლტა სუნტ, *რენუნკია´რე/რენუნცია´რე] ყველა უფლებამოსილია უარი თქვას იმაზე, რაც მათთვის ნებადართული იყო

omnes prudentes, illa admittere solent quae probantur iis qui in arte sua bene versati sunt [ო´მნეს პრუდე´ნტეს, ი´ლლა ადმი´ტტერე სო´ლენტ კვე პრობა´ნტურ ი´ის კვი ინ ა´რტე სუ´ა ბე´ნე ვერსა´ტი სუნტ] ყველა ბრძენი ადამიანი მიჩვეულია დაეთანხმოს იმას, რასაც მხარს უჭერენ ისინი, რომლებმაც იციან საკუთარი საქმე

omnia delicta in aperto leviora sunt [ო´მნია დელი´კტა ინ აპე´რტო ლევიო´რა სუნტ] ყველა ღიად ჩადენილი დანაშაული, ნაკლებად სერიოზულია

omnia peccata sunt paria [ო´მნია პეკკა´ტა სუნტ პა´რია] ყველა დანაშაული ჰგავს ერთმანეთს

omnia praesumuntur contra spoliatorem [ო´მნია *პრესუმუ´ნტურ/პრეზუმუ´ნტურ კო´ნტრა სპოლიატო´რემ] ყველაფერი პრეზუმპციის სახით მოქმედებს იმის საწინააღმდეგოდ, ვინც მალავს მტკიცებულებებს

omnia praesumuntur legitime facta donec probetur in contrarium [ო´მნია *პრესუმუ´ნტურ/პრეზუმუ´ნტურ ლეგი´ტიმე ფა´კტა დო´ნეკ პრობე´ტურ ინ კონტრა´რიუმ] ყველა ქმედება ითვლება კანონიერად, სანამ საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული

omnia praesumuntur rite, legitime et solemniter esse acta donec probetur in contrarium [ო´მნია *პრესუმუ´ნტურ/პრეზუმუ´ნტურ რი´ტე, ლეგი´ტიმე ეტ სოლე´მნიტერ ე´სსე ა´კტა დო´ნეკ პრობე´ტურ ინ კონტრა´რიუმ] ყველაფერი ითვლება განხორციელებულად სწორად და მართებულად, ვიდრე საწინააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული

omnia quae iure contrahuntur, contrario iure pereunt [ო´მნია კვე იუ´რე კონტრაჰუ´ნტურ, კონტრა´რიო იუ´რე პე´რეუნტ] ყველა ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ერთი კანონის მოქმედების დროს, უქმდება საწინააღმდეგო კანონის მოქმედების დროს

omnia quae sunt uxoris sunt ipsius viri [ო´მნია კვე სუნტ უქსო´რის სუნტ ი´პსიუს ვი´რი] ყველაფერი, რაც ეკუთვნის ცოლს, ეკუთვნის ქმარსაც

omnibus ad quos praesentes literae pervenerint, salutem [ო´მნიბუს ად კვოს *პრე-სე´ნტეს/პრეზე´ნტეს ლი´ტერე პერვენე´რინტ, სალუ´ტემ] ყველას სალამი, ვის-თანაც ეს წერილები მიაღწევს

omni exceptione maiores [ო´მნი *ექსკეპტიო´ნე/ექსცეპციო´ნე მაიო´რეს] ყველა კრიტიკაზე მაღლა

omnis actio est loquela [ო´მნის *ა´კტიო/ა´კციო ესტ ლოკვე´ლა] ყველა სარჩელი არის საჩივარი

omnis consensus tollit errorem [ო´მნის კონსე´ნსუს ტო´ლლიტ ერრო´რემ] ყველა თანხმობა აქარწყლებს შეცდომას

omnis definitio in iure (lege) periculosa est; parum est enim ut non subverti posset [ო´მნის *დეფინი´ტიო/დეფინი´ციო ინ იუ´რე (ლე´გე) *პერიკულო´სა/პერიკუ-ლო´ზა ესტ; პა´რუმ ესტ ე´ნიმ უტ ნონ სუბვე´რტი პო´სსეტ] ყველა განსაზღ-ვრება სამართალში საფრთხილოა, რადგან ცოტაა ისეთი, რისი დამახინჯებაც შეუძლებელია

omnis exceptio est ipsa quoque regula [ო´მნის *ექსკე´პტიო/ექსცე´პციო ესტ ი´პსა კვო´კვე რეგუ´ლა] ყოველი გამონაკლისი თავად არის წესი

omnis indemnatus pro innoxis legibus habetur [ო´მნის ინდემნა´ტუს პრო ინნო´ქ-სის ლე´გიბუს ჰაბე´ტურ] ყოველი გამართლებული პირი ითვლება კანონიერად უდანაშაულოდ

omnis innovatio plus novitate perturbat quam utilitate prodest [ო´მნის *ინნო-ვა´ტიო/ინნოვა´ციო პლუს ნოვიტა´ტე პერტუ´რბატ კვამ უტილიტა´ტე პრო´-დესტ] ყოველი სიახლე უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს თავისი სიახლით, ვიდრე მოაქვს კეთილდღეობა თავისი სარგებლით

omnis interpretatio si fieri potest ita fienda est in instrumentis, ut omnes contra-rietates amoveantur [ო´მნის *ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო სი ფიე´რი პო´ტესტ ი´ტა ფიე´ნდა ესტ ინ ინსტრუმე´ნტის, უტ ო´მნეს კონტრარიეტა´ტეს ამოვეა´ნტურ] ყოველი განმარტება დოკუმენტებისა უნდა იყოს ისეთი, თუ ეს შესაძლებელია, რომ ყველა წინააღმდეგობა იქნას აღმოფხვრილი

omnis interpretatio vel declarat, vel extendit, vel restringit [ო´მნის *ინტერპრეტა´-ტიო/ინტერპრეტა´ციო ველ დეკლა´რატ, ველ ექსტე´ნდიტ, ველ რესტრი´ნგიტ] ყოველი განმარტება ან განაცხადს აკეთებს ან აფართოებს (აზრს) ან ზღუდავს

omnis persona est homo, sed non vicissim [ო´მნის პერსო´ნა ესტ ჰო´მო, სედ ნონ *ვიკი´სსიმ/ვიცი´სსიმ] ყოველი პირი (სამართლის სუბიექტი) არის ადამიანი და არა პირიქით

omnis privatio praesupponit habitum [ო´მნის *პრივა´ტიო/პრივა´ციო პრესუპ-პო´ნიტ/პრეზუპპო´ნიტ ჰა´ბიტუმ] ყოველი ჩამორთმევა გულისხმობს ადრე არსებული ქონების (დაკარგვას)

omnis querela et omnis actio iniuriarum limitata est infra certa tempora [ო´მნის კვერე´ლა ეტ ო´მნის *ა´კტიო/ა´კციო ინიურია´რუმ ლიმიტა´ტა ესტ ი´ნფრა *კე´რტა/ცე´რტა ტე´მპორა] ყველა საჩივარი და უსამართლობის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი შემოფარგლულია დროის განსაზღვრული პერიოდით

omnis ratihabitio retrotrahitur, et mandato priori equiparatur [ო´მნის *რატიჰაბი´ტიო/რატიჰაბი´ციო რეტროტრა´ჰიტურ, ეტ მანდა´ტო პრიო´რი ეკვიპარა´ტურ] ყოველი რატიფიკაცია მიეკუთვნება წარსულ დროს და თანაფარდია წინა ბრძანებულების

omnis regula suas patitur exceptiones [ო´მნის რე´გულა სუ´ას პა´ტიტურ *ექსკეპტიო´ნეს/ექსცეპციო´ნეს] ყველა წესს თავისი გამონაკლისი აქვს

omnium rerum quarum usus est, potest esse abusus, virtute solo excepta [ო´მნიუმ რე´რუმ კვა´რუმ *უ´სუს/უ´ზუს ესტ, პო´ტესტ ე´სსე *აბუ´სუს/აბუ´ზუს, ვირტუ´ტე სო´ლო *ექსკე´პტა/ექსცე´პტა] შეიძლება ყველაფრის ბოროტად გამოყენება, გარდა სიქველისა

ope consilii [ო´პე კონსი´ლიი] მრჩევლის დახმარებით

operarius [ოპერა´რიუს] ფეოდალური მოიჯარე, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ფიზიკური სამუშაო

oportet [ოპო´რტეტ] აუცილებელია, შესაფერისია, უნდა; ასეც უნდა იყოს; ასე უნდა ყოფილიყო

oppignerare [ოპპიგნერა´რე] ჩადება, დაგირავება

opposita iuxta se posita magis elucescunt [*ოპპო´სიტა/ოპპო´ზიტა იუ´ქსტა სე *პო´სიტა/პო´ზიტა მა´გის *ელუკე´სკუნტ/ელუცე´სკუნტ] საწინააღმდეგო საგნები გაშუქებულია უფრო ნათლად, როცა ერთმანეთის გვერდით მოათავსებენ

optima est lex quae minimum relinquit arbitrio iudicis; optimus iudex qui minimum sibi [ო´პტიმა ესტ ლექს კვე მი´ნიმუმ რელი´ნკვიტ არბი´ტრიო *იუ´დიკის/იუ´დიცის; ო´პტიმუს იუ´დექს კვი მი´ნიმუმ სი´ბი] ის არის საუკეთესო კანონი, რომელიც ნაკლებად საჭიროებს მოსამართლის განსჯას; ის მოსამართლეა საუკეთესო, რომელიც საკუთარ თავზე ყველაზე ცოტას იღებს

optima statuti interpretatrix omnibus particulis eiusdem inspectis (est) ipsum statutum [ო´პტიმა სტატუ´ტი ინტერპრეტა´ტრიქს ო´მნიბუს პარტი´კულის ეიუ´სდემ ინსპე´კტის (ესტ) ი´პსუმ სტატუ´ტუმ] კანონის ყველაზე კარგი განმმარტებელი, მისი დეტალების გათვალისწინებით, არის თვით კანონი

optimus interpres rerum usus [ო´პტიმუს ინტე´რპრეს რე´რუმ *უ´სუს/უ´ზუს] ჩვეულება არის საუკეთესო ამხსნელი საკითხებისა

optimus interpretandi modus est sic leges interpretare ut leges legibus accordant [ო´პტიმუს ინტერპრეტა´ნდი მო´დუს ესტ სიკ ლე´გეს ინტერპრეტა´რე უტ ლე´გეს ლე´გიბუს აკკო´რდანტ] საუკეთესო მეთოდი კანონის განმარტებისა არის ის, რომ კანონები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ

orcinus libertus [*ო´რკინუს/ო´რცინუს ლიბე´რტუს] გარდაცვლილი ბატონის განკარგულებით გათავისუფლებული მონა

ordinandi lex [ორდინა´ნდი ლექს] საპროცესო კანონი, ანუ კანონი, რომელიც სასამართლოში განსაზღვრავს პროცედურებს

ordinatione contra servientes [*ორდინატიო´ნე/ორდინაციო´ნე კო´ნტრა სერვიე´ნტეს] სასამართლოს ბრძანება ბატონის სასარგებლოდ მსახურის წინააღმდეგ, რომელმაც უკანონოდ მიატოვა სამსახური

ordinatum est [ორდინა´ტუმ ესტ] ბრძანება გაცემულია

ordine placitandi servato, servatus et ius [ო´რდინე *პლაკიტა´ნდი/პლაციტა´ნდი სერვა´ტო, სერვა´ტუს ეტ ი´უს] სასამართლო პაექრობის წესების დაცვით ვიცავთ ასევე კანონსაც

ordinis beneficium [ო´რდინის *ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ] წესრიგის პრივილეგია, თავდების უფლება, რომ კრედიტორმა, ვიდრე მისცემს სარჩელს თავდებს, თავიდან გამოიყენოს ყველა საშუალება თავისი ინტერესების დასაცავად მთავარი მოვალის წინააღმდეგ

origo rei inspici debet [ო´რიგო რე´ი *ინსპი´კი/ინსპი´ცი დე´ბეტ] მხედველობაში უნდა მივიღოთ ნივთის წარმომავლობა

ostendit vobis [ოსტე´ნდიტ ვო´ბის] შეგიძლიათ ნახოთ

ostium ecclesiae [ო´სტიუმ *ეკკლე´სიე/ეკკლე´ზიე] ეკლესიის კარიბჭე – ადგილი, სადაც ძველად იმართებოდა საქორწინო რიტუალი

P

paceatur [*პაკეა´ტურ/პაცეა´ტურ] დე გამართლდეს, გათავისუფლდეს

paci sunt maxima contraria, vis et iniuria [*პა´კი/პა´ცი სუნტ მა´ქსიმა კონტრა´რია, ვის ეტ ინიუ´რია] ძალადობა და სამართალდარღვევა მშვიდობის (სიმშვიდის) უდიდესი მტრები არიან

pacta conventa quae neque contra leges, neque dolo malo inita sunt, omni modo observanda sunt [პა´კტა კონვე´ნტა კვე ნე´კვე კო´ნტრა ლე´გეს, ნე´კვე დო´ლო მა´ლო ინი´ტა სუნტ, ო´მნი მო´დო ობსერვა´ნდა სუნტ] შეთანხმებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს და არც მოტყუებით არის დადებული, ყოველმხრივ უნდა იქნას დაცული

pacta privata iuri publico derogare non possunt [პა´კტა პრივა´ტა იუ´რი პუ´ბლიკო დეროგა´რე ნონ პო´სსუნტ] კერძო შეთანხმებებს არ შეუძლიათ საჯარო კანონის მოქმედების შეზღუდვა

pacta privata non derogant iuri communi [პა´კტა პრივა´ტა ნონ დე´როგანტ იუ´რი კომმუ´ნი] კერძო შეთანხმებები არ ზღუდავენ საყოველთაო კანონს

pacta quae contra leges constitutionesque vel contra bonos mores fiunt, nullam vim habere [პა´კტა კვე კო´ნტრა ლე´გეს *კონსტიტუტიონე´სკვე/კონსტიტუციონე´სკვე ველ კო´ნტრა ბო´ნოს მო´რეს ფი´უნტ, ნუ´ლლამ ვიმ ჰაბე´რე] შეთანხმებებს, რომლებიც დადებულია კანონის ან მორალური წესების დარღვევით, ძალა არ გააჩნიათ

pacta quae turpem causam continent non sunt observanda [პა´კტა კვე ტუ´რპემ *კა´უსამ/კა´უზამ კო´ნტინენტ ნონ სუნტ ობსერვა´ნდა] შეთანხმებები, რომლებიც არაზნეობრივი მიზნით არის დადებული, ვერ აღსრულდება

pactis privatorum iuri publico non derogatur [პა´კტის პრივატო´რუმ იუ´რი პუ´ბლიკო ნონ დეროგა´ტურ] კერძო შეთანხმებები ვერ ზღუდავენ საჯარო სამართალს

pactum de quota litis [პა´კტუმ დე კვო´ტა ლი´ტის] შეთანხმება, რომლის თანახმადაც, პირი საკუთარ თავზე იღებდა ვალდებულებას, მიეღწია ვალის დაფარვისათვის გადახდილი თანხის განსაზღვრული ნაწილის სანაცვლოდ

pactum vestitum [პა´კტუმ ვესტი´ტუმ] არაფორმალური შეთანხმება, რომელიც გამონაკლისის სახით, სარგებლობდა სასარჩელო დაცვით

palam [პა´ლამ] ღიად; საჯაროდ; დაუფარავად

pallio cooperire [პა´ლლიო კოოპერი´რე] ქორწინება უკანონოდ შობილი ბავშვის მშობლებისა, რასაც შემდგომ მოჰყვება ოფიციალურად მისი შვილად მიღება (შვილად აყვანა)

paragium [პარა´გიუმ] თანასწორობა წოდების მიხედვით, დაბადების ან მდგომარეობის მიხედვით; მზითვი

parcella terrae [*პარკე´ლლა/პარცე´ლლა ტე´რრე] მიწის ნაკვეთი

par delictum [პარ დელი´კტუმ] თანაბარი ბრალი

parens (pater) patriae [პა´რენს (პა´ტერ) პა´ტრიე] სამშობლოს ბურჯი, სამშობლოს მამა

parentum est liberos alere etiam nothos [პარე´ნტუმ ესტ ლი´ბეროს ა´ლერე *ე´ტიამ/ე´ციამ ნო´თოს] მშობლები ვალდებულნი არიან მხარში ედგნენ თავიანთ ბავშვებს, თუნდაც უკანონოდ შობილთ

pares curiae, pares curtis [პა´რეს კუ´რიე, პა´რეს კუ´რტის] ნაფიცი მსაჯულები

paria copulantur paribus [პა´რია კოპულა´ნტურ პა´რიბუს] მსგავსი ნივთები ერწყმიან ერთმანეთს

paribus sententiis reus absolvitur [პა´რიბუს *სენტე´ნტიის/სენტე´ნციის რე´უს აბსო´ლვიტურ] აზრთა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მსჯავრდებული გამართლებულად ითვლება

pari causa [პა´რი *კა´უსა/კა´უზა] თანაბარი უფლებით; იმავე საფუძველზე

pari delicto [პა´რი დელი´კტო] თანაბრად ბრალეული

paries communis [პა´რიეს კომმუ´ნის] საერთო კედელი

par in parem imperium non habet [პარ ინ პა´რემ იმპე´რიუმ ნონ ჰა´ბეტ] თანასწორს არ აქვს ძალაუფლება თანასწორზე

pari passu [პა´რი პა´სსუ] იმავე ხარისხით; თანაბარი ეტაპებით; თანაბრად

pari ratione [პა´რი *რატიო´ნე/რაციო´ნე] მსგავსი მიზეზით; იმავე საფუძველზე

pari ratione eadem in lex [პა´რი *რატიო´ნე/რაციო´ნე ეა´დემ ინ ლექს] მსგავსი სიტუაციისათვის იგივე კანონი

parium eadem est ratio idem ius [პა´რიუმ ეა´დემ ესტ *რა´ტიო/რა´ციო ი´დემ ი´უს] მსგავს სიტუაციებში საფუძველია ერთი და იგივე კანონი

parium iudicium [პა´რიუმ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ] თანასწორთა განაჩენი, ანუ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი

par oneri [პარ ო´ნერი] სიმძიმის შესაბამისი; შემძლე იტვირთოს სიმძიმე

parricidium [*პარრიკი´დიუმ/პარრიცი´დიუმ] მშობლის ან ახლო ნათესავის მკვლელობა

pars [პარს] ნაწილი; მხარე; ფუნქცია; ვალდებულება

pars eiusdem negotii [პარს ეიუ´სდემ *ნეგო´ტიი/ნეგო´ციი] იმავე გარიგების, იმავე ხელშეკრულების ნაწილი

pars enitia [პარს *ენი´ტია/ენი´ცია] უფროსი ვაჟის ნაწილი ან წილი

pars gravata [პარს გრავა´ტა] დაზარალებული მხარე

pars iudicis [პარს *იუ´დიკის/იუ´დიცის] მოსამართლის როლი, ფუნქცია ან ვალდებულება

pars pro toto [პარს პრო ტო´ტო] ნაწილი მთელის ნაცვლად

pars rationabilis [პარს *რატიონა´ბილის/რაციონა´ბილის] გონივრული ნაწილი ან წილი

pars rea [პარს რე´ა] მოპასუხის მხარე

pars viscerum matris [პარს *ვი´სკერუმ/ვი´სცერუმ მა´ტრის] დედის წიაღის ნაწილი, ანუ ჯერ არდაბადებული ბავშვი

parte inaudita [პა´რტე ინაუდი´ტა] რამდენადაც ერთ-ერთი მხარე არ იქნა მოსმენილი

partem aliquam recte intelligere nemo potest antequam totum iterum perlegerit [პა´რტემ ა´ლიკვამ რე´კტე ინტელლი´გერე ნე´მო პო´ტესტ ა´ნტეკვამ ტო´ტუმ ი´ტერუმ პერლე´გერიტ] არავის შეუძლია სათანადოდ გაიგოს რაღაც ნაწილი მანამდე, ვიდრე იგი ხელახლა არ წაიკითხავს მთელს

parte non comparente [პა´რტე ნონ კომპარე´ნტე] მხარე, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოზე

parte quacumque integrante sublata tollitur totum [პა´რტე კვაკუ´მკვე ინტეგრა´ნტე სუბლა´ტა ტო´ლლიტურ ტო´ტუმ] როდესაც მოაშორებენ განუყოფელ ნაწილს, ქრება მთელიც

particeps criminis [*პა´რტიკეპს/პა´რტიცეპს კრი´მინის] დანაშაულის მონაწილე, თანამონაწილე

particeps doli [*პა´რტიკეპს/პა´რტიცეპს დო´ლი] თანამონაწილე თაღლითობაში

partus ex legitimo thoro non certius noscit matrem quam genitorem suam [პა´რტუს ექს ლეგი´ტიმო თო´რო ნონ *კე´რტიუს/ცე´რტიუს *ნო´სკიტ/ნო´სციტ მა´ტრემ კვამ გენიტო´რემ სუ´ამ] კანონიერ ქორწინებაში შობილი ბავშვი ისევე ცნობს დედას, როგორც მამას

partus sequitur ventrem [პა´რტუს სე´კვიტურ ვე´ნტრემ] შთამომავლობა მომდინარეობს დედისგან

parum cavet natura [პა´რუმ კა´ვეტ ნატუ´რა] ბუნება არ იჩენს დიდ სიფრთხილეს

parum differunt quae re concordant [პა´რუმ დი´ფფერუნტ კვე რე კონკო´რდანტ] არსებითად მსგავსი ნივთები ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისგან

parum est latam esse sententiam nisi mandetur executioni [პა´რუმ ესტ ლა´ტამ ე´სსე *სენტე´ნტიამ/სენტე´ნციამ *ნი´სი/ნი´ზი მანდე´ტურ *ექსეკუტიო´ნი/ეგზეკუციო´ნი] სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის დასრულებული, თუ იგი არ არის აღსრულებული

parum proficit scire quid fieri debet, si non cognoscas quomodo sit facturum [პა´რუმ *პრო´ფიკიტ/პრო´ფიციტ *სკი´რე/სცი´რე კვიდ ფიე´რი დე´ბეტ, სი ნონ კოგნო´სკას კვომო´დო სიტ ფაკტუ´რუმ] ბევრს არაფერს ნიშნავს იცოდე, რა უნდა გააკეთო, თუ არ იცი, როგორ გააკეთო

parva servieantia [პა´რვა *სერვიეა´ნტია/სერვიეა´ნცია] მეფის მიწის ფლობა ვალდებულების საფუძველზე, რომ ყოველწლიურად მიაწოდებენ მას მსუბუქი შეიარაღების საგნებს, პირადად მეფის საომარ ქმედებებში მონაწილეობის გარეშე

passim [პა´სსიმ] აქ და იქ; უწესრიგოდ

pastus [პა´სტუს] მარაგი, რომელთაც მოიჯარეები თავიანთ ბატონს უმზადებდნენ მათი მიწების სტუმრობისას

pater aut mater defuncti, filio non filiae haereditatem relinquent. Qui defunctus non filios sed filias relinquerit, ad eas omnis hereditas pertineat [პა´ტერ ა´უტ მა´ტერ დეფუ´ნკტი, ფი´ლიო ნონ ფი´ლიე ჰერედიტა´ტემ რელი´ნკვენტ. კვი

დეფუ´ნკტუს ნონ ფი´ლიოს სედ ფი´ლიას რელი´ნკვერიტ, ად ე´ას ო´მნის ჰერე´დიტას პერტი´ნეატ] მამის ან დედის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობა ვაჟიშვილს რჩება და არა ქალიშვილს, ვისაც გარდაცვალების შემდეგ არ რჩება ვაჟები, არამედ ქალიშვილები, მთელი ქონება მათ ეკუთვნით

pater est quem nuptiae demonstrant [პა´ტერ ესტ კვემ *ნუ´პტიე/ნუ´პციე დემო´ნსტრანტ] ქორწინება არის დასტური იმისა, თუ ვინ არის მამა

pater familias [პა´ტერ ფამი´ლიას] ოჯახის მამა (თავი)

paterna paternis [პატე´რნა პატე´რნის] მამის ქონება გადადის მემკვიდრეებზე მამის ხაზით

pater noster [პა´ტერ ნო´სტერ] მამაო ჩვენო

patibulum [პატ´იბულუმ] სახრჩობელა; სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით

patria [პა´ტრია] სამშობლო; ქვეყანა; მხარე; ნაფიც მსაჯულთა კოლეგია

patria laboribus et expensis non debet fatigari [პა´ტრია ლაბო´რიბუს ეტ ექსპე´ნსის ნონ დე´ბეტ ფატიგა´რი] ნაფიცი მსაჯულები არ უნდა გაწვალდნენ შრომითა და ხარჯებით

patria potestas [პა´ტრია პოტე´სტას] მამის ძალაუფლება

patria potestas in pietate debet, non in atrocitate, consistere [პა´ტრია პოტე´სტას ინ პიეტა´ტე დე´ბეტ, ნონ ინ *ატროკიტა´ტე/ატროციტა´ტე, კონსი´სტერე] მამის ძალაუფლება უნდა ემყარებოდეს სიკეთეს და არა მრისხანებას

patricius [*პატრი´კიუს/პატრი´ციუს] წარჩინებულთა წოდება, რომელიც ენიჭებოდათ იმ პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ იმპერატორის კეთილგანწყობით; რომის სახელმწიფოში მაღალი ფენის წარმომადგენელი

patrimonium [პატრიმო´ნიუმ] მამისგან ან მამის ხაზით მიღებული მემკვიდრეობა

patrocinium [*პატროკი´ნიუმ/პატროცი´ნიუმ] პატრონაჟი; მფარველობა; დაცვა; დაცვა სასამართლოზე

pax regis [პაქს რე´გის] სამეფო ზავი

pax vobiscum [პაქს ვობი´სკუმ] მშვიდობა თქვენდა

peccata contra naturam sunt gravissima [პეკკა´ტა კო´ნტრა ნატუ´რამ სუნტ გრავი´სსიმა] დანაშაული ბუნების წინააღმდეგ უმძიმესია

peccatum [პეკკა´ტუმ] ცოდვა; დანაშაული; დანაშაულებრივი ქმედება

peculium (quiasi) castrense [პეკუ´ლიუმ (*კვა´სი/კვა´ზი) კასტრე´ნსე] ქონება, რომელიც ეკუთვნის ვაჟს, რომელიც მან შეიძინა სამხედრო სამსახურში ან სამხედრო ბანაკში ყოფნის დროს

pecunia non numerata [პეკუ´ნია ნონ ნუმერა´ტა] დაუთვლელი ან გადაუხდელი ფული

pecunia numerata [პეკუ´ნია ნუმერა´ტა] დათვლილი ან გადახდილი ფული

pecunia sepulchralis [პეკუ´ნია სეპულხრა´ლის] ფული, რომელსაც უხდიდნენ მღვდელს საფლავის გათხრის დროს ლოცვის წაკითხვისათვის (საფლავის კურთხევისთვის)

pecus vagans, quod nullas petit, sequitur, vel advocat [პე´კუს ვა´განს, კვოდ ნუ´ლლას პე´ტიტ, სე´კვიტურ, ველ ა´დვოკატ] მოხეტიალე საქონელი, რომელსაც არავინ ეძებს, არავინ კითხულობს და არავინ უხმობს

pedaulus [პედა´ულუს] დაბალი რანგის რომაელი მოსამართლე, რომელიც განიხილავდა ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს

pedem ponere [პე´დემ პო´ნერე] ფეხის რამეზე დადგმა; მიწის დასაკუთრების უფლება

pedis abscissio [პე´დის *აბსკი´სსიო/აბსცი´სსიო] ფეხის მოკვეთა, სასჯელის ძველი ფორმა

pedis positio [პე´დის *პოსი´ტიო/პოზი´ციო] „ფეხის დადგმა“: ფიზიკური აქტი მიწის საკუთრების უფლების მოსაპოვებლად

pedis possessio [პე´დის პოსსე´სსიო] უძრავი ქონების (დროებით) ფლობა

pendente lite [პენდე´ნტე ლი´ტე] სასარჩელო ან სხვა სასამართლო დავაზე გადაწყვეტილების მოლოდინში

pendente lite nihil innoventur [პენდე´ნტე ლი´ტე ნი´ჰილ ინნოვე´ნტურ] არ არის მიზანშეწონილი არანაირი ცვლილება, ვიდრე გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი

penes me [პე´ნეს მე] ჩემს მფლობელობაში

pensio [პე´ნსიო] გადასახადი; ნივთის საიჯარო ქირა

per alluvionem [პერ ალლუვიო´ნემ] წყლით დალექვის გზით

per annum [პერ ა´ნნუმ] წელიწადში; ერთი წლით

per anum [პერ ა´ნუმ] უკანა ხვრელით (სქესობრივი კავშირის შესახებ)

per capita [პერ კა´პიტა] სულზე; ადამიანზე; კენჭისყრა პრინციპით: „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“

percennarius [*პერკენნა´რიუს/პერცენნა´რიუს] თანამემკვიდრე

per consequens [პერ კო´ნსეკვენს] შედეგად

per considerationem curiae [პერ *კონსიდერატიო´ნემ/კონსიდერაციო´ნემ კუ´რიე] სასამართლოს გადაწყვეტილებით

per contra [პერ კო´ნტრა] წინააღმდეგ; მეორე მხრივ

per corpus [პერ კო´რპუს] სასამართლო დავის მეშვეობით

per curiam [პერ კუ´რიამ] სასამართლოს გზით

per diem [პერ დი´ემ] ერთი დღის, ერთ დღეში

perdonatio et largatio [*პერდონა´ტიო/პერდონა´ციო ეტ *ლარგა´ტიო/ლარგა´ციო] პირის შეწყალება, რომელიც გამოცხადებულ იქნა კანონგარეშედ სასამართლოს უპატივცემულობის გამო

perduellio [პერდუე´ლლიო] სახელმწიფო ღალატი; სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრული გამოსვლა

per equipollens [პერ ეკვიპო´ლლენს] ეკვივალენტი; თანაბარღირებული

per expressum [პერ ექსპრე´სსუმ] პირდაპირ; გასაგებად გამოხატული სიტყვებით

per extensum [პერ ექსტე´ნსუმ] დაწვრილებით; სრულად

per extraneam personam nihil nobis acquiri potest [პერ ექსტრა´ნეამ პერსო´ნამ ნი´ჰილ ნო´ბის აკკვი´რი პო´ტესტ] გარეშე პირის მეშვეობით ვერ შევიძენთ ვერანაირ უფლებას

per fas et nefas [პერ ფას ეტ ნე´ფას] სიმართლითა და ტყუილით; კანონიერად და უკანონოდ

per fraudem [პერ ფრა´უდემ] ტყუილით; თავგზის აბნევით

periculi imminentis evitandi causa [პერი´კული იმმინე´ნტის ევიტა´ნდი *კა´უსა/კა´უზა] საფრთხის აცილების მიზნით

periculo petentis [პერი´კულო პეტე´ნტის] მომჩივანის რისკზე

periculosum est res novas et inusitatas inducere [*პერიკულო´სუმ/პერიკულო´ზუმ ესტ რეს ნო´ვას ეტ ინუსიტა´ტას *ინდუ´კერე/ინდუ´ცერე] საშიშია ახალი და უჩვეულო ნივთების შემოტანა

periculosum existimo quod bonorum virorum non comprobatur exemplo [*პერიკულო´სუმ/პერიკულო´ზუმ *ექსი´სტიმო/ეგზი´სტიმო კვოდ ბონო´რუმ ვირო´რუმ ნონ კომპრობა´ტურ *ექსე´მპლო/ექზე´მპლო] მჯერა, რომ რაც არ არის დადასტურებული ღირსეული ხალხის მაგალითით, საშიშია

periculum rei venditae, nondum traditae, est emptoris [პერი´კულუმ რე´ი ვენდი´ტე, ნო´ნდუმ ტრა´დიტე, ესტ ემპტო´რის] გაყიდულ და გადაუცემელ ნივთზე პასუხისმგებელი არის მყიდველი

per incuriam [პერ ინკუ´რიამ] გაუფრთხილებლობის შედეგად; უყურადღებობის შედეგად; დაუდევრობის შედეგად

per industriam [პერ ინდუ´სტრიამ] გულმოდგინებით, შრომით

per infortunium [პერ ინფორტუ´ნიუმ] უბედური შემთხვევის შედეგად; შემთხვევით

periurii poena divina, exitium; humana dedecus [პერიუ´რიი პე´ნა დივი´ნა, *ექსი´ტიუმ/ექსი´ციუმ; ჰუმა´ნა დედე´კუს] ღვთის სასჯელი ფიცის გატეხის გამო არის სიკვდილი; ადამიანური – სასჯელი – შერცხვენა

periuri sunt qui servatis verbis iuramenti decipiunt aures eorum qui accipiunt [პერიუ´რი სუნტ კვი სერვა´ტის ვე´რბის იურამე´ნტი *დეკი´პიუნტ/დეცი´პიუნტ აუ´რეს ეო´რუმ კვი *აკკი´პიუნტ/აკცი´პიუნტ] ფიცის გამტეხნი არიან, რომლებიც წარმოთქვამენ ფიცის სიტყვებს, ატყუებენ ფიცის მიმღებთა ყურებს

per laudamentum sive iudicium parium suorum [პერ ლაუდამე´ნტუმ სი´ვე *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ პა´რიუმ სუო´რუმ] თავისი თანასწორის გადაწყვეტილებით ან განაჩენით

per legale iudicium parium [პერ ლეგა´ლე *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ პა´რიუმ] თავისი თანასწორის კანონიერი განაჩენით

per legem terrae [პერ ლე´გემ ტე´რრე] ქვეყნის კანონით

per minas [პერ მი´ნას] მუქარის მეშვეობით; მუქარით

per omnes [პერ ო´მნეს] ყველა ადამიანით

per os [პერ ოს] პირის მეშვეობით (სქესობრივი კავშირის შესახებ)

per patriam [პერ პა´ტრიამ] სამშობლოსადმი, ხალხისადმი მიმართვის მეშვეობით; ნაფიც მსაჯულებისადმი მიმართვის მეშვეობით

perpetua lex est, nullam legem humanam ac positivam perpetuam esse; et clausula quae abrogationem excludit ab initio non valet [პერპე´ტუა ლექს ესტ, ნუ´ლლამ ლე´გემ ჰუმა´ნამ აკ *პოსიტი´ვამ/პოზიტი´ვამ პერპე´ტუამ ე´სსე; ეტ *კლაუსუ´ლა/კლაუზუ´ლა კვე *აბროგატიო´ნემ/აბროგაციო´ნემ ექსკლუ´დიტ აბ *ინი´ტიო/ინი´ციო ნონ ვა´ლეტ] მუდმივი კანონი იმაში მდგომარეობს, რომ არანაირი ადამიანური ან პოზიტიური კანონი არ უნდა იყოს მუდმივი; დებულება, რომელიც გამორიცხავს კანონის გაუქმებას, თავიდანვე ბათილია

per rationes pervenitur ad legitimam rationem [პერ *რატიო´ნეს/რაციო´ნეს პერვე´ნიტურ ად ლეგი´ტიმამ *რატიო´ნემ/რაციო´ნემ] განსჯის გზით მიდიან იურიდიულ საფუძვლამდე

per rerum naturam, factum negantis nulla probatio [პერ რე´რუმ ნატუ´რამ, ფა´კტუმ ნეგა´ნტის ნუ´ლლა *პრობა´ტიო/პრობა´ციო] საგანთა ბუნების მიხედვით, ის, ვინც უარყოფს ფაქტს, არ არის ვალდებული დაამტკიცოს (თავისი სიმართლე)

per saltum [პერ სა´ლტუმ] ნახტომებით, ანუ ჩქარა

per sceptrum [პერ *სკე´პტრუმ/სცე´პტრუმ] სკიპტრით, ანუ ძალაუფლების მეშვეობით, იარაღის ძალით

per se [პერ სე] თავისთავად; უბრალოდ; როგორც ასეთი

persona coniuncta aequiparatur interesse proprio [პერსო´ნა კონიუ´ნკტა ეკვიპარა´ტურ ინტერე´სსე პრო´პრიო] ნათესაური კავშირი ვინმეს მიმართ ნიშნავს პირად ინტერესს მისადმი

persona ecclesiae [პერსო´ნა *ეკკლე´სიე/ეკკლე´ზიე] ეკლესიის მსახური

persona est homo, cum statu quodam consideratus [პერსო´ნა ესტ ჰო´მო, კუმ სტა´ტუ კვო´დამ კონსიდერა´ტუს] პირი არის ადამიანი, რომელიც განიხილება ამა თუ იმ სტატუსთან მის მიმართებაში

personalia personam sequuntur [პერსონა´ლია პერსო´ნამ სეკვუ´ნტურ] პირადი საკუთრება ეკუთვნის ადამიანს

personalis actio [პერსონა´ლის *ა´კტიო/ა´კციო] პირადი სარჩელი; სარჩელი, რომელიც მიემართება პირს

personaliter [პერსონა´ლიტერ] პირადად

persona non grata [პერსო´ნა ნონ გრა´ტა] არასასურველი პირი

persona praedilecta [პერსო´ნა პრედილე´კტა] მეტისმეტად სასურველი პიროვნება

persona standi in iudicio [პერსო´ნა სტა´ნდი ინ *იუდი´კიო/იუდი´ციო] სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღების უნარი; უნარი, იყო მოსარჩელე ან მოპასუხე

perspicua vera non sunt probanda [პერსპი´კუა ვე´რა ნონ სუნტ პრობა´ნდა] აშკარა ფაქტების შემთხვევაში აუცილებელი არ არის მტკიცება

per stirpem [პერ სტი´რპემ] წარმომადგენლობით

per stirpes [პერ სტი´რპეს] ჯგუფებით; ჯგუფებად განაწილება

per testes [პერ ტე´სტეს] მოწმეთა მეშვეობით

per totam curiam [პერ ტო´ტამ კუ´რიამ] მთელი სასამართლოთი, ყველა მოსამართლით

perturbator, perturbatrix [პერტურბა´ტორ, პერტურბა´ტრიქს] მშვიდობის დამრღვევი

per universitatem [პერ უნივერსიტა´ტემ] მთლიანად; როგორც ერთი მთლიანი

per usu captionem [პერ *უ´სუ *კაპტიო´ნემ /უ´ზუ კაპციო´ნემ] მუდმივი გამოყენების გზით

per vadium [პერ ვა´დიუმ] გირაოდ

per vadium et salvos plegios [პერ ვა´დიუმ ეტ სა´ლვოს პლე´გიოს] სარწმუნო გირაოდ

per varios actus, legem experientia facit [პერ ვა´რიოს ა´კტუს, ლე´გემ *ექსპერიე´ნტია/ექსპერიე´ნცია *ფა´კიტ/ფა´ციტ] მრავალი ქმედების საფუძველზე გამოცდილება ქმნის სამართალს

per verba de futuro, de praesenti (tempora) [პერ ვე´რბა დე ფუტუ´რო, დე *პრე-სე´ნტი/პრეზე´ნტი (ტე´მპორა)] მომავლის, ახლანდელი დროის გამომხატველი სიტყვებით

per vinum delapsis capitalis poena remittitur [პერ ვი´ნუმ დელა´პსის კაპიტა´ლის პე´ნა რემი´ტტიტურ] სასჯელი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას, შემსუბუქდება, თუ დანაშაული ჩადენილია სიმთვრალეში

per visum iuratorum [პერ *ვი´სუმ/ვი´ზუმ იურატო´რუმ] ნაფიც მსაჯულთა ადგილზე მისვლით ან სასარჩელო ნივთის დათვალიერების მიზნით

per vivam vocem [პერ ვი´ვამ *ვო´კემ/ვო´ცემ] „ცოცხალი ხმით“: საკუთარი ხმით

pessima exempla [პე´სსიმა *ექსე´მპლა/ეგზე´მპლა] ყველაზე ცუდი მაგალითები

petens [პე´ტენს] მომჩივანი მხარე; მოსარჩელე; განმცხადებელი

petitio principii [*პეტი´ტიო *პრინკი´პიი/პეტი´ციო პრინცი´პიი] არგუმენტი, რომელიც დამტკიცებულად იღებს იმას, რის თაობაზეც მიმდინარეობს დავა

peto [პე´ტო] ვეძებ; ვითხოვ; მოვითხოვ; პრეტენზია მაქვს

pignoratio [*პიგნორა´ტიო/პიგნორა´ციო] გირაოს შესახებ შეთანხმება

pignoratitia actio [*პიგნორატი´ტია *ა´კტიო/პიგნორატი´ცია ა´კციო] გირაოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი

pignori acceptum [პიგნო´რი *აკკე´პტუმ/აკცე´პტუმ] გირაოს სახით გადაცემული ან მიღებული

pignoris captio [პიგნო´რის *კა´პტიო/კა´პციო] გირაოს აღება გადახდის უზრუნველსაყოფად

piissima regina coniunx divi imperatoris [პიი´სსიმა რეგი´ნა კო´ნიუნქს დი´ვი იმპერატო´რის] უსათნოესი დედოფალი, იმპერატორის მეუღლე

pirata est hostis humani generis [პირა´ტა ესტ ჰო´სტის ჰუმა´ნი გე´ნერის] მეკობრე არის ადამიანთა მოდგმის მტერი

piscaria [პისკა´რია] თევზჭერასთან დაკავშირებული სხვადასხვა უფლება

placitabile [*პლაკიტა´ბილე/პლაციტა´ბილე] სასამართლო განხილვის საგანი

placita communia [*პლა´კიტა/პლა´ციტა კომმუ´ნია] სამოქალაქო დავები

placita coronae [*პლა´კიტა/პლა´ციტა კორო´ნე] „გვირგვინის სარჩელები“, ინგლისში – სისხლის სამართლის საქმეები

placita iuris [*პლა´კიტა/პლა´ციტა იუ´რის] სამართლის ნორმები

placitamentum [*პლაკიტამე´ნტუმ/პლაციტამე´ნტუმ] სასამართლო პაექრობა; საქმის განხილვის პროცედურა სასამართლოს გზით

placitare [*პლაკიტა´რე/პლაციტა´რე] სასამართლოსადმი მიმართვა

placitator [*პლაკიტა´ტორ/პლაციტა´ტორ] ის, ვინც მიმართავს სასამართლოს

placitum [*პლა´კიტუმ/პლა´ციტუმ] მითითება, ჩვეულებრივ, სასამართლოს ბრძანებულებაში, იმის შესახებ, რომ სასამართლო ნორმალური გზით გაიმართა განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილზე

plagiarii [პლაგია´რიი] ადამიანების გამტაცებლები

plagium [პლა´გიუმ] ადამიანების გატაცება

plebiscita [*პლებისკი´ტა/პლებისცი´ტა] რომში პლებეელთა შეკრების დეკრეტები, რომლებიც ძალაში შედიოდა სენატის დამტკიცების გარეშე და წარმოადგენდა კანონებს, რომლებიც მიიღეს სახალხო კენჭისყრით

plegiabilis [პლეგია´ბილის] მოძრავი ქონება, რომელიც შეიძლება იქნეს დაგირავებული

plena aetas [პლე´ნა ე´ტას] სრული ასაკი; სრულწლოვანება

plena et celeris iustitia fiat partibus [პლე´ნა ეტ *კე´ლერის/ცე´ლერის *იუსტი´ტია/იუსტი´ცია ფი´ატ პა´რტიბუს] დაე, აღსრულდეს სრული და სწრაფი მართლმსაჯულება (მხარეებისთვის)

plena fides [პლე´ნა ფი´დეს] სრული რწმენა; სრული ნდობა

plena forisfactura [პლენა ფორისფაკტუ´რა] სრული კონფისკაცია; მთელი ქონების კონფისკაცია

plena probatio [პლე´ნა *პრობა´ტიო/პრობა´ციო] სრული მტკიცებულება; მტკიცებულება ორი მოწმის ან დოკუმენტის სახით, რომელიც გაცემულია სახელმწიფო დაწესებულების მიერ

pleno iure [პლე´ნო იუ´რე] სრული უფლებით

plenum dominium [პლე´ნუმ დომი´ნიუმ] სრული საკუთრება, როცა მესაკუთრეს აქვს უფლება ისარგებლოს ქონებით ან განკარგოს იგი

plenum rectum [პლე´ნუმ რე´კტუმ] სრული ან აბსოლუტური უფლება

pluralis numerus est duobus contentus [პლურა´ლის ნუ´მერუს ესტ დუ´ობუს კონტე´ნტუს] სიმრავლისათვის საკმარისია ორიც

pluraliter [პლურა´ლიტერ] მრავლად; მრავლობით რიცხვში

plures participes (coheredes) sunt quasi unum corpus, in eo quod unum ius habent [პლუ´რეს *პარტი´კიპეს/პარტი´ციპეს (კოჰე´რედეს) სუნტ *კვა´სი/კვა´ზი უ´ნუმ კო´რპუს, ინ ე´ო კვოდ უ´ნუმ იუ´ს ჰა´ბენტ] რამდენიმე თანამემკვიდრე ქმნის თითქოსდა ერთ სხეულს, რამდენადაც ერთი უფლება აქვთ

pluris (plus) petitio [პლუ´რის (პლუს) *პეტი´ტიო/პეტი´ციო] ძალიან ბევრის მოთხოვნა ანუ უფრო ბევრის, ვიდრე მართებულია

plus exempla quam peccata nocent [პლუს ექსე´მპლა კვამ პეკკა´ტა *ნო´კენტ/ნო´ცენტ] მაგალითები უფრო მეტად არის ზიანის მომტანი, ვიდრე დანაშაულებანი

plus peccat auctor quam actor [პლუს პე´კკატ ა´უკტორ კვამ ა´კტორ] წამქეზებელი უფრო მეტად არის დამნაშავე, ვიდრე შემსრულებელი

plus valet unus oculatus testis, quam auriti decem [პლუს ვა´ლეტ უ´ნუს ოკულა´ტუს ტე´სტის, კვამ ა´ურიტი *დე´კემ/დე´ცემ] ერთი თვითმხილველი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ათი მოწმე, რომელმაც ყურმოკვრით იცის ამბავი

plus vident oculi quam oculus [პლუს ვი´დენტ ო´კული კვამ ო´კულუს] რამდენიმე თვალი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ერთი თვალი; ანუ ბევრი ადამიანი უფრო მეტს ხედავს, ვიდრე ერთი

poena ad paucos, metus ad omnes perveniat [პე´ნა ად პა´უკოს, მე´ტუს ად ო´მნეს პერვე´ნიატ] სასჯელი, რომელსაც იყენებენ ერთეულთა მიმართ, შიშს ჰგვრის ყველას

poena corporalis [პე´ნა კორპორა´ლის] ფიზიკური სასჯელი

poena ex delicto defuncti, heres teneri non debet [პე´ნა ექს დელი´კტო დეფუ´ნკტი, ჰე´რეს ტენე´რი ნონ დე´ბეტ] მემკვიდრემ არ უნდა იწვნიოს სასჯელი, განსვენებული მეანდერძის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო

poena non potest, culpo perennis erit [პე´ნა ნონ პო´ტესტ, კუ´ლპო პერე´ნნის ე´რიტ] სასჯელი არ უნდა იყოს მუდმივი, თუმცა დანაშაული დარჩება სამუდამოდ

poena pilloralis [პე´ნა პილლორა´ლის] სასჯელი სამარცხვინო ბოძზე გაკვრით

poena suos tenere debet actores et non alios [პე´ნა სუ´ოს ტენე´რე დე´ბეტ აკტო´რეს ეტ ნონ ა´ლიოს] სასჯელი უნდა გამოყენებულ იქნას ნამდვილ დამნაშავეთა და არა სხვა პირთა მიმართ

poena tollit potest, culpa perennis erit [პე´ნა ტო´ლლიტ პო´ტესტ, კუ´ლპა პერე´ნნის ე´რიტ] სასჯელი შეიძლება მოიხსნას, მაგრამ ბრალი სამუდამოა

politiae legibus, non leges politiis adaptandae [*პოლი´ტიე/პოლი´ციე ლე´გიბუს, ნონ ლე´გეს *პოლი´ტიის/პოლი´ციის ადაპტა´ნდე] სახელმწიფო უნდა ეთანხმებოდეს კანონებს, და არა – კანონები სახელმწიფოს

polygamia est plurium simul virorum uxorumve connubium [პოლიგა´მია ესტ პლუ´რიუმ სი´მულ ვირო´რუმ უქსორუ´მვე კონნუ´ბიუმ] პოლიგამია არის მრავალქმრიანობა ან მრავალცოლიანობა

ponderantur testes, non numerantur [პონდერა´ნტურ ტე´სტეს, ნონ ნუმერა´ნტურ] მოწმეებს წონიან და არ ითვლიან

ponendum in ballium [პონე´ნდუმ ინ ბა´ლლიუმ] სასამართლოს ბრძანება პირის თავდებით გათავისუფლების შესახებ

ponit se super patriam [პო´ნიტ სე სუ´პერ პა´ტრიამ] „სამშობლოსთვის თავს დებს“, სამშობლო ანდობს საქმის გადაწყვეტას ნაფიც მსაჯულებს

pontibus reparandis [პო´ნტიბუს რეპარა´ნდის] სასამართლოს ბრძანება ხიდის შეკეთების შესახებ

pontium reparatio [პო´ნტიუმ *რეპარა´ტიო/რეპარა´ციო] ხიდების შეკეთება

populiscitum [*პოპული´სკიტუმ/პოპული´სციტუმ] დადგენილება სახალხო კრებისა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა როგორც პლებეი, ასევე პატრიციუსი

portorium [პორტო´რიუმ] საბაჟო გადასახადები; გადასახადი შემოსატან ან გასატან საქონელზე

positivi iuris [*პოსიტი´ვი/პოზიტი´ვი იუ´რის] პოზიტიური სამართლის სფეროდან

positio uno oppositorum negatur alterum [*პოსი´ტიო/პოზი´ციო უ´ნო ოპპოსიტო´რუმ ნეგა´ტურ ა´ლტერუმ] ორი ურთიერთგამომრიცხავი დებულებიდან ერთ-ერთის დადგენის გზით მეორე დებულების უარყოფა

possessio bonae fidei [პოსსე´სსიო ბო´ნე ფი´დეი] კეთილსინდისიერი ფლობა

possessio bonorum [პოსსე´სსიო ბონო´რუმ] ქონების ფლობა, რომელიც ეფუძნება პრეტორულ სამართალს

possessio civilis [პოსსე´სსიო *კივი´ლის/ცივი´ლის] მფლობელობა, რომელმაც მიიღო იურიდიული დაცვა

possessio est quasi pedis positio [პოსსე´სსიო ესტ *კვა´სი/კვა´ზი პე´დის *პოსი´ტიო/პოზი´ციო] ფლობა არის თითქოსდა (ნივთზე) ფეხის დადება

possessio fratris facit sororem esse heredem [პოსსე´სსიო ფრა´ტრის *ფა´კიტ/ფა´ციტ სორო´რემ ე´სსე ჰე´რედემ] ძმის ქონება ხდის დას მემკვიდრედ

possessio malae fidei [პოსსე´სსიო მა´ლე ფი´დეი] არაკეთილსინდისიერი ფლობა

possessio naturalis [პოსსე´სსიო ნატურა´ლის] ფიზიკური ფლობა

posteriore derogant prioribus [პოსტერიო´რე დე´როგანტ პრიო´რიბუს] უფრო გვიანი აუქმებს უფრო ადრეულს

post factum [პოსტ ფა´კტუმ] ფაქტის შემდეგ: დანაშაულის ჩადენის შემდეგ

post-factum [პოსტ-ფა´კტუმ] მომდევნო აქტი, აქტი, რომელიც შემდგომ არის ჩადენილი

post hoc [პოსტ ჰოკ] ამის შემდეგ

posthumus pro nato habetur [პოსტჰუ´მუს პრო ნა´ტო ჰაბე´ტურ] ბავშვი, დაბადებული მამის გარდაცვალების შემდეგ, ითვლება მის სიკვდილამდე დაბადებულად

postliminium [პოსტლიმი´ნიუმ] სამხედრო ტყვისათვის სამოქალაქო უფლებების დაბრუნება (გათავისუფლების შემდეგ)

postliminium fingit eum qui captus est in civitate semper fuisse [პოსტლიმი´ნიუმ ფი´ნგიტ ე´უმ კვი კა´პტუს ესტ ინ *კივიტა´ტე/ცივიტა´ტე სე´მპერ ფუი´სსე] ტყვედ ჩავარდნილი პირი მთელი ტყვეობის მანძილზე მოიაზრება სახელმწიფოს ფარგლებში მყოფად

post litem motam [პოსტ ლი´ტემ მო´ტამ] საქმის განხილვის, დავის ან სამართალწარმოების დაწყების შემდეგ

post-mortem [პოსტ-მო´რტემ] სიკვდილის შემდეგ

postnati [პოსტნა´ტი] პირები, დაბადებულნი ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის შემდეგ

post prolem suscitatam [პოსტ პრო´ლემ *სუსკიტა´ტამ/სუსციტა´ტამ] მემკვიდრის დაბადების შემდეგ

post rem [პოსტ რემ] გარიგების დადების შემდეგ

post terminum [პოსტ ტე´რმინუმ] ვადის ამოწურვის შემდეგ

postulatio [*პოსტულა´ტიო/პოსტულა´ციო] შუამდგომლობა პრეტორისადმი ნებართვისათვის, რათა პირს წაეყენოს ბრალი დანაშაულის ჩადენაში

postulatio actionis [*პოსტულა´ტიო *აკტიო´ნის/პოსტულა´ციო აკციო´ნის] პრეტორისადმი მიმართული შუამდგომლობა სარჩელის წარდგენის ნებართვისათვის

potentia debet sequi iustitiam, non antecedere [*პოტე´ნტია/პოტე´ნცია დე´ბეტ სე´კვი *იუსტი´ტიამ/იუსტი´ციამ, ნონ *ანტეკე´დერე/ანტეცე´დერე] ძალა უნდა მოსდევდეს სამართლიანობას და არ უნდა უსწრებდეს მას

potentia inutilis frustra est [*პოტე´ნტია/პოტე´ნცია ინუ´ტილის ფრუ´სტრა ესტ] უსარგებლო ძალა ფუჭია

potentia non est nisi ad bonum [*პოტე´ნტია/პოტე´ნცია ნონ ესტ *ნი´სი/ნი´ზი ად ბო´ნუმ] ძალაუფლება არსებობს მხოლოდ სიკეთისთვის

potentia propinqua [*პოტე´ნტია/პოტე´ნცია პროპი´ნკვა] რეალური შესაძლებლობა

potestas delegata non potest delegari [პოტე´სტას დელეგა´ტა ნონ პო´ტესტ დელეგა´რი] დელეგირებული უფლებამოსილება არ შეიძლება იყოს დელეგირებული

potestas regis est facere iustitiam [პოტე´სტას რე´გის ესტ *ფა´კერე/ფა´ცერე *იუსტი´ტიამ/იუსტი´ციამ] მეფის უფლებაა მართლმსაჯულების განხორციელება

potestas regis iuris sit, non iniuriae [პოტე´სტას რე´გის იუ´რის სიტ, ნონ ინიუ´რიე] მეფის ძალაუფლება უნდა მომდინარეობდეს სამართლიდან და არა უსამართლობიდან

potestas stricte interpretatur [პოტე´სტას სტრი´კტე ინტერპრეტა´ტურ] უფლება-მოსილება მოკლედ უნდა განიმარტოს

potestas suprema seipsum dissolvere potest, ligare non potest [პოტე´სტას სუპრე´მა სეი´პსუმ დისსო´ლვერე პო´ტესტ, ლიგა´რე ნონ პო´ტესტ] უმაღლეს ხელისუფლებას შეუძლია თვითგაუქმება, მაგრამ არა – თვითშეზღუდვა

potest quis renunciare pro se, et suis, ius quod pro se introductum est [პო´ტესტ კვის *რენუნტია´რე/რენუნცია´რე პრო სე, ეტ სუ´ის, ი´უს კვოდ პრო სე ინტრო-დუ´კტუმ ესტ] ყველას შეუძლია თავისი და თავის სამართალმემკვიდრეთა სახელით უარი თქვას უფლებაზე, რომელიც მას მიანიჭეს

potior (est) conditio defendentis (possidentis) [*პო´ტიორ/პო´ციორ (ესტ) *კონ-დი´ტიო/კონდი´ციო დეფენდე´ნტის (პოსსიდე´ნტის)] მოპასუხის (მფლობელის) მდგომარეობა უფრო ძლიერია

praecipitium [*პრეკიპი´ტიუმ/პრეციპი´ციუმ] დასჯის ძველი ფორმა, რომლის თანახმადაც, დამნაშავეს აგდებდნენ მაღალი ადგილიდან

praeco [პრე´კო] სასამართლო მაცნე

praecognita [პრეკო´გნიტა] საკითხები, რომლებიც წარმოადგენს წინაპირობას სხვა საკითხთა შესაცნობად

praedia bella [პრე´დია ბე´ლლა]საომარი მოქმედებების დროს მოპოვებული ქონება, სამხედრო ნადავლი

praedia stipendiaria [პრე´დია სტიპენდია´რია] მიწები პროვინციებში, რომლებიც რომაელ ხალხს ეკუთვნოდა

praedia tributaria [პრე´დია ტრიბუტა´რია] მიწები პროვინციებში, რომლებიც ეკუთვნოდა რომის იმპერატორს

praedia volantia [პრე´დია *ვოლა´ნტია/ვოლა´ნცია] „მოძრავი ქონება“: მაგალითად, მძიმე ავეჯი, რომელიც დაკავშირებულია სახლთან და რომელიც ითვლება მის ნაწილად

praeiudicialis [*პრეიუდიკია´ლის/პრეიუდიცია´ლის] წინასწარ გადაწყვეტილი; საკითხი, რომლის შესახებ წინასწარ იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება

praeiudicium [*პრეიუდი´კიუმ/პრეიუდი´ციუმ] წინასწარი გადაწყვეტილება

praemissae [პრემი´სსე] არგუმენტის ან მსჯელობის საყრდენი; ის, რაც მანამდეა დაწერილი იმავე დოკუმენტში

praemissorum ignarus [პრემისსო´რუმ იგნა´რუს] საქმის კურსში ყოფნა

praemium concubinati (pudicitiae) [პრე´მიუმ კონკუბინა´ტი (*პუდიკი´ტიე/პუდი-ცი´ტიე)] ქალწულობის დაკარგვის გამო საზღაურის მიგება

praemium pudoris [პრე´მიუმ პუდო´რის] საზღაურის მიგება შერცხვენისათვის

praemunire [პრემუნი´რე] დანაშაული, რაც ვლინდება სხვა ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებაში

praenomen [პრენო´მენ] რომაული სახელის პირველი შემადგენელი ნაწილი

praepropera consilia raro sunt prospera [პრეპრო´პერა კონსი´ლია რა´რო სუნტ პრო´სპერა] ნაჩქარევი რჩევები არ არის სარგებლის მომტანი

praerogativa regis [პრეროგატი´ვა რე´გის] მეფის პრეროგატივა

praescriptio [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო] საკუთრების შეძენა უწყვეტი ფლობის შედეგად; შეძენითი ხანდაზმულობა

praescriptio est titulus ex usu et tempore substantiam capiens ab auctoritate legis [*პრესკრი´პტიო/პრესკრი´პციო ესტ ტი´ტულუს ექს *უ´სუ/უ´ზუ ეტ ტე´მპორე *სუბსტა´ნტიამ/სუბსტა´ნციამ კა´პიენს აბ აუკტორიტა´ტე ლე´გის] საკუთრების შეძენა ფლობითი ხანდაზმულობის საფუძველზე არის ტიტული, რომელიც, კანონის მიხედვით, ემყარება სარგებლობას და გარკვეული ვადის გასვლას

praesens in curia [*პრე´სენს/პრე´ზენს ინ კუ´რია] სასამართლოში მყოფი

praestat cautela quam medela [პრე´სტატ კაუტე´ლა კვამ მედე´ლა] წინასწარ სიფრთხილის გამოჩენა სჯობს, ვიდრე შემდეგ ფიქრი (მდგომარეობის) გამოსწორებაზე

praestatio [*პრესტა´ტიო/პრესტა´ციო] გადასახადი, რომელსაც ვასალი უხდიდა პატრონს ბეგარის სახით ან მიწაზე მოყვანილი მოსავლის გადაცემით

praesumitur pro iustitia sententiae, legitimatione, negante, reo [*პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ პრო *იუსტი´ტია/იუსტი´ცია *სენტე´ნტიე/სენტე´ნციე, *ლეგიტიმატიო´ნე/ლეგიტიმაციო´ნე, ნეგა´ნტე, რე´ო] არსებობს პრეზუმპცია განაჩენის სამართლიანობის, კანონიერების და უარყოფისა, მოპასუხის სასარგებლოდ

praesumptio ex eo quod plerumque fit [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო ექს ე´ო კვოდ პლერუ´მკვე ფიტ] პრეზუმპცია მომდინარეობს იქიდან, რაც ხდება, ჩვეულებრივ, მრავალგზის

praesumptio fortior [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო ფო´რტიორ] უფრო ძლიერი პრეზუმპცია

praesumptio hominis [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო ჰო´მინის] ბუნებრივი, „ადამიანური“ პრეზუმპცია

praesumptio iuris [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო იუ´რის] იურიდიული პრეზუმპცია, პრეზუმპცია, რომელიც გამომდინარეობს პირველი შთაბეჭდილებიდან

praesumptio iuris et de iure [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო იუ´რის ეტ დე იუ´რე] სამართალთან დაკავშირებული იურიდიული პრეზუმპცია; უცილობელი პრეზუმპცია

praesumptio iuris plena probatio [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო იუ´რის პლე´ნა *პრობა´ტიო/პრობა´ციო] იურიდიული პრეზუმპცია წარმოადგენს სრულ მტკიცებულებას

praesumptiones sunt coniecturae ex signo verisimili ad probandum assumptae [*პრესუმპტიო´ნეს/პრეზუმპციო´ნეს სუნტ კონიეკტუ´რე ექს სი´გნო ვერისი´მილი ად პრობა´ნდუმ ასსუ´მპტე] პრეზუმპცია არის სარწმუნო ცნობათა ვარაუდი, რაც გამოიყენება მტკიცებისათვის

praesumptio (violenta) valet in lege [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო (ვიოლე´ნტა) ვა´ლეტ ინ ლე´გე] (ძლიერ) პრეზუმპციად სამართალი თვლის იმას, რომელსაც აქვს უპირატესი მნიშვნელობა

praesumptio violenta, plena probatio [*პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო ვიოლე´ნტა, პლე´ნა *პრობა´ტიო/პრობა´ციო] ძლიერი პრეზუმპცია უთანაბრდება სრულ მტკიცებულებას

praeteritorum memoria eventorum [პრეტერიტო´რუმ მემო´რია ევენტო´რუმ] მომხდარ მოვლენათა ხსოვნა

praetextu liciti non debet admitti illicitum [პრეტექ´სტუ *ლი´კიტი/ლი´ციტი ნონ დე´ბეტ ადმი´ტტი *ილლი´კიტუმ/ილლი´ციტუმ] არაკანონიერი არ უნდა იყოს ნებადართული კანონიერების საბაბით

praevaricator [პრევარიკა´ტორ] პირი, რომელმაც დაარღვია პირობა მასზე მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებით

prava consuetudo [პრა´ვა კონსუეტუ´დო] ცუდი ჩვეულება; გაუკუღმართებული ჩვეულება

praxis iudicum est interpres legum [პრა´ქსის იუ´დიკუმ ესტ ინტე´რპრეს ლე´გუმ] სასამართლო პრაქტიკა არის კანონების განმმარტებელი

precariae [პრეკა´რიე] დღიური სამუშაოები

prece partium [*პრე´კე/პრე´ცე პა´რტიუმ] მხარეთა შუამდგომლობით

pretium affectionis [*პრე´ტიუმ *აფფეკტიო´ნის/პრე´ციუმ აფფეკციო´ნის] მიჯაჭვულობის ფასი, დაკარგული ნივთის პოვნისთვის დაწესებული ჯილდო, რომელიც განისაზღვრება მისი ინდივიდუალური მნიშვნელობით მფლობელისათვის (მაგ. ოჯახური ფოტო)

pretium periculi [*პრე´ტიუმ/პრე´ციუმ პერი´კული] გასამრჯელო რისკისათვის; ანაზღაურება რისკისათვის საზღვაო დაზღვევის თანახმად

pretium succedit in locum rei [*პრე´ტიუმ/პრე´ციუმ *სუკკე´დიტ/სუკცე´დიტ ინ ლო´კუმ რე´ი] ნივთის ფასი ენაცვლება თვით ნივთს

pretorium [პრეტო´რიუმ] რომაელი პრეტორის ოფიციალური რეზიდენცია; სასამართლოს შენობა

primae impressionis [პრი´მე იმპრესსიო´ნის] პირველი შთაბეჭდილებით

prima facie [პრი´მა *ფა´კიე/ფა´ციე] ერთი შეხედვით

prima pars aequitatis aequalitas [პრი´მა პარს ეკვიტა´ტის ეკვა´ლიტას] მნიშვნელოვანი თვისება სამართლიანობისა არის თანასწორობა

prima tonsura [პრი´მა *ტონსუ´რა/ტონზუ´რა] „პირველი ჭრა“ – უფლება პირველ მოსავალზე

primitiae [*პრიმი´ტიე/პრიმი´ციე] პირველი ნაყოფი

primogenitus [პრიმოგე´ნიტუს] პირველად დაბადებული

primo venienti [პრი´მო ვენიე´ნტი] პირველ მომსვლელს

primus inter pares [პრი´მუს ი´ნტერ პა´რეს] პირველი თანასწორთა შორის

princeps et respublica ex iusta causa possunt rem meam auferre [*პრი´ნკეპს/პრი´ნცეპს ეტ რესპუ´ბლიკა ექს იუ´სტა *კა´უსა/კა´უზა პო´სსუნტ რემ მე´ამ აუფე´რრე] მბრძანებელსა და სახელმწიფოს საფუძვლიანი მიზეზის არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ ჩამომართვან საკუთრება

princeps legibus solutus est [*პრი´ნკეპს/პრი´ნცეპს ლე´გიბუს სო´ლუტუს ესტ] ბატონი თავისუფალია კანონის მოქმედებიდან

principia data sequuntur concomitantia [*პრინკი´პია/პრინცი´პია და´ტა სეკვუ´ნტურ *კონკომიტა´ნტია/კონკომიტა´ნცია] თუ პრინციპები მოცემულია, თანმხლები გარემოებები თან მოსდევენ მათ

principia probant, non probantur [*პრინკი´პია/პრინცი´პია პრო´ბანტ, ნონ პრობა´ნტურ] პრინციპები მტკიცების არსია, ისინი არ ექვემდებარებიან მტკიცებას

principiis obsta [*პრინკი´პიის/პრინცი´პიის ო´ბსტა] წინ აღუდექი საწყისს; უბედურება გაანადგურე ჩანასახშივე

principiorum non est ratio [*პრინკიპიო´რუმ/პრინციპიო´რუმ ნონ ესტ *რა´ტიო/რა´ციო] პრინციპებისათვის არ არსებობს მიზეზები

principium est potissima pars cuiusque rei [*პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ ესტ პოტი´სსიმა პარს კუიუ´სკვე რე´ი] საწყისი ყველაფრის მნიშვნელოვანი ნაწილია

principium et fons [*პრინკი´პიუმ/პრინცი´პიუმ ეტ ფონს] საწყისი და წყარო

prior (in) tempore, potior (in) iure [პრი´ორ (ინ) ტე´მპორე, პო´ტიორ (ინ) იუ´რე] ვინც პირველია მას მეტი უფლება აქვს

prior petens [პრი´ორ პე´ტენს] პირველი განმცხადებელი; მოსარჩელე, რომელმაც სარჩელი უფრო ადრე წარადგინა, ვიდრე მოპასუხემ – პრეტენზიები

prior possessio cum titulo posteriore melior est priore titulo sine possessione [პრი´ორ პოსსე´ს‌სიო კუმ ტი´ტულო პოსტერიო´რე მე´ლიორ ესტ პრიო´რე ტი´ტულო სი´ნე პოსსესსიო´ნე] უწინდელი მფლობელობა მომდევნო ტიტულით უკეთესია, ვიდრე წინა ტიტული მფლობელობის გარეშე

prius vitiis laboravimus, nunc legibus [პრი´უს *ვი´ტიის/ვი´ციის ლაბორა´ვიმუს, ნუნკ ლე´გიბუს] ადრე გვამძიმებდა მანკიერება, ახლა – კანონები

privatio praesupponit habitum [*პრივა´ტიო/პრივა´ციო პრესუპპო´ნიტ ჰა´ბიტუმ] დანაკარგი გულისხმობს იმას, რაც არსებობდა

privatis pactionibus non dubium est non laedi ius caeterorum [პრივა´ტის *პაკტიო´ნიბუს/პაკციო´ნიბუს ნონ დუ´ბიუმ ესტ ნონ ლე´დი იუს *კეტერო´რუმ/ცეტერო´რუმ] ეჭვი არ არსებობს, რომ კერძო შეთანხმებები არ ეხებიან სხვა პირთა უფლებებს

privatorum conventio (pacta) iuri publico (communi) non derogat [პრივატო´რუმ *კონვე´ნტიო/კონვე´ნციო (პა´კტა) იუ´რი პუ´ბლიკო (კომმუ´ნი) ნონ დე´როგატ] კერძო პირთა შეთანხმებებს არ ძალუძთ გავლენა მოახდინონ საჯარო სამართალზე

privatum commodum publico cedit [პრივა´ტუმ კო´მმოდუმ პუ´ბლიკო *კე´დიტ/ცე´დიტ] კერძო პირთა კეთილდღეობამ ადგილი უნდა დაუთმოს საერთო კეთილდღეობას

privatum incommodum publico bono pensatur [პრივა´ტუმ ინკო´მმოდუმ პუ´ბლიკო ბო´ნო პენსა´ტურ] კერძო პირთა უხერხულობა უნდა უგულებელყოფილ იქნას საერთო კეთილდღეობისთვის

privilegia favorabilia [პრივილე´გია ფავორაბი´ლია] კერძო კანონები, გამოცემული ცალკეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით

privilegium, contra rempublicam non valet [პრივილე´გიუმ, კო´ნტრა რემპუ´ბლიკამ ნონ ვა´ლეტ] პრივილეგია არ მოქმედებს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ

privilegium est beneficium personale et extinguitur cum persona [პრივილე´გიუმ ესტ *ბენეფი´კიუმ/ბენეფი´ციუმ პერსონა´ლე ეტ ექსტი´ნგუიტურ კუმ პერსო´ნა] პრივილეგია არის პიროვნების უპირატესობა და წყდება მისი მფლობელის სიკვდილთან ერთად

privilegium est quasi privata lex [პრივილე´გიუმ ესტ *კვა´სი/კვა´ზი პრივა´ტა ლექს] პრივილეგია არის თითქმის კერძო კანონი

probabilis causa litigandi [პრობა´ბილის *კა´უსა/კა´უზა ლიტიგა´ნდი] სასამართლო დავის სავარაუდო საფუძველი

probandi necessitas incumbit illi qui agit [პრობა´ნდი *ნეკე´სსიტას/ნეცე´სსიტას ინკუ´მბიტ ი´ლლი კვი ა´გიტ] მტკიცების ტვირთი აწევს მას, ვინც წარადგენს სარჩელს

ratio est legis anima (anima legis); mutata legis ratione mutatur et lex [*რა´ტიო/რა´ციო ესტ ლე´გის ა´ნიმა (ა´ნიმა ლე´გის); მუტა´ტა ლე´გის *რატიო´ნე/რაციო´ნე მუტა´ტურ ეტ ლექს] მოტივი არის კანონის სული; მოტივის შეცვლისას იცვლება კანონიც
ratio impertinens [*რა´ტიო/რა´ციო იმპერტი´ნენს] უადგილო არგუმენტი (რომელსაც არ აქვს კავშირი საკითხთან)
ratio in iure aequitas integra [*რა´ტიო/რა´ციო ინ იუ´რე ე´კვიტას ი´ნტეგრა] კანონის არსი არის მიუკერძოებელი სამართლიანობა
ratio legis [*რა´ტიო/რა´ციო ლე´გის] კანონის მოტივი; კანონის საფუძველი; კანონის არსებობის მიზეზი
ratione contractus [*რატიო´ნე/რაციო´ნე კონტრა´კტუს] შეთანხმების საფუძველზე
ratione impotentiae [*რატიო´ნე *იმპოტე´ნტიე/რაციო´ნე იმპოტე´ნციე] შესაძლებლობის არქონის მიზეზით
ratione loci [*რატიო´ნე/რაციო´ნე *ლო´კი/ლო´ცი] ადგილთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით
ratione materiae [*რატიო´ნე/რაციო´ნე მატე´რიე] საკითხის განხილვასთან დაკავშირებული გარემოებების გათვალისწინებით

ratione personae [*რატიო´ნე/რაციო´ნე პერსო´ნე] გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია პირთან

ratione praescriptionis [*რატიო´ნე *პრესკრიპტიო´ნის/რაციო´ნე პრესკრიპციო´ნის] ხანდაზმულობის საფუძვლით

ratione privilegii [*რატიო´ნე/რაციო´ნე პრივილე´გიი] პრივილეგიის საფუძველზე

rationes [*რატიო´ნეს/რაციო´ნეს] მხარეთა პოზიციის დაფიქსირება სასამართლო განხილვისას

ratio pertinens [*რა´ტიო/რა´ციო პე´რტინენს] მართებული არგუმენტი (რომელსაც კავშირი აქვს საკითხთან)

ratum [რა´ტუმ] ნამდვილად აღიარებული

re [რე] საქმეზე; დაკავშირებით; რაც შეეხება

ream linguam non facit nisi mens rea [რე´ამ ლი´ნგუამ ნონ *ფა´კიტ/ფა´ციტ *ნი´სი/ნი´ზი მენს რე´ა] ენა არ არის დამნაშავე, თუ დამნაშავე არ არის აზრი

rebus sic stantibus [რე´ბუს სიკ სტა´ნტიბუს] ვიდრე გარემოებები არ შეიცვლება (ფორმულა, რომელიც იძლევა ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობას გარემოების შეცვლის შემთხვევაში)

receditur a placitis iuris potius quam iniuriae et delicta maneant impunita [*რეკე´დიტურ/რეცე´დიტურ ა *პლა´კიტის/პლა´ციტის იუ´რის *პო´ტიუს/პო´ციუს კვამ ინიუ´რიე ეტ დელი´კტა მა´ნეანტ იმპუ´ნიტა] უმჯობესია, გვერდი აუარო დადგენილ კანონებს, ვიდრე დაუშვა, რომ სამართალდარღვევა და დანაშაული დარჩეს დაუსჯელი

recens secta [*რე´კენს/რე´ცენს სე´კტა] მიმართვა სასამართლოსადმი ცხელ კვალზე სარჩელის აღძვრის მოთხოვნით

receptus [*რეკე´პტუს/რეცე´პტუს] არბიტრი

recordatur [რეკორდა´ტურ] დაე, ეს ჩართულ იქნას ჩანაწერში

recordum [რეკო´რდუმ] ჩანაწერი

rectatus [რექტა´ტუს] დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი ან ბრალდებული პირი

recte [რე´კტე] სწორად; მართებული გზით; შესაბამისი სახით; კარგად

rector provinciae [რე´კტორ *პროვი´ნკიე/პროვი´ნციე] რომის პროვინციის მმართველი

rectum [რე´კტუმ] ის, რაც სწორია; სიმართლე

rectus in curia [რე´კტუს ინ კუ´რია] მართალი სასამართლოში; სასამართლოს აზრით, კარგ მდგომარეობაში მყოფი; გამართლებული, რეაბილიტირებული

recuperatio, i.e., ad rem per iniuriam extortam sive detentam, per sententiam iudicis restitutio [*რეკუპერა´ტიო, ი. ე., ად რემ პერ ინიუ´რიამ ექსტო´რტამ სი´ვე დეტე´ნტამ, პერ *სენტე´ნტიამ/სენტე´ნციამ *იუ´დიკის/იუ´დიცის *რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო] რეკუპერაცია, ანუ, სასამართლოს გადაწყვეტილებით ნივთის გამოთხოვა, რომელიც უკანონოდ იქნა ამოღებული

recuperatores [რეკუპერატო´რეს] რომაელი მოსამართლეები

recurrendum est ad extraordinarium quando non valet ordinarium [რეკურრე´ნდუმ ესტ ად ექსტრაორდინა´რიუმ კვა´ნდო ნონ ვა´ლეტ ორდინა´რიუმ] იძულებულია მიმართოს საგანგებო საშუალებებს, როდესაც წარუმატებელია ჩვეულებრივი საშუალებები

recusatio testis [*რეკუსა´ტიო/რეკუზა´ციო ტე´სტის] მოწმის აცილება იმ მიზეზით, რომ მას არ შეუძლია ჩვენების მიცემა

reddendo singula singulis [რედდე´ნდო სი´ნგულა სი´ნგულის] „ცალკეული ცალკეულს“: განმარტების ხერხი, როდესაც კანონის სიტყვები ან დებულებები განიხილება ცალ-ცალკე

red(d)itus albi [რე´დ(დ)იტუს ა´ლბი] „თეთრი იჯარა“, ვერცხლით გადახდილი იჯარა

red(d)itus assisus [რე´დ(დ)იტუს ასსი´სუს] ფიქსირებული იჯარა

redemptiones [*რედემპტიო´ნეს/რედემპციო´ნეს] დაბრუნება; გამოსასყიდი; ქრთამი; მაღალი ჯარიმა

redobatores [რედობა´ტორეს] ქურდები, რომლებიც ღებავენ მოპარულს კვალის დაფარვის მიზნით

reductio ad absurdum [*რედუ´კტიო/რედუ´კციო ად აბსუ´რდუმ] აბსურდამდე მიყვანა; აბსურდული დასკვნა

referendarius [რეფერენდა´რიუს] რომაელი მოხელე, რომელიც იმპერატორს წარუდგენდა მომჩივანთა მიმართვებს

referendo singula singulis [რეფერე´ნდო სი´ნგულა სი´ნგულის] სიტყვების და გამოთქმების ცალ-ცალკე განმარტება

regalia maiora [რეგა´ლია მაიო´რა] უმაღლესი სამეფო პრივილეგიები და პრეროგატივები

regalia minora [რეგა´ლია მინო´რა] დაბალი სამეფო პრივილეგიები და პრეროგატივები, რომლებიც ეხებიან სამეფო შემოსავლებს

rege inconsulto [რე´გე ინკონსუ´ლტო] „მეფეს არ მიუღია რჩევა“: სასამართლოს ბრძანება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ, რომელიც მეფეს ეხება, იმ დრომდე, ვიდრე მეფე განსაზღვრავს საქმისადმი მის დამოკიდებულებას

reges ex nobilitate, duces ex virtute sumunt [რე´გეს ექს ნობილიტა´ტე, *დუ´კეს/დუ´ცეს ექს ვირტუ´ტე სუ´მუნტ] მეფეებს ირჩევენ დიდგვაროვნობის, სარდლებს კი – სიქველის გამო

regia dignitas est indivisibilis, et quaelibet alia derivativa dignitas est similiter indivisibilis [რე´გია დი´გნიტას ესტ *ინდივისი´ბილის/ინდივიზი´ბილის, ეტ კვე´ლიბეტ ა´ლია დერივატი´ვა დი´გნიტას ესტ სიმი´ლიტერ *ინდივისი´ბილის/ინდივიზი´ბილის] სამეფო დიდება (წოდება) განუყოფელია, და მისგან მომდინარე ყველა დიდება ასევე განუყოფელია

registrarius [რეგისტრა´რიუს] თანამდებობის პირი, რომელიც ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებს

regnum non est divisibile [რე´გნუმ ნონ ესტ *დივისი´ბილე/დივიზი´ბილე] სამეფო განუყოფელია

regula est, iuris quidem ignorantiam cuique nocere, facti vero ignorantium non nocere [რე´გულა ესტ, იუ´რის კვი´დემ *იგნორა´ნტიამ/იგნორა´ნციამ კუი´კვე *ნოკე´რე/ნოცე´რე, ფა´კტი ვე´რო *იგნორა´ნტიუმ/იგნორა´ნციუმ ნონ *ნოკე´რე/ნოცე´რე] წესი ასეთია, რომ პირის მიერ კანონის არცოდნა შეიძლება მისთვის საზიანო იყოს (არ გაათავისუფლოს პასუხისმგებლობისგან), მაგრამ ფაქტის არცოდნა შეიძლება მისთვის საზიანო არ იყოს (გაათავისუფლოს მისგან)

regulariter [რეგულა´რიტერ] რეგულარულად; წესის შესაბამისად

regulariter non valet pactum de re mea non alienanda [რეგულა´რიტერ ნონ ვა´ლეტ პა´კტუმ დე რე მე´ა ნონ ალიენა´ნდა] წესის თანახმად, შეთანხმება, რომ მე არ გავასხვისებ ჩემს საკუთრებას, ბათილია

rei depositae proprietas apud deponentem manet, sed et possessio [რე´ი *დეპო´სიტე/დეპო´ზიტე პროპრი´ეტას ა´პუდ დეპონე´ნტემ მა´ნეტ, სედ ეტ პოსსე´სსიო] საკუთრება დეპონირებულ ნივთზე და ასევე ამ ნივთის მფლობელობის უფლება რჩება დეპოზიტორს

rei interventus [რე´ი ინტერვე´ნტუს] შემოჭრილი, უეცრად შექმნილი გარემოება; გარემოება, რომელიც მხარეს არ აძლევს უფლებას გააპროტესტოს ან მოიყვანოს რომელიმე ფაქტი

reipublicae interest voluntates defunctorum effectum sortiri [რეიპუ´ბლიკე ი´ნტერესტ ვოლუნტა´ტეს დეფუნკტო´რუმ ეფფე´კტუმ სორტი´რი] სახელმწიფოს ინტერესი იმაშია, რომ მიცვალებულთა ნება აღსრულდეს

rei turpis nullum mandatum est [რე´ი ტუ´რპის ნუ´ლლუმ მანდა´ტუმ ესტ] ბრძანება ამორალური ქმედების ჩადენის შესახებ ბათილია

relativorum cognito uno, cogniscitur et alterum [რელატივო´რუმ კო´გნიტო უ´ნო, *კოგნი´სკიტურ/კოგნი´სციტურ ეტ ა´ლტერუმ] როდესაც ორი ურთიერთდაკავშირებული საგნიდან ერთ-ერთი ცნობილია, მეორეც ასევე ცნობილია

relegatio [*რელეგა´ტიო/რელეგა´ციო] განდევნის სახეობა, რომლის დროსაც განდევნილი ინარჩუნებდა თავის სამოქალაქო უფლებებს

relicta [რელი´კტა] მოპასუხის უარი გაასაჩივროს სარჩელი

religio sequitur patrem [რელი´გიო სე´კვიტურ პა´ტრემ] რელიგია მიჰყვება მამას: ივარაუდება, რომ შვილი იღებს მამის სარწმუნოებას

relocatio [*რელოკა´ტიო/რელოკა´ციო] საიჯარო ხელშეკრულების განახლება პირობათა შეუცვლელად

rem domino vel non domino vendente duobus in iure est potior venditione prior [რემ დო´მინო ველ ნონ დო´მინო ვენდე´ნტე დუო´ბუს ინ იუ´რე ესტ *პო´ტიორ/პო´ციორ *ვენდიტიო´ნე/ვენდიციო´ნე პრი´ორ] თუ ვინმე, მესაკუთრე ან ნივთის მფლობელი, მიჰყიდის ნივთს ორ პიროვნებას, მას, რომელსაც ნივთი მიჰყიდეს უფრო ადრე, მეტი უფლება აქვს

remissius imperanti melius paretur [რემი´სსიუს იმპერა´ნტი მე´ლიუს პარე´ტურ] იმას, ვინც გასცემს ბრძანებებს ყველაზე რბილად, ყველაზე კარგად ემორჩილებიან

reo absente [რე´ო აბსე´ნტე] მოპასუხის არყოფნის დროს

reparatio pontium [*რეპარა´ტიო *პო´ნტიუმ/რეპარა´ციო პო´ნციუმ] ხიდების შეკეთება

repellitur a sacramento infamis [რეპე´ლლიტურ ა საკრამე´ნტო ინფა´მის] უკეთური თავს იკავებს ფიცის დადებისაგან

repetundarum crimen [რეპეტუნდა´რუმ კრი´მენ] მექრთამეობა; სახელმწიფო მოხელის მიერ აღებული ქრთამი ან მის მიერ ჩადენილი გამომძალველობა

replicatio [*რეპლიკა´ტიო/რეპლიკა´ციო] რომის იმპერიაში მოსარჩელის პასუხი მოპასუხის შესაგებელზე

reprobata pecunia liberat solventem [რეპრობა´ტა პეკუ´ნია ლი´ბერატ სოლვე´ნტემ] ფულის მიღებაზე უარის თქმა ვალდებულებისგან ათავისუფლებს მას, ვინც იხდის (ვალს)

repudium [რეპუ´დიუმ] ქორწინების პირობის დარღვევა; ქორწინების გაუქმება ცოლის ან ქმრის ცალმხრივი განცხადებით

reputatio est vulgaris opinio ubi non est veritas [*რეპუტა´ტიო/რეპუტა´ციო ესტ ვულგა´რის ოპი´ნიო უ´ბი ნონ ესტ ვე´რიტას] რეპუტაცია არის საყოველთაო მოსაზრება, რომელშიც არ არის ჭეშმარიტება

rerum ordo confunditur, si unicuique iurisdictio non servetur [რე´რუმ ო´რდო კონფუ´ნდიტურ, სი უნიკვი´კვე *იურისდი´კტიო/იურისდი´კციო ნონ სე´რვეტურ] საგანთა წესრიგი ირღვევა, თუ არავინ ანგარიშს არ უწევს თავისი იურისდიკციის სფეროს

rerum progressu ostendunt multa, quae in initio praecaveri seu praevideri non possunt [რე´რუმ პროგრე´სსუ ოსტე´ნდუნტ მუ´ლტა, კვე ინ *ინი´ტიო/ინი´ციო პრეკავე´რი სე´უ პრევიდე´რი ნონ პო´სსუნტ] მოვლენათა განვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს მრავალი გარემოება, რომლის წინასწარ განჭვრეტა და აღკვეთა იმთავითვე შეუძლებელი იყო

rerum suarum quilibet est moderator et arbiter [რე´რუმ სუა´რუმ კვი´ლიბეტ ესტ მოდერა´ტორ ეტ ა´რბიტერ] ყველა არის თავისი საქმის განმგებელი და ბატონი

res accendent lumina rebus [რეს *აკკე´ნდეტ/აკცე´ნდეტ ლუ´მინა რე´ბუს] საგნები (საქმეები) ნათელს ჰფენენ სხვა საგნებს (საქმეებს)

res accessoria [რეს *აკკესსო´რია/აკცესსო´რია] კუთვნილება

res accessoria non ducit, sed sequitur suum principale [რეს *აკკესსო´რია/აკცესსო´რია ნონ *დუ´კიტ/დუ´ციტ, სედ სე´კვიტურ სუ´უმ *პრინკიპა´ლე/პრინციპა´ლე] საკუთვნებელი არ უსწრებს, არამედ მიჰყვება მთავარ ნივთს

res accessoria sequitur rem principalem [რეს *აკკესსო´რია/აკცესსო´რია სე´კვიტურ რემ *პრინკიპა´ლემ/პრინციპა´ლემ] საკუთვნებელი მისდევს მთავარ ნივთს

res accrescit domino [რეს *აკკრე´სკიტ/აკკრე´სციტ დო´მინო] მთავარი ნივთი სხვა ნივთისგან იღებს ნაყოფს

res aliena [რეს ალიე´ნა] სხვა პირის ქონება

res caduca [რეს კადუ´კა] დავარდნილი ნივთი; უპატრონო ქონება

res communes [რეს კომმუ´ნეს] საერთო საკუთრებაში არსებული ნივთები

res controversa [რეს კონტროვე´რსა] დავის საგანი

res coronae [რეს კორო´ნე] გვირგვინის საკუთრება

rescussor [რესკუ´სსორ] პირი, რომელიც ეხმარება სხვას გაქცევაში

rescussus [რესკუ´სსუს] გაქცევაში ხელშეწყობა

rescutere [რესკუ´ტერე] გაქცევაში დახმარების აღმოჩენა

res denominatur a principaliori parte [რეს დენომინა´ტურ ა *პრინკიპალიო´რი/პრინციპალიო´რი პა´რტე] ნივთი სახელს იღებს მისი მთავარი ნაწილიდან

res derelicta [რეს დერელი´კტა] მიტოვებული ქონება

res est misera ubi ius est vagum et incertum [რეს ესტ *მი´სერა/მი´ზერა უ´ბი ი´უს ესტ ვა´გუმ ეტ *ინკე´რტუმ/ინცე´რტუმ] საქმე ცუდადაა, თუ კანონი ბუნდოვანია და განუსაზღვრელი

res generalem habet significationem, quia tam corporea, quam incorporea, cuiuscunque sunt generis naturae sive speciei, comprehendit [რეს გენერა´ლემ ჰა´ბეტ *სიგნიფიკატიო´ნემ/სიგნიფიკაციო´ნემ, კვი´ა ტამ კორპო´რეა, კვამ ინკორპო´რეა, კუიუსკუ´ნკვე სუნტ გე´ნერის ნატუ´რე სი´ვე *სპე´კიეი/სპე´ციეი, კომპრეჰე´ნდიტ] ქონებას აქვს ზოგადი მნიშვნელობა, რამდენადაც მოიცავს როგორც მატერიალურს, ასევე არამატერიალურს, რა სახის, ტიპის თუ სახეობისაც არ უნდა იყოს ნივთი

res gestae [რეს გე´სტე] ქმედებები ან სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მოვლენის არსს

resignatio est iuris proprii spontanea refutatio [*რესიგნა´ტიო/რესიგნა´ციო ესტ იუ´რის პრო´პრიი სპონტა´ნეა *რეფუტა´ტიო/რეფუტა´ციო] რესიგნაცია ნიშნავს ნებაყოფლობით უარის თქმას საკუთარ უფლებაზე

res immobiles [რეს იმმო´ბილეს] უძრავი ქონება, მიწა და მასზე მდგარი ხეები ან ნაგებობები

res in re [რეს ინ რე] მამაკაცის სასქესო ორგანოს შესვლა ქალის სასქესო ორგანოში

res integra [რეს ი´ნტეგრა] ახალი საკითხი; უპრეცედენტო შემთხვევა

res inter alios [რეს ი´ნტერ ა´ლიოს] ურთიერთობები სხვადასხვა პირთა შორის

res inter alios acta [რეს ი´ნტერ ა´ლიოს ა´კტა] გარეშე პირთა ან მხარეთა ქმედებები ან განცხადებები

res inter alios acta alteri nocere non debet [რეს ი´ნტერ ა´ლიოს ა´კტა ა´ლტერი *ნოკე´რე/ნოცე´რე ნონ დე´ბეტ] გარიგებები რამდენიმე პირს შორის არ უნდა იყოს მესამე პირისთვის ზიანის მომტანი

res inter alios iudicatae nullum aliis praeiudicium faciunt [რეს ი´ნტერ ა´ლიოს იუდიკა´ტე ნუ´ლლუმ ა´ლიი *პრეიუდი´კიუმ/პრეიუდი´ციუმ *ფა´კიუნტ/ფა´ციუნტ] სხვადასხვა პირს შორის დავის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილებები არ ეხება იმ პირებს, რომლებიც არ იღებდნენ მონაწილეობას დავაში

res ipsa loquitur [რეს ი´პსა ლო´კვიტურ] ნივთი (საქმე) თავის თავზე მეტყველებს

res iudicata [რეს იუდიკა´ტა] სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საკითხი, რომელიც ხელახლა აღარ განიხილება იმავე სასამართლოს მიერ ან პარალელური იურისდიქციის სასამართლოს მიერ

res iudicata facit ex albo nigrum, ex nigro album, ex curvo rectum, ex recto curvum [რეს იუდიკა´ტა *ფა´კიტ/ფა´ციტ ექს ა´ლბო ნი´გრუმ, ექს ნი´გრო ა´ლბუმ, ექს კუ´რვო რე´კტუმ, ექს რე´კტო კუ´რვუმ] სასამართლო გადაწყვეტილება თეთრს ხდის შავად, შავს – თეთრად, ირიბს – სწორად, სწორს – ირიბად

res iudicata pro veritate accipitur (habetur) [რეს იუდიკა´ტა პრო ვერიტა´ტე *აკი´პიტურ/აკცი´პიტურ (ჰაბე´ტურ)] სასამართლო გადაწყვეტილება ითვლება ჭეშმარიტად

res mancipi [რეს *მა´ნკიპი/მა´ნციპი] ნივთები, რომლებიც შეიძლება იყოს მანციპიუმის წესით ნასყიდობის საგანი

res mobiles [რეს მო´ბილეს] მოძრავი ქონება

res nova [რეს ნო´ვა] ახალი საკითხი; უპრეცედენტო საქმე

res nullius [რეს ნულლი´უს] ქონება, რომელიც არავის ეკუთვნის

res nullius naturaliter fit primi occupantis [რეს ნულლი´უს ნატურა´ლიტერ ფიტ პრი´მი ოკკუპა´ნტის] არავის კუთვნილი ქონება, ბუნებრივია, ხდება იმ პირის საკუთრება, რომელიც დაეუფლება მას

resoluto iure concedentis, resolvitur ius concessum [*რესოლუ´ტო/რეზოლუ´ტო იუ´რე *კონკედე´ნტის/კონცედე´ნტის, *რესო´ლვიტურ/რეზო´ლვიტურ ი´უს *კონკე´სსუმ/კონცე´სსუმ] თუ ვინმე ნებაყოფლობით თმობს თავისუფლებას, უქმდება ეს უფლება

res per pecuniam aestimatur, et non pecunia per res [რეს პერ პეკუ´ნიამ ესტიმა´ტურ, ეტ ნონ პეკუ´ნია პერ რეს] ქონება ფასდება ფულით და არა ფული – ქონებით

respondeat superior [რესპო´ნდეატ სუპე´რიორ] უპასუხოს ზემდგომმა

responsalis [რესპონსა´ლის] სხვაზე პასუხისმგებელი პირი; სხვისი ინტერესების დამცველი პირი; ზედამხედველი

responsa prudentium [რესპო´ნსა *პრუდე´ნტიუმ/პრუდე´ნციუმ] სწავლულ იურისტთა მოსაზრებები

responsio unius non omnio auditur [რესპო´ნსიო უ´ნიუს ნონ ო´მნიო აუდი´ტურ] ერთი მოწმის ჩვენება საერთოდ არ უნდა იქნას მოსმენილი

res privatae [რეს პრივა´ტე] კერძო საკუთრება; ცალკეულ პირთა საკუთრება

res quotidianae [რეს კვოტიდია´ნე] ყოველდღიური ნივთები, მოვლენები

res sacra non recipit aestimationem [რეს სა´კრა ნონ *რე´კიპიტ/რე´ციპიტ (*ესტიმატიო´ნემ/ესტიმაციო´ნემ] წმინდა ნივთები შეუფასებელია

restitutio in integrum [*რესტიტუ´ტიო/რესტიტუ´ციო ინ ი´ნტეგრუმ] ნივთის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში

res transit cum suo onere [რეს *ტრა´ნსიტ/ტრა´ნზიტ კუმ სუ´ო ო´ნერე] საკუთრება გადადის მასზე დაკისრებული ვალდებულებებით

res universitatis [რეს უნივერსიტა´ტის] საერთო საკუთრებაში არსებული ნივთები, რომლებიც ეკუთვნის საზოგადოებას

reus excipiendo fit actor [რე´უს *ექსპიკიე´ნდო/ექსპიციე´ნდო ფიტ ა´კტორ] მოპასუხე შეიძლება მოსარჩელედ იქცეს სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში

reus laesae maiestatis punitur, ut pereat unus ne pereat omnes [რე´უს *ლე´სე/ლე´ზე მაიესტა´ტის პუ´ნიტურ, უტ პე´რეატ უ´ნუს ნე პე´რეატ ო´მნეს] სახელმწიფო ღალატში დამნაშავე ისჯება იმიტომ, რომ სჯობს ერთი დაიღუპოს, ვიდრე – ყველა

reus promittendi [რე´უს პრომიტტე´ნდი] შეთანხმების დადებისას მხარე, რომელიც იღებს საკუთარ თავზე ვალდებულებას; მოვალე

reus stipulandi [რე´უს სტიპულა´ნდი] შეთანხმების დადებისას მხარე, რომელიც შეთანხმების დადებამდე იღებს ვალდებულებას; შეთანხმებით კრედიტორი

re, verbis, scripto, consensu, traditione, iunctura vestes sumere pacta solent [რე, ვე´რბის, სკრი´პტო, კონსე´ნსუ, *ტრადიტიო´ნე/ტრადიციო´ნე, იუნკტუ´რა ვე´სტეს სუ´მერე პა´კტა სო´ლენტ] შეთანხმებები ჩვეულებრივ თავის ფორმას იღებენ ნივთის, სიტყვის, დაწერილი ტექსტის, ტრადიციის და მხარეთა შეთანხმებისგან

revocatur [რევოკა´ტურ] გამოხმობილია ან გადავადებულია

rex debet esse sub lege, quia lex facit regem [რექს დე´ბეტ ე´სსე სუბ ლე´გე, კვი´ა ლექს *ფა´კიტ/ფა´ციტ რე´გემ] მეფე უნდა ემორჩილებოდეს კანონს, რადგან მეფეს ქმნის კანონი

rex est caput et salus reipublicae, et a capite bona valetudo transit in omnes [რექს ესტ კა´პუტ ეტ სა´ლუს რეიპუ´ბლიკე, ეტ ა კა´პიტე ბო´ნა ვალეტუ´დო *ტრა´ნსიტ/ტრა´ნზიტ ინ ო´მნეს] მეფე არის სახელმწიფოს მეთაური და ღირსეული მეთაურისგან სიკეთე გადმოდის ყველაზე

rex est legalis et politicus [რექს ესტ ლეგა´ლის ეტ პოლი´ტიკუს] მეფე არის როგორც იურიდიული, ასევე პოლიტიკური პირი

rex est lex vivens [რექს ესტ ლექს ვი´ვენს] მეფე არის ცოცხალი სამართალი

rex est maior singulis; minor universis [რექს ესტ მა´იორ სი´ნგულის; მი´ნორ უნივე´რსის] მეფე არის მეტი, ვიდრე ნებისმიერი ცალკეული პირი, მაგრამ ნაკლები, ვიდრე ყველა ისინი ერთად

rex est vicarius et minister Dei in terra; omnia quidem sub eo est, et ipso sub nullo, nisi tantum, sub Deo [რექს ესტ ვიკა´რიუს ეტ მინი´სტერ დე´ი ინ ტე´რრა; ო´მნია კვი´დემ სუბ ე´ო ესტ, ეტ ი´პსო სუბ ნუ´ლლო, *ნი´სი/ნი´ზი ტა´ნტუმ, სუბ დე´ო] მეფე არის ღმერთის ნაცვალი და მსახური მიწაზე, ყველაფერი მას ემორჩილება, მასზე მაღლა მხოლოდ ღმერთია

rex hoc solum non potest facere quod non potest iniuste agere [რექს ჰოკ სო´ლუმ ნონ პო´ტესტ *ფა´კერე/ფა´ცერე კვოდ ნონ პო´ტესტ ინიუ´სტე ა´გერე] მხოლოდ ერთი რამის გაკეთება არ ძალუძს მეფეს – უსამართლობის ჩადენა

rex non debet esse sub homine, sed sub Deo et lege, quia lex facit regem [რექს ნონ დე´ბეტ ე´სსე სუბ ჰო´მინე, სედ სუბ დე´ო ეტ ლე´გე, კვი´ა ლექს *ფა´კიტ/ფა´ციტ რე´გემ] მეფეს არ მართებს ემორჩილებოდეს ადამიანს, მაგრამ ის უნდა ემორჩილებოდეს ღმერთს და კანონს, რადგან კანონი ქმნის მეფეს

rex non potest fallere nec falli [რექს ნონ პო´ტესტ ფა´ლლერე ნეკ ფა´ლლი] მეფეს არ შეუძლია მოატყუოს სხვა ან თვითონ იქნეს მოტყუებული სხვის მიერ

rex non potest peccare [რექს ნონ პო´ტესტ პეკკა´რე] მეფემ არ უნდა დაუშვას შეცდომა

rex nunquam moritur [რექს ნუ´ნკვამ მო´რიტურ] „მეფე არასოდეს კვდება“: ფორმულა სამეფო ხელისუფლების უწყვეტ მემკვიდრეობითობაზე

rigor iuris [რი´გორ იუ´რის] კანონის სიმკაცრე; მკაცრი კანონი

rigor mortis [რი´გორ მო´რტის] სიკვდილის შედეგად გაშეშება

riparum usus publicus est iure gentium sicut ipsius fluminis [რიპა´რუმ *უ´სუს/უ´ზუს პუ´ბლიკუს ესტ იუ´რე *გე´ნტიუმ/გე´ნციუმ სი´კუტ ი´პსიუს ფლუ´მინის] მდინარის ნაპირების საჯარო გამოყენება – ეს, საერთაშორისო სამართლის თანახმად, იგივეა, რაც თვით მდინარის გამოყენება

risicum [*რი´სიკუმ/რი´ზიკუმ] სადაზღვევო რისკი

robaria, roberia [რობა´რია, რობე´რია] ყაჩაღობა

robator [რობა´ტორ] ყაჩაღი

rogare [როგა´რე] შეკითხვა; კანონპროექტის შეთავაზება; არჩევნებში კანდიდატურის წამოყენება

rogationes, quaestiones, et positiones debent esse simplices [*როგატიო´ნეს/როგაციო´ნეს, *კვესტიო´ნეს/კვესციო´ნეს, ეტ *პოსიტიო´ნეს/პოზიციო´ნეს

დე´ბენტ ე´სსე სი´მპლიკეს] თხოვნები, საკითხები და მოთხოვნები უნდა იყოს მარტივი

rogatio testium [*როგა´ტიო/როგა´ციო ტე´სტიუმ] ზეპირი ანდერძის აუცილებელი ნაწილი; მოანდერძე მიმართავდა თხოვნით პირებს, რომლებიც ესწრებოდნენ „ანდერძის სიტყვების“ წარმოთქმას, ეს სიტყვები გამოხატავდა მოანდერძის ნებას

rogo [რო´გო] ვითხოვ; ვშუამდგომლობ; მოვითხოვ

rusticum iudicium (ius) [რუ´სტიკუმ *იუდი´კიუმ/იუდი´ციუმ (ი´უს)] სოფლის (მარტივი) მართლმსაჯულება

S

saccularii [საკკულა´რიი] ჯიბის ქურდები

sacramentales [საკრამენტა´ლეს] პირები, რომლებიც ფიცს დებდნენ სასამართლოს წინაშე, რომ ისინი თავდებად უდგებოდნენ დამნაშავის მიერ დადებული ფიცის სარწმუნოობას

sacramentum decisionis [საკრამე´ნტუმ *დეკისიო´ნის/დეციზიო´ნის] „ფიცის დადება გადაწყვეტილების გამოტანაზე“

sacramentum fidelitatis [საკრამე´ნტუმ ფიდელიტა´ტის] ფიცი ერთგულებაზე

sacrilegii instar est rescripto principis obviari [საკრილე´გიი ი´ნსტარ ესტ რესკრი´პტო *პრი´ნკიპის/პრი´ნციპის ობვია´რი] ბატონის მითითებების შეწინააღმდეგება არის მკრეხელობა

sacrilegus [საკრი´ლეგუს] მკრეხელობის ჩამდენი, წმინდა ნივთების გამტაცებელი

sacrilegus omnium praedonum cupiditatem et scelera superat [საკრი´ლეგუს ო´მნიუმ პრედო´ნუმ კუპიდიტა´ტემ ეტ *სკე´ლერა/სცე´ლერა სუ´პერატ] მკრეხელი სიხარბითა და ბოროტებით აღემატება ყველა ყაჩაღს

saepenumero ubi proprietas verborum attenditur, sensus veritatis amittitur [სეპენუ´მერო უ´ბი პროპრი´ეტას ვერბო´რუმ ატტე´ნდიტურ, სე´ნსუს ვერიტა´ტის ამი´ტტიტურ] როდესაც ყურადღება ექცევა ენის სისწორეს, ძალიან ხშირად იკარგება ჭეშმარიტი აზრი

saepe viatorem nova vetus orbita fallit [სე´პე ვია´ტორემ ნო´ვა ვე´ტუს ო´რბიტა ფა´ლლიტ] ცხელი კვალი და არა ძველი ხშირად ატყუებს მგზავრს

saepius requisitus [სე´პიუს *რეკვი´სიტუს/რეკვი´ზიტუს] ხშირად მოთხოვნადი

salus populi (reipublicae) suprema lex est [სა´ლუს პო´პული (რეიპუ´ბლიკე) სუპრე´მა ლექს ესტ] ხალხის (სახელმწიფოს) კეთილდღეობა უზენაესი კანონია

salus populi suprema lex esto [სა´ლუს პო´პული სუპრე´მა ლექს ე´სტო] ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონი უნდა იყოს

salus ubi multa consilia (consiliarii) [სა´ლუს უ´ბი მუ´ლტა კონსი´ლია (კონსილია´რიი)] კარგია ბევრი რჩევა (ბევრი მრჩეველი)

salvo [სა´ლვო] გამოკლებით

salvo me et heredibus meis [სა´ლვო მე ეტ ჰერე´დიბუს მე´ის] ჩემი და ჩემი მემკვიდრეების გამოკლებით

salvo pudore [სა´ლვო პუდო´რე] პატივისცემის გამო

salvus plegius [სა´ლვუს პლე´გიუს] პირის სასამართლოში გამოცხადებაზე თავდები

sanae mentis [სა´ნე მე´ნტის] ჯანსაღ გონებაზე

sanctio iusta, iubens honesta et prohibens contraria [*სა´ნკტიო/სა´ნკციო იუ´სტა, იუ´ბენს ჰონე´სტა ეტ პრო´ჰიბენს კონტრა´რია] სამართლიანი სანქცია, რომელიც ბრძანებს იმას, რაც ღირსეულია და კრძალავს იმას, რაც მისი საპირისპიროა

sanguinem emere [სა´ნგუინემ ე´მერე] „სისხლის ყიდვა“, ყოფილი ყმის მიერ საკუთარი ნათესავის გამოსყიდვა, რათა ეს უკანასკნელი გამხდარიყო თავისუფალი

sanguinis coniunctio benevolentia devincit homines et curitate [სა´ნგუინის *კონიუ´ნკტიო/კონიუ´ნკციო *ბენევოლე´ნტია/ბენევოლე´ნცია *დევი´ნკიტ/დევი´ნციტ ჰო´მინეს ეტ კურიტა´ტე] ნათესაური კავშირი ადამიანებს კრავს კეთილგანწყობისა და მიჯაჭვულობის ძალით

sapiens incipit a fine, et quod primum est intentione, ultimum est in executione [სა´პიენს *ი´ნკიპიტ/ი´ნციპიტ ა ფი´ნე, ეტ კვოდ პრი´მუმ ესტ *ინტენტიო´ნე/ინტენციო´ნე, უ´ლტიმუმ ესტ ინ *ექსეკუტიო´ნე/ექსეკუციო´ნე] ბრძენი იწყებს ბოლოდან და არა იქიდან, რაც პირველი იყო

sapiens omnia agit cum consilio [სა´პიენს ო´მნია ა´გიტ კუმ კონსი´ლიო] ბრძენი ყველაფერს აკეთებს წინდახედულობით

sapientes, fideles, et animosi [საპიე´ნტეს, ფიდე´ლეს, *ეტ ანიმო´სი/ანიმო´ზი] ბრძენნი, ერთგულნი და სახელოვანნი

sapientia legis nummario pretio non est aestimanda [*საპიე´ნტია/საპიე´ნცია ლე´გის ნუმმა´რიო *პრე´ტიო/პრე´ციო ნონ ესტ ესტიმა´ნდა] კანონის სიბრძნე არ შეიძლება შეფასდეს ფულით

sapientis iudicis est cogitare tantum sibi esse permissum, quantum commissum et creditum [საპიე´ნტის *იუ´დიკის/იუ´დიცის ესტ კოგიტა´რე ტა´ნტუმ სი´ბი ე´სსე პერმი´სსუმ, კვა´ნტუმ კომმი´სსუმ ეტ კრე´დიტუმ] ბრძენმა მოსამართლემ თავს უფლება უნდა მისცეს იფიქროს, რას ითხოვს მისგან დავალებული და მასზე მინდობილი საქმე

salus est petere fontes quam (sectari) rivulos [სა´ლუს ესტ პე´ტერე ფო´ნტეს კვამ (სეკტა´რი) რი´ვულოს] უმჯობესია მოძებნო სათავე და არა ნაკადული (ვიდრე გაჰყვე ნაკადულების დინებას)

scandalum magnatum [სკა´ნდალუმ მაგნა´ტუმ] მაღალი თანამდებობის პირისთვის ცილისწამება

schismaticus inveteratus [სხისმა´ტიკუს ინვეტერა´ტუს] ორთოდოქსული რელიგიური აღმსარებლობების კატეგორიულად წინააღმდეგი

sciendum est [*სკიე´ნდუმ/სციე´ნდუმ ესტ] დაე, ცნობილი გახდეს

scienter [*სკიე´ნტერ/სციე´ნტერ] ცნობა, განსაკუთრებით „ბრალეული ცოდნა“, რომელიც ასაბუთებს პასუხისმგებლობას

scientia sciolorum est mixta ignorantia [*სკიე´ნტია/სციე´ნტია *სკიოლო´რუმ/სციოლო´რუმ ესტ მი´ქსტა *იგნორა´ნტია/იგნორა´ნცია] ზერელედ მცოდნეთა ცოდნა წარმოადგენს ყოველი მხრიდან შეკრებილ უმეცრებას

scientia utrinque par contrahentes facit [*სკიე´ნტია/სციე´ნცია უტრი´ნკვე პარ კონტრაჰე´ნტეს *ფა´კიტ/ფა´ციტ] ცოდნა ათანასწორებს მომლაპარაკებელ მხარეებს

scienti et volenti non fit iniuria [*სკიე´ნტი/სციე´ნტი ეტ ვოლე´ნტი ნონ ფიტ ინიუ´რია] სამართალდარღვევა არ ხდება იმ პირის მიმართ, რომელმაც იცის და ეთანხმება

scilicet [*სკი´ლიკეტ/სცი´ლიცეტ] ანუ; სახელდობრ

scire debes cum quo contrahis [*სკი´რე/სცი´რე დე´ბეს კუმ კვო კონტრა´ჰის] უნდა გცოდნოდა, ვისთან დებდი ხელშეკრულებას

scire et scire debere aequiparantur in iure [*სკი´რე/სცი´რე ეტ *სკი´რე/სცი´რე დებე´რე ეკვიპარა´ნტურ ინ იუ´რე] ცოდნა და ცოდნის წყურვილი, ეს, სამართლის თვალსაზრისით, ერთი და იგივეა

scire feci [*სკი´რე *ფე´კი/სცი´რე ფე´ცი] მე შევატყობინე

scire leges non hoc est verba earum tenere, sed vim et potestatem [*სკი´რე/სცი´რე ლე´გეს ნონ ჰოკ ესტ ვე´რბა ეა´რუმ ტე´ნერე, სედ ვიმ ეტ პოტესტა´ტემ] იცოდე კანონები – ნიშნავს აღიქვამდე არა მარტო სიტყვებს, არამედ მათ ძალასა და ძლევამოსილებას

scire proprie est rem ratione et per causam cognoscere [*სკი´რე/სცი´რე პრო´პრიე ესტ რემ *რატიო´ნე/რაციო´ნე ეტ პერ *კა´უსამ/კა´უზამ კოგნო´სკერე/კოგნო´სცერე] სათანადო ცოდნა ნიშნავს – იცოდე საგნის მნიშვნელობა და მიზეზები

scribere est agere [სკრი´ბერე ესტ ა´გერე] წერა – ნიშნავს მოქმედებას

scriptae obligationes scriptis tolluntur, et nudi consensus obligatio contrario consensu dissolvitur [სკრი´პტე *ობლიგატიო´ნეს/ობლიგაციო´ნეს სკრი´პტის ტოლლუ´ნტურ, ეტ ნუ´დი კონსე´ნსუს *ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო კონტრა´რიო კონსე´ნსუ დისსო´ლვიტურ] წერილობითი ვალდებულებები სრულდება წერილობითი დასტურით, მარტივი თანხმობით ნაკისრი ვალდებულება კი სრულდება თანხმობის გზით საპირისპირო გაგებით

scriptum [სკრი´პტუმ] წერილობითი დოკუმენტი; რაღაც დაწერილი

scriptum obligatorium [სკრი´პტუმ ობლიგატო´რიუმ] ვალდებულება, დოკუმენტი, ბეჭდით დადასტურებული; სავალო ვალდებულება

scutagium [სკუტა´გიუმ] მოიჯარის მიერ ბატონისათვის ჯარის სამსახურის სანაცვლოდ გადახდილი ფული

scutum [სკუ´ტუმ] ტყავით დაფარული ოთხკუთხა ხის ფარი, რომელიც ფეოდალურ ეპოქაში წარმოადგენდა ჯარის სამსახურისგან გათავისუფლების საფასურს

secta est pugna civilis, sicut actores armantur actionibus, et quasi, accinguntur gladiis, ita rei muniuntur exceptionibus, et defenduntur, quasi, clypeis [სე´კტა ესტ პუ´გნა *კივი´ლის/ცივი´ლის, სი´კუტ აკტო´რეს არმა´ნტურ *აკტიო´ნიბუს/აკციო´ნიბუს, ეტ *კვასი/კვა´ზი, *აკკინგუ´ნტურ/აკცინგუ´ნტურ გლა´დიის, ი´ტა რე´ი მუნიუ´ნტურ *ექსკეპტიო´ნიბუს/ექსცეპციო´ნიბუს, ეტ დეფენდუ´ნტურ, *კვა´სი/კვა´ზი, კლი´პეის] სასამართლო დავა არის სამოქალაქო ბრძოლა და იმისა, როგორც მოსარჩელეები არიან შეირაღებული სარჩელებით, როგორც თითქოსდა ხმლებით აღჭურვილები, ასევე მოპასუხეები არიან გამაგრებულნი თავიანთი შესაგებლებით და თითქოსდა ფარებით დაცულნი

secta quae scripto nititur a scripto variari non debet [სე´კტა კვე სკრი´პტო ნი´ტიტურ ა სკრი´პტო ვარია´რი ნონ დე´ბეტ] წერილობით დოკუმენტზე დაფუძნებული სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა განსხვავდებოდეს დაწერილისგან

sectores [სეკტო´რეს] მყიდველები, რომლებიც სთავაზობენ უმაღლეს ფასს საჯარო აუქციონზე

secundum [სეკუ´ნდუმ] შესაბამისად; შესაბამისობაში; სასარგებლოდ; ამისდა კვალად

secundum aequum et bono [სეკუ´ნდუმ ე´კვუმ ეტ ბო´ნო] სამართლიანობის და სიკეთის შესაბამისად

secundum allegata et probata [სეკუ´ნდუმ ალლეგა´ტა ეტ პრობა´ტა] მხარეთა მტკიცებებისა და მტკიცებულებების შესაბამისად

secundum consuetudinem [სეკუ´ნდუმ კონსუეტუ´დინემ] ჩვეულების შესაბამისად

secundum naturam [სეკუ´ნდუმ ნატუ´რამ] ბუნების შესაბამისად; ხასიათის შესაბამისად

secundum naturam est, commoda cuiusque rei eum sequi, quem sequentur incommoda [სეკუ´ნდუმ ნატუ´რამ ესტ, კო´მმოდა კუიუ´სკვე რე´ი ე´უმ სე´კვი, კვემ სეკვე´ნტურ ინკო´მმოდა] ბუნებასთან შესაბამისობაშია ის, რომ ვისაც ნივთისგან სარგებელი აქვს, იტვირთოს მასთან დაკავშირებული ვალდებულებებიც

secundum normam legis [სეკუ´ნდუმ ნო´რმამ ლე´გის] სამართლის ნორმების შესაბამისად

secundum probata [სეკუ´ნდუმ პრობა´ტა] მტკიცებულებების შესაბამისად

secundum regulam, regulas [სეკუ´ნდუმ რეგუ´ლამ, რეგუ´ლას] წესის, წესების შესაბამისად

secundum subiectam materiam [სეკუ´ნდუმ სუბიე´კტამ მატე´რიამ] საგნის შესაბამისად

secundum usum mercatorum [სეკუ´ნდუმ *უ´სუმ/უ´ზუმ მერკატო´რუმ] ვაჭართა ჩვეულების შესაბამისად; სავაჭრო სამართლის შესაბამისად

securitas [სეკუ´რიტას] გარანტია; გათავისუფლება; გამართლება

securitate pacis [სეკურიტა´ტე *პა´კის/პა´ცის] სასამართლოს ბრძანება, რომელიც ავალდებულებს პირს დაიცვას სიმშვიდე

securius expediuntur negotia commissa pluribus, et plus vident oculi quam oculus [სეკუ´რიუს ექსპედიუ´ნტურ *ნეგო´ტია/ნეგო´ცია კომმი´სსა პლუ´რიბუს, ეტ პლუს ვი´დენტ ო´კული კვამ ო´კულუს] რამდენიმე პირს მინდობილი საქმეები სრულდება მეტი საიმედოობით, რამდენადაც რამდენიმე თვალი ხედავს მეტს, ვიდრე ერთი თვალი

sedato animo [სედა´ტო ა´ნიმო] სერიოზული განზრახვით

se defendendo [სე დეფენდე´ნდო] თავდაცვისას

sedente curia [სედე´ნტე კუ´რია] სასამართლო სხდომის დროს

sed per curiam [სედ პერ კუ´რიამ] მაგრამ სასამართლომ (გადაწყვიტა)

sed vide [სედ ვი´დე] მაგრამ უყურე, ნახე

selecti iudices [სელე´კტი *იუ´დიკეს/იუ´დიცეს] პრეტორის მიერ არჩეული მოსამართლეები, რომელთაგან კენჭისყრით ინიშნებოდა თავმჯდომარე

semel civis semper civis [სე´მელ *კი´ვის/ცი´ვის სე´მპერ *კი´ვის/ცი´ვის] ერთხელ მოქალაქე ყოველთვის მოქალაქეა

semestria [სემე´სტრია] რომაელ იმპერატორთა გადაწყვეტილებების კრებული

semi-matrimonium [სემი-მატრიმო´ნიუმ] ნახევარ-ქორწინება; თანაცხოვრება

semiplena probatio [სემიპლე´ნა *პრობა´ტიო/პრობა´ციო] ნახევარმტკიცებულება

semper in dubiis benigniora praeferenda sunt [სე´მპერ ინ დუ´ბიის ბენიგნიო´რა პრეფერე´ნდა სუნტ] საეჭვო შემთხვევებისას უპირატესობა ენიჭება ფართო განმარტებას

semper in obscuris quod minimum est sequimur [სე´მპერ ინ ობსკუ´რის კვოდ მი´ნიმუმ ესტ სე´კვიმურ] საეჭვო საქმეებში ყოველთვის უპირატესობა ენიჭება განმარტებას, რომელიც ყველაზე ნაკლებად ბუნდოვანია

semper necessitas probandi incumbit ei qui agit [სე´მპერ *ნეკე´სსიტას/ნეცე´სსიტას პრობა´ნდი ინკუ´მბიტ ეი კვი ა´გიტ] მტკიცების სიმძიმე ყოველთვის იმაზეა, ვინც ამტკიცებს

semper paratus [სე´მპერ პარა´ტუს] ყოველთვის მზად

semper praesumitur pro legitimatione puerorum, et filiatio non potest probari [სე´მპერ *პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ პრო *ლეგიტიმატიო´ნე/ლეგიტიმაციო´ნე პუერო´რუმ, ეტ *ფილია´ტიო/ფილია´ციო ნონ პო´ტესტ პრობა´რი] ყოველთვის არსებობს პრეზუმპცია ბავშვების კანონიერად დაბადების სასარგებლოდ, როცა წარმომავლობა არ შეიძლება დადგინდეს

semper praesumitur pro matrimonio, pro negante, pro sententia [სე´მპერ *პრესუ´მიტურ/პრეზუ´მიტურ პრო მატრიმო´ნიო, პრო ნეგა´ნტე, პრო *სენტე´ნტია/სენტე´ნცია] ყოველთვის არსებობს პრეზუმპცია ქორწინების კანონიერების სასარგებლოდ, მოპასუხის სასარგებლოდ, სასამართლო განაჩენის (კანონიერების) სასარგებლოდ

semper, qui non prohibet pro se intervenire, mandare creditur [სე´მპერ, კვი ნონ პრო´ჰიბეტ პრო სე ინტერვენი´რე, მანდა´რე კრე´დიტურ] ის, ვინც არ უკრძალავს სხვას, იმოქმედოს მის ნაცვლად, ყოველთვის ითვლება, რომ სხვას აძლევს უფლებამოსილებას იმოქმედოს ამგვარი სახით

semper specialia generalibus insunt [სე´მპერ *სპეკია´ლია/სპეცია´ლია გენერა´ლიბუს ი´ნსუნტ] სპეციალური დებულებები ყოველთვის ჩართულია ზოგადში

semper, ubique et ab omnibus [სე´მპერ, უბი´კვე ეტ აბ ო´მნიბუს] ყოველთვის, ყველგან და ყველას მიერ

senatores sunt partes corporis regis [სენატო´რეს სუნტ პა´რტეს კო´რპორის რე´გის] სენატორები მეფის სხეულის შემადგენელი ნაწილებია

senatus consulta [სენა´ტუს კონსუ´ლტა] რომის სენატის აქტები

senatus consultum ultimae necessitatis [სენა´ტუს კონსუ´ლტუმ უ´ლტიმე *ნეკესსიტა´ტის/ნეცესსიტა´ტის] სენატის აქტები, რომლებიც მოქმედებს უკიდურესი აუცილებლობის პირობებში

senatus decreta [სენა´ტუს დეკრე´ტა] რომის სამართლის კერძო აქტები

sensu honesto [სე´ნსუ ჰონე´სტო] ჭეშმარიტი აზრის შესაბამისად

sensus verborum est anima legis [სე´ნსუს ვერბო´რუმ ესტ ა´ნიმა ლე´გის] სიტყვების მნიშვნელობა არის კანონის სული (სულისკვეთება)

sensus verborum est duplex, mitis et asper, et verba semper accipienda sunt in mitiore sensu [სე´ნსუს ვერბო´რუმ ესტ დუ´პლექს, მი´ტის ეტ ა´სპერ, ეტ ვე´რბა სე´მპერ *აკკიპიე´ნდა/აკციპიე´ნდა სუნტ ინ *მიტიო´რე/მიციო´რე სე´ნსუ]

სიტყვებს ორმაგი მნიშვნელობა აქვთ, მსუბუქი და მკაცრი და სიტყვები უნდა გავიგოთ მათი მსუბუქი მნიშვნელობით

sententia a non iudice lata nemini debet nocere [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია ა ნონ *იუ´დიკე/იუ´დიცე ლა´ტა ნე´მინი დე´ბეტ *ნოკე´რე/ნოცე´რე] გადაწყვეტილებამ, რომელიც გამოაქვს პირს, რომელიც არ არის მოსამართლე, ზიანი არ უნდა მიაყენოს არავის

sententia facit ius, et legis interpretatio legis vim obtinet [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია *ფა´კიტ/ფა´ციტ იუს, ეტ ლე´გის *ინტერპრეტა´ტიო/ინტერპრეტა´ციო ლე´გის ვიმ ო´ბტინეტ] (სასამართლო) გადაწყვეტილება ქმნის სამართალს, რადგან კანონის განმარტებას აქვს კანონის ძალა

sententia facit ius, et res iudicata pro veritate accipitur [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია *ფა´კიტ/ფა´ციტ იუს, ეტ რეს იუდიკა´ტა პრო ვერიტა´ტე *აკკი´პიტურ/აკცი´პიტურ] (სასამართლო) გადაწყვეტილება ქმნის სამართალს, რამდენადაც (სასამართლოს მიერ) გადაწყვეტილი საქმე ითვლება ჭეშმარიტებად

sententia interlocutoria revocari potest, definitiva non potest [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია ინტერლოკუტო´რია რევოკა´რი პო´ტესტ, დეფინიტი´ვა ნონ პო´ტესტ] დროებითი გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ საბოლოო – არა

sententia non fertur de rebus non liquidis [*სენტე´ნტია/სენტე´ნცია ნონ ფე´რტურ დე რე´ბუს ნონ ლი´კვიდის] (სასამართლო) გადაწყვეტილება არ გამოაქვთ საკითხებზე, რომლებიც ბუნდოვანია

separatim [სეპარა´ტიმ] ცალკე; მკაფიოდ

sequamur vestigia patrum nostrorum [სეკვა´მურ ვესტი´გია პა´ტრუმ ნოსტრო´რუმ] ვიაროთ მამების კვალზე

sequela [სეკვე´ლა] დავა; სასამართლო პროცესი; დევნა

sequela curiae [სეკვე´ლა კუ´რიე] სასამართლო პროცესი

sequi debet potentia iustitiam, non praecedere [სე´კვი დე´ბეტ *პოტე´ნტია/პოტე´ნცია *იუსტი´ტიამ/იუსტი´ციამ, ნონ *პრეკე´დერე/პრეცე´დერე] ძალა უნდა მოსდევდეს მართლმსაჯულებას და არ უნდა უსწრებდეს მას

seriatim [სერია´ტიმ] რიგრიგობით

sermo index animi [სე´რმო ი´ნდექს ა´ნიმი] კამათი მეტყველებს გონებაზე

servanda est consuetudo loci ubi causa agitur [სერვა´ნდა ესტ კონსუეტუ´დო *ლო´კი/ლო´ცი უ´ბი *კა´უსა/კა´უზა ა´გიტურ] იმ ადგილის ჩვეულება, სადაც წარედგინება სარჩელი, უნდა დაცულ იქნეს

servato iuris ordine [სერვა´ტო იუ´რის ო´რდინე] სასამართლოს ბრძანების შესაბამისად

servitia personalia sequuntur personam [*სერვი´ტია/სერვი´ცია პერსონა´ლია სეკვუუ´ნტურ პერსო´ნამ] პირადი ვალდებულება თან სდევს პირს

servitium [*სერვი´ტიუმ/სერვი´ციუმ] ვალდებულება; ბეგარა, რომელსაც მოიჯარე იხდიდა ბატონის სასარგებლოდ

servitium liberum [*სერვი´ტიუმ/სერვი´ციუმ ლი´ბერუმ] „თავისუფალი ვალდებულება“, რომელსაც ასრულებს თავისუფალი ადამიანი და არა – ყმა ან ვასალი

servitium militare [*სერვი´ტიუმ/სერვი´ციუმ მილიტა´რე] ვასალის ვალდებულება, მიიღოს მონაწილეობა მეფის მიერ წარმოებულ ომებში წელიწადში 40 დღის განმავლობაში

servitium regale [*სერვი´ტიუმ/სერვი´ციუმ რეგა´ლე] მეფის სამსახური, მეფის სასარგებლოდ შესრულებული ვალდებულება

servitium scuti [*სერვი´ტიუმ/სერვი´ციუმ სკუ´ტი] „ფულადობრივი ბეგარა“, რომელსაც იხდიდა მოიჯარე სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ

servitus actus [სე´რვიტუს ა´კტუს] გავლის უფლება

servitus altius non tollendi [სე´რვიტუს ა´ლტიუს ნონ ტოლლე´ნდი] უფლება იმაზე, რომ მეზობელმა არ ააგოს უფრო მაღალი ნაგებობა

servitus aquae ducendi [სე´რვიტუს ა´კვე *დუკე´ნდი/დუცე´ნდი] წყლის გაყვანის უფლება სხვის ნაკვეთზე გავლით

servitus aquae hauriendae [სე´რვიტუს ა´კვე ჰაურიე´ნდე] სხვის მიწაზე მდებარე ჭით ან წყაროთი სარგებლობის უფლება

servitus cloacae mittendae [სე´რვიტუს კლოა´კე მიტტე´ნდე] სხვისი მიწის გავლით კანალიზაციის გაყვანის უფლება

servitus fumi imittendi [სე´რვიტუს ფუ´მი იმიტტე´ნდი] კვამლის გაშვების უფლება

servitus itineris [სე´რვიტუს იტი´ნერის] უცხო პირის ნაკვეთზე გავლის უფლება

servitus luminum [სე´რვიტუს ლუ´მინუმ] უფლება იმაზე, რომ შუქი შეუფერხებლად გადიოდეს ნაგებობის განსაზღვრულ ნაწილში ან განსაზღვრულ ფანჯრებსა თუ ღიობებში

servitus ne luminibus officiatur [სე´რვიტუს ნე ლუმი´ნიბუს *ოფფიკია´ტურ/ოფფიცია´ტურ] მეზობლის მხრიდან შეუფერხებლად შუქის შეღწევის უფლება

servitus non ea natura est, ut aliquid faciat quis, sed ut aliquid patiatur aut non faciat [სე´რვიტუს ნონ ე´ა ნატუ´რა ესტ, უტ ა´ლიკვიდ *ფა´კიატ/ფა´ციატ კვის, სედ უტ ა´ლიკვიდ პატია´ტურ ა´უტ ნონ *ფა´კიატ/ფა´ციატ] სერვიტუტის საქმე არ არის, ვინ რას აკეთებს ან არ აკეთებს, არამედ დაითმინოს ეს

servitus oneris ferendi [სე´რვიტუს ო´ნერის ფერე´ნდი] ტვირთის გატარების უფლება

servitus pascendi [სე´რვიტუს *პასკე´ნდი/პასცე´ნდი] საქონლის საძოვრად გაშვების უფლება

servitus pecoris ad aquam adpulsam [სე´რვიტუს პე´კორის ად ა´კვამ ადპუ´ლსამ] წყლის დასალევად საქონლის გარეკვის უფლება სხვის მიწაზე

servitus praedii urbani [სე´რვიტუს პრე´დიი ურბა´ნი] ქალაქის სერვიტუტი; სერვიტუტი, დამახასიათებელი ქალაქური ტიპის საკუთრებისთვის

servitus praediorum [სე´რვიტუს პრედიო´რუმ] მიწის სერვიტუტი; სერვიტუტი სხვა პირის მიწაზე

servitus proiiciendi [სე´რვიტუს *პროიიკიე´ნდი/პროიიციე´ნდი] ნაგებობის აგების უფლება, რომელიც გადმოკიდებულია სხვა პირის მიწის ნაკვეთზე

servitus servitutis esse non potest [სე´რვიტუს სერვიტუ´ტის ე´სსე ნონ პო´ტესტ] არ შეიძლება სერვიტუტი სერვიტუტზე

servitus stillicidii [სე´რვიტუს *სტილლიკი´დიი/სტილლიცი´დიი] უფლება იმაზე, რომ მეზობლის საწვიმარი მილი გადიოდეს მეზობლის მიწაზე

servitus tigne immittendi [სე´რვიტუს ტი´გნე იმმიტტე´ნდი] მეზობლის ნაგებობის კედელში მზიდი მორის ჩაშენების უფლება

servitus facit, ut herus dat [სე´რვიტუს *ფა´კიტ/ფა´ციტ, უტ ჰე´რუს დატ] მსახური აკეთებს იმას, რასაც ბატონი ავალებს

si a iure discedas, vagus eris et erunt omnia omnibus incerta [სი ა იუ´რე *დისკე´დას/დისცე´დას, ვა´გუს ე´რის ეტ ე´რუნტ ო´მნია ო´მნიბუს *ინკე´რტა/ინცე´რტა] თუ შენ უხვევ კანონს, მაშინ კარგავ გზას და ყველასთვის ყველაფერი გაუგებარი იქნება

si assuetis mederi possis nova non sunt tentanda [სი ასსუე´ტის მედე´რი პო´სსის ნო´ვა ნონ სუნტ ტენტა´ნდა] თუ შეგიძლია დახმარება ჩვეულებრივი საშუალებებით, ახალი გზა არ უნდა გამოიყენო

sic [სიკ] ასე; მარტივად; ამგვარად

sic enim debere quom meliorem agrum suum facere, ne vicini deteriorem faciat [სიკ ენიმ დებე´რე კვო´მ მელიო´რემ ა´გრუმ სუ´უმ *ფა´კერე/ფა´ცერე, ნე *ვი´კინი/ვი´ცინი დეტერიო´რემ *ფა´კიატ/ფა´ციატ] ყველამ ისე უნდა გაიუმჯობესოს თავისი მამული, რომ სხვას არ მიაყენოს ზიანი

sic iubeo [სიკ იუბე´ო] მე ასე ვბრძანებ

sic contingat [სიკ კონტი´ნგატ] ეს თუ მოხდება

sic subscribitur [სიკ სუბსკრი´ბიტურ] რაზეც ხელმოწერილია

sic utere tuo ut alienum non laedas [სიკ უ´ტერე ტუ´ო უტ ალიე´ნუმ ნონ ლე´დას] ისე გამოიყენე შენი საკუთრება, რომ სხვას ზიანი არ მიაყენო

sic uti suo ut non laedat alienum [სიკ უ´ტი სუ´ო უტ ნონ ლე´დატ ალიე´ნუმ] ისე გამოიყენე საკუთარი, რომ სხვას ზიანი არ მიაყენო

sicut me Deus adiuvet [სი´კუტ მე დე´უს ადიუ´ვეტ] თუ ღმერთი შემეწევა

sicut natura nil facit per saltum, ita nec lex [სი´კუტ ნატუ´რა ნილ *ფა´კიტ/ფა´ციტ პერ სა´ლტუმ, ი´ტა ნეკ ლექს] ისევე, როგორც ბუნება არაფერში აკეთებს ნახტომებს, ასევე – არც კანონი

sic volo [სიკ ვო´ლო] ასე მსურს

si duo in testamento pugnantia reperientur, ultimum est ratum [სი დუ´ო ინ ტესტამე´ნტო *პუგნა´ნტია/პუგნა´ნცია რეპერიე´ნტურ, უ´ლტიმუმ ესტ რა´ტუმ] თუ ანდერძში აღმოჩნდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულება, ნამდვილია მეორე

si equam meam equus tuus pregnantum fecerit, non est tuum sed meum quod natum est [სი ე´კვამ მე´ამ ე´კვუს ტუ´უს პრეგნა´ნტუმ *ფე´კერიტ/ფე´ცერიტ, ნონ ესტ ტუ´უმ სედ მე´უმ კვოდ ნა´ტუმ ესტ] თუ შენი ულაყი დაამაკებს ჩემს ფაშატს, ნაშიერი ჩემი იქნება და არა შენი

signa [სი´გნა] მტკიცებულებები, სასამართლოში წარმოდგენილი ნივთობრივი მტკიცებულებები

si in chartis membranisve tuis carmen vel historiam vel orationem Titius scripserit, huius corporis non Titius sed tu dominus ese videris [სი ინ ხა´რტის მემბრანი´სვე ტუ´ის კა´რმენ ველ ჰისტო´რიამ ველ *ორატიო´ნემ/ორაციო´ნემ ტი´ტიუს სკრიპსე´რიტ, ჰუ´იუს კო´რპორის ნონ ტი´ტიუს სედ ტუ დო´მინუს ე´სსე ვიდე´რის] თუ ტიტიუსი დაწერს ლექსს, მოთხრობას ან სიტყვას შენს ქაღალდზე, შენ ითვლები ყოველივეს მესაკუთრედ და არა – ტიტიუსი

si ita est [სი ი´ტა ესტ] თუ ეს მართალია

si iudicas, cognosce [სი იუ´დიკას, *კოგნო´სკე/კოგნო´სცე] თუ შენ ახორციელებ მართლმსაჯულებას, ჯერ გაიაზრე

silent leges inter arma [სი´ლენტ ლე´გეს ი´ნტერ ა´რმა] როცა ომია, კანონები დუმან

si meliores sunt quos ducit amor, plures sunt corrigit timor [სი მელიო´რეს სუნტ კვოს *დუ´კიტ/დუ´ციტ ამო´რ, პლუ´რეს სუნტ კორრი´გიტ ტი´მორ] სიყვარული ბევრს აკეთილშობილებს, შიში გამოასწორებს უფრო ბევრს

similiter dicere [სიმი´ლიტერ *დი´კერე/დი´ცერე] მსგავსის თქმა; დადასტურება

similitudo legalis est casuum diversorum inter se collatorum similis ratio; quod in uno similium valet valebit in altero. Dissimilium dissimilis est ratio [სიმილიტუ´დო ლეგა´ლის ესტ *კა´სუუმ/კა´ზუუმ დივერსო´რუმ ი´ნტერ სე კოლლატო´რუმ სი´მილის *რა´ტიო/რა´ციო; კვოდ ინ უ´ნო სიმი´ლიუმ ვა´ლეტ ვალე´ბიტ ინ ა´ლტერო. დისსიმი´ლიუმ დისსი´მილის ესტ *რა´ტიო/რა´ციო] იურიდიული მსგავსება არის მსგავსი საფუძველი ერთმანეთს შეპირისპირებული სხვადასხვა საქმისათვის და რაც ჭარბობს ერთ საქმეში, ის ჭარბობს მეორეშიც. დასაბუთება განსხვავებული საქმეებისათვის განსხვავებულია

simplex dictum [სი´მპლექს დი´კტუმ] მხოლოდ ერთი მტკიცება

simplex et pura donatio dici poterit ubi est adiecto conditio nec modus [სი´მპლექს ეტ პუ´რა *დონა´ტიო/დონა´ციო *დი´კი/დი´ცი პო´ტერიტ უ´ბი ესტ ადიე´კტო *კონდი´ტიო/კონდი´ციო ნეკ მო´დუს] საჩუქრის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის სუფთაა და უბრალო, როდესაც მასთან არ არის დაკავშირებული არანაირი პირობა ან ვალდებულება

simplex loquela [სი´მპლექს ლოკვე´ლა] საჩივრის ან პრეტენზიის უბრალო განცხადება

simplex obligatio [სი´მპლექს *ობლიგა´ტიო/ობლიგა´ციო] მარტივი ვალდებულება

simplicitas est legibus amica, et nimia subtilitas in iure reprobatur [*სიმპლი´კიტას/სიმპლი´ციტას ესტ ლე´გიბუს ამი´კა, ეტ ნი´მია სუბტი´ლიტას ინ იუ´რე რეპრობა´ტურ] სიმარტივე არის სამართლის მეგობარი და მეტისმეტი დახვეწილობა სამართალში გამართლებული არ არის

simpliciter [*სიმპლი´კიტერ/სიმპლი´ციტერ] მარტივად

sine consideratione curiae [სი´ნე *კონსიდერატიო´ნე/კონსიდერაციო´ნე კუ´რიე] იმის გარეშე, რომ საქმე განხილულ იქნას სასამართლოს მიერ

sine cura [სი´ნე კუ´რა] საზრუნავის გარეშე; ვალდებულებით დაუმძიმებელი

sine decreto [სი´ნე დეკრე´ტო] სასამართლოს სანქციის გარეშე

sine die [სი´ნე დი´ე] „დღის გარეშე“: საბოლოოდ

sine possessione usucapio procedere non potest [სი´ნე პოსსესსიო´ნე *უსუკა´პიო/უზუკა´პიო *პროკე´დერე/პროცე´დერე ნონ პო´ტესტ] შეძენითი ხანდაზმულობა არ შეიძლება არსებობდეს მფლობელობის გარეშე

sine prole [სი´ნე პრო´ლე] შთამომავლობის გარეშე

sine qua non [სი´ნე კვა ნონ] რის გარეშეც არ; აუცილებელი პირობა

sine scripto ius venit, quod usus approbavit, nam diuturni mores consensu utentium comprobati legem imitantur [სი´ნე სკრი´პტო ი´უს ვე´ნიტ, კვოდ *უ´სუს/უ´ზუს

აპპრობა´ვიტ, ნამ დიუტუ´რნი მო´რეს კონსე´ნსუ *უტე´ნტიუმ/უტე´ნციუმ კომპრობა´ტი ლე´გემ იმიტა´ნტურ] კანონი წარმოიქმნება ქაღალდზე დაუწერლად, რაც დაადგინა ჩვეულებამ, რადგან ხალხის მიერ მოწონებულმა ძველმა ტრადიციებმა შექმნეს კანონი

sine spe revertendi et sine animo revertendi [სი´ნე სპე რევერტე´ნდი ეტ სი´ნე ა´ნიმო რევერტე´ნდი] დაბრუნების იმედისა და განზრახვის გარეშე

sine vi aut dolo [სი´ნე ვი ა´უტ დო´ლო] იძულებისა და მოტყუების გარეშე

singuli in solidum tenentur [სი´ნგული ინ სო´ლიდუმ ტენე´ნტურ] თითოეული პასუხისმგებელია ყველაფრისთვის

si nulla sit coniectura quae ducat alio, verba intelligenda sunt ex proprietate, non grammatica sed populari ex usu [სი ნუ´ლლა სიტ კონიეკტუ´რა კვე დუ´კატ ა´ლიო, ვე´რბა ინტელლიგე´ნდა სუნტ ექს პროპრიეტა´ტე, ნონ გრამმა´ტიკა სედ პოპულა´რი ექს *უ´სუ/უ´ზუ] თუ არ არსებობს ვარაუდი, რომელსაც მივყავართ სხვა დასკვნამდე, სიტყვები უნდა გაგებულ იქნას მათი მნიშვნელობის მიხედვით, არა გრამატიკული, არამედ გამოყენებითი მნიშვნელობით

si plures sint fideiussores, quotquot erunt numero, singuli in solidum tenentur [სი პლუ´რეს სინტ ფიდეიუსსო´რეს, კვო´ტკვოტ ე´რუნტ ნუ´მერო, სი´ნგული ინ სო´ლიდუმ ტენე´ნტურ] თუ რამდენიმე თავდები არსებობს, რამდენიც არ უნდა არსებობდეს, თითოეული წარმოადგენს თავდებს ყველაფრისათვის

si quid universitati debetur, singulis non debetur; nec, quod debet universitas, singuli debent [სი კვიდ უნივერსიტა´ტი დებე´ტურ, სი´ნგულის ნონ დებე´ტურ; ნეკ, კვოდ დე´ბეტ უნივე´რსიტას, სი´ნგული დე´ბენტ] თუ არსებობს ვალი კორპორაციისადმი, ეს არ არის ვალი მისი წევრებისა და ცალკეული წევრი ვალდებული არ არის მის ვალზე

si quis custos fraudem pupillo fecerit, a tutela removendus est [სი კვის კუ´სტოს ფრა´უდემ პუპი´ლლო *ფე´კერიტ/ფე´ცერიტ, ა ტუტე´ლა რემოვე´ნდუს ესტ] თუ მეურვე მოიტყუება სამეურვეო პირთან ურთიერთობაში, ის უნდა განთავისუფლდეს მეურვეობისგან

si quis praegnantem uxorem reliquit, non videtur sine liberis decessisse [სი კვის პრეგნა´ნტემ უქსო´რემ რე´ლიკვიტ, ნონ ვიდე´ტურ სი´ნე ლი´ბერის *დეკესსი´სს/დეცესსი´სს] თუ ვინმემ თავისი ორსულადმყოფი ცოლი მიატოვა, იგი არ ითვლება შთამომავლობის გარეშე გარდაცვლილად

si quis sine liberis decesserit [სი კვის სი´ნე ლი´ბერის *დეკე´სსერიტ/დეცე´სსერიტ] თუ ვინმე გარდაიცვლება შთამომავლობის გარეშე

si quis unum percusserit, cum alium percutere vellet, in felonia tenetur [სი კვის უ´ნუმ პერკუ´სსერიტ, კუმ ა´ლიუმ პერკუ´ტერე ვე´ლლეტ, ინ ფელო´ნია ტენე´ტურ] თუ ვინმე (შეცდომით) კლავს ადამიანს, როცა ის აპირებდა სხვა ადამიანის მოკვლას, იგი ითვლება მძიმე დანაშაულის ჩამდენად (იგულისხმება განზრახ მკვლელობა)

si vassalus feudum dissipaverit, aut insigni detrimento deterius fecerit, privabitur [სი ვასსა´ლუს ფეუ´დუმ დისსიპა´ვერიტ, ა´უტ ინსი´გნი დეტრიმე´ნტო დეტე´რიუს *ფე´კერიტ/ფე´ცერიტ, პრივა´ბიტურ] თუ ვასალი გაანადგურებს ადგილ-მამულს ან მას დიდ ზიანს მიაყენებს, მას ჩამოერთმევა ადგილ-მამული

sit quilibet homo dignus venatione sua, in silva, et in agris, sibi propriis, et in domino suo; et abstineat omnis homo a venariis regiis, ubicunque pacem eis habere voluerit [სიტ კვი´ლიბეტ ჰო´მო დი´გნუს *ვენატიო´ნე/ვენაციო´ნე სუ´ა, ინ სი´ლვა, ეტ ინ ა´გრის, სი´ბი პრო´პრიის, ეტ ინ დო´მინო სუ´ო; ეტ აბსტი´ნეატ ო´მნის ჰო´მო ა ვენა´რიის რე´გიის, უბიკუ´ნკვე *პა´კემ/პა´ცემ ე´ის ჰაბე´რე ვოლუ´ერიტ] დე, ყოველმა წესიერმა კაცმა ინადიროს საკუთარ ტყეში და ველებში და საკუთარ ადგილ-მამულში; და მოერიდოს სამეფო სანადირო ზონას, თუ უნდა მშვიდად იცხოვროს

sive sit masculus sive foemina [სი´ვე სიტ მა´სკულუს სი´ვე ფე´მინა] მემკვიდრე იყოს გინდ მამაკაცი, გინდ ქალი

socagium [სოკა´გიუმ] მიწის ფლობა არასამხედრო ვალდებულებების შესრულების მიზნით

societas [*სოკი´ეტას/სოცი´ეტას] ამხანაგობა

socii [*სო´კიი/სო´ციი] ამხანაგები; პარტნიორები; ამხანაგობის წევრები

socii mei socius meus non est [*სო´კიი/სო´ციი მე´ი *სო´კიუს/სო´ციუს მე´უს ნონ ესტ] ჩემი მეგობრის მეგობარი ჩემი მეგობარი არ არის

sola, ac per se, senectus donationem, testamentum aut transactionem non vitiat [სო´ლა, აკ პერ სე, სენე´კტუს *დონატიო´ნემ/დონაციო´ნემ, ტესტამე´ნტუმ ა´უტ *ტრანსაკტიო´ნემ/ტრანსაკციო´ნემ ნონ ვი´ტიატ] სიძველე არ აკნინებს ჩუქებას, ანდერძს ან გარიგებას

solemnitates iuris sunt observandae [სოლემნიტა´ტეს იუ´რის სუნტ ობსერვა´ნდე] სამართლებრივი ფორმალობა დაცული უნდა იქნას

solent foeminarum ductu bellare, et sexum in imperiis non discernerant [სო´ლენტ ფემინა´რუმ დუ´კტუ ბელლა´რე, ეტ სე´ქსუმ ინ იმპე´რიის ნონ *დისკე´რნერანტ/დისცე´რნერანტ] ისინი მიჩვეულები არიან ომის წარმოებას ქალების მეთაურობით და მმართველობის საქმეებში არ განარჩევენ სქესს

solo cedit quod solo implantatur (inaedificatur) [სო´ლო *კე´დიტ/ცე´დიტ კვოდ სო´ლო იმპლანტა´ტურ (ინედიფიკა´ტურ)] ის, რაც დარგულია მიწაში (აგებულია მიწაზე), წარმოადგენს მიწის ნაწილს

solum rex hoc non facere potest, quod non potest in iuste agere [სო´ლუმ რექს ჰოკ ნონ *ფა´კერე/ფა´ცერე პო´ტესტ, კვოდ ნონ პო´ტესტ ინ იუ´სტე ა´გერე] მხოლოდ ერთის გაკეთება არ შეუძლია მეფეს, მას არ შეუძლია კანონის წინააღმდეგ ქმედება

solus Deus heredem facit [სო´ლუს დე´უს ჰერე´დემ *ფა´კიტ/ფა´ციტ] მხოლოდ ღმერთი ქმნის მემკვიდრეს

solutio pretii emptionis loco habetur [*სოლუ´ტიო/სოლუ´ციო *პრე´ტიი/პრე´ციი *ემპტიო´ნის/ემპციო´ნის ლო´კო ჰაბე´ტურ] ფასის გადახდა ითვლება გაყიდვის ტოლფასად

solutus [სოლუ´ტუს] თავისუფალი; გათავისუფლებული; ვალისაგან ან გირაოსგან თავისუფალი

solvendo esse nemo intelligitur nisi qui solidum potest solvere [სოლვე´ნდო ე´სსე ნე´მო ინტელლი´გიტურ *ნი´სი/ნი´ზი კვი სო´ლიდუმ პო´ტესტ სო´ლვერე] მხოლოდ ის არის გადახდისუნარიანი, ვისაც შეუძლია გადაიხადოს მთლიანად

solvendum in futuro [სოლვე´ნდუმ ინ ფუტუ´რო] მომავალში გადასახდელი

solvitur adhuc societas etiam morte socii [სო´ლვიტურ ა´დჰუკ *სოკი´ეტას/სოცი´ეტას *ე´ტიამ/ე´ციამ მო´რტე *სო´კიი/სო´ციი] ამხანაგობა წყვეტს არსებობას ერთი წევრის გარდაცვალების შემთხვევაშიც

solvitur eo ligamine quo ligatur [სო´ლვიტურ ე´ო ლიგა´მინე კვო ლიგა´ტურ] პირი თავისუფლდება (ვალდებულებისგან) ისეთივე გზით, რა გზითაც იგი მას იღებს

solvit vel non [სო´ლვიტ ველ ნონ] იმისგან დამოუკიდებლად, გადაიხადა თუ არა მან

sparsim [სპა´რსიმ] განცალკევებულად; იშვიათად

species facti [*სპე´კიეს/სპე´ციეს ფა´კტი] ქმედების ხასიათი

spe recuperandi [სპე რეკუპერა´ნდი] (ქონების) დაბრუნების იმედით

spes impunitatis continuum affectum tribuit delinquendi [სპეს იმპუნიტა´ტის კონტი´ნუუმ აფფე´კტუმ ტრი´ბუიტ დელინკვე´ნდი] დაუსჯელობის იმედი იწვევს მუდმივ ცდუნებას დანაშაულის ჩადენისა

spes recuperandi [სპეს რეკუპერა´ნდი] დასაჩუქრების, ანაზღაურების იმედი

spoliatus debet ante omnia restitui [სპოლია´ტუს დე´ბეტ ა´ნტე ო´მნია რესტი´ტუი] პირველ რიგში ანაზღაურება უნდა მიიღოს მან, ვისაც ზიანი მიადგა

spondeo [სპო´ნდეო] პირობას ვიძლევი

sponsalia [სპონსა´ლია] ერთმანეთისთვის მიცემული დაქორწინების დაპირებები; ნიშნობა

sponsio [სპო´ნსიო] საზეიმო დაპირება; ვერბალური კონტრაქტის ნაირსახეობა; დანიშვნა

sponsio iudicialis [სპო´ნსიო *იუდიკია´ლის/იუდიცია´ლის] ხელოვნურად შექმნილი საქმე; ფალსიფიცირებული ფაქტის საკითხი

sponte oblata [სპო´ნტე ობლა´ტა] საჩუქარი მეფისათვის

sponte virum fugiens mulier et adultera facta, doti sua careat, nisi sponsi sponte retracta [სპო´ნტე ვი´რუმ ფუ´გიენს მუ´ლიერ ეტ ადუ´ლტერა ფა´კტა, დო´ტი სუ´ა კა´რეატ, *ნი´სი/ნი´ზი სპო´ნსი სპო´ნტე რეტრა´კტა] ქალი, რომელიც მიატოვებს ქმარს და იმრუშებს, უფლებას კარგავს საქვრივო წილზე, თუ ქმარი არ მიიღებს მას კვლავ ნებაყოფლობით

spurii [სპუ´რიი] უკანონოდ შობილი ბავშვები, მეძავის მიერ შობილი (ასეთ ბავშვებს არ ჰქონდათ უფლება მემკვიდრეობაზე)

stabit praesumptio (stabitur praesumptioni) donec probetur in contrarium [სტა´ბიტ *პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო (სტა´ბიტურ *პრესუმპტიო´ნი/პრეზუმპციო´ნი) დო´ნეკ პრობე´ტურ ინ კონტრა´რიუმ] პრეზუმპცია მოქმედებს იქამდე, ვიდრე არ იქნება დადგენილი საპირისპირო

stabit praesumptio pro veritate [სტა´ბიტ *პრესუ´მპტიო/პრეზუ´მპციო პრო ვერიტა´ტე] პრეზუმპცია მიჩნეულია სინამდვილედ

stare ad rectum [სტა´რე ად რე´კტუმ] სასამართლოს წინაშე წარდგომა; სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება

stare decisis [სტა´რე *დეკი´სის/დეცი´სის] გადაწყვეტილების დაცვა სამართლის ფუნქციონირებისა და განვითარების ფორმულა სასამართლო პრეცედენტების საფუძველზე

stare decisis et non quieta movere [სტა´რე *დეკი´სის/დეცი´სის ეტ ნონ კვიე´ტა მოვე´რე] მიღებული გადაწყვეტილებებისა და დამკვიდრებული დებულებების დაცვა

stare in iudicio [სტა´რე ინ *იუდი´კიო/იუდი´ციო] სასამართლოს წინაშე წარდგომა; სასამართლო გადაწყვეტილებისადმი დამორჩილება

statim [სტა´ტიმ] დაუყოვნებლივ; უშუალოდ

stat nominis umbra [სტატ ნო´მინის უ´მბრა] „რჩება მხოლოდ სახელის ჩრდილი“: იმისგან, რაც იყო ოდესღაც, დარჩა მხოლოდ სახელი

stat pro ratione voluntas [სტატ პრო *რატიო´ნე/რაციო´ნე ვოლუ´ნტას] სურვილი იკავებს გონების ადგილს

stat pro ratione voluntas populi [სტატ პრო *რატიო´ნე/რაციო´ნე ვოლუ´ნტას პო´პული] ხალხის ნება იკავებს გონების ადგილს (მოსამართლეები არ განსჯიან კანონის გონივრულობას)

statu liber [სტა´ტუ ლი´ბერ] თავისუფალი ადამიანი (მონისგან განსხვავებით)

status quo [სტა´ტუს კვო] მდგომარეობა ცვლილებამდე

status reipublicae maxime iudicatis rebus continetur [სტა´ტუს რეიპუ´ბლიკე მა´ქსიმე იუდიკა´ტის რე´ბუს კონტინე´ტურ] სახელმწიფოს მდგრადობა ყველაზე მეტად სასამართლოს გადაწყვეტილებებზეა დამყარებული

Cato M. Porcius [კა´ტო მა´რკუს *პო´რკიუს/პო´რციუს] კატონი, ავგური, კონსული (195წ.), ცენზორი (184წ.), მნიშვნელოვანი სახ. მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი, ადვოკატი, ძველი რომაული მორალის ენერგიული დამცველი, ავტორი თხზულებისა De agricultura, Origines

Cato Licinianus M. P. [კა´ტო *ლიკინია´ნუს/ლიცინია´ნუს მა´რკუს *პო´რკიუს/პო´რციუს] კატონი ლიცინიანუსი, ვაჟი კატონ უფროსისა (დაახლ. 192-152) ეკუთვნის მრავალი თხზულება, მათ შორის: Commentarii iuris civilis

Catus [კა´ტუს] იხ. Aelius

Celsus P. I. C. Titus Aufidius Hoenus Severianus [*კე´ლსუს, ცე´ლსუს პუ´ბლიუს *იუვე´ნტიუს/იუვე´ნციუს გა´იუს ტი´ტუს აუ´ფიდუს ჰე´ნუს სევერია´ნუს] ცელსუსი, პრეტორი (105/106წ.), კონსული (115წ.), ადრიანუსის მრჩეველი. Digesta-ს ერთ-ერთი ავტორი, სადაც იყენებს თავის ადრინდელ თხზულებებს: Epistulae, Quaestiones და Commentarii

Cervidius [*კერვი´დიუს/ცერვი´დიუს] ცერვიდიუსი იხ. Scaevola

Cicero M. Tullius [*კი´კერო/ცი´ცერო მა´რკუს ტუ´ლიუს] მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ.106-43), ბრწყინვალე რომაელი ორატორი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ადვოკატი. თავის მრავალრიცხოვან თხზულებებში ეხება სამართალმცოდნეობის საკითხებს

Cincius L. [*კი´ნკიუს/ცი´ნციუს *ლუ´კიუს/ლუ´ციუს] ლუციუს ცინციუსი (ძვ. წ. I ს.) De comitiis, De consulari potestate, De officio iurisconsulti ავტორი

Cincius Servius [*კი´ნკიუს/ცი´ნციუს სე´რვიუს] ცინციუს სერვიუსი, ავგუსტუსის დროის იურისტი. ავტორი თხზულებისა Libri de fastis

Claudius Ti. Caesar Augustus Germanicus [კლა´უდიუს ტიბე´რიუს *კე´სარ/ცე´ზარ აუგუ´სტუს გერმანი´კუს] კლავდიუს ტიბერიუს გერმანიკუსი, რომის იმპერატორი (41 წლიდან), მნიშვნელოვანი კვალი დატოვა რომის იმპერიის ბიუროკრატიულ აპარატზე და სენატის ხარჯზე საგრძნობლად გააფართოვა იმპერატორის ძალაუფლება, გააუმჯობესა იმპერიის ფინანსური მდგომარეობა. მისი ინიციატივით დამუშავდა მრავალი სამართლებრივი ნორმა: Edictum C-anum; E. C. de interdictis; Lex C-a; Oratio C-ii

Claudius Ap. Caecus [კლა´უდიუს ა´პიუს *კე´კუს/ცე´კუს] კლავდიუს აპიუს ცეკუსი, კონსული (307 წ; 296 წ.) გავლენიანი პატრიციული გვარის წარმომადგენელი, რეფორმატორი, ორატორი და იურისტი. გადმოცემის თანახმად, დაუწერია De usurpationibus და სასამართლო ფორმულათა კრებული, რომელიც შემდეგ გამოაქვეყნა ფლავიუსმა

Claudius Ap. Pulcher [კლა´უდიუს ა´პიუს პუ´ლხერ] კლავდიუს პულხერი, კონსული (ძვ. წ. 54წ.), ავგური; დაწერა Auguralis disciplina

Clemens [კლე´მენს] კლემენსი იხ. Pactumeius

Clodius Pulcher [კლო´დიუს პუ´ლხერ] კლოდიუს პულხერი, სახალხო ტრიბუნი (ძვ. წ. 58წ.), გაატარა რამდენიმე კანონი ოპტიმატების წინააღმდეგ – Lex Clodia

Cocceius [*კოკე´იუს/კოცე´იუს] კოცელიუსი იხ. Nerva

Coeilus [*კე´ლიუს/ცე´ლიუს] ცელიუსი იხ. Antipater

Constantinus, Imperator Caesar C. Fulvius Valerius Augustus [კონსტანტი´ნუს, იმპერა´ტორ *კე´სარ/ცე´ზარ გა´იუს ფუ´ლვიუს ვალე´რიუს ავგუ´სტუს] კონსტანტინე I დიდი (დაახლ. 285-337წ.) ნება დართო ქრისტიანებს თავისი სარწმუნოების თავისუფლად აღიარებისა

Corculum [კო´რკულუმ] კორკულუმი იხ. Spicio

Cornelius Maximus Q. [კორნე´ლიუს მა´ქსიმუს კვი´ნტუს] კორნელიუს მაქსიმუს კვინტუსი, ტრებაციუსის მასწავლებელი

Coruncanus T. [კორუნკა´ნუს ტი´ტუს] კორუნკანუსი, კონსული (280წ.), დიქტატორი (246წ.), პირველი pontifex maximus-ი პლებეელთა მხრიდან. გადმოცემის თანახმად, მან პირველმა დაიწყო responsa-ს გაცემა და კერძო სამართლის სწავლება

Cosconius Q. [კოსკო´ნიუს კვი´ნტუს] კოსკონიუსი (IIს.), იურიდიული თხზულების Actiones ავტორი

Crassus L. [კრა´სსუს *ლიკი´ნიუს/ლიცი´ნიუს] კრასუს ლიცინიუსი, კონსული (95წ.), სახ. მოღვაწე, გამოჩენილი ორატორი, სამართალმცოდნე

Crassus Mucianus [კრა´სსუს *მუკია´ნუს/მუცია´ნუს] კრასუს მუციანუსი, კონსული (131წ.), pontifex maximus-ი და გამოჩენილი iurisconsultus-ი

Cratinus [კრატი´ნუს] კრატინუსი, სამართლის პროფ. კონსტანტინეპოლში, იუსტ.-ის Digesta-ს შემსწავლელი კომისიის წევრი

Cyrillus [კირი´ლლუს] კირილუსი, სამართ. პროფ. ბეირუთში, დაწერა Commentarius definitionum-ი

D

Demosthenes [დემოსთე´ნეს] დემოსთენესი, სამართლის ნაკლებად ცნობილი პროფესორი ბეირუთში (V.)

Diocletianus [დიოკლეტია´ნუს] დიოკლეტიანუსი Imperator Caesar C. Aurelius Valerius Augustus – დიოკლეტიანუსი, იმპერატორ კეისარ გაიუს ავრელიუს ვალერიუს ავგუსტუსი (243-316წწ.), იმპერატორი. 284-305 წწ. აბსოლუტური მონარქიის (დომინატის) ფუძემდებელი. ბრწყინვალე მხედართმთავარი და ორგანიზატორი. საუკეთესო იურისტების დახმარებით, რომლებიც ანონიმურად მუშაობდნენ ბიუროკრატიული აპარატის თანამშრომლებად, ცდილობდა სამართლის სფეროში სტაბილურობისათვის მიეღწია. თუმცა, ამ იურისტთა მიერ შექმნილი რესკრიპტები არაფრით ჩამოუვარდება კლასიკური პერიოდის რესკრიპტებს

Dionysius → Papirius

Domitianus → Gaurus

Domitius Afer [*დომი´ტიუს/დომი´ციუს ა´ფერ] დომიციუს აფერი (? – 59 წ.), კონსული (39წ.), ცნობილი რწმუნებული სამართლებრივ კამათში. დაწერა De testibus, საფიქრებელია – მეცნიერული ღირებულების თხზულება

D.→ Nero; Ulpianus

Domninus [დო´მნინუს] დომნინუსი, ბეირუთის სამართლის ნაკლებად ცნობილი პროფესორი (V ს.)

Dorotheus [დოროთე´უს] დოროთეუსი, სამართლის ბრწყინვალე პროფესორი ბეირუთში, იუსტინიანუსის დროს იყო Digesta-ს და Codex-ის შემუშავების კომისიის წევრი. შეადგინა მეტად ღირებული ამონარიდები დიგესტებიდან

Drusus [*დრუ´სუს/დრუ´ზუს] გაიუს ლივიუს დრუზუსი, კონსულის შვილი (ძვ. წ. 147 წ.), რადგან უსინათლო იყო, ვერ გახდა მაგისტრატი; პოპულარული იურიდიული კონსულტანტი და ავტორი არაერთი ნაშრომისა სამართლის სფეროში, რომელთა სათაურებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს

Marcus Livius Drusus [მა´რკუს ლი´ვიუს *დრუ´სუს/დრუ´ზუს] მარკუს ლივიუს დრუზუსი, სახალხო ტრიბუნი (ძვ. წ. 91წ.), ძმები გრაკქუსების მომხრე. გაატარა რამდენიმე რეფორმა (lex Livia 1-3), იღვწოდა მოკავშირეებისთვის მოქალაქეობის მინიჭებისათვის. მისმა მუხანათურმა მკვლელობამ გამოიწვია ე. წ. მოკავშირეთა ომი

E

Enantiophanes [ენანტიოფა´ნეს] ენანტიოფანესი, მოგონილი სახელი უცნობი იურისტისა, Anonymus-ის და Nomocanon XIV decisionum-ის ავტორისა

Erotius [*ერო´ტიუს/ერო´ციუს] ეროციუსი, Codex Theodosianus-ის შემდგენი კომისიის წევრი, სამართლის პროფესორი

Eudoxius [ეუდო´ქსიუს] ევდოქსიუსი, ბეირუთის სამართლის სკოლის წამყვანი პროფესორი (Vს.), მისი ვაჟი იყო Leontius I, შვილიშვილი – Anatolius-ი

Eurich [ეუ´რიხ] ევრიხი, ვესტგოთების მეფე (466-485წწ.) – Codex Eurici

F

Fabius Labeo, Quintus [ფა´ბიუს ლა´ბეო კვი´ნტუს] კვინტუს ფაბიუს ლაბეონი, კონსული (ძვ. წ. 183წ.), სამართლის, ლიტერატურის და ისტორიის მცოდნე

Fabius Maximus Servilianus, Quintus [ფა´ბიუს მა´ქსიმუს სერვილია´ნუს, კვი´ნტუს] კვინტუს მაქსიმუს სერვილიანუსი, კონსული (ძვ. წ. 142წ.), ავტორი Iuris pontificii libri-ს

Fabius Mela [ფა´ბიუს მე´ლა] ფაბიუს მელა, შესაძლოა ლაბეონის თანამედროვე. მისი შრომების სათაურები არ შემოგვრჩა, მომდევნო ეპოქის იურისტები მას ციტირებენ პრეტორის ედიქტებთან დაკავშირებით

Fabius Pictor [ფა´ბიუს პი´კტორ] ფაბიუს პიქტორი, განსხვავებით თავისი სეხნიასაგან (Quintus F. P. – ისტორიკოსი), იყო იურისტი, ავტორი Ius pontificium-ისა (ძვ. წ. II ს-ის II ნახ.)

Flavius, Gn. [ფლა´ვიუს, გნე´იუს] გნეიუს ფლავიუსი, აპიუს კლავდიუს ცეკუსის გადამწერი, კურულის ედილი (ძვ. წ. 304წ.), ტრადიციის თანახმად, პირველმა გამოაქვეყნა რომაული კალენდარი და სასამართლო ფორმულები, ე. წ. ius Flavianum-ი

Flavius Fimbria, C. [ფლა´ვიუს ფი´მბრია, გა´იუს] გაიუს ფლავიუს ფიმბრია, homo novus, კონსული (ძვ. წ. 104წ.) მარიუსთან ერთად

Flavius Priscus [ფლა´ვიუს პრი´სკუს] ფლავიუს პრისკუსი, სერვიუსის ნაკლებად ცნობილი მოსწავლე

Florentinus [ფლორენტი´ნუს] ფლორენტინუსი, სამართლის მასწავლებელი, ცნობილია ვრცელი ნაშრომით: Institutiones (II ს-ის II ნახ.)

Floridus [ფლო´რიდუს] ფლორიდუსი, ადვოკატი და, როგორც ჩანს, რომის სამართლის სპეციალისტი (V ს.)

Florus→ Tertullianus

Fronto→ Papirius

Fufidius [ფუფი´დიუს] ფუფიდიუსი, ნაკლებად ცნობილი ავტორი (ძვ. წ. I ს.). მისი თხზულებიდან Quaestionum, რომელიც შედგებოდა არანაკლებ 2 წიგნისაგან, შემოგვრჩა მხოლოდ ერთი ტექსტი

Fulcinius Priscus [*ფულკი´ნიუს/ფულცი´ნიუს პრისკუს] ფულცინიუს პრისკუსი, იურისტი (Iს.)

Furius Anthianus [ფუ´რიუს ანთია´ნუს] ფურიუს ანთიანუსი, იურისტი (III ს-ის I ნახ.). ცნობილია მისი კომენტარები პრეტორის ედიქტისათვის

Furius Filus [ფუ´რიუს ფი´ლუს] ფურიუს ფილუსი, იურისტი (ძვ. წ. II ს-ის დასასრული), საჯარო სამართლის მცოდნე

G

Gaianus [გაია´ნუს] გაიანუსი, ადვოკატი, კონსტანტინუსის მეგობარი

Gaius [გა´იუს] გაიუსი, კლასიკური პერიოდის ცნობილი იურისტი (117/138-180/192). მეორეხარისხოვანი მკვლევარი, თუმცა სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემის ოსტატი. კლას. პერიოდში ნაკლებადაა ციტირებული, იგი V ს-ში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. **G**.-ის თხზულებები თითქმის სრულადაა შემორჩენილი: Institutiones (Commentarii Institutum). შეიცავს სასკოლო ლექციებს; Res cottidianae ან Aurora, კომენტარები: Ad Q. Mucium, ad legem XII tabularum, Ad edictum praetoris urbani; Ad e. provinciale, Regulae, De fideicommissis და მრ. სხვ.

Gallus [გა´ლლუს] → Aelius, Aquila; Aquilius

Gaurus, C. Aelius Domitianus [გაუ´რუს, გა´იუს ე´ლიუს *დომიტია´ნუს/დომიცია´ნუს] გაიუს ელიუს დომიციანუს გავრუსი, მარცელუსის თანამედროვე, მდაბიო წარმომავლობის იურისტი, რომელმაც იურიდიულ სფეროში განსწავლულობის წყალობით, მხედართა ფენაში აინაცვლა და შესაბამისი წოდებები მოიხვეჭა

Gellius Publicius [გე´ლიუს *პუბლი´კიუს/პუბლი´ციუს] გელიუს პუბლიციუსი, სერვიუს სულპიციუს რუფუსის უცნობი მოსწავლე, როგორც ჩანს, მდაბიო წარმოშობისა

Gellius Aulus [გე´ლიუს აუ´ლუს] ავლუს გელიუსი, მწერალი (125-180 წწ.), Noctae Atticae-ს ავტორი. საკუთარ თხზულებაში ჩართული აქვს საყურადღებო ციტატები რომის სამართლიდან

Gracchanus [გრაკხა´ნუს] → Iunius

Gracchus, Tiberius Sempronius [გრა´კხუს, ტიბე´რიუს სემპრო´ნიუს] ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსი (ძვ. წ. 163-133წწ.), ტიბერიუსი და მისი ძმა Gaius Sempronius (ძვ. წ. 153-121) – გამოჩენილი რომაელი პოლიტიკური მოღვაწეები და სოციალური რეფორმატორები. პლებეების მომხრეები, დემოკრატიული იდეების მატარებლები. მათი სახელით მრავალი კანონია ცნობილი – Lex Sempronia 2-13

Granius Flaccus [გრა´ნიუს ფლა´კუს] გრანიუს ფლაკუსი, კეისრის თანამედროვე, ცნობილი თავისი კომენტარებით: De iure Papiniano, leges regiae-სთვის

Gregorius [გრეგო´რიუს] გრეგორიუსი, დიოკლეტიანუსის პერიოდის მაღალჩინოსანი. შეადგინა Codex Gregorianus-ი

Gundobad [გუ´ნდობად] გუნდობადი, ბურგუნდების მეფე (? – 516), ბრძანა შეემუშავებინათ lex Romana Burgundionum-ი

H

Hadrianus, imperator Caesar Traianus Augustus [ჰადრია´ნუს, იმპერა´ტორ *კე´სარ/ცე´ზარ ტრაია´ნუს აუგუ´სტუს] ჰადრიანუსი (76-138წწ.), რომის იმპერატორი 117 წლიდან. მისი ბრძანებით გამოიცა: edictum perpetuum Hadriani, მის სახელს უკავშირდება: Epistulae H., Oratio H., Rescriptum H., Lex Hadriana

Hemina→Cassius

Herennius→Modestinus

Herme(n)sidius→ Campanus

Hermogenianus [ჰერმოგენია´ნუს] ჰერმოგენიანუსი, იურისტი (IIIს.). დაწერა Iuris epitomae (იურისტთა ნაშრომებიდან ამონარიდები); Codex H., როგორც ჩანს, ეკუთვნის არა მას, არამედ უფრო გვიანდელი პერიოდის მოღვაწეს

Hispalensis→Isidorus

I

Iavolenus Priscus, C [L] Octavius Tidius Tossianus [იავოლე´ნუს პრი´სკუს, გაი´უს [ლუ´ციუს] ოქტა´ვიუს ტი´დიუს ტოსსია´ნუს] გაიუს (ლუციუს) ოქტავიუს ტიდიუს ტოსიანუს იავოლენუს პრისკუსი, კონსული (86წ.), ტრაიანუსის და ადრიანუსის მრჩეველი, ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერით ცნობილი (იყო ნაცვალი 4 პროვინციაში), იულიანუსის მასწავლებელი, საბინიანთა მეთაური ცელიუს საბინუსის შემდეგ. მთავარი ნაშრომი – Epistulae; ასევე Libri ex Cassio, Libri ex Plautio გამოსცა Libri ex posterioribus Labeonis

Innocentius [*ინნოკე´ნტიუს/ინნოცე´ნტიუს] ინოკენტიუსი, დიოკლეტიანუსის საიმპერატორო კანცელარიის წამყვანი იურისტი

Iohannes [იოჰა´ნეს] იოანე, მაღალჩინოსანი იურისტი, იუსტინიანუსის კოდექსისა და დიგესტების შემდგენელი კომისიის წევრი

Iohannes Antiochenus [იოჰა´ნეს ანტიოხე´ნუს] იოანე ანტიოქელი, (? – 578წ.) იუსტინიანუსის ნოველების საფუძველზე შეადგინა კანონიკურ სამართალში დანაწესთა კრებული Collectio 87 capitulorum-ი

Iohannes Lydus [იოჰა´ნეს ლი´დუს] იოანე ლიდუსი, სიძველეთმცოდნე (490-565წწ.), მაღალჩინოსანი მოხელე. თხზულებაში De magistratibus rei publicae Romanae ზუსტად აღწერა იუსტინიანუსის პერიოდის ადმინისტრაციული აპარატის მუშაობა

Isidorus [*ისიდო´რუს/იზიდო´რუს] ისიდორუსი, იუსტინიანუსის ეპოქაში კონსტანტინეპოლში სამართლის პროფესორი. დაწერა მოკლე (და ყველაზე ადრეული) Index-ი იუსტინიანუსის კოდექსისათვის

Isidorus Hispalensis [ისიდო´რუს ჰისპალე´ნსის] ისიდორუს ჰისპალენსისი (ისიდორე ესპანელი), //ისიდოროს სევილიელი (560-636წწ.), ეპისკოპოსი, ეკლესიის ისტორიკოსი, ენციკლოპედისტი. თხზულებაში Origines განმარტავს იურიდიულ გამონათქვამებს კლასიკური წყაროების საფუძველზე

Iulianus, L. Octavius Cornelius Salvius I. Aemilianus [იულია´ნუს, *ლუ´კიუს/ლუ´ციუს ოკტა´ვიუს კორნე´ლიუს სა´ლვიუს იულია´ნუს ემილია´ნუს] ლუციუს ოქტავიუს კორნელიუს სალვიუს იულიანუს ემილიანუსი, გამოჩენილი იურისტი (დაახლ. 100წ.), წარმოშობით ჩრდილოეთ აფრიკიდან, მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა მთელს რომის იმპერიაში (ნაცვალი – გერმანიაში, ესპანეთში, აფრიკაში), კონსული (148წ.), ჰადრიანუსის, ანტონიუს პიუსის, მარკუს ავრელიუსის და ლუციუს ვერუსის მრჩეველი. იავოლენუს პრისკუსის მოსწავლე, საბინიანების უკანასკნელი წინამძღოლი. ჰადრიანუსის დავალებით შეიმუშავა edictum perpetuum Hadriani. შექმნა მნიშვნელოვანი თხზულებები კლასიკურ სამართალწარმოებაში – Digesta 90 წიგნად, რომელიც შეიცავდა მის responsa-ს რომის სამართლის ყველა სახეობებიდან და სფეროებიდან. მისი ავტორობით ცნობილია კომენტარები: Ad Minicium; Ad Urseium Ferocem; De ambiguitatibus

Iulianus [იულია´ნუს] იულიანუსი, სამართლის პროფესორი კონსტანტინეპოლში (110-170). მოამზადა იუსტინიანუსის ნოველების ყველაზე ადრეული კრებული, რომელიც დასავლეთში XI ს-მდე წარმოადგენდა ნოველების შესწავლის ერთადერთ წყაროს

Iulius → Aquila, Augustus, Caesar, Paulus, Tiberius

Iunius Gracchanus, M. [იუ´ნიუს გრაკხა´ნუს, მა´რკუს] იუნიუს გრაკხანუსი, გაიუს გრაკხუსის მეგობარი, ავტორი საჯარო სამართლის სფეროში შექმნილი თხზულებისა De potestatibus

Iunius→ Brutus; Mauricianus

Iustinianus I [იუსტინია´ნუს I] იუსტინიანუსი (იუსტინიანე), ბიზანტიელი იმპერატორი (527წ-დან) ბრწყინვალე ორგანიზატორი. სურდა რომის სამართლის აღორძინება ელინისტური და ქრისტიანული შეფერილობით. მან აღადგინა ტრადიციები, ლათინური ოფიციალურ ენად აქცია, ბრძანა შეემუშავებინათ Corpus iuris civilis-ი რომის სამართლის უმნიშვნელოვანეს ღირებულებათა შესანარჩუნებლად, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიკარგებოდა

Iustinus I [იუსტი´ნუს I] იუსტინუს I, ბიზანტიელი იმპერატორი (450-572წწ. იმპ. – 518 წ-დან), იუსტინიანუსის ბიძა, რომელმაც იგი თანამმართველად დანიშნა. იუსტინიანუსის და თეოდორას ქორწინებისათვის ნების დასართავად, გააუქმა აკრძალვა სენატორებსა და მსახიობ ქალებს შორის დაქორწინების შესახებ

Iustus → Papirius, Pinnius

Iuventius T. [იუვე´ნტიუს ტი´ტუს] ტიტუს იუვენტიუსი, ორატორი, გამოცდილი დამცველი; კვინტუს მუციუსის სკოლაში მიიღო კარგი იურიდიული განათლება

I. → Celsus

K

Kratinos → Cratinus

Kyrillos → Cyrillus

L

Labeo, M. Antistius [ლა´ბეო, მა´რკუს ანტისტი´უს] მარკუს ანტისტიუს ლაბეონი ავგუსტუსის ხანის ყველაზე სახელგანთქმული იურისტი (ძვ.წ. 45 – ახ.წ. 10/21 წწ.). ორიგინალური მოაზროვნე, ნოვატორი, ტრებაციუსის მოსწავლე, რეს-

პუბლიკელი, აირჩიეს პრეტორად, თუმცა უარყო კონსულის შეთავაზებული თანამდებობა და თავი მთლიანად მიუძღვნა სამართალმცოდნეობას. დაწერა დაახლ. 400 წიგნი (რომელთაგან მცირე ნაწყვეტები შემოგვრჩა): Ad edictum (პირველი კლასიკური კომენტარი პრეტორის ედიქტისათვის – Servius), De iure pontificio, Epistulae, Responsa, Pithana. **L.**-ს სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი ნაშრომები გამოსცა უცნობმა ავტორმა (Libri posteriores). მოკლე ამონარიდები **L.**-ის ნაშრომებიდან შეადგინა Iavolenus Priscus-მა

Laecanius Novatillianus, C. [*ლეკა´ნიუს ნოვატილლია´ნუს, გა´იუს] გაიუს ლეკანიუს ნოვატილლიანუსი. იურისტი (II-III სს-ის მიჯნა), supraefectus vigilum-ი

Laelius Felix [ლე´ლიუს ფე´ლიქს] ლელიუს ფელიქსი, ჰადრიანუსის პერიოდის ავტორი. მის კომენტარებს Ad Q. Mucium, ჰქონდა უფრო მეტად ანტიკვარულ-ანეკდოტური, ვიდრე სამართალმცოდნეობითი ხასიათი

Latinus Largus [ლატი´ნუს ლა´რგუს] ლატინუს ლარგუსი. პაულუსის მოსწავლე, იურისტი

Leontius [ლეო´ნტიუს] ლეონტიუსი, სამართლის პროფესორი ბეირუთში (V ს.)

Leontius [ლეო´ნტიუს] ლეონტიუსი, ადვოკატი კონსტანტინოპოლში, დიგესტებზე მომუშავე კომისიის წევრი

Lev III [ლევ III] ლევ III, სირიელი (675-741), ბიზანტიის იმპერატორი 717 წ-დან

Lev VI [ლევ VI] ლევ VI ბრძენი, ბიზანტიის იმპერატორი (886-912), განახორციელა მამამისის, ბასილი I მაკედონელის ჩანაფიქრი: ბრძანა დაესრულებინათ და გამოეცათ Basilica

Licinianus → Cato

Licinius → Crassus

Licin(n)ius Lucusta [*ლიკი´ნ(ნ)იუს/ლიცი´ნნიუს ლუკუ´სტა] ლიცინიუს ლუკუსტა, იურისტი

Licin(n)ius Rufinus, M. Cn. [*ლიკი´ნ(ნ)იუს/ლიცი´ნ(ნ)იუს რუფი´ნუს, მა´რკუს გნე´იუს] მარკუს გნეიუს ლიცინიუს რუფინუსი, პაულუსის მოსწავლე, ავგუსტუსის მეგობარი, კონსული, დაწერა Regulae

Livius → Drusus

Longinus [ლო´ნგინუს] ლონგინუსი, პროკულუსის და კასიუსის თანამედროვე, მხედარი, პრეტორი, იურისტი

Lucilius Balbus, L. [*ლუკი´ლიუს/ლუცი´ლიუს ბა´ლბუს *ლუ´კიუს/ლუ´ციუს] ლუციუს ლუცილიუს ბალბუსი, მუციუსის მოსწავლე, სერვიუსის მასწავლებელი

Lucretius Vispillo, Q. [*ლუკრე´ტიუს/ლუკრე´ციუს ვისპი´ლლო, კვი´ნტუს] კვინტუს ლუკრეციუს ვისპილონი, ორატორი (? – ძვ.წ. 81 წ.), სულას პროსკრიპციების მსხვერპლი, სამართალმცოდნე

Lucusta → Licin(n)ius

Lydus → Iohannes

M

Macer, Aemilius [*მა´კერ/მა´ცერ ემი´ლიუს] ემილიუს მაკერი, ულპიანუსის უმცროსი თანამედროვე. დაწერა: Ad legem vicesimae hereditatium, De appellationibus, De iudiciis publicis, De officio praesidis, De re militari. მათგან თითქმის არაფერია შემორჩენილი

Maecianus, L. Volusius [*მეკია´ნუს, ლუ´კიუს ვოლუ´სიუს/მეცი´ანუს, ლუ´ციუს ვოლუ´ზიუს] ლუციუს ვოლუზიუს მეციანუსი, praefectus Aegypti (დაახლ. 161 წ.), ასწავლიდა სამართალს. იყო მარკუს ავრელიუსის, ანტონიუს პიუსის, ლუციუს ვერუსის მრჩეველი. დაწერა: De iudiciis publicis, Ex lege Rhodia, Quaestiones de fideicommissis

Magnus → Pompeius

Manilius, M. [მანი´ლიუს მა´რკუს] მარკუს მანილიუსი, homo novus; კონსული (ძვ.წ. 149 წ.), სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ეკუთვნოდა სციპიონ უმცროსის წრეს, კაუტელარული იურისპრუდენციის აღიარებული ოსტატი. გამოსცა: Actiones (ფორმულარული ხელშეკრულებების, ანდერძების და სარჩელების კრებული) და ასევე პრაქტიკული სახელმძღვანელო Venalium vendendorum leges და Monumenta

Manlius Torquatus, T. [მა´ნლიუს ტორკვა´ტუს, ტი´ტუს] ტიტუს მანლიუს ტორკვატუსი, კონსული (დაახლ. – ძვ.წ. 140 წ.) სამოქალაქო და საკრალური სამართლის მცოდნე

Marcellus, C. Claudius [*მარკე´ლლუს/მარცე´ლლუს, გა´იუს კლა´უდიუს] გაიუს კლაუდიუს მარცელუსი, კონსული (ძვ.წ. 223 წ.), ავგური; დაწერა Auguralis disciplina

Marcellus Ulpius [*მარკე´ლლუს/მარცე´ლლუს უ´ლპიუს] მარცელუს ულპიუსი, ანტონიუს პიუსის და მარკუს ავრელიუსის მრჩეველი, სახელგანთქმული იურისტი. პირველმა გააკრიტიკა იულიანუსის ზოგიერთი შეხედულება. ძირითადი ნაშრომები: Digesta, Responsa, Notae, Ad legem Iuliam et Papiriam, De officio consulis

Marcianus, Aelius [*მარკია´ნუს/მარცია´ნუს, ე´ლიუს] ელიუს მარციანუსი, (III ს-ის I ნახ.) სამართლის პედაგოგი და სამართლის თეორეტიკოსი. მთავარი ნაშრომი: Institutiones, რომელიც შეიცავდა მრავალ რესკრიპტს 198-211 წწ.; ხელი მიუწვდებოდა იმპერატორის არქივზე. დაწერა: Ad formulam hypothecarium; Ad legem Iuliam et Papiriam; Ad sc. Turpillianum; De appellationibus; De delatoribus; De iudiciis publicis Regulae; Notae ad Papinianum; Notae ad Pomponium

Marcus Aurelius, Imperator Caesar Antonius Augustus [*მა´რკუს აურე´ლიუს, იმპერა´ტორ *კე´სარ/ცე´ზარ ანტო´ნიუს ავგუ´სტუს] მარკუს ავრელიუსი, იმპერატორი კეისარ ანტონიუს ავგუსტუსი, თავდაპირველად: მარკუს ანეუს კატალიუს სევერი (121-180 წწ.), რომის იმპერატორი (161 წ-დან). სახელგანთქმული სახელმწიფო მოღვაწე, განახორციელა რამდენიმე ადმინისტრაციული რეფორმა. ხშირად ცვლიდა სამართლებრივ ნორმებს. იმპერატორის არქივში იყო შედგენილი მისი რესკრიპტების კრებული, სახელწოდებით – Semestria; → oratio Marci 1-8; rescriptum divi M.

Marius, C. [მა´რიუს, გა´იუს] გაიუს მარიუსი, ძვ.წ. (156-86 წწ.), homo novus, ბრწყინვალე მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, შვიდგზის კონსული (ძვ.წ. 107-86 წწ.), სულას მეტოქე. გადამწყვეტი რეფორმებით აამაღლა ჯარის ბრძოლისუნარიანობა → lex Maria

Mas(s)urius → Sabinus

Mauricianus, Iunius [*მაურიკია´ნუს/მავრიცია´ნუს, იუ´ნიუს] იუნიუს მავრიციანუსი, ანტონიუს პიუსის დროს შეიმუშავა ვრცელი კომენტარი Ad legem Iuliam et Papiam-სა და, შესაძლოა, De poenis და Notae იულიანუსის Digesta-სათვის

Maximus, Q. [მა´ქსიმუს, კვი´ნტუს] კვინტუს მაქსიმუსი, (ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა) იურისტი

M. → Cornelius; Fabias; Rutilius

Memmius Vitrasius Orfitus [მე´მმიუს *ვიტრა´სიუს/ვიტრა´ზიუს ო´რფიტუს] მემიუს ვიტრაზიუს ორფიტუსი (V ს.), ადვოკატი, მაღალჩინოსანი

Mena [მე´ნა] მენა, ადვოკატი კონსტანტინეპოლში, იუსტინიანუსის დიგესტებზე მომუშავე კომისიის წევრი

Menander → Arrius

Messal(l)a, M. Valerius [მესსა´ლ(ლ)ა, მა´რკუს ვალე´რიუს] მარკუს ვალერიუს მესალა, ავგური, კონსული (ძვ.წ. 53 წ.), დაწერა De auspiciis

Messius [მე´სსიუს] მესიუსი, პაპინიანუსის თანამედროვე, სეპტიმიუს სევერუსის მრჩეველი

Minicius [*მინი´კიუს/მინი´ციუს] მინიციუსი, საბინუსის მოწაფე, სამართლის პრობლემათა კრებულის ავტორი, იულიანუსის მიერ კომენტირებული 6 წიგნად

Modestinus, Herennius [მოდესტი´ნუს, ჰერე´ნნიუს] ჰერენიუს მოდესტინუსი, ულპინუსის მოწაფე, praefectus vigilum (226-244), კლასიკურ იურისტთაგან ერთ-ერთი უკანასკნელი, შესაძლოა, წარმოშობით ბერძენი. მისი ნაშრომები მოიცავს სამართლის ყველა სფეროს, თუმცა უკავშირდება მხოლოდ სწავლებას და იურიდიულ პრაქტიკას: Differentiae, Pandecta, Regulae, Responsa, ასევე მონოგრაფია – De excusationibus (რომელიც ბერძნულადაა დაწერილი), De praescriptionibus, De heurematicis და მრ. სხვ.

Mucianus → Crassus

Mucius Scaevola, Q. [*მუ´კიუს *სკე´ვოლა/მუ´ციუს სცე´ვოლა, კვი´ნტუს] კვინტუს მუციუს სცევოლა, (ძვ.წ. 209 წ.) duumvir sacris faciundus, praetor (215), სახელგანთქმული იურისტი

Mucius Scaevola, P., [*მუ´კიუს სკე´ვოლა/მუ´ციუს სცე´ვოლა, პუ´ბლიუს] პუბლიუს მუციუს სცევოლა (ძვ.წ. 169 წ.), მუციუს სცევოლას ვაჟი, კონსული (175 წ.)

Mucius Scaevola, Publius [*მუ´კიუს *სკე´ვოლა/მუ´ციუს სცე´ვოლა, პუ´ბლიუს] პუბლიუს მუციუს სცევოლა (ძვ.წ. 115 წ.), კონსული (133 წ.), pontifex maximus (131 წ.), სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის შესახებაც მან დაწერა 10 წიგნი მოკლე ფორმულირებებით

Mucius Scaevola Augur, Q. [*მუ´კიუს *სკე´ვოლა/მუ´ციუს სცე´ვოლა ა´ვგურ, კვი´ნტუს] კვინტუს მუციუს სცევოლა ავგური (დაახლ. ძვ.წ. 140-82 წწ.), პუბლიუსის ბიძაშვილი, კონსული (ძვ.წ. 117 წ.), ავგური, ბრწყინვალე მასწავლებელი (მათ შორის, ციცერონის) და რესპონდენტი; ეკუთვნოდა სციპიონ უმცროსის წრეს

Mucius Scaevola Pontifex, Q. [*მუ´კიუს *სკე´ვოლა/მუ´ციუს სცე´ვოლა პო´ნტიფექს, კვი´ნტუს] კვინტუს მუციუს სცევოლა პონტიფექსი (დაახლ. ძვ.წ. 140-32 წწ.). პუბლიუსის ვაჟი, კონსული (ძვ.წ. 95 წ.), ბრწყინვალე იურისტი, სახელმწიფო მოღვაწე და ორატორი. მისი Ius civile, რომელშიც იგი დიალექტიკური მეთოდის გამოყენებით შეეცადა, სამოქალაქო სამართლის სრული სისტემა მოეცა, იქცა არა მხოლოდ მნიშვნელოვან ქმნილებად რესპუბლიკური ხანის სამართალმცოდნეობაში, არამედ ქვაკუთხედად მთელი დასავლეთევროპული სამართლის მეცნიერებაში. ამის გარდა, მან წარმოთქვა და დაწერა მრავალი სასამართლო

სიტყვა. მას მიეწერება განსაზღვრებათა კრებული Peri horon. იგი იყო ბრწყინვალე პედაგოგი და რესპონდენტი

N

Nasennius Apollinaris [*ნასე´ნნიუს/ნაზე´ნნიუს აპოლლინა´რის] ნაზენიუს აპოლინარისი, მეორეხარისხოვანი იურისტი, რომელთანაც მიმოწერა ჰქონდა პავლუსს

Nasica → Scipio

Nepos Sempronius [ნე´პოს სემპრო´ნიუს] ნეპოტი სემპრონიუსი, ნაკლებად ცნობილი იურისტი, პროკულუსის მოსწავლე, რომელსაც იგი რჩევისთვის მიმართავდა

Neratius Priscus, L. [*ნერა´ტიუს/ნერა´ციუს პრი´სკუს, *ლუ´კიუს/ლუ´ციუს] ლუციუს ნერაციუს პრისკუსი praefectus aerarii Saturni; consul suff. (87 წ.), ნაცვალი პანიონიაში (97 წ.), ტრაიანუსისა და ჰადრიანუსის მრჩეველი, ცელსიუსის უმცროსის თანამედროვე, რომელთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა პროკულიანების სკოლას ცელსიუს უფროსის შემდეგ. მისი თხზულებებია: Responsa, Regulae, Membranae, Epistulae, De nuptiis, Ex Plautio

Nero, Claudius Caesar Augustus Germanicus [ნე´რო, კლაუ´დიუს *კე´სარ/ცე´ზარ აუგუ´სტუს გერმა´ნიკუს; კლავდიუს კეისარი ავგუსტუს გერმანიკუს ნერონი, თავდაპირველად – ლუციუს დომიციუს აგენობარბუსი (37-38), რომაელი იმპერატორი (54 წლიდან). მისი მმართველობის პირველი ხუთწლეული იმედის მომცემი იყო, რომელსაც მოჰყვა ღია ტირანია. მისი გავლენა რომაულ სამართალწესრიგზე → Neronianum; edictum Neronis

Nerva, M. Cocceius (pater) [ნერვა, მა´რკუს *კოკკე´იუს/კოკცე´იუს (პა´ტერ) „მამა“] მარკუს კოკცეიუს ნერვა (პატერი) (დაახლ. – ძვ.წ. 33 წ.), consul suff. (ძვ.წ. 24 წ-მდე), curator aquarum (ძვ.წ. 24-33 წწ.), პროკულიანების სკოლის მეთაური, ტიბერიუსის მეგობარი, გვიანდელი ხანის ბევრი იურისტი ციტირებს მის თხზულებებს, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მან როცა დაინახა, რომ რომში რესპუბლიკური სისტემის აღდგენა შეუძლებელი იყო, სულით დაეცა და შიმშილით მოიკლა თავი

Nerva, M. Cocceius (filius) [ნე´რვა, მა´რკუს *კოკკე´იუს/კოკცე´იუს (ფი´ლიუს) „შვილი“] მარკუს კოკცე´იუს ნერვა (ფილიუსი), იმპერატორ ნერვას მამა, როგორც ამტკიცებდნენ, უკვე 17 წლიდან იძლეოდა responsa-ს. დაწერა De usucapionibus-ი

Nicostratus [ნიკოსტრა´ტუს] ნიკოსტრატუსი, ავგუსტუსის ეპოქის იურისტი. ძირითადად წერდა საჯარო სამართალზე

Novatillianus [ნოვატილლია´ნუს] ნოვატილიანუსი → Laecanius

Numa Pompilius [ნუ´მა პომპი´ლიუს] ნუმა პომპილიუსი, ტრადიციის თანახმად, რომის მეორე მეფე. მის სახელს უკავშირებენ მრავალი კანონის შემოღებას

Numerius Negidius [ნუმე´რიუს ნეგი´დიუს] ნუმერიუს ნეგიდიუსი, მოპასუხის სიმბოლური აღნიშვნა

Nymphidius [ნიმფი´დიუს] ნიმფიდიუსი, პაულუსის მოსწავლე, რომელთანაც მას ჰქონდა მიმოწერა

O

Octavenus [ოკტავე´ნუს] ოქტავენუსი, იურისტი (I-II სს-ის მიჯნა), გამოირჩეოდა მახვილგონივრული ფორმულირებებით. როგორც ჩანს, იყო მხოლოდ თეორიული ნაშრომების ავტორი, რომელსაც ხშირად ციტირებდნენ გვიანდელი ავტორები

Octavianus → Augustus

Ofilius, A. [ოფი´ლიუს, ა´ულუს] ავლუს ოფილიუსი, სერვიუსის მოსწავლე, კეისრის მეგობარი, პოლიტიკურ კარიერას ამჯობინა სამართლის შესწავლა. დაწერა: Ius civile, De legibus და პირველი ვრცელი კომენტარი პრეტორის ედიქტისათვის და ასევე: Actiones, Libri iuris partiti, Ad Atticum-ი

Orbius, P. [ო´რბიუს, პუ´ბლიუს] პუბლიუს ორბიუსი (ძვ.წ. 105 წ. – ?), პრეტორი (ძვ.წ. 65 წ.), უცნობი იურისტი, ტიტუს იუვენციუსის მოსწავლე

P

Paconius, Pacunius [პაკო´ნიუს, პაკუ´ნიუს] პაკუნიუსი, პაკონიუსი, იურისტი (I ს.)

Pactumeius Clemens, P. [პაკტუმე´იუს კლე´მენს, პუ´ბლიუს] პუბლიუს პაქტუმეიუს კლე´მენსი consul suff.-ი (138), ანტონიუს პიუსის მრჩეველი, ფეციალების კოლეგიის წევრი

Pacuvius Antistinus Labeo [პაკუ´ვიუს ანტისტი´ნუს ლა´ბეო] პაკუვიუს ანტისტინუს ლაბეონი (დაახლ. – ძვ.წ. 42 წ.), სერვიუსის მოსწავლე, ლაბეონის მამა, მარკუს იუნიუს ბრუტუსის რესპუბლიკური წრის წევრი

Paetus → Aelius

Papinianus, Aemilius [პაპინია´ნუს, ემი´ლიუს] ემილიუს პაპინიანუსი (დაახლ. – 212 წ.), კარაკალას ბრძანებით სიკვდილით დასჯილი, სეპტიმიუს სევერუსის მეგობარი, praefectus praetorio (203 წ-დან), ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი რომაელი იურისტი. ნაწყვეტები მისი თხზულებებიდან ნათელყოფს მის ღრმა განსწავლულობას, დამოუკიდებელ აზროვნებას, მსჯელობის კრიტიკულობას, პრობლემათა მახვილგონიერი გადაწყვეტის უნარს, უზადო სამართლებრივ ტექნიკას, ლაკონურობას და სიზუსტეს. მისი ძირითადი თხზულებებია: – Quaestiones, რომლიდან ამონარიდებიც მრავლადაა გადატანილი დიგესტებში და Responsa, სადაც იგი აანალიზებს თითოეულ შემთხვევას კონკრეტული სქემის მიხედვით: საქმის არსი, კითხვა, პასუხი. ეს თხზულება იმდენად პოპულარული იყო, რომ მის ანალიზს სამართლის სკოლებში ეძღვნებოდა სწავლების მთელი მესამე წელი. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე: Definitiones და De adulteriis-ი

Papirius [პაპი´რიუს] პაპირიუსი, pontifex maximus-ი (დაახლ. ძვ.წ. 500 წ.), რომელმაც შეადგინა საკრალური სამართლის წესების კრებული ე.წ. ius Papirianus-ი

Papirius Sextus [პაპი´რიუს სე´ქსტუს] პაპირიუს სექსტუსი (V ს.), კვინტუს მუციუსის მოსწავლე

Papirius Dionysius, M. Aurelius [პაპი´რიუს დიონი´სიუს, მა´რკუს ავრე´ლიუს] მარკუს ავრელიუს პაპირიუს დიონისიუსი, იურისტი მხედართა წოდებიდან, რომელსაც არაერთი მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობა ეკავა: praefectus annonae, praefectus Aegypti; იგი სიკვდილით დასაჯა იმპერატორმა კომოდუსმა

Papirius Fronto [პაპი´რიუს ფრო´ნტო] პაპირიუს ფრონტონი, ნაკლებად ცნობილი იურისტი (II-III სს. მიჯნაზე), დაწერა Responsa

Papirius Iustus [პაპი´რიუს იუ´სტუს] პაპირიუს იუსტუსი (II ს. ბოლო), არქივარიუსი, შეადგინა კრებული – Constitutiones (ძირითადად – რესკრიპტებისგან) 161-180 წლების მიხედვით, რომელშიც რესკრიპტები მოცემულია ან სიტყვა-სიტყვით ან მოკლედ, მაგრამ ყოველგვარი კომენტარის გარეშე

Paternus → Tarruntenus

Patricius [*პატრი´კიუს/პატრი´ციუს] პატრიციუსი, (V ს.) სამართლის პროფესორი ბეირუთში

Paulus, Iulius [პა´ულუს, იუ´ლიუს] იულიუს პაულუსი (II-III სს. მიჯნა), advocatus, assesor praefecti praetorio, magister memoriae; praefectus praetorio ალექსანდრე სევერუსის დროს, სცევოლას მოსწავლე, იურისტებს შორის ყველაზე ნაყოფიერი მწერალი. ღრმად განათლებული თეორეტიკოსი, კრიტიკული და უშიშარი სულით განმსჭვალული, ავტორიტეტული სამართალმცოდნე. ნაწყვეტები მისი თხზულებებიდან შეადგენენ დიგესტების 1/6-ს. დაწერა Notae: იულიანუსის, ნერაციუსის, სცევოლას და პაპინიანუსის ნაშრომებზე; ამონარიდები ლაბეონის თხზულება Pithan -დან და ალფენუსის დიგესტებიდან. მის კალამს ეკუთვნის კომენტარები: Ad Plautium; Ad edictum (76 წიგნისა), Ad Sabinam; დაწერა: Quaestiones, Responsa, Decreta, Imperiales sententiae. აგრეთვე: Sententiae ad filium; Institutiones და Regulae. სულ დატოვა 86 თხზულება 319 წიგნად

Pedius S. [პე´დიუს, სე´რვიუს] სერვიუს პედიუსი, იულიანუსის თანამედროვე, დაწერა De Stipulationibus და ვრცელი კომენტარი პრეტორთა და ედილთა ედიქტზე

Pegasus [პეგა´სუს] პეგასუსი, გააზატებული მონის – ტრიერარქოსის ვაჟი. (მამამ ვაჟს პეგასუსი უწოდა, რადგან ფრთიანი ცხენის გამოსახულება ამკობდა მის გემს): consul suff.-ი ვესპასიანუსის დროს და praefectus urbi ვესპასიანუსის და დომიციანუსის დროს. პროკულუსის შემდეგ – პროკულიანთა წინამძღოლი. განსწავლულობის გამო ეწოდა მეტსახელად „წიგნი“. მისი თხზულებები ხშირადაა ციტირებული გვიანდელი მწერლების მიერ, თუმცა ნაშრომთა სათაურებიდან მხოლოდ ერთია ცნობილი

Philus → Furius

Pictor → Fabius

Pinnius Iustus, P. [პი´ნნიუს იუ´სტუს, პუ´ბლიუს] პუბლიუს პინიუს იუსტუსი, (II-III სს. მიჯნა), პროვინციელი იურისტი

Pius → Antonius

Plautius [*პლაუ´ტიუს/პლაუ´ციუს] პლავციუსი, ცელიუს საბინუსის თანამედროვე, ცნობილი იურისტი წარჩინებული გვარიდან, მისი თხზულებები ეძღვნებოდა უმეტესად ჰონორარულ სამართალს

Plinius Iunior, C. P. Caecilius secundus [პლი´ნიუს იუ´ნიორ, გა´იუს პუ´ბლიუს *კეკი´ლიუს/ცეცი´ლიუს სეკუ´ნდუს] პლინიუს იუნიორ გაიუს პლინიუს ცეცილიუს სეკუნდუსი (61-113 წწ.), ბრწყინვალე ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი. ხშირად გამოდიოდა გახმაურებულ პროცესებზე, განსაკუთრებით ცენტუმვირების წინაშე. შემონახულია ტრაიანუსის წერილები, რომლის ადრესატიც იყო პლინიუსი

Polybios [პოლიბი´ოს] პოლიბიოსი, ბერძენი ისტორიკოსი (დაახლ. ძვ.წ. 200-120 წწ.). მისი Historia, რომელიც დიდ ადგილს უთმობს პოლიტიკური მოწყობის საკითხებს – წარმოადგენს სანდო წყაროს კონსტიტუციური რომის სამართალზე

Pompeius, S. [პომპე´იუს, სე´პტიმუს] სეპტიმუს პომპეიუსი, სახელგანთქმული იურისტი, გეომეტრიის და ფილოსოფიის მცოდნე, გნეიუს პომპეიუს მაგნუსის ძმისშვილი

Pompeius Magnus, Gn. [პომპე´იუს მა´გნუს, გნე´იუსი] გნეიუს პომპეიუს მაგნუსი (ძვ.წ. 106-48 წწ.), სახელგანთქმული ორგანიზატორი, სახელმწიფო მოღვაწე, ადმირალი, მრავალრიცხოვან ბრძოლაში გამარჯვებული, რამდენიმე კანონი გაატარა საჯარო სამართლის სფეროში

Pompilius → Numa

Pomponius, S. [პომპო´ნიუს, სე´პტიმუს] სეპტიმუს პომპონიუსი, იულიანუსის თანამედროვე, ყველაზე ნაყოფიერი ავტორი II ს-ის იურისტებს შორის. მისდევდა პედაგოგიურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას კერძო სამართლის სფეროში. მისი თხზულებებია: Ex Sabino, Ad Q. Mucium, Ex Plautio, Ad edictum (შესაძლოა, 150 წიგნისგან შემდგარი), კაზუისტიკას მან მიუძღვნა: Variae lectiones და Epistulae. მან ასევე დაწერა: Senatusconsulta, Fideicommissa, Regulae, De stipulationibus და ასევე, შესაძლებელია, Digesta ab Aristone. საყურადღებოა მისი Enchiridium (სახელმძღვანელო), რომელშიც მიმოხილულია – რომის სამართლის მეცნიერება იულიანუსის ჩათვლით

Porcius → Cato

Precianus [*პრეკია´ნუს/პრეცია´ნუს] პრეციანუსი (დაახლ. ძვ.წ 50 წ.), რიგითი იურისტი ძვ.წ. I ს.

Priscus → Fulcinius; Iavolenus; Neratius

Probus, M. Valerius [პრო´ბუს, მა´რკუს ვალე´რიუს] მარკუს ვალერიუს პრობუსი (I ს-ის II ნახ.), გრამატიკოსი, მისი ნაშრომი De iuris notarum ეძღვნებოდა იურიდიულ შემოკლებებს

Proculus [პრო´კულუს] პროკულუსი, სავარაუდოდ: გნეიუს აცერონიუს პროკულუსი. კონსული (37 წ.), იკავებდა გამორჩეულ ადგილს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნერვა უფროსის სიკვდილის შემდეგ იყო მეთაური სკოლისა, რომელსაც კლასიკურის შემდგომ პერიოდში მიენიჭა მისი სახელი. გამორჩეული რესპონდენტი და მასწავლებელი. დაწერა Epistulae, რომელშიც უხვადაა წარმოდგენილი კაზუისტიკა (რომელიც მოგვიანებით ხშირად იყო ციტირებული)

Prokopios [პროკო´პიოს] პროკოპიოსი, ცნობილი იურისტი და ისტორიკოსი იუსტიანიანუსის დროს. პამფლეტში Anecdota (Historia arcana) მოგვითხრობს მსახიობ ქალ თეოდორასა და მის ქორწინებაზე იუსტინიანუსთან

Publicius [*პუბლი´კიუს/პუბლი´ციუს] პუბლიციუსი, (II ს.-ის შუა წლები) იურისტი, რომელსაც ციტირებენ: მარცელუსი, ულპიანუსი და მოდესტინუსი

Pulcher → Claudius, Clodius

Puteolanus [პუტეოლა´ნუს] პუტეოლანუსი, (სავარაუდ. I ს.) იურისტი, რომელსაც ახსენებს ულპიანუსი; დაწერა Adsessoria

R

Ragonius, Vincentius Celsus [რაგო´ნიუს *ვინკე´ნტიუს *კე´ლსუს/ვინცე´ნციუს ცე´ლსუს] რაგონიუსი, ვინცენციუს ცელსუსი, გვიანკლასიკური ხანის ადვოკატი, ეკავა მაღალი თანამდებობები

Rebilus → Caninius

Rufinus → Licin(n)ius

Rufus → Rutilius; Servius; Sulpicius

Rutilius Maximus [რუტი´ლიუს მა´ქსიმუს] რუტილიუს მაქსიმუსი, (ძვ.წ. III ს-ის I ნახევარი) იურისტი; ავტორი Ad legem Falcidianum-ის

R. Rufus P. [რუტი´ლიუს რუ´ფუს პუ´ბლიუს] რუტილიუს რუფუს პუბლიუსი, კონსული ძვ.წ. 105 წ., გამოჩენილი იურისტი, ორატორი, ისტორიკოსი; მას ეკუთვნის actio (formula) Rutiliana

S

Sabinus [სა´ბინუს] საბინუსი, გვიანკლასიკური პერიოდის კომენტატორი; შექმნა Scholia Sinaitica

Sabinus Cn. Arulenus Caelius [სა´ბინუს გნე´იუს არულე´ნუს *კე´ლიუს/ცე´ლიუს] გნეიუს არულენუს საბინუს ცელიუსი (I ს.), კასიუსის შემდეგ საბინების მეთაური; მას ეკუთვნის Ad edictum aedilium curulium და სხვ. ნაშრომები

Sabinus Mas(s)urius C. [სა´ბინუს მას(ს)უ´რიუს გა´იუს] საბინუს გაიუს მასურიუსი (I ს.); მდაბიო წარმომავლობის; მისი ძირითადი ნაშრომია Ius civile, სადაც ის ეყრდნობა მუციუსის სისტემას, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს მასში. ამ კომპაქტურ ნაშრომს იყენებდნენ სახელმძღვანელოდ. მასვე ეკუთვნის სხვა ნაწარმოებებიც: Ad edictum, Ad Vitellium, De furtis, Fasti, Responsa, Memoralia

Salvius → Iulianus

Sapiens → Acilius

Saturninus, Claudius [სატურნი´ნუს, კლაუ´დიუს] სატურნინუსი, კლავდიუსი, ავტორი თხზულებისა De poenis paganorum

Saturninus Venuleius C. [სატურნი´ნუს ვენულე´იუს გა´იუს] სატურნინუს ვენულეიუს გაიუსი, ავტორი თხზულებებისა: Actiones, De interdictis, De indiciis publicis, De stipulationibus

Saturninus Appuleius L. [სატურნი´ნუს აპპულე´იუს *ლუ´კიუს/ლუ´ციუს] სატურნინუს აპულეიუს ლუციუსი, სახალხო ტრიბუნი 103 და 100 წწ.-ში; გაატარა რამდენიმე კანონი პლებეებისა და ვეტერანების სასარგებლოდ

Scaevola Q. Cervidius [*სკე´ვოლა/სცე´ვოლა კვი´ნტუს *კერვი´დიუს/ცერვი´დიუს] სცევოლა კვინტუს ცერვიდიუსი, praefectus vigilum-ი (175 და 177 წ.წ.), მარკუს ავრელიუსის მრჩეველი და იურისკონსულტი, ჩინებული მასწავლებელი და რესპონდენტი. გამოირჩეოდა ორიგინალური აზროვნებით; მისი თხზულებები კაზუისტური ხასიათისა იყო; Digesta, Notae, Quaestiones, Regulae, Responsa და სხვ.

Scipio Nasica Corculum P. Cornelius [*სკი´პიო/სცი´პიო *ნა´სიკა/ნა´ზიკა კო´რკულუმ პუ´ბლიუს კორნე´ლიუს] სციპიონი ნაზიკა კორკულუმი, კონსული (162 და 155 წ.წ.), ცენზორი (ძვ.წ. 159 წ.), იურისტი

Sempronius Sophos, Sapiens P. [სემპრო´ნიუს სო´ფოს, სა´პიენს პუ´ბლიუს] სემპრონიუს პუბლიუსი (ძვ.წ. 304 წ.); ცნობილი სამართალმცოდნე

Septimius Severus [სეპტი´მიუს სე´ვერუს] სეპტიმიუს სევერუსი, რომ. იმპერატორი (193 წ.), მთავარსარდალი; გაატარა მრავალი ადმინისტრაციული რეფორმა

Servilius [სერვი´ლიუს] სერვილიუსი (ახ.წ. I ს.), იურისტი

Servius Sulpicius Rufus [სე´რვიუს *სულპი´კიუს/სულპი´ციუს რუ´ფუს] სერვიუს სულპიციუს რუფუსი (დაახლ. 106-43 წ.წ.), აკვილიუსისა და ლუცილიუსის მოწაფე, კონსული (51 წ.); შესანიშნავი ორატორი და მასწავლებელი, ავტორი 180 წიგნისა, მრავალი სამოსამართლო სიტყვისა, ასევე კომენტარებისა: Ad Brutum, De dotibus, De sacris

Servius Tullius [სე´რვიუს ტუ´ლლიუს] სერვიუს ტულიუსი, რომის ლეგენდარული მეფე (მეექვსე); მას მიეწერება მრავალი კანონპროექტი კერძო სამართალში, რომის კონსტიტუციის რეფორმა

Severus Valerius [სევე´რუს ვალე´რიუს] ვალერიუს სევერუსი, ნაკლებად ცნობილი იურისტი (II ს.-ის)

Stephanus [სტეფა´ნუს] სტეფანუსი, სამართალმცოდნეობის პროფესორი იუსტინ. დროს. შეადგინა ყველაზე ვრცელი Index-ი დიგესტებისა

Sulla L. Cornelius [სუ´ლლა *ლუ´კიუს/ლუ´ციუს კორნე´ლიუს] ლ. კორნელიუს სულა, (138-78 წწ.) ბრწყინვალე მხედართმთავარი, რეაქციული სენატორული ოლიგარქიის წარმომადგენელი. გაატარა რამდენიმე რეფორმა, განამტკიცა სენატორთა უფლებები, მათი რიცხვი გაზარდა 300-დან 600-მდე, მისი რეფორმები შეეხო სასამართლო კომისიას

Sulpicius Rufus P. [*სულპი´კიუს/სულპი´ციუს რუ´ფუს პუ´ბლიუს] სულპიციუს რუფუსი (ძვ.წ. 88 წ.) სახალხო ტრიბუნი, გაატარა რამდენიმე კანონპროექტი ნობილიტეტის წინააღმდეგ

Symmachus [სიმმა´ხუს] სიმახუსი, praefectus urbi (384-385), მისი მოხსენებები წარმოდგენას იძლევა მაშინდელი საპროცესო სამართლის შესახებ

T

Tarrunten(i)us Paternus [ტარრუნტე´ნიუს პატე´რნუს] ტარუნტენიუს პატერნუსი, praefectus praetorio (179 წ.), მან პირველმა დაამუშავა სამხედრო სამართალი De re militari-ში

Terentius Clemens [*ტერე´ნტიუს/ტერე´ნციუს კლე´მენს] ტერენციუს კლემენსი (კლემენტი), იურისტი (II ს.); შემორჩენილია რამდენიმე ნაწყვეტი მისი კომენტარებისა Ad legem Juliam Papiam

Tertullianus [ტერტულლია´ნუს] ტერტულიანუსი (III ს.-ის დასაწყისი); დაწერა Quaestiones და De castrensi peculio

Thalelaeus [თალელე´უს] თალელეუსი, იუსტ.-ის ხანის სამართალმცოდნეობის პროფესორი, ავტორი კომენტარებისა Codex Iust.-ისა

Theodorus Scholasticus [თეოდო´რუს სქოლასტი´კუს] თეოდორუს სქოლასტიკოსი, ადვოკატი, შეადგინა Index-ი Codex Iust.-სთვის

Theophilus [თეოფი´ლუს] თეოფილუსი, სამართალმცოდნეობის პროფესორი კონსტანტინოპოლში, მუშაობდა დიგესტების კომენტარებზე, სარედაქციოდ

მომზადებაზე, ტექსტის სრულყოფაზე, დამატებების შეტანა-გასწორებაზე, კორექტირებაზე

Trebatius Testa C. [*ტრება´ტიუს/ტრება´ციუს ტე´სტა გა´იუს] ტრებაციუს ტესტა გაიუსი, კორნელიუს მაქსიმუსის მოწაფე, ლაბეონის მასწავლებელი; იურისტი, ჯერ იულიუს კეისრის, შემდეგ კი – ავგუსტუსის მრჩეველი

Tribonianus [ტრიბონია´ნუს] ტრიბონიანუსი, იუსტინ.-ის ხანის ცნობილი იურისტი; Corpus iuris civilis-ის მთავარი შემდგენელი

Tryphoninus Claudius [ტრიფონი´ნუს კლაუ´დიუს] ტრიფონინუს კლავდიუსი, სცევოლას მოწაფე; დაწერა Disputationes

Tubero Q. Aelius [ტუ´ბერო კვი´ნტუს ე´ლიუს] ტუბერონი, კვინტუსი ელიუსი; იურისკონსულტი (ძვ.წ. II ს.)

U

Ulpianus, Domitius [ულპია´ნუს, *დომი´ტიუს/დომი´ციუს] ულპიანუს დომიციუსი, ალექსანდრე სევერუსის მთავარი მრჩეველი, სამართალმცოდნე; მას ეკუთვნის Ad edictum-ის კომენტარების 83 წიგნი; მისი მრავალრიცხოვანი კომენტარები სამართლის ყველა სფეროს მოიცავდა

V

Varro M. Terentius [ვა´რრო მა´რკუს *ტერე´ნტიუს/ტერე´ნციუს] ტერენციუს ვარონი, მარკუსი (116-27 წ.წ.), ენციკლოპედისტი და მწერალი; მას ეკუთვნის: De iure civili, De lingua Latina და Res rusticae

Vitellius [ვიტე´ლლიუს] ვიტელიუსი, ავგუსტუსის ეპოქის იურისტი

IV დანართი

გრამატიკული ცნობარი

ბრუნების, უღლების და სხვა გრამატიკული მოდელების სქემები

ლათინური ანბანი

1	2	3	4	განმარტებები
A	a	ა	ა	
B	b	ბე	ბ	
C	c	ცე	კ	შუა საუკუნეებიდან e, i, ae, oe, y-ს წინ გამოითქმოდა, როგორც "ც": Cicero [cicero] – ციცერონი
D	d	დე	დ	
E	e	ე	ე	
F	f	ეფ	ფ	
G	g	გე	გ	n-ს წინ და n-ს შემდეგ გამოითქმის როგორც ნაზალური ბგერა „ⁿg": magnus [maⁿgnus] – დიდი; lingua [liⁿgua] – ენა
H	h	ჰა	ჰ	
I	i	ი	ი	გამოითქმის როგორც j, თუ ის შემდეგ ხმოვანთან ერთ მარცვალს ქმნის: **Iu**lius [**Ju**lius] – იულიუსი
K	k	კა	კ	გამოიყენება მხოლოდ ორ სიტყვაში Kalendae – კალენდები და Kaeso – კესო (საკუთარი სახელი)
L	l	ელ	ლ	
M	m	ემ	მ	
N	n	ენ	ნ	
O	o	ო	ო	
P	p	პე	პ	
Q	q	კუ	კ	qu გამოითქმის როგორც „კუ", მაგ.: qui [კუი] – ვინც
R	r	ერ	რ	
S	s	ეს	ს	შუა საუკუნეებიდან s ორ ხმოვანს შორის გამოითქმოდა როგორც „ზ", დანარჩენ შემთხვევებში – როგორც „ს"
T	t	ტე	ტ	შუა საუკუნეებიდან ti + ხმ. გამოითქმოდა როგორც „ცი" გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას წინ მიუძღვის s, t ან x. მაგ.: iust**ti**a [იუსტიცია] – მართლმსაჯულება; be**sti**a [ბესტია] – ცხოველი
U	u	უ	უ	
V	v	ვე	ვ	
X	x	იქს	ქს	
Y	y	იფსილონ	ი	გვხვდება მხოლოდ ბერძნ. წარმოშობის სიტყვებში
Z	z	ზეტა	ზ	გვხვდება მხოლოდ ბერძნ. წარმოშობის სიტყვებში

ფონეტიკის უმთავრესი ელემენტები

ლათინური ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მოქმედებდა ფონეტიკური კანონები:

ა) ასიმილაცია

1. კბილისმიერი d და t მთლიანად ასიმილირდება s-ს წინ.
2. მჟღერი კბილისმიერი d და ბაგისმიერი b, როგორც წესი, მთლიანად ასიმილირდება შემდეგი თანხმოვნების წინ: p, g, p, f, t, r, l.
3. n ბაგისმიერი თანხმოვნების წინ m-დ იქცევა: impello ← inpello „ვდევნი“.
4. სრული რეგრესული ასიმილაცია ხდება ზმნის ფორმების წარმოებისას, თუ ძირი მთავრდება დენტალურ თანხმოვანზე, ხოლო სუფიქსი s-ით იწყება: missum ← mitsum „გასაგზავნად“.

ბ) დისიმილაცია

ხმოვნით ან დიფთონგით გათიშული ორი l ან ორი r გვაძლევს დისიმილაციას: caerulus ← caelulus „ცისფერი“.

გ) როტაციზმი

ინტერვოკალურ პოზიციაში s გამჟღერების გამო გადადის r-ში; ამ მოვლენას როტაციზმი ეწოდება: laudare ← laudase „ქება“.

დ) ხმოვნის დაგრძელება

1. s ბგერის დაკარგვას მოჰყვება მეზობელი ხმოვნის ე. წ. „კომპენსაციური“ დაგრძელება: īdem ← isdem „იგივე“.
2. მარტივი ხმოვანი გრძელდება -nf-, -ns- ჯგუფების წინ: īnsanus „არაჯანსაღი“; īnfelix „უბედური“.

ე) რედუქცია

რედუქცია ძირითადად განაპირობა უძველეს ლათინურში საწყისი მახვილის არსებობამ. საწყისი მახვილის გავლენით უშუალოდ მომდევნო ხმოვანი, როგორც წესი, სუსტდება: valde ← valide „ძლიერ“.

ვ) გარდამავალი ბგერა

ms, mt ფონემური ჯგუფები გარდაიქმნებიან შესაბამისად mps, mpt ჯგუფებად ან m-სა და s, t ბგერებს შორის ჩნდება ე. წ. „გარდამავალი“ ბგერა -p-: dempsi ← demsi „წავართვი“.

ზ) ბგერის დაკარგვა

1. სამი თანხმოვნის თავმოყრისას ხდება გამარტივება: arsi ← ardsi „ავენთე“.
2. ზმნისწინის ბოლოს იკარგება -d: aspiro ← adspiro „შთავბერავ“.
3. სიტყვის თავში შეიძლება დაიკარგოს g-: natus ← gnatus „ვაჟიშვილი“.

თ) კონტრაქცია
1. ზმნისწინის დართვამ შეიძლება გამოიწვიოს ზმნისწინისა და ზმნის ფუძის შერევა: aggredior ← ad+gradior „მივემართები“.
2. -v- თანხმოვნის დაკარგვა იწვევს ხმოვანთა შერწყმას: delero=delēvero „გავანადგურებ“.

წარმოთქმის წესები
ch, ph, th, rh თანხმოვანთკომპლექსები გვხვდება მხოლოდ ბერძნული წარმოშობის სიტყვებში:
ch გამოითქმის როგორც ხ (schola)
ph გამოითმის როგორც ф (philosophia)
th გამოითქმის როგორც თ (theatrum)
rh გამოითქმის როგორც რ (rhetorica)

დიფთონგები
ae გამოითქმის როგორც ე: praetor
oe გამოითქმის როგორც ö: Boeotia
au გამოითქმის როგორც ავ: Aurora
eu გამოითქმის როგორც ევ: Europa

ხმოვნების სიგრძე-სიმოკლე
ხმოვანი არის გრძელი ან მოკლე. გრძელ ხმოვანს პირობითად აღვნიშნავთ ხმოვნის თავზე ნიშნით (¯), ხოლო მოკლე ხმოვანს ნიშნით (˘).
დიფთონგები ყოველთვის გრძელია მარტივი ხმოვნები (a, e, i, o, u, y) შეიძლება იყოს ბუნებით გრძელი ან მოკლე და პოზიციით გრძელი ან მოკლე.

მახვილი
მახვილი მოუდით:
1. ორმარცვლიან სიტყვებს ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე: máter
2. სამ- ან მეტმარცვლიან სიტყვებს ბოლოდან მეორე გრძელ მარცვალზე: fortúna
3. ბოლოდან მესამე მარცვალზე, თუკი ბოლოდან მეორე მარცვალი მოკლეა: Victória

არსებითი სახელი (SUBSTANTIVUM)

1. ბრუნვები

NB ბრუნვების წარმოებისთვის ხუთივე კანკლედობაში (ბრუნებაში) ერთიდაიგივე წესებია:

a) dat. და abl. pl.-ის დაბოლოებები ერთნაირია.

b) საშუალო სქესის სახელებს nom., acc. და voc. sg.-ში ერთნაირი დაბოლოებები აქვთ, pl.-ში კი ამ სამსავე ბრუნვაში აქვთ -a დაბოლოება.

I კანკლედობა (a-ფუძიანი სახელები)

	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
SG.	rosa (ვარდი)	rosae	rosae	rosam	rosa
PL.	rosae	rosarum	rosis	rosas	rosis

NB voc.-ი I კანკლედობაში = nom.-ს

II კანკლედობა (o-ფუძიანი სახელები)

	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
SG.	dominus (ბატონი)	domini	domino	dominum	domino
SG.	donum (საჩუქარი)	doni	dono	donum	dono
SG.	puer (ბიჭი)	pueri	puero	puerum	puero
SG.	magister (მასწავლებელი)	magistri	magistro	magistrum	magistro
PL.	domini	dominorum	dominis	dominos	dominis
PL.	dona	donorum	donis	dona	donis
PL.	pueri	puerorum	pueris	pueros	pueris
PL.	magistri	magistrorum	magistris	magistros	magistris

NB II კანკლედობაში -us-ზე დაბოლოებულ ყველა სახელს voc. sg.-ში -e დაბოლოება აქვს, ე. ი. domine. სხვა სახელების voc. = nom.-ს.

III კანკლედობა

ა) თანხმოვანფუძიანი სახელები

NB ამ ჯგუფში შემავალ არსებით სახელებს abl. sg.-ში აქვთ დაბოლოება -e, gen. pl.-ში -um. თუ ეს სახელები არ არის საშუალო სქესის, მათ acc. sg.-ში აქვთ დაბ. -em. voc. = nom.-ს.

SG.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
dolor, m (ტკივილი)	doloris	dolori	dolorem	dolore
pater (მამა)	patris	patri	patrem	patre
mos, m (წეს-ჩვეულება)	moris	mori	morem	more
nepos, m (შვილიშვილი)	nepotis	nepoti	nepotem	nepote
heres, m (მემკვიდრე)	heredis	heredi	heredem	herede
miles, m (ჯარისკაცი)	militis	militi	militem	milite
caput, n (თავი)	capitis	capiti	caput	capite

PL.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
dolores	dolorum	doloribus	dolores	doloribus
patres	patrum	patribus	patres	patribus
mores	morum	moribus	mores	moribus
nepotes	nepotum	nepotibus	nepotes	nepotibus
heredes	heredum	heredibus	heredes	heredibus
milites	militum	militibus	milites	militibus
capita	capitum	capitibus	capita	capitibus

NB

III კანკლედობით იბრუნვის აგრეთვე i-ხმოვანფუძიანი სახელები, რომელთაც abl. sing.-ში აქვთ -i, ხოლო gen. pl.-ში -ium დაბოლოება, საშ. სქესის სახელებს nom., acc., voc. pl-ში აქვთ -ia დაბოლოება;

IV კანკლედობა (u-ფუძიანი) სახელები

SG.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
casus, m (შემთხვევა)	casus	casui	casum	casu
cornu, n (რქა)	cornus	cornu	cornu	cornu

PL.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
casus	casuum	casibus	casus	casibus
cornua	cornuum	cornibus	cornua	cornibus

NB
არსებით სახელს domus, -us (სახლი) აქვს II კანკლედობით ნაწარმოები პარალელური ფორმები gen. sg. domi/domus; abl. sg. domo/domu; gen. pl. domorum/domuum; acc. pl. domos/domus.

V კანკლედობა (e-ფუძიანი სახელები)

SG.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
dies (დღე)	diei	diei	diem	die
res (საქმე)	rei	rei	rem	re

PL.

NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
dies	dierum	diebus	dies	diebus
res	rerum	rebus	res	rebus

ზედსართავი სახელი (ხარისხებითურთ) (ADIECTIVUM)

I. ზედსართავი სახელების წარმოება

ა) I და II კანკლედობა
NB I და II ბრუნების ზედსართავი სახელები სამი ჯგუფისაგან შედგება:
I ჯგუფი: -us, -a, -um-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები,
II ჯგუფი: -er-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები, რომლებიც e-ს ყველა ფორმაში ინარჩუნებენ;
III ჯგუფი: -er-ზე დაბოლოებული ზედსართავი სახელები, რომლებსაც e მხოლოდ nom. sg.-ში აქვთ.

		SINGULARIS			
	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
m	altus (მაღალი)	alti	alto	altum	alto
	miser (საწყალი)	miseri	misero	miserum	misero
	piger (ზარმაცი)	pigri	pigro	pigrum	pigro
f	alta	altae	altae	altam	alta
	misera	miserae	miserae	miseram	misera
	pigra	pigrae	pigrae	pigram	pigra
n	altum	alti	alto	altum	alto
	miserum	miseri	misero	miserum	misero
	pigrum	pigri	pigro	pigrum	pigro

PLURALIS

	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
m	alti	altorum	altis	altos	altis
	miseri	miserorum	miseris	miseros	miseris
	pigri	pigrorum	pigris	pigros	pigris
f	altae	altarum	altis	altas	altis
	miserae	miserarum	miseris	miseras	miseris
	pigrae	pigrarum	pigris	pigras	pigris
n	alta	altorum	altis	alta	altis
	misera	miserorum	miseris	misera	miseris
	pigra	pigrorum	pigris	pigra	pigris

NB -us, -a, -um-ზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებს მხოლოდ მამრობითი სქესის voc. sg.-ში აქვთ დაბოლოება -e (ისევე როგორც -us-ზე დაბოლოებულ სახელებს).

ბ) III კანკლედობა

NB III კანკლედობის თითქმის ყველა ზედსართავი სახელი იბრუნვის როგორც III კანკლედობის i-ფუძიანი არსებითი სახელები. ე. ი. მათ abl. sg.-ში აქვთ დაბოლოება -i, საშუალო სქესისთვის nom. და acc. pl.-ში კი დაბოლოება -ia; gen. pl.-ში – -ium.

NB III კანკლედობის ზედსართავ სახელებს nom. sg.-ში აქვთ ან სამივე სქესისათვის საკუთარი დაბოლოება (სამდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები) ან საერთო დაბოლოება მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის და ცალკე დაბოლოება საშუალო სქესისათვის (ორდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები), ან საერთო დაბოლოება სამივე სქესისათვის (ერთდაბოლოებიანი ზედსართავი სახელები).

SINGULARIS

	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
m,f	celeber (ცნობილი)	celebris	celebri	celebrem	celebri
	brevis (მოკლე)	brevis	brevi	brevem	brevi
n	celebre	celebris	celebri	celebre	celebri
	breve	brevis	brevi	breve	brevi
m, f, n	sapiens	sapientis	sapienti	sapiens, sapientem	sapienti

PLURALIS

	NOM.	GEN.	DAT.	ACC.	ABL.
m, f	celebres	celebrium	celebribus	celebres	celebribus
	breves	brevium	brevibus	breves	brevibus
n	celebria	celebrium	celebribus	celebria	celebribus
	brevia	brevium	brevibus	brevia	brevibus
m, f ,n	sapientia	sapientium	sapientibus	sapientia	sapientibus

II. ზედსართავი სახელების ხარისხების წარმოება

წესიერი წარმოება

NB მდედრობითი და მამრობითი სქესის comparativus-ი იწარმოება ზედსართავი სახელის ფუძეზე -ior-ის დამატებით, საშუალოსი კი – -ius-ის დართვით. ზედსართავის ფუძეს ვიგებთ შესაბამისი ზედსართავი სახელისთვის gen. sg.-ის დაბოლოების ჩამოცილებით. მაგ. pulcher, pulchri, ე. ი. ფუძე არის. pulchr-; superlativus-ი უმეტესად ზედსართავ სახელებში იწარმოება ფუძეზე -issimus, -issima, -issimum-ის დამატებით. II და III კანკლედობის -er-დაბოლოებიანი ზედსართავი სახელები superlativus-ს ფუძეზე -rimus, -rima, -rimum დაბოლოების დამატებით აწარმოებენ, ხოლო ზოგიერთი -ilis-დაბოლოებიანი ზედსართავი სახელი კი – -limus, a, um სუფიქსის დართვით.

POSITIVUS	COMPARATIVUS	SUPERLATIVUS
carus (საყვარელი)	carior, -ius	carissimus, a, um
prudens (ჭკვიანი)	prudentior, -ius	prudentissimus, a, um
tristis (ნაღვლიანი)	tristior, -ius	tristissimus, a, um
ferox (მამაცი)	ferocior, -ius	ferocissimus, a, um
facilis (ადვილი)	facilior, -ius	facillimus, a, um
pulcher (ლამაზი)	pulchrior, -ius	pulcherrimus, a, um
prosper (მოსახერხებელი)	prosperior, -ius	prosperrimus, a, um
celeber (ცნობილი)	celebrior, -ius	celeberrimus, a, um

ზმნიზედა (ხარისხებითურთ) (ADVERBIUM)

წესიერი წარმოება

NB I-II კანკლედობის ზედსართავი სახელები ზმნიზედებს აწარმოებენ ფუძეზე -e-ს დამატებით, ასევე იწარმოება ზმნიზედა აღმატებითი ხარისხის ზედსართავი სახელისგან, -e სუფიქსის დართვით, III კანკლედობის ზედსართავი სახელები კი იწარმოება ფუძეზე -iter-ის დამატებით.
ზმნიზედის comparativus-ი ფორმით ზედსართავი სახელის საშუალო სქესის comparativus sg.-ის მსგავსია.

POSITIVUS	COMPARATIVUS	SUPERLATIVUS
moleste (მძიმედ)	molestius (უფრო მძიმედ)	molestissime (ძალიან მძიმედ)
misere (საცოდავად)	miserius (უფრო საცოდავად)	miserrime (ძალიან საცოდავად)
pulchre (ლამაზად)	pulchrius (უფრო ლამაზად)	pulcherrime (ძალიან ლამაზად)
celeriter (ჩქარა)	celerius (უფრო ჩქარა)	celerrime (ძალიან ჩქარა)
acriter (ბასრად)	acrius (უფრო ბასრად)	acerrime (ძალიან ბასრად)
breviter (მოკლედ)	brevius (უფრო მოკლედ)	brevissime (ძალიან მოკლედ)
atrociter (ულმობლად)	atrocius (უფრო ულმობლად)	atrocissime (უსასტიკესად)

ნაცვალსახელები (PRONOMINA)

1. პირის ნაცვალსახელები (Personalia)

I პირი	II პირი	III პირი	
		is, ea, id (არაუკუქცევითი)	უკუქცევითი
	SINGULARIS		
NOM. ego მე	tu შენ	is, ea, id ის	–
GEN. mei	tui	eius	sui
DAT. mihi	tibi	ei	sibi
ACC. me	te	eum, eam, id	se
ABL. a me ჩემგან	a te შენგან	eo, ea, eo	a se,
mecum ჩემთან ერთად	tecum შენთად ერთად		secum
	PLURALIS		
NOM. nos ჩვენ	vos თქვენ	ii (ei), eae, ea ისინი	–
GEN. nostri	vestri	eorum, earum, eorum	sui
DAT. nobis	vobis	iis (eis)	sibi
ACC. nos	vos	eos, eas, ea	se,
ABL. a nobis ჩვენგა	a vobis, თქვენგან	iis (eis)	secum
obiscum ჩვენთან ერთად	vobiscum თქვენთან ერთად		

NB III პირში პირის ნაცვალსახელის ნაცვლად იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელი: is, ea, id.

2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები (Possessiva)

	SINGULARIS	PLURALIS
1.	meus, mea, meum ჩემი	noster, nostra, nostrum ჩვენი
2.	tuus, tua, tuum შენი	vester, vestra, vestrum თქვენი
3.	suus, sua, suum მისი, მათი, თავისი	

NB იბრუნვის როგორც I-II კანკლედობის ზედსართავი სახელები.

3. ჩვენებითი ნაცვალსახელები (Demonstrativa)

hic, haec, hoc – ეს

	SINGULARIS			PLURALIS		
NOM.	hic	haec	hoc	hi	hae	haec
GEN.	huius	huius	huius	horum	harum	horum
DAT.	huic	huic	huic	his	his	his
ACC.	hunc	hanc	hoc	hos	has	haec
ABL.	hoc	hac	hoc	his	his	his

ille, illa, illud – ის

	SINGULARIS			PLURALIS		
NOM.	ille	illa	illud	illi	illae	illa
GEN.	illius	illius	illius	illorum	illarum	illorum
